

წ

ქრისტეანული
წიგნი

თეოდორე
სვეტიცხოვე

ვატოქანის
II
ქიება
(1962-1965)

ვატიკანის II ჯეზა

კონსტიტუციები
დეკრეტები
დეკლარაციები



ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა
თბილისი
2006

CONCILIUM VATICANUM II
Constitutiones, Decreta, Declarationes

მთარგმნელი
ლელა ალექსიძე

Ringraziamo
Pontificio Consiglio per l'Unità dei Cristiani
(Pres. Card. Walter Kasper)

Remerciements
Association Culture Amitié Partage (France)
L'Oeuvre d'Orient (France)

Danke
Renovabis (Deutschland)

სარჩევი

ჯუზეპე პაზოტო

წინათქმა ვატიკანის II კრების აქტების

ქართული გამოცემისათვის 7

მერაბ ლალანიძე

ვატიკანის II კრების აქტების ქართულ მკითხველს 10

პიერ დიუმულენი

ვატიკანის II კრება..... 12

ბენედიქტე XI-ის მიმართვიდან რომის კურიის წევრებისადმი..... 20

*

1. კონსტიტუცია წმიდა ლიტურგიის შესახებ
(Sacrosanctum Concilium) 35
2. დეკრეტი საზოგადოებრივი კომინიკაციის საშუალებათა შესახებ
(Inter mirifica)..... 63
3. დოგმატური კონსტიტუცია ეკლესიის შესახებ
(Lumen gentium)..... 73
4. დეკრეტი აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიათა შესახებ
(Orientalium Ecclesiarum) 125
5. დეკრეტი ეკუმენიზმის შესახებ
(Unitatis redintegratio) 135
6. დეკრეტი ეკლესიაში ეპისკოპოსთა სამოძღვრო მსახურების შესახებ
(Christus Dominus)..... 151
7. დეკრეტი სამონესეო ცხოვრების განახლების შესახებ
(Perfectae caritatis) 173
8. დეკრეტი მღვდელთა აღზრდის შესახებ
(Optatam totius)..... 185
9. დეკლარაცია ქრისტიანული აღზრდის შესახებ
(Gravissimum educationis) 199
10. დეკლარაცია ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ
არაქრისტიანული რელიგიების მიმართ
(Nostra aetate)..... 211
11. დოგმატური კონსტიტუცია საღმრთო გამოცხადების შესახებ
(Dei verbum) 217
12. დეკრეტი საეროთა მოციქულობის შესახებ
(Apostolicam actiositatem)..... 229
13. დეკლარაცია რელიგიური თავისუფლების შესახებ
(Dignitatis humanae)..... 253
14. დეკრეტი ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობის შესახებ
(Ad gentes divinitus)..... 265
15. დეკრეტი მღვდელთა მსახურებისა და ცხოვრების შესახებ
(Presbyterorum ordinis)..... 297
16. სამოძღვრო კონსტიტუცია თანამედროვე სამყაროში ეკლესიის შესახებ
(Gaudium et spes)..... 325

*

საძიებლები

ბიბლიური ციტატები.....	393
წმიდა მამები და ეკლესიის მოძღვარნი, საეკლესიო მწერლები	403
რომის პაპები	411
კრებები.....	418
ლიტურგიული დოკუმენტები.....	422
სხვა წყაროები, დოკუმენტები და დამონმებანი	423
თემატური საგნობრივი საძიებელი	427

ნინათქმა ვატიკანის II კრების აქტების ქართული გამოცემისათვის

შესაძლოა, ცოტა უცნაურად ჩანდეს სიხარული იმ აქტების ქართულ თარგმანის გამოცემის გამო, რომელიც საქართველოდან შორს, რომში, 40 წლის წინათ ჩატარებულმა საეკლესიო კრებამ მიიღო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის მიერ გამოცემული ამ აქტების თარგმანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველასათვის, ვისაც დღევანდელი კათოლიკე ეკლესიის სულისა და გულისცემის შეცნობა სურს.

ვატიკანის II საეკლესიო კრება (1962-1965 წწ.) მრავალმხრივი მნიშვნელობის მოვლენაა: მის მომზადებაში ზღვა ენერგია ჩაიქსოვა, — მთელი მსოფლიოდან მომავალი წინადადებებისა და გამომხაურებების რაოდენობამ გადააჭარბა ნებისმიერი სხვა საეკლესიო კრების მომზადებისას დაფიქსირებულ გამომხაურებათა რაოდენობას. კრების სესიათა მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ყველა კუთხის წარმომადგენელმა უამრავმა ეპისკოპოსმა (მათ შორის იყო 2440 კათოლიკე ეპისკოპოსი და სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიათა — მათ შორის მართლმადიდებელი ეკლესიების — დელეგაციები), ვინც ნამდვილად წარმოადგინა მსოფლიო ეკლესიის სახე და აზროვნება. ასევე პირველად მოხდა, რომ ათასამდე ყურნალისტი დანვრილებით აშუქებდა კრების საქმიანობას და საზოგადოებას დაუბრკოლებლად აწვდიდა ინფორმაციას მისი მსვლელობის შესახებ.

საეკლესიო კრების მნიშვნელობიდან გამომდინარე, იმ პერიოდის მოვლენებს “კრებამდელსა” და “კრებისშემდგომს” უწოდებენ, რაც ნათლად მეტყველებს ვატიკანის II საეკლესიო კრების გავლენით კათოლიკე ეკლესიაში მომხდარ ცვლილებებზე, რომლებიც თვალნათლივ აისახა ასევე ყველა ქრისტიანული ეკლესიის ცხოვრებასა და ისტორიაზე.

სხვა საეკლესიო კრებათაგან განსხვავებით, ვატიკანის II საეკლესიო კრებას არავინ განუკითხავს და არავინ გაუკიცხავს, არ გამოუცია კანონები და არც რწმენის საკითხებზე მიუღია გადამწყვეტი დადგენილებები. ეს ახალი ტიპის საეკლესიო კრება — სამწყსო კრება — იყო, რომელმაც დღევანდელ სამყაროსთან სახარების მიახლოება სცადა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სახასიათო ნიშანი ამ კრების სიდიადეზე მეტყველებს და ყველა შემდეგი საეკლესიო კრების მომავალზე აისახება.

როგორც ცნობილია, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ყოველი საეკლესიო კრება განმარტავს და ხორცს ასხამს სამოციქულო ტრადიციას, რომელშიც, თავის მხრივ, თავისი განსაკუთრებული წვლილი შეაქვს. ცხადია, ეს არ გულისხმობს ეკლესიის სარწმუნოებრივ მემკვიდრეობაში სიახლეთა შეტანას ან არსებულ მოძღვრებათა გაუქმებას. თითოეული საეკლესიო კრება განვითარების, განმარტებისა და გამორკვევის პროცესია, რომელიც სული წმიდის თანხლებით მიმდინარეობს და, ამგვარად, ეკლესიის მთლიანი ტრადიციის შემადგენელ ნაწილად იქცევა. ამიტომაც საეკლესიო კრება მუდამ წინ იყურება — და არა უკან — მოძღვრების უფრო ფართოდ, მკაფიოდ და აქტუალურად გადმოცემისკენ სწრაფვაში. საეკლესიო კრებას არ შეუძლია შეენიწაღმდეგოს წინა კრებებს, მას შეუძლია მხოლოდ შეავსოს, დააზუსტოს, განაგრძოს და ხელი შეუწყოს მანამდე ჩამოყალიბებულ ჭეშმარიტებათა წვდომას. სწორედ ამის თქმა შეგვიძლია ვატიკანის II კრების შესახებ, რომლისთვისაც ტრადიცია ნამდვილად გათავისებულ არსია. ეს წრფელი დაჯერებულობა გამოსჭვივის ნიკეის II კრების (787 წ.) განსაზღვრებაში: *“რაკი საქმე ამგვარადაა,*

გარკვეული თვალსაზრისით მთავარ გზას დავადექით და ღმრთივშთავგონებული ჩვენი მამების მოძღვრებასა და კათოლიკე ეკლესიის გადმოცემას ვავეყვით: ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, სათავეს იღებს სული წმიდიდან, რომელიც მასში ცოცხლობს”.

ვატიკანის II კრებაც აღიარებს ტრადიციასთან თავის მჭიდრო კავშირს: კრების აქტებში მრავალი მინიშნებაა ტრადიციაზე, ხშირად დადონებული წინა კრებები, პაპთა ენციკლიკები, ეკლესიის მამები და დიდი ღმრთისმეტყველნი.

მაგრამ საეკლესიო კრების სიდიადე ტრადიციის წიაღში დღევანდელი დღის აქცენტირების წარმატებულ მცდელობაშია. დღევანდელი პრობლემები პასუხის გაცემას საჭიროებს და ვატიკანის II კრებამ დიდებულად გაართვა თავი ამ ამოცანას, უპასუხა არსებულ კითხვებს და წინასწარ განჭვრიტა ახალთა წარმოშობა. ეს კრება სწორედ იმიტომ არის სამწყსო კრება, რომ ის თანამედროვე ადამიანს დაუდგა გვერდით.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ აქტების გაცნობით, მათზე დაკვირვებითა და განსჯით შესაძლოა იმის შეგრძნება, თუ როგორ იმოქმედა სული წმიდამ და როგორ შეიტანა ჰაერის ცოცხალი ნაკადი ეკლესიის ცხოვრებაში.

ჩემი აზრით, მკაფიოდ იკვეთება რამდენიმე მიმართულება, რომელიც საეკლესიო კრებამ დღევანდელი ეკლესიის ცხოვრებაში დაამკვიდრა:

- თანამედროვე სამყაროსა და კულტურასთან დიალოგის მიმართულება (იხ. სამოძღვრო კონსტიტუცია თანამედროვე სამყაროში ეკლესიის შესახებ — *Gaudium et spes*; დოგმატური კონსტიტუცია ეკლესიის შესახებ — *Lumen gentium*; დეკრეტი საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებათა შესახებ — *Inter mirifica*). არ შეიძლება განვიხილოთ ეკლესია განცალკევებულ, იზოლირებულ სინამდვილედ, რომელიც ჭეშმარიტებას ინახავს საკუთარ თავში, ის თანამედროვე სამყაროს ცხოვრების აქტიური ნაწილია, — *ეკლესია, რომელიც ახლოსა ადამიანთან*.
- თავის ხალხთან ერთიანობაში მყოფი ღმრთის გამოცხადების მიღების მიმართულება. ღმრთის ცხოვრებაში ანუ სამერთიან არსებაში (*comunione trinitaria*) შესვლით შეიძლება ჩავწვდეთ ქრისტიანის მისიას, იყოს ერთიანობისა და მშვიდობის წყარო ადამიანთა შორის (იხ. დოგმატური კონსტიტუცია საღმრთო გამოცხადების შესახებ — *Dei verbum*; დეკრეტი აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიათა შესახებ — *Orientalium Ecclesiarum*; დეკრეტი ეკუმენიზმის შესახებ — *Unitatis Redintegratio*; დეკლარაცია ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ არაქრისტიანული რელიგიების მიმართ — *Nostra aetate*), — *ეკლესია, რომელიც უსმენს*.
- ლიტურგიული მიმართულება, რომელიც ლიტურგიას ქრისტიანული ცხოვრების წყაროდ და მწვერვალად აქცევს, მაგრამ იმისათვის, რათა ის გასაგებად იქცეს ღმრთის ხალხისთვის, ლიტურგიას ათავისუფლებს მოძველებული ფორმებისაგან — მორწმუნის ღმრთის საიდუმლოს შუაგულში შესაყვანად (იხ. კონსტიტუცია წმიდა ლიტურგიის შესახებ — *Sacrosanctum Concilium*; დეკრეტი სამონესეო ცხოვრების განახლების შესახებ — *Perfectae caritatis*), — *ეკლესია, რომელიც ლოცულობს*.
- დამონების მიმართულება, რომელიც ნათლობაში დებს მისიონერულ მოხმობას, ქრისტიანული უწყების მაუწყებლებად ვიქცეთ — თითოეული თავისი განსაკუთრებული მოწოდების თანახმად თავისი ცხოვრებითა და ქმედებით (იხ. დეკრეტი ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობის შესახებ — *Ad Gentes divinitus*; დეკრეტი საეროთა მოციქულობის შესახებ — *Apostolicam actuositatem*), — *ეკლესია, რომელიც აუწყებს*.
- პასუხისმგებლობის მიმართულება, რომელიც ყველას მოგვიხმობს, ვიყოთ ცოცხალი ეკლესია იმ ქარიზმათა გაერთიანებით, რომლებიც თითოეულმა ყველას სასიკეთოდ მიიღო, ვემსახუროთ უპირატესად ღარიბებსა და

მიტოვებულებს (იხ. დეკლარაცია რელიგიური თავისუფლების შესახებ — *Dignitatis humanae*; დეკლარაცია ქრისტიანული აღზრდის შესახებ — *Gravissimum educationis*; დეკრეტი ეკლესიაში ეპისკოპოსთა სამოძღვრო მსახურების შესახებ — *Christus Dominus*; დეკრეტი მღვდელთა აღზრდის შესახებ — *Optatam totius*; დეკრეტი მღვდელთა მსახურებისა და ცხოვრების შესახებ — *Presbyterorum ordinis*), — *ეკლესია, რომელიც ემსახურება*.

რატომ არის მნიშვნელოვანი ამ აქტების ქართულად თარგმნა?

საქართველოს ისტორია და კულტურა იესო ქრისტეს მოვლენაშია ფესვგადგმული. სირთულეების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ საქართველო ახლა წინ იყურება, დღევანდელი დღისადმი ყურადღებითა და, ამავე დროს, საკუთარი ტრადიციის შენარჩუნებისა და დაცვის სურვილით. ნამდვილი მომავლის შესაქმნელად ხალხმა ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც მატერიალურს, ისევე სულიერს. ამ აქტებში თავმოყრილი და გადმოცემული განსჯის გამოცდილება შესაძლოა, დაეხმაროს მათ, ვისაც წინ ყურება სურს.

კათოლიკე ეკლესია, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად მუდამ აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ცხოვრებაში, მოხარულია, რომ ამ მასალების მეშვეობითაც შეუძლია გააცნოს საზოგადოებას თავისი მოქმედების ძირითადი მიმართულებები და დარწმუნებულია, რომ ეს ნაბიჯი მის უფრო უკეთეს გაცნობას შეუწყობს ხელს. უკეთესად გაცნობა კი უეჭველად გამოიწვევს ქრისტიანულ კონფესიათა მეგობრობის გაღრმავებას, მათ შორის სრული და უფრო მტკიცე ერთიანობის სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისითაც.

ამ წიგნში თავმოყრილი აქტები გვიჩვენებენ იმ მიმართულებებს, რომლებსაც მიჰყვება კათოლიკე ეკლესია ზოგჯერ ნელა და სირთულეების გადალახვით, ზოგჯერაც უფრო სწრაფად და მსუბუქად. დროთა განმავლობაში გასაგები ხდება, რომ თითოეული აქტი რჩება იმ საბადოდ, რომელსაც უნდა დავეწაფოთ და რომელიც კვლავაც მიმართულების მიმცემია ეკლესიის დღევანდელ არჩევანთათვის.

ამ მიმართულებებმა, რომელთა მეშვეობითაც ეკლესია ღმრთის ერთგული რჩება, რადგანაც დღეს ადამიანის გვერდით დგას და მისთვის იღწვის, დაიპყრო ჩემი გული და მიმაღებინეს გადანყვებილება, მთელი ჩემი სიცოცხლე მივუძღვნა იმ ეკლესიის სიყვარულსა და მსახურებას, რომელზეც ოცნებობს ვატიკანის II კრება და რომელზეც მეც ვოცნებობ.

ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

ლათინური წესის კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრატორი საქართველოში

ვატიკანის II კრების აქტების ქართულ მკითხველს

თუნდაც საკმაო დაგვიანებით, მაგრამ დღეს ქართველი მკითხველი წასაკითხად ხელში იღებს ვატიკანის II კრების აქტებს მშობლიურ ენაზე, — საეკლესიო-საღმრთისმეტყველო აზროვნების ფუნდამენტურ ტექსტებს, — რითაც იგი უშუალოდ იგრძნობს და გაიგებს საყოველთაო ეკლესიის სუნთქვას, მის ფიქრსა და განსჯას, დაფუძნებულს წმიდა წერილისა და წმიდა გადმოცემის ურყევ ერთგულებაზე, ტრადიციის სიღრმისეულ გააზრებასა და განვითარებაზე, აწმყოში მსხემი ეკლესიისა და აწყოში მკვიდრი ამ სოფლის საღ ხედვაზე, მომავლის მკაფიო და არსებით ჭვრეტაზე. ეს აქტები ნათლად აჩვენებს, თუ სად იდგა კათოლიკე ეკლესია XX საუკუნის 60-იან წლებში და საით იყო მიპყრობილი მისი მზერა, თუ გზის საით გაგრძელება აირჩია და გადაწყვიტა ქრისტეს ეკლესიამ, რომელსაც — სძალსა და დედას — არასოდეს უღალატია მაცხოვრის ერთგულებისათვის და რომელიც ცვალებად სამყაროში — ერთადერთი — გზააურევლად მიჰყვებოდა უფლის აღთქმასა და დანაპირებს. ეს აქტები იმასაც აჩვენებს, თუ რას სთავაზობს ეკლესია ამ კრთომად და რყევად სოფელს, რა უცვლელ და ურყევ ღირებულებებს იცავს თავად და საით მოუწოდებს, მოუხმობს მას.

ამ წიგნის მკითხველი იღებს უეჭველ და ნათელ პასუხებს იმ კითხვებზე, რასაც დღევანდელი სამყარო უყენებს თანამედროვე ადამიანს, — მორწმუნესა თუ ურწმუნოს, — და აქ ეკლესია მეტყველებს თავისი შეუმცდარი სიტყვით, რომელსაც უფლის მცნებათა მიდევნების ორიათასწლოვანი მემკვიდრეობა აკიაფებს. განსაკუთრებულია წინამდებარე გვერდების საღმრთისმეტყველო — ჟამთა სვლაზე ამალღებული — ღირებულება, მაგრამ ეს წიგნი მორწმუნე კათოლიკისათვის შეუცვლელი და სანდო მეგზურიცაა დღევანდელი სამყაროს მონაცვლე (ხშირად ამღვრეულ და უთავბოლო) დინებათა წიაღ, ხოლო არაკათოლიკეს, არაქრისტიანს თუ ურწმუნოს ის აწვდის კათოლიკე ეკლესიის საჯარო და დადასტურებულ ხედვას, საჯარო დამოკიდებულებას არა მარტო შიდაეკლესიური საკითხების, არამედ გარე სამყაროს სიხარულთა თუ შეჭირვებათა მიმართ. ის კი, ვინც გადაწყვეტს გაიგოს, თუ როგორია ეკლესიის თვითგანაზრება, ვინც ეკლესიის შესახებ საღმრთისმეტყველო მოძღვრებას მოიძიებს, უცილობლად ვერსად ნახავს საუკუნეთა განმავლობაში უფრო მნიშვნელოვან ნათქვამს, ვიდრე იმას, რასაც იგი ამოიკითხავს ვატიკანის II კრების დოგმატურ კონსტიტუციაში ეკლესიის შესახებ (*Lumen gentium*). მაგრამ გამოქვეყნებულ აქტებს შორის მკითხველი მოიპოვებს პასუხს არა მარტო იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს დედა ეკლესია საკუთარი თავის შესახებ, ეკლესიის მისიის, ეკლესიის შიდაწყობისა და შიდამიმართულებათა, სამღვდლო-სამონაზვნო დასისა თუ მორწმუნე მრევლის — ერთგულთა გამო, მაგრამ, ამასთანავე, ისეთი საუკუნოვანი მწვავე საკითხების შესახებაც, როგორცაა ეკლესია და საზოგადოება, ეკლესია და მეცნიერება, ეკლესია და კულტურა, ეკლესია და პოლიტიკა.

წარმოდგენილი აქტები თავიანთი შექმნის დროის სულისკვეთებას ასახავს, მათ შემქმნელთა კუთვნილებასა და პასუხისმგებლობას გარკვეული ჟამისადმი, მაგრამ რომის წმიდა პეტრეს ბაზილიკის გუმბათქვეშ შეკრებილი მამები — კონსტიტუციათა, დეკრეტთა, დეკლარაციათა ავტორები — მზერას უსწორებდნენ, უპირველეს ყოვლისა, ქრისტეს ეკლესიის მცირე თუ დიდ, ხილულ თუ უხილავ, ხელშესახებ და ხელთუქმნელ ტაძრებში მოგიზგიზე წარუვალ სიწმიდეებს, ეკლესიის სულიერ კერათა საცავებში დაუნჯებულ და გაღვივებულ სულიერებას, და, კიდევ ერთხელ, ვატიკანის ბორცვზე აღმართული ამ დიადი ბაზილიკის მღვიმეს — წმიდა პეტრეს საფლავს, იმ პეტრესი, რომელსაც, როგორც ევას, დაეფუძნა ჯოჯოხეთის

ბჭეთაგან უძლეველი ეკლესია და რომელსაც — სწორედ პეტრესა და მის მემკვიდრე რომის ეკლესიის მეთაურებს — მიანდო უფალმა ეკლესიის გაძლოლა საუკუნეთა დასასრულამდე, აღსასრულამდე სოფლისა.

აღსანიშნავი და ღირსესანიშნავია, რომ ყველა აქტი, რომელიც გამოსცა ვატიკანის II კრებამ, პირველ ყოვლისა, დიალოგურია, — ყოველ მათგანში ხილულად ფეთქავს დიალოგის მხურვალე მუხტი: მკითხველის ყურს დაუბრკოლებლად სწვდება დიალოგი უფალსა და მის ეკლესიას — სიძესა და სძალს — შორის, მაგრამ, ამასთანავე, აშკარაა სწრაფვა დიალოგისა არა მარტო შიდაეკლესიურ, არამედ შიდაქრისტიანულ ფარგლებში, სწრაფვა დიალოგისა კათოლიკეთა და არაკათოლიკეთა, კათოლიკეთა და არაქრისტიანთა, კათოლიკე ეკლესიასა და გარემომცველ სამყაროს შორის.

ვატიკანის II კრება 1965 წლის 8 დეკემბერს დაიხურა, — ნეტარი ქალწული მარიამის ტაძრად მიყვანების დღეს. თავის დადგენილებათა განხორციელება დედა ეკლესიამ ეკლესიის დედას — განხორციელებული სიტყვის დედას, ღმრთისმშობელ მარიამს — შეავედრა, მის ყოვლადმფარველ მეოხებას მიანდო.

თუკი დღევანდელი საქართველო თავს მსოფლიო მდინარებათა ნაკადში ხედავს და მოიაზრებს, თუკი დღევანდელი საქართველო საყოველთაო საუკუნოვან ღირებულებათა ერთგულებას აცხადებს, მაშინ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებას საშუალება უნდა ჰქონდეს, უშუალოდ იცნობდეს რომის კათოლიკე ეკლესიის — მსოფლიო ანუ საყოველთაო ეკლესიის — შინაგან ცხოვრებას, მის არჩევანს, მის მიმართებებსა და დამოკიდებულებებს; ამგვარი ცოდნა კი შეუძლებელია ეკლესიის ისეთი ფუძემდებლური ტექსტის, როგორიცაა ვატიკანის II კრების აქტები, ახლო და საფუძვლიანი გაცნობის გარეშე; ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ნათლად უნდა შეეძლოთ იმის წარმოდგენა, თუ რას ნიშნავდა XX საუკუნის ქრისტიანული სამყაროსათვის ვატიკანის II კრება (ანუ XXI მსოფლიო კრება), რომელმაც სახეც უცვალა ეკლესიას — ტრადიციისაგან მოუწყვეტილ — და მომავალი განვითარების ჭდეებიც აღიქვა და შეაფასა.

მკითხველი პირველად იღებს ვატიკანის II კრების აქტების ქართულ თარგმანს... ძნელია ითქვას, უკანასკნელად როდის ითარგმნა ქართულად არა მარტო ასეთი სიღრმის, არამედ, ასევე, ასეთი სირთულის საღმრთისმეტყველო ტექსტები. ამიტომაც, როგორც იმთავითვე ივარაუდებოდა, მისი თარგმნა ადვილი საქმე არ ყოფილა, რაც მთლიანად საკუთარ თავზე იდო ფილოსოფიის დოქტორმა, პროფესორმა ლელა ალექსიძემ. ბუნებრივია, თარგმანს სრულყოფილად არც მთარგმნელი მიიჩნევს და არც გამომცემლები, მით უმეტეს, რომ რაკილა აქტების გამოქვეყნება მეტად საშურად იყო მიჩნეული, მომავლისთვის გადაიდო მისი საფუძვლიანი თეოლოგიური და სტილური რედაქტირება, — ტექსტები ამჟამად იმ სახით იბეჭდება, როგორც ის მთარგმნელმა წარმოუდგინა გამომცემელთ. თარგმნილი ტექსტების შემდგომი დახვეწა მომდევნო გამოცემისათვის ივარაუდება, რომელშიც უთუოდ იქნება გათვალისწინებული შემოთავაზებები და შენიშვნები. მკითხველს კი გვინდა ვთხოვოთ, რომ თუკი აქტების ქართული თარგმანის რომელიმე მონაკვეთის კითხვისას იგი ოდნავ მაინც შეჭოჭმანდება, ზედმეტი არ იქნება, ტექსტების ლათინურ ორიგინალს (ან სხვაენოვან თარგმანებს) მიჰმართოს თავისი შეეჭვების შესამოწმებლად ან დასადასტურებლად.

ჩვენდათავად, წიგნის მკითხველს სულიერ განცდათა და განჭვრეტათა მრავალ ნაყოფიერ წუთსა და საათს ვუსურვებთ, რომელიც მას უეჭველად ელის ამ ფურცლების ჩაღრმავებული კითხვისას და წვდომისას.

მერაბ ლალანიძე

15 აგვისტო, 2006

წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების დღე

ვატიკანის II კრება

შესავალი

ვატიკანის მეორე კრება მიმდინარეობდა 1962 წლის 11 ოქტომბრიდან 1965 წლის 8 დეკემბრამდე. კრების ოთხი სესია ყოველ შემოდგომას ტარდებოდა (1962, 1963, 1964, 1965 წ.).

პაპის პიუს XI-ის აღსაყდრებისთანავე დადგა საკითხი, დაბრუნებოდნენ ვატიკანის I კრებას, რომელიც 1870 წელს შეწყდა, მაგრამ ეს ჩანაფიქრი იმჟამად ვერ განხორციელდა. იოანე XXIII-მ არჩევისთანავე განაცხადა კრების მოწვევის აუცილებლობის შესახებ, რაც განპირობებული იყო სრულიად ახალი პერსპექტივით, სადაც უმთავრესი ყურადღება სამწყსო მოღვაწეობასა და ეკუმენურ ორიენტაციას უნდა დასთმობოდა.

ქრისტიანთა ერთობის საბჭოს შექმნა, არაკათოლიკე დამკვირვებელთა აქტიური მონაწილეობა (კერძოდ, ისეთი აქტების შექმნაში, როგორებიცაა *Dignitas humanae* და *Unitatis redintegratio*), ამასთანავე, არაერთი ტექსტის კენჭისყრით მიღება ქრისტიანთა გაერთიანების საქმეში მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი გახდა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ თავისი დამკვირვებლები გამოგზავნა მხოლოდ III სესიაზე, მაგრამ 7 მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები, მათ შორის რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები, კრებას თავიდანვე ესწრებოდნენ. დამკვირვებელთა რაოდენობა ნელ-ნელა 31-დან 93-მდე გაიზარდა, რომლებიც 8 ეკლესიასა და აღმსარებლობას წარმოადგენდნენ. ისინი ესწრებოდნენ ყველა სესიას და გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს სხვადასხვა შეკრებებზე.

მეორე მხრივ, გადანყვეტილება ცვლილებათა შესახებ (მათ შორის, ლიტურგიაში), გამორჩეული მახვილის დასმა კონსტიტუციაზე ეკლესიის შესახებ და სხვა აქტებზე (ეპისკოპოსთა კოლეგიალობის შესახებ, საეროთა უფრო აქტიური მონაწილეობის შესახებ ეკლესიის ცხოვრებაში) მეტყველებდა ეკლესიის ღრმა განახლებაზე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ კრებას, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა წინა კრებებისაგან, უდიდესი სამწყსო, ეკუმენური და ეკლესიოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. არცერთი დოგმატური განსაზღვრება, არცერთი ანათემა არ სდევდა კრების მუშაობის ნაყოფს: 3 დეკლარაციას, 9 დეკრეტსა და 4 კონსტიტუციას.

მომზადება

თავისი არჩევის უმალ, 1959 წლის 25 იანვარს, პაპმა იოანე XXIII-მ განაცხადა თავისი ჩანაფიქრის შესახებ, მოენვია საეკლესიო კრება. მთელი მსოფლიოდან რომში მიიწვიეს კარდინალები, რათა მათ ამასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებანი გამოეთქვათ. 1959 წლის 17 მაისს შეიქმნა მოსამზადებელი კომისია, რომელშიც რომის ძირითადი კონგრეგაციების მდივნები შევიდნენ და რომელსაც სათავეში ჩაუდგა კარდინალი ტარდინი. მან კომისიის მდივნად მონსინიორი ფელიჩი აირჩია. კომისიას დაევალა უფართოესი კონსულტაციების მოწყობა იმ მიზნით, რათა განსაზღვრულიყო კრებაზე გასატანი საკითხები.

18 ივნისს ეპისკოპოსებს, ნუნციუსებსა და სასულიერო ორდენების წინამძღვრებს მიმართეს თხოვნით, გამოეგზავნათ თავიანთი წინადადებები, 18 ივლისს კი ჩატარდა ტექნიკური კონსულტაცია თეოლოგიისა და კანონიკური სამართლის ფაკულტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ნელ-ნელა — სხვათა შორის,

ეკლესიის ცხოვრებაში კრებების როლისა და მომავალი თავყრილობის სავარაუდო მიზნების შესახებ სხვადასხვა პუბლიკაციათა წყალობით — მიღწეულ იქნა კათოლიკური საზოგადოებრივი აზრის გარკვეული განწყობა.

1960 წლის 5 ივნისის ჩამოყალიბდა ათი კომისია (საღმრთისმეტყველო, ეპარქიების მართვისა, სასულიერო პირთა და ქრისტიანი ხალხის წესრიგისა, საიდუმლოებათა, მონესეთა ორდენებისა, ლიტურგიისა, სწავლებისა და სემინარიებისა, აღმოსავლეთის ეკლესიებისა, მისიებისა, საერთო მსახურებისა) და ორი საბჭო (მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ქრისტიანთა ერთობისა). მათ მუშაობას ცენტრალური კომისია წარმართავდა, რომელსაც, ამას გარდა, მომავალი შეკრების რეგლამენტის შემუშავება დაევალა.

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სამმა ფაქტმა: საერთო მსახურების კომისიის შექმნამ; ქრისტიანთა ერთობის საბჭოს ჩამოყალიბებამ, რომელმაც მალე გამოავლინა თავი უმნიშვნელოვანეს შუამავლად რომის ეკლესიის ეკუმენურ მოძრაობასთან დაახლოების საქმეში; საკუთრივ კომისიის წევრთა არჩევამ, სადაც საღმრთისმეტყველო და სამწყსო მიმდინარეობებს, სხვებთან ერთად, წარმოადგენდნენ ის ადამიანები, რომლებიც აქამდე იდეენბოდნენ ინტეგრისტულად განწყობილი ჯგუფების მიერ (კერძოდ, ივ კონგარი და ანრი დე ლუბაკი).

1960 წლის 14 ნოემბერს საზეიმოდ დაიწყო კომისიათა მუშაობა, რომელთაც ნელ-ნელა შეიმუშავეს 70 პროექტი.

კრების მუშაობის დასაწყისი. I სესია (11.10 — 08.12.1962)

ოთხნობიანი მზადების შემდეგ, 1962 წლის 11 ოქტომბერს, წმიდა პეტრეს ბაზილიკაში იოანე XXIII-მ კრება საზეიმოდ გახსნა. პაპის შესავალი სიტყვა უმაღლეს სიღრმეში იქცა: მან იმით დაიწყო, რომ შეკრებილთ თხოვნით მიმართა, კრების მიმდინარეობისას მორიდებოდნენ გაკიცხვათა ჩვეულ ფორმებს. პაპმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კრების სამუშაო პროცესი უნდა გამსჭვალულიყო ნამდვილი სამწყსო სულისკვეთებით და ორიენტირებულიყო ეკუმენიზმზე.

კრების გახსნას ესწრებოდა 2386 მონაწილე (2800 მოწვეულიდან), აგრეთვე, ის ქრისტიანი დამკვირვებლები, რომლებიც არ იმყოფებიან თანახმარებაში რომის ეკლესიასთან: მართლმადიდებლები, პროტესტანტები, ანგლიკანები, ძველმონესე კათოლიკეები. კრებას ღიაობა მათმა ყოფნამაც მიანიჭა! კრებას ასევე ესწრებოდა დაახლოებით 300 ექსპერტი: ღმრთისმეტყველნი, ლიტურგისტები, კანონისტები. ისინი საჯარო დებატებში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მათ კომპეტენციაში შედიოდა დოკუმენტების რედაქტირება და კომისიებისათვის კონსულტაციების განევა.

ძალიან მალე გამოჩნდა, რომ შეკრებილები გაიყვნენ უმრავლესობად და უცირვრობად. უმრავლესობა ღიაობის სულისკვეთების ერთგული იყო, რომელსაც წარმოადგენდა პაპი იოანე XIII: ისინი ყურადღებით ეკიდებოდნენ თანამედროვე სამყაროს სინამდვილეს, — მოთხოვნას, მიახლოებინათ მისთვის ეკლესია ისე, რომ სახარებისეული უწყება ყველასთან მისულიყო; გაეთავალისწინებინათ ქრისტიანთა ერთობის საჭიროებები; აუცილებლად მიეჩნიათ, მყარად დაფუძნებულიყო საღმრთისმეტყველო აზრი და საეკლესიო ცხოვრება წმიდა წერილზე. აქ უნდა დავასახელოთ კარდინალები ლიენარი, ფრინგისი, ლერკარო, სიუნენსი, რომლებიც უპოვართა ნამდვილ მაჟორიტებსად იქცნენ.

უმცირესობის წარმომადგენლები თავს სარწმუნოების დამცველებად მიიჩნევდნენ და ამიტომაც ისინი სიფრთხილით უყურებდნენ ყოველგვარ ცვლილებებს. რამდენადაც კრებას კონსენსუსის მიღწევა სურდა, ამიტომ უმცირესობამ შეძლო გარკვეული ზემოქმედების მოხდენა, რაც ზოგ შემთხვევაში უფრო მკაცრი ფორმულირებების მიღებით გამოიხატებოდა, ზოგჯერ კი — ტექსტების შერბილებით. ეს ჯგუფი ძირითადად რომის კურიის წევრებისაგან და ქრისტიანული ქვეყნების — იტალიის, ესპანეთის, ლათინური ამერიკის — ეპისკოპოსებისგან შედგებოდა. მათ

შორის უნდა მოვიხსენიოთ კარდინალები ოტავიანი, რუფინი, ბროუნე და ეპისკოპოსი მარსელ ლეფევრი, რომელიც შემდგომში ეკლესიისგან გამოყოფილი ტრადიციონალისტური საკრებულოს დამფუძნებელი გახდა.

კრების დაწყებიდან დასრულებამდე სამუშაო პროცესი თავისუფლების სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, რაც ხშირად დაძაბულ სიტუაციებს ქმნიდა.

პირველ რიგში კრებამ ლიტურგიის განახლების საკითხი განიხილა. პირველივე რედაქციის დებულებათა უმეტესი ნაწილი უძველეს ტრადიციებს ეყრდნობოდა, მაგალითად, იმ მნიშვნელობას, რაც ღმრთის სიტყვას ენიჭებოდა, აგრეთვე, მორწმუნეთა აქტიურ მონაწილეობას, ცოცხალი ენების გამოყენებას ღმრთისმსახურებაში, ერთობლივ მსახურებას, ორი სახის ზიარებას (პურითა და ღვინით) და ა. შ. კრიტიკის მიუხედავად, ამ პროექტის (რომელიც შემდგომში იქცა კონსტიტუციად Sacrosanctum Concilium) ძირითად მიმართულებას დამსწრეთა 97%-მა დაუჭირა მხარი.

საღმრთო გამოცხადების შესახებ პროექტის გამო (მომავალი კონსტიტუცია Dei Verbum) შემუშავდა რეკომენდაცია, რომ საჭირო იყო მისი გადამუშავება, — ეკუმენურ ურთიერთობებთან უშუალო კავშირის გათვალისწინებით. ამ მიზნით შეიქმნა შერეული კომისია, რომლის წევრთა ნახევარს ქრისტიანთა ერთობის საბჭოს წევრები შეადგენდნენ.

I სესიის დასრულებისთანავე, 1963 წლის 9 აპრილს, პაპმა გამოაქვეყნა ენციკლიკა “მშვიდობისა და სამართლიანობის შესახებ” (Pacem in terris).

1963 წლის 3 ივნისს იოანე XIII მოულოდნელად გარდაიცვალა. ამ ამბავმა შეძრა მთელი მსოფლიო. ბევრმა გაუჩნდა ეჭვი, გააგრძელებდა თუ არა კრება მუშაობას.

პაპი პავლე VI და კრების მუშაობის განახლება.

II სესია (22.09 — 4.12.1963)

1963 წლის 21 ივნისს პაპად აირჩიეს მილანის მთავარეპისკოპოსი, კარდინალი ჯოვანი ბატისტა მონტინი, რომელმაც პავლე VI-ის სახელი მიიღო. 30 წლის განმავლობაში იგი პიუს XII-სთან, რომის კურიაში, სახელმწიფო სამდივნოში მუშაობდა. პავლე VI სრულიად იზიარებდა იოანე XXIII-ის მისწრაფებებს და მას შემდეგ, რაც განაახლა კრების მუშაობა, მას სრულიად ახალი სულისკვეთება ჩაჰბერა და უფრო ნაყოფიერად აქცია. მან დანიშნა ოთხი მოდერატორი, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავიანთი რეფორმატორული მიმართულებით: კარდინალები ლერკარო, დოპფნერი, სიუნენსი და ალაჯანიანი. მათი მისია იყო, რომ ხელი შეეწყობა დებატების წინსვლისათვის. პაპმა გადაწყვიტა, დაძაბული სიტუაციებისას თავად პირადად ჩარეულიყო ხოლმე, ყოველი ტექსტისათვის რაც შეიძლება მეტი ხმის მოსაპოვებლად. მან შექმნა პრესის სამსახური, რათა უზრუნველყოფილიყო კრების მუშაობის შესახებ ყოველდღიური ინფორმაციის მიწოდება, აგრეთვე, დამკვირვებლებად მიიწვია საერო პირები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საეკლესიო ცხოვრებაში (მათ შორის იყო ფილოსოფოსი და მწერალი ჟან გიტონი). მოგვიანებით მოწვეული იყო რამდენიმე მონაზონი და საკრებულოთა 38 წინამძღვარი.

II სესიაზე საბოლოოდ შემუშავდა კონსტიტუცია ლიტურგიის შესახებ (Sacrosanctum Concilium), რომელიც 2147 ხმით 4-ის წინააღმდეგ იქნა მიღებული. ამის შემდეგ კრების მამები უფრო რთული საკითხების განხილვას შეუდგნენ. ეს საკითხები ეკლესიის ბუნებასა და ეკლესიის საქმიანობას შეეხებოდა. რომის ცენტრალიზმის მომხრეები დებატებში ეპისკოპოსთა კოლეგიური ერთიანობის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ნოემბერში კრების 50-ზე მეტმა მამამ ეპისკოპოსთა სინოდის დაარსების სურვილი გამოთქვა. სინოდის სხდომები გარკვეული პერიოდულობით და პაპის თავმჯდომარეობით უნდა ჩატარებულიყო.

სესიის დასრულების შემდეგ, 1964 წლის იანვარში, პავლე VI-მ წმიდა მიწა მოილოცა. ეს ერთდროულად იყო განწყვეტა იმ ტრადიციასთან, რომელიც პაპებს იტალიის მიწასთან აჯაჭვავდა და, ამავე დროს, პირველსაწყისებთან დაბრუნების სიმბოლო და დიდი ეკუმენური მნიშვნელობის დემარში, რადგანაც პაპი იერუსალემში

კონსტანტინოპოლიდან საგანგებოდ ჩამოსულ მსოფლიო პატრიარქს ათენაგორას შეხვდა, რომელთანაც მან მშვიდობის ამბორი გაცვალა.

1964 წლის 6 აგვისტოს პაპმა გამოაქვეყნა ენციკლიკა ეკლესიაში დიალოგის მნიშვნელობის შესახებ (*Ecclesiam Suam*), რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა მას ნაკლები ყურადღება მიექცა. მასში იგრძნობოდა უკვე ჩატარებული ორი სესიის სულისკვეთებაც და ამოიცნობოდა კრების შემდგომი მუშაობის მიმართულება.

III სესია (14.09 — 21.11.1964)

მესამე სესია გაიხსნა წირვით, რომელიც 24-მა კარდინალმა და ეპისკოპოსმა აღავლინა. ეს წირვა გახდა პრაქტიკული განხორციელება იმ შესაძლებლობებისა, რომელიც ლიტურგიულმა რეფორმამ გამოავლინა.

სესია ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. მასზე თითქმის ერთხმად შემუშავდა და მიღებულ იქნა დოგმატური კონსტიტუცია ეკლესიის შესახებ (*Lumen gentium*) — კრების ღმრთისმეტყველებისა და მის რეფორმათა ქვაკუთხედი. მაგრამ გარდაუვალი გახდა კამათიც, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა ორი ტექსტის გამო: რელიგიური თავისუფლების შესახებ (რომელსაც ეკამათებოდა ტრადიციონალისტთა ფრთა) და ებრაელთა შესახებ (რომლის გამოც ზოგი შიშობდა, რომ მას არაბთა აგრესიული რეაქცია მოჰყვებოდა). ამ ორი ტექსტის საფუძველზე პაპმა პავლე VI-მ ორი ცალკე დეკლარაციის შედგენა გადაწყვიტა. პაპმა, კონსერვატიული უმცირესობის შესუსტების მიზნით, კონსტიტუციას ეკლესიის შესახებ დაურთო შენიშვნა, რომლებიც განმარტავდა ურთიერთდამოკიდებულებას ეპისკოპოსთა კოლეგიურობასა და პაპის ძალაუფლებისა შორის, ხოლო დეკრეტში ეკუმენიზმის შესახებ შეიტანა შესწორებები, რომელიც არაკათოლიკეებს შეეხებოდა; დაბოლოს, პაპმა წმიდა ქალწული მარიამი ეკლესიის დედად გამოაცხადა. დეკრეტი ეკუმენიზმის შესახებ (*Unitatis Redintegratio*) 1964 წლის 21 ნოემბერს ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული, ისევე, როგორც დეკრეტი აღმოსავლეთის ეკლესიათა შესახებ (*Orientalium Ecclesiarum*). გადამუშავდა პროექტი ეპისკოპოსთა სამოდერო მსახურების შესახებ. მიუხედავად გადაწყვეტილებისა, რომ პროექტების რაოდენობა 70-დან 16-დე შემცირებულიყო, არაერთი მნიშვნელოვანი ტექსტი დარჩა განსახილველი და მისაღები. აშკარა გახდა, რომ საჭირო იყო მეოთხე სესიის მოწვევა, რომელიც, პაპის გადაწყვეტილებით, დასკვნითი უნდა ყოფილიყო. სესიის დასრულების უმალ პაპი ბომბეში, ინდოეთში, გაემგზავრა, სადაც წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა მსოფლიოში შიმშილისა და ევქარისტიული პურის შესახებ.

IV სესია (15.09 — 7.12.1965)

სესიის დასაწყისში პაპმა ეპისკოპოსთა სინოდის დაფუძნების შესახებ განაცხადა. პირველი ხუთი სხდომა დაეთმო პროექტს “რელიგიური თავისუფლების შესახებ”, რომელიც ხელახლა შეიმუშავა ამერიკელმა იეზუიტმა კ. მიურეიმ. ამ ტექსტმა სერიოზული წინააღმდეგობები გამოავლინა. უმცირესობა, მათ შორის მარსელ ლეფევრი, კიცხავდა ინდეფერენტიზმს — პოზიციას, რომელიც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას და მის უფლებებს ათანაბრებდა; უმრავლესობა რელიგიურობის საფუძვლად ადამიანის შინაგან თავისუფალ არჩევანს მიიჩნევდა, რომელიც არასგზით არ შეიძლება თავსმობვეული იყოს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ სინდისის თავისუფლება უკავშირდება ადამიანის პიროვნების ღირსებას და მისი ერთ-ერთი განუყოფელი უფლებაა.

სიტუაცია ჩიხიდან გამოსაყვანად აუცილებელი გახდა პაპის ჩარევა, რომელმაც ამ დოკუმენტის ტექსტს მხარი დაუჭირა. დეკლარაცია რელიგიური თავისუფლების შესახებ მიღებული იქნა 1965 წლის 7 დეკემბერს 2308 ხმით 70-ის წინააღმდეგ. ამის შემდეგ სიტუაცია განიმუხტა და შესაძლებელი გახდა მუშაობის გაგრძელება უფრო

მშვიდ ვითარებაში: უმცირესობამ უარყო ობსტრუქციის ტაქტიკა და მონიღომა, რომ კრება რაც შეიძლება მალე დასრულებულიყო.

დეკლარაცია რელიგიური თავისუფლების შესახებ (*Dignitatis humane*) თავისი სულისკვეთებით ეთანხმებოდა დეკლარაციას არაქრისტიანულ რელიგიათა შესახებ (*Nostra Aetate*). ამ დოკუმენტის მიღებით კრებამ ღრმა პატივისცემა გამოხატა არაქრისტიანული რელიგიების სულიერ და ზნეობრივ ღირებულებათა და ღმრთის შეცნობის იმ გზათა მიმართ, რომელიც მათთვისაა დამახასიათებელი. დეკლარაცია გვახსენებს ეკლესიის წარმოშობას ებრაული წიაღიდან, გმობს ებრაელთა დევნას და არ აკისრებს მათ საერთო პასუხისმგებლობას ქრისტეს სიკვდილის გამო. ეს დეკლარაცია მიღებულ იქნა 1965 წლის 28 ოქტომბერს ოთხ სხვა დოკუმენტთან ერთად. ესენია დეკრეტები ეკლესიაში ეპისკოპოსთა სამოძღვრო მსახურების (*Christus Dominus*), სამონესეო ცხოვრების განახლების (*Perfectae caritatis*), მღვდელთა აღზრდისა (*Optatam totius*) და დეკლარაცია ქრისტიანული აღზრდის შესახებ (*Gravissimum educationis*).

18 ნოემბერს გამოქვეყნდა დეკრეტი საერთო მოციქულობის შესახებ (*Apostolicam actuositatem*) და დოგმატური კონსტიტუცია საღმრთო გამოცხადების შესახებ (*Dei Verbum*) — ბრწყინვალე ტექსტი, რომელსაც მაქს ტურიანმა “ქრისტიანთა ერთობისკენ მიმავალი გზის გადამწყვეტი ეტაპი” უწოდა.

დაბოლოს, მიღებულ იქნა კონსტიტუცია თანამედროვე სამყაროში ეკლესიის შესახებ (*Gaudium et spes*). ზოგიერთმა ეს დოკუმენტი მეტისმეტად პროგრესულად და რადიკალურად მიიჩნია, ზოგმა კი, პირიქით, ზედმეტად მოკრძალებულად მიიღო. კონსტიტუციის ტექსტი გადასამუშავებლად ჰარონს გადაეცა და 1965 წლის 7 დეკემბერს მიღებულ იქნა 2309 ხმით 75 წინააღმდეგ. ეს დოკუმენტი სამწყსო კონსტიტუციაა და სრულად გამოხატავს კრების სულისკვეთებას. იგი კრების ერთ-ერთი უმთავრესი დოკუმენტია, რომელსაც კელინიმ “ეკლესიასა და კაცობრიობას შორის სიყვარულის ჭეშმარიტი შეთანხმება” უწოდა.

პავლე VI-მ უარყო სამღვდლოების უქორწინებლობის საკითხის განხილვა, რომელიც ჯერ მოუშნიფებლად მიიჩნია და გამოთქვა შიში, რომ მისი განხილვა ზოგიერთი მღვდლის ეკლესიიდან გასვლის პროვოცირებას გამოიწვევდა. 7 დეკემბერს მიღებულ იქნა დეკრეტი მღვდელთა მსახურებისა და ცხოვრების შესახებ (*Presbyterorum ordinis*). ერთ-ერთი პარაგრაფის თანახმად, სამწყსო მოთხოვნებიდან გამომდინარე, მღვდელთათვის ნებადართულია ფიზიკური შრომა.

სწრაფვა დიალოგისაკენ გამოვლინდა პავლე VI-ის მსოფლიოსათვის გამაოგნებელი სტუმრობისას გაეროში, ნიუ იორკში, სადაც სესიის მსვლელობისას, იგი მშვიდობისა და თანხმობის მაუწყებელი აღმოჩნდა.

კრების ბოლო კვირა მრავალი სიმბოლური ჟესტითა და გადანყვეტილებით აღინიშნა. 1965 წლის 4 დეკემბერს წმიდა პეტრეს ტაძარში პავლე VI-მ არაკათოლიკეებთან ერთად წირვა აღავლინა.

6 დეკემბერს გაკეთდა განცხადება წმიდა დაწესებულების რეფორმის შესახებ, რომელსაც ამიერიდან ეწოდა სარწმუნოების მოძღვრების კონგრეცია.

7 დეკემბერს ვატიკანსა და კონსტანტინოპოლში, ერთდროულად, რომის ეკლესიამ და კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ დაგმეს და გააუქმეს 1054 წლის ურთიერთანათემები.

დაბოლოს, 8 დეკემბერს ვატიკანის II კრების საზეიმო დახურვის ცერემონიაზე, წმიდა პეტრეს მოედანზე, 81 ქვეყნის მთავრობათა და 9 საერთაშორისო ორგანიზაციის დელეგაციათა თანდასწრებით, პავლე VI-მ და კრების მამებმა სოლიდარობის, იმედისა და მშვიდობისკენ მოუწოდეს მსოფლიოს.

დასკვნა

ვატიკანის II კრების ღვაწლი ძალზე დიდია. კრებამ 16 უმნიშვნელოვანესი აქტი მიიღო. ამ აქტებში ხაზგასმით აღინიშნება, რომ ეკლესია არის ადგილობრივ ეკლესიათა ერთობლიობა, რომ ყოველი ადგილობრივი ეკლესია წარმოადგენს საყოველთაო ეკ-

ლესიას, რომელსაც რომის ეპისკოპოსი უძღვება. ეს ფაქტი ეპისკოპოსთა ერთიანობის პრაქტიკულ განხორციელებასა და ეკუმენურ მოღვაწეობას დაედო საფუძვლად. ეკლესიის ღმრთის ერად გამოცხადებამ გაზარდა თითოეული მისი წევრის პასუხისმგებლობა და უზრუნველყო საეროთა განსაკუთრებული დანიშნულება. შემოღებულ იქნა, ალორძინდა და განახლდა მრავალი პრაქტიკა: ღმრთისმსახურებაში ცოცხალი ენების გამოყენება, მუდმივი დიაკვნობა, ეპისკოპოსთა სინოდი, ქრისტიანთა ერთობის საბჭოს საქმიანობა. მაგრამ მთავარია, რომ კრების წყალობით ეკლესია ახალი სულისკვეთებით აღივსო, რომელიც განსაკუთრებით იგრძნობა ეპისკოპოსთა წიაღში და რომელიც ვრცელდება სამღვდლოთა და საეროთა შორის. ახლა საჭირო იყო მიღებული რეფორმებისა და გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება.

1995 წელს მონსინიორმა ელშინგერმა, ერთ-ერთმა უკანასკნელმა ეპისკოპოსმა, რომელიც კრებას თავიდან ბოლომდე ესწრებოდა, თქვა: “ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ვატიკანის II კრება მოძველდა, სინამდვილეში მხოლოდ ახლა ვინყებთ მის დადგენილებათა ცხოვრებაში განხორციელებას”.

კრების აქტები

1. კონსტიტუცია წმიდა ლიტურგიის შესახებ (Sacrosanctum Concilium) — 4.12.1963

ამ დოკუმენტის მიღებამ ყველაზე სწრაფი და აშკარა შედეგები გამოიღო. ეს დოკუმენტი მოუწოდებს მორწმუნეებს, მიიღონ ლიტურგიაში გაცნობიერებული და ქმედითი მონაწილეობა და, ამ მიზნით, ლიტურგიაში დაშვებულ იქნა ცოცხალი ენების გამოყენება. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ყოველი ექვარისტიული ლიტურგია არის გახსენება ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომისა, რომლის წყალობით მიიღწევა ცხოვრების სისასვე.

2. დოგმატური კონსტიტუცია ეკლესიის შესახებ (Lumen gentium) — 21.11.1964

ეს დოქტრინული ხასიათის ფუძემდებლური ტექსტია. ეკლესია განსაზღვრავს საკუთარ თავს არა მარტო როგორც იურიდიულ და იერარქიულ დანესებულებას, არამედ როგორც ღმრთის მიერ შეკრებილ ხალხს. ამ საკრებულოს თითოეულ წევრს პასუხისმგებლობის თავისი წილი აკისრია. ეკლესია არის ღმერთთან შეხვედრის მომლოდინე ხალხი, მონოდებული საკუთარ თავში მოიცვას მთელი კაცობრიობა.

3. დოგმატური კონსტიტუცია საღმრთო გამოცხადების შესახებ (Dei Verbum) — 18.11.1965

როგორ შეუძლია ქრისტიანს ღმერთს მიერ გამოცხადებული ჭეშმარიტების აღქმა? ამ კითხვაზე დოკუმენტი უპასუხებს: წმიდა წერილი მოიცავს ყველაფერს, რაც ღმერთს სწადადა ადამიანისთვის ეუწყებინა საკუთარი თავისა და საკუთარის ნების საიდუმლოს შესახებ და, სულის წყალობით, ეკლესიის გადმოცემა დაუღლეად საზრდოობს ამ მოძღვრებიდან შეცდომის რისკის გარეშე. დოკუმენტი დადებითად აფასებს თანამედროვე ბიბლიურ მეცნიერებათა მიერ ჩატარებულ კვლევათა შედეგებს.

4. სამოძღვრო კონსტიტუცია თანამედროვე სამყაროში ეკლესიის შესახებ (Gaudium et spes) — 7.12.1965

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი არ იყო ბოლომდე დამუშავებული, ეს კონსტიტუცია ყველაზე ორიგინალური და ყველაზე დამახასიათებელია კრების ყველა აქტებს შორის. კონსტიტუცია მონაშობს უფართოეს თვალთახედვას ადამიანსა და სამყაროზე; ის ცდილობს, დაამყაროს დიალოგი ეკლესიასა და თანამედროვე მსოფლიოს შორის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ. ამ დიალოგმა უნდა მოიცვას პრობლემები, რომელიც ეხება კაცობრიობის ბედს: პირადი და სოციალური ცხოვრება, კულტურა, ეკონომიკა და პოლიტიკა, მშვიდობის შენარჩუნება და სამართლიანობის დამყარება.

5. დეკრეტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ (Inter mirifica)

— 14.12.1963

ეს დოკუმენტი ხმათა მინიმალური რაოდენობით იქნა მიღებული, რადგან მიაჩნდათ, რომ იგი ცოტათი უმნიშვნელია. ამის მიუხედავად, მას ორი დამსახურება აქვს: ერთი მხრივ, აღიარებს, რომ თანამედროვე მსოფლიო შეუძლებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გარეშე და, მეორე მხრივ, ურჩევს, შემუშავებულ იქნეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ უფრო ღრმად გააზრებული ტექსტი.

1971 წელს ვატიკანმა მიიღო ამ დეკრეტის შემავსებელი ტექსტი “ურთიერთობა და პროგრესი”.

6. დეკრეტი ეკუმენიზმის შესახებ (Unitatis redintegratio) — 21.11.1964

ეკუმენური დიალოგის ნამდვილი ქარტია; ტექსტი ერთდროულად ფრთხილიცაა, — რადგან გვახსენებს, რომ კათოლიკე ეკლესია ფლობს გამოცხადების სისავსეს, მაგრამ, ამავე დროს, მტკიცეა, — რადგან აღიარებს სხვა ეკლესიათა ფასეულობებს და მოუწოდებს ქრისტიანებს ერთობისაკენ. ამ დეკრეტის მიღებით ეკლესიამ პირველად ოფიციალურად დაადასტურა თავისი ეკუმენური პოზიცია.

7. დეკრეტი მღვდელთა აღზრდის შესახებ (Optatum totius) — 28.10.1965

დეკრეტმა ბოლო მოუღო სემინარიათა ტრადიციულ ერთსახოვნებას და მოსთხოვა ეპისკოპოსთა ყოველ ეროვნულ კონფერენციას, მღვდელთა მომზადების პროგრამები შეუფარდონ მათი მომავალი მსახურების პირობებს. დეკრეტი უპირატესობას ანიჭებს “ღმრთისმეტყველების გულის” — ბიბლიური ღმრთისმეტყველებისა და ეკლესიის მამათა ნაშრომების შესწავლას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომავალი მღვდლების გონებისა და სულის მეტ ღიაობას.

8. დეკრეტი სამონესეო ცხოვრების განახლების შესახებ (Perfectae caritatis)

— 28.10.1965

ესაა მოწოდება სამონესეო ორდენების ცხოვრების გასაახლებლად, რომლებიც უნდა დაეყრდნონ ორ წყაროს: პირველ ყოვლისა, სახარებას, მეორე, ორდენის ფუძემდებლის ნებას.

9. დეკრეტი ეკლესიაში ეპისკოპოსთა სამოძღვრო მსახურების შესახებ (Christus Dominus) — 28.10.1965

ეს დოკუმენტი ავსებს დოგმატურ კონსტიტუციას ეკლესიის შესახებ (Lumen gentium) ეპისკოპოსთა კოლეგიური ერთიანობის საკითხში. აზუსტებს და აფუძნებს სტრუქტურებს, რომელიც საშუალებას აძლევს თითოეულ ეპისკოპოსს, იყოს პასუხისმგებელი როგორც თავის ეპარქიაზე, ასევე სრულიად ეკლესიაზე სხვა ეპისკოპოსებთან და პაპთან ერთად. დეკრეტი აფუძნებს ეპისკოპოსთა სინოდს.

10. დეკრეტი საეროთა საეროთა მოციქულობის შესახებ (Apostolicam actiositatem) — 18.11.1965

ეს დოკუმენტი აზუსტებს და პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს ეკლესიის შესახებ დოგმატური კონსტიტუციის (Lumen gentium) ზოგიერთ დებულებას, რომლებიც ეხება საეროთა როლს ეკლესიაში. აღნიშნულია, რომ საეროებს შეუძლიათ შექმნან საბჭოები, რათა შეასრულონ გარკვეული სამსახურები ეკლესიაში, აღწერს საეროთა მოციქულობის სხვადასხვა ფორმებს, მოუწოდებს მათ, აიღონ ქრისტიანული პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ.

11. დეკრეტი აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიათა შესახებ (Orientalium Ecclesiarum) — 21.11.1964

აღმოსავლეთში არსებობს როგორც რომთან კავშირში მყოფი ეკლესიები, ასევე ისეთებიც, რომლებმაც მასთან კავშირი განწყვიტეს. რომის ეკლესია საჭიროდ მიიჩნ

ნევს, მხარი დაუჭიროს პირველებს, მაგრამ იმგვარად, რომ არ გამოიწვიოს მეორეთა კიდევ უფრო მეტი გაუცხოება. დეკრეტი მოუწოდებს ქრისტიანული ერთობისაკენ და აღიარებს აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიათა ფასეულობებს.

12. დეკრეტი ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობის შესახებ (Ad gentes divinitus) — 7.12.1965

მისიონერობის განხილვისას დეკრეტი მიდის უფრო შორს ადრეულ შეხედულებებთან შედარებით, რომელიც მისიას შორეთში განიხილავდა. ინვევს მთელ ეკლესიას, რათა იქ, სადაც ის იმყოფება, გაავრცელოს სახარება, ახაროს მთელ მსოფლიოს ბედნიერება, რომელიც ღმერთმა განუზიარა ადამიანებს ქრისტეში.

13. დეკრეტი მღვდელთა მსახურებისა და ცხოვრების შესახებ (Presbyterorum ordinis) — 7.12.1965

დოკუმენტზე მუშაობისას გათვალისწინებული იყო სამღვდელოების კრიზისი. ტექსტი ახსენებს მღვდლებს მათ განსაკუთრებულ როლს: ყველა ქრისტიანი ნათლობის ძალით მღვდელი ხდება, მაგრამ ხელდასხმული მღვდელი მონაწილეა თვით ქრისტეს, როგორც ეკლესიის მეთაურის, ძალაუფლებისა და მოწოდებულია აღაშენოს ეკლესია — მისი სხეული. მონაზონთაგან განსხვავებით, რომელთაც, პირველ ყოვლისა, ღმერთთან პირად ურთიერთობას უძღვნეს თავი და განახორციელებენ თავიანთი ორდენის განსაკუთრებულ ქარიზმას, მღვდელი ეძებს სინმიდეს სულთა მსახურების გზაზე.

14. დეკლარაცია ქრისტიანული აღზრდის შესახებ (Gravissimum educationes) — 28.10.1965

ამ დოკუმენტში კრების მამებმა განიხილეს კათოლიკური სკოლა საბოლოო მიზანთან მიმართებაში და, ამავე დროს, მიიჩნიეს აღზრდის სხვა გზების მნიშვნელობაც.

15. დეკლარაცია ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ არაქრისტიანული რელიგიების მიმართ (Nostra aetate) — 28.10.1965

ამ დეკლარაციაში ოფიციალურად აღიარებულია არაქრისტიანული რელიგიების ღირებულებები: ყველა რელიგიას აქვს ღმრთის შემეცნების ესა თუ ის საფეხური. ქრისტიანებიც ამას ყურადღებით უნდა აღიქვამდნენ. დოკუმენტში ხაზგასმულია ღრმა კავშირი, რომელიც ქრისტიანებსა და ებრაელებს შორის არსებობს, რაც მონოდებად უღერს ძმური დიალოგისაკენ.

16. დეკლარაცია რელიგიური თავისუფლების შესახებ (Dignitatis humanae) — 7.12.1965

ამ დეკლარაციის მიღებით კრებამ დაამონმა ადამიანის რელიგიური თავისუფლების უფლება და სამოქალაქო ხელისუფლებას მიუთითა მისი დაცვის ვალდებულებაზე. სინდისის თავისუფლების ამგვარი პატივისცემა ირიბად გამობდა გონებაზე ძალდატანების, ძალადობისა და დიქტატის ყოველგვარ გამოვლინებას სინდისის საკითხებში. ეს ტექსტი (ეკლესიის შესახებ კონსტიტუციასთან ერთად) ყველაზე მეტად იყო საკამათო ტრადიციონალისტებისათვის.

მამა პიერ დიუმულენი

**ბენედიქტე XVI-ის
მიმართვიდან რომის კურიის წევრებისადმი
2005 წლის 22 დეკემბერის აუდიენციაზე**

რა იყო ვატიკანის II მსოფლიო კრების შედეგი? იყო კი ის კარგად გაგებული? რა იყო აღქმული სწორად და რა — არაადეკვატურად თუ მცდარად? რა არის ჯერ კიდევ გასაკეთებელი ამ მიმართულებით?

ვერაჟინ უარყოფს, რომ ეკლესიის ბევრ სფეროში კრების გადაწყვეტილებათა განხორციელება ძალიან რთული აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ნიკეის კრების შემდგომი პერიოდის წმ. ბასილისეული აღწერა — წმ. ბასილი, ეკლესიის დიდი მასწავლებელი, იმ მდგომარეობას საზღვაო ბრძოლას ადარებს, რომელიც სიბნელეში ქარიშხლის დროს მიმდინარეობს და ერთგან აღნიშნავს, რომ “მთელი ეკლესია აავსო გაუგებარმა ქორებმა და ლაყბობამ, უწყვეტმა ხმაურმა და შფოთმა, იმ ადამიანთა ჩახრინნული ხმით ყვირილმა, რომელნიც არ ეთანხმებიან და უპირისპირდებიან ერთმანეთს, რაც გადაცდენებსა თუ შეცდომებს ბადებს და ეკლესიის ქეშმარიტ მოძღვრებას აყალბებს...” (*De Spiritu Sancto, XXX, 77; PG 32, 213 A; SCh 17 ff., p. 524*).

ჩვენ არ გვსურს, რომ ეს აღწერა ზუსტად მივუსადაგოთ ვატიკანის II კრების შემდგომ პერიოდს, თუმცა ამის მსგავსი რამ ნადვილად ხდებოდა. აი, სწორედ აქ იბადება ამგვარი კითხვა: რატომ აღმოჩნდა კრების გადაწყვეტილებათა განხორციელება ეკლესიის ბევრ სფეროში ასეთი რთული?

საქმე ისაა, რომ ეს ყოველივე დამოკიდებულია კრების სწორ ინტერპრეტაციაზე, ანუ, როგორც ახლა ვიტყვოდით, — მის სათანადო ჰერმენევტიკაზე, რომელიც ნამდვილი გასაღები იქნებოდა კრების გაგებისა და გამოყენებისათვის. ვატიკანის II კრების გადაწყვეტილებათა განხორციელება სწორედ იმიტომ გაჭირდა, რომ ერთმანეთს ორი ჰერმენევტიკა დაუპირისპირდა და შეებრძოლა. პირველმა გაუგებრობა და შეშფოთება გამოიწვია, ხოლო მეორემ — უჩუმრად, მაგრამ ხილულად ნაყოფი გამოიღო და ახლაც იღებს ნაყოფს.

ერთი მხრივ, ესაა ინტერპრეტაცია, რომელსაც მე “წყვეტისა და მემკვიდრეობითობის რღვევის ჰერმენევტიკას” ვუნოვებ. ის ხშირად სარგებლობს მასმედიის სიმპათიით და, ამავე დროს, ახალი თეოლოგიის ერთ ტენდენციასა თუ მიმდინარეობას წარმოადგენს. მეორე მხრივ, ესაა — “რეფორმის ჰერმენევტიკა”, ან, სხვაგვარად, ერთი უწყვეტი სუბიექტის, ეკლესიის, განახლების ჰერმენევტიკა — იმ ეკლესიისა, რომელიც თავად უფალმა გვიბოძა. სწორედ ეკლესიაა იმგვარი სუბიექტი, რომელიც იზრდება და ვითარდება, მაგრამ თან ყოველთვის იგივე რჩება — ერთი სუბიექტი უფლის ხალხის მსხემობისა.

წყვეტის ჰერმენევტიკა ემუქრება საფრთხე, რომ საბოლოოდ დააცილოს ერთმანეთს კრებამდელი და კრების შემდგომი ეკლესია. ის აცხადებს, რომ კრების დოკუმენტები არ გამოხატავს თავად ვატიკანის II კრების სულისკვეთებას. წყვეტის ჰერმენევტიკა მიიჩნევს, რომ ეს დოკუმენტები კომპრომისთა შედეგია, რადგანაც მაშინ საჭიროდ მიიჩნიეს ბევრი მოძველებული დებულებისა თუ ტრადიციის შენარჩუნება და დადასტურება, რაც, ამ პოზიციის თანახმად, ახლა აშკარად აზრს კარგავს. როგორც ამ პოზიციის წამომადგენელთ მიაჩნიათ, კრების ქეშმარიტი სულისკვეთება ამ კომპრომისებში კი არაა, არამედ სიახლისკენ სწრაფვის იმ იმპულსებში, რომელთაც კრების ზოგიერთი დოკუმენტი შეიცავს.

ზოგიერთებმა ოდენ ეს ინოვაციები მიიჩნიეს კრების ქეშმარიტი სულისკვეთების გამოხატულებად. უფრო მეტიც, მათ ისიც მიიჩნიეს, რომ წინსვლა შესაძლებე-

ლია მხოლოდ ამ ინოვაციების მიხედვით — ინოვაციებისა, რომლებიც, ამავე დროს, ათვლის წერტილი უნდა გახდეს. სწორედ იმიტომ, რომ, ამ პოზიციის თანახმად, დოკუმენტები ოდენ არასრულყოფილად ასახავს კრების სულისკვეთებასა და მის სიახლეს, აუცილებელი ხდება, რომ თამამად გავცდეთ არსებული ტექსტების საზღვრებს და ჭეშმარიტ სიახლეს დავუთმოთ შესაფერისი ადგილი — იმ სიახლეს, რომელშიც კრების ნამდვილი განაზრახი იქნება გამოხატული, როგორი ბუნდოვანიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი.

მამასადამე, წყვეტის ჰერმენევტიკა მოგვინოდეებს, რომ მივსდით არა კრების დოკუმენტებს, არამედ თავად კრების სულისკვეთებას. თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი მიდგომა დიდ სივრცეს ტოვებს შეკითხვისათვის, თუ რას ნიშნავს კრების სულისკვეთება. ეს კი, თავის მხრივ, ფართოდ უღებს კარს წარმოსახვის ძალას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კარგად გვიჩვენებს, რომ კრების არსი არასწორადაა გაგებულნი. წყვეტის ჰერმენევტიკის თანახმად, საეკლესიო კრება დამფუძნებელი კრების მსგავსი ინსტიტუციაა, რომელიც ერთ კონსტიტუციას მეორეთი ცვლის. მაგრამ დამფუძნებელ კრებას სჭირდება ის, ვინც კრებას თავის უფლებებს გადასცემს და ვინც ამ უფლებებს დაამონმებს კიდეც — ხალხი, რომელსაც კონსტიტუცია უნდა ემსახუროს. კრების მამებს ამგვარი დავალება არ ჰქონიათ და არც არასდროს მიუცია ვინმეს მათთვის ამგვარი დავალება. უფრო მეტიც, ასეთი დავალების მიცემა არც არავის შეეძლო, რადგანაც ეკლესიის ძირითადი კონსტიტუცია უფლისაგანაა. ის იმიტომ გვებოძა, რომ მარადიულ ცხოვრებას მივალნიოთ და, სწორედ ამგვარი პერსპექტივიდან გამომდინარე, გავანათოთ და გავასხივოსნოთ როგორც თანამედროვე ცხოვრება, ისე თავად დრო.

უნდა აღინიშნოს, რომ ეპისკოპოსები საიდუმლოთა მიღების წყალობით უფლის ძღვენის ნდობით აღჭურვილი წამომადგენელი და “ღმრთის საიდუმლოს მოურავნი არიან” (*1კორ., 4, 1*). სწორედ ამის გამო, ისინი “ერთგულნი და ბრძენნი” (*ლუკ. 12, 41—48*) უნდა იყვნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მათ ეს ძღვენი სამართლიანად უნდა განკარგონ, რათა ის რაღაც საიდუმლო საცავში დამალული არ აღმოჩნდეს და ხილული ნაყოფი გამოიღოს, რათა უფალმა, საბოლოოდ, მოურავს ასე მიმართოს: “რადგანაც მცირედზე ერთგული იყავი, მრავალზე გქონდეს ხელმწიფება” (*მათ. 25, 14-30; ლუკ. 19, 11-27*). ამ სახარებისეულ იგავებში გამოხატულია ერთგულების დინამიკა, რომელიც უფლის მსახურებაში მოქმედებს. ამიტომაც, როგორც თავად კრების დროს, ახლაც დინამიურობა და ერგულება ერთმანეთს უნდა შეერწყას.

წყვეტის ჰერმენევტიკას რეფორმის ჰერმენევტიკა უპირისპირდება, რომელიც ჯერ პაპმა იოანე XXIII-მ, ხოლო შემდეგ პაპმა პავლე VI-მ გამოხატეს, პირველმა ვატიკანის II კრების გახსნისას — 1962 წლის 11 ოქტომბერს, ხოლო მეორემ — დახურვისას, 1965 წლის 7 დეკემბერს. მე მსურს იოანე XXIII-ის ცნობილი სიტყვები გავიხსენო, სადაც რეფორმის ჰერმენევტიკა ცალსახადაა ჩამოყალიბებული. პაპი აღნიშნავს, რომ კრების განაზრახი თუ ინტენცია “შემცირებისა და დამახინჯების გარეშე მოძღვრების წმიდად და შეურყენელად გადაცემაა”. ამის შემდეგ ის დასძენს: “ჩვენ ვალდებული ვართ არა ოდენ დავიცვათ ეს საუფჯე — ოღონდ არა ისე, თითქოს რაღაც რარიტეტს ვინახავდეთ, არამედ უშიშრად და ენერგიულად მივუძღვნათ საკუთარი თავი იმ საქმეს, რასაც ჩვენი დრო ჩვენგან მოელის... აუცილებელია, რომ ეს ზუსტი და უცვლელი მოძღვრება, რომელიც ერთგულად უნდა დავიცვათ, — ამავე დროს, გავაღრმავოთ და იმგვარი სახით წარვუდგინოთ თანამედროვეობას, რომ ის დღევანდელი დღის მოთხოვნას შეესაბამებოდეს. ვინაიდან ერთია რწმენის დაცვა — ანუ იმ ჭეშმარიტებათა ერთგულება, რომელთაც ჩვენს მიერ აღიარებული მოძღვრება შეიცავს, ხოლო მეორე — მათი გადმოცემის ფორმა, რომელიც, ამავე დროს, უცვლელად უნდა ინახავდეს იმავე საზრისსა და უწყებას” (*S. Oec. Conc. Vat. II Constitutiones Decreta Declarationes, 1974, pp. 863-865*).

თავისთავად ცხადია, რომ გარკვეული იდეის ახლებურად გამოხატვა ამ იდეის ახლებურ გააზრებას, მისადმი ახალ და ცოცხალ დამოკიდებულებას მოითხოვს. ასევე, ცხადია, რომ ეს ახალი სიტყვა ოდენ გამოსახატავი ჭეშმარიტების კარგად

გათავისებული გაგებიდან შეიძლება დაიბადოს. ამავე დროს, რწმენის გააზრება რწმენით ცხოვრებას ნიშნავს. ამ თვალსაზრისით, იოანე XXIII-ის მიერ შემოთავაზებული პროგრამა უკიდურესად მომთხოვნი და რთული იყო ისევე, როგორც ძალიან რთული ამოცანაა რწმენისა და დინამიურობის პრაქტიკული სინთეზის მიღწევა. მაგრამ ყველგან, სადაც კი ვატიკანის II კრების ამგვარი ინტერპრეტაცია დამკვიდრდა, ახალი ცხოვრება დაიწყო და ახალი ნაყოფიც მომნიფდა. კრების დამთავრებიდან ორმოცი წლის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ მისი დადებითი შედეგები ბევრად მეტი და ბევრად ცოცხალია, ვიდრე ეს 1968 წლის მღელვარებათა დროს შეგვეძლო წარმოგვედგინა. დღეს ვხედავთ, რომ კეთილი თესლი ნელა, მაგრამ მაინც თანდათანობით და შეუპოვრად იზრდება ისევე, როგორც ჩვენი მადლიერება იმ შრომისადმი, რომელიც კრებამ გაწია.

პავლე VI-მ კრების დახურვისას წარმოთქმულ სიტყვაში კიდევ ერთი განსაკუთრებული მიზეზი დაგვანახა, რის გამოც ნყვეტის ჰერმენევტიკა შესაძლოა დამაჯერებლადაც კი მოგვეჩვენოს. საქმე ისაა, რომ ადამიანის შესახებ მიმდინარე იმ მწვავე და დიდ დისკუსიაში, რომლითაც აღბეჭდილია თანამედროვე სამყარო, ვატიკანის II მსოფლიო საეკლესიო კრებას თავისი სიტყვა უნდა ეთქვა. ამიტომაც, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ანთროპოლოგიას დაეთმო. ამ მიმართულებით, კრებას ორ შეკითხვაზე უნდა ეპასუხა: რა მიმართებაა ეკლესიასა და რწმენას შორის? — ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, — რა მიმართებაა ადამიანსა და სამყაროს შორის (*ibid.*, pp. 1066 s.)? კითხვა კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ ზოგადი გამოთქმის — “თანამედროვე სამყარო” — ნაცვლად, უფრო ზუსტ დეფინიციას გამოვიყენებთ: კრებას ახლებურად უნდა განესაზღვრა ეკლესიისა და ახალი დროის ურთიერთმიმართება.

ეს ურთიერთობა გალილეის წინააღმდეგ აღძრული პროცესით საკმაოდ პრობლემურად დაიწყო. შემდეგ ურთიერთმიმართება, ფაქტობრივად, შეწყდა, როცა კანტმა “რელიგია ოდენ წმინდა გონების ფარგლებში” დასაზღვრა და განსაზღვრა, ხოლო საფრანგეთის რევოლუციის რადიკალურმა ფაზამ სახელმწიფოსა და ადამიანის იმგვარი ხატი წარმოშვა, რომელიც ეკლესიისა და რწმენისათვის არანაირ ადგილს აღარ ტოვებდა. ეკლესიის რწმენის რადიკალურ ლიბერალიზმთან შეჯახებამ, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, რწმენის შეჯახებამ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, რომელთაც სურდათ დაგროვილი ცოდნის მეშვეობით რეალობის მთლიანად მოცვა ამ რეალობის საზღვრებითურთ, რადგანაც მეცნიერება ჯიუტად მოითხოვდა “ღმრთის შესახებ ჰიპოთეზის” უარყოფას — სწორედ ამ შეჯახებამ XIX საუკუნეში პიუს IX-ს დროს ეკლესია აიძულა თანამედროვე ეპოქის სულისკვეთება მწვავედ და რადიკალურად გაეკიცხა. ამგვარად, როგორც ჩანს, საერთოდ აღარ დარჩა ადგილი პოზიტიური და ნაყოფიერი დიალოგისათვის, უფრო მეტიც — მათ, ვისაც თავი ახალი დროის წარმომადგენლებად მიაჩნდათ, რამე თანხმობაზე საუბრის გაგონებაც კი არ სურდათ.

ამასობაში ახალმა ეპოქამაც გარკვეული ცვლილებები განიცადა. აღმოჩნდა, რომ ამერიკულმა რევოლუციამ თანამედროვე სახელმწიფოს იმგვარი მოდელი შემოგვთავაზა, რომელიც განსხვავდებოდა იმ თეორიული მოდელისაგან, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის მეორე ფაზის რადიკალურმა ტენდენციებმა წარმოშვა. თავის მხრივ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმაც უფრო ნათლად გაიაზრეს საკუთარი შეზღუდულობა, რომელიც მათივე მეთოდებიდან გამომდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მეთოდის მეშვეობით ბევრი დიადი ჩანაფიქრი განხორციელდა, რეალობის მთელი სისრულით მოცვა, საბოლოოდ, მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა. ამგვარად, ორივე მხარე ერთმანეთისადმი უფრო გაიხსნა. მსოფლიო ომთა შორის შუალედში, უფრო მეტად კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კათოლიკე სახელმწიფო მოღვაწეებმა დაამტკიცეს, რომ შესაძლებელია არსებობდეს თანამედროვე საერო სახელმწიფო, რომელიც ღირებულებათა მიმართ ნეიტრალური არ იქნება, რადგანაც ქრისტიანობის მიერ წარმოჩენილი მძლავრი ეთიკური სათავეებიდან საზრდოობს. კათოლიკე ეკლესიის სოციალური დოქტრინა, რომელიც თანდათანობით

ვითარდებოდა, რადიკალური ლიბერალიზმისა და სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის ალტერნატიული მოდელი გახდა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა, რომლებიც უაპალაციოდ იყენებდნენ საკუთარ მეთოდს, სადაც ღმრთისათვის ადგილი საერთოდ არ იყო დარჩენილი, უფრო ნათლად გაიაზრეს, რომ მათი მეთოდი რეალობის ყველა მხარეს ვერ მოიცავს და, შესაბამისად, ისევე გაუღეს კარი ღმერთს, რადგანაც ცხადი გახდა, რომ რეალობა საბუნებისმეტყველო მეთოდოლოგიას ბევრად აღემატება და რომ რჩება ის, რასაც ამ მეთოდით ვერ მოიხელთებ.

ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბდა საკითხთა სამი თემატური ციკლი, რომელთათვისაც ვატიკანის II კრებას პასუხები უნდა გაეცა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო რწმენისა და თანამედროვე მეცნიერებათა ურთიერთ-მიმართების განსაზღვრა. ეს, ცხადია, ეხებოდა არა ოდენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, არამედ — ისტორიასაც. საქმე ისაა, რომ ისტორიულ-კრიტიკული მეთოდის ნამომადგენელი მიიჩნევდნენ, რომ ბიბლიის ინტერპრეტაციაში საბოლოო სიტყვა სწორედ მათ ეკუთვნოდათ. ეს ინტერპრეტაცია კი თავისი მიდგომის აბსოლუტურ განსაკუთრებულობას იჩემებდა და საკმაოდ პრინციპულ საკითხებში არსებითად უპირიპირდებოდა წმიდა წერილის ეკლესიისეულ ინტერპრეტაციას.

მეორე მხრივ, საჭირო იყო ეკლესიისა და თანამედროვე სახელმწიფოს ურთიერთმიმართების დადგენა. თანამედროვე სახელმწიფო ხომ ისეთ ინსტიტუციას წარმოადგენს, რომელმაც თანაბრად უნდა დაუთმოს საკუთარი სივრცე სხვადასხვა აღმსარებლობისა თუ იდეოლოგიის ადამიანს; რომელიც ამ რელიგიათა მიმართ მიუკერძოებელი უნდა იყოს და, ამავე დროს, პასუხისმგებლობა უნდა აიღოს საკუთარ მოქალაქეთა ტოლერანტულ და მონესრიგებულ თანაცხოვრებაზე, სადაც ნებისმიერი ადამიანი საკუთარ რელიგიას აღიარებს.

ამ საკითხს უკავშირდებოდა საკითხთა მესამე თემატური წრე — რელიგიური შემწყნარებლობის უფრო ზოგადი პრობლემა, რომელიც ქრისტიანობისა და სხვა მსოფლიო რელიგიების ურთიერთმიმართებათა განსაზღვრას მოითხოვდა. აქ მნიშვნელოვანი იყო უახლესი ისტორიული გამოცდილებაც — ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის დანაშაული. ამავე დროს, მძიმე და რთული ისტორიული გზის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა ეკლესიისა და ისრაელის რწმენის ურთიერთმიმართების ახლებური შეფასება. თითოეულ თემას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — ამიტომაც, კრების მეორე ნაწილში ისინი გამოწველილვით განიხილეს. სამწუხაროდ, უფრო დეტალურად ამაზე დღეს ვეღარ შევჩერდებით.

თავისთავად ცხადია, რომ ამ საკითხების განხილვისას — საკითხებისა, რომლებიც, ფაქტობრივად, ერთ კომპლექსურ პრობლემას აყალიბებს, შეიძლებოდა, რომ წყვეტისა თუ მემკვიდრეობითობის რღვევის გარკვეული ტენდენცია გამოხატულიყო. უფრო მეტიც, ეს წყვეტა ნამდვილად წარმოჩნდა. თუმცა, როდესაც ერთმანეთისაგან განვასხვავებთ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციებსა და მათ მოთხოვნებს, ამავე დროს, ისიც უნდა დავინახოთ, რომ ნარჩუნდება ის, რასაც პრინციპთა მემკვიდრეობითობა ეწოდება. ეს ფაქტი შეიძლება გამოგვჩვენოს კიდევ, თუ ყურადღებას არ დავძაბავთ.

ჭეშმარიტი რეფორმის ბუნება მემკვიდრეობითობისა და წყვეტის სხვადასხვა დონეზე გამოხატულ ერთიანობაშია. სიახლისა და მემკვიდრეობითობის ამ პროცესის მემკვიდრეობით ჩვენ უფრო კონკრეტულად უნდა გაგვეგო, ვიდრე ეს აქამდე გვესმოდა, რომ ეკლესიის გადაწყვეტილებანი, რომლებიც წარმავალ და ამქვეყნიურ მოვლენებს შეეხება — მაგალითისათვის, ლიბერალიზმის რომელიმე კონკრეტულ ფორმასა თუ ბიბლიის ლიბერალურ ინტერპრეტაციას — თავად არის უცილობლად წარმავალი, რადგანაც ცვალებად რეალობას მიემართება. აუცილებელი იყო, აგრეთვე, გვესწავლა იმის აღიარებაც, რომ ამგვარ გადაწყვეტილებათა მიღების დროს მემკვიდრეობითობის ასპექტს ოდენ პრინციპები გამოხატავს, რომლებიც უკანა პლანზე იმყოფება და გადაწყვეტილებათა მოტივაციას შიგნიდან განაპირობებს. ხოლო, რაც შეეხება კონკრეტულ ფორმებს, ისინი — პირიქით — ცვალებადობის სფეროს განეკუთვნება და სულაც არ არის მუდმივი.

მაშასადამე, ფუძემდებლური გადანყვეტილებანი უცვლელია, მაშინ როცა მათი გამოყენების ხერხები ახალ-ახალ კონტექსტებში მუდმივად იცვლება. მაგალითისათვის, როდესაც რელიგიური თავისუფლება ადამიანის მიერ ჭეშმარიტების ვერმიღწევის გამოხატულებად მიიჩნევა და, ფაქტობრივად, რელატივიზმის კანონიზებას წარმოადგენს, მაშინ ეს თავისუფლება სოციალური და ისტორიული აუცილებლობიდან მეტაფიზიკის სფეროში (აქვე შევნიშნავთ, სრულიად მცდარად) გადაინაცვლებს და, ამიტომაც, კარგავს თავის ჭეშმარიტ საზრისს. სწორედ ამის გამო, ამგვარად გაგებულ რელიგიურ თავისუფლებას ნამდვილად ვერ გაითავისებს ადამიანი, რომელსაც სწამს, რომ ღმრთაებრივი ჭეშმარიტების შეცნობა შესაძლებელია და რომ ადამიანი (ჭეშმარიტების შინაგანი ღირსების საფუძველზე) იმანენტურად დაკავშირებულია ამგვარ შემეცნებასთან.

სრულიად სხვა საქმეა, როცა რელიგიურ თავისუფლებას განვიხილავთ როგორც ადამიანთა თანაცხოვრებიდან გამომდინარე აუცილებლობას, უფრო მეტიც, — როცა ეს თავისუფლება ჭეშმარიტების შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს, რომელიც არ შეიძლება გარედან მოახვიო ვინმეს და რომელიც ადამიანმა ოდენ დარწმუნების შედეგად უნდა მიიღოს. ვატიკანის II კრებამ აღიარა თანამედროვე სახელმწიფოს ძირითადი პრინციპი და შეუერთდა მას რელიგიური თავისუფლების შესახებ დეკრეტის მეშვეობით. მაგრამ ამით ეკლესია თავის უღრმეს მემკვიდრეობას მიუბრუნდა — ის აცნობიერებს, რომ რელიგიური თავისუფლების აღიარება სრულ შესაბამისობაშია თვითონ ქრისტეს მოძღვრებასთან (შდრ. მათ. 22, 21) და, ამასთანავე, მონამეთა ეკლესიასთან, ყველა დროის მონამეებთან. ძველი ეკლესია, რა თქმა აუნდა, ლოცულობდა “მეფეთა და ყოველთა მბრძანებელთათვის” (შდრ. 1ტიმ. 2, 2), რადგანაც ეს თავის ვალად მიაჩნდა; მაგრამ, როცა ის მეფეთათვის ლოცულობდა, თავიანთ სულაც არ სცემდა მათ, რითიც სრულიად ცალსახად უარყოფდა სახელმწიფო რელიგიას.

თავდაპირველი ეკლესიის მონამენი თავიანთი რწმენისათვის დაილუპნენ, მათ იმ ღმრთის რწმენისათვის განირეს სიცოცხლე, რომელმაც იესო ქრისტეში საკუთარი თავი გააცხადა. მათ თავი შენირეს როგორც სინდისის, ისე საკუთარი რწმენის აღიარების თავისუფლებას — რწმენის იმგვარ აღიარებას, რომელსაც ვერანაირი სახელმწიფო ვერ მოგახვევს და რომელიც ოდენ ღმრთის მადლით შეიძლება მოგეცეს სინდისის სრულ თავისუფლებაში.

მისიონერულმა ეკლესიამ, რომელმაც იცის, რომ ის მოწოდებულია, რათა ყველა ხალხს ახაროს უფლის უწყება, ამავე დროს, თავისი ყურადღება აღმსარებლობის თავისუფლების პრობლემებსაც უნდა მიაპყროს. ეკლესიას სურს, რომ თითოეულ ადამიანს გადასცეს ჭეშმარიტების ძღვენი, მაგრამ, ამასთანავე, ის არწმუნებს ყველა ხალხსა და ხელისუფალთ, რომ ამით ეკლესიას არ სურს ამ ხალხთა თვითმყოფადობისა და კულტურული იდენტობის დანგრევა, პირიქით — ის იძლევა პასუხს, რომელსაც თითოეული ადამიანი საკუთარი სულის სიღრმეებში ეძებს. ეს იმგვარი პასუხია, რომლის მიღებითაც კულტურათა მრავალფეროვნება არ იკარგება. ამ პასუხის მიღებით იზრდება ხალხთა ერთიანობა და, ამასთანავე, ხალხთა შორის მშვიდობა მყარდება.

ვატიკანის II კრებამ, რომელმაც ეკლესიის რწმენასა და თანამედროვე აზროვნების რამდენიმე მთავარ ასპექტს შორის ახალი ურთიერთმიმართება დაადგინა, ამავე დროს, გადახედა და შეასწორა გარკვეული ისტორიული გადანყვეტილებანი. მაგრამ მემკვიდრეობითობის ამ მოჩვენებითი წყვეტის მიღმა ეკლესიამ შეინარჩუნა და გააღრმავა საკუთარი ჭეშმარიტი ბუნება, საკუთარი ჭეშმარიტი იდენტობა. როგორც კრებამდე, ისე კრების შემდეგ ეკლესია იგივე ეკლესიაა — ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო, რომელიც მსხემობს ყველა დროში; ის “აღასრულებს თავის მსხემობას ნუთისოფლისეულ დევნათა და საღმრთო ნუგეშისცემათა შორის, აუნყებს ჯვარსა და უფლის სიკვდილს, ვიდრე იგი მოვიდოდეს” (შდრ. *Lumen gentium*, 8).

ვინც იმედოვნებდა, რომ საფუძველმდები “დიახ“-ის თქმით ეკლესიასა და თანამედროვე ეპოქას შორის არსებული დაძაბულობა მთლიანად განქარდებოდა და

ამგვარად განხორციელებული “სამყაროსადმი გახსნილობა” ნმიდა ჰარმონიით დაგვირგვინდებოდა, მან ჯეროვნად ვერ შეაფასა თვითონ თანამედროვე ეპოქის შინაგანი დაძაბულობა და წინააღმდეგობანი, ადამიანური ბუნების სახიფათო სიმყიფე — ანუ ყოველივე ის, რაც ნებისმიერ ისტორიულ დროსა თუ ეპოქაში სულიერი ზრდისათვის ძირითად საფრთხეს წარმოადგენს. ცხადია, ამ საფრთხემ, რომელიც ნამდვილად არსად გამქრალა, ადამიანის ახალ შესაძლებლობებთან და ახალი ტიპის ძალაუფლებასთან ერთად (რომელიც დღეს მატერიალსა თუ თავად ადამიანზე ხორციელდება) სრულიად განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა — თანამედროვე ისტორია ამის თვალსაჩინო მაგალითია.

ეკლესია ჩვენს დროშიც “საცილობელი ნიშანია” (ლუკ. 2, 34). ამიტომ, სულაც არააძვირთხვევითი, რომ იოანე პავლე II-მ, ჯერ კიდევ კარდინალად ყოფნისას, სწორედ ამგვარი სათაური მისცა რეკოლექციებს, რომელიც 1976 წელს პაპის — პავლე VI-ისა და რომის კურიისათვის ჩაატარა. ვატიკანის II კრებას ნამდვილად ვერ ექნებოდა იმის განზრახვა, რომ ადამიანური საფრთხისა და შეცდომებისადმი სახარებისეული “შედავება” გაექარწყლებინა. პირიქით — კრების უცილობელი სურვილი მცდარ და ზედაპირულ წინააღმდეგობათა მოკვეთა იყო, რათა სახარების მომთხოვნელობა და სიმკაცრე ჩვენი ეპოქის წინაშე მთელი სიდიადითა და სინმიდით გამოჩენილიყო.

ნაბიჯი, რომელიც კრებამ თანამედროვე ეპოქისაკენ გადადგა და რომელიც, სამწუხაროდ, საკმაოდ არაზუსტად იქნა სახელდებული როგორც “სამყაროსადმი გახსნილობა”, სინამდვილეში რწმენისა და გონების ურთიერთმიმართების მარადიულ პრობლემაზე მიგვიბრუნებს — პრობლემაზე, რომელიც ყოველთვის, ნებისმიერ დროში ახალ-ახალი ფორმებით წარმოჩნდება ხოლმე. ამოცანა, რომელიც კრებას უნდა გადაეწყვიტა, შეიძლება წინა ისტორიული ეპოქების მოვლენებს შევადაროთ. მაგალითისათვის, წმ. პეტრე თავის პირველ ეპისტოლეში ქრისტიანებს არიგებდა, რათა ისინი მუდამ მზად ყოფილიყვნენ, პასუხი გაეცათ (apo-logia) ყველასათვის, ვინც მათ ქრისტიანული რწმენის logos-ის — საფუძვლის — შესახებ პასუხს მოსთხოვდა (მდრ. 1პეტ. 3, 15). ეს იმას ნიშნავდა, რომ ბიბლიურ რწმენას დისკუსია ბერძნულ კულტურასთან უნდა გაემართა, ამ რწმენას უნდა ესწავლა ინტერპრეტაციის გზით როგორც წყალგამყოფი ხაზის, ისე მსგავსებისა და ურთიერთგადაკვეთის ამოცნობა ღმრთის მიერ ბოძებულ ერთიან საფუძველზე.

როდესაც XIII საუკუნეში ებრაელ და არაბ ფილოსოფოსთა მეშვეობით არისტოტელე საშუალო საუკუნეების ქრისტიანულ კულტურას დაუახლოვდა — კულტურას, რომელიც პლატონურ ტრადიციაში ჩამოყალიბდა — წმ. თომა აკვინელმა რწმენისა და არისტოტელეს ფილოსოფიის ამ ხელახალი შეხვედრისას შუამავალის ფუნქცია იტვირთა. ამით მან ქრისტიანულ რწმენას თავისი ეპოქის დომინანტურ სააზროვნო ფორმასთან დიალოგში პოზიტიური მიმართულება მიანიჭა.

ქრისტიანული რწმენისა და თანამედროვე გონების დამლელი და მომქანცველი დისკუსია, რომელიც თავიდან გალილეის წინააღმდეგ აღძრული პროცესით ნეგატიურად დაიწყო, რა თქმა უნდა, უამრავ ფაზას მოიცავს. მაგრამ ვატიკანის II კრება სწორედ იმის ნიშანი აღმოჩნდა, რომ დადგა ბევრი მოვლენის ახლებურად გააზრების დრო. ცხადია, ამ დისკუსიის შინაარსი კრების დოკუმენტებში ოდენ ზოგადი მონასმებითაა მოხაზული, მაგრამ, ამასთანავე, მონიშნულია მთავარი მიმართულება. ამიტომაც, რწმენისა და გონების დიალოგმა, რომელიც ასე მნიშვნელოვანია სწორედ დღევანდელ დღეს, ვატიკანის II კრების საფუძველზე თავის კალაპოტი იპოვა. ახლა ამ დიალოგის განვითარებას ესაჭიროება როგორც აზრის სიფართოვე, ისე განსჯის სიცხადე — თანამედროვე სამყარო ჩვენგან სწორედ ამას მოელის.

ასე რომ, ჩვენ დღეს მაღლიერებით უნდა გავიხსენოთ ვატიკანის II მსოფლიო საეკლესიო კრება — თუ ჩვენ მის დოკუმენტებს სწორი ჰერმენევტიკით აღჭურვილნი ვკითხულობთ და აღვიქვამთ, მაშინ ის არის და მომავალში კიდევ უფრო იქნება ეკლესიისათვის მუდმივად აუცილებელი განახლების სანინდარი.

ვატიკანის

II

კრება

კონსტიტუციები
დეკრეტები
დეკლარაციები

ვატიკანის II კრების სესიები

- I 11.10.1962 (კრების გახსნა)
- II 29.9.1963
- III 4.12.1963 (მიიღეს კონსტიტუცია Sacrosanctum Concilium და დეკრეტი Inter mirifica)
- IV 14.9.1964
- V 21.11.1964 (მიიღეს კონსტიტუცია Lumen gentium და დეკრეტები Orientalium Ecclesiarum და Unitatis reditegratio)
- VI 14.9.1965
- VII 28.10.1965 (მიიღეს დეკრეტები Christus Dominus, Perfectae caritatis, Optatam totius და დეკლარაციები Gravissimum educationis და Nostra aetate)
- VIII 18.11.1965 (მიიღეს კონსტიტუცია Dei verbum და დეკრეტი Apostolicam actuositatem)
- IX 7.12.1965 (მიიღეს დეკლარაცია Dignitatis humanae და დეკრეტები Ad gentes divinitus და Presbyterorum ordinis და კონსტიტუცია Gaudemus et spes)
- X 8.12.1965 (კრების დახურვა)

შემოკლებანი

კრების აქტების შემოკლებული სახელწოდებანი:

- AA** დეკრეტი საერთოა მოციქულობის შესახებ (Apostolicam actiositatem)
AG დეკრეტი ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობის შესახებ (Ad gentes divinitus)
CD დეკრეტი ეკლესიაში ეპისკოპოსთა სამოძღვრო მსახურების შესახებ (Christus Dominus)
DH დეკლარაცია რელიგიური თავისუფლების შესახებ (Dignitatis humanae)
DV დოგმატური კონსტიტუცია საღმრთო გამოცხადების შესახებ (Dei verbum)
GE დეკლარაცია ქრისტიანული აღზრდის შესახებ (Gravissimum educationis)
GS სამოძღვრო კონსტიტუცია თანამედროვე სამყაროში ეკლესიის შესახებ (Gaudium et spes)
IM დეკრეტი საზოგადოებრივი კომინიკაციის საშუალებათა შესახებ (Inter mirifica)
LG დოგმატური კონსტიტუცია ეკლესიის შესახებ (Lumen gentium)
NA დეკლარაცია ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ არაქრისტიანული რელიგიების მიმართ (Nostra aetate)
OE დეკრეტი აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიათა შესახებ (Orientalium Ecclesiarum)
OT დეკრეტი მღვდელთა აღზრდის შესახებ (Optatam totius)
PC დეკრეტი სამონესეო ცხოვრების განახლების შესახებ (Perfectae caritatis)
PO დეკრეტი მღვდელთა მსახურებისა და ცხოვრების შესახებ (Presbyterorum ordinis)
SC კონსტიტუცია წმიდა ლიტურგიის შესახებ (Sacrosanctum Concilium)
UR დეკრეტი ეკუმენიზმის შესახებ (Unitatis redintegratio)

ბიბლიურ ნივთსა შემოკლებული სახელწოდებანი:

- ბარ. ბარუქ წინასწარმეტყველი
გალ. პავლეს ეპისტოლე გალატელთა მიმართ
გამ. გამოსვლანი
გამოცხ. იოანეს გამოცხადება
დაბ. დაბადება
დან. დანიელ წინასწარმეტყველი
ებრ. პავლეს ეპისტოლე ებრაელთა მიმართ
ეზეკ. ეზეკიელ წინასწარმეტყველი
ეს. ესაია წინასწარმეტყველი
ეფეს. პავლეს ეპისტოლე ეფესელთა მიმართ
ზირ. სიბრძნე ზირაქისა
1თეს. პავლეს პირველი ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ
2თეს. პავლეს მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ
იაკ. იაკობის ეპისტოლე
იგავ. იგავნი სოლომონისა
იერ. იერემია წინასწარმეტყველი
იოან. იოანეს სახარება
1იოან. იოანეს პირველი ეპისტოლე
3იოან. იოანეს მესამე ეპისტოლე
იუდ. იუდას ეპისტოლე

კოლ.	პავლეს ეპისტოლე კოლოსელთა მიმართ
1კორ.	პავლეს პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ
2კორ.	პავლეს მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ
ლუკ.	ლუკას სახარება
მათ.	მათეს სახარება
2მაკ.	მეორე მაკაბელთა
მალ.	მალაქია წინასწარმეტყველი
მარკ.	მარკოზის სახარება
1მეფ.	პირველი მეფეთა
2მეფ.	მეორე მეფეთა
მიქ.	მიქა წინასწარმეტყველი
ნემ.	ნემია
ოს.	ოსია წინასწარმეტყველი
1პეტ.	პეტრეს პირველი ეპისტოლე
2პეტ.	პეტრეს მეორე ეპისტოლე
რიცხ.	რიცხვნი
რომ.	პავლეს ეპისტოლე რომაელთა მიმართ
რჯლ.	მეორე რჯული
საქმე	მოციქულთა საქმე
სიბრძ.	სიბრძნე სოლომონისა
სოფ.	სოფონია წინასწარმეტყველი
1ტიმ.	პავლეს პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ
2ტიმ.	პავლეს მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ
ტიტ.	პავლეს ეპისტოლე ტიტეს მიმართ
ტობ.	ტობითი
ფსალმ.	ფსალმუნნი
ფილიპ.	პავლეს ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ
ქებ.	ქებათაქება სოლომონისა

სხვა შემოკლებანი:

AAS	Acta Apostolicae Sedis
ASS	Acta Sanctae Sedis
Denz.	Denzinger
CChr.	Corpus Cristianorum
CSEL	Corpus Scriptorum
GCS	Criechlische cristliche Schriftsteller der ersten Jahrhundert
MGH	Monumente Germaniae Historica
P.	გვერდი
PP.	გვერდები
Patr.Or.	Patres Orientales
PG	Patrologia Graeca
PL	Patrologia Latina
SChr.	Sources Chrétiens

კონსტიტუცია
წმიდა ლიტურგიის შესახებ

SACROSANCTUM CONCILIUM

პავლე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მსახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

კონსტიტუცია წმიდა ლიტურგიის შესახებ

შესავალი

1. წმიდა კრება მიზნად ისახავს შემდეგს: იზრუნოს ერთგულთა შორის ქრისტიანული ცხოვრების მომწიფებისთვის; ჩვენი ღმრთის მოთხოვნილებებს უკეთ შეუსაბამოს ის ინსტიტუციები, რომლებიც ცვალებადობას ექვემდებარება; ხელი შეუწყოს ყველა იმ ადამიანის ერთობას, ვისაც ქრისტე სწამს; განამტკიცოს ის, რაც ყველას უხმობს ეკლესიის წიაღში. ამიტომ თავის განსაკუთრებულ მოვალეობად კრებას მიანიხი, იზრუნოს ლიტურგიის აღორძინებისა და განვითარებისთვის.

2. ლიტურგიის მეშვეობით, უპირველეს ყოვლისა, ევქარისტიის საღმრთო მსხვერპლში, „სრულდება ჩვენი გამომსყიდველის საქმე“¹. ის უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფს იმას, რომ ერთგულებმა თავისი ცხოვრებით გამოხატონ და ყველასთვის გამოავლინონ ქრისტეს საიდუმლოება და ჭეშმარიტი ეკლესიის ნამდვილი ბუნება. მისი თვისება არის, იყოს ერთდროულად ადამიანური და საღმრთო, ხილული და თან უხილავი სინამდვილით მდიდარი, ქმედითად მგზნებარე და მჭვრეტელობისთვის მოცლილი, სამყაროში დაფუძნებული და თან მსხემი. ის, რაც ეკლესიაში ადამიანურია, საღმრთოს უნდა შეესაბამოს და მას დაექვემდებაროს, ხილული – უხილავს, ქმედითი – მჭვრეტელობას, ამჟამად არსებული – მომავალ ქალაქს, რომელსაც ვეძებთ². ლიტურგია ყოველ დღე აშენებს მათ, ვინც შიგ არის, „ტაძრად წმიდად უფლისა მიერ“, „სამკვდრებლად ღმრთისა სულითა“³, ვიდრე ზომამდე „ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“⁴. ამ დროს ის მათ განსაცვიფრებლად ძალას ჰმატებს, რათა ქრისტე იქადაგონ. ასე აჩვენებს ლიტურგია ეკლესიას მათ, ვინც გარეთ არის, ვითარცა ნიშანს, აღმართულს ერებში⁵, რომლის ქვეშ „შვილნი განბნეულნი ღმრთისანი შეკრიბნეს ერთად“⁶, ვიდრე იქნება „ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“⁷.

3. ამიტომ, ლიტურგიის განვითარებასა და განახლებასთან დაკავშირებით, წმინდა კრებას საჭიროდ მიაჩნია, გაიხსენოს ქვემოთ ხსენებული პრინციპები და დაადგინოს პრაქტიკული ნორმები.

ამ პრინციპებსა და ნორმებს შორის ზოგიერთი შეიძლება და უნდა მიესადაგოს როგორც რომაულ წესს, ასევე ყველა სხვა წესს. რაც შეეხება ქვემოთ ხსენებულ პრაქტიკულ ნორმებს, ისინი უნდა განვიხილოთ მხოლოდ რომაულ წესთან მიმართებაში, იმ შემთხვევაში, თუ საკითხი იმას არ ეხება, რაც თავისი ბუნებით სხვა წესებზეც ზემოქმედებს.

1 ორმოცდამეათე დღის მომდევნი 9-ე კვირის საძღვნო ლოცვა (secreta).
2 შდრ. ებრ. 13, 14.
3 ეფეს. 2, 21, 22.
4 ეფეს. 4, 13.
5 შდრ. ეს. 11, 12.
6 იოან. 11, 52.
7 იოან. 10, 16.

4. წმიდა კრება ერთგულად მისდევს ტრადიციას. იგი აცხადებს, რომ, კანონისა და ღირსების თანახმად, წმიდა დედა ეკლესიისთვის ყველა წესი თანასწორია და მას მომავალშიც მათი შენახვა და მათთვის ყოველმხრივი ხელშეწყობა სურს. კრებას უნდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მათი სრული გადასინჯვა მოხდეს, გონივრულად და ჯანსაღად, რათა მათ ახალი ძალა შეიძინონ, დღევანდელი ვითარებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

თავი I

წმიდა ლიტურგიის განახლებისა და განვითარების ზოგადი პრინციპები

1. წმიდა ლიტურგიის ბუნება და მისი მნიშვნელობა ეკლესიის ცხოვრებაში

5. როცა მოინია ჟამთა სისავსე, ღმერთმა, „რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნება-ვის ცხოვრებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ“ (1ტიმ. 2, 4), და რომელიც „მრავლით კერძო და მრავლით სახით მაშინვე [...] ეტყოდა მამათა წინაწარმეტყუელთა მიერ“ (ებრ. 1, 1), მოავლინა თავისი ძე, განხორციელებული სიტყვა, „მხარებლად გლახაკთა“, „განკურნებად შემუსრვილთა გულითა“⁸, „ხორციელ და სულიერ მკურნალად“⁹. შუამდგომელად ღმრთისა და კაცთა¹⁰. სწორედ მისი ადამიანობა, საღმრთო სიტყვასთან ერთობაში (in unitate personae Verbi), გახდა იარაღი ჩვენი გამოსწისა. ამიტომ ქრისტეში მოხდა „ჩვენი შერიგების სრული წყალობა (placatio), და მოგვენიჭა საღმრთო კულტის სისავსე“¹¹.

ადამიანთა გამოსყიდვისა და ღმრთის სულყოფილი განდიდების საქმე, რომელსაც ძველი აღთქმის ხალხის სასწაულები უძლოდა, უფალმა ქრისტემ დაასრულა. მან ეს, უპირველეს ყოვლისა, აღდგომის საიდუმლოებით (paschale mysterium) აღასრულა: ნეტარი ვნების, მკვდრებით აღდგომისა და დიდებული (gloriosae) ამაღლების მეშვეობით მან „სიკვდილით დათრგუნა ჩვენი სიკვდილი, ხოლო აღდგომით ცხოვრება აღადგინა“¹². ჯვარცმული ქრისტეს ფერდიდან აღმოცენდა მთელი ეკლესიის განსაცვიფრებელი საიდუმლო¹³.

6. ამიტომ, როგორც ქრისტე მოივლინა მამის მიერ, ასევე თავად მან მოავლინა მოციქულები, სული წმიდით სავსენი. ისინი მოივლინენ არა მხოლოდ იმისთვის, რათა სახარების ქადაგებით ყველა დაბადებულისათვის ეუნყათ¹⁴, რომ ძე ღმრთისამ თავისი სიკვდილითა და აღდგომით გაგვათავისუფლა ეშმაკის ძალისაგან¹⁵ და გადაგვიყვანა ღმრთის სასუფეველში, არამედ იმისთვისაც, რათა განეხორციელებინათ ის, რასაც აუწყებდნენ: გამოსწისი საქმე მსხვერპლისა და საიდუმლოთა მეშვეობით, რომელთა ირგვლივ ბრუნავს მთელი ლიტურგიული ცხოვრება. ასე, ნათლობით ადამიანები ჩაერთნენ ქრისტეს აღდგომის საიდუმლოში: თანამკვდარნი, თანადაფლულნი, თანააღმდგარნი¹⁶, ისინი იღებენ შვილობის (adoptionis filiorum) სულს, რომლითაც ვლალადებთ: „აბბა, მამაო!“ (რომ. 8, 15), და ასე ხდებიან ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები, რომლებსაც მამა ეძიებს¹⁷.

8 ეს. 61, 1; ლუკ. 4, 18.

9 S. IGNATUS M., *Ad Ephesios*, 7, 2: FUNK I, 218.

10 შდრ. 1ტიმ. 2, 5.

11 *Sacramentum Verinense* (Leonianum): MOHLBERG, Romae 1956, n. 1265, p. 162.

12 Praefatio paschalis in Missali Romano.

13 შდრ. ლოცვა, რომელიც მოჰყვება წმიდა შაბათის მეორე საკითხავს რომაული წირვის წესში, წმიდა კვირის განახლებამდე.

14 მარკ. 16, 15.

15 შდრ. საქმე 26, 18.

16 შდრ. რომ. 6, 4; ეფეს. 2, 6.

17 შდრ. იოან. 4, 23.

ყოველთვის, უფლის სერობის მიღებისას, ისინი უფლის სიკვდილს აუწყებენ ვიდრე მის მოსვლამდე¹⁸. ამიტომ ორმოცდამეათე დღეს, როდესაც ეკლესია სამყაროს მოევლინა, „შეინყნარეს სიტყუაჲ“ პეტრესი და „ნათელ-იღეს“. „და იყვნეს განკრძალულ მოძღურებასა მას მოციქულთასა და ზიარებასა და განტეხასა პურისასა და ლოცვასა ...აქებდეს ღმერთსა, და აქუნდა მადლი ყოვლისა მიმართ ერისა“ (საქმე 2, 41-47). ამიერიდან ეკლესია მუდამ იკრიბება აღდგომის საიდუმლოების დღესასწაულზე, რათა წაიკითხოს „ყოველთაგან წიგნთა მისთჳს“ (ლუკ. 24, 27), აღასრულოს ექვარისტია, რომელიც „გამოხატავს სიკვდილზე მის გამარჯვებასა და ტრიუმფს“¹⁹, და, იმავე დროს, უთხრას „მადლი ღმერთსა გამოუქმელთა მათ ნიჭთა მისთა ზედა“ (2კორ. 9, 15), იესო ქრისტეში, „საქებელად დიდებისა მისისა“ (ეფეს. 1, 12), სული წმიდის ძალით.

7. ამ დიდი საქმის შესასრულებლად ქრისტე მუდამ გვერდში უდგას თავის ეკლესიას, უპირველეს ყოვლისა, ლიტურგიულ ქმედებებში. ის იმყოფება წმიდა წირვის მსხვერპლში (*Missae Sacrificio*), როგორც მსახურის სახით („რადგან ახლა ღმრთისმსახურებას ეძლევა ის (*offerens sacerdotum ministerio*), ვინც მაშინ ჯვარზე მისცა თავი (*qui seipsum tunc in cruce obtulit*)“²⁰, ასევე, განსაკუთრებით, ექვარისტიული სახეობებით (*sub speciebus eucharisticis*). თავისი ძალით ის არის საიდუმლოებში: როცა ვინმე ნათლავს, თავად ქრისტე ნათლავს²¹. ის არის თავის სიტყვაში: ის თავად ლაპარაკობს, როდესაც ეკლესიაში წმიდა წერილს კითხულობენ. და ბოლოს, ის აქვეა, როცა ეკლესია ლოცულობს და გალობს, თავად იგი, რომელმაც აღგვიტქვა: „სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათ. 18, 20).

მართლაც, ამ დიდი საქმით, რომელიც სრულყოფილად განადიდებს ღმერთს და წმიდაყოფს ადამიანებს, ქრისტე მუდამ უკავშირდება ეკლესიას, თავის საყვარელ სძალს, რომელიც თავის უფალს მოუწოდებს და მისი მეშვეობით საუკუნო მამას თავყვანს სცემს.

ამიტომ ლიტურგია სამართლიანად მიიჩნევა იესო ქრისტეს სამღვდლო ფუნქციის განხორციელებად: მასში ადამიანთა წმიდაყოფა აღინიშნება გრძნობით აღსაქმელი ნიშნებით და სრულდება თითოეულისთვის შესაფერისი სახით, და იესო ქრისტეს მისტიკური სხეულით, ესე იგი თავითა და მისი ასოებით სრულდება სრული საჯარო თავყვანისცემა.

მაშასადამე, ყოველგვარი ლიტურგიული მსახურება (*celebratio*) წარმოადგენს ქრისტე-მღვდლისა და მისი სხეულის – ეკლესიის — საქმეს. ამიტომ ეს არის განსაკუთრებით წმიდა ქმედება, რომლის ეფექტურობას ხარისხითა და მასშტაბით ეკლესიის ვერც ერთი სხვა ქმედება ვერ გაუტოლდება.

8. მიწიერ ლიტურგიაში მონაწილეობით მოველით ზეციურს. ის სრულდება წმიდა ქალაქში – იერუსალემში, რომლისკენაც მივისწრაფით მსხემობაში. იქ „ქრისტე არს მარჯუენით ღმრთისა მჯდომარე“, „წმიდათა მსახური და კარვისა მის ჭეშმარიტისა“²². ყველა ზეციურ მხედრობასთან ერთად ვუგალობთ უფალს დიდების ჰიმნს; წმიდანთა ხსოვნის თავყვანისცემით, მათთან ზიარებისა და ურთიერთობის იმედი გვაქვს; მოველით ჩვენს მაცხოვარს, უფალს იესო ქრისტეს, ვიდრე თავად გამოცხადდება იგი, ჩვენი ცხოვრება, და ჩვენ გამოცხადებით მასთან ერთად დიდებით²³.

18 შდრ. I კორ. 11, 26.

19 CONC. TRID., Sess. 13, 11 oct. 1551, decr. *De ss. Eucharist.*, c. 5: CONC. TRID., *Diariorum, Actorum, Epistolarum, Tractatum nova collectio*, ed. Soc. Goeresiana, t. VII, *Actorum* pars IV, Friburgi Brisgoviae 1961, p. 202.

20 CONC. TRID., Sess. 22, 17 sept. 1562, doct. *De ss. Missae sacrif.*, c. 2: CONC. TRID., ed. cit., t. VIII, *Actorum* pars V, Friburgi Brisgoviae 1919, p. 960.

21 შდრ. S. AUGUSTINUS, in *Io. Evang. Tract.* VI, I, 7: PL 35, 1428.

22 შდრ. გამოცხ. 21, 2; კოლ. 3, 1; ებრ. 8, 2.

23 შდრ. ფილ. 3, 20; კოლ. 3, 4.

9. ეკლესიის მთელი ქმედება წმიდა ლიტურგიით არ ამოიწურება. სანამ ადამიანები ლიტურგიას შეუდგებოდნენ, ისინი სარწმუნოებისა და მოქცევისთვის უნდა იქნენ მოხმობილნი: „ვითარ უკუე ხაღონ, რომლისა მიმართ არა ჰრწმენა? ანუ ვითარ-მე ჰრწმენეს, რომლისაჲ არა ისმინეს? ანუ ვითარ-მე ისმინონ თვნიერ ქადაგებისა? ანუ ვითარ-მე ქადაგებენ, არა თუ წარავლინნენ?“ (რომ. 10, 14-15).

ამიტომ აუწყებს ეკლესია გამოხსნას მათ, ვინც მორწმუნე არ არის, რათა ყველა ადამიანი შეიცნოს ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი, რომელმაც მოავლინა იესო ქრისტე, და დატოვოს თავისი გზა და შეინანოს²⁴. ხოლო მორწმუნეებს ის მუდამ უნდა უქადაგებდეს რწმენასა და მონანიებას. ეკლესია მათ, უპირველეს ყოვლისა, საიდუმლოებისთვის უნდა განაწყობდეს, ასწავლიდეს, დაიმარხონ ყოველი, რაც ქრისტემ ამცნო²⁵, და უზიძგებდეს ყველა იმ საქმისკენ, რომლებსაც სიყვარული, ღმრთისმოსაობა და მოციქულობა ჰქვია. ამ საქმეთა მეშვეობით ცხადი უნდა გახდეს, რომ თუმცა ქრისტეს ერთგულნი ამა ქვეყნისანი არ არიან, ისინი მაინც არიან ქვეყნის ნათელი და მამას ადამიანთა წინაშე განადიდებენ.

10. ლიტურგია არის მწვერვალი, რომლისკენაც მიისწრაფვის ეკლესიის ქმედება და, ამასთანავე, ის არის წყარო, რომლიდანაც მთელი მისი ძალა მომდინარეობს. მოციქულური გარჯა მიმართულია იმისკენ, რომ ყველა, ვინც სარწმუნოებითა და ნათლობით ღმრთის შვილი გახდა, შეიკრიბოს, ადიდებდეს ღმერთს ეკლესიაში, მონანილებდეს მსხვერპლში და მიიღოს უფლის სერობა.

თავის მხრივ, ლიტურგია უზიძგებს ერთგულებს, აღსავსეს „აღდგომის საიდუმლოებით“, იყვნენ „ღმრთისმოსაობით ერთიანი (pietate concordēs)“²⁶. ის ლოცულობს, რათა მათ „ცხოვრებით შეინარჩუნონ ის, რასაც სარწმუნოებით ჩასწვდნენ“²⁷. ევქარისტიაში ადამიანებთან უფლის კავშირის განახლება ერთგულებს ქრისტეს გადაუდებელი სიყვარულისკენ იზიდავს და აღაგზნებს. ამგვარად, ლიტურგიიდან, უპირველეს ყოვლისა კი ევქარისტიიდან, როგორც წყაროდან, ჩვენში მაღლი მოედინება და უაღრესად ქმედითი ხდება ქრისტეში ადამიანთა ის ნათელყოფა და უფლის განდიდება, რომლისკენაც, როგორც მიზნისკენ, ეკლესიის ყველა სხვა საქმე მიისწრაფვის.

11. ამ შედეგის სრულად მისაღწევად აუცილებელია, რომ ერთგულნი ლიტურგიას სწორი განწყობით (cum recti animi) მიუდგნენ, თავისი გონება საკუთარ ხმას შეუწყონ და უზენაეს მაღლთან ითანამშრომლონ, რათა იგი არა ამაოდ შეიწყნარონ²⁸. ამიტომ სულთა მწყემსებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ლიტურგიულ ქმედებაში ნესების დაცვას, რათა მათი შესრულება ქმედითად და სწორად მოხდეს, ხოლო ერთგულებმა მასში შეგნებულად, აქტიურად და ნაყოფიერად მიიღონ მონანილებობა.

12. მაგრამ სულიერ ცხოვრებას მხოლოდ წმიდა ლიტურგიაში მონანილებობა არ შეადგენს. მართალია, ქრისტიანი მონობებული არის ერთობლივი ლოცვისკენ, მაგრამ ის უნდა თავის სენაკში შევიდეს, რათა მამის მიმართ ფარულად ილოცოს²⁹. მეტიც: მოციქული გვასწავლის, რომ მან მოუკლებლად უნდა ილოცოს³⁰. იმავე მოციქულისგან ვსწავლობთ, რომ მუდამ ვატარებთ იესოს სიკვდილს ჩვენს სხეულში, რათა იესოს ცხოვრებაც გამოცხადდეს ჩვენს მოკვდავ ხორცში³¹. ამიტომ წირვის

24 შდრ. იოან. 17, 3; ლუკ. 24, 27; საქმე 2, 38.

25 მათ. 28, 20.

26 სააღდგომო ღამისთვისა და აღდგომის კვირის ზიარების შემდგომი ლოცვა.

27 აღდგომის სამშაბათის მესის ლოცვა.

28 შდრ. 2კორ. 6, 1.

29 შდრ. მათ. 6, 6.

30 შდრ. 1თესალ. 5, 7.

31 შდრ. 2კორ. 4, 10-11.

მსხვერპლში უფალს ვევედრებით, რომ „სულიერი მსხვერპლის მიღებით (hostiae spiritualis oblatione suscepta) „მისთვის გვსრულყოს“ საუკუნო საჩუქრად (munus)“³².

13. მსურვალედ რეკომენდირებულია ქრისტიანი ხალხის ღმრთისმოსავი მსახურებანი (pia... exercitia), როდესაც ისინი შეესაბამება ეკლესიის კანონებსა და ნორმებს, განსაკუთრებით თუ მათი შესრულება სამოციქულო საყდრის (Apostolicae Sedis) განკარგულებით ხდება.

განსაკუთრებით ღირებულია ცალკეულ ეკლესიათა წმიდა მსახურებანი, რომლებიც ეპისკოპოსთა განკარგულებით სრულდება, ჩვეულებებისა თუ კანონიერად მიჩნეული წიგნების მიხედვით.

ეს მსახურებანი უნდა განხედეს ლიტურგიულ დროთა გათვალისწინებით, რათა ისინი შეეწყოს წმიდა ლიტურგიას, გარკვეულწილად მისგან მომდინარეობდეს და მასთან ხალხი მიიყვანოს, იმიტომ, რომ თავისი ბუნებით ლიტურგია მათ დიდად აღემატება.

II. ლიტურგიული მომზადება და აქტიური მონაწილეობა

14. დედა ეკლესიას დიდად სურს, რომ ყველა ერთგულმა სრულად, შეგნებულად და აქტიურად მონაწილეობა მიიღოს ლიტურგიულ მსახურებაში, რომელსაც თავად ლიტურგიის ბუნება ითხოვს. ნათლობის ძალით, ეს არის უფლება და მოვალეობა ქრისტიანი ხალხისა, რომელიც არის „ნათესავი რჩეული, სამეუფოე სამღვდლოე, თესლი წმიდაჲ, ერი მოგებული“ (1პეტრ. 2, 9; შდრ. 2, 4-4).

მთელი ხალხის ეს სრული და აქტიური მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმიდა ლიტურგიის განახლებისა და განვითარებისთვის. იგი მართლაც პირველი და აუცილებელი წყაროა, რომლიდანაც ერთგულებმა ჭეშმარიტად ქრისტიანული სული უნდა მიიღონ. ამიტომ მთელს სამწყსო საქმიანობაში, სათანადო მომზადების საფუძველზე, სულიერი მწყემსები მას დიდი გულისყურით უნდა ეკიდებოდნენ.

მაგრამ ამაოდ უნდა გვქონდეს ამის მიღწევის იმედი, თუკი მანამდე სულიერი მწყემსები თავად ღრმად არ განიმსჭვალებიან ლიტურგიის სულითა და ძალით და მის მოძღვრებად არ იქცევიან. ამიტომ უპირველეს ყოვლისა აუცილებელია, რომ სამღვდლოების (cleri) ლიტურგიული მომზადება მოხდეს. ამიტომ წმიდა კრებამ გადანყვიტა გამოეტანა შემდეგი დადგენილებები:

15. მოძღვრებმა, რომლებიც წმიდა ლიტურგიის დისციპლინებს სემინარიებში, სამონესეო სასწავლო სახლებში (studiorum domibus religiosis) და თეოლოგიის ფაკულტეტებზე ასწავლიან, თავისი ფუნქციის შესასრულებლად განსაკუთრებული მომზადება უნდა გაიარონ სპეციალურად ამ მიზნისთვის განკუთვნილ ინსტიტუტებში.

16. წმიდა ლიტურგიის დისციპლინა უნდა განეკუთვნებოდეს აუცილებელ და პრიორიტეტულ დისციპლინათა რიცხვს სემინარიებში და სამონესეო სასწავლო სახლებში, ხოლო თეოლოგიის ფაკულტეტებზე – უმთავრეს დისციპლინათა რიცხვს. მისი გადმოცემა საჭიროა როგორც თეოლოგიური და ისტორიული, ასევე სულიერი, სამოძღვრო (pastoralis) და იურიდიული ასპექტით. გარდა ამისა, სხვა დისციპლინათა მოძღვარნი, უპირველეს ყოვლისა, დოგმატური თეოლოგიისა, წმიდა წერილისა, სულიერი და სამოძღვრო თეოლოგიისა, უნდა ეცადონ, თითოეული საგნის შინაგანი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ისე განმარტონ ქრისტეს საიდუმლოება და გამოხსნის ისტორია, რომ ნათლად წარმოჩნდეს მათი კავშირი ლიტურგიასთან და სამღვდლო მომზადების ერთიანობა.

32 ორმოცდამეათე დღის მომდევნო ორშაბათის საძღვნო ლოცვა (secretata).

17. სემინარიებსა და სამონესეო სასწავლო სახლებში სამღვდლოებამ სულიერი ცხოვრებისთვის ლიტურგიული აღზრდა უნდა მიიღოს. ეს უნდა მოხდეს სათანადო ხელმძღვანელობით, რომლის დახმარებით ისინი გააცნობიერებენ წმიდა წესებს და მთელი სულით მათი მონაწილენი გახდებიან, აგრეთვე წმიდა საიდუმლოთა ღმრთისმსახურებით და ღმრთისმოსაობის სხვა ფორმებით, რომლებიც წმიდა ლიტურგიის სულით არიან გამსჭვალულნი. ამასთანავე, მათ უნდა ისწავლონ ლიტურგიული კანონების დაცვა, რათა სემინარიებში და მონესეთა ინსტიტუტებში ცხოვრება ღრმად განიმსჭვალოს ლიტურგიული სულით.

18. მღვდელმსახურებს, როგორც სეკულარულს, ასევე მონესეებს, რომლებიც უკვე მოქმედებენ უფლის ვენახებში, ყველა შესაძლო საშუალებით უნდა გაეწიოს დახმარება, რათა სულ უფრო სრულყოფილად გააცნობიერონ ის, რასაც ღმრთისმსახურებისას (in functionibus sacris) აკეთებენ, და რათა იცხოვრონ ლიტურგიული ცხოვრებით, რომელსაც მათთვის მინდობილ ერთგულებთან ერთად გაიზიარებენ.

19. სულთა მწყემსებმა გულმოდგინედ და მოთმინებით უნდა იზრუნონ ლიტურგიული მომზადებისა და ერთგულთა აქტიური, როგორც შიდა, ასევე გარეშე, მონაწილეობისთვის, მათი ასაკის, მდგომარეობის, ცხოვრების წესისა და რელიგიური კულტურის დონის შესაბამისად. ამგვარად, მათ უნდა შეასრულონ ღმრთის საიდუმლოებათა ერთგული განმგებლის (dispensatoris) ერთერთი მთავარი ფუნქცია, და თავის სამწყსოს ამ საქმეში არა მარტო სიტყვით უნდა ხელმძღვანელობდნენ, არამედ მაგალითითაც.

20. მღვდელმსახურების (actionum sacrarum) გადმოცემა რადიოთი და ტელევიზიით, განსაკუთრებით თუ საქმე ეხება წმიდა წირვას, უნდა მიმდინარეობდეს მოკრძალებითა და ღირსებით, იმ პირის ხელმძღვანელობითა და პასუხისმგებლობით, რომელსაც ეს სამსახური ეპისკოპოსმა დააკისრა.

III. წმიდა ლიტურგიის განახლება

21. ღმრთისმოსავ დედა ეკლესიას სურს, გულმოდგინედ იზრუნოს ზოგადად ლიტურგიის განახლებისთვის. ლიტურგია შედგება უცვლელი, ღმრთივდადგენილი ნაწილისგან და ცვალებადი ნაწილებისგან, რომლებიც დროში შეიძლება იცვლებოდეს და კიდევ უნდა იცვლებოდეს, თუ მათში შემთხვევით მოხვდება ის, რაც არ შეეფერება ლიტურგიის შინაგან ბუნებას, ან თუ თავად ეს ნაწილები შეუსაბამოა.

ამ განახლების შედეგად ტექსტისა და წესების ორგანიზაცია ისე უნდა მოხდეს, რომ მათ უფრო ნათლად გამოხატონ ის სინმიდეები, რომლებსაც აღნიშნავენ. ქრისტიანი ხალხი მათ შეძლებისდაგვარად ადვილად უნდა ჩასწვდეს. მას უნდა შეეძლოს, სრულად და აქტიურად მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ ღმრთისმსახურებაში.

ამიტომ წმიდა კრებამ დაადგინა შემდეგი ზოგადი ნორმები:

ა. ზოგადი ნორმები

§1. წმიდა ლიტურგიის წარმართვა მთლიანად დამოკიდებულია ეკლესიის უფლებამოსილებაზე, ხოლო ის განეკუთვნება სამოციქულო საყდარს, და, კანონმდებლობის თანახმად (ad normam iuris), ეპისკოპოსს.

§2. კანონით მინიჭებული ძალაუფლებით, გარკვეულ ფარგლებში ლიტურგიის სფეროში ხელმძღვანელობა შეუძლიათ აგრეთვე ეპისკოპოსთა სხვადასხვა გაერთიანებებს, რომლებიც კომპეტენტურია გარკვეულ ტერიტორიაზე და კანონიერად არის დამტკიცებული.

§3. ამიტომ არავის, მღვდელმსახურსაც კი, არ შეუძლია საკუთარი მოსაზრებით ლიტურგიაში რამე ჩაამატოს, ამოიღოს ან შეცვალოს.

23. საჭიროა ჯანსაღი ტრადიციის შენარჩუნება, მაგრამ პროგრესიც აუცილებელია. ამიტომ ლიტურგიის ცალკეულ ნაწილთა გადასინჯვას მუდამ წინ უნდა უძღოდეს საფუძვლიანი თეოლოგიური, ისტორიული, სამოძღვრო გამოკვლევა. გასათვალისწინებელია ლიტურგიის სტრუქტურისა და არსის ზოგადი კანონები, აგრეთვე გამოცდილება, რომელიც მომდინარეობს უკანასკნელი ლიტურგიული განახლებიდან და სხვადასხვა ადგილას დაშვებული ინდულტებიდან. დაბოლოს, სიახლეები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნას დაშვებული, თუ ეს ნამდვილად და უცილობლად აუცილებელია ეკლესიისთვის. ყურადღება იმასაც უნდა მიექცეს, რომ ახალი ფორმების აღმოცენება მოხდეს ორგანულად, უკვე არსებული ფორმებიდან.

შეძლებისდაგვარად საჭიროა იმაზე ფიქრიც, რომ არ გაჩნდეს მნიშვნელოვანი სხვაობები მეზობელ რეგიონთა წესებში.

24. წმიდა წერილის მნიშვნელობა ლიტურგიაში ძალიან დიდია. მისგან მომდინარეობს საკითხავები, რომლებსაც კითხულობენ და ჰომილიებში განმარტავენ, აგრეთვე ფსალმუნნი, რომლებსაც გალობენ; მისგან მომდინარე შთაგონებითა და აღმაფრენით იქმნება ლოცვები და ლიტურგიული საგალობლები, და მისგან იქმნენ თავის მნიშვნელობას ქმედებები და ნიშნები. წმიდა ლიტურგიის განახლების, პროგრესისა და ადაპტაციისთვის ხელი უნდა შეეწყოს წმიდა წერილის ტკბილ და ცოცხალ სიყვარულს, რომელსაც მოწმობს აღმოსავლური და დასავლური წესების პატივდებული ტრადიცია.

25. ლიტურგიული ნიგნები შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა იქნეს გადასინჯული. ამისთვის საჭიროა სპეციალისტების მოწვევა და დედამინის სხვადასხვა კუთხეში ეპისკოპოსებთან თათბირი.

ბ. ნორმები, რომლებიც მომდინარეობს ლიტურგიის, როგორც იერარქიული და საზოგადოებრივი ქმედების ბუნებიდან

26. ლიტურგიული ქმედებები არ არის კერძო ქმედებანი, არამედ ღმრთისმსახურებანი (celebrationes) ეკლესიისა, რომელიც არის „საიდუმლოთა ერთობა“, ე. ი. წმიდა ხალხი, ეპისკოპოსთაგან შეკრებილი და წარმართული³³.

ამიტომ ეს ქმედებები განეკუთვნება ეკლესიის მთელ სხეულს, ისინი მას გამოავლენენ და მასზე მოქმედებენ. თავის ცალკეულ წევრთან მათ თავისებური შეხება აქვს, ხარისხების (ordinum), ფუნქციებისა და რეალური მონაწილეების მიხედვით.

27. ყოველთვის, როცა წესები, თითოეული თავისებურად, გულისხმობს ერთობლივ ღმრთისმსახურებას, რომელშიც ერთგულები ხშირად და აქტიურად იღებენ მონაწილეობას, მაშინ სასურველია, რომ შეძლებისდაგვარად, მათ მიენიჭოს უპირატესობა, ცალკეულ და ერთგვარად კერძო ღმრთისმსახურებასთან შედარებით.

ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, წირვის აღსრულებას (მას მუდამ აქვს საჯარო და სოციალური ბუნება), აგრეთვე საიდუმლოთა განგებულებას (administratione).

28. ლიტურგიის ყველა მონაწილე – იქნება ის მსახური თუ ერთგული, თავისი ფუნქციის შესრულებით მხოლოდ და მხოლოდ ის უნდა აკეთოს, რაც მას შეეფერება საგანთა ბუნებისა და ლიტურგიული ნორმების საფუძველზე.

29. მინისტრანტები, ლექტორები, კომენტატორები და მგალობლები (ii qui ad scholam cantorum pertinent) ჭეშმარიტად ლიტურგიულ მსახურებას (ministerium) ეწევიან. ამიტომ თავისი ფუნქცია მათ ისეთი გულწრფელი ღმრთისმოსაობითა და წე-

33 S.CYPRIANUS, *De cath. eccl. unitate*, 7: CSEL (Hartel) III, 1, pp. 215-216. – შდრ. *Epist.* 66, n. 8, 3: ed. cit., III; 2, pp. 732-733.

სით უნდა შეასრულონ, რომელიც ასეთ მსახურებას შეეფერება და რომელსაც ღმრთის ერი მათგან სამართლიანად მოითხოვს.

ამიტომ აუცილებელია, რომ ისინი გულმოდგინედ განიმსჭვალონ ლიტურგიის სულით, თითოეული თავისებურად, და მოემზადონ, სწორად და წესიერად შეასრულონ თავისი როლი.

30. აქტიური მონაწილეობისთვის ხელშესაწყობად საჭიროა ყურადღება დაეთმოს ხალხის შეძახილებსა და პასუხებს, ფსალმოდებს, ანტიფონებს, გალობას, აგრეთვე ქმედებებს, ანუ ჟესტებსა და სხეულის მდგომარეობას (habitus). სათანადოდ როს უნდა იყოს დაცული წმიდა დუმილი.

31. ლიტურგიული წიგნების გადახედვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ წესებში (rubricae) გათვალისწინებულ იქნას ერთგულთა მონაწილეობაც.

32. გარდა იმ განსხვავებისა, რომელიც ლიტურგიული ფუნქციიდან და წმიდა ხარისხიდან მომდინარეობს, აგრეთვე იმ პატივისა, რომელიც ლიტურგიული კანონების თანახმად, სამოქალაქო ხელისუფლებას ეკუთვნის, არ უნდა იქნას გათვალისწინებული კერძო პირები თუ გარემოებანი, არც ცერემონიებში, არც გარეთ ჩატარებულ ზეიმში.

გ. ნორმები, რომლებიც ლიტურგიის დიდაქტიკური და სამოძღვრო ბუნებიდან მომდინარეობს

33. წმიდა ლიტურგია ძირითადად არის საღმრთო დიდების კულტმსახურება (cultus divinae maiestatis). ამასთანავე, დიდია მისი როლი ერთგული ერის აღზრდის საქმეში³⁴. ლიტურგიაში ღმერთი ელაპარაკება თავის ერს. ქრისტე კვლავ გვაუწყებს სახარებას. ერი ღმერთს გალობებით და ლოცვით უპასუხებს.

მეტიც: ღმრთისადმი მიმართულ ლოცვებს წარმოთქვამს მღვდელმსახური, რომელიც საკრებულოს (coetui) ქრისტეს პირით უძღვება. მათ იგი მთელი საღმრთო ხალხის (plebis sanctae) და ყველა დამსწრის სახელით ამბობს. ხილული ნიშნები, რომლებსაც წმიდა ლიტურგია მიმართავს უხილავი საღმრთო სინამდვილის აღსანიშნად, ქრისტეს ან ეკლესიის მიერ არის არჩეული. ამიტომ არა მარტო მაშინ, როდესაც იკითხება ის, რაც „ჩვენდა სამოძღვრებელად დაიწერა“ (რომ. 15, 4), არამედ მაშინაც, როდესაც ეკლესია ლოცულობს, გალობს ან მოქმედებს, მონაწილეთა რწმენა საზრდოობს, აზრი (mentes) ღმრთისკენ აღისწრაფვის, რათა მას გონივრული მსახურება წარუდგინოს და მისი მაღლი უფრო უხვად მიიღოს.

ამიტომ განახლებასთან დაკავშირებით შემდეგი ზოგადი ნორმების დაცვა არის საჭირო.

34. დაე, წესები კეთილშობილი სიმარტივით ელვარებდეს, იყოს მოკლე და გასაგებები, უმიზნო გამეორებების გარეშე. დაე, ისინი შეესაბამებოდეს ერთგულთა შესაძლებლობებს. საზოგადოდ, ისინი ვრცელ განმარტებებს არ საჭიროებს.

35. რათა ნათლად გამოჩნდეს, რომ ლიტურგიაში წესი და სიტყვა მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, საჭიროა შემდეგი:

1. მღვდელმსახურებაში (in celebrationibus sacris) უნდა დაწესდეს წმიდა წერილის უფრო ვრცელი, მრავალფეროვანი და შესაფერისი კითხვა.

2. ქადაგება არის ლიტურგიული ქმედების ნაწილი. მისთვის შესაფერისი ადგილი წესდებაშიც (rubricis) უნდა მიეთითოს, რამდენადაც ამის უფლებას წესი (ritus) იძ-

³⁴ შტრ. CONC. TRID., Sess. 22, 17 sept. 1562, doct. De ss. Missae sacrif., c. 8: CONC. TRID., ed. cit., VIII, 961.

ლევა. ქადაგების მსახურება ძალზე ერთგულად და ზუსტად უნდა სრულდებოდეს. ქადაგების წყარო, უპირველეს ყოვლისა, წმიდა წერილი და ლიტურგია უნდა იყოს, რადგან ის არის ღმრთის საკვირველებათა (mirabilia) უწყება გამოხსნის ისტორიაში ანუ ქრისტეს საიდუმლოებაში, რომელიც მუდამ ჩვენთან არის და ჩვენში მოქმედებს, განსაკუთრებით ლიტურგიულ მსახურებებში.

3. ყოველმხრივ ხაზი უნდა გაესვას კატეხიზაციის უშუალოდ ლიტურგიულ შინაარსს. თავად წესებში, აუცილებლობის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია მოკლე დამოძღვრანი (admonitiones). მათ მღვდელი ან უფლებამოსილი მსახური წარმოთქვამს, ოღონდ მხოლოდ საჭირო მომენტებში, დადგენილი ტექსტით ან მსგავსი გამოთქმებით.

4. ხელი უნდა შეეწყოს ღმრთის სიტყვის აღსრულებას დიდდღესასწაულთა წინა დღეებში, ადვენტისა და დიდი მარხვის ზოგიერთ დღეს, აგრეთვე კვირა დღეებში და საღმრთოწაულთა დღეებში, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც არ არის მღვდელმსახური. ასეთ შემთხვევაში მსახურებას (celebrationem) უნდა ხელმძღვანელობდეს დიაკონი ან სხვა პირი, ეპისკოპოსის მიერ არჩეული.

36. §1. ლათინური ენის გამოყენება უნდა შენარჩუნებულ იქნას ლათინურ წესებში, გარდა ზოგიერთი გამოწვევის წესისა.

§2. წმიდა წიგნისა, საიდუმლოთა განგებულებაში და ლიტურგიის სხვა ნაწილებშიც ხალხისთვის ხშირად შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს ადგილობრივი ენის გამოყენება. მას შეიძლება მეტი ყურადღება დაეთმოს, განსაკუთრებით საკითხავებსა და დამოძღვრაში, ზოგიერთ ღვთაებასა და გალობაში, იმ კანონთა მიხედვით, რომლებიც მომდევნო თავებში ცალკეული შემთხვევებისთვის დგინდება.

§3. ამგვარი ნორმების დაცვით, ადგილობრივი საეკლესიო ხელისუფლება (იხ. 22-ე მუხლის §2) უფლებამოსილია, იმავე ენის მატარებელი მეზობელი რეგიონების ეპისკოპოსებთან თათბირის შედეგად, დადგენილება გამოიტანოს იმის თაობაზე, უნდა იქნას თუ არა გამოყენებული ადგილობრივი ენა, ან რა სახით უნდა მოხდეს მისი გამოყენება. ეს აქტები უნდა მოიწონოს ან დაადასტუროს სამოციქულო საყდარმა.

§4. ლათინური ტექსტის თარგმან ადგილობრივ ენაზე, ლიტურგიაში მისი გამოყენების მიზნით, უნდა აპრობირებულ იქნას უფლებამოსილი ადგილობრივი საეკლესიო ხელისუფლების მიერ, რომლის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი.

დ. ნორმები, რომლებიც ხელს უწყობს ლიტურგიის მისადაგებას ერთა ხასიათისა და ტრადიციებისადმი

37. იმ სფეროში, რომელიც არ მოიცავს მთელი საზოგადოების რწმენასა და კეთილდღეობას, ეკლესია არ მიისწრაფვის მკაცრი და ერთფეროვანი ფორმის დაკანონებისკენ. მას ეს ლიტურგიაშიც კი არ სურს. ეკლესია, პირიქით, ასაზრდოებს და ხელს უწყობს სხვადასხვა ხალხებისა და ერების სულიერი ღირებულებებისა და ნიჭების განვითარებას. ის კეთილად არის განწყობილი ყველაფრის მიმართ, რაც ერთა ზნე-ჩვეულებებში უიმედოდ არ არის ცრურწმენებსა და შეცდომებთან გადაჯაჭვული. ეკლესია, შეძლებისდაგვარად, ცდილობს ასეთი ღირებულებების შენახვასა და ჯანსაღად შენარჩუნებას და მათ ზოგჯერ ლიტურგიაშიც კი ჩართავს ხოლმე, თუკი ეს ჭეშმარიტი და ნამდვილი ლიტურგიული სულის პრინციპებს შეესაბამება.

38. რომაული წესის არსებითი ერთიანობა უნდა შენარჩუნებულ იქნას. ამასთანავე ადგილი უნდა ჰქონდეს კანონიერ სახესხვაობებსა და ადაპტაციებს სხვადასხვა ჯგუფებთან, რეგიონებსა და ერებთან მიმართებაში, უპირველეს ყოვლისა, მისიათა ადგილებში, აგრეთვე ლიტურგიული ნიგნების გადასინჯვისას. შესაბამისად, ამის გათვალისწინება არის საჭირო წესთა სტრუქტურისა და წესდებათა დადგენისას.

39. საზღვრებში, რომლებიც დადგენილია ლიტურგიული წიგნების ტიპიურ გამოცემებში, ადგილობრივი საეკლესიო ხელისუფლების უფლებამოსილება (იხ. 22-ე მუხლი, §2) მდგომარეობს შემდეგში: მან უნდა განსაზღვროს ადაპტაცია, უპირველეს ყოვლისა, საიდუმლოთა განგებულების (*administratorem Sacramentorum*), საკრამენტალიების (*Sacramentalia*), პროცესების, ლიტურგიულ ენის, სასულიერო მუსიკისა და ხელოვნების სფეროში, ოღონდ იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც მოცემულ კონსტიტუციაში არის წარმოდგენილი.

40. სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ვითარებაში აუცილებელი ხდება ლიტურგიის უფრო საფუძვლიანი ადაპტაცია. ეს დამატებით სირთულეებს ქმნის:

1. უფლებამოსილმა ადგილობრივმა საეკლესიო ხელისუფლებამ, რომელსაც ეხება 22-ე მუხლის §22, გულმოდგინედ და საფუძვლიანად უნდა განიხილოს საკითხი, თუ რისი დაშვება შეიძლება ღმრთისმსახურებაში ამა თუ იმ ერის ტრადიციიდან და ხასიათიდან. მიზანშეწონილად ან აუცილებლად მიიჩნეული ადაპტაციები უნდა წარედგინოს სამოციქულო საყდარს და მისი თანხმობის შედეგად იქნას შემოღებული.

2. ადაპტაცია სათანადო სიფრთხილით უნდა განხორციელდეს. ამასთან დაკავშირებით, სამოციქულო საყდარმა შეიძლება, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილი გახადოს იგივე ადგილობრივი საეკლესიო ხელისუფლება, დაუმვას წინასწარი ცდები და უხელმძღვანელოს მათ გარკვეული დროის მანძილზე გარკვეულ, ამ საქმისთვის შესაფერის, ჯგუფებში.

3. ასეთი ადაპტაციის პირობებში საგანგებო სირთულეს წარმოადგენს ლიტურგიული კანონები, განსაკუთრებით მისიებში. ამიტომ მათ დასადგენად საჭიროა საქმეში გამოცდილი ადამიანების მოწვევა.

IV. ლიტურგიული ცხოვრების განვითარება დიოცეზებსა და საკრებულოებში

41. ეპისკოპოსი უნდა მივიჩნიოთ მისი სამწყსოს მთავარ მღვდელმსახურად. მისგან მომდინარეობს, გარკვეულწილად, და მასზე არის დამოკიდებული მის ერთგულთა ცხოვრება ქრისტიეში.

ამიტომ ყველამ უდიდესი პატივი უნდა სცეს დიოცეზის ლიტურგიულ ცხოვრებას, რომლის ცენტრში ეპისკოპოსი დგას. ეს, უპირველეს ყოვლისა, საკათედრო ტაძარში უნდა მოხდეს. ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ეკლესიის ძირითადი გამოვლინება (*manifestationem*) ხდება მამინ, როდესაც ღმრთის მთელი წმიდა ხალხი სრულად და აქტიურად მონაწილეობს ერთსა და იმავე ლიტურგიულ მსახურებაში (*celebratione*), უპირველეს ყოვლისა, ევქარისტიკაში, ერთ ლოცვაში, ერთ საკურთხეველთან, რომელსაც წარმართავს (*praest*) ეპისკოპოსი, გარემოცული თავისი მღვდლებითა და მსახურებით³⁵.

42. ეპისკოპოსს არ შეუძლია, თავის ეკლესიაში ყოველთვის და ყველგან თვითონ გაუძღვეს თავის სამწყსოს. ამიტომ მან აუცილებლად უნდა ჩამოაყალიბოს ერთგულთა ჯგუფი. მათ შორის გამოირჩევა საკრებულოები, ლოკალურად ორგანიზებული მღვდლის ხელმძღვანელობით, რომელსაც ეპისკოპოსის ადგილი უკავია. ეს ჯგუფები გარკვეულწილად წარმოადგენს ხილულ ეკლესიას, დედამინაზე დაარსებულს.

ამიტომ ერთგულებისა და სამღვდლოების ცნობიერებასა და პრაქტიკაში უნდა გაღრმავდეს საკრებულოს ლიტურგიული ცხოვრება და მისი კავშირი ეპისკოპოსთან. ამასთანავე ხელი უნდა შეეწყოს საკრებულოს ერთობის შეგრძნების განმტკიცებას, უპირველეს ყოვლისა, კვირის წირვის ერთობლივ მსახურებაში.

35 შდრ. S. IGNATIUS M., *Ad Magn. 7; Ad Phil. 4; Ad Smyrn. 8*; FUNK I, 236, 266, 281.

V. სამოძღვრო ლიტურგიული ქმედების განვითარება

43. სამართლიანად არის მიჩნეული, რომ წმიდა ლიტურგიის განვითარება და განახლება არის ჩვენი ეპოქის მიმართ ღმრთის პროვიდენციალური განგებულების (dispositio) ნიშანი, სული წმიდის გადმოსვლა (transitus) მის ეკლესიაში. ის განსაკუთრებულ დაღს ასვამს ეკლესიის ცხოვრებას და მთლიანობაში ჩვენი დროისთვის დამახასიათებელ რელიგიურ გრძნობასა და მოქმედებას.

ამიტომ, ეკლესიაში სამოძღვრო ლიტურგიული ქმედების შემდგომი განვითარებისთვის, წმიდა კრებამ დაადგინა:

44. მიზანშეწონილია, რომ უფლებამოსილმა ადგილობრივმა საეკლესიო ხელისუფლებამ, რომლის შესახებ არის ლაპარაკი 22-ე მუხლის §2-ში, ჩამოაყალიბოს ლიტურგიული კომისია. მას უნდა დაეხმარონ ის ადამიანები, რომლებიც გამოცდილნი არიან ლიტურგიულ მეცნიერებაში, მუსიკაში, სასულიერო ხელოვნებასა (Arte sacra) და სამოძღვრო საქმიანობაში (re pastorali). ამ კომისიას შეძლებისდაგვარად მხარში უნდა ედგას სამოძღვრო ლიტურგიის ინსტიტუტი. საჭიროების შემთხვევაში, მისი წევრები მოცემულ საკითხში კომპეტენტური საერო პირებიც უნდა გახდნენ. ამ კომისიის ამოცანა იქნება, საეკლესიო ხელისუფლების ხელმძღვანელობით (მის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი) წარმართოს მისთვის რწმუნებულ სივრცეში სამოძღვრო ლიტურგიული ქმედება და ხელი შეუწყოს კვლევასა და აუცილებელ ცდებს, ყოველთვის, როცა საქმე ეხება იმ ადაპტაციებს, რომლებიც განსახილველად სამოციქულო საყდარს უნდა წარედგინოს.

45. ამავე მიზეზით, ცალკეულ საკრებულოში უნდა მოქმედებდეს წმიდა ლიტურგიის კომისია, რათა, ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით, განვითარდეს ლიტურგიული ქმედება.

ზოგჯერ შეიძლება მიზანშეწონილი იყოს, რომ რამდენიმე საკრებულომ ერთი კომისია შექმნას, რომელიც გაერთიანებული ძალებით ლიტურგიის საქმეს მოემსახურება.

46. წმიდა ლიტურგიის კომისიის გარდა, თითოეულ საკრებულოში შეძლებისდაგვარად უნდა შექმნას სასულიერო მუსიკისა და სასულიერო ხელოვნების კომისიებიც.

ამ სამმა კომისიამ აუცილებლად შეერთებული ძალებით უნდა იმუშაოს. ხშირად სასურველიც კი არის ერთ კომისიად მათი გაერთიანება.

თავი II ევქარისტის წმიდა საიდუმლოება

47. საიდუმლო სერობისას, იმ ღამეს, როცა გაცემულ იქნა (tradebatur), ჩვენმა მაცხოვარმა დაანება სხეულისა და სისხლის ევქარისტული მსხვერპლი, რათა საუკუნოდ ეგოს ჯვრის მსხვერპლი, ვიდრე მის მოსვლამდე. მან ეკლესიას – საყვარელ სძალს მიანდო ხსოვნა თავისი სიკვდილისა და აღდგომის შესახებ: ღმრთისმოსაობის საიდუმლო, ერთობის ნიშანი, სიყვარულის კავშირი (vinculum)³⁶, სააღდგომო ტრაპეზი (convivium paschale), რომელზეც ქრისტეთი ვიკვებებით (sumitur), გონება ივსება მადლით და გვეძლევა მომავალი დიდების წინი³⁷

48. ეკლესია გულმოდგინედ ზრუნავს იმისათვის, რომ ქრისტეს ერთგულები რწმენის ამ საიდუმლოებას როგორც გარეშე და მუნჯი მაყურებლები კი არ ესწრე-

36 შდრ. S. AUGUSTINUS, *In Io. Evang. Tract. XXVI*, VI, 13: PL 35, 1613.

37 *Breviarium Romanum, In festo Sanctissimi Corporis Christi. Ad II Vesperas, antiphona ad Magnificat.*

ბოდნენ, არამედ მას კარგად ჩასწვდნენ, წესებისა და ლოცვების გზით, გაცნობიერებულად და მოწინებით (pie). მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ წმიდა ქმედებაში, განათლდნენ ღმრთის სიტყვით, მომაგრდნენ უფლის სხეულის ტრაპეზით (mensa), მადლობა უძღვნან ღმერთს, შესწირონ უბინო მსხვერპლი არა მარტო მღვდელმსახურის ხელით, არამედ მასთან ერთადაც. მათ საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანაც ისწავლონ. ისინი უნდა ყოველდღიურად სრულქმნილი ხდებოდნენ შუამავალი ქრისტეს მეშვეობით (Christo Mediatore)³⁸, ღმერთთან და ერთმანეთთან ერთობაში, რათა ბოლოს ღმერთი იყოს ყველაფერი ყველაფერში.

49. წირვის მსხვერპლმა თავისი სანესო ფორმითაც (rituum forma) სრულ სამოძღვრო ქმედითობას უნდა მიაღწიოს. ამიტომ წმიდა კრება ითვალისწინებს იმ წირვებს, რომლებიც ხალხის თავმოყრით სრულდება, უპირველეს ყოვლისა, კვირა დღეს და დადგენილ დღესასწაულებზე. ამასთან დაკავშირებით კრება ადგენს:

50. წირვის წესის გადახედვა არის საჭირო, ისე, რომ უფრო ნათლად წარმოჩნდეს თითოეული ნაწილის შინაარსი და უფრო ადვილი გახდეს ერთგულთა ღმრთისმოსავი და აქტიური მონაწილეობა.

წესები უნდა გამარტივდეს, ოღონდ ისე, რომ მათი არსი საფუძვლიანად შენარჩუნებულ იქნას. საჭიროა იმის გამოტოვება, რაც დროთა სვლაში მეორედებოდა ან უსარგებლოდ იქნა დამატებული. და პირიქით: წმიდა მამების ძველი ნორმების შესაბამისად, უნდა აღდგეს ზოგიერთი ისეთი რამ, რაც დროის უსამართლობით გაქრა, თუკი ეს ხელსაყრელია და აუცილებელი.

51. რათა ღმრთის სიტყვის ტრაპეზი (mensa) ერთგულებისთვის უფრო უხვი იყოს, საჭიროა ბიბლიის საუნჯის უფრო ფართოდ გაღება, რათა წლების განსაზღვრულ მანძილზე ხალხის წინაშე წაკითხულ იქნას წმიდა წერილის არსებითი ნაწილი.

52. ლიტურგიული წლის განმავლობაში ჰომილია წმიდა ტექსტიდან გადმოსცემს სარწმუნოების საიდუმლოებებს და ქრისტიანული ცხოვრების ნორმებს. ძალზე სასურველია, რომ ჰომილია იყოს თავად ლიტურგიის ნაწილი. მეტიც: ის არ უნდა იქნას გამოტოვებული (თუ არა რაიმე სერიოზული მიზეზით) მესებში, რომლებიც კვირაობით და დადგენილ დღესასწაულებზე ხალხის თავმოყრით სრულდება.

53. სახარებისა და ჰომილიის შემდეგ, განსაკუთრებით კვირა დღეობით და დადგენილ დღესასწაულებზე (festis de praeceptio), უნდა აღდგეს „ერთობლივი“ ანუ „ერთგულთა ლოცვა“, რათა ხალხის მონაწილეობით ჰყონ ვედრება (obsecrationes) წმიდა ეკლესიისთვის, ჩვენს მთავართათვის, შეჭირვებულთათვის, ყველა ადამიანისათვის და მთელი სამყაროს გამოსახსნელად³⁹.

54. მესაზე, რომელიც ხალხის მონაწილეობით სრულდება, სათანადო ადგილი შეიძლება დაეთმოს ადგილობრივ ენას, განსაკუთრებით საკითხავებსა და ერთობლივ ლოცვაში, აგრეთვე, გარემოებათა მიხედვით, ხალხისთვის განკუთვნილ ნაწილებშიც, მოცემული კონსტიტუციის 36-ე მუხლის მიხედვით.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ქრისტეს ერთგულებს უნდა შეეძლოთ ლათინურ ენაზეც მესის (Ordinarii Missae) იმ ნაწილების ერთად თქმა ან გალობა, რომლებიც მათთვის არის განკუთვნილი.

იქ, სადაც მიზანშეწონილი ჩანს მესაში ადგილობრივი ენის უფრო ფართოდ გამოყენება, უნდა გათვალისწინებულ იქნას მოცემული კონსტიტუციის 40-ე მუხლის მითითება.

38 შდრ. S. Cyrillus Alex., *Comment. in Io. Evang.*, lib. XI-XII: PG 74, 557-564.

39 შდრ. 1 ტიმ. 2, 1-2.

55. ძალზე სასურველია მესაში სრულყოფილი მონაწილეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთგულები მღვდელმსახურის ზიარების შემდეგ იმავე მსხვერპლშენიერიდან უფლის სხეულს იღებენ.

უცვლელია ტრიდენტის კრების მიერ დადგენილი დოგმატური პრინციპები⁴⁰. ამასთანავე, სამოციქულო საყდრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, ეპისკოპოსთა გადანყვეტილებით, შესაძლებელია ზიარების დაშვება ორივე სახით, როგორც სამღვდლოთათვის და მოწესებისთვის, ასევე საერო პირთათვის: მაგალითად, ხელდასხმულთათვის – მათი ხელდასხმის წმიდა მესაში (*veluti ordinatis in Missa sacrae suae ordinationis*), ღმრთივშენიერულთათვის – მათი სამონესეო აღთქმის დადების მესაში (*professis in Missa religiosae suae professionis*), ნეოფიტებისთვის – იმ მესაზე, რომელიც ნათლობას მოსდევს.

56. ორი ნაწილი, რომლებისგანაც გარკვეულწილად შედგება წირვა, ე. ი. სიტყვის ლიტურგია და ევქარისტია, ისე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ისინი კულტმსახურების (*cultus*) ერთ აქტს ქმნიან. ამიტომ წმიდა კრება დაბეჯითებით მოუწოდებს სულთა მწყემსებს, რომ კატეხიზაციისას (*in catechesi tradenda*) ერთგულებს გულმოდგინედ ასწავლონ მთელს მესაში მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, კვირა დღეებში და დადგენილ დღესასწაულებში.

57. §1. თანამსახურება (*concelebratio*), რომელიც კარგად ავლენს მღვდელმსახურების ერთიანობას, ეკლესიაში დღემდე არის შემონახული, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში. ამიტომ კრებამ ინება, თანამსახურების შესაძლებლობა შემდეგ შემთხვევებზეც გაავრცელოს:

1. ა) დიდი ხუთშაბათი, როგორც მირონკურთხევის მესა, ასევე მწუხრის წირვა.
- ბ) წირვები, რომლებიც სრულდება კრებებზე, ეპისკოპოსთა შეკრებასა და სინოდებზე.
- გ) წინამძღვრის კურთხევის წირვა (*ad Missam in Benedictione Abbatis*).

2. აგრეთვე, ორდინარიუსის ნებართვით, რომელიც უფლებამოსილია, განსაზღვროს თანამსახურების მიზანშეწონილობა, შემდეგ შემთხვევებში:

- ა) სამონასტრო წირვა და მთავარი წირვა ეკლესიებში, როდესაც ერთგულთათვის საჭიროება არ მოითხოვს ყველა დამსწრე მღვდლის ინდივიდუალურ მსახურებას.
- ბ) წირვა ყველა სახის მღვდელმსახურის (როგორც საეროთა, ასევე მოწესეთა) შეკრებაზე.

§2. 1. ეპისკოპოსთა ფუნქციას წარმოადგენს დიოცეზში თანამსახურების წესის წარმართვა.

2. ამასთანავე, მღვდელს ყოველთვის უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ინდივიდუალურად აღასრულოს წირვა, მაგრამ არა ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ეკლესიაში, და არა დიდ ხუთშაბათს (*nec feria V in Cena Domini*).

58. უნდა შედგეს თანამსახურების ახალი წესი, რომელიც შევა რომის პონტიფიკალში და წირვის წესში.

თავი III

სხვა საიდუმლონი და საკრამენტალიები

59. საიდუმლოები მიმართულია ადამიანთა წმიდაყოფისკენ, ქრისტეს სხეულის შენებისკენ, და ბოლოს, ღმრთის თაყვანისცემისკენ. მაგრამ, როგორც ნიშნებს, მათ სასწავლო ფუნქციაც აქვთ. მათში არა მარტო იგულისხმება (*supponunt*) საწინააღმდეგო-

⁴⁰ Sess. 21, 16 iul. 1562. *DOCTRINA DE Communionem sub utraque specie et parvulorum*, c. 1-3: CONC. TRID., ed. cit., VIII, 698-699.

ბა, არამედ ისინი სიტყვებითა და საქმეებით მას ასაზრდოებენ, განამტკიცებენ და გამოხატავენ. ამიტომ მათ რწმენის საიდუმლონი ეწოდება. რა თქმა უნდა, მათ მადლი მოაქვთ. ამასთანავე, მათი აღსრულება საუკეთესოდ განაწყობს ერთგულებს იმისთვის, რომ მათ მადლი ნაყოფიერად მიიღონ, ღმერთს სათანადოდ სცენ თაყვანი და სიყვარულით იცხოვრონ (ad caritatem exercendam).

ამიტომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ერთგულებს ადვილად ესმოდეთ საიდუმლოთა ნიშნები, და დაბეჯითებით მიმართონ საიდუმლოთ, რომლებიც ქრისტიანულ ცხოვრებას ასაზრდოებენ.

60. გარდა ამისა, ნმიდა დედა ეკლესიამ საკრამენტალიებიც დაანწესა. ეს არის ნმიდა ნიშნები, რომელთა მეშვეობით, საიდუმლოთა ერთგვარი მიბაძვით, ხდება, უპირველეს ყოვლისა, სულიერ ქმედებათა (effectus) აღნიშვნა და, ეკლესიის შუამდგომლობით, მათი მიღება. მათი მეშვეობით ადამიანები განეწყობიან საიდუმლოთა ქმედებების მისაღებად და ხდება ცხოვრების სხვადასხვა გარემოებათა ნმიდაყოფა.

61. ამგვარად, საიდუმლოთა და საკრამენტალიების ლიტურგიის შედეგად, სათანადოდ მომზადებული ერთგულებისთვის, საღმრთო მადლით, ხდება თითქმის ყველა ცხოვრებისეული მოვლენის ნმიდაყოფა. მადლი მომდინარეობს ქრისტეს სააღდგომო ვნების, სიკვდილისა და აღდგომის საიდუმლოებიდან, რომლიდანაც ძალას იძენს ყველა საიდუმლო და საკრამენტალიები. ფაქტიურად, ნებისმიერ პატიოსან სარგებლობას მატერიალური ნივთებით შეიძლება მიზნად ჰქონდეს ადამიანის ნმიდაყოფა და ღმრთის დიდება.

62. საიდუმლოთა და საკრამენტალიების წესში, დროთა სვლასთან ერთად, ისეთი რამ შეიპარა, რამაც მათი ბუნება და მიზანი ჩვენი დროისთვის ნაკლებად გასაგები გახადა. ამიტომ საჭიროა, ზოგიერთი რამ ჩვენი ეპოქის მოთხოვნილებებს მიესადაგოს. მათ გადასინჯვასთან დაკავშირებით ნმიდა კრება ადგენს:

63. საიდუმლოთა და საკრამენტალიების განგებულებაში შეიძლება დიდი სარგებლობა ჰქონდეს ადგილობრივი ენის გამოყენებას. მას უფრო ფართო ადგილი უნდა დაეთმოს, ქვემოთ ჩამოთვლილი ნორმების მიხედვით:

ა) საიდუმლოთა და საკრამენტალიების განგებულებაში შესაძლებელია ადგილობრივი ენის გამოყენება, 36-ე მუხლის თანახმად.

ბ) რომაული წესის ახალი გამოცემის თანახმად, უფლებამოსილმა ადგილობრივმა საეკლესიო ხელისუფლებამ, რომლის შესახებ არის ლაპარაკი მოცემული კონსტიტუციის 22-ე მუხლის §2-ში, უნდა შეძლებისდაგვარად სწრაფად მოამზადოს საგანგებო რიტუალები, რომლებიც ცალკეული რეგიონების მოთხოვნილებებს შეესაბამება, მათ შორის ენის სფეროში. სამოციქულო საყდრის მიერ აქტების გადასინჯვის შემდეგ უნდა მოხდეს შესაბამის რეგიონებში მათი გამოყენება. ამ რიტუალებისა თუ წესების საგანგებო კრებულების შექმნისას არ უნდა იქნას გამოტოვებული ის მითითებანი, რომლებიც რომაულ წესში წინ უძღვის ცალკეულ წესებს, როგორც სამოძღვროსა და სანესოს, ასევე მათ, რომლებსაც საგანგებო სოციალური დატვირთვა აქვთ.

64. უნდა აღდგეს მოზრდილთა კატეხიზაცია, მრავალ საფეხურად დანაწილებული. ადგილობრივი ორდინარიუსის გადაწყვეტილებით, საჭიროა მისი ხმარებაში შემოტანა. ამის საფუძველზე შეიძლება ნმიდაყოფილ იქნას კატეხიზაციის დრო, სათანადო განათლებისთვის განკუთვნილი. ეს ხდება ნმიდა წესების საშუალებით რომლებიც დროთა ვითარებაში მიმდევრობით სრულდება.

65. გარდა იმისა, რაც ქრისტიანულ ტრადიციაშია მოცემული, მისიის ქვეყნებში შეიძლება დაშვებულ იქნას ინიციაციის ის ელემენტებიც, რომლებიც ამა თუ იმ ხალხისთვის არის ჩვეული, რამდენადაც ეს შეიძლება შეესაბამოს ქრისტიანულ წესს, მოცემული კონსტიტუციის 37-40-ე მუხლის თანახმად.

66. უნდა გადაისინჯოს მოზრდილთა ნათლობის ორივე წესი, როგორც უფრო მარტივი, ასევე უფრო საზეიმო, აღდგენილი კატეხუმენატი. რომაულ წირვაში უნდა შეტანილ იქნეს საგანგებო წირვა: „ნათლობისათვის“ (In collatione Baptismi).

67. უნდა გადაისინჯოს ბავშვთა ნათლობის წესი. ის უნდა შეესაბამოს ყრმათა ნამდვილ მდგომარეობას. თავად წესში უფრო მეტად უნდა იყოს წარმოჩენილი მშობელთა და მათი შთამომავლების (patrinorum) ფუნქციები.

68. ნათლობის წესში საჭიროა ადაპტაციები, რომლებიც განხორციელდება ადგილობრივი ორდინარიუსის გადაწყვეტილებით, მოსანათლავ პირთა დიდი რაოდენობით თავმოყრის შემთხვევაში. გარდა ამისა, უნდა შედგეს უფრო მოკლე წესიც, რომელიც შეიძლება გამოიყენონ კატეხისტებმა, განსაკუთრებით მისიის ქვეყნებში, და საზოგადოდ, ერთგულებმაც, სიკვდილის საფრთხის წინაშე, როდესაც არ არის მღვდელმსახური ან დიაკონი.

69. ნაცვლად წესისა, რომელსაც ეწოდება: „წესი იმის დამატებისა, რაც ყრმის ნათლობისას იქნა გამოტოვებული“, უნდა შედგეს ახალი წესი, სადაც უფრო ნათლად და შესაფერისად იქნება აღნიშნული, რომ ყრმა, შემოკლებული წესით ნათელდება, უკვე მიღებულია ეკლესიაში.

უნდა შედგეს აგრეთვე ახალი წესი მათთვის, ვინც უკვე მოინათლა უფლებამოსილად და მოიქცა წმიდა კათოლიკურ სარწმუნოებაზე, რათა აღინიშნოს, რომ ისინი დაშვებულნი არიან ეკლესიასთან ერთობაში (in Ecclesiae communionem admitti).

70. ნათლობის წყალი, სააღდგომო დროის გარდა (extra tempus paschale), შეიძლება ნაკურთხი იქნეს თავად ნათლობის წესში, მიღებული (probata) მოკლე ფორმულით.

71. უნდა გადაისინჯოს მირონცხების წესიც, რათა ნათლად წარმოჩნდეს ამ საიდუმლოს შინაგანი კავშირი მთელ ქრისტიანულ ინიციაციასთან. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ ამ საიდუმლოს მიღებას წინ უსწრებდეს ნათლობის აღთქმათა განახლება.

საჭიროების შემთხვევაში მირონცხება შეიძლება მესის მსვლელობაში აღსრულდეს. რაც შეეხება წესს, რომელიც მესის გარეშე სრულდება, უნდა მომზადდეს ფორმულა, რომელიც მისი შესავალი იქნება.

72. სინანულის წესი და ფორმულები ისე უნდა გადაისინჯოს, რომ მათ უფრო ნათლად გამოხატონ საიდუმლოს ბუნება და მოქმედება.

73. „ზეთის ცხება“ („Extrema Unctio“), რომელსაც აგრეთვე შეიძლება ვუწოდოთ (და ასე უკეთესიც არის) „სწეულთა ცხება“, არ არის მხოლოდ მათი საიდუმლო, ვინც სიცოცხლის უკიდურეს ზღვარზე დგას. ამიტომ მის მისაღებად სათანადო დრო დგება, უდაოდ, უკვე მაშინ, როდესაც ერთგულები სიკვდილის საფრთხის წინაშე დგანან, სწეულების ან სიბერის გამო.

74. სწეულთა ცხებისა და ზეთის კურთხევის (Viatici) ცალკეული წესის გარდა, უნდა შედგეს დადგენილი (continuus) წესი, რომლის მიხედვით სწეულთა ცხება მოხდება აღსარებისა და ზეთის მიღების შემდეგ.

75. ცხებათა რიცხვი გარემოებათა მიხედვით უნდა განისაზღვროს, ხოლო ლოცვები, რომლებიც ავადმყოფთა ცხების წესს ეხება, უნდა გადაისინჯოს. ისინი იმ ავადმყოფთა მდგომარეობას უნდა უპასუხებდნენ, რომლებიც საიდუმლოს იღებენ.

76. უნდა გადაისინჯოს ხელდასხმის წესები, როგორც ცერემონიების, ასევე ტექსტების თვალსაზრისით. ეპისკოპოსის სიტყვა, ყოველი ხელდასხმისა თუ ალყვანების (Consecrationis) დასაწყისში, შეიძლება ადგილობრივ ენაზე წარმოითქვას.

ეპისკოპოსის ალყვანებაზე ყველა დამსწრე ეპისკოპოსისთვის ნებადართულია ხელის დასხმა.

77. უნდა გადაისინჯოს და გამდიდრდეს ქორწინების აღსრულების წესი, რომელიც რომაულ რიტუალში არსებობს, რათა მასში უფრო ნათლად აღინიშნოს საიდუმლოს მაღლი და ხაზი გაესვას მეუღლეთა ფუნქციებს.

„წმიდა კრებას დიდად სურს, რომ მთლიანად შენარჩუნებულ იქნას ის კარგი ჩვეულებები და ცერემონიები, რომლებსაც სხვადასხვა რეგიონში ქორწინების საიდუმლოს აღსრულებისას მიმართავენ“⁴¹.

გარდა ამისა, უფლებამოსილ ადგილობრივ საეკლესიო ხელისუფლებას, რომლის შესახებ ლაპარაკია მოცემული კონსტიტუციის 22-ე მუხლის §22-ში, შესაძლებლობა ეძლევა, 63-ე მუხლის თანახმად, შეიმუშავოს საკუთარი წესი, რომელიც ადგილობრივ და ეროვნულ ჩვეულებებს შეესაბამება. ამასთანავე ძალაში რჩება კანონი, რომლის თანახმად დამსწრე მღვდელმსახური სვამს კითხვას და პასუხს იღებს მექორწინეთა თანხმობის შესახებ.

78. ჩვეულებრივ ქორწინება წირვის დროს უნდა აღსრულდეს, სახარების კითხვისა და ჰომილიის შემდეგ, ერთგულთა ლოცვამდე. სასძლოს დალოცვა ისე უნდა შესწორდეს, რომ ხაზი გაესვას ორივე მეუღლის მოვალეობას, იყვნენ ერთმანეთის ერთგულნი. ის ადგილობრივ ენაზე უნდა ითქვას.

79. საჭიროა საკრამენტალიების გადასინჯვა. ამასთანავე ძირითადი ნორმა უნდა იყოს ერთგულთა შეგნებული, აქტიური და მარტივი მონაწილეობა, აგრეთვე ჩვენი დროის მოთხოვნილებების გათვალისწინება. 63-ე მუხლის შესაბამისად რიტუალების გადასინჯვისას შესაძლოა დაემატოს ახალი საკრამენტალიები, თუ ეს აუცილებელია.

კურთხევათა რიცხვი მცირე უნდა იყოს. კურთხევათა უფლება მხოლოდ ეპისკოპოსებისა და ორდინარიუსებისთვის არის დასაშვები.

განსაკუთრებულ ვითარებაში და ორდინარიუსის გადანყვეტილებით, შესაძლებელია, ზოგიერთი საკრამენტალიები განაგონ საერო პირებმა, რომლებიც სათანადო თვისებებით არიან დაჯილდოვებულნი.

80. უნდა გადაისინჯოს ქალწულთა კურთხევის წესი, რომელიც რომაულ პონტიფიკალში არის მოცემული.

გარდა ამისა, უნდა შედგეს სამონესეო აღთქმისა (professionis religiosae) და აღთქმათა განახლების წესი, რომელიც იქნება უფრო დიდი ერთიანობის, ზომიერებისა (sobrietatis) და ღირსების საფუძველი. ამ წესს უნდა მისდიონ მათ, ვინც მესაზე აღასრულებს ან განახლებს სამონესეო აღთქმას. ამასთანავე ძალაში რჩება კერძო კანონები.

სასურველია, რომ სამონესეო აღთქმა წირვისას დაიდოს.

81. დაკრძალვის წესმა უფრო ნათლად უნდა გამოხატოს ქრისტიანული სიკვდილის სააღდგომო ხასიათი და უკეთესად უპასუხოს ცალკეული რეგიონის ვითარებებსა და ტრადიციებს, ისეთ საკითხშიც კი, როგორც არის ლიტურგიული ფერი.

82. უნდა გადაისინჯოს ბავშვთა დამარხვის წესი. მას საკუთარი წირვა სჭირდება.

41 CONC: TRID., Sess. 24, 11 nov. 1563, *de reformatione*, cap. 1: CONC. TRID., *ed. cit.*, IX. *Actorum* pars VI, Friburgi Brisgoviae 1924, p. 969. – შდრ. *Rituale Romanum*, tit. VIII, c. II, n. 6.

თავი IV
საღმრთო მსახურება (de officio divino)

83. ახალი და ძველი აღთქმის უზენაესმა მღვდელმსახურმა, იესო ქრისტემ, მიიღო ადამიანური ბუნება. მან მინიერ ლტოლვილებში ის ჰიმინი შემოიტანა, რომელსაც ზეციურ სამკვიდრებელში (in supernis sedibus) საუკუნოდ გალობენ. მან შემოიკრიბა ადამიანთა მთელი საზოგადოება და ის ქების საღმრთო სიმღერის ერთობლივი გალობით შემოიერთა.

ამ სამღვდელმსახურო მოვალეობას იგი განაგრძობს ეკლესიის მეშვეობით, რომელიც არა მარტო ევქარისტის აღსრულებით, არამედ სხვა საშუალებებითაც – უპირველეს ყოვლისა, საღმრთო მსახურებით, უფალს გამუდმებით აქებს და შუამდგომლობს მთელი სამყაროს გამოხსნისათვის.

84. ძველი ქრისტიანული ტრადიციით, ჟამნი ისე არის აგებული, რომ დღისა და ღამის მთელი მდინარება ღმრთის ქებას უნდა მიეძღვნას. როდესაც ქების ამ ჭეშმარიტად განსაცვიფრებელ გალობას სათანადოდ ასრულებენ მღვდელმსახურნი და სხვანი, ეკლესიის ისტიტუციის მიერ ამ საქმისათვის რჩეულნი, ან ქრისტეს ერთგულნი, რომლებიც მღვდელმსახურთან ერთად მიღებული ფორმით ლოცულობენ, მაშინ ეს ჭეშმარიტად არის ხმა იმ სძლისა, რომელიც სიძეს ესაუბრება. მეტიც: ეს არის ქრისტეს ლოცვა, რომელსაც ის თავის სხეულთან ერთად მამისადმი აღავლენს.

85. ამიტომ ყველა, ვინც ამას აღასრულებს, ასრულებს ეკლესიის მოვალეობას და, იმავე დროს, ეზიარება ქრისტეს სძლის უზენაეს პატივს: ღმრთის განდიდებით, ისინი ღმრთის საყდრის (thronum) წინაშე დედა ეკლესიის სახელით წარსდგებიან.

86. მღვდელმსახურნი, რომლებიც წმიდა სამღვდლო მსახურებით არიან დაკავებულინი, მით უფრო მონდომებით შეასრულებენ ჟამთა სადიდებელს, რაც უფრო ცოცხლად გააცნობიერებენ, რომ მათ ეხება პავლეს დარიგება: „მოუკლებელად ილოცვედით“ (1თეს. 5, 17), რადგან მხოლოდ უფალს ძალუძს მიანიჭოს წარმატება და ზრდა იმ საქმეს, რომლისთვისაც ისინი იღწვიან. იგი ამბობს: „თვნიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად“ (იოან. 15, 5). ამიტომ მოციქულებმა, დიაკონების დაწესებისას, თქვეს: „ხოლო ჩუენ ლოცვასა და მსახურებასა ამის სიტყვეკვასა განვეკრძალნეთ“ (საქმე 6, 4).

87. მოცემულ ვითარებაში, მღვდელმსახურთა თუ ეკლესიის სხვა წევრთა მიერ საღმრთო მსახურების უკეთესად და უფრო სრულყოფილად შესრულების მიზნით, წმიდა კრებამ (იგი განაგრძობს სამოციქულო საყდრის მიერ წარმატებით წამოწყებულ განახლებას) ინება, მსახურების შესახებ, რომელიც რომაული წესის თანახმად სრულდება, შემდეგი დაედგინა:

88. მსახურების მიზანი არის დღის წმიდაყოფა. ამიტომ ჟამნის ტრადიციული მიმდინარეობა ისე უნდა განახლდეს, რომ ჟამნი შეძლებისდაგვარად ჭეშმარიტ დროს შეესაბამოს. ამასთანავე გასათვალისწინებელია დღევანდელი ცხოვრების ვითარება, რომელშიც უპირველეს ყოვლისა ისინი იმყოფებიან, ვინც სამოციქულო საქმეებით არის დაკავებული.

89. ამგვარად, მსახურების განახლებისას შემდეგი ნორმები უნდა იქნას დაცული:

- ა) ქებანი, როგორც ცისკრის ლოცვები, და მწუხრნი, როგორც საღამოს ლოცვები, საყოველთაო ეკლესიის პატივდებული ტრადიციით, უნდა მიჩნეულ იქნას ყოველდღიური მსახურების ორმაგ ღერძად, და ამგვარად უნდა შესრულდეს.
- ბ) „კომპლეტორიუმი“ ისე უნდა განხედს, რომ დღის ბოლოს სათანადოდ შეენწყოს.

გ) ჟამნი, რომელსაც „მატუტინუმ“ ეწოდება, ინარჩუნებს გუნდში ლამის ქების თავისებურებას. ამასთანავე, მისი ადაპტაცია არის საჭირო, რათა მისი წარმოთქმა დღის ნებისმიერ საათზე შეიძლებოდეს. ის უნდა შეიცავდეს ნაკლები რაოდენობის ფსალმუნებს და უფრო ვრცელ საკითხავებს.

დ) პირველი ჟამნი უნდა მოხსნას.

ე) გუნდში უნდა შენარჩუნებულ იქნეს მცირე ჟამნი: მესამე, მეექვსე, მეცხრე. გუნდის გარეშე სამიდან ერთის ამორჩევა შეიძლება, რომელიც დღის დროს უფრო შეეფერება.

90. საღმრთო მსახურება, როგორც ეკლესიის საჯარო ლოცვა, არის ღმრთი-სმოსაობის წყარო და პიროვნული ლოცვის საზრდო. ამიტომ მღვდელმსახურნი და ყველა, ვინც საღმრთო მსახურების მონაწილეა, მოწოდებულნი არიან უფალში, რომ მისი შესრულებისას გონება ხმას შეუთანხმონ. იმისათვის, რომ ეს უკეთ შეძლონ, ისინი უნდა ეზიარონ უფრო ფართო განათლებას ლიტურგიისა და ბიბლიის, განსაკუთრებით ფსალმუნთა სფეროში.

ამ განახლების განხორციელებისას რომაული მსახურების საუკუნოვანი საგან-ძურის ადაპტაცია ისე უნდა მოხდეს, რომ მისი უფრო ფართოდ და ადვილად გამოყენება შეძლონ მათ, ვისაც ის არის მიმდობილი.

91. იმისათვის, რათა ჟამთა მიმდინარეობა, 89-ე მუხლში წარმოდგენილი, რეალურად იქნას დაცული, ფსალმუნნი უნდა განაწილდეს არა ერთ კვირეულზე, არამედ დროის უფრო ვრცელ მონაკვეთზე.

ფსალმუნთა გადასინჯვის საქმე, წარმატებით წამოწყებული, შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა იქნას ბოლომდე მიყვანილი. ამასთანავე საჭიროა ქრისტიანული ლათინურისთვის ყურადღების მიქცევა, რაც გულისხმობს მის გამოყენებას ლიტურგიაში, მათ შორის გალობისას, აგრეთვე ლათინური ეკლესიის მთელი ტრადიციის გათვალისწინებას.

92. საკითხავებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი:

ა) წმიდა წერილის საკითავი ისე უნდა განწყოს, რომ საღმრთო სიტყვების საუნჯე მარტივად და მეტი სისრულით იყოს ხელმისაწვდომი.

ბ) უკეთ უნდა იქნეს ამორჩეული საკითხავები, ამოკრებილი მამათა, მოძღვართა და საეკლესიო მწერალთა თხზულებებიდან.

გ) წმიდანთა წამებანი ან ცხოვრებანი ისტორიულად სარწმუნო უნდა იყოს.

93. ჰიმნები, თუ ეს მიზანშეწონილია, უნდა აღდგეს პირვანდელი ფორმით. ამასთანავე, ჰიმნებიდან უნდა ამოღებულ იქნას ან შეიცვალოს ის, რასაც მითოლოგიური ელფერი აქვს ან რაც ქრისტიანულ ღმრთისმოსაობას ნაკლებად შეესაბამება. საჭიროებისდა მიხედვით, დასაშვებია სხვა ჰიმნებიც, რომლებიც საგალობელთა საგანძურში მოიპოვება.

94. დღის ჭეშმარიტად წმიდაყოფისთვის, აგრეთვე იმისათვის, რომ ჟამნის კითხვას სულიერი სარგებლობა ჰქონდეს, საჭიროა ჟამნის განგებულებისას დროის დაცვა, რომელიც მაქსიმალურად უახლოვდება ცალკეული კანონიკური ჟამნის წამდვილ დროს.

95. საკრებულოებმა, რომლებიც გუნდს წარმოადგენენ, კონვენტური წირვის გარდა, ყოველდღიურად უნდა აღასრულონ საღმრთო მსახურება გუნდში, კერძოდ:

ა) მთელი მსახურება უნდა აღასრულონ კანონიკების, მონაზონი ძმებისა და დების ორდენებმა, რომლებიც კანონმდებლობით ან კონსტიტუციით მოვალენი არიან, გუნდი წარმოადგინონ.

ბ) საკათედრო ან კოლეგიურმა კაპიტულებმა უნდა აღასრულონ საღმრთო მსახურების ის ნაწილები, რომლებიც მათ საზოგადო ან კერძო კანონმდებლობით ევალებათ.

გ) ხოლო იმ საკრებულოთა ყველა წევრმა, ვინც ან უფრო მაღალ ხარისხს განეკუთვნება, ან ის, ვისაც საზეიმოდ აღთქმები აქვს დადებული (გარდა კონვენსიებისა), მარტომ (სოლი) უნდა იკითხოს ჟამნის ის ნაწილები, რომლებსაც ის გუნდში არ ასრულებს.

96. სამღვდელონი, რომლებიც არ არიან ვალდებულნი, გუნდში მონაწილეობდნენ, ვალდებულნი არიან, თუ ისინი უფრო მაღალ ხარისხში იმყოფებიან, ყოველდღიურად აღასრულონ მთელი მსახურება, ან ერთობლივად, ან მარტო, 89-ე მუხლის ნორმის თანახმად.

97. წესებმა უნდა განსაზღვროს, თუ არის მიზანშეწონილი საღმრთო მსახურების შენაცვლება ლიტურგიული ქმედებით.

ცალკეულ შემთხვევაში და საპატიო მიზეზით ორდინარიუსებმა შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლონ თავისი ქვემდგომნი მსახურების აღსრულების ვალდებულებისგან, ან ეს ვალდებულება შეცვალონ.

98. ნებისმიერი სრულყოფილი ცხოვრების ინსტიტუტის წევრები, რომლებიც, კონსტიტუციათა ძალით, საღმრთო მსახურების ზოგიერთ ნაწილს ასრულებენ, ეკლესიისთვის საჯარო ლოცვას აღასრულებენ.

საჯარო ლოცვას ისინი მაშინაც აღასრულებენ, თუ, კონსტიტუციების ძალით, წარმოთქვამენ მცირე მსახურებას, იმ შემთხვევაში, თუ ის მსახურების შესაბამისად არის შედგენილი და სათანადოდ აპრობირებული.

99. საღმრთო მსახურება არის ხმა ეკლესიისა ანუ მთელი მისტიკური სხეულისა, რომელიც ღმერთს საჯაროდ ადიდებს. ამიტომ სასურველია, რომ სამღვდლო პირებმა, რომლებსაც გუნდში მონაწილეობა არ ევალებათ, და უპირველეს ყოვლისა, მღვდელმსახურებმა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ ან ერთად იკრიბებიან, საღმრთო მსახურების ერთი ნაწილი მაინც ერთობლივად აღასრულონ.

ვინც მსახურებას ან გუნდში აღასრულებს, ან ერთობლივად, მან ეს ფუნქცია რაც შეიძლება სრულყოფილად უნდა შეასრულოს. ეს ნიშნავს როგორც შინაგან სულიერ მონივნებას, ასევე მის გარეგან გამოხატულებას.

100. დაე, სულთა მწყემსებმა იზრუნონ იმისთვის, რომ უმთავრესი ჟამნი, უპირველეს ყოვლისა მწუხრნი, ერთობლივად შესრულდეს ეკლესიაში კვირადღეობით და, განსაკუთრებით, საზეიმოდ დღესასწაულებზე. რეკომენდირებულია, თავად საერო პირებმაც წარმოთქვან საღმრთო მსახურება, ან მღვდელმსახურებთან ერთად, ან როცა ერთმანეთთან არიან შეკრებილნი, ან თუნდაც თითოეულმა მარტომ.

101. §1. ლათინური წესის საუკუნოვანი ტრადიციით, სამღვდლო პირებმა საღმრთო მსახურებაში უნდა შეინარჩუნონ ლათინური ენა. ცალკეულ შემთხვევაში ორდინარიუსს ენიჭება უფლებამოსილება, დაუშვას, 36-ე მუხლის ნორმის თანახმად, ადგილობრივ ენაზე შესრულებული თარგმანის ხმარება იმ სამღვდლოთათვის, ვისთვისაც ლათინური ენის ხმარება სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს მსახურების ჯეროვნად შესრულების საქმეში.

§2. უზენაესმა კომპეტენტურმა პირმა შეიძლება უფლება მისცეს მონაზონ დებს და სრულყოფილი ცხოვრების ინსტიტუტების წევრებს, როგორც არასამღვდლო მამაკაცებს, ასევე ქალებს, საღმრთო მსახურებაში, აგრეთვე გუნდში მსახურებისას, გამოიყენონ ადგილობრივი ენა, თუკი თარგმანი მონობებულია.

§3. ყოველი სამღვდლო პირი, რომელსაც საღმრთო მსახურება აქვს მიწოდებული, და რომელიც მას ერთგულთა ჯგუფთან ან მათთან ერთად, ვინც §2-ში იყო

დასახელებული, ადგილობრივ ენაზე ასრულებს, აკმაყოფილებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, თუ თარგმანის ტექსტი მოწონებულია.

თავი V ლიტურგიული წელიწადი

102. ღმრთისმოსავი დედაეკლესია თავს ვალდებულია მიიჩნევს, იზეიმოს თავისი საღმრთო სიძის მაცხოვრებელი საქმე. ამას ის აკეთებს წლის განმავლობაში, გარკვეულ დღეებში, წმიდა მოგონებით. ყოველ კვირას, იმ დღეს, რომელსაც მან „უფლის დღე“ უწოდა, ის მოიგონებს უფლის აღდგომას. ამასთანავე, ეკლესია მას აღნიშნავს წელიწადში ერთხელ, აღდგომის უდიდესი ზეიმით, მის ნეტარ ვნებებთან ერთად.

წლიური ციკლის განმავლობაში ეკლესია განმარტავს ქრისტეს საიდუმლოებას, დაწყებული განხორციელებითა და შობით, ვიდრე ამაღლებამდე, ვიდრე ორმოცდამეათე დღემდე და ნეტარი იმედის მოლოდინამდე და უფლის მოსვლამდე.

ასე იხსენებს ეკლესია გამომსყიდველის საიდუმლოებებს. ის ცხადს ხდის ერთგულებისთვის უფლის სიქველეთა და დამსახურებათა სიმდიდრეებს. ამგვარად, მათ ყველა დროში აწმყოობა ენიჭება, ხოლო ერთგულები მას ეხებიან და გამოხსნის მაღლით აღივსებიან.

103. ქრისტეს საიდუმლოებათა ამ წლიური ციკლის აღნიშვნისას (celebrando), წმიდა ეკლესია განსაკუთრებული სიყვარულით სცემს თავყვანს ნეტარ მარიამს, ღმრთის დამბადებელს. ის ურღვევი კავშირით არის დაკავშირებული თავისი ძის გამოსხნის საქმესთან. მარიამში ეკლესია აღფრთოვანებულია გამოსყიდვის უბრწყინვალესი ნაყოფით და მას განადიდებს. ეკლესიას სურს და იმედი აქვს, იყოს თავადვე მთლიანად ის, რასაც იგი მარიამში, როგორც უწმინდეს ხატში, სიხარულით ჭვრეტს.

104. წლიურ ბრუნვაში ეკლესიამ შეიტანა მოგონებები მარტვილებსა და სხვა წმიდანებზეც, რომლებმაც ღმრთის მრავალსახოვანი მაღლით სრულყოფილებას მიაღწიეს და გამოხსნა უკვე მიიღეს. ისინი სრულყოფილ ქებას უვალდებულად ღმრთის ცათა შინა და ჩვენთვის შუამდგომლობენ. წმიდანთა მოსახსენებელ დღეებში ეკლესია ქადაგებს აღდგომის საიდუმლოებას ქრისტესთან ერთად თანავნებულ და თანაგანდიდებულ წმიდანებში. იგი ერთგულებს მათ ქმედებებს როგორც მაგალითებს სთავაზობს, რომლებიც ქრისტეს მეშვეობით ყველას მამისკენ მიიზიდავს. წმიდანთა დამსახურებებით ეკლესია ღმრთის წყალობას გამოითხოვს.

105. დაბოლოს, წლის სხვადასხვა დროს, ტრადიციული დისციპლინების მიხედვით, ეკლესია სრულყოფს ერთგულთა განათლებას, სულისა და სხეულის ღმრთისმოსავი წვრთნით, დარიგებებით, ლოცვით, აგრეთვე სინანულისა და გულმონყალების საქმეებით.

ამიტომ ინება წმიდა კრებამ, დაედგინა შემდეგი:

106. სამოციქულო ტრადიციით (ის დასაბამს თავად ქრისტეს აღდგომიდან იღებს), აღდგომის საიდუმლოებას ეკლესია ზეიმობს ყოველ მერვე დღეს. მას სამართლიანად ეწოდება უფლის დღე ანუ კვირა. ამ დღეს ქრისტეს ერთგულნი უნდა ერთად შეიკრიბონ, რათა ღმრთის სიტყვის მოსმენითა და ევქარისტიაში მონაწილეობით, მოიგონონ უფალი იესოს ვნება, აღდგომა და დიდება, და უთხრან მადლობა ღმრთის, რომელმაც ისინი კვლავ შობა „სასოებად ცხოვლად აღდგომითა იესო ქრისტესითა მკუდრეთით“ (1პეტრ. 1, 3). ამიტომ არის უფლის დღე უპირველესი დღესასწაული. ღმრთისმოსავ ერთგულებს ის მუდამ თვალწინ უნდა ედგას და მის შესახებ ახსოვდეთ, რათა იგი სიხარულისა და შრომისაგან დასვენების დღეც

გახდეს. სხვა ზეიმები (თუ არა მართლაც უმნიშვნელოვანესი) მასზე უპირატესად არ უნდა მიგვაჩნდეს, რადგან იგი არის საძირკველი და ბირთვი მთელი ლიტურგიული წელიწადისა.

107. ლიტურგიული წელი ისე უნდა გადაისინჯოს, რომ ჩვენი ეპოქის გარემოებათა შესაბამისად წმიდა თარიღებთან დაკავშირებული ჩვეულებებისა და წესების შენახვისა და აღდგენისას შენარჩუნებულ იქნას მათი დასაბამიერი სახე, რათა ერთგულთა ღმრთისმოსაობა სათანადოდ საზრობდეს ქრისტიანული გამოსყიდვის საიდუმლოებათა დღესასწაულებზე, განსაკუთრებით აღდგომის საიდუმლოებისას. ადაპტაციები, ადგილის გარემოებათა მიხედვით, თუკი ისინი აუცილებელია, უნდა შეესაბამოს 39-ე და 40-ე მუხლის ნორმებს.

108. ერთგულთა სულები უნდა მიმართული იყოს, უპირველეს ყოვლისა, უფლის დღესასწაულებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში აღინიშნება გამოხსნის საიდუმლოებანი. ამიტომ უფლის დღესასწაულებმა (*Proprium de Tempore*) მისთვის შესაფერისი ადგილი უნდა დაიკავოს, რომელიც აღემატება წმიდანთა დღესასწაულებს, რათა გამოხსნის საიდუმლოებათა მთელი ციკლი სათანადოდ აღინიშნოს.

109. დიდი მარხვის პერიოდს ორმაგი დატვირთვა აქვს. ის, უპირველეს ყოვლისა, ნათლობის მოგონებით ან მისთვის მზადებით, აგრეთვე სინანულით, ერთგულებს განაწყობს იმისთვის, რომ უფრო მონდომებით ისმინონ უფლის სიტყვა, მიეცენ ლოცვას და იზეიმონ სააღდგომო საიდუმლოება. ეს უფრო ნათლად უნდა წარმოჩნდეს როგორც ლიტურგიაში, ასევე ლიტურგიულ კატეხიზაციაში. აქედან გამომდინარე,

ა) დიდი მარხვის ლიტურგიისთვის დამახასიათებელი ნათლობის ელემენტები უფრო ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული. საჭიროების შემთხვევაში, ზოგიერთი რამ ძველი ტრადიციიდან უნდა აღდგეს.

ბ) იგივე უნდა ითქვას სინანულის ელემენტებზე. რაც შეეხება კატეხიზაციას, ერთგულთა გულებში უნდა აღიბეჭდოს, ცოდვის სოციალურ შედეგებთან ერთად, საკუთრივ სინანულის ბუნება, რომელსაც სძულს ცოდვა, როგორც ღმრთის შეურაცხყოფა. ამასთანავე გასათვალისწინებელია ეკლესიის როლი სინანულის ქმედებაში. ყურადღება უნდა მიექცეს ლოცვას ცოდვილთათვის.

110. დიდი მარხვის განმავლობაში სინანული არა მარტო შინაგანი და ინდივიდუალური უნდა იყოს, არამედ გარეგანი და სოციალურიც. საჭიროა სინანულის პრაქტიკისთვის ხელშეწყობა, ჩვენი ეპოქისა და სხვადასხვა რეგიონების შესაძლებლობათა მიხედვით, აგრეთვე, ერთგულთა მდგომარეობის მიხედვით. ხელისუფალნი, რომლის შესახებ არის ლაპარაკი 22-ე მუხლში, ამის რეკომენდაციას უნდა იძლეოდნენ.

წმიდა უნდა იყოს აღდგომის მარხვა, ვნების პარასკევს და უფლის სიკვდილის დღეს. მისი აღნიშვნა ყველგან უნდა მოხდეს და, თუ საჭიროა, შაბათსაც გაგრძელდეს, რომ ამგვარად, ამაღლებული და ღია გულით, უფლის აღდგომას შევხვდეთ.

111. ტრადიციის მიხედვით, წმიდანებს თაყვანს სცემენ ეკლესიაში, აგრეთვე მათ ნამდვილ და წარმოსახვით ნაწილებს. წმიდანთა დღესასწაულები ქადაგებს ქრისტეს სასწაულებს მის მსახურთა სახით და ერთგულებს სთავაზობს შესაფერის მაგალითებს მისაბაძად.

წმიდანთა დღესასწაულებს არ უნდა ჰქონდეს უპირატესობა იმ დღესასწაულთა მიმართ, რომლებიც თავად გამოხსნის საიდუმლოებას ზეიმობენ. ამიტომ ბევრი მათგანი აღინიშნება ცალკეულ ეკლესიაში, ერსა თუ მონესეთა საძმოში (*Religiosae Familiae*). ხოლო საყოველთაო ეკლესიაზე ის დღესასწაულები უნდა გავრცელდეს, რომლებიც მართლაც საყოველთაო მნიშვნელობის წმიდანებს მოიგონებს.

თავი VI
სასულიერო მუსიკა

112. საყოველთაო ეკლესიის მუსიკალური ტრადიცია ფასდაუდებელი საუნჯეა, რომელიც ხელოვნების სხვა დარგებს აღემატება, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ სასულიერო გალობა, სიტყვებთან შერწყმული, წარმოადგენს საზეიმო ლიტურგიის აუცილებელ და განუყოფელ ნაწილს.

მართლაც, სასულიერო გალობის განდიდება ხდებოდა როგორც წმიდა წერილით⁴², ასევე წმიდა მამებისა და რომის პონტიფეებსების მიერ, რომლებმაც უკანასკნელ დროს, წმიდა პიუს X-სთან ერთად, მეტი სიზუსტით წარმოაჩინეს სასულიერო მუსიკის მსახურებითი ფუნქცია ღმრთისმსახურებაში.

ამიტომ სასულიერო მუსიკა მით უფრო წმიდა იქნება, რაც უფრო მჭიდროდ იქნება ის დაკავშირებული ლიტურგიულ ქმედებასთან, თუ ის საამურად (suavis) გამოხატავს ლოცვას, ან ხელს შეუწყობს ერთსულოვნებას, ან უფრო მდიდრულს და საზეიმოს გახდის წმიდა წესებს. ამასთანავე, ეკლესია ინონებს და ღმრთისმსახურებაში დაუშვებს ჭეშმარიტი ხელოვნების ყველა ფორმას, რომლებიც სათანადო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

წმიდა კრება იცავს საეკლესიო ტრადიციის ნორმებსა და მითითებებს და ითვალისწინებს სასულიერო მუსიკის დანიშნულებას, რომელიც ღმრთის დიდებასა და ერთგულთა წმიდაყოფაში მდგომარეობს, და ადგენს შემდეგს:

113. ლიტურგიული ქმედება უფრო კეთილშობილ სახეს იძენს, როდესაც საღმრთო მსახურება საზეიმოდ სრულდება სიმღერით, რომლის აქტიური მონაწილენიც არიან მღვდელმსახურნი და აგრეთვე ხალხი.

რაც შეეხება ენას, რომელიც ამ დროს უნდა იქნას გამოყენებული, უნდა დაცულ იქნას 36-ე მუხლის მითითებანი; მესასთან დაკავშირებით – 54-ე მუხლი; საიდუმლოებთან დაკავშირებით – 63-ე მუხლი; საღმრთო მსახურებასთან დაკავშირებით – 101-ე მუხლი.

114. სასულიერო მუსიკის საგანძური უდიდესი მზრუნველობით უნდა იყოს დაცული და განვითარებული. მაგლობელთა გუნდებისთვის გულმოდგინე ხელშეწყობა არის საჭირო, განსაკუთრებით საკათედრო ტაძრებთან. ეპისკოპოსებმა და სულთა სხვა მწყემსებმა ბეჯითად უნდა იზრუნონ, რათა ნებისმიერ საღმრთისმსახურო ქმედებაში, რომელიც გალობით სრულდება, ერთგულთა მთელმა საკრებულომ მისთვის შესაფერისი აქტიური მონაწილეობა მიიღოს, 28-ე და 30-ე მუხლის ნორმების თანახმად.

115. დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მუსიკის სწავლებასა და პრაქტიკას სემინარიებში, ორივე სქესის მოწესეთა ნოვიციატში და სასწავლო სახლებში, აგრეთვე სხვა კათოლიკურ ინსტიტუტებსა და სკოლებში. ამგვარი აღზრდისათვის საჭიროა იმ მოძღვართა საფუძვლიანი მომზადება, რომლებსაც სასულიერო მუსიკის სწავლება ეკისრებათ.

გარდა ამისა, სასურველია დაარსდეს სასულიერო მუსიკის უმაღლესი სასწავლებლები იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია.

მუსიკოსებს, მაგლობლებს, უპირველეს ყოვლისა, — ბავშვებს, ნამდვილი ლიტურგიული განათლება უნდა მიეცეს.

116. ეკლესია ცნობს გრიგორიანულ გალობას როგორც საკუთრივ რომაული ლიტურგიისთვის დამახასიათებელს. ამიტომ, სხვა გარემოებათა თანახმობის პირობებში, მან ძირითადი ადგილი უნდა დაიკავოს.

ამასთან ერთად, საღმრთო მსახურების აღსრულებისას სრულიად არ არის გამორიცხული სასულიერო მუსიკის სხვა ჟანრები, უპირველეს ყოვლისა, პოლიფონია, თუ

42 შდრ. ეფეს. 5, 19; კოლ. 3, 16.

ის ლიტურგიული ქმედების სულს პასუხობს, 30-ე მუხლის ნორმის შესაბამისად.

117. უნდა დასრულდეს გრიგორიანული გალობის წიგნების ტიპური გამოცემა. გარდა ამისა, უნდა მომზადდეს იმ წიგნების უფრო კრიტიკული გამოცემა, რომლებიც უკვე გამოქვეყნდა წმ. პიუს X-ის გარდაქმნის შემდეგ.

სასურველია, რომ უფრო მომცრო ეკლესიებში სახმარად მომზადდეს ისეთი გამოცემა, რომელიც უფრო მარტივ მელოდიებს შეიცავს.

118. საფუძვლიანად უნდა ხელი შეეწყოს რელიგიურ სახალხო გალობას, ისე, რომ ერთგულთა ხმებს შეეძლოთ გაჟღერება, წესდებათა ნორმებისა და მითითებების შესაბამისად, ღმრთისმოსავი და სულიერი წვრთნებისა და თვით ლიტურგიულ ქმედებებშიც.

119. ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით მისიონერულ ქვეყნებში, მუსიკალური ტრადიციის ხალხი ცხოვრობს. ამ ტრადიციას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი რელიგიური და სოციალური ცხოვრებისთვის. ასეთ მუსიკას სათანადო დაფასება უნდა და შესაფერისი ადგილის მიკუთვნება სჭირდება, როგორც რელიგიური გრძნობის ფორმირებისას, ასევე ამ ხალხის თავისებურების შესაბამისად კულტმსახურების ადაპტაციისას.

ამიტომ მისიონერთა მუსიკალური ფორმირების პროცესში დიდად არის საჭირო ზრუნვა იმისათვის, რომ მათ, შეძლებისდაგვარად, ხელი შეუწყონ ამ ხალხთა მუსიკას როგორც სკოლებში ასევე წმიდა ღმრთისმსახურებაში.

120. ლათინურ ეკლესიაში დიდად პატივსაცემია ორგანი (*Organum tubulatum*), როგორც ტრადიციული მუსიკალური ინსტრუმენტი. მის ხმას შეუძლია საეკლესიო ცერემონიებს განსაკვიფრებელი ბრწყინვალეობა მიანიჭოს, სულები კი ღმრთისკენ და ზეციურისკენ ძლიერად აღამაღლოს.

სხვა ინსტრუმენტები შეიძლება დაშვებულ იქნას საღმრთო კულტმსახურებაში ადგილობრივი უფლებამოსილი ხელისუფლების განსჯითა და თანხმობით, 22-ე მუხლის §2, 37 და 40-ის თანახმად, რამდენადაც ისინი სასულიერო მიზნებისათვის შესაფერისი არის, ან შეიძლება ასეთი გახდეს, აგრეთვე თუ ისინი უპასუხებს ტაძრის ღირსებას და ხელს უწყობს ერთგულთა ჭეშმარიტ აღზრდას.

121. ქრისტიანული სულით გამსჭვალულმა მუსიკოსებმა უნდა იგრძნონ, რომ მათი მოწოდებაა, განავითარონ სასულიერო მუსიკა და ამრავლონ მისი საუნჯე.

დაე, მათ შექმნან მელოდიები, რომლებიც ჭეშმარიტი მუსიკის ნიშნებს ატარებს. მათი შესრულება არა მარტო მაგალობელთა დიდ გუნდებს უნდა შეეძლოს, არამედ უფრო მცირე გუნდებსაც. ეს მელოდიები ხელს უნდა უწყობდეს ერთგულთა მთელი საკრებულოს აქტიურ მონაწილეობას.

სასულიერო დანიშნულების საგალობლების ტექსტები კათოლიკურ მოძღვრებას უნდა შეესაბამოს. მათი წყარო უმთავრესად წმიდა წერილი და ლიტურგიული წყაროები უნდა იყოს.

თავი VII

სასულიერო ხელოვნება და სასულიერო ნივთები

122. ადამიანის სულის უკეთილშობილეს საქმიანობებს სამართლიანად მიაკუთვნებენ ხელოვნების დარგებს, უპირველეს ყოვლისა, რელიგიურ ხელოვნებას და მის მწვერვალს, სასულიერო ხელოვნებას. თავისი ბუნებით ისინი მიმართულია უსასრულო საღმრთო მშვენიერებისკენ, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ადამიანური ხერხებით უნდა გამოიხატოს. ისინი სრულად მიეძღვნება ღმერთს, მის ქებასა და

დიდებას, რამდენადაც მათ არა აქვს სხვა მიზანი, გარდა ერთისა: თავისი ქმნილებებით ადამიანთა სულები მაქსიმალურად ღმრთისკენ მიმართოს.

ამიტომ მასაზრდოებელი დედა ეკლესია მუდამ იყო ხელოვნებათა მეგობარი. ის მუდამ მიმართავდა მათ კეთილშობილ მსახურებას და თავად აღზრდიდა ხელოვანთ, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რათა ჭეშმარიტად ღირსეული, კაზმული და მშვენიერი ყოფილიყო წმიდა კულტმსახურებასთან დაკავშირებული ნივთების — უზენაესი რეალობის ნიშნები და სიმბოლოები. მეტიც: ეკლესიას მუდამ მიაჩნდა, რომ მათი ერთგვარად განსჯის უფლება ჰქონდა. ხელოვნების ქმნილებათა შორის ის ისეთებს გამოარჩევდა, რომლებიც რწმენას, ღმრთისმოსაობასა და ტრადიციულ რელიგიურ კანონებს შეესაბამებოდა, და სასულიერო დანიშნულებისთვის შესაფერისი იყო.

ეკლესია საგანგებო გულმოდგინებით ზრუნავდა სასულიერო ნივთებისთვის: მათ უნდა ღირსეულად და ლამაზად ემსახურათ კულტმსახურების კაზმულობისთვის, მიეღოთ და გამოეხატათ მასალაში, ფორმასა თუ მორთულობაში ის ცვლილებები, რომლებიც დროთა სვლაში ტექნიკის პროგრესთან ერთად გაჩნდა.

ამიტომ ისურვეს მამებმა ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი დაედგინათ:

123. ეკლესიას არასდროს მიაჩნდა ხელოვნების რომელიმე სტილი თავის საკუთარ სტილად. ხალხთა თავისებურებებისა და პირობების, აგრეთვე სხვადასხვა წესთა მოთხოვნილებების შესაბამისად, მან დაუშვა ამა თუ იმ ეპოქის სტილი და საუკუნეთა მანძილზე შექმნა ხელოვნების საგანძური, რომელიც დიდი მზრუნველობით უნდა იქნას დაცული. ჩვენი დროისა და ყველა ხალხისა თუ რეგიონის ხელოვნება თავისუფლად უნდა ვითარდებოდეს, რამდენადაც ის სასულიერო სახლებსა და სასულიერო წესებს შესაფერისი მოწინებითა და სათანადო პატივით ემსახურება, რათა ამგვარად შეუერთოს თავისი ხმა დიდების იმ განსაცვიფრებელ გალობას, რომელიც უდიდესმა ადამიანებმა განვლილ საუკუნეთა მანძილზე კათოლიკურ სარწმუნოებას მიუძღვნეს.

124. დაე, ჭეშმარიტად სასულიერო ხელოვნებისთვის ხელშესაწყობად და დასახმარებლად ორდინარიუსებმა მიზნად დაისახონ უფრო კეთილშობილი მშვენიერება, ვიდრე ცარიელი მდიდრული კაზმულობა. იგივე ითქმის სასულიერო შესამოსლისა და სამკაულთა შესახებ.

ეპისკოპოსებმა უნდა იზრუნონ იმისთვის, რომ ღმრთის სახლებს და სხვა წმიდა ადგილებს დაბეჯითებით მოარიდონ ხელოვნების ისეთი ქმნილებები, რომლებიც სარწმუნოებასა და ზნეთ, აგრეთვე ქრისტიანულ ღმრთისმოსაობას ეწინააღმდეგება და ჭეშმარიტად რელიგიურ გრძნობას შეურაცხყოფს, იქნება ეს ფორმის სიმახინჯისა თუ ხელოვნების ნაკლულობის გამო, ან იმიტომ, რომ ისინი საშუალო დონის ან ნაბაძვითი არიან.

წმიდა სახლთა შენებისას გულდასმით გასათვალისწინებელია შემდეგი: ისინი განკუთვნილი უნდა იყოს ლიტურგიული ქმედებების შესასრულებლად და ერთგულთა მხრივ აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

125. მტკიცედ უნდა იქნას შენარჩუნებული ეკლესიებში წმიდა გამოსახულებების მოთავსების პრაქტიკა, ერთგულთა მხრიდან თავყვანისცემის მიზნით. ამასთანავე, მათი გამოფენა უნდა მოხდეს შეზღუდული რაოდენობით და სათანადო წესით, რათა მათ ქრისტიან ერში მეტისმეტი განცვიფრება არ გამოიწვიონ და არ უბიძგონ ერთგვარად არაჯანსაღი მოწინებისკენ.

126. ხელოვნების ნიმუშთა შეფასებისას ადგილობრივმა ორდინარიუსებმა უნდა უსმინონ დიოცეზურ კომისიას სასულიერო ხელოვნების სფეროში და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა გამოცდილ ადამიანებს, აგრეთვე კომისიებს, რომელთა შესახებ ლაპარაკია 44-ე, 45-ე, 46-ე მუხლებში.

ორდინარიუსებმა გულმოდგინედ უნდა ადევნონ თვალყური იმას, რომ სასულიერო ნივთები ან ძვირფასი ნივთები, როგორც ღმრთის სახლის სამკაულები, არ გასხვიდეს და არ დაიკარგოს.

127. ეპისკოპოსებმა უნდა იზრუნონ ხელოვანთათვის (ან თვითონ, ან იმ მღვდელმსახურთა მეშვეობით, რომლებიც გამოცდილი და ხელოვნების ერთგულნი არიან), რათა ისინი სასულიერო ხელოვნების სულითა და საღმრთო ლიტურგიით განიმსჭვალონ.

გარდა ამისა, რეკომენდირებულია დაარსდეს სასულიერო ხელოვნების სკოლები ან აკადემიები ხელოვანთა აღსაზრდელად იმ რეგიონებში, სადაც ეს მიზანშეწონილია.

ხოლო ყველა ხელოვანი, რომელიც თავისი ნიჭის ერთგულია, მიზნად უნდა ისახავდეს, ემსახუროს ღმრთის დიდებას წმიდა ეკლესიაში. მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ საქმე ეხება შემოქმედი ღმრთის წმიდა მიბაძვას და კათოლიკური კულტმსახურებისთვის განკუთვნილ ნაწარმოებებს, რომელთა დანიშნულებაა ერთგულთა აღზრდა და ღმრთისმოსაობა, აგრეთვე მათი რელიგიურ დამოძღვრა.

128. კანონები და საეკლესიო დადგენილებები, რომლებიც გარეშე ნივთების წმიდა კულტმსახურებაში მოხმარებას ეხება (აქ იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, სასულიერო ნაგებობების ღირსეული და შესაფერისი კონსტრუქცია, საკურთხეველთა ფორმა და აგებულება, ექვარისტიული ტაბერნაკულუმის კეთილშობილება, განლაგება და დაცულობა, ბაპტისტერიუმის მოხერხებულობა და ღირსება, სასულიერო გამოსახულებების, დეკორაციისა და მორთულობის შესაფერისი განლაგება) სასწრაფოდ უნდა იქნას გადასინჯული, ლიტურგიულ ნივთებთან ერთად, 25-ე მუხლის ნორმის თანახმად. უნდა გასწორდეს ან ამოღებულ იქნას ის, რაც ლიტურგიის განახლებისთვის ნაკლებად შესაფერისი ჩანს, ხოლო რაც შესაფერისია, ის უნდა შენარჩუნდეს და შემოღებულ იქნას.

ამ საქმეში, უპირველეს ყოვლისა, სასულიერო ნივთებისა და შესამოსლის მასალასა და ფორმასთან დაკავშირებით, ეპისკოპოსთა ადგილობრივ შეკრებებს ეძლევა შესაძლებლობა, განახორციელოს ადგილობრივი მოთხოვნილებებისა და ზნეჩვეულებების შესაფერისი ადაპტაციები, მოცემული კონსტიტუციის 22-ე მუხლის ნორმის თანახმად.

129. სამღვდლო პირებმა, ფილოსოფიურ და თეოლოგიურ განათლებასთან ერთად, უნდა შეისწავლონ სასულიერო ხელოვნების ისტორია და მისი ევოლუცია, აგრეთვე ჩასწავდენ იმ ჯანსაღ სანყისებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სასულიერო ხელოვნების ნიმუშებს. მათ უნდა დააფასონ ეკლესიის პატივდებული ძეგლები და მათ ემსახურონ. მათ უნდა შეეძლოთ, ხელოვანებს შემოქმედებით პროცესში შესაფერისი რჩევები მისცენ.

130. მიზანშეწონილია, რომ პონტიფიკალიებით სარგებლობის უფლება დარჩეთ იმ საეკლესიო პირებს, რომლებიც ეპისკოპოსები არიან ან რაღაც სხვა განსაკუთრებული იურისდიქცია გააჩნიათ.

დამატება

ვატიკანის წმიდა მსოფლიო კრების დეკლარაცია კალენდრის რეფორმის შესახებ

ვატიკანის წმიდა მსოფლიო მეორე კრებას ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნია მრავალთა მიერ გამოთქმული სურვილი, რომელიც ითვალისწინებს აღდგომის დღესასწაულის გარკვეულ კვირა დღეს დაწესებას და მყარი კალენდრის შემოღებას. ახალი კალენდრის შემოღებიდან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგის გათვალისწინების საფუძველზე, კრება განაცხადებს შემდეგს:

1. წმიდა კრება არ არის წინააღმდეგი, რომ აღდგომის დღესასწაული კვირის გარკვეულ დღეს დაწესდეს გრიგორიანულ კალენდარში, თუ თანახმანი არიან ისინი, ვისაც ეს საკითხი ეხება, უპირველეს ყოვლისა, ძმები, რომლებიც სამოციქულო საყდართან ერთობისგან გამოცალკავებულნი არიან.

2. ამასთანავე, წმიდა კრება განაცხადებს, რომ ის არ ეწინააღმდეგება წამოწყებებს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებაში მუდმივი კალენდრის შემოღებას ითვალისწინებს.

სხვადასხვა სისტემათა შორის, რომლებიც მუდმივი მყარი კალენდრის შექმნისა და სამოქალაქო საზოგადოებაში მისი დაწესებისთვის მოიაზრება, ეკლესია არ უპირისპირდება მხოლოდ ისეთებს, რომლებიც ინახავენ და იცავენ შვიდდღიან კვირეულს კვირა დღით, და არ შემოაქვთ არავითარი დღეები გარდა ამ შვიდისა, ასე რომ კვირეულების მიმდევრობა ხელუხლებელი რჩება. ყოველივე ამის შეცვლაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ ძალიან სერიოზული მიზეზების შემთხვევაში, რომლებიც სამოციქულო საყდარმა უნდა განსაჯოს.

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამ კონსტიტუციაში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან გადმოგვცა, ამას პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ და ვაწესებთ, და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1963 წლის 4 დეკემბერი
მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
(მოჰყვება მამათა ხელმოწერები)

დეკრეტი
საზოგადოებრივი კომუნიკაციის
საშუალებათა შესახებ

INTER MIRIFICA

პავლე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მს ახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

დეკრეტი საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებათა შესახებ

შესავალი

1. განსაცვიფრებელ ტექნიკურ გამოგონებათა შორის, რომლებიც ადამიანურ-მა გენიამ განსაკუთრებით ჩვენს დროში, ღმრთის შემწეობით, ქმნილი რეალობიდან განახორციელა, დედა ეკლესია საგანგებო მზრუნველობით ეკიდება და იმას ითვისებს, რაც ადამიანის სულისთვის არის მნიშვნელოვანი და რაც ახალ გზებს ხსნის ნებისმიერი სახის ინფორმაციის, აზრებისა და მითითებების ადვილად გადაცემისთვის. ამ აღმოჩენათა შორის განსაკუთრებით ღირებულია ის საშუალებები, რომლებიც თავისი ბუნებით შეიძლება არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ მასებსა და მთელს ადამიანურ საზოგადოებასაც შეეხოს. ასეთია პრესა, კინემატოგრაფი, რადიო, ტელევიზია და სხვა. ამიტომ მათ სამართლიანად შეიძლება ეწოდოს საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებები.

2. ცხადია, დედა ეკლესიამ იცის, რომ სწორი მოხმარების შემთხვევაში ეს საშუალებები კაცობრიობას დიდ დახმარებას გაუწევს. ისინი დიდად უწყობს ხელს სულიერ დასვენებასა და აღზრდას, ღმრთის სასუფევლის მოფენასა და განმტკიცებას. მაგრამ ეკლესიამ ისიც იცის, რომ ადამიანებს ამ საშუალებების საღმრთო შემოქმედის (Conditoris) განზრახვის საწინააღმდეგოდ მოხმარება და საკუთარი თავის საზიანოდ მიმართვაც შეუძლიათ. დედა ეკლესიას გულს სტკენს ის ზიანი, რომელიც ადამიანთა საზოგადოებისთვის ამ საშუალებათა ბოროტ გამოყენებას არა ერთხელ მიუყენებია.

წმიდა კრება განაგრძობს ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის უზენაესი პონტიფექსისა და ეპისკოპოსთა ფიზიკურ მზრუნველობას. კრებას თავის მოვალეობად მიაჩნია, განიხილოს მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საზოგადოებრივი ურთიერთობის საშუალებებს ეხება. ამასთანავე, ის დარწმუნებულია, რომ მის მიერ ამგვარად გადმოცემული მოძღვრება და დისციპლინა სასარგებლო იქნება არა მარტო ქრისტეს ერთგულთა გამოსხნისათვის, არამედ მთელი კაცობრიობის პროგრესისათვის.

თავი I

3. უფალმა ქრისტემ კათოლიკე ეკლესია ყველა ადამიანისათვის გამოსხნის მოსატანად დააფუძნა. ამიტომაც ეკლესიას გაცნობიერებული აქვს სახარების ქადაგების აუცილებლობა. მას თავის მოვალეობად მიაჩნია, გამოსხნის უწყების გავრცელებისთვის, სხვათა და სხვათა შორის, საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებებს მიმართოს და ადამიანებს მათი სწორი გამოყენება ასწავლოს.

ამდენად, ეკლესიას აქვს თანდაყოლილი უფლება, იყენებდეს და ფლობდეს ყველა ამგვარ საშუალებას იმდენად, რამდენადაც ისინი აუცილებელია და სასარგებლოა

ქრისტიანული აღზრდისა და ყოველგვარი სახის სულიერი ხსნისათვის. სულიერი მწყემსების მოვალეობას წარმოადგენს ერთგულების ისე დარიგება და წარმართვა, რომ მათ ამ საშუალებების დახმარებით გამოსხსნასა და სისრულეს მიაღწიონ, როგორც თავისთვის, ასევე ადამიანთა მთელი ოჯახისათვის.

მეორეს მხრივ, განსაკუთრებით საერთო უნდა ცხოველყოფდნენ ამგვარ საშუალებებს ადამიანური და ქრისტიანული სულით, რათა მათ სრულად უპასუხოს კაცობრიობის დიდ მოლოდინსა (expectationi) და საღმრთო განზრახვას.

4. ამ საშუალებათა სწორად მოხმარებისთვის სრულიად აუცილებელია, რომ ყველამ, ვინც მათ იყენებს, იცოდეს ზნეობრივი ნორმები და გუმლოდგინედ ცდილობდეს ამ სფეროში მათ განხორციელებას. ამიტომ მათ უნდა ყურადღება მიაქციონ საგნის შინაარსს, რომლის გადაცემა ამა თუ იმ საშუალების თავისებურებით განისაზღვრება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ვითარების ანუ გარემოების ყველა ასპექტი, როგორც არის მიზანი, პიროვნებანი, ადგილი, დრო და სხვა, — ე. ი. ყოველივე ის, რა მდგომარეობაშიც ხდება კომუნიკაცია და რამაც შეიძლება მისი შინაარსი შეცვალოს ან მას სულაც ახალი სახე მისცეს. მათ რიცხვს მიეკუთვნება თითოეული საშუალებისთვის დამახასიათებელი მოქმედების ფორმა, რომლის გამო მათი ზემოქმედების ძალა შეიძლება ისეთი იყოს, რომ ადამიანებს (განსაკუთრებით მოუმზადებლებს) უჭირთ ხოლმე მისი გაცნობიერება, გაკონტროლება და სათანადოდ მოგერიება.

5. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ ყველამ, ვისაც ეს ეხება, ამ საშუალებათა ხმარების შესახებ ნათელი წარმოდგენა შეიქმნას, განსაკუთრებით იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც ჩვენს დროში ცხარე კამათს იწვევს.

პირველი საკითხი გულისხმობს ე. ი. ინფორმაციას, ანუ ცნობების შეკრებასა და გავრცელებას. ცხადია, რომ თანამედროვე საზოგადოების პროგრესისა და მის წევრებს შორის სულ უფრო მჭიდრო კავშირის გამო ინფორმაცია ძალზე საჭირო და სრულიად აუცილებელი რამ არის. მართლაც, მოვლენათა და საქმეთა შესახებ საჯარო და დროული შეტყობინება საშუალებას აძლევს ცალკეულ ადამიანებს, მათ უფრო ღრმად და ვრცლად ჩასწვდნენ, რათა თითოეულ მათგანს შეეძლოს, უფრო ნაყოფიერად შეიტანოს თავისი წვლილი საერთო საქმეში და ყველამ ერთად უფრო ადვილად შეუწყოს ხელი მთელი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას. ამგვარად, ადამიანთა საზოგადოებაში არსებობს უფლება ინფორმაციაზე იმის შესახებ, რაც ადამიანებს ეხება, როგორც ცალკეულ მათგანს, ასევე საზოგადოების წევრებს, კონკრეტული ვითარების შესაბამისად. შინაარსს რაც შეეხება, ამ უფლების სწორი გამოყენება იმას ნიშნავს, რომ ინფორმაცია ყოველთვის მართალი უნდა იყოს. ამასთანავე, სამართლიანობისა და სიყვარულის პრინციპი ხელუხლებლად უნდა იყოს დაცული, ხოლო ინფორმაცია სრული უნდა იყოს. რაც შეეხება ფორმას, ის უნდა იყოს პატიოსანი და წესიერი, რაც იმას ნიშნავს, რომ ცნობების მოძიებისას და გავრცელებისას წმიდად უნდა იქნას დაცული ზნეობრივი კანონები, აგრეთვე ადამიანის კანონიერი უფლებები და მისი ღირსება. რამეთუ ყოველგვარ ცოდნას სარგებელი არ მოაქვს, „ხოლო სიყვარული აღაშენებს“ (1კორ. 8, 1).

6. მეორე საკითხი გულისხმობს მიმართებებს ე. წ. ხელოვნების უფლებასა და ზნეობრივი კანონის ნორმებს შორის. ამ საკითხის შესახებ კამათის გამძაფრების მიზეზი ხშირად ეთიკისა და ესთეტიკის მცდარი გაგების შედეგია. ამასთან დაკავშირებით კრება განაცხადებს, რომ ობიექტური ზნეობრივი წესის უპირატესობის აღიარება ყველასთვის სრულიად სავალდებულოა, რადგან ის აღემატება ყველა სხვა ადამიანურ წესს (ხელოვნების ჩათვლით), როგორი დიდიც არ უნდა იყოს მათი ღირსება, და მხოლოდ იგი უზრუნველყოფს მათ ჰარმონიულ ურთიერთკავშირს. მართლაც, მხოლოდ ზნეობრივი წესი მოიცავს ადამიანს – ღმრთის ქმნილებას, გონებით დაჯიღლოვებულსა და უზენაესისკენ მონოდებულს – მთელი მისი ბუნებით. ამ

ნესის მთლიანად და ერთგულად დაცვას ადამიანი სრულყოფილებისა და ნეტარების სრულ მიღწევამდე მიჰყავს.

7. მესამე საკითხი: რა თქმა უნდა, ზნეობრივი ბოროტების მოთხრობას, აღწერას ან გამოსახვას შეუძლია, საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებათა დახმარებით, ხელი შეუწყოს ადამიანის უკეთ შეცნობასა და შესწავლას, ჭეშმარიტებისა და სიკეთის ბრწინვალების გამოვლენასა და განდიდებას; მას შეუძლია, სასურველ დრამატულ ეფექტებსაც მიაღწიოს. ამიტომ ის მთლიანად უნდა დაექვემდებაროს ზნეობრივ კანონებს, რათა სულელებს კი არ ავნოს, არამედ არგოს, განსაკუთრებით, როცა საქმე ისეთ საკითხებს ეხება, რომელთა განხილვა გარკვეულ ტაქტს მოითხოვს, ან რომლებიც პირველი ცოდვით დაჭრილ ადამიანში ადვილად აღძრავს მდაბალ მისწრაფებებს.

8. საჯარო შეხედულებებს დღეს უდიდესი ძალა და ავტორიტეტი აქვს ყველა რანგის მოქალაქის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ საზოგადოების ყველა წევრი ამ სფეროშიც უნდა ასრულებდეს იმ მოვალეობას, რომელიც მას სამართალი და სიყვარული აკისრებს, და ამავე საშუალებათა დახმარებით უნდა ეცადოს, ხელი შეუწყოს სწორი საჯარო შეხედულებების ჩამოყალიბებასა და გავრცელებას.

9. განსაკუთრებული ვალდებულება ეკისრება ყველა მიმღებს, ანუ მკითხველებს, მაყურებლებსა და მსმენელებს, რომლებიც პიროვნული და თავისუფალი არჩევანის საფუძველზე იღებენ ამ საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას. სწორი არჩევანის შედეგად მათ ყოველმხრივ უპირატესობა უნდა მიანიჭონ იმას, რაც გამოირჩევა ზნეობრივი, სამეცნიერო და მხატვრული ღირებულებით. ისინი უნდა მოერიდონ ყველაფერს, რაც მათივე სულიერი დაკნინების მიზეზი ან საბაბი შეიძლება გახდეს, რამაც შეიძლება ცუდი მაგალითი მისცეს სხვებს და ამით ისინი საფრთხის წინაშე დააყენოს, რამაც შეიძლება კარგი ინფორმაცია შეაფერხოს, ხოლო ცუდს ხელი შეუწყოს. ეს ხშირად მაშინ ხდება, როდესაც ფულს ისეთ ინფორმატორებს უხდიან, რომლებიც ამ საშუალებებს მხოლოდ ეკონომიური მოგების მიზნით იყენებენ.

იმისათვის, რომ მიმღებებმა ზნეობრივ კანონს მისდიონ, მათ დაუყოვნებლივ უნდა შეასრულონ თავისი მოვალეობა: დროულად გაეცნონ იმ შეხედულებას, რომელიც ამ საკითხებთან დაკავშირებით კომპეტენტურმა პირებმა გამოთქვეს და გაჰყვნენ მათ ისე, როგორც ამას სინდისი მოითხოვს. სათანადო საშუალებათა დახმარებით, ისინი უნდა ეცადონ, სწორად წარმართონ და აღზარდონ თავისი სინდისი, რათა უფრო ადვილად წინააღმდეგობა გაუწიონ უარყოფით გავლენებს, ხოლო კეთილს ხელი შეუწყონ.

10. მიმღებნი, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდები, უნდა ეცადონ, ამ საშუალებათა მოხმარებისას ზომიერნი და დისციპლინირებულნი იყვნენ. ნანახი, მოსმენილი და ნაკითხული მათ ღრმად უნდა გააცნობიერონ. ამის შესახებ მათ აღმზრდელებთან ან ამ საკითხებში გამოცდილ ადამიანებთან უნდა იმსჯელონ, რათა სწორი შეხედულების შემუშავება ისწავლონ. მშობლებს უნდა ახსოვდეთ თავისი მოვალეობა და იყვნენ ფხიზლად, რათა სანახაობებმა, პრესამ და სხვა ამდაგვარმა, რაც სარწმუნოებასა და ზნეობას ეწინააღმდეგება, მათ სახლში ვერ შეაღწიოს და რათა მათი შვილები ამას სხვაგანაც არ წააწყდნენ.

11. განსაკუთრებული ზნეობრივი მოვალეობა საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებების სწორი გამოყენების საქმეში ეკისრება ჟურნალისტებს, მწერლებს, მსახიობებს, რეჟისორებს, პროდიუსერებს, დისტრიბუტორებს, გამქირავებლებს, გამსაღებლებს, კრიტიკოსებსა და სხვებს, ვინც ამა თუ იმ სახით მონაწილეობს ინფორმაციის შექმნასა და გადაცემაში. სრულიად ნათელია, რა დიდი და მძიმე პასუ-

ხისმგებლობა ეკისრება ყველა მათგანს კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა ინფორმაციითა და ზენოლით კაცობრიობის სიკეთისკენაც წარმართვაც არის შესაძლებელი და ბოროტებისკენაც.

ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ინტერესების ისეთი შეხამება არის საჭირო, რომ ისინი არასდროს დაუპირისპირდეს საზოგადო სიკეთეს (bono communi). ამ შედეგის ადვილად მიღწევისათვის სასურველია პროფესიულ გაერთიანებებში შესვლა, რომლებიც ავალდებულებს წევრებს, პატივი სცენ ზნეობრივ კანონს მათი ხელობის საქმეებსა და ფუნქციებში; საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულებაც იდება ზნეობრივი კოდექსის ერთგული დაცვის შესახებ.

დაე, ყველას, ვისაც ეს თემა ეხება, მუდამ ახსოვდეს, რომ მკითხველთა და მაყურებელთა დიდი ნაწილი ახალგაზრდებისაგან შედგება. მათ სჭირდებათ პრესა და სანახაობები, რომლებიც მათ პატიოსან გართობას სთავაზობს და სულიერად აღამალებს. ამასთანავე, საჭიროა ზრუნვა იმისთვის, რომ რელიგიურ საქმეთა შესახებ ინფორმაციის დამუშავება ღირსეულ და გამოცდილ პირებს დაეკისროს, რომლებიც ამ საქმეს სათანადო პატივისცემით შეასრულებენ.

12. სამოქალაქო ხელისუფლებას ამ საქმეში განსაკუთრებული მოვალეობები ეკისრება, რომლებიც საზოგადო სიკეთეს (boni communis) ითვალისწინებს. სწორედ ამისკენ არის ეს საშუალებები მიმართული. ამავე ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს ინფორმაციის ჭეშმარიტი და სამართლიანი თავისუფლების დაცვა და მფარველობა. ასეთი ინფორმაცია ძალზე სჭირდება დღევანდელ საზოგადოებას განვითარებისათვის, განსაკუთრებით პრესის სფეროში. სამოქალაქო ხელისუფლების ფუნქცია არის აგრეთვე რელიგიისთვის, კულტურისთვის, ხელოვნებისთვის ხელშეწყობა, ხოლო მიმღებთათვის მათი კანონიერი უფლებებით თავისუფლად სარგებლობის პირობების შექმნა. გარდა ამისა, სამოქალაქო ხელისუფლება უნდა დაეხმაროს სასარგებო ინიციატივებს, რომლებიც ამ დახმარების გარეშე ვერ განხორციელდება, განსაკუთრებით, როცა ეს ინიციატივები ახალგაზრდობისათვის არის სასარგებლო.

დაბოლოს, სამოქალაქო ხელისუფლებას, რომელიც კანონიერად ზრუნავს მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის, ასეთი მოვალეობაც აქვს დაკისრებული: კანონის შედგენისა და მისი გულმოდგინედ შესრულების ზედამხედველობით, მან სამართლიანად და ფხიზლად თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ ამ საშუალებათა ბოროტად გამოყენებით სერიოზული ზიანი არ მიეყენოს საჯარო ზნეობასა და საზოგადოების პროგრესს. ასეთი ფხიზელი მზრუნველობა არავითარ შემთხვევაში არ ზღუდავს ცალკეულ პირთა თუ ჯგუფთა თავისუფლებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ქმედით სირთხილეს არ იჩენენ ისინი, ვის სამსახურშიც ამ საშუალებების გამოყენება შედის.

საგანგებო ყურადღება გვმართებს, რათა დავიცვათ ახალგაზრდები ისეთი პრესისა და სანახაობებისგან, რომლებიც მათ ასაკში საზიანოა.

თავი II

13. ეკლესიის ყველა შვილი ერთსულოვნად და შეთანხმებულად უნდა შეეცადოს, რომ საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებები ყოველგვარი შეფერხების გარეშე, უდიდესი გულმოდგინებითა და ნაყოფიერებით იქნას გამოყენებული მრავალრიცხოვან სამოციქულო საქმეებში, ისე, როგორც ამას ვითარება და დრო მოითხოვს. ეკლესიის შვილები წინ უნდა აღუდგინენ მავნე წამოწყებებს, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ზნეობრივი და რელიგიური წინსვლა დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

ამიტომ სულიერი მწყემსები უნდა შეეცადონ, შეასრულონ ამ სფეროში თავისი მოვალეობა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ ჩვეულებრივ სამსახურთან: სახარების ქადაგებასთან. საერონიც, რომლებიც ამ საშუალებათა გა-

მოყენებაში მონაწილეობენ, ქრისტესთვის უნდა მონაწილეობდნენ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ფუნქციების საფუძვლიანად და მოციქულური სულით შესრულების საფუძველზე. გარდა ამისა, მათ უშუალოდ უნდა გაუწიონ დახმარება ეკლესიის სამღვდლო საქმიანობას ტექნიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხატვრო საშუალებათა გამოყენებით.

14. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პატიოსანი პრესის მხარდაჭერა. იმისათვის, რომ მკითხველები მთლიანად ქრისტიანული სულით განიმსჭვალონ, უნდა შეიქმნას და განვითარდეს ჭეშმარიტად კათოლიკური პრესა, ე. ი. ისეთი, რომელიც ან უშუალოდ საეკლესიო ხელისუფლების ან კათოლიკე პირების მხარდაჭერითა და ხელმძღვანელობით ამკარად იმისთვის გამოიცემა, რომ ჩამოაყალიბოს, განამტკიცოს და განავითაროს საჯარო შეხედულებები, რომლებიც შესაბამება ბუნებრივ სამართალსა და კათოლიკურ მოძღვრებას, აგრეთვე იმისათვის, რათა სწორად გაავრცელოს და განმარტოს ეკლესიის ცხოვრებასთან დაკავშირებული ფაქტები. ერთგულები უნდა დარწმუნდნენ, რომ აუცილებელია კათოლიკური პრესის კითხვა და გავრცელება, რათა ყველა მოვლენის შესახებ ქრისტიანულად განსაჯონ.

ყოველმხრივ უნდა ნახალისდეს და განხორციელდეს ისეთი ფილმების წარმოება და ჩვენება, რომლებიც ჯანსაღ დასვენებას უწყობს ხელს და რომლებიც კულტურული და მხატვრული თვალსაზრისით არის სასარგებლო. განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ ფილმებს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ღირსეულ პროდიუსერთა და დისტრიბუტორთა საქმიანობისა და ინიციატივების მხარდაჭერა და მათი ურთიერთთანამშრომლობა, ღირსეული ფილმების ნახალისება დადებითი კრიტიკითა და პრემიების მინიჭებით, აგრეთვე იმ დარბაზების ურთიერთთანამშრომლობით, რომლებიც კათოლიკეებსა და პატიოსან ხალხს ეკუთვნის.

ასევე ქმედით დახმარებას საჭიროებს ის წესიერი გადაცემები, რომლებიც რადიოთი და ტელევიზიით გადმოიცემა, განსაკუთრებით საოჯახო გადაცემები. დიდი ხელშეწყობა საჭირდება კათოლიკურ გადაცემებს, რომლებიც მსმენელებსა და მაყურებლებს ეკლესიის ცხოვრებას აზიარებს და რელიგიური ჭეშმარიტებებს აცნობს. იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, უნდა შეიქმნას კათოლიკური სადგურები. ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს მათი გადაცემების დონეს, რომლებიც შესაბამისი ხარისხითა და ქმედითობით უნდა გამოირჩეოდეს.

დაბოლოს, უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რათა კეთილშობილური და ძველი სასცენო ხელოვნება, რომელიც საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებების მეშვეობით უკვე ფართოდ არის გავრცელებული, მაყურებლების ჰუმანური და ზნეობრივი აღზრდისკენ მიისწრაფვოდეს.

15. ზემოთხსენებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭიროა მღვდელმსახურთა, მონესეთა და საეროთა მომზადება. მათ შესაბამისი გამოცდილება უნდა მიიღონ ამ საშუალებათა სამოციქულო მიზნებისთვის გამოყენების სფეროში.

უპირველეს ყოვლისა, საერო პირებმა განათლება უნდა მიიღონ ტექნიკის, მოძღვრებისა და ზნეობის სფეროში. ამისათვის უნდა გაიზარდოს სკოლების, ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების რიცხვი, სადაც ჟურნალისტები, კინომოღვაწენი, რადიოსა და სატელევიზიო გადაცემათა ავტორები, აგრეთვე სხვა დაინტერესებული პირები შეძლებენ სრულყოფილი განათლების მიღებას, რომელიც გამსჭვალული იქნება ქრისტიანული სულით და ეკლესიის სოციალურ მოძღვრებას გაითვალისწინებს. აგრეთვე საჭიროა მსახიობების აღზრდა და მათთვის დახმარების განწევა, რათა თავისი ხელოვნებით მათ სათანადო სამსახური გაუწიონ ადამიანთა საზოგადოებას. და ბოლოს, საჭიროა ლიტერატურის, კინოს, რადიოს, ტელევიზიის და სხვა სახის კრიტიკოსთა საფუძვლიანი მომზადება. ისინი სრულყოფილად უნდა ფლობდნენ თავის საგანს. მათ უნდა შეეძლოთ და ყოველთვის ეცადონ, ისეთი დასკვნები გამოიტანონ, რომლებშიც ზნეობრივი ასპექტი ყოველთვის სათანადო ადგილს დაიკავებს.

16. სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა კულტურის ადამიანებისთვის განკუთვნილი საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებათა სწორი გამოყენება მოითხოვს მომზადებასა და პრაქტიკას, რომელიც ითვალისწინებს როგორც ინფორმაციის მიმღებთა, ასევე თავად საშუალებათა თავისებურებებს. ამიტომ ხელი უნდა შეეუწყოს ამ მიზნისკენ მიმართულ ინიციატივებს – განსაკუთრებით თუ ისინი ახალგაზრდობისთვის არის განკუთვნილი – ნებისმიერი დონის კათოლიკურ სკოლებში, სემინარიებსა და აგრეთვე საერო სამოციქულო გაერთიანებებში. ასეთი ინიციატივების რიცხვმა უნდა იმატოს. მათი სახელმძღვანელო პრინციპი ქრისტიანული ზნეობა უნდა იყოს. მიზანი რომ სწრაფად განხორციელდეს, კატეხიზმომი მოცემული უნდა იყოს ამ საკითხის შესახებ კათოლიკური მოძღვრებისა და დისციპლინის შეჯამება და განმარტება.

17. ეკლესიის შვილებს არ შეჰფერით უმოქმედობა, როდესაც გამოსხნის სიტყვას ტექნიკური სირთულეები ან დიდი ხარჯები ბოჭავს და აფერხებს. ხოლო ხარჯები, რომლებსაც ხსენებული საშუალებები მოითხოვს, მართლაც უზარმაზარია. ამიტომ წმიდა კრება ეკლესიის შვილებს მათ მოვალეობას შეახსენებს: მათ უნდა მხარი დაუჭირონ და დახმარება გაუწიონ კათოლიკურ ჟურნალებს, პერიოდიკას, კინემატოგრაფიულ ინიციატივებს, რადიოსა და ტელევიზიის სადგურებსა და გადაცემებს, რომელთა უმთავრესი მიზანი არის ქვეყნის გაგრძელება და დაცვა, და ქრისტიანული აღზრდისადმი ადამიანთა საზოგადოების ზიარება. ამავე დროს, კრება დაბეჯითებით მოუწოდებს გაერთიანებებსა და ცალკეულ პირებს, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ ეკონომიკისა და ტექნიკის სფეროში, რომ თავისი შესაძლებლობებისა და გამოცდილების საფუძველზე გულღიად და უხვად დაეხმარონ ამ საშუალებებს, რამდენაც ისინი ქვეყნის კულტურასა და მოციქულობას ემსახურება.

18. იმისათვის, რათა საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებებთან დაკავშირებით ეკლესიის მრავალფეროვანი მოციქულობა უფრო ქმედითად განმტკიცდეს, მთელი მსოფლიოს დიოცეზებში, ეპისკოპოსთა გადანყვეტილებით, ყოველწლიურად უნდა აღინიშნოს დღე, როდესაც ერთგულებს დაარიგებენ ამ სფეროში მათი მოვალეობების შესახებ, მოუწოდებენ ილოცონ ამ საქმისათვის და მასში თავისი წვლილი შეიტანონ. ეს გულისხმობს, მთელი კათოლიკური სამყაროს მოთხოვნილებების გათვალისწინების საფუძველზე, იმ ინსტიტუტებისა და ინიციატივების მხარდაჭერასა და დახმარებას, რომლებიც ამ სფეროში ეკლესიამ დაამკვიდრა.

19. უზენაეს პონტიფექსს, რომელიც საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებებთან დაკავშირებით უმაღლეს სამწყსო მზრუნველობას აღასრულებს, ამ საქმისთვის წმიდა საყდრის საგანგებო სამსახური აქვს.¹

20. ეპისკოპოსების მოვალეობა არის, ფხიზლად ადევნოს თვალყური საკუთარ დიოცეზებში ამგვარ საქმეებსა და ინიციატივებს, ხელი შეუწყონ და უხელმძღვანელონ მათ, რამდენადაც ისინი საჯარო მოციქულობას ეხება. გამონაკლისს არ უნდა წარმოადგენდეს ის საქმეები, რომლებიც ორდინარიუსის ძალაუფლებიდან გამოყვანილი მოწვევების ხელმძღვანელობით სრულდება.

21. მოციქულობა მთელს ქვეყანაში რომ ქმედითი იყოს, აზრთა და ძალთა ერთიანობა არის საჭირო. ამიტომ წმიდა კრება ადგენს და ბრძანებს, რომ ყველგან უნდა დაარსდეს ეროვნული სამსახურები პრესის, კინემატოგრაფის, რადიოსა და

¹ კრების მამები სიამოვნებით იღებენ “პრესისა და სანახაობათა ორგანიზაციის სამდივნოს” მიმართვას და მონივნებით სთხოვენ უზენაეს პონტიფექსს, ამ სამსახურის ფუნქციები და კომპეტენცია გაავრცელოს საზოგადოებრივი კომუნიკაციის ყველა საშუალებებზე, პრესის ჩათვლით, და ამ საქმეში ჩართოს სხვადასხვა ეროვნების ექსპერტები, მათ შორის საერონიც.

ტელევიზიისთვის, და მათ ყოველმხრივ დახმარება უნდა გაეწიოს. ამ სამსახურების უმთავრესი ამოცანა იქნება ზრუნვა ერთგულთა ცნობიერების სწორად ფორმირებისთვის იმ სფეროში, რომელიც ხსენებულ საშუალებათა სწორად გამოყენებას ეხება. ყველაფერი, რაც ამ საქმისთვის კათოლიკეებმა გააკეთეს, ხსენებულმა სამსახურებმა უნდა განავითარონ და მოაწესრიგონ.

ასეთი სამსახურების ხელმძღვანელობა თითოეულ ქვეყანაში ეპისკოპოსთა საგანგებო ერთობას (coetui) ან რომელიმე დელეგირებულ ეპისკოპოსს უნდა მიენდოს. ამ სამსახურებში კათოლიკურ მოძღვრებებსა და ასეთ საქმეებში გამოცდილი საერონიც უნდა მონაწილეობდნენ.

22. საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებათა მოქმედების სფერო სცილდება ეროვნულ საზღვრებს. ამგვარად, ცალკეული ადამიანი ადამიანთა მთელი თანამეგობრობის მოქალაქედ იქცევა. ამიტომ ამ სფეროში ეროვნული პროგრამები საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის დონეზე უნდა განხორციელდეს, ხოლო 21-ე მუხლში ხსენებული სამსახურებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ შესაბამის საერთაშორისო კათოლიკურ ორგანიზაციასთან (Consociatione). ასეთი საერთაშორისო ორგანიზაციები ლეგიტიმურად მხოლოდ წმიდა საყდრის მიერ მტკიცდება და მასზე არის დამოკიდებული.

დასკვნა

23. იმისათვის, რათა განხორციელდეს წმიდა კრების ყველა პრინციპი და ნორმა, რომლებიც საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებებზე ეხება, კრების პირდაპირი დავალებით, უნდა გამოქვეყნდეს სამწყსო დარიგება. ეს უნდა შეასრულოს წმიდა საყდრის სამსახურმა, რომლის შესახებ ლაპარაკი იყო 19-ე მუხლში. მის შემადგენლობაში სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები უნდა შევიდნენ.

24. დაბოლოს, წმიდა კრება გამოთქვამს იმედს, რომ ეკლესიის ყველა შვილი სიმოვნებით მიიღებს და წმიდად დაიცავს აქ ჩამოყალიბებულ დადგენილებებსა და ნორმებს. ამიტომ ამ საშუალებათა გამოყენება მათთვის არა თუ საზიანო არ იქნება, არამედ პირიქით: როგორც მარილი და ნათელი, ისინი მიწას გაანოციერებს (condiant) და სამყაროს ნათელს მოჰფენს. ამასთან ერთად, კრება მოუწოდებს კეთილი ნების ყველა ადამიანს და განსაკუთრებით ამ საშუალებათა განმგებლებს, შეეცადონ, ისინი მხოლოდ ადამიანთა საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოიყენონ; საზოგადოების ბედი ხომ დღითიდღე სულ უფრო მეტად არის ამ საშუალებათა სწორ მონარებაზე დამოკიდებული. დაე, განადიდოს სახელი უფლისა ძველი ხელოვნების ნიმუშებმა და ამ ახალმა გამოგონებებმაც! როგორც მოციქული იტყვის, „იესო ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე“ (ებრ. 13, 8).

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამ დეკრეტში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან გადმოგვეცა, ამას პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ, ვაწესებთ და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1963 წლის 4 დეკემბერი
 მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
 (მოწყვეტა მამათა ხელმოწერები)

**დოგმატური კონსტიტუცია
ეკლესიის შესახებ**

LUMEN GENTIUM

პავლე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მსახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

დოგმატური კონსტიტუცია ეკლესიის შესახებ

თავი I ეკლესიის საიდუმლოება

1. ქრისტე არის ხალხთა ნათელი. სული წმიდაში შეკრებილი წმიდა კრება ყველა ქმნილებას აუწყებს სახარებას (მარკ. 16, 15). მას ძლიერ სურს, რომ ყველა ადამიანი გაბრწყინდეს ქრისტეს ნათლით, რომელიც ეკლესიაში სხივოსნდება. ეკლესია ერთგვარი საიდუმლოა (sacramentum) ქრისტეში. იგი არის ღმერთთან შინაგანი ერთიანობისა და მთელი კაცობრიობის ერთობის ნიშანი და საშუალება. ამიტომ განიზრახავს ეკლესია, რომ უწინდელი კრებების თემა განაგრძოს და თავის ერთგულებასა (fidelibus) და მთელ სამყაროს მეტი სიზუსტით ამცნოს თავისი ბუნება და საყოველთაო მისია. დღევანდელ პირობებში ეკლესიის ეს ამოცანა განსაკუთრებით გადაუდებელია: ყველა ადამიანმა, რომელიც დღეს უფრო მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა ჯგუფით (სოციალური, ტექნიკური, კულტურული), ქრისტეში სრულ ერთიანობას უნდა მიაღწიოს.

2. საუკუნო მამამ, თავისი სიბრძნითა და სათნოებით, სრულიად თავისუფალი და დაფარული გადანყვეტილებით, შექმნა მთელი სამყარო. მან განიზრახა, ადამიანები აღემაღლებინა საღმრთო ცხოვრების ზიარებისკენ. ღმერთმა არ მიატოვა ადამიანები, როცა ისინი ადამში დაეცნენ. ღმერთი მუდამ იყო ადამიანთა შემწე, რათა ისინი გამოეხსნა ქრისტეს, გამომსყიდველის, გამო, „რომელი-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ, პირმშოჲ ყოველთა დაბადებულთაჲ“ (კოლ. 1, 15). თავისი ყველა რჩეული მამამ საუკუნეთა უწინ „წინანარ იცნა წინანარცა განაჩინა თანა-მსგავსად ხატისა მის ძისა თვისისა, რაჲთა იყოს პირმშო მრავალთა შორის ძმათა“ (რომ. 8, 29). მანვე გადანყვიტა, წმიდა ეკლესიაში მოეხმო ყველასთვის, ვისაც ქრისტე სწამდა. ეკლესიაზე მინიშნება მოხდა წინასწარ, სამყაროს დასაბამითვე. ისრაელის ხალხის ისტორიამ და ძველმა აღთქმამ (foedere)¹ ეკლესია საოცრად მოამზადა. სული წმიდის გამოვლინებით განცხადებული ეკლესია უახლეს დროში დაფუძნდა, ხოლო საუკუნეთა ბოლოს იგი დიდებით დასრულდება. ამგვარად, როგორც წმიდა მამებთან ვკითხულობთ, ადამის დროიდან ყველა მართალი, „მართალი აბელიდან უკანასკნელ რჩეულამდე“² შეიკრიბება მამასთან, საყოველთაო ეკლესიაში.

3. მაშასადამე, მოვიდა ქრისტე, მოვლინებული მამისაგან, რომელმაც სამყაროს შექმნამდე მასში ამოგვირჩია და მისი შვილობა წინასწარ განგვისაზღვრა, რადგან ისურვა, რომ ყველაფერი ქრისტეში აღედგინა (შდრ. ეფ. 1, 4-5 და 10). ამიტომ ქრისტემ, მამის ნების აღსასრულებლად, დედამიწაზე ზეციური სასუფეველი დაა-

1 შდრ. CYPRIANUS, *Epist.* 64, 4: PL 3, 1017; CSEL (Hartel) III B, p. 720. – S. HILARIUS PICT., *In Mt.* 23, 6: PL 9, 1047. – S. AUGUSTINUS, *ბევრგან.* – S. CYRILLUS ALEX., *Glaph. in Gen.* 2, 10: PG 69, 110A.

2 შდრ. S. GREGORIUS M., *Hom. in Evang.* 19, 1: PL 76, 1154 B. – S. AUGUSTINUS, *Serm.* 341, 9, 11: PL 39, 1499. – S. Io. DAMASCENUS, *Adv. Iconocl.* 11: PG 96, 1357.

ფუძნა, თავისი საიდუმლოება (mysterium) გამოგვიცხადა და თავისი მორჩილებით გამოგვისიდა. ეკლესია, ქრისტეს სასუფეველი, რომელიც უკვე მოცემულია საიდუმლოებაში, ღმრთის ძალით სამყაროში ხილულად იზრდება. მის დასაბამსა და განვითარებას გამოხატავს სისხლი და წყალი, რომელიც ჯვარცმული ქრისტეს გვერდიდან, მისი ჭრილობიდან მოედინება (შდრ. იოან. 19, 34), ხოლო წინასწარმეტყველება მოცემულია უფლის სიტყვებში, რომლებიც ჯვარზე მის სიკვდილს ეხება: „და მე ოდეს ავმალდე ქუეყანით, ყოველი მოვიზიდნე ჩემდა“ (იოან. 12, 32). ჩვენი გამოსიდა სრულდება ყოველთვის, როცა საკურთხეველზე განადიდებენ ჯვარცმის მსხვერპლს, რომელზეც ითქმის: „ზატიკად ჩუენთვის დაიკლა ქრისტე“ (1 კორ. 5, 7). ამავ დროს, ზიარების პურის საიდუმლო (sacramentum) განასახიერებს და ქმნის მორწმუნეთა ერთობას, რომლებიც ქრისტეში ერთ სხეულს ქმნიან (შდრ. 1 კორ. 10, 17). ყველა ადამიანი მონოდეულია ამ ერთობისკენ ქრისტესთან, რომელიც არის ქვეყნის ნათელი: ჩვენ ამ ნათლიდან წარმოვდგებით, მისი საშუალებით ვცხოვრობთ, მისკენ მივისწრაფით.

4. ორმოცდამეათე დღეს, მას შემდეგ, რაც აღსრულდა საქმე, რომელიც მამამ ძეს დააკისრა დედამიწაზე საქმენლად (შდრ. იოან. 17, 4), მოვლინებულ იქნა სული წმიდა, რათა მან ეკლესია მუდამ წმიდაყოს და ერთგულები ქრისტეს გზით, ერთი სულის მიერ, მამას მიეახლონ (შდრ. ეფეს. 2, 18). ეს არის ცხოვრების სული, ანუ წყარო, რომელიც საუკუნო ცხოვრებად მიედინება (შდრ. იოან. 4, 14; 7, 38). მისი მეშვეობით მამა სიცოცხლეს ანიჭებს ადამიანებს, ცოდვის გამო მკვდართ, სანამ ქრისტეში მათ მოკვდავ სხეულებს არ აღადგენს (შდრ. რომ. 8, 10-11). სული, როგორც ტაძარში, მკვიდრობს ეკლესიასა და მორწმუნეთა გულებში (შდრ. 1 კორ. 3, 16; 6, 19). იგი მათში ლოცულობს და შვილებად მათ აღიარებას მონშობს (შდრ. გალ. 4, 6; რომ. 8, 15-16 და 26). ეკლესიას იგი სრულ ჭეშმარიტებაში მიუძღვეს (შდრ. იოან. 16, 13), ურთიერთობასა და მსახურებაში მის ერთიანობას უზრუნველყოფს, აწესრიგებს და წარმართავს მას სხვადასხვა იერარქიულ და ქარიზმატულ ნიჭთა საშუალებით და თავისი ნაყოფებით ამკობს (შდრ. ეფეს. 4, 11-12; 1 კორ. 12, 4; გალ. 5, 22). სახარების ძალით იგი ეკლესიას აახალგაზრდავებს და მუდამ განაახლებს, და მას სასიძოსთან სრულყოფილი კავშირისკენ უძღვეს.³ ამიტომ ეუბნებიან სული და სძალი უფალს იესოს: „მოდი!“ (შდრ. გამოცხ. 22, 17).

ამგვარად, საყოველთაო ეკლესია წარმოგვიდგება როგორც „ხალხი, გაერთიანებული მამის, ძისა და სული წმიდის ერთობისგან“.⁴

5. წმიდა ეკლესიის საიდუმლოება მის დაფუძნებაში ვლინდება. უფალმა იესომ თავის ეკლესიას საფუძველი მაშინ ჩაუყარა, როცა იქადაგა სასიხარულო ამბავი: ღმრთის სასუფეველის მოსვლა. მას წმიდა წერილი აღგვითქვამდა: „აღსრულებულ არს ჟამი და მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისა“ (მარკ. 1, 15; შდრ. მათ. 4, 17). ამ სასუფეველის ნათება ადამიანებს ეძლევა ქრისტეს სიტყვაში, საქმეებსა და მის აქმყოფობაში (praesentia). მართლაც, ღმრთის სიტყვა თესლსა ჰგავს, მინდორში დათესილს (მარკ. 4, 14): ვინც რწმენით ისმენს და ქრისტეს მცირე სამწყსოს (ლუკ. 12, 32) შეემატება, მან მიიღო სასუფეველი. შემდეგ თესლი უკვე საკუთარი ძალით ღვივდება და იზრდება, ვიდრე მკის ჟამი მოინევს (შდრ. მარკ. 4, 26-29). იესოს სასწაულებიც ადასტურებენ, რომ სასუფეველმა უკვე მოინია დედამიწაზე: „უკუეთუ მე თითითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-წვენულ არს თქვენ ზედა სასუფეველი ღმრთისა“ (ლუკ. 11, 20; შდრ. მათ. 12, 28). და მაინც, ყველაფერზე უწინ სასუფეველი ვლინდება თავად ქრისტეს პიროვნებაში, რომელიც არის ძე ღმრთი-

³ შდრ. S. IRENAUS, *Adv. Haer.* III, 24, 1: PG 7, 966 B; HARVEY 2, 131; SAGNARD, *Sources Chr.*, p. 398.

⁴ S. CYPRIANUS, *De Orat. Dom.* 23: PL 4, 553; CSEL (Hartel) III A, p. 285. – S. AUGUSTINUS, *Serm.* 71, 20, 33: PL 38, 463 – S. Io. DAMASCENUS, *Adv. Iconocl.* 12: PG 96, 1358 D.

სა და ძე ადამიანთა, მოსული იმისათვის, რათა ემსახუროს და მისცეს „სული თვის სასწრაფ მრავალთა“ (მარკ. 10, 45).

როცა აღდგა იესო, რომელმაც ადამიანებისთვის ჯვარზე სიკვდილი დაითმინა, იგი წარმოდგა როგორც უფალი, ქრისტე და მღვდელი, უკუნისამდე ასეთად ქმნილი (constitutus) (შდრ. საქმე 2, 36; ებრ. 5, 6; 7, 17; 7, 21). მოწაფეებს იესომ მამისაგან აღთქმული სული მოჰფინა (შდრ. საქმე 2, 33). ამიერიდან ეკლესია, რომელიც აღჭურვილია თავისი დამფუძნებლის ნიჭებით და რომელიც მის მცნებებს — სიყვარულს, სიმდაბლესა და განდგომას ერთგულად ინახავს, ასეთ მისიას კისრულობს: მან უნდა აუნყოს ქრისტესა და ღმრთის სასუფეველი და იგი ყველა ერში დაამკვიდროს. ეკლესია დედამიწაზე ამ სასუფეველის ყლორტსა და სანყისს ქმნის. ამასობაში, თანდათანობით ზრდისას, ეკლესია დასრულებული სასუფეველისთვის იღვწის (ad Regnum consummatum anhelat) და მთელი ძალით იმედოვნებს და მოელის, რომ თავის მეფეს დიდებაში შეეუღლება.

6. სასუფეველის გამოცხადება ძველ აღთქმაში ხშირად სახეთა საშუალებით (sub figuris) ხდება. ახლაც ეკლესიის ღრმა (intima) ბუნება ჩვენთვის სხვადასხვა იგავით ცნაურდება. ეს იგავები, რომლებიც აღებულია მწყემსური, სამინათმოქმედო, სამშენებლო, ოჯახური თუ ცოლ-ქმრული ცხოვრებიდან, უკვე წინასწარმეტყველთა ნიგნებშია გამოხატული.

მართლაც, ეკლესია არის ბაგა, რომლის ერთადერთი და აუცილებელი კარი ქრისტეა (იოან. 10, 1-10). ეკლესია სამწყსოც არის; ღმერთმა წინასწარ გვაუწყა, რომ მისი მწყემსი თავად იქნება (შდრ. ეს. 40, 11; ეზეკ. 34, 11). ამ სამწყსოს ცხვრებს, თუნდაც მათ ადამიანი-მწყემსები მართავდნენ, მაინც მუდამ უძღვება და კვებავს ქრისტე, მწყემსი კეთილი და მწყემსმთავარი (შდრ. იოან. 10, 11; 1პეტრ. 5, 4), რომელმაც თავისი ცხოვრება დასდო ცხვრებისთვის (შდრ. 10, 11-15).

ეკლესია არის *მინათმოქმედება*, ანუ ღმრთის მინდორი (1კორ. 3, 9). ამ მინდორში იზრდება ძველი ზეთისხილის ხე, რომლის წმიდა ფესვს პატრიარქები წარმოადგენენ. მასში მოხდა და მოხდება იუდეველთა და წარმართთა შერიგება (რომ. 11, 13-26). ეკლესია წარგავია, რომელსაც ზეციურმა მინათმოქმედმა რჩეული ვენახის სახე მისცა (მათ. 21, 33-43; შდრ. ეს. 5, 1). ჭეშმარიტი ვენახი არის ქრისტე, რომელიც ცხოვრებასა და ნაყოფიერებას ანიჭებს რტოებს, ანუ ჩვენ, ვინც ეკლესიის საშუალებით მასში ვიმყოფებით და მის გარეშე არაფრის გაკეთება არ ძალგვიძს (იოან. 15, 1-5).

ეკლესია საკმაოდ ხშირად ღმრთის *აღმშენებლობად* იწოდება (1კორ. 3, 9). უფალი თავად შეედარა ქვას, რომელიც მშენებლებმა დაინუნეს, თუმცა ის თავკიდურ ქვად იქცა (მათ. 21, 42; შდრ. საქმე 4, 11; 1პეტრე 2, 7; ფს. 117, 22). ამ საძირკველზე მოციქულებმა ეკლესია ააგეს (შდრ. 1კორ. 3, 11), და ამავე საძირკვილიდან ეკლესია სიმტკიცესა და თანხმობას იძენს. ეს ნაგებობა სხვადასხვა სახელწოდებით შეამკეს: ღმრთის სახლი (1ტიმ. 3, 15), რომელშიც მისი *ოჯახი* ცხოვრობს, სულში ღმრთის საცხოვრისი (ეფეს. 2, 19-22), ადამიანებთან ერთად ღმრთის სამკვიდრებელი (გამოცხ. 21, 3), და განსაკუთრებით წმიდა *ტაძარი*, რომელსაც, ქვებით აგებული სამლოცველოს სახით წარმოადგენილს, წმიდა მამები განადიდებენ, ხოლო ღმრთისმსახურებაში მას სამართლიანად ადარებენ წმიდა ქალაქს, ახალ იერუსალემს.⁵ ჩვენ, როგორც ცოცხალი ქვები, მასში ამქვეყნადვე ვართ აღშენებულნი (1პეტრ. 2, 5). იოანე ამ წმიდა ქალაქს ჭვრეტს, სამყაროს განახლებისას ზეცით ღმრთისაგან გარდამომავალს, განმზადებულს, „ვითარცა სძალი შემკული ქმრისა მიმართ თვისსა“ (გამოცხ. 21, 1).

ეკლესია იწოდება აგრეთვე „ზემო იერუსალემად“ და „დედად ჩვენად“ (გალ. 4, 26). მას აღწერენ როგორც უმნიკვლო კრავის უმნიკვლო *სძალს* (გამოცხ. 19, 7; 21,

5 შდრ. ORIGENES, *In Mt.* 16, 21: PG 13, 1443C. – TERTULLIANUS, *Adv. Marc.* 3, 7: PL 2, 357 C; CSEL 47, 3 p. 386. – ღმრთისმსახურებასთან დაკავშირებით შდრ. *Sacramentarium Gregorianum*: PL 78, 160 B. – ან C. MOHLBERG, *Liber Sacramentorum romanae ecclesiae*, Romae, 1960, p. 111, XC: “ღმერთო, ყველა წმიდათა კავშირიდან შენ საუკუნო სამკვიდრებელს იშენებ...” – ჰიმნი Urbis Ierusalem beata მონასტრული ჟამიდან და *Coelestis urbs Ierusalem* რომაული ჟამიდან.

2 და 9; 22, 17), რომელიც ქრისტემ შეიყვარა „და თავი თვისი მისცა მისთვის, რათა იგი წმიდა-ყოს“ (ეფეს. 5, 25-26). ქრისტემ ეკლესია ურღვევი კავშირით დაიკავშირა, იგი მას გამოუმდებთ „ასაზრდოებს და უფლის“ (ეფეს. 5, 29). მან ისურვა, რომ განწმენდილი ეკლესია მას შეუღლოდა და სიყვარულითა და ერთგულებით დამორჩილებოდა (შდრ. ეფეს. 5, 24). და ბოლოს, მან ეკლესია ციური ნიჭებით აღავსო, რათა ვსწვდეთ ღმრთისა და ქრისტეს ჩვენდამი სიყვარულს, რომელიც ყოველგვარ ცოდნას აღემატება (შდრ. ეფეს. 3, 19). მაგრამ სანამ ეკლესია, უფლისგან განდგომილი, ამქვეყნიურ გზას ადგას (შდრ. 2 კორ. 5, 6), იგი თავს განდევნილად გრძნობს. ამიტომ ეკლესიის ძიება და ფიქრი ზეცისკენ არის მიმართული, სადაც ქრისტე ზის ღმრთის მარჯვენით. იქ, ღმერთში, ქრისტესთან ერთად, დაფარულია ეკლესიის ცხოვრება, ვიდრე იგი თავის სასიძოსთან ერთად დიდებით არ გამოჩნდება (შდრ. კოლ. 3, 1-4).

7. ძე ღმრთისამ ადამიანური ბუნება მიიღო და თავისი სიკვდილითა და აღდგომით სიკვდილს სძლია. მან ადამიანი გამოისყიდა და იგი ახალ ქმნილებად გარდაქმნა (შდრ. გალ. 6, 15; 2 კორ. 5, 17). თავისი სული მან თავის ძმებს გადასცა (ძმებს მან ყველა ხალხიდან უხმო), და ამოუცნობი გზით ისინი ერთგვარად თავის სხეულად აქცია.

ამ სხეულით ქრისტეს ცხოვრება ჩაედინება მორწმუნეებში, რომლებიც საიდუმლოთა (sacramenta) საშუალებით, დაფარული და რეალური გზით, ვნებულსა და განდიდებულ ქრისტეს უერთდებიან.⁶ მართლაც, ნათლობით ქრისტეს ვემსგავსებით: „რამეთუ ერთითა სულითა ჩუენ ყოველთა ერთისა მიმართ გუამისა ნათელ-ვიღეთ“ (1 კორ. 12, 13). ამ წმიდა წესით გამოიხატება და სრულდება ქრისტეს სიკვდილთან და აღდგომასთან კავშირი: „თანა-დავეფლენით მას ნათლის-ლებითა მით სიკუდილსა მისსა“; და „უკუეთუ თანა-ნერგ ვექმნენით მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა, ეგრეთცა აღდგომასა მას მისსა ვიყვნეთ“ (რომ. 6, 4-5). ზიარების პურის გატეხვისას ჩვენ ნამდვილად ვმონაწილეობთ უფლის სხეულში და ვმალდებით მასთან და ერთმანეთთან ურთიერთობამდე. „რამეთუ ერთ პურ და ერთ ჯორც ჩუენ მრავალნი ესე ვართ, რამეთუ ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს“ (1 კორ. 10, 17). ამგვარად, ჩვენ ყველანი ამ სხეულის ასონი ვხდებით (შდრ. 1 კორ. 12, 27), „ხოლო თითოეული ურთიერთას ასოებ ვართ“ (რომ. 12, 5).

მაგრამ როგორც ადამიანის სხეულის ყველა ასო, სიმრავლის მიუხედავად, მანც ერთ სხეულს ქმნის, ასევე არიან ერთგულნი ქრისტეში (შდრ. 1 კორ. 12, 12). ქრისტეს სხეულის აგებულებაშიც ასოთა და ფუნქციათა მრავალგვარობა სუფევს. სული ერთია, და თავის სხვადასხვა ნიჭს იგი ეკლესიის სასარგებლოდ ავრცელებს, თავისი სიმდიდრეთა შესატყვისად და მსახურებათა საჭიროების მიხედვით (შდრ. 1 კორ. 12, 1-11). ამ ნიჭთა შორის გამოირჩევა მოციქულთა მადლი, ხოლო მოციქულთა უფლებამოსილებას თავად სულმა ქარისმატიკოსებიც დაუქვემდებარა (შდრ. 1 კორ. 14). სული თვითონ აერთებს სხეულს, თავისი ძალითა და ასოთა შინაგანი კავშირით, ხოლო მორწმუნეთა შორის იგი სიყვარულს წარმოშობს და ზრდის. „და თუ ევენებინ რაჲ ერთსა ასოსა, მის თანა ელმინ ყოველთა ასოთა; და თუ იდიდებინ ერთი ასო, მის თანა იდიდებიედ ყოველნი ასონი“ (1 კორ. 12, 26).

ამ სხეულის თავი არის ქრისტე. იგი უხილავი ღმრთის ხატია და მასშია ყველაფერი შექმნილი. იგი ყველაფერზე უწინ არის და ყველაფერი მასშია. იგი თავია სხეულისა, რომელიც არის ეკლესია. იგი „არს დასაბამი, პირმშოა მკვდრეთით, რათა იყოს იგი თავადი ყოველსა შინა მთავარ“ (კოლ. 1, 15-18). თავისი ძალის სიდიადით იგი ყოველივე ზეციურსა და მიწიერზე მეუფებს, და გარდამატებული სრულყოფილებითა და მოქმედებით მთელ სხეულს აღავსებს თავისი დიდების სიმდიდრით (შდრ. ეფეს. 1, 18-23).⁷

ყველა ასო მისი თანახატი უნდა გახდეს, სანამ ქრისტე მათში არ გამოიხატება (შდრ. გალ. 4, 19). ჩვენ მისი ცხოვრების საიდუმლოებებს (mysteria) ვეზიარეთ: მისი

6 შდრ. S. THOMAS, *Summa Theol.* III, q. 62, a.5, ad 1.

7 შდრ. PIUS XII, *encycl. Mystici Corporis*, 29 jun. 1943: AAS 35 (1943), p. 208.

თანასახოვანნი ვართ, მასთან ერთად ვკვდებით და აღვდგებით, სანამ მასთან ერთად არ ვიმეფებთ (*conregnemus*) (შდრ. ფილ. 3, 21; 2 ტიმ. 2, 11; ეფ. 2, 6; კოლ. 2, 12 და ა. შ.). ჩვენ ჯერ კიდევ მიწაზე ვმსხემობთ, მის კვალს წვალებასა და დევნაში ვტკეპნით, მის ვნებებს ვერწყმით, როგორც სხეული თავს; მასთან ერთად ვევნებით, რათა მასთან ერთად ვიდიდოთ (შდრ. რომ. 8, 17).

მისგან იზრდება საღმრთო ზრდით „მთელი სხეული, სახსართა და ნანევართაგან შეკრული და შეერთებული“ (კოლ. 2, 19). თავის სხეულში, ე. ი. ეკლესიაში, იგი განუწყვეტლად ანანილებს სამსახურეობრივ ნიჭებს, რომელთა საშუალებით, თავად მისი ძალით, ჩვენ ერთმანეთს გამოხსნისათვის ვემსახურებით, რათა სიყვარულში ჭეშმარიტება ვქმნათ და ყოველმხრივ გავიზარდოთ მისკენ, რომელიც არის თავი ჩვენი (შდრ. ეფ. 4, 11-16).

მასში რომ განუწყვეტლივ განვახლდეთ (შდრ. ეფ. 4, 23), მან წილი მოგვცა თავისი სულისგან, რომელიც ერთია და იგივე თავსა და ასოებში; ეს სული მთელ სხეულს ცხოველყოფს, აერთებს და ამოძრავებს. ამიტომ წმიდა მამებმა შესაძლებლად ცნეს მისი მოქმედების შედარება იმ ფუნქციასთან, რომელსაც ადამიანურ სხეულში სიცოცხლის საწყისი ანუ მშენივა (*anima*) ასრულებს.⁸

ქრისტეს უყვარს ეკლესია, როგორც თავისი სძალი. იგი ნიმუშია კაცისა, რომელსაც თავისი ცოლი როგორც თავისი სხეული უყვარს (შდრ. ეფ. 5, 25-28). ეკლესია მას ემორჩილება, ვინც მისი თავია (იქვე, 23-24). „მას შინა დამკვდრებულ არს ყოველივე სავსება ღმრთეებისა ჯორციელად“ (კოლ. 2, 9), ამიტომ აღავსებს იგი თავისი საღმრთო ნიჭებით ეკლესიას, რომელიც მისი სხეული და სისავსე არის (შდრ. ეფ. 1, 22-23), რათა ეკლესია განივრცოს და მიიწიოს ღმრთის სისავსემდე (შდრ. 3, 19).

8. ქრისტემ, ერთადერთმა შუამავალმა, ხილული კავშირის სახით შექმნა და სამუდამოდ შეინახა თავისი წმიდა ეკლესია, რომელიც რწმენის, იმედისა და სიყვარულის ამქვეყნიურ ერთობას წარმოადგენს.⁹ ეკლესიის მეშვეობით იგი ჭეშმარიტებასა და მადლს ყველასათვის ავრცელებს. იერარქიული ორგანოებით აღჭურვილი საკრებულო და ქრისტეს საიდუმლო სხეული, ანუ ერთის მხრივ, ხილული შეკრება, მეორეს მხრივ კი სულიერი საკრებულო, მიწიერი ეკლესია და ზეციური ნიჭებით აღჭურვილი ეკლესია ორი სხვადასხვა რამ კი არ არის, არამედ ერთი რთული სინამდვილეა, რომელიც ადამიანური და საღმრთო საწყისისგან შედგება.¹⁰ ამიტომ, გარკვეული ანალოგიის საფუძველზე, მას განხორციელებულ საიდუმლო სიტყვას ადარებენ. საღმრთო სიტყვის მიერ მიღებული ბუნება სიტყვას ემსახურება, როგორც გამოხსნის ცოცხალი ორგანო, მასთან ურღვევად ერთიანი. ასევე ემსახურება ეკლესიის სოციალური კავშირი ქრისტეს სულს, რომელიც ამ კავშირის სხეულის ზრდისთვის სიცოცხლეს ანიჭებს (შდრ. ეფ. 4, 16).¹¹

ეს არის ქრისტეს ერთადერთი ეკლესია, რომელსაც მრწამსში ვალიარებთ როგორც ერთს, წმიდას, კათოლიკესა და სამოციქულოს.¹² ჩვენმა მაცხოვარმა იგი თავისი აღდგომის შემდეგ სამწყსოდ პეტრეს გადასცა (იოან. 21, 17). მან პეტრესა და სხვა მოციქულებს მისი განვრცობა და წარმართვა დააკისრა (შდრ. მათ. 28, 18-20). მან სამუდამოდ აღმართა ეკლესია, როგორც „სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“

8 შდრ. LEO XIII, encycl. *Divinum illud*, 9 maii 1897: ASS 29 (1896-97), p. 650. – PIUS XII, encycl. *Mystici Corporis*, I. c., pp. 219-220; DENZ. 2288 (3808). – S. AUGUSTINUS, *Serm.* 268, 2: PL 38, 1232 და სხვაგან. – S. Io. CHRYSOSTOMUS, *In Eph.* Hom. 9, 3: PG 62, 72. – DIDYMUS ALEX., *Trin.* 2, 1: PG 39, 449. – S. THOMAS, *In Col.* 1, 18, lect. 5: ed. MARIETTI, II, n. 46: “როგორც სულის ერთიანობიდან ერთიანი სხეული შედგება, ასევე ეკლესია შედგება სული წმიდის ერთიანობისგან...”

9 LEO XIII, encycl. *Sapientiae christianae*, 10 ian. 1890: ASS 2 (1889-90), p. 392. – მისივე, encycl. *Satis cognitum*, 29 iun. 1896: ASS 28 (1895-96), pp. 710, 724. – PIUS XII, encycl. *Mystici Corporis*, I. c. pp. 199-200.

10 შდრ. PIUS XII, encycl. *Mystici Corporis*, I. c., p. 221. – მისივე, encycl. *Humani generis*, 12 aug. 1950: AAS 42 (1950), p. 571.

11 LEO XIII, encycl. *Satis cognitum*, I. c., p. 713.

12 შდრ. *Symbolum Apostolicum*: DENZ. 6-9 (10-13). – *Symb. Nic.-Const.*: DENZ. 86 (150). – *Coll. Prof. fidei Trid.*: DENZ. 994 და 999 (1862 და 1868).

(1ტიმ. 3, 15). ეს ეკლესია, ამქვეყნად საკრებულოს სახით შექმნილი და მოწყობილი, კათოლიკე ეკლესიაში იმყოფება, რომელსაც პეტრეს მემკვიდრე და, მასთან ერთად, ეპისკოპოსები წარმართავენ.¹³ თუმცა ამ კავშირის გარეთაც გვხვდება წმიდადუფისა და ჭეშმარიტების მრავალი ელემენტი, რომლებიც, როგორც საკუთრივ ქრისტეს ეკლესიის ნიჭნი, კათოლიკურ ერთიანობას განამტკიცებენ.

ქრისტემ ჩვენი გამოსყიდვა სიღარიბესა და დევნაში განახორციელა, და ეკლესიაც მოწოდებულია იმისთვის, რომ ამავე გზას დაადგეს, რათა ადამიანებს გამოხსნის ნაყოფი მოუტანოს (communicet). იესო ქრისტემ, „რომელი-იგი ხატი ღმრთისაჲ იყო, ... თავი თვის დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო“ (ფილ. 2, 6), და ჩვენთვის „დაგლახაკნა მდიდარი იგი“ (2კორ. 8, 9). ამგვარად, ეკლესია, თუმცა მას თავისი მისიის შესასრულებლად ადამიანური საშუალებები სჭირდება, მინიერი დიდების საძიებლად კი არ შექმნილა, არამედ იმისთვის, რომ სიმდაბლისა და განდგომისკენ ყველას საკუთარი მაგალითითაც მოუწოდოს. მამამ ქრისტე წარმოგზავნა „მახარებელად გლახკთა, ... განკურნებად შემუსრვილთა გულითა“ (ლუკ. 4, 18), „მოძიებად და ცხორებად წარწყმედულისა“ (ლუკ. 19, 10). მსგავსად ამისა, ეკლესია სიყვარულით გარემოცავს ყველას, ვინც ადამიანური სისუსტით არის დაუძღურებული. მეტიც, იგი ღარიბებსა და ტანჯულებში ცნობს თავისი დამფუძნებლის, ღარიბისა და ტანჯულის, ხატს, ცდილობს, მათ გაჭირვება შეუმსუბუქოს და სურს, მათში ქრისტეს ემსახუროს. თავად ქრისტე არის „წმიდა, უმანკო, შეუგინებელი“ (ებრ. 7, 26), „რომელმან-იგი არა იცოდა ცოდვაჲ“ (2კორ. 5, 21), და რომელიც მხოლოდ იმისთვის მოვიდა, „რათა უღბნიებდეს ცოდვათა ერისათა“ (ებრ. 2, 17). რაც შეეხება ეკლესიას, რომელიც თავის ნიაღში ცოდვილებს იღებს, იგი წმიდაა, მაგრამ ამასთანავე მას ყოველთვის განწმედა სჭირდება და იგი მუდამ მონანიებისა და განახლების გზას ადგას.

ეკლესია „თავის სვლას ახორციელებს ამქვეყნიურ დევნასა და საღმრთო ნუგეშს შორის“.¹⁴ იგი უფლის ჯვარსა და სიკვდილს გვაუნყებს, „ვიდრემდის მოვიდეს“ (1კორ. 11, 26). აღმდგარი ქრისტეს ძალა ეკლესიას განამტკიცებს: მოთმინებითა და სიყვარულით იგი თავის მღელვარებებსა და გაჭირვებებს უნდა სძლევედეს, შინაგანსა და გარეგანს, და ერთგულად ავლენდეს სამყაროში უფლის საიდუმლოს, ჯერ კიდევ ჩრდილით დაფარულს, სრულ ნათელში მის საბოლოო განცხადებამდე.

თავი II ღმრთის ერი

9. ღმრთისათვის ყველა დროსა და ყველა ხალხს შორის სათნო ის არის, „რომელსა ემინის მისა და იქმს სიმართლესა“ (საქმე 10, 35). ამიტომ ისურვა ღმერთმა, რომ ადამიანები წმიდა-ეყო და გამოეხსნა არა ცალცალკე, მათ შორის რაიმე კავშირის გარეშე, არამედ იმ ერთად შეეკრიბა, რომელიც ღმერთს ჭეშმარიტებაში შეიცნობდა და მას წმიდად ემსახურებოდა. ასეთ ერთად ღმერთმა ისრაელის ხალხი ამოირჩია, მასთან კავშირი (foedus) დადო და იგი თანდათანობით განასწავლა. ამ ერის ისტორიის მანძილზე ღმერთი მას თავისი ნების განზრახვასა და თავის თავს გამოუცხადებდა და მას თავისთვის წმიდა-ყოფდა. ეს იყო ერთგვარი მზადება და სახე იმ ახალი და სრულყოფილი კავშირისა, რომელიც ქრისტეს მიერ უნდა დადებულყო, და იმ უფრო საყოველთაო გამოცხადებისა, რომელიც ღმრთის განხორციელებულ სიტყვას უნდა მოეტანა. „აჰა, დღენი მოვლენ, - იტყვს უფალი, - და აღუთქუა სახლსა ისრაელისასა და სახლსა იუდაისასა აღთქმაჲ ახალი... მიმცემელმან შჯულთა ჩემთამან გონებათა მიმართ მათთა და მკერდსა ზედა გულთა მათთასა დავწერნე იგინი, და ვიყო მათდა ღმერთად, და იგინი იყუნენ ჩემდა ერთად... რამეთუ ყოველთა მიცოდინან მე, მცირედითგან მათით ვიდრე დიდადმდე მათდა, — თქუა უფალმან“

¹³ მისი სახელწოდებაა „წმიდა (კათოლიკე სამოციქულო) რომაული ეკლესია“: *Prof. fidei Trid., l.c.* და *CONC. VAT. I, Sess. 3, Const. dogm. De fide cath. Dei filius: DENZ. 1782 (3001)*.

¹⁴ S. AUGUSTINUS, *Civ. Dei*, XVIII, 51, 2: PL 41, 614.

(იერ. 31, 31-34, მცხეთ.). ეს ახალი კავშირი (foedum) ქრისტემ დაადგინა; ესაა ახალი აღთქმა (testamentum) მისი სისხლის მიერ (შდრ. 1კორ. 11, 25). მან ხალხს მოუწოდებდა იუდეველთაგან და წარმართთაგან, რომელიც ერთობას არა ხორცის თანახმად, არამედ სულისმიერ შექმნიდა და ღმრთის ახალი ერი გახდებოდა. მართლაც, ვისაც ქრისტე სწამს, ის ხელახლა იშვება „არა თესლისაგან განხრწნადისა, არამედ უხრწნელისა, სიტყვითა ღმრთისა ცხოველისაჲთა“ (1პეტრ. 1, 23), არა ხორცისაგან, არამედ წყლისა და სულისა წმიდისაგან (შდრ. იოან. 3, 5-6). ასეთი ხალხით იქმნება „ნათესავი რჩეული, სამეფო სამღვდლო, თესლი წმიდაჲ, ერი მოგებული... რომელი-ეგე ოდესმე არა ერ, ხოლო ან ერი ღმრთისაჲ“ (1პეტრ. 2, 9-10).

ამ მესიანური ხალხის თავი არის ქრისტე, „რომელიც მიეცა ცოდვითა ჩუენთათვის და აღდგა განმარტობისა ჩუენისათვის“ (რომ. 4, 25). ამიერიდან მან მიიღო სახელი, ყველა სახელზე უზენაესი, და იგი დიდებით მეფობს ზეცაში. ამ ერის მდგომარეობას გამოხატავს ღმრთის შვილთა ღირსება და თავისუფლება, რომელთა გულებში, როგორც ტაძარში, სული წმიდა მკვიდრობს. ერს აქვს კანონად ახალი მცნება (mandatum): უყვარდეს, ვითარცა ქრისტემ შეგვიყვარა ჩვენ (შდრ. იოან. 13, 34). და ბოლოს, მისი დანიშნულება არის ღმრთის სასუფეველი, რომელსაც თავად ღმერთმა მისცა დასაბამი მიწაზე და რომელიც შემდგომში უნდა განივრცოს, სანამ საუკუნეთა ბოლოს ღმრთისგანვე არ აღსრულდება, „რაჟამს ქრისტე გამოცხადნეს, ცხოვრებაჲ იგი ჩუენი“ (კოლ. 3, 4) და „თვთ იგიცა დაბადებული გან-ვე-თავისუფლდეს მონებისაგან ხრწნილებისა აზნაურებასა მას დიდებისა შვილთა ღმრთისათა“ (რომ. 8, 21). ამიტომ ეს მესიანური ერი (მიუხედავად იმისა, რომ ის, ფაქტიურად, ყველა ადამიანს არ მოიცავს და ზოგჯერ სულაც პატარა სამწყოს წარმოადგენს), მთელი ადამიანური მოდემისთვის არის ერთობის, იმედისა და ხსნის უმტივიცესი ყლორტი. ქრისტემ ეს ერი დააფუძნა ზიარ ცხოვრებაში, სიყვარულსა (caritatis) და ჭეშმარიტებაში, მას იგი როგორც საშუალებას მიმართავს, რომლითაც ყველას გამოისყიდის, და რომელიც, როგორც ნათელი ქვეყნისა და მარტილი მიწისა (შდრ. მათ. 5, 13-16), მთელს მსოფლიოში წარიგზავნება.

ხოლო როგორც ისრაელი, რომელიც უდაბნოში მსხემობდა (peregrinabatur), ხორციელად უკვე იწოდება ღმრთის ეკლესიად (ნეემ. 13, 1; შდრ. რიცხ. 20, 4; რჯულ. 23, 1), ასევე არის სახელდებული ახალი ისრაელი, ამ საუკუნეში მოსული, რომელიც მომავლის წარუვალ ქალაქს ეძიებს (შდრ. ებრ. 13, 14): იგი „ქრისტეს ეკლესიად“ იწოდება. ეს ეკლესია ქრისტემ „მოიგო სისხლითა თვისითა“ (საქმე 20, 28), აღავსო თავისი სულით და აღჭურვა ისეთი საშუალებებით, რომლებიც ეკლესიის ხილულსა და საზოგადოებრივ ერთობას ემსახურება. ღმერთმა მოუხმო მათ კრებულს, ვინც რწმენით შეპყურებს ქრისტეს - გამოსხნის წინამძღვარსა და ერთიანობისა და მშვიდობის დასაბამს. ამ კრებულისგან ღმერთმა ეკლესია შექმნა — ყველასთვის და თითოეულისთვის იმ ერთობის ხილული საიდუმლო (sacramentum), რომელსაც გამოსხნა მოაქვს.¹⁵ ეკლესია ყველა კუთხეში უნდა გავრცელდეს, იგი კაცობრიობის ისტორიაში შემოდის, და იმავე დროს ერთა დროებისა და საზღვრების მიღმა არის. ცოტუნებისა და გაჭირვების გზაზე, ეკლესია მტკიცდება ღმრთის წყალობით, რომელიც მას უფლისგან აქვს აღთქმული, რათა ხორცის სიძაბუნეში ერთგულების სიმტკიცე არ მოაკლდეს. ეკლესია თავისი უფლის ღირსეულ სასძლოდ უნდა დარჩეს და სულიწმიდის მოქმედებით საკუთარი თავი განუწყვეტილად სრულყოს, ვიდრე ჯვრის მეშვეობით არ მიაღწევს სინათლეს, რომელმაც დაბნელება არ იცის.

10. ქრისტე უფალმა, კაცთაგან არჩეულმა პონტიფექსმა (შდრ. ებრ. 5, 1-5), ახალი ერი ქმნა სამეფოდ და მღვდელმსახურად „ღმრთისა და მამისა თვისისა“ (გამოცხ. 1, 6; შდრ. 5, 9-10). მართლაც, ნათელდებულნი, ხელახალი შობითა (per regenerationem) და სული წმიდის ცხებით (unctionem) ეზიარებიან (consecrantur) სულიერ სახლს და წმიდა მღვდელმსახურებას, რათა ყოველგვარი საქმით, რომელიც ქრისტიანს

¹⁵ შდრ. S. CYPRIANUS, *Epist.* 69, 6: PL 3, 1142 B; CSEL (Hartel) 3 B, p. 754: “ერთობის განუყოფელი სინმიდე”.

შეეფერება, შესწირონ სულიერი მსხვერპლი და აუწყონ იმის სათნოებანი, ვინც მათ ბნელიდან მოუწოდა „საკრველსა მას ნათელსა მისსა“ (შდრ. 1პეტრ. 2, 4-10). ამიტომ ქრისტეს ყველა მოწაფე განკრძალული უნდა იყოს ლოცვაში და ღმერთი აქოს. (შდრ. საქმე 2, 42-47). ისინი უნდა წარდგინენ „მსხუერპლად ცხოველად, წმიდად, სათნოდ ღმრთისა“ (რომ. 12, 1), დედამინის ყველა კუთხეში ქრისტეს შესახებ უნდა მოწმობდნენ და ყველა დაინტერესებულს განუმარტონ საუკუნო ცხოვრების ის იმედი, რომელიც თავად აქვთ (შდრ. 1პეტრ. 3, 15).

ერთგულთა საზოგადო მღვდელმსახურება და მსახურებითი (ministeriale) ანუ იერარქიული მღვდელმსახურება ერთმანეთისგან არა მხოლოდ ხარისხით განსხვავდება, არამედ არსებითაც. ამავე დროს, ისინი ურთიერთდაქვემდებარებულნი არიან: ერთიცა და მეორეც თავისებურად მონაწილეობს ქრისტეს ერთიან მღვდელმსახურებაში.¹⁶ მსახურებითი მღვდელი, იმ წმიდა ძალაუფლებით, რომელიც მას აქვს, მოძღვრავს (efformat) და წარმართავს მღვდელმსახურ ერს. ქრისტეს სახით (in persona Christi) იგი ზიარების მსხვერპლს აღასრულებს და მას ღმერთს უძღვნის მთელი ხალხის სახელით. ხოლო ერთგულნი, მათი სამეფო მღვდელმსახურების ძალით, იკრიბებიან ზიარებისას (in oblationem Eucharistii)¹⁷ და მღვდელმსახურებას ასრულებენ საიდუმლოთა (sacramentis) მიღებით, ლოცვითა და სამადლობელი ქმედებით, წმიდა ცხოვრებით, განდგომითა და ქმედითი სიყვარულით.

11. სამღვდელმსახურო საკრებულოს წმიდა და ორგანულად აგებული არსება ქმედითი ხდება როგორც საიდუმლოთა, ასევე სათნოებათა საშუალებით. ერთგულებს, რომლებიც ნათლობით ეკლესიის წევრები გახდნენ, ქრისტიანული რელიგიის ღმრთისმსახურებისთვის (ad cultum religionis christianae) შესაფერისი თვისებები აქვთ. ისინი ხელმეორედ ღმრთის შვილებად იშვებიან და კისრულობენ, რომ სარწმუნოება, რომელიც ღმრთისაგან ეკლესიის საშუალებით მიიღეს, ადამიანთა წინაშე აღიარონ (profiteri).¹⁸ მირონცხების საიდუმლოთი ისინი ეკლესიას უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან, სული წმიდის განსაკუთრებული ძალით მდიდრდებიან და, ამგვარად, როგორც ქრისტეს ჭემარტი მოწმენი, უფრო მტკიცედ იღებენ ვალდებულებას, რომ სიტყვითა და საქმითა სარწმუნოება გაავრცელონ და დაიცვან.¹⁹ ისინი მონაწილეობენ ექვარისტიულ მსხვერპლში — მთელი ქრისტიანული ცხოვრების წყაროსა და მწვერვალში. ამგვარად, მათ ღმერთთან მიაქვთ საღმრთო მსხვერპლი და, მასთან ერთად, თავისი თავიც.²⁰ მაშასადამე, როგორც ცხებით, ასევე წმიდა ზიარებით, ყველას საკუთარი წვლილი შეაქვს ლიტურგიულ ქმედებაში, თანაც არა განუზრჩველად, არამედ თითოეულს თავისებურად. შემდეგ, წმიდა ტრაპეზზე ქრისტეს სხეულით განმტკიცებულნი, ისინი კონკრეტული სახით გამოხატავენ ღმრთის ერის ერთობას, რომელსაც ეს უდიდესი საიდუმლო სათანადოდ აღნიშნავს და საოცრად განახორციელებს.

ვინც მონაწილის საიდუმლოს უახლოვდება, ღმრთისთვის მიყენებული შეურაცხყოფისათვის მისივე გულმონყალებით (misericordia) შენდობას (veniam) იღებს და, იმავე დროს, ეკლესიას შეურიგდება, რომელსაც ცოდვით ჭრილობა მიაყენა. მათი მოქცევისათვის ეკლესია იღწვის სიყვარულით, მაგალითით, ლოცვებით. სწეულთა წმიდა ცხებითა და მღვდელთა ლოცვით მთელი ეკლესია ავადმყოფებს ვნებულ და განდიდებულ უფალს მიანდობს, რათა მან ისინი გაამხნევოს და გამოიხსნას (შდრ. იაკ. 5, 14-16). მეტიც: ეკლესია მათ მოუწოდებს, ნებაყოფლო-

16 შდრ. PIUS XII, alloc. *Magnificate Dominum*, 2 nov. 1954: AAS 46 (1954), p. 669. – *Encycl. Mediator Dei*, 20 nov. 1947: AAS 39 (1947), p. 555.

17 შდრ. PIUS XI, encycl. *Miserentissimus Redemptor*, 8 maii 1928: AAS 20 (1928), p. 171 – PIUS XII, alloc. *Vous nous avez*, 22 sept. 1956: AAS 48 (1956), p. 714.

18 შდრ. S. THOMAS, *Summa Theol.* III, q. 63, a. 2.

19 შდრ. S. CYRILLUS HIEROS., *Catech.* 17, de Spiritu Sancto, II, 35-37: PG 33, 1009-1012. – NIC. CABASILAS, *De Vita in Christo*, lib. III, de utilitate chrismatis: PG 150, 569-580. – S. THOMAS, *Summa Theol.* III, q. 65, a. 3 et q. 72, a 1 და 5.

20 შდრ. PIUS XII, encycl. *Mediator Dei*, 20 nov. 1947: AAS 39 (1947), განსაკუთრებით p. 552...

ბით ეზიარონ ქრისტეს ვნებასა და სიკვდილს (შდრ. რომ. 8, 17; კოლ. 1, 24; 2 ტიმ. 2, 11-12; 1 პეტრ. 4, 13) და ღმრთის ერის საკეთილდღეოდ იღვანონ. მეორეს მხრივ, ერთგულთაგან ვისაც წმიდა ხარისხი აქვს მიღებული, მათ ქრისტეს სახელით ევალებათ, ღმრთის სიტყვითა და მადლით ეკლესია მწყემსონ. და ბოლოს, ქრისტიანი მეუღლეები, ქორწინების საიდუმლოს (sacramenti) ძალით, რომლითაც აღნიშნავენ და ეზიარებიან ერთიანობისა და ნაყოფიერი სიყვარულის საიდუმლოებას (mysterium) (შდრ. ეფეს. 5, 32), ერთმანეთს ეხმარებიან, რათა სინმიდე დაიცვან ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში, შთამომავლობის გაჩენასა და აღზრდაში. ამგვარად, თავისი ცხოვრების მდგომარეობისა და წესის სახით, მათ ღმრთის ერში საკუთარი ნიჭი (donum) გააჩნიათ (შდრ. 1 კორ. 7, 7).²¹ ამ კავშირიდან წარმოდგება ოჯახი, რომელშიც ადამიანთა საზოგადოების ახალი მოქალაქენი იბადებიან. სული წმიდის მადლით, ისინი ნათლობით ღმრთის შვილებად იქცევიან, რათა ღმრთის ერმა საუკუნეთა მანძილზე იარსებოს. ასეთ ეკლესიაში, რომელსაც ერთგვარად საოჯახო ხასიათი აქვს, მშობლები შვილებს მაგალითს უნდა აძლევდნენ სიტყვითა და საქმით: მათთვის ისინი უნდა იყვნენ რწმენის პირველი მაცნეები და ყოველი მათგანის მოწოდებას ხელი უნდა შეუწყონ, ხოლო ვინც სულიერი (sacram) საქმისთვის არის მოწოდებული, მისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა მართებთ.

გამოხსნის ასეთი საშუალებებით აღჭურვილი ყველა ქრისტიანი, როგორც არ უნდა იყოს მისი მდგომარეობა და სტატუსი, თითოეული თავისებურად, უფლის მიერ არის მოწოდებული სინმიდის იმ სრულყოფილებისაკენ, რომელიც თავად მამის სრულყოფილება არის.

12. ღმრთის წმიდა ერი მონანილებს ქრისტეს გარკვეულ წინასწარმეტყველურ ფუნქციაშიც. იგი ღმრთის ცოცხალ მოწმეობას ავრცელებს, უპირველეს ყოვლისა, სარწმუნოებრივი ცხოვრებითა და სიყვარულით, და ქების მსხვერპლს უძღვნის ღმერთს, ესე იგი ნაყოფს ბაგეთა, რომელიც მის სახელს აღიარებენ (შდრ. ებრ. 13, 15). ერთგულთა ერთობა, რომლებსაც ცხება აქვთ წმიდისგან (შდრ. 1 იოან. 2, 20 და 27), რწმენაში ვერ შეცდება: თავის ამ განსაკუთრებულ უნარს იგი ამჟღავნებს რწმენის იმ ზებუნებრივი გაგების (sensu) საშუალებით, რომელიც მთელ ერს ახასიათებს, როცა ყველა, „ეპისკოპოსებიდან უკანასკნელ საერო მორწმუნეებამდე“²² რწმენისა და ზნეობის საკითხებში საყოველთაო თანხმობას გამოხატავს. რწმენის ასეთი გაგებით, რომელსაც ჭეშმარიტების სული აღძრავს და ინახავს, ღმრთის ერი, წმიდა მოძღვრობის წინამძღოლობით, რომელსაც იგი ერთგულად ემსახურება, უკვე არა მარტო ადამიანის სიტყვას იღებს, არამედ, ჭეშმარიტად, ღმრთის სიტყვას (შდრ. 1 თეს. 2, 13). იგი ურყევად მისდევს ერთხელ და სამუდამოდ წმიდანებისთვის გადმოცემულ წმიდა სარწმუნოებას (შდრ. იუდ. 3), სწორი განსჯით მასში უფრო ღრმად იჭრება და ცხოვრებაში მას უფრო სრულად იყენებს.

გარდა ამისა, იგივე სული წმიდა არა მარტო სინმიდეებითა და მსახურებით წმიდა-ყოფს და წარმართავს ღმრთის ერს და მას სათნოებებით ამკობს, არამედ თავის ნიჭებს „განუყოფს თვითოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა ჰნებავს“ (1 კორ. 12, 11). ყველა სახის მორწმუნეს იგი უწილდებს რაღაც განსაკუთრებულ მადლს, რომლის მეშვეობით მას შესაფერისსა და მზას ხდის სხვადასხვა საქმისა და სამსახურის მიღებისთვის. ეს სასარგებლოა ეკლესიის განახლებისა და ფართო აღმშენებლობისთვის. ნათქვამია: „ხოლო თვითოეულსა ჩუენსა მიცემულ არს გამოცხადებაჲ იგი სულისაჲ უმჯობესისათჳს“ (1 კორ. 12, 7). ამ ქარიზმების მიღება, უზრუნველესისა თუ ძალიან მარტივისა და ფართოდ გავრცელებულის, მადლიერებით უნდა მოხდეს და სიმშვიდის მომგვრელი იყოს, რადგან ისინი, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის მოთხოვნებს შეესაბამება და მათთვის არის საჭირო. ხოლო განსაკუთრებულ

21 1 კორ. 7, 7: “კაცად-კაცადსა თჳსი მადლი აქუს ღმრთისაგან, რომელსამე ესრეთ და რომელსამე ეგრეთ”. შდრ. S. AUGUSTINUS, *De Dono Persev.* 14, 37: PL 45, 1015: “არა მარტო თავშეკავება (continentia) არის ღმრთის მადლი, არამედ მეუღლეთა უბინოებაც”.

22 შდრ. S. AUGUSTINUS, *De Praed. Sanct.* 14, 27: PL 44, 980.

ნიჭებს შემთხვევით არ უნდა მოველოდეთ და, თვითდაჯერებით, არც იმის იმედი გვქონდეს, რომ მათგან მოციქულთა საქმეების ნაყოფს მივიღებთ. ამ ნიჭთა ქე-შმარიტებისა და სათანადო გამოყენების განკითხვა მათი საქმეა, ვინც ეკლესიას წინამძღვრობს და ვისაც საგანგებოდ შეეფერება, სული არ დაშრიტოს, არამედ ყველაფერი გამოსცადოს და სიკეთეს მისდიოს (მდრ. 1 თეს. 5, 12 და 19-21).

13. ყველა ადამიანი მოწოდებულია იმისთვის, რომ ღმრთის ახალი ერი შეადგინოს. ამიტომ ეს ერი, რომელიც ერთადერთია, მთელ სამყაროსა და ყველა საუკუნეში უნდა გავრცელდეს, რათა აღსრულდეს ღმრთის ნების განზრახვა, რომელმაც დასაბამშივე ადამიანური ბუნება შექმნა როგორც ერთიანი და გადანწყობა შეეკრიბა თავისი გაბნეული შვილები (მდრ. იოანე 11, 52). ამისთვის მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, რომელიც დააყენა ყოვლის მემკვიდრედ (მდრ. ებრ. 1, 2), რათა იყოს ყველას მოძღვარი, მეფე და მღვდელი, ღმრთის შვილთა ახალი და საყოველთაო ერის თავი. და ბოლოს, ამისთვის მოავლინა ღმერთმა თავისი ძის სული, უფალი და ცხოველმყოფელი (Vivificantem). იგი არის მთელი ეკლესიისთვის, თითოეული და ყველა მორწმუნისათვის, შეკრებისა (congregationis) და ერთიანობის სათავე, რომელიც მოციქულთა მოძღვრებაში და ზიარებაში, პურის გატეხვასა და ლოცვებში ხორციელდება (მდრ. საქმე 2, 42).

ამგვარად, დედამიწის ყველა ხალხში არის ღმრთის ერთი ერი. ყველა ხალხიდან ღმერთი თავის მოქალაქეებს კრებს, რომლებიც ზეციური და არა მიწიერი მეუფებისა არიან. სამყაროში გაფანტული ყველა მორწმუნე სული წმიდის მიერ სხვებს ეზიარება; ამგვარად, „ვინც რომში ცხოვრობს, იცის, რომ ინდოელები მისი ასო არიან“.²³ ქრისტეს მეუფება „არა ამის სოფლისაგანი არს“ (იოან. 18, 36), ამიტომ ეკლესია ანუ ღმრთის ერი, რომელიც ამ მეუფებას ამზადებს, ამა თუ იმ ერს წარმავალი სიმდიდრიდან არაფერს აკლებს; პირიქით, იგი ინახავს და ითვისებს ერთა შესაძლებლობებს, სიმდიდრესა და თავისებურებებს, რამდენადაც ისინი კარგია, ხოლო შეთვისების შედეგად მათ განწმედს, განამტკიცებს და აღამაღლებს. მას ახსოვს, რომ იმ მეფესთან ერთად უნდა შეკრიბოს, რომელსაც ხალხი მიეცა სამემკვიდროდ (მდრ. ფს. 2, 8) და რომლის ქალაქში ძღვენი და სიუხვე მოაქვთ (მდრ. ფს. 71 (72), 10; გამოცხ. 21, 24). საყოველთაობის ეს თვისება, რომელიც ღმრთის ერს ამშვენებს, თავად უფლის ნიჭია, რომლის საშუალებით კათოლიკე ეკლესია ქმედითად და განუწყვეტლივ იღწვის, რათა თავი მოუყაროს მთელ კაცობრიობას, მისი ყველა სიმდიდრით, ქრისტეს თავქვემ, მისი სულის ერთობაში.²⁴

ამ კათოლიკობის ძალით, ცალკეულ ნაწილს თავისი ნიჭებით წვლილი შეაქვს სხვა ნაწილთა და მთელი ეკლესიის საქმეში, რათა როგორც მთელი ასევე ცალკეული ნაწილი საზრდოობდეს ყველას ურთიერკავშირითა და თანხმობით დაერთობაში განხორციელებული სისავსისკენ ისწრაფოდეს. ამიტომ ღმრთის ერი არა მარტო სხვადასხვა ხალხისგან იკრიბება, არამედ თავის თავშიც სხვადასხვა ხარისხისგან შედგება, რადგან მის ასოთა შორისაც არის მრავალფეროვნება. იგი გამოიხატება მოვალეობებში (secundum officia) (როცა ზოგიერთი წევრი წმიდა მოძღვრობის მემკვიდრით თავის ძმათა საკეთილდღეოდ იღწვის), ან გარემოებასა და ცხოვრების წყობაში (როცა მრავალნი, მოწესეთა სტატუსში მყოფნი (in statu religioso), უფრო ვიწრო გზით ისწრაფვიან სინმიდისაკენ, და ძმებს თავისი მაგალითით ამხნევენ). ამიტომ ეკლესიურ ურთიერთობაში კანონიერად თანაარსებობს ცალკეული ეკლესია: თითოეული თავის ტრადიციებს მისდევს. ამასთანავე, პირველობა ეკუთვნის პეტრეს კათედრას, რომელიც უძღვება სიყვარულის საყოველთაო კავშირს (coetui),²⁵ იცავს კანონიერ მრავალფეროვნებას და იმავე დროს ფხიზლობს, რომ ცალკეულმა წევრმა ერთიანობას ზიანი არ მოუტანოს, არამედ პირიქით, მას ემსახუროს. სწო-

23 მდრ. S. Io. CHRISOSTOMUS, *In Io.* 65, 1: PG 59, 361.

24 მდრ. S. IRENAEUS, *Adv. Haer.* III, 16, 6; III, 22, 1-3; PG 7, 925 C – 926A და 995 C – 958 A; HARVEY 2, 87 s. და 120-123; SAGNARD, *Sources Chr.*, pp. 290-292 და 372 ss.

25 მდრ. S. IGNATIUS M., *Ad Rom.*, Praef.: FUNK I, p. 252.

რედ ამის საფუძველზე იქმნება ეკლესიის სხვადასხვა ნაწილთა შორის შინაგანი ურთიერთობის ჯაჭვები, რომლებიც სულიერ სიმდიდრეს, სამოციქულო მუშაკებსა და დროებით დამხმარე საშუალებებს მოიცავს. ღმრთის ერის ასონი მოწოდებულნი არიან იმისთვის, რომ სიმდიდრე საზიარო გახადონ; სწორედ ცალკეულ ეკლესიას ეხება მოციქულის სიტყვები: „კაცად-კაცადმან, ვითარცა მიიღო მადლი, ეგრეთვე ურთიერთას ამსახურებდეთ მას, ვითარცა კეთილნი მნენი მრავალ-ფერისა მის ნიჭისა ღმრთისანი“ (1პეტრ. 4, 10).

ამგვარად, ყველა ადამიანი მოწოდებულია ღმრთის ერის ამ კათოლიკური ერთიანობისაკენ, რომელიც მოასწავებს და განაპირობებს საყოველთაო მშვიდობას. მას სხვადასხვა სახით განეკუთვნებიან თუ ექვემდებარებიან როგორც მორწმუნე კათოლიკეები, ასევე სხვები, ვისაც ქრისტე სწამს, და ბოლოს, სრულიად ყველა ადამიანი, რომელთაც ღმრთის მადლი გამოხსნისკენ მოუწოდებს.

14. წმიდა კრება თავის ფიქრს უპირველეს ყოვლისა მორწმუნე კათოლიკეებისაკენ მიმართავს. წმიდა წერილზე და გადმოცემაზე დაყრდნობით, იგი ასწავლის, რომ მსხვემი ეკლესია აუცილებელია გამოხსნისთვის. მართლაც, მხოლოდ ქრისტე არის შუამავალი და გზა, რომელსაც გამოხსნისკენ მივყავართ; თავის სხეულში, რომელიც არის ეკლესია, იგი ჩვენს თანამედროვედ იქცევა (*praesens nobis fit*). სათანადო გამოთქმებით მან ხაზი გაუსვა რწმენისა და ნათლისღების აუცილებლობას (შდრ. მარკ. 16, 16; იოან. 3, 5). ამით მან დაადასტურა ეკლესიის აუცილებლობა, რომელშიც ადამიანები ნათლისღებით, როგორც კარით, შედიან. ამიტომ ვერ იქნებიან გამოხსნილნი ის ადამიანები, რომლებმაც იციან, რომ ღმერთმა, იესო ქრისტეს მეშვეობით, დაარსა კათოლიკე ეკლესია როგორც აუცილებელი რამ, მაგრამ მასში შესვლა ან მასში დარჩენა არა სურთ.

ეკლესიის საკრებულოში (*societate*) მთლიანად ის ჩაერთვება, ვინც ფლობს ქრისტეს სულს და ვინც სრულად სცნობს ეკლესიის წყობასა და გამოხსნის ყველა იმ საშუალებას, რომელიც მასშია დადგენილი. ასეთი ადამიანები, ეკლესიის ხილული კავშირის სახით, ერთიანდებიან ქრისტესთან, რომელიც ეკლესიას უზენაესი პონტიფექსისა და ეპისკოპოსების მეშვეობით მართავს. ეს გაერთიანება ხორციელდება იმ კავშირებით, რომლებიც რწმენის აღმსარებლობას, საიდუმლოებს, საეკლესიო მმართველობასა და ზიარებას გულისხმობს. მაგრამ არ იქნებიან გამოხსნილნი ისინი (თუნდაც ეკლესიის წევრები იყვნენ), ვინც სიყვარულში მტკიცე არ არის და ეკლესიის წიაღში „სხეულით“, და არა „გულით“ იმყოფება.²⁶ ეკლესიის ყველა შვილს უნდა ახსოვდეს, რომ თავისი მდგომარეობის განსაკუთრებულობა უნდა მიაწეროს არა საკუთარ დამსახურებებს, არამედ ქრისტეს საგანგებო მადლს. ხოლო ვინც მას ფიქრით, სიტყვითა და საქმით არ პასუხობს, არათუ არ იქნება გამოხსნილი, არამედ უმკაცრესად განისჯება.²⁷

სული წმიდის ზემოქმედებით, კატეხუმენები აშკარად გამოხატავენ თავის ნებას, გახდნენ ეკლესიის წევრები. ეკლესიასთან ისინი თავად ამ სურვილის საფუძველზე ერთიანდებიან. მათ, როგორც საკუთარ შვილებს, დედა ეკლესია სიყვარულითა და მზრუნველობით შემოეკლება.

15. რიგი მიზეზების გამო, ეკლესიას მიაჩნია, რომ იგი დაკავშირებულია იმათთან, ვინც ნათელდებულია და ქრისტიანად იწოდება, თუმცა არ არის სრულყოფილად სარწმუნოების აღმსარებელი, ან არ იცავს, პეტრეს მემკვიდრის წინამძღოლობით, ზიარების ერთობას.²⁸ მრავალნი არიან, ვინც პატივს სცემს წმიდა წერილს, როგორც რწმენისა და ცხოვრების ნორმას, და ამჟღავნებს გულწრფელ სარწმუნობრივ

26 შდრ. S. AUGUSTINUS, *Bapt. c. Donat.* V, 28, 39: PL 43, 197: “სრულიად ცხადია, რომ გამოთქმაში: ‘ეკლესიაში – მის შიგნით და გარეთ’, გული, და არა სხეული უნდა ვიგულისხმოთ”. – შდრ. იქვე, III, 19, 26: col. 152; V, 18, 24: col. 189; *In Io.* Tr. 61, 2: PL 35, 1800 და სხვა.

27 შდრ. ლუკ. 12, 48: “რამეთუ ყოველსა რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა იძიოს მისგან”. – შდრ. აგრეთვე მათ. 5, 19-20; 7, 21-22; 25, 41-46; იაკ. 2, 14.

28 შდრ. LEO XIII, *epist. apost. Praeclara gratulationis*, 20 iun. 1894: ASS 26 (1893-94), p. 707.

გულმოდგინებას. მათ გულით სწამთ მამა ღმერთი, ყოვლის შემძლე, და ქრისტე, ძე ღმრთისა, მაცხოვარი.²⁹ მათ ნათლობის ნიშანი აქვთ, რომლითაც ქრისტეს უერთდებიან და სცნობენ და იღებენ კიდევ სხვა საიდუმლოებს თავის ეკლესიებში ან საეკლესიო საკრებულოებში. მათ შორის მრავალს საეპისკოპოსო გააჩნია, ისინი წმიდა ზიარებას ასრულებენ და ქალწულ ღმრთისმშობელს თავყვანს სცემენ.³⁰ ამას ემატება ზიარება ლოცვებისა და სხვა სულიერ სიკეთეებში (*beneficiorum*), და კიდევ ჭეშმარიტი ერთობა სული წმიდის მიერ. ნიჭისა და მადლის საშუალებით, სული წმიდა მათში მოქმედებს თავისი წმიდადმყოფელი ძალით; მან ზოგიერთს თავგანწირვის ძალაც მისცა. ამგვარად, ქრისტე ყველა მონაფეში აღძრავს სურვილსა და ქმედებას, რათა ყველანი მშვიდობიანად გაერთიანდნენ ერთ სამწყსოში, ერთი მწყემსის წინამძღოლობით, როგორც ეს ქრისტემ დაადგინა.³¹ ამის მისაღწევად დედა ეკლესიას არ შეუწყვეტია ვედრება, იმედი და მოქმედება. იგი შვილებს ამხნევებს, რომ განიწმიდონ და განახლდნენ, რათა ეკლესიის სახეზე უფრო ნათლად გაბრწყინდეს ქრისტეს ნიშანი.

16. დაბოლოს, ღმრთის ერს თავისებურად ისიც განეკუთვნება, ვისაც სახარება ჯერ არ მიუღია.³² ეს, უპირველეს ყოვლისა, ის ერია, ვისაც მიეცა აღთქმები და დაპირებები და ვისგანაც ქრისტე ხორციელად გამოვიდა (შდრ. რომ. 9, 4-5). ეს ერი უძვირფასესია არჩევანის შედეგად, მამათა გამო, რადგან ღმრთის ნიჭმა და მოწოდებამ სინანული არ იცის (შდრ. რომ. 11, 28-29). მაგრამ გამოხსნის ნება იმათაც მოიცავს, ვინც შემოქმედს აღიარებს. მათ შორის უპირველეს ყოვლისა მუსულმანები არიან, ვინც აბრაამის სარწმუნოებას მისდევს და, ამდენად, ჩვენთან ერთად თავყვანს სცემს ერთ ღმერთს, მონყალეს, რომელიც განსჯის ადამიანებს უკანასკნელ დღეს. არც სხვებისთვის, ვინც ჩრდილებსა და სახეებში უცნობ ღმერთს ეძებს, ღმერთი შორს არ არის. ღმერთი ყველას ანიჭებს ცხოვრებას, სუნთქვასა და სხვა ყველაფერს (შდრ. საქმე 17, 25-28), რადგან მხსნელს სურს, რომ ყველა ადამიანი გამოხსნილი იყოს (შდრ. 1ტიმ. 2, 4). საუკუნო გამოხსნას შეიძლება ისეთმა ადამიანმაც მიაღწიოს, ვინც უნებლიედ არ იცნობს ქრისტეს სახარებას და მის ეკლესიას, და მანაც გულწრფელად ეძიებს ღმერთს და, მადლის ზემოქმედებით, ცდილობს, ღმრთის ნება საქმით აღასრულოს, ისე, როგორც ამას სინდისი უკარნახებს და ამცნობს.³³ საღმრთო განგება გამოხსნისთვის აუცილებელ შემწეობას არც იმათ მოაკლებს, ვისაც უნებურად ჯერ ცხადად არ უცვნიან ღმერთი, მაგრამ, ღმრთის მადლით, ცდილობს, სწორად იცხოვროს. რაც კი მათთან კეთილი და ჭეშმარიტია, ეკლესიას მიაჩნია სახარებისთვის მზადებად (*praeparatio evangelica*)³⁴ და იმისგან საჩუქრად, ვინც ყველა ადამიანს აცისკროვნებს, რათა მათ, საბოლოოდ, სიცოცხლე შეიძინონ. ხშირად ხდება, რომ ადამიანები, რომლებიც ბოროტმა შეაცდინა, „ამაო იქმნეს გულის ზრახვითა მათითა“. მათ „გარდაცვალებს ჭეშმარიტება ღმრთისაჲ სიცრუევდ და ჰმსახურებდეს დაბადებულთა“ ნაცვლად დამბადებლისა (შდრ. რომ. 1, 21 და 25), ანუ ისინი ცხოვრობენ და კვდიებიან ამ სამყროში უღმრთოდ, უკიდურესი უიმედობისთვის განწირულნი. ამიტომ ახსოვს ეკლესიას, რომელიც ზრუნავს ღმრთის დიდებისთვის და ყველა მათგანის გამოხსნისათვის, განკარგულება უფლისა, რომელმაც თქვა: „უქადაგეთ სახარებაჲ ყოველსა დაბადებულსა“ (მარკ. 16, 15), და იგი გულმოდგინედ ზრუნავს მისიათა ხელშეწყობისთვის.

29 შდრ. LEO XIII, *encycl. Satis cognitum*, 29 iun. 1896: ASS 28 (1895-96), p. 738. – *Encycl. Caritatis studium*, 25 iul. 1898: ASS 31 81898-99), p. 11. – PIUS XII, *nuntius radioph. Nell'alba*, 24 dec. 1941: AAS 34 (1942), p. 21.

30 შდრ. PIUS XI, *encycl. Rerum Orientalium*, 8 sept. 1928: AAS 20 (1928), p. 287. – PIUS XII, *encycl. Orientalis Ecclesiae*, 9 apr. 1944: AAS 36 (1944), p. 137.

31 შდრ. instr. S. S. C. S. Officii, 20 dec. 1949: AAS 42 (1950), p. 142.

32 შდრ. S. THOMAS, *Summa Theol.* III, q. 8, a. 3, ad 1.

33 შდრ. *epist. S. S. C. S. OFFICII* ad Archiep. Boston.: DENZ. 3869-72.

34 შდრ. EUSEBIUS CAES., *Praeparatio Evangelica*, 1, 1: PG 21, 28 AB.

17. როგორც ძე იქნა მამისგან მოვლენილი, ასევე მოავლინა მან მოციქულები (შდრ. იოან. 20, 21) და უთხრა: „მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნეთელსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ (მათ. 28, 19-20). ქრისტეს ეს დიდებული დავალება, რომელიც გამოხსნის ჭეშმარიტებას აუწყებს, ეკლესიამ მიიღო მოციქულებისგან, რათა იგი აღესრულებინა „ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა“ (საქმე 1, 8). მან გაითავისა მოციქულთა სიტყვები: „ვაჲ... ჩემდა, არა თუ ვახარებდე!“ (1კორ. 9, 16). ამიტომ იგი განუწყვეტილად წარგზავნის მაცნეებს, სანამ არ მოხდება ახალი ეკლესიების სრული დაფუძნება და ისინი სახარების საქმეს თვითონ არ განაგრძობენ. სული წმიდა უბიძგებს მათ თანამშრომლობისკენ, რათა ნაყოფიერად აღსრულდეს ღმრთის განზრახვა, რომელმაც ქრისტე დაადგინ მთელი სამყაროსათვის გამოხსნის საწყისად (*principium*). სახარების ქადაგებით ეკლესია იზიდავს მსმენელებს რწმენისკენ და რწმენის აღმსარებლობისკენ, განაწყობს ნათლობისკენ, გადაარჩენს შეცდომის მონობისგან და მათ ქრისტეს უკავშირებს, რათა ისინი სიყვარულის გზით ქრისტეს მიერ გაიზარდონ და სისრულეს მიაღწიონ. მან თავისი საქმეები აღასრულა, რათა ის სიკეთე, რომელიც დათესილია ადამიანთა გულსა და გონებაში ან მათ წესებში და ერის კულტურაში არა თუ არ დაიღუპოს, არამედ გაჯანსაღდეს, გაიზარდოს და სრულყოფილი გახდეს ღმრთის სადიდებად, ეშმაკის შესარცხვენად და ადამიანის საკეთილდღეოდ. ქრისტეს ყველა მონაფის ვალია, იტივრთოს, თავის მხრივ, რწმენის გავრცელება.³⁵ მაგრამ თუ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მონათლოს მორწმუნენი, მღვდლის საქმეა, რომ სხეულის აღმშენებლობა ზიარების მსხვერპლით განახორციელოს, რათა აღსრულდეს ღმრთის სიტყვები: „დიდი იქნება ჩემი სახელი ხალხებში მზის აღმოსავლეთიდან დასავლამდე; ყოველ ადგილას დაუკმევენ საქმეველს ჩემს სახელს და წმიდა ძღვენს შემომწირავენ“ (მალ. 1, 11).³⁶ ამგვარად, ეკლესია ერთდროულად ლოცულობს და შრომობს, რათა მთელი სამყაროს სისავსე გადავიდეს ღმრთის ერში, უფლის სხეულში და სული წმიდის ტაძარში, და ქრისტეში, რომელიც ყველას თავია, დაბრუნდეს ყოველივეს შემოქმედისა და მამის ღირსება და დიდება.

თავი III ეკლესიის იერარქიული აგებულება, კერძოდ, საეპისკოპოსო

18. ღმრთის ერის სამწყსოდ და მუდამ გასამრავლებლად, უფალმა ქრისტემ თავის ეკლესიაში შექმნა სხვადასხვა მსახურება (*ministeria*), მთელი სხეულის კეთილდღეობისთვის განკუთვნილი. წმიდა ძალაუფლების მქონე მსახურნი თავის ძმებს ემსახურებიან, რათა ღმრთის ერის ყველა წევრმა, ნამდვილი ქრისტიანული ღირსების მქონემ, ერთი და იმავე მიზნისკენ ერთად, თავისუფლად და თანმიმდევრულად ისწრაფოს და გამოხსნას მიაღწიოს.

ეს წმიდა კრება მიჰყვება ვატიკანის პირველი კრების კვალს და მასთან ერთად ასწავლის და განაცხადებს, რომ იესო ქრისტემ, საუკუნო მწყემსმა, ააშენა წმიდა ეკლესია. მან მოავლინა მოციქულები, როგორც თავად იქნა მოვლინებული მამისაგან (შდრ. იოან. 20, 21). ქრისტემ ინება, რომ მოციქულთა მემკვიდრეები, ესე იგი ეპისკოპოსები, მის ეკლესიაში საუკუნეთა აღსასრულამდე მწყემსობდნენ. თავად საეპისკოპოსო ერთიანი და განუყოფელი რომ ყოფილიყო, მან სხვა მოციქულთა სათავეში ნეტარი პეტრე დააყენა და მისი სახით შექმნა რწმენისა და ზიარების ერთი-

35 შდრ. BENEDICTUS XV, *epist. apost. Maximum illud*: AAS 11 (1919), p. 440, განსაკ. pp. 451 ss. – PIUS XI, *encycl. Rerum Ecclesiae*: AAS 18 (1926), pp. 68-69. – PIUS XII, *encycl. Fidei Donum*, 21 apr. 1957: AAS 49 (1957), pp. 236-237.

36 შდრ. Didache, 14: FUNK I, p. 32. – S. IUSTINUS, *Dial.* 41: PG 6, 564. – S. IRENAEUS, *Adv. Haer.* IV, 17, 5: PG 7, 1023; HARVEY, 2, pp. 199 s. – CONC. TRID., Sess 22, cap. 1: DENZ. 939 (1742).

ნობის უწყვეტი და ხილული საწყისი და საძირკველი.³⁷ წმიდა კრება ხელახლა წარუდგენს ყველა მორწმუნეს ამ მოძღვრებას, რათა მისი მტკიცედ სწამდეთ. მოძღვრება ეხება რომის პონტიფექსის წმიდა პირველობას (Primatus), მის აგებულებას (institutione), უწყვეტობას, ძლიერებასა და შინაარსს, აგრეთვე მის უცთომელ მოძღვრობას, რათა მისი მტკიცედ სწამდეთ. კრება ამ წამოწყებას განაგრძობს და ადგენს, რომ ყველას წინაშე განცხადდეს და განიმარტოს ეპისკოპოსთა – მოციქულთა მემკვიდრეთა შესახებ მოძღვრება, რომელნიც პეტრეს მემკვიდრეს — ქრისტეს ნაცვალსა (Vicario)³⁸ და მთელი ეკლესიის ხილულ თავთან ერთად, ცხოველი ღმრთის სახლს მართავენ.

19. უფალმა იესომ მამისადმი ლოცვა აღავლინა და მოუწოდა მათ, ვინც თავად ისურვა. მათგან მან თორმეტი დააყენა, რათა მასთან ყოფილიყვნენ და რათა ისინი წარეგლინა ღმრთის სასუფეველის საქადაგოდ (შდრ. მარკ. 3, 13-19; მათ. 10, 1-42). ამ მოციქულებს (შდრ. ლუკ. 6, 13) უფალმა კოლეგიის (collegii) ანუ მყარი კავშირის სახე მისცა, რომელსაც სათავეში მათგან რჩეული პეტრე დაუყენა (შდრ. იოან. 21, 15-17). მან წარგზავნა ისინი ჯერ ისრაელის შვილებთან და ყველა ერთან (შდრ. რომ. 1, 16), რათა მოციქულებს, რომელნიც მის ძალაუფლებას იყვენ ზიარებულნი, ყველა ხალხი მის მონაფედ გაეხადათ, მათთვის ნათელი ეცათ და ისინი წარემართათ (შდრ. მათ. 28, 16-20; მარკ. 16, 15; ლუკ. 24, 45-48; იოან. 20, 21-23). ამგვარად, მათ ეკლესია უნდა განევრცოთ და, უფლის წინამძღოლობით, მისთვის მწყემსობით ემსახურათ, ყოველ დღე საუკუნის აღსასრულამდე (შდრ. მათ. 28, 20). ამ მისიისთვის ისინი სრულად დამტკიცდნენ ორმოცდამეათე დღეს (შდრ. საქმე 2, 1-26), უფლის აღთქმის თანახმად: „მოილოთ ძალი მოსლვადა სულისა წმიდისასა თქვენ ზედა, და იყვნეთ ჩემდა მონამე იერუსალჴმს და ყოველსა ჰურთასტანსა და სამარიასა და ვიდრე დასასრულამდე ქუეყანისა“ (საქმე 1, 8). სახარების ყველგან ქადაგებით (შდრ. მარკ. 16, 20), რომელსაც მსმენელნი სული წმიდის ზემოქმედებით ითვისებენ, მოციქულები კრებენ საყოველთაო ეკლესიას, რომელიც უფალმა მოციქულებში აავო და მათ მეთაურ ნეტარ პეტრეზე აღმართა, რომლის თავსაკიდური ქვა თავად იესო ქრისტეა (შდრ. გამოცხ. 21, 14; მათ. 16, 18; ეფეს. 2, 20)³⁹.

20. ეს საღმრთო მისია, ქრისტეს მიერ მოციქულთათვის მინდობილი, საუკუნის აღსასრულამდე გაგრძელდება (შდრ. მათ. 28, 20), რადგან სახარება, რომელიც მათ უნდა გადმოსცენ, ეკლესიისთვის ყოველთვის არის ცხოვრების დასაბამი. ამიტომ მოციქულებმა იზრუნეს იმისათვის, რომ ამ იერარქიულად მონესრიგებულ საზოგადოებაში მემკვიდრეები დაედგინათ.

მოციქულებს მსახურებაში (ministerio) სხვადასხვა დამხმარე ჰყავდათ.⁴⁰ მათთვის მინდობილი მისია მათი სიკვდილის შემდეგაც რომ გაგრძელდებოდა, მათ თითქოსდა უანდერძეს თავის უშუალო თანამშრომლებს, რომ საქმე, რომელიც თავად დაიწყეს, მათ აღესრულათ და განემტკიცათ⁴¹, და მთელი სამწყსოსთვის ემეთვალყურათ, რომლის ნიაღში ისინი სული წმიდამ ღმრთის ეკლესიის სამწყსოდ დაადგინა (შდრ. საქმე 20, 28). ასეთ ადამიანებს დააკისრეს მოციქულებმა ეს საქმე და მას მერე წესად შემოიღეს, რომ მათი გარდაცვალების შემდეგ მათი სამსა-

37 შდრ. CONC. VAT. I, Sess. 4 Const. dogm. *Pastor aeternus*: DENZ. 1821 (3050 s.)

38 შდრ. CONC. FLOR., Decretum pro Graecis: DENZ. 694 (1307) და CONC. VAT. I, ib.: DENZ. 1826.

39 შდრ. *Liber sacramentorum* S. GREGORII, Ptaef. in natali S. Mathiae et S. Thomae: PL 78, 51 და 152; შდრ. Cod. Vat. lat. 3548, f. 18. – S. HIALRIUS, *In Ps.* 67, 10: PL 9, 450; CSEL 22, p. 286. – S. HIERONYMUS, *Adv. Iovin.* 1, 26: PL 23, 247 A. – S. AUGUSTINUS, *In Ps.* 86, 4: PL 37, 1103. – S. GREGORIUS M., *Mor. in iob.* XXVIII, V: PL 76, 455-456. – PRIMASIUS, *Comm. in Apoc.* V: PL 68, 924 BC. – PASCHASIUS RADB., *In MT.* L. VIII, cap. 16: PL 120, 561 C. – Cf. LEO XII, epist. *Et sane*, 17 dec. 1888: ASS 21 (1888), p. 321.

40 შდრ. საქმე 6, 2-6; 11, 30; 3, 1; 14, 23; 20, 17; 1 თეს. 5, 12-13; ფილ. 1, 1; კოლ. 4, 11 და სხვა.

41 შდრ. საქმე 20, 25-27; 2 ტიმ. 4, 6, 1 ტიმ. 5, 22; 2 ტიმ. 2, 2; ტიტ. 1, 5. – S. CLEM. ROM., *Ad Cor.* 44, 3: FUNK I, p. 156.

ხური სხვა გამოცდილ ადამიანებს უნდა გაენათ.⁴² სხვადასხვა მსახურებას შორის, რომლებიც ეკლესიაში ძველი დროიდან სრულდება, მთავარი ადგილი, გადმოცემის თანახმად, იმათ ფუნქციას (munus) უკავია, ვინც საეპისკოპოსოშია დამკვიდრებული (რომელიც იმთავითვე მემკვიდრეობით გადაეცემა)⁴³ და ვინც სამოციქულო თესლებიდან მიღებულ ყლორტებს ფლობს.⁴⁴ ამგვარად, როგორც წმიდა ირინეოსი მონმობს, სამოციქულო გადმოცემა მთელს სამყაროში ცხადდება⁴⁵ და ინახება იმათ საშუალებით, ვინც მოციქულებმა ეპისკოპოსებად დააყენეს და ვინც დღემდე მათი მემკვიდრეები არიან.

მაშასადამე, საკრებულოს მსახურება ეპისკოპოსებს დაეკისრა მათ დამხმარებთან – მღვდლებსა (presbyteris) და დიაკონებთან ერთად.⁴⁶ ისინი იქ დგანან, სადაც ღმრთის ადგილია, და სამწყსოს წინამძღოლობენ,⁴⁷ რომლის მწყემსნიც არიან, როგორც მოძღვრების მასწავლებლები, საღმრთო მსახურების მღვდელნი (sacri cultus sacerdotes) და მმართველობის მსახურნი (gubernationis ministri).⁴⁸ როგორც მუდმივად არსებობს ფუნქცია, უფლისგან პირადად პეტრესთვის, მოციქულთაგან პირველისთვის, გადაცემული, რომელიც მის მემკვიდრეებსაც უნდა გადაეცეს, ასევე მუდმივად არსებობს მოციქულთა ფუნქცია: ისინი ეკლესიას უნდა მწყემსობდნენ, რისი უწყვეტად აღსრულება ეპისკოპოსთა წმიდა ხარისხმა (ordine) უნდა უზრუნველყოს.⁴⁹ ამიტომ ასწავლის წმიდა კრება, რომ საღმრთო განწესებით ეპისკოპოსები, როგორც ეკლესიის მწყემსები, მოციქულთა მემკვიდრენი არიან.⁵⁰ ვინც მათ უსმენს, ქრისტეს ისმენს, ხოლო ვინც მათ უარყოფს, უარყოფს ქრისტეს და მასაც, ვინც ქრისტე მოავლინა (შდრ. ლუკ. 10, 16).⁵¹

21. მაშასადამე, ეპისკოპოსთა სახით, რომელთაც მღვდლები (presbyteri) ეხმარებიან, მორწმუნეთა გარემოში, მათ გვერდით, დგას უფალი იესო ქრისტე, უზენაესი პონტიფექსი (Pontifex Summus). მამა ღმრთის მარჯვენით მჯდომარე, იგი თავისი მღვდელმთავრების საკრებულოს (congregatione)⁵² მოწყვეტილი არ არის, არამედ სწორედ მათი განსაკუთრებული მსახურების საშუალებით ყველა ერს უქადაგებს ღმრთის სიჭყვას და მორწმუნეებს ამცნობს (administrat) რწმენის საიდუმლოებს (sacramenta). მათი მამობრივი ფუნქციის საფუძველზე (შდრ. 1 კორ. 4, 15) უზენაესი აღორძინების შედეგად იგი თავის სხეულს ახალ ასოებს უმატებს, და ბოლოს, მათი სიბრძნითა და ცოდნით უძღვება და წარმართავს ახალი აღთქმის ხალხს მის მსხემობაში (peregrinatione) საუკუნო ნეტარებისკენ. ეს მწყემსები, რჩეულნი იმისათვის, რომ უფლის სამწყსოს გაუძღვნენ, არიან ქრისტეს მსახურნი და ღმრთის საიდუმლოებათა (mysteriorum) მნენი (შდრ. 1 კორ. 4, 1), რომელთაც დაეკისრა ღმრთის მადლის სახარების დამონება (შდრ. რომ. 15, 16; საქმე 20, 24), სული წმიდის მსახურება და გამართლება დიდებით (შდრ. 2 კორ. 3, 8-9).

ასეთი დიდი მოვალეობის შესასრულებლად ქრისტემ მოციქულები დაასაჩუქრა გარდამომავალი სული წმიდის განსაკუთრებული გამოსვლით (effusione) (შდრ. საქ-

42 S. CLEM. ROM., *Ad Cor.* 44, 2: FUNK I, pp. 154s.

43 შდრ. TERTULLIANUS, *Praescr. Haer.* 32: PL 2, 52 s. – S. IGNATIUS M., ბევრგან.

44 შდრ. TERTULLIANUS, *Praescr. Haer.* 32: PL 2, 53.

45 შდრ. S. IRENAEUS, *Adv. Haer.* III, 3, 1: PG 7, 848 A; HARVEY 2, 8; SAGNARD, *Sources chret.*, pp. 100 s: “manifestatam”.

46 S. IGNATIUS M., *Philad.*, Praef.: FUNK I, p. 264.

47 S. IGNATIUS M., *Philad.*, 1, 1; *Magn.* 6, 1: FUNK I, 264 და 234.

48 S. CLEM. ROM., *l.c.*, 42, 3-4; 44, 3-4; 57, 1-2: FUNK I, 152, 156, 171 s. – S. IGNATIUS M., *Philad.* 2; *Smyrn.* 8, *Magn.* 3; *Trall.* 7: FUNK I, pp. 265s.; 282; 232; 246 s. etc. – S. IUSTINUS, *Apoli.* 1, 65; PG 6, 428. – S. CYPRIANUS, *Epist.* passim.

49 შდრ. LEO XIII, encycl. *Satis cognitum*, 29 jun. 1896: ASS 28 (1895-96), p. 732.

50 შდრ. CONC. TRID., Sess. 23, Decr. *de sacr. Ordinis*, cap. 4: DENZ. 960 (1768). – CONC. VAT. I, Sess. 4, Const. Dogm. 1 *De Ecclesia Christi*, cap. 3: DENZ. 1828 (3061). – PIUS XII, encycl. *Mystic. Corporis*, 29 iun. 1943: AAS 35 (1943), pp. 209 et 212. – *Cod. Iur. Can.*, c. 329 §1.

51 შდრ. LEO XIII, epist. *Et sane*, 17 dec. 1888: ASS 21 (1888), pp. 321 s.

52 S. LEO M., *Serm.*, 5, 3: PL 54, 154.

მე 1, 8; 2, 4; იოან. 20, 22-23). მათ თავადაც გადასცეს ხელდასხმით თავის დამხმარეებს სულიერი მადლი (შდრ. 1ტიმ. 4, 14; 2ტიმ. 1, 6-7), რომელიც ჩვენს დროშიც გადაიცემა საეპისკოპოსო ხელდასხმისას (consecratione)⁵³. წმიდა კრება ასწავლის, რომ საეპისკოპოსო ხელდასხმით (consecratione episcopali) გადმოიცემა ხარისხის (Ordinis) საიდუმლოს სისავსე, რაც, ეკლესიის ლიტურგიული ჩვევისა და წმიდა მამების სიტყვათა თანახმად, იწოდება უზენაეს მღვდლობად, წმიდა მსახურების ერთობლობად (summum sacerdotium, sacri ministerii summa)⁵⁴. საეპისკოპოსო ზიარება, წმიდაყოფის (sanctificandi) ფუნქციასთან ერთად, გადასცემს აგრეთვე სწავლებისა და მართვის ფუნქციასაც, რომელთა მოქმედებაში მოყვანა შეიძლება მხოლოდ კოლეგიის თავთან და წევრებთან იერარქიულ კავშირში. გადმოცემის საფუძველზე, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ლიტურგიული წესებით დასტურდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიაში, ცხადი ხდება, რომ ხელდასხმითა და ზიარების სიტყვებით გადაიცემა სული წმიდის მადლი და დაისმევა წმიდა ბეჭედი (sacrum characterem ita imprimi)⁵⁵, რათა ეპისკოპოსებმა განსაკუთრებულად და თვალნათლივ თავად ქრისტეს – მოძღვრის, მწყემსისა და პონტიფექსის ადგილი დაიკავონ და მისი პირით იმოქმედონ (in Eius persona agent).⁵⁶ ეპისკოპოსთა საქმეა, საეპისკოპოსო სხეულს ახალი რჩეულები შემატონ ხარისხის საიდუმლოს გზით (per Sacramentum Ordinis).

22. უფლის გადაწყვეტილებით, წმიდა პეტრე და სხვა მოციქულები ერთ სამოციქულო კოლეგიას შეადგენენ. მსგავსი სახით (pari ratione) ერთმანეთთან დაკავშირებული არიან რომის პონტიფექსი, პეტრეს მემკვიდრე, და ეპისკოპოსები, მოციქულთა მემკვიდრენი. ძალიან ძველი დისციპლინა, რომლის თანახმად მთელს მსოფლიოში განთავსებული ეპისკოპოსები ერთმანეთთან და რომის ეპისკოპოსთან ურთიერთობენ და ერთიანობის, სიყვარულისა და მშვიდობის კავშირით არიან შეკრულნი,⁵⁷ აგრეთვე კრებები,⁵⁸ რომლებზეც მნიშვნელოვან საკითხებს ერთად წყვეტდნენ⁵⁹ და მრავალთა აზრი ერთობლივად აიწონებოდა,⁶⁰ — ყოველივე ეს მიაწინებს საეპისკოპოსო ხარისხის კოლეგიალურ თვისებასა და შინაარსზე. ამას ადასტურებს მსოფლიო კრებები, საუკუნეთა მანძილზე რომ ტარდება. ამას აღნიშნავს ადრევე შემოღებული წესი, რომლის თანახმად მრავალ ეპისკოპოსს ინვევენ, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ იმ დანიშნულებაში, რომლითაც ახალარჩეული უზენაეს სამღვდელო სამსახურში შედის. საეპისკოპოსო კორპუსის წევრებად ხდებიან საიდუმლო ხელდასხმის ძალითა და კოლეგიის მეთავესთან და წევრებთან იერარქიული ურთიერთობით.

კოლეგია ანუ ეპისკოპოსთა კორპუსი ძალაუფლებას ფლობს მხოლოდ რომის პონტიფექსთან ერთად, რომელიც პეტრეს მემკვიდრეა და ამ კოლეგიის თავია. ხელ-

53 CONC. TRID., Sess. 23 cap. 3 დამონმებულია 2ტიმ. 1, 6-7, რათა ცხადი იყოს, რომ ხარისხი (Ordinem) ნამდვილი საიდუმლოა. DENZ. 959 (1766).

54 Trad. Apost. 3: BOTTE, *Sources Chr.*, pp. 27-30-ში ეპისკოპოსს განეკუთვნება “მღვდლობის პირველობა”. — შდრ. *Sacramentum Leonianum*: C. MOHLBERG, *Sacramentarium Veronese*, Romae, 1955, p. 119: “უზენაესი მღვდლობის მსახურს... აღასრულე შენს მღვდლებში შენი საიდუმლოს მთლიანობა”. — მისივე, *Liber Sacramentorum Romanae Ecclesiae*, Romae, 1960, pp. 121-122: “მეიცი მათ, უფალო, საეპისკოპოსო კათედრა შენი ეკლესიისა და მთელი ხალხის სამართავად”. შდრ. PL 78, 224.

55 CONC. TRID., Sess. 23, cap. 4 ასწავლის, რომ ხარისხის საიდუმლო სვამს წარუშლელ ბეჭედს: DENZ, 960 (1767). — შდრ. IOANNES XXIII, alloc. *Iubilate Deo*, 8 maii 1960: AAS 52 (1960), p. 466. — PAULUS VI, hom. in Bas. Vatic., 20 oct. 1963: AAS 55 (1963), p. 1014.

56 S. CYPRIANUS, *Epist.* 63, 14: PL 4, 386; CSEL (Hartel) III B, p. 713: “მღვდელი მართლაც ქრისტეს ენაცვლება”. — S. IO. CHRYSOSTOMUS, *In 2 Tim.* Hom. 2, 4: PG 62, 612: მღვდელი ქრისტეს “სიმბოლოა”. — S. AMBROSIIUS, *In Ps.* 38, 25-26: PL 14, 1051-52; CSEL 64, 203-204. — AMBROSIASTER, *In 1 Tim.* 5, 19: PL 17, 479 C და 503. — HESYCHIUS HIEROS., *In Lev.* L. 2, 9, 23: PG 93, 894 B.

57 შდრ. EUSEBIUS, *Hist. Eccl.*, V, 24, 10: GCS II, 2, pp. 638 s.; BARDY, *Sources Chr.* II, p. 69. — DIONYSIUS, apud EUSEBIUM, *ib.* VII, 5, 2: GCS II, 2, pp. 638 s.; BARDY, II, pp. 168 s.

58 ძველი კრებების შესახებ შდრ. EUSEBIUS, *Hist. Eccl.* V, 23-24: GCS II, 1, pp. 488 ss.; BARDY, II, pp. 66 ss. et passim. — CONC. NICAENUM, Can. 5: *Conc. Oec. Decr.*, p. 7.

59 TERTULLIANUS, *De Ieiunio*, 13: PL 2, 972 B; CSEL 20, p. 292, lin.

60 S. CYPRIANUS, *Epist.* 56, 3: CSEL (Hartel) III B, p. 650; BAYARD, p. 154.

შეუხებია მისი პირველობის ძალა როგორც მწყემსთა, ისე მორწმუნეთა მიმართ. თავისი თანამდებობის გამო, ე. ი. როგორც ქრისტეს ნაცვალი და ერთიანი ეკლესიის მწყემსი, რომის პონტიფექსი ფლობს სრულ, უზენაეს და საყოველთაო ძალაუფლებას, რომელიც ყოველთვის თავისუფლად შეუძლია განახორციელოს. ეპისკოპოსთა ხარისხი მოციქულთა კოლეგიის მემკვიდრეა სამღვდლო მოძღვრობასა და მართვაში. მასში მუდამ იმყოფება სამოციქულო სხეული, ერთიანი მის თავთან: რომის პონტიფექსთან, რომლის გარეშე ის არასოდეს არსებობს; ამდენად, ეს საეპისკოპოსო სხეულიც წარმოადგენს მთელ ეკლესიაში უზენაესი და სრული უფლებამოსილების სუბიექტს⁶¹, თუმცა ამ უფლებამოსილების გამოყენება შეიძლება მხოლოდ (nonnisi) რომაელი პონტიფექსის თანხმობით. უფალმა მარტო სიმონი დააყენა ეკლესიის კლდე (petram) და მის კლიტეთა მფლობელად (შდრ. მათ. 16, 18-19), და დააყენა იგი მთელი თავისი ფარის მწყემსად (შდრ. იოან. 21, 15...). რაც შეეხება შეკვრისა და განხსნის ფუნქციას, რომელიც პეტრეს დაეკისრა (მათ. 16, 19), იგი უდაოდ მიენიჭა მოციქულთა კოლეგიასაც, რომელიც მის მეთავესთან ერთიანია (მათ. 18, 18; 28, 16-20)⁶². ეს კოლეგია, ერთის მხრივ, მრავალი წევრისგან შედგება და ღმრთის ერის მრავალწევრობებასა და საყოველთაობას გამოხატავს, ხოლო მეორეს მხრივ, მას ერთი მეთავე წარმართავს, რაც ქრისტეს სამწყსოს ერთიანობას გამოხატავს. მასში ეპისკოპოსები ერთგულად იცავენ იმ პირველობასა და მესვეურობას, რომელიც მათ მეთავეს ეკუთვნის, და იმავე დროს თავის საკუთარ უფლებამოსილებას განახორციელებენ თავის ერთგულთა და მთელი ეკლესიის საკეთილდღეოდ, რომლის ორგანულ სტრუქტურასა და თანხმობას განუწყვეტილად განამტკიცებს სული წმიდა. საყოველთაო ეკლესიაში უზენაესი ძალა, რომლითაც მოქმედებს ეს კოლეგია, საზეიმოთ სრულდება მსოფლიო კრებაზე. მსოფლიო კრება ტარდება იმ შემთხვევაში, თუ ის პეტრეს მემკვიდრის მიერ იქნა დამტკიცებული ან მიღებული მაინც. რომის პონტიფექსის პრეროგატივაა ამ კრების მოწვევა, მისი თავმჯდომარეობა და მისი დამტკიცება⁶³. კოლეგიალური უფლებამოსილება შეიძლება განხორციელდეს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში განსახლებულ ეპისკოპოსთა მიერ პაპთან ერთად, იმ შემთხვევაში, თუ კოლეგიის თავი მათ კოლეგიალური ქმედებისკენ მოუწოდებს, ან თუნდაც დათანხმება ან თავისუფლად მიიღებს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ეპისკოპოსთა ერთიან მოქმედებას, რომ ამგვარად განხორციელდეს ჭეშმარიტად კოლეგიალური ქმედება.

23. კოლეგიალური ერთიანობა ვლინდება თითოეული ეპისკოპოსის მიმართებაში ცალკეულ ეკლესიებსა და მსოფლიო ეკლესიასთან. რომის პონტიფექსი, როგორც პეტრეს მემკვიდრე, არის როგორც ეპისკოპოსთა, ასევე ერთგულთა სიმრავლის ერთიანობის მუდმივი და ხილული სათავე და საფუძველი.⁶⁴ რაც შეეხება თითოეულ ეპისკოპოსს, ის მისი ეკლესიის ერთიანობის ხილული სათავე და საფუძველია.⁶⁵ ცალკეული ეკლესიები საყოველთაო ეკლესიის ხატად არის შექმნილი: მათში და მათ მიერ არსებობს ერთი და ერთადერთი კათოლიკე ეკლესია⁶⁶. ამიტომ თითოეული ეპისკოპოსი განსახიერებს თავის ეკლესიას, ხოლო ყველანი, პაპთან ერთად, წარმოადგენენ მთლიან ეკლესიას მშვიდობის, სიყვარულისა და ერთიანობის კავშირში. თითოეული ეპისკოპოსი, რომელიც ცალკეულ ეკლესიას უძღვება, ახორციელებს თავის სამღვდლო მმართველობას ღმრთის ერის იმ ნაწილის მიმართ, რო-

61 ოფიციალური განხილვისათვის შდრ. ZINELLI, in CONC. VAT. I: MANSI 52, 1109 C.

62 შდრ. CONC. VAT. I, პროექტი Const. dogm. II, *de Ecclesia Christi*, c. 4: MANSI 53, 310. – შდრ. Kleutgen-ის მიერ გადამუშავებული პროექტის განხილვა: MANSI 53, 321 B – 322 B და ZINELLI-ს განცხადება: MANSI 52, 1110 A. – იხ. აგრეთვე S. LEO M., *Serm.* 4, 3: PL 54, 151 A.

63 შდრ. *Cod. Iur. Can.*, c. 227.

64 შდრ. CONC. VAT. I, Const. Dogm. *Pastor aeternus*: DENZ. 1821 (3050 s.).

65 შდრ. S. CYPRIANUS, *Epist.* 66, 8: CSEL (Hartel) III, 2, p. 733: “ეპისკოპოსი ეკლესიაში და ეკლესია ეპისკოპოსში”.

66 შდრ. S. CYPRIANUS, *Epist.* 55, 24: CSEL (Hartel), p. 642, lin. 13: “ერთი ეკლესია, მთელ მსოფლიოში მრავალ ასოდ განაწილებული”.

მელიც მას არის მინდობილი, და არა სხვა ეკლესიათა ან საყოველთაო ეკლესიის მიმართ. მაგრამ როგორც საეპისკოპოსო კოლეგიის წევრები და მოციქულთა კანონიერი მემკვიდრეები, ისინი უნდა ზრუნავდნენ საყოველთაო ეკლესიისთვის ქრისტესგან მიღებული დადგენილებისა და განწესების საფუძველზე⁶⁷. ეს მზრუნველობა, თუნდაც ის არ სრულდებოდეს სამართლებრივი აქტის მეშვეობით, მაინც ხელს უწყობს საყოველთაო ეკლესიის კეთილდღეობას. ყველა ეპისკოპოსმა უნდა განავითაროს და დაიცვას რწმენის ერთიანობა და მთელი ეკლესიის საერთო დისციპლინა, განასწავლოს მორწმუნენი, რათა უყვარდეთ ქრისტეს მთელი საიდუმლო სხეული, უპირველეს ყოვლისა, მისი ღარიბი ასოები, ტანჯულნი და დევნილნი სიმაართლისათვის (შდრ. მათ. 5, 10), და ბოლოს, ეპისკოპოსებმა უნდა წარმართონ ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც საერთოა მთელი ეკლესიისთვის, რათა უპირველეს ყოვლისა რწმენა გაიზარდოს და ყველა ადამიანისათვის სრული ქვეყნარსებების ნათელი ბრწყინავდეს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ საკუთარი ეკლესიის როგორც საყოველთაო ეკლესიის ნაწილის კარგად მართვით, ეპისკოპოსები უფრო ნაყოფიერად შეუწყობენ ხელს მთლიანი საიდუმლო სხეულის კეთილდღეობას, რომელიც ეკლესიათა სხეულიც არის⁶⁸.

მთელ დედამიწაზე სახარების ქადაგებისთვის ზრუნვა მწყემსთა მთელ კორპუსს ეხება. ქრისტემ მათ ყველას ერთად დააკისრა საერთო ვალდებულება, როგორც უკვე პაპი ცელესტინე მიუთითებდა ეფესოს კრების მამებს⁶⁹. ამიტომ ცალკეული ეპისკოპოსები, რამდენადაც ამის საშუალებას მათი საკუთარი ფუნქცია იძლევა, უნდა შევიდნენ სამუშაო კავშირში ერთმანეთთან და პეტრეს მემკვიდრესთან, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მოვალეობა დაეკისრა: ქრისტიანული სახელის გაწვრცელება.⁷⁰ მოსავლის აღებისათვის ეპისკოპოსებმა მისიები უნდა უზრუნველყონ მუშაკებით, სულიერად და მატერიალურად დაეხმარონ მათ. ამას ისინი, ერთის მხრივ, თვითონ უნდა აკეთებდნენ, მეორეს მხრივ კი მორწმუნეები უნდა მოამზადონ მჭიდრო თანამშრომლობისათვის. და ბოლოს, ეპისკოპოსებმა სიყვარულის საყოველთაო ზიარებაში ნებაყოფლობით უნდა გაუწიონ ძმური დახმარება სხვა ეკლესიებს, უპირველეს ყოვლისა ყველაზე ახლობელსა და გაჭირვებულს, ძველი ღირებული მაგალითის თანახმად.

საღმრთო განგებით ისე მოხდა, რომ სხვადასხვა ეკლესია, მოციქულთა და მათ მემკვიდრეთა მიერ სხვადასხვა ადგილას დაარსებული, დროთა სვლაში მრავალ ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ საკრებულოდ (coetus) გაერთიანდა. რწმენის ერთიანობის შენარჩუნებისა და მსოფლიო ეკლესიის განუმეორებელი საღმრთო აგებულების პირობებში მათ გააჩნიათ საკუთარი დისციპლინები, საკუთარი ლიტურგიული წესები, თეოლოგიური და სულიერი მემკვიდრეობა. მათ შორის ზოგიერთმა, კერძოდ ძველმა პატრიარქალურმა ეკლესიებმა, როგორც რწმენის დედებმა (matrices), შვეს სხვა ეკლესიები — ქალიშვილები, რომლებთანაც ისინი დღემდე დაკავშირებული არიან სიყვარულის განსაკუთრებით მჭიდრო კავშირით საკრამენტულ ცხოვრებაში, სამართლებრივი და სამსახურეობრივი ურთიერთპატივისცემის საფუძველზე⁷¹. ადგილობრივ ეკლესიათა ეს ერთსულოვანი მრავალფეროვნება ბრწყინვალედ ცხადყოფს განუყოფელი ეკლესიის კათოლიკობას. ამის მსგავსად, საეპისკოპოსო გაერთიანებებს (coetus) ძალა შესწევთ,

67 შდრ. PIUS XII, encycl. *Fidei Donum*, 21 apr. 1957: AAS 49 (1957), p. 237.

68 შდრ. S. HILARIUS PICT., *In Ps.* 14, 3: PL 9, 206; CSEL 22, p. 86. – S. GREGORIUS M., *Moral.* IV, 7, 12: PL 75, 643 C. – Ps. BASILIUS, *In Is.* 15, 296: PG 30, 637 C.

69 S. COELESTINUS, *Epist.* 18, 1-2, ad Conc. Eph.: PL 50, 505 AB; SCHWARTZ, *Acta Conc. Oec.* I, 1, 1, p. 22. – შდრ. BENEDICTUS XV, epist. apost. *Maximum illud*: AAS 11 (1919), p. 440. – PIUS XI, encycl. *Rerum Ecclesiae*, 28 febr. 1926: AAS 18 (1926), p. 69. – PIUS XII, encycl. *Fidei Donum*, l.c.

70 LEO XIII, encycl. *Grande munus*, 30 sept. 1880: ASS 13 (1880), p. 145. – შდრ. *Cod. Iur. Can.*, c. 1327; c. 1350 §2.

71 საპატრიარქო კათედრათა უფლებათა შესახებ შდრ. CONC. NIVAEUM, can. 6 ალექსანდრიისა და ანტიოქიის შესახებ, can. 7 იერუსალემის შესახებ: *Conc. Oec. Decr.*, p. 8. – CONC. LATER. IV, anno 1215, Constitut. V: *De dinitate Patriarcharum*: *ibid.*, p. 212. – CONC. FERR.-FLOR.: *ibid.*, p. 504.

რომ მრავალმხრივ და ნაყოფიერად ხელი შეუწყონ კოლეგიალური გრძნობის კონკრეტულ განხორციელებას.

24. ეპისკოპოსები, მოციქულთა მემკვიდრეები, იღებენ მისიას უფლისაგან, რომელსაც მიეცა მთელი ძალაუფლება ცაში და მიწაზე. ეს მისია მდგომარეობს შემდეგში: მათ უნდა ასწავლონ ყველა ხალხს და სახარება ყველა ქმნილებას უქადაგონ, რათა ყველა ადამიანმა მიადნოს ხსნას რწმენით, ნათლობითა და მცნებათა შესრულებით (შდრ. მათ. 28, 18; მარკ. 16, 15-16; საქმე 26, 17). ამ მისიის შესასრულებლად ქრისტე უფალმა აღუთქვა მოციქულებს სული წმიდა და მოავლინა ის ზეციდან ორმოცდამათე დღეს, რათა მოციქულები სული წმიდის ძალით ქრისტეს მონმეებად წარდგენენ ყველგან დედამიწის კიდემდე, ხალხთა, ერთა და მეფეთა წინაშე (შდრ. საქმე 1, 8; 2, 1 შმდ., 9, 15). ეს ფუნქცია, რომელიც უფალმა თავისი ერის მწყემსებს დააკისრა, ნამდვილი სამსახურია, რომელსაც წმიდა წერილში შესაბამისად „დიაკონია“ ანუ მსახურება (ministerium) ეწოდება (შდრ. საქმე 1, 17 და 25; 21, 19; რომ. 11, 13; 1ტიმ. 1, 12).

ეპისკოპოსთა კანონიკური მისია შეიძლება შესრულდეს იმ ლეგიტიმური ჩვეულებებით, რომლებსაც არ უარყოფს ეკლესიის უზენაესი და საყოველთაო ძალაუფლება, ან კანონებით, რომლებიც იმავე ხელისუფლების მიერ არის შემოღებული თუ აღიარებული, ან კიდევ ამ მისიას უშუალოდ ასრულებს თავად პეტრეს მემკვიდრე. თუ ის წინააღმდეგია ან სამოციქულო ზიარებაზე (communione) უარს ამბობს, მაშინ ეპისკოპოსებს საქმის აღსრულება არ შეუძლიათ⁷².

25. ეპისკოპოსთა ძირითად ფუნქციებს შორის გამოირჩევა სახარების ქადაგება⁷³. ეპისკოპოსები რწმენის მაცნეები არიან. მათ ქრისტესთან ახალი მონაფეები მოჰყავთ. ისინი ნამდვილი მასწავლებლები (doctores authentici) არიან, ე.ი. ქრისტეს უფლებამოსილებით არიან აღჭურვილი. მათდამი მიწოდებულ ხალხს ისინი უქადაგებენ რწმენას, რათა მას გაჰყვინენ და იგი ზნეობას მიუსადაგონ. რწმენას ისინი სული წმიდის შუქზე განმარტავენ და გამოცხადების საუნჯიდან ახალსა და ძველს იღებენ (მათ. 13, 52), რწმენას ნაყოფიერს ხდიან და ფზიზლად იგერიებენ შეცდომებს, რომლებიც სამწყსოს ემუქრება (შდრ. 2ტიმ. 4, 1-4). ეპისკოპოსებს, რომლებიც სწავლებას რომის პონტიფექსთან ურთიერთობაში აწარმოებენ, ყველა თავყვანს უნდა სცემდეს როგორც საღმრთო და კათოლიკე ჭეშმარიტების მონმეებს, მორწმუნენი კი უნდა იზიარებდნენ მათი ეპისკოპოსის მიერ ქრისტეს სახელით წარმოთქმულ სიტყვას რწმენისა და ზნეთა შესახებ, და მას სულის რელიგიური მორჩილებით უნდა დაეთანხმონ. ნებისა და გონების ასეთი რელიგიური მორჩილება განსაკუთრებით გვმართებს რომის პონტიფექსის ნამდვილი მოძღვრობის წინაშე, თუნდაც ის ამის შესახებ ex cathedra არ მეტყველებდეს. ამგვარად, მის უზენაეს მოძღვრობას მონინებით უნდა გაზიარება და მის გამონათქვამებს — გულწრფელი მიმხრობა, შესაბამისად იმისა, რასაც მისი აზრი და ნება გამოხატავს, და რაც უპირატესად ვლინდება საბუთების ხასიათში ან ერთი და იმავე მოძღვრების ხშირ გამეორებასა თუ თქმულის თავისებურებაში.

ცალკეულ მესვეურს უცდომელობის პრეროგატივა არ გააჩნია, მაგრამ როცა ისინი – თუნდაც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში იყვნენ გაფანტულნი – კავშირში არიან ერთმანეთთან და პეტრეს მემკვიდრესთან, ნამდვილად ასწავლიან რწმენისა და ზნეთა შესახებ და თანხმდებიან იმაში, რომ ერთი გარკვეული მოძღვრება საბოლოოდ უნდა იქნეს მიჩნეული, მაშინ ისინიც უცდომელად გვამცნობენ ქრისტეს

⁷² შდრ. *Cod. Iuris pro Eccl. Orient.*, c. 216-314: პატრიარქთა შესახებ; c. 324-339: უფროსი მთავარეპისკოპოსების შესახებ; c. 362-391: სხვა უფლებამოსილ (dignitariis) პირთა შესახებ; განსაკუთრებით c. 238 §3; 216; 240; 251; 255: ეპისკოპოსთა შესახებ, რომლებიც პატრიარქმა უნდა დანიშნოს.

⁷³ შდრ. CONC. TRID., *Decr. de reform.*, Sess. 5, c. 2, n. 9, და Sess. 24, can. 4; *Conc. Oec. Decr.*, pp. 645 და 739.

მოძღვრებას⁷⁴. ეს კიდევ უფრო ცხადია მაშინ, როცა ისინი იკრიბებიან მსოფლიო კრებაზე და მთელი ეკლესიისთვის წარმოადგენენ რწმენისა და ზნეობათა მასწავლებლებსა და მოსამართლეებს, რომელთა დეფინიციებს რწმენის მორჩილებით უნდა მივსდეთ⁷⁵.

სალმრთო გამომსყიდველმა (Redemptor) ინება, რომ მისი ეკლესია უცდომელი ყოფილიყო, რათა განსაზღვრულიყო მოძღვრება რწმენისა და ზნეობათა შესახებ. ეს უცდომელობა იმდენად ფართოა, რამდენადაც ფართოა სალმრთო გამოცხადების საუნჯე, რომელიც უნდა იყოს ნმიდად დაცული და ერთგულად (fideliter) გადმოცემული. რომის პონტიფექსი, ეპისკოპოსთა მეთაური, ამ უცდომელობას მისი ფუნქციის (muneris) საფუძველზე ფლობს. ყველა ქრისტიანის უზენაესი მწყემსი და მოძღვარი, იგი თავის ძმებს სარწმუნოებაში განამტკიცებს (შდრ. ლუკ. 22, 32) და საბოლოო აქტით განაცხადებს სარწმუნოებისა და ზნეობათა შესახებ მოძღვრებას⁷⁶. ამიტომ სწორია, რომ მისი განსაზღვრებები უცვლელად მიიჩნევა მათივე საფუძველზე და არა ეკლესიის თანხმობის შედეგად, რადგან მათი დადგენა ხდება სული ნმიდის თანადგომით, რომელიც მისთვის ნეტარი პეტრეს სახით იყი აღთქმული. ამიტომ მათ არ სჭირდება სხვათა მიერ დამტკიცება, ისინი არც სხვა სასამართლოსადმი აპელაციას ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში რომის პონტიფექსს გადაწყვეტილებები გამოაქვს არა როგორც კერძო პირს, არამედ ის გადმოსცემს ან იცავს კათოლიკური სარწმუნოების მოძღვრებას⁷⁷ როგორც საყოველთაო ეკლესიის უზენაესი მასწავლებელი, რომელშიც განუმეორებლად მკვიდრობს თავად ეკლესიის უცდომელობის ნიჭი (charisma). ეკლესიისთვის აღთქმული უცდომელობა მკვიდრობს ეპისკოპოსთა სხეულშიც, როდესაც ის უზენაეს მოძღვრებას პეტრეს მემკვიდრესთან ერთად ასრულებს. ამ განსაზღვრებებს არასდროს მოაკლდება ეკლესიის თანხმობა იმავე სული ნმიდის მოქმედების გამო, რომელიც ქრისტეს მთელ სამწყსოს ინახავს და სარწმუნოების ერთიანობის საქმეში მის წინსვლას უზრუნველყოფს.⁷⁸

როცა რომის პონტიფექსი ან, მასთან ერთად, ეპისკოპოსთა კორპუსი გადაწყვეტილებას იღებს, მისი გამოტანა თავად გამოცხადების თანახმად ხდება, რომელსაც ყველა უნდა იცავდეს და ესადაგებოდეს და რომელიც ხელუხლებლად არის გადმოცემული წერილობითი გზით ან კანონიერი საეპისკოპოსო მემკვიდრეობის საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა კი თავად რომის პონტიფექსის ზრუნვის შედეგად. იგი ნმიდად ინახება და ერთგულად გადმოიცემა ეკლესიაში, ჭეშმარიტების მანათობელი (praelucente) სულის მეშვეობით⁷⁹. მისი სწორად წვდომისა და შესაფერისი გადმოცემისთვის რომის პონტიფექსი და ეპისკოპოსები, თავისი სამსახურისა და საკითხის მნიშვნელოვნების შესაბამისად, სათანადო საშუალებათა გამოყენებით, საქმეს გულმოდგინედ ასრულებენ,⁸⁰ მაგრამ ახალ საჯარო გამოცხადებას, რომელიც სარწმუნოების სალმრთო საუნჯეს შეეხებოდა, არ იღებენ⁸¹.

26. ეპისკოპოსი, ხარისხის (Ordinis) საიდუმლოს სისავსით აღჭურვილი, არის „უზენაესი მღვდელმსახურების (sacerdotii) მაღლის განმგებელი (oconomus).⁸²“ ეს, უპირველეს ყოვლისა, ცხადდება ზიარებაში, რომელსაც ეპისკოპოსი თავად აღას-

74 შდრ. CONC. VAT. I, Const. dogm. *Dei Filius*, 3: DENZ. 1712 (3011). – შდრ. შენიშვნა I პროექტისა *de Eccl.* (ამოღებულია S. Rob. BELLARMINO-დან): MANSI 51, 579 C; აგრეთვე გადაამუშავებული პროექტი Const. II de Ecclesia Christi, KLEUTGEN-ის კომენტარით: MANSI 53, 313 AB. – PIUS IX, epist. *Tuas libenter*: DENZ. 1683 (2879).

75 შდრ. *Cod. Iur. Can.*, c. 1322-1323.

76 შდრ. CONC. VAT. I, Const. dogm. *Pastor Aeternus*: DENZ. 1839 (3074).

77 შდრ. GASSER-ის განმარტება CONC. VAT. I: MANSI 52, 1213 AC.

78 GASSER, ib.: MANSI 1214 A..

79 GASSER, ib.: MANSI 1215 CD, 1216-1217 A.

80 GASSER, ib.: MANSI 1213.

81 CONC. VAT. I, Const. dogm. *Pastor Aeternus*, 4: DENZ. 1836 (3070).

82 ბიზანტიურ წესში საეპისკოპოსო ხელდასხმის (consecrationis) ლოცვა: *Euchologion to mega*, Romae, 1873, p. 139.

რულებს ან ზრუნავს იმისთვის, რათა ის აღასრულონ,⁸³ და რომლითაც ეკლესია მუდამ ცოცხლობს და საზრდოობს. ქრისტეს ეს ეკლესია ნამდვილად არსებობს მორწმუნეთა ყველა კანონიერ ადგილობრივ დაჯგუფებაში, რომლებიც თავის მწყემსებს მისდევენ და ახალ აღთქმაში ეკლესიებად იწოდებიან⁸⁴. თავ-თავის ადგილას ისინი წარმოადგენენ ახალ ერს, ქრისტეს მიერ მოწოდებულს სული წმიდითა და სრული დარწმუნებით (შდრ. 1 თეს. 1, 5). მათში ერთგულები იკრიბებიან ქრისტეს სახარების ქადაგებით. ისინი აღასრულებენ (celebratur) უფლის სერობის საიდუმლოს, „რათა საქმლითა და უფლის სისხლით ერთ სხეულად შეიკრას მთელი ძმობა⁸⁵“. ნებისმიერ საკურთხევის საკრებულოში, რომელიც ეპისკოპოსის წმიდა მოძღვრობას ექვემდებარება⁸⁶, ვლინდება სიმბოლო ამ სიყვარულისა და „საიდუმლო სხეულის ერთობისა, რომლის გარეშე შეუძლებელია გამოსხნა⁸⁷“. ამ საკრებულოებში (თუნდაც ისინი მცირე, ღარიბი ან გაფანტული იყოს) იმყოფება ქრისტე; მისი ძალით არის შეკავშირებული ერთიანი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია⁸⁸, რადგან „ქრისტეს სხეულსა და სისხლთან ზიარებას შედეგად სხვა არაფერი აქვს, თუ არა ჩვენი გარდაქმნა იმად, რასაც ვიგემებთ⁸⁹“.

ზიარების ყოველგვარ კანონიერ აღსრულებას (celebratio) ეპისკოპოსი წარმართავს. მას აკისრია ვალდებულება, საღმრთო უდიდებულესობას (Divinae Maiestati) ქრისტიანული რელიგიის ღმრთისმსახურება მიუძღვნას და, უფლისა და ეკლესიის მცნებათა შესაბამისად, კანონები განაგოს, რომელთა საბოლოო სახით განსაზღვრა დიოცეზისთვის პირადად მისი განჩინების შედეგად ხდება.

ამგვარად, ერისათვის შრომითა და ლოცვით, ეპისკოპოსები მას მრავალმხრივ და უხვად ანიჭებენ ქრისტეს სინმიდის სისავსეს. სიტყვის მსახურებით ისინი ღმრთის ძალას აზიარებენ მათ, ვისაც გამოსხნა სწამს (შდრ. რომ. 1, 16), ხოლო საიდუმლოთა საშუალებით (მათ მოწესრიგებულ და ნაყოფიერ გადაცემას (distributionem) ეპისკოპოსები თავისი უფლებამოსილებით ახორციელებენ)⁹⁰ - ისინი ერთგულებს წმიდა-ყოფენ. ეპისკოპოსები წარმართავენ ნათლობის აღსრულებას (collationem), რომლითაც ქრისტეს სამეფო მღვდელმსახურებასთან (sacerdotii) ზიარება ხდება. ეპისკოპოსები არიან მირონცხების (confirmationis) უპირველესი მსახურნი (ministri originarii); ისინი გასცემენ წმიდა ხარისხებს (dispensatores sacrorum ordinum), აგვარებენ მონანიების წესს და თავის ერს მზრუნველობით ამხნევენ და არიგებენ, რათა მან რწმენითა და კრძალულებით მონანილეობა მიიღოს ღმრთისმსახურებასა და, უპირველეს ყოვლისა, წმიდა მესის აღსრულებაში (sacrificio). დაბოლოს, სამაგალითო საქციელით ეპისკოპოსები თავის ქვეშევრდომებს უნდა დაეხმარონ, ყოველგვარ ბოროტებას მოერიდონ და, შეძლებისდაგვარად და უფლის შემწეობით, სიკეთისკენ მიიქცნენ, რათა მიაღწიონ საუკუნო ცხოვრებას სამწყსოსთან ერთად, რომელიც მათ არის მინდობილი⁹¹.

27. ეპისკოპოსები მართავენ მათთვის მინდობილ ცალკეულ ეკლესიას, როგორც ქრისტეს ნაცვალნი და წარგზავნილები (vicarii et legati)⁹². ისინი მართავენ რჩევით, დარწმუნებით, მაგალითით, აგრეთვე უფლებამოსილებითა და წმიდა ძალაუფლე-

83 Cf. S. IGNATIUS M., *Smyrn.* 8, 1: FUNK I, 282.

84 შდრ. საქმე 8, 1; 14, 22-23; 20, 17 და სხვა.

85 მოზარაბული ლოცვა: PL 96, 759B.

86 შდრ. S. IGNATIUS M., *Smyrn.* 8, 1: FUNK I, p. 282.

87 S. THOMAS, *Summa Theol.* III, q. 73, a.3.

88 შდრ. S. AUGUSTINUS, *C. Faustum*, 12, 20: PL 42, 265; *Serm.* 57, 7: PL 38, 389, და ა.შ.

89 S. LEO M., *Serm.* 63, 7: PL 54, 357 C.

90 *Traditio Apostolica Hippolyti*, 2-3: Botte, pp. 26-30.

91 შდრ. *გამოკითხვის (examinis) ტექსტი ეპისკოპოსის ხელდასხმის (consecrationis) დასაწყისში* და ამავე ხელდასხმის *ლოცვა* მესის ბოლოს, *Te Deum*-ის შემდეგ.

92 BENEDICTUS XIV, Br. *Romana Ecclesia*, 5 oct. 1752, §1: *Bullarium Benedicti XIV*, t. IV, Romae, 1758, 21: “ეპისკოპოსი განასახიერებს ქრისტეს და მის ფუნქციას ასრულებს”. – PIUS XII, *encycl. Mystici Corporis*, 1. c., p. 211: “თითოეული მათგანი იმ სამწყსოს მწყემსავს და მართავს, რომელიც მას აბარია”.

ბით, რომელსაც იმისთვის მიმართავენ, რათა თავისი სამწყსო ჭეშმარიტებასა და სინმიდუმი (sanctitate) ამრავლონ. მათ ახსოვთ, რომ უდიდესი უნდა იყოს როგორც უმცირესი და წინამძღვარი – როგორც მსახური (შდრ. ლუკ. 22, 26-27). ეს ძალაუფლება, რომელსაც ეპისკოპოსები ქრისტეს სახელით პირადად ახორციელებენ, მათი კუთვნილია, მათთვის ჩვეულია და უშუალოა, თუმცა მისი გამოყენება საბოლოო ჯამში ეკლესიის უზენაესი უფლებამოსილებით წარმართება და შეიძლება გარკვეულ ფარგლებში შეიზღუდოს კიდეც, ეკლესიისა და მორწმუნეთა ინტერესების გათვალისწინებით. ამ ძალაუფლების საფუძველზე ეპისკოპოსებს გააჩნიათ წმიდა უფლება და უფლის წინაშე მოვალეობა, თავის ქვეშევრდომთ მისცენ კანონები, განახორციელონ სამართალი და წარმართონ ყველაფერი, რაც ღმრთისმსახურებასა და სამოციქულო ხარისხს (apostolatusque ordinem) ეხება.

ეპისკოპოსებს მთლიანად ეკისრება სამღვდლო (pastorale) ფუნქცია და ჩვეული და ყოველდღიური ზრუნვა საკუთარი ცხვრებისთვის. ეპისკოპოსები არ უნდა მივიჩნიოთ რომის პონტიფიქსების ნაცვლებად (vicarii), რადგან ისინი საკუთარ ძალაუფლებას ახორციელებენ და ჭეშმარიტად იმ ხალხის წინამძღოლი არიან, რომელსაც მართავენ⁹³. ამგვარად, მათი ძალაუფლება არ ირღვევა უზენაესი და საყოველთაო ძალაუფლებით, არამედ პირიქით, მისი საშუალებით მკვიდრდება, განმტკიცდება და დაცული ხდება⁹⁴, რადგან სული წმიდა ურღვევად ინახავს მმართველობის ფორმას, რომელიც უფალმა ქრისტემ თავის ეკლესიაში დაადგინა.

ეპისკოპოსს, რომელსაც ოჯახის მამა (Patrefamilias) მისი ოჯახის მმართველად მოავლენს, თვალწინ აქვს მწყემსი კეთილის მაგალითი, რომელიც მოვიდა არა იმისთვის, რათა სხვები იმსახუროს, არამედ რათა მათ თავად ემსახუროს (შდრ. მათ. 20, 28; მარკ. 10, 45) და თავისი სული დადოს ცხვრებისთვის (შდრ. იოან. 10, 11). კაცთაგან მოყვანილსა და უძღურებით მოცულს, მას ძალუძს უმეცართა და შეცთომილთა თანაგრძნობა (შდრ. ებრ. 5, 1-2). ეპისკოპოსმა უნდა უსმინოს თავის ქვეშევრდომთ, რომლებსაც როგორც საკუთარ შვილებს მფარველობს და წააქეზებს, რათა მასთან გულმოდგინედ ითანამშრომლონ. მათი სულების შესახებ ეპისკოპოსმა ანგარიში უნდა აგოს ღმრთის წინაშე (შდრ. ებრ. 13, 17), მათთვის იზრუნოს ლოცვით, ქადაგებითა და ნებისმიერი საქველმოქმედო საქმით, და სხვებისთვისაც იზრუნოს, ვინც ჯერ არ არის ერთიანი სამწყსოს წევრი; ეპისკოპოსმა უნდა იცოდეს, რომ ისინიც მას უფლის მიერ (in Domino) აბარია. დაე, იყოს იგი, მოციქული პავლეს მსგავსად, ყველას მიმართ მოვალე, რომელიც მზადაა, ყველას ახაროს (შდრ. რომ. 1, 14, 15) და წააქეზოს თავისი ერთგულნი სამოციქულო და მისიონერული მოღვაწეობისთვის. ერთგულნი გვერდში უნდა ედგნენ ეპისკოპოსს, როგორც ეკლესია იესო ქრისტეს, და როგორც იესო ქრისტე მამას, რათა ყველაფერი ერთობით შეთანხმდეს⁹⁵ და უხვობდეს ღმრთის სადიდებელად (შდრ. 2კორ. 4, 15).

28. ქრისტემ, რომელიც მამამ წმიდაყო და ქვეყნად მოავლინა (იოანე 10, 36), თავის მოციქულთა საშუალებით აზიარა მათივე მიმდევრები, ანუ ეპისკოპოსები, თავის ხელდასხმასა (consecrationis) და მისიას⁹⁶. ხოლო ეპისკოპოსებმა, თავის მხრივ, თავისი მსახურების ტვირთი კანონიერად გადასცეს ეკლესიაში სხვადასხვა პირს, სხვადასხვა ოდენობით. ამგვარად, საღმრთო გზით დაარსებულ საეკლესიო მსახურებას სხვადასხვა ხარისხში ასრულებენ ისინი, ვისაც ძველთაგანვე ეწოდება ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკონი⁹⁷. მღვდლებს არ გააჩნია პონტიფიკატის უმაღლესი ფუნქცია (apicem) და თავისი ძალაუფლების განხორციელებაში ისინი ეპისკოპოსებ-

93 LEO XIII, encycl. *Satis cognitum*, 29 iun. 1896: ASS 28 (1895-96), p. 732. – IDEM, epist. *Officio sanctissimo*, 22 dec. 1887: ASS 20 (1887), p. 264. – PIUS IX, litt. apost. ad Episcopos Germaniae, 12 mart. 1875, et alloc. const., 15 mart. 1875: DENZ. 3112-3117, მხოლოდ ახალ გამოცემაში.

94 CONC. VAT. I, Const. dogm. *Pastor aeternus*, 3: DENZ. 1828 (3061). – შდრ. ZINELLI-ს დამოკიდებულება: MANSI 52, 1114 D.

95 შდრ. S. IGNATIUS M., *Ad Ephes.* 5, 1: FUNK I, p. 216.

96 შდრ. S. IGNATIUS M., *Ad Ephes.* 6, 1: FUNK I, p. 218.

97 შდრ. CONC. TRID., Sess. 23, *De sacr. Ord.*, c. 2: DENZ. 958 (1765); et can. 6: DENZ. 966 (1776).

ზე არიან დამოკიდებულნი. ამასთანავე, ისინი დაკავშირებულნი არიან ეპისკოპოსებთან სამღვდლო პატივითა⁹⁸ და ხარისხის (Ordinis) საიდუმლოს ძალით. უზუნაესი და საუკუნო მღვდლის – ქრისტეს ხატად (ებრ. 5, 1-10; 7, 24; 9, 11-28), მღვდლები მონოდებულნი არიან სახარების ქადაგებისთვის, ერთგულთა სამწყსოდ და საღმრთო მსახურების აღსასრულებლად, როგორც ახალი აღთქმის ჭეშმარიტი მღვდელმსახურნი⁹⁹. მსახურების მათთვის შესაფერისი ოდენობით, ისინი ეზიარებიან ქრისტეს — ერთადერთი შუამდგომლის (1ტიმ. 2, 5) ფუნქციას და ყველას აუნყებენ საღმრთო სიტყვას. თავის წმიდა ფუნქციას ისინი განსაკუთრებით ზიარებისას ტრაპეზზე ასრულებენ: ამ დროს ისინი ქრისტეს პირით მოქმედებენ¹⁰⁰ და მის საიდუმლოებას განაცხადებენ, ერთგულთა ვედრებას მათი მეთავის მსხვერპლს უერთებენ, განასახიერებენ და მიმართავენ (applicant) ახალი აღთქმის ერთადერთ მსხვერპლს, ესე იგი ქრისტეს, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ თავი მამას შესწირა უბინო მსხვერპლად (მდრ. ებრ. 9, 11-28). ერთგულთათვის, რომლებიც ინანიებენ ან ავადმყოფობენ, ეპისკოპოსები ასრულებენ შერიგებისა და შემსუბუქების დიდ მსახურებას. ისინი მამა ღმერთს წარუდგენენ ერთგულთა გასაჭირსა და თხოვნას (მდრ. ებრ. 5, 1-4). ეპისკოპოსები, მათი წილი უფლებამოსილების ფარგლებში, ასრულებენ ქრისტეს, მწყემსისა და მეთავის, ფუნქციას.¹⁰¹ ისინი კრებენ ღმრთის ოჯახს, როგორც ერთსულოვან საძმოს¹⁰² და იგი ქრისტეს საშუალებით სული წმიდით მამა ღმერთთან მიჰყავთ. სამწყსოს წიაღში ისინი მამა ღმერთს სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანს სცემენ (მდრ. იოან. 4, 24). და ბოლოს, ისინი სიტყვითა და მოძღვრებით მუშაობენ (მდრ. 1ტიმ. 5, 17). მათ სწამთ ის, რასაც უფლის კანონში დაფიქრებით კითხულობენ, ასწავლიან, რაც სწამთ და ჰბაძავენ იმას, რაც ასწავლეს¹⁰³.

მღვდლები, საეპისკოპოსო ხარისხის მზრუნველი თანამშრომლები, მისი დამხმარენი და საშუალებანი არიან. ისინი ღმრთის ერის მსახურებისთვის არიან მონოდებულნი. სხვადასხვა მოვალეობის აღსასრულებლად მღვდლები, თავის ეპისკოპოსთან ერთად, ქმნიან ერთიან პრესვიტერიუმს (presbyterium).¹⁰⁴ ერთგულთა ცალკეულ ადგილობრ კონგრეგაციებში მღვდლები ერთგვარად თანდამსწრედ წარმოადგენენ ეპისკოპოსს, რომელთანაც მათ ნდობა და დიდსულოვნება აკავშირებს. მღვდლები ეპისკოპოსის ფუნქციასა და მზრუნველობას იზიარებენ და ამას ყოველდღიურ საქმიანობაში გამოხატავენ. ისინი ეპისკოპოსის უფლებამოსილების ქვეშ წმიდა ყოფენ და მართავენ უფლის სამწყსოს იმ ნაწილს, რომელიც მათ აბარია. მღვდლები ხილულს ხდიან საყოველთაო ეკლესიას იმ ადგილას, სადაც თავად არიან და ქრისტეს მთლიანი სხეულის აშენებაში (მდრ. ეფეს. 4, 12) მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ. ღმრთის შვილებისთვის სიკეთის მოტანა მღვდელთა მუდმივი საზრუნავია. ამასთანავე, ისინი უნდა ეცადონ, მთელი დიოცეზის სამღვდლო საქმეს არგონ, მეტიც: მთელი ეკლესიის საქმეს. მღვდელმსახურებასა და მისიაში ამ მონაწილეობის გამო მღვდლები ეპისკოპოსს ნამდვილად თავის მამად ცნობენ და მას პატივისცემით ემორჩილებიან, ხოლო ეპისკოპოსს მღვდლები, მისი თანამშრომლები, უნდა მიაჩნდეს შვილებად და მეგობრებად, მსგავსად ქრისტესი, რომელიც თავის მონაფეხს მონებს კი აღარ უწოდებს, არამედ მეგობრებს (მდრ. იოან. 15, 15). მაშასადამე, ხარისხისა და მსახურების წესით, ყველა მღვდელმსახური, როგორც დიოცეზური ისე მონესე (religiosi), ეპი-

98 მდრ. INNOCENTIUS I, *Epist. ad Decentium*: PL 20, 554A; MANSI 3, 1029; DENZ. 98 (215): “პრესვიტერები წარმოადგენენ მეორე რიგის მღვდელმსახურებს (sacerdotes), მაგრამ მათ არ გააჩნიათ პონტიფიკატის უზუნაესი ფუნქცია”. – S. CYPRIANUS, *Epist.* 61, 3: CSEL (Hartel), p. 696.

99 მდრ. INNOCENTIUS I, l.c. – S. GREGORIUS NAZ., *Apol.* II, 22: PG 35, 432 B. – Ps. DIONYSIUS, *Eccl. Hier.*, 1, 2: PG 3, 372 D.

100 მდრ. CONC. TRID., Sess. 22: DENZ. 940 (1743). – PIUS XII, *encycl. mediator Dei*, 20 nov. 1947: AAS 39 (1947), p. 553; DENZ. 2300 (3850).

101 მდრ. PIUS XII, *encycl. Mediator Dei*, l.c., sub. n. 67.

102 მდრ. S. CYPRIANUS, *Epist.* 11, 3: PL 4, 242 B; CSEL (Hartel) II, 2, p. 497.

103 მღვდელთა ხელდასხმის წესი, სამოსთა მოსხმასთან დაკავშირებით.

104 მდრ. S. IGNATIUS M., *Philad.* 4: FUNK I, p. 266. – S. CORNELIUS I - S.CYPRIANUM, *Epist.* 48, 2: CSEL (Hartel) III, 2, p. 610.

სკოპოსთა კორპუსთან არის დაკავშირებული და, თავისი მონოდებიტა და მადლით, მთელი ეკლესიის კეთილდღეობას ემსახურება.

საერთო წმიდა ხელდასხმისა (ordinationis) და მისიის ძალით ყველა მღვდელი ერთმანეთთან დაკავშირებულია შინაგანი ძმობით, რომელიც ნებაყოფლობითა და თავისუფლად ვლინდება ურთიერთშემწეობაში, სულიერსა და ნივთიერში, სამღვდლოსა და პიროვნულში, შეკრებებსა და ზიარ ცხოვრებაში, შრომასა და სიყვარულში.

მღვდლებმა, როგორც მამებმა ქრისტეს მიერ უნდა იზრუნონ სულიერი ნათლობისა და მოძღვრების მეშვეობით შობილი ერთგულებისთვის (შდრ. 1კორ. 4, 15; 1პეტრ. 1, 23). მათ სამწყსოს მაგალითი უნდა მისცენ (1პეტრ. 5, 3) და ისე უხელმძღვანელონ და ემსახურონ თავის ადგილობრივ საკრებულოს, რომ იგი ღირსი იყოს იმ სახელით ინოვებოდეს, რომლითაც ღმრთის მთელი ერთიანი ერი ინოდება, ანუ ეკლესიად (შდრ. 1კორ. 1, 2; 2კორ. 1, 1 და სხვ.). დაე, ახსოვდეთ მღვდლებს, რომ ყოველდღიური ქმედებითა და ზრუნვით მათ უნდა წარუდგინონ ნამდვილად სამღვდლო და სამწყსო მსახურების ნიმუში მორწმუნეებსა და უწრმუნოებს, კათოლიკეებსა და არაკათოლიკეებს, და ყველას წინაშე იყვნენ ჭეშმარიტებისა და ცხოვრების მოწმენი. როგორც კეთილმა მწყემსებმა, მათ ისინიც უნდა ეძიონ (შდრ. ლუკ. 15, 4-7), ვინც მოინათლა კათოლიკე ეკლესიაში, მაგრამ შემდგომ განუდგა საიდუმლოთა აღსრულებას (praxi) და რწმენასაც კი.

სადღეისოდ ადამიანთა მოდგმა სულ უფრო მეტად იკვრება სამოქალაქო, ეკონომიკურ და სოციალურ ერთობად. ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა, რომ მღვდელმსახურებმა, ეპისკოპოსთა და უზენაესი პონტიფექსის წინამძღოლობით განხორციელებული ზრუნვითა და საქმით, თავიდან აიცილონ ყოველგვარი დანაწილება, რათა მთელი ადამიანთა მოდგმა მიიყვანონ ღმრთის ოჯახის ერთიანობამდე.

29. იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე არიან დიაკონები, რომელნიც ხელდასხმული არიან „არა მღვდლობისთვის, არამედ მსახურებისთვის“¹⁰⁵. საიდუმლოს მადლით განმტკიცებულნი, დიაკონები ემსახურებიან ღმრთის ხალხს ლიტურგიის, სიტყვისა და სიყვარულის „დიაკონიაში“, ეპისკოპოსსა და მის სამღვდლოებასთან ურთიერთობაში. დიაკონის საქმეა, იმისდა მიხედვით, რასაც მას კომპეტენტური ძალაუფლება განუზღვრავს, საზეიმოდ ნათლობის აღსრულება, ევქარისტიის შენახვა და დანაწილება, ეკლესიის სახელით ქორწინების თანდასწრება და მისი კურთხევა, მომაკვდავებთან ზეთის მიტანა, ერთგულთათვის წმიდა წერილის წაკითხვა, ხალხთა დამოძღვრა-დარიგება, ერთგულთა ღმრთისმსახურებისას (cultui) და ლოცვისას თანდასწრება, საიდუმლოთა აღსრულება (sacramentalia ministrare), დაკრძალვის რიტუალზე დასწრება. დიაკონებს, რომელთა საქმე არის სიყვარულისა და მართვის მსახურება, უნდა ახსოვდეთ ნეტარი პოლიკარპეს დარიგება: „იყვნენ მონყალენი, ბევჯითნი, იარონ უფლის ჭეშმარიტების გვერდით, რომელიც ყველას მსახური გახდა“¹⁰⁶.

ამ ფუნქციათა შესრულებას (რაც ეკლესიის ცხოვრებისათვის სრულიად აუცილებელია), ბევრ რეგიონში სადღეისოდ სირთულეები ახლავს, ლათინურ ეკლესიაში არსებული წესის გამო. ამიტომ მომავალში შეიძლება აღდგეს დიაკვნობა როგორც იერარქიის გარკვეული და მუდმივი საფეხური. ეპისკოპოსთა სხვადასხვა უფლებამოსილი ტერიტორიალური კავშირების საქმეა, თავად უზენაესი პონტიფექსის თანხმობის შედეგად გადაწყვიტონ, თუ სად ჯობს სულებისთვის ზრუნვის მიზნით ასეთი დიაკვნების დანიშნვა. რომის პონტიფექსის თანხმობით, ასეთი დიაკვნობა შეიძლება მიენიჭოს მონიჭული ასაკის მამაკაცებს, იმათაც, ვინც ქორწინებაში ცხოვრობს, აგრეთვე შესაფერის ახალგაზრდებს, თუმცა მათ მიმართ ცელიბატობის კანონი მტკიცედ უნდა იყოს დაცული.

105 *Constitutiones Ecclesiae aegypticae*, III, 2: FUNK, *Didascalia*, II, p. 103. – *Statuta Eccl. Ant.* 37-41: MANSI 3, 954.

106 S. POLYCARPUS, *Ad Phil.* 5, 2: FUNK, I, p. 300: ქრისტეს შესახებ იტქმის, რომ იგი „ყველას დააკონი – მსახური – გახდა“. – შდრ. *Didachè*, 15, 1: ib., p. 32. – S. IGNATIUS M., *Trall.* 2, 3: ib., p. 242. – *Constitutiones Apostolorum*, 8, 28, 4: FUNK, *Didascalia*, I, p. 530.

თავი IV საერონი

30. წმიდა კრებამ ცხადყო იერარქიის ფუნქციები. ახლა მას სურს, ქრისტეს იმ ერთგულთა (Christifidelium) სტატუსი განიხილოს, ვისაც „საერონი“ ეწოდება. ყველაფერი, რაც ღმრთის ერის შესახებ ითქვა, თანაბრად ეხება ერისკაცებს (laicos), მონესეებსა (religiosos) და მღვდელმსახურებს (clericos). და მაინც, ერისკაცებს, მამაკაცებსაც და ქალებსაც, მათი მდგომარეობისა და ფუნქციის შესაბამისად, ზოგი ისეთი რამ ეხება, რისი მიზეზებიც, დღევანდელ ვითარებაში გარკვეული მოვლენების თავმოყრის გამო, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. სულიერმა მწყემსებმა იციან, რამდენად უწყობენ ხელს საერონი მთელი ეკლესიის კეთილდღეობას. მათ ისიც იციან, რომ ქრისტემ ისინი იმისთვის არ დააყენა, რათა მათ მარტოებს ეტვირთათ გამოსხნის მთელი მისია, რომელიც ეკლესიას მსოფლიოს წინაშე აკისრია. მღვდლების შესანიშნავი ფუნქციაა, ერთგულები ისე მწყემსონ და მათი სამსახური და ნიჭნი (charismata) ისე შეიცნონ, რომ ყველამ თავისებურად ყველამ შეიტანოს თავისი წვლილი საერთო საქმეში, რადგან საჭიროა, რომ „ჭეშმარიტ ვიყვნეთ სიყვარულსა ზედა და აღვაორძინებდეთ მისა მიმართ ყოველსა, რომელ არს თავ მისა ქრისტე, რომლისაგან ყოველი გუამი შენანევრებულ და შემტკიცებულ არს ყოვლითა შეახლებითა უბუებისაჲთა შენვენისაებრ საზომისა თვითოეულისა ასოჲსა; სიორძილსა მას გუამისასა ჰყოფდით აღსაშენებლად თავისა თქუენისა სიყვარულით.“ (ეფეს. 4, 15-16).

31. ცნებაში „საერონი“ აქ იგულისხმება ყველა ქრისტიანი (christifideles), გარდა იმათი, ვისაც სასულიერო ხარისხი ან ეკლესიაში დამტკიცებული მონესეს (religiosi) სტატუსი გააჩნია; მაშასადამე, იგულისხმებიან ის ქრისტიანები, რომლებიც ნათლობით ქრისტეს სხეულს შეუერთდნენ (Christo incorporati), ღმრთის ერი შეადგინეს და თავისებურად გახდნენ ქრისტეს სამღვდლო, წინასწარმეტყველური და სამეფო ფუნქციის მოზიარენი. მათ იმ მისიის შესრულებაში შეაქვთ წვლილი, რომელსაც სამყაროსა და ეკლესიაში მთელ ქრისტიან ერს აკისრია.

ერისკაცებს განსაკუთრებით სეკულარობა ახასიათებთ. სასულიერო ხარისხის წევრები ზოგჯერ საერო საქმეებში არიან ჩაბმულნი და საერო პროფესიასაც მისდევენ. და მაინც, თავისი განსაკუთრებული მოწოდების გამო, ისინი ძირითადად და აშკარად სასულიერო მსახურებისთვის არიან განკუთვნილნი. მეორეს მხრივ, მონესეები (religiosi) თავისი სტატუსით შესანიშნავად და ცხადად მონაშობენ, რომ სულის ნეტარების გარეშე სამყარო ვერ იქნება გარდასახული (transfigurari) და ღმრთისათვის მიძღვნილი. ერისკაცების ამოცანაა, მათი მოწოდების საფუძველზე, წარმავალი საქმეების წარმართვისა და ღმრთის შესაფერისად მათი მოგვარების შედეგად, ღმრთის სასუფეველის ძიება. ისინი სამყაროში ცხოვრობენ, ესე იგი მონაწილეობენ ქვეყნის ყოველგვარ სამსახურსა და საქმეში, საოჯახო და სოციალური ცხოვრების ჩვეულებრივ ვითარებებში, რომელთაგან ერთგვარად მათი არსებობა იქსოვება. აქ ისინი ღმრთის მიერ არიან მოწოდებულნი, რათა თავისი ფუნქცია შეასრულონ და, სახარების სულის წინამძღოლობით, სამყაროს წმიდა-ყოფას ერთგვარად შიგნიდან, საფუარსავით, ხელი შეუწყონ. ამგვარად, უპირველეს ყოვლისა თავისი ცხოვრების მოწმობით, რწმენით, იმედითა და სიყვარულით გასხივოსნებულებმა, ერისკაცებმა ქრისტე სხვებსაც უნდა გამოუცხადონ (manifestent). ამიტომ მათ განსაკუთრებული სახით უნდა გააშუქონ და მოაწესრიგონ ყოველგვარი დროებითი საქმეები, რომლებთანაც უშუალო შეხებაში არიან, რათა ეს საქმენი ყოველთვის ქრისტეს თანახმად აღსრულდეს და განვითარდეს, შემოქმედისა და გამომსყიდველის სადიდებლად.

32. საღმრთო განწესების თანახმად (institutione), წმიდა ეკლესია საოცარი მრავალფეროვნებით არის აგებული და წარმართული. „ვითარცა ერთსა მას გუამსა მრავალ ასოებ აქუს, ხოლო ასოებსა მას ყოველსა არა იგივე საქმე აქუს, ეგრეთცა

ჩუენ ყოველნი ერთ გუამ ვართ ქრისტეს მიერ, ხოლო თითოეული ურთიერთას ასობ ვართ“ (რომ. 12, 4-5).

მაშასადამე, ერთი არის ღმრთის მიერ რჩეული ერი: „ერთ არს უფალ, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლის-ღება“ (ეფრ. 4, 5); საერთოა წევრთა ღირსება ქრისტეში მათი აღორძინების გამო, საერთოა მონოღება სრულყოფილებისკენ, ერთია ხსნა, ერთია იმედი და განუყოფელია სიყვარული. ამიტომ არ არის ქრისტესა და ეკლესიაში არავითარი უთანასწორობა წარმოშობისა თუ ეროვნების მიხედვით, სოციალური გარემოებისა თუ სქესის მიხედვით, რადგან „არა არს ჰურიანება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხარტ ქრისტე იესოჲს მიერ“ (გალ. 3, 28; შდრ. კოლ. 3, 11).

თუკი ეკლესიაში ყველა ერთი და იმავე გზით არ მიდის, მაინც ყველა არის მონოღებულია სინძიდისაკენ (sanctitatem): მათ თანაბრად ერგოთ სარწმუნოება ღმრთის სიმართლით (შდრ. 2პეტრ. 1, 1). და თუმცა ქრისტეს ნებით ზოგიერთი სხვისთვის წარმოადგენს მასწავლებელს, საიდუმლოთა განმგებელს (mysteriorum dispensatores) და მწყემსს, მაინც ყველას შორის სუფევს ჭეშმარიტი თანასწორობა, რომელიც გულისხმობს ღირსებასა და ყველა მორწმუნისთვის საერთო შრომას, მიმართულს ქრისტეს სხეულის ასაგებად. სხვაობა, რომელიც უფალმა დაანესა წმიდა მსახურთა და ღმრთის დანარჩენ ერს შორის, მოიცავს ერთიანობასაც, რადგან მწყემსები და სხვა ერთგულები მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან: ეკლესიის მწყემსებმა უნდა მისდიონ უფლის მაგალითს, რათა ერთმანეთს და სხვა ერთგულებს ემსახურონ, ხოლო ეს უკანასკნელნი, თავის მყრივ, გულმოდგინედ უნდა უწევდნენ დახმარებას მწყემსებსა და მასწავლებლებს. ამგვარად, მრავალფეროვნების გზით ყველა მონობს ქრისტეს სხეულში საოცარი ერთიანობის არსებობას: თავად მაღლთა, მსახურებათა და სამუშაოთა სხვადასხვაგვარობა ერთად კრებს ღმრთის შვილებს, რადგან „ამას ყოველსა შეენვეის ერთი და იგივე სული“ (1კორ. 12, 11).

მაშასადამე, ერისკაცებს საღმრთო პატივის საფუძველზე ძმად ქრისტე ჰყავთ, რომელიც, როგორც ყველას უფალი, მოვიდა არა იმისთვის, რათა მას ემსახურონ, არამედ რათა იგი სხვებს ემსახუროს (შდრ. მათ. 20, 28). ამიტომ ერისკაცებს ძმებად ჰყავთ ისინიც, ვინც წმიდა სამსახურში დგას, ქრისტეს უფლებამოსილებით ასწავლის, წმიდა-ყოფს, მართავს და ისე მწყემსავს ღმრთის ოჯახს, რომ ყველას მიერ აღსრულდეს სიყვარულის ახალი მცნება (mandatum). ამასთან დაკავშირებით წმიდა ავგუსტინე ლამაზად ამბობს: „მაშინებს ის, რაც თქვენთვის ვარ, მაგრამ ის მანუგეშებს, რომ თქვენთან ვარ. თქვენთვის ეპისკოპოსი ვარ, თქვენთან ერთად კი — ქრისტიანი. პირველი — სამსახურის სახელია, მეორე მაღლს აღნიშნავს. პირველი საფრთხეზე მიაწინებს, მეორე — გამოხსნაზე“¹⁰⁷.

33. საერონი (ვინც არ უნდა იყვნენ ისინი), რომელნიც ღმრთის ერად შეიკრიბნენ და ერთი თავის ქვეშ ქრისტეს ერთიან სხეულად შედგნენ, მონოღებული არიან იმისთვის, რომ ცოცხალ ასოთა მსგავსად ხელი შეუწყონ ეკლესიის ზრდას და მის განუწყვეტელ წმიდა-ყოფას ყველა ძალით, რომელიც შემოქმედის სათნოებითა (beneficio) და გამოხსნის ნყალობით მიიღეს.

საერთოა მოციქულობა (apostolatus) არის ეკლესიის მხსნელ მისიაში მონაწილეობა. ამ მოციქულობისთვის ყველა მონოღებულია თავად უფლის მიერ ნათლობითა და მირონცხებით (confirmationem). ხოლო საიდუმლოთა საშუალებით, უპირველეს ყოვლისა წმიდა ზიარებით, ხდება ღმრთისა და ადამიანთა მიმართ ამ სიყვარულის შეტყობინება და ზრდა, რომელიც არის მთელი მოციქულობის სული. საერო პირები განსაკუთრებით არიან იმისთვის მონოღებული, რომ უზრუნველყონ ეკლესიის თანდასწრება და ქმედითობა იმ ადგილებსა და პირობებში, სადაც იგი მხოლოდ მათ მიერ შეიძლება იქცეს მინის მარილად¹⁰⁸. ამგვარად, ყველა ერისკაცი,

107 S. AUGUSTINUS, *Serm.* 340, 1: PL 38, 1483.

108 შდრ. PIUS XI, *encycl. Quadragesimo anno*, 15 maii 1931: AAS 23 (1931), pp. 221 s – PIUS XII,

იმ ნიჭთა გამო, რომლებიც მას ერგო, არის ეკლესიის მოწმე და ცოცხალი ინსტრუმენტი, „საზომისაებრ ნიჭისა ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 7).

ამ მოციქულობის გარდა, რომელიც უკლებლივ ყველა ქრისტიანს ეხება, საერონი შეიძლება სხვაგვარადაც იყვნენ მოწოდებულნი იერარქიის მოციქულობასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის,¹⁰⁹ იმ კაცთა და ქალთა მსგავსად, რომლებიც მოციქულ პავლეს სახარებაში ეხმარებოდნენ და რომლებმაც უფლის მიერ ბევრი იღვანეს (შდრ. ფილ. 4, 3; რომ. 16, 3). გარდა ამისა, მათ იერარქიისგან ეძლევათ შესაძლებლობა, გარკვეული საეკლესიო ფუნქციების შესრულებაში მიიღონ მონაწილეობა, რომელიც სულიერ მიზნებს ემსახურება.

მამასადამე, ყველა ერისკაცს თანამშრომლობის შესანიშნავი ტვირთი აკისრია, რომ გამოხსნის საღმრთო გეგმა სულ უფრო და უფრო შეეხოს ყველა დროის ყველა ადამიანს, დედამიწის ყველა კუთხეში.

34. უზენაესი და საუკუნო მღვდელმსახურმა იესო ქრისტემ ინება, თავისი მონაწილეობა და მსახურება ერისკაცთა მეშვეობითაც განეგრძო. იგი მათ თავისი სულით ცხოველყოფს და განუწყვეტლივ ნააქებებს ყოველგვარი კეთილი და სრულყოფილი საქმისკენ.

ხოლო მათ, ვინც უფალმა ღრმად დაუკავშირა თავის ცხოვრებასა და მისიას, იგი ანიჭებს თავისი სამღვდლო მოვალეობის ნაწილს, რათა სრულდებოდეს სულიერი ღმრთისმსახურება ღმრთის სადიდებლად და ადამიანთა გამოსახსნელად. ამიტომ არიან საერონი ქრისტესთვის მიძღვნილნი (dicati) და სული წმიდით ცხებულნი. ისინი საოცრად არიან მოწოდებულნი და განსწავლულნი იმისათვის, რომ მათში სული წმიდის სულ უფრო უხვი ნაყოფი იქმნებოდეს. მართლაც, მათი ყველა საქმე, ლოცვა და სამოციქულო წამონყება, საქორწინო და საოჯახო ცხოვრება, ყოველდღიური შრომა, სულისა და სხეულის დასვენება, თუ ის სულის მიერ (in Spirito) სრულდება, ცხოვრების ტკივილებიც კი, თუ მათი ატანა მოთმინებით ხდება, ყოველივე ეს იქცევა „შესანიშნავად მსხუერპლთა სულიერთა, სათნოთა ღმრთისათა იესო ქრისტეს მიერ“ (1პეტრ. 2, 5). ამ მსხვერპლის მამისთვის მირთმევა ხდება უდიდესი მოწინებით ზიარების აღსრულებისას, უფლის სხეულის მიტანასთან ერთად (quae in Eucharistiae celebratione, cum dominici Corporis onlatione). ამგვარად ხდება თავად სამყაროს მიძღვნა ღმრთისათვის იმ ერისკაცთა მეშვეობით, რომლებიც ღმრთის თაყვანისმცემელნი არიან და ყოველთვის წმიდად მოქმედებან.

35. ქრისტე, დიდი წინასწარმეტყველი, რომელმაც ცხოვრების მოწმეობით და სიტყვის ძალით მამის მეუფება (regnum) გამოაცხადა, თავის წინასწარმეტყველურ ფუნქციას ასრულებს დიდების სრულ გამოვლენამდე, არა მარტო იერარქიის მეშვეობით, რომელიც უფლის სახელითა და ძალით მოძღვრავს, არამედ ერისკაცთა მეშვეობითაც, რომლებიც ამისთვის მოწმეობად დააყენა და სარწმუნოების გრძნობითა და სიტყვის მაღლით აღჭურვა (შდრ. საქმე 2, 17-18; გამოცხ. 19, 10), რათა სახარების ძალა გაბრწყინდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ოჯახურსა და საზოგადოებრივში. ისინი აღთქმის (repromissionis) შვილებად წარმოდგებიან, თუ მტკიცენი რწმენითა და იმედით, აწმყოთი ისარგებლებენ (შდრ. ეფეს. 5, 16; კოლ. 4, 5) და მომავალ დიდებას მოთმინებით მოელიან (შდრ. რომ. 8, 25). დაე, ამ იმედს სულის სიღრმეში ნუ დაიმარხავენ, არამედ მუდმივი მოქცევითა და ბრძოლით „სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა მის ამის სანუთროჟსა, სულთა მიმართ უკეთურებისათა“ (ეფეს. 6, 12) გამოხატონ იგი სეკულარული ცხოვრების სტრუქტურებშიც.

ახალი კანონის საიდუმლონი, რომლებითაც საზრდოობს ერთგულთა ცხოვრება და მოციქულობა, სახავს ახალ ცასა და ახალ ქვეყანას (შდრ. გამოცხ. 21, 1). ასევე ერისკაცები იქცევიან ძლიერ მაუნყებლებად იმ საქმეებისა, რომლებსაც მოელიან (შდრ. ებრ. 11, 1), თუ უყოყმანოდ უკავშირებენ სარწმუნოებით ცხოვრებას სარწმუ-

alloc. *De quelle consolation*, 14 oct. 1951: AAS 43 (1951), pp. 790 s.

109 შდრ. PIUS XII, alloc. *Six ans se sont écoulés*, 5 oct. 1957: AAS 49 (1957), p. 927.

ნობის აღმსარებლობას. ასეთი სახარება, ესე იგი ქრისტეს შესახებ უწყება (nuntium Christi), რომელიც ცხოვრების მონემობითა და სიტყვით ხორციელდება, განსაკუთრებულ ნიშანსა და თავისებურ ქმედითობას იმიტომ იძენს, რომ ის საუკუნის ჩვეულებრივ პირობებში სრულდება.

ამ მსახურებაში განსაკუთრებით ძვირფასი ჩანს ცხოვრების ის სტატუსი, რომლის წმიდა-ყოფა განსაკუთრებული საიდუმლოთი ხდება, ანუ საქორწინო და ოჯახური ცხოვრებით. ერისკაცთა მოციქულობისთვის ასპარეზი და ბრწყინვალე სკოლა იქ არის, სადაც ქრისტიანული რელიგია ცხოვრების მთელ წყობას მსჭვალავს და მას ყოველდღიურად გარდასახავს. იქ მეუღლეებს საკუთარი მონოდება აქვთ: ერთმანეთისა და შეილებისთვის ისინი უნდა იყვნენ სარწმუნოებისა და ქრისტეს სიყვარულის მოწმენი. ქრისტიანული ოჯახი ხმამაღლა განაცხადებს როგორც ღმრთის მეუფების ანმყო სიკეთებს, ასევე ნეტარი ცხოვრების იმედს. ამგვარად, თავისი მაგალითითა და მონემობით იგი სამყაროს ამხელს ცოდვაში და ჭეშმარიტების მადიებლებს ანათლებს.

ამიტომ ერისკაცებს, მაშინაც, როცა ისინი დროებითი ზრუნვით არიან დაკავებულინი, შეუძლიათ და უნდა გააკეთონ კიდევც ღირებული საქმე სამყაროს ევანგელიზაციისთვის. მათგან ზოგიერთი შეძლებისდაგვარად გარკვეულ წმიდა სამსახურსაც ასრულებს, როცა მღვდელმსახურთა ნაკლებობა ან როცა მღვდელმსახურნი დევნის პირობებში თავისუფლად ვერ მოქმედებენ. მრავალი ერისკაცი მთელ თავის ძალას სამოციქულო საქმეს ახმარს, და მაინც ყველამ უნდა ითანამშრომლოს სამყაროში ქრისტეს მეუფების გავრცელებისა და ზრდისათვის. ამიტომ ერისკაცები უფრო ღრმად უნდა ჩასწვდნენ განცხადებულ ჭეშმარიტებას და ღმერთს სიბრძნის ნიჭი დაუინებით სთხოვონ.

36. ქრისტე, რომელიც მორჩილი გახდა სიკვდილამდე და ამის გამო მამისგან იქნა ამაღლებული (შდრ. ფილ. 2, 8-9), თავისი მეუფების დიდებაში შევიდა. მას ყველა ემორჩილება, სანამ იგი მამას თავის თავსა და ყველა ქმნილებას დაუმორჩილებს, რათა იყოს ღმერთი „ყოვლად ყოველსა შინა“ (შდრ. 1 კორ. 15, 27-28). ეს ძალაუფლება მან მოწაფეებს გაუზიარა, რათა ისინიც სამეფო თავისუფლებაში დაშეკიდრდნენ და საკუთარი თავის უარყოფითა (sui abnegatione) და წმიდა ცხოვრებით სძლიონ თავის თავში ცოდვის მეუფებას (შდრ. რომ. 6, 12); გაუზიარა იმისთვისაც, რათა მოწაფეები მას, ქრისტეს, სხვა ადამიანთა მეშვეობითაც ემსახურონ და თავის ძმებს მორჩილებითა და მოთმინებით გაუძღვენენ მეფესთან, რომლისადმი მსახურება მეუფება არის. მართლაც, უფალს სურს თავისი მეუფება ერთგულ ერისკაცთა მეშვეობითაც გაავრცელოს. ეს არის მეუფება ჭეშმარიტებისა და ცხოვრების, სინმიდისა და მადლის, მეუფება სამართლის, სიყვარულისა და მშვიდობის,¹¹⁰ მეუფება, რომელშიც „თუთ იგიცა დაბადებული გან-ვე-თავისუფლდეს მონებისაგან ხრწნილებისა აზნაურებასა მას დიდებისა შვილთა ღმრთისათა“ (რომ. 8, 21). მართლაც დიდია დაპირება და დიდია დავალება, რომელიც მოწაფეებს მიეცა: „ყოველივე თქუენი არს, ხოლო თქუენ – ქრისტესნი, ხოლო ქრისტე – ღმრთისაჲ“ (1 კორ. 3, 23).

მაშასადამე, ერთგულებმა ღმრთის სადიდებლად უნდა ცნონ მთელი ქმნილების შინაგანი ბუნება, ღირებულება და დანიშნულება (ordinationem), და, უფრო წმიდა ცხოვრებისათვის, ერთმანეთს სეკულარული საქმეებითაც შეენიონ, რათა სამყარო განიმსჭვალოს ქრისტეს სულით და მეტი წარმატებით მიაღწიოს თავის მიზანს სამართალში, სიყვარულსა და მშვიდობაში. ამ მოვალეობის საყოველთაო აღსრულებაში ერისკაცებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. დაე, საერო საქმეებში თავისი კომპეტენტურობითა და საქმიანობით, ქრისტეს შინაგანად ამაღლებული მადლით, მათ საფუძვლიანად ხელი შეუწყონ იმას, რომ სიკეთენი, შექმნილნი შემოქმედის განზრახვითა (ordinationem) და მისი სიტყვის ნათებით (illuminationem), დამუშავდნენ ადამიანური შრომით, ტექნიკითა და კულტურით უკლებლივ ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ, მათ შორის უფრო მიზანშეწონილად განანილდნენ, რათა თავისე-

¹¹⁰ შესავლიდან ქრისტე-მეფის დღესასწაულისათვის.

ბურად მიგვიყვანონ საყოველთაო პროგრესამდე ადამიანური და ქრისტიანული თავისუფლების საქმეში. ამგვარად, ეკლესიის ასოთა საშუალებით ქრისტე სულ უფრო გაანათებს მთელს ადამიანურ საზოგადოებას თავისი მხსნელი ნათელით.

გარდა ამისა, ერისკაცებმა გაერთიანებული ძალებით უნდა გააჯანსაღონ საქვეყნო დანესებულებანი და არსებული ვითარება, თუ ის ცოდვისკენ უბიძგებს, რათა ეს ყველაფერი შეესაბამოს სამართლის ნორმებს. ამგვარად, მათ სიკეთეს დაბრკოლებები კი არ უნდა შეუქმნან, არამედ მის განვითარებას შეუწყონ ხელი. ასეთი ქმედებით ისინი კულტურასა და ადამიანურ საქმეებს მორალური ღირებულებით გამსჭვალავენ. ქვეყნის მინდორი ასე უფრო კარგად განმზადდება საღმრთო სიტყვის თესვლების მისაღებად, და ეკლესიის კარნი უფრო ფართოდ განილებიან, რათა მათი გზით შემოვიდეს მშვიდობის უწყება (praeconium).

თავად გამოხსნის განგებულების გამო ერთგულებმა უნდა ისწავლონ საფუძვლიანი გარჩევა, ერთის მხრივ, იმ უფლებებისა და მოვალეობების, რომლებიც მათ იმის გამო აკისრიათ, რომ ისინი ეკლესიას ეკუთვნიან, მეორეს მხრივ კი იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც მათ როგორც ადამიანური საზოგადოების წევრებს გააჩნიათ. მათ უნდა ილვანონ იმისთვის, რომ ერთიცა და მეორეც ერთმანეთთან ჰარმონიულ კავშირში მოიყვანონ, და უნდა ახსოვდეთ, რომ ნებისმიერ დროებით საქმეში ქრისტიანული სინდისით (conscientia) უნდა იხელმძღვანელონ, ტრადიციულად არცერთი ადამიანური ქმედება, მათ შორის წარმავალი საქმეც, ღმრთის მეუფებას (imperio) ვერ ასცდება. ჩვენს დროში განსაკუთრებით აუცილებელია, რომ განსხვავებაც და ჰარმონიაც რაც შეიძლება უფრო ნათლად გამოსჭვიოდეს ერთგულთა ქმედებაში, რათა ეკლესიის მისია უფრო მეტი სისავსით პასუხობდეს დღევანდელი სამყაროს ამა თუ იმ გარემოებას. მაშასადამე, ერთის მხრივ, უნდა ვალიაროთ, რომ მიწიერი ქალაქი, (terrenam civitatem), სეკულარულ ზრუნვას კანონიერად მინდობილი, იმართება საკუთარი პრინციპებით, ხოლო მეორეს მხრივ, დამსახურებულად უნდა უარყვით ის უაზრო მოძღვრება, რომელიც ცდილობს საზოგადოების აშენებას რელიგიის სრულიად გაუთვალისწინებლად, აგრეთვე ებრძვის და სპობს მოქალაქეთა რელიგიურ თავისუფლებას.¹¹¹

37. ერისკაცებს, როგორც ყველა ქრისტეს ერთგულს, აქვთ უფლება, წმიდა მწყემსებისგან უხვად მიიღონ დახმარება სულიერი სიკეთეებიდან, უპირველეს ყოვლისა ღმრთის სიტყვისა და საიდუმლოთაგან.¹¹² დაე, ამ მწყემსების წინაშე მათ ნათელი გახადონ თავისი მოთხოვნები და სურვილები იმ თავისუფლებითა და ნდობით, რომელიც შეეფერება ღმრთის შვილებსა და ქრისტეს მიერ ძმებს. ცოდნის, კომპეტენტურობისა და გამორჩეულობის შესაბამისად, მათ აქვთ უნარი და ზოგჯერ ვალდებულებაც, რომ განაცხადონ თავისი აზრი იმის შესახებ, რაც ეკლესიის სიკეთეს ეხება.¹¹³ ეს შეძლებისდაგვარად უნდა კეთდებოდეს ეკლესიის მიერ ამ მიზნით დაარსებული დანესებულებების მეშვეობით, კეთდებოდეს მუდამ სიმართლით, თამამად და გონივრულად, პატივისცემითა და სიყვარულით მათ მიმართ, ვინც თავისი წმიდა მოვალეობის გამო ქრისტეს განასახიერებს.

ერისკაცებმა, როგორც ყველა ქრისტეს ერთგულმა, ქრისტიანული მორჩილებით და უყოყმანოდ უნდა მიიღონ ის, რასაც ადგენენ ეკლესიაში წმიდა მწყემსები, როგორც ქრისტეს წარმომადგენლები, მასწავლებლები და ხელმძღვანელები. ისინი მიჰყვებიან ქრისტეს მაგალითს, რომელმაც სიკვდილამდე თავისი მორჩილებით ყველა ადამიანს განუღო ღმრთის შვილთა თავისუფლების ნეტარი გზა. მათ არ

111 შდრ. LEO XII, encycl. *Immortale Dei*, 1 nov. 1885: ASS (1885), pp. 166ss. – მისივე, encycl. *Sapientiae christianae*, 10 ian. 1890: ASS 22 (1889-90), pp. 397ss. – PIUS XII, alloc. *Alla vostra filiale*, 23 mart. 1958: AAS 50 (1958), p. 220: “la legitima sana laicità dello Stato” [“სახელმწიფოს კანონიერი ჯანსაღი საერო ხასიათი”].

112 *Cod. Iur. Can.*, can. 682.

113 შდრ. PIUS XII, alloc. *De quelle consolation*, l.c., p. 789: “გადამწყვეტ ბრძოლებში ყველაზე უფრო წარმატებული ინიციატივა ზოგჯერ ფრონტის წინა ხაზიდან მოდის” – მისივე, alloc. *L'importance de la presse catholique*, 17 febr. 1950: AAS 42 (1950), p. 256.

უნდა დაავინყდეთ, თავისი ლოცვებში ღმერთს წარუდგინონ (commendare) თავისი წინამძღვარნი, რომლებიც ფხიზლობენ ჩვენი სულებისთვის, თითქოს მათთვის ანგარიში უნდა აგონ; „რათა სიხარულით ამას ჰყოფდენ და არა სულთ-ითქუმიდენ“ (ებრ. 13, 17).

თავის მხრივ, წმიდა მწყემსებმა უნდა სცნონ ერისკაცთა ღირსება და პასუხისმგებლობა ეკლესიაში და მას ხელი შეუწყონ. დაე, ნებაყოფლობით ისარგებლონ ერისკაცთა რჩევით, დარწმუნებით მიანდონ მათ მოვალეობა ეკლესიის სამსახურში, სამოქმედოდ თავისუფლება და ასპარეზი დაუთმონ და გაამხნევეს, რათა ერისკაცებმა საკუთარი სურვილით საქმე წამოიწყონ. ის გეგმები, სურვილები და მისწრაფებები, რომლებიც ერისკაცებისგან მოდის, მწყემსებმა მამობრივი სიყვარულითა და დაკვირვებით ქრისტეში უნდა განჭვრიტონ.¹¹⁴ მწყემსებმა პატივისცემით უნდა აღიარონ სამართლიანი თავისუფლება, რომელიც მიწიერ ქალაქში ყველას ეკუთვნის.

ერისკაცებსა და მწყემსებს შორის არსებული ეს მჭიდრო ურთიერთობა ეკლესიას ბევრ სიკეთეს უქადის: ერისკაცებში მტკიცდება საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობა, ვითარდება მათი მონდომება და უფრო ადვილად ერწყმის მათი ძალები მწყემსთა საქმიანობას. ამ უკანასკნელთ, ერისკაცთა გამოცდილების დახმარებით, შეუძლიათ უფრო ზუსტად და უკეთესად განსაჯონ როგორც სულიერი ასევე წარმავალი საქმეები, რათა მთელმა ეკლესიამ, ყველა თავისი ასოთი განმტკიცებულმა, უფრო ნაყოფიერად აღასრულოს თავისი მისია სამყაროს ცხოვრების სასარგებლოდ.

38. ყოველი ერისკაცი უნდა იყოს ქვეყნის წინაშე უფალი იესოს აღდგომისა და ცხოვრების მოწმე და ცოცხალი ღმრთის ნიშანი. ყველამ ერთად და თითოეულმა ცალცალკე სულიერი ნაყოფით უნდა კვებოს სამყარო (შდრ. გალ. 5, 22), მასში სული (spiritum) განავრცოს, რომელიც ცხოველ-ყოფს (animantur) იმ გლახაკებს, მშვიდებსა და მშვიდობისმყოფელებს, რომლებიც უფალმა სახარებაში ნეტარებად გამოაცხადა (შდრ. მათ. 5, 3-9). ერთი სიტყვით, „რაც მშვინვა არის სხეულში, ის უნდა იყენენ ქრისტიანები სამყაროში“.¹¹⁵

თავი V საყოველთაო მონოდება სინმიდისაკენ ეკლესიაში

39. გვნამს, რომ შეურყევლად წმიდა ეკლესია, რომლის საიდუმლოს წმიდა კრება წარმოგვიდგენს. ხოლო ქრისტემ, ძემ ღმრთისამ, რომელიც მამასა და სულთან ერთად „მხოლოდ წმიდად“ იწოდება (celebratur),¹¹⁶ შეიყვარა ეკლესია როგორც ძალი თვისი და „თავი თვისი მისცა მისთვის, რათა იგი წმიდა-ყოს“ (ეფეს. 5, 25-26). მან ეკლესია როგორც თავისი სხეული შემოიერთა და აავსო იგი სული წმიდის ნიჭით ღმრთის სადიდებლად. ამიტომ ეკლესიაში ყველა – ისინიც, ვინც იერარქიას ეკუთვნის და ისინიც, ვინც მისგან იმწყემსება – მონოდებულთა სინმიდისკენ, თანახმად მოციქულისა: „რამეთუ ესე არს ნება ღმრთისაჲ, სინმიდე ეგე თქუენი“ (1თეს. 4, 3; შდრ. ეფეს. 1, 4). ეკლესიის ეს სინმიდე უწყვეტივ ვლინდება და უნდა გამოვლინდეს მადლის იმ ნაყოფებში, რომლებსაც სული ერთგულთა წიაღში წარმოქმნის. იგი მრავალფეროვნად გამოიხატება ყველაში, ვინც თავის ცხოვრების წესში სიყვარულის სრულყოფისკენ მიისწრაფის და სხვებს განასწავლის. რაღაც განსაკუთრებული სახით იგი ვლინდება რჩევათა პრაქტიკაში, რომლებსაც ჩვეულებრივ ევანგელურს უწოდებენ. რჩევათა ეს პრაქტიკა, რომელიც სული წმიდის ზემოქმედებით

¹¹⁴ შდრ. 1თეს. 5, 19 და 1იოან. 4, 1.

¹¹⁵ *Epist. ad Diognetum*, 6: FUNK I, p. 400. – შდრ. S. IO. CHRYSOSTOMUS, *In Mt. Hom.* 46 (47), 2: PG 58, 478 (საფუარის შესახებ ცომში).

¹¹⁶ *Missale Romanum, Gloria in excelsis*. – შდრ. ლუკ. 1, 35; მარკ. 1, 24; ლუკ. 4, 34; იოან. 6, 69 (ho hagios tou Theou); საქმე 3, 14; 4, 27 და 30; ებრ. 7, 26; 1იოან. 2, 20; გამოცხ. 3, 7.

მრავალმა ქრისტიანმა მიიღო, იქნება ეს კერძოდ თუ ეკლესიის მიერ დამტკიცებულ მდგომარეობასა და სტატუსში, გვაძლევს და უნდა გვაძლევდეს ამ სინმდის უცხადეს მონმობასა და მაგალითს.

40. ყოველგვარი სრულყოფის საღმრთო მასწავლებელმა დანიშნულმა, უფალმა იესომ უქადაგა ყველასა და თითოეულ თავის მონაფეს, როგორ პირობებშიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ცხოვრების სინმიდე, რომლის შემოქმედი და შემსრულებელი თავად არის: „იყენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“ (მათ. 5, 48).¹¹⁷ მართლაც, მან ყველაში მოავლინა სული ნმიდა, რომელიც მათ შიგნიდან შეძრავს, რათა მთელი თავისი გულით, სულით, გონებითა და ძალით უყვარდეთ ღმერთი (მდრ. მარკ. 12, 30) და ერთმანეთიც უყვარდეთ როგორც ქრისტემ შეიყვარა ისინი (მდრ. იოან. 13, 34; 15, 12). ქრისტეს მიმდევარნი, ღმრთისაგან მონოდებულნი და უფალი იესოს მიერ გამართლებულნი არა თავის საქმეთა გამო, არამედ ღმრთის განზრახვითა და მადლით, ნამდვილად იქცნენ რწმენის ნათლობით ღმრთის შვილებად და საღმრთო ბუნების მოზიარებებად, და ამდენად, მართლაც ნმიდანებად. ამიტომ ეს ნმიდაყოფა მათ, ღმრთის მადლით, უნდა თავისი ცხოვრების გზით შეინახონ და სრულყონ. მოციქული მოუწოდებს, იცხოვრონ „ვითარცა შუენის ნმიდათა“ (ეფეს. 5, 3), და შემოისონ „ვითარცა რჩეულთა ღმრთისათა, ნმიდათა და საყუარელთა, მონყალებაჲ, შენყნარებაჲ, სიტკობებაჲ, სიმდაბლე, სიმშვე, სულგრძელებაჲ“ (კოლ. 3, 12), და ჰქონდეთ ნაყოფი სულისა სინმიდისთვის (მდრ. გალ. 5, 22; რომ. 6, 22). „რამეთუ ფრიად ვსცთებით ყოველნივე“ (იაკ. 3, 2), მუდამ გვჭირდება ღმრთის ნყალობა და ყოველდღე უნდა ვილოცოთ: „და მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი“ (მათ. 6, 12).¹¹⁸

ამიტომ ყველასთვის ცხადია, რომ ნებისმიერი სტატუსისა თუ ხარისხის ქრისტეს ერთგულნი მონოდებულნი არიან ქრისტიანული ცხოვრების სისაყსისა და სიყვარულის სრულყოფილებისაკენ;¹¹⁹ ეს სინმიდე ხელს უწყობს მინიერ საზოგადოებაშიც ცხოვრების უფრო ჰუმანური წესის დამკვიდრებას. სრულყოფილების მისაღწევად ერთგულებმა ქრისტესგან მონიჭებულ ძალებს უნდა მოუხმონ, რათა მის კვალს გაჰყვნენ, მისი თანასახოვანი გახდნენ, ყველაფერში მამის ნებას დაემორჩილონ და მთელი სულით თავი მიუძღვნან მამის დიდებასა და ახლობლის მსახურებას. ასე გადაიზრდება ღმრთის ერის სინმიდე ნაყოფთა სიუხვეში, რაც ნათლად ვლინდება ეკლესიის ისტორიაში მრავალი ნმიდანის ცხოვრების მაგალითზე.

41. სხვადასხვა ცხოვრების წესსა და სამსახურში ყველა, ვისაც ღმრთის სული წარმართავს, სრულქმნის ერთსა და იმავე სინმიდეს. ისინი ემორჩილებიან მამის ხმას, სულითა და ჭეშმარიტებით მამა ღმერთს სცემენ თავყანს და მიჰყვებიან ქრისტეს – ღარიბს, მდაბალსა და ჯვრის მტვირთველს, რათა დაიმსახურონ მისი დიდების მოზიარება. თითოეულმა, თავის საკუთარ ნიჭთა და ფუნქციათა შესაბამისად, მტკიცედ უნდა იაროს ცოცხალი სარწმუნოების გზაზე, რომელიც იმედს აღძრავს და სიყვარულით მოქმედებს.

ქრისტეს სამწყსოს მწყემსებმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღასრულონ თავისი მსახურება ნმიდად და მონდომებით, მოკრძალებით და მტკიცედ, უზენაესი და საუკუნო მღვდელმსახურის, ჩვენი სულების მწყემსისა და ეპისკოპოსის ხატად. ამგვარად აღსრულებული მსახურება მათთვისვე იქცევა ნმიდაყოფის ყველაზე უფრო ამაღლებულ საშუალებად. მღვდელმსახურების სისრულისათვის რჩეულნი იღებენ

117 მდრ. ORIGENES, *Comm. Rom.* 7, 7: PG 14, 1122 B. – Ps.-MACARIUS, *De Oratione*, 11: PG 34, 861 AB. – S. THOMAS, *Summa Theol.* II-II, q. 184, a. 3.

118 მდრ. S. AUGUSTINUS, *Retract.* II, 18: PL 32, 637s. – PIUS XII, *encycl. Mistici Corporis*, 29 iun. 1943: AAS 35 (1943), p. 225.

119 მდრ. PIUS XI, *encycl. Rerum omnium*, 26 ian. 1923: AAS 15 (1923), p. 50 და pp. 59-60. – მისივე, *encycl. casti Connubii*, 31 dec. 1930: AAS 22 (1930), p. 548. – PIUS XII, *Const. apost. Provida Mater*, 2 febr. 1947: AAS 39 (1947), p. 117. – *Alloc. Annus sacer*, 8 dec. 1950: AAS 43 (1951), pp. 27-28. – *Alloc. Nel darvi*, 1 iul. 1956: AAS 48 (1956), pp. 574.

საიდუმლო მადლს, რათა ლოცვით, მსხვერპლშენივითა და ქადაგებით, საეპისკოპოსო ზრუნვისა და მსახურების ყველა საშუალებით, სრულყოფილად აღასრულონ სამღვდლო სიყვარულის ფუნქცია,¹²⁰ არ შეუშინდნენ, თავისი სული დასდონ ცხვრებისთვის, სამწყსოს ნიმუშად იქცნენ (შდრ. 1 პეტრე 5, 3), და ამგვარად, საკუთარი მაგალითით ეკლესიას სულ უფრო მეტი სინმიდისკენ გაუძღვნენ.

მღვდლები, ეპისკოპოსთა ხარისხის მსგავსად, რომელთა სულიერ გვირგვინსაც თავად წარმოადგენენ,¹²¹ მათი მოვალეობის მადლს ეზიარებიან ქრისტეს მიერ, რომელიც არის საუკუნო და ერთადერთი შუამავალი. თავისი მსახურების ყოველდღიური აღსრულებით მღვდლები უნდა გაიზარდონ ღმრთისა და მოყვასის სიყვარულით, შეინარჩუნონ სამღვდელმსახურო ურთიერთობის კავშირი, აღივსონ ყოველგვარი სულიერი სიკეთითა და ყველას წარმოუდგინონ ღმრთის ცოცხალი მოწმობა,¹²² იმ მღვდელთა მიბაძვით, ვინც საუკუნეთა განმავლობაში, ხშირად თავმდაბალი და დაფარული მსახურებით, დატოვა სინმიდის ბრწყინვალე ნიმუში. მათი ქება არის ღმრთის ეკლესიაში. თავისი მრევლისა და ღმრთის მთელი ერისთვის მსახურებისას მლოცველნი და მსხვერპლის შემწირველები, ისინი აცნობიერებენ, რასაც აკეთებენ და ბაძავენ, რასაც აღასრულებენ.¹²³ სამოციქულო ზრუნვამ, ხიფათმა და განსაცდელმა ისინი არ უნდა დააბრკოლოს, პირიქით, მათი მეშვეობით სინმიდის კიდევ უფრო დიდ სიმაღლეზე უნდა ავიდნენ, ჭვრეტის სიუხვით თავისი ქმედება უნდა კვებონ და ასაზრდოონ, ღმრთის მთელი ეკლესიის სასიხარულოდ. დაე, ყველა მღვდელსა და განსაკუთრებით მათ, ვინც თავისი საგანგებო ხელდასხმის გამო დიოცეზური მღვდელმსახურის სახელს ატარებს, ახსოვდეთ, რამდენად უწყობს ხელს მათი ნმიდა-ყოფას მათივე ეპისკოპოსთან ერთგული კავშირი და კეთილშობილი თანამშრომლობა.

უზენაესი მღვდელმსახურის მისიასა და მადლს განსაკუთრებული სახით ეზიარებიან უფრო დაბალი ხარისხის მსახურნი, უპირველეს ყოვლისა დიაკონები, რომლებიც უნდა ემსახურონ ქრისტესა და ეკლესიის საიდუმლოებებს (*mysteriis*),¹²⁴ მანკიერებისგან თავი დაიცვან, ღმერთს ასიამოვნონ და ადამიანთათვის ყოველგვარი სიკეთე უზრუნველყონ (შდრ. 1 ტიმ. 3, 8-10 და 12-13). მღვდელმსახურებმა, რომლებსაც უფალმა მოუწოდა და თავის ნილში ჩააყენა (*in partem Eius depositi*) და რომლებიც მწყემსთა ზედამხედველობით მსახურებისთვის ემზადებიან, თავისი გონება და გული უნდა მიუსადაგონ ასეთ ბრწყინვალე რჩეულობას, იყვნენ ლოცვაში მუყაითნი, სიყვარულში მგზნებარენი, ფიქრობდნენ იმაზე, რაც ჭეშმარიტია, სამართლიანია და სასახელო, და ყველაფერი აღასრულონ ღმრთის დიდებისა და პატივისათვის. მათ ემატება ღმრთისგან რჩეული ერისკაცები: სამოციქულო საქმეებს რომ სრულად მიეცნენ, ეპისკოპოსისგან მოწოდებულნი, ისინი დიდი ნაყოფიერებით იღწვიან უფლის მინდორში.¹²⁵

ხოლო ქრისტიანმა მეუღლეებმა და მშობლებმა უნდა მისდიონ საკუთარ გზას და ერთგული სიყვარულით მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთმანეთს მადლით დაეხმარონ. მათ უნდა გადასცენ ქრისტიანული მოძღვრება და სახარებისეული სიკეთეები შთამოწავლობას, რომელიც ღმრთისაგან ერგოთ. ასე აძლევენ ისინი ყველას დაუღალავი და კეთილშობილი სიყვარულის მაგალითს, აშენებენ სიყვარულის ძმობას და ხდებიან დედა ეკლესიის ნაყოფიერების მოწმენი და თანამშრომლები, ნიშნად და ზიარებად იმ სიყვარულისა, რომლითაც ქრისტემ შეიყვარა თავისი სძალი, როცა თავი მისცა მისთვის.¹²⁶ მსგავს მაგალითს სხვაგვარი სახით წარმოგვიდ-

120 შდრ. S. THOMAS, *Summa Theol.* II-II, q. 184, a. 5 და 6; *De perf. vitae spir.*, c. 18. – ORIGENES, *In Is.* Hom. 6, 1: PG 13, 239.

121 შდრ. S. IGNATIUS M., *Magn.* 13, 1: FUNK I, p. 241.

122 შდრ. S. PIUS X, *exhort. haerent animo*, 4 aug. 1908: ASS 41 (1908), pp. 560 s. – *Cod. Iur. Can.*, can. 124. – PIUS XI, *encycl. Ad catholicos sacerdotes*, 20 dec. 1935: AAS 28 (1936), pp. 22 s.

123 *Ordo consecrationis sacerdotalis*, in *exhortatione initiali*.

124 შდრ. S. IGNATIUS M., *Trall.* 2, 3: FUNK I, p. 244.

125 შდრ. PIUS XII, *alloc. Sous la maternelle protection*, 9 dec. 1957: AAS 50 (1958), p. 36.

126 PIUS XI, *encycl. Casti Connubii*, 31 dec. 1930: AAS 22 (1930), pp. 548s. – შდრ. S. IO. CHRYSOS-

გენენ ქვრივნი და დაუქორწინებელნი: მათაც შეუძლიათ დიდად ხელი შეუწყონ ეკლესიაში სინმიდესა და ქმედითობას. ხოლო ისინი, ვინც შრომით, სშირად მძიმეთი, არის დატვირთული, უფრო სრულყოფილი უნდა გახდნენ ამ ადამიანური საქმეების მეშვეობით; ისინი უნდა დაეხმარონ თანამოქალაქეებს და მთელი საზოგადოება და ქმნილება წინ წასწიონ. მათ უნდა მიბაძონ ქრისტეს, რომელიც თავად მისდევდა ხელით საქმიანობას და ყოველთვის იღწვოდა მამასთან ერთად ყველას გამოხსნისათვის; ქმედითი სიყვარულით, იმედით სავსე სიხარულით, მათ ერთმანეთის ტვირთი უნდა ზიდონ და თავისი ყოველდღიური შრომით ავიდნენ უფრო მაღალი დონის სინმიდემდე, თვით სამოციქულო სინმიდემდეც.

დაე, იცოდნენ მათ, ვინც სიღარიბით, უძლურებით, ავადმყოფობითა და სხვადასხვა გაჭირვებით არის შეწუხებული, ან დევნას განიცდის სიმართლისათვის, რომ ისინი განსაკუთრებულად ერთიანნი არიან ქრისტესთან, რომელმაც ივნო სამყაროს გამოხსნისათვის. უფალმა ისინი სახარებაში ნეტარებად გამოაცხადა: „ღმერთმან ყოვლისა მადლისამან, რომელმან გიჩინა თქუენ საუკუნესა მას დიდებასა მისსა ქრისტე იესოჲს მიერ, მცირედ-ლა თუ გევნო, მანვე განგამტკიცენინ თქუენ, განგაძლიერენინ და დაგამყარენინ“ (1პეტრ. 5, 10).

ამგვარად, ყველა ქრისტეს ერთგული სულ უფრო მეტად წმიდა გახდება თავისი ცხოვრების პირობებში, საქმიანობასა და გარემოებაში, — და სწორედ ამის მეშვეობით, — თუ იგი ყველაფერს რწმენით მიიღებს ზეციური მამის ხელიდან და საღმრთო ნებასთან ითანამშრომლებს, და თავის დროებით მსახურებაში ყველას გამოუმჟღავნებს სიყვარულს, რომლითაც მამამ სამყარო შეიყვარა.

42. “ღმერთი სიყვარული არს და რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგეეს და იგი ღმრთისა თანა“ (1იოანე 4, 16). ღმერთმა თავისი სიყვარული ჩვენს გულებში განფინა „სულითა წმიდითა, რომელი-იგი მოცემულ არს ჩუენდა“ (შდრ. რომ. 5, 5). ამიტომ უპირველესი და ყველაზე აუცილებელი ნიჭი სიყვარულია, რომლითაც გვიყვარს ღმერთი ყველაფერზე მეტად და გვიყვარს მოყვასი ღმრთის გამო. იმისათვის რომ სიყვარული, როგორც კეთილი თესლი, იზრდებოდეს და ნაყოფს ისხამდეს სულში, ყველა ერთგულმა ხალისით უნდა ისმინოს ღმრთის სიტყვა და, მისი მადლის ხელშეწყობით, მისი ნება საქმით აღასრულოს. მან უნდა ხშირად მიიღოს მონაწილეობა საიდუმლოებში, უპირველეს ყოვლისა ზიარებაში, აგრეთვე ღმრთისმსახურებაში (*sacris actionibus*), გულმოდგინედ მიეცეს ლოცვას, საკუთარი თავისგან განდგომას და მისდიოს ქმედით ძმურ მსახურებასა და ყოველგვარი სიკეთის განხორციელებას. მართლაც, სიყვარული, როგორც სისრულის კავშირი და კანონის სისავსე (შდრ. კოლ. 3, 14; რომ. 13, 10), წარმართავს წმიდა-ყოფის ყველა საშუალებას, სახეს აძლევს მათ და მიზნისკენ უძღვება.¹²⁷ ამიტომ ქრისტეს ჭეშმარიტი მონაფე აღინიშნება როგორც ღმრთისადმი, ასევე მოყვასისადმი სიყვარულით.

იესომ, ძემ ღმრთისამ, გამოავლინა თავისი სიყვარული, როცა დადო თავისი სული ჩვენთვის, და არავის აქვს უფრო დიდი სიყვარული, ვიდრე მას, ვინც დადო თავისი სული მისთვის და თავისი ძმებისთვის (შდრ. 1იოან. 3, 16; იოან. 15, 13). ზოგიერთი ქრისტიანი უძველესი დროიდან იყო მონოდებული (და ყოველთვის იქნება მონოდებული) იმისათვის, რომ წარმოადგინოს სიყვარულის უდიდესი მონაწილე ყველას წინაშე, განსაკუთრებით მდევნელთა წინაშე. ამიტომ ეკლესია აფასებს მარტვილობას, როგორც განსაკუთრებულ ნიჭს და სიყვარულის უზენაეს გამოცდას. მარტვილობით მონაფე ემსგავსება მასწავლებელს, რომელმაც სამყაროს გამოსხნისათვის ნებაყოფლობით დაითმინა სიკვდილი, და მისი საზოგადოებრივი ხდება სისხლის დაღვრის შედეგად. თუმცა ეს ცოტა ვინმეს ეძლევა, მაინც ყველა უნდა მზად იყოს ქრისტეს აღმსარებლობისათვის ადამიანთა წინაშე და მას გაჰყვეს ჯვარცმის გზაზე დევნათა დროს, რომელთა ნაკლებობას ეკლესია არასდროს განიცდის.

TOMUS, *In Ephes.* hom. 20, 2: PG 62, 136ss.

127 შდრ. S. AUGUSTINUS, *Enchir.* 121, 32: PL 40, 288. – S. THOMAS, *Summa Theol.* II-II, q. 184, a. 1. – PIUS XII, *adhort. apost. Menti nostrae*, 3 sept. 1950: AAS 42 (1950), p. 660.

ეკლესიის სინმიდეს საგანგებოდ ასაზრდოებს მრავალგვარი რჩევა (consilii), რომლებიც განსახილველად უფალმა სახარებაში თავის მონაფეებს შესთავაზა.¹²⁸ მათ შორის გამოირჩევა საღმრთო მადლის ძვირფასი ნიჭი, რომელიც მამისგან ზოგიერთს ეძლევა (შდრ. მათ. 19, 11; 1კორ. 7, 7), რათა ქალწულობაში ან დაუქორწინებლობაში, განუყოფელი გულით (შდრ. 1კორ. 7, 32-34) ადვილად მიუძღვნან თავი მხოლოდ ღმერთს.¹²⁹ ამ სრულყოფილ შეზღუდვას (continentia), განხორციელებულს ცის სასუფევლისთვის, ეკლესია ყოველთვის დიდი პატივით ეპყრობოდა, როგორც სიყვარულის ნიშანსა და სტიმულს და სამყაროში სულიერი ნაყოფიერების განსაკუთრებულ წყაროს.

ეკლესია იხსენებს მოციქულის გაფრთხილებასაც, რომელიც ერთგულებს სიყვარულისკენ მოუწოდებს, და აქეზებს, იგივე იგრძნონ, რასაც იესო ქრისტე გრძნობდა, რომელმაც „თავი თჳსი დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო, ... იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილდმდე“ (ფილ. 2, 7-8) და ჩვენთვის „დაგლახაკნა მდიდარი იგი“ (2კორ. 8, 9). აუცილებელია, რომ მონაფეებმა მუდამ მიბაძონ ქრისტეს ამ სიყვარულსა და სიმდაბლეს და მას მოწმობდნენ. ამიტომ დედა ეკლესიას უხარია, რომ მის წიაღში მეტი კაცები და ქალები შემოდიან, რომლებიც მაცხოვრის დაცალიერებას (exininationem) უფრო ერთგულად მიჰყვებიან და მას უფრო აშკარად ავლენენ, სიგლახაკეს ღმრთის შვილთა თავისუფლებაში იღებენ და საკუთარ ნებაზე უარს ამბობენ. ისინი ღმრთის გულისთვის ადამიანს ემორჩილებიან, ისეთი სრულყოფილებით, რომელიც მცნების ზღვარსაც კი სცილდება, რათა მორჩილებით კიდევ უფრო მეტად მიემსგავსონ ქრისტეს.¹³⁰

ამგვარად, ყველა ქრისტეს ერთგული მოწოდებულია იმისთვის, რომ ისწრაფოდეს სინმიდისა და საკუთარი მდგომარეობის სრულყოფისაკენ. დაე, ეცადონ, თავისი გრძნობები სწორად წარმართონ, რათა მიწიერ საქმეთა სარგებლობამ და სიმდიდრისადმი მიდრეკილებამ, რომელიც სახარებისეული სიგლახაკის სულს უპირისპირდება, არ დააბრკოლოს მისწრაფება სრულყოფილი სიყვარულისკენ. მოციქული გვაფრთხილებს: „რომელნი იმსახურებდენ სოფელსა ამას, ვითარმცა არა იმსახურებენ, რამეთუ წარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ“ (1კორ. 7, 31).¹³¹

თავი VI მონესენი

43. ღმრთისადმი მიძღვნილი უბიწოების, სიგლახაკისა და მორჩილების შესახებ სახარებისეული რჩევები ემყარება უფლის სიტყვებსა და მაგალითებს და მათ მოციქულები, ეკლესიის მამები და მწყემსები გვთავაზობენ. ეს რჩევები წარმოადგენს საღმრთო ნიჭს, რომელიც ეკლესიამ თავისი უფლისგან მიიღო და, მისი მადლით, მას მუდამ ინახავს. ეკლესიის ძალაუფლებამ სული წმიდის წინამძღოლობით იზრუნა მათი განმარტების, შესრულებისა და მათ საფუძველზე ცხოვრების მყარი ფორმების ჩამოყალიბებისთვის. როგორც ღმრთივბოძებული ნერგიდან აღმოცენებული ხე განსაკვივრებლად და მრავალფეროვნად განიტოტა უფლის მინდორში, ისე ამოიზარდა განდეგილი თუ საზოგადო ცხოვრების სხვადასხვა ფორმა და სხვადასხვა ოჯახი, რომელიც სასარგებლოა როგორც მისი წევრებისთვის, ასევე ქრი-

¹²⁸ რჩევათა შესახებ ზოგადად შდრ. ORIGENES, *Comm. Rom.* X, 14: PG 14, 1275 B. – S. AUGUSTINUS, *De S. Virginitate*, 15, 15: PL 40, 403. – S. THOMAS, *Summa Theol.* I-II, q. 100, a. 2 c (ბოლოს); II-II, q. 44, a. 4, ad 3.

¹²⁹ წმიდა ქალწულობის განსაკუთრებულობისთვის შდრ. TERTULLIANUS, *Exhort. Cast.* 10: PL 2, 925 C. – S. CYPRIANUS, *Hab. Virg.* 3 და 22: PL 4, 443 B და 461 A s. – S. ATHANASIUS, *De Virg.*: PG 28, 252 ss. – S. IO. CHRYSOSTOMUS, *De Virg.*: PG 48, 533 ss.

¹³⁰ სულიერი სიგლახაკის შესახებ შდრ. მათ. 5, 3 და 19, 21; მარკ. 10, 21; ლუკ. 18, 22; მორჩილებასთან დაკავშირებით ქრისტეს მაგალითი მოცემულია: იოან. 4, 34 და 6, 38; ფილ. 2, 8-20; ებრ. 10, 5-7. – ხშირია მამებთან და ორდენების დამფუძნებლებთან.

¹³¹ რჩევათა წარმატებით გამოყენების შესახებ, რომლებიც ყველასთვის სავალდებულო არ არის, შდრ. S. IO. CHRYSOSTOMUS, *In Mt. hom.* 7, 7: PG 57, 81s. – S. AMBROSIIUS, *De Viduis*, 4, 23: PL 16, 241 s.

სტეს მთელი სხეულის კეთილდღეობისთვის.¹³² ეს ოჯახები უზრუნველყოფენ თავისი წევრებისთვის ცხოვრების სტაბილურობასა და სიმტკიცეს, მოძღვრებას, სრულყოფილებისკენ სწრაფვისთვის განკუთვნილს, საძმო კავშირს ქრისტეს მხედრობაში (in militia Christi), აგრეთვე მორჩილებით განმტკიცებულ თავისუფლებას, რათა შეედგომოთ მონესეთა საქმიანობის (professionem) მტკიცედ შესრულება, მისი ერთგულად შენახვა და სულისმიერი სიხარულით სიყვარულის გზაზე წინსვლა.¹³³

ეს სტატუსი, თუ გავითვალისწინებთ ეკლესიის საღმრთო და იერარქიულ აგებულებას, არ წარმოადგენს შუალედს მღვდელმსახურებსა და ერისკაცთა მდგომარეობას შორის, არამედ ორივე მხრიდან ზოგიერთი ქრისტეს ერთგული მოწოდებულია იმისათვის, რათა გაიხაროს ეკლესიის ცხოვრებაში განსაკუთრებული ნიჭით და, თითოეული თავისებურად, ემსახუროს ეკლესიის გამომხსნელ მისიას.¹³⁴

44. ალექსანდრე და სხვა წმიდა კავშირები თავისი არსით იმ ალექსანდრეებს ჰგავს, რომელთა გამო ქრისტეს ერთგული მოვალეა, შეასრულოს სამი ზემოხსენებული სახარებისეული რჩევა. იგი მთლიანად ეძლევა ღმერთს, რომელიც ყველაზე უფრო საყვარელია, რათა ახალი და განსაკუთრებული სტატუსით (titulo) თავი მიუძღვნას ღმრთის მსახურებას და მის პატივისცემას. ნათლობის შედეგად იგი მოკვდა ცოდვისთვის და ღმრთისათვის იქნა მიძღვნილი. მაგრამ ნათლობის მაღლის მეტი ნაყოფი რომ მოკრიბოს, იგი ცდილობს, ეკლესიაში სახარებისეული რჩევების შესრულებით გათავისუფლდეს იმ დაბრკოლებებისგან, რომლებსაც შეუძლია ხელი შეუშალოს სიყვარულის მგზნებარებასა და საღმრთო მსახურების სრულყოფილებაში. ამიტომ უძღვნის იგი თავს მეტი სიღრმით საღმრთო მსახურებას.¹³⁵ თავის ეს მიძღვნა მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო ძლიერი და მტკიცე კავშირით არის გამოხატული ქრისტე, თავის სძალთან – ეკლესიასთან ურღვევი კავშირით შეერთებული.

სახარებისეული რჩევების მეშვეობით სიყვარულისკენ მიდიან ისინი, ვინც მათ მისდევს¹³⁶ და ისინი განსაკუთრებული სახით უკავშირდებიან ეკლესიასა და მის საიდუმლოს, ამიტომ მათი სულიერი ცხოვრებაც მთელი ეკლესიის სიკეთეს უნდა მიეძღვნას. მათი მოვალეობაა, შეძლებისდაგვარად და საკუთარი მოწოდების შესაბამისად, ლოცვით ან რაიმე ქმედითი საქმით იღვანონ სულებში ქრისტეს მეუფების დაფუძნებისა და განმტკიცებისთვის და ყველა ქვეანაში მისი გავრცელებისთვის. ამიტომ ეკლესია იცავს და ინახავს მონესეთა სხვადასხვა ინსტიტუტის თავისებურებას.

შესაბამისად, სახარებისეული რჩევების აღიარება წარმოადგენს ერთგვარ ნიშანს, რომელსაც შეუძლია (და კიდევ უნდა გააკეთოს ეს) წარმატებით მოახდინოს გავლენა ეკლესიის ყველა წევრზე, რათა მათ ქრისტიანული მოწოდების მოვალეობანი გულმოდგინედ შეასრულონ. ღმრთის ერს მუდმივი ქალაქი არ გააჩნია, არამედ ის მომავლის ქალაქს ეძებს. მონესეების სტატუსი, რომელიც ათავისუფლებს მათ მიმდევრებს მინიერი საზრუნავისგან, ყველა მორწმუნეს უკვე ამქვეყნად გამოუვლენს ციურ სიკეთებს და მოწმობს ახალ და საუკუნო ცხოვრებას, მოპოვებულს ქრისტესმიერი გამოსყიდვით, და ამცნობს მომავალ აღდგომასა და ზეციური სასუფევლის დიდებას. გარდა ამისა, ეს სტატუსი უკეთესად ასახავს და ეკლესიაში ყოველთვის გამოხატავს ცხოვრების იმ ფორმას, რომელიც ძემ ღმრთისამ მიიღო, როცა მოვიდა ქვეყნად მამის ნების აღსასრულებლად და რომელიც მან თავის მიმდევარ მოწაფეებს შესთავაზა. და ბოლოს, იგი განსაკუთრებულად ცხადყოფს

132 შდრ. ROSWEYDUS, *Vitae Patrum*, Antwerpiae, 1628. – *Apophtegmata Patrum*: PG 65. – PAL-LADIUS, *Historia Lauciaca*: PG 34 995 ss.: ed. C. BUTLER, Cambridge 1898 (1904). – PIUS XI, Const. apost. *Umbratitem*, 8 iul. 1924: AAS 16 (1924), pp. 386-387. – PIUS XII, alloc. *Nous sommes hereux*, 11 apr. 1958: AAS 50 (1958), p. 283.

133 PAULUS VI, alloc. *Magno gaudio*, 23 maii 1964: AAS 56 (1964), p. 566.

134 შდრ. *Cod. Iur. Can.*, c. 487 და 488, 4°. – PIUS XII, alloc. *Annus sacer*, 8 dec. 1950: AAS 43 (1951), pp. 27s. – PIUS XII, Const. apost. *Provida Mater*, 2 febr. 1947: AAS 39 (1947), pp. 120ss.

135 PAULUS VI, l.c., p. 567.

136 შდრ. S. THOMAS, *Summa Theol.* II-II, q. 184, a. 3 და q. 188, a. 2. – S. BONAVENTURA, *Opusc. XI, Apologia Pauperum*, c. 3, 3: QUARACCHI, t. 8, 1898, p. 245 a.

ღმრთის სასუფეველის უზენაესობას ყოველივე მიწიერთან შედარებით და მის უმაღლეს მოთხოვნებს. იგი აჩვენებს ყველა ადამიანს მეუფე ქრისტეს ძლიერების სიდიადეს და სული წმიდის უსაზღვრო ძალას, რომელიც განსაცვიფრებლად მოქმედებს ეკლესიაში.

ამგვარად, ეს სტატუსი არსებობს სახარებისეულ რჩევათა შესრულების საფუძველზე; ეკლესიის იერარქიულ სტრუქტურას იგი არ ეხება, მაგრამ მისი ცხოვრებისა და სინმიდის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

45. საეკლესიო იერარქიის მოვალეობა არის ღმრთის ერის მწყემსვა და მისი გაყვანა ნოყიერ საძოვარზე (შდრ. ეზეკ. 34, 14), ამიტომ მანვე თავისი კანონებით უნდა ბრძნულად წარმართოს სახარებისეული რჩევების შესრულება, რომელთა ხელშეწყობით ღმრთისა და მოყვასის მიმართ სიყვარული განსაკუთრებით სრულყოფილი ხდება.¹³⁷ თავად იერარქია მორჩილად მისდევს სული წმიდის მისწრაფებას, იღებს წესებს, ბრწყინვალე კაცთა და ქალთა მიერ მოცემულს, შემდგომ დაამუშავებს მათ და ჭეშმარიტად აღიარებს. გარდა ამისა, იგი თავისი უფლებამოსილებით ზედამხედველობს და მფარველობს ქრისტეს სხეულის აგებისათვის აქა თუ იქ დაარსებულ ინსტიტუტებს, რათა ისინი გაიზარონ და აყვავდნენ მათი დამარსებლების სულის მსგავსად.

უზენაეს პონტიფექსს, საყოველთაო ეკლესიაში მისი პირველობის ძალითა და საზოგადო სარგებლობის გათვალისწინებით, შეუძლია გამორიცხოს სრულყოფის ნებისმიერი ინსტიტუტი და მისი ცალკეული წევრი ადგილობრივ ორდინარიუსთა იურისდიქციიდან, რათა ისინი მხოლოდ მას, პონტიფექსს დაექვემდებარონ.¹³⁸ ასევე შესაძლოა, ისინი მიანდონ ან მიაბარონ საკუთარ საპატრიარქო ხელისუფლებას. წევრები, რომლებიც ეკლესიას თავისი ცხოვრების თავისებურებათა შესაბამისად ემსახურებიან, კანონიკური წესებით თანახმად უნდა ავლენდნენ პატივისცემასა და მორჩილებას ეპოსკოპოსთა მიმართ, ცალკეულ ეკლესიაში მათი სამწყსო (pastoralem) უფლებამოსილების გამო და სამოციქულო მუშაობაში აუცილებელი ერთიანობისა და თანხმობისათვის.¹³⁹

ეკლესიას თავისი სანქციით მოწესეთა საქმიანობა (professionem religiosam) არა მარტო კანონიკური ღირსების სტატუსსამდე აჰყვას, არამედ ლიტურგიული ქმედებით მის ღმრთისადმი მიძღვნილ სტატუსსაც წარმოაჩენს. თავად ეკლესია, ღმრთისაგან ბოძებული უფლებამოსილებით, იღებს აღმსარებელთა აღთქმებს, თავის საჯარო ლოცვაში ღმერთს სთხოვს მათთვის დახმარებასა და მადლს, მათ ღმერთს მიანდობს, სულიერად დალოცავს (spiritualem benedictionem impertitur) და მათ ძღვენს (oblationem) ექვარისტიულ მსხვერპლშენიშვას უერთებს.

46. მოწესენი გულმოდგინედ უნდა ისწრაფოდნენ იმისკენ, რომ მათი მეშვეობით ეკლესია სულ უფრო უკეთესად წარმოუჩინდეს ქრისტეს როგორც ერთგულებს, ასევე არა ერთგულებს, როცა იგი, მთაზე ჩაფიქრებული (contemplantem), ხალხს (turbis) ღმრთის სასუფეველს გამოუცხადებს, ან სწეულებსა და სუსტებს კურნავს და ცოდვილებს კეთილი ნაყოფისკენ მოაქცევს, ან კიდევ ბავშვებს დალოცავს. იგი ყველას კეთილისმყოფელია და ყოველთვის ემორჩილება ნებას მამისას, რომელმაც მოავლინა.¹⁴⁰

და ბოლოს, ყველას უნდა ესმოდეს, რომ სახარებისეულ რჩევათა შესრულებას თუმცა კი მოსდევს განდგომა იმ სიკეთეებისგან, რომელთა ღირებულება უდაოა,

137 შდრ. CONC. VAT. I, სქემა *De Ecclesia Christi*, cap. XV და შენიშვნა 48: MANSI 51, 549 s. და 619s. – LEO XII, epist. *Au milieu des consolations*, 23 dec. 1900: ASS 33 (1900-01), p. 361. – PIUS XII, Const. apost. *Provida Mater*, l.c., pp. 114 s.

138 შდრ. LEO XII, Const. *Romanos Pontifices*, 8 maii 1881: ASS 13 (1880-81), p. 483. – PIUS XII alloc. *Annus sacer*, 8 dec. 1950: AAS 43 (1951), pp. 28 s.

139 შდრ. PIUS XII, alloc. *annus sacer*, l.c., p. 28. – PIUS XII, Const. apost. *Sedes Sapientiae*, 31 maii 1956: AAS 48 (1956), p. 355. – PAULUS VI, l.c., pp. 570-571.

140 შდრ. PIUS XII, encycl. *Mystici Corporis*, 29 iun. 1943: AAS 35 (1943), pp. 214 s.

ის მაინც არ წარმოადგენს დაბრკოლებას ადამიანის პიროვნების ჭეშმარიტი განვითარებისთვის, არამედ პირიქით: მას თავისი ბუნებით ყოველმხრივ ხელს უწყობს. რჩევები, რომლებსაც თითოეული ადამიანი თავისი პიროვნული მოწოდების შესაბამისად ნებაყოფლობით იღებს, გულის განწმენდასა და სულიერ თავისუფლებას დიდად ეხმარება. ისინი განუწყვეტლივ აღძრავენ სიყვარულის მგზებარებასა და, უპირველეს ყოვლისა, მათ შეუძლიათ ქრისტიანი ადამიანი შეუსაბამონ იმ ქალწულებრივი და გლახაკი ცხოვრების სახეობას, რომელიც ქრისტე უფალმა ირჩია და რომელიც მისმა ქალწულმა დედამ შეითვისა, რასაც მრავლრიცხოვან წმიდა დამაარსებელთა მაგალითი ადასტურებს. არავინ იფიქროს, რომ მოწესეები თავისი შეწირული ცხოვრებით (consecratione) ადამიანთაგან გაუცხოვდებიან და მინიერ ქალაქში უსარგებლონი ხდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავის თანამედროვეებს უშუალოდ გვერდში ყოველთვის არ უდგანან, უფრო ღრმა გაგებით ისინი მათ გვერდში უდგანან ქრისტეს ნიაღში (visceribus) და მათთან სულიერად თანამშრომლობენ, რათა მინიერი ქალაქის მშენებლობა მუდამ უფალს ეფუძნებოდეს და მისკენ მიემართებოდეს, რომ ამაოდ არ დაშვრნენ მისი მაშენებელი.¹⁴¹

ამიტომ წმიდა კრება ამხნევეს და აქებს კაცებსა და ქალებს, ძმებსა და დებს, რომლებიც მონასტრებში, სკოლებში, საავდამყოფოებსა თუ მისიებში მუდმივი და თავმდაბალი ერთგულებით ამკობენ ქრისტეს სძალს ზემოსხენებული შეწირული ცხოვრებით (in consecratione) და ყველა ადამიანს კეთილშობილ და მრავალგვარ სამსახურს აღმოუჩენენ.

47. ხოლო ვინც მოწოდებულია რჩევათა შესრულებისთვის (ad professionem consiliorum vocatus), გულმოდგინედ უნდა ეცადოს, მუდამ მისდიოს იმ მოწოდებას, რომელიც ღმრთისგან მიიღო და ამ საქმეში მეტ წარმატებას მიაღწიოს, რათა იყოს ეკლესია უფრო წმიდა და უფრო დიდებული ერთიანი და განუყოფელი სამება, რომელიც ქრისტეში და ქრისტეს მიერ არის ყოველგვარი სინმიდის წყარო და დასაბამი.

თავი VII

მსხეში ეკლესიის ესქატოლოგიური ხასიათი და მისი კავშირი ზეციურ ეკლესიასთან

48. ეკლესია, რომლისკენაც იესო ქრისტე ყველას მოგვინოდებს და რომელშიც ღმრთის მადლით სინმიდეს ვიძენთ, დასრულებას მხოლოდ ზეციურ დიდებაში ჰპოვებს, როცა მოვა ჟამი ყველაფრის აღდგინებისა (restitutionis) (შდრ. საქმე 3, 21) და როცა ადამიანურ მოდგმასთან ერთად მთელი სამყარო (იგი ადამიანთან შინაგანად არის დაკავშირებული და ადამიანის მეშვეობით თავის მიზანს აღწევს), სრულყოფილად განახლდება ქრისტეში (შდრ. ეფეს. 1, 10; კოლ. 1, 20; 23ეტრ. 3, 10-13).

ქრისტე ამაღლდა მინიდან და ყველა თავისკენ მიიზიდა (შდრ. იოან. 12, 32). მკვდრეთით აღმდგარმა, (შდრ. რომ. 6, 9) მან მოუვლინა მონაფეებს თავისი ცხოველყოფელი სული და მისი მეშვეობით თავისი სხეული, რომელიც არის ეკლესია, გახადა საყოველთაო გამოხსნის საიდუმლოდ. მამის მარჯვენით მჯდომარე, იგი მუდამ მოქმედებს სამყაროში, რათა ადამიანები ეკლესიასთან მიიყვანოს, ეკლესიის მეშვეობით ისინი უფრო მჭიდროდ დაიკავშიროს, ასაზრდოოს თავისი სხეულითა და სისხლით, და ამგვარად, თავისი დიდებული ცხოვრების მოზიარებდად აქციოს. აღთქმული აღდგენა, რომელსაც მოველით, უკვე დაიწყო ქრისტეში, იგი ვითარდება სული წმიდის მოვლინებით და სული წმიდის მიერ გრძელდება ეკლესიაში, სადაც რწმენის საშუალებით ვიგებთ ჩვენი წარმავალი ცხოვრების აზრსაც, როცა მომავალ სიკეთეთა იმედით აღვასრულებთ საქმეს, რომელიც მამამ ამქვეყნად მოგვანდო, და ჩვენს გამოხსნას ვიქმთ (შდრ. ფილ. 2, 12).

¹⁴¹ შდრ. PIUS XII, alloc. *Annus sacer*, I. c., p. 30. – Alloc. *Sous la maternelle protection*, 9 dec. 1957: AAS 50 (1958), pp. 39 s.

რამეთუ ჩვენამდე უკვე მოიწია ჟამთა აღსასრულმა (შდრ. 1კორ. 10, 11). სა-
მყაროს აღდგენა შეუქცევლად არის დადგენილი და უკვე ჩვენს დროში მოსაღდო-
ნელი (anticipatur): ეკლესია ხომ უკვე დედამინაზე გამოირჩევა ჭეშმარიტი სინმიდით,
თუნდაც არასრულით. სანამ იქნება ახალი ცა და ახალი მიწა, რომლებშიც სამართ-
ლე მკვიდრობს (შდრ. 2პეტრე 3, 13), მსხემ ეკლესიას თავის საიდუმლოებსა და ინ-
სტიტუტებში, რომლებიც ამჟამინდელიობას განეკუთვნება, აქვს ჩვენი წარმავალი
საუკუნის სახე. ეკლესია მკვიდრობს დაბადებულთა შორის და ყოველი მათგანი
„თანა-კუნესის და თანა-ელმის მოაქამდე“ და მოელის ღმრთის შვილთა გამოცხა-
დებას (რომ. 8, 19-22).

ჩვენ, ეკლესიაში ქრისტესთან გაერთიანებულნი და სული წმიდით აღბეჭდილნი,
„რომელ-იგი არს წინდი მკვდრობისა ჩუენისაჲ“ (ეფეს. 1, 14), ჭეშმარიტად ვინოდე-
ბით და ვართ ღმრთის შვილნი (შდრ. 1იოანე 3, 1), მაგრამ ჯერ არ გამოვცხადებულ-
ვართ ქრისტესთან ერთად დიდებით (შდრ. კოლ. 3, 4), რომლითაც ღმრთის მსგავსნი
ვიქნებით, რამეთუ ვიხილავთ მას, „ვითარცა იგი არს“ (შდრ. 1იოანე 3, 2). ამიტომ
„ვიდრე სხეულში ვსახლობთ, ვმსხემობთ უფლისგან შორს“ (2კორ. 5, 6); სულის
საწყისთა მფლობელნი, „თავთა შინა ჩუენთა ვკუნესით“ (შდრ. რომ. 8, 23) და გვსურს
ქრისტესთან ყოფნა (შდრ. ფილ. 1, 23). იგივე სიყვარული გვიბიძგებს, მეტად ვიც-
ხოვროთ მისთვის, ჩვენთვის „მომკუდრისა და აღდგომილისა“ (2კორ. 5, 15). მაშა-
სადამე, ვცდილობთ, ყველაფერში სათნონი ვიყოთ ღმრთისათვის (შდრ. 2კორ. 5, 9)
და ვიმოსავთ ღმრთის საჭურველს, რათა შევძლოთ ეშმაკის ხრიკებს წინ აღვუდგეთ
და ბოროტებას დაეუპირისპირდეთ (შდრ. ეფეს. 6, 11-13). ჩვენ არ ვიცით არც დღე
და არც საათი, ამიტომ, როგორც უფალი გვაფრთხილებს, მუდამ უნდა ვფხიზლობ-
დეთ, რომ ჩვენი მინიერი ცხოვრების ერთადერთი გზის დასრულებისას (შდრ. ებრ.
9, 27) დავიმსახუროთ მასთან ერთად საქონწინოდ შესვლა და მივეკუთვნოთ კურ-
თხეულთ (benedictis) (შდრ. მათ. 25, 31-46), და არ გვებრძანოს, როგორც უკეთურ და
ზარმაც მონებს (შდრ. მათ. 25, 26), შესვლა „ცეცხლსა მას საუკუნესა“ (შდრ. მათ.
25, 41), „ბნელსა მას გარესკნელსა“, სადაც „იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ“
(მათ. 22, 13 და 25, 30). მართლაც, სანამ გავმეფდებით ქრისტესთან დიდებით, „ჩუენ
ყოველნი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, რაჲთა მიიღოს კაცად-
კაცადმან ჯორცთა ამათგან, რაჲცა-იგი ქმნა, გინა თუ კეთილი გინა თუ ბოროტი“
(2კორ. 5, 10) და ქვეყნის ადასრულისას „გამოვიდოდინან კეთილის-მოქმედნი აღდ-
გომასა ცხოვრებისასა, ხოლო ბოროტის-მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა“ (იოან.
5, 29; შდრ. მათ. 25, 46). ამიტომ ვფიქრობთ, რომ „ვერ ღირს არიან ვნებანი იგი ამის
ჟამისანი მერმისა მის თანა დიდებისა, რომელ გამოჩინებად არს ჩუენდა მომართ“
(რომ. 8, 18; შდრ. 2ტიმ. 2, 11-12), და, რწმენით მტკიცენი, მოველით „ნეტარსა მას
სასოებასა და გამოჩინებასა დიდებასა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა
იესო ქრისტესი“ (ტიტ. 2, 13), „რომელმან გარდაცვალებს ჯორცნი ესე სიმდაბლისა
ჩუენისანი, რაჲთა იყვენენ იგინი თანახატ ჯორცთა მათ დიდებისა მისისათა“ (ფილ. 3,
21) და რომელიც მოვა „დიდებად შორის წმიდათა მისთა და საკრველებად ყოველ-
თა შორის მორწმუნეთა“ (2თეს. 1, 10).

49. მაშასადამე, სანამ მოსულა უფალი „დიდებითა თჳსითა, და ყოველნი ანგე-
ლოზნი მისნი მის თანა“ (მათ. 25, 31), განქარდა სიკვდილი, ყველაფერი უფალს
დაემორჩილა (შდრ. 1კორ. 15, 26-27), ზოგიერთი მისი მონაფე მსხემობს დედამი-
ნაზე, ზოგმაც დაასრულა ეს ცხოვრება და განიწმიდება, სხვები კი, განდიდებულ-
ნი, ჭვრეტენ „ნათელში თავად ღმერთს: სამპიროვანსა (trinum) და ერთს – ისეთს,
როგორც ის არის.“¹⁴² ამავე დროს ჩვენ ყველანი (თუმცა სხვადასხვა ხარისხითა და
ფორმით), ვურთიერთობთ ერთი და იმავე სიყვარულით ღმრთისა და მოყვასის მი-
მართ და დიდების ერთსა და იმავე ჰიმნს ვუმღერით ჩვენს ღმერთს. ყველას, ვინც
ქრისტესი არის, მისი სული აქვს, ისინი ერთ ეკლესიად შენანეგრდებიან და ერთმა-
ნეთს ქრისტეში შეეკვრებიან (შდრ. ეფეს. 4, 16). ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ

142 CONC. FLOR. *Decretum pro Graecis*: DENZ. 693 (1305).

წყდება მათი ერთობა, ვინც გზაშია (viatorum), იმათთან, ვინც განისვენა ქრისტეს მშვიდობით; პირიქით, ეკლესიის მუდმივი რწმენის თანახმად, იგი ძლიერდება სულიერ სიკეთეთა გადაცემით.¹⁴³ იმის გამო, რომ ცის მოქალაქენი (coelites) უფრო მჭიდროდ არიან ქრისტესთან დაკავშირებულნი, ისინი მთელ ეკლესიას სინმიდემი უფრო მეტად განამტკიცებენ და აღამალებენ ღმრთისმსახურებას, რომელსაც ეკლესია მინაზე ღმერთს უძღვნის, და მრავალგვარად ხელს უწყობენ მის უფრო ფართო მშენებლობას (შდრ. 1 კორ. 12, 12-27).¹⁴⁴ სამშობლოში მიღებულნი და უფალთან წარდგენილები (შდრ. 2 კორ. 5, 8), ისინი უფლის მეშვეობით, უფალთან ერთად და უფალში მუდამ შუამდგომლობენ ჩვენთვის მამასთან,¹⁴⁵ ცხადყოფენ დამსახურებებს, რომლებიც თავად მოიპოვეს მინაზე ღმერთსა და ადამიანებს შორის ერთადერთი შუამავლის — იესო ქრისტეს მეშვეობით, რადგან ყოველმხრივ ღმერთს ემსახურებოდნენ და თავისი ხორციტ ავსებდნენ ქრისტეს ვნებათა ნაკლს მისი სხეულის სასარგებლოდ, რომელიც არის ეკლესია (შდრ. კოლ. 1, 24).¹⁴⁶ ამიტომ მათი ძმური ზრუნვა დიდად ეხმარება ჩვენს სისუსტეს.

50. ქრისტიანული რელიგიის დასაბამიდან მსხემთა (viatorum) ეკლესია, რომელმაც საფუძვლიანად იცის იესო ქრისტეს საიდუმლო სხეულის ეს კავშირი, დიდი მონინებით მიაგებდა პატივს გარდაცვლილთა ხსოვნას¹⁴⁷ და მათთვის ლოცვასაც (suffragia) აღავლენდა, რადგან წმიდა და ღმრთისმოსავია ფიქრი, რომლის თანახმად უნდა ვილოცოთ გარდაცვლილთათვის, რათა ისინი ცოდვებისგან გათავისუფლდნენ (შდრ. 2 მაკ. 12, 45). ეკლესიას მუდამ სწამდა, რომ მოციქულები და ქრისტეს მარტვილები, რომლებმაც თავისი სისხლი დაღვარეს და რწმენისა და სიყვარულის უზენაესი მონმენი იყვნენ, ჩვენთან უფრო მეტად არიან ქრისტეს მიერ დაკავშირებულნი. ეკლესია მათ განსაკუთრებული გრძნობით თაყვანს სცემდა,¹⁴⁸ ნეტარ ქალწულ მარიამსა და წმიდა ანგელოზებთან ერთად, და მათ შემწეობას სთხოვდა. მალე მათ ისინიც მიაკუთვნეს, ვინც ქრისტეს უმანკოებას (virginitatem) და სიგალხაკეს განსაკუთრებით მტკიცედ მისდევდა,¹⁴⁹ და ბოლოს ისინიც, ვინც ქრისტიანულ სიქველეთა შესანიშნავი შესრულებითა¹⁵⁰ და საღმრთო ქარისმით ერთგულთა ღმრთისმოსავი მიმდევარი და მიმბაძველი გახდა.¹⁵¹

მათი ცხოვრების ჭკრეტა, ვინც ქრისტეს ერთგულად მისდევდა, გვიბიძგებს იმისკენ, რომ ახლებურად ვეძიოთ მომავალი ქალაქი (შდრ. ებრ. 13, 14 და 11, 10). ამავე დროს, ვსწავლობთ ვიაროთ უსაფრთხო გზით, რომლითაც შევძლებთ, მინიერ ცვალებადობათა გავლით, თითოეულისთვის შესაფერისი მდგომარეობისა და გარემოების შესაბამისად, მივალნიოთ ქრისტესთან სრულყოფილ ერთიანობას ანუ სინმიდეს.¹⁵² მათ ცხოვრებაში, ვინც ჩვენს ადამიანურ ბედს იზიარებს და სრუ-

143 გარდა უფრო ძველი დოკუმენტებისა, რომლებიც სულთა გამოძახების ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ არის მიმართული, ალექსანდრე IV-ის დროიდან (27 სექტემბერი 1258), შდრ. encycl. S. S. C. S. OFFICII, *De magnetismi abusu*: 4 aug. 1856: ASS (1865), pp. 177-178, DENZ. 1653-1654 (2823-2825); პასუხი: S.S.C.S. OFFICII, 24 apr. 1917: AAS 9 (1917), p. 268, DENZ. 2182 (3642).

144 პავლეს ამ მოძღვრების სინთეზური გადმოცემისთვის იხ. PIUS XII, encycl. *Mystici Corporis*: AAS 35 (1943), pp. 200 et passim.

145 შდრ. მაგალითად, S. AUGUSTINUS, *Enarr. in Ps.* 85, 24: PL 37, 1099. – S. HIEONYMUS, *Liber contra Vigilantium*, 6: PL 23, 344. – S. THOMAS, *In 4m Sent.*, d. 45, q. 3, a. 2. – S. BONAVENTURA, *In 4m Sent.*, d. 45, a. 3, q. 2; etc.

146 შდრ. PIUS XII, encycl. *Mystici Corporis*: AAS 35 (1943), p. 245.

147 შდრ. მრავალრიცხოვანი წარწერები რომაულ კატაკომბებში.

148 შდრ. GELASII I, *Decretalis De libris recipiendis*, 3: PL 59, 160, DENZ. 165 (353).

149 შდრ. S. METHODIUS, *Symposion*, VII, 3: GCS (Bonwetsch), p. 74.

150 შდრ. BENEDICTUS XV, *Decretum approbationis virtutum in Causa beatificationis et canonizationis Servi Dei Ioannis Nepomuceni Neumann*: AAS 14 (1922), p. 23.- პოუს XI-ის მრავალი სიტყვა წმიდანთა შესახებ: *Invitti all'eroismo*: Dicorsi..., t. I-III, Romae 1941-1942, passim. – PIUS XII, *Discorsi e Radiomessaggi*, t. 10, 1949, pp. 37-43.

151 შდრ. PIUS XII, encycl. *Meiator Dei*: AAS 39 (1947), p. 581.

152 შდრ. ებრ. 13, 7; Ecclii 44-50; ებრ. 11, 3-40. – შდრ. აგრეთვე PIUS XII, encycl. *Mediator Dei*: AAS 39 (1947), pp. 582-583.

ლყოფილად ქრისტეს ხატად გარდაიქმნება (შდრ. 2კორ. 3, 18), ღმერთი ადამიანებს თავის თანდასწრებასა და სახეს ცოცხლად წარმოუჩენს. მათი მეშვეობით იგი ჩვენ გვესაუბრება და თავისი მეუფების ნიშანს გვაძლევს,¹⁵³ რისკენაც ძლიერ მივიღწევით, რადგან გარს გვახლავს ამდენი მოწმე (შდრ. ებრ, 12, 1) და გვაქვს სახარების ჭეშმარიტების ასეთი დადასტურება.

მაგრამ ცის მოქალაქეთა ხსოვნას პატივს ვცემთ არა მარტო როგორც მაგალითს, არამედ უფრო იმისთვის, რათა ძმური სიყვარულის განხორციელების საფუძველზე გაძლიერდეს მთელი ეკლესიის ერთიანობა სულში (შდრ. ეფეს. 4, 1-6). როგორც მსხემთა (viatores) შორის არსებულ ქრისტიანულ კავშირს უფრო ახლო მივყავართ ქრისტესთან, ასევე წმიდანებთან ერთობა ქრისტესთან გვაკავშირებს, რომლისგანც, როგორც წყაროსა და თავისგან, მომდინარეობს ყოველგვარი მაღლი და თავად ღმრთის ერის ცხოვრება.¹⁵⁴ ამიტომ სრულიად აუცილებელია, გვიყვარდეს იესო ქრისტეს ეს მეგობრები და თანამემკვიდრენი, ჩვენი ძმები და გამორჩეული კეთილისმყოფლები, მათ გამო ღმერთს შესაფერისი მაღლობა ვუთხრათ,¹⁵⁵ „მათ ვედრებით მოვუწოდოთ და მივმართოთ მათ ლოცვებს, დახმარებასა და შექმნობას, რათა ღმერთს სიკეთე (beneficia) შევსთხოვოთ მისი ძის, იესო ქრისტეს, ჩვენი უფლის მიერ, რომელიც არის ჩვენი ერთადერთი გამომსყიდველი და მაცხოვარი.“¹⁵⁶ ყოველი ჭეშმარიტი მოწმობა, რომელსაც ჩვენ წარმოვუდგენთ ცის მოქალაქეებს, თავისი ბუნებით ისწრაფვის ქრისტესკენ და სრულდება მასთან, რომელიც არის „გვირგვინი ყველა წმიდათა“,¹⁵⁷ ხოლო მისი მეშვეობით მიდის ღმერთთან, რომელიც განსაცვიფრებელია თავის წმიდანებში და მათში განიდიდება.¹⁵⁸

ზეციურ ეკლესიასთან ჩვენი ერთობა ყველაზე უფრო ამაღლებულად წმიდა ლიტურგიაში ხორციელდება. მასში სული წმიდის ძალა ჩვენზე საიდუმლოთა ნიშნების მეშვეობით (per signa sacramentalia) ზემოქმედებს, საერთო აღფრთოვანებაში საღმრთო უდიდებულესობის (divinae maiestati) ქებით ერთად ვხარობთ,¹⁵⁹ და ყველანი, ყველა ტომის, ენისა და ერის წარმომადგენელი, ქრისტეს სისხლით გამოსყიდულნი (შდრ. გამოცხ. 5, 9) და ერთ ეკლესიად შეკრებილნი, ვადიდებთ ღმერთს, ერთსა და სამგვაროვანს (trinum), ქების ერთიანი სიმღერით. ამგვარად, ზიარების მსხვერპლშენიერვის ზემოთ ჩვენ მაქსიმალურად ვუერთდებით ზეციური ეკლესიის კულტს, ვურთიერთობთ და თაყვანს ვცემთ, უპირველეს ყოვლისა, მუდამ დიდებული ქალწული მარიამის ხსოვნას, აგრეთვე ნეტარი იოსების, ნეტარ მოციქულთა, მარტილთა და ყველა წმიდანისა.¹⁶⁰

51. ჩვენს წინაპართა ამ სათაყვანო რწმენას, რომელიც ძმებთან ცოცხალ ურთიერთობას ეხება (ძმები, რომლებიც ზეციურ დიდებაში არიან და სიკვდილის შემდგომ ჯერ კიდევ განიწმიდებიან), წმიდა კრება დიდი მონივნებით იღებს და ხელახლა გვთავაზობს ნიკეის II,¹⁶¹ ფლორენციისა¹⁶² და ტრიდენტის¹⁶³ წმიდა კრებების დადგენილებებს (decreta). ამავე დროს, თავისი მწყემსური მზრუნველობით ის მოუწოდებს ყველას, ვისაც ეს ეხება, რომ თუ კი სადმე თავი იჩინა დარღვევებმა, გადაამეტებულობამ ან ნაკლებობამ, ისინი უნდა ეცადონ მათ შეკავებას ან გამოსწორებას. მათ ყველაფერი ისე უნდა განაახლონ, რომ ქრისტესა და ღმრთის ქება უფრო სრულყო-

153 შდრ. CONC. VAT. I, Const. *De fide catholica*, cap. 3: DENZ. 1794 (3013).

154 შდრ. PIUS XII, *encycl. Mystici Corporis*: AAS 35 (1943). p. 216.

155 თავად წმიდანთა მიმართ მაღლიერების შესახებ შდრ. E. Diehl, *inscriptions latinae christianaeveteres*, I, Berolini, 1925, nn. 2008 2383 et passim.

156 CONC. TRID., Sess. 25, *De invocatione... Sanctorum*: DENZ. 984 (1821).

157 რომაული ჟამნი, ყველა წმიდათა დღესასწაულის ინვიტატორიუმი.

158 შდრ. მაგ. 2 თეს. 1, 10.

159 CONC. VAT. II, Const. *de Sacra Liturgia*, cap. 5, n. 104.

160 რომაული მესის კანონი.

161 CONC. NICAENUM II, Act. VII: DENZ. 302 (600).

162 CONC. FLOR., *Decretum pro Graecis*: DENZ. 693 (1304).

163 CONC. TRID., Sess. 25, *de invocatione, veneratione et reliquiis Sanctorum et sacris imaginibus*:

Decretum de iustificatione, can. 30: DENZ. 840 (1580).

ფილი იყოს. დაე, მათ ასწავლონ ერთგულებს, რომ წმიდანთა ნამდვილი თაყვანისცემა არა იმდენად გარეგან ქმდებათა სიმრავლეში მდგომარეობს, არამედ, გაცილებით მეტად, ჩვენი ქმედითი სიყვარულის ძალაში, რომლის საფუძველზეც, ჩვენი და ეკლესიის მეტი კეთილდღეობისათვის, წმიდანებთან ვეძიებთ „ურთიერთობის ნიმუშს, კავშირის გაზიარებას, შუამდგომლობის გზით შემწეობას.“¹⁶⁴ მეორეს მხრივ, დაე, ასწავლონ ერთგულებს, რომ ჩვენი ურთიერთობა ზეცის მოქალაქეებთან, თუ ის ალიქმება რწმენის უფრო სრული ნათელით, არაფრით არ ამცირებს იმ თაყვანისცემას, რომელსაც მამა ღმერთს ქრისტეს მიერ სულში მივაგებთ, არამედ პირიქით, მას კიდევ უფრო ამდიდრებს.¹⁶⁵

მართლაც, სანამ ურთიერთსიყვარულითა და უწმიდესი სამების ერთიანი ქებით ვურთიერთობთ, ჩვენ ყველანი, ვინც ღმრთის შვილები ვართ და ქრისტეს მიერ ერთ ოჯახს ვქმნით (შდრ. ებრ. 3, 6), შევეფერებით ეკლესიის შინაგან მოწოდებას და წინასწარ მოველით, მონაწილეობა მივიღოთ დასრულებული დიდების ლიტურგიაში.¹⁶⁶ როცა გამოჩნდება ქრისტე და მოხდება მკვდართა დიდებული აღდგომა, ღმრთის ნათელი განაბრწყინებს ზეციურ ქალაქს და მისი მანათობელი კრავი იქნება (შდრ. გამოცხ. 21, 24). მაშინ წმიდანთა მთელი ეკლესია სიყვარულის უზენაეს ნეტარებაში თაყვანს სცემს ღმერთსა და დაკლულ კრავს (შდრ. გამოცხ. 5, 12) და ერთხმად განაცხადებს: „რომელი ზის საყდართა ზედა და კრავისა, კურთხევა და პატივი და დიდება და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე“ (გამოცხ. 5, 13).

თავი VIII ნეტარი ღმრთისმშობელი ქალწული მარიამი ქრისტესა და ეკლესიის საიდუმლოში

I. შესავალი

52. ყოვლად კეთილმა და ბრძენმა ღმერთმა, რომელმაც ისურვა სამყაროს გამოსყიდვის აღსრულება, „ოდეს მოინია აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი, შობილი დედაკაცისაგან, ... რათა შვილებაჲ იგი მოვიღოთ“ (გალ. 4, 4-5), „რომელი ჩვენთვის, კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით და ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.“¹⁶⁷ გამოხსნის ეს საღმრთო საიდუმლო ჩვენთვის ცხადდება და გრძელდება ეკლესიაში, რომელიც უფალმა დაარსა როგორც თავისი სხეული. ერთგულებმა, მეთავე – ქრისტეს მიმდევრებმა, რომლებიც ყველა მის წმიდანებთან ურთიერთობენ, ეკლესიაში უნდა სცენ პატივი „უწინარეს ყოვლისა, მუდამ დიდებულ ქალწულ მარიამს, ღმრთისა და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს დედას.“¹⁶⁸

53. ქალწულ მარიამს (ანგელოზის მიერ ხარებისას მან ღმრთის სიტყვა გულითა და სხეულით მიიღო და სამყაროს ცხოვრება მოუტანა), აღიარებენ და თაყვანს სცემენ როგორც ღმრთისა და გამომსყიდველის დედას. თავისი ძის დამსახურებათა გამო უზენაესად გამოსყიდული და მასთან მჭიდრო და ურღვევი კავშირით ერთიანი, იგი უდიდესი ფუნქციითა და ღირსებით არის აღჭურვილი, რადგან იგი დედაა ღმრთის ძისა და, შესაბამისად, მამის უსაყვარლესი ასული და სული წმიდის სინმიდე

164 *Missale romanum*, წინასიტყვაობა წმიდანთა დღესასწაულისათვის, საფრანგეთის დიოცეზებში გამოსაყენებლად.

165 შდრ. S. PETRUS CANISIUS, *Catechismus Maior seu Summa Doctrinae christianae*, cap. III (ed. crit. F. Streicher), Pars I, pp. 15-16, n. 44 et pp. 100-101, n. 49.

166 შდრ. CONC. VAT. II, *Const. de sacra Liturgia*, cap. 1, n. 8.

167 მრწამსი რომაულ მესამე: კონსტანტინოპოლის სიმბოლო: MANSI 3, 566. – შდრ. CONC. EPHESIENUM, იქვე, 4, 1130 (იქვე, 2, 665 და 4, 1071). – CONC. CHALCEDON., იქვე 7, 111-116. – CONC. CONST. II, იქვე 9, 375-396.

168 რომაული მესის კანონი.

(sacrarium). მადლის ამ განსაკუთრებული ნიჭით იგი დიდად აღემატება ყველა სხვა ქმნილებას, ზეციურსა და მიწიერს. ამავე დროს, როგორც ადამის ჩამომავალი, იგი დაკავშირებულია ყველა ადამიანთან, რომლებსაც გამოხსნა სჭირდებათ. მეტიც, იგი „ნამდვილად არის (ქრისტეს) ასოთა დედა,... რადგან მან სიყვარულით ხელი შეუწყო ეკლესიაში ერთგულთა გაჩენას, რომლებიც ამ მეთავის ასონი არიან.“¹⁶⁹ ამიტომ მას მიესალმებიან როგორც ეკლესიის უზენაეს და სრულიად განსაკუთრებულ წევრსაც, რომელიც არის რწმენასა და სიყვარულში მისი სახე და ნიშანი. მას, როგორც უსაყვარლეს დედას, კათოლიკე ეკლესია, სული წმიდის მიერ განსწავლული, შვილისთვის შესაფერისი მოწინებით ეპყრობა.

54. წმიდა კრება გადმოსცემს მოძღვრებას ეკლესიის შესახებ, რომლის თანახმად საღმრთო გამომსყიდველი გამოხსნას ახორციელებს. კრებას განზრახული აქვს, საფუძვლიანად ნათელყოს როგორც ნეტარი ქალწულის როლი განხორციელებული სიტყვისა და საიდუმლო სხეულის საიდუმლოში, ასევე გამოსყიდულ ადამიანთა მოვალეობანი ღმრთისმშობლის მიმართ, რომელიც არის ქრისტეს დედა და ადამიანების, უპირველეს ყოვლისა, ერთგულთა, დედა. კრებას არა აქვს განზრახული მარიამის შესახებ სრული მოძღვრების გადმოცემა ან იმ კითხვებზე პასუხი, რომლებიც ღმრთისმეტყველთა შრომის შედეგად ჯერ სრულად არ გარკვეულა. ამგვარად, ძალაში რჩება ის შეხედულებები, რომლებსაც კათოლიკურ სკოლებში თავისუფალი ფორმით გამოთქვამენ მის შესახებ, ვისაც წმიდა ეკლესიაში ქრისტეს შემდეგ უმაღლესი, ხოლო ჩვენთვის უახლოესი ადგილი უკავია.¹⁷⁰

II. ნეტარი ქალწულის როლი გამოხსნის განგებულებაში

55. წმიდა წერილი, როგორც ძველი, ასევე ახალი აღთქმა და პატივსაცემი გადმოცემა სულ უფრო დიდი სიცხადით წარმოგვიდგენს გამოხსნის განგებულებას და მას, ასე ვთქვათ, განსახილველად გვთავაზობს. ძველი აღთქმის წიგნები აღწერენ გამოხსნის ისტორიას, რომელიც წელნელა მზადდება ქრისტეს სამყაროში მოსვლით. ეს ძველი საბუთები, ისე, როგორც ისინი ეკლესიაში იკითხება და შემდგომი და სრული გამოცხადების შუქზე გაიაზრება, თანდათანობით მეტი სიცხადით წარმოაჩენს ქალის ფიგურას, რომელიც არის გამომსყიდველის დედა. ამ შუქზე იგი წინასწარმეტყველურად ისახება უკვე იმ დაპირებაში, რომელიც ცოდვაში ჩავარდნილ წინაპრებს მიეცა და რომელიც გველზე გამარჯვებას მოასწავებს (შდრ. დაბ. 3, 15). მსგავსად ამისა, იგი არის ქალწული, რომელიც მუცლად იღებს და შობს ძეს, რომელსაც უწოდებენ სახელად ემანუელს (შდრ. ეს. 7, 14; შდრ. მიქ. 5, 2-3. – მათ. 1, 22-23). იგი არის უპირველესი უფლის მდაბალთა და გლახაკთა შორის, რომლებიც მისგან დარწმუნებით მოელიან და იღებენ გამოხსნას. და ბოლოს, მასთან, სიონის გამორჩეულ ასულთან ერთად, დაპირების ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ, სრულდებიან ჟამნი და დგება ახალი განგებულება, მას მერე რაც ქე ღმრთისამ მისგან მიიღო ადამიანის ბუნება, რათა თავისი ხორცის საიდუმლოებით ადამიანი ცოდვისგან გაათავისუფლოს.

56. მამამ მოწყალებისამ ინება, რომ განხორციელებამდე ყოფილიყო იმის თანხმობა (acceptatio), ვისაც დედობა განგებით ჰქონდა განსაზღვრული; ქალმა შეუწყო ხელი სიკვდილს, ქალმავე უნდა ხელი შეუწყო სიცოცხლეს. ეს განსაკუთრებით ეხება იესოს დედას: მან სამყაროს მოუვლინა ცხოვრება, რომელიც ყველაფერს განაახლებს, და იგი ღმრთისაგან დაჯილდოვებულია ნიჭებით, რომლებიც ასეთ დიდ მოვალეობის შეეფერება. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ წმიდა მამებთან დამკვიდრდა ჩვეულება, რომლის თანახმად ღმრთისმშობელს ყოვლად წმიდას უწოდებენ,

169 S. AUGUSTINUS, *De S. Virginitate*, 6: PL 40, 399.

170 შდრ. PAULUS VI, კრებაზე წარმოთქმული სიტყვა, 1963 წლის დეკემბრის 4: AAS 56 (1964), p. 37.

ცოდვის ყოველგვარი ნაკლისაგან დაცულს; მიაჩნიათ, რომ იგი ერთგვარად სული წმიდის ქმნილებაა, ახალ არსებად სახექმნილი.¹⁷¹ ნაზარეთელ ქალწულს, რომელიც თავისი ჩასახვის პირველი წამიდან სრულიად განსაკუთრებული სინმიდის ბრწყინვალეობით იყო დაჯილდოვებული, ანგელოზი ხარებისას, ღმრთის დავალებით, მისალმებისას ეუბნება: „მადლით აღსავსეო“ (შდრ. ლუკ. 1, 28), ხოლო იგი პასუხობს ზეციურ მახარებელს (nuntio): „აჰა მკვეალი უფლისაჲ; მცყავნ მე სიტყვსაებრ შენისა“ (ლუკ. 1, 38). ასე დაეთანხმა საღმრთო სიტყვას მარიამი, ასული ადამისა, და გახდა იესოს დედა. მას არავითარი ცოდვა არ აბრკოლებდა, მან მთელი გულით შეითვისა საღმრთო სიტყვა და, როგორც უფლის მხევალმა, თავი მთლიანად მიუძღვნა თავის ძეს და მის საქმეს (personae et operi Filii sui), რათა მისი წინამძღოლობით (sub Ipso) და მასთან ერთად, ყოვლადძლიერი ღმრთის მადლით, ემსახურა გამოსყიდვის საიდუმლოსთვის. ამიტომ წმიდა მამებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ მარიამი პასიური იარაღი კი არ იყო ღმრთის ხელში, არამედ იგი თავისუფალი რწმენითა და ადამიანური მორჩილებით ხელს უწყობდა ადამიანთა გამოსხნას. წმ. ირენეოსი ამბობს, რომ იგი, „მორჩილი, გახდა გამოსხნის მიზეზი თავისთვის და მთელი ადამიანური მოდგმისთვის.“¹⁷² მასთან ერთად მრავალი ძველი მამა თავის ქადაგებაში სიამოვნებით განაცხადებს, რომ „ევას ურჩობით შეკრული კვანძი მარიამის მორჩილებამ გახსნა; ის, რაც ქალწულმა ევამ ურწმუნოებით შეკრა, ქალწულმა მარიამმა რწმენით განხსნა.“¹⁷³ ევასთან მარიამის შედარებისას, მარიამს „ცოცხალთა დედას“¹⁷⁴ უწოდებენ და ხშირად ამბობენ: „სიკვდილი ევასგან, სიცოცხლე მარიამისგან.“¹⁷⁵

57. გამოსხნის საქმეში შვილთან დედის ერთობა ქრისტეს ქალწულბერივი ჩასახვის დროიდან მის სიკვდილამდე ვლინდება. პირველად ეს მოხდა, როცა მარიამი სასწრაფოდ ადგა, რომ ელისაბედთან მისულიყო და ელისაბედმა მას „ნეტარი“ უწოდა, რადგან მარიამს ალექსიური გამოსხნისა სწამდა, და წინამორბედი (praecursor) კრთებოდა მის საშოში (შდრ. ლუკ. 1, 41-45). შემდგომ ეს გამოვლინდა შობისას, როცა გახარებულმა ღმრთისმშობელმა მწყემსებსა და მოგვებს აჩვენა თავისი მხოლოდშობილი ძე, რომელმაც მისი ქალწულობა არა თუ დაარღვია, არამედ წმიდა ყო.¹⁷⁶ შემდეგ, როცა ღარიბთა ძღვენი მიიტანა და ტაძარში თავისი ძე უფალს წარუდგინა, მან უსმინა სიმეონს, რომელმაც იმ დროს წინასწარმეტყველებდა, რომ მისი ძე იქნებოდა განხეთქილების ნიშანი და დედის სულს მახვილი გასერავდა, რათა მრავალი გულის ზრახვანი გამჟღავნებულიყო (შდრ. ლუკ. 2, 34-35). როცა ყრმა იესო დაიკარგა და მას დიდი მწუხარებით ეძებდნენ, მშობლებმა იგი ტაძარში იპოვეს, მისი მამის საქმით დაკავებული. შვილის სიტყვას მშობლებმა ვერ გაუგეს, მაგრამ დედა ყოველივე ამას დაფიქრებით გულში იმარხავდა (შდრ. ლუკ. 2, 41-51).

58. იესოს საჯარო ცხოვრებაში დედამისი თავიდანვე მკაფიოდ ჩანს: ქორწილისა გალილეის კანაში, თანაგრძნობით გამსჭვალულმა, მან თავისი შუამდგომლობით იესოს — მესიის ნიშნებს დაუდო დასაბამი (შდრ. იოან. 2, 1-11). იესოს ქადაგებისას ღმრთისმშობელმა მიიღო სიტყვები, რომელთა თანახმად ძე მეუფებას აყენებდა გონიერებაზე, ხორცისა და სისხლის კავშირებზე მალლა და ნეტარებად აცხადებდა მათ, ვინც ღმრთის სიტყვას ისმენდა და იცავდა (შდრ. მარკ. 3, 35, ლუკ. 11, 27-28),

171 შდრ. S. GERMANUS CONST., *Hom. in Annunt. Deiparae*: PG 98, 328 A; *In Dorm.* 2: col. 357. – ANASTASIUS ANTIOCH., *Serm. 2 de Annunt.*; PG 89, 1377 AB; *Serm.* 3, 2: col. 1388 C. – S. ANDREAS CRET., *Can. in B. V. Nat.* 4: PG 97, 1321 B; *In B. V. Nat.*, 1: col. 812 A; *Hom. in dorm.* 1: col. 1068 C. – S. SOPHRONIUS, *Or. 2 in Annunt.* 18: PG 87 (3), 3237 BD.

172 S. IRENEUS, *Adv. Haer.* III, 22, 4: PG 7, 959A; HARVEY 2, 123.

173 S. IRENAEUS, *ibidem*; HARVEY, 2, 124.

174 S. EPIPHANIUS, *Haer.* 78, 18: PG 42, 728 CD – 729 AB.

175 S. IERONYMUS, *Epist.* 22, 21: PL 22, 408. – Cf. S. AUGUSTINUS, *Serm.* 51, 2, 3: PL 38, 335; *Serm.* 232, 2: col. 1108. – S. CYRILLUS HIEROS., *Catech.* 12, 15: PG 33, 741 AB. – S. IO. CHRYSOSTOMUS, *In Ps.* 44, 7: PG 55, 193. – S. IO. DAMASCENUS, *Hom. 2 in dorm. B. M. V.*, 3: PG 96, 728.

176 შდრ. CONC. LATERANENSE anni 649, can. 3: MANSI 10, 1151. – S. LEO M., *Epist. ad Flav.*: PL 54, 759. – CONC. CHALCEDON.: MANSI 7, 462. – S. AMBROSIUS, *De instit. virg.*: PL 16, 320.

ისე ერთგულად, როგორც ამას ღმრთისმშობელი აკეთებდა (შდრ. ლუკ. 2, 19 და 51). ასე, რწმენით მსხემობდა ნეტარი ღმრთისმშობელი, ერთგულად ინარჩუნებდა თავის ერთობას ძესთან ვიდრე ჯვრამდე, სადაც იგი საღმრთო განზრახვამ დააყენა (შდრ. იოან. 19, 25). იგი მიძიმედ იტანჯებოდა თავის მხოლოდშობილ ძესთან ერთად და მის მსხვერპლს დედობრივი სულით ეზიარა. მან სიყვარულით მისცა თანხმობა მსხვერპლის შეწირვას, რომელიც თვითონ შობა. და ბოლოს, ჯვარზე მომაკვდავმა იესო ქრისტემ იგი მონაფეს წარუდგინა, როგორც მისი დედა და თქვა: „დედაკაცო, აჰა ძე შენი!“ (იოან. 19, 26).¹⁷⁷

59. ღმერთს სურდა, რომ ადამიანთა გამოხსნის საიდუმლო ცხადი მანამ არ გაეხადა, სანამ ქრისტეს მიერ აღთქმულ სულს არ მოჰფენდა. ამიტომ ვხედავთ, რომ ორმოცდამეათე დღემდე მოციქულები „იყვნეს განკრძალულ ლოცვასა და ვედრებასა ერთბამად დედებითურთ და მარიამ დედით იესოჲსით და ძმებითურთ მისით“ (საქმე 1, 14). ვხედავთ აგრეთვე მარიამს, თავისი ლოცვებით სული წმიდის ნიჭის მავედრებელს; სულმა უკვე მოიცვა იგი ხარებისას. დაბოლოს, როცა უმნიკველო ქალწულმა, რომელსაც არავითარი პირველქმნილი ცოდვის დაცემა არ შეეხებია,¹⁷⁸ მინიერი ცხოვრების გზა დაასრულა, იგი სხეულითა და სულით იქნა მიღებული ზეციურ დიდებაში,¹⁷⁹ და, როგორც სამყაროს (universorum) დედოფალი, უფლის მიერ იქნა ამაღლებული, რათა უფრო სრულად თანასახოვანი გამხდარიყო თავისი ძისა, რომელიც არის უფალი უფლებათა (შდრ. გამოცხ. 19, 16), მძლე ცოდვისა და სიკვდილისა.¹⁸⁰

III. ნეტარი ქალწული და ეკლესია

60. მოციქულის სიტყვათა თანახმად, ერთადერთია ჩვენი შუამდგომელი, „რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუა-მდგომელ ღმრთისა და კაცთა, კაცი იესო ქრისტე, რომელმან მისცა თავი თჳსი საჯსრად ყოველთა“ (1ტიმ. 2, 5-6). მარიამის დედობრივი მოვალეობა ადამიანთა მიმართ არაფრით არ ჩრდილავს და არ ამცირებს ქრისტეს ამ ერთადერთ შუამდგომლობას, არამედ პირიქით, მის ღირსებას ავლენს. ნეტარი ქალწულის მხსნელი გავლენა ადამიანებზე გამომდინარეობს არა რაიმე ნივთიერი აუცილებლობიდან, არამედ საღმრთო კეთილგანზრახვიდან (beneplacito). იგი ქრისტეს დამსახურებათა სიუხვიდან გამოდის, მის შუამდგომლობას ემყარება, სავსებით არის მასზე დამოკიდებული და მისგანვე იკრებს მთელ თავის ძალას. იგი არა თუ აბრკოლებს მორწმუნეთა უშუალო ერთობას ქრისტესთან, არამედ ხელს უწყობს მას.

61. ნეტარ ქალწულს საუკუნიტგან, საღმრთო სიტყვის განხორციელებასთან ერთად, წინასწარ განსაზღვრული ჰქონდა, რომ იგი ღმრთის დედა იქნებოდა. საღმრთო განგების გადანყვეტილებით, იგი ამქვეყნად მოევლინა როგორც საღმრთო გამომსყიდველის მასაზრდოებელი (alma) დედა, რომელიც სრულიად განსაკუთრებული სახით და სხვებზე მეტად იყო მისი კეთილშობილი თანამგზავრი (socia) და უფლის მდაბალი (humilis) მხველი. მან ქრისტე ჩასახა, შობა, გამოკვება, ტაძარში მამას წარუდგინა. იგი იტანჯებოდა თავის ძესთან ერთად, როცა ის ჯვარზე კვდებოდა. მან სრულიად განუმეორებელი წვლილი შეიტანა მაცხოვრის საქმეში, რათა მისი მორჩილებით, რწმენით, იმედითა და მგზნებარე სიყვარულით სულთა ზებუნებრივი ცხოვრება აღმდგარიყო. ამიტომ მადლით იგი დედაა ჩვენი.

177 შდრ. PIUS XII, encycl. *Mystici Corporis*, 29 iun. 1943: AAS 35 (1943), pp. 247-248.

178 შდრ. PIUS IX, bulla *Ineffabilis*, 8 dec. 1854: Acta Pii IX, 1, I, p. 616; DENZ. 1641 (2803).

179 შდრ. PIUS XII, Const. apost. *munificentissimus*, 1 nov. 1950: AAS 42 (1950); DENZ. 2333 (3903).

180 შდრ. PIUS XII, encycl. *Ad coell Reginam*, 11 oct. 1954: AAS 46: AAS 46 81954), pp. 633-636; DENZ. 3913 ss.

62. მარიამის ეს დედობა მადლის განგებულებაში განუწყვეტლივ გრძელდება: დაწყებული თანხმობით, რომელიც ხარებისას რწმენით მისცა და რომელსაც ჯვრის ქვეშ მტკიცედ ინახავდა, ყველა რჩეულის საუკუნო სრულყოფამდე. ზეცაში ამაღლების შემდეგაც მას არ შეუწყვეტია ხსნის მომტანი მსახურება, პირიქით: მრავალგვარი შუამდგომლობით იგი განაგრძობს ჩვენთვის გამოსხნის ნიჭთა მოპოვებას.¹⁸¹ თავისი დედობრივი სიყვარულით ღმრთისმშობელი ზრუნავს თავისი ძის ძმებისთვის, რომლებიც ჯერაც მსხემობენ, ხიფათსა და გაჭირვებაში იმყოფებიან, სანამ არ მივლენ ბედნიერ სამშობლოში. ამიტომ ნეტარ ქალწულს ეკლესიაში მოიხსენიებენ აგრეთვე როგორც დამცველს, დამხმარეს, შემნეს, შუამდგომელს.¹⁸² ხოლო ეს ისე გაიგება, რომ ქრისტეს, ერთადერთ შუამდგომელს ღირსებასა და ქმედითობას არაფერი აკლდება და არაფერი ემატება.¹⁸³

არცერთი ქმნილება არასდროს არ იქნება განხორციელებული სიტყვისა და გამომსყიდველის ტოლი. მაგრამ როგორც ქრისტეს მღვდელმსახურებაში მონაწილეობენ სხვადასხვა დონეზე მსახურნიცა (*ministris*) და ერთგული ხალხიც, და როგორც ღმრთის ერთი სიკეთე ნამდვილად ვრცელდება სხვადასხვა სახის ქმნილებაში, ასევე გამომსყიდველის ერთიანი შუამდგომლობა კი არ გამორიცხავს ქმნილებათა მრავალგვარ ზიარ თანამშრომლობას, ერთი წყაროდან მომდინარეს, არამედ პირიქით, წარმოშობს მას.

ეკლესია უყოყმანოდ აღიარებს მარიამის ამ დაქვემდებარებულ მოვალეობას, იგი მას განუწყვეტლივ გამოსცდის და ერთგულთა გულს სთავაზობს, რათა ისინი ამ დედობრივი საყრდენის მფარველობით უფრო ღრმად დაუკავშირდნენ შუამდგომელსა და მაცხოვარს.

63. საღმრთო დედობის ნიჭითა და მოვალეობით ნეტარი ქალწული ერთიანია ძესთან – გამომსყიდველთან, ხოლო თავისი განუმეორებელ მადლთა და ფუნქციათა გამო მას ეკლესიასთანაც მჭიდრო კავშირი აქვს: როგორც წმ. ამბროსი ასწავლიდა, ღმრთისმშობელი ეკლესიის ნიშუშია რწმენაში, სიყვარულსა და ქრისტესთან სრულყოფილი ერთობის საქმეში.¹⁸⁴ მართლაც, ეკლესიის საიდუმლოებაში, რომელიც თავადაც სამართლიანად იწოდება დედად და ქალწულად, ნეტარ ქალწულ მარიამს უწინარესი ადგილი უკავია; იგი წარმოადგენს როგორც ქალწულობის ასევე დედობის ამაღლებულ და განსაკუთრებულ მაგალითს.¹⁸⁵ მორწმუნემ და მორჩილმა, მან მიწაზე ძე მამისა შობა, მამაკაცის გარეშე, სული წმიდით მოცულმა, როგორც ახალმა ევამ, რომელმაც არა ძველ გველს, არამედ ღმრთის მაცნეს გამოუცხადა რწმენა, ეჭვისთვის მიუწვდომელი. მან ძე შობა, რომელიც ღმერთმა დააყენა პირმშოდ მრავალ ძმას შორის (რომ. 8, 29), ანუ ერთგულთა შორის, რომელთა შობასა და აღზრდაში ღმრთისმშობელი დედობრივი სიყვარულით თანამშრომლობს.

64. ეკლესია ღმრთისმშობლის ფარულ სინმიდეს ჭვრეტს და მის სიყვარულს ბაძავს. იგი მამის ნებას ერთგულად ასრულებს და ღმრთის სიტყვის მეშვეობით, რომელსაც ერთგულად იღებს, თავადაც ხდება დედა: ქადაგებითა და ნათლობით, სული წმიდისგან ჩასახულსა და ღმრთისაგან დაბადებულ ძეებს ეკლესია ახალი და

181 შდრ. KLEUTGEN, გადამუშავებული ტექსტი *De mysterio Verbi incarnati*, cap. IV: MANSI 53, 290. – შდრ. S. ANDREAS CRET., *In nat. Mariae*, sermo 4: PG 97, 865 A. – S. GERMANUS CONST., *In annunt. Deiparae*: PG 98, 321 BC; *In dorm. Deiparae*, III: col. 361 D. – S. IO. DAMASCENUS, *In dorm. B. V. Mariae*, hom. 1, 8: PG 96, 712 BC – 713 A.

182 შდრ. LEO XII, *encycl. adiutricem populi*, 5 sept. 1895: ASS 15 (1895-96), p. 303. – S. PIUS X, *encycl. Ad diem illum*, 2 febr. 1904: Acta, I, p. 154; DENZ. 1978 a (3370). – PIUS XI, *encycl. Misericordissimus*, 8 maii 1928: AAS 20 (1928), p. 178. – PIUS XII, რადიოთი გამოსვლა, 1946 წლის 13 მაისი: AAS 38 (1946), p. 266.

183 S. AMBROSIUS, *Epist.* 63: PL 16, 1218.

184 S. AMBROSIUS, *Expos. Lc.* II, 7: PL 15, 1555.

185 შდრ. PS.-PETRUS DAM., *Serm.* 63: PL 144, 861 AB. – GODEFRIDUS A S. VICTORE, *In nat. B. M.*, Ms. Paris, Mazarine, 1002, fol. 109 r. – GERHOFUS REICH., *De gloria et honore Filii hominis*, 10: PL 194, 1105 AB.

უკვდავი ცხოვრებისათვის წარმოშობს. იგი თავად არის ქალწული, რომელიც ხელუხლებლად და წმიდად იცავს იმ რწმენას, რომელიც სასიძოს მისცა. ეკლესია ბაძავს თავისი უფლის დედას და სული წმიდის ძალით ქალწულებრივად ინახავს ხელუხლებელ რწმენას, მტკიცე იმედს, წრფელ სიყვარულს.

65. ეკლესიამ, უნეტარესი ქალწულის სახით, უკვე მიაღწია უმნიკვლო და უზადო სრულყოფილებას (შდრ. ეფეს. 5, 27), ხოლო ქრისტეს ერთგულნი ჯერ კიდევ ცდილობენ, ცოდვა დაამარცხონ და სინმიდეში გაიზარდონ. ისინი თავის მზერას მარიამისკენ აღმართავენ, რომელიც რჩეულთა მთელი საკრებულოსთვის ბრწყინავს, როგორც სიქველეთა ნიმუში. ეკლესია ღმრთისმშობლის შესახებ მონივნებით ფიქრობს და მას ჭვრეტს ნათელში სიტყვისა, რომელიც ადამიანი გახდა. იგი პატივისცემით იჭრება განხორციელების უზუნაესი საიდუმლოს სულ უფრო დიდ სიღრმეებში და სულ უფრო მეტად თავისი სასიძოს თანასახოვანი ხდება. მართლაც, მარიამი ღრმად შევიდა გამოხსნის ისტორიაში; იგი გარკვეულწილად თავის თავში აერთიანებს და ასახავს რწმენის უმთავრეს დებულებებს, და როცა მის შესახებ ქადაგებენ და მას თაყვანს სცემენ, იგი მორწმუნეებს მოუწოდებს თავისი ძისკენ, მისი მსხერპლისკენ და მამის სიყვარულისკენ. ეკლესია, რომელიც მიჰყვება ქრისტეს დიდებას, უფრო მეტად ემსგავსება თავის უმაღლეს ნიმუშს, როცა მუდმივად წინ მიდის რწმენაში, იმედსა და სიყვარულში, ყველაფერში ეძიებს საღმრთო ნებას და მას ემორჩილება. ამიტომ თავის სამოციქულო საქმეშიც ეკლესია დამსახურებულად უყურებს მას, ვინც ქრისტე შობა, სული წმიდისგან ჩასახული და ქალწულისგან დაბადებული, რათა ეკლესიის მეშვეობით იგი ერთგულთა გულებშიც დაბადებულიყო და გაზრდილიყო. ქალწულმა თავისი ცხოვრებით დედობრივი სიყვარულის ის მაგალითი წარმოადგინა, რომლითაც უნდა სულდგმულობდეს (animentur) ეკლესიის სამოციქულო მისიის ყველა წევრი, ადამიანთა აღორძინებისთვის მოღვაწე.

IV. ნეტარი ქალწულის თაყვანისცემა ეკლესიაში

66. მარიამი, ღმრთის მადლით, ძის შემდეგ ყველა ანგელოზსა და ადამიანზე მეტად იქნა ამაღლებული, როგორც ღმრთის უწმიდესი დედა, რომელიც ქრისტეს საიდუმლოებში მონაწილეობს. ეკლესია მას განსაკუთრებული თაყვანისცემით დამსახურებულად პატივს სცემს. მართლაც, ნეტარ ქალწულს უძველესი დროიდან ეთაყვანებიან და „ღმრთისმშობელს“ უწოდებენ. ყოველგვარ ხიფათსა და გაჭირვებაში ერთგულები ლოცვით მისი მფარველობის ქვეშ იყრიან თავს.¹⁸⁶ ღმრთის ერის თაყვანისცემა მარიამის მიმართ საოცრად გაიზარდა ეფესოს კრების შემდეგ და ეს გამოვლინდა მონივნებასა და სიყვარულში, მიმართვასა და მიბაძვაში, თანახმად ღმრთისმშობლის წინასწარმეტყველური სიტყვებისა: „რამეთუ აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი, რამეთუ ყო ჩემ თანა დიდებულმან ძლიერმან“ (ლუკ. 1, 48). ეს თაყვანისცემა ეკლესიაში ყოველთვის არსებობდა, და მაინც ის სრულიად განსაკუთრებული არის. იგი არსებითად განსხვავდება იმ თაყვანისცემისგან (a cultu adorationis), რომელსაც განხორციელებულ სიტყვას, აგრეთვე მამას ან სული წმიდას მიაგებენ, და ამ უკანასკნელს დიდად უწყობს ხელს. ღმრთისმშობლის მიმართ მონივნების სხვადასხვა ფორმა არსებობს, რომლებიც ეკლესიამ გამოსცადა ჯანსაღი და მართლმორწმუნე (orthodoxae) მოძღვრების ფარგლებში, დროისა და ადგილის გარემოებათა გათვალისწინებით, აგრეთვე მორწმუნეთა ხასიათისა და ნიჭის მიხედვით. დედის თაყვანისცემისას, წესისამებრ, შეიცნობენ, უყვართ და ადიდებენ ძეს, და ასრულებენ მის მცნებებს, რომლის გამო არის ყოველი (შდრ. კოლ. 1, 15-16) და რომელშიც საუკუნო მამამ ისურვა, მთელი სისავსე დამკვიდრებულიყო (შდრ. კოლ. 1, 19).

¹⁸⁶ “შენი მფარველობის ქვეშ.”

67. ამ კათოლიკური მოძღვრებას წმიდა კრება გარკვეული განზრახვით ასწავლის და იმავე დროს აქეზებს ეკლესიის ყველა შვილს, რათა კეთილშობილურად ხელი შეუწყონ ნეტარი ღმრთისმშობლის მიმართ თაყვანისცემას, პირველ რიგში ლიტურგიულს. მათ დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ ღმრთისმშობლის მიმართ მოწინების გამოხატვის წეს-ჩვეულებებს (*praxes et exercitia*), რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე მოძღვრობა გვთავაზობდა და რწმენით (*religiose*) შეინახონ ის, რაც წარსულში დადგენილ იქნა ქრისტეს, ნეტარი ქალწულისა და წმიდათა გამოსახულებათა თაყვანისცემასთან დაკავშირებით.¹⁸⁷ კრება დაბეჯითებით მოუწოდებს ღმრთისმეტყველებსა და საღმრთო სიტყვის მქადაგებლებს, რომ ღმრთისმშობლის ღირსებას შესახებ მსჯელობისას გულმოდგინედ თავი შეიკავონ როგორც ყოველგვარი მცდარი გადაჭარბებისგან, ასევე აზრობრივი შეზღუდულობისგან.¹⁸⁸ ვინც მოძღვრობის ხელმძღვანელობით შეისწავლის წმიდა წერილს, წმიდა მამებსა და ეკლესიისა და ლიტურგიის მასწავლებლებს, უნდა სწორად გააშუქონ ნეტარი ქალწულის ფუნქციები და პრივილიგიები, რომლებიც მუდამ მიმართულია ქრისტეზე – მთელი ჭეშმარიტების, სინმიდისა და მოწინების სათავეზე. ისინი გულმოდგინედ უნდა მოერიდონ სიტყვებსა თუ საქმეებში ყველაფერს, რამაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ჩვენგან დაცილებული ძმები და სხვა დანარჩენებიც ეკლესიის ჭეშმარიტ მოძღვრებასთან დაკავშირებით. ერთგულებს უნდა ახსოვდეთ, რომ ჭეშმარიტი კრძალულება (*devotio*) არც უნაყოფო და წარმავალ გრძნობას ნიშნავს და არც ადვილად დაჯერებას, არამედ იგი ჭეშმარიტი რწმენიდან მომდინარეობს. ეს რწმენა გვიძლევს ღმრთისმშობლის განსაკუთრებლობის შეცნობისკენ, იგი აღაგზნებს ჩვენში შვილობრივ სიყვარულს ჩვენი დედის მიმართ და მისი სიქველის მიბაძვისკენ გვიბიძგებს.

V. მარიამი — მტკიცე რწმენისა და ნუგეშის ნიშანი ღმრთის მსხემი ერისათვის

68. როგორც იესოს დედა, სხეულითა და სულით ზეცაში უკვე განდიდებული, არის ხატი და დასაბამი ეკლესიისა, რომელიც მომავალ საუკუნეში დასრულდება, ასევე ბრწყინავს იგი ამქვეყნად, უფლის დღის მოწვევამდე (შდრ. 2პეტრ. 3, 10), როგორც მტკიცე რწმენისა და ნუგეშის ნიშანი ღმრთის მსხემი ერისთვის.

69. ამ წმიდა კრებას დიდ სიხარულსა და ნუგეშს ჰგვრის ის ფაქტი, რომ ჩვენგან დაშორებულ ძმათა შორისაც მრავალნი სათანადო პატივს მიაგებენ უფლისა და მაცხოვრის დედას. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა აღმოსავლეთის ეკლესიებში (*apud Orientales*), სადაც ღმრთისმშობლის – მარად ქალწულის თაყვანისცემას მგზენაბარებითა და კრძალულებით (*fervido impuslo ac devoto animo*) მისდევენ.¹⁸⁹ დაე, ქრისტეს ყველა ერთგულმა მხურვალე ვედრებით მიმართოს ღმრთის დედას და ადამიანთა დედას, რომელიც თავისი ლოცვებით ეკლესიას დასაბამივე გვერდით ედგა, ხოლო ეხლა ყველა ნეტარსა და ანგელოზზე მაღლა აღზევებული; დაე, ევედრონ ღმრთისმშობელს, რათა იგი, ყველა წმიდანთან კავშირში, შუამდგომლობდეს თავისი ძის წინაშე, სანამ არ შეიკრიბება ერთა ყველა ოჯახი (ის, ვისაც ქრისტიანობის სახელი ამკობს და ისიც, ვისაც თავისი მაცხოვარი ჯერ არ შეუცვნიან) ღმრთის ერთიან ერად, ბედნიერად, მშვიდობასა და თანხმობაში, უწმიდესი და განუყოფელი სამების სადიდებლად.

187 CONC. NICAENUM II, anno 787: MANSI 13, 378-379; DENZ. 302 (600-601). – CONC. TRID., Sess. 25: MANSI 33, 171-172.

188 შდრ. PIUS XII, რადიოთი გამოსვლა, 1954 წლის 14 ოქტომბერი: AAS 46 (1954), p. 679. – Encycl. *Ad coeli Reginam*, 11 oct. 1954: AAS 46 (1954), p. 637.

189 შდრ. PIUS XI, encycl. *Ecclesiam Dei*, 12 nov. 1923: AAS 15 (1923), p. 581. – PIUS XII, encycl. *Fulgens Corona*, 8 sept. 1953: AAS 45 (1953), pp. 590-591.

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამ დოგმატურ კონსტიტუციაში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან გადმოგვცა, ამას პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ და ვანესებთ, და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1964 წლის 21 ნოემბერი
მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
(მოჰყვება მამათა ხელმოწერები)

ვატიკანის II წმიდა მსოფლიო კრების აქტებიდან ნოტიფიკაციები

*გაკეთებული მაღალყოვლადუსამღვდელოესი გენერალური მდივნის მიერ
წმიდა კრების 125-ე გენერალურ კონგრეგაციაზე
1964 წლის 16 ნოემბერს*

დაისვა საკითხი, თუ როგორი თეოლოგიური კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ეკლესიის შესახებ პროექტში გადმოცემულ მოძღვრებას, რომელსაც კენჭი ეყრება.

ამ შეკითხვას მოძღვრების კომისიამ (Commissio Doctrinalis) ეკლესიის შესახებ პროექტის მესამე თავისთვის შემოთავაზებული ცვლილებების (მოდუსთა) განხილვისას ასე უპასუხა:

„თავისთავად ცხადია, რომ კრების ტექსტი ყოველთვის უნდა განიმარტოს ზოგადი, ყველასთვის ცნობილი, წესების შესაბამისად“.

ამასთან დაკავშირებით სამოძღვრო კომისია მიუთითებს თავის 1964 წლის 6 მარტის დეკლარაციაზე. მოგვყვავს მისი ტექსტი: „კრებათა ჩვეულებისა და მოცემული კრების სამღვდლო მიზნის გათვალისწინებით, რწმენისა და ზნეთა შესახებ სიტყვებიდან ამ წმიდა კრებას მხოლოდ ის მიაჩნია ეკლესიისთვის სავალდებულოდ, რაც აშკარად ასეთად გამოაცხადა.

რაც შეეხება წმიდა კრების მიერ შემოთავაზებულ სხვა საკითხებს, ისინი, როგორც ეკლესიის უზენაესი მოძღვრობის სწავლება, ყველა და თითოეულმა ქრისტეს ერთგულმა უნდა მიიღოს და შეითვისოს თავად კრების სულის თანახმად, რომელიც ვლინდება განსახილველ საგანში ან გამოხატვის ფორმაში, საღმრთისმეტყველო განმარტების ნორმათა შესაბამისად.“

*

ეკლესიის შესახებ მოძღვრების მესამე თავში მოდუსებთან დაკავშირებით მაღალი ავტორიტეტისგან მამებს მიეცა წინასწარი განმარტებითი შენიშვნა. მესამე თავში გადმოცემული მოძღვრება უნდა განიმარტოს და გააზრებულ იქნას ამ შენიშვნის აზრისა და განზრახვის შესაბამისად.

წინასწარი განმარტებითი შენიშვნა

„კომისიამ გადაწყვიტა, რომ მოდუსთა განხილვას შემდეგი დაკვირვები წარუმიღვაროს.

1. კოლეგია არ გაიგება მკაცრად იურიდიული აზრით, ესე იგი როგორც თანასწორთა ჯგუფი, რომელიც თავის უფლებამოსილებას თავის თავმჯდომარეს მიანდობს. კოლეგია არის მყარი ჯგუფი, რომლის სტრუქტურა და ავტორიტეტი გამოცხადებიდან უნდა მომდინარეობდეს. ამიტომ 12-ე მოდუსთან დაკავშირებით აშკარად არის ნათქვამი თორმეტთა შესახებ, რომ უფალმა ისინი დაადგინა „კოლეგიის ანუ მყარი ჯგუფის სახით“ შდრ. მოდუსი 53, c. – ამავე მიზეზით ეპისკოპოსთა

კოლეგიის შესახებ ხშირად იხმარება გამოთქმები „ხარისხი“ (*Ordo*) და „სხეული“ (*Corpus*). პარალელურად, ერთის მხრივ, პეტრესა და სხვა მოციქულებს შორის, და, მეორეს მხრივ, უზენაეს პონტიფექსსა და ეპისკოპოსებს შორის არ გულისხმობს მოციქულთა განსაკუთრებული ძალაუფლების გადაცემას მათი მემკვიდრეებისთვის, არც, რა თქმა უნდა, თანასწორობას (*aequalitatem*) მეთავესა (*Caput*) და კოლეგიის წევრებს (*membra*) შორის, არამედ გულისხმობს მხოლოდ პროპორციულობას (*proportionalitatem*) პირველსა (პეტრე – მოციქულები) და მეორე (პაპი – ეპისკოპოსები) მიმართებას შორის. ამიტომ კომისიამ გადაწყვიტა, რომ §22-ში დაენერა არა იგივე (*eadem*) სახით, არამედ მსგავსი (*pari*) სახით. შდრ. მოდუსი 57.

2. კოლეგიის წევრად ხდებიან საეპისკოპოსო ხელდასხმისა (*consecrationis*) და კოლეგიის მეთავესა და წევრებთან იერარქიული ურთიერთობის საფუძველზე. შდრ. §22, I აბზაცის ბოლო.

ხელდასხმა (*consecratione*) გამოხატავს წმიდა ფუნქციებში (*sacrorum munerum*) ონტოლოგიურ მონაწილეობას, რასაც უდაოდ მოწმობს გადმოცემა, მათ შორის ლიტურგიული. აქ შეგნებულად გამოიყენება სიტყვა *ფუნქციები* (*munerum*) და არა *უფლებამოსილებანი* (*potestatum*), რადგან ეს უკანასკნელი შეიძლება გაგებულ იქნას ისეთ უფლებამოსილებად, რომელიც რეალურად ხორციელდება. მაგრამ იმისათვის, რომ ასეთი განხორციელებული უფლებამოსილება გვეკონდეს, მას უნდა თან ახლდეს კანონიკური ანუ იურიდიული განსაზღვრება (*determinatio*), შემუშავებული იერარქიული ავტორიტეტის მიერ. უფლებამოსილების ეს განსაზღვრება შეიძლება მდგომარეობდეს ცალკეული თანამდებობის წარდგენაში ან ქვემდგომთა დანიშნვაში, და ამ უფლებამოსილების მინიჭება ხდება უზენაესი ავტორიტეტის მიერ დამტკიცებული ნორმების თანახმად. შემდგომ ამგვარ ნორმას საგნის ბუნება მოითხოვს, რადგან საქმე ეხება ფუნქციებს, რომლებიც უნდა სრულდებოდეს რამდენიმე, ქრისტეს ნებით იერარქიულად ურთიერთთანამშრომელი, სუბიექტის მიერ. ცხადია, რომ ეკლესიის ცხოვრებაში ეს „ურთიერთობა“ ესადაგებოდა დროის ცვლას, სანამ იგი სამართალში (*in iure*) იქნებოდა კოდიფიცირებული.

ამიტომ არის ცხადად ნათქვამი, რომ ეკლესიის მეთავესა და წევრებთან იერარქიული ურთიერთობა არის საჭირო. ურთიერთობა არის ცნება, რომელიც ძველ ეკლესიაში დიდი პატივით სარგებლობდა. იგი დღესაც დიდ პატივშია, განსაკუთრებით აღმოსავლეთში. ოღონდ ის გაიგება არა რაღაც ბუნდოვანი გრძნობად (*affectu*), არამედ ორგანულ სინამდვილედ (*realitate organica*), რომელიც იურიდიულ ფორმას მოითხოვს და იმავე დროს სიყვარულით სულდგმულობს. ამიტომ კომისიამ თითქმის ერთსულოვანი თანხმობით დაადგინა, რომ უნდა ეწეროს: „*იერარქიული ურთიერთობით*“ (*in hierarchica communione*). შდრ. მოდუსი 40 და აგრეთვე ის, რაც ითქმის კანონიკური მისიის შესახებ §24-ში.

უზენაესი პონტიფექსის უკანასკნელი დოკუმენტები, რომლებიც ეპისკოპოსთა იურისდიქციას ეხება, უნდა განიმარტოს (*interpretanda sunt*) უფლებამოსილებათა ამ აუცილებელი განსაზღვრების შესაბამისად.

3. კოლეგიის შესახებ, რომელიც მეთაურის გარეშე არ არსებობს, ნათქვამია: „*ისიც არის სრული უფლებამოსილების სუბიექტი* საყოველთაო ეკლესიაში“. ამის აღიარება აუცილებელია, რათა ეჭვქვეშ არ დაისვას რომის პონტიფექსის უფლებამოსილების სისრულე. კოლეგია აუცილებლად გაიაზრება თავის მეთავესთან ერთად, რომელიც კოლეგიაში ხელუხლებლად ინახავს თავის ფუნქციას: ქრისტეს ნაცვალი (*Vicarii*) და საყოველთაო ეკლესიის მწყემსი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსხვავება მდგომარეობს არა რომის პონტიფექსსა და ეპისკოპოსთა ერთობლიობას შორის, არამედ ცალკე რომის პონტიფექსსა და ეპისკოპოსებთან ერთობლიობაში მყოფ რომის პონტიფექსს შორის. ხოლო რადგანაც უზენაესი პონტიფექსი კოლეგიის მეთავეა, მას მარტოს შეუძლია ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ შედის ეპისკოპოსთა კომპეტენციაში, მაგალითად:

კოლეგიის მოწვევა და წარმართვა, ქმედების ნორმათა დამტკიცება და ა.შ. შდრ. მოდუსი 81. უზენაესმა პონტიფექსმა, რომელსაც ქრისტეს მთელი სამწყსოს ზრუნვა აკისრია, დროის მიხედვით ცვლადი ეკლესიის აუცილებლობათა მიხედვით უდა განსაზღვროს ის ფორმა, რომლითაც ეს ზრუნვა უნდა განხორციელდეს: პიროვნულად თუ კოლეგიალურად. ეკლესიის საკეთილდღეოდ კოლეგიალური საქმიანობის სამართავად, მის ხელშესაწყობად და დასამტკიცებლად რომის პონტიფექსი საკუთარი განსჯის თანახმად მოქმედებს.

4. უზენაესმა პონტიფექსმა, როგორც ეკლესიის უზენაესმა მწყემსმა, თავისი უფლებამოსილება ყველა დროში თავისი შეხედულების თანახმად შეიძლება განახორციელოს, როგორც ამას მისი ფუნქცია (*munere*) მოითხოვს. ხოლო კოლეგია, თუმცა ის ყოველთვის არსებობს, მუდმივად არ მოქმედებს *მკაცრად* კოლეგიალურად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ყოველთვის არ არის „სრულ ქმედებაში“, არამედ უფრო დროდადრო მოქმედებს მკაცრად კოლეგიალური ქმედებით და მხოლოდ (*nonnisi*) *მეთავის თანხმობით*. ვამბობთ: „*მეთავის თანხმობით*“, რათა არ ვიგულისხმოთ რაღაც *გარეშეზე დამოკიდებულება*; ცნება „თანხმობა“ კი, პირიქით, მოგვაგონებს *ურთიერთობას (communione)* მეთავისა და წევრებს შორის და გულისხმობს *ქმედების აუცილებლობას*, რომელიც საკუთრივ მეთავის შეეფერება. ეს პირდაპირ დასტურდება §22-ის 2-ე აბზაცში და იქვე, ბოლოში, განიმარტება. უარყოფითი ფორმულა „*მხოლოდ*“ („*nonnisi*“) ყველა შემთხვევას გულისხმობს, საიდანაც ცხადია, რომ უზენაესი ავტორიტეტის მიერ დამტკიცებული *ნორმები* მუდამ დაცული უნდა იყოს. შდრ. მოდუსი 84.

ყოველივე აქედან ცხადია, რომ საქმე ეხება ეპისკოპოსთა *მჭიდრო კავშირს (coniunctione)* მათ მეთავისთან, და არა ეპისკოპოსთა ქმედებას, *დამოუკიდებელს* პაპისგან. ასეთ შემთხვევაში, თუკი სახეზე არ არის მეთავის ქმედება, ეპისკოპოსები როგორც კოლეგია ვერ იმოქმედებენ, რასაც თავად ცნება „კოლეგია“ ადასტურებს. უზენაეს პონტიფექსთან ყველა ეპისკოპოსის ეს იერარქიული ურთიერთობა უდაოდ დამახასიათებელია გადმოცემისთვის.

N.B. იერარქიული ურთიერთობის გარეშე არ შეიძლება განხორციელდეს საკრამენტალურ-ონტოლოგიური ფუნქცია, რომელიც უნდა განვასხვავოთ კანონიკური იურიდიული ასპექტისგან. მაგრამ კომისიამ გადანყვიტა, არ ჩაღრმავდეს *დაშვებულობისა (licetate)* და *ქმედითობის (validitate)* საკითხებში და ისინი განსახილველად თეოლოგებს დაუტოვოს. ეს ეხება ზოგიერთ აღმოსავლეთის ეკლესიაში რეალურად განხორციელებულ უფლებამოსილებასაც, რომლის განსამარტავად სხვადასხვა შეხედულება არსებობს“.

† პერიკლე ფელიჩი

სამოსატელი ტიტ. მთავარეპისკოპოსი
ვატიკანის II წმ. მსოფლიო კრების
გენერალური მდივანი

დეკრეტი
აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიათა
შესახებ

ORIENTALIUM ECCLESiarUM

პავლე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მსახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

დეკრეტი აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიათა შესახებ

შესავალი

1. კათოლიკე ეკლესია დიდად აფასებს აღმოსავლეთის ეკლესიათა დაწესებულებებს, ლიტურგიულ წესებს, საეკლესიო ტრადიციებსა და ქრისტიანული ცხოვრების წყობას (disciplinam). პატივსაღები სიძველის გამო, მათში ის ტრადიცია ბრწინავს, რომელიც მოციქულებისგან მამებს გადაეცა.¹ ის წარმოადგენს მსოფლიო ეკლესიის საღმრთოდ გამოცხადებული და განუყოფელი მემკვიდრეობის ნაწილს. აღმოსავლური ეკლესიები ამ ტრადიციის ცოცხალი მოწმენი არიან. მოცემული წმიდა მსოფლიო კრება (Sancta et Oecumenica Synodus) ამ ეკლესიებისთვის ზრუნავს, მას სურს მათი განვითარება, რათა მათ ახალი სამოციქულო სიმტკიცით თავისი ფუნქცია შეასრულონ. ამიტომ კრებამ გადაწყვიტა, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც მთელს ეკლესიას ეხება, დაედგინა ზოგიერთი საგანგებო პრინციპი, ხოლო დანარჩენი განსახილველად აღმოსავლური სინოდებისა და არასამოციქულო საყდრებისთვის (non Sedis Apostolicae) მიენდო.

ცალკეული ეკლესიები ანუ წესები (ritus)

2. წმიდა კათოლიკე ეკლესია არის ქრისტეს საიდუმლო სხეული. ის ერთგულებისგან შედგება, რომლებიც სული წმიდაში ორგანულად ერთიანდებიან ერთი სარწმუნოების, ერთი და იმავე საიდუმლოთა, ერთი და იგივე მმართველობის ძალით. ისინი იერარქიულად ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა ჯგუფებად იკრიბებიან და ქმნიან ცალკეულ ეკლესიებს ანუ წესებს. მათ შორის განსაცვიფრებელი ურთიერთობა სუფევს. მრავალფეროვნება ეკლესიაში არა თუ არ უშლის ხელს მის ერთიანობას, არამედ მას უფრო ცხადს ხდის. კათოლიკე ეკლესიის განზრახვაც ხომ ეს არის: ხელუხლებლად დაცულ იქნას ყოველი ცალკეული ეკლესიის ტრადიციები ანუ წესები. ამასთანავე, კათოლიკე ეკლესიას სურს, საკუთარი ცხოვრება სხვადასხვა დროისა თუ ადგილის მოთხოვნილებებს შეუსაბამოს.²

1 LEO III, litt. apost. *Orientalium dignitatis*, 30 nov. 1894: Acta Leonis XIII, vol. XIV pp. 201-202.

2 შდრ. LEO IX, litt. *In terra pax*, an. 1053: “Ui enim”. – INNOCENTIUS III, Synodus Lateranensis IV, an. 1215, cap. IV: “Licet Graecos”; Litt. *Inter quator*, 2 aug. 1206: “Postulati postmodum”. – INNOCENTIUS IV, epist. *Cum de cetero*, 27 aug. 1247; Epist. *Sub catholicae*, 6 mart. 1254, prooem. – NICOLAUS III, instructio *Istud est memoriale*, 9 oct. 1278. – LEO X, litt. apost. *Accepimus nuper*, 18 maii 1521. – PAULUS III, litt. apost. *Dudum*, 23 dec. 1534. – PIUS IV, const. *Romanus Pontifex*, 16 febr. 1564, § 5. – CLEMENS VIII, const. *Magnus Dominus*, 23 dec. 1595, § 10. – PAULUS V, const. *Solet circumspecta*, 10 dec. 1615, §3. – BENEDICTUS XIV, encycl. *Demandatam*, 24 dec. 1743, § 3; Encycl. *Allatae sunt*, 26 iun. 1755, §3,6-19, 32. – PIUS VI, encycl. *Catholicae communionis*, 24 maii 1787. – PIUS IX, litt. *In suprema*, 6 ian. 1848, § 3; Litt. apost. *Ecclesiam Christi*, 26 nov. 1853; Const. *Romani Pontificis*, 6 ian. 1862. – LEO XIII, litt. apost. *Praeclara*, 20 iun. 1894, n. 7; Litt. apost. *Orientalium dignitas*, 30 nov. 1984, prooem., etc.

3. ცალკეული ეკლესიები, როგორც აღმოსავლეთისა ასევე დასავლეთის, ერთმანეთისგან ნაწილობრივ განსხვავდება წესებით, ანუ ლიტურგიით, საეკლესიო დისციპლინითა და სულიერი მემკვიდრეობით. ამასთანავე, ისინი თანაბრად მინდობილი არიან რომის პონტიფიქსის სამღვდლო მმართველობას (*pastorali gubernio Romani Pontificis*), რომელიც, საღმრთო ნებით, როგორც ნეტარი პეტრეს მემკვიდრე, მთელს ეკლესიას უდგას სათავეში. ამიტომ ეს ეკლესიები თანასწორნი არიან ღირსებით, არცერთი მათგან არ აღემატება სხვას წესის თვალსაზრისით, ისინი ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ და მათ ერთნაირი მოვალეობები აქვთ, რომლებსაც განეკუთვნება სახარების ქადაგებაც მთელს მსოფლიოში (მდრ. მარკ. 16, 15), რომის პონტიფიქსის ხელმძღვანელობით.

4. ამიტომ მთელს დედამიწაზე საჭიროა ყველა ცალკეული ეკლესიისთვის ხელშეწყობა და მათი დაცვა. ამისთვის უნდა დაარსდეს საკრებულოები და საკუთარი იერარქია, იქ, სადაც ამას ერთგულთა სულიერი კეთილდღეობა მოითხოვს. ხოლო სხვადასხვა ცალკეული ეკლესიების იერარქიებმა, რომლებსაც ერთსა და იმავე ტერიტორიაზე აქვს იურისდიქცია, პერიოდულ კრებებზე თავმოყრისას უნდა იზრუნოს ქმედების ერთიანობისათვის და, ერთობლივი ძალებით, საერთო საქმის კეთებისათვის, რათა უფრო მეტად შეეწყოს ხელი რელიგიის კეთილდღეობას და უფრო წარმატებით იქნას დაცული სამღვდლოთა დისციპლინა.³ ყველა სამღვდლო და წმიდა ხარისხში აღსაყვანი პირი კარგად უნდა იქნას განსწავლული წესებში, უპირველეს ყოვლისა კი, იმ პრაქტიკული ნორმების სფეროში, რომლებიც წესთა ურთიერთმართებას გულისხმობს. საერო პირებმაც, კატეხეზური სწავლებისას, დარიგებები უნდა მიიღონ წესებისა და მათი ნორმების შესახებ. დაე, ყველა კათოლიკემ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე, აგრეთვე ნებისმიერ არაკათოლიკე ეკლესიაში თუ საკრებულოში მონათლულებმა, რომლებიც კათოლიკური ურთიერთობის სისრულისკენ მიემართებიან, ყველგან შეინახონ საკუთარი წესი, თაყვანი სცენ მას და შეძლებისდაგვარად დაიცვან.⁴ ამასთანავე, ძალაში რჩება უფლება, რომლის თანახმად განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც ეხება პიროვნებებს, საკრებულოებს ან რეგიონებს, შეიძლება მიჰმართონ სამოციქულო საყდარს, რომელიც, როგორც უმაღლესი მსაჯული ეკლესიათა შორის ურთიერთობებში, მსოფლიო სულისკვეთებით იზრუნებს მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამას ის ან თვითონ გააკეთებს, ან სხვა ხელისუფალთა მეშვეობით, სათანადო წესების, დეკრეტებისა თუ პასუხების (*rescriptis*) გაცემის საფუძველზე.

აღმოსავლეთის ეკლესიათა სულიერი მემკვიდრეობი დაცვა

5. ისტორია, ტრადიციები და მრავალი საეკლესიო დაწესებულება უცხადესად მოწმობს იმას, თუ რა დიდი დამსახურება მიუძღვის აღმოსავლეთის ეკლესიებს მსოფლიო ეკლესიის წინაშე.⁵ ამიტომ წმიდა კრება ამ საეკლესიო და სულიერ მემკვიდრეობას არა მარტო სათანადო პატივისცემითა და სამართლიანი ქებით მოიხსენიებს, არამედ მტკიცედ მიიჩნევს, რომ ის არის ქრისტეს მსოფლიო ეკლესიის მემკვიდრეობა. ამის გამო კრება საზეიმოდ განაცხადებს, რომ ეკლესიებს, – როგორც აღმოსავლურს, ასევე დასავლურს, — აქვს უფლება და მოვალეობა, იხელმძღვანელოს თავისი საგანგებო განწესებებით (*disciplinas*). ეს უკანასკნელები გამოირჩევა საპატიო სიძველით, განსაკუთრებით კარგად ეწყობა თავის ერთ-

3 PIUS XII, *Motu proprio Cleri sanctitati*, 2 iun. 1957, can. 4.

4 PIUS XII, *Motu proprio Cleri sanctitati*, 2 iun. 1957, can. 8: “სამოციქულო საყდრის ნებართვის გარეშე”, გასულ საუკუნეთა პრაქტიკის თანახმად. იგივე ითქმის მონათლულ არაკათოლიკეთა შესახებ: “მათ შეუძლიათ ის წესი აირჩიონ, რომელიც სურთ”. მითითებულ ტექსტში დადებითად არის განხილული საკითხი წესის დაცვის შესახებ ყველასთვის და ყველგან.

5 მდრ. LEO XIII, *litt. apost. Orientalium dignitatis*, 30 nov. 1894; *Epist. apost. Praeclara gratulationis*, 20 iun. 1894, აგრეთვე 2-ე შენიშვნაში მოტანილი დოკუმენტები.

გულთა ზნე-ჩვეულებებს და, ცხადია, კარგად შეეფერება მოღვაწეობას სულიერი კეთილდღეობისათვის.

6. დაე, ყველა აღმოსავლურმა [ეკლესიამ] იცოდეს და დარწმუნებული იყოს, რომ მუდამ შეუძლია და კიდევ უნდა შეინარჩუნოს თავისი კანონიერი ლიტურგიული წესები და თავისი დისციპლინა: მათი ცვლილება არ უნდა მოხდეს, თუ არა საკუთრივ მათივე ორგანული განვითარებისთვის. ამგვარად, აღმოსავლურმა [ეკლესიებმა] თავად უნდა დაიცვან ისინი მაქსიმალური ერთგულებით. ამისათვის [ამ ეკლესიების წარმომადგენლებმა] სულ უფრო მეტად უნდა გაიღრმავონ ცოდნა საკუთარ წესთა შესახებ და დახვეწონ მათი გამოყენების პრაქტიკა. და თუ მაინც, სამწუხაროდ, დროისა თუ პიროვნებათა ზეგავლენით, ისინი წინაპართატრადიციას მოსწყდნენ, დაე, შეეცადონ, მას კვლავ დაუბრუნდნენ. ხოლო ვინც საკუთარი მოვალეობისა თუ სამოციქულო მსახურების გამო ხშირად არის კონტაქტში აღმოსავლეთის ეკლესიებსა თუ მათ ერთგულებთან, თავისი სამსახურის მნიშვნელოვანების გამო, საფუძვლიანად უნდა განისწავლოს აღმოსავლური [ეკლესიების] წესების, დისციპლინის, მოძღვრების, ისტორიისა და თავისებურებათა სფეროში.⁶ ხოლო ლათინური წესის მოწესებებსა და ასოციაციებს, რომლებიც აღმოსავლეთის რეგიონებში ან აღმოსავლეთი ერთგულთა შორის მოღვაწეობენ, დაბეჯითებით ვურჩევთ, მოციქულობის მეტი ქმედითობისთვის, შეძლებისდაგვარად დაარსონ აღმოსავლური წესის სახლები და პროვინციებიც კი.⁷

აღმოსავლეთის პატრიარქები

7. ეკლესიაში უძველესი დროიდან არსებობს საპატრიარქო დაწესებულება, რომელიც უკვე პირველმა მსოფლიო კრებებმა სცნო.⁸

აღმოსავლეთის პატრიარქად იგულისხმება ეპისკოპოსი, რომელსაც აქვს იურისდიქცია ყველა ეპისკოპოსზე, მიტროპოლიტების ჩათვლით, აგრეთვე სამღვდელთა და მოციქული ტერიტორიისა თუ წესის ხალხზე, სამართლის ნორმის თანახმად და რომის პონტიფიქსის პირველობის დაცვის პირობებში.⁹

ყველგან, სადაც ამა თუ იმ წესის იერარქი დაინიშნება საპატრიარქო ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, ის კვლავ განეკუთვნება, სამართლის ნორმის თანახმად, მოციქული წესის საპატრიარქოს.

8. აღმოსავლეთის ეკლესიების პატრიარქთა შორის ზოგიერთი, სხვებთან შედარებით, დროით უფრო ახალია, თუმცა საპატრიარქო ღირსების თვალსაზრისით ყველა თანასწორია. ამასთან ერთად, ძალაში რჩება კანონიერად დადგენილი საპატრიო უფროსობა (*praecedentia honoris*).¹⁰

9. უძველესი საეკლესიო ტრადიციის თანახმად, საგანგებო პატივი მიეგება აღმოსავლეთის ეკლესიების პატრიარქებს, რადგან თითოეული მათგანი, როგორც მამა და მეთაური, თავის საპატრიარქოს ხელმძღვანელობს.

6 შდრ. BENEDICTUS XV, *Motu proprio Orientis catholici*, 15 oct. 1917. – PIUS XI, *encycl. Rerum orientalium*, 8 sept. 1928, etc.

7 პიუს XI-ის, პიუს XII-ის, იოანე XXIII-ის დროის კათოლიკე ეკლესიის პრაქტიკა უხვად ადასტურებს ამ მოძრაობას.

8 შდრ. CONC. NICAENUM I, can.6. – CONC. CONST. I, can. 2 et 3. – CONC. CHALCEDONENSE, can.. 28, can.9. – CONC. CONST.IV, can. 17; can. 21. – CONC. LATERANENSE IV, can. 5; can. 30. – CONC. FLOR., *Decr. pro Graecis*, etc.

9 შდრ. CONC. NICAENUM I, can. 6. – CONC. CONST. I, can. 3. – CONC. CONST. IV, can. 17. – PIUS XII, *Motu proprio Cleri sanctitati*, can. 216, § 2, 1°.

10 მსოფლიო კრებებზე: NICAENA; I, can. 6. – CONST. I, can. 3. – CONST. IV, can. 21. – LATERANENSIS IV, can. – FLOR., *Decr. pro Graecis*, 6 iul. 1439, § 9. – შდრ. PIUS XII, *Motu proprio Cleri sanctitati*, 2 iun. 1957, can. 219, etc.

ამიტომ წმიდა კრებამ დაადგინა, რომ უნდა აღდგეს მათი უფლებები და პრივილეგიები ცალკეული ეკლესიის ძველი ტრადიციებისა და მსოფლიო კრებათა დეკრეტების შესაბამისად.¹¹

ეს ის უფლებები და პრივილეგიებია, რომლებიც არსებობდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთიანობის პერიოდში, თუმცა, შესაძლებელია, საჭირო გახდეს დღევანდელი ვითარებისადმი მათი მისადაგება.

პატრიარქები თავიანთი სინოდებით წარმოადგენენ უმაღლეს ინსტანციას საპატრიარქოს ნებისმიერი საქმისთვის. ეს გულისხმობს, სხვათა და სხვათა შორის, ახალი ეპარქიების დაარსებასა და მოცემული წესის ეპისკოპოსების დანიშნვას საპატრიარქოს ტერიტორიის საზღვრებში. ამასთანავე, ძალაში რჩება რომის პონტიფექსის განუხრელი უფლება, ჩაერიოს ცალკეულ შემთხვევებში.

10. ის, რაც პატრიარქების შესახებ ითქვა, ეხება, სამართლის ნორმის თანახმად, უმაღლეს მთავარეპისკოპოსებსაც, რომლებიც სათავეში უდგანან მთელს ცალკეულ ეკლესიას ანუ წესს.¹²

11. საპატრიარქო დაწესებულება აღმოსავლეთის ეკლესიებში ტრადიციული მმართველობის ფორმას წარმოადგენს. ამიტომ წმიდა მსოფლიო კრებას სურს, რომ იქ, სადაც საჭიროა, შეიქმნას ახალი საპატრიარქოები, რომელთა შექმნის უფლება მსოფლიო კრების ან რომის პონტიფექსის პრეროგატივაა.¹³

საიდუმლოთა დისციპლინა

12. წმიდა მსოფლიო კრება ადასტურებს და მხარს უჭერს აღმოსავლეთის ეკლესიებში არსებულ საიდუმლოთა ძველ დისციპლინას და სურვილს გამოითქვამს, რომ საჭიროების შემთხვევაში ის აღდგენილ იქნას.

13. სრულად უნდა აღდგეს უძველესი დროიდან აღმოსავლურ [ეკლესიებში] არსებული დისციპლინა წმ. ცხების (Chrismatis) მსახურის შესახებ. ამ საიდუმლოს აღსრულება მღვდლებს (presbyteri) შეუძლიათ, პატრიარქისა თუ ეპისკოპოსის მიერ ნაკურთხი საცხებლის (Chrismate) გამოყენებით.¹⁴

14. ყველა აღმოსავლელ მღვდელს (presbyteri) შეუძლია ქმედითად აღასრულოს ეს საიდუმლო, ან ნათლობასთან ერთად ან ცალკე, ნებისმიერი — მათ შორის ლათინური — წესის ერთგულებისთვის. ამასთანავე, უფლებამოსილების უზრუნველსაყოფად (ad liceitatem), უნდა დაცულ იქნას საზოგადო და კერძო სამართლის განწესებები.¹⁵ ლათინური წესის მღვდლებსაც (presbyteri), იმ შესაძლებლობათა მიხედვით,

11 შდრ. ზემოთ, შენ. 8.

12 შდრ. CONC: EPHES., can. 8. – CLEMENS VII, *Decret Romanum Pontificem*, 23 febr. 1596. – PIUS VII, 2 iun. 1957, can. 324-339. – CONC. CARTHAGINEN., an. 419, can. 17.

13 CONC: CARTHAGINEN., an. 419, can. 17 et 57. – CONC. CHALCEDONENSE, an 451, can. 12. – S. INNOCENTIUS I, litt. *Et onus et honor*; a.c. 415: “Nam quid seiscitaris”. – S. NICOLAUS I, litt. *Ad consulta vetra*, 13 nov. 866: “A qou autem”. – INNOCENTIUS III, litt. *Rex regum*, 25 febr. 1204. – LEO XII, const. apost. *Petrus Apostolorum Princeps*, 15 aug. 1824. – LEO XIII, litt. apost. *Christi Domini*, an. 1895. – PIUS XII, Motu proprio *Cleri sanctitati*, 2 iun. 1957, can. 1959.

14 შდრ. INNOCENTIUS IV, epist. *Sub catholicae*, 6 mart. 1254, § 3, n. 4. – CONC. LUDGUN. II, an. 1274 (professio fidei Michaelis Paleologi Gregorio X oblata). – EUGENIUS IV, in Syn. Florentina, *Const. Exsultate Deo*, 22 nov. 1439, § 11. – CLEMENS VIII, instr. *Sanctissimus*, 31 aug. 1595. – BENEDICTUS XIV, const. *Etsi pastoralis*, 26 maii 1742, § II, n. 1, §III, n. 1, etc. – Syn. Laodicena, an. 347/381, can. 48. – Syn. Sisen. Armenorum, an. 1342. – Syn. Libanen. Maronitarum, an. 1736, P. II, Cap. III, n. 2 და სხვა ცალკეული კრებები.

15 შდრ. S. C. S. OFFICI, instr. (ad Ep. Scepuseien), an. 1783. – S. C. De Prop. Fide (pro Coptis), 15 mart. 1790, n. xiii; Decr. 6 oct. 1863, C.a. – S.C. pro ECCL. ORIENT., 1 maii 1948. – S. C. S. OFFICI, resp. 22 apr. 1896 cum litt. 19 maii 1896.

რომლებიც მათ საიდუმლოს აღსრულების (*ministrare*) სფეროში გააჩნიათ, შეუძლიათ ის აღმოსავლური ეკლესიების ერთგულებისთვისაც აღასრულონ, მიუხედავად განსხვავებული წესისა. ამასთანავე, უფლებამოსილების უზრუნველსაყოფად (*ad liceitatem*), უნდა დაცულ იქნას საზოგადო და კერძო სამართლის განწესებები.¹⁶

15. ერთგულები მოვალენი არიან, კვირა დღეობით და დღესასწაულებზე მონაწილეობა მიიღონ საღმრთო ლიტურგიაში, ან, საკუთარი წესის მითითებებისა თუ ჩვეულების თანახმად, საღმრთო ქებათა აღსრულებაში.¹⁷ იმისათვის, რომ ერთგულებმა ეს მოვალეობა ადვილად შეასრულონ, დადგენილია, რომ ხელსაყრელი დრო ამ მითითების შესასრულებლად გრძელდება წინა დღის საღამოდან (*a vesperis vigiliae*) კვირა დღის ან დღესასწაულის ბოლომდე.¹⁸ ერთგულებისთვის დაბეჯითებით რეკომენდირებულია, რომ ამ დღეებში – ან უფრო ხშირად, თუნდაც ყოველდღე, მიიღონ წმიდა ევქარისტია.¹⁹

16. არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ცალკეული ეკლესიის ერთგულები ერთსა და იმავე აღმოსავლურ რეგიონსა თუ ტერიტორიაზე სისტემატურად შერეულად ცხოვრობენ. ასეთ დროს ნებისმიერი წესის მღვდელთა უფლებამოსილება — მიიღონ აღსარება, მათი იერარქების მიერ წესისამებრ და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაშვებული — ვრცელდება ამ უფლებამოსილების დამშვები პირის მიერ მთელს ტერიტორიაზე, აგრეთვე მოცემული წესის ყველა ადგილსა და ერთგულებზე, რომლებიც ამავე ტერიტორიაზე იმყოფება, თუკი ადგილობრივმა იერარქმა ეს აშკარად არ უარყო თავისი წესის შესაბამისი ადგილებისთვის.²⁰

17. იმისათვის, რათა აღმოსავლეთის ეკლესიებში კვლავ ძალაში შევიდეს ხარისხის (*Ordinis*) საიდუმლოს ძველი დისციპლინა, მოცემულ წმიდა კრებას სურს, რომ მუდმივი დიაკონობის (*diconatus*) ინსტიტუტი აღდგეს იქ, სადაც ის მოიშალა.²¹ რაც შეეხება სუბდიაკონობას და ქვედა ხარისხებს, აგრეთვე მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ეს უკვე თითოეული ცალკეული ეკლესიის კანონიერი ხელისუფლების გადასაწყვეტია.²²

18. იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ ქორწინებები, რომლებიც ძალაში არ არის (იგულისხმება აღმოსავლეთის კათოლიკეთა ქორწინება აღმოსავლეთის მონათლულ არაკათოლიკეებთან), აგრეთვე ქორწინების სიმტკიცის, სინმიდისა

16 CIC, can. 782, §4. – S. C. PRO ECCL. ORIENT., decretum “*de Sacramento Confirmationis administrando etiam fidelibus orientalibus a presbyteris latini ritus, qui hoc indulto gaudent pro fidelibus sui ritus*”, 1 maii 1948.

17 შდრ. SYN. LAODICEN., an. 347/381, can. 29. – S. NICEPHORUS CP., cap. 14. – SYN. DUINEN. ARMENORUM, an. 719, can. 31. – S. THEODORUS STUDITA, *sermo* 21. – S. NICOLAUS I, litt. *Ad consulta vestra*, 13 nov. 866: “*In quorum Apostolorum*”; “*Nos cupitis*”; “*Quod interrogatis*”; “*Praeterea consultis*”; “*Si die Dominico*”; და ცალკეული (ადგილობრივი) კრებები.

18 ეს არის სიახლე, ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც არსებობს წმ. ლიტურგიაში მონაწილეობის ვალდებულება. თუმცა, ეს შეეფერება აღმოსავლელ [ქრისტიანებში] ლიტურგიულ დღეს.

19 შდრ. *Canones apostolorum*, 8 et 9. – SYN. ANTIOCHENA, an. 341, can. 2. – TIMOTHEUS ALEX-ANDRINUS, *Interrogat.* 3. – INNOCENTIUS III, const. *Quia divinae*, 4 ian. 1215; აგრეთვე აღმოსავლეთის ეკლესიათა ბოლო დროის მრავალი ადგილობრივი კრება.

20 იურისდიქციის ტერიტორიალური ხასიათის დაცვის პირობებში, კანონი ცდილობს, სულთა კეთილდღეობისათვის, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე იურისდიქციის პლურალიზმი უზრუნველყოს.

21 შდრ. CONC. NICAENUM I, can. 18. – SYN. NEOCAESARIEN., an. 314/325, can. 12. – SYN. SARDICEN., an. 343, can. 8. – S. LEO M., litt. *Omnium quidem*, 13 ian. 444. – CONC. CHALCEDONENSE, can. 6. – CONC. CONST. IV, can. 23, 26, etc.

22 მრავალი აღმოსავლეთის ეკლესია სუბდიაკონობას მცირე ხარისხად მიიჩნევს, მაგრამ *Motu proprio* პიუს XII-ისა, *Cleri sanctitati*, მას უფროსი ხარისხების მოვალეობანი მიენერება. კანონი გთავაზობს, დაგუბრუნდეთ ცალკეულ ეკლესიათა ძველ დისციპლინას სუბდიაკონათა მოვალეობების თვალსაზრისით, “*Cleri sanctitati*”-ს საერთო კანონის (*iuris communis*) შეზღუდვით.

და ოჯახური სიმშვიდისათვის, წმიდა კრება ადგენს, რომ ამ ქორწინებათა აღსრულების კანონიერი ფორმა სავალდებულოა მხოლოდ მისი უფლებამოსილებისათვის (ad liceitatem), ხოლო იმისათვის, რომ ქორწინებები ძალაში იყოს, საკმარისია მღვდელმსახურის (ministri sacri) თანდასწრება, თუკი დაცულია სამართლის სხვა წესები.²³

საღმრთო კულტმსახურება

19. ამიერიდან მხოლოდ მსოფლიო კრების ან სამოციქულო საყდრის საქმეა, ყველა აღმოსავლეთის ეკლესიებისთვის საერთო დღესასწაულების დადგენა, გადატანა ან მოხსნა. რაც შეეხება ცალკეული ეკლესიისთვის დღესასწაულების დადგენას, გადატანას ან მოხსნას, ეს ეხება არა მხოლოდ სამოციქულო საყდარს, არამედ საპატრიარქო და სამთავარეპისკოპოსო სინოდებსაც. ასეთ შემთხვევაში სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული მთელი რეგიონი და სხვა ცალკეული ეკლესიები.²⁴

20. სასურველია, ყველა ქრისტიანმა შეთანხმების შედეგად აღდგომის დღესასწაული ერთსა და იმავე დღეს იხეიმოს. ხოლო სანამ ეს მოხდება, პატრიარქები თუ უზენაესი ადგილობრივი საეკლესიო ხელისუფალნი, ერთსა და იმავე რეგიონსა თუ ქვეყანაში მცხოვრებ ქრისტიანთა შორის ერთობის განსამტკიცებლად, აზრთა ერთსულოვნებისა და დაინტერესებულ მხარეებთან თათბირის საფუძველზე, უნდა შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ აღდგომის დღესასწაული ერთსა და იმავე კვირადღეს იხეიმონ.²⁵

21. რაც შეეხება წმიდა ჟამთა კანონს, აქ ცალკეულ ერთგულებს, რომლებიც მათი საკუთარი წესის რეგიონისა თუ ტერიტორიის გარეთ იმყოფებიან, შეუძლიათ მთლიანად შეენწყონ იმ ადგილის დისციპლინას წეს-ჩვეულებებს, სადაც ცხოვრობენ. შერეული წესის ოჯახებში ეს კანონი შეიძლება ერთ-ერთი წესის მიხედვით იქნას დაცული.²⁶

22. დაე, აღმოსავლეთის სამღვდელო პირებმა და მოწესებმა საკუთარი დისციპლინის განწესებათა და ტრადიციათა მიხედვით საღმრთო ქებანი (Laudes Divinas) იხეიმონ, რომლებიც ძველი დროიდან ყველა აღმოსავლურ ეკლესიაში დიდ პატივში იყო.²⁷ დაე, ერთგულებმაც, წინაპართა მაგალითის მიხედვით, მოწინებით, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, მონაწილეობა მიიღონ საღმრთო ქებებში.

23 შდრ. PIUS XII, Motu proprio *Crebrae allatae*, 22 febr. 1949, can. 32, § 2, n. 5° (facultas patriarcharum dispensandi a forma 9. – PIUS XII, Motu proprio *Cleri sanctitati*, 2 iun. 1957, can. 267 (facultas patriarcharum sanandi in radice). – წმ. მსახურების წმ. კონგრეგაციამ და აღმოსავლური ეკლესიების საქმეთა წმ. კონგრეგაციამ გასცა ფორმისგან განდგომისა (dispensandi) და ფორმის ნაკლებლოვანებისგან გათავისუფლების უფლებამოსილება (ხუთი წლით): “პატრიარქთა გარდა, მიტროპოლიტებისა და სხვა ადგილობრივი ორდინარიუსებისთვის, რომლებსაც არავინ ჰყავთ ზემდგომი, გარდა წმიდა საყდრისა”.

24 შდრ. S. LEO M., litt. *Wuod saepissime*, 15 apr. 454: “Petitionem autem”. – S. NICEPHORUS CP., cap. 13. – SYN. SERGII PATRIARCHIAE; 18 sept. 1596, can. 17. – PIUS VI, litt. apost. *Assueto paterne*, 8 apr. 1755, etc.

25 შდრ. CONC: VAT. II, Const. *de Sacra Liturgia*.

26 შდრ. CLEMENS VIII, instr. *Santissimus*, 31 aug. 1595, §6: “Si ipsi graeci”. – S. C. S. OFFICII, 7 iun. 1673, ad 1 et 3; 13 mart. 1727, ad 1. – S. C. DE PROP. FIDE, decret. 18 aug. 1913, art. 33; Decret. 14 aug. 1914, art. 27; Decret. 27 mart. 1916, art. 14. – S. C. Pro ECCL. ORIENT., decret. 1 mart. 1929, art. 36; Decret. 4 maii 1930, art. 41.

27 შდრ. SYN. LAODICEN., 347/381, can. 18. – SYN. MAR ISSACI CHALDAEORUM an. 410, can. 15. – SYN. NERSES GLAIEN. ARMENORUM, an. 1166. – INNOCENTIVS IV, epist. *Sub catholicae*, 6 mart. 1254, § 8. – BENEDICTUS XIV, const. *Etsi pastoralis*, 26 maii 1742, § 7, n. 5; Instr. *Eo quamvis tempore*, 4 maii 1745, §§ 42 ss. – ბოლო დროის ადგილობრივი კრებები: სომეხთა (1911), კოპტებისა (1898), მარონიტებისა (1736), რუმინელებისა (1872), სირიელებისა (1888).

23. პატრიარქს სინოდთან ერთად ან ყოველი ეკლესიის უზენაეს ხელისუფალს იერარქთა კრებასთან ერთად აქვს უფლება, განსაზღვროს ენათა გამოყენება წმიდა ლიტურგიულ ქმედებებში. მათ აგრეთვე შეუძლიათ, სამოციქულო საყდრისთვის მოხსენების შედეგად, ადგილობრივ ენაზე ტექსტების თარგმანების დამტკიცება.²⁸

ურთიერთობა გამიჯნული ეკლესიების ძმებთან

24. აღმოსავლეთის ეკლესიებს, რომლებიც ურთიერთობაში არიან რომის სამოციქულო საყდართან, განსაკუთრებული მოვალეობა აკისრია: მოცემული წმიდა კრების ეკუმენიზმის შესახებ დეკრეტის თანახმად, მათ ხელი უნდა შეუწყონ ყველა ქრისტიანის, განსაკუთრებით, აღმოსავლელ ქრისტიანთა ერთობას. ეს, უპიველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს ლოცვებით, ცხოვრების მაგალითით, ძველი აღმოსავლური ტრადიციების მიმართ ღმრთისმოსავი (religiosa) ერთგულებით, ღრმა ურთიერთგაგებით, თანამშრომლობითა და ძმური პატივისცემით საგანთა და ადამიანთა მიმართ.²⁹

25. გამიჯნული აღმოსავლელი [ქრისტიანებისგან], რომლებიც სული წმიდის მადლის ზემოქმედებით კათოლიკური ერთიანობისაკენ მიდიან, იმაზე მეტი არ უნდა მოვიტხოვოთ, რასაც კათოლიკური სარწმუნოების უბრალო აღმსარებლობა (professio) მოითხოვს. მათ ნამდვილი მღვდელმსახურება შემოინახეს, ამიტომ აღმოსავლურ სამღვდლო პირებს, რომლებიც კათოლიკური ერთიანობისკენ მიდიან, შეუძლიათ საკუთარი ხარისხი აწარმოონ (exercendi), უფლებამოსილი სელისუფლების მიერ დადგენილი ნორმების თანახმად.³⁰

26. ერთობა საიდუმლოებებში, რომელიც ზიანს აყენებს ეკლესიის ერთობას ან განაპირობებს ფორმალური შეცდომის დაშვებას, იწვევს სარწმუნოებაში გზის აზნევას, ხიზლსა და ინდიფერენტულობას, საღმრთო კანონით იკრძალება.³¹ რაც შეეხება აღმოსავლელ ძმებს, სამღვდლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ შესაძლებელია და საჭიროც არის ცალკეულ პირთა ვითარების გათვალისწინება, თუკი ეკლესიის ერთიანობას საფრთხე არ ემუქრება და ხიფათის წინაშე არა ვდგევართ, და როცა ამას მოითხოვს გამოხსნის აუცილებლობა და სულთა სულიერი კეთილდღეობა. ამიტომ, დროის, ადგილისა და პიროვნებათა კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, კათოლიკე ეკლესია ხშირად მიმართავდა და მიმართავს ქმედების უფრო რბილ ფორმას, ყველას სთავაზობს გამოხსნის საშუალებებსა და ქრისტიანთა შორის სიყვარულის მოწმობას საიდუმლოებში, სხვა ქმედებებსა და წმიდა საქმეებში. „იმისათვის, რათა შეხედულების სიმკაცრის გამო არ დავაბრკოლოთ ისინი, ვინც უნდა გამოხსნილ იქნას“,³² აგრეთვე იმისათვის, რათა განმტკიცდეს ერთობა ჩვენგან გამიჯნულ აღმოსავლეთის ეკლესიებთან, წმიდა კრება მოქმედების შემდეგ წესს ადგენს.

27. ზემოაღნიშნულ პრინციპთა საფუძველზე, შესაძლებელია, რომ კეთილი რწმენით გამსჭვალულ აღმოსავლელ [ქრისტიანებს], კათოლიკე ეკლესიისაგან გამიჯნულთ, მივანოდოთ სინანულის, ეკვარისტიისა და სნეულთა ცხების საიდუმლონი, თუკი ისინი ამას თავად მოითხოვენ და სათანადოდ იქნებიან განწყობილნი. მეტიც: კათოლიკეებმაც შეიძლება სთხოვონ საიდუმლონი იმ არაკათოლიკე მსახურებს, რომელთა ეკლესიაში მოიპოვება ნამდვილი საიდუმლონი. ეს შესაძლებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ამას აუცილებლობა ან ჭეშმარიტი სულიერი საჭიროება

28 აღმოსავლური ტრადიციიდან.
 29 სხვადასხვა აღმოსავლელ კათოლიკეთა ეკლესიების ერთობის ბულათა შინაარსიდან.
 30 კრების ვალდებულება გამიჯნულ აღმოსავლელ ძმათა და ყველა სახის ხარისხის მიმართ, როგორც საღმრთო, ასევე საეკლესიო სამართლისა.
 31 ეს მოძღვრება გამიჯნულ ეკლესიებშიც არის ძალაში.
 32 S. BASILIUS M., *Epist. canonica ad amphiloichum*: PG 32, 699 B.

მოითხოვს, ხოლო კათოლიკე მღვდელმსახური ფიზიკურად ან მორალურად მიუწვდომელი არის.³³

28. ამავე პრინციპების საფუძველზე, გარკვეულ ვითარებაში, დასაშვებია ურთიერთობა წმიდა ქმედებებში, საგნებსა და ადგილებში კათოლიკეებსა და გამიჯნულ აღმოსავლელ ძმებს შორის.³⁴

ეს საქმე — უფრო შერბილებული ერთობა საიდუმლოებებში აღმოსავლეთის გამიჯნული ეკლესიების ძმებთან — მინდობილ იქნა ადგილობრივ იერარქთა ბრძნულ სიფხიზლესა და ხელმძღვანელობას. ერთმანეთთან თათბირისა და, საჭიროების შემთხვევაში, გამიჯნულ ეკლესიათა იერარქების მოსმენის შედეგად, მათ, სათანადო ქმედითი მითითებებითა და ნორმებით, ქრისტიანთა შორის ურთიერთობები უნდა მოაწესრიგონ.

დასკვნა

30. წმიდა კრება დიდად მოხარულია აღმოსავლეთის და დასავლეთის კათოლიკე ეკლესიათა შორის არსებული ნაყოფიერი და ქმედითი თანამშრომლობის გამო. ამასთან დაკავშირებით ის განაცხადებს: ყველა ეს სამართლებრივი მითითებები (dispositiones) დგინდება ამჟამინდელი ვითარებისთვის, იმ დრომდე, სანამ კათოლიკე ეკლესია და გამიჯნული აღმოსავლური ეკლესიები ურთიერთობის სისრულემდე მივლენ.

ამავე დროს კი, ყველა ქრისტიანს, როგორც აღმოსავლელს, ასევე დასავლელს, კრება დაბეჯითებით მოუწოდებს, ღმერთს მიმართონ მხურვალე და გულმოდგინე — ყოველდღიური ლოცვებითაც კი, რათა უწმიდესი ღმრთისმშობლის შემწეობით, ყველა ერთ იქმნას. დაე, ილოცონ, რომ ნებისმიერი ეკლესიის ყველა ქრისტიანზე, რომლებიც განუხრელად ქრისტეს სახელის აღმსარებლები (profitentes) არიან, იგვემებინ და იტანჯებიან, გარდამოვიდეს წმიდა ნუგეშისმცემელი სული, სავსე თანადგომითა და სიმშვიდით.

„ძმათ მოყუარებითა ურთიერთას მოწლედ მოსურნე იყვენით; პატივის-ცემასა ურთიერთას უსწრობდით“ (რომ. 12, 10).

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამ დეკრეტში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან გადმოგვეცა, ამას პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ, ვანუსებთ და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1964 წლის 21 ნოემბერი
მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
(მოჰყვება მამათა ხელმოწერები)

33 ამ შერბილების საფუძველად მიჩნეულია შემდეგი: 1. საიდუმლოთა ქმედითობა; 2. კეთილი რწმენა და განწყობა; 3. საუკუნო გამოსხნის აუცილებლობა; 4. საკუთარი მღვდელმსახურის არყოფნა; 5. თავიდან ასაცილებელი საფრთხისა და შეცდომისადმი ფორმალური მიდრეკილების არარსებობა.

34 ლაპარაკია ე.წ. “გარე-საკრამენტულ საიდუმლოთა ერთობაზე”. ამ შერბილებას კრება იძლევა, ხოლო რაც საჭიროა, ის უნდა შენარჩუნებულ იქნას.

დეკრეტი
ეკუმენიზმის შესახებ

UNITATIS REDINTEGRATIO

პავლე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მსახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

დეკრეტი ეკუმენიზმის შესახებ

შესავალი

1. ხელი შევეწყობთ ყველა ქრისტიანს შორის ერთობის აღდგენას: ასეთია ვატიკანის მეორე წმიდა მსოფლიო კრების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. უფალმა ქრისტემ ერთი ეკლესია დაამკვიდრა, თუმცა ბევრი ქრისტიანული საკრებულო ადამიანთა წინაშე საკუთარ თავს იესო ქრისტეს ჭეშმარიტ მემკვიდრედ წარმოადგენს. ყველას თავი ქრისტეს მონაწილე მიაჩნია, თუმცა მათ სხვადასხვაგვარი აღქმა და განსხვავებული გზები აქვთ, თითქოს თავად ქრისტეც განყოფილიყო.¹ ცხადია, რომ ასეთი განყოფა ამკარად ეწინააღმდეგება ქრისტეს ნებას, მაცთურია მსოფლიოსთვის და საზიანოა წმიდა საქმისთვის, რომელიც ყველა ქმნილებისთვის სახარების ქადაგებას გულისხმობს.

მაგრამ უფალმა საუკუნეთა, რომელიც სიბრძნითა და მოთმინებით ასრულებს საქმეს და ჩვენ, ცოდვილებს, თავის მადლს გვანიჭებს, უკანასკნელ დროს უფრო უხვად დაიწყო ერთმანეთისგან გამიჯნულ ქრისტიანებში მონანიებისა და ერთობის სურვილის აღძრვა. ამ მადლით მოცული ადამიანი ყველგან ბევრია. ჩვენგან გამიჯნულ ძმებშიც, სული წმიდის მადლის ზემოქმედებით, ჩაისახა და თანდათანობით გაფარდოვდა მოძრაობა, რომელიც ყველა ქრისტიანს შორის ერთობის აღდგენისთვის არის გამიზნული. ერთიანობისკენ მიმართულ ამ მოძრაობაში, რომელსაც „ეკუმენური“ ეწოდება, ისინი მონაწილეობენ, ვინც ღმერთს სამეზობლო მოუხმობს (qui Deum Trinum invocant) და იესოს როგორც უფალსა და მაცხოვარს აღიარებს; ამას ისინი არა ცალკე, თავისთვის უნდა აკეთებდნენ, არამედ იმ საკრებულოებთან ერთად, რომლებშიც მათ სახარება მოისმინეს და რომლებსაც თითოეული მათგანი თავის და ღმრთის ეკლესიას უწოდებს. მათ შორის თითქმის ყველა, თუმცა სხვადასხვა სახით, მიისწრაფვის ღმრთის ერთიანი და ხილული ეკლესიისკენ, რომელიც იქნება ჭეშმარიტად საყოველთაო და მთელი სამყაროსთვის მოვლინებული, რათა სამყარო სახარებისკენ მოიქცეს და ასე იქნას გამოხნილი სადიდებლად უფლისა.

ყოველივე ამას წმიდა კრება სიხარულით აღიქვამს. მან უკვე განაცხადა ეკლესიის შესახებ თავისი მოძღვრება. იგი გამსჭვალულია სურვილით, დამყარდეს ერთიანობა ქრისტეს ყველა მონაწილეს შორის. ამიტომ კრებას სურს, ყველა კათოლიკეს შესთავაზოს საშუალებები, გზები და ხერხები, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემენ, უპასუხონ ამ საღმრთო მოწოდებასა და მადლს.

თავი I ეკუმენიზმის კათოლიკური პრინციპები

2. ჩვენს შორის ღმრთის სიყვარული იმით განცხადდა, რომ ღმრთის მხოლოდმობილი ძე მამამ სამყაროში მოავლინა, რათა მას, ადამიანად ქმნილს, გამოსყიდვით

1 შდრ. 1კორ. 1, 13.

კაცობრიობა აღედგინა და ერთად შეეკრიბა.² სანამ ჯვრის სამსხვერპლოზე თავს უბინო მსხვერპლად შესწირავდა, მან ყველა მორწმუნეთათვის მამას ლოცვით მიმართა და თქვა: „რახათა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო, და მე შენდამი, რახათა იგიინცა ჩუენ შორის ერთ იყვნენ, რახათა სოფელსა ჰრწმენენს, რამეთუ შენ მომავლინე მე“ (იოან. 17, 21). თავის ეკლესიაში მან დაამკვიდრა ევქარისტის განსაცვიფრებელი საიდუმლო, რომელიც აღნიშავს და კიდევ განახორციელებს ეკლესიის ერთობას. თავის მოწაფეებს მან ურთიერთსიყვარულის ახალი მცნება მისცა³ და მათ ნუგეშინისმცემელ სულს შეჰპირდა,⁴ რათა იგი, უფალი და ცხოველმყოფელი, მათთან საუკუნოდ დარჩენილიყო.

ჯვარზე აღმართულმა და განდიდებულმა უფალმა იესომ აღთქმული სული მოჰფინა. მისი მეშვეობით მან მოუწოდა ახალი აღთქმის ერს, რომელიც არის ეკლესია, და ის შეკრიბა სარწმუნოების, იმედისა და სიყვარულის ერთობაში, როგორც ამას მოციქული ასწავლის: „ერთ ჯორც და ერთ სულ, ვითარცა-იგი იჩინენით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქუენისათა; ერთ არს უფალ, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლის-ღება“ (ეფეს. 4, 4-5). „რამეთუ რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ... რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოჲს მიერ“ (გალ. 3, 27-28). სული წმიდა, რომელიც მორწმუნეებში მკვიდრობს, აღავსებს და წარმართავს მთელს ეკლესიას, ახორციელებს მორწმუნეთა ამ განსაცვიფრებელ ურთიერთობას და ისე მჭიდროდ აკავშირებს ყველას ქრისტეში, რომ ის ეკლესიის პრინციპი ხდება. ის ახორციელებს მადლთა და მსახურებათა განყოფას,⁵ ის ანიჭებს იესო ქრისტეს ეკლესიას სხვადასხვა ფუნქციას, „დასამტკიცებელად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 12).

ხოლო იმისათვის, რომ საუკუნეთა აღსასრულამდე ქრისტეს წმიდა ეკლესია ყველგან დამკვიდრებულიყო, ქრისტემ თორმეტთა დასს მიანდო სწავლების, მართვისა და წმიდა-ყოფის ფუნქცია.⁶ მათ შორის მან პეტრე აირჩია. მას შემდეგ, რაც პეტრემ სარწმუნოება აღიარა, ქრისტემ განიზრახა, თავისი ეკლესია მასზე აღემართა. იგი მას ცის სასუფეველის კლიტეს შეჰპირდა⁷ და როცა პეტრემ თავისი სიყვარული დაუმტკიცა, ქრისტემ ყველა კრავის რწმენაში განმტკიცება⁸ და სრულყოფილ ერთობაში მათი მწყემსობა მას მიანდო.⁹ ხოლო თავად იესო ქრისტე საუკუნოდ რჩება თავსაკიდურ ქვად¹⁰ და ჩვენი სულების მწყემსად.¹¹

მოციქულთა და მათი მემკვიდრეების, ანუ ეპისკოპოსთა მეშვეობით, რომელთა სათავეში პეტრეს მემკვიდრე დგას, ხორციელდება სახარების ერთგული ქადაგება, საიდუმლოთა განწესება და მართვა სიყვარულში. ყოველივე ამის საფუძველზე და სული წმიდის მოქმედებით, იესო ქრისტეს მისი ერის გაზრდა სურს და იგი სრულყოფს ერის კავშირს ერთობაში (*eiusque communionem perficit in unitate*), რაც ერთი სარწმუნოების აღსარებას, საღმრთო ღმრთისმსახურების (*divini cultus*) ერთობლივ აღსრულებას და ღმრთის ოჯახის ძმურ თანხმობას გულისხმობს.

ამგვარად, ეკლესია არის ღმრთის ერთიანი სამწყსო, ვითარცა ნიშანი, ერთათვის აღმართული.¹² მთელი კაცობრიობისთვის მშვიდობის სახარების მიმნიჭებელი,¹³ იგი იმედით მსხემობს მიზნისკენ - ზეციური სამშობლოსკენ.¹⁴

2 შდრ. 1იოან. 4, 9; კოლ. 1, 18-20; იოან. 11, 52.

3 შდრ. იოან. 13, 34.

4 შდრ. იოან. 16, 7.

5 შდრ. 1კორ. 12, 4-11.

6 შდრ. მათ. 28, 18-20; შდრ. იოან. 20, 21-23.

7 შდრ. მათ. 16, 19; შდრ. მათ. 18, 18.

8 შდრ. ლუკ. 22, 32.

9 შდრ. იოან. 21, 15-17.

10 შდრ. ეფეს. 2, 20.

11 შდრ. 1პეტ. 2, 25. – CONC. VAT. I, Sess. 4 (1870), *Constitutio Pastor Aeternus*: Coll. Lac. 7, 482.

12 შდრ. ეს. 11, 10-12.

13 შდრ. ეფეს. 2, 17-18; შდრ. მარკ. 16, 15.

14 შდრ. 1პეტრე 1, 3-9.

ასეთია ეკლესიის ერთობის წმიდა საიდუმლო ქრისტეში და ქრისტეს მიერ, სული წმიდის მოქმედებით სხვადასხვა მსახურებებში განხორციელებული. ამ საიდუმლოს უზენაესი ნიშნში და სათავე არის ერთი ღმრთის - მამის, ძისა და სული წმიდის პირთა ერთობა სამებაში.

3. ღმრთის ამ ერთიან და ერთადერთ ეკლესიაში იმთავითვე გაჩნდა გარკვეული განხეთქილებანი,¹⁵ რომლებსაც მოციქული მკაცრად კიცხავს.¹⁶ მომდევნო საუკუნეებში თავი იჩინა უფრო მნიშვნელოვანმა დაპირისპირებებმა და საკრებულოთა დიდი რიცხვი გაემიჯნა კათოლიკე ეკლესიასთან სრულყოფილ კავშირს. ზოგჯერ ეს თავად ადამიანების ბრალი იყო, როგორც ერთი, ასევე მერე მხრიდან. მაგრამ განხეთქილების ცოდვას მათ ვერ მივანერთ, ვინც ასეთ საკრებულოებში ახლა გაჩნდა და ვინც ქრისტეს რწმენით არის გამსჭვალული. კათოლიკე ეკლესია მათ ძმური პატივისცემითა და სიყვარულით იღებს. ხოლო ვისაც ქრისტე სწამს და წესისამებრ ნათლობა აქვს მიღებული, ის მაინც არის გარკვეულ – თუნდაც არასრულყოფილ — ურთიერთობაში კათოლიკე ეკლესიასთან. რა თქმა უნდა, მათსა და კათოლიკე ეკლესიას შორის არსებულ სხვადასხვა დაპირისპირების გამო, რომლებიც თავს იჩენს სამოძღვრო (*in re doctrinali*) და ზოგჯერ დისციპლინათა საკითხებში, აგრეთვე ეკლესიის სტრუქტურასთან დაკავშირებით, ჩნდება სხვადასხვაგვარი წინააღმდეგობა, ზოგჯერ საკმაოდ სერიოზულიც, რომელიც ხელს უშლის სრულ საეკლესიო ურთიერთობას. სწორედ ამის გადალახვას ცდილობს ეკუმენური მოძრაობა. და მაინც, გამიჯნულებს, ნათლობის რწმენით გამართლებულნი (*iustificati ex fide in baptismati*), ქრისტეს ესისხლბორცებიან (*Christo incorporantur*).¹⁷ ამიტომ მათ სამართლიანად ეწოდება ქრისტიანები, ხოლო კათოლიკე ეკლესიის შვილები მათ უფლისმიერ ძმებად (*fratres in Domino*) მიიჩნევენ.¹⁸

ამასთანავე, ზოგიერთი იმ ელემენტებიდან თუ ღირებულებებიდან (*bonis*), (ზოგჯერ ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანიც არიან) რომელთა ერთობლიობით იგება და ცხოველიყოფა ეკლესია, შეიძლება არსებობდეს კათოლიკე ეკლესიის ხილული საზღვრების გარეთაც. ასეთებია: დაწერილი საღმრთო სიტყვა, მადლის ცხოვრება (*vita gratiae*), რწმენა, იმედი და სიყვარული, აგრეთვე სული წმიდის შინაგანი ნიჭი და ხილული ელემენტები. ყოველივე ეს, რაც ქრისტესგან გამოდის და მისკენ მიუძღვება, სამართლიანად განეკუთვნება ქრისტეს ერთადერთ ეკლესიას.

ჩვენგან გამიჯნულ ძმათა შორისაც სრულდება ქრისტიანული რელიგიის მრავალი წმიდა ქმედება. მათი მეშვეობით უდაოდ შეიძლება, ცალკეული ეკლესიისა თუ საკრებულოსთვის დამახასიათებელ გარემოებათა შესაბამისად, აღმოცენდეს მადლის ცხოვრება. უნდა ითქვას, რომ მათი მეშვეობით იხსება გზა გამოხსნის ზიარებისკენ (*in salutis communionem*).

ამიტომ, თუმცა ვფიქრობთ, რომ ამ ეკლესიებსა¹⁹ და გამიჯნულ საკრებულოებს გარკვეული ნაკლი აქვს, მათ მაინც გააჩნია მნიშვნელობა და ღირებულება გამოხსნის საიდუმლოებაში. მართლაც, ქრისტეს სული არ არის წინააღმდეგი, რომ ისინი როგორც გამოხსნის საშუალებები გამოიყენოს, რომელთა ძალა მადლისა და ჭეშმარიტების იმ სისავსიდან მომდინარეობს, რომელიც კათოლიკე ეკლესიას არის მინდობილი.

მაგრამ ჩვენგან გამიჯნულ ძმებს, როგორც ცალცალკე, ასევე მათ საკრებულოებსა და ეკლესიებს, არ გააჩნია ის ერთობა, რომლის მინიჭება იესო ქრისტეს

15 შდრ. 1კორ. 11, 18-19; გალ. 1, 6-9; 1იოან. 2, 18-19.

16 შდრ. 1კორ. 1, 11; 11, 22.

17 შდრ. CONC. FLOR., Sess. 8 (1439), *Decretum Exultate Deo*: MANSI 31, 1055 A.

18 შდრ. S. Augustinus, *In Ps. 32, Enarr. II, 29*: PL 36, 299.

19 შდრ. CONC. LATERNANENSE IV (1215, *Constitutio IVa*): MANSI 22, 990. – CONC. LUDGU-NENSE II (1274), *Professio fidei Michaelis Paleologi*: MANSI 24, 71 E. – CONC. FLOR., Sess. 6 (1439), *Definitio Laetentur caeli*: MANSI 31, 1026 E.

ყველასთვის სურდა, ვინც მან ერთიანი სხეულისა და განახლებული ცხოვრებისთვის აღადგინა და ცხოველყო, რასაც წმიდა წერილი და პატივდებული საეკლესიო ტრადიცია მოწმობს. მხოლოდ ქრისტეს კათოლიკე ეკლესიის მეშვეობით — იგი გამოხსნის საყოველთაო საშუალებაა — შეიძლება მიღწეულ იქნას გამოხსნის საშუალებათა სრული სისავსე. გვწამს, რომ მხოლოდ სამოციქულო საყდარს, რომელსაც პეტრე უძღვება, უფალმა მიანდო ახალი აღთქმის მთელი სიმდიდრე, რათა მიწაზე დამკვიდრებულები (constituendum) ქრისტეს ერთიანი სხეული, რომელშიც სრულყოფილად უნდა შევიდეს ყველა, ვინც ამა თუ იმ სახით ღმრთის ერს უკვე ეკუთვნის. მიწიერი მსხემობის განმავლობაში ეს ერი, მის ცალკეულ წევრთა სახით, ცოდვისგან დაზღვეული არ არის, მაგამ ის მაინც იზრდება ქრისტეთა. ღმერთი, თავისი საიდუმლო განზრახვის შესაბამისად, ამ ერს მიუძღვის, სანამ ის, სიხარულით აღსავსე, ზეციურ იერუსალიმში საუკუნო დიდების სრულ სისავსეს არ მიაღწევს.

4. დღეს სამყაროს ბევრ კუთხეში, სული წმიდის მადლით, ლოცვით, სიტყვითა და საქმით ბევრი რამ კეთდება ერთობის იმ სისრულის მისაღწევად, რომელიც სურს იესო ქრისტეს. ამიტომ წმიდა სინოდი მოუწოდებს ყველა კათოლიკე ერთგულს, ამოიცნონ დროის ნიშნები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ეკუმენურ საქმეში.

„ეკუმენური მოძრაობა“ გულისხმობს ქრისტიანთა ერთობისთვის განკუთვნილ და ორგანიზებულ საქმიანობებსა და ინიციატივებს, რომლებიც ხორციელდება ეკლესიის სხვადასხვა მოთხოვნილებებისა და გარემოებათა საფუძველზე. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, ყოველგვარი მცდელობა, თავიდან ავიცილოთ ისეთი გამოთქმები, განსჯანი და საქმეები, რომლებიც სამართლიანობისა და ჭეშმარიტების თვალსაზრისით არ შეესაბამება გამიჯნული ძმების მდგომარეობას და ამიტომ მათთან ურთიერთობას კიდევ უფრო ართულებს. გარდა ამისა, „ეკუმენური მოძრაობა“ გულისხმობს „დიალოგს“, რომელიც რელიგიურ ხასიათს ატარებს და, სათანადოდ განსწავლულ სპეციალისტთა მონაწილეობით, სხვადასხვა ეკლესიებისა თუ საკრებულოების წარმომადგენელთა შეკრებებზე იმართება. ამ დროს თითოეული წარმომადგენელი უფრო ღრმად განმარტავს თავისი საკრებულოს მოძღვრებასა და უფრო ნათლად წარმოადგენს მის თავისებურებებს. ასეთი დიალოგის მეშვეობით ყველა იძენს უფრო ჭეშმარიტ ცოდნას ამა თუ იმ საკრებულოს მოძღვრების შესახებ, უკეთესად ეცნობა მის ცხოვრებას და უფრო სწორად აფასებს ყოველივე ამას. ასეთი გზით ეს საკრებულოები უფრო ფართოდ თანამშრომლობენ სხვადასხვა საქმეში საერთო კეთილდღეობისათვის, რომელიც მთელი ქრისტიანულ საკრებულოს სინდისის მოთხოვნებს შეესაბამება. რამდენადაც შესაძლებელია, ერთსულოვნებას ისინი საერთო ლოცვაში აღწევენ. და ბოლოს, ყველა მოწმობს ეკლესიასთან მიმართებაში ქრისტეს ნებისადმი თავის ერთგულებას და სათანადო შემართებით შეუდგება განახლებისა და ცვლილების (reformationis) საქმეს.

კათოლიკე ეკლესიის ერთგულნი, რომლებიც მღვდელთა ზედამხედველობით ყოველივე ამას გონივრულად და მოთმინებით აკეთებენ, ხელს უწყობენ სამართლიანობისა და ჭეშმარიტების, თანხმობისა და თანამშრომლობის დამყარებას, აგრეთვე ძმობისა და ერთობის სულის გაღვივებას. ამ გზით, თანდათანობით, იმ დაბრკოლებათა გადაღავით, რომლებიც ხელს უშლის სრულყოფილი საეკლესიო საკრებულოს არსებობას, ყველა ქრისტიანი, ევქარისტიის ერთიან აღსრულებაში, შეიკრიბება ერთიანი და ერთადერთი ეკლესიის იმ ერთობაში, რომელიც ქრისტემ თავის ეკლესიას დასაბამითვე მიანიჭა. გვწამს, რომ ის განუხრელად არსებობს კათოლიკე ეკლესიაში და, იმედი გვაქვს, სულ უფრო განმტკიცდება საუკუნეთა აღსასრულამდე.

ცხადია, რომ იმ ცალკეულ პირთა მომზადებისა და შერიგების საქმე, რომელთაც სრული კათოლიკური ერთობა სურთ, თავისი ბუნებით განსხვავდება ეკუმენური ინიციატივისგან. და მაინც, მათ შორის არ არის არავითარი დაპირისპირ-

რება, რადგან ერთიცა და მეორეც ღმრთის განსაცვიფრებელი განგებულებიდან (dispositione) მომდინარეობს.

ეკუმენურ საქმიანობაში კათოლიკე ერთგულები, უდაოდ, უნდა ზრუნავდნენ თავისი გამიჯნული ძმებისთვის, ილოცონ მათთვის, ესაუბრონ მათ საეკლესიო საქმეთა შესახებ და გადადგან მათკენ პირველი ნაბიჯები. უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა გულწრფელად და დაკვირვებით გაიაზრონ ყველაფერი, რაც თავად კათოლიკურ ოჯახში უნდა განახლდეს და განხორციელდეს, რათა მისი ცხოვრება უფრო ერთგულად და ნათლად მოწმობდეს იმ მოძღვრებისა და განწესებათა (institutiisque) შესახებ, რომელიც ქრისტიემ მოციქულთა მემკვიდრებით გადმოსცა.

ღმერთმა კათოლიკე ეკლესია ჭეშმარიტებითა და მადლის ყველა საშუალებებით დააჯილდოვა, და მაინც მისი წევრები მთელი გულმოდგინებით არ ცხოვრობენ. ამის გამო ეკლესიის სახე არასაკმარისად ბრწინავს ჩვენი გამიჯნული ძმებისა და მთელი სამყაროსთვის, შენელებულია ღმრთის სასუფეველის ზრდა. ამიტომ ყველა კათოლიკე უნდა მიისწრაფოდეს ქრისტიანული სისრულისაკენ.²⁰ საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში ყოველი მათგანი უნდა ეცადოს, რომ ეკლესია, რომელიც საკუთარ თავში იესოს დამდაბლებას და სიკვდილს ატარებს,²¹ თანდათანობით განიწმინდოს და განახლდეს, სანამ ქრისტიე მას არ წარუდგენს როგორც დიდებულს, უმნიკვლოსა და უბინოს.²²

აუცილებელ საკითხებში ერთობის დაცვასთან ერთად, თითოეულმა, იმ ფუნქციის შესაბამისად, რომელიც მას აკისრია, უნდა შეინარჩუნოს თავისუფლება სულიერი ცხოვრებისა და დისციპლინის სხვადასხვა ფორმაში, ლიტურგიულ წესთა მრავალგვარობასა და თვით გამოცხადებული ჭეშმარიტების თეოლოგიურ დამუშავებაშიც კი: მათ ყველაფერში სიყვარული უნდა თესონ. ასეთი ქმედებით ისინი სულ უფრო სრულად გამოხატავენ ეკლესიის კათოლიკობას და, ამასთანავე მის სამოციქულოობას.

მეორეს მხრივ, აუცილებელია, რომ კათოლიკეებმა სიხარულით აღიარონ და დააფასონ ჭეშმარიტად ქრისტიანული ღირებულებები, საერთო მემკვიდრეობის ნაყოფი, რომელიც ჩვენგან გამიჯნულ ძმებთან მოიპოვება. სამართლიანია და ხსნის მომტანია ქრისტეს სიმდიდრეებისა და ძალთა მოქმედების აღიარება სხვათა ცხოვრებაში, ვინც ქრისტეს მოწმობს, ზოგჯერ საკუთარი სისხლის ფასადაც: ღმერთი მუდამ განსაცვიფრებელია და აღტაცების ღირსია თავის საქმეებში.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის, რაც სული წმიდის მადლით ჩვენგან გამიჯნულ ძმებში სრულდება, შეიძლება ჩვენი განათლებისთვისაც იყოს სასარგებლო. ჭეშმარიტად ქრისტიანული არასდროს უპირისპირდება რწმენის ნამდვილ ღირებულებებს, არამედ ყოველთვის შეიძლება ხელს უწყობდეს ქრისტესა და ეკლესიის საიდუმლოების უფრო სრულად მიღწევას.

და მაინც, განსხვავებები ქრისტიანთა შორის ხელს უშლის ეკლესიას, განახორციელოს მისთვის დამახასიათებელი კათოლიკობის სისრულე თავის შვილებში, რომლებიც მას ნათლობით ეკუთვნიან, მაგრამ მასთან სრული ურთიერთობისგან გამიჯნულნი არიან. მეტიც: თავად ეკლესიისთვისაც სულ უფრო ძნელი ხდება კათოლიკობის სისრულის გამოხატვა ყველა ასპექტით, თავად ცხოვრების სინამდვილეში.

მოცემული წმიდა სინოდი სიხარულით ადასტურებს, რომ დღითი დღე იზრდება ერთგულ კათოლიკეთა მონაწილეობა ეკუმენურ საქმიანობაში. იგი მთელი მსოფლიოს ეპისკოპოსებს აკისრებს ამ საქმიანობის გულმოდგინე ხელშეწყობასა და მის გონივრულ წარმართვას.

20 შდრ. იაკ. 1, 4; რომ. 12, 1-2.

21 შდრ. 2კორ. 4, 10; ფილ. 2, 5-8.

22 შდრ. ეფეს. 5, 27.

თავი II
ეკუმენიზმის განხორციელება

5. ერთობის აღდგენისთვის ზრუნვა მთელს ეკლესიას ეკისრება, როგორც ერთგულებს, ასევე მღვდლებს, თითოეულს – საკუთარი შესაძლებლობის მიხედვით, როგორც ყოველდღიურ ქრისტიანულ ცხოვრებაში, ასევე თეოლოგიურ და ისტორიულ ძიებებში. ეს ზრუნვა უკვე გარკვეული სახით გამოხატავს ყველა ქრისტიანს შორის კავშირის არსებობას და, ღმრთის ნებით, საყოველთაო და სრული ერთობისაკენ გვიძღვება.

6. ეკლესიის ყოველგვარი განახლება²³ არსებითად მისი მონოდებისადმი მზარდ ერთგულებას ნიშნავს. უდავოა, რომ ერთობისკენ მიმართული მოძრაობა ამ განახლებაში იღებს დასაბამს. ეკლესიას, მისი მსხემობის გზაზე, ქრისტე მუდმივი გარდაქმნისაკენ (reformationem) მოუწოდებს. ეკლესია ამას განუწყვეტილვ საჭიროებს, რადგან ის ადამიანური და მიწიერი ინსტიტუტია. ხდება ხოლმე, რომ გარკვეულ ვითარებაში რომელიღაც საკითხი, იქნება ეს ზნეობის სფერო, საეკლესიო დისციპლინა თუ მოძღვრების უწყების ფორმა – რაც მკაფიოდ უნდა განვასხვავოთ თავად სარწმუნოების საუნჯისაგან — არასაკმარისი გულისყურით განიხება; ასეთი შეცდომები ხელსაყრელ დროს, სწორედ და სათანადოდ უნდა გასწორდეს.

მაშასადამე, ამ განახლებას ეკუმენური მნიშვნელობა აქვს. განახლება ეკლესიის ცხოვრების სხვადასხვა ფორმების მეშვეობით სრულდება. ეს არის ბიბლიური და ლიტურგიული მოძრაობა, საღმრთო სიტყვის ქადაგება და კატეხიზაცია, საერთო მოციქულობა, რელიგიური ცხოვრების ახალი ფორმები, ქორწინების სულიერი ხასიათი, ეკლესიის მოძღვრება და მოღვაწეობა საზოგადოებრივ საქმეში. ყოველივე ეს უნდა მივიჩნიოთ იმ საწინდარად და ნიშნად, რომლებიც მომავალში ეკუმენიზმის განვითარებას მოასწავებს.

7. შინაგანი მოქცევის გარეშე ნამდვილი ეკუმენიზმი არ არსებობს. ერთობის სურვილი ხომ გონების განახლებიდან,²⁴ საკუთარი თავის უარყოფიდან და სიყვარულის თავისუფალი გამოვლენიდან მომდინარეობს და იძენს სიმნიფეს. ამიტომ სული წმიდას უნდა შევთხოვოთ მაღლი გულრწფელი უარყოფისა, სიმდაბლისა და სიმშვიდისა მსახურებაში, აგრეთვე სხვათა მიმართ ძმური სულგრძელებისა. “გლოცავ თქვენ მე“, ამბობს ხალხთა მოციქული, „კრული ესე უფლის მიერ, რაჟთა ღირსად ხვდოდით ჩინებითა მით, რომლითა იჩინენით, ყოვლითა სიმდაბლითა და სიმშვიდითა და სულგრძელებითა, თავს-იდებდით ურთიერთას სიყვარულითა, ისწრაფდით დამარხვად ერთობასა მას სულისასა საკრველითა მით მშკდობისაჟთა“ (ეფეს. 4, 1-3). ეს დარიგება ეხება, უპირველეს ყოვლისა მათ, ვინც წმიდა ხარისხში არის აღყვანილი ქრისტეს მისიის გასაგრძელებლად, რომელიც ჩვენს შორის „არა მოვიდა, რაჟთამცა იმსახურა, არამედ მსახურებად“ (მათ. 20, 28).

ერთობასთან მიმართებაში შეცდომათა შესახებ საყურადღებოა წმ. იოანეს მონაზონის: „უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ არა ვცოდეთ, მტყუვრად გამოვჩინებთ მას და სიტყუაჲ მისი არა არს ჩუენ შორის“ (1იოან. 1, 10). მორჩილი ლოცვით პატიებას ვითხოვთ ღმრთისა და გამიჯნული ძმებისგან, როგორც თავად მივუტყევებთ ჩვენს მოვალეთ.

დაე, ყველა ქრისტეს ერთგულს ახსოვდეს, რომ ისინი მით უფრო მეტად შეუწყობენ ხელს ქრისტიანთა ერთობას – მეტიც: განახორციელებან მას, — რაც უფრო მეტად შეეცდებიან, იცხოვრონ წმინდა სახარებისეული ცხოვრებით. რაც უფრო მჭიდროდ იქნება მათი კავშირი მამასთან, სიტყვასა და სული წმიდასთან, მით უფრო ღრმა და ადვილი გახდება ურთიერთძმობა.

23 შდრ. CONC. LATERNANENSE V, Sess. 12 (1517), Constitutio *Constituti*: MANSI 32, 988 B-C.

24 შდრ. ეფეს. 4, 23.

8. ეს სულიერი მოქცევა (*haec cordis conversio*) და ცხოვრების სინშიდე, ქრისტიანთა ერთობისათვის კერძო და საჯარო ლოცვებთან ერთად, მთელი ეკუმენური მოძრაობის სულად უნდა მივიჩნიოთ და მას სავსებით კანონზომიერად შეიძლება სულიერი ეკუმენიზმი ვუწოდოთ.

კათოლიკეთა საზეიმო ჩვეულებაა, ხშირად შეიკრიბონ ეკლესიის ერთობისათვის იმ ლოცვის გამო, რომლითაც გარდაცვალების წინა დღეს თავად მაცხოვარი მხურვალედ ევედრა მამას: „რაფთა ყოველნი ერთ იყვნენ“ (იოან. 17, 21).

გარკვეულ ვითარებაში, როგორც არის ლოცვები „ერთობისათვის“, აგრეთვე ეკუმენურ შეკრებებზე (*conventibus*), დასაშვებია და სასურველიც, რომ კათოლიკეები თავის გამიჯნულ ძმებთან ლოცვისას ურთიერთობდნენ. ასეთი ერთობლივი ლოცვები უდაოდ ძალზე ეფექტური საშუალებაა ერთობის მადლისთვის სავედრებლად და ჭეშმარიტი ერთობის ნიშანიც არის, რომელიც კათოლიკეებს გამიჯნულ ძმებთან დღემდე აკავშირებს: „რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათ. 18, 20).

ამასთანავე, საიდუმლოთა გზით ურთიერთობა (*communicatio in sacris*) არ უნდა მივიჩნიოთ ისეთ საშუალებად, რომელიც განურჩევლად შეიძლება იქნას გამოყენებული ქრისტიანული ერთობის აღსადგენად. ამ ურთიერთობას, უპირველეს ყოვლისა, ორი პრინციპი განსაზღვრავს: ეკლესიის ერთობის აღნიშვნა და მადლის საშუალებებში მონაწილეობა. ერთობის აღნიშვნა ძირითადად ხელს უშლის ურთიერთობას, ხოლო მადლის მოსაპოვებლად ის ზოგჯერ საჭიროა. რაც შეეხება ქმედების კონკრეტულ ფორმას, მის შესახებ გონივრულად უნდა განსაჯოს ადგილობრივმა საეპისკოპოსო ხელისუფლებამ, თუკი ეპისკოპოსთა კონფერენციამ, საკუთარი ნორმების შესაბამისად, სხვაგვარი დადგენილება არ მიიღო, ან წმიდა საყდარმა სხვაგვარად არ გადაწყვიტა.

9. გამიჯნულ ძმათა სულიერი განწყობის ცოდნა არის საჭირო. ამისათვის აუცილებელია სწავლა, რომელიც ჭეშმარიტების შესაბამისად და კეთილგანწყობით უნდა წარიმართოს. სათანადოდ მომზადებული კათოლიკეები უფრო ღრმად უნდა ჩასწვდნენ ძმების მოძღვრებასა და ისტორიას, სულიერ ცხოვრებასა და ღმრთისმსახურებას, რელიგიურ ფსიქოლოგიასა და კულტურას. ამის მიღწევას დიდად უწყობს ხელს შერეული შეკრებები. იქ, უპირველეს ყოვლისა, თეოლოგიური საკითხები განიხილება, სადაც ყველას თანაბრად აქვს სიტყვის უფლება, თუკი მონაწილენი, წინამძღვართა მეთვალყურეობის პირობებში, ნამდვილად კომპეტეტურნი არიან. ასეთი დიალოგი უფრო ნათლად ცხადყოფს, თუ როგორია კათოლიკე ეკლესიის ჭეშმარიტი მდგომარეობა. ამ გზით უკეთესად შევძლებთ, ერთის მხრივ, გამიჯნული ძმების სულისკვეთების შეცნობას, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენს სარწმუნოებას მათ უფრო ადექვატურად წარმოვუდგენთ.

10. წმიდა ღმრთისმეტყველების დარიგებანი და სხვა დისციპლინები, განსაკუთრებით ისტორიული საგნები, ეკუმენური ასპექტითაც უნდა ისწავლებოდეს, რათა მათ რეალურ ვითარებას უკეთესად უპასუხონ.

მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომავალი მღვდლები და მღვდელმსახურნი ზუსტად ჩამოყალიბებულ თეოლოგიას დაეუფლონ, და არა ისეთს, რომელიც საკამათო მდგომარეობაშია, განსაკუთრებით როცა საკითხი ეხება კათოლიკე ეკლესიასთან გამიჯნული ძმების ურთიერთობას.

სწორედ მღვდელთა მომზადებაზე არის დამოკიდებული ერთგულთა და მოწესესთა აუცილებელი განათლება და სულიერი აღზრდა.

კათოლიკენი, რომლებიც მისიონერულ საქმიანობას იმ ქვეყნებში ეწევიან, სადაც სხვა ქრისტიანებიც არიან, უნდა გაეცნონ (ეს დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) იმ საკითხებსა და შედეგებს, რომლებსაც ეკუმენიზმი მათი მოციქულობის წინაშე აყენებს.

11. კათოლიკური სარწმუნოების გამოხატვის ფორმა და ხასიათი არ უნდა აბრკოლებდეს ძმებთან დიალოგს. მთელი მოძღვრება ცხადად უნდა იქნას გადმოცემული. არაფერი ისე უცხო არ არის ეკუმენიზმისთვის, როგორც ის ცრუ ირენიზმი, რომელიც კათოლიკური მოძღვრების სინმიდეს ზიანს აყენებს და მის ჭეშმარიტ და ზუსტ შინაარსს ჩრდილავს.

კათოლიკური სარწმუნოება უფრო ღრმად და სწორად უნდა განიმარტოს, ისეთი ფორმითა და ენით, რომელიც გამიჯნული ძმებისთვისაც იქნება გასაგები.

ამასთანავე, ეკუმენურ დიალოგში, ეკლესიის მოძღვრების ერთგულმა კათოლიკე თეოლოგებმა, გამიჯნულ ძმებთან ერთად საღმრთო საიდუმლობათა კვლევისას უნდა იმოქმედონ ჭეშმარიტების სიყვარულით, კეთილგანწყობითა და სიმდაბლით. მოძღვრებათა შეჯერებისას მათ უნდა ახსოვდეთ, რომ არსებობს კათოლიკური მოძღვრების ჭეშმარიტებათა რიგი ანუ „იერარქია“, რადგან სხვადასხვა არის მათი კავშირი ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველთან. ასე იქნება გაკვალული გზა, რომელიც ამ ძმური შეჯიბრის მეშვეობით ყველას მიიყვანს ქრისტეს გამოუკვლეველ სიმდიდრეთა უფრო ღრმა ცოდნისა და ნათელი გამოვლენისკენ.²⁵

12. დაე, ყველა ხალხთა წინაშე ყველა ქრისტიანმა აღიაროს რწმენა ღმრთისა, ერთისა და სამის, განხორციელებული ძისა, ჩვენი გამომსყიდველისა და ჩვენი უფლისა, და ერთობლივი მცდელობით, ურთიერთპატივისცემით, დაამონმოს ჩვენი იმედი, რომელიც არ წარიშლება. დღეს, როცა ჩამოყალიბდა ძალიან ფართო თანამშრომლობა საზოგადოებრივ საქმეებში, უკლებლივ ყველა ადამიანი მონო-დებულება საერთო საქმისთვის, უპირველეს ყოვლისა ისინი, ვისაც ღმერთი სწამს, და განსაკუთრებით ისინი, ვინც ქრისტიანებად იწოდებიან. ყველა ქრისტიანის თანამშრომლობა ცოცხლად გამოხატავს იმ კავშირს, რომელიც მათ უკვე აერთიანებს ერთმანეთთან, და უფრო ნათლად წარმოაჩენს ქრისტეს, როგორც მსახურის სახეს. ეს თანამშრომლობა უკვე მრავალ ქვეყანაშია ჩამოყალიბებული. ის სულ უფრო სრულყოფილი უნდა გახდეს, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც სოციალური თუ ტექნიკური ევოლუცია მიმდინარეობს. თანამშრომლობა უნდა მოიცავდეს ადამიანის პიროვნების სწორად შეფასების სფეროს, მშვიდობისათვის ხელშეწყობას, სოციალური სფეროსადმი სახარების მისადაგებას, ქრისტიანული სულისკვეთებით მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას, დახმარების სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებას თანამედროვე უბედურებათა სფეროში, როგორცაა სრის შიმშილი და უბედურება, წერა-კითხვის უცოდინარობა და სიღატაკე, საცხოვრებლის ნაკლებობა და სიმდიდრეთა არათანასწორი განაწილება. ამ თანამშრომლობის მეშვეობით ყველა, ვისაც ქრისტე სწამს, ადვილად შეძლებს ისწავლოს, სხვებს უკეთესად როგორ გაუგოს, მეტად როგორ დააფასოს და როგორ გაიკვალოს გზა ქრისტიანთა ერთობისკენ.

თავი III

რომის სამოციქულო საყდრისაგან გამიჯნული ეკლესიები და საკრებულოები

13. ახლა განვიხილავთ გამიჯნვის ორ ძირითადად კატეგორიას, რომლებმაც ზემოქმედება მოახდინეს შეუკერავ ქიტონზე.

პირველად მათ აღმოსავლეთში იჩინეს თავი, ეფესოსა და ქალკედონის კრებათა დოგმატურ განსაზღვრებათა დადგენისას (contestatione), ან, მოგვიანებით, აღმოსავლეთის საპატრიარქოებსა და რომაულ საყდარს შორის საეკლესიო ურთიერთობის რღვევისას.

სხვები დასავლეთში გაჩნდა ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, იმ მოვლენათა შემდგომ, რომლებიც ჩვეულებრივ რეფორმაციის სახელს ატარებს. ამის შედეგად

²⁵ შდრ. ეფეს. 3, 8.

რომაულ საყდარს მრავალი საკრებულო გაემიჯნა, როგორც ეროვნული, ასევე კონფესიური. ზოგიერთ მათგანში ნაწილობრივ შენარჩუნებულია კათოლიკური ტრადიციები და სტრუქტურები. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ანგლიკანურ საკრებულოს უკავია.

ეს სხვადასხვა განყოფანი ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება, არა მარტო წარმომავლობის, ადგილისა და დროის საფუძველზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ბუნებითა და იმ საკითხთა მნიშვნელობით, რომლებიც საეკლესიო სარწმუნოებასა და სტრუქტურას შეეხება.

მოცემული წმიდა კრება, ერთის მხრივ, არ უგულვებლყოფს ვითარებათა სხვადასხვაობას, რომლებშიც სხვადასხვა ჯგუფი იმყოფება, და არც იმ კავშირებს ივინყებს, რომლებიც, განყოფის მიუხედავად, მათ შორის კვლავაც არსებობს. გონივრული ეკუმენური ქმედების განხორციელებისთვის კრებას მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოადგინოს ქვემოთ მოტანილი განაზრებები.

1. აღმოსავლეთის ეკლესიათა საგანგებო განხილვა

14. უკვე რამდენიმე საუკუნეა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიები თავ-თავიანთ გზას მიჰყვებოდნენ, გაერთიანებულნი სარწმუნოების ძმური ერთობითა და საკრამენტალური ცხოვრებით. საერთო თანხმობით, რომის საყდარი არის წარმმართველი ძალა, როდესაც ეკლესიათა შორის წარმოიქმნება უთანხმოებანი სარწმუნოებასა თუ დისციპლინასთან დაკავშირებით. წმიდა სინოდი მოხარულია ყველას მოაგონოს, რომ სხვა მნიშვნელოვან ფაქტებთან ერთად, აღმოსავლეთში არსებობს მრავალი ცალკეული ანუ ადგილობრივი ეკლესია, რომელთა შორის პირველი ადგილი საპატრიარქო ეკლესიებს უკავია; მრავალი მათგანი ამაცობს იმით, რომ დასაბამს თავად მოციქულთაგან იღებს. ამიტომ აღმოსავლეთის ეკლესიების ახასიათებს ზრუნვისა და ძალისხმევის მიმართვა სარწმუნოებასა და სიყვარულში იმ ძმური კავშირების შენარჩუნებისაკენ, რომლებიც უნდა არსებობდეს ადგილობრივ ეკლესიებს, ვითარცა დებს შორს.

არც ის უნდა დაგვაკინწყდეს, რომ აღმოსავლეთის ეკლესიებს იმთავითვე გააჩნია საგანძური, რომლიდანაც დასავლეთის ეკლესიამ ბევრი რამ გადმოიღო ლიტურგიის, სულიერი ტრადიციისა და სამართლებრივ სფეროში. არც ის ფაქტი უნდა უგულვებლყოფთ, რომ ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი დოგმატები სამებისა და ქალწული მარიამისგან განხორციელებული ღმრთის სიტყვის შესახებ აღმოსავლეთში შემდგარ მსოფლიო კრებებზე განისაზღვრა. ამ სარწმუნოების შენახვისათვის ხსენებულმა ეკლესიებმა ბევრი რამ დაითმინეს და ახლაც ითმენენ.

მოციქულთა მემკვიდრეობა სხვადასხვა ფორმითა და სახით იქნა მიღებული. ეკლესიის დასაბამითგანვე ის სხვადასხვაგვარად განიმარტებოდა სხვადასხვა ადგილას, ნიჭისა და ცხოვრების გარემოებათა თავისებურებათა მიხედვით. ყოველივე ეს, გარდა გარეშე მიზეზებისა, აგრეთვე ურთიერთგაგებისა და სიყვარულის ნაკლებობისა, გამიჯნვათა საბაბი ხდებოდა.

ამიტომ წმიდა კრება მოუწოდებს ყველას, - განსაკუთრებით კი მათ, ვისაც განზრახულია აქვს, იღვანოს აღმოსავლურ ეკლესიებსა და კათოლიკე ეკლესიას შორის სასურველი სრული კავშირის დასამყარებლად, — სათანადოდ გაითვალისწინონ აღმოსავლეთის ეკლესიების გაჩენისა და ზრდის განსაკუთრებული პირობები და იმ ურთიერთობათა თავისებურება, რომელიც მათსა და რომის საყდარს შორის გამიჯნვამდე არსებობდა, და ყოველივე ამის შესახებ შესაბამისი შეხედულება შეიმუშავონ, რაც ძალიან სასარგებლო იქნება სასურველი დიალოგისთვის.

15. ყველამ იცის, როგორი სიყვარულით ასრულებენ აღმოსავლეთის ქრისტიანები წმიდა ლიტურგიას, უპირველეს ყოვლისა, ევქარისტიას, ეკლესიის ცხოვრების წყაროსა და მომავალი დიდების საწინდარს, რომლითაც ერთგულები, ეპისკოპოსთან ერთიანნი, მამას მიეახლებიან ძის – განხორციელებული სიტყვის მეშვეობით,

რომელმაც ივნო და განდიდებულ იქნა, და, სული წმიდის გამოდინებაში, შედიან ურთიერთობაში უწმიდეს სამებასთან, „საღმრთოჲსა მის ზიარ ბუნებისა“ (I პეტრე 1, 4) ქმნილი. ამიტომ ღმრთის ეკლესია შენდება და იზრდება თითოეულ მის ეკლესიაში უფლის ექვარისტიის აღსრულებით,²⁶ ხოლო ერთობლივი აღსრულება მათ ერთობას გამოავლენს.

ლიტურგიულ ღმრთისმსახურებაში აღმოსავლეთის ქრისტიანები უმშვენიერესი ჰიმნებით განადიდებენ მარიამს, მარად ქალწულს, რომელიც ეფესოს მსოფლიო კრებამ საზეიმოდ გამოაცხადა უწმიდეს ღმრთისმშობლად, რათა ქრისტე, წმიდა წერილის შესაბამისად, ჭეშმარიტად და ნამვილად ეცნოთ ძედ ღმრთისად და ძედ კაცისად. ისინი მრავალ წმიდანსაც განადიდებენ, მათ შორის მსოფლიო ეკლესიის მამებს.

ეს ეკლესიები, მათი გამიჯნულობის მიუხედავად, ფლობენ ჭეშმარიტ საიდუმლოებს, განსაკუთრებით – სამოციქულო მემკვიდრეობის საფუძველზე — მღვდლობას და ექვარისტიას, რის გამოც მათ დღემდე უმჭიდროესი კავშირი აქვთ ჩვენთან. ამიტომ სინმიდებში ურთიერთობა შესაფერის ვითარებასა და საეკლესიო ხელისუფლების თანხმობით არა მარტო შესაძლებელია, არამედ სასურველიც.

აღმოსავლეთში სულიერ ტრადიციათა სიმდიდრე მოიპოვება, რომლებსაც, უპირველეს ყოვლისა, მონაზვნობა გამოხატავს. იქ ხომ ბრწყინვალე წმიდა მამათა დროიდან ის მონასტრული (monastica) სულიერობა განვითარდა, რომელიც შემდეგ დასავლეთშიც გავრცელდა და ლათინური სამონესეო დადგენილებების (religiosum latinorum institutum) წყაროდ იქცა, ხოლო შემდგომში მას გამუდმებით ახალ შინაარსს ანიჭებდა. ამიტომ დაბეჯითებით რეკომენდირებულია, რომ კათოლიკეებმა უფრო ხშირად მიმართონ აღმოსავლეთის მამათა ამ სულიერ სიმდიდრეებს, რომლებიც მთლიანად აღამაღლებს ადამიანს საღმრთო [საიდუმლოთა] ჭვრეტისკენ.

დაე, ყველამ იცოდეს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის უმდიდრესი ლიტურგიული და სულიერი მემკვიდრეობის ცოდნას, თაყვანისცემას, შენახვასა და განვითარებას, იმისათვის, რათა ერთგულად იქნას დაცული ქრისტიანული ტრადიციის სისავსე და მოხდეს შერიგება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანთა შორის.

16. აღმოსავლეთის ეკლესიები იმთავითვე მისდევდნენ საკუთარ წესებს (disciplinas), რომლებიც დაშვებული იყო წმიდა მამებისა და სინოდების მიერ, მსოფლიო კრების მიერაც კი. ზემოთ უკვე იქთვა, რომ ეკლესიის ერთობას სრულიად არ უშლის ხელს წეს-ჩვეულებათა სხვადასხვაობა, პირიქით, ის უფრო მშვენიერს ხდის ეკლესიას და დიდად უწყობს ხელს მისი მისიის განხორციელებას. ამიტომ, ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, წმიდა სინოდი აცხადებს, რომ აღმოსავლეთის ეკლესიებს, რომელთაც ახსოვდთ მთელი ეკლესიის ერთობის აუცილებლობა, შეუძლიათ საკუთარი წესებით (disciplinas), იხელმძღვანელონ, რადგან ეს წესები უფრო შეეფერება მათ ერთგულთა ხასიათს და უფრო მიზანშეწონილია სულთა კეთილდღეობისათვის. ამ ტრადიციული პრინციპის სრულყოფილად შენარჩუნება (სხვათაშორის, ის ყოველთვის არ ყოფილა დაცული), არის ერთგვარი წინაპირობა, რომელიც სრულიად აუცილებელია ერთობის აღდგენისათვის.

17. რაც ზემოთ ითქვა კანონიკური განსხვავებების შესახებ, იგივე უნდა ითქვას მოძღვრებათა სხვადასხვაგვარ გადმოცემასთან დაკავშირებით. საქმე ის არის, რომ გამოცხადებული ჭეშმარიტების კვლევისას აღმოსავლეთში და დასავლეთში მიმართავდნენ სხვადასხვაგვარ მეთოდებსა და საშუალებებს საღმრთო [ჭეშმარიტების] შესაცნობად და გამოსახატავად. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ გამოცხადებული საიდუმლოების ზოგიერთი ასპექტი ვინმემ უკეთესად გაიგო და უფრო ნათლად წარმოაჩინა, ვიდრე სხვამ. ხშირად ეს განსხვავებული თეოლოგიური ფორმულები უფრო მეტად ავსებს, ვიდრე უპირისპირდება, ერთმანეთს. რაც შეეხება აღმოსავ-

26 შდრ. S. Io. CHRYSOSTOMUS; In Io. homilia 46: PG 59, 260-262.

ლეთის აუთენტურ საღმრთისმეტყველო ტრადიციებს, უნდა ვაღიაროთ, რომ მათ ბრწინვალედ აქვს ფესვები გამდგარი წმიდა წერილში. ისინი ვითარდება და გამოიხატება ლიტურგიულ ცხოვრებაში, იკვებება ცოცხალი სამოციქულო ტრადიციითა და აღმოსავლეთის მამებისა და სასულიერო მწერლების თზულებებით. ისინი ცხოვრების სწორი წყობისა და ქრისტიანული ქვეყნარტების სრულად ჭვრეტისკენ არის მიმართული.

კრება მადლობას უძღვნის ღმერთს იმისათვის, რომ კათოლიკე ეკლესიის ბევრი აღმოსავლური შვილი, ამ მემკვიდრეობის დამცველნი და უფრო წმინდა და სრულყოფილი ცხოვრობით მისი შენახვის მსურველი, უკვე სრულ კავშირშია (*in plena communione*) დასავლური ტრადიციით მცხოვრებ ძმებთან. ამასთან დაკავშირებით კრება აცხადებს, რომ მთელი სულიერი, ლიტურგიული, დისციპლინარული და საღმრთისმეტყველო მემკვიდრეობა, სხვადასხვა ტრადიციაში გამოხატული, ეკლესიის სრული კათოლიკურობისა და სამოციქულოობის კუთვნილებაა.

18. ყოველივე ამის კარგად განხილვის შედეგად წმიდა კრება ხელახლა აცხადებს იმას, რაც წინამავალმა წმიდა კრებებმა და რომის პონტიფექსებმა დაადგინეს: კავშირისა და ერთობის აღსადგენად და შესანარჩუნებლად საჭიროა, „რათა არარაი უმეტესი ტვრთი დავდვათ თქვენ ზედა, გარნა რომელნი-ესე სასწრაფო არიან“ (საქმე 15, 28). მას მსურვალედ სურს, რომ ამ მიზნის თანდათანობით მისაღწევად მიმართული იყოს ყველა მცდელობა, განხორციელებული საეკლესიო ცხოვრების სხვადასხვა ინსტიტუტებსა და ფორმებში, უპირველეს ყოვლისა, ლოცვასა და ძმურ დიალოგში, რომელიც ეხება მოძღვრებასა და ჩვენს დროში მღვდელმსახურების ყველაზე უფრო გადაუდებელ ამოცანებს. ამასთანავე, კრება აკისრებს მღვდლებსა და კათოლიკე ეკლესიის ერთგულებს, კავშირი დაამყარონ მათთან, ვინც აღმოსავლეთში კი აღარ ცხოვრობს, არამედ შორს არის სამშობლოსაგან, რათა გაძლიერდეს მათთან ძმური თანამშრომლობა, სიყვარულის სულით გამსჭვალული და ყოველგვარი შეჯიბრისაგან თავისუფალი. წმიდა სინოდს იმედი აქვს, რომ თუ ამ საქმეს მთელი სულითა და გულით შევეუდგებით, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიის გამმიჯნავი საზღვრის მოხსნასთან ერთად იქნება ერთადერთი სამკვიდრებელი, განმტკიცებელი თავსაკიდურ ქვაზე, იესო ქრისტეზე, რომელიც ორივედან ერთს შექმნის.²⁷

III. გამიჯნული ეკლესიები და საკრებულოები დასავლეთში

19. ეკლესიებსა და საეკლესიო საკრებულოებს, რომლებიც გამოეყო რომის სამოციქულო საყდარს ან უმძიმესი კრიზისის ხანაში (ის დასავლეთში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დაიწყო), ან უფრო მოგვიანებით, კათოლიკე ეკლესიასთან განსაკუთრებული სიახლოვე და ურთიერთობა აკავშირებს, იმ ხანგრძლივი თანაცხოვრების საფუძველზე, რომელიც ქრისტიანმა ხალხმა წინა საუკუნეებში საეკლესიო ურთიერთობაში (*communione*) განვლო.

სხვადასხვა წარმომავლობის, მოძღვრებისა და სულიერი ცხოვრების გამო ეს ეკლესიები და საკრებულოები არა მარტო ჩვენგან, არამედ ერთმანეთისგანაც განსხვავდება. ამიტომ მათი ზუსტი აღწერა ურთულესი საკითხია, რომელსაც აქ არ შევხებით.

ეკუმენური მოძრაობა და კათოლიკე ეკლესიასთან მშვიდობის სურვილი ჯერ ყველგან არ განმტკიცებულა. მიუხედავად ამისა, იმედი გვაქვს, რომ თანდათანობით ყველაში გაღვივდება ეკუმენური გრძნობა და ურთიერთპატივისცემა.

ამასთანავე უნდა ვაღიაროთ, რომ, ერთის მხრივ, ამ ეკლესიებსა და საკრებულოებს, ხოლო მეორეს მხრივ კათოლიკე ეკლესიას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს, არა მარტო ისტორიული, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და

27 შტრ. CONC. FLOR., Sess. 6 (1439), *Definitio Laetentur caeli*: MANSI 31, 1026 E.

კულტურული თავისებურებების გამო, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გამოცხადებული ჭეშმარიტების განმარტების სფეროში. ამ განსხვავებათა მიუხედავად, ეკუმენური დიალოგის დამყარება უფრო ადვილი რომ გახდეს, გვსურს, შემდგომში ზოგიერთ საკითხს შევხვით, რომლებიც შეიძლება ამ დიალოგის საფუძველად და მის ამოსავალ წერტილად იქცეს.

20. ჩვენი ფიქრი, უპირველეს ყოვლისა, იმ ქრისტიანებისკენ არის მიმართული, ვინც ღიად სცნობს, რომ იესო ქრისტე არის ღმერთი, უფალი და ერთადერთი შუამავალი ღმერთსა და ადამიანებს შორის, სადიდებლად ერთი ღმრთისა, მამისა, ძისა და სული წმიდისა. ვიცით, რა თქმა უნდა, რომ არსებობს საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებები კათოლიკე ეკლესიის მოძღვრებისაგან, რომელიც ეხება ქრისტეს – ღმრთის განხორციელებულ სიტყვასა და გამოსყიდვის საქმეს, ეკლესიის საიდუმლოებასა და მსახურებას, აგრეთვე მარიამის როლს გამოსხნის საქმეში. და მაინც გვიხარია, რომ გამიჯნული ძმები ქრისტეს მიმართავენ როგორც საეკლესიო ურთიერთობის წყაროსა და ცენტრს. ქრისტესთან ერთობის სურვილით აღძრულნი, ისინი სულ უფრო ეძიებენ ერთობას და ცდილობენ, ყველგან ერთა შორის დაამონ-მონ საკუთარი სარწმუნოება.

21. წმიდა წერილის სიყვარულსა და თავყვანისცემას, ლამის მის კულტს, ჩვენი ძმები მიჰყავს წმიდა ტექსტის მუდმივ და გულმოდგინე შესწავლასთან, „რამეთუ ძალი ღმრთისაჲ არს მაცხოვრად ყოვლისა მორწმუნისა, ჰურიისა პირველად და მერმე წარმართისა“ (რომ. 1, 16).

ისინი სული წმიდას უხმობენ და თავად წმიდა წერილში ღმერთს ეძიებენ. ღმერთი მათ ქრისტეში ესაუბრება, რომელიც წინასწარმეტყველებმა წინასწარ გვაუწყეს. ის არის სიტყვა ღმრთისა, ჩვენს გამო განხორციელებული. წმიდა წერილში ისინი ჭვრეტენ ქრისტეს ცხოვრებასა და იმას, რაც საღმრთო მოძღვარმა ადამიანთა გამოსახსნელად ასწავლა და გააკეთა, უპირველეს ყოვლისა კი მისი სიკვდილისა და აღდგომის საიდუმლოებებს.

ჩვენგან გამიჯნული ქრისტიანები ადასტურებენ საღმრთო წიგნების ავტორიტეტს, თუმცა ისინი ჩვენგან განსხვავებულად (მათ შორისაც არის აზრთა სხვადასხვაობა) აღიქვამენ მიმართებას წმიდა წერილსა და ეკლესიას შორის. ამ უკანასკნელში, კათოლიკური სარწმუნოების თანახმად, საგანგებო ადგილი უკავია ჭეშმარიტ მოძღვრებას, რათა მოხდეს დაწერილი საღმრთო სიტყვის განმარტება და ქადაგება.

მიუხედავად ამისა, წმიდა საუბრები (Eloquia) თავად დიალოგში არის შესანიშნავი იარაღი, ღმრთის ძლიერ ხელში იმ ერთობის მისაღწევად განკუთვნილი, რომლსაც მაცხოვარი ყველა ადამიანს სთავაზობს.VV

22. ყოველთვის, როცა ნათლობის საიდუმლო, უფლის განწესების თანახმად, ნესისამებრ სრულდება და მისი მიღება სათანადო სულიერი განწყობით ხდება, ადამიანი მართლაც ერწყმის (incorporatur) ჯვარცმულ და განდიდებულ ქრისტეს და აღორძინდება საღმრთო ცხოვრების გაზიარებისათვის, თანახმად მოციქულისა: „მის თანა დაეფლენით ნათლის-ღებითა მით, რომლისა თანაცა აღსდევით სარწმუნოებითა მით შეწევნითა ღმრთისაჲთა, რომელმან-იგი აღადგინა მკუდრეთით“ (კოლ. 2, 12).²⁸

მაშასადამე, ნათლობა წარმოადგენს ერთობის საიდუმლო კავშირს, რომელიც არსებობს ყველა მის მიერ აღორძინებულ [წევრს] შორის. თავისთავად ნათლობა არის მხოლოდ საწყისი და ამოსავალი, მთლიანად ქრისტეში ცხოვრების სისრულის მიღწევისაკენ მიმართული. ამიტომ ნათლობა გამიზნულია სარწმუნოების სრული აღსარებისთვის (professionem), გამოსხნის განწესებაში (institutum) სრული მონანილეობისთვის (incorporationem), როგორც ეს თავად ქრისტემ ისურვა, დაბოლოს,

28 შდრ. რომ. 6, 4.

ეკვარისტული ურთიერთობაში (communio eucharistica) სრული ჩართვისთვის (insertionem).

ჩვენგან გამიჯნული საეკლესიო საკრებულოები მოკლებულნი არიან ჩვენთან სრულ ერთობას, ნათლობიდან გამომდინარე. გვნამს, რომ მათ ვერ შემოინახეს ეკვარისტული საიდუმლოების ნამდვილი და სრული არსი, უპირველეს ყოვლისა, ხარისხის საიდუმლოს (Sacramenti Ordinis) უქონლობის გამო. და მაინც, წმიდა სერობისას უფლის სიკვდილისა და აღდგომის მოგონებით ისინი აღიარებენ, რომ ცხოვრება ქრისტესთან ზიარებას ნიშნავს, და მისი დიდებით მოსვლას ელიან. ამიტომ დიალოგის საგანი უნდა გახდეს მოძღვრება უფლის სერობის შესახებ, სხვა საიდუმლონი, ღმრთის თაყვანისცემა (cultum) და ეკლესიის მსახურებანი.

23. ამ ძმათა ქრისტიანული ცხოვრება საზრდოობს ქრისტეს რწმენით, მტკიცდება ნათლობის მადლითა და ღმრთის სიტყვის შესმენით, ხოლო გამოიხატება ის კერძო ლოცვაში, ბიბლიის შესახებ ფიქრში, ქრისტიანული ოჯახის ცხოვრებაში, ღმრთის სადიდებლად თავმოყრილი საკრებულოს ღმრთისმსახურებაში (cultu). სპირიტუალურად მათი მსახურება (cultus) ძველი ერთობლივი ლიტურგიის აშკარა ელემენტებს შეიცავს.

ქრისტეს რწმენა ნაყოფს იძლევა ქებასა და მადლიერებაში, რომელიც მიღებული საღმრთო სიკეთისთვის გამოიხატება. ამას ემატება სამართლიანობის ცოცხალი აღქმა და მოყვასის გულწრფელი სიყვარული. ამ ქმედითა რწმენამ შექმნა მრავალი ინსტიტუტი სულიერი და ხორციელი სილატაკის შესამსუბუქებლად, ახალგაზრდობის აღსაზრდელად, ცხოვრების სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად, ყველგან მშვიდობის განმტკიცებისთვის.

თუმცა ბევრ ქრისტიანს ყოველთვის ისე არ ესმის სახარება ზნეობის საკითხებში, როგორც კათოლიკეებს, და დღევანდელი საზოგადოების საჭირობოტო პრობლემების გადაჭრის განსხვავებულ გზებს სახავს, მაინც მათ ჩვენსავით სურთ, ერთგულნი იყვნენ ქრისტეს სიტყვისა, როგორც ქრისტიანული ძალის წყაროსი, და დაემორჩილონ მოციქულის მცნებას: „და ყოველსავე, რასაცა იქმოდით სიტყვით გინა თუ საქმით, ყოველსავე სახელითა უფლისა იესოჲსითა, ჰმადლობდით ღმერთსა და მამასა მის მიერ“ (კოლ. 3, 17). ასე შეიძლება დაიწყოს ეკუმენური დიალოგი ზნეობის სფეროში სახარების გამოყენების (applicatio) შესახებ.

24. ამგვარად, ჩვენ მოკლედ გადმოვეცით ეკუმენური საქმიანობის ვითარება და მივუთითეთ იმ პრინციპებზე, რომლებიც მას უნდა წარმართავდეს. ახლა კი მზერა რწმენით მომავლისკენ მივმართოთ. წმიდა კრება მოუწოდებს ერთგულებს, თავი შეიკავონ ყოველგვარი ზერელობისა და არაგონივრული მისწრაფებისგან, რომელმაც ერთობისკენ ჭეშმარიტ წინსვლას შეიძლება ზიანი მიაყენოს. მათი ეკუმენური საქმიანობა ვერ განხორციელდება, თუ ის არ იქნა სრულიად და გულწრფელად კათოლიკური, ანუ იმ ჭეშმარიტების ერთგული, რომელიც მოციქულებისა და მამებისგან მივიღეთ, და იმ სარწმუნოებასთან შეხამებული, რომელსაც კათოლიკე ეკლესია მუდამ აღიარებდა (professa). ამასთანავე, ის ისეთი სისრულისკენ უნდა მიისწრაფვოდეს, რომელსაც, უფალს სურს, რომ დროთა ვითარებაში, ზრდის პროცესში, მისმა სხეულმა მიაღწიოს.

წმიდა კრებას დაბეჯითებით სურს, რომ კათოლიკე ეკლესიის შვილთა ინიციატივები გამიჯნულ ძმათა ინიციატივებთან ერთობაში ხორციელდებოდეს, ისე, რომ არავითარი დაბრკოლება არ შეიქმნას განგების გზებზე და სული წმიდის მისწრაფებები (impulsionibus) წინასწარ არ განისაჯოს. კრება აცხადებს, რომ მას გაცნობიერებული აქვს შემდეგი: მოცემული წმიდა ამოცანა – ყველა ქრისტიანის შერიგება ქრისტეს ერთიანი და ერთადერთი ეკლესიის ერთობაში – აღემატება ადამიანურ ძალებსა და შესაძლებლობებს. ამიტომ კრება თავის იმედს ამყარებს ეკლესიი-

სთვის ქრისტეს ლოცვაზე, ჩვენს მიმართ მამის სიყვარულზე, სული წმიდის ძალაზე. „ხოლო სასოებაჲმან არ არცხვნის, რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა“ (რომ. 5, 5).

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამ დეკრეტში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან გადმოგვეცა, ამაჲს პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ, ვანებსებთ და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს საღიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1964 წლის 21 დეკემბერი.
მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
(მოჰყვება მამათა ხელმოწერები)

**დეკრეტი
ეკლესიაში ეპისკოპოსთა
სამოძღვრო მსახურების შესახებ**

CHRISTUS DOMINUS

პავლე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მსახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

დეკრეტი ეკლესიაში ეპისკოპოსთა სამოძღვრო მსახურების შესახებ

შესავალი

1. უფალი ქრისტე, ცხოველი ღმრთის ძე, მოვიდა, რათა თავისი ერი ცოდვითაგან გამოეხსნა¹ და ყველა ადამიანი წმიდაეყო. თავადაც მამის მიერ მოვლინებულმა, მან თავისი მოციქულები მოავლინა,² წმიდაყო ისინი და სული წმიდა გადასცა, რათა მათ მამა დედამინაზე განედიდებინათ და ადამიანები გამოეხსნათ, „აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 12).

2. რომის პონტიფექსი პეტრეს მემკვიდრეა, რომელსაც ქრისტემ თავისი ცხვრები და კრავები სამწყსოდ მიანდო. ქრისტეს ამ ეკლესიაში, საღმრთო განწესებით, იგი სულთა მზრუნველობის უზენაესი, სრული, უშუალო და საყოველთაო უფლებამოსილებით სარგებლობს. იგი ყველა ერთგულთა მწყემსად იქნა მოვლინებული, რათა ეზრუნა საყოველთაო ეკლესიის საერთო სიკეთისათვის და ცალკეულ ეკლესიათა სიკეთისთვისაც. ამიტომ მას ყველა ეკლესიაზე ხარისხობრივი (*ordinariae*) ძალაუფლების უპირატესობა გააჩნია.

მაგრამ თავად ეპისკოპოსებიც, სული წმიდის მიერ დასმულნი, მოციქულთა ადგილს იკავებენ, როგორც სულთა მწყემსები.³ უზენაეს პონტიფექსთან ერთად მოვლინებულნი, ისინი მის ხელისუფლებას ექვემდებარებიან, რათა საუკუნო მწყემსის – ქრისტეს საქმე მუდმივად აღასრულონ.⁴ მოციქულებსა და მათ მემკვიდრეებს ქრისტემ დავალება და უფლება მისცა, დაემოძღვრათ ყველა ხალხები, ხოლო ადამიანები წმიდაეყოს და ემწყსოს. ამგვარად, მათთვის მინიჭებული სული წმიდის მიერ ეპისკოპოსები გახდნენ სარწმუნოების ნამდვილი და ჭეშმარიტი მოძღვარნი, პონტიფექსები და მღვდლები.⁵

3. ეპისკოპოსები ყველა ეკლესიის საზრუნავს იზიარებენ. საეპისკოპო ხელდასხმის (*per consecrationem*) შედეგად მათ საეპისკოპოსო ფუნქცია მიიღეს,⁶ რომელიც ღმრთის საყოველთაო ეკლესიასთან მიმართებაში მოძღვრობასა და სამღვდლო მმართველობას გულისხმობს. ამ ფუნქციას ისინი ერთობაში და უზენაესი პონტიფექსის მეთაურობით ასრულებენ, კოლეგიაში ანუ [ერთ] სხეულად გაერთიანებულნი.

ფუნქციას, რომელიც მათთვის რწმუნებული უფლის სამწყსოს ნაწილზე ვრცელდება, ისინი ცალცალკე ასრულებენ; თითოეული მისთვის მინდობილი ცალკეული ეკლესიისთვის ზრუნავს, ზოგჯერ კი სხვადასხვა ეკლესიათა საერთო პრობლემებს

1 შდრ. მათ. 1, 21.

2 შდრ. იოან. 20, 21.

3 შდრ. CONC. VAT. I, Const. dogm. I, de ecclesia Christi, *Pastor aeternus*, cap. 3, D 1821 (3061).

4 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de ecclesia Christi, *Prooem.*, D 1821 (3050).

5 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de ecclesia, *Lumen Gentium*, cap. III, nn. 21, 24, 25: AAS 57 (1965), p. 24-25, 29-31.

6 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de ecclesia, *Lumen Gentium*, cap. III, n. 21: AAS 57 (1965), pp. 24.25.

ერთობლივად აგვარებენ. წმიდა კრება ითვალისწინებს ადამიანთა საზოგადოებაში არსებულ მდგომარეობას, რომელიც ჩვენს დროში ახალ იერსახეს იძენს,⁷ და განიზრახავას, უფრო ზუსტად განსაზღვროს ეპისკოპოსთა სამღვდლო ფუნქცია. მან შემდეგი დაადგინა.

თავი I ეპისკოპოსები და საყოველთაო ეკლესია

1. ეპისკოპოსთა როლი საყოველთაო ეკლესიასთან მიმართებაში

4. საკრამენტული ხელდასხმისა და კოლეგიის მეთაურსა და წევრებთან იერარქიული ერთობის (communione) ძალით ეპისკოპოსები საეპისკოპოსო სხეულის წევრებს წარმოადგენენ.⁸ „ეპისკოპოსთა ხარისხი მოციქულთა კოლეგიის მემკვიდრეა სამღვდლო მოძღვრობასა და მართვაში. მასში მუდამ იმყოფება სამოციქულო სხეული, ერთიანი მის თავთან: რომის პონტიფექსთან, რომლის გარეშე ის არასოდეს არსებობს; ამდენად, ეს საეპისკოპოსო სხეულიც წარმოადგენს მთელ ეკლესიაში უზენაესი და სრული უფლებამოსილების სუბიექტს, თუმცა ამ უფლებამოსილების გამოყენება მხოლოდ რომაელი პონტიფექსის თანხმობით შეიძლება.“⁹ ეს უფლებამოსილება „საზეიმოდ სრულდება მსოფლიო კრებაზე.“¹⁰ ამიტომ წმიდა კრება ადგენს, რომ ყველა ეპისკოპოსს, ვინც საეპისკოპოსო კოლეგიის წევრია, მსოფლიო კრებაზე მონაწილეობის უფლება აქვს.

„კოლეგიალური უფლებამოსილება შეიძლება განხორციელდეს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში განსახლებულ ეპისკოპოსთა მიერ პაპთან ერთად, იმ შემთხვევაში, თუ კოლეგიის თავი მათ კოლეგიალური ქმედებისკენ მოუწოდებს, ან თუნდაც დაეთანხმება ან თავისუფლად მიიღებს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ეპისკოპოსთა ერთიან მოქმედებას, რომ ამგვარად განხორციელდეს ჭეშმარიტად კოლეგიალური ქმედება.“¹¹

5. დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან შერჩეული ეპისკოპოსები ეკლესიის უზენაეს მწყემსს, კრებაზე ძალზე ქმედით დახმარებას უწევენ, იმ სახით, რომელიც პაპმა დაადგინა ან დაადგენს. კრებას საკუთრივ „ეპისკოპოსთა სინოდი ეწოდება“ და როგორც მთელი კათოლიკური საეპისკოპოსო წარმომადგენელი, ის აღნიშნავს, რომ ყველა ეპისკოპოსი იერარქიული ერთობის სახით მსოფლიო ეკლესიისთვის მზრუნველობის მონაწილეა.¹²

6. ეპისკოპოსებმა, როგორც მოციქულთა ლეგიტიმურმა მემკვიდრეებმა და საეპისკოპოსო კოლეგიის წევრებმა, მუდამ უნდა იცოდნენ, რომ ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი; ისინი ყველა ეკლესიებისთვის უნდა ზრუნაბდნენ, რადგან საღმრთო დადგენილებითა და სამოციქულო ფუნქციის განწესებით, თითოეული ეპისკოპოსი, სხვა ეპისკოპოსებთან ერთად, პასუხისმგებელია ეკლესიისთვის.¹³ მათ განსაკუთრებით იმ რეგიონებისთვის უნდა იზრუნონ, სადაც ღმრთის სიტყვის უწყება ჯერ არ მომხდარა, ან სადაც მღვდლეთა მცირერიცხოვნების გამო ქრისტეს ერთგულებს ქრისტიანული ცხოვრების მცნებებისგან განშორება ან სულაც რწმენის დაკარგვა ემუქრება.

7 შდრ. IOANNES XXII, Const. apost. *Humane salutis*, 25 dec. 1961: AAS 54 (1962), p. 6.

8 შდრ. IOANNES XXIII, Const. apost. *Humane salutis*, 25 dec. 1961: AAS 54 (1961), p. 6.

9 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de ecclesia, *Lumen Gentium*, cap. III, n. 22: AAS 57 (1965), pp. 25-27.

10 CONST. VAT. II, Cost. dogm. de ecclesia, *ibid.*

11 CONC. VAT. II, Const. dogm. de ecclesia, *ibid.*

12 შდრ. PAULUS VI, Motu proprio *Apostolica Sollicitudo*, 15 sept. 1965: AAS 57 (1965), pp. 775-790.

13 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de ecclesia, cap. III, n. 23: AAS 57 (1965), pp. 27-28.

ამიტომ მთელი გულმოდგინებით უნდა შეეცადონ, რომ ერთგულებმა მხურვალედ ხელი შეუწყონ და განავითარონ ევანგელიზაციისა და მოციქულობის საქმე. ამასთან ერთად, ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ სასულიერო მსახურებმა, აგრეთვე დამხმარეებმა (როგორც მონსეეებმა, ასევე საერო პირებმა) შესაფერისი მომზადება გაიარონ მისიებსა და იმ რეგიონებში სამუშაოდ, რომლებიც სამღვდელთა ნაკლებობით გამოირჩევა. ეპისკოპოსებმა იმისთვისაც უნდა იზრუნონ, რომ, შეძლებისდაგვარად, მათი მღვდელმსახურების ზოგიერთი წარამომადგენელი ხსენებულ მისიებს შეუდგეს და დიოცეზებში წავიდეს, რათა იქ მუდმივად ან თუნდაც გარკვეული დროით წმიდა მსახურება აღასრულოს.

გარდა ამისა, ეპისკოპოსებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ საეკლესიო ქონებით სარგებლობისას მათ არა მხოლოდ თავისი დიოცეზების მოთხოვნილებები უნდა გაითვალისწინონ, არამედ სხვა ცალკეული ეკლესიებისაც: ისინი ხომ ქრისტეს ერთიანი ეკლესიის ნაწილებია. ამგვარად, მათ სხვა დიოცეზებსა თუ რეგიონებსაც უნდა მიაქციონ ყურადღება, რათა მათი გაჭირვება შეუმსუბუქონ.

7. უპირველეს ყოვლისა, ისინი ძმური სიყვარულით უნდა მოექცნენ იმ სასულიერო მესვეურებს, რომლებიც ქრისტეს სახელისათვის გაჭირვებასა და ტანჯვას იტმენენ, საპატიმროში იმყოფებიან, ან საშუალება არა აქვთ, თავისი მსახურება შეასრულონ. მათ მიმართ ჭეშმარიტი ქმედითი ზრუნვა არის საჭირო, რომ თანამოძმეთა ლოცვითა და მხარდაჭერით, მათი ტკივილი მინელდეს და შემსუბუქდეს.

II. ეპისკოპოსები და სამოციქულო საყდარი

8. ა) ეპისკოპოსებს, როგორც მოციქულთა მემკვიდრებს, მათთვის რწმუნებულ დიოცეზებში თავისთავად აქვთ ხარისხობრივი (*ordinaria*), საკუთარი და უშუალო უფლებამოსილება, რომელიც მათი სამღვდლო ფუნქციის შესრულებისთვის არის საჭირო. ამასთანავე, მუდამ და ყველაფერში ურყევი რჩება საყოველთაო უფლებამოსილება, რომელიც რომის პონტიფექსმა თავად ან სხვა ავტორიტეტის შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოს.

ბ) ცალკეულ შემთხვევაში თითოეულ ეპისკოპოსს შეუძლია გაათავისუფლოს (*dispensandi*) ეკლესიის საერთო კანონისაგან ერთგულები, რომლებზეც სამართლის ნორმით მისი უფლებამოსილება ვრცელდება. ამის გააკეთება მას ყოველთვის შეუძლია, თუ მიიჩნევს, რომ ეს ერთგულთა სულიერ კეთილდღეობას არგებს, თუ, რა თქმა უნდა, ეკლესიის უზენაესი ავტორიტეტის მიერ საგანგებო მითითებები არ იქნა მოცემული.

9. საყოველთაო ეკლესიაში უფლებამოსილების უზენასი, სრული და უშუალო აღსრულებისას რომის პონტიფექსი სარგებლობს რომაული კურიის დიკასტერიებით, რომლებიც, შესაბამისად, თავის ფუნქციას მისი სახელითა და უფლებამოსილებით, ეკლესიის საკეთილდღეოდ და სულიერ მწყემსთა მსახურებისთვის ასრულებენ.

და მაინც, წმიდა კრების მამების სურვილია, რომ ეს დიკასტერიები, რომლებმაც მართლაც უდიდესი დახმარება გაუწიეს რომის პონტიფექსსა და ეკლესიის მწყემსებს, დაექვემდებაროს ახალ წესს, დროის, რეგიონებისა და წეს-ჩვეულებების მოთხოვნილებებთან შესაბამისად. ეს განსაკუთრებით ეხება მათ რიცხვს, სახელწოდებას, კომპეტენციას, პროცედურებსა და მათი მუშაობის ურთიერთკოორდინაციას.¹⁴ მამებს აგრეთვე სურთ, რომ იმ სამწყსო ფუნქციის გათვალისწინებით, რომელიც ეპისკოპოსებს გააჩნიათ, უფრო ზუსტად განისაზღვროს რომის პონტიფექსის ლეგატების სამსახური.

¹⁴ შდრ. PAULUS VI; allocutio ad em.mos patres cardinales, exc.mos praesules, rev.mos praelatos ceterosque Romanae curiae officiales, 21 sept. 1963: AAS 55 (1963), p. 793 ss.

10. ეს დიკასტერიები მთელი ეკლესიის საკეთილდღეოდ არის შექმნილი. ამიტომ სასურველია, რომ, მისი წევრები, თანამშრომლები და მრჩეველი, აგრეთვე რომის პონტიფექსის ლეგატები შეძლებისდაგვარად, უფრო მეტი ოდენობით წარმოადგენდნენ ეკლესიის სხვადასხვა რეგიონებს, ისე, რომ კათოლიკე ეკლესიის სამსახურმა ანუ ცენტრალურმა ორგანოებმა მართლაც საყოველთაო სახე მიიღოს.

სასურველია აგრეთვე, რომ დიკასტერიების წევრთა შორის რამდენიმე ეპისკოპოსიც იქნეს დაშვებული, განსაკუთრებით დიოცეზების ეპისკოპოსები, რომლებიც შეძლებენ, უფრო სრულად წარმოადგინონ უზენაესი პონტიფექსის წინაშე ყველა ეკლესიათა შეხედულებები, იმედები და მოთხოვნები.

დაბოლოს, კრების მამებს მიაჩნიათ, რომ ძალზე სასარგებლო იქნება, თუ დიკასტერიები უფრო მეტად მიმართავენ დახმარებისთვის ღირსეულ, მცოდნე და გამოცდილ საერო პირებს, რათა მათაც თავისთვის შესაფერისი მონაწილეობა მიიღონ საეკლესიო საქმეებში.

თავი II

ეპისკოპოსები და ცალკეული ეკლესიები ანუ დიოცეზები

I. დიოცეზური ეპისკოპოსები

11. დიოცეზი ღმრთის ერის ნაწილია, რომელიც ეპისკოპოსს არის მინდობილი. ეპისკოპოსი მას სამღვდლოებასთან თანამშრომლობაში მწყემსავს. თავის მწყემსს მინდობილი და, სახარებისა და ევქარისტიის მეშვეობით, ეპისკოპოსის მიერ სული წმიდაში შეკრებილი დიოცეზი ცალკე (particularem) ეკლესიას წარმოადგენს, რომელშიც ჭეშმარიტად მკვიდრობს და მოქმედებს ქრისტეს ერთიანი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

თითოეული ეპისკოპოსის ცალკეული ეკლესიებისთვის ზრუნვა აქვთ დაკისრებული. უზენაესი პონტიფექსის უფლებამოსილებით, ის თავის ცხვრებს უფლის სახელით მწყემსავს, როგორც მათი საკუთარი, ორდინარიუსი და უშუალო მწყემსი. ასე განახორციელებს იგი თავის ფუნქციას: სწავლებას, წმიდაყოფასა და ხელმძღვანელობას. ამასთანავე, მან თავადაც უნდა სცნოს ის უფლებები, რომლებიც პატრიარქებსა თუ იერარქიის სხვა ავტორიტეტებს კანონიერად ეკუთვნით.¹⁵

ეპისკოპოსები უნდა ეცადონ, აღასრულონ თავისი სამოციქულო ფუნქცია, როგორც ქრისტეს მონმეებმა ყველა ადამიანის წინაშე. მათ მხოლოდ მათთვის კი არ უნდა იზრუნონ, ვინც უკვე მიჰყვება მთავარ მწყემსს, არამედ მთელი სულით უნდა იღვანონ მათთვისაც, ვინც ასე თუ ისე ასცდა ჭეშმარიტების გზას, ან ქრისტეს სახარება და მისი გამომხსნელი გულმონყალეა (misericordiam) არ იცის, სანამ ბოლოს ყველა არ იქნება მოცული “ყოვლითა კეთილითა და სიმართლითა და ჭეშმარიტებითა” (ეფეს. 5, 9).

12. თავისი ფუნქციის შესრულებისას, რომელიც სწავლებას გულისხმობს, მათ ადამიანებს ქრისტეს სახარება უნდა აუწყონ; ეპისკოპოსთა მნიშვნელოვან ფუნქციათა შორის ეს მოვალეობა განსაკუთრებულია.¹⁶ სული [წმიდის] ძალით ეპისკოპოსებმა ადამიანებს სარწმუნოებისკენ უნდა მოუწოდონ, ან ცხოველი რწმენა განუმტკიცონ. ქრისტეს საიდუმლოება ეპისკოპოსებმა ადამიანებს სრულად უნდა შესთავაზონ, კერძოდ, ის ჭეშმარიტებები, რომელთა არცოდნა ქრისტეს არცოდნა არის, აგრეთვე გზა, ღმრთივ გამოცხადებული სადიდებლად ღმრთისა და ამასთანავე საუკუნო ნეტარების მოსაპოვებლად.¹⁷

15 შდრ. CONC. VAT. II, Decr. de ecclesiis orientalibus catholicis, *Orientalism Ecclesiarum*, nn. 7-11: AAS 57 (1965), pp. 79-80.

16 შდრ. CONC. TRID., sess. V, decr. *de reform.*, c.2, Msi 33, 30; sess. XXIV, decr. *de reform.*, c. 4., Msi 33, 159; CONC. VAT. II, Const. dogm. de ecclesia, *Lumen Gentium*, cap. III, n. 25: AAS 57 (1965), p. 29 ss.

17 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de ecclesia, *Lumen Gentium*, cap. III, n. 25: AAS 57 (1965), pp. 29-31.

გარდა ამისა, მათ უნდა აჩვენონ, რომ მინიერი სინამდვილე და ადამიანური ინსტიტუციებიც, შემოქმედი ღმრთის განზრახვის თანახმად, ადამიანთა გამოსახსნელად არის მოწყობილი და მათ, შესაბამისად, საკმაოდ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ქრისტეს სხეულის აშენების საქმეში. დაე, ასწავლონ, ეკლესიის მოძღვრების თანახმად, რა დიდად არის დასაფასებელი, ადამიანის პიროვნება, თავისი თავისუფლებითა და სხეულბრუნვი ცხოვრებით; ოჯახი, თავისი ერთიანობითა და სიმყარით, შთამომავლობის გაჩენითა და აღზრდით; სამოქალაქო საზოგადოება, თავისი კანონებითა და პროფესიებით; სამუშაო და დასვენება, ხელოვნების დარგები და ტექნიკური გამოგონებები; სიღარიბე და სიმდიდრე. დაბოლოს, მათ უნდა წარმოადგინონ პრინციპები, რომელთა საფუძველზე გადაწყდება ისეთი ურთულესი პრობლემები, როგორც არის მატერიალური ქონების ფლობა, ზრდა და სწორი განაწილება, მშვიდობა და ომი, ყველა ერის ძმური თანაცხოვრება.¹⁸

13. ქრისტიანული მოძღვრება ეპისკოპოსებმა დროის მოთხოვნილებების შესაბამისად უნდა წარმოადგინონ. მოძღვრებამ იმ სირთულეებსა და კითხვებს უნდა უპასუხო, რომლებიც ადამიანებს განსაკუთრებით აწუხებს და აშინებს. მოძღვრებას ისინი უნდა გაუფრთხილდნენ, ხოლო ერთგულებს მისი დაცვა და გავრცელება უნდა ასწავლონ. მისი გადაცემით ეპისკოპოსებმა უნდა დაამოწმონ ეკლესიის დედობრივი მზრუნველობა ყველა ადამიანის – როგორც ერთგულის, ასევე არა ერთგულის მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება ლატაკებისა და სუსტების მიმართ უნდა გამოავლინონ; უფალმა ხომ ისინი მათი ევანგელიზაციისთვის მოავლინა.

ეკლესიის ამოცანაა, სასაუბროდ მივიდეს ადამიანურ საზოგადოებასთან, რომელშიც თავად ცხოვრობს.¹⁹ ეპისკოპოსთა უპირველესი მოვალეობა არის, მივიდნენ ადამიანებთან, რათა მათთან საუბარი დაიწყონ და განაგრძონ. ჭეშმარიტება მუდამ სიყვარულთან, ხოლო გონიერება სიკეთესთან (amore) უნდა იყოს დაკავშირებული. ამიტომ გამოხსნის ეს საუბარი უნდა გამოიჩინოს ენის სიცხადით და, ამასთანავე, სიმდაბლითა და სირბილით, აგრეთვე სათანადო გონიერულობით, რომელსაც ნდობა უნდა ახლდეს, რადგან ის მეგობრობას უწყობს ხელს და, ბუნებრივია, ერთსულოვნებას ბადებს.²⁰

ისინი უნდა ეცადონ, ქრისტიანული მოძღვრების უწყებისათვის სადღეისოდ არსებული სახვადსხვა საშუალებები გამოიყენონ, უპირველეს ყოვლისა კი ქადაგება და კატეხეტიური სწავლება, რომლებსაც ყოველთვის პირველი ადგილი უკავია. გარდა ამისა, მათ უნდა ისარგებლონ მოძღვრების გადმოცემით სკოლებში, აკადემიებში, კონფერენციებსა და ნებისმიერ გაერთიანებზე. მოძღვრების გავრცელება შესაძლებელია საჯარო დეკლარაციების სახითაც, რომლებსაც ამა თუ იმ მოვლენის გამო აქვს ადგილი, პრესისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, რომლებიც ქრისტეს სახარების საუწყებლად სრულყოფილად უნდა იქნას გამოყენებული.²¹

14. ეპისკოპოსებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ კატეხეტიური სწავლების მიზანია, მოძღვრების მეშვეობით ნათელყოფილი სარწმუნოება ადამიანებში ცოცხალი, გასაგები და ქმედითი გახადოს. ეპისკოპოსებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ ეს სწავლება გულმოდგინედ მიენდოს ბავშვებსა და მოზარდებს, ახალგაზრდებსა და ზრდასრულებს. ამ გადაცემის პროცესში გასათვალისწინებელია არა მხოლოდ საგნისთვის შესაფერისი წესი და მეთოდი, არამედ მსმენელთა ხასიათი, შესაძლებლობები, ასაკი და ცხოვრების პირობები. ეს სწავლება წმიდა წერილს, ტრადიციას, ლიტურგიას, მოძღვრობასა და ცხოვრებას უნდა ემყარებოდეს.

18 შდრ. IOANNES XXIII, Litt encycl. *Pacem in terris*, 11 apr. 1963, passim: AAS 55 (1963), pp. 257-304.

19 შდრ. PAULUS VI, litt. encycl. *Ecclesiam Suam*, 6 aug. 1964: AAS 56 (1964), p. 639.

20 შდრ. PAULUS VI, litt. encycl. *Ecclesiam Suam*, 6 aug. 1964: AAS 56 (1964), p. 644-645.

21 შდრ. CONC: VAT. II, Decr. de instrumentis communicationis socialis, *Inter mirifica*, AAS 56 (1964), pp. 145-153.

ეპისკოპოსებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ კატეხეტიები თავისი ფუნქციონირების სათანადოდ მოემზადონ, საფუძვლიანად გაეცნონ ეკლესიის მოძღვრებას, აგრეთვე თეორიულად და პრაქტიკულად შეისწავლონ პედაგოგიური დისციპლინები. ეპისკოპოსები აგრეთვე უნდა შეეცადონ, განაახლონ მოზრდილთა კატეხეტიური სწავლება, ან მისი ადაპტაცია მოახდინონ.

15. თავისი ფუნქციის შესრულებისას, რომელიც წმიდაყოფაში გამოიხატება, ეპისკოპოსებს უნდა ახსოვდეთ, რომ თავადაც ადამიანთაგან იყვენენ რჩეულნი და ადამიანებისთვის დაყენებულნი, რათა ღმერთთან ურთიერთიერთობისას ცოდვებისთვის ძღვენი და მსხვერპლი მიეტანათ. მართლაც, ეპისკოპოსებს ახარებს ხარისხის საიდუმლოს სისავსე. მათი უფლებამოსილების აღსრულებისას მათზე დამოკიდებულნი არიან მღვდლები (საეპისკოპოსო ხარისხის მზრუნველი თანამშრომლები რომ ყოფილიყვნენ, ისინიც ახალი აღთქმის ჭეშმარიტ მღვდელმსახურებად იქნენ ხელდასხმულნი) და დიაკონებიც (მსახურებისთვის დანიშნულნი (ordinati), ისინი ღმრთის ერს ეპისკოპოსთან და მის სამღვდელოებასთან (presbyterio) ერთად ემსახურებიან). ამგვარად, თავად ეპისკოპოსები ღმრთის საიდუმლოებათა მთავარი განმკარგებლები (dispensatores) არიან. ისინი წარმართავენ, ასაზრდოებენ და იცავენ მათთვის რწმუნებულ მთელს ლიტურგიულ ცხოვრებას ეკლესიაში.²²

ეპისკოპოსები მუდამ უნდა ეცადონ, რომ ქრისტეს ერთგულებმა ევქარისტის მეშვეობით უფრო ღრმად შეიცნონ და შეიგრძნონ (vivat) აღდგომის საიდუმლოება, რათა მჭიდროდ შეიკრნენ ერთი სხეულად, ქრისტეს სიყვარულის ერთიანობაში.²³ “ლოცვასა და მსახურებასა ამის სიტყვასა” (საქმე 6, 5) განკრძალულნი, ეპისკოპოსები ცდილობენ, რომ ყველანი, ვისთვისაც ზრუნვა მათ აბარიათ, ერთსულოვნად ლოცვაში იყვენენ განკრძალულნი,²⁴ საიდუმლოთა მიღებით მადლში გაიზარდონ და უფლისთვის ერთგული მოწმენი იყვენენ.

ეპისკოპოსების სრულყოფილებისკენ მიისწრაფვიან და ცდილობენ, ხელი შეუწყონ თავის სამღვდელოთა, მოწესეთა და საეროთა სულიერობის დახვეწას, თითოეული მათგანის მოწოდების შესაბამისად.²⁵ ამასთანავე მათ უნდა ახსოვდეთ, რომ თავად უნდა მისცენ სულიერობის მაგალითი სიყვარულში, სიმდაბლესა და ცხოვრების სიმარტივეში. ეპისკოპოსებმა უნდა წმიდაყონ მათთვის მინდობილი ეკლესიები, რათა მათში სრულად გაბრწყინდეს ქრისტეს საყოველთაო ეკლესიის განცდა. ამიტომ მათ მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყონ სამღვდელმსახურო და სამონესეო მოწოდებას და მისიონერულ მოწოდებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ.

16. თავისი ფუნქციაში, რომელიც მამობასა და მღვდლობას გულისხმობს, ეპისკოპოსები თავისიანთა შორის უნდა იყვენენ როგორც მასახურნი,²⁶ კეთილი მწყემსები, რომლებიც იცნობენ თავის ცხვრებს და ისინიც იცნობენ მათ, ჭეშმარიტი მამები, რომლებიც გამოირჩევიან სიყვარულის სულითა და ყველას მიმართ მზრუნველობით და ვის ღმრთივმონიჭებულ ავტორიტეტსაც ყველა ნებაყოფლობით დაემორჩილება. მათ თავისი სამწყსოს მთელი ოჯახი ისე უნდა შეკრიბონ და დააწყონ, რომ ყველას გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი მოვალეობები და ყველამ სიყვარულის ერთობაში იცხოვროს და იმოქმედოს.

ეს რომ უფრო ქმედითად განხორციელდეს, ეპისკოპოსებმა, “ყოვლისა-ვე-თვის საქმისა კეთილისა განმზადებულ” (2ტიმ. 2, 21) და ყოვლისა დამომენებმა “რჩეულ-

22 შდრ. CONC. VAT. II, Const. de sacra liturgia, *Sacrosanctum Consilium*, AAS 56 (1964), p. 97 ss.; PAULUS VI, *Motu proprio Sacrum Liturgiam*, 25 jan. 1964: AAS 56 (1964), p. 139 ss.

23 შდრ. PIUS XII, *Litt. encycl. Mediator Dei*, 20 nov. 1947: AAS 39 (1947), p. 521 ss.; PAULUS VI, *Litt. encycl. Mysterium Fidei*, 3 sep. 1965: AAS 57 (1965), pp. 753-774.

24 შდრ. საქმე 1, 14 და 2, 46.

25 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de ecclesia, *Lumen Gentium*, cap. VI, n. 44-45: AAS 57 (1965), pp. 50-52.

26 შდრ. ლუკ. 22, 26-27.

თა მათვს” (2ტიმ. 2, 10), თავისი ცხოვრება ისე უნდა მოაწყონ, რომ ის დროის მოთხოვნილებებს შეესაბამებოდეს.

ეპისკოპოსები ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით უნდა მოეპყრან მღვდელმსახურებს: ისინი ხომ ეპისკოპოსთა ფუნქციებისა და მზრუნველობის ნაწილს თავის თავზე იღებენ და მათ ყოველდღიური გულმოდგინებით ასრულებენ. ეპისკოპოსებმა ისინი შვილებად და მეგობრებად უნდა მიიჩნიონ,²⁷ მზად იყვნენ, მათ მოუხმინონ და ასე, ნდობით აღსავსე ურთიერთობაში, მთელი დიოცეზის სამწყსო საქმისთვის იღვანონ.

მათ სულიერ, ინტელექტუალურ და მატერიალურ პირობებს ეპისკოპოსები ყურადღებით უნდა მოეკიდონ, რათა მღვდელმსახურებს შეეძლოთ, ჯანსაღად და ღმრთისმოსავად იცხოვრონ და თავისი მსახურება ერთგულად და ნაყოფიერად შეასრულონ. ამიტომ ეპისკოპოსებმა ინსტიტუციებს ხელი უნდა შეუწყონ და საგანგებო შეხვედრები მოაწყონ, რომლებიც მღვდელმსახურებს დრო და დრო შეკრების შესაძლებლობას მისცემს, რათა ცხოვრების განახლებისთვის უფრო ხანგრძლივი სულიერი წვრთნა გაიარონ და საეკლესიო დისციპლინებში ცოდნა გაიღრმავონ. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, წმიდა წერილსა და თეოლოგიას, უმნიშვნელოვანეს სოციალურ საკითხებს, აგრეთვე სამღვდლო მოქმედების ახალ მეთოდებს. ქმედითი გულმონყალებით ეპისკოპოსები იმ მღვდელმსახურებს უნდა მოეკიდონ, ვინც ამა თუ იმ სახით საფრთხეში იმყოფება ან რალაცაში შეცდა.

იმისათვის, რათა ეპისკოპოსებმა ერთგულთა კეთილდღეობისთვის ისე იღვანონ, როგორც ეს თითოეული მათგანის მდგომარეობას შეეფერება, უნდა შეეცადონ, ნამდვილად გაიგონ მათი მოთხოვნილებები იმ სოციალური ვითარების პირობებში, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ. ამისათვის მათ სათანადო საშუალებებს უნდა მიმართონ, უპირველეს ყოვლისა, სოციალურ გამოკითხვებს. მათ ყველას მიმართ მართებთ ყურადღება, განურჩევლად ასაკის, მდგომარეობის, ეროვნების, იქნებიან ისინი ადგილობრივი მაცხოვრებლები, ჩამოსულები თუ წამსვლელ-მომსვლელეები. ამ სამწყსო მზრუნველობის აღსრულებისას ეპისკოპოსებმა თავის ერთგულებს მათი წილი საეკლესიო საქმეებისა უნდა მიანდონ, სცნონ მათი მოვალეობა და უფლება, რომელიც ქრისტეს საიდუმლო (mystici) სხეულის შენებაში ქმედით თანამშრომლობას ნიშნავს.

ეპისკოპოსები სიყვარულით უნდა მოეპყრან გამიჯნულ ძმებს, ურჩიონ ერთგულებს, მათ მიმართ დიდი ჰუმანურობა და სიკეთე (caritate) გამოავლინონ, აგრეთვე ხელი შეუწყონ ეკუმენიზმს, ისე, როგორც ის ეკლესიას ესმის.²⁸ თავად მოუნათლავებსაც კი ისინი გულისყურით უნდა მოეპყრან, რათა მათთვისაც გაბრწინდეს იესო ქრისტეს სიკეთე, რომლის მონმენიც ყველას წინაშე ეპისკოპოსები არიან.

17. საჭიროა ხელი შეეწყოს მოციქულობის სხვადასხვა ფორმას, აგრეთვე, ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით, როგორც საყოველთაო დიოცეზში, ასევე მის ცალკეულ რეგიონებში, ყველა სამოციქულო საქმის კოორდინაციასა და შინაგან კავშირს, რათა ყველა ინიციატივა და ინსტიტუცია (კატეხეტიური, მისიონერული, საქველმოქმედო, სოციალური, საოჯახო, სასწავლო და ნებისმიერი სხვა), სამწყსო მიზნისკენ იყოს მიმართული და შეთანხმებული მოქმედებით წარმართოს, რაც დიოცეზის ერთიანობასაც უფრო ნათლად წარმოაჩენს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთგულთა მოვალეობა, რომელიც, თითოეული მათგანის მდგომარეობისა და შესაძლებლობის შესაბამისად, მოციქულობის აღსრულებას (exercendum) გულისხმობს. სასურველია, მათ მონაწილეობა მიიღონ საეროთა მოციქულობის სხვადასხვა საქმეებში, უპირველეს ყოვლისა, კათოლიკურ ქმედებაში, და ხელი შეუწყონ მას. აგრეთვე საჭიროა იმ ასოციაციებისთვის ხელშეწყობა და დახმარება, რომლებიც, პირდაპირ თუ ირიბად, ზებუნებრივი მიზნისკენ მიისწრაფვის, ანუ უფრო სრულყოფილი ცხოვრებისკენ მიიღწევის, ცდი-

27 შდრ. იოან. 15, 15.

28 შდრ. CONC. VAT.II, Decr. de oecumenismo, *Unitatis redintegratio*, AAS 57 (1965), pp. 90-107.

ლობს, ქრისტეს სახარება ყველას აუწყოს, ქრისტიანულ მოძღვრებასა და საჯარო კულტმსახურებას ხელი შეუწყოს, სოციალური მიზნები განახორციელოს, ღმრთი-სმოსავი თუ საქველმოქმედი საქმეები აღასრულოს.

მოციქულობის ფორმები ძირეულად უნდა შეესაბამოს დღევანდელი მართლმადიდებლობის მოთხოვნებს. ისინი ადამიანთა არა მართო სულიერ და ზნეობრივ ვითარებას ითვალისწინებდეს, არამედ სოციალურს, დემოგრაფიულსა და ეკონომიკურსაც. ყოველივე ამის ეფექტურად და ნაყოფიერად შესრულებას დიდად უწყობს ხელს სოციალური და რელიგიური ძიებანი, რომლებსაც პასტორალური სოციოლოგიის სამსახურები აწარმოებს. მათ დაბეჯითებით ვუწვევთ რეკომენდაციას.

18. საგანგებო ყურადღებას იმსახურებენ ის ერთგულები, რომლებიც [გარკვეულ] ცხოვრების პირობების გამო არ შეუძლიათ, საკმარისად ისარგებლონ საკრებულოთა საერთო ხარისხობრივი (ordinaria) სამწყსო მზრუნველობით, ან მას მთლიანად არიან მოკლებულნი. ასეთები არიან მრავალრიცხოვანი მიგრანტები, დევნილები და ლტოლვილნი, მეზღვაურები და მფრინავები, მომთაბარენი და სხვა მსგავსი ადამიანები. შესაბამისი სამწყსო მეთოდები უნდა შემუშავდეს იმისათვის, რათა ხელი შეეწყოს იმ ადამიანთა სულიერ ცხოვრებას, ვინც დასვენების მიზნით დროებით სხვა რეგიონებისკენ მიემართება.

ეპისკოპოსთა კონფერენციებმა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის შიგნით, გულმოდგინედ უნდა შეისწავლოს გადაუდებელი საკითხები, რომლებიც ზემოხსენებულ ჯგუფებს ეხება, და, სათანადო საშუალებებითა და ინსტიტუციებით, ერთსულოვნად და შეერთებული ძალებით შეეცადოს, მათთვის სულიერად იზრუნოს. უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა გაითვალისწინონ სამოციქულო საყდრის მიერ დადგენილი²⁹ ან დასადგენი ნორმები, რომლებიც დროის, ადგილისა და პიროვნებათა ვითარებას უნდა შეესაბამებოდეს.

19. თავისი სამოციქულო ფუნქციის აღსრულებისას, რომელიც სულთა გამოხსნისკენ არის მიმართული, ეპისკოპოსები ნებისმიერი სამოქალაქო ხელისუფლებისგან სრული და შეუზღუდავი თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით სარგებლობენ. ამიტომ არ შეიძლება საეკლესიო ფუნქციის წვრთნისას მათთვის პირდაპირ თუ ირიბად ხელის შეშლა, ან სამოციქულო საყდართან და სხვა საეკლესიო ავტორიტეტებთან და თავის ქვეშევრდომებთან თავისუფლად ურთიერთობის აკრძალვა.

წმიდა მწყემსები, თავისი სამწყსოს სულიერი ზრუნვით მოცულნი, ქმედითად ხელს უწყობენ სოციალურ და სამოქალაქო სფეროში წინსვლასა და კეთილდღეობას. ამისათვის ისინი, თავისი მოვალეობის ფარგლებსა და ეპისკოპოსებისთვის შესაფერისი სახით, აქტიურად ეხმარებიან საჯარო ხელისუფლებას, მოუწოდებენ სამართლიანი კანონებისადმი მორჩილებისა და კანონიერად დადგენილი ხელისუფლებისადმი პატივისცემისკენ.

20. ეპისკოპოსთა სამოციქულო ფუნქცია უფალი ქრისტეს მიერ იქნა დადგენილი. ის სულიერი და ზებუნებრივი მიზნისკენ არის მიმართული. ამიტომ წმიდა კრება განაცხადებს, რომ ეპისკოპოსთა დასახელება და დაყენება წარმოადგენს კომპეტენტური საეკლესიო ხელისუფლების საკუთრივ, საგანგებო და თავისთავად ექსკლუზიურ უფლებას.

ეკლესიის თავისუფლების სწორად დაცვისა და ერთგულთა კეთილდღეობისთვის უფრო ეფექტურად და ადვილად ხელშეწყობის მიზნით, წმიდა კრება გამოთქვამს სურვილს, რომ მომავალში სამოქალაქო ხელისუფლებას არ მიენიჭოს არავითარი უფლება და პრივილეგია, რომელიც საეპისკოპოსო მოვალეობასთან დაკავშირებით არჩევას, დასახელებას, წარდგენას ან დანიშნვას გულისხმობს. ხოლო სამოქალაქო

29 შდრ. S. PIUS X., *Motu proprio Iampridem*, 19 mart. 1914: AAS 6 (1914), p. 173 ss.; PIUS XII, *Const. ad. Exsul Familia*, 1 aug. 1952: AAS 44 (1952), p. 649 ss.; *Leges Operis Apostolatus Maris*, 21 nov. 1957: AAS 50 (1958), pp. 375-383.

ხელისუფალთ, რომელთა კეთილგანწყობას საეკლესიო ნების მიმართ წმიდა კრება მადლიერებით აღიარებს და დიდად აფასებს, იგი უმორჩილესად (humanissime) სთხოვს, სამოციქულო საყდართან თათბირის შედეგად, ნებაყოფლობით თქვას უარი უფლებებსა და პრივილეგიებზე, რომლებითაც ამჟამად შეთანხმებისა თუ ჩვეულების საფუძველზე სარგებლობს.

21. ეპისკოპოსთა სამწყსო ფუნქცია ძალზე მნიშვნელოვანია და მძიმეა. ამიტომ დაბეჯითებით მოვუწოდებთ დიოცეზის ეპისკოპოსებს ან უფლებებით მათ ტოლ პირებს, რომ ნებაყოფლობით ან კომპეტენტური უფლებამოსილი პირის შეთავაზების საფუძველზე, უარი თქვან თავის მოვალეობაზე, თუკი ხანდაზმულობის ან სხვა სერიოზული მიზეზის გამო თავისი ფუნქციის შესრულება უჭირთ. თუ კომპეტენტურმა უფლებამოსილმა პირმა გადადგომა დააკმაყოფილა, მან უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ გადამდგარი პირი სათანადო ხელშეწყობა ჰქონდეს და მისთვის შესაფერისი უფლებები გააჩნდეს.

II. დიოცეზების საზღვრების დადგენა

22. იმისათვის, რათა დიოცეზმა თავისი მიზანი შეასრულოს, ეკლესიის ბუნება ნათლად უნდა გამოვლინდეს ღმრთის ერში, რომელიც ამ დიოცეზს ეკუთვნის. ეპისკოპოსებს უნდა შეეძლოთ, ნაყოფიერად შეასრულონ მათში თავისი სამწყსო ფუნქციები. და ბოლოს, ღმრთის ერის გამოსხნისადმი მსახურება რაც შეიძლება სრულყოფილად უნდა განხორციელდეს.

ყოველივე ეს მოითხოვს დიოცეზების საზღვრების შესაბამის დადგენას, აგრეთვე სამღვდელეობისა და სახსრების გონივრულ, მოციქულობის მოთხოვნილებების შესაბამის განაწილებას. ეს ყველაფერი სასიკეთოა არა მარტო სამღვდელეობისა და ქრისტეს ერთგულებისთვის (მათ ეს პირდაპირ ეხება), არამედ მთელი კათოლიკე ეკლესიისთვისაც.

ამიტომ, დიოცეზების საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით, წმიდა კრება ადგენს: რამდენადაც ამას სულთა კეთილდღეობა მოითხოვს, შეძლებისდაგვარად მალე, სათანადო სიფრთხილით, ამ საკითხის გადასინჯვა უნდა მოხდეს: დიოცეზები შეიძლება გაიმიჯნოს, დანაწილდეს ან გაერთიანდეს, მათი საზღვრები შეიცვალოს, საეპისკოპოსო საყდრისთვის უფრო შესაფერისი ადგილი შეირჩეს, ან სულაც (განსაკუთრებით ეს ეხება დიდი ქალაქებისგან შედგენილ დიოცეზებს) ახალი შინაგანი დანაწილება მოხდეს.

23. დიოცეზური საზღვრების დადგენისას, უპირველეს ყოვლისა, ხელუხლებლად უნდა იქნას მიჩნეული თითოეული დიოცეზის ორგანული ერთიანობა პიროვნებებთან, სამსახურებსა და ინსტიტუციებთან: ყოველივე ამან როგორც ცოცხალმა ორგანიზმა უნდა იარსებოს. ცალკეულ შემთხვევებში ყველა გარემოების გულდასმით გათვალისწინების საფუძველზე, შეიძლება შემდეგი ზოგადი კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელოთ:

1) დიოცეზის საზღვრების დადგენისას შეძლებისდაგვარად გასათვალისწინებელია ღმრთის ერის შემადგენლობის მრავალფეროვნება. ამან შეიძლება დიდად შეუწყოს ხელი სამწყსო მზრუნველობის განხორციელებას. ამასთანავე საჭიროა ზრუნვა იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად ერთიანად იქნას შენარჩუნებული ამ ერის დემოგრაფიულ შედგენილობასა და სამოქალაქო სამსახურებსა თუ სოციალურ ინსტიტუციებს შორის ერთობა, რომლებიც მის ორგანულ სტრუქტურას ქმნის. ამიტომ თითოეული დიოცეზის ტერიტორია ერთ მთლიანობას უნდა წარმოადგენდეს.

ამავდროულად, ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საზღვრების ფარგლებს, აგრეთვე ადამიანებისა და ადგილების განსაკუთრებულ ვითარებებს, მაგალითად, ფსიქოლოგიურს, ეკონომიკურს, გეოგრაფიულს, ისტორიულს.

2) დიოცეზური ტერიტორიის სიდიდე და მისი მაცხოვრებლების რაოდენობა საზოგადოდ ისეთი უნდა იყოს, რომ, ერთის მხრივ, თავად ეპისკოპოსმა (თუნდაც სხვების დახმარებით), შეძლოს, შეასრულოს პონტიფიკალიები და სამწყსო ვიზიტები გააკეთოს, სათანადოდ წარმართოს და შეათანხმოს დიოცეზაში სამოციქულო საქმე, გაცივოს, უპიველეს ყოვლისა, თავისი მღვდელმსახურნი, აგრეთვე მოწესენი და საერონი, რომლებიც დიოცეზურ საქმეებში მონაწილეობენ. მეორეს მხრივ, საკმარისად დიდი და სათანადო ასპარეზი უნდა არსებობდეს იმისათვის, რათა ყველამ, როგორც ეპისკოპოსმა ასევე სამღვდელთაგან, მთელი თავისი ძალა მსახურებას მოახმარონ. ამასთანავე, ისინი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდნენ საყოველთაო ეკლესიის მოთხოვნილებებს.

3) დიოცეზში გამოსხნის მსახურება უფრო ნაყოფიერად რომ განხორციელდეს, შემდეგი წესის გათვალისწინება არის საჭირო: თითოეულ დიოცეზს თავის განკარგულებაში უნდა ჰყავდეს სამღვდელთა, რომლებიც რაოდენობითა და შესაძლებლობებით ღმრთის ერის მწყობას კარგად შეძლებენ. არ უნდა იყოს სამსახურების, ინსტიტუციებისა და საქმეების ნაკლებობა, რომლებიც ცალკეული ეკლესიისთვის არის განკუთვნილი და კარგი მმართველობისა და სამოციქულო საქმის აღსასრულებლად არის აუცილებელი. და ბოლოს, უნდა არსებობდეს (ან მომავალში მაინც გონივრული წინდახედულობით მოპოვებულ იქნას) სახსრები პიროვნებებისა და ინსტიტუციების შესანახად.

ამავე მიზანს უნდა ითვალისწინებდეს დიოცეზური ეპისკოპოსის ზრუნვა სულიერი მოთხოვნილებებისთვის იქ, სადაც განსხვავებული წესის ერთგულები ცხოვრობენ. ეპისკოპოსს შეუძლია, ეს მღვდელმსახურთა ან მოციქული წესის საკრებულოების მეშვეობით განახორციელოს, ან საეპისკოპოსო ვიკარიუსის მეშვეობით, რომელიც სათანადო უფლებამოსილებით არის აღჭურვილი და, შესაძლოა, საეპისკოპოსო ნიშნითაც არის შემკული. ეპისკოპოსმა თავადაც შეიძლება შეასრულოს განსხვავებულ წესთა ორდინარიუსის ფუნქცია. თუკი ყოველივე ეს, გარკვეული მოსაზრებით, სამოციქულო საყდრის გადანაცვებით, შეუძლებელია, მაშინ განსხვავებული წესებისთვის მათი საკუთარი იერარქია უნდა დაწესდეს.

მსგავს ვითარებაში საჭიროა ყურადღება იმ ერთგულთა მიმართ, რომლებსაც განსხვავებული ენა აქვთ. ეს უნდა მოხდეს იმ მღვდელმსახურთა მეშვეობით ან ამავე ენის პარუსიების საშუალებით, ან საეპისკოპოსო ვიკარიუსის შუამავლობით, რომელიც ენას კარგად ფლობს და, გარკვეულ შემთხვევაში, საეპისკოპოსო ნიშნითაც არის შემკული. ყოველივე ეს შეიძლება სხვა, უფრო მიზანშეწონილი გადანაცვებითაც მოწესრიგდეს.

24. 22-23-ე მუხლების შესაბამისად, დიოცეზების შეცვლასა და განახლებას რაც შეეხება, ხელუხლებელი რჩება აღმოსავლეთის ეკლესიების დისციპლინა. ამავე დროს, სასურველია, რომ კომპეტენტურმა საეპისკოპოსო კონფერენციებმა ეს საქმეები განიხილონ, თითოეულმა – თავისი ტერიტორიისათვის. საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ საგანგებო საეპისკოპოსო კომისია მოიწვიონ. მაგრამ მანამდე ყოველთვის უნდა მოუსმინონ შესაბამისი პროვინციებისა თუ რეგიონების ეპისკოპოსებს, ხოლო შემდეგ თავისი განზრახვები და სურვილები სამოციქულო საყდარს შესთავაზონ.

1. სამღვდლო ფუნქციაში დიოცეზური ეპისკოპოსის თანამშრომლები

1) თანაშემწე და დამხმარე ეპისკოპოსები

25. დიოცეზების მმართველობაში ეპისკოპოსთა სამღვდლო ფუნქციისთვის ზრუნვა ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს უფლის სამწყსოს კეთილდღეობას, როგორც უმაღლეს პრინციპს. იმისათვის, რომ ეს სათანადოდ განხორციელდეს, დამხმარე ეპისკოპოსების დაყენება არის საჭირო, რადგან ზოგჯერ დიოცეზური

ეპისკოპოსი თვითონ ვერ ასრულებს ყველა საეპისკოპოსო ფუნქციას, ისე, როგორც ამას სულთა კეთილდღეობა მოითხოვს. ამის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს: დიოცეზის სიდიდე, მცხოვრებთა დიდი რიცხვი, მოციქულობის საგანგებო ვითარება ან სხვაგვარი მიზეზები. ზოგჯერ განსაკუთრებული აუცილებლობა მოითხოვს, რომ თავად დიოცეზური ეპისკოპოსის დასახმარებლად თანაშემწე ეპისკოპოსის დაყენება მოხდეს. ეპისკოპოსის თანაშემწეები და დამხმარეები შესაბამისი ძალაუფლებით უნდა იყვნენ აღჭურვილნი, რათა ყოველთვის შენარჩუნებული იყოს დიოცეზური მმართველობის ერთიანობა და, იმავდროულად, მათი საქმიანობა უფრო ქმედითი გახდეს, ხოლო საკუთრივ ეპისკოპოსებთან ღირსება კარგად იქნას დაცული.

მაშასადამე, თანაშემწე და დამხმარე ეპისკოპოსები მონოდებულნი არიან იმისათვის, რათა გაიზიარონ დიოცეზური ეპისკოპოსების მზრუნველობა. ამიტომ მათ თავისი ფუნქცია ისე უნდა შეასრულონ, რომ ყველა საქმეში მასთან სრულ თანხმობაში იყვნენ. გარდა ამისა, მათ მუდამ უნდა გამოავლინონ მორჩილება და მონივნება დიოცეზური ეპისკოპოსის მიმართ, რომელსაც, თავის მხრივ, ძმურად უნდა უყვარდეს თანაშემწე და დამხმარე ეპისკოპოსები და მათ პატივისცემით ეპყრობოდეს.

26. თუ სულთა კეთილდღეობა ამას მოითხოვს, დიოცეზურ ეპისკოპოსი არ უნდა მოერიდოს, უღებამოსილ ხელისუფლებას ერთი ან მეტი დამხმარე სთხოვოს, რომლებიც დიოცეზისთვის მემკვიდრების უფლების გარეშე იქნებიან დანიშნულნი.

თუ დანიშნვის შესახებ წერილები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით წინასწარ არაფერს ითვალისწინებს, დიოცეზურმა ეპისკოპოსმა თავის დამხმარე თუ დამხმარეები უნდა დანიშნოს გენერალურ ვიკარიუსებად ან საეპისკოპოსო ვიკარიუსებად მაინც, რომლებიც მხოლოდ მისი ხელისუფლებისგან იქნებიან დამოკიდებულნი. ეპისკოპოსი მათ უნდა დაეთათბიროს მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებისას, განსაკუთრებით სამოციქულო ხასიათისა.

თუ უფლებამოსილმა ხელისუფლებამ სხვაგვარად არ დაადგინა, დამხმარე ეპისკოპოსებისთვის კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებები და შესაძლებლობები დიოცეზური ეპისკოპოსის ფუნქციასთან ერთად არ ამოინურება. სასურველია აგრეთვე, რომ საყდრის ვაკანტურობის შემთხვევაში, ფუნქცია, რომელიც დიოცეზის მართვას გულისხმობს, მიენდოს დამხმარე ეპისკოპოსს, ან, თუ ისინი რამდენიმე არიან, ერთერთ დამხმარეს, თუ რა თქმა უნდა, სერიოზული მიზეზები სხვა გამოსავლისკენ არ მიანიშნებს. თანაშემწე ეპისკოპოსი, რომელიც, ცხადია, მემკვიდრედ იქნება დასახელებული, დიოცეზურმა ეპისკოპოსმა ყოველთვის გენერალურ ვიკარიუსად უნდა დააყენოს. საგანგებო შემთხვევებში უფლებამოსილმა ხელისუფალმა მას შეიძლება უფრო დიდი უფლებებიც მიანიჭოს.

დიოცეზის ანმყო და მომავალი კეთილდღეობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, ეპისკოპოსი და თანაშემწე უმნიშვნელოვანეს საკითხებში ერთმანეთთან თათბირს არ უნდა მოერიდონ.

2) დიოცეზური კურია და საბჭოები

27. დიოცეზურ კურიაში ყველაზე გამორჩეული არის გენერალური ვიკარიუსის სამსახური. ყოველთვის, როცა სწორი დიოცეზური მმართველობა ამას მოითხოვს, ეპისკოპოსმა შეიძლება დააყენოს ერთი ან რამდენიმე საეპისკოპოსო ვიკარიუსი. დიოცეზის განსაზღვრულ ნაწილში, მოქმედების გარკვეულ სფეროში, ან გარკვეული წესის ერთგულებთან მიმართებაში ისინი იმ უფლებამოსილებით სარგებლობენ, რომელსაც საყოველთაო სამართალი გენერალურ ვიკარიუსს მიაკუთვნებს.

დიოცეზურ მმართველობაში ეპისკოპოსის თანამშრომელთა რიცხვს ისინიც ეკუთვნიან, ვინც მის სენატსა თუ მის საბჭოს შეადგენს, მაგალითად, საკათედრო თავი, მრჩეველთა ჯგუფი ან სხვა საბჭოები, ადგილის გარემოებისა თუ თავისებუ-

რების შესაბამისად. საჭიროებოსდა მიხედვით, ეს ინსტიტუციები, განსაკუთრებით საკათედრო მეთაურები, ახალი წესის მოთხოვნილებებს უნდა დაექვემდებაროს.

მღვდელმსახურებმა და საერო პირებმა, რომლებიც დიოცეზურ კურიას ეკუთვნიან, უნდა იცოდნენ, რომ ისინი თავად უნევენ დახმარებას ეპისკოპოსის სამღვდლო მსახურებას.

დიოცეზური კურია ისე უნდა მოეწყოს, რომ ეპისკოპოსისთვის მოსახერხებელ სამუალებად იქცეს, არა მარტო დიოცეზურ მმართველობაში, არამედ სამოციქულო საქმის აღსრულებაშიც.

დიდად სასურველია, რომ ცალკეულ დიოცეზში საგანგებო სამღვდლო საბჭო დაარსდეს, რომელსაც თავმჯდომარეობას თავად დიოცეზური ეპისკოპოსი გაუწევს და რომელსაც საგანგებოდ არჩეული სამღვდლონი, მონსეები და საერონი მიიღებენ მონაწილეობას. ამ საბჭოს ამოცანა იქნება, გამოიკვლიოს, შეისწავლოს და პრაქტიკული დასკვნები გამოიტანოს ყოველივე იმის მიმართ, რაც სამღვდლო (pastoralia) საქმეებს ეხება.

3. დიოცეზური სამღვდლოება

28. ყველა მღვდელი (presbyteri), როგორც დიოცეზური, ასევე მონსე, ქრისტეს ერთიან მღვდელმსახურებას ეპისკოპოსთან ერთად ასრულებს. ისინი საეპისკოპოსო ხარისხის მზრუნველ თანამშრომლებს წარმოადგენენ. ამიტომ სულთათვის ზრუნვის საქმეში პირველი ადგილი დიოცეზურ მღვდელმსახურებს უკავიათ. ისინი ცალკეული ეკლესიისთვის არიან incardinati ან განკუთვნილინი (addicti) და მთელი თავისი არსებით მას უნდა ემსახურონ, რათა უფლის სამწყსოს ერთი ნაწილი მწყემსონ. ამიტომ ისინი ერთ სამღვდლოს (presbyterium) და ერთ ოჯახს შეადგენენ, რომლის მამა ეპისკოპოსი არის. თავის მღვდელმსახურთა შორის წმიდა მსახურებათა უკეთესად და უფრო თანასწორად განაწილებისთვის, მას აუცილებლად უნდა გააჩნდეს თავისუფლება თანამდებობებისა და ბენეფიციების მინიჭებისთვის (conferendis). ამიტომ უნდა მოიხსნას ის უფლებები და პრივილეგიები, რომლებიც ამ თავისუფლებას ამა თუ იმ სახით ხელს უშლის.

ურთიერთობები ეპისკოპოსსა და დიოცეზურ მღვდელმსახურებს შორის, უპირველეს ყოვლისა, ზებუნებრივი სიყვარულის კავშირებს უნდა ეფუძნებოდეს. ეპისკოპოსის ნებასთან მღვდელმსახურთა ნების ერთობამ მათი სამღვდლო მოქმედება უფრო ნაყოფიერი უნდა გახადოს. სულიერი მსახურების განვითარების მიზნით, სასურველია, ეპისკოპოსმა მიიწვიოს მღვდელმსახურნი, უპირველეს ყოვლისა, სამღვდლო საქმის შესახებ სასაუბროდ. ეს უნდა მოხდეს არა მარტო გარკვეულ შემთხვევებში, არამედ, შეძლებისდაგვარად, რეგულარულად, დადგენილ დროს.

გარდა ამისა, ყველა დიოცეზური მღვდელმსახური ერთმანეთთან დაკავშირებული უნდა იყოს. მათ მთელი დიოცეზის სულიერი სიმდიდრისთვის ზრუნვა უნდა ამოძრავებდეთ. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ის სიმდიდრე, რომელსაც ისინი საეკლესიო მსახურების საფუძველზე იძენენ, მათ წმიდა ფუნქციასთან არის დაკავშირებული. ისინი უნდა შეეცადონ, რამდენადაც შეუძლიათ, უხვად შეენიონ დიოცეზის მატერიალურ მოთხოვნილებებსაც.

29. ეპისკოპოსის უახლოესი თანამშრომლები ის მღვდელმსახურებიც არიან, რომლებსაც მან სამღვდლო ფუნქცია ან ზესაკრებულოს ხასიათის სამოციქულო საქმე მიანდო. ის შეიძლება დიოცეზის განსაზღვრული ტერიტორიისთვის, ერთგულთა საგანგებო ჯგუფისთვის ან მოქმედების გარკვეული ტიპისთვის იყოს განკუთვნილი.

განსაკუთრებით სასარგებლო საქმეს ეწევიან ის მღვდელმსახურნი, რომლებსაც ეპისკოპოსმა სკოლებში, სხვა ინსტიტუციებში თუ გაერთიანებებში მოციქულობის სხვადასხვა ფუნქციები მიანდო. ის მღვდელმსახურნიც, რომლებიც ზედდიოცეზური

საქმეებისთვის არიან განკუთვნილნი, ბრწინვალე სამოციქულო საქმეებს ახორციელებენ. სასურველია, რომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, იმ ეპისკოპოსის საგანგებო მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ვის დიოცეზშიც მკვიდრობენ.

30. გარკვეული აზრით, ეპისკოპოსის თანამშრომლები არიან საკრებულოს წინამძღვრები, რომლებსაც, როგორც საკუთრივ მღვდლებს, დიოცეზების გარკვეულ ნაწილებში ეპისკოპოსის უფლებამოსილების ქვეშ სულთათვის ზრუნვა აქვთ მინდობილი.

1. ამ ზრუნვის განხორციელებისას საკრებულოს წინამძღვრებმა თავის დამხმარებთან ერთად ისე უნდა შეასრულონ სწავლების, წმიდაყოფისა და ხელმძღვანელობის ფუნქცია, რომ ერთგულებმა და საკრებულოს წევრებმა თავი დიოცეზისა და მთელის საყოველთაო ეკლესიის ნამდვილ წევრებად იგრძნონ. ამიტომ მათ უნდა ითანამშრომლონ სხვა წინამძღვრებსა და მღვდელმსახურებთან, რომლებიც სამღვდლო ფუნქციას მოცემულ ტერიტორიაზე ასრულებენ (მაგ. საოლქო ვიკარიუსები, დეკანები), ან რომლებიც ზესაკრებულოს ხასიათის საქმეებისთვის არიან განკუთვნილნი, რათა სამღვდლო ზრუნვა დიოცეზში ერთიანობას მოკლებული არ იყოს და უფრო ეფექტური გახდეს.

გარდა ამისა, სულთათვის ზრუნვა მუდამ უნდა იყოს მისიონერული სულით გამსჭვალული, რათა ის სათანადოდ იყოს გავრცელებული ყველაზე, ვინც საკრებულოში ცხოვრობს. თუ სამღვდლო პირებს გარკვეულ ჯგუფებამდე მიღწევა არ შეუძლიათ, მათ დასახმარებლად სხვებს უნდა მოუხმონ, მათ შორის საერო პირებსაც, რათა ისინი სამოციქულო საქმეში მათ მხარში ამოუდგნენ.

სულთათვის ზრუნვა უფრო ქმედითი რომ გახდეს, ძალზე სასურველია მღვდელმსახურთა ერთობლივი ცხოვრება, განსაკუთრებით მათი, ვინც ერთსა და იმავე საკრებულოს ეკუთვნის. ის ხელს უწყობს სამოციქულო ქმედებას და ერთგულებს სიყვარულისა და ერთობის მაგალითს აძლევს.

2. მოძღვრობის ფუნქციის შესრულებისას საკრებულოების წინამძღვართა მოვალეობას წარმოადგენს ყველა ქრისტეს ერთგულისთვის ღმრთის სიტყვის ქადაგება, რათა ისინი, სარწმუნოებაზე, იმედსა და სიყვარულზე დაფუძნებულებმა, ქრისტეში გაიზარდონ და ქრისტიანულმა საკრებულომ სიყვარული ისე დაამოწმოს, როგორც ეს უფალმა გვიჩიოა.³⁰ მათი მოვალეობა ისიც არის, რომ კატეხეტიური სწავლებით ერთგულები მიიყვანონ გამობხნის საიდუმლოების სრულ (ასაკისთვის შესაფერის) ცოდნამდე. ამ სწავლების გადაცემისთვის მათ არა მხოლოდ მოწესეთა დახმარებას უნდა მიმართონ, არამედ საეროთა თანამშრომლობასაც. მათ ერთგვარი ქრისტიანული მოძღვრების ძმობა უნდა ჩამოაყალიბონ.

წმიდაყოფის საქმის აღსრულებისას საკრებულოს წინამძღვრებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ექვარისტიული მსხვერპლის ზეიმი ქრისტიანული საკრებულოს მთელი ცხოვრების ცენტრი და მწვერვალი იყოს. ამასთანავე, ისინი უნდა შეეცადონ, რომ ერთგულები საიდუმლოთა ღმრთისმოსავი და ხშირი მიღებისა და ლიტურგიაში შეგნებული და აქტიური მონაწილეობის საფუძველზე სულიერი საზრდოთი იკვებებოდნენ. საკრებულოს წინამძღვარს ისიც უნდა ახსოვდეთ, რომ სინანულის საიდუმლო განსაკუთრებით უწყობს ხელს ქრისტიანულ ცხოვრებას. ამიტომ ისინი მზად უნდა იყვნენ, მოუსმინონ ერთგულთა აღსარებებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ამისთვის სხვა მღვდელმსახურებსაც მოუწოდონ, რომლებიც სხვადასხვა ენებს ფლობენ.

სამღვდლო სამსახურის აღსრულებისას საკრებულოს წინამძღვრებმა, უპირველეს ყოვლისა, თავისი სამწყსოსთვის უნდა იზრუნონ. ამავე დროს, ისინი ყველა ცხვრის მსახურნი არიან, ამიტომ მათ ქრისტიანული ცხოვრების განვითარებას ხელი უნდა შეუწყონ როგორც ცალკეულ ერთგულებში, ასევე ოჯახებსა და გაერთიანებებში (განსაკუთრებით მათში, რომლებიც თავს მოციქულობას უძღვნიან), აგრეთვე მთელს სამრევლო საკრებულოში. მათ უნდა მოინახულონ სახლები და

სკოლები, როგორც ამას სამღვდლო ფუნქცია მოითხოვს, დიდი ყურადღება გამოიჩინონ მოზარდებისა და ახალგაზრდების მიმართ, ღარიბებსა და სნეულებს მამობრივი სიყვარულით მოეპყრან, და ბოლოს, საგანგებო ყურადღება მშრომელების მიმართ გამოავლინონ და შეეცადონ, ერთგულები ისე წარმართონ, რომ მათ სამოციქულო საქმეთა აღსრულებაში თავისი წვლილი შეიტანონ.

3. საკრებულოს ვიკარიუსები, როგორც საკრებულოების თანამშრომლები, სამღვდლო მსახურებაში ყოველდღიურად ძვირფას და ქმედით საქმეს ასრულებენ, საკრებულოს წინამძღვრის უფლებამოსილებისადმი დაქვემდებარებით. ამიტომ წინამძღვრებსა და ვიკარიუსებს შორის ძმური ურთიერთობა უნდა იყოს, და ურთიერთსიყვარული და პატივისცემა მუდამ სუფევდეს. ისინი ერთმანეთს უნდა შეეწიონ რჩევებით, დახმარებითა და მაგალითით და საკრებულოს მიმართ ზრუნვა ერთსულოვანი ნებითა და ერთობლივი მონღომებით განახორციელონ.

31. როდესაც ეპისკოპოსმა უნდა განსაჯოს, თუ რამდენად შესაფერისია მღვდელმსახური ამა თუ იმ საკრებულოს წარმართვისათვის, მან არა მარტო მისი მოძღვრება [ანუ თეორიული ცოდნა] უნდა გაითვალისწინოს, არამედ მისი ღმრთისმოსაობა, მოციქულური გულმოდგინება და სხვა ნიჭები და თვისებები, რომლებიც სულთათვის ზრუნვის სათანადოდ განხორციელებისთვის არის აუცილებელი.

საკრებულოს ფუნქციის მთელი არსი სულიერ კეთილდღეობაში მდგომარეობს. იმისათვის, რათა ეპისკოპოსმა საკრებულოთა აღჭურვა (provisionem) უფრო ადვილად და უკეთესად შეძლოს, მონესეთა უფლება უნდა შენარჩუნებულ იქნას, ხოლო ნებისმიერი უფლებები [თანამდებობაზე] წარდგენის, დანიშვნის ან მისი შენარჩუნების შესახებ უნდა გაუქმდეს. ასევე უნდა გაუქმდეს კონკურსის წესი (თუ ასეთი არსებობს), იქნება ის საზოგადო თუ კერძო. წინამძღვრებმა თავიანთ საკრებულოებში უნდა გაიხარონ მათი სამსახურის სიმდგრადით, რომელსაც სულიერი კეთილდღეობა მოითხოვს. ამგვარად, მოიხსნება განსხვავება გადაყენებად (amovibiles) და გადაუყენებად (inamovibiles) საკრებულოთა შორის, გადაისინჯება და გამარტივდება პროცედურა, რომელიც წინამძღვრების გადაყვანასა (translatione) და გადაყენებას (amotione) გულისხმობს. ამგვარად, ბუნებრივი და კანონიკური თანასწორობის შენარჩუნებით, ეპისკოპოსი უკეთესად დააკმაყოფილებს სულიერი კეთილდღეობის მოთხოვნილებებს.

ხოლო საკრებულოთა წინამძღვრებს, რომლებსაც ხანდაზმულობა ან სხვა სერიოზული მიზეზი ხელს უშლის, სამსახური წესისამებრ და ნაყოფიერად შეასრულონ, დაბეჯითებით მოვუწოდებთ, საკუთარი სურვილით ან ეპისკოპოსის შეთავაზების საფუძველზე, სამსახურზე უარი თქვან. ეპისკოპოსმა გადამდგარნი შესაფერისი პირობებით უნდა უზრუნველყოს.

32. და ბოლოს, სულთა გამოსხნა ის კრიტერიუმი უნდა იყოს, რომლითაც განისაზღვრება ან გადაისინჯება საკრებულოთა შექმნა (erectiones) ან გაუქმება (suppressiones), აგრეთვე სხვა სახის სიახლეები, რომლებსაც ეპისკოპოსმა საკუთარი უფლებამოსილებით შეიძლება განახორციელოს.

4. მონესენი

33. ყველა მონესენი (მათ შემდგომ სხვა ინსტიტუციების წევრებიც განეკუთვნებიან, რომლებიც ევანგელურ რჩევებს აღიარებენ), თავისი მოწოდების შესაბამისად, მოვალენი არიან, დიდი გულმოდგინებით იღვანონ ქრისტეს მთელი საიდუმლო სხეულის შენებისა და ზრდისათვის, აგრეთვე ცალკეული ეკლესიების კეთილდღეობისათვის.

ამ მიზნისკენ ისინი, უპირველეს ყოვლისა, ლოცვით, მონანიების საქმეებითა და საკუთარი ცხოვრების მაგალითით უნდა მიისწრაფვოდნენ. წმიდა კრება მათ ყოველივე ამის პატივისცემისა და გულმოდგინედ განხორციელებისკენ მოუწოდებს, რაც მათი განუხრელი ზრდის საფუძველი უნდა იყოს. ისინი სულ უფრო მეტად

უნდა ჩაერთონ გარეშე სამოციქულო საქმეებში და მხედველობაში ჰქონდეთ თავისი საკუთარი წესის (religionis) ხასიათი.

34. მოწესე მღვდელმსახურებმა, რომლებიც სამღვდლო სამსახურში იმყოფებიან და თავადაც საეპისკოპოსო ხარისხის მზრუნველი თანამშრომლები არიან, დღეს, მზარდი სულიერი მოთხოვნილებების გამო, ეპისკოპოსებს შეიძლება დიდი დახმარება გაუწიონ. ამიტომ, გარკვეული გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ ისინი მართლაც მიეკუთვნებიან დიოცეზის სამღვდლოებას, რადგან, სულიერ წინამძღვართა (praesulum) ხელმძღვანელობით სულებისთვის ზრუნვასა და სამოციქულო საქმეებში მონაწილეობენ. ხარისხის სხვა წევრებიც, კაცები და ქალებიც, რომლებიც თავადაც გარკვეული სახით დიოცეზურ ოჯახს განეკუთვნებიან, წმიდა იერარქიას დიდ დახმარებას უწევენ. მათ შეუძლიათ (და ეს კიდევ უნდა გააკეთონ) კიდევ უფრო მეტადაც დაეხმარონ მას, რისი აუცილებლობაც სამოციქულო მოთხოვნილებების ზრდით არის განპირობებული.

35. იმისათვის, რათა სამოციქულო საქმე ცალკეულ დიოცეზში ყოველთვის სრულიად შეთანხმებულად სრულდებოდეს და დიოცეზური დისციპლინის ერთობა სავსებით დაცული იყოს, შემდეგი ძირითადი პრინციპები არის დადგენილი:

1. ყველა მოწესეები, როგორც მოციქულთა მემკვიდრენი, ეპისკოპოსის მიმართ ერთგულად მორჩილნი და მოწინებულნი უნდა იყვნენ. ყოველთვის, როდესაც ისინი მოციქულობის საქმისკენ კანონიერად არიან მოწოდებულნი, მათ თავისი ფუნქცია ისე უნდა შეასრულონ, რომ თავად გახდნენ ეპისკოპოსის დამხმარენი და მისდამი დაქვემდებარებულნი.³¹ მოწესენი გულმოდგინედ და ერთგულად უნდა მისდევდნენ ეპისკოპოსთა დადგენილებებსა და მოწოდებებს, რათა კაცობრიობის გამოხსნის მსახურებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ. ამასთანავე, ინსტიტუციის სახე უცვლელი და კონსტიტუციათა შესაბამისი რჩება. ამ უკანასკნელთა მოდიფიკაცია, აუცილებლობის შემთხვევაში, მიზანდასახულად, კრების ამ დეკრეტის თანახმად შეიძლება მოხდეს. სულიერი მოთხოვნილებებისა და დიოცეზური სამღვდლოების ნაკლებობის გამო, ეპისკოპოსმა შეიძლება მოუწოდოს არა მხოლოდ მჭვრეტელობითი ცხოვრებით დაკავებულ სამოწესეო ინსტიტუციებს, დახმარება გაუწიონ მას სხვადასხვა სამღვდლო მსახურებაში, თითოეული ინსტიტუციის თავისებურებათა შესაბამისად. ზემდგომებმა შეძლებისდაგვარად მხარი უნდა დაუჭიროონ ამ დახმარებას, რომელიც შეიძლება საკრებულოზე დროებით პასუხისმგებლობის აღებასაც გულისხმობდეს.

2. მოწესენი, გარეშე მოციქულობისათვის მივლენილნი, საკუთარი წესის (religionis) სულით უნდა იყვნენ გამსჭვალულნი და რეგულარული მეთვალყურეობისა და თავის ზემდგომთა მიმართ დაქვემდებარების მიმართ მუდამ ერთგულნი რჩებოდნენ. თავად ეპისკოპოსები ამ მოვალეობას არ უნდა ამძაფრებდნენ.

3. აღმოყვანა, რომლითაც პაპი ან სხვა საეკლესიო უფლებამოსილი პირი მოწესეებს თავისთან გაიწვევს, რის შედეგადაც ისინი ეპისკოპოსთა იურისდიქციიდან გამოდიან, უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუციათა შინაგან წესს ეხება. მისი მეშვეობით ინსტიტუციებში ყველაფერი უფრო ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული, რაც სამოწესეო ურთიერთობების განვითარებისა და სრულყოფის საფუძველი უნდა გახდეს.³² ამასთანავე, მან საშუალება უნდა მისცეს უზენაეს პონტიფექსს, რომ ისინი თავის განკარგულებაში ჰყავდეს საყოველთაო ეკლესიის სასიკეთოდ,³³ ან სხვა უფლებამოსილ პირს — თავისი იურისდიქციის ეკლესიათა სასიკეთოდ. ამასთანავე, აღმოყვანა არ გამოირიცხავს იმას, რომ თითოეულ დიოცეზში მოწესეები ეპისკოპო-

31 შდრ. PIUS XII, Allocutio, 8 dec. 1950: Ō AAS 43 (1951), p. 28; PAULUS VI, Allocutio, 23 maii 1964: AAS 56 (1964), p. 571.

32 შდრ. LEO XIII, Const. ap. *Roannos Pontifices*, 8 maii 1881: acta Leonis XIII, vol. II (1882), p. 234 ss.

33 შდრ. PAULUS VI, Allocutio, 23 maii 1964: AAS 56 (1964), pp. 570-571.

სთა იურისდიქციას დაექვემდებარებიან სამართლის წესის თანახმად, რამდენადაც ამას მოითხოვს მათი სამღვდლო ფუნქციის შესრულება და სულთათვის ზრუნვის სწორად წარმართვა.³⁴

4. ყველა მონესენი, როგორც აღმოყვანილნი, ასევე არააღმოყვანილნი, ადგილობრივ ორდინარიუსთა ხელისუფლებას ექვემდებარებიან, რაც შემდეგ სფეროებს მოიცავს: ღმრთისმსახურების საჯარო აღსრულება (ამასთანავე, დაცული უნდა იყოს წესთა მრავალფეროვნება), სულთათვის ზრუნვა, ხალხისთვის წმიდა წინასწარმეტყველების გადაცემა, ქრისტეს ერთგულთა – უპირველეს ყოვლისა, ბავშვების – რელიგიური და მორალური აღზრდა, კატეხეზური სწავლება და ლიტურგიული განათლება, აგრეთვე სამღვდლოების სტატუსის ღირსება და სხვადასხვა საქმეები, რომლებიც წმიდა მოციქულობის აღსრულებას გულისხმობს. საერთო წესისა და მეთვალყურეობის თვალსაზრისით, მონესეთა კათოლიკური სკოლებიც ადგილობრივ ორდინარიუსებს ექვემდებარება. ამასთანავე, ძალაში რჩება მონესეთა უფლება, რომელიც ამ სკოლათა ხელმძღვანელობას გულისხმობს. თავის მხრივ, მონესენი ვალდებული არიან გაითვალისწინონ ყველაფერი, რასაც ეპისკოპოსთა კრებები თუ კონფერენციები კანონიერად ყველასთვის სავალდებულოდ ადგენს.

5. თანამშრომლობა უნდა განვითარდეს სხვადასხვა სამონესეო ინსტიტუციათა შორის, აგრეთვე მათსა და დიოცეზურ სამღვდლოებას შორის. უნდა არსებობდეს მჭიდრო კოორდინაცია ყველა სამოციქულო საქმესა და მოქმედებას შორის. ისინი მთლიანად უნდა იყოს დამოკიდებული სულთა და გონებათა ზებუნებრივ მიზანსწრაფვაზე, რომელიც სიყვარულზე იქნება აღმოცენებული და დაფუძნებული. სამოციქულო საყდარი ამ კოორდინაციისთვის საყოველთაო ეკლესიის მასშტაბით ზრუნავს, სულიერი მწყემსები იმავეს თავის დიოცეზში აკეთებენ, და ბოლოს, საპატრიარქო კრებები და ეპისკოპოსთა კონფერენციები საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედებენ.

ეპისკოპოსებმა ან ეპისკოპოსთა კონფერენციებმა, აგრეთვე ზემდგომმა მონესეებმა ან უმაღლეს ზემდგომ [პირთა] კონფერენციებმა, იმ სამოციქულო საქმეთა ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც მონესეთა მიერ სრულდება, წინასწარი ურთიერთთათბირის შედეგად უნდა იმოქმედონ.

6. ეპისკოპოსებსა და მონესეთა შორის ურთიერთობები შეთანხმებულად და ნაყოფიერად რომ განვითარდეს, ეპისკოპოსები და ზემდგომი მონესეები განსაზღვრულ დროსა და სასურველი სიხშირით უნდა შეიკრიბონ, რათა განიხილონ საკითხები, რომლებიც საზოგადოდ მოცემულ ტერიტორიაზე მოციქულობას ეხება.

თავი III

ეპისკოპოსთა თანამშრომლობა მრავალ ეკლესიათა საერთო კეთილდღეობისათვის

1. სინოდები, კრებები და განსაკუთრებით ეპისკოპოსთა კონფერენციები

36. ეკლესიის [არსებობის] პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული, ეპისკოპოსები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცალკეული ეკლესიების მესვეურნი იყვნენ, სიყვარულის ძმური ერთობითა და მოციქულებისთვის გადაცემული საყოველთაო მისიისთვის ზრუნვით, ერთობლივი ძალითა და ნებით იღწვოდნენ როგორც საზოგადო, ასევე ცალკეულ ეკლესიათა კეთილდღეობისათვის. ამ მოსაზრებით დაარსდა სინოდები, ადგილობრივი (provincialia) კრებები, დაბოლოს, პლენარული კრებები. მათზე ეპისკოპოსები ადგენენ თანაბარ წესებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს სხვადასხვა ეკლესიებში როგორც საარწმუნოების ქვამარიტების სწავლებისთვის, ასევე საეკლესიო დისციპლინისთვის.

წმიდა მსოფლიო კრებას სურს, რომ სინოდებისა და კრებების პატივდებული ინსტიტუციები კვლავ განმტკიცდეს, რათა უკეთესად და უფრო ეფექტურად განხორ-

34 შდრ. PIUS XII, Allocutio, 8 dec. 1950: l.c.

ციელდეს სარწმუნოების ზრდა და დისციპლინის შენარჩუნება სხვადასხვა ეკლესიაში, დროის მოთხოვნილებების შესაბამისად.

37. განსაკუთრებით ჩვენს დროში ეპისკოპოსები ხშირად სათანადო ნაყოფიერებით ვერ ასრულებენ თავის ფუნქციას, თუ ისინი სხვა ეპისკოპოსებთან მჭიდრო თანხმობასა და თანამშრომლობაში არ მოქმედებენ. ეპისკოპოსთა კონფერენციებმა, მრავალ ქვეყნებში უკვე დაარსებულმა, ნაყოფიერი მოციქულობის უცხადესი საბუთები წარმოადგინა. ამიტომ მოცემული წმიდა კრება მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მთელს დედამიწაზე ერთი ქვეყნისა თუ რეგიონის ეპისკოპოსები ერთად შეიკრიბონ. ისინი დადგენილ დროს უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, რათა ერთმანეთს თავისი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ. აზრთა ურთიერთგაცვლის შედეგი ძალთა ერთსულოვნება იქნება, რომელიც ეკლესიათა საერთო კეთილდღეობას მოხმარდება.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კრებას ეპისკოპოსთა კონფერენციების თაობაზე შემდეგი დადგენილება გამოაქვს:

38. 1) ეპისკოპოსთა კონფერენცია არის ერთგვარი შეკრება, რომელზეც ერთი ქვეყნისა თუ ტერიტორიის ეპისკოპოსები თავის სამღვდლო ფუნქციას ერთობლივად ასრულებენ, რათა ხელი შეუწყონ იმ უდიდეს სიკეთეს, რომელსაც ეკლესია ადამიანს სთავაზობს. ეს, უპირველეს ყოვლისა, მოციქულობის ფორმათა და მეთოდების საშუალებით ხორციელდება, რომლებიც დროის მოთხოვნილებებს უნდა შეეფერებოდეს.

2) ეპისკოპოსთა კონფერენციაში შედის ნებისმიერი წესის (ritus) ყველა ადგილობრივი ორდინარიუსი (გენერალური ვიკარიუსების გარდა), თანაშემწეები, დამხმარეები და სხვა ტიტულარული ეპისკოპოსები, რომლებიც სამოციქულო საყდრის ან ეპისკოპოსთა კონფერენციების მიერ დაკისრებულ საგანგებო ფუნქციას ასრულებენ. სხვა ტიტულარული ეპისკოპოსები, აგრეთვე რომის პონტიფექსის ლეგატები კანონიერად არ წარმოადგენენ კონფერენციის წევრებს იმ მისიის გამო, რომელსაც ისინი ამა თუ იმ ტერიტორიაზე ასრულებენ.

ადგილობრივ ორდინარიუსებსა და თანაშემწეებს გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის. დამხმარე და სხვა ეპისკოპოსებს, რომლებსაც კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ, კონფერენციის წესდება გადამწყვეტ ან მრჩეველ ხმას მიაკუთვნებს.

3) ეპისკოპოსთა ყოველმა კონფერენციამ თავისი წესდება უნდა შეიმუშავოს, რომელიც სამოციქულო საყდარმა უნდა სცნოს. მასში, სხვა საშუალებების გვერდით, ის სამსახურები უნდა იქნას გათვალისწინებული, რომლებიც მიზნის მიღწევას განსაკუთრებით ეფექტურად უწყობს ხელს. ასეთებია, მაგალითად, ეპისკოპოსთა მუდმივი საბჭო, საეპისკოპოსო კომისიები, გენერალური სამდივნო.

4) ეპისკოპოსთა კონფერენციის გადაწყვეტილებებს იურიდიულად სავალდებულო ძალა აქვთ, თუ ისინი ლეგიტიმურად იქნა მიღებული იმ წინამძღვართა (Praesulum) არა ნაკლებ ორი მესამედი ხმით, რომლებსაც გადამწყვეტი ხმა აქვთ კონფერენციაზე, და თუ ეს გადაწყვეტილებები სამოციქულო საყდარმა სცნო. ყოველივე ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საერთო კანონით არის განსაზღვრული ან სამოციქულო საყდრის საგანგებო მანდატით არის დადგენილი, რომლის გაცემა საკუთარი ინიციატივით ან თავად კონფერენციის თხოვნით ხდება.

5) თუ ამას საგანგებო ვითარება მოითხოვს, რამდენიმე ქვეყნის ეპისკოპოსებს, სამოციქულო საყდრის თანხმობით, შეუძლიათ ერთიანი კონფერენცია დაარსონ.

გარდა ამისა, საერთო კეთილდღეობის განვითარებისა და დაცვისათვის, ხელი უნდა შეეწყოს სხვადასვა ერთა საეპისკოპოსო კონფერენციებს შორის ურთიერთობებს.

6) აღმოსავლური ეკლესიების წინამძღვრებმა (Praesules) თავისი ეკლესიების დისციპლინა სინოდებზე უნდა დაიცვან და რელიგიის საკეთილდღეოდ მიმართულ მოქმედებას ეფექტურად ხელი შეუწყონ. ამიტომ დაბეჯითებით რეკომენდიებულია,

რომ მათ მთელი ტერიტორიის საერთო კეთილდღეობასაც გაუწიონ ანგარიში, სადაც სვადასხვა წესის რამდენიმე ეკლესია არსებობს. ამისათვის საჭიროა თათბირი განსხვავებული წესის შეკრებებზე, უფლებამოსილი ხელისუფლების მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად.

II. საეკლესიო პროვინციათა საზღვრები და საეკლესიო რეგიონთა ჩამოყალიბება

39. სულთა კეთილდღეობა მოითხოვს არა მარტო დიოცეზების, არამედ საეკლესიო პროვინციების საზღვრების სათანადო დადგენას და მიანიშნებს საეკლესიო რეგიონების შექმნის აუცილებლობას, რათა მოციქულობა სოციალური და ადგილობრივი ვითარების შესაბამისად უკეთ განვითარდეს, ხოლო ეპისკოპოსთა ურთიერთობები ერთმანეთთან, მიტროპოლიტებსა და იმავე ქვეყნის სხვა ეპისკოპოსებთან, აგრეთვე სამოქალაქო ხელისუფალთან უფრო მარტივი და ნაყოფიერი გახდეს.

40. მოცემული მიზნების მისაღწევას, წმიდა კრება შემდეგს დაადგენს:

1) სათანადოდ უნდა გადაისინჯოს საეკლესიო პროვინციების საზღვრები, ხოლო მიტროპოლიტების უფლებები და პრივილეგიები ახალი და შესაფერისი ნორმებით უნდა განისაზღვროს.

2) წესად უნდა იქცეს, რომ ყველა დიოცეზი და სხვა ტერიტორიალური საზღვრები, რომლებიც უფლებით დიოცეზს უტოლდება, ერთსა და იმავე საეკლესიო პროვინციას მიეკუთვნებოდეს. ამიტომ დიოცეზები, რომლებიც ამჟამად სამოციქულო საყდარს უშუალოდ ექვემდებარება და არცერთ სხვა დიოცეზთან გაერთიანებული არ არის, ან ერთ ახალ საეკლესიო პროვინციას უნდა ქმნიდეს ან ყველაზე ახლომდებარე თუ შესაბამის პროვინციას მიუერთდეს. საერთო კანონის ნორმის თანახმად, ისინი მთავარეპისკოპოსის სამიტროპოლიტო უფლებამოსილებას უნდა დაექვემდებარდნენ.

3) მიზანშეწონილი თუ იქნება, საეკლესიო კონფერენციები საეკლესიო რეგიონებად უნდა გაერთიანდეს, რომელთა ორგანიზაცია იურიდიულად უნდა დამტკიცდეს.

41. სასურველია, ეპისკოპოსთა უფლებამოსილმა კონფერენციებმა, 23-ე და 24-ე მუხლში დადგენილი ნორმების შესაბამისად, დასვას საკითხი პროვინციათა საზღვრების დადგენისა თუ რეგიონების ჩამოყალიბების შესახებ, და თავისი რჩევები და სურვილები სამოციქულო საყდარს მოახსენოს.

III. ეპისკოპოსები, რომლებიც დიოცეზთაშორის ურთიერთობებს ასრულებენ

42. სამღვდლო მოთხოვნილებები სულ უფრო მეტად მოითხოვს, რომ გარკვეული სამღვდლო ფუნქციები შეთანხმებულად წარიმართებოდეს და სრულდებოდეს. გარკვეული რეგიონისა თუ ქვეყნის ყველა ან რამდენიმე დიოცეზებისთვის უნდა დაარსდეს სამსახურები, რომელთა შესრულება ეპისკოპოსებსაც შეიძლება მიენდოს.

წმიდა კრების რჩევის თანახმად, პრელატებსა თუ ამ ფუნქციათა შემსრულებელ ეპისკოპოსებს, დიოცეზურ ეპისკოპოსებსა და საეპისკოპოსო კონფერენციებს შორის მუდამ უნდა არსებობდეს ძმური ურთიერთობა და ერთსულოვნება სამღვდლო მზრუნველობის საქმეში, რისი პირობებიც საერთო წესით უნდა განისაზღვროს.

43. სამხედროებისთვის სულიერი მზრუნველობა, მათი ცხოვრების პირობების საგანგებო ვითარებების გამო, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ამიტომ ყველა ქვეყანაში, შეძლებისდაგვარად, უნდა დაარსდეს ვიკარიაცი სამხედროები-

სთვის. ვიკარიუსებმა და კაპელანებმა, დიოცეზურ ეპისკოპოსებთან შეთანხმებით, თავი ამ რთულ საქმეს უნდა მიუძღვნან.³⁵

ამიტომ დიოცეზურმა ეპისკოპოსებმა სამხედროთათვის ვიკარიუსებს საკმარისად ბევრი მღვდელმსახურები უნდა გადასცენ, რომლებიც ამ მნიშვნელოვანი ფუნქციისთვის შესაფერისნი იქნებიან. ამასთანავე, ეპისკოპოსებმა მხარი უნდა დაუჭირონ სამხედროთა სულიერი კეთილღობისთვის სასარგებლო ინიციატივებს.³⁶

ძირითადი მითითებები

44. წმიდა კრება შემდეგს დაადგენს: კანონიკური სამართლის კოდექსის გადარევიკისას სათანადოდ უნდა განისაზღვროს კანონები, იმ პრინციპების ნორმათა შესაბამისად, რომლებიც მოცემულ დეკრეტში არის ჩამოყალიბებული. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იყოს კომისიათა და კრებათა მამების მიერ გამოთქმული შენიშვნები.

წმიდა კრება დაადგენს, რომ უნდა შეიქმნას გენერალური სახელმძღვანელოები (Directoria) სულელებისათვის ზრუნვის საქმეში. ეს საჭიროა ეპისკოპოსებისა და საკრებულოთა წინამძღვრებისთვის, რათა მათ მტკიცე საფუძვლები გააჩნდეთ თავისი სამღვდლო ფუნქციის უფრო ადვილად და ეფექტურად შესრულებისთვის.

უნდა შედგეს აგრეთვე სპეციალური სახელმძღვანელო (Directorium), რომელიც მოხმარდება სამღვდლო ზრუნვას ერთგულთა განსაკუთრებული ჯგუფების მიმართ, სხვადასხვა ქვეყნებისა და რეგიონებისთვის დამახასიათებელი ვითარებების გათვალისწინებით. საჭიროა აგრეთვე შედგეს სახელმძღვანელო (Directorium) ქრისტიანი ხალხის კატეხეზური აღზრდისათვის. მასში გადმოცემული უნდა იყოს ამ აღზრდის ფუნდამენტური პრინციპები და მიმართულებები, აგრეთვე განხილული იყოს იმ წიგნების მომზადება, რომლებიც ამ თემას ეხება. მოცემულ სახელმძღვანელოთა შედგენისას უნდა გათვალისწინებულ იქნას ის შენიშვნები, რომლებიც კომისიებმა ან კრებათა მამებმა გამოთქვეს.

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამ დეკრეტში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან ვადმოვგვცა, ამას პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ, ვანუნებთ და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1965 წლის 28 ოქტომბერი
მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
(მოჰყვება მამათა ხელმოწერები)

35 შდრ. S.C. CONSISTORIALIS, *Instructio de Vicariis Castrensibus*: 23 apr. 1951: AAS 43 (1951), pp. 562-565; *Formula servanda in relatione de statu Vicariatus Castrensis conficienda*, 20 oct. 1956: AAS 49 (1957), pp. 150-163; Decr. *De Sacrorum Limum Visitatione a Vicariis Castrensibus peragenda*, 28 febr. 1959: AAS 51 (1959), pp. 272-74; Decr. *Facultas audiendi confessiones militum Cappellanis extenditur*, 27 nov. 1960: AAS 53 (1961), pp. 49-50. – შდრ. აგრეთვე S. C. De RELIGIOSIS, *Instructio de Cappellanis militum religiosis*, 2 febr. 1955: AAS 47 (1955), pp. 93-97.

36 შდრ. S. C. CONSISTORIALIS, *Epistula a Em.mos PP. DD. Carinales atque Exc.mos PP. DD. Archiepiscopos, Episcopos ceterosque Ordinarios Hispanicae Ditionis*, 21 iun. 1951: AAS 43 (1951), p. 566.

დეკრეტი
სამონესეო ცხოვრების
განახლების შესახებ

PERFECTAE CARITATIS

პავლე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მსახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

დეკრეტი სამონესეო ცხოვრების განახლების შესახებ

1. კონსტიტუციაში, რომელსაც *Lumen gentium* — „ხალხთა ნათელი“ ეწოდება, წმიდა კრებამ წინასწარვე მიუთითა, რომ სრულყოფილი სიყვარულის ძიება სახარებისეული რჩევების საშუალებით დასაბამს საღმრთო მოძღვრის სწავლებასა და მაგალითებში იღებს. ის ზეციური სასუფეველის უცხადეს ნიშანს წარმოადგენს. ახლა კი კრებას განზრახული აქვს, განიხილოს საკითხი იმ ინსტიტუციათა ცხოვრებისა და დისციპლინის შესახებ, რომელთა წევრები უბინოებას, სიღატაკესა და მორჩილებას აღიარებენ, და მათი მოთხოვნილებები ჩვენი დროის ვითარების შესაბამისად დააკმაყოფილოს.

ეკლესიის დასაბამითგან არსებობდნენ ისეთი მამაკაცები და ქალები, რომლებიც სახარებისეულ რჩევათა მეშვეობით ცდილობდნენ, რაც შეიძლება უფრო თავისუფლად გაჰყლოდნენ ქრისტეს და მისთვის მიებაძათ. მათ შორის მრავალი, სული წმიდის შთაგონებით, განმარტოებით ცხოვრობდა, ან აარსებდა სამონესეო ოჯახებს, რომლებსაც ეკლესია სიხარულით იღებდა და თავისი უფლებამოსილებით დადებითად აფასებდა. ამის შედეგად, საღმრთო განზრახვით, რელიგიურ ჯგუფთა განსაცვიფრებელი სიმრავლე აღმოცენდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ ეკლესია არა მარტო განმზადებულიყო „ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა“ (2ტიმ. 3, 17) და „საქმედ მსახურებისა, აღსაშენებლად გუამისა ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 12) არამედ თავის შვილთა სხვადასხვა ნიჭებით შემოსილი, წარმოჩინებულიყო „ვითარცა სძალი შემკული ქმრისა მიმართ თვისა“ (გამოცხ. 21, 2), და მისი მეშვეობით განცხადებულიყო „მრავალფერი იგი სიბრძნე ღმრთისა“ (შდრ. ეფეს. 3, 10).

ნიჭთა ასეთ მრავალფეროვნებაში ყველა, ვისაც ღმერთი სახარებისეულ რჩევათა განხორციელებისკენ მოუწოდებს და ვინც მათ ერთგულად აღიარებს, უფალს თავს განსაკუთრებულად უძღვნის და მიჰყვება ქრისტეს, უმანკოსა და ღატაკს (შდრ. მათ. 8, 20; ლუკ. 9, 58), რომელმაც მორჩილებით ვიდრე „სიკუდილითა მით ჯუარისათა“ (შდრ. ფილ. 2, 8) ადამიანები გამოისყიდა და წმიდა ყო. ასე, შთაგონებულნი სიყვარულით, რომელიც მათ გულებში სული წმიდამ განფინა (შდრ. რომ. 5, 5), ისინი სულ უფრო მეტად ცხოვრობენ ქრისტესა და მისი სხეულისათვის, „რომელ არს ეკლესია“ (შდრ. კოლ. 1, 24). რაც უფრო მხურვალედ შეუერთდებიან ისინი ქრისტეს თავისი ძღვენით, რომელიც მთელ მათ ცხოვრებას მოიცავს, მით უფრო გამდიდრდება ეკლესიის ცხოვრება და უფრო ნაყოფიერი გახდება მისი მოციქულობა.

სახარებისეულ რჩევათა აღსარების საფუძველზე უფლისადმი მიძღვნილი ცხოვრების უდიდესი ღირებულება უკეთესად რომ წარმოჩნდეს და ის თავისი აუცილებელი ფუნქციით თანამედროვე ვითარებაში ეკლესიის კეთილდღეობას კიდევ უფრო მეტად რომ ემსახუროს, მოცემული წმიდა კრება აყალიბებს დებულებებს, რომლებიც სამონესეო ინსტიტუციების ცხოვრებისა და დისციპლინის განახლებისა და ადაპტაციის მხოლოდ ძირითად პრინციპებს მოიცავს (გათვალისწინებულია ინსტიტუციათა თავისებურებები), აგრეთვე ერთობლივი ცხოვრების იმ საზოგადოებათა ძირითად პრინციპებს, რომლებიც ალთქმებისა და საერო ინსტიტუციების გარეშე არსებობენ. ხოლო კერძო ნორმები, რომლებიც ძირითადი პრინციპების და-

მუშავებისა და გამოყენებისთვის არის აუცილებელი, კომპეტენტურმა უფლებამოსილმა პირებმა კრების შემდგომ უნდა დაადგინონ.

2. სამონესეო ცხოვრების განახლება და ადაპტაცია მთელი ქრისტიანული ცხოვრების წყაროებსა და ინსტიტუციების დასაბამიერ შთაგონებასთან მუდმივ დაბრუნებას და, იმავედროულად, დროის ცვლელად ვითარებასთან მათ შეთანხმებას ნიშნავს. ეს განახლება, სული წმიდისა და ეკლესიის იმპულსით წარმართული, შემდეგი პრინციპების თანახმად უნდა განხორციელდეს:

ა) სამონესეო ცხოვრების უმაღლესი ნორმა გულისხმობს: გავყვეთ ქრისტეს, ისე, როგორც ამას სახარება გვასწავლის. ეს უნდა იყოს ყველა ინსტიტუციებისთვის უზენაესი წესი.

ბ) თავად ეკლესიის კეთილდღეობა მოითხოვს, რომ ინსტიტუციებს თავისი საკუთარი სახე და ფუნქცია ჰქონდეთ. ამიტომ მათ უნდა აღიარონ და ერთგულად დაიცვან დამფუძნებელთა სული და საკუთარი განზრახვები, აგრეთვე ჯანსაღი ტრადიციები, რაც ერთობლიობაში ამა თუ იმ ინსტიტუციის მემკვიდრეობას წარმოადგენს.

გ) ყველა ინსტიტუციამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ეკლესიის ცხოვრებაში. საკუთარი თავისებურებების შესაბამისად, მან ეკლესიის ინიციატივები და განზრახვები უნდა გაითავისოს და შეძლებისდაგვარად განავითაროს. ეს ეხება ბიბლიის, ლიტურგიის, დოგმატიკის, სამღვდლო, ეკუმენურ, მისიონარულ და სოციალურ სფეროებს.

დ) ინსტიტუციებმა თავის წევრებს საკმარისი ინფორმაცია უნდა მიანოდოს თანამედროვე ადამიანის ცხოვრების პირობებისა და ეკლესიის პრობლემათა შესახებ, რათა სარწმუნოების შუქზე მათ ბრძნულად განსაჯონ თანამედროვე ვითარება და, სამოციქულო მოშურნეობით (zele) აღგზნებულებმა, ადამიანებს უფრო ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ.

ე) სამონესეო ცხოვრება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ მონესენი ქრისტეს უნდა გაჰყვნენ და ღმერთთან სახარებისეულ რჩევათა აღსარების საფუძველზე გაერთიანდნენ. საჭიროა სერიოზულად დაფიქრება იმის შესახებ, რომ ოპტიმალური ადაპტაცია ჩვენი დროის მოთხოვნილებებისადმი შედეგს ვერ გამოიღებს, თუ ის განახლების სულით არ იქნა შთაგონებული. ის ყოველთვის ძირითად როლს უნდა ასრულებდეს, თვით საგარეო საქმიანობაშიც.

3. ცხოვრების, ლოცვისა და მოღვაწეობის წესი ყველგან, განსაკუთრებით კი მისიათა ადგილებში, სათანადოდ უნდა შეესაბამებოდეს მონესეთა სადღეისო ფიზიკურ და ფსიქიკურ პირობებს, აგრეთვე - თითოეული ინსტიტუციის თავისებურების მიხედვით - მოციქულობის აუცილებლობას, კულტურულ მოთხოვნილებებსა და სოციალურ თუ ეკონომიკურ გარემოებებს.

ამავე კრიტერიუმების მიხედვით უნდა გადაისინჯოს ინსტიტუტების მმართველობის არსიც.

კონსტიტუციები, „სახელმძღვანელოები“ („directoria“), ჩვეულებების (usuum), ლოცვებისა და წესებისა (caeremoniarum) წიგნები, აგრეთვე სხვა სახის კოდექსები სათანადოდ უნდა გადაისინჯოს და, მოძველებული მითითებების გაუქმების შედეგად, მოცემული წმიდა კრების დოკუმენტების შესაბამისად გაფორმდეს.

4. განახლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული და ადაპტაცია სწორი, თუ ის ინსტიტუციის ყველა წევრის თანამშრომლობით განხორციელდება.

ხოლო განახლებისა და ადაპტაციის ნორმების დადგენა და კანონების ჩამოყალიბება, აგრეთვე საკმარისი და გონივრული გამოცდილების განსაზღვრა კომპეტენტური უფლებამოსილი პირების, უპირველეს ყოვლისა, გენერალური მეთაურების საქმეა. ამასთანავე, რამდენადაც საჭიროა, ძალაში რჩება, სამართლის ნორმის თანახმად, წმიდა საყდრის ან ადგილობრივ ორდინარიუსთა მიერ დამტკიცება. თა-

ვის მხრივ, ზემდგომი სათანადო ფორმით უნდა დაეთათბირონ და მოუსმინონ თავისი ინსტიტუციის წევრებს იმ საკითხებში, რომლებიც მთელი ინტიტუციისთვის საინტერესო პრობლემებს ეხება.

ქალთა მონასტრების განახლებისა და ადაპტაციისათვის შეიძლება მოუხმონოთ ფედერაციების ასამბლეისა და სხვა კანონიერად შეკრებილ გაერთიანებათა სურვილებსა და რჩევებს.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ განახლების იმედი უფრო მეტად უნდა ემყარებოდეს წესებისა და კონსტიტუციების დაცვას, ვიდრე კანონთა რიცხვის ზრდას.

5. ყველა ინტიტუციის წევრებს უნდა ახსოვდეთ, რომ სახარებისეულ რჩევათა აღსარებით მათ საღმრთო მოწოდებას პასუხი გასცეს. ამიტომ ისინი არა მარტო მკვდარნი არიან ცოდვისთვის (შდრ. რომ. 6, 11), არამედ სამყაროზე უარის თქმით, მხოლოდ ღმრთისათვის ცხოვრობენ. მთელი თავისი ცხოვრება მათ მის მსახურებას მიუძღვნეს. სწორედ ეს წარმოადგენს ერთგვარ განსაკუთრებულ ხელდასხმას, რომელსაც ნათლობის ხელდასხმაში ღრმად აქვს ფესვები გამდგარი და მას უფრო სრულად გამოხატავს.

მათ ისიც უნდა იცოდნენ, რომ რადგან ეს თვითმიძღვნა ეკლესიამ მიიღო, მათ ეკლესიის მსახურებაც ევალებათ.

ღმრთის მსახურება მათში სათნოებათა (*virtutum*) წვრთნას უნდა მოითხოვდეს და ავითარებდეს, უპირველეს ყოვლისა, სიმდაბლისა და მორჩილების, სიმტკიცისა და უბინოების, რომელთა მეშვეობითაც ისინი ქრისტეს დამდაბლებას (შდრ. ფილ. 2, 7-8) და, ამავე დროს, მის სულისმიერ ცხოვრებას (შდრ. რომ. 8, 1-13) იზიარებენ.

ამიტომ მოწესენი, თავისი ალტჰიმის ერთგულნი, ქრისტესთვის ყველაფერს ტოვებენ (შდრ. მათ. 10, 28) და მას შეუდგებიან, როგორც ერთადერთ სახმარს (შდრ. ლუკ. 10, 42; მათ. 19, 21). ისინი ისმენენ მის სიტყვას (შდრ. ლუკ. 10, 39) და ზრუნავენ ღმრთისაზე (შდრ. 1 კორ. 7, 32).

ამიტომ ნებისმიერი ინსტიტუციის წევრებმა, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ ღმერთს ეძიებენ, უნდა შეურწყან მჭვრეტელობა (მისი მეშვეობით ისინი გონებითა და გულით ღმერთს უკავშირდებიან) სამოციქულო სიყვარულს (მისი მეშვეობით ისინი ცდილობენ, გამოსყიდვის საქმეში მონაწილეობა მიიღონ და ღმრთის სასუფეველი გაავრცელონ).

6. ვინც სამოციქულო რჩევებს აღიარებს, უპირველეს ყოვლისა, ღმერთს უნდა ეძიებდეს და უყვარეს იგი, რომელმაც ჩვენ პირველმა შეგვიყვარა (შდრ. 1 იოან. 4, 10). ყველა ვითარებაში ის უნდა შეეცადოს, ქრისტესთან ერთად ღმერთში დაფარულ ცხოვრებას ენიოს (შდრ. კოლ. 3, 3). აქედან მომდინარეობს და საზრდოობს მოყვანის სიყვარული სამყაროს გამოსახსნელად და ეკლესიის აღსაშენებლად. ამ სიყვარულით ცხოველიყოფა და ხელმძღვანელობს სახარებისეულ რჩევათა გამოცდილებაც.

ამიტომ ინსტიტუციათა წევრები გულმოდგინე სიბეჯითით უნდა შეეცადონ, ქრისტიანული სულიერობის ჭეშმარიტი წყაროების საფუძველზე, ასაზრდოონ ლოცვის სული და თავად ლოცვა. უპირველეს ყოვლისა, მათ ყოველდღიურად ხელში უნდა ეჭიროთ წმიდა წერილი, რათა მისი კითხვითა და მასზე ფიქრით შეისწავლონ გარდამატებული მეცნიერება იესო ქრისტესი (შდრ. ფილ. 3, 8). მათ უნდა გულითა და ზაგით აღასრულონ საღმრთო ლიტურგია, განსაკუთრებით წმიდა ევქარისტიის საიდუმლოება, ეკლესიის სულის შესაბამისად, და ამ უმდიდრესი წაროდან თავისი სულიერი ცხოვრება ასაზრდოონ.

საღმრთო კანონისა და წმიდა საკურთხევის ტრაპეზთან დანაყრებულთ, მათ ძმურად უნდა უყვარდეთ ქრისტეს ასოები, ხოლო მღვდელთა მიმართ ისინი შვილებრივ მოწინებასა და სიყვარულს უნდა ამჟღავნებენ. ისინი სულ უფრო მეტად უნდა ცხოვრობდნენ და განიცდიდნენ ეკლესიასთან ერთად, და მის მისიას თავი მთლიანად მიუძღვნან.

7. ინსტიტუციები, რომლებიც მთლიანად მჭვრეტელობისთვის არის განკუთვნილი (მათი წევრები მხოლოდ ღმრთისათვის არიან მოცლილი მარტოობასა და დუმილში, ბეჯით ლოცვასა და სასიხარულო მონანიებაში), ყოველთვის ინარჩუნებენ (როგორი მძაფრიც არ უნდა იყოს ქმედითი მოციქულობის აუცილებლობა) უბრწყინვალეს ნაწილს ქრისტეს მისტიკურ სხეულში, რომელშიც „ასოებსა მას ყოველსა არა იგივე საქმე აქუს“ (რომ. 12, 4). თავისი ქებით მათ ღმრთისათვის უდიდესი მსხვერპლი მოაქვთ, ღმრთის ერს სინმიდის უხვი ნაყოფებით ასხივოსნებენ, თავისი მაგალითით აღაფრთოვანებენ და მის ზრდას ნაყოფიერი მოციქულობით უზრუნველყოფენ. ამგვარად, ისინი ეკლესიის ღირსებასა და ზეციურ მადლთა წყაროს წარმოადგენენ. და მაინც, მათი ცხოვრების წესი ზემოთ განხილული პრინციპებისა და განახლებისადმი მისადაგებული კრიტერიუმების შესაბამისად უნდა გადაისინჯოს. ამასთანავე, უწმიდესად უნდა იყოს შენარჩუნებული მათი განდგომა სამყაროსაგან და მჭვრეტელობითი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი წვრთნა.

8. ეკლესიაში მრავალი ინსტიტუცია არსებობს, როგორც სამღვდლო, ასევე საერო, რომლებიც სხვადასხვა სამოციქულო საქმეებისადმი არის მიძღვნილი. მათ სხვადასხვა ნიჭები გააჩნია, მათთვის მიცემული მადლის შესაბამისად: „გინა რომელი ჰმსახურებდეს მსახურებითა მით; გინა რომელი ასწავებდეს – სწავლითა მით; [...] რომელი მისცემდეს – უხუებით; რომელი ზედა-ადგებოდის – მოსწრაფებით; რომელი სწყალობდეს – მხიარულებით“ (რომ. 12, 5-8). „ხოლო განყოფანი მადლთანი არიან, და იგივე სული არს“ (1 კორ. 12, 4).

ამ ინსტიტუციებში თავად სამონესეო ცხოვრების ბუნებას წარმოადგენს სამოციქულო ქმედება და ქველმოქმედება, როგორც წმიდა მსახურება და სიყვარულის საქმე, რომელსაც მათ ეკლესია მიანდობს და რომელიც ეკლესიის სახელით სრულდება. ამიტომ მისი წევრების მთელი სამონესეო ცხოვრება სამოციქულო სულით უნდა განიმსჭვალოს, ხოლო მათი მთელი სამოციქულო ქმედება სამონესეო სულით უნდა აიგოს. სამონესეო ინსტიტუციების წევრებმა, უპირველეს ყოვლისა, თავის მოწოდებას რომ უპასუხონ, ანუ ქრისტეს გაჰყვნენ და მას მისი ასოების სახით ემსახურონ, აუცილებელია, რომ მათი სამოციქულო მოქმედება მასთან მჭიდრო ერთობას ემყარებოდეს. აქედან გამომდინარე, განმტკიცდება თავად სიყვარულიც ღმრთისა და მოყვასის მიმართ.

ამ ინსტიტუციებმა თავისი წეს-ჩვეულებები სათანადოდ უნდა შეუსაბამოს მოციქულობის მოთხოვნილებებს, რომლებსაც ისინი თავად ეძღვნება. სამონესეო ცხოვრება, სამოციქულო საქმეებისადმი მიძღვნილი, მრავალფეროვანი ფორმებით იმოსება. განახლება და ადაპტაცია ამ მრავალფეროვნებას აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს, ხოლო სხვადასხვა ინსტიტუციებში მათი წევრების ცხოვრება, ქრისტეს მსახურებისთვის განკუთვნილი, მათი საკუთარი და მათთვის შესაფერისი საშუალებებით უნდა საზრდოობდეს.

9. სამონასტრო ცხოვრების პატივსადაც ინსტიტუცია ერთგულად უნდა იყოს დაცული. ის ყოველდღიურად სულ უფრო მეტად უნდა გაბრწყინდეს თავისი ჭეშმარიტი სულით, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში. საუკუნეთა მანძილზე მან დიდი დამსახურება მოიპოვა ეკლესიისა და ადამიანთა თანამეგობრობის წინაშე. მონაზონთა მთავარ მოვალეობას წარმოადგენს თავმდაბალი და ამავე დროს კეთილშობილი მსახურება, რომელსაც ისინი მონასტრის კედლებში საღმრთო დიდებულებას უძღვნიან. მათ შეიძლება საღმრთო კულტს მთლიანად მიუძღვნან თავი დაფარულ ცხოვრებაში ან ლეგიტიმურად შეასრულონ მოციქულობისა თუ ქრისტიანული სიყვარულის ესა თუ ის საქმე. ამიტომ, ინსტიტუციის თავისებურების შენარჩუნების პირობებში, უნდა განახლდეს ძველი საქველმოქმედო ტრადიციები და ისე შეეთანხმოს ისინი დღევანდელ სულიერ მოთხოვნილებებს, რომ მონასტრები ქრისტიანული ხალხის აღმშენებლობის ერთგვარ ცოცხალ ცენტრებად (seminaria) იქცეს.

ასევე იმ ორდენებმა (religiones), რომლებიც თავისი განწესებითა თუ დადგენილებით მჭიდროდ არიან დაკავშირებული სამოციქულო ცხოვრებასთან, საგუნდო სამსახურსა და სამონასტრო წესრიგთან, თავისი ცხოვრების წესი ისე უნდა შეუსაბამონ მათთვის შესაფერის სამოციქულო მოთხოვნილებებს, რომ ეკლესიის სასიკეთოდ ერთგულად შეინარჩუნონ მათთვის დამახასიათებელი ცხოვრების ფორმა.

10. მოწესე საეროთა ცხოვრება, როგორც მამაკაცებისა, ასევე ქალებისა, თავისთავად წარმოადგენს სახარებისეულ რჩევათა აღსარების სრულყოფილ სტატუსს. ეს ცხოვრება ძალზე სასარგებლოა ეკლესიის სამღვდლო ფუნქციისათვის ახალგაზრდობის აღზრდის, ავადმყოფთათვის ზრუნვისა და სხვა სახის მსახურებათა აღსრულების საქმეში. ამიტომ წმიდა კრება მას დიდად აფასებს, მის წევრებს მათ მოწოდებაში განამტკიცებს და მოუწოდებს მათ, თავისი ცხოვრება დღევანდელი მოთხოვნილებებს შეუსაბამონ.

წმიდა კრება განაცხადებს, რომ ძმათა ინსტიტუციებში (მათი საერო ხასიათის შენარჩუნების ვითარებაში), გენერალური მეთავის გადანყვეტილებით, არაფერი უშლის ხელს იმას, რომ ზოგიერთმა წევრმა თავიანთ სახლებში, სამღვდელმსახურ მოთხოვნილობების დასაკმაყოფილებლად, წმიდა ხარისხი მიიღოს.

11. სეკულარული ინსტიტუციები თუმცა არ არის სამონესეო ინსტიტუციები, ისინი მაინც წარმოაგენს სახარებისეულ რჩევათა ჭეშმარიტ და სრულ აღსარებას იმ სამყაროში, რომელსაც ეკლესია ცნობს. ამ აღსარებას ხელდასხმა მოაქვს მამაკაცებისა და ქალებისათვის, საერო და სამღვდლო პირებისათვის, რომლებიც სამყაროში ცხოვრობენ. ამიტომ ისინი უნდა შეეცადონ, მთლიანად უძღვან თავი ღმერთს სრულყოფილ სიყვარულში, ხოლო თავად ინსტიტუციებმა თავისი საკუთარი და განსაკუთრებული, ე.ი. სეკულარული სახე შეინარჩუნონ, რათა წარმატებით და ყველგან — ასე ვთქვათ, სამყაროში და სამყაროსაგან — აღასრულონ მოციქულობა, რომლის აღსასრულებლადაც შეიქმნენ.

მათ ცხადად უნდა იცოდნენ, რომ ვერ შეძლებენ ასეთი ფუნქციის შესრულებას, თუ მათი წევრები საღმრთო და ადამიანურ საქმეებში ისე არ იქნებიან განსწავლულნი, რომ მართლაც იყვნენ საფუარი სამყაროში ქრისტეს სხეულის განსამტკიცებლად და საზრდელად. ამიტომ ხელმძღვანელებმა სერიოზულად უნდა იზრუნონ თავისი ინსტიტუციების წევრთა აღზრდისათვის (უპირველეს ყოვლისა, სულიერისთვის), აგრეთვე ხელი შეუწყონ მის შემდგომ გაღრმავებას.

12. უბინოება „სასუფევლისათვის ცათაჲსა“ (მათ. 19, 12), რომელსაც მოწესენი აღიარებენ, მაღლის უკიდურეს ნიჭად უნდა იქნეს მიჩნეული. ის განსაკუთრებული სახით ათავისუფლებს ადამიანის გულს (მდრ. 1 კორ. 7, 32-35), რათა ის სულ უფრო მეტად აღეგზნოს სიყვარულით ღმერთისა და ყველა ადამიანის მიმართ. ამიტომ უბინოება არის ციურ სიკეთეთა განსაკუთრებული ნიშანი და ყველაზე უფრო შესაფერისი საშუალება, რომლითაც მოწესეებს შეუძლიათ, მონდომებით მიუძღვან თავი საღმრთო მსახურებას და სამოციქულო საქმეებს. ასე მოაგონებენ ისინი ყველა ქრისტეს ერთგულს ამ განსაცვიფრებელ კავშირს, ღმრთის მიერ დაარსებულს, რომელიც მომავალ საუკუნეში მთლიანად უნდა განცხადდეს. ამ კავშირის ძალით ეკლესიას ერთადერთ საქმროდ ქრისტე ჰყავს.

ამიტომ აუცილებელია, რომ მოწესეებს, რომლებიც თავის აღთქმათა ერთგულად დაცვას ცდილობენ, სწამდეთ უფლის სიტყვებისა. ისინი უნდა ენდობოდნენ ღმრთის შემწეობას და თავისი ძალები გადაჭარბებულად არ შეაფასონ. ისინი ხორცის მოკვდინებისკენ უნდა ისწრაფოდნენ და გრძნობებს იმორჩილებდნენ. მათ არ უნდა უგულებელყონ ბუნებრივი საშუალებებიც, რომლებიც გონებრივ და სხეულებრივ სიჯანსაღეს უწყობს ხელს. ასე ისინი არ აჰყვებიან მცდარ თეორიებს, რომელთა თანახმად სრულყოფილი თავის შეკავება შეუძლებელია ან საზიანოა ადამიანის განვითარებისათვის. ერთგვარი სულიერი ინსტინქტით ისინი უარყოფენ

ყველაფერს, რაც მათ უბიწოებას საფრთხეს უქმნის. ყველას, განსაკუთრებით კი ზემდგომთ (Superiores) უნდა ახსოვდეთ, რომ უბიწოება უფრო საიმედოდ მაშინ არის დაცული, როდესაც ინსტიტუციის წევრებს შორის ერთობლივ ცხოვრებაში ჭეშმარიტად ძმური სიყვარული სუფევს.

სრულყოფილი შეკავების დაცვა ადამიანური ბუნების შინაგან მიდრეკილებებს ეხება. ამიტომ კანდიდატებს უბიწოების აღსარება (professionem castitatis) დაცვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ და ისინი მხოლოდ მაშინ მიიღებენ ამის უფლებას, როდესაც გაივლიან ნამდვილად საკმარის გამოცდას და აუცილებელ ფსიქოლოგიურ და აფექტურ სიმწიფეს მიაღწევენ. ისინი უნდა გააფრთხილონ არა მარტო იმ საშიშროების შესახებ, რომელიც უბიწოებას ემუქრება, არამედ ისინი უნდა აღზარდონ კიდევ ისე, რომ მათ ღმრთისადმი მიძღვნილი უქორწინებლობა მთლიანობაში მათი პიროვნების სიკეთედ მიითვალონ.

13. ნებაყოფლობითი სილატაკე, რომელიც ქრისტეს მიმდევრობას გულისხმობს, მისი ნიშანია, რომელიც დღეს განსაკუთრებით ფასობს. მოწესეები სილატაკეს გულმოდგინედ უნდა მისდევდნენ და, თუ საჭიროა, ის ახალი ფორმებითაც უნდა გამოხატონ. მისი მეშვეობით ქრისტეს სილატაკეს ვეზირებით, რომელიც ჩვენთვის „დაგალხაკანა მდიდარი იგი“, რათა ჩვენ მისი სიღარიბით გავმდიდრებულიყავით (შდრ. 2კორ. 8, 9; მათ. 8, 20).

რაც შეეხება სამონესეო სილატაკეს, არა კმარა ზემდგომებისადმი მორჩილება ქონებით სარგებლობის საქმეში, არამედ აუცილებელია, რომ მონესენი იყვნენ საქმითა და სულით ლატაკნი, ხოლო საუნჯე ცაში ჰქონდეთ (შდრ. მათ. 6, 20).

თავის მსახურებაში ყველას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ის მუშაობის საერთო კანონს ექვემდებარება. ცხოვრებისათვის და თავისი საქმისთვის აუცილებელი სახსრების მოპოვებით მათ უარი უნდა თქვან ყოველგვარ არააუცილებელ საზრუნავზე და მიენდონ ზეციური მამების განგებას (შდრ. მათ. 6, 25).

სამონესეო კონგრეგაციებმა თავის კონსტიტუციებში შეიძლება ნება დართონ თავის წევრებს, უარი თქვან მემკვიდრეობით მიღებულ ან მისაღებ სიმდიდრეზე.

ადგილობრივი გარემოებების გათვალისწინების საფუძველზე, ინსტიტუციები უნდა მიისწრაფვოდნენ სილატაკის ერთგვარად კოლექტიური მონაბობისაკენ. ისინი ნებაყოფლობით უნდა აძლევდნენ თავის ქონებას ეკლესიის სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ღარიბთა დასახმარებლად, რომლებიც ყველა მონესეს გულითადად უნდა უყვარდეს (შდრ. მათ. 19, 21; 25, 34-46; იაკ. 2, 15-16; 1იოან. 3, 17). ინსტიტუციათა პროვინციებმა და სახლებმა ერთმანეთში მატერიალური დოვლათი უნდა გაინაწილონ: ვისაც მეტი აქვს, უფრო ხელმოკლეებს უნდა დაეხმაროს.

ინსტიტუციებს (თუ მათი წესები და კონსტიტუციები საპირისპიროს არ ითვალისწინებს) აქვთ უფლება, ჰფლობდნენ ყველაფერს, რაც აუცილებელია დროებითი ცხოვრებისა და საქმისათვის. ამასთან ერთად, ისინი უნდა ერიდონ ყოველგვარ ფუფუნებას, გადაჭარბებულ მომხვეჭელობასა და სიმდიდრის დაგროვებას.

14. მორჩილების აღთქმით მონესენი მთლიანად უძღვნიან თავის ნებას ღმერთს, თითქოსდა მსხვერპლად სწირავენ მას საკუთარ თავს და ამის საშუალებით უფრო მყარად და საიმედოდ უერთდებიან გამომხსნელ საღმრთო ნებას. როგორც ქრისტე, რომელიც მამის ნების აღსასრულებლად მოვიდა (შდრ. იოან. 4, 34; 5, 30; ებრ. 10, 7; ფსალმ. 40 (39), 9), „ხატი მონისაჲ მიიღო“ (ფილ. 2, 7) და ვნებათაგან მორჩილება ისწავლა (შდრ. ებრ. 5, 8), ასე მონესენი, სული წმიდის ზემოქმედებით, სარწმუნოებაში ემორჩილებიან ზემდგომებს, რომლებიც ღმერთს განასახიერებენ და ქრისტეში მათ ყველა ძმათა მსახურებისკენ მიუძღვებიან, როგორც თავად ქრისტე მამისადმი მორჩილების გამო ძმებს ემსახურებოდა და მრავალთა გამოსასყიდად თავისი სული დადო (შდრ. მათ. 20, 28; იოან. 10, 14-18). ამგვარად, ისინი სულ უფრო მჭიდროდ უეკავშირდებიან ეკლესიის მსახურებას და ცდილობენ, მიაღწიონ ქრისტეს ასაკის სისრულეს (შდრ. ეფეს. 4, 13).

ამიტომ მოწესებმა თავისი ზემდგომების მიმართ უნდა გამოავლინონ მორჩილება, საღმრთო ნების მიმართ რწმენისა და სიყვარულის სულით გამსჭვალული, თანახმად წესდებათა და კონსტიტუციათა ნორმებისა. განანესების განხორციელებისა და მათთვის მინდობილი ფუნქციების აღსასრულებლად მოწესებმა უნდა მოიხმარონ თავისი გონებისა და ნების ძალები, აგრეთვე ბუნებისა და მადლის ნიჭი. მათ უნდა გაცნობიერებული ჰქონდეთ, რომ ისინი, საღმრთო განზრახვის შესაბამისად, ქრისტეს სხეულის აშენებისთვის იღწვიან. ასეთი სამონესეო მორჩილება არა მარტო ამცირებს ადამიანური პიროვნების ღირსებას, არამედ პირიქით, სიმნიფისკენ მიჰყავს ის, რადგან აფართოვებს ღმრთის შვილთა თავისუფლებას.

ხოლო ზემდგომნი, მათთვის მინდობილი სულებისათვის პასუხისმგებელნი (შდრ. ებრ. 13, 17), თავისი ფუნქციის შესრულებაში ღმრთის ნების მორჩილნი, ძმათათათვის მსახურების სულით გამსჭვალულნი, ისე უნდა სარგებლობდნენ თავისი უფლებამოსილებით, რომ სიყვარული გამოხატონ, რომლითაც ღმერთს ისინი უყვარს. მათ ქვეშევრდომებს როგორც ღმრთის შვილებს უნდა უხელმძღვანელონ, პატივი სცენ ადამიანის პიროვნებას, ხელი შეუწყონ მათ ნებაყოფლობით დაქვემდებარებას და აუცილებლად თავისუფლება მიანიჭონ, განსაკუთრებით იმ სფეროში, რომელიც მონანიების საიდუმლოსა და სულიერ ხელმძღვანელობას ეხება. ისინი მოწესებებს ამზადებენ იმისათვის, რომ მათი ფუნქციების შესრულებასა და სხვადასხვა ნამოწყებებში თანამშრომლობისას აქტიური და პასუხისმგებლობით აღსავსე მორჩილება გამოავლინონ. ამიტომ ზემდგომნი მზად უნდა იყვნენ მოწესეთა მოსასმენად და მხარი დაუჭირონ მათ ერთსულოვნებას ინსტიტუციისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ. ამასთანავე, ძალაში რჩება მათი უფლებამოსილება, გადანყვიტონ და განსაზღვრონ ის, რაც არის გასაკეთებელი.

მეთავეები (Capitula) და საბჭოები ერთგულად უნდა ასრულებდნენ მმართველობის საქმეში მათთვის მინდობილ ფუნქციას. თითოული მათგანი თვალებურად უნდა გამოხატავდეს ყველა წევრთა მონანილებასა და მზრუნველობას მთელი საკრებულოს სასიკეთოდ.

15. მათ ერთობლივი ცხოვრებით უნდა იცხოვრონ, პირველადი ეკლესიის მსგავსად, რომელშიც „სიმრავლისა მის მორწმუნეთაჲსა იყო გული და გონება ერთ“ (შდრ. საქმე 4, 32). ეს ცხოვრება უნდა საზრდოობდეს სახარებისეული მოძღვრებით, წმიდა ლიტურგიითა და განსაკუთრებით ექვარისტიით. ის ერთი და იმავე სულის (spiritus) ლოცვასა და ზიარებაში უნდა მიმდინარეობდეს (შდრ. საქმე 2, 42). მოწესენი, როგორც ქრისტეს ასოები, „მათ მოყუარებითა ურთიერთას მონლედ მოსურნე“, ურთიერთპატივისცემით ერთმანეთს უნდა უსწრებდნენ (შდრ. რომ. 12, 10) და „ურთიერთარს სიმძიმე“ იტვირთონ (გალ. 6, 2). ღმრთის სიყვარული, სული წმიდის მეშვეობით გულებშია განფენილი (შდრ. რომ. 5, 5) და საკრებულო, როგორც ჭეშმარიტი ოჯახი, უფლის სახელით შეკრებილი, მისი თანდასწრებით ხარობს (შდრ. მათ. 18, 20). „აღმასრულებელი მჯულისაჲ სიყუარული არს“ (რომ. 13, 10), „სიყუარული, რომელ-იგი არს სიმტკიცე სრულებისაჲ“ (კოლ. 3, 14). მისი მეშვეობით ჩვენ ვიცით, რომ „მივიცვალენით სიკუდილისაგან ცხოვრებას“ (1იოან. 3, 14). მეტიც: ძმათა ერთობა ქრისტეს მოსვლას ცხადყოფს (შდრ. იოან. 13, 35; 17, 21) და მისგან მოციქულობის დიდი ძალა მომდინარეობს.

წევრთა შორის ძმობის კავშირები უფრო მჭიდრო რომ იყოს, ისინი, ვისაც „მოქცეულნი“, „თანამშრომლები“ ან სხვა სახელი ეწოდება, ცხოვრებასა და საკრებულოს საქმეებთან მჭიდრო ურთიერთობაში უნდა იყვნენ. თუ გარემოებანი მართლაც სხვას არ გვთავაზობს, უნდა შევეცადოთ, ქალთა ინსტიტუციებში დების ერთ ხარისხზე (genus) გადავიდეთ. ამ დროს უნდა შენარჩუნებულ იქნას მხოლოდ ის განსხვავება პირთა შორის, რომელსაც საქმეთა სხვადასხვაობა მოითხოვს, იმ საქმეთა, რომლებისთვისაც დები განსაკუთრებული საღმრთო მონოდებით ან საგანგებო უნარებით არიან განკუთვნილნი.

რაც შეეხება მამაკაცთა მონასტრებსა და ინსტიტუციებს, რომლებიც მხოლოდ საერო პირთაგან არ შედგება, მათი თავისებურებისა და კონსტიტუციების ნორმების მიედვით, მათ შეუძლიათ თანაბარი პირობებით, თანასწორი უფლებებითა და მოვალეობებით სამღვდლოებისა და საეროთა მიღება, გარდა მათი, ვინც წმიდა ხარისხიდან მომდინარეობენ.

16. პაპის კლაუზურა ძალაში უნდა დარჩეს მონაზონი ქალებისათვის, რომლებიც მხოლოდ მჭვრეტელობით ცხოვრებას ეწევიან, მაგრამ ის უნდა შეიცვალოს დროისა და ადგილის გარემოებათა შესაბამისად, მოიხსნას მოძველებული ჩვეულებები და მოსმენილ იქნას თავად მონასტერთა ხმები.

ხოლო სხვა მონაზონი ქალები, რომლებიც დადგენილებით საგარეო მოციქულობას უძღვნიან თავს, პაპის კლაუზურიდან უნდა იქნენ აღმოყვანილნი, რათა მათ მათთვის მინდობილი მოციქულობის ფუნქციების უკეთესად შესრულება შეძლონ. ამასთანავე, უნდა შენარჩუნებულ იქნას კლაუზურა კონსტიტუციათა ნორმათა თანახმად.

17. სამონესეო სამოსი, როგორც ხელდასხმის ნიშანი, მარტივი და მოკრძალებული, ღარიბი და ამასთანავე ღირსეული უნდა იყოს. გარდა ამისა, ის უნდა პასუხობდეს ჯანმრთელობის, დროისა და ადგილის გარემოებებს, უნდა ესადაგებოდეს მოიქულობის მოთხოვნილებებს. სამოსი, როგორც მამაკაცებისა, ასევე ქალების, რომელიც ამ ნორმებს არ შეესაბამება, უნდა შეიცვალოს.

18. ინსტიტუციების განახლება და ადაპტაცია მაქსიმალურად დამოკიდებულია მისი ნევრების მომზადებაზე. ამიტომ ინსტიტუციის ნევრები, რომლებიც სამღვდლონი არ არიან, ასევე მოწესე ქალები, სამოციქულო საქმეების შესასრულებლად მაშინვე ნოვიციატის შემდეგ არ უნდა დაინიშნონ. მათი სამონესეო, სამოციქულო, სამოძღვრო და ტექნიკური მომზადება, რომელიც შესაბამისი ნოდებების მიღებასაც გულისხმობს, ამ მიზნისათვის სათანადოდ აღჭურვილ სახლებშიც უნდა გაგრძელდეს.

სამონესეო ცხოვრების თანამედროვე პირობების მოთხოვნილებებისადმი ადაპტაცია მხოლოდ გარეგნული რომ არ იყოს, ხოლო ვინც დადგენილების თანახმად გარეშე მოციქულობით არის დაკავებული, მან თავისი ფუნქციის შესრულება შეძლოს, მათ უნდა თანმიმდევრულად, გონებრივი ნიჭისა და პიროვნული თავისებურებების შესატყვისად, თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ზნე-ჩვეულებებსა და აღქმისა თუ ფიქრის ფორმებს გაეცნონ. ეს აღზრდა ელემენტების ჰარმონიული შერწყმის საფუძველზე ისე უნდა განხორციელდეს, რომ მან ნევრთა ერთობას ხელი შეუწყოს.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ნევრები უნდა ეცადონ, გულმოდგინედ სრულყონ ეს სულიერი, სამოძღვრო და ტექნიკური კულტურა. ამ მიზნის განხორციელებისთვის ზემდგომნი მათ შეძლებისდაგვარად სათანადო პირობებითა და დროით უნდა უზრუნველყოფდნენ.

ზემდგომთა მოვალეობას წარმოადგენს აგრეთვე ზრუნვა იმისათვის, რომ ხელმძღვანელები, სულიერი მოძღვარნი და მასწავლებლები ოპტიმალურად იყვნენ შერჩეულნი და საფუძვლიანად მომზადებულნი.

19. ახალი ინსტიტუციების შექმნისას საჭიროა სერიოზულად დაფიქრება მათი აუცილებლობის ან თუნდაც დიდი სარგებლობისა და განვითარების შესაძლებლობების შესახებ, რომ არ შეიქმნას უსარგებლო ან თუნდაც აუცილებელ ძალას მოკლებული ინსტიტუციები. ახალ ეკლესიებში ხელი უნდა განვითარდეს სამონესეო ცხოვრების ის ფორმები, რომლებიც მოსახლეობის ზნეთა თავისებურებასა და ადგილობრივ ჩვეულებებსა თუ გარემოებებს ითვალისწინებს.

20. ინსტიტუციებმა უნდა ერთგულად შეინარჩუნონ და განავითარონ მათი საკუთარი საქმე და, მთელი ეკლესიისა და დიოცეზის სარგებლობის გათვალისწინებით, შეუსაბამონ ისინი დროისა და ადგილის მოთხოვნილებებს. ამისთვის მათ სათანადო საშუალებები უნდა გამოიყენონ, მათ შორის ახალი. ამასთანავე, მათ უარი უნდა თქვან ისეთ საქმიანობაზე, რომელიც ინსტიტუციის სულსა და მის ქვეყნობაზე ბუნებას დღეს აღარ პასუხობს.

სამონესეო ინსტიტუციებში მთლიანად უნდა იყოს დაცული მისიონერული სული და, თითოეული მათგანის ხასიათის შესაბამისად, ის ისე უნდა შეესაბამებოდეს დღევანდელ მოთხოვნილებებს, რომ სახარების ქადაგება ყველა ხალხებისათვის კიდევ უფრო ქმედითი გახდეს.

21. იმ ინსტიტუციებსა და მონასტრებს, რომლებიც, ადგილობრივ ორდინარიულ-სთა აზრითა და წმიდა საყდრის განსჯით, მომავალი განვითარების იმედს არ იძლევა, უნდა აეკრძალოს მომავალში ნოვიციების მიღება. ეს ინსტიტუციები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა შეუერთონ სხვა ინსტიტუციებს ან უფრო წარმატებულ მონასტრებს, რომლებიც მისგან მიზნითა და სულისკვეთებით დიდად განსხვავებული არ იქნება.

22. საჭიროების მიხედვით და წმიდა საყდრის ნებართვის საფუძველზე, დამოუკიდებელმა ინსტიტუციებმა და მონასტრებმა უნდა ჩამოაყალიბოს ფედერაციები (თუ ისინი ამა თუ სახით ერთსა და იმავე სამონესეო ოჯახს მიეკუთვნება), კავშირები (თუ მათ თითქმის ერთნაირი კონსტიტუციები აქვს და მათი მოხმარების ფორმაც ერთნაირი სულისკვეთებით არის გამსჭვალული, განსაკუთრებით თუ ისინი მეტისმეტად სუსტია) ან ასოციაციები (თუ ისინი ერთი და იმავე ან მსგავსი საგარეო საქმეებით არის დაკავებული).

23. საჭიროა მხარი დაუჭიროთ უფროს ზემდგომთა კონფერენციებსა თუ საბჭოებს, რომლებიც წმიდა საყდრის მიერ შეიქმნა. მათ შეიძლება წარმატებით შეუწყოს ხელი ცალკეულ ინსტიტუციათა მიერ მათი მიზნის უფრო სრულყოფილად მიღწევას, ეკლესიის საკეთილდღეოდ უფრო ქმედითი ერთსულოვნების განვითარებას, განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახარების მუშაკთა უფრო განზრახვით გაზრდას, აგრეთვე მონესეებისთვის საერთო საკითხთა განხილვას. მოციქულობის განხორციელებასთან დაკავშირებით საეპისკოპოსო კონფერენციებთან სათანადო კოორდინაცია და თანამშრომლობა უნდა დამყარდეს.

მსგავსი კონფერენციები შეიძლება სეკულარული ინსტიტუციებისთვისა დაარსდეს.

24. მღვდელმსახურები და ქრისტიანული აღმზრდელები სერიოზულად უნდა შეეცადონ, რომ ეკლესიის მოთხოვნილებათა შესაბამისად კვლავ გაიზარდოს სამონესეო მონოდებანი, რომლებიც გულდასმით და საფუძვლიანად იქნება შერჩეული. ჩვეულებრივ (ordinaria) ქადაგებაშიც უფრო ხშირად არის საჭირო საუბარი სახარებისული რჩევებისა და სამონესეო სტატუსის მიღების შესახებ. მშობლები, რომლებიც თავის შვილებს ქრისტიანულ ზნეობათა შესაბამისად აღზრდიან, მათ გულებში სამონესეო მონოდება უნდა განავითარონ და დაიცვან.

ინსტიტუციებისთვის ნებადართულია გაავრცელონ თავის შესახებ ცნობები და მოძებნონ კანდიდატები, ოღონდ იმ პირობით, თუ ეს სათანადო გონივრულობითა და წმიდა საყდრისა და ადგილობრივი ორდინარიუსის მიერ დადგენილ ნორმათა დაცვით გაკეთდება.

ამასთან ერთად, მონესეებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი საკუთარი ცხოვრების მაგალითი წარმოადგენს მათი ინსტიტუციის საუკეთესო რეკომენდაციასა და სამონესეო ცხოვრების მიღების მონოდებას.

25. ინსტიტუციები, რომლებისთვისაც ადაპტაციისა და განახლების ეს ნორმები დგინდება, მზად უნდა იყვნენ, თავის საღმრთო მონოდებასა და ჩვენი დროის ეკლესიაში თავის ფუნქციას უპასუხონ. ნმიდა კრება დიდად აფასებს მათი ცხოვრების წესს, რომელიც უბინობაში, სილატაკესა და მორჩილებაში მიმდინარეობს. ასეთი ცხოვრების ნიმუში თავად უფალი ქრისტეა. კრებას მათი ნაყოფიერი საქმის დიდი იმედი აქვს, როგორც დაფარულის, ასევე ღიასი. ამიტომ მონესეებმა სრული რწმენით, ღმრთისა და მოყვასისადმი სიყვარულით, ჯვრისადმი სიყვარულითა და მომავალი დიდების იმედით ქრისტეს შესახებ კეთილი უწყება მთელს სამყაროში უნდა გაავრცელონ, რათა მათი მონობა ყველამ მიიღოს და ჩვენი მამა, რომელიც არის ცათა შინა, განდიდებულ იქნას (მდრ. მათ. 5, 16). ასე, უწმიდესი ღმრთისმშობლის, ქალწული მარიამის ლოცვით, „რომლის ცხოვრება ყველასთვის წესია,“¹ ისინი ყოველდღიურად გაიზრდებიან და გამოსხნის უფრო უხვ ნაყოფს მოიტანენ.

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამ დეკრეტში გამოცხადდა, ნმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან გადმოგვეცა, ამას პატივდებულ მამებთან ერთად სული ნმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ, ვანესებთ და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, ნმ. პეტრესთან, 1965 წლის 28 ოქტომბერი.
მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
(მოჰყვება მამათა ხელმოწერები)

1 S. AMBROSIUS, *De Virginitate*, I, II, c. II, n. 15.

დეკრეტი
მღვდელთა აღზრდის შესახებ

OPTATAM TOTIUS

პავლე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მსახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

დეკრეტი მღვდელთა აღზრდის შესახებ

შესავალი

წმიდა კრებას სავსებით გაცნობიერებული აქვს, რომ მთელი ეკლესიის სასურველი განახლება დიდად არის დამოკიდებული ქრისტეს სულით შთაგონებულ მღვდელთა მსახურებაზე.¹ კრება ადასტურებს სამღვდლო აღზრდის უაღრესად დიდ მნიშვნელობას და განაცხადებს ზოგიერთ ძირეულ პრინციპს, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე აპრობირებულ კანონებს განამტკიცებს. კრებას მათში გარკვეული სიახლეები შეაქვს, რომლებიც მოცემული წმიდა კრების კონსტიტუციებსა და დეკრეტებს, აგრეთვე დროის ცვალებად პირობებს შეესაბამება. თავად კათოლიკური მღვდელმსახურების ერთიანობის საფუძველზე ეს სამღვდლო მომზადება ორივე სამღვდლოებისა და ნებისმიერი წესის (ritus) მღვდელმსახურთათვის არის აუცილებელი. ამიტომ მოცემული მითითებები, რომლებიც უშუალოდ დიოცეზურ სამღვდლოებას შეეხება, სათანადო მოდიფიკაციებით ყველასთვის ღირებულია.

1. მღვდელთა აღზრდის პროგრამა ცალკეულ ქვეყნებში

1. ხალხთა და რეგიონთა უდიდესი მრავალფეროვნების გამო მხოლოდ ზოგადი კანონების ჩამოყალიბება არის შესაძლებელი. ცალკეული ქვეყნებისა და თითოეული წესისთვის „მღვდელთა აღზრდის პროგრამა“ უნდა შემუშავდეს, რომელსაც ეპისკოპოსთა კონფერენცია დაადგენს.² გარკვეული დროის შემდეგ ის უნდა გადაისინჯოს და სამოციქულო საყდრის მიერ იქნას აპრობირებული. უნივერსალური კანონები უნდა შეესაბამოს ადგილისა და დროის საგანგებო ვითარებებს, რათა მღვდელთა აღზრდა მუდამ შეესაბამებოდეს იმ რეგიონთა სამღვდლო მოთხოვნილებებს, რომლებშიც მსახურება უნდა განხორციელდეს.

1 ღმრთის მთელი ერის წინსვლა, თავად ქრისტეს ნებით, დიდად არის დამოკიდებული მღვდელთა მსახურებაზე. ეს ცხადია იმ სიტყვებიდან, რომლებითაც უფალმა მოციქულები და მათი მიმდევრები თუ თანამშრომლები დაადგინა სახარების მაუწყებლებად (praecones), ახლად რჩეული ერის წინმძღოლებად და ღმრთის საიდუმლოთა განმგებლებად (dispensatores). ამასვე ადასტურებს მამებისა და წმიდანების გამონათქვამები, აგრეთვე უზენაესი პონტიფიქსების მრავალჯერადი დოკუმენტები. იხ. უპირველეს ყოვლისა, S. PIUS X, exhort. ad clerum *Haerent animo*, 4 aug. 1908: S. PII X Acta IV, pp. 236-264. – PIUS XI, encycl. *Ad catholici Sacerdotii*, 20 dec. 1935: AAS 28 (1936), განსაკუთრებით pp. 37-52. – PIUS XII, adhort. apost. *Menti Nostrae*, 23 sept. 1950: AAS 42 (1950), pp. 657-702. – IOANNES XXIII, enycl. *Sacerdotii Nostri primordia*, 1 aug. 1959: AAS 51 (1959), pp. 545-579. – PAULUS VI, epist. apost. *Summi Dei Verbum*, 4 nov. 1963: AAS 55 (1963), pp. 979-995.

2 სამღვდელმსახურო განათლება მთლიანობაში, ანუ სემინარიის ორგანიზაცია, სულიერი განათლება, სასწავლო პროგრამა, აღსაზრდელთა ერთობლივი ცხოვრება და დისციპლინა, აგრეთვე სამღვდლო პრაქტიკა სხვადასხვა ადგილობრივ ვითარებებს უნდა შეესაბამოს. ეს ადაპტაცია ძირითად საკითხებში საერთო ნორმების თანახმად უნდა განხორციელდეს: სეკულარული (სამღვდლოებისთვის) – ეპისკოპოსთა კონფერენციების მიერ, ხოლო რეგულარული სამღვდლოებისთვის, შესაბამისად, უფლებამოსილი ზემდგომების მიერ (მდრ. *Statuta generalia constitutioni apostolicae Sedes Sapietiae adnexa*, art. 19).

II. სამღვდლო მონოდებისათვის მეტი ხელშეწყობა

2. მონოდებისათვის ხელშეწყობა არის ის მოვალეობა,³ რომელიც მთელს ქრისტიანულ საზოგადოებას ეხება. მან ის, უპირველეს ყოვლისა, სრული ქრისტიანული ცხოვრებით უნდა განახორციელოს, რასაც ხელს უწყობენ ოჯახები, სარწმუნოების, სიყვარულისა და მონივნების სულით შთაგონებულნი (ისინი ერთგვარ დაწყებით სემინარიებს წარმოადგენენ), აგრეთვე საკრებულოები, რომელთა ნაყოფიერ ცხოვრებაში თვით მოზარდებიც კი მონაწილეობენ. მოძღვარნი და ყველა, ვინც ამა თუ იმ სახით ბავშვებისა და ახალგაზრდების აღზრდისათვის ზრუნავს, განსაკუთრებით კი კათოლიკური გაერთიანებანი, უნდა შეეცადონ, მათთვის მინდობილი მოზარდები ისე აღზარდონ, რომ ისინი საღმრთო მონოდებას ჩასწვნი და მას სიხარულით გაჰყვნენ. ყველა მღვდელმსახურმა მაქსიმალური მოციქულური გულმოდგინებით ხელი უნდა შეუწყოს მონოდებებს და მოზარდთა სულები მღვდელმსახურებისკენ საკუთარი ცხოვრების მაგალითით მიიზიდოს. მისი ცხოვრება უნდა იყოს მოკრძალებული, ქმედითი და სიხარულით აღსავსე, სამღვდელმსახურო ურთიერთსიყვარულითა და აქტიური ურთიერთთანამშრომლობით გამსჭვალული.

რაც შეეხება ეპისკოპოსებს, მათი მოვალეობა არის, შეაგულიანონ სამწყსო, რათა ხელი შეუწყონ მონოდებებს და იზრუნონ ყველა ძალისა და შრომის გაერთიანებისთვის. დაე, ისინი, როგორც მამები, მსხვერპლს არ მოერიდონ და შემწეობა აღმოუჩინონ მათ, ვისაც უფლის ხვედრისთვის მონოდებულად მიიჩნევენ.

ღმრთის ერის ეს ქმედითი ერთსულოვნება მონოდებისთვის ხელშეწყობის საქმეში საღმრთო განგების ქმედებას შეესაბამება, რომელმაც ქრისტეს იერარქიულ მღვდელმსახურებაში მონაწილეობისთვის ღმრთივ რჩეული ადამიანები შესაბამისი ნიჭებით დააჯილდოვა და მათ თავისი მადლით დაეხმარა. ეკლესიის კანონიერ მსახურებს ის ავალებს, მოუწოდონ კანდიდატებს, რომლებიც ასეთი დიდი ფუნქციის შესრულებისკენ გულწრფელი სულისკვეთებითა და სრულად თავისუფლად მიისწრაფვიან, შემონებების შედეგად, ისინი სული წმიდის ბეჭდით დაამტკიცონ და ეკლესიის მსახურებას მიუძღვნან.⁴

წმიდა კრების რჩევაა, გამოყენებულ იქნას, უპირველეს ყოვლისა, ერთობლივი თანამშრომობის ტრადიციული საშუალებები, როგორიც არის გულმოდგინე ლოცვა, ქრისტიანული მონაწილეობა, აგრეთვე ქრისტეს ერთგულთა აღზრდა, რომელიც უფრო საფუძლიანი უნდა გახდეს; ის ხორციელდება ქადაგებით, კატეხიზაციით, აგრეთვე საზოგადოებრივი კომუნიკაციის სახვადასხვა საშუალებებით, რომლებიც სამღვდელმსახურო მონოდების აუცილებლობას, მის ბუნებასა და სიდიადეს ცხადყოფენ. გარდა ამისა, კრება ბრძანებს, რომ მონოდების საქმენი, რომლებიც ცალკეული დიოცეზის, რეგიონისა თუ ქვეყნის ფარგლებში ამ საკითხთან დაკავშირებული პაპის დოკუმენტების შესაბამისად უკვე გაკეთდა ან უნდა გაკეთდეს, უნდა წარმართოს მონოდებათა ხელშეწყობად მიმართული საყოველთაო სამღვდლო მოქმედების სახით, მეთოდურად და თანმიმდევრულად, ბრძნულად და მონდომებით, ყველა შესაფერისი საშუალების გამოყენებით, რომლებსაც დღეს ფსიქოლოგია და სოციოლოგია გვთავაზობს.⁵

3 ყველაზე უფრო მძიმე გასაჭირთა შორის, რომლებსაც ეკლესია დღეს განიცდის, თითქმის ყველგან მონოდებათა დიდი დეფიციტი დომინირებს. - შდრ. PIUS XII, *adhort. apost. Mentis Nostrae*: "როგორც კათოლიკურ რეგიონებში, ასევე მისიონერულ მიწებზე მღვდელმსახურთა რიცხვი უმეტეს შემთხვევაში მზარდ მოთხოვნილებებს არ შეესაბამება": AAS 42 (1950), p 682. - IOANNES XXIII: "საეკლესიო და სამონესეო მონოდებათა პრობლემა პაპის ყოველდღიური ზრუნვის საგანია" (*Ex allocutione ad I Congressum Internationalem de Vocationibus ad Status Perfectionis*, 16 dec. 1961: *L'Osservatore Romano*, 17 dec. 1961).

4 PIUS XII, *const. apost. Sedes Sapientiae*, 31 maii 1956: AAS 48 (1956), p.357. - PAULUS VI, *epist. apost. Summi Dei Verbum*, 4 nov. 1963: AAS 55 (1963), pp. 984 ss.

5 შდრ. განსაკუთრებით PIUS XII, *Motu proprio Cum nobis* "de Pontificio Opere Voationum Sacerdotalium apud S. Congregationem Seminariis et Studiorum Universitatibus praepositam constituendo", 4 nov. 1941: AAS 33 (1941), p. 479; ამავე კონგრეგაციის მიერ 8 სექტემბერს გამოქვეყნებული დადგენილე-

ამასთანავე აუცილებელია, რომ მოწოდებათა ხელშეწყობა თავისი გულუხვობით გასცდეს ცალკეული დიოცეზის, ქვეყნის, სამონესეო ოჯახისა და წესის ფარგლებს. საყოველთაო ეკლესიის მოთხოვნილებათა გათვალისწინების საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა, იმ რეგიონებს უნდა გაენიოს დახმარება, სადაც უფლის ვენახის მუშაკები განსაკუთრებით საჭირონი არიან.

3. მცირე სემინარიებში, რომლებიც მოწოდების ჩანასახების განვითარებისთვის იქნა დაარსებული, საგანგებო სამონესეო მომზადების მეშვეობით, უპირველეს ყოვლისა კი სათანადო სულიერი ხელმძღვანელობით, აღსაზრდელები უნდა მოამზადონ იმისათვის, რომ ისინი კეთილშობილი სულითა და წმინდა გულით გააჰყენენ ქრისტეს – გამომსყიდველს. ზემდგომთა მამობრივი ხელმძღვანელობითა და მშობლების სათანადო თანამშრომლობის პირობებში, მათ უნდა იცხოვრონ მოზარდთა ასაკის, სულისა და განვითარებისათვის შესაფერისი ცხოვრებით, რომელიც ჯანსაღ ფსიქოლოგიურ ნორმებს სავსებით შეესაბამება. უგულებელსაყოფი არ არის სათანადო ცხოვრებისეული გამოცდილება და ოჯახთან დამოკიდებულება.⁶ უფროსი სემინარიებისთვის დადგენილი წესები შეიძლება გამოყენებულ იქნას მცირე სემინარიებშიც, თუკი ისინი ამ სემინარიების მიზანსა და პროგრამას შეესაბამება. აღსაზრდელთა მეცადინეობა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მათ მისი გაგრძელება დაუბრკოლებლივ სხვაგანაც შეძლონ, თუ ისინი ცხოვრების სხვა სტატუსს აირჩევენ.

ასეთივე მზრუნველობით უნდა განვაავითაროთ მოზარდებისა და ახალგაზრდების მოწოდების ჩანასახები საგანგებო ინსტიტუტებში, რომლებიც გარკვეული ადგილობრივი ვითარების გამო იმავე მიზნებს ემსახურება, რასაც მცირე სემინარიები, აგრეთვე მათი, ვინც სხვა სკოლებსა თუ განათლების კერებში აღიზრდება. საფუძვლიანად უნდა ხელი შეეწყოს აგრეთვე ინსტიტუტებისა და სხვა ინიციატივებსაც, განკუთვნილს მათთვის, ვინც მონიჭულ ასაკში გადაწყვიტა, რომ მოწოდებას გააპყროს.

III. უფროსი სემინარიების ორგანიზაცია

4. უფროსი სემინარიები მღვდელმსახურთა მომზადებისთვის არის აუცილებელი. მათში მოწაფეთა აღზრდის მიყანი მათი ჭეშმარიტ სულიერ მწყემსებად ჩამოყალიბება უნდა იყოს, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მსგავსად, რომელიც არის მოძღვარი, მღვდელმსახური და მწყემსი.⁷ მაშასადამე, საჭიროა მათი მომზადება (ა) სიტყვის მსახურებისთვის, რათა ისინი უფრო ღრმად ჩასწვდნენ ღმრთის გამოცხადებულ სიტყვას, დაფიქრებით შეითვისონ ის და გამოხატონ ენითა და ზნეობით; (ბ) კულტმსახურებისა და წმიდაყოფისთვის, რათა ღოცვისა და წმიდა ლიტურგიისას გამოსხნის საქმე ევქარისტული მსხვერპლითა და საიდუმლოთა მეშვეობით აღასრულონ; (გ) მღვდელთა მსახურებისთვის, რათა იცოდნენ, როგორ წარმოადგინონ ქრისტე ადამიანთა წინაშე, რომელიც „არა მოვიდა, ვითარმცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი საჯსრად მრავალთა“ (მარკ. 10, 45; მდრ. იოან. 13, 12-17), რათა ყველას მონად ქცეულმა, უმრავლესნი შეიძინოს (მდრ. 1 კორ. 9, 19).

ამიტომ აღზრდის ყველა ასპექტი (სულიერი, გონებრივი და დისციპლინარული) შეთანხმებული ქმედებით ამ სამწყსო მიზნისაკენ უნდა მიემართოს. ხოლო ყველა ხელმძღვანელი და მოძღვარი ამ მიზნის მიღწევისაკენ დაბეჯითებით და შეთანხმებულად უნდა მიისწრაფოდეს. ამავე დროს, ისინი ერთგულად უნდა დაემორჩილონ ეპისკოპოსთა უფლებამოსილებას.

ბებისა და ნორმების დანართთან ერთად. – *Motu proprio Cum supraeae* “de Pontificio Opere primario religiosarum vocationum”, 11 febr. 1955: AAS 47 (1955), p. 266; წმიდა კონგრეგაციის მიერ გამოქვეყნებული დადგენილებებისა და ნორმების დანართით (იქვე, გვ. 298-301). – CONC. VAT. II, Decr. *de accomodata renovatione vitae religiosae*, n. 24. – Decr. *de pastorali Episcoporum munere in Ecclesia*, n. 15.

6 მდრ. PIUS XII, *adhort. apost. Menti Nostrae*, 23 sept. 1950: AAS 42 (1950), p. 685.

7 მდრ. CONC. VAT. II; *Const. dogm. de Ecclesia*, n. 28.

5. მოწაფეთა აღზრდა დიდად არის დამოკიდებული ბრძნულ კანონებსა და კარგ აღმზრდელებზე. ამიტომ სემინარიათა ხელმძღვანელები და მოძღვარნი საუკეთესო ადამიანთაგან უნდა იყვნენ არჩეულნი.⁸ საჭიროა მათი გულდასმით მომზადება საფუძვლიანი სწავლების, სათანადო სამღვდლო გამოცდილებისა და საგანგებო სულიერი და პედაგოგიური განათლების მეშვეობით. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ინსტიტუციების დაარსება, ან სათანადოდ ორგანიზებული კურსების ჩამოყალიბება მაინც, აგრეთვე სემინარიათა ხელმძღვანელების შეკრებათა ორგანიზაცია, რომლებიც გარკვეული სიხშირით ჩატარდება.

რაც შეეხება ხელმძღვანელებსა და მოძღვარს, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ მოწაფეთა აღზრდაში წარმატება დიდად არის დამოკიდებული მათი აზროვნებისა და მოქმედების წესზე. რექტორის ხელმძღვანელობით, მათ სულითა და ქმედებით უმჭიდროეს თანხმობას უნდა მიაღწიონ. ერთმანეთთან და აღსაზრდელებთან ერთად მათ ის ოჯახი უნდა ჩამოაყალიბონ, რომელიც უფლის ლოცვას შეეფერება: „რათა იყვნენ ერთობით“ (იოან. 17, 11). აღსაზრდელებში მათ იმ სიხარულს უნდა გაუფრთხილდნენ, რომელიც მათი მოწოდებით არის განპირობებული. ეპისკოპოსი გულმოდგინედ და სიყვარულით უნდა ამხნეებდეს სემინარიის თანამშრომლებსა და აღსაზრდელებს. იგი მათ წინაშე უნდა წარდგეს, როგორც ჭეშმარიტი მამა ქრისტეში. და ბოლოს, ყველა მღვდელმსახური სემინარიას როგორც დიოცეზის გულს უნდა აღიქვამდეს და მას სიხარულით ეხმარებოდეს.⁹

6. თვალმოუხუჭავი მზრუნველობით, თითოეული აღსაზრდელის ასაკისა და განვითარების დონის მიხედვით, საჭიროა დაკვირვება, თუ რამდენად სწორია კანდიდატების განზრახვა და თუ არის მათი გადანყვეტილება თავისუფალი ნებით განპირობებული. ამასთანავე, უნდა შემოწმდეს მათი სულიერი, ზნეობრივი და გონებრივი მზადყოფნა, ფიზიკური და ფსიქიკური სიჯანსაღე. გასათვალისწინებელია აგრეთვე ოჯახისგან მემკვიდერობით გადმოცემული მიდრეკილება. მნიშვნელოვანია ისიც, აქეთ თუ არა კანდიდატებს უნარი, იტვირთონ სამღვდელმსახურო მოვალეობა და აღასრულონ სამწყსო ფუნქციები.¹⁰

ყველაფერში, რაც აღსაზრდელთა არჩევასა და შემომწმებას ეხება, აუცილებელია სულის სიმტკიცე, მაშინაც კი, როდესაც მღვდელმსახურთა სავალალო ნაკლებობას განვიცდით,¹¹ რადგან ღმერთი არ დაუშვებს, რომ მის ეკლესიას მსახურნი მოაკლდეს, თუ მხოლოდ ღირსეულებს წარვადგენთ. ხოლო ვისაც მღვდელმსახურების სათანადო უნარი არ გააჩნია, მამობრივი ზრუნვით უნდა წარვმართოთ ისე, რომ მათ შესაფერის დროს სხვა პასუხისმგებლობა იტვირთონ. მათ ქრისტიანული მოწოდების გააცნობიერებაში უნდა დავეხმაროთ, რათა ისინი საერთო მოციქულობას სიხარულით შეუდგნენ.

7. იქ, სადაც ცალკეულ დიოცეზებს არ შეუძლიათ თავისი საკუთარი სემინარია კარგად მოაწყონ, რამდენიმე დიოცეზისთვის ან მთელი რეგიონისთვის საერთო სე-

8 შდრ. PIUS XI, encycl. *Ad Catholici Sacerdotii*, 20 dec. 1935: AAS 28 (1936), p. 37: “უპირველესი საქმე ხელმძღვანელთა და მოძღვართა საფუძვლიანი არჩევანი უნდა იყოს. მიეცით ასეთი სახის წმიდა სემინარიებს უდიდესი ღირსებით დაჯილდოვებული მღვდელმსახურნი. ნუ მოერიდებით, გვერდზე გადაადებინოთ მათ სერიოზული მოვალეობები: ისინი შეიძლება უფრო მნიშვნელოვნადაც გამოიყურებოდეს, მაგრამ მაინც ვერ შეედრება ამ მთავარ საქმეს, რომელსაც ვერაფერი შეცვლის”. საუკეთესოთა არჩევის ამ პრინციპის შესახებ ლაპარაკობს პიუს XII ბრაზილიელი ორდინარიუსებისადმი მიმართულ სამოციქულო წერილში (23 აპრილი 1947), *Discorsi e Radiomessaggi IX*, pp. 579-580.

9 სემინარიებისთვის დახმარების აღმოჩენის საერთო მოვალეობის შესახებ შდრ. PAULUS VI, epist. apost. *Summi Dei Verbum*, 4 nov. 1963: AAS 55 (1963), p. 984.

10 შდრ. PIUS XII, adhort. apost. *Menti Nostrae*, 23 sept. 1950: AAS 42 (1950), p. 684. – შდრ. S. C. DE SACRAMENTIS, litt. *circulares Magna equidem ad locorum Ordinarios*, 27 dec. 1935, n. 10. – მოწესეთა შესახებ შდრ. *Statuta Generalia adnexa Const. apost. Sedes Sapientiae*, 31 maii 1956, art. 33. – PAUKUS VI, epist. apost. *Summi Dei Verbum*, 4 nov. 1963: AAS 55 (1963), pp. 987 s.

11 შდრ. PIUS XI, encycl. *Ad Catholici Sacerdotii*, 20 dec. 1935: AAS 28 (1936), p. 41.

მინარიები უნდა დაარსდეს და განვითარდეს. ეს საშუალებას მოგვცემს, აღსაზრდელებს უფრო საფუძვლიანი განათლება მივცეთ, რაც ამ საქმის უზენაესი კანონია. ასეთი სემინარიები, როგორც რეგიონალური ასევე ნაციონალური, იმ წესდებებით უნდა ხელმძღვანელობდეს, რომლებიც ამ საქმით დაინტერესებულმა ეპისკოპოსებმა¹² დაადგინეს და სამოციქულო საყდარმა დაამტკიცა.

იმ სემინარიებში, სადაც ბევრი აღსაზრდელია, მმართველობისა და სწავლების ერთიანობა უნდა დავიცვათ. სასურველია აღსაზრდელების დანაწილება მცირე ჯგუფებად, რათა მათი პიროვნული განვითარება უფრო ნაყოფიერი იყოს.

IV. სულიერი აღზრდის გაღრმავება

8. სულიერი აღზრდა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სამოძღვრო და სამღვდლო აღზრდასთან. სულიერი ხელმძღვანელის დახმარებით,¹³ ის ისე უნდა განხორციელდეს, რომ აღსაზრდელებმა მამასთან მისი ძის იესო ქრისტეს მეშვეობით ღრმა და საფუძვლიანი კავშირში ცხოვრება ისწავლონ. ხელდასხმის მეშვეობით ისინი ქრისტეს – მღვდელმსახურს უნდა დაემსგავსონ. ისინი უნდა მიეჩვიონ, მასთან მთელი ცხოვრება, როგორც მეგობრებმა, მჭიდრო ურთიერთობაში გაატარონ.¹⁴ ქრისტეს აღდგომის საიდუმლოება მათ ისე უნდა განიცადონ, რომ მომავალში მას ის ხალხიც აზიარონ, რომელიც მათ იქნება მინდობილი. ქრისტეს ძიება მათ უნდა ისწავლონ ღმრთის სიტყვის შესახებ ერთგულად ფიქრში, ეკლესიის წმიდა საიდუმლოებებთან აქტიურ ურთიერთობაში, უპირველეს ყოვლისა, ევქარისტიასა და საღმრთო მსახურებაში (in officio divino);¹⁵ ეპისკოპოსში, რომელმაც ისინი მოავლინა და ადამიანებში, რომლებთანაც თავად მოვლენილ იქნენ, განსაკუთრებით ლატაკებში, ბავშვებში, სნეულებში, ცოდვილებსა და ურწმუნოებში. მათ შვილებრივი ნდობით უნდა უყვარდეთ და თავყვანს სცემდნენ უნეტარეს ქალწულს მარიამს, რომელიც ჯვარზე მომაკვდავმა ქრისტემ მოწაფეს როგორც დედა მიანდო.

დიდად დასაფასებელია წვრთნანი მონივნებაში, რომელთა მნიშვნელობა ეკლესიის საპატიო გამოცდილებამ დაადასტურა. ამავე დროს, სულიერი აღზრდა მხოლოდ მათ ერთობლიობას არ წარმოადგენს და არა მხოლოდ სამონესეო გრძნობას უნდა ავითარებდეს. აღსაზრდელებმა, უპირველეს ყოვლისა, სახარებისეულად ცხოვრება უნდა ისწავლონ, გაძლიერდნენ რწმენაში, იმედსა და სიყვარულში, რათა ამ ღირებულებათა წვრთნაში ლოცვის სული მოიპოვონ,¹⁶ თავისი მონოღება განამტკიცონ და დაიცვან, სხვა სათნოებებსაც ძალა შეჰმატონ და ყველა ადამიანის ქრისტესთვის შეძენის სურვილით განიმსჭვალონ.

9. აღსაზრდელები უნდა განიმსჭვალონ ეკლესიის საიდუმლოებით, რომელსაც მოცემულმა წმიდა კრებამ საგანგებოდ ნათელი მოჰფინა. მდაბალი და შვილობრივი სიყვარულით შეპყრობილნი, მღვდელმსახურებად აღზრდილნი, ისინი თავის ეპისკოპოსს როგორც ერთგული თანამშრომლები გვერდში უნდა ედგნენ და ძმებთან ერთად საერთო საქმე აკეთონ. მათ ის ერთობა უნდა დაამონონ, რომელიც ადამიანებს ქრისტესკენ მიიზიდავს.¹⁷ მათ უნდა ისწავლონ,

12 დადგენილია, რომ რეგიონალური თუ ნაციონალური სემინარიების წესდებათა განსაზღვრებაში ყველა დაინტერესებული ეპისკოპოსი უნდა მონაწილეობდეს. ამასთანავე გაუქმებულია 1357-ე კანონის მითითება, §4 CIC.

13 შდრ. PIUS XII, exhort. apost. *Menti Nostrae*, 23 sept. 1950: AAS 42 (1950), p. 674. – S.C. De SEM. ET STUD. UNIV., *La Formazione spirituale del candidato al sacerdozio*, Città del Vaticano 1965.

14 შდრ. S. PIUS X, exhort. ad Clerum catholicum, *Haerent animo*, 4 aug. 1908: S. PII X Acta, IV, p. 242-244. – PIUS XII, adhort. apost. *Menti Nostrae Primordia*, 1 aug. 1959: AAS 51 (1959), pp. 550 s.

15 შდრ. PIUS XII, encycl. *Mediator Dei*, 20 nov. 1947: AAS 39 (1947), pp. 547 ss. და 572 s. – IOANNES XXIII, adhort. apost. *Sacrae Laudis*, 6 ian. 1962: AAS 54 (1962), p. 69. – CONC. VAT. II, Const. de *Sacra Liturgia*, art. 16 და 17. – S.C. RITUUM, *Instructio ad executionem Constitutionis de Sacra Liturgia recte ordinandam*, 26 sept. 1964, nn. 14-17: AAS 56 (1964), pp. 880 s.

16 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Sacerdotii Nostrae Primordia*: AAS 51 (1959), pp. 559 s.

17 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de *Ecclesia*, n. 28.

გულუხვად მიიღონ მონაწილეობა მთელი ეკლესიის ცხოვრებაში, თანახმად წმ. ავგუსტინესი: „რამდენადაც ქრისტეს ეკლესია გვიყვარს, იმდენად გაგვაჩნია სული წმიდა“.¹⁸ აღსაზრდელებმა ნათლად უნდა გააცნობიერონ, რომ ისინი არა მბრძანებლობისთვის ან პატივისთვის არიან მონოდებულნი, არამედ მთლიანად ღმერთს უნდა ემსახურონ და სამღვდლო მსახურება აღასრულონ. მათში განსაკუთრებით ყურადღებით უნდა განვაავითაროთ სამღვდელმსახურო მორჩილება, ლატაკად ცხოვრების წესი და საკუთარი თავის უარყოფის სული,¹⁹ ისე, რომ შეეძლოთ უცბად უარი თქვან იმაზეც, რაც აკრძალული არ არის, მაგრამ უსარგებლოა, და ჯვარცმულ ქრისტეს დაემსგავსონ.

აღსაზრდელებმა უნდა იცოდნენ იმ ტვირთის შესახებ, რომელიც მათი ხვედრია. მათ არ უნდა დავუშალოთ სამღვდელმსახურო ცხოვრების სირთულეები. მიუხედავად ამისა, მათ მომავალ გარჯაში მხოლოდ საფრთხე კი არ უნდა დაინახონ, არამედ უფრო მეტად სულიერი ცხოვრებისთვის უნდა მოემზადონ, რომელსაც მათი სამღვდლო ქმედება მაქსიმალურ სიმტკიცეს შესძენს.

10. აღსაზრდელები, რომლებიც მათი წმიდა და მტკიცე კანონების შესაბამისად სამღვდლო უქორწინებულობის საპატიო ტრადიციას მისდევენ, საფუძვლიანად უნდა იყვნენ მომზადებულნი ამ სტატუსისათვის, რომელშიც ისინი „სასუფევლისათვის ცათაჲსა“ (მათ. 19, 12) საქორწინო ერთობაზე უარს ამბობენ. ისინი უფალს მისდევენ განუყოფელი სიყვარულით,²⁰ რომელიც ძირეულად შეეფერება ახალ აღთქმას, მონობენ მომავალი საუკუნის აღდგომას (შდრ. ლუკ. 20, 36)²¹ და საოცრად შესაფერის დახმარებას ჰპოვებენ იმ სრულყოფილი სიყვარულის მუდმივ წვრთნაში, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, სამღვდელმსახურო მსახურებაში ყველასათვის ყველაფერი გახდნენ.²² მათ ღრმად უნდა შეიგნონ, როგორი მაღლიერებით უნდა მიიღონ ეს სტატუსი; მათ ის არა მარტო როგორც საეკლესიო კანონის მითითება უნდა მიიღონ, არამედ როგორც ღმერთის ძვირფასი ნიჭი, რომელიც მოკრძალებით უნდა ითხოვონ და რომელსაც თავისუფლად და უხვად უნდა უპასუხოთ, სული წმიდის მაღლის ზემოქმედებითა და შემწეობით.

აღსაზრდელებმა კარგად უნდა იცოდნენ ქრისტიანული ქორწინების მოვალეობათა და ღირსების შესახებ, რომელიც ქრისტესა და ეკლესიას შორის სიყვარულს განასახიერებს (შდრ. ეფეს. 5, 32). მათ ნათლად უნდა იცოდნენ ქრისტესადმი მიძღვნილი ქალწულობის უპირატესობა,²³ რათა მონიფულად მოფიქრებული და დიდსულოვანი არჩევანის საფუძველზე, სხეულითა და სულით თავი უფალს მთლიანად მიუძღვნან.

ისინი უნდა გავაფრთხილოთ იმ საშიშროებათა შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით თანამედროვე საზოგადოებაში ემუქრება მათ სინმიდეს.²⁴ საღმრთო და ადამიანური საშუალებების გამოყენებით, მათ ისე უნდა ისწავლონ ქორწინებაზე უარის თქმა, რომ მათი ცხოვრება და მოღვაწეობა უქორწინებულობისაგან არა მარტო სრულიად არ დაზარალდეს, არამედ პირიქით: უკეთესად შეძლონ სულისა და სხეულის წარმართვა, მეტ სიმნიფეს მიაღწიონ და უფრო სრულყოფილად ჩასწვდნენ სახარების ნეტარებას.

18 S. AUGUSTINUS, *In Io. tract.* 32, 8: PL 35, 1646.

19 შდრ. PIUS XII, *adhort. apost. Menti Nostrae*: AAS 42 (1950), pp. 662 s., 685, 690. – IOANNES XXIII, *encycl. Sacerdotii Nostri Primordia*: AAS 51 (1959), pp. 551-553; 556 s. – PAULUS VI, *encycl. Ecclesiam suam*, 6 aug. 1964: AAS 56 (1964), pp. 634 s. – CONC. VAT. II, *Const. dogm. de Ecclesia*, განსაკუთრებით შენ. 8.

20 შდრ. PIUS XII, *encycl. Sacra Virginitas*, 25 mart. 1954: AAS 46 (1954), pp. 165 ss.

21 შდრ. S. CYPRIANUS, *De habitu virginum*, 22: PL 4, 475. – S. AMBROSIIUS, *De virginibus* I, 8, 52: PL 16, 202 s.

22 შდრ. PIUS XII, *adhort. apost. Menti Nostrae*: AAS 42 (1950), p. 663.

23 შდრ. PIUS XII, *encycl. Sacra Virginitas*, l.c., pp. 170-174.

24 შდრ. PIUS XII, *adhort. apost. Menti Nostrae*, l.c., pp. 664 და 690.

11. ქრისტიანული აღზრდის ნორმები წმიდად უნდა იყოს დაცული. საჭიროა მათი სათანადო შევსება უახლესი ფსიქოლოგიური და პედაგოგიური აღმოჩენებით. ამიტომ ბრძნულად წარმართული აღზრდის საფუძველზე მონაფეებში უნდა ჩამოყალიბდეს სათანადო ადამიანური სიმნიფე, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სულის გარკვეულ სიმტკიცეში, აზრიანი გადანყვეტილებების მიღების უნარში, აგრეთვე მოვლენებისა და ადამიანების შესახებ სწორ განსჯაში გამოიხატება. აღსაზრდელები თავისი ხასიათის ფორმირებას უნდა მიეჩვიონ, სულის სიმტკიცე გამოიმუშავონ და საერთოდ, იმ ღირებულებათა დაფასება ისწავლონ, რომლებიც ადამიანთა შორის განსაკუთრებით ფასობს და მათ ქრისტეს მსახურებისკენ იზიდავს.²⁵ ასეთია გულწფელობა, სამართლიანისთვის დაუღალავი ზრუნვა, დაპირების შესრულება, ურთიერთობაში ზრდილობა, საუბარში მოკრძალებულობა, სიყვარულთან შეზავებული.

სემინარიის ცხოვრების დისციპლინა უნდა შეფასდეს არა მარტო როგორც ერთობლივი ცხოვრებისა და სიყვარულის მტკიცე საყრდენი, არამედ როგორც მთელი აღზრდის განუყოფელი ნაწილიც. ის აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანი საკუთარი თავის განმგებელი იყოს, მიაღწიოს სრულ პიროვნულ სიმნიფეს და ჩამოიყალიბოს სხვა სულიერი თვისებები, რომლებიც ეკლესიის გეგმაზომიერ და ნაყოფიერ მოღვაწეობას მაქსიმალურად ხელს უწყობს. ეს დისციპლინა ისე უნდა განხორციელდეს, რომ აღსაზრდელები ზემდგომთა უფლებამოსილებას დამორჩილდნენ შინაგანი მზადყოფნის ანუ სინდისის საფუძველზე (მდრ. რომ. 13, 5), აგრეთვე ზებუნებრივი მიზეზებით. დისციპლინის ნორმები აღსაზრდელთა ასაკს ისე უნდა მიესადაგოს, რომ ისინი თანდათან მიეჩვიონ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებით გონივრულად სარგებლობას, სპონტანურად და მონდომებით მოქმედებას,²⁶ ძმებსა და საერო პირებთან თანამშრომლობას.

სემინარიის მთელი განრიგი, მონივნებისა და დუმილისკენ სწრაფვით, აგრეთვე ურთიერთდახმარების სურვილით გამსჭვალული, ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ის მღვდელმსახურის მომავალი ცხოვრების ერთგვარი ინიციატია იყოს.

12. იმისათვის, რომ სულიერ აღზრდას უფრო მყარი საფუძველი ჰქონდეს და აღსაზრდელები თავის მოწოდებას მოწიფული გადანყვეტილების საფუძველზე გაჰყვენენ, ეპისკოპოსებმა უნდა განსაზღვრონ შესაფერისი ვადა უფრო ინტენსიური დაწყებითი სულიერი სწავლებისთვის. მათ მოვალეობას წარმოადგენს აგრეთვე იმის განსაზღვრა, მიზანშეწონილია თუ არა სწავლაში ერთგვარი ნყვეტილის შემოღება ანუ დაწყებითი სამღვდლო პრაქტიკის შემოღება, რაც მღვდელმსახურობის კანდიდატების უკეთესად შემონმების შესაძლებლობას იძლევა. ცალკეული რეგიონის თავისებურებათა შესაბამისად, ეპისკოპოსებმა უნდა გადანყვიტონ, საჭიროა თუ არა ასაკობრივი ზღვარის გადანევა ხელდასხმისათვის, რომელიც ამჟამად საერთო კანონით არის განსაზღვრული. ეპისკოპოსებმა უნდა გადანყვიტონ აგრეთვე, მიზანშეწონილია თუ არა, რომ საღმრთისმეტყველო კურსის შემდგომ აღსაზრდელებმა გარკვეული დროის მანძილზე დიაკონური ხარისხი აღასრულონ, სანამ მღვდელმსახურნი გახდებიან.

V. საეკლესიო განათლების გადასინჯვა

13. აღსაზრდელების საკუთრივ საეკლესიო განათლების დაწყებამდე მათ ისეთი ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო განათლება უნდა მიიღონ, რომელიც ახალგაზრდებს მათ ქვეყანაში უმაღლესი განათლების მიღებაშიც დაეხმარება. გარდა ამისა, მათ უნდა შეისწავლონ ლათინური ენა, რომელიც აუცილებელია მათთვის ძალზე მრავალრიცხოვანი წყაროებისა და საეკლესიო დოკუმენტების გაგებისა და

25 მდრ. PAULUS VI, epist. apost. *Summi Dei Verbum*, 4 nov. 1963: AAS 55 (1963), p. 991.

26 მდრ. PIUS XII adhort. apost. *Menti Nostrae*, l.c., p. 686.

გამოყენებისათვის.²⁷ სავალდებულოდ უნდა იქნას მიჩნეული ლიტურგიული ენის შესწავლა, რომელიც ყოველ ცალკეულ წესში გამოიყენება. და ბოლოს, სასურველია წმიდა წერილისა და გადმოცემის ენათა სათანადო ცოდნაც.

14. საეკლესიო განათლების გადასინჯვისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება შემდეგს უნდა მიექცეს: ფილოსოფიური და თეოლოგიური დისციპლინები უფრო ჰარმონიულად უნდა შეენწყოს ერთმანეთს და ერთობლივად იყოს მიმართული აღსაზრდელთა გონებათათვის ქრისტეს საიდუმლოების სულ უფრო მეტად გახსნისკენ. ეს საიდუმლოება მთელს კაცობრიობას ეხება, ის განუწყვეტლივ ვითარდება ეკლესიაში და, უპირველეს ყოვლისა, სამღვდლო მსახურების მეშვეობით მოქმედებს.²⁸

ასეთი ხედვა აღსაზრდელებს თავიდანვე რომ ჩამოუყალიბდეთ, საეკლესიო განათლებას წინ შესავალი უნდა უძღოდეს, რომელსაც გარკვეული მოცულობა ექნება. გამოხსნის საიდუმლოება შესავალში ისე უნდა იყოს გადმოცემული, რომ აღსაზრდელები ჩასწვდნენ საეკლესიო დისციპლინათა მნიშვნელობას, მათ მიმდევრობასა და სამღვდლო მიზანს. მათ უნდა დავეხმაროთ, რათა შეძლონ, მთელი თავისი ცხოვრება სარწმუნოებაზე დააფუძნონ, სარწმუნოებით გამსჭვალონ და განმტკიცდნენ თავის მონოდებაში, რომელიც პიროვნული მზადყოფნითა და სიხარულით უნდა აღასრულონ.

15. ფილოსოფიური დისციპლინები ისე უნდა ვასწავლოთ, რომ აღსაზრდელები ადამიანის, სამყაროსა და ღმრთის შესახებ საფუძვლიან და მყარ ცოდნას დაეუფლონ. ამისათვის ისინი უნდა იცნობდნენ მუდამ ღირებულ ფილოსოფიურ მემკვიდრეობას,²⁹ გაითვალისწინონ თანამედროვე ფილოსოფიური გამოკვლევები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებსაც მათ ქვეყანაში ყველაზე დიდი გავლენა აქვთ, აგრეთვე უახლესი სამეცნიერო პროგრესი, რათა სწორად ჩასწვდნენ დღევანდელი თავისებურებას და სათანადოდ მოემზადონ თავისი დროის ადამიანებთან საუბრისათვის.³⁰

ფილოსოფიის ისტორია ისე უნდა გადმოცეთ, რომ აღსაზრდელებმა გაიგონ სხვადასხვა სისტემათა საწყისი პრინციპები, მიიღონ ის, რაც მათში არის ჭეშმარიტი, ხოლო შეცდომები საფუძველშივე შენიშნონ და უარყონ.

თავად სწავლების მეთოდი სიყვარულს უნდა აღვივებდეს აღსაზრდელებში. ის ჭეშმარიტების მკაცრი ძიებისკენ, დაცვისა და დამტკიცებისკენ გვიბიძგებს, რაც იმავდროულად ადამიანური შემეცნების საზღვრების პატიოსან აღიარებასაც გულისხმობს. ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ფილოსოფიასა და ცხოვრების ჭეშმარიტი პრობლემებს შორის მიმართებას, აგრეთვე შეკითხვებს, რომლებიც აღსაზრდელებს აღელვებს. მათ უნდა დავეხმაროთ, გაიგონ კავშირი ფილოსოფიურ განსჯასა და გამოხსნის საიდუმლოებებს შორის, რომლებიც თეოლოგიაში სარწმუნოების უმაღლეს შუქზე განიხილება.

16. სარწმუნოების შუქზე და ეკლესიის მოძღვრობის ხელმძღვანელობით³¹ თეოლოგიური დისციპლინები ისე უნდა იყოს გადმოცემული, რომ აღსაზრდელებმა

27 შდრ. PAULUS VI, epist. apost. *Summi Dei Verbum*, l. c., p. 993.

28 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, nn. 7 და 28.

29 შდრ. PIUS XII, encycl. *Humani generis*, 12 aug. 1950: AAS 42 (1950), pp. 571-575.

30 შდრ. PAULUS VI, encycl. *Ecclesiam suam*, 6 aug. 1964: AAS 56 (1964), pp. 637 ss. *Humani generis*, 12 aug. 1950: AAS 42 (1950), pp. 567-569. – Allocutio *Si diligis*, 31 maii 1954: AAS 46 (1954), pp. 314 s. – PAULUS VI, allocutio in Gregoriana Pontificia Studiorum Universitate habita, 12 mart. 1964: AAS 56 (1964), pp. 364 s. – CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 25.

31 შდრ. PIUS XII, encycl. *Humani generis*, 12 aug. 1950: AAS 42 (1950), pp. 567-569. – Allocutio *Si diligis*, 31 maii 1954: AAS 46 (1954), pp. 314 s. – PAULUS VI, allocutio in Gregoriana Pontificia Studiorum Universitate habita, 12 mart. 1964: AAS 56 (1964), pp. 364 s. – CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 25.

კათოლიკური მოძღვრება საღმრთო გამოცხადებიდან საფუძვლიანად შეითვისონ, მასში ღრმად შევიდნენ, ის თავისი სულიერი ცხოვრების საზრდოდ აქციონ³² და მისი სამღვდლო მსახურებაში უწყება, გადმოცემა და დაცვა შეძლონ.

წმიდა წერილის სწავლას (ის მთელი თეოლოგიის ერთგვარი სული უნდა იყოს)³³ აღსაზრდელები განსაკუთრებული მონდომებით უნდა ვაზიაროთ. სათანადო შესავლის შემდეგ ისინი საფუძვლიანად უნდა გაეცნონ ეგზეგეზის მეთოდს და ჩასწვდნენ საღმრთო გამოცხადების ძირითად თემებს. წმიდა წიგნების ყოველდღიურ კითხვასა და მათზე ფიქრში მათ სტიმული და საზრდო უნდა მიიღონ.³⁴

დოგმატური თეოლოგიის გადმოცემისას ჯერ ბიბლიური თემები უნდა იყოს მოცემული. აღსაზრდელებს უნდა ვაჩვენოთ, თუ რა წვლილი შეიტანეს აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების მამებმა გამოცხადების ცალკეულ ჭეშმარიტებათა ერთგულად გადმოცემისა და დამუშავების საქმეში. შემდგომ უნდა გადმოიცეს დოგმის ისტორია, გათვალისწინებულ იქნას მისი კავშირი ეკლესიის ზოგად ისტორიასთან,³⁵ რაც შეიძლება მეტი ნათელი უნდა მოეფინოს გამოხსნის საიდუმლოებებს; აღსაზრდელებმა, წმ. თომას მოძღვრების თანახმად, მათში ღრმად შესვლა და მათ შორის ურთიერთკავშირის დანახვა უნდა ისწავლონ.³⁶ მათ უნდა შეეძლოთ ამ საიდუმლოებათა ამოცნობა ლიტურგიულ ქმედებებსა³⁷ და ეკლესიის მთელს ცხოვრებაში, სადაც ისინი მუდამ არსებობენ და მოქმედებენ. აღსაზრდელებმა ადამიანური პრობლემების გადაწყვეტა გამოცხადების შუქზე უნდა ეძიონ, მისი საუკუნო ჭეშმარიტებები ადამიანთა ცვალებად სამყაროს მიუსადაგონ და თანამედროვეებს ისინი მათთვის შესაფერისი ფორმით გადასცენ.³⁸

ასევე უნდა განახლდეს სხვა თეოლოგიური დისციპლინები ქრისტეს საიდუმლოსა და გამოხსნის ისტორიასთან მათი მიმართების კუთხით. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მორალური თეოლოგიის სრულყოფა, რომლის სამეცნიერო გადმოცემამ (ის არსებითად ემყარება წმიდა წერილის მოძღვრებას) ნათელი უნდა მოჰფინოს ერთგულთა ამაღლებულ მონოდებას ქრისტეში და მათ მოვალეობას, სამყაროს ცხოვრებისათვის სიყვარულით ნაყოფი გამოიღონ. კანონიკური სამართლისა და საეკლესიო ისტორიის გადმოცემაში გასათვალისწინებელია ეკლესიის საიდუმლო, თანახმად დოგმატური კონსტიტუცისა „ეკლესიის შესახებ“, რომელიც ამ კრებამ გამოცა. წმიდა ლიტურგია, რომელიც

32 შდრ. S. BONAVENTURA, *Intenarium mentis in Deum*, Prol., n. 4: “(წურავინ) დაიჯერებს, რომ საკმარისია კითხვა ცხების გარეშე, სპეკულაცია გაცემისათვის მზადყოფნის გარეშე, კვლევა თაყვანისცემის გარეშე, მიმოხილვა ალტაცების გარეშე, მეცნიერება ღმრთისმოსაობის გარეშე, ჭკუა სიმდაბლის გარეშე, სიბეჯითე საღმრთო მადლის გარეშე, მჭვრეტელობა ღმრთივ შთაგონებით სიბრძნის გარეშე” (S. BONAVENTURA, *Opera Omnia, V, Quaracchi 1891, p. 296*).

33 შდრ. LEO XIII; ENCYCL: *Providentissimus Deus*, 18 nov. 1893: ASS 26 (1893-94), p. 283.

34 შდრ. COMMISSIO BIBLICA, *Instructio de Sacra Scriptura recte docenda*, 13 maii 1950: AAS 42 (1950), p. 502.

35 შდრ. PIUS XII, encycl. *Humani Generis*, 12 aug. 1950: AAS 42 (1950), pp. 568 s.: “...წმიდა დისციპლინები მუდამ ახალგაზრდოვანება წმიდა წყაროთა შესწავლით. გამოცდილებიდან ვიცი, რომ საპირისპირო თვალსაზრისი, რომელიც წმიდა მემკვიდრეობის შემდგომ კვლევას უგულვებელყოფს, უნაყოფო ხდება.”

36 შდრ. PIUS XII, *Sermo ad Alumnos Seminariorum*, 24 iunii 1939: AAS 31 (1931), p. 247: “ჭეშმარიტების ძიებასა და გავრცელებაში შეჯიბრი... წმიდა თომას მოძღვრების რჩევათა შესაბამისად, არა თუ მოიხსნება, არამედ პირიქით, გაძლიერდება და უფრო მტკიცედ წარიმართება”. – PAULUS VI, *Allocutio in Gregoriana Pont. Studiorum Univ. habita*, 12 mart. 1964: AAS 56 (1964), p. 365: “(მასწავლებლები)... მონინებით უნდაისმენდნენ ეკლესიის მოძღვრებას სმას, რომელთა შორის საღმრთო აქვინელს უპირველესი ადგილი უკავია. დოქტორ ანგელიკუსის ნიჭის ძალა ისეთი დიდია, ისეთი გულწრფელია ჭეშმარიტების სიყვარული და ისეთი ღრმა არის მისი სიბრძნე, რომელიც უმაღლესი ჭეშმარიტებების გამოკვლევაში, განმარტებასა და მათ ერთმანეთთან დაკავშირებაში ვლინდება, რომ მისი მოძღვრება ყველაზე უფრო ქმედითი ხაშუალება ხდება არა მარტო სარწმუნოების საფუძვლების მტკიცედ შენახვისათვის, არამედ ჯანსაღი განვითარების ნაყოფის სასარგებლო და უტყუარი მოპოვებისთვის”. – შდრ. აგრეთვე 1965 წლის 10 სექტემბერს თომისტების VI საერთაშორისო კონგრესის წინაშე წარმოთქმული სიტყვა.

37 შდრ. CONC. VAT. II, *Const. de Sacra Liturgia*, nn. 7 და 16.

38 შდრ. PAULUS VI, encycl. *Ecclesiam suam*, 6 aug. 1964: AAS 56 (1964), pp. 640 s.

ჭეშმარიტად ქრისტიანული სულის პირველ და აუცილებელ წყაროდ უნდა მივიჩნიოთ, უნდა ისწავლებოდეს წმიდა ლიტურგიის შესახებ კონსტიტუციის 15-ე და 16-ე კონსტიტუციის თანახმად.³⁹

სხვადასხვა რეგიონებში არსებული ვითარების სათანადოდ გათვალისწინების საფუძველზე, აღსაზრდელებს მეტი ინფორმაცია უნდა მიენროდოს ეკლესიებისა და საეკლესიო საკრებულოების შესახებ, რომლებიც რომის სამოციქულო საყდრისგან არის გამიჯნულნი, რათა მათ, მოცემული წმიდა კრების მითითებათა შესაბამისად, შეძლონ, ყველა ქრისტიანს შორის ერთობის აღდგენის საქმეში თავისი წვლილი შეიტანონ.⁴⁰

აღსაზრდელებს სხვა რელიგიებიც უნდა გავაცნოთ, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონში განსაკუთრებით არის გავრცელებული. მათ უნდა გაიგონ, ღმრთის განზრახვით, რა გააჩნიათ ამ რელიგიებს კარგი და ჭეშმარიტი, ისწავლონ შეცდომების უარყოფა და შეძლონ ჭეშმარიტების ნათლის გადმოცემა მათთვის, ვისაც ის არ გააჩნია.

17. სამოძღვრო აღზრდის მიზანი მარტო ცნებათა გადმოცემა კი არ არის, არამედ აღსაზრდელთა ჭეშმარიტი შინაგანი ფორმირებაა. ამიტომ უნდა გადაისინჯოს დიდაქტიკური მეთოდები, რომლებსაც ლექციებში, საუბრებსა და სავარჯიშოებში ვიყენებთ, აგრეთვე აღსაზრდელთა მეცადინეობით (როგორც ინდივიდუალურით, ასევე ჯგუფურით) დაინტერესების საშუალებები. ყურადღება უნდა მიექცეს მთლიანობაში აღზრდის ერთიანობასა და სიმტკიცეს, თავი უნდა ავარიდოთ დისციპლინათა და ლექციათა მეტისმეტად დიდ რაოდენობას და შევეშვათ იმ კითხვებს, რომლებსაც თითქმის აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვთ; სჯობს, ისინი უფრო მაღალი აკადემიური კვლევის საგანი გავხადოთ.

18. ეპისკოპოსებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ სათანადო ხასიათით, ღირსებითა და ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდები გავაგზავნოთ სპეციალურ ინსტიტუტებში, ფაკულტეტებზე თუ უნივერსიტეტებში წმიდა მეცნიერებათა და სხვა საჭირო საგანთა შესასწავლად. ამგვარად უნდა მოვამზადოთ უმაღლესი სამეცნიერო განათლების მქონე მღვდელმსახურნი, რომლებიც შეძლებენ მოციქულობის სხვადასხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. არავითარ შემთხვევაში არ უნდა უგულებელვყოთ მათი სულიერი და სამღვდლო განათლება, განსაკუთრებით თუ ისინი ჯერ მღვდელმსახურნი არ გამხდარან.

VI. საკუთრივ სამღვდლო აღზრდის გაუმჯობესება

19. სამღვდლო მზრუნველობა, რომელმაც მთლიანობაში აღსაზრდელთა განათლებაზე უნდა მოახდინოს გავლენა,⁴¹ გულისხმობს მათ საფუძვლიან მომზადებასაც წმიდა მოძღვრობასთან საგანგებოდ დაკავშირებულ საკითხებში. ასე-

39 CONC.VAT.II, Const. de Sacra Liturgia, nn. 10, 14, 15, 16. – S.C. RITUM, *Instructio ad executionem Constitutionis de Sacra Liturgia recte ordinandam*, 26 sept. 1964, nn. 11 et 12: AAS 56 (1964), pp. 879 s.

40 შდრ. CONC.VAT.II, *Decretum de Oecumenismo*, nn. 1, 9, 10.

41 თუ როგორი უნდა იყოს მღვდლის სრულყოფილი სახე, ამის შესახებ შეიძლება დავასკვნათ უკანასკნელი პონტიფიკატების საბუთებიდან, სადაც დანვრილებით არის ლაპარაკი მღვდელმსახურთა ცხოვრების, ნიჭთა და აღზრდის შესახებ. იხ. უპირველეს ყოვლისა, S. PIUS X, *exhortatio ad Clerum Haerent animo*: S.PII X Acta IV, pp. 237 ss. – PIUS XI, *encycl. As Catholici Sacerdotii*: AAS 28 (1936), pp. 5 ss. – PIUS XII, *adhort. apost. Menti Nostrae*: AAS 42 (1950), pp. 657 ss. – IOANNES XXIII, *encycl. Sacerdotii Nostrae primordia*: AAS 51 (1959), pp. 545 ss. – PAULUS VI, *epist. apost. Summi Dei Verbum*: AAS 55 (1963), pp. 979 ss. – სამღვდლო მომზადების შესახებ მრავალი ცნობისთვის იხ. აგრეთვე *encycl. Mystici Corporis (1943), Mediator Dei (1947), Evangelii Praecones (1951), Sacra Virginitas (1954), Musicae Sacrae Disciplina (1955), Princeps Pastorum (1959)*, აგრეთვე Const. apost. *Sedes Sapientiae (1956)* მონესეთა შესახებ. – პიუს XII, იოანე XXIII და პავლე VI სემინარიელებისა და მღვდელმსახურთა მიმართ წარმოთქმულ სიტყვებში ხშირად განმარტავდნენ კეთილი მწყემსის სახეს.

თებია, უპირველეს ყოვლისა, კატეხიზაცია და ქადაგება, ლიტურგიული კულტურისა და საიდუმლოთა განწესება (sacramentorum administratio), ქველმოქმედება, შემცდართა და ურწმუნოთათვის დახმარების განწესის მოვალეობა, აგრეთვე სხვა სამღვდლო ფუნქციები. საჭიროა მათი საფუძვლიანი განათლება სულიერი ხელმძღვანელობის საქმეშიც, რათა შეეძლოთ, ეკლესიის ყველა შვილი მოამზადონ სრულიად გაცნობიერებული და სამოციქულო ქრისტიანული ცხოვრებისათვის და თავისი სტატუსისათვის დამახასიათებელი მოვალეობის შესრულებისათვის. ასეთივე მზრუნველობით მათ უნდა ისწავლონ დახმარების განწესება მონესე კაცებისა და ქალებისათვის, რათა ისინი თავისი მონოდების მაღლით იყვნენ მოცულნი და, სხვადასხვა ინსტიტუციათა თავისებურების შესაბამისად, წარმატებას მიაღწიონ.⁴²

აღსაზრდელებში უნდა განვითარდეს სათანადო უნარ-ჩვევები, რომლებიც ხელს შეუწყობს ადამიანებთან დიალოგის დამყარებას. ასეთია სხვების მოსმენის უნარი და ქველმოქმედებით გამსჭვალული გულთბობა სხვადასხვა ადამიანური პრობლემის წინაშე.⁴³

20. აღსაზრდელებმა უნდა ისწავლონ დამხმარე საშუალებებით სარგებლობა, რომლებსაც პედაგოგიური, ფსიქოლოგიური თუ სოციოლოგიური დისციპლინები გთავაზობს,⁴⁴ ზუსტი მეთოდებისა და საეკლესიო ხელისუფლების მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად. ისინი საფუძვლიანად უნდა მოვამზადოთ იმისათვის, რომ მათ შეეძლოს, განაწიონ საერონი სამოციქულო მოღვაწეობისათვის⁴⁵ და ხელი შეუწყონ მოციქულობის სხვადასხვა, უფრო ნაყოფიერი ფორმების განვითარებას. აღსაზრდელები უნდა განიმსჭვალონ ჭეშმარიტად კათოლიკური სულით, რომელიც მათ აჩვენებს საკუთარი დიოცეზის, ქვეყნისა თუ წესის საზღვრების გადალახვას და მთელი ეკლესიისთვის დახმარების განწესებას, რათა შინაგანად მზად იყვნენ, სახარება ყველგან იქადაგონ.⁴⁶

21. აღსაზრდელებმა აუცილებლად უნდა ისწავლონ მოციქულობის აღსრულების ხელოვნება, არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც. მათ უნდა შეეძლოთ მოქმედება საკუთარი პასუხისმგებლობით და სხვებთან თანამშრომლობაში. ამიტომ სწავლის პერიოდშიც და არდადეგების დროსაც ისინი შესაფერისი წვრთნის მეშვეობით უნდა შეუდგნენ სამღვდლო პრაქტიკას, რაც აღსაზრდელთა ასაკისა და ადგილობრივი ვითარების შესაბამისად უნდა განხორციელდეს, ეპისკოპოსთა კეთილგონიერი განსჯის თანახმად, მეთოდურად და სამღვდლო საქმეში გამოცდილ ადამიანთა ხელმძღვანელობით. მუდამ უნდა გვახსოვდეს ზებუნებრივ საშუალებათა მნიშვნელობაც.⁴⁷

VII. სასწავლო პერიოდის შემდგომი განათლება

22. დღევანდელი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ვითარებაში სრულიად აუცილებელია, სემინარიებში სწავლის დასრულების შემდეგაც გაგრძელდეს და

42 სტატუსის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც სახარებისეულ რჩევათა აღსარებით განისაზღვრება, შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, cap. VI; Decret. *de accommodata renovatione vitae religiosa*.

43 შდრ. PAULUS VI, encycl. *Ecclesiam suam*, 6 aug. 1964: AAS 56 (1964) ხშირად, განსაკუთრებით გვ. 635.

44 შდრ. განსაკუთრებით IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*, 15 maii 1961: AAS 53 (1961), pp. 401 ss.

45 შდრ. განსაკუთრებით CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 33.

46 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 17.

47 პაპის მრავალი დოკუმენტი გვაფრთხილებს, რომ სახიფათოა სამღვდლო მოქმედებაში ზებუნებრივი მიზნის უგულვებელყოფა ან თუნდაც პრაქტიკულად ზებუნებრივ საშუალებათა გუთვალისწინებლობა. შდრ. განსაკუთრებით 41-ე შენიშვნაში ხსენებული დოკუმენტები.

სრულყოფა განიცადოს სამღვდელმსახურო განათლებამ.⁴⁸ ეპისკოპოსთა კონფერენციების მოვალეობაა, თითოეულ ქვეყანაში გამოიყენონ შესაფერისი საშუალებები, როგორც არის სამღვდლო ინსტიტუტები, რომლებიც სათანადოდ შერჩეულ საკრებულოებთან თანამშრომლობენ, პერიოდული შეკრებები და სათანადო წვრთნანი (პრაქტიკა). მათი საშუალებით ახალგაზრდა სამღვდლოება შეძლებს სულიერი, ინტელექტუალური და სამღვდლო ასპექტით თანდათანობით ეზიაროს სამღვდელმსახურო ცხოვრებასა და სამოციქულო მოღვაწეობას, კიდევ უფრო მეტად განაახლოს და განავითაროს ისინი.

დასკვნა

მოცემული წმიდა კრების მამები განაგრძობენ ტრიდენტის კრებაზე დაწყებულ საქმეს და ნდობით აკისრებენ სემინარიათა ხელმძღვანელებსა და მოძღვრებს, აღზარდონ ქრისტეს მომავალი მღვდელმსახურები განახლების სულით, რომელსაც ეს წმიდა კრება უჭერს მხარს. მამები დაბეჯითებით მოუწოდებენ მათ, ვინც ემზადება სამღვდლო მსახურებისთვის, გააცნობიერონ, რომ მათ მინდობილია ეკლესიის იმედი და სულთა გამოხსნა. დაე, მათ სიხარულით მიიღონ მოცემული დეკრეტის ნორმები და მოიტანონ უხვი ნაყოფი, რომელიც საუკუნოდ დარჩება.

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამ დეკრეტში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან გადმოგვეცა, ამას პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ, ვანებსებთ და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1965 წლის 28 ოქტომბერი
მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
(მოჰყვება მამათა ხელმოწერები)

48 წმ. საყდრის უკანასკნელი დოკუმენტები დაბეჯითებით მიუთითებენ ახალ მღვდელმსახურთათვის ზრუნვის აუცილებლობაზე. აღსანიშნავია, უპირველეს ყოვლისა, შემდეგი: PIUS XII, *Motu proprio quandoquidem*, 2 aprilis 1949: AAS 41 (1949), pp. 165-167; exhortatio apost. *Menti Nostrae*, 23 septembris 1950: AAS 42 (1950); constitutio apostolica (pro Religiosis) *Sedes Sapientiae*, 31 maii 1956 et Statuta generalia adnexa; allocutio ad sacerdotes “Convictus Barcinonensis”, 14 iunii 1957: *Discorsi e Radiomessagi*, XIX, pp. 271-273. – PAULUS VI, allocutio coram sacerdotibus Intituti “Gian Matteo Giberti” diocesis Veronensis, 13 martii 1964.

დეკლარაცია
ქრისტიანული აღზრდის შესახებ

GRAVISSIMUM EDUCATIONIS

პავლე ეპისკოპოსი,
 ღმრთის მსახურთა მსახური,
 წმიდა კრების მამებთან ერთად,
 სამუდამო სახსოვრად

დეკლარაცია ქრისტიანული აღზრდის შესახებ

შესავალი

აღზრდის მნიშვნელობა ის საკითხია, რომელსაც წმიდა მსოფლიო კრება ყურადღებით სწავლობს: ჩვენს დროში ადამიანის ცხოვრებაში განათლებას დიდი ადგილი უკავია და მისი გავლენა საზოგადოებაზე სულ უფრო იზრდება.¹ ახალგაზრდების აღზრდა, აგრეთვე ზრდასრულთა მუდმივი აღზრდა ჩვენს დროში სულ უფრო ადვილი და თან სულ უფრო ძნელი ხდება. ადამიანები უფრო სრულყოფილად აცნობიერებენ თავის ღირსებას და მოვალეობებს. მათ სურთ, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით ეკონომიკურსა და პოლიტიკურში.² განსაცვიფრებელი ტექნიკური და სამეცნიერო კვლევის პროგრესი, აგრეთვე სოციალური კომუნიკაციის ახალი საშუალებები უფრო ხელმისაწვდომს ხდის ადამიანებისთვის (მათ ახლა მეტი თავისუფალი დრო აქვთ) სულიერ და კულტურულ მემკვიდრეობას, ხოლო მჭიდრო ურთიერთობების არსებობა არა მარტო ადამიანთა ჯგუფებს, არამედ ერთა შორისაც მათ სრულყოფას უწყობს ხელს.

ამიტომ ყველგან სულ უფრო მეტად ცდილობენ აღზრდის საქმისთვის ხელშეწყობას. ადამიანთა – კერძოდ, ბავშვებისა და მშობლების – ძირეული უფლებები, რომლებიც აღზრდას ეხება, ცხადდება და მტკიცდება საჯარო დოკუმენტებით.³ აღსაზრდელთა რიცხვის სწრაფი მატების გამო იზრდება სკოლათა რიცხვი და ხდება მათი სრულყოფა, იმნება სხვა სასწავლო დაწესებულებები. ახალი ექსპერიმენტებით ვითარდება სწავლისა და აღზრდის მეთოდები. დიდ ძალისხმევა ხმარდება იმას, რომ ეს ყველაფერი ყველა ადამიანისათვის იყოს ხელმისაწვდომი, თუმცა ძალზე ბევრი ბავშვი და ახალგაზრდა დღემდე მოკლებულია ელემენტარული განათლების მიღების შესაძლებლობას, ხოლო სხვებს

1 მრავალი დოკუმენტიდან, სადაც გაშუქებულია განთლების საკითხი, უპირველეს ყოვლისა, შდრ. BENEDICTUS XV, epist. apost. *Communes Litteras*, 10 apr. 1919: AAS 11 (1919), p. 172. – PIUS XI, encl. *Divini Illius Magistri*, 31 dec. 1929: AAS 22 (1930), pp. 49-86. – PIUS XII, alloc. ad Iuvenes A.C.I., 20 apr. 1946: *Discorsi e Radiomessaggi* 8, pp. 53-57. – ID., alloc. ad Patres familiae Galliae, 18 sept. 1951: *Discorsi e Radiomessaggi* 13, pp. 241-245. – IOANNES XXIII, nuntius tricessimo exacto anno ex quo encl. *Divini Illius Magistri editae sunt*, 30 dec. 1959: AAS 52 (1960), pp. 57-59. – PAULUS VI, alloc. ad sodales F.I.D.A.E. (Federazione Istituti Dipendenti dall'Autorità Ecclesiastica), 30 dec. 1963: *Encicliche e Discorsi di S. S. Paolo VI*, I, Roma 1964, pp. 601-603. – გარდა ამისა, იხ. *Acta et Documenta Concilio Oecumenico Vaticano II apparando*, series I, Anteparaeparatoria, vol. III, pp. 363-364, 370-371, 373-374.

2 შდრ. IOANNES XXIII, encl. *Mater et Magistra*, 15 maii 1961: AAS 53 (1961), pp. 413, 415-417, 424. – მისივე, encl. *Pacem in terris*, 11 par. 1963: AAS 55 (1963), pp. 278 s.

3 შდრ. Professionem Universalem iurium humanorum (*Déclaration des droits de l'homme*) (ადამიანის უფლებათა დეკლარაცია), რომელიც დამტკიცდა 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური საბჭოს მიერ. – შდრ. აგრეთვე *Déclaration des droits de l'enfant* (ბავშვის უფლებათა დეკლარაცია), 1959 წლის 20 ნოემბერი. – *Protocole additionnel à la convention de sauvegarde des droits de l'homme et des libertés fondamentale* (ადამიანის უფლებებისა და ძირეულ თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი პროტოკოლი), პარიზი, 1952 წლის .20 მარტი. – ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციასთან დაკავშირებით იხ. IOANNES XXIII, encl. *Pacem in terris*, 11 apr. 1963: AAS 55 (1963), pp. 295s.

შესაფერისი აღზრდა არა აქვთ, რომელიც ჭეშმარიტებასაც ასაზრდოებს და სიყვარულსაც.

წმიდა დედა ეკლესიამ თავისი მისია უნდა შეასრულოს, რომელიც მან მისი საღმრთო დამფუძნებლისგან მიიღო: მან გამოსწნის საიდუმლოება ყველა ადამიანს უნდა აუწყოს და ყველაფერი ქრისტეში ადადგინოს. ამისთვის ეკლესიამ უნდა იზრუნოს ადამიანის ცხოვრებაზე მთლიანობაში, მათ შორის მის მიწიერ ცხოვრებაზეც, იმდენად, რამდენადაც ის ზეციურ მოწოდებასთან არის დაკავშირებული.⁴ მაშასადამე, ეკლესია მონაწილეობს ეკლესია აღზრდის განვითარებისა და გავრცელების საქმეში. ამიტომ აცხადებს წმ. კრება ქრისტიანული აღზრდის ზოგიერთ ფუნდამენტურ პრინციპს, განსაკუთრებით სკოლებთან დაკავშირებით. კრების შემდეგ ეს პრინციპები უნდა დახვეწოს სპეციალურმა კომისიამ, ხოლო ეპისკოპოსთა კონფერენციებმა ისინი უნდა განახორციელოს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

1. ყველა ადამიანს, განურჩევლად რასის, მდგომარეობისა თუ ასაკისა, აქვს პიროვნული ღირსება და, შესაბამისად აღზრდის განუზრელი უფლება,⁵ რომელიც შეესაბამება თითოეულის მოწოდებას,⁶ აგრეთვე ხასიათის, სქესის, კულტურისა და ეროვნული ტრადიციების თავისებურებებს. ამასთან ერთად, ის უნდა იყოს ღია სხვა ერებთან ძმური ურთიერთობისთვის, რათა ხელი შეეწყოს მსოფლიოში ჭეშმარიტ ერთობას და მშვიდობას. ჭეშმარიტი აღზრდის დანიშნულება არის ადამიანის პიროვნების ფორმირება, მისი უმაღლესი მიზნისა და, ამავე დროს, საზოგადოების კეთილდღეობის გათვალისწინებით, რომლის წევრსაც ადამიანი წარმოადგენს და რომელშიც ის თავის ფუნქციას შეასრულებს, როცა გაიზრდება.

ამრიგად, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და დიდაქტიკური მეცნიერების პროგრესის გათვალისწინებით, საჭიროა ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის დახმარების განევა, რათა მათ ჰარმონიულად განავითარონ ფიზიკური, მორალური და ინტელექტუალური მონაცემები, თანდათანობით უფრო სრულყოფილად იგრძნონ პასუხისმგებლობა, განუზრელად ეცადონ, სწორედ წარმართონ პირადი ცხოვრება და მიაღწიონ ჭეშმარიტ თავისუფლებას, დაბრკოლებათა გაბედულად და მტკიცედ გადალახვით. გარკვეულ ასაკში საჭიროა მათი პოზიტიური და გონივრული აღზრდა სექსუალურ სფეროში. ამასთანავე, ისინი უნდა მოვამზადოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის, ისე, რომ აუცილებელი და ხელსაყრელი საშუალებების სწორად გამოყენებით შეძლონ, აქტიურად ჩაებან სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებაში, მზად იყვნენ სხვებთან დიალოგისთვის და სიამოვნებით იღვაწონ საზოგადო კეთილდღეობისთვის.

ამასთანავე, წმიდა კრება განაცხადებს: ბავშვებსა და ახალგაზრდებს აქვთ უფლება, ვუბიძგოთ იმისკენ, რომ მათ სწორად და სინდისიერად შეაფასონ ზნეობრივი ღირებულებები, თავისი პიროვნული სიმპათიით (*adhaesione*) აღიქვან ისინი, და სულ უფრო სრულყოფილად შეიცნონ და უყვარდეთ ღმერთი. ამიტომ კრება დაბეჯითებით სთხოვს ყველას, ვინც ხალხს მართავს ან აღზრდას ხელმძღვანელობს, იზრუნოს იმისთვის, რომ ახალგაზრდობას ეს უფლება არასდროს წაერთვას. ხოლო ეკლესიის შვილებს კრება მოუწოდებს, კეთილშობილურად იღვაწონ აღზრდის ყველა სფეროში, უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რომ აღზრდისა და განათლების ჯეროვანი სიკეთე რაც შეიძლება სწრაფად გავრცელდეს მთელს მსოფლიოში ყველა ადამიანზე.⁷

2. ყველა ქრისტიანს, ვინც წყლიდან და სული წმიდიდან ხელახალი შობით ახალ

4 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*, 15 maii 1961: AAS 53 (1961), p. 402. – CONC. VAT. II, Const. Dogm. *de Ecclesia*, n. 17.

5 PIUS XII, nuntius radioph., 24 dec. 1942: AAS 35 (1943), pp. 12, 19. – IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*, 11 apr. 1963: AAS 55 (1963), pp. 259 s. – შდრ. აგრეთვე ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, შენიშვნა 3.

6 შდრ. PIUS XI, encycl. *Divinis Illius Magistri*, 31 dec. 1929: AAS 22 (1930), pp. 50s.

7 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*, 15 maii 1961: AAS 53 (1961), pp. 441 s.

ქმნილებად იქცა,⁸ ვინც ღმრთის შვილად იწოდება და არის კიდევ ასეთი, აქვს ულება ქრისტიანული აღზრდისა. ეს აღზრდა მხოლოდ იმისთვის არ არის გამიზნული, რომ ადამიანის პიროვნებამ სიმნიფეს მიაღწიოს, ისე, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი. მისი ძირითადი მიზანდასახულება მდგომარეობს შემდეგში: მონათლულებმა, რომლებიც თანდათანობით გამოხსნის საიდუმლოებას ეზიარებიან, სულ უფრო მეტად უნდა გააცნობიერონ სარწმუნოების ნიჭი, რომელიც მიიღეს; მათ უნდა ისწავლონ — უპირველეს ყოვლისა, ლიტურგიულ ქმედებაში — ღმრთის — მამის თაყვანისცემა სულითა და ჭეშმარიტებით (შდრ. იოან. 4, 23) და საკუთარი ცხოვრების გარდასახვა ახალი ადამიანის შესაფერისად, „სიმართლითა და სინმიდითა ჭეშმარიტებისადა“ (ეფეს. 4, 22-24), რათა იქცნენ „მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“ (ეფეს. 4, 13), და ხელი შეუწყონ მისტიკური სხეულის ზრდას. გარდა ამისა, მათ ვაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ თავისი მოწოდება, სჩვეოდეთ, მოწმობდნენ იმ სასოებას, რომელიც მათ შორის არის (შდრ. 1 პეტრ. 3, 15) და ხელს უწყობდნენ სამყაროს ქრისტიანულ გარდასახვას. ასე მოხმარდება ბუნებრივი ღირებულებები, ქრისტესგან ადამიანის გამოსყიდვაში ნაგულისხმევი და ჩართული, მთელი საზოგადოების კეთილდღეობას.⁹ ამიტომ ეს წმკრება სულთა მწყემსებს შეახსენებს მათ უმნიშვნელოვანეს მოვალეობას: ყველაფერი გაიღონ იმისათვის, რომ ეს ქრისტიანული აღზრდა ყველა ერთგულისათვის იყოს მისანვდომი, უპირველეს ყოვლისა კი ახალგაზრდობისათვის, რომლებიც ეკლესიის იმედს წარმოადგენენ.¹⁰

3. მშობლებს, რაკი მათ შვილებს სიცოცხლე მისცეს, უმნიშვნელოვანესი მოვალეობა — შთამომავლების აღზრდა — აკისრიათ. მათ პირველ და მთავარ აღმზრდელებად მშობლები უნდა მივიჩნიოთ.¹¹ აღზრდა ძალზე მნიშვნელოვანი მოვალეობა არის. აღზრდისას რალაცის ნაკლებობა ველარ ანაზღაურდება. მშობლების ამოცანაა, შექმნან ოჯახური გარემო, ღმრთისა და ადამიანთა მიმართ სიყვარულითა და მოწინებით ვაცხოველებული, რაც ხელს შეუწყობს მთლიანობაში შვილთა აღზრას, როგორც პიროვნული, ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისით. მამასადამე, ოჯახი არის იმ საზოგადოებრივ ღირებულებათა პირველი სკოლა, რომლებსაც ნებისმიერი საზოგადოება საჭიროებს. განსაკუთრებით ქრისტიანულ ოჯახში, რომელსაც მინიჭებული აქვს ქორწინების საიდუმლოს მაღლი და მოვალეობა, შვილებს ადრეული ასაკიდან უნდა ასწავლიდნენ, ნათლობისას მიღებული სარწმუნოების თანახმად, შეიცნონ ღმერთი და თაყვანი სცენ მას, აგრეთვე უყვარდეთ მოყვასი. აქვე იღებენ ისინი როგორც ჯანსალი ადამიანური საზოგადოების, ასევე ეკლესიის პირველ გამოცდილებას. და ბოლოს, ოჯახის მეშვეობით ისინი თანდათან ხდებიან სამოქალაქო საზოგადოებისა და ღმრთის ერის წევრები. ამიტომ მშობლებმა უნდა იგრძნონ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტად ქრისტიანულ ოჯახს ღმრთის ერის ცხოვრებისა და განვითარებისათვის.¹²

აღმზრდელობითი ფუნქციის შესრულებისთვის, რომელიც უპირველეს ყოვლისა ოჯახს აკისრია, მთელი საზოგადოების ხელშეწყობაა საჭირო. გარდა მშობელთა და სხვათა უფლებებისა, ვისაც აღზრდაში მონაწილეობა მიანდეს, გარკვეული მოვალეობები და უფლებები აკისრია სამოქალაქო საზოგადოებას. მისი მოვალეობაა, მოანესრიგოს ის, რაც აუცილებელია დროებითი საერთო კეთილდღეობისთვის. საზოგადოების მოვალეობას არმოადგენს აგრეთვე სხვდასხვა ფორმით ახალგაზრდობის აღზრდისთვის ხელშეწყობა: მშობელთა და, შესაბამისად, იმ პირთა უფლებებისა და მოვალეობების დაცვა, ვინც აღზრდაში მონაწილეობს, და მათთვის

8 შდრ. PIUS XI, encycl. *Divini Illius Magistri*, l.c. p. 83.

9 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 36.

10 შდრ. CONC. VAT. II, Decret. *de Pastoralis Episcoporum munere in Ecclesia*, nn. 12-14.

11 შდრ. PIUS XI, encycl. *Divini Illius Magistri*, l.c. pp. 59 s. – მიხივე, encycl. *Mit brennender Sorge*, 14 martii 1937: AAS 29 (1937), pp. 164 s. – PIUS XII, alloc. ad primum congressum nationalem Consociationis Italicae Magistrorum catholicorum (A.I.M.C.), 8 sept. 1946: *Discorsi e Radiomessaggi* 8, p. 218.

12 შდრ. CONC. VAT. Const. dogm. *de Ecclesia*, nn. 11, 35.

დახმარების განწვევა, ხოლო მშობელთა და სხვა საზოგადოებათა მხრიდან ინიციატივის ნაკლებობის შემთხვევაში, აღზრდის საქმის წარმართვა სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად, ოღონდ მშობელთა სურვილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების საქმეა, დაარსოს საკუთარი სკოლები და ინსტიტუტები, რამდენადაც ამას საერთო კეთილდღეობა მოითხოვს.¹³

დაბოლოს, აღზრდის ფუნქცია განსაკუთრებულად ეკლესიას აკისრია, არა მარტო იმიტომ, რომ მას, როგორც ადამიანთა საზოგადოებას, აღზრდა ძალუძს, არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მისი მოვალეობა არის, აუწყოს ყველა ადამიანს გამოხსნის გზა, აცნობოს მორწმუნეებს ქრისტეს ცხოვრება და დაეხმაროს მათ განუწყვეტელი მზრუნველობით, რათა შეძლონ, ამ ცხოვრების სისავსეს მიაღწიონ.¹⁴ ამიტომ ეკლესია, როგორც დედა, უნდა ეცადოს, თავისი შვილები ისე აღზარდოს, რომ მათი ცხოვრება ქრისტეს სულით განიმსჭვალოს. ამავე დროს, ეკლესია დახმარებას სთავაზობს ყველა ერს, იღვანოს ადამიანის პიროვნების ყოველმხრივი სრულყოფისთვის, მინიერი საზოგადოების კეთილდღეობისა და უფრო ჰუმანური მსოფლიოს აშენებისთვის.¹⁵

4. თავის აღმზრდელობით საქმიანობაში ეკლესია ცდილობს, გამოიყენოს ყველა შესაფერისი საშუალება. უპირველეს ყოვლისა, ის ზრუნავს იმ საშუალებებზე, რომლებიც საკუთრივ მისია. მათ შორის პირველი კი არის კატეხიზაციური აღზრდა,¹⁶ რომელიც რწმენას ნათელს ჰყენს და განამტკიცებს, ცხოვრებას ქრისტეს სულის თანახმად ასაზრდოებს, გვიძღვება ლიტურგიულ საიდუმლოებაში შეგნებული და ქმედითი მონაწილეობისკენ¹⁷ და გვიბიძგებს სამოციქულო ქმედებისკენ. ეკლესია დიდად აფასებს სხვა საშუალებებსაც, რომლებიც კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას განეკუთვნება და ხელს უწყობს სულიერ დახვეწასა და ადამიანის ფორმირებას. ეკლესია ცდილობს, ეს საშუალებებიც თავისი სულით განსჭვალოს და აღამაღლოს. მათ რიცხვს მიეკუთვნება სოციალური კომუნიკაციის საშუალებები,¹⁸ მრავალრიცხოვანი კავშირები, რომლებიც სულიერ და ფიზიკურ წვრთნას ემსახურება, ახალგაზრდული გაერთიანებები და, განსაკუთრებით, სკოლები.

5. აღზრდის საშუალებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლა.¹⁹ მისი მისიის შესრულება გამოიხატება შემდეგში: დაუღალავი ზრუნვის შედეგად ის ავითარებს გონებრივ შესაძლებლობებს, ხელს უწყობს განსჯის უნარის გამომუშავებას, აზიარებს მოსწავლეებს წინაპართაგან გამომცემულ კულტურულ მემკვიდრეობას, ავითარებს ღირებულებათა აღქმას, ამზადებს პროფესიული ცხოვრებისთვის, შობს მეგობრულ ურთიერთობას აღსაზრდელთა შორის, რომლებიც ხასიათითა და სოციალური მდგომარეობით განსხვავდებიან, აღვივებს მათში

13 შდრ. PIUS XI, encycl. *Divini Illius Magistri*, l.c. pp. 63 s. – PIUS XII, nuntius radioph. 1 iunii 1941: AAS 33 (1941), p. 200. – მისივე, alloc. ad primum Congressum nationalem Consociationis Italicae Magistrorum catholicorum, 8 sept. 1946: *Discorsi e Radiomessaggi* 8, p. 218. – სუბსიდიარობის პრინციპისათვის შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*, 11 apr. 1963: AAS 55 (1963), p. 294.

14 შდრ. PIUS XI, encycl. *Divini Illius Magistri*, l.c. pp. 53 s., 56 s. – მისივე, encycl. *Non abbiamo bisogno*, 29 iunii 1931: AAS 23 (1931), pp. 311 s. – PIUS XII, litt. Secretariae Status ad XXVIII Hebdomadam Soc. Ital. 20 sept. 1955: *L'Osservatore Romano*, 29 sept. 1955.

15 ეკლესია იწონებს იმ სამოქალაქო, ადგილობრივ, ნაციონალურ და ინტერნაციონალურ ხელისუფალთ, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ თანამედროვეობის გადაუდებელი ამოცანები და ყველა ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ ყველა ერისთვის ხელმისაწვდომი იყოს უფრო სრულყოფილი აღზრდა და კულტურა. – შდრ. PAULUS VI, alloc. coram Foederatarum Nationum Coetu generali, 4 oct. 1965: *L'Osservatore Romano*, 6 oct 1965.

16 შდრ. PIUS XI, Motu proprio *Orbem catholicum*, 29 iunii 1923: AAS 15 (1923), pp. 327-329. – Decret. *Provide sane*, 12 ian. 1935: AAS 27 (1935), pp. 145-152. – CONC. VAT. II, Decret. *de Pastoralis Episcoporum munere in Ecclesia*, nn. 13, 14.

17 შდრ. CONC. VAT. II, Const. *de Sacra Liturgia*, n. 14.

18 შდრ. CONC. VAT. II, Decret. *de Instrumentis communicationis socialis*, nn. 13 et 14.

19 შდრ. PIUS XI, encycl. *Divini Illius Magistri*, l.c., p. 76. – PIUS XII; alloc. ad Associationem Magistrorum Catholicorum Bavariae, 31 dec. 1956: *Discorsi e Radiomessaggi* 18, p. 746.

ურთიერთგაგების გრძნობას. გარდა ამისა, სკოლა წარმოადგენს ერთგვარ ცენტრს, რომლის მოღვაწეობასა და წინსვლაში ერთად უნდა მონაწილეობდნენ ოჯახები, მასწავლებლები, სხვადასხვაგვარი გაერთიანებები, რომლებიც ავითარებენ კულტურულ, სამოქალაქო, რელიგიურ ცხოვრებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და ადამიანთა მთელ ერთობას.

ლამაზი და მძიმე ტვირთი არის მათი მოწოდება, ვინც მშობლებს მათი მოვალეობის შესრულებაში ეხმარება და, ადამიანთა ერთობის სახელით, სკოლაში აღზრდის ფუნქციას კისრულობს. ეს მოწოდება განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს, როგორც გონებრივს, ასევე სულიერს. იგი საჭიროებს უფაქიზეს მომზადებას და მუდმივ მზადყოფნას განახლებისა და ადაპტაციისთვის.

6. მშობლები, რომელთა პირველი და განუხრელი მოვალეობა და უფლება არის შვილების აღზრდა, სკოლათა არჩევანში თავისუფლები უნდა იყვნენ. ამიტომ საჯარო ხელისუფლებამ, რომლის ამოცანა მოქალაქეთა თავისუფლების დაცვაა, უნდა იზრუნოს სამართლიანი განაწილებისთვის, რათა საჯარო სუბსიდიები ისე გაიცეს, რომ მშობლებს შეეძლოთ საკუთარი სინდისის კარნახით მართლაც თავისუფლად აირჩიონ სკოლები.²⁰

გარდა ამისა, სახელმწიფოს საქმეა, იზრუნოს იმისათვის, რომ ყველა მოქალაქეს შეეძლოს ჯეროვანი მონაწილეობა მიიღოს კულტურაში და სათანადოდ მოემზადოს სამოქალაქო მოვალეობებისა და უფლებების განხორციელებისთვის. ამიტომ თავად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სათანადო სასკოლო აღზრდა, რაც ბავშვთა უფლების დაცვას ნიშნავს. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მასწავლებელთა კომპეტენტურობისა და სწავლის დონისთვის, აღსაზრდელთა ჯანმრთელობისთვის და საერთოდ, მთელი სასკოლო სისტემის განვითარებისთვის. აუცილებელია სუბსიდიარობის პრინციპის გათვალისწინება და, შესაბამისად, სკოლათა ყოველგვარი მონოპოლიის გამორიცხვა, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის პიროვნების ბუნებრივ უფლებებს, თავად კულტურის წინსვლასა და გავრცელებას, მოქალაქეთა მშვიდობიან თანაარსებობას, აგრეთვე პლურალიზმს, რომელიც დღეს მრავალ საზოგადოებაში არსებობს.²¹

წმ. კრება მოუწოდებს ქრისტეს ერთგულებს, ეძიონ აღზრდის სათანადო მეთოდები და სწავლების პრინციპები, იზრუნონ მასწავლებელთა ფორმირებაზე, რათა მათ შეეძლონ ახალგაზრდების სწორად აღზრდა, და არსებული საშუალებებით დახმარება გაუწიონ მთელ სასკოლო მუშაობას (უპირველეს ყოვლისა, მშობელთა კავშირების მეშვეობით), განსაკუთრებით ზნეობრივი აღზრდის საქმეში, რომელსაც სკოლა უნდა იძლეოდეს.²²

7. ამასთან ერთად, აუცილებელია, რომ ეკლესია გრძნობდეს უმნიშვნელოვანეს მოვალეობას: გულმოდგინედ იზრუნოს ყველა თავისი შვილის ზნეობრივი და რელიგიური აღზრდისთვის. განსაკუთრებული სიყვარულითა და ზრუნვით ეკლესია გვერდში უნდა ედგას იმ მრავალ ბავშვს, რომლებიც არაკათოლიკურ სკოლებში სწავლობენ. ეს თანადგომა უნდა განხორციელდეს მასწავლებელთა და ხელმძღვანელთა ცხოვრების მონაწილეთ, ამხანაგთა სამოციქულო მოღვაწეობით,²³ აგრეთვე იმ მღვდელთა და საერო პირთა მსახურებით, ვინც მათ გადასცემს გამოხსნის მოძ-

20 შდრ. CONC. PROV. CINCINNATENSE III, a. 1861: *Collatio Lacensis*, III, col. 1240, c/d. – PIUS XI, *encycl. Divini Illius Magistri*, l.c. pp. 60, 63 s.

21 შდრ. PIUS XI, *encycl. Divini Illius Magistri*, l. c. p. 63. – მისივე, *encycl. Non abbiamo bisogno*, 29 iunii 1931: AAS 23 (1911), p. 305. – PIUS XII, *litt. Secretariae Status ad XXVIII Hendomadam Soc. Ital.*, 20 sept. 1955: *L'Osservatore Romano*, 29 sept. 1955. – PAULUS VI, *alloc. ad Associationem Christianam Operariorum Italiae (A.C.L.I.)*, 6 oct. 1963: *Encicliche e Discorsi di Paolo VI*, I, Roma 1964, p. 230.

22 შდრ. IOANNES XXIII, *nuntius tricesimo exacto anno es quo litt. encycl. Divini Illius Magistri editae sunt*, 30 dec. 1959: AAS 52 (1960), p. 57.

23 ეკლესია დიდად აფასებს სამოციქულო მოღვაწეობას, რომელსაც შეიძლება ეწეოდნენ ამავე სკოლებში კათოლიკე მასწავლებლები და მოსწავლეები.

ღვრებას მათი ასაკისა და მდგომარეობის შესაბამისად, აგრეთვე უწევს სულიერ დახმარებას სასარგებლო ინიციატივებით, დროისა და გარემოებათა გათვალისწინებით.

მშობლებს ეკლესია შეახსენებს, რომ მათ სერიოზული მოვალეობა აკისრიათ: უზრუნველყონ და მოითხოვონ კიდევ, რომ მათ ბავშვებს შეეძლოთ დახმარებით სარგებლობა და წინსვლა ქრისტიანული და საერო განათლების ურთიერთშეხამებით. ამიტომ ეკლესია მიესალმება იმ სამოქალაქო ხელისუფლებებსა და საზოგადოებებს, რომლებიც ითვალისწინებენ დღევანდელი საზოგადოების პლურალიზმს და ზრუნავენ რელიგიური თავისუფლებისათვის, აგრეთვე ეხმარებიან ოჯახებს, იმისათვის, რომ შვილთა აღზრდა ყველა სკოლაში მათი ოჯახების ზნეობრივი და რელიგიური პრინციპების შესაბამისი იყოს.²⁴

8. ეკლესიის როლი სასკოლო სფეროში განსაკუთრებული სახით ვლინდება კათოლიკურ სკოლაში. რა თქმა უნდა, კათოლიკური სკოლისთვის, არანაკლებ სხვა სკოლებზე, მნიშვნელოვანია კულტურული მიზნები და ახალგაზრდების ჰუმანური ფორმირება. ამასთანავე, მას საკუთარი ამოცანაც აქვს: შექმნას სასკოლო ერთობისთვის გარემო, გაცხოველებული თავისუფლებისა და სიყვარულის ევანგელური სულით; დახმარება გაუწიოს ახალგაზრდებს, რათა ისინი განვითარდნენ პიროვნულად და იმავე დროს გაიზარდონ ახალი ქმნილების შესაბამისად, როგორებიც ნათლობის შედეგად გახდნენ; და ბოლოს, მან მთელი ადამიანური კულტურა უნდა წარმართოს გამოხსნის უწყებისკენ, ისე, რომ აღსაზრდელთა მიერ სამყაროს, ცხოვრებისა და ადამიანის შესახებ შეძენილი ცოდნა რწმენამ განანათლოს.²⁵ ამგვარად, კათოლიკური სკოლა, რომელიც ჯეროვნად ღიაა თანამედროვე ვითარებისათვის, აჩვენებს თავის აღსაზრდელებს, რომ ქმედითად იღვანონ მინიერი ქალაქის კეთილდღეობისათვის, და ამზადებს მათ მსახურებისთვის, რომლის მიზანი არის ღმრთის მეუფების გავრცელება. სამაგალითო და სამოციქულო ცხოვრებაში წვრთნით ისინი ერთგვარ გამოხსნის საფუარად უნდა იქცნენ ადამიანთა ერთობისათვის.

არსებულ ვითარებაში კათოლიკურ სკოლას კვლავ დიდი მნიშვნელობა აქვს. მას შეუძლია, დიდად შეუწყოს ხელი ღმრთის ერის მისიის შესრულებასა და ეკლესიასა და ადამიანთა ერთობას შორის დიალოგს, რომელიც ორივე მხრისათვის სასარგებლოა. ამიტომ ეს წმიდა კრება კვლავ აცხადებს, რომ ეკლესიას აქვს უფლება, დაარსოს და მართოს ნებისმიერი სახისა და ხარისხის სკოლები. ეს უფლება უკვე დეკლარირებულია მოძღვრობის მრავალ დოკუმენტში.²⁶ კრება შეგვახსენებს, რომ ამ უფლების განხორციელება ხელს უწყობს სინდისის თავისუფლებისა და მშობელთა უფლებების დაცვას, აგრეთვე თავად კულტურის განვითარებას.

მოძღვართ უნდა ახსოვდეთ, რომ არსებითად მათზე არის დამოკიდებული, რამდენად შეძლებს კათოლიკური სკოლა თავისი განზრახვებისა და ინიციატივების განხორციელებას.²⁷ ამიტომ მათი მომზადება განსაკუთრებული გულმოდგინებით არის საჭირო, რათა ისინი დაეუფლონ როგორც საერო, ასევე რელიგიურ მეცნიერებას, ჰქონდეთ შესაბამისი ნოდება და პედაგოგიური უნარ-ჩვევები, რომლებიც თანამე-

24 შდრ. PIUS XII, alloc. ad Associationem Magistrorum Cathol. Bavariae, 31 dec. 1956: *Discorsi e Radiomessaggi* 18, pp. 745 s.

25 შდრ. CONC. PROV. WESTMONASTERIENSE I, a. 1852: *Collatio Lacensis* III, col. 1334 a/b. – PIUS XI, encycl. *Divini Illius Magistri*, l.c. pp. 77 s. – PIUS XII, alloc. ad Associationem Magistrorum Cathol. Bavariae, 31 dec. 1956: *Discorsi e Radiomessaggi* 18, p. 746. – PAULUS VI, alloc. ad sodales F.I.D.A.E. (Federazioni Istituti Dipendenti dall’Autorità Ecclesiastica), 30 dec. 1963: *Encicliche e Discorsi di Paolo VI*; I, Roma 1964, pp. 602 s.

26 შდრ, უპირველეს ყოვლისა, I შენიშვნაში ხსენებული დოკუმენტები. გარდა ამისა, ეკლესიის ამ უფლების შესახებ განაცხადებს მრავალი ადგილობრივი კრება, აგრეთვე ეპისკოპოსთა არაერთი კონფერენციის უკანასკნელი დეკლარაციები.

27 შდრ. PIUS XI, encycl. *Divini Illius Magistri*, l.c. pp. 80 s. – PIUS XII, alloc. ad Consociationem Catholic. Italicam Magistrorum scholarum secundarium (U.C.I.I.M.), 5 ian. 1954: *Discorsi e Radiomessaggi* 15, pp. 551-556. – IOANNES XXIII, alloc. ad VI Congressum Associationis Italicæ Magistrorum Catholicorum (A.I.M.C.), 5 sept. 1959: *Discorsi, Messagi, Colloqui*, I, Roma 1960, pp. 427-431.

დროვე აღმოჩენებს შეესაბამება. ერთმანეთთან და მონაფეხთან სიყვარულით დაკავშირებულებმა და სამოციქულო სულით გამსჭვალულებმა, მათ ცხოვრებითაც და მოძღვრებითაც უნდა წარმოუდგინონ მონაშობა ერთ მოძღვარს – ქრისტეს. უპირველეს ყოვლისა, მათ მშობლებთან უნდა ითანამშრომლონ. მათთან ერთად, მთელს აღზრდაში უნდა გაითვალისწინონ სქესთა განსხვავება და ორივე სქესის დანიშნულება, რომელიც მათ ოჯახსა და საზოგადოებაში საღმრთო განგებამ განუახლვრა. ისინი უნდა შეეცადონ, აღსაზრდელებს პირადი ინიციატივისკენ უბიძგონ, ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ უნდა განაგრძონ მათთვის დახმარების განევა რჩევით, მეგობრობით, აგრეთვე გარკვეული გაერთიანებების დაფუძნებით, რომლებიც ჭეშმარიტად ეკლესიური სულით იქნება გამსჭვალული. წმ. კრება განაცხადებს, რომ ამ მოძღვართა მსახურება ნამდვილი მოციქულობაა, რომელიც დღევანდელი მშობლისთვის ძალიან შესაფერისია და აუცილებელია, და, ამავე დროს, ჭეშმარიტი სამსახურია, საზოგადოებისთვის განეული. მშობელ-კათოლიკებს კრება შეახსენებს მათ მოვალეობას: შეძლებისდაგვარად მათ თავისი შვილები კათოლიკურ სკოლებში უნდა მიაბარონ, მათ ყოველმხრივ დაეხმარონ და, თავის შვილთა საკეთილდღეოდ, მათთან ითანამშრომლონ.²⁸

9. შეძლებისდაგვარად ამგვარი უნდა იყოს ყველა ასე თუ ისე ეკლესიაზე დამოკიდებულ სკოლა, თუმცა ადგილობრივი ვითარების შესაბამისად, კათოლიკურმა სკოლამ შეიძლება სხვადასხვაგვარი სახეც მიიღოს.²⁹ ეკლესიისთვის ძალიან ძვირფასია ის კათოლიკური სკოლებიც (განსაკუთრებით ისინი, რომლებიც უფრო ახალი ეკლესიების ტერიტორიებზე იმყოფება), რომლებშიც არაკათოლიკე აღსაზრდელებიც არიან.

კათოლიკური სკოლების დაარსებისას და ორგანიზაციისას გასათვალისწინებელია თანამედროვე პროგრესის მოთხოვნილებები. დანყებითი და საშუალო სკოლების მფარველობასთან ერთად (ისინი აღზრდის საძირკველს წარმოადგენს), დიდად დასაფასებელია ის სკოლებიც, რომლებიც დღევანდელი ვითარების სპეციფიკის გამო განსაკუთრებით აუცილებელია. ასეთია პროფესიული³⁰ და ტექნიკური სკოლები, ინსტიტუტები მოზრდილთა განათლებისთვის, სოციალური დახმარების განწევისათვის, აგრეთვე მათთვის, ვინც ბუნებრივი ნაკლის გამო მზრუნველობას საჭიროებს, ასევე სკოლები, რომლებშიც მასწავლებლები დახელოვნდებიან რელიგიური განათლებისა და აღზრდის სხვა სფეროებში.

წმიდა კრება დაბეჯითებით მოუწოდებს ეკლესიის მწყემსებსა და ქრისტეს ყველა ერთგულს, არ დაიშურონ მსხვერპლი კათოლიკური სკოლების დასახმარებლად, რათა მათ უფრო სრულყოფილად აღასრულონ თავისი მოვალეობა და განსაკუთრებით მათთვის იზრუნონ, ვინც ლატაკია მატერიალურად და მოკლებულია ოჯახის დახმარებასა და სიყვარულს, ან ვისთვისაც უცხოა სარწმუნოების ნიჭი.

10. ეკლესია დიდად ზრუნავს უმაღლესი სკოლებისთვისაც, განსაკუთრებით უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტებისთვის. ეკლესია, რა თქმა უნდა, ცდილობს, რომ მასზე დამოკიდებულ სკოლებში ცალკეული დისციპლინა შეისწავლებოდეს მისი საკუთარი პრინციპების, მეთოდებისა და სამეცნიერო კვლევისთვის დამახასიათებელი თავისუფლებით, რათა უფრო ღრმად მოხდეს მათი დაუფლება, უფრო საფუძვლიანად იქნეს განხილული ახალი ეპოქის შეკითხვები და ძიებები, უფრო ცხადი გახდეს სარწმუნოებისა და გონების ერთსულოვნება. ეს არის ეკლესიის მოძღვართა, კერძოდ, წმ. თომა აკვინელის, გზა.³¹ ასე, საჯაროდ, სტაბილურად და უნი-

28 შდრ. PIUS XII, alloc. ad Consociationem Cathol. Italicam Magistrorum scholarum secundarium (U.I.C.I.I.M.), 5 ian. 1954, l.c. p. 555.

29 შდრ. PAULUS VI, alloc. ad Officium Internationale Educationis Catholicae (O.I.E.C.), 25 febr. 1964: *Encicliche e Discorsi di Paolo VI*, II, Roma 1964, p. 232.

30 შდრ. PAULUS VI, alloc. ad Associationem Christianam Operariorum Italiae (A.C.L.I.), 6 oct. 1963: *Encicliche e Discorsi di Paolo VI*, I, Roma 1964, p. 229.

31 შდრ. PAULUS VI, alloc. coram VI Congressu Thomistico Onternaionali, 10 spt. 1965: *L'Osservatore Romano*, 13-14 sept. 1965.

ვერსალურად უნდა მონაწილეობდეს ქრისტიანული აზრი უფრო მაღალი კულტურის განვითარების მცდელობაში, ხოლო ამ ინსტიტუტების აღსაზრდელები განსწავლულ ადამიანებად უნდა ჩამოყალიბდნენ, რომლებიც მზად იქნებიან, შეასრულონ საზოგადოებაში სერიოზული მოვალეობები და იყვნენ სარწმუნოების მონმენი სამყაროში.³²

კათოლიკურ უნივერსიტეტებში, სადაც არ არის თეოლოგიის ფაკულტეტი, უნდა იყოს თეოლოგიის ინსტიტუტი ან კათედრა, სადაც ლექციებს საერო სტუდენტებსაც წაუკითხავენ. ცხადია, რომ მეცნიერების წინსვლა განისაზღვრება მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული სპეციალური კვლევებით. ამიტომ კათოლიკურ უნივერსიტეტებში და ფაკულტეტებზე განსაკუთრებით იმ ინსტიტუტებს სჭირდება მხარდაჭერა, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო გამოკვლევებს ემსახურება.

წმიდა კრების დაბეჯითებითი რჩევაა, განვითარდეს კათოლიკური უნივერსიტეტები და ფაკულტეტები, გავრცელებული დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, გამორჩეული არა იმდენად რაოდენობით, როგორც სამეცნიერო დონით. ისინი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ნიჭიერი სტუდენტებისთვის, მათ შორის ხელმოკლეთათვის, განსაკუთრებით კი ახალი ერების წარმომდგენლებისთვის.

საზოგადოებისა და თავად ეკლესიის ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული ახალგაზრდების წარმატებებთან, რომლებიც უმაღლეს განათლებას იღებენ.³³ ამიტომ ეკლესიის მწყემსებმა არა მარტო გულმოდგინედ უნდა იზრუნონ კათოლიკური უნივერსიტეტების აღსაზრდელთა სულიერი ცხოვრებისთვის, არამედ ყველა თავის შვილზე უნდა იფიქრონ. ეპისკოპოსთა შორის სათანადო თანხმობისას, მათ არაკათოლიკურ უნივერსიტეტებშიც უნდა უზრუნველყონ კათოლიკური საცხოვრებლებისა და კათოლიკური საუნივერსიტეტო ცენტრების არსებობა, რომლებშიც მღვდელმსახურნი, როგორც მონესენი, ასევე საერონი, გულდასმით არჩეულნი და მომზადებულნი, მუდამ გაუწევენ სულიერ და ინტელექტუალურ დახმარებას საუნივერსიტეტო ახალგაზრდობას. კათოლიკური თუ სხვა უნივერსიტეტების განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდები, სწავლების ან კვლევის უნარით დაჯილდეებულნი, საგანგებო მზრუნველობით უნდა აღიზარდონ და მოძღვრობისთვის მოემზადონ.

11. ეკლესია ბევრს მოელის წმიდა მეცნიერებათა ფაკულტეტების საქმიანობისაგან.³⁴ ეკლესია მათ მიანდობს უმნიშვნელოვანეს მოვალეობას: მოამზადონ საკუთარი აღსაზრდელები არა მარტო სამღვდლო მსახურებისთვის, არამედ უმაღლეს საეკლესიო დანესებულებებში სწავლებისათვის, ინდივიდუალური სამეცნიერო მუშაობისთვის, ინტელექტუალური მოციქულობის განსაკუთრებით რთული ამოცანებისთვის. ასევე ამ ფაკულტეტების საქმეა წმიდა დისციპლინათა სხვადასხვა სფეროების საფუძვლიანი კვლევა, რათა უფრო ღრმად იყოს გაგებული წმიდა გამოცხადება, უფრო ხელმისაწვდომი გახდეს წინაპართაგან გადმოცემული ქრისტიანული სიბრძნის ემკვიდრეობა, განვითარდეს დიალოგი ძმებთან და არაქრისტიანებთან, და გაეცეს პასუხი შეკითხვებს, რომლებიც მეცნიერებათა პროგრესის გამო დაისვა.³⁵

32 შდრ. PIUS XII, alloc. ad magistros et alumnos Institutorum Superiorum Cathol. Galliae, 21 sept. 1950: *Discorsi e Radiomessaggi* 18, pp. 219-221. – მისივე, litt. ad XXII Congressum “Pax Romana”, 12 aug. 1952: *Discorsi e Radiomessaggi* 14, pp. 567-569. – IOANNES XXIII, alloc. ad Foederationem Universitatum Catholicarum, 1 apr. 1959: *Discorsi, Messaggi, Colloqui*, Im Roma 1960, pp. 226-229. – PAULUS VI, alloc. ad Senatum Academicum Universitatis Catholicae Mediolanensis, 5 apr. 1964: *Encicliche e Discorsi di Paolo VI*, II, Roma 1964, pp. 438-443.

33 შდრ. PIUS XII, alloc. ad Senatum Academicum et alumnos Universitatis Romanae, 15 iunii 1952: *Discorsi e Radiomessaggi* 14, p. 208: “ხვალინდელი საზოგადოების მმართველობა არსებითად ეფუძნება დღევანდელი უნივერსიტეტების გონებასა და გულს.”

34 შდრ. PIUS XI, Const. apost. *Deus Scientiarum Dominus*, 24 maii 1931: AAS 23 (1931), pp. 245-247.

35 შდრ. PIUS XII, encycl. *Humani Generis*, 12 aug. 1950: AAS 42 (1950), pp. 568 s., 578. – PAULUS

ამიტომ საეკლესიო ფაკულტეტებმა, საკუთარი კანონების სათანადოდ გადარწმუნებით, საფუძვლიანად უნდა განავითარონ წმიდა მეცნიერებები და მონათესავე დისციპლინები, გამოიყენონ უახლესი მეთოდები და საშუალებები, და მოამზადონ მსმენელები უფრო ღრმა გამოკვლევებისთვის.

12. თანამშრომლობა, რომელიც დიოცეზურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სულ უფრო საჭირო და მტკიცე ხდება, სასკოლო საქმეშიც ძალიან აუცილებელია. ამიტომ ყოველგვარი ძალისხმევა არის საჭირო კათოლიკურ სკოლებს შორის კოორდინაციის დასამყარებლად, აგრეთვე მათ და სხვა სკოლებს შორის თანამშრომლობის განვითარებისთვის, რაც ადამიანთა მთელი ერთობის კეთილდღეობას ემსახურება.³⁶

უფრო საფუძვლიანი კოორდინაცია და ერთობლივი საქმე უფრო დიდ ნაყოფს გამოიღებს, განსაკუთრებით უმაღლეს სკოლებში. ამიტომ ყველა უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტი ერთმანეთს უნდა დაეხმაროს, რამდენადაც ამის საშუალებას საგანი იძლევა. თავად უნივერსიტეტებშიც უნდა მიისწრაფოდნენ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობისკენ, ერთად უნდა მოაწყონ საერთაშორისო კონფერენციები, გაინაწილონ სამეცნიერო კვლევის სფეროები, სწრაფად აცნობონ ერთმანეთს აღმოჩენები და დროებით გაცვალონ პედაგოგები, მოკლედ, ყველაფერი გააკეთონ თანამშრომლობის განსამტკიცებლად.

დასკვნა

წმ. კრება დაბეჯითებით მოუწოდებს ახალგაზრდებს, გააცნობიერონ აღმზრდელობითი ამოცანების მნიშვნელობა და კეთილშობილურად იყვნენ მზად ამ საქმისათვის, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მასწავლებელთა ნაკლებობა საფრთხეს უქმნის ახალგაზრდების აღზრდას.

წმ. კრება უღრმეს მადლობას გამოთქვამს მღვდელმსახურების, მონესე ძმებისა და დების, აგრეთვე საერო პირების მიმართ. სახარების სულით გამაჭვალულნი, ისინი შესანიშნავ მოვალეობას ასრულებენ და აღმზრდელობით საქმეს ნებისმიერი სახისა და დონის სკოლაში ეწევიან. წმ. კრება მოუწოდებს მათ, განაგრძონ საქმე, რომელიც იკისრეს, აღსაზრდელები ქრისტეს სულით შთააგონონ, და ისე გამორჩეულნი იყვნენ პედაგოგიურ ხელოვნებასა და სამეცნიერო მუშაობაში, რომ არა მარტო ეკლესიის შიდა განახლებას შეუწყონ ხელი, არამედ შეინახონ და გააღრმავონ მისი კეთილმყოფელი არსებობა (praesentiam) დღევანდელ სამყაროში, განსაკუთრებით ინტელექტუალურ სფეროში.

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამ დეკლარაციაში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც ამას იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესაგან გადმოგვეცა, პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ და ვაწესებთ, და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1965 წლის 28 ნოემბერი
მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
(მოწყვება მამათა ხელმოწერები)

VI, encycl. *Ecclesiam suam*, Pars III, 6 aug. 1964: AAS 56 (1964), pp. 637-659. – CONC. VAT. II, Decret. *de Oecumenismo*.

36 შტ. IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*, 11 apr. 1963: AAS 55 (1963), pp. 284 et passim.

დეკლარაცია
ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ
არაქრისტიანული რელიგიების მიმართ

NOSTRA AETATE

პავლე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მსახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

დეკლარაცია ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ არაქრისტიანული რელიგიების მიმართ

1. ჩვენს დროში, როცა კაცობრიობა სულ უფრო მჭიდროდ ერთიანდება და იზრდება კავშირები სხვადასხვა ერებს შორის, ეკლესია უფრო ღრმად უფიქრდება საკითხს, თუ როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება არაქრისტიანული რელიგიების მიმართ. ეკლესიის მოვალეობაა, ხელი შეუწყოს ერთიანობასა და სიყვარულს ადამიანთა შორის და, შესაბამისად, ხალხთა შორისაც. ამიტომ ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, უფიქრდება იმას, თუ რა აქვთ ადამიანებს საერთო და რა უბიძგებს მათ ურთიერთობისაკენ.

ყველა ხალხი ერთ საზოგადოებას წარმოადგენს, მათ ერთი წარმომავლობა აქვთ. ღმერთმა ხომ ადამიანთა მთელი მოდგმა მთელს დედამიწაზე განასახლა.¹ მათ აქვთ ერთი მიზანი: ღმერთი, რომლის წინასწარგანგება, სიკეთის მოწმობა და გამოხსნის შესახებ ფიქრები ყველაზე განეფინება,² სანამ რჩეულნი არ გაერთიანდებიან წმიდა ქალაქში, რომელსაც განანათლებს ღმრთის დიდება, და სადაც ხალხები ივლიან მის ნათელში.³

სხვადასხვა რელიგიებისგან ადამიანები ელიან პასუხს ადამიანური ყოფიერების დაფარულ ამოცანებზე, რომლებიც, როგორც უნინ, ასევე დღესაც, ადამიანთა გულებს ღრმად აღელვებს: მაინც რა არის ადამიანი? რა აზრი და რა მიზანი აქვს ჩვენს ცხოვრებას? რა არის სიკეთე და რა არის ცოდვა? საიდან წარმოიქმნება ტანჯვა და რა დანიშნულება აქვს მას? რომელი გზა მიგვიყვანს ჭეშმარიტ ბედნიერებასთან? რა არის სიკვდილი, სამსჯავრო და საზღაური სიკვდილის შემდგომ? დაბოლოს, რა არის ის უკანასკნელი და გამოუთქმელი საიდუმლოება, რომელიც მოიცავს ჩვენს არსებობას, საიდანაც წარმოვიქმნებით და საითკენაც მივისწრაფვით.

2. უკვე ძველი დროიდან დღემდე სხვადასხვა ხალხებში არსებობს ერთგვარი აღქმის უნარი იმ დაფარული ძალის მიმართ, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში საგანთა და მოვლენათა ცვლის თანაარსია. ზოგჯერ ეს არის უზენაესი ღმრთაების ან სულაც მამის აღიარება. ეს აღქმა და აღიარება მათ ცხოვრებას ღრმა რელიგიური შინაარსით მსჭვალავს. რელიგიები, რომლებიც კულტურის პროგრესთან არის დაკავშირებული, ცდილობს, ამავე შეკითხვებს პასუხი გასცეს უფრო ფაქიზი ცნებებითა და უფრო დახვეწილი ენით. ასე, ინდუიზმში ადამიანები იკვლევენ საღმრთო საიდუმლოებას და გამოხატავენ მას მითების ამოუწურავი ნაყოფიერებითა და ფილოსოფიის გამჭვალავი ცნებებით. ისინი ცდილობენ, გათავისუფლდნენ ჩვენი ყოფიერების შიშებისაგან. ამისთვის ისინი მიმართავენ ასკეტური ცხოვრების ფორმებს, ღრმა მედიტაციას, ან სიყვარულითა და ნდობით თავშესაფარს პოულობენ ღმერთში. ბუდიზმში, მისი სხვადასხვა ფორმის შესაბამისად, აღიარებენ ამ ცვალებადი სამყაროს უკიდურეს უკმარისობას და ასწავლიან იმ გზის შესახებ, რომლითაც ადამიანები, ღმრთისმოსავი და ნდობით აღსავსე გულით, შეძლებენ მიაღწიონ

1 შდრ. საქმე 17, 26.

2 შდრ. სიბრ. 8, 1; საქ. 14, 17; რომ. 2, 6-7; 1ტიმ. 2, 4.

3 შდრ. გამოცხ. 21, 23ს.

სრული თავისუფლების სტატუსს ან უზენაეს გასხვივონებას, საკუთარი შესაძლებლობებითა თუ ზემოდან შემწობით. ასევე სხვა რელიგიები, რომლებიც მთელს მსოფლიოში არსებობს, ცდილობს, სხდასხვა საშუალებებით დაუხვდეს ადამიანთა სულიერ მოუხვენრობას და შესთავაზოს გზები, ესე იგი მოძღვრებანი, ცხოვრებისეული დარიგებები და ნმიდა წესები.

კათოლიკე ეკლესია არ უარყოფს არაფერს იქიდან, რაც ამ რელიგიებში არის ჭეშმარიტი და ნმიდა. ის გულწრფელი პატივისცემით განიხილავს მოქმედებისა და ცხოვრების იმ ფორმებს, დარიგებებსა და მოძღვრებებს, რომლებსაც – მიუხედავად მათი დიდი განსხვავებისა იმისგან, რასაც თავად ეკლესია ემხრობა და ასწავლის – ხშირად მოაქვს სხივი იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც ყველა ადამიანს განანათლებს. ის აუნყებს და განუხრელად უნდა აუნყებდეს ქრისტეს, რომელიც არის „გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება“ (იოან. 14, 6). მასში ადამიანები ჰპოვებენ რელიგიური ცხოვრების სისავსეს, რომელშიც ღმერთმა ყველაფერი შემოირიგა.⁴

მაშასადამე, ის მოუწოდებს თავის შვილებს, რომ გონივრულად და სიყვარულით, სხვა რელიგიათა მიმდევრებთან საუბრისა და თანამშრომლობის გზით, მათ დაამონწიონ ქრისტიანული სარწმუნოება და ცხოვრება, აღიარონ, შეინახონ და განავითარონ ის სულიერი და მორალური სიკეთეები და ის სოციო-კულტურული ღირებულებები, რომლებიც მათ აქვთ.

3. ეკლესია პატივისცემით უყურებს მუსლიმებსაც, რომლებიც თავყვანს სცემენ ერთ ღმერთს, ცოცხალსა და არსებულს (subsistentem), მონყალესა და ყოვლისშემძლეს, ცისა და მიწის შემოქმედს,⁵ ადამიანებთან მოსაუბრეს. ისინი მთელი სულით ცდილობენ, მის დაფარულ ზრახვებსაც (decretis) კი დაემორჩილონ, როგორც აბრაჰამი დაემორჩილა ღმერთს (ისლამური სარწმუნოება სიამოვნებით იმონწებს ხოლმე მას). მუსლიმები არ აღიარებენ იესოს როგორც ღმერთს, მაგრამ პატივს სცემენ მას როგორც წინასწარმეტყველს და ეთაყვანებიან მის დედას, ქალწულ მარიამს, რომელსაც ზოგჯერ მონინებით უხმობენ კიდეც. ამასთან ერთად, ისინი ელიან განკითხვის დღეს, როდესაც ღმერთი მიუზღავს ყველა აღმდგარ ადამიანს. ამრიგად, ისინი პატივს სცემენ ზნეობრივ ცხოვრებას და ღმერთს თავყვანს სცემენ ლოცვით, მონყალებითა და მარხვით.

საუკუნეთა მანძილზე მრავალი უთანხმოება და მტრობა გაჩნდა ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის, და მაინც, ნმიდა კრება ყველას მოუწოდებს, დაივიწყონ წარსული, გულწრფელად შეეცადონ, გაუგონ ერთმანეთს და ყველა ადამიანისათვის დაიცვან და განავითარონ სოციალური სამართლიანობა, ზნეობრივი ღირებულებები, მშვიდობა და თავისუფლება.

4. ეკლესიის საიდუმლოების კვლევისას ეს ნმიდა კრება მოგვაგონებს იმ კავშირის შესახებ, რომლითაც ახალი აღთქმის ხალხი აბრაჰამის მოდგმასთან არის დაკავშირებული.

ქრისტეს ეკლესია სცნობს, რომ მისი სარწმუნოებისა და რჩეულობის საწყისები, გამოსხნის საღმრთო საიდუმლოების თანახმად, უკვე გვაქვს პატრიარქებთან, მოსესა და წინასწარმეტყველებთან. იგი აღიარებს, რომ ქრისტეს ყველა ერთგული, სარწმუნოებით აბრაჰამის შვილი,⁶ მონოდებულია ამ პატრიარქის მიერ, ხოლო ეკლესიის გამოსხნა საიდუმლოდ მინიშნებულია რჩეული ერის გამოსვლაში მონობის მიწიდან. ამიტომ ეკლესიას არ შეუძლია დაივიწყოს, რომ მან ძველი აღთქმის გამოცხადება მიიღო იმ ერის მეშვეობით, რომელთანაც ღმერთმა თავისი გამოუთქმელი გულმონყალებით ძველი კავშირის დადება ინება. ეკლესია ვერც იმას დაივიწყებს, რომ ის საზრდოობს იმ კეთილი ზეთისხილის ფესვისგან, რომელზეც

4 შდრ. 2კორ. 5, 18-19.

5 შდრ. S. GREGORIUS VII, *Epist. 21 ad Anzira (Nacira), regem Mauritaniae*: ed. CASPAR in *MGH Ep. sel. II*, 1920, I, p. 288, 11-15; PL 148, 450 s.

6 შდრ. გალ. 3, 7.

დამყნობილია ველური ზეთისხილის რტოები – წარმართნი.⁷ ეკლესიას სწამს, რომ ქრისტიემ, მშვიდობამ ჩვენმა, ჯვრის მეშვეობით შეარიგა იუდეველები და წარმართები და თავის თავში ორივე გააერთიანა.⁸

ეკლესიას ყოველთვის თვალწინ აქვს მოციქული პავლეს სიტყვები მისი მოდგმის ადამიანთა შესახებ: „რომელთაჲ-იყო შვილებაჲ და დიდებაჲ და აღთქუმანი და შჯულის-დებანი და მსახურებანი და მითხრობანი; რომელთანი იყვნეს მამანი და რომელთაგან ქრისტიე ჳორციელად“ (რომ. 9, 4-5), რომელიც არის ძე ქალწული მარიამისა. ეკლესიას ისიც ახსოვს, რომ მოციქულები – ეკლესიის საძირკველნი და სვეტნი - იუდეველთა ერში იშვნენ, ისევე როგორც მათი პირველი მონაფეები, რომლებმაც ქრისტეს სახარება აუწყეს სამყაროს.

წმიდა წერილის მონუმენტით, იერუსალიმმა ვერ შეიცნო თავისი მოხილვის უამი,⁹ იუდეველებმა არ მიიღეს სახარების დიდი ნაწილი, ბევრი მათგანი კი სულაც დაუპირისპირდა მის გავრცელებას.¹⁰ მიუხედავად ამისა, მოციქულის თანახამად, იუდეველები, მამათა გამო, დღემდე საყვარელნი არიან ღმრთისათვის, რომლის ნიჭნი და მოწოდება შეუნანებელია.¹¹ წინასწარმეტყველებთან და იმავე მოციქულთან ერთად ეკლესია ელოდება დღეს, რომელიც მხოლოდ ღმრთისათვის არის ცნობილი, როდესაც ყველა ერი ერთხმად მოუწოდებს უფალს და „მას ერთსულოვნად ემსახურება“ (სოფ. 3, 9).¹²

ძალზე დიდი სულიერი მემკვიდრეობა საერთოა ქრისტიანებისა და იუდეველებისთვის. ამიტომ წმიდა კრებას სურს, ხელი შეუწყოს და განავითაროს ურთიერთგაგება და პატივისცემა ორივე მხრიდან, რაც, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიური და თეოლოგიური კვლევითა და ძმური საუბრებით მიიღწევა.

იუდეველ ხელისუფალთა და მათი მომხრეების მოთხოვნა იყო ქრისტეს სიკვდილი.¹³ მიუხედავად ამისა, მის ვნებაში დამნაშავედ ვერ მივიჩნევთ განურჩევლად ყველა იუდეველს, არც მათ, ვინც მაშინ ცხოვრობდა, არც ჩვენს თანამედროვეს. ეკლესიას შეიძლება ვუნდოთ ღმრთის ახალი ერი. ამის მიუხედავად, იუდეველები არ უნდა წარმოვადგინოთ როგორც ღმრთისაგან განკიცხულები და დაწყევლილები, თითქოს ეს წმიდა წერილიდან გამომდინარეობდეს. ამიტომ საყურადღებოა, რომ კატეხიზმოში და ღმრთის სიტყვის ქადაგებაში არ ასწავლონ ის, რაც არ შეესაბამება სახარების ჭეშმარიტებას და ქრისტეს სულს.

ეკლესია კიცხავს ყოველგვარ დევნას ნებისმიერი ადამიანის მიმართ. მას ახსოვს, რომ საერთო მემკვიდრეობა აქვს იუდეველებთან. მას პოლიტიკური მოსაზრებები კი არ ამოძრავებს, არამედ სახარებისეული სიყვარული. ის ღრმად ნუხს ყოველგვარი სიძულვილის, დევნისა და ანტიემიტიზმის გამოვლინების გამო, რაც კი ოდესმე ან ვინმეს მიერ იუდეველთა წინააღმდეგ ყოფილა მიმართული.

ეკლესია ყოველთვის მიიჩნევდა და მიიჩნევს, რომ ქრისტიემ თავისი უსაზღვრო სიყვარულით ნებაყოფლობით დაითმინა ვნება და სიკვდილი ყველა ადამიანის ცოდვის გამო, რათა ყველა გამოხსნილიყო. ეკლესიის ამოცანაა, ქადაგებისას აუწყოს ქრისტეს ჯვარი, როგორც ღმრთის საყოველთაო სიყვარულის ნიშანი და ყოველი მაღლის წყარო.

5. ჩვენ არ შეგვიძლია მოვუწოდოთ ღმერთს, ყველას მამას, თუ უარს ვამბობთ ძმურად მოვეპყრათ ზოგიერთ ადამიანს, ღმრთის ხატად შექმნილს. ადამიანის მიმართება ღმრთისადმი – მამისადმი და ადამიანის მიმართება ადამიანებისადმი – ძმებისადმი იმდენად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ წმიდა წერილი ამბობს: „რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი“ (1 იოან. 4, 8).

7 შდრ. რომ. 11, 17-24.

8 შდრ. ეფეს. 2, 14-16.

9 შდრ. ლუკ. 19, 44.

10 შდრ. რომ. 11, 28.

11 შდრ. რომ. 11, 28-29. – შდრ. Const. dogm. *Lumen Gentium*, n. 16.

12 შდრ. ეს. 66, 23; ფს. 66, 4

13 შდრ. იოან. 19, 6.

ამგვარად, საფუძველი ეცლება ყოველგვარ თეორიასა თუ პრაქტიკას, რომელსაც შემოაქვს განსხვავება ღირსებისა და, შესაბამისად, უფლებების საკითხში ადამიანსა და ადამიანს შორის, ხალხსა და ხალხს შორის.

მაშასადამე, ეკლესია გამოხს ადამიანთა შორის ყოველგვარ დისკრიმინაციას და ძალადობას რასისა თუ კანის ფერის, სოციალური მდგომარეობისა თუ რელიგიის გამო. ამიტომ წმიდა კრება, რომელიც მიჰყვება წმიდა მოციქულთა — პეტრესა და პავლეს კვალს, მხურვალედ ევედრება ქრისტეს ერთგულებს: „სლვაჲ თქუენი წარმართთა შორის გაქუნდენ კეთილი“ (1 პეტრე 2, 12), რომ მათ ჰქონდეთ, თუ შესაძლებელია, მშვიდობა ყველა ადამიანთან,¹⁴ რათა შეჭმარიტად იყვნენ შვილები მამისა, რომელიც არის ცათა შინა.¹⁵

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამდეკლარაციაში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან გადმოგვეცა, ამას პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ და ვანუსებთ, და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1965 წლის 28 ოქტომბერი
მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
(მოჰყვება მამათა ხელმოწერები)

14 შდრ. რომ. 12, 18.

15 შდრ. მათ. 5, 45

დოგმატური კონსტიტუცია
საღმრთო გამოცხადების შესახებ

DEI VERBUM

პავლე ეპისკოპოსი,
 ღმრთის მსახურთა მსახური,
 წმიდა კრების მამებთან ერთად,
 სამუდამო სახსოვრად

დოგმატური კონსტიტუცია საღმრთო გამოცხადების შესახებ

შესავალი

1. ღმრთის სიტყვის კრძალულებით მსმენელი და დარწმუნებით განმცხადებელი წმიდა კრება მისდევს წმ. იოანეს სიტყვებს: „გითხრობთ თქვენ ცხორებასა მას საუკუნესა, რომელი იყო მამასა თანა და გამოგკნდა ჩუენ; რომელი გუესმა და ვიხილეთ, გითხრობთ თქვენ, რათა თქვენცა ზიარებაჲ გაქუნდეს ჩუენ თანა და ზიარებაჲ ჩუენი მამისა თანა და ძისა მისისა თანა იესო ქრისტესსა“ (იოანე 1, 2-3). ამიტომ კრებას, ტრიდენტისა და ვატიკანის I კრებათა მიმდევარს, განზრახული აქვს წარმოადგინოს ქვეშარიტი მოძღვრება საღმრთო გამოცხადებისა და მისი გადმოცემის შესახებ, რათა გამოხსნის უწყების მოსმენით მთელმა მსოფლიომ ირწმუნოს, რწმენით იმედოვნებდეს, იმედოვნებით უყვარდეს.¹

თავი I თავად გამოცხადება

2. ღმერთმა მისი სათნოებითა და სიბრძნით ისურვა თავისი თავის გამოცხადება და უწყება თავისი ნების საიდუმლოსი (შდრ. ეფეს. 1, 9), რომლითაც ადამიანები ქრისტეს, განხორციელებული სიტყვის საშუალებით სული წმიდაში მამას მიეახლებიან და საღმრთო ბუნების თანამოზიარენი ხდებიან (შდრ. ეფეს. 2, 18; 2 პეტრ. 1, 4). ამ გამოცხადებით უხილავი ღმერთი (შდრ. კოლ. 1, 15; 1ტიმ. 1, 17) თავისი სიყვარულის სიუხვით ადამიანებს, როგორც მეგობრებს, მიმართავს (შდრ. გამოსვლ. 33, 11; იოანე 15, 14-15) და მათთან საუბრობს (შდრ. ბარ. 3, 38), რათა ისინი თავისთან საურთიერთოდ მიიწვიოს და ამ ურთიერთობის ნევერებად მიიღოს. გამოცხადების ეს განგებულება იქმნება ქმედებათა და სიტყვათა შინაგანი ურთიერთკავშირით, ისევე როგორც საქმენი, გამოხსნის ისტორიაში ღმრთის მიერ აღსრულებულნი, ცხადყოფენ და განამტკიცებენ მოძღვრებასა და მას, რაც სიტყვებით გამოხატულა, ხოლო სიტყვები გვაუწყებენ საქმეებს და აშუქებენ საიდუმლოს, რომელსაც ისინი შეიცავენ. როგორც ღმრთის, ასევე ადამიანთა გამოხსნის შესახებ ღრმა ქვეშარიტება ჩვენთვის ამ გამოცხადებით ქრისტეში სხივოსნდება, რომელიც არის შუამავალი და იმავდროულად მთელი გამოცხადების სისავსე.²

3. ღმერთმა, სიტყვით ყოველივეს შემქმნელმა (შდრ. იოან. 1, 3) და შემნახველმა, — რომელიც ქმნილებებში მუდმივად ამოწმებს თავის თავს ადამიანთათვის (შდრ. რომ. 1, 19-20) და უზენაესი გამოხსნის გზის გახსნას განიზრახავს, — დასაბამითვე გამოუჩინა თავისი თავი ჩვენს პირველწინაპართ. მათი დაცემის შემდეგ მან ისინი გამოსყიდვის დაპირებით გამოხსნის იმედით აღადგინა (შდრ. დაბ. 3, 15). იგი განუწყვეტლად ზრუნავდა ადამიანთა მოდგმისთვის, რომ ყველასთვის, ვინც ერთგულებით კეთილ საქმეებში გამოხსნას ეძიებდა, საუკუნო ცხოვრება ეჩუქებინა (შდრ. რომ. 2, 6-7). თავის დროზე მან აბრაამს მოუწოდა, რათა მისი შთამომავლობა დიდ ხალხად ექცია (შდრ. დაბ. 12,

1 შდრ. S. AUGUSTINUS, *De catechizandis rudibus*, c. IV, 8: PL 40, 316.

2 შდრ. მათე 11, 27; იოანე 1, 14 და 17; 14, 6; 17, 1-3; 2 კორ. 3, 16 და 4, 6; ეფ. 1, 3-14.

2). ღმერთმა ეს ხალხი პატრიარქების შემდეგ მოსესა და წინასწარმეტყველთა მიერ განსწავლა, რათა ხალხს იგი ეცნო ერთადერთ ცოცხალ და ქვეყნარტ ღმერთად, წინაგანმგებელ მამად და სამართლიან მსაჯულად, და დალოდებოდა აღთქმულ მხსნელს. ასე, საუკუნეთა მანძილზე, მან განუმზადა გზა სახარებას.

4. მას შემდეგ, რაც ღმერთმა მრავალგზის და მრავალგვარად წინასწარმეტყველთა პირით ილაპარაკა, იგი „უკუანახსენელთა ამით დღეთა მეტყოდა ჩუენ ძისა მიერ თვისისა“ (ებრ. 1, 1-2). მან მართლაც გამოგზავნა თავისი ძე — საუკუნო სიტყვა, რომელიც ყველა ადამიანს განანათლებს (illuminat), რათა ძემ იცხოვროს ადამიანთა შორის და მათ ღმრთის საიდუმლონი აუწყოს (შდრ. იოან. 1, 1-18). იესო ქრისტე, განხორციელებული სიტყვა, „ადამიანი ადამიანებთან“ მოვლინებული,³ „სიტყუათა ღმრთისათა იტყვს“ (იოან. 3, 34) და ასრულებს გამოხსნის საქმეს, რომელიც მას მამამ მისცა საქმნელად (შდრ. იოან. 5, 36; 17, 4). ამიტომ იგი, ვისი მხილველიც ხედავს მამასაც (შდრ. იოან. 14, 9), სრულად აღასრულებს გამოცხადებას, აღასრულებს მთელი თავისი აქყოფობითა (praesentia) და გამოჩინებით, სიტყვებითა და საქმეებით, ნიშნებითა და სასწაულებით, განსაკუთრებით კი თავისი სიკვდილითა და მკვდრეთით ბრწყინვალე აღდგომით, და ბოლოს ქვეყნარტების სული წმიდის მოვლინებით. საღმრთო მონუმენტით იესო ქრისტე ადასტურებს, რომ ღმერთი ნამდვილად ჩვენთან არის, რათა ცოდვისა და სიკვდილის წყვდიადისაგან გაგვათავისუფლოს და საუკუნო ცხოვრებაში აღგვადგინოს.

მამასადამე, ქრისტიანული განგებულება, რამდენადაც ის არის ახალი და საბოლოო კავშირი (foedus... definitivum), არასოდეს გარდავა, და უკვე არ არის მოსალოდნელი არავითარი ახალი საჯარო გამოცხადება ბრწყინვალე გამოჩინებამდე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (შდრ. 1ტიმ. 6, 14 და ტიტ. 2, 13).

5. გამომცხადებელი ღმრთის მიმართ შეგვეფერის „სარწმუნოების მორჩილება“ (რომ. 16, 26; შდრ. რომ. 1, 5; 2 კორ. 10, 5-6), რომლითაც ადამიანი მთლიანად და თავისუფლად ეძლევა ღმერთს, როცა „გონებასა და ნებას სრულად უქვემდებარებს“ გამომცხადებელ ღმერთს⁴ და მისგან მოცემულ გამოცხადებას ნებაყოფლობით იღებს. ამ სარწმუნოების არსებობისთვის საჭიროა ღმრთის მადლი, რომელიც მას წინუძღვის და ეხმარება, და სული წმიდის შინაგანი შემწეობა, რომელიც აღძრავს გულს და მას ღმრთისკენ მიაქცევს, გონებას თვალს უხელს, და ანიჭებს „ყველას ქვეყნარტების მიღებისა და რწმენის სიტკბობას.“⁵ იმისათვის, რათა კიდევ უფრო გაღრმავდეს გამოცხადების გაგება, სული წმიდა თავის ნიჭთა საშუალებით (per dona sua) განუწყვეტილად სრულყოფს სარწმუნოებას.

6. ღმერთმა ინება, საღმრთო გამოცხადებით გამოეჩინა და ემცნო თავისი თავი და ადამიანთა გამოსწავლათან დაკავშირებული თავისი ნების საუკუნო გადანყვეტილები (decreta), „რათა ისინი საღმრთო სათნოებებს ეზიარონ, რომლებიც სრულიად აღემატება ადამიანური განსჯისათვის ხელმისაწვდომ გაგებას.“⁶

წმიდა კრება აღიარებს (confitetur), რომ „ღმერთი, ყოველივეს თავი და ბოლო, ნამდვილად შეიძლება შეცნობილ იქნას ქმნილებათა საფუძველზე ადამიანური გონების ბუნებრივი ნათლით“ (შდრ. რომ. 1, 20). კრება ასწავლის, რომ ამ გამოცხადებას უნდა ვუმადლოდეთ, „რომ ის, რაც საღმრთო საქმეთა შორის ადამიანური გონებისთვის თავისთავად მიუწვდომელი არ არის, ყველამ შეიძლება შეიცნოს ადამიანური მოდგმის დღევანდელ მდგომარეობაშიც, შეიცნოს ადვილად, მტკიცე დარწმუნებულობითა და შეცდომის ყოველგვარი მინარევის გარეშე.“⁷

3 Epist. ad Diognetum, 8, 4: Funk I, 403.

4 Conc. Vat. I, Const. dogm. De fide cath., cap. 3 de fide: DENZ. 1789 (3008).

5 Conc. Araus, II, can. 7: Denz. 180 (377). – Conc. Vat. I, l. c.: DENZ, 1791 (3010).

6 Conc. Vat. I, Const. dogm. De fide cath., cap. 2 de revelatione: DENZ. 1786 (3005).

7 იქვე, DENZ. 1785 და 1786 (3004 და 3005).

თავი II საღმრთო გამოცხადების გადმოცემა

7. რაც ღმერთმა ყველა ხალხთა ხსნისათვის გამოგვიცხადა, მან ეს უკეთილესად ისე განაწესა, რომ საუკუნოდ ხელისშეუხებლად ეგოს (permanerent) და ყველა თაობას გადმოეცეს. ამიტომ ქრისტემ — უფალმა, რომელშიც უზენაესი ღმრთის მთელი გამოცხადება სრულდება (შდრ. 2 კორ. 1, 20; 3, 16 — 4, 6), დააკისრა მოციქულებს, რომ სახარება, ადრე წინასწარმეტყველთა მიერ აღთქმული, თავად მის მიერ აღსრულებული და საკუთარი პირით განცხადებული, ყველას უქადაგონ, როგორც ხსნის ყველა ჭეშმარიტებისა და ზნეობრივი წესის წყარო,⁸ და ამცნონ საღმრთო ნიჭნი. ეს ერთგულად შეასრულეს იმ მოციქულებმა, რომლებმაც ზეპირ ქადაგებაში, მაგალითობა და დანესებულებებში (institutionibus) ის გადმოსცეს, რაც ქრისტეს ბაგეთაგან, საუბრიდან თუ საქმეთაგან შეიტყვეს ან სული წმიდის ჩაგონებით შეიცნეს, ასევე იმ მოციქულებმა და სამოციქულო მამებმა, რომელთაც, იმავე სული წმიდის შთაგონებით, წერილობით გვაუწყეს ხსნის შესახებ.⁹

იმისათვის, რათა სახარება ყოველთვის ხელშეუხებლად და ცოცხლად შენახულიყო ეკლესიაში, მოციქულებმა მემკვიდრეობად დატოვეს ეპისკოპოსები, რომელთაც „თავისი საკუთარი სამოძღვრო ხარისხი გადასცეს“.¹⁰ ეს წმიდა გადმოცემა და ორივე აღთქმის წმიდა წერილი არის სარკესავით, რომელშიც ეკლესია თავის მინიერ გზაზე ჭვრეტს ღმერთს; ღმრთისაგან ეკლესია ყველაფერს იღებს, სანამ არ მივა იქამდე, რომ ღმერთი პირისპირ იხილოს, იმგვარად, როგორც ის არის (შდრ. 1 იოან. 3, 2).

8. ამგვარად, სამოციქულო ქადაგება, რომელიც შთაგონების გზით დაწერილ წიგნებში განსაკუთრებული სახით გადმოიცა, დროთა დასასრულამდე უწყვეტი მემკვიდრეობით უნდა შენახულიყო. ამიტომ მოციქულები, რომლებიც გადმოსცემენ იმას, რაც თავად მიიღეს, მოუწოდებენ ერთგულთ, მისდონ გადმოცემებს, რომლებიც სიტყვისა თუ წერილის საშუალებით შეითვისეს (შდრ. 2 თეს. 2, 15), და იბრძოლონ სარწმუნოებისთვის, რომელიც მათ ერთხელ გადმოეცათ (შდრ. იუდ. 3).¹¹ მოციქულთაგან გადმოცემული მოიცავს ყველაფერს, რაც ხელს უწყობს ღმრთის ხალხის ცხოვრების წმიდად წარმართვასა და სარწმუნოების ზრდას. ასე, თავის მოძღვრებაში, ცხოვრებასა და ღმრთისმსახურებაში ეკლესია მარადამყოფებს (perpetuat) და ყველა თაობას გადასცემს ყოველივეს, რაც თავად არის, ყოველივეს, რაც სწამს.

მოციქულთაგან მომდინარე ეს გადმოცემა სული წმიდის შემწეობით ეკლესიაში ვითარდება:¹² იზრდება გადმოცემულ საქმეთა და სიტყვათა წვდომა, როგორც მორწმუნეთა ჭვრეტითა და სწავლით, რომლებიც ყოველივე ამას თავის გულში შემოიკრებენ (შდრ. ლუკ. 2, 19 და 51), ასევე განცდილ სულიერ საქმეთა შინაგანი გაგებით, და აგრეთვე იმათი უწყებით (praeconio), ვინც საეპისკოპოსო მემკვიდრეობით ჭეშმარიტების მყარი (certum) ქარიზმა მიიღო. ასე, საუკუნეთა სვლაში, ეკლესია განუწყვეტლივ მიისწრაფის საღმრთო ჭეშმარიტების სისავსისაკენ, სანამ მასში არ აღსრულდება სიტყვანი ღმრთისანი.

წმიდა მამათა ნათქვამნი ადასტურებენ ამ გადმოცემის მაცოცხლებელ ანმყოფობას (praesentiam), რომლის სიმდიდრე მორწმუნე და მლოცველი (orantis) ეკლესიის მოღვაწეობასა და ცხოვრებას შეერწყმის. ამავე გადმოცემით ცნობილი ხდება წმიდა წიგნთა მთლიანი კანონი; თავად წმიდა წიგნები ეკლესიაში უფრო ღრმად გაი-

8 შდრ. Mt. 28, 19 – 20 და Mc. 16, 15. – Conc. Trid., Sess. 4, decr. *De canonicis Scripturis* : DENZ. 783 (1501).

9 შდრ. Conc. Trid., l. c. – Conc. Vat. I, Sess. 3, Const. dogm. *De fide catholica*, cap. 2 de revelatione : DENZ, 1787 (3006).

10 S. IRENAEUS, *Adv. Haer.* III, 1: PG 7, 848; Harvey, 2, p. 9

11 შდრ. Conc. Nicaenum II: Denz. 303 (602). – Conc. Const. IV, Sess. 10, can. 1: DENZ. 336 (650-652).

12 შდრ. Conc. Vat. I, Const. dogm. *De fide catholica*, cap. 4 de fide et ratione: DENZ. 1800 (3020).

გება და განუწყვეტელი ცხოველმოქმედი ხდება. ასე ღმერთი, რომელმაც ადრე ილაპარაკა და რომელიც თავისი საყვარელი ძის სძალს განუწყვეტელიც ესაუბრება, და სული წმიდა, რომლის საშუალებით სახარების ცოცხალი ხმა ჟღერს ეკლესიაში, ხოლო ეკლესიის საშუალებით – სამყაროში, მორწმუნეთ უძღვება ჭეშმარიტების სისავსეში და მათში ამკვიდრებს ქრისტეს სიტყვას (შდრ. კოლ. 3, 16).

9. ამგვარად, წმიდა გადმოცემა და წმიდა წერილი ერთმანეთთან მჭიდროდ კავშირსა და ურთიერთობაში არიან: ორივე, ერთი და იმავე საღმრთო წყაროდან მომდინარე, გარკვეულწილად ერთ მთლიანობად შეირწყმის და ერთი და იმავე მიზნისკენ ისწრაფვის. მართლაც, წმიდა წერილი არის ღმრთის ლაპარაკი (*locutio*), რამდენადაც ის საღმრთო სულის შთაგონებით შექმნილი ნაწერით დასტურდება, ხოლო წმიდა გადმოცემა სიტყვას ღმრთისას (*verbum Dei*), რომელიც უფალმა ქრისტემ და სული წმიდამ მოციქულებს მიანდო, მათ მემკვიდრეებს სრულად გადასცემს, რათა მას, ჭეშმარიტების მანათობელი სულის შემწეობით, თავისი ქადაგებით ერთგულად ემსახურონ, განმარტონ ის და გაავრცელონ. მაშასადამე, ეკლესია თავის დარწმუნებულობას ყოველივე გამოცხადებულთან მიმართებაში მხოლოდ წმიდა წერილიდან არ იძენს. ამიტომ ორივეს მიღება და თაყვანისცემა კრძალვისა (*pietatis*) და პატივისცემის თანაბარი განცდით გვმართებს.¹³

10. წმიდა გადმოცემა და წმიდა წერილი შეადგენენ საღმრთო სიტყვის ერთ წმიდა საუნჯეს, რომელიც ეკლესიისთვის იქნა მინდობილი. მასზე დამოკიდებული მთელი წმიდა ხალხი, თავის მწყემსებთან ერთიანი, მუდმივად განკრძალულია (*perservat*) მოციქულთა მოძღვრებასა და ზიარებაში, პურის გატეხვასა და ლოცვებში (შდრ. საქმ. 2, 42). ასე, გადმოცემული სარწმუნოების შენახვაში, აღსრულებასა და აღსარებაში აღმოცენდება წინამძღვართა და მორწმუნეთა (*Antistitem et fidelium*) გაუმეორებელი ერთსულოვნება.¹⁴

საღმრთო სიტყვის, დაწერილისა თუ გადმოცემულის, ნამდვილი განმარტების მოვალეობა მხოლოდ ეკლესიის ცოცხალ მოძღვრობას (*magisterium*) დაეკისრა,¹⁵ რომლის უფლებამოსილება (*auctoritas*) იესო ქრისტეს სახელით სრულდება. ეს მოძღვრობა ღმრთის სიტყვის ზემდგომი კი არ არის, არამედ მას ემსახურება; ის ასწავლის მხოლოდ იმას, რაც გადმოიცა, რადგან საღმრთო დავალებითა (*mandato*) და სული წმიდის შემწეობით სიტყვას კრძალვით ისმენს, მას წმიდად იცავს და ერთგულად განმარტავს; ის რწმენის ერთიანი საუნჯიდან იძენს ყოველივე იმას, რასაც წარმოგვიდგენს ღმრთივგამოცხადებულად და ამდენად როგორც სარწმუნოს.

ამგვარად, ცხადია, რომ წმიდა გადმოცემა, წმიდა წერილი და ეკლესიის მოძღვრობა, ღმრთის უბრძნესი განზრახვის (*consilium*) თანახმად, იმდენად ურთიერთდაკავშირებული და თანაზიარია (*consociari*), რომ უერთმანეთოდ არ არსებობენ, და ყველა ერთად და თითოეული თავისებურად, ერთიანი სული წმიდის მოქმედებით, წარმატებით უწყობს ხელს სულთა გამოხსნას.

თავი III

წმიდა წერილის ღმრთივშთაგონებულობა და მისი განმარტება

11. ყოველივე საღმრთოდ გამოცხადებული, რასაც წმიდა წერილი შეიცავს და წარმოგვიდგენს, სული წმიდის ჩაგონებით ჩაინერა. სამოციქულო სარწმუნოე-

13 შდრ. Conc. Trid., Sess. 4, l. c.: DENZ. 783 (1501).

14 შდრ. Pius XII, Const. apost. *Munificentissimus Deus*, 1 nov. 1950: AAS 42 (1950), p. 756, S. Cypriani, *Epist.* 66, 8: CSEL (Hartel) III, B, p. 733: “ეკლესია, მღვდელთან ერთიანი ხალხი და თავის მწყემსზე დამოკიდებული სამწყსო”.

15 შდრ. Conc. Vat. I, Const. dogm. *De fide catholica*, cap. 3 de fide: DENZ. 1792 (3011).

ბის საფუძველზე, წმიდა დედას – ეკლესიას წმიდად და კანონიკურად მიაჩნია როგორც ძველი, ასევე ახალი აღთქმის წიგნები, მთლიანად, მათი ყველა ნაწილითურთ, იმიტომ რომ მათ, სული წმიდის შთაგონებით დაწერილთ (მდრ. იოან. 20, 31; 2 ტიმ. 3, 16, 2პეტ. 1, 19-21; 3, 15-16), ავტორად ღმერთი ჰყავთ, და ასეთებად გადმოცენენ ისინი ეკლესიას.¹⁶ წმიდა წიგნების შესადგენად ღმერთმა მართლაც ის ადამიანები აირჩია, რომლებსაც თავიანთ უნარებისა და შესაძლებლობების სრული გამოყენებით,¹⁷ თავად ღმრთის მათში და მათი საშუალებით მოქმედების საფუძველზე,¹⁸ წერილობით, როგორც ნამდვილ ავტორებს, ყოველივე ის და მხოლოდ ის უნდა გადმოეცათ, რაც თავად მას სურდა.¹⁹

ყველაფერი, რასაც განაცხადებენ შთაგონებული ავტორები ანუ ჰაგიოგრაფები, სული წმიდისგან განცხადებულად უნდა ვცნოთ (*retineri*) და ვაღიაროთ, რომ წმიდა წერილის წიგნები მტკიცედ, ერთგულად და უცდომელად ასწავლიან იმ ჭეშმარიტებას, რომელიც ღმერთმა ისურვა, რომ ჩვენი გამოხსნის მიზნით, წმიდა ნაწერთა სახით (*Litteris Sacris*) აღბეჭდილიყო.²⁰ ამგვარად, „წერილი ერთობილი ღმრთი შთაგონებულ და სარგებელ სამოდღურებლად არს და სამხილებლად, გამოსასწორებლად და სასწავლელად სიმართლისა, რაჲთა სრულქმნილი იყოს კაცი ღმრთისა, ყოველი კეთილი საქმისთვის განმზადებული“ (2ტიმ. 3, 16-17).

12. წმიდა წერილში ღმერთმა ილაპარაკა ადამიანთა პირით, როგორც ადამიანმა.²¹ იმისათვის, რომ წმიდა წერილის განმმარტებელი ჩასწვდეს იმას, რისი შეტყობინებაც ღმერთს ჩვენთვის სურდა, მან ყურადღებით უნდა გამოიკვლიოს, თუ რის გამოხატვას განიზრახავდნენ სინამდვილეში ჰაგიოგრაფები და რისი განცხადება ინდომა ღმერთმა მათი სიტყვებით.

ჰაგიოგრაფთა განზრახვის ამოსახსნელად სხვათა და სხვათა შორის გასათვალისწინებელია „ლიტერატურული ჟანრები“. ჭეშმარიტება ხომ სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება და გამოიხატება სხვადასხვა ტექსტში, იქნება ის ისტორიული, წინასწარმეტყველური, პოეტური თუ კიდევ სხვა რომელიმე ჟანრისა. განმმარტებელმაც ის აზრი უნდა ეძიოს, რომლის გამოხატვა სურდა ჰაგიოგრაფს გარკვეულ პირობებში, დროისა და კულტურის გარემოს შესაბამისად, და რომელსაც ის იმ დროისთვის დამახასიათებელი ლიტერატურული ჟანრის გამოყენებით გამოხატავდა.²² იმისთვის, რომ სწორად გავიგოთ ის, რისი განცხადება სურდა თავისი ნაწერთი წმიდა საქმეთა აღმწერს (*sacer auctor*), სათანადოდ უნდა გავითვალისწინოთ განცდის, თქმის, თხრობის ჩვეული, მკვიდრი თავისებურებები, რომლებიც ჰაგიოგრაფის დროს იყო გაბატონებული, ასევე ის თავისებურებები, რომლებიც იმ ხანაში იყო დამახასიათებელი საზოგადოდ ადამიანთა ურთიერთობებისთვის.²³

წმიდა წერილი უნდა წაკითხულ იქნეს და განიმარტოს იმავე სულის საშუალებით, რომლის საშუალებითაც ის დაინერა.²⁴ ამიტომ წმიდა ტექსტების აზრის სწორი გაგებისათვის არანაკლებ საგულისხმოა მთლიანი წერილის შინაარსი და მისი ერთიანობა, მთელი ეკლესიის ცოცხალი გადმოცემისა და სარწმუნოების თანხმობის

16 შდრ. Conc. Vat. I, Const. dogm. *de fide catholica*, cap. 2 de revelatione: DENZ. 1787 (3006). – Comm. BIBLICA, Decr. 18 iunii 1915: DENZ. 2180 (3629); EB 420. (Enchr. Bibl.). – S. S. C. S. Officii, epist. 22 dec. 1923: EB 499.

17 შდრ. Pius XII, encycl. *Divino afflante Spiritu*, 30 sept. 1943: AAS 35 (1943), p. 314; EB 556.

18 ადამიანში და ადამიანის საშუალებით: შდრ. ებრ. 1, 1 და 4, 7; 2 სამ. 23, 2; მათე 1, 22 და სხვ. – Conc. Vat. I: *Schema de doct. cath.*, nota 9: Coll. Lac. VII, 522.

19 Leo XIII, encycl. *Providentissimus Deus*, 18 nov. 1893: DENZ. 1952 (3293); EB 125.

20 შდრ. S. AUGUSTINUS, *Gen. ad litt.* 2, 9, 20: PL 34, 270-271; *Epist.* 82, 3: PL 33, 277; CSEL 34, 2, p. 354. – S. THOMAS, *De ver. q.* 12, a. 2, c. – CONC. TRID., Sess. 4, *de canonicis Scripturis*: DENZ. 783 (1501). – Leo XIII, encycl. *Providentissimus*: EB 121, 126-127. – Pius XII, encycl. *Sivino afflante*: EB 539.

21 S. AUGUSTINUS, *De Civ. Dei*, XVII, 6, 2: PL 41, 537; CSEL XL, 2, 228.

22 S. AUGUSTINUS, *De Doctr. Christ.*, III, 18, 26: PL 34, 75-76.

23 PIUS XII, *l. c.*: DENZ. 229 (3829-3830); EB 557-562.

24 შდრ. BENEDICTUS XV, encycl. *Spiritus Paraclitus*, 15 sept. 1920: EB 469. – S. HIERONYMUS, *In Gal.* 5, 19-21: PL 26, 417 A..

გათვალისწინებით. ამ წესების შესაბამისად, ეგზეგეტიკმა ხელი უნდა შეუწყონ წმიდა წერილის აზრის უფრო ღრმად გაგებასა და გადმოცემას, რათა მათი ერთგვარად მოსამზადებელი შესწავლით ეკლესიის მსჯავრი (iudicum) მნიფდებოდეს. ყველაფერი, რაც წერილის განმარტების თავისებურებას შეეხება, საბოლოოდ ექვემდებარება ეკლესიის მსჯავრს, ეკლესია კი ღმრთის სიტყვის შენახვითა და განმარტებით ასრულებს საღმრთო დავალებასა და სამსახურს.²⁵

13. ამგვარად, წმიდა წერილში ვლინდება, ღმრთის შეურყენელი ჭეშმარიტებისა და სინმიდის სამუდამო შენახვისას, საუკუნო სიბრძნის საოცარი „ჩამოსვლა“ (condescensio), რათა ვისწავლოთ ღმრთის გამოუთქმელი სათნოება, და ის, თუ როგორ მდაბლდება იგი თავის მეტყველებაში, როცა ჩვენს ბუნებას წინაგანაგებს და მისთვის ზრუნავს.²⁶ მართლაც, ღმრთის სიტყვანი, ადამიანურ ენებზე გამოხატულნი, ადამიანური მეტყველების მსგავსნი შეიქმნენ, ისევე როგორც ოდესღაც ადამიანთა მსგავსი შეიქმნა საუკუნო მამის სიტყვა, რომელმაც ადამიანური ხორცის სიძაბუნე მიიღო.

თავი IV ძველი აღთქმა

14. უაღრესად მოსიყვარულე ღმერთმა, რომელიც მზრუნველად განიზრახავს და ამზადებს მთელი ადამიანური მოდგმის გამოსხნას, განსაკუთრებული გეგმის საფუძველზე თავისთვის აირჩია ხალხი, რომელსაც დაპირებებს მიანდობდა. ღმერთმა კავშირი დაამყარა აბრაამთან (შდრ. დაბ. 15, 18) და, მოსეს გზით, ისრაელის ხალხთან (შდრ. გამოსვლ. 24, 8), ხოლო ამ კავშირის საშუალებით გამოეცხადა, სიტყვებშიცა და საქმეებშიც, თავის რჩეულ ხალხს ერთადერთ ჭეშმარიტ და ცოცხალ ღმერთად. ეს მოხდა იმისთვის, რათა ისრაელს გამოეცხადა, თუ რა საღმრთო გზები მიდის ადამიანებისკენ, და, წინასწარმეტყველთა პირით ღმრთის საუბრის საფუძველზე, ეს გზები დღიდან დღემდე სულ უფრო ღრმად და მკაფიოდ გაეგო და მათ შესახებ ცოდნა სულ უფრო ფართოდ გაეგრცვლებინა ხალხებში (შდრ. ფს. 21, 28-29; 95, 1-3; ის. 2, 1-4; იერ. 3, 17). გამოსხნის განგებულება, წმიდა ავტორთა მიერ წინასწარწინაუწყები, მოთხრობილი და განმარტებული, ძველი აღთქმის წიგნებში წარმოდგება როგორც სიტყვა ღმრთისა. ამიტომ ეს ღმრთივშთავგონებული წიგნები წარუვალ ღირებულებას ინახავენ: „რამეთუ რაოდენი-იგი დაინერა, ჩუენდა სამოძღურებლად დაინერა, რაათა მოთმინებითა მით და ნუგეშინის-ცემითა წიგნთათა სასოებაჲ გუაქუნდეს“ (რომ. 15, 4).

15. ძველი აღთქმის განგებულება უპირველეს ყოვლისა განკუთვნილი იყო იმისთვის, რომ მოემზადებინა ქრისტეს — საყოველთაო გამომხსნელის (redemptoris) მოსვლა და მისი მესიანური მეუფების დადგომა, წინასწარმეტყველურად ემცნო ის (შდრ. ლუკ. 24, 44; იოან. 5, 39; 1 პეტ. 1, 10) და სხვადასხვა ნიშნით გამოეხატა (შდრ. 1 კორ. 10, 11). ძველი აღთქმის წიგნები (ისინი ადამიანთა მოდგმის იმ მდგომარეობას ითვალისწინებენ, რომელიც ქრისტეს მიერ გამოსხნის დროთა უწინარესია) ყველასთვის ცხადყოფენ იმის ცოდნას, თუ ვინ არის ღმერთი და ვინ — ადამიანები, და თუ როგორ მოქმედებს მოსამართლე და მოწყალე ღმერთი ადამიანებთან მიმართებაში. რაც უნდა არასრულყოფილსა და დროებითს შეიცავდეს ეს წიგნები, ისინი მაინც ჭეშმარიტ საღმრთო პედაგოგიას ამჟღავნებს;²⁷ ისინი გამოხატავს ღმრთის ცოცხალ აღქმას (sensus), მათში შენახულია უმაღლესი მოძღვრებანი ღმრთის შესახებ, მხსნელი სიბრძნე ადამიანური ცხოვრების შესახებ, ლოცვათა საოცარი საგანძური და, ბოლოს, მათში ჩვენი გამოსხნის

25 შდრ. CONC. VAT. I, Const. dogm. *De fide catholica*, cap. 2 de revelatione: DENZ. 1788 (3007).

26 S. Io. CHRYSOSTOMUS, *In Gen.* 3, 8 (hom. 17, 1): PG 53, 134.

27 PIUS XI, *encycl. Mit brennender Sorge*, 14 martii 1937: AAS 29 (1937), p. 151.

საიდუმლოა დაფარული. ამიტომ ქრისტიანებმა ეს წიგნები მოწინებით (*devote*) უნდა მიიღონ.

16. მაშასადამე, ღმერთმა, ალექმათა ორივე წიგნის შთამაგონებელმა და ავტორმა, ბრძნულად ისე განანესა, რომ ახალი ალექმა დაფარულია ძველში, ახალში კი ძველი იხსნება.²⁸ მიუხედავად იმისა, რომ ქრისტემ თავის სისხლში დააფუძნა ახალი კავშირი (*Foedus*) (შდრ. ლუკ. 22, 20; 1 კორ. 11, 25), მაინც, ძველი ალექმის წიგნები, სახარების უწყებაში მთლიანად მიღებული,²⁹ ახალ ალექმაში იძენენ და ავლენენ თავის სრულ მნიშვნელობას (შდრ. მათ. 5, 17; ლუკ. 24, 27; რომ. 16, 25-26; 2 კორ. 3, 14-16), ხოლო ახალ ალექმას ისინი, თავის მხრივ, ნათელს ჰყვენენ და განმარტავენ.

თავი V ახალი ალექმა

17. სიტყვა ღმრთისა, რომელიც არის ძლიერება ღმრთისა ყველა მორწმუნის გამოსახსნელად (შდრ. რომ. 1, 16), ახალი ალექმის ნაწერებში არაჩვეულებრივი სახით წარმოდგება და თავის ძალას ავლენს. როცა მოიწია ჟამთა სისავსე (შდრ. გალ. 4, 4), სიტყვა ხორციელ იქმნა და დამკვიდრდა ჩვენს შორის, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებით (შდრ. იოან. 1, 14). ქრისტემ დაამყარა მიწაზე მეუფება ღმრთისა, მოქმედებებითა და სიტყვებით გამოავლინა თავისი მამა და თავისი თავი, ხოლო სიკვდილით, აღდგომითა და ბრწყინვალე ამალღებით, აგრეთვე სული წმიდის გამოგზავნით თავისი საქმე აღასრულა. მინიდან ამალღებული, ყველას თავისკენ მიიზიდავს (შდრ. იოან. 12, 32) თავად იგი, ერთადერთი, ვისაც საუკუნო ცხოვრების სიტყვანი აქვს (შდრ. იოან. 6, 68). მაგრამ ეს საიდუმლო არ იყო განხსნილი სხვა თაობათათვის ისე, როგორც ის ახლა გამოეცხადა სული წმიდაში მის წმიდა მოციქულებსა და წინასწარმეტყველებს (შდრ. ეფეს. 3, 4-6), გამოეცხადა იმისთვის, რომ მათ სახარება ექადაგათ, იესოსადმი, ქრისტესა და უფლისადმი რწმენა აღეძრათ და ეკლესია შეეკრიბათ. ამ საქმეთა მუდმივ და საღმრთო მოწმეობას ახალი ალექმის ნაწერები წარმოადგენენ.

18. ყველასთვის ცნობილია, რომ ყველა ნაწერთა შორის, თვით ახალი ალექმისაც კი, სახარებები დამსახურებულად გამორჩეულია, რადგან ისინი განხორციელებული სიტყვის, ჩვენი გამომხსნელის ცხოვრებისა და მოძღვრების განსაკუთრებულ მოწმეობას წარმოადგენენ.

ეკლესია ყოველთვის და ყველგან ცნობდა და ცნობს ოთხი სახარების სამოციქულო წარმომავლობას. ქრისტეს განკარგულებით მოციქულებმა ის იქადაგეს, რაც შემდეგ მათ და მათთან დაახლოვებულმა სამოციქულო მამებმა სული წმიდის შთაგონებით ჩვენ წერილობით გადმოგვცეს, როგორც რწმენის საფუძველი, — ოთხთავი ანუ მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარება.³⁰

19. წმიდა დედა ეკლესია მტკიცედ და სრულიად უცვლელად ცნობდა და ცნობს, რომ ოთხი ხსენებული სახარება, რომელთა ისტორიულობას იგი უყოყმანოდ ადასტურებს, სარწმუნოდ გადმოსცემს იმას, რასაც იესო ძე ღმრთისა, ადამიანთა შორის მკვიდრი, მათი საუკუნო გამოხსნისთვის აკეთებდა და ასწავლიდა, ვიდრე დღემდე მისი ამალღებისა (შდრ. საქმე 1, 1-2). ხოლო ის, რაც მას უთქვამს და გაუკეთებია, მოციქულებმა უფლის ამალღების შემდეგ მსმენელებს გაგების იმ განსაკუთრებული სისავსით გადმოსცეს, რომელიც თავად მიიღეს,³¹ ქრისტეს ბრწყინვალე

28 S. AUGUSTINUS, *Quest. in Hept.* 2, 73: PL 34, 623.

29 S. IRENAEUS, *Adv. Haer.* III, 21, 3: PG 7, 950 (= 25, 1: HARVEY 2, p. 115). – S. CYRILLUS HIEROS., *Catech.* 4, 35: PG 33, 497. – THEODORUS MOPS., *In Soph.* 1, 4-6: PG 66, 452D – 453A..

30 შდრ. S. IRENAEUS, *adv. Haer.* III, 11, 8: PG 7, 885; SAGNARD, p. 194.

31 იოანე 2, 22; 12, 16; შდრ. 14, 12; 16, 12, 12-13; 7, 39.

მოვლენებით დარიგებულებმა და ჭეშმარიტების სულის ნათებით განსწავლულებმა.³² წმიდა ავტორებმა შეადგინეს ოთხი სახარება, რომელშიც ზოგი რამ ზეპირი ან სულაც უკვე წერილობითი გადმოცემიდან შერჩევის შედეგად შეიტანეს, ზოგისაც სინთეზი გააკეთეს, ან ეკლესიათა მდგომარეობის გათვალისწინებით განმარტეს. საბოლოო ჯამში მათ მაცნეობის (*praeconii*) ფორმა ისე შეინარჩუნეს, რომ ის, რასაც იესოს შესახებ გვატყობინებდნენ, მუდამ ჭეშმარიტი და გულწრფელი ყოფილიყო.³³ ისინი წერდნენ თავიანთი საკუთარი ხსოვნისა და მოგონების თუ იმათი მოწმეობის საფუძველზე, „რომელნი დასაბამითგან თვით-მხილველ და მსახურ ყოფილ იყვნეს სიტყვას მის,“ მათი განზრახვა იყო ის, რომ ჩვენ გვეცნო იმ სიტყვების „ჭეშმარიტება“, რომლებიც გვისწავლია (შდრ. ლუკ. 1, 2-4).

20. ოთხი სახარების გარდა, ახალი აღთქმის კანონი შეიცავს წმიდა პავლეს ეპისტოლეებსა და სხვა სამოციქულო ნაწერებსაც, რომლებიც სული წმიდის შთაგონებით შეიქმნა. ღმრთის ბრძნული განზრახვით (*consilio*), ამ ნაწერებით ის დასტურდება, რაც უფალ ქრისტეს უკავშირდება. ეს ნაწერები სულ უფრო მეტად განაცხადებენ მის ჭეშმარიტ მოძღვრებას (*genuina Eius doctrina*), გვამცნობენ ქრისტეს საღმრთო საქმის გამომხსნელ ძალას, მოგვითხრობენ ეკლესიის დასაბამისა და მისი საოცარი გავრცელების შესახებ, და წინასწარ გვაუწყებენ მის ბრწყინვალე დასრულებას.

უფალი იესო, დაპირებისამებრ, თავის მოციქულებთან იყო (შდრ. მათ. 28, 20); მან მოციქულებს გამოუგზავნა ნუგეშინისმცემელი სული, რომელიც მათ ჭეშმარიტების სისავსეში გაძლოლოდა (შდრ. იოვან. 16, 13).

თავი VI

წმიდა წერილი ეკლესიის ცხოვრებაში

21. ეკლესია მუდამ თაყვანს სცემდა წმიდა წერილს, ისევე როგორც თავად სხეულს უფლისას. როგორც ღმრთის სიტყვის, ასევე ქრისტეს სხეულის სუფრიდან იგი ყოველთვის, განსაკუთრებით წმიდა ლიტურგიაში, იღებს პურს და მას მორწმუნეთ სთავაზობს. ეკლესიას მუდამ მიაჩნდა და მიაჩნია წმიდა წერილი, წმიდა გადმოცემასთან ერთად, თავისი სარწმუნოების უზენაეს წესად. წმიდა წერილი, ღმრთივშთაგონებული და ერთხელ და სამუდამოდ ნაწერი დადასტურებული, უცვლელად გვაუწყებს თავად ღმრთის სიტყვას და წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სიტყვებში აუღერებს სული წმიდის ხმას. ამიტომ, საეკლესიო მქადაგებლობა (*praedicationis*), ისევე როგორც თავად ქრისტიანული რელიგია, წმიდა წერილით უნდა საზრდობდეს და ხელმძღვანელობდეს. მამა, რომელი არს ცათა შინა, თავის შვილებს სიყვარულით ეგებება და ესაუბრება წმიდა წიგნებში. ღმრთის სიტყვაში ისეთი სიმტკიცე და ძალაა (*vis ac virtus*), რომ ის ეკლესიისთვის წარმოადგენს საყრდენსა და ენერგიას, ეკლესიის შვილთათვის კი სარწმუნოების სიმძლავრეს, სულის საზრდოსა (*animae cibus*) და სულიერი ცხოვრების (*vitae spiritualis*) სუფთა და მუდმივ წყაროს. ამიტომ წმიდა წერილსაც შესანიშნავად მიესადაგება ეს სიტყვები: „რამეთუ ცხოველ არს სიტყუა ღმრთისა და მოქმედ“ (ებრ. 4, 12), „რომელი შემძლებელ არს აღშენებად და მოცემად თქუენდა მკვდრობისა ყოველთა შინა წმიდათა.“ (საქმე 20, 32; შდრ. 1 თეს. 2, 13).

22. ქრისტიანებს ფართოდ უნდა მიესვლებოდეთ წმიდა წერილთან. ამიტომ ეკლესიამ დასაბამითვე ძველი აღთქმის ის უძველესი ბერძნული თარგმანი ცნო თავისად, რომელიც სამოცდაათი კაცის სახელს ატარებს. ეკლესია ყოველთვის პატივისცემით ეპყრობა სხვა, აღმოსავლურსა და ლათინურ თარგმანებსაც, უპირველეს ყოვლისა კი იმას, რომელსაც „ვულგატა“ ეწოდება. სიტყვა ღმრთისა ყველა დროის

32 შდრ. იოანე 14, 26; 16, 13.

33 შდრ. ინსტრუქცია *Sancta Mater Ecclesia*. გამოცემული ბიბლიის შესწავლის პაპის საბჭოს მიერ: AAS 56 (1964), p. 715.

განკარგულებაში უნდა იყოს, ამიტომ ეკლესია დედობრივად ზრუნავს იმისთვის, რომ სხვადასხვა ენის თარგმანები შესაბამისი და ზუსტი იყოს და თარგმანი ძირითადად წმიდა წიგნების პირველადი ტექსტებიდან განხორციელდეს. თუ ეს თარგმანები, ხელსაყრელ პირობებში და ეკლესიის ძალაუფლების (auctoritate) თანხმობით, შესრულდა ჩვენგან გამოიწვეულ ძმებთან თანამშრომლობის საფუძველზე, ისინი მაინც შეიძლება გამოიყენოს ყველა ქრისტიანმა.

23. განხორციელებული სიტყვის სძალი, ეკლესია, განსწავლული სული წმიდი-სგან, ცდილობს, ყოველდღიურად სულ უფრო ღრმად ჩასწვდეს წმიდა წერილის გაგებას, რომ თავისი შვილები უწყვეტლივ ასაზრდოოს საღმრთო საუბრით (eloquiis). ამიტომ, წესისამებრ, იგი მხარს უჭერს წმიდა მამების, როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის, და წმიდა ლიტურგიების შესწავლას. კათოლიკე ეგზეგეტებმა და წმიდა ღმრთისმეტყველების სხვა მოღვაწეებმაც (cultores), ძალთა გულმოდგინედ გაერთიანებით იმისთვის უნდა იღვანონ, რომ წმიდა მოძღვრობის ზედამხედველობით, შესაბამისი დამხმარე საშუალებების გამოყენებით, საღმრთო წერილები ისე გამოიკვლიონ და წარმოადგინონ, რომ საღმრთო სიტყვის რაც შეიძლება მეტ მსახურს შეეძლოს ღმრთის ხალხისთვის წერილობითი საზრდოს უხვად მიწოდება. ეს განანათლებს გონებას, განამტკიცებს ნებას და აღაგზნებს ადამიანთა გულებს ღმრთის სიყვარულისკენ.³⁴ წმიდა კრება შეაგულანებს ეკლესიის შვილებს, ბიბლიის მცოდნეთ (cultoribus), რომ ბედნიერად წამოწყებული საქმე ყოველდღიურად და განუხრელად განაგრძონ განახლებული ძალებითა და მთელი გულმოდგინებით, ეკლესიის სულისკვეთების შესაბამისად.

24. წმიდა ღმრთისმეტყველება, წმიდა გადმოცემასთან ერთად, ეყრდნობა ღმრთის დაწერილ სიტყვას როგორც ურყევ საძირკველს. იგი მასში ძლიერდება და მუდამ ახალგაზრდავდება, როცა ქრისტეს საიდუმლოში დაფარულ მთელ ჭეშმარიტებას სარწმუნოების ნათლით იკვლევს. წმიდა წერილი შეიცავს სიტყვას ღმრთისას; ღმრთივმთავონებულნი, ის ჭეშმარიტად ღმრთის სიტყვაა. ამიტომ წმიდა წერილის შესწავლა წმიდა ღმრთისმეტყველების სამშინველს ჰგავს.³⁵ წმიდა წერილის ამ სიტყვით ჯანსაღად იკვებება და წმიდად ძლიერდება სიტყვის მსახურება, კერძოდ სამოძღვრო ქადაგება, კატეხიზაცია და ყოველგვარი ქრისტიანული დარიგება, რომელშიც ლიტურგიულ ჰომილიას განსაკუთრებული ადგილი უნდა ეკავოს.

25. ამიტომ ყველა ღმრთისმსახურნი, უპირველეს ყოვლისა ქრისტეს მღვდელნი და სხვები, როგორებიც არიან დიაკონნი და კატეხიზატორნი, რომელნიც წესისამებრ სიტყვის სამსახურში დგანან, გულმოდგინე სულისმიერი (sacra) კითხვითა და გამოწვლილვითი შესწავლით წმიდა წერილს უნდა დაეყრდნონ, რათა რომელიმე მათგანი არ გახდეს „ღმრთის სიტყვის უშინაარსო და ზედაპირულად მქადაგებელი, თუ ის შინაგანად მისი მსმენელი არ არის“.³⁶ განსაკუთრებით წმიდა ლიტურგიაში მათ უნდა გადასცენ საღმრთო სიტყვის უკიდევანო სიმდიდრე მათთვის მინდობილ მორწმუნებს. წმიდა კრება დაბეჯითებითა და საგანგებოდ მოუწოდებს ყველა ქრისტიანს, განსაკუთრებით მონესეებს, რომ საღმრთო წერილის ხშირი კითხვით შეისწავლონ „გარდამატებული მეცნიერება იესო ქრისტესი“ (ფილ. 3, 8), რადგან „წმიდა წერილის არცოდნა ქრისტეს არცოდნაა“.³⁷ ასე რომ ხალხისთ შეუდგენენ თავად წმიდა ტექსტის წვდომას, იქნება ეს წმიდა ლიტურგიის გზით, რომელიც საღ-

34 შდრ. Pius XII, encycl. *Divino afflante*: EB 551, 553, 567. – Comm. BIBLICA, *Instructio de S. Scriptura in Clericorum Seminariis et Religiosorum Collegiis recte docenda*, 13 maii 1950: AAS 42 (1950), pp. 495-505.

35 შდრ. Leo XIII, encycl. *Providentissimus*: EB 114. – BENEDICTUS XV, encycl. *Spiritus Paraclitus*: EB 483.

36 S. AUGUSTINUS, *Serm. 179, I*: PL 38, 966.

37 S. Hieronymus, *Comm. in Is.*, ProL: PL 24, 17. – შდრ. BENEDICTUS XV, encycl. *Spiritus Paraclitus*: EB 475-480. – PIUS XII, encycl. *Divino afflante*: EB 544.

მართო სიტყვებით არის დატვირთული, ან კრძალულებითი კითხვის მეშვეობით, ან ამისთვის განკუთვნილი დაწესებულებათა გზით, ან სხვა დამხმარე საშუალებებით, რომლებიც ჩვენს დროში ყველგან სანაქებოდ ვრცელდება ეკლესიის მწყემსთა თანხმობითა და მზრუნველობით. საგულისხმოა, რომ ლოცვას თან უნდა ახლდეს წმიდა წერილის კითხვა, რათა ღმერთსა და ადამიანს შორის შედგეს საუბარი, რადგან „მას ვესაუბრებით, როცა ვლოცულობთ, მას ვისმენთ, როცა საღმრთო გამოწვევამთ ვკითხულობთ“.³⁸

ეკლესიის მესვეურთ (sacris...Antistitibus), „ვისთანაც არის სამოციქულო მოძღვრება“,³⁹ შეჰფერის, რომ სათანადოდ განასწავლონ მათთვის მინდობილი მორწმუნეები, თუ როგორ გამოიყენონ მათ საღმრთო წიგნები, განსაკუთრებით ახალი აღთქმა და, უპირველეს ყოვლისა, სახარება. ეს შესაძლებელია წმიდა ტექსტების იმ თარგმანთა დახმარებით, რომლებსაც აუცილებელი და ნამდვილად საკმარისი განმარტებები ახლავთ, რათა ეკლესიის შვილები უხიფათოდ და სარგებლით ურთიერთობდნენ წმიდა წერილთან და მისი სულით გარემოიცივან (imbuantur).

გარდა ამისა, უნდა მომზადდეს წმიდა წერილის გამოცემანი, სათანადო შენიშვნების დართვით, რომლებსაც არაქრისტიანნიც მოიხმარენ და რომლებიც მათთვის შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით უნდა შედგეს. სულთა მწყემსებმა (animarum Pastores) და ნებისმიერი მდგომარეობის ქრისტიანებმა გონივრულად უნდა იზრუნონ მათი გავრცელებისთვის.

26. დაე, წმიდა წიგნთა კითხვითა და სწავლით „სიტყუაჲ ღმრთისაჲ რბიოდეს და იდიდებოდის“ (2 თეს. 3, 1) და გამოცხადების საუნჯე, ეკლესიისთვის მინდობილი, ადამიანთა გულებს სულ უფრო მეტად ავსებდეს. როგორც ზიარების საიდუმლოებაში გულმოდგინე ხშირი (frequente) მატულობს ეკლესიის ცხოვრება, ასევე შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ სულიერ ცხოვრებას ახალ ბიძგს მისცემს მომეტებული თაყვანისცემა ღმრთის სიტყვისა, რომელიც „ჰვიეს უკუნისამდე“ (ეს. 40, 8; შდრ. 1პეტ. 1, 23-25).

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამ დოგმატურ კონსტიტუციაში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან გადმოგვეცა, ამას პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ, ვანებსებთ და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1965 წლის 18 ნოემბერი
მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
(მოჰყვება მამათა ხელმოწერები)

38 S. AMBROSIIUS, *De officiis ministrorum* I, 20, 88: PL 16, 50.

39 S. IRENAEUS, *Adv. Haer.* IV, 32, 1: PG 7, 1071 (= 49, 2 HARVEY, 2, p. 255).

დეკრეტი
საეროთა მოციქულობის შესახებ

APOSTOLICAM ACTUOSITATEM

პავლე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მსახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

დეკრეტი საეროთა მოციქულობის შესახებ შესავალი

1. წმიდა კრებას სურს, რომ ღმრთის ერის სამოციქულო მოღვაწეობა უფრო ინტენსიური გახდეს.¹ ის დიდ ყურადღებას უთმობს ქრისტეს ერთგულ საერო პირებს. მან სხვაგან უკვე ილაპარაკა მათი განსაკუთრებული და სრულიად აუცილებელი როლის შესახებ.² საეროთა მოციქულობა, თავად ქრისტიანული მონოდებიდან გამომდინარე, ეკლესიაში არასდროს არ უნდა შესუსტდეს. წმიდა წერილი ბრწინვალედ აჩვენებს (შდრ. საქმე 11, 19-21; 18, 26; რომ. 16, 1-16; ფილ. 4, 3), როგორი ქმედითი და ნაყოფიერი იყო ეს მოღვაწეობა ძველს ეკლესიაში.

ჩვენს დროშიც საეროთა არანაკლები ძალისხმევა არის საჭირო. მეტიც: დღევანდელი ვითარება მათგან კიდევ უფრო მეტად მოითხოვს ინტენსიურსა და ფართო მოციქულობას. განუწყვეტილ იზრდება მოსახლეობა, პროგრესს განიცდის მეცნიერება და ტექნიკა, ადამიანთა შორის ურთიერთობები სულ უფრო მჭიდრო ხდება. ყოველივე ამან უზომოდ გააფართოვა საერო პირთა მოციქულობის სივრცე, რომელიც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მათთვის არის ხელმისაწვდომი. ამავე დროს, ჩნდება ახალი პრობლემები, რომლებიც მათგან განუწყვეტილ ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს. ამგვარი მოციქულობა ახლა კიდევ უფრო აუცილებელია, რადგან ძალზე განმტკიცდა ადამიანური ცხოვრების მრავალი სფეროს ავტონომია (ეს ასეც უნდა იყოს), რაც ზოგჯერ ეთიკური და რელიგიური წესისგან განდგომას იწვევს და ქრისტიანული ცხოვრებისთვისაც სახიფათოა. ამასთანავე, მრავალ რეგიონში, სადაც მღვდელმსახურნი ჯერ მრავალრიცხოვანი არ არიან ან მსახურებისთვის აუცილებელ თავისუფლებას ზოგჯერ მოკლებულნი არიან, ეკლესია საეროთა მოღვაწეობის გარეშე ფაქტიურად ვერ შეძლებდა აქტუალური (*praesens*) და ქმედითი ყოფილიყო.

ამ მრავალფეროვან და გადაუდებელ აუცილებლობას ნათლად გამოხატავს სული წმიდის ქმედება, რომელიც საერო პირებს დღეს კიდევ უფრო მეტად ანიჭებს საკუთარი პასუხისმგებლობის შეგრძნებას და მათ ქრისტესა და ეკლესიის მსახურებისკენ უბიძგებს.³

მოცემულ დეკრეტში კრება აპირებს ნათელი მოჰფინოს მოციქულობის ბუნებას, ხასიათსა და მრავალსახეობას, აუწყოს მისი ძირითადი პრინციპების შესახებ და ჩამოაყალიბოს სამღვდლო მითითებები, რომლებიც მოციქულობის უფრო ეფექტურად აღსრულებისთვის იქნება გამიზნული. კანონიკური სამართლის გადასინჯვისას ყოველივე ეს საეროთა მოციქულობის მიმართ ნორმად უნდა იქნას მიჩნეული.

1 შდრ. IOANNES XXIII, const. apost. *Humanae Salutis*, 25 dec. 1961: AAS 54 (1962), pp. 7-10.

2 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, nn. 33 ss. – შდრ. აგრეთვე Const. *de Sacra liturgia*, nn. 26-40. – Secr. *de instrumentis communicationis socialis*. – Decr. *de Oecumenismo*. – Decr. *de pastoralis Episcoporum munere in Ecclesia*, nn. 16, 17, 19. – *Declaratio de educatione christiana*, nn. 3, 5, 7.

3 შდრ. PIUS XII, alloc. *ad Cardinales*, 18 febr. 1946: AAS 38 (1946), pp. 101-102. – მისივე, sermo *ad Iuvenes Operarios Catholicos*, 25 aug. 1957: AAS 49 (1957), p. 843.

თავი I

მოციქულობისათვის საერთოა მოწოდება

2. ეკლესია იმისთვის შეიქმნა, რომ მან ქრისტეს მეუფება ღმრთის სადიდებლად მთელს დედამიწაზე გაავრცელოს და ყველა ადამიანი გამოიმხსნელი გამოსყიდვის მონაწილე გახადოს,⁴ რათა მათი მეშვეობით მთელი სამყარო ჭეშმარიტად ქრისტესკენ იყოს მიმართული. მისტიკური სხეულის ყოველგვარი ქმედება, ამ მიზნისკენ განკუთვნილი, მოციქულობად იწოდება, რომელსაც ეკლესია ყველა თავისი წევრის მეშვეობით ახორციელებს, თუმცა სხვადასხვა საშუალებებით; ქრისტიანული მონოდება ხომ თავისი ბუნებით მოციქულობისკენ მონოდებაც არის. როგორც ცოცხალი სხეულის აგებულებაში არცერთი ასო არ არის სრულიად პასიური, არამედ ყველა მონაწილეობს სხეულის ცხოვრებასა და მის ქმედებაში, ასევე ქრისტეს სხეულში, რომელიც არის ეკლესია, მთელი სხეული იზრდება „შენენისაებრ საზომისა თვითოეულისა ასოესა“ (ეფეს. 4, 16). მეტიც: ასოთა კავშირი და შენაწევრება ამ სხეულში ისეთია (შდრ. ეფეს. 4, 16), რომ ასოს შესახებ, რომელიც თავისი შესაძლებლობის ფარგლებში სხეულის ზრდას არ ემსახურება, უნდა ითქვას, რომ ის უსარგებლოა ეკლესიისთვის და საკუთარი თავისთვისაც.

ეკლესიაში არის სხვადასხვაგვარი მსახურება, მაგრამ მისია ერთიანია. მოციქულებსა და მათ მემკვიდრეებს ქრისტემ დააკისრა ფუნქცია, რომელიც მისი სახელით სწავლებას, წმიდაყოფასა და მმართველობას გულისხმობს. მაგრამ საერონიც, რომლებმაც გაიზიარეს ქრისტეს ფუნქციები - მღვდელმსახურება, ქადაგება, მეფობა - ეკლესიასა და სამყაროში ღმრთის მთელი ერის მისიიდან თავის კუთვნილ წილს ასრულებენ.⁵ თავისი მოღვაწეობით ისინი რეალურად ახორციელებენ მოციქულობას ადამიანთა ევანგელიზაციისა და წმიდაყოფისთვის, წარმავალ საგანთა წესის ევანგელური სულით გამსჭვალვისა და სრულყოფისათვის. ამ სფეროში მათი მოღვაწეობა ქრისტეს ნათელ მოწმობას წარმოადგენს და ადამიანთა გამოხსნას ემსახურება. საერთოა სტატუსი სამყაროში არსებობასა და საერო საქმეებით ცხოვრებას გულისხმობს. ღმერთი მათ მოუწოდებს, თავისი მოციქულობა სამყაროში სულიერი სიმტკიცით ალასრულონ.

3. საერო პირებს აქვთ მოციქულობის მოვალეობა და უფლება, რომელიც ქრისტესთან – მეთავესთან (Capite) მათ ერთობას ემყარება. ნათლობით ქრისტეს სხეულში დამკვიდრებულნი, მირონცხებით (per Confirmationem) სული წმიდის მადლით განმტკიცებულნი, ისინი თავად უფლის მიერ არიან მოციქულობისთვის განკუთვნილნი. ისინი მიძღვნილნი არიან სამღვდლო სამეუფოს და წმიდა ხალხს (შდრ. 1პეტრე 2, 4-10), რათა ყოველგვარი საქმით სულიერი მსხვერპლი შესწირონ და დედამიწის ზურგზე ყველგან ქრისტეს მოწმენი იყვნენ. ხოლო საიდუმლოთა საშუალებით, უპირველეს ყოვლისა, უწმიდესი ევქარისტიით, ის სიყვარული გადაიცემა და საზრდოობს, რომელიც მთელი მოციქულობის სულს წარმოადგენს.⁶

მოციქულობა სრულდება რწმენაში, იმედსა და სიყვარულში, რომლებიც სული წმიდამ ეკლესიის ყველა წევრის გულში გაავრცელა. სიყვარულის მცნება, რომელიც უფლის უმთავრესი დავალებაა, ყველა ქრისტეს ერთგულს უბიძგებს, მოიპოვოს ღმრთის დიდება მისი სასუფეველის მოსვლით და საუკუნო ცხოვრება ყველა ადამიანისათვის, რათა მათ იცოდნენ „მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთი“ და ის, ვინც იესო ქრისტე მოავლინა (შდრ. იოან. 17, 3).

მაშასადამე, ყველა ქრისტეს ერთგულს ბრწყინვალე მოვალეობა აკისრია: იღვანონ იმისათვის, რათა გამოსხნის საღმრთო უწყება ყველა ადამიანმა მთელს დედამიწაზე შეიცინოს და მიიღოს.

ამ მოციქულობის აღსასრულებლად სული წმიდა ღმრთის ერის წმიდაყოფას მსახურებისა და საიდუმლოთა მეშვეობით ახორციელებს, ერთგულებს განსაკუთრე-

4 შდრ. PIUS XI, encycl. *Rerum Ecclesiae*: AAS 18 (1926), p. 65.

5 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 31.

6 შდრ. იქვე, 33; შდრ. აგრეთვე 10.

ბულ ნიჭებს არგუნებს (შდრ. 1 კორ. 12, 7), „განუყოფს თვითოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა ჰნებავს“ (1 კორ. 12, 11), რათა თითოეული ემსახუროს სხვას იმ მაღლით, რომელიც მიიღო, და თავად ისინი იყვნენ „ვითარცა კეთილნი მნენი მრავალ-ფერი-სა მის ნიჭისა ღმრთისანი“ (1 პეტრ. 4, 10), მთელი სხეულის სიყვარულით აღსაშენებლად (შდრ. ეფეს. 4, 16). ამ ქარიზმათა (თუნდაც მარტივების) მიღებიდან თითოეულ მორწმუნეს ეძლევა უფლება და ეკისრება მოვალეობა, გამოიყენოს (*exercendi*) ისინი ადამიანთა სასიკეთოდ და ეკლესიის აღსაშენებლად, როგორც ეკლესიაში, ასევე სამყაროში, სული წმიდის თავისუფლებით, რომელიც ქრის იქ, სადაც სურს (იოან. 3, 8), და იმავე დროს, ქრისტესმიერი ურთიერთობით ძმებთან, განსაკუთრებით თავის მღვდლებთან. მათი მოვალეობა არის, განსაჯონ ქარიზმათა ჭეშმარიტი ბუნებისა და მათი სწორი გამოყენების შესახებ, არა დასავსებლად სულისა, არამედ რათა ყოველივე გამოსცადონ და კეთილი შეიკრძალონ (შდრ. 1 თეს. 5, 12. 19. 21).⁷

4. ქრისტე, მამის მიერ მოვლინებული, ეკლესიის მთელი მოციქულობის წყარო და დასაბამია. ცხადია, რომ საეროთა მოციქულობის ნაყოფიერება ქრისტესთან ცხოველ ერთობაზე არის დამოკიდებული, თანახმად უფლის სიტყვისა: „რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თვნიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“ (იოან. 15, 5). ეს ცხოვრება, ქრისტესთან მჭიდრო ერთობით გამსჭვალული, ეკლესიაში სულიერი საშუალებებით საზრდოობს, რომლებიც ყველა ერთგულებისთვის საზიაროა, განსაკუთრებით წმიდა ლიტურგიაში აქტიური მონაწილეობის გამო.⁸ ეს საშუალებები საერო პირებმა ისე უნდა გამოიყენონ, რომ ყოველდღიური ცხოვრების პირობებში მინიერი მოვალეობების შესრულებისას ქრისტესთან ერთობა მათი ცხოვრებისგან კი არ გამიჯნონ, არამედ თავისი საქმე ღმრთის ნების შესაბამისად აკეთონ და ამ ერთობით კიდევ უფრო გაიზარდონ. ამ გზით საერონი გულმოდგინედ და სიხარულით მეტი სინმიდისკენ უნდა მიისწრაფოდნენ, ხოლო სირთულეების გადალახვას გონივრულად და მოთმინებით უნდა შეეცადონ.⁹ არც ოჯახური ზრუნვა, არც სხვა საერო საქმიანობა სულიერი ცხოვრების არსისგან გაუცხოებულნი არ უნდა იყოს, თანახმად მოციქულისა: „ყოველსავე, რასაცა იქმოდით სიტყვთ გინა თუ საქმით, ყოველსავე სახელითა უფლისა იესოჲსითა, ჰმადლობდით ღმერთსა და მამასა მის მიერ“ (კოლ. 3, 17).

ასეთი ცხოვრება რწმენის, იმედისა და სიყვარულის გამუდმებულ წვრთნას მოითხოვს.

მხოლოდ სარწმუნოების ნათელში და ღმრთის სიტყვის შესახებ ფიქრში შეიძლება ყოველთვის და ყველგან ღმრთის შეცნობა, რომელშიც „ცხოველ ვართ და ვიქცევით და ვართ“ (საქმე 17, 28). მხოლოდ ასე შევძლებთ ყველა მოვლენაში მისი ნების ძიებას, ყველა ადამიანში, ახლობელსა თუ უცხოში, ქრისტეს ამოცნობას, აგრეთვე სწორად განსჯას წარმავალ საგანთა ჭეშმარიტი მნიშვნელობისა და ღირებულების შესახებ, რომლებიც მათ თავისთავად და ადამიანის დანიშნულებასთან (*ad finem*) მიმართებაში გააჩნია.

ვისაც ასეთი რწმენა აქვს, ის ღმრთის შვილთა გამოცხადების იმედით ცხოვრობს. მას ახსოვს უფლის ჯვარი და აღდგომა.

ქრისტესთან ერთად ღმერთში დაფარულნი, სიმდიდრეთა მსახურებისგან თავისუფალნი, ისინი საუკუნო სიკეთისაკენ მიისწრაფვიან. ამ ცხოვრების მსხემობაში ისინი თავს გულუხვად უძღვნიან მთლიანად ღმრთის სასუფეველის გავრცელებას, წარმავალი საგნების წესის ქრისტიანული სულით ფორმირებასა და სრულყოფას. ცხოვრების წინააღმდეგობათა წიაღში ისინი იმედში ძალას იკრებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ „ვერ ღირს არიან ვნებანი იგი ამის ჟამისანი მერმისა მის თანა დიდებისა, რომელ გამოჩინებად არს ჩუენდა მომართ“ (რომ. 8, 18).

7 შდრ. იქვე, 12.

8 შდრ. CONC. VAT. II, Const. *de Sacra Liturgia*, n. 11.

9 შდრ. CONC. VAT. II, Const. *dogm. de Ecclesia*, n. 32; შდრ. აგრეთვე 40-41.

ღმრთისაგან მომდინარე სიყვარულით შთაგონებულნი, ისინი სიკეთეს ქმნიან „ყოველთავე მიმართ, ხოლო უფროსად სახლეულთა მათ მიმართ სარწმუნოებისათა“ (გალ. 6, 10). მათ განიშორეს „ყოველი ზაკუვებაჲ და ორგულებაჲ და შური და ყოველივე ძვრის სიტყუაჲ“ (1პეტრე 2, 1) და ასე მიიზიდავენ ადამიანებს ქრისტესკენ. ხოლო „სიყუარული ღმრთისაჲ განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა, რომელი-იგი მოცემულ არს ჩუენდა“ (რომ. 8, 18). იგი საერო პირებს ანიჭებს უნარს, რეალურად თავის ცხოვრებაში გამოხატონ ნეტარებათა სული. ისინი გაჰყვნიან ღატაკ ქრისტეს, ამიტომ არც წარმავალ სიმდიდრეთა ნაკლებობით და-ღონდებიან და არც სიჭარბით მოიწონებენ თავს. მდაბალი ქრისტეს მიმბაძველნი, ისინი ამაო დიდებას არ დაენაფებენ თავს. (მდრ. გალ. 5, 26), არამედ შეეცდებიან, ღმერთს უფრო მოაწონონ თავი ვიდრე ადამიანებს, მუდამ მზად იყვნენ, ქრისტესთვის ყველაფერი დატოვონ (მდრ. ლუკ. 14, 26) და იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის (მდრ. მათ. 5, 10), რადგან ახსოვთ უფლის სიტყვები: „რომელსაჲ ჰნებაჲს შემოდგომად ჩემდა, უვარყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე“ (მათ. 16, 24). ქრისტიანული მეგობრობით შეკრულნი, ისინი ერთმანეთს ყოველგვარ გასაჭირში უნდა დაეხმარონ.

საერთო სულიერი ცხოვრების ამ წესმა განსაკუთრებული თვისება უნდა შეიძინოს, შესაბამისად მათი სტატუსისა, იქნება ეს ქორწინება, ოჯახი, უქორწინებულობა, ქვრივობა, სნეულება, პროფესიული თუ სოციალური საქმიანობა. ამიტომ მათ გამუდმებით უნდა განავითარონ მათი ის თვისებები და ნიჭნი, რომლებიც ამ მდგომარეობებს შეესაბამება, და გამოიყენონ აგრეთვე ის ნიჭნი, რომლებიც საკუთრივ მათ სული წმიდისგან მიიღეს.

გარდა ამისა, საერონი, რომლებიც, თავის მოწოდების შესაბამისად, ეკლესიის მიერ აპრობირებულ ერთერთ ასოციაციასა თუ ინსტიტუტში შევიდნენ, უნდა შეეცადონ, მათთვის დამახასიათებელი სულიერი ცხოვრების თავისებურებაც შეითვისონ.

მათ დიდად უნდა დააფასონ პროფესიული გამოცდილება, ოჯახური და სამოქალაქო გრძნობა, აგრეთვე ის ღირებულებები, რომლებიც სოციალურ ურთიერთობებს უხება, როგორც არის პატიოსნება, სამართლიანობის სული, გულწფელობა, ჰუმანურობა, სულიერი სიმტკიცე, რომელთა გარეშე ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრება ვერ იარსებებს.

ამგვარი სულიერი სამოციქულო ცხოვრების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს უნეტარესი ქალწული მარიამი, მოციქულთა დედოფალი. ის დედამიწაზე ყველაასათვის საერთო ცხოვრებით ცხოვრობს, რომელიც სავსეა ოჯახური ზრუნვითა და გარჯით. ამასთანავე, ის ყოველთვის შინაგანად დაკავშირებული იყო თავის ძესთან და სრულიად განსაკუთრებულად მონაწილეობდა მაცხოვრის საქმეში. ახლა კი იგი, ზეცაში ამაღლებული, „თავისი დედობრივი სიყვარულით ზრუნავს თავისი ძის ძმებისთვის, რომლებიც ჯერაც მსხემობენ, ხიფათსა და გაჭირვებაში იმყოფებიან, სანამ არ მივლენ ბედნიერ სამშობლოში.“¹⁰ მას ყველამ უდიდესი მოწინებით უნდა სცეს თაყვანი და მის დედობრივ ზრუნვას თავისი ცხოვრება და მოციქულობა მიანდოს.

თავი II მიზნები

5. ქრისტეს გამოსყიდვის საქმე, რომელიც თავისთავად ადამიანთა გამოსხნას შეეხება, მთელი წარმავალი წესის განახლებასაც მოიცავს. ამიტომ ეკლესიის მისია არა მარტო ქრისტეს უწყებასა და მისი მადლის ადამიანებისთვის მოტანას გულისხმობს, არამედ სახარებისეული სულით წარმავალ საგანთა წესის გამსჭვალვასა და სრულყოფასაც. ამგვარად, საერონი, რომლებიც ეკლესიის ამ მისიას ასრულებენ, თავის მოციქულობას ახორციელებენ ეკლესიასა და სამყაროში, სულიერ და წარმავალ წესშიც. ეს წესები ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ ღმრთის ერთიან

¹⁰ შდრ. იქვე, 62. შდრ. აგრეთვე 65.

განზრახვაში ისინი ისე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ თავად ღმერთს ნებავს, მთელი სამყარო, როგორც ახალი ქმნილება, ქრისტეში აღადგინოს, ჯერ ამქვეყნად, ხოლო შემდეგ, სრულყოფილად, უკანასკნელ დღეს. ორივე წესის თანახმად, საერო პირი, რომელიც ერთგულიც არის და მოქალაქეც, მუდამ ერთიანი ქრისტიანული სინდისით უნდა ხელმძღვანელობდეს.

6. ეკლესიის მისია ადამიანთა გამოხსნას ეხება, რომლის მიღწევა სარწმუნოებითა და მისი მადლით ხდება. ეკლესიისა და ყველა მისი წევრის მოციქულობის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, სამყაროსათვის ქრისტეს უწყების სიტყვებითა და საქმეებით გამოცხადება და მისი მადლის გაზიარებაა, რაც, არსებითად, სიტყვისა და საიდუმლოთა მსახურებით ხორციელდება. ეს სამღვდელეობის საგანგებო მოვალეობა არის, რომელშიც საერონიც დიდ როლს ასრულებენ, რადგან ისინი „ჭეშმარიტების თანაშემწენი“ (3 იოანე 8) არიან. სწორედ ამ სფეროში საეროთა მოციქულობა და სამღვდლო მსახურება ერთმანეთს ავსებს.

საერო პირებს უამრავი შესაძლებლობა აქვთ, განახორციელონ ევანგელიზაციისა და წმიდა-ყოფის მოციქულობა. თავად ქრისტიანული ცხოვრების მოწმობასა და კეთილ საქმეებს, ზებუნებრივი სულით აღსრულებულს, აქვს უნარი, მიიზიდოს ადამიანები რწმენასა და ღმერთთან. რადგან უფალი ამბობს: „ეგრეთ ბრწყინვედინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჟთ იხილენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მათ. 5, 16).

ასეთი სახის მოციქულობა არა მარტო ცხოვრების მოწმობაში მდგომარეობს. ჭეშმარიტი მოციქულობა ეძებს შესაძლებლობას, ქრისტე სიტყვებით აუწყოს ურწმუნოებს, რათა ისინი რწმენასთან მიიყვანოს, და მორწმუნეებს, რათა ისინი დაარიგოს, განამტკიცოს და უფრო მგზნებარე ცხოვრებისკენ მიიზიდოს; „რამეთუ სიყუარული იგი ქრისტესი მანუევს ჩუენ“ (2კორ. 5, 14), და ყველას გულში უნდა გაისმას მოციქულის სიტყვები: „ვაა არს ჩემდა, არა თუ ვახარებდე“ (1კორ. 9, 16).¹¹

ჩვენს ეპოქაში ახალი შეკითხვები იზადება და სახეზეა უძძიმესი შეცდომები, რომლებიც რელიგიის, ზნეობრივი წესისა და თავად ადამიანთა საზოგადოების ძირეული დანგრევისკენ მიყვავართ. ამიტომ ეს წმ. კრება დაბეჯითებით მოუწოდებს საერო პირებს, რომ თითოეულმა თავისი ნიჭისა და ცოდნის მიხედვით, ეკლესიის სულის შესაბამისად, უფრო აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ქრისტიანული პრინციპების განმარტებაში, დაცვასა და თანამედროვე პრობლემებისადმი მათი მისადაგების საქმეში.

7. სამყაროს მიმართ ღმრთის განზრახვა გულისხმობს იმას, რომ ადამიანებმა შეთანხმებულად აღადგინონ და განუწყვეტილ სრულყოფილ წარმავალ საგანთა წესი.

ყველაფერი, რაც წარმავალ სფეროს შეადგენს (ასეთებია ცხოვრებისა და ოჯახის ღირებულებები, კულტურა, ეკონომიკური სინამდვილე, ხელოვნების დარგები და პროფესიები, პოლიტიკური ერთობის ინსტიტუციები, საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა ამდაგვარი, აგრეთვე მათი ევოლუცია და პროგრესი) არ არის მხოლოდ საშუალებები, რომლებიც ადამიანის საბოლოო მიზნის მიღწევას ემსახურება, არამედ მათ საკუთარი ღირებულებაც აქვთ, ღმრთისაგან მინიჭებული. ეს ასეა, რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ მათ: თავისთავად თუ როგორც საყოველთაო წარმავალი სფეროს ნაწილს: „და იხილნა ღმერთმან ყოველნი, რაოდენნი ქმნნა. და აჰა კეთილ ფრიად“ (დაბ. 1, 31). ეს მათი ბუნებრივი სიკარგე განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ადამიანის პიროვნებასთან მათი ურთიერთობის საფუძველზე, რომელთა მსახურებისთვისაც ისინი შეიქმნენ. და ბოლოს, ღმერთმა ინება როგორც ბუნებრივი ასევე ზებუნებრივი სინამდვილე იესო ქრისტეში შეერწყა, „რაჟთ იყოს იგი თავადი ყოველსა შინა მთავარ“ (კოლ. 1, 18). ეს მიზანდასახულობა არ ნიშნავს იმას, რომ წარმავალ წესს არ გააჩნია თავისთავადობა, საკუთარი მიზნები, კანონები, საშუალებები ან ის არ არის ადამიან-

¹¹ შტრ. PIUS XI, encycl. *Ubi arcano*, 23 dec. 1922: AAS 14 (1922), p. 659. – PIUS XII, encycl. *Summi Pontificatus*, 20 oct. 1939: AAS 31 (1939), pp. 442-443.

თა კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანი. პირიქით: ის კიდევ უფრო განამტკიცებს მის ძალასა და საკუთრივ მის ღირსებას და, ამავე დროს, მას შეუსაბამებს იმ საერთო მონოდებას, რომელიც ადამიანს ამქვეყნად გააჩნია.

ისტორიის მანძილზე წარმავალ საგანთა მოხმარება მძიმე შეცდომებით წაიბილნა. ადამიანები, პირველადი ცოდვით დალდასმულები, ხშირად ცდებოდნენ ჭეშმარიტ ღმერთთან, ადამიანის ბუნებასა და ზნეობრივ კანონებთან მიმართებაში. ამის შედეგი იყო ადამიანურ ზნეთა და ინსტიტუციების მანკიერება და თავად ადამიანური პიროვნების უგულებელყოფა. ჩვენს დროშიც მრავალ ადამიანს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნიკის პროგრესის მეტისმეტად სჯერა. მათ წარმავალი სინამდვილე თითქოს კერპად აქციეს და ახლა უფრო მეტად მისი მონები არიან, ვიდრე უფლისა.

მთელი ეკლესიის ამოცანაა, იღვანოს იმისათვის, რომ ადამიანებმა შეძლონ წარმავალი სინამდვილის წესის სწორად აგება და ღმრთისაკენ მისი მიმართვა. მღვდლების მოვალეობას წარმოადგენს, ცხადად აუწყონ ქმნილების მიზნისა და სამყაროთი სარგებლობის შესახებ, ზნეობრივი და სულიერი დახმარება გაუწიონ ადამიანებს, რათა წარმავალი სინამდვილის წესი ქრისტიეში აღდგეს.

ხოლო საერო პირებმა წარმავალი წესის აღდგენა საკუთარ მოვალეობად უნდა მიიჩნიონ და ამ სფეროში, სახარების შუქისა და ეკლესიის სულის წინამძღოლობით, პირდაპირ და გარკვეულად იმოქმედონ. როგორც მოქალაქეებმა, მათ სხვა მოქალაქეებთან უნდა ითანამშრომლონ. მათ საკუთარი გამოცდილება უნდა გამოიყენონ და პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღონ. ყველგან და ყველაფერში მათ ღმრთის სასუფეველის სამართალი უნდა ეძიონ. წარმავალი წესი ისე უნდა აღდგეს, რომ მისი საკუთარი კანონების სრულად დაცვის პირობებში ის ქრისტიანული ცხოვრების უმაღლეს პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს და სხვადასხვა ადგილს, დროსა და ერებს ესადაგებოდეს. ასეთი სახის მოციქულობის საქმეთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრისტიანთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა. წმიდა კრებას სურს, რომ ის გავრცელდეს მთელს დროებით სფეროზე, მათ შორის კულტურაზეც.¹²

8. მოციქულობის ყოველგვარი აღსრულება დასაბამსა და ძალას სიყვარულში უნდა იღებდეს. ზოგიერთი საქმე თავისი ბუნებით არის ისეთი, რომ შეიძლება ამ სიყვარულის ცხოველ გამოხატულებად იქცეს. უფალმა ქრისტიემ ინება, რომ ასეთი საქმეები მისი მესიანური მისიის ნიშნები ყოფილიყო (შდრ. მათ. 11, 4-5).

კანონში ყველაზე დიდი მცნება გულისხმობს ღმრთის მთელი გულით სიყვარულსა და მოყვასის როგორც საკუთარი თავის სიყვარულს (შდრ. მათ. 22, 37-40). ქრისტიემ გაითავისა მოყვასის მიმართ სიყვარულის ეს მცნება და მას ახალი მნიშვნელობა შესძინა. მან ინება, თავადაც ყოფილიყო სიყვარულის ისეთი ობიექტი, როგორც მისი ძმები არიან. მან თქვა: „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მათ. 25, 40). ადამიანური ბუნების მიღებით მათ რაღაც ზებუნებრივი სოლიდარობით მთელი კაცობრიობა ერთ ოჯახად შემოიკრიბა და სიყვარული თავისი მოწაფეების ნიშნად აქცია. მან თქვა: „ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებდეთ ურთიერთას“ (იოან. 13, 35).

წმიდა ეკლესია ევქარისტოიულ სერობას იმთავითვე „აგაპე“-ს უკავშირებდა. სიყვარულის კავშირით იგი ცხადყოფდა თავის სრულ ერთიანობას ქრისტესთან. იგი ყოველთვის სიყვარულის ამ ნიშნით შეიცნობა. მას უხარია სხვების ინიციატივა და, ამავე დროს, მას მიაჩნია, რომ საქველმოქმედო საქმეები მის მოვალეობასა და განუხრელ უფლებას წარმოადგენს. ამიტომ ეკლესია განსაკუთრებით პატივს სცემს გულმონწყალებას ლატაკთა და სნეულთა მიმართ, ე. წ. საქველმოქმედო საქმეებსა და ურთიერთდახმარებას, მიმართულს ყოველგვარი ადამიანური გაჭირვების შესამსუბუქებლად.¹³

12 შდრ. LEO XIII, encycl. *Rerum Novarum*: AAS 23 (1890-91), p. 647. – PIUS XI, encycl. *Quadragesimo Anno*: AAS 23 (1931), p. 190. – PIUS XII, nuntius radioph., 1 iunii 1941: AAS 33 (1941), p. 207.

13 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*: AAS 53 (1961), p. 402.

ახლა ურთიერთობის საშუალებები უფრო სწრაფი გახდა, ადამიანებს შორის მანძილი გადაილახა და მთელი მსოფლიოს მოსახლეობამ ერთი ოჯახის სახე მიიღო. ასეთ ვითარებაში საქველმოქმედო მოღვაწეობამ და საქმეებმა უფრო გადაუდებელი და უნივერსალური სახე შეიძინა. საქველმოქმედო საქმეებით დღეს ყველა ადამიანისა და ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება არის შესაძლებელი და აუცილებელიც. სადაც არ უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ საკვები, სასმელი, სამოსი, სახლ-კარი, წამალი, სამუშაო, განათლება და სხვა რამ, რაც ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობას იძლევა, ან ისინი, ვისაც გასაჭირი თუ სნეულება ტანჯავს, ვინც დევნას ან პატიმრობას განიცდის, მათ ყველგან ქრისტიანული სიყვარული უნდა ეძიებდეს და ჰპოვებდეს, დაუდგრომელი მზრუნველობით ამხნევებდეს და დახმარების აღმოჩენით ტკივილს უმსუბუქებდეს. ეს მოვალეობა, უპირველეს ყოვლისა, ცალკეულ ადამიანებსა და იმ ხალხს ეკისრება, რომლებიც განსაკუთრებით მდიდრები არიან.¹⁴

ასეთი სიყვარულის განხორციელება ყოველგვარ ეჭვზე მაღლა რომ იდგეს და ასეთად წარმოჩნდეს, საჭიროა შემდეგი: მოყვასში უნდა დავინახოთ ღმრთის ხატი, რომლის მიხედვითაც იგი შეიქმნა, და უფალი ქრისტიე, რომელსაც მართლაც სთავაზობენ იმას, რასაც ლატაკს აძლევენ; განსაკუთრებული ადამიანობით პატივი უნდა ვცეთ იმ პიროვნების თავისუფლებასა და ღირსებას, რომელიც დახმარებას იღებს; განზრახვის სინმიდე არ უნდა შეიბღალოს რაიმე პირადი სარგებლობის ძიებით ან ბატონობის მცდელობით;¹⁵ უპირველეს ყოვლისა, უნდა დაკმაყოფილებულ იქნას სამართლიანობის მოთხოვნილებები, რათა საქველმოქმედო საჩუქარივით არ მივიტანოთ ის, რაც სამართლიანობით ისედაც აუცილებლად უნდა იყოს მოცემული. ამასთანავე, არა მარტო ბოროტების შედეგები უნდა განადგურდეს, არამედ მიზეზებიც, ხოლო დახმარება ისე უნდა განხორციელდეს, რომ ისინი, ვინც მას იღებს, თანდათანობით გათავისუფლდნენ გარეგანი დამოკიდებულებისაგან და საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება თვითონ შეძლონ.

საერონი დიდად უნდა აფასებდნენ და შეძლებისდაგვარად დაეხმარონ საქველმოქმედო საქმეებსა და საზოგადოებრივ წამოწყებებს, იქნება ისინი კერძო, საზოგადო თუ საერთაშორისო. მათი მეშვეობით შესაძლებელია დახმარების განწევა ცალკეული მეტ-ნაკლებად გაჭირვებული ადამიანებისა და ხალხებისათვის. ამ საქმეში ყველა კეთილი ნების ადამიანთან თანამშრომლობა არის საჭირო.¹⁶

თავი III

მოციქულობის სხვადასხვა ასპარეზი

9. საერონი თავის მრავალფეროვან მოციქულობას ეკლესიაშიც და სამყაროშიც ახორციელებენ. ერთსა და მეორე შემთხვევაშიც სამოციქულო მოღვაწეობის სხვადასხვა ასპარეზი იხსნება. გავიხსენოთ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნები. ესენია: საეკლესიო საკრებულოები, ოჯახები, ახალგაზრდები, სოციალური გარემო, ეროვნული და საერთაშორისო სექტორები. ხოლო რადგანაც ჩვენს დროში ქალები უფრო აქტიურად არიან ჩაბმულნი მთლიანად საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათი მონაწილეობის გაფართოებას ეკლესიის მოციქულობის სხვადასხვა სფეროში.

10. საერონი, ქრისტეს – მღვდელმსახურის, წინასწარმეტყველისა და მეფის ფუნქციის მოზიარენი, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ეკლესიის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. ეკლესიის საკრებულოებში მათი მოღვაწეობა იმდენად მნიშვნელო-

14 შდრ. იქვე, გვ. 440-441.

15 შდრ. იქვე, გვ. 442-443.

16 შდრ. PIUS XII, alloc. ad "Pax Romana M.I.C.", 25 apr. 1957: AAS 49 (1957), pp. 298-299; და განსაკუთრებით IOANNES XXIII, Ad Conventum Consilii "Food and Agriculture Organisation" (F.A.O.), 10 nov. 1959: AAS 51 (1959), pp. 856, 866.

ვანია, რომ მის გარეშე მღვდელთა მოციქულობა უმეტეს შემთხვევაში თავის მიზანს სრულყოფილად ვერ აღწევს. ჭეშმარიტად სამოციქულო სულით დაჯილდოვებული საერონი, იმ კაცებისა და ქალების მსგავსად, რომლებიც სახარების უწყებაში პავლეს თანაშემწენი იყვნენ (მდრ. საქმე 18, 18, 26; რომ. 16, 3), ავსებენ იმას, რაც მათ ძმებს დააკლდა, და ამშვიდებენ როგორც მღვდელთა, ასევე დანარჩენი ერთგული ხალხის სულს (მდრ. 1 კორ. 16, 17-18). სერონი საზრდოობონ თავისი საკრებულოს ლიტურგიულ ცხოვრებაში ქმედითი თანამშრომლობით და აქტიურად მონაწილეობენ მის სამოციქულო საქმეებში; მათ ეკლესიაში მოჰყავთ ადამიანები, რომლებიც მისგან შეიძლება შორს ყოფილიყვნენ; ისინი გულმოდგინედ მუშაობენ ღმრთის სიკეთის გადმოცემაზე, განსაკუთრებით კატეხეტიური აღზრდის მეშვეობით; თავისი გამოცდილების საფუძველზე ისინი უფრო წარმატებით ახორციელებენ სულთათვის მზრუნველობას და განაგებენ ეკლესიის ქონებას.

საკრებულო სამოციქულო საკრებულოს თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. იგი ერთად კრებს მასში არსებულ ადამიანთა მრავალფეროვნებას და მას ეკლესიის უნივერსალობის წევრად აქცევს.¹⁷ საერო პირებს ჩვეულებად უნდა ექცეთ, თავის მღვდელმსახურებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობაში იმუშავონ.¹⁸ მათ ეკლესიის საკრებულოს უნდა მიანდონ თავისი და სამყაროს პრობლემები, აგრეთვე შეკითხვები, რომლებიც ადამიანთა გამოხსნას ეხება, რათა მათი შესწავლა და გამოკვლევა საერთო თათბირის საფუძველზე მოხდეს. შესაძლებლობის ფარგლებში ისინი უნდა დაეხმარონ თავისი საეკლესიო ოჯახის ყოველგვარ სამოციქულო და მისიონერულ ინიციატივას.

საერონი მუდამ უნდა აცნობიერებდნენ, რომ ისინი დიოცეზს ეკუთვნიან, რომლის უჯრედსაც საკრებულო წარმოადგენს. ისინი მუდამ მზად უნდა იყვნენ, მონაწილეობა მიიღონ დიოცეზურ წამონყებებში, როცა მათი მღვდელი ამისკენ მოუწოდებს. მეტიც: ქალაქებისა და სოფლის რეგიონთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით,¹⁹ მათ თავისი თანამშრომლობა არ უნდა შეზღუდონ პარუსიის ან დიოცეზის საზღვრებით, არამედ უნდა შეეცადონ, განავრცონ ის საკრებულოთაშორის, ინტერდიოცეზურ, ნაციონალურ ან ინტერნაციონალურ დონემდე, მითუმეტეს, რომ თანდათანობით იზრდება ხალხთა მიგრაცია, ურთიერთკავშირების ზრდა და კომუნიკაციის სიმარტივე უკვე აღარ აძლევს საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილს თავისთავში ჩაკეცივის საშუალებას. მაშასადამე, საერო პირებმა მთელს დედამიწის ზურგზე ღმრთის ერის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად უნდა იზრუნონ. მათ უნდა გაითავისონ მისიონერული საქმეები და, მატერიალური ან პირადი დახმარების სახით, მათში თავისი წვლილი შეიტანონ. ქრისტიანებისთვის მოვალეობა და პატივი არის, დაუბრუნონ ღმერთს სიმდიდრის ის ნაწილი, რომელსაც ისინი მისგან იღებენ.

11. ყველაფრის შემოქმედმა ადამიანთა საზოგადოების საწყისად და საფუძვლად საქორწინო კავშირი დაანება. თავისი მაღლით მან ის ქრისტესა და ეკლესიაში დიდ საიდუმლოებად აქცია (მდრ. ეფეს. 5, 32). ამიტომ მეუღლეთა და ოჯახთა მოციქულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც ეკლესიისთვის, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისთვის.

ქრისტიანი მეუღლეები ერთმანეთისთვის, თავისი შვილებისა და სხვა ოჯახებისთვის მაღლის თანაშემწეებსა და სარწმუნოების მონაწილეებს წარმოადგენენ. თავისი შვილებისთვის ისინი სარწმუნოების პირველი მაუწყებლები და მასწავლებლები

17 მდრ. S. PIUS X, litt. apost. *Creationis duarum novarum paroeciarum*, 1 iunii 1905: AAS 38 (1905), pp. 65-67. – PIUS XII, alloc. *ad fideles Paroeciae S. Saba*, 11 ian. 1953: *Discorsi e Radiomessaggi di S. S. Pio XII*, 14 (1952-1953), pp. 449-454. – IOANNES XXIII, alloc. *Clero et christifidelibus e diocesi suburbicaria Albanensis, ad Arcem Gandulfi habita*, 26 aug. 1962: AAS 54 (1962), pp. 656-660.

18 მდრ. LEO XIII, alloc., 28 ian. 1894: *Acta*, 14 (1894), pp. 424-425.

19 მდრ. PIUS XII, alloc. *ad Parochos, etc.*, 6 feb. 1951: *Discorsi e Radiomessaggi di S. S. Pio XII*, 12 (1950-1951), pp. 437-443; 8 martii 1952: *ibid.*, 14 (1952-1953), pp. 5-10; 27 martii 1953: *ibid.*, 15 (1953-1954), pp. 27-35; 28 febr. 1954: *ibid.*, pp. 585-590.

არიან. სიტყვითა და საქმით ისინი მათ ქრისტიანული და სამოციქულო ცხოვრების სთვის ამზადებენ, ბრძნულად ეხმარებიან მათ მოწოდების არჩევანში და მთელი ყუ-რადღებით მფარველობენ წმიდა მოწოდებას, თუკი ის მათში თავს იჩენს.

მეუღლეთა მოვალეობა (რაც დღეს მათი მოციქულობის ნაწილი არის) ყოველ-თვის ეს იყო: თავისი ცხოვრებით მათ უნდა საქორწინო კავშირის ურღვევობა და სინმიდე ეჩვენებინათ და დაემტკიცებინათ; მათ უნდა მტკიცედ დაედასტურებინათ მშობელთათვის და მეურვეთათვის მინიჭებული უფლება, ქრისტიანულად აღზარ-დონ ბავშვები; მათ უნდა დაეცვათ ოჯახის ღირსება და ლეგიტიმურობა. ამიტომ მათ და სხვა ქრისტეს ერთგულებმა კეთილი ნების ადამიანებთან უნდა ითანამ-შრომლონ, რათა სამოქალაქო კანონმდებლობაში ეს უფლებები ხელუხლებლად იყოს დაცული, ხოლო საზოგადოების მართვის საკითხში გათვალისწინებულ იქნას ოჯახების მოთხოვნილებები, რომლებიც საცხოვრებელს, ბავშვების აღზრდას, მუ-შაობის პირობებს, სოციალურ დაზღვევასა და გადასახადებს ეხება; მიგრაციების მოწესრიგებისას ოჯახის ერთობლივი ცხოვრება ყველგან უნდა იყოს დაცული.²⁰

თავად ოჯახმა ეს მისია ღმრთისაგან მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახი სა-ზოგადოების პირველი და ცოცხალი უჯრედი უნდა იყოს. ის ამ მისიას შეასრულებს, თუ წევრთა ურთიერთმონივნითა და ღმრთისადმი ერთობლივად აღვლენილი ლოცვით ის ეკლესიის ერთგვარ შინაურ სამლოცველოდ (sanctuarium) წარმოდგება; თუ მთელი ოჯახი ეკლესიის ლიტურგიულ ღმრთისმსახურებაში ჩაერთვება; და ბო-ლოს, თუ ოჯახი აქტიურ სტუმართმოყვარეობას გამოამჟღავნებს, დაიცავს სამარ-თლიანობასა და სხვა კეთილ საქმეებს, რომლებიც ყველა ძმათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. საოჯახო მოციქულობის სხვადასხვა საქმეთა შო-რის შემდეგი შეიძლება დავასახელოთ: მიტოვებული ბავშვების შეილობა, უცხოელ-თა კეთილად მიღება, სკოლათა ორგანიზაციის საქმეში დახმარების განევა, ახალ-გაზრდობისთვის მხარში ამოდგომა რჩევითა და საქმეებით, დანიშნულთათვის დახ-მარების განევა ქორწინებისთვის მაქსიმალურად კარგად მომზადების საქმეში, და-ხმარების განევა კატეხიზატორული საქმისთვის, მატერიალურად ან მორალურად გაჭირვებული მეუღლეებისა და ოჯახებისთვის შემწეობის აღმოაჩენა, მოხუცების არა მარტო იმით უზრუნველყოფა, რაც აუცილებელია, არამედ მათთვის ეკონო-მიკური პროგრესის შედეგად მიღებული ნაყოფის სამართლიანად მინიჭებაც.

ყოველთვის და ყველგან, მაგრამ განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც სახა-რების პირველი თესლი მიმოიფანტება, ანუ იქ, სადაც ეკლესია თავის საწყის მდგო-მარეობაში იმყოფება ან რაღაც მძიმე გაჭირვებას განიცდის, ქრისტიანული ოჯახე-ბი მთელი თავისი ცხოვრებით სახარებას მისდევენ და ქრისტიანული ქორწინების ნიმუშს წარმოადგენენ, რითაც ისინი სამყაროს წინაშე ქრისტეს შესახებ უძვირფა-სეს მოწმობას გვთავაზობენ.²¹

მოციქულობის მიზნების უფრო ადვილად მისაღწევად შეიძლება ოჯახების გარკვეულ ჯგუფებად გაერთიანებაც იყოს მიზანშეწონილი.²²

12. ახალგაზრდები დღევანდელ საზოგადოებაში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.²³ არსებითად შეიცვალა მათი ცხოვრების პირობები, მენტალიტეტი, აგრეთვე საკუთარ ოჯახებთან ურთიერთობა. ხშირად ისინი ძალიან სწრაფად გადა-დიან ახალ სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებაზე. იზრდება მათი სოციალური

20 შდრ. PIUS XI, *encycl. Casti Connubii*: AAS 22 (1930), p. 554. – PIUS XII, *nuntius radiophonicus*, 1 ian. 1941: AAS 33 (1941), p. 203. – IDEM, *Delegatis ad Conventum Unionis Internationalis sodalitatium ad iura familiae tuenda*, 20 sept. 1949: AAS 41 (1949), p. 552. – IDEM, *Ad patresfamilias e Gallia Romam peregrinan-tes*, 18 sept. 1951: AAS 43 (1951), p. 731. – IDEM, *nuntius radioph. in Natali Domini 1952*: AAS 45 (1953), p. 41. – IOANNES XXIII, *encycl. Mater et Magistra*, 15 maii 1961: AAS 53 (1961), pp. 429, 439.

21 შდრ. PIUS XII, *encycl. Evangelii Praecones*, 2 iunii 1951: AAS 43 (1951), p. 514.

22 შდრ. PIUS XII, *Delegatis ad Conventum Unionis Internationalis sodalitatium ad iura familiae tuen-da*, 20 sept. 1949: AAS 41 (1949), p. 552.

23 შდრ. S.PIUS, *alloc. ad catholicam Associationem Iuventutis Gallicae de pietate, scientia et actione*, 25 sept. 1904: AAS 37 (1904-1905), pp. 296-300.

და აგრეთვე პოლიტიკური მნიშვნელობა, მაგრამ ისინი თითქოს ახალ ვალდებულებათა ტვირთისთვის მზად არ არიან.

საზოგადოებაში მათი მნიშვნელობის ზრდა მათგან შესაბამის სამოციქულო ქმედითობას მოითხოვს. მათი ხასიათის ბუნებაც მათ ამისკენ უბიძგებს. საკუთარი პიროვნულობის გაცნობიერების მომნიშვნელობასთან ერთად, ცხოვრების ქარცეცხლითა და მოღვაწეობის დაუოკებლობით აღზნებულნი, ისინი პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებენ და ცდილობენ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში გარკვეული როლი ითამაშონ. თუ ეს სწრაფვა ქრისტეს სულით განიმსჭვალება და ეკლესიის მწყემსთა მიმართ მორჩილებითა და სიყვარულით გაცხოველდება, მაშინ მისგან ძალზე უხვ ნაყოფს შეიძლება ველოდოთ. ახალგაზრების პირველი და უშუალო მოციქულები თავად ახალგაზრები უნდა გახდნენ, ერთმანეთისადმი მოციქულობა მათ ერთმანეთის მეშვეობით უნდა აღასრულონ, იმ სოციალური გარემოს გავავალისწინებით, რომელშიც ცხოვრობენ.²⁴

უფროსებმა უნდა იზრუნონ ახალგაზრდებთან მეგობრული დიალოგის დამყარებისთვის, რომელიც საშუალებას მისცემს ორივე მხარეს, ასაკობრივი დისტანციის გადალახვით, შეიცნონ ერთმანეთი და თავის ღირებულებებს აზიარონ. მაგალითით და, საჭიროების შემთხვევაში, გონიერი რჩევითა და ქმედითი დახმარებით უფროსებმა ახალგაზრდობას მოციქულობისკენ უნდა მოუწოდონ. ახალგაზრდები უფროსებს პატივს უნდა სცემდნენ და ენდობოდნენ. და თუმცა ახალგაზრდობა თავისი ბუნებით სიახლეებისკენ მიისწრაფვის, ის ღირსეულ ტრადიციებსაც ჯეროვნად უნდა აფასებდეს.

ბავშვებიც თავისებურად სამოციქულო მოღვაწეობას უნდა ენეოდნენ. ისინიც ხომ, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ამხანაგთა შორის ქრისტეს ცოცხალი მონმეები არიან.

13. მოციქულობა საზოგადოებრივ გარემოში ნიშნავს მცდელობას, ქრისტიანული სულით გამსჭვალოს მენტალიტეტი და ზნე-ჩვეულებები, კანონები და სტრუქტურა იმ საზოგადოებაში, რომელშიც ყოველი ჩვენგანი ცხოვრობს. ეს არის საეროთა მოვალეობა და ტვირთი, რომელსაც სხვა ვერაფერს ვერასდროს ასე კარგად ვერ შეასრულებს. ამ სფეროში საერო პირები მოციქულობას თავისივე მსგავსთა მიმართ ასრულებენ. აქ ისინი ცხოვრების მოწმობას სიტყვის მოწმობით სრულყოფენ.²⁵ ამ სფეროში მათ განსაკუთრებით კარგად შეუძლიათ დაეხმარონ ძმებს სამუშაოს, პროფესიის, კვლევის, ცხოვრების, დასვენების, გაერთიანებათა საკითხებში.

სამყაროში ეკლესიის ამ მისიას საერონი, უპირველეს ყოვლისა, სარწმუნოებასთან ცხოვრების თანხმობის საფუძველზე ასრულებენ, რის გამოც ისინი სამყაროს ნათელი ხდებიან. ნებისმიერ საქმეში პატიოსნებით მათ შეუძლიათ ყველა ადამიანში სიყვარული აღძრან ჭეშმარიტებისა და სიკეთისადმი, ქრისტესა და ეკლესიისადმი. ძმური სიყვარულით ისინი ძმათა ცხოვრებისა და მუშაობის პირობებს, გაჭირვებასა და იმედს იზიარებენ და ასე, თანდათანობით და შეუმჩნევლად, ყველას გულებს გამოუმხსნელი მადლის მოქმედებისკენ განაწყობენ. ისინი სრულად აცნობიერებენ თავის როლს საზოგადოების მშენებლობაში და ცდილობენ, თავისი შინაური, საზოგადოებრივი, პროფესიული და ქრისტიანული მოღვაწეობა ქრისტიანული დიდსულოვნებით გამსჭვალონ. მათი მოღვაწეობის წესი თანდათანობით ცხოვრებისა და მუშაობის გარემოშიც აღწევს.

ამ მოციქულობამ ყველა ადამიანი უნდა მოიცვას, როგორც დიდიც არ უნდა იყოს მათი რიცხვი. არ უნდა იქნას დავინყებულები არცერთი სულიერი თუ წარმავალი სიმდიდრე, რომელიც შეიძლება მათ მიენიჭოს. თუმცა, ჭეშმარიტი მოცი-

24 შდრ. PIUS XII, epist. *Dans quelques semaines*, ad Archiepiscopum Marianopolitanum, *de conventibus a iuvenibus operariis christianis canadiensibus indictis*, 24 mai 1947: AAS 39 (1947), p. 257; nuntius radioph. ad J. O. C. Bruxelles, 3 sept. 1950: AAS 42 (1950), pp. 640-641.

25 შდრ. PIUS XI, encycl. *Quadragesimo Anno*, 15 maii 1931: AAS 23 (1931), pp. 225-226.

ქულები მხოლოდ ამ მოღვაწეობით არ კმაყოფილდებიან და ცდილობენ, ქრისტი მოყვასს სიტყვებითაც აუწყონ. ბევრ ადამიანს ხომ სახარების მოსმენა და ქრისტეს შეცნობა მხოლოდ მათ გვერდით მყოფ საერთოა მეშვეობით შეუძლია.

14. მოციქულობას უზარმაზარი ასპარეზი ეხსნება ეროვნულ და საერთაშორისო ნიადაგზე, სადაც სწორედ საერონი არიან ქრისტიანული სიბრძნის მსახურნი. ქვეყნის მიმართ მონივნებისა და სამოქალაქო მოვალეობის ერთგული შესრულებით კათოლიკეები თავს ვალდებულად მიიჩნევენ, ხელი შეუწყონ ჭეშმარიტ საერთო კეთილდღეობას. მათ თავის შეხედულებას ისეთი წონა უნდა შესძინონ, რომ სამოქალაქო ხელისუფლებას სამართლიანად აღსრულდეს, ხოლო კანონები ზნეობრივ მოთხოვნილებებსა და საერთო კეთილდღეობას შეესაბამებოდეს. კათოლიკეებმა, რომლებიც გამოცდილი არიან სახელმწიფო საქმეში და მტკიცედ მისდევენ სარწმუნოებასა და მოძღვრებას, არ უნდა თქვან უარი საჯარო საქმიანობაზე, რადგან მისი ღირსეული შესრულებით ისინი შეძლებენ, ხელი შეუწყონ საერთო კეთილდღეობას და, ამასთანავე, გზა გაუკვალონ სახარებას.

კათოლიკეები უნდა შეეცადონ, ითანამშროლონ ყველა კეთილი ნების ადამიანთან, რათა ხელი შეუწყონ ყოველივეს, „რაოდენი არს ჭეშმარიტ, რაოდენი პატიოსან, რაოდენი მართალ, რაოდენი წმიდა, რაოდენი საყუარელ“ (ფილ. 4, 8). კათოლიკეები მათთან დიალოგს უნდა აწარმოებდნენ, მათ გონივრულად და ჰუმანურად უნდა დაუხვდნენ და შეეცადონ გამოიკვლიონ, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს სოციალური და საჯარო ინსტიტუციები სახარების სულის შესაბამისად.

ჩვენი დროის თავისებურებათა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ყველა ხალხებში სოლიდარობის მზარდი და დაუოკებელი გრძნობა. საერთოა მოციქულობის მოვალეობას წარმოადგენს ამ გრძნობის მზრუნველობით განვითარება და მისი გადაქცევა ძმობის გულრწფელ და ჭეშმარიტ განცდად. გარდა ამისა, საეროებმა უნდა გააცნობიერონ საერთაშორისო სარბიელის, აგრეთვე იმ საკითხებისა და გადანყვეტილებების (როგორც სამოძღვრო (doctrinalium), ასევე პრაქტიკულის) არსებობა, რომლებიც ამ სფეროში წარმოიქმნება, განსაკუთრებით იმ ხალხებთან მიმართებაში, რომლებიც პროგრესისკენ მიისწრაფვიან.²⁶

ყველას, ვინც უცხო ქვეყნებში მუშაობს ან მათ ეხმარება, უნდა ახსოვდეს, რომ ერთა შორის ჭეშმარიტი ძმური ურთიერთობის დამყარება არის საჭირო, რომელშიც ორივე მხარე ერთდროულად გამცემიც იქნება და მიმღებიც. ხოლო მათ, ვინც საერთაშორისო საქმეების გამო ან დასვენების მიზნით მოგზაურობს, უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ყველგან ქრისტეს მსხემ მაცნეებს (praecones itinerantes) წარმოადგენენ, და მართლაც ასეთები უნდა იყვნენ.

თავი IV მოციქულობის სხვადასხვა სახეები

15. საეროებს თავისი მოციქულური მოღვაწეობის აღსრულება შეუძლიათ როგორც ინდივიდუალურად, ასევე სხვადასხვა საზოგადოებებსა თუ ასოციაციებში გაერთიანების საფუძველზე.

16. მოციქულობა, რომელიც ინდივიდუალურად სრულდება, უხვად გამომდინარეობს ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრების წყაროდან (მდრ. იოან. 4, 14). ის არის საერთოა ყოველგვარი მოციქულობის – მათ შორის კოლექტიურის — საფუძველი და პირობა, და არაფერს შეუძლია მისი შენაცვლება.

ყველა საერო პირი მოწოდებულია ამგვარი მოციქულობისათვის და ვალდებულია, ის აღასრულოს, როგორ გარემოებაშიც არ უნდა იმყოფებოდეს ის, მიუხედავად იმისა, ექნება მას გაერთიანებებში თანამშრომლობის შესაძლებლობა თუ არა. ინდივიდუალური მოციქულობა ყოველთვის და ყველგან ნაყოფიერია, ხოლო ზოგჯერ ის

26 მდრ. IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*, 15 maii 1961: AAS 53 (1961), pp. 448-450.

წარმოადგენს მოციქულობის ერთადერთ ფორმას, რომელიც არსებულ ვითარებას შეეფერება და საერთოდ შესაძლებელია.

მოციქულობის მრავალი ფორმა არსებობს, რომელთა საშუალებითაც საერონი ეკლესიას აშენებენ, სამყაროს წმიდა-ყოფენ და მას ქრისტიეში ცხოველ-ყოფენ.

მთელი საერო ცხოვრების მონაწილეობა, რომელიც სარწმუნოებიდან, იმედიდან და სიყვარულიდან გამომდინარეობს, წარმოადგენს ინდივიდუალური მოციქულობის განსაკუთრებულ ფორმასა და ჩვენი დროისთვის ყველაზე უფრო შესაფერის ნიშანს, რომელიც ცხადყოფს, რომ ქრისტიე მის ერთგულებაში ცხოვრობს. ხოლო მოციქულობის სიტყვის მეშვეობით (გარკვეულ ვითარებაში ის სრულიად აუცილებელია) საერონი ქრისტიეს აუწყებენ, თავისი მდგომარეობისა და გამოცდილების შესაბამისად მის მოძღვრებას განმარტავენ, ავრცელებენ და ერთგულად აღიარებენ.

გარდა ამისა, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეებმა, რომლებიც წარმავალი წესის მშენებლობისა და მართვის სფეროში თანამშრომლობენ, საერო პირებმა სარწმუნოების შუქზე უნდა ეძიონ მოქმედების უფრო მაღალი კრიტერიუმები ოჯახურ, პროფესიულ, კულტურულ და სოციალიურ ცხოვრებაში და, საჭიროების შემთხვევაში, ისინი სხვებსაც განუწყვავონ. ამასთანავე მათ უნდა გააცნობიერონ, რომ თავად ხდებიან შემოქმედი, გამომსყიდველი და წმიდა-ყოფელი ღმრთის თანამშრომლები, და მას განადიდებენ.

და ბოლოს, საერო პირებმა თავისი ცხოვრება სიყვარულით უნდა ცხოველყოფონ და შეძლებისდაგვარად საქმეებით გამოხატონ.

დაე, ახსოვდეს ყველას, რომ საჯარო კულტმსახურებითა და ლოცვით, მონანიებით, გარჯათა და ცხოვრების გაჭირვებათა თავისუფლად მიღებით, რითაც ისინი ვნებულ ქრისტიეს ემსგავსებიან (შდრ. 2კორ. 4, 10; კოლ. 1, 24), მათ შეუძლიათ, ყველა ადამიანამდე მიაღწიონ და მთელი სამყაროს გამოხსნას ხელი შეუწყონ.

17. ინდივიდუალური მოციქულობა განსაკუთრებით იქ არის აუცილებელი, სადაც ეკლესიის თავისუფლება დიდად შეზღუდულია. ამ ურთულეს ვითარებაში საერონი შეძლებისდაგვარად მღვდლებს ცვლიან, საკუთარ თავისუფლებას და ზოგჯერ სიცოცხლესაც საფრთხის ქვეშ აყენებენ, გარემომცველებს ქრისტიანულ მოძღვრებას ასწავლიან, მათ რელიგიური ცხოვრებისა და კათოლიკური სულის შესაბამისად აღზრდიან, მოუწოდებენ, საიდუმლონი ხშირად მიიღონ და მონივნება გამოავლინონ, განსაკუთრებით ევქარისტიის მიმართ.²⁷ წმიდა კრება გულითადად მადლობელია ღმრთისა, რომელიც ჩვენს დროშიც დევნათა შუაგულში საერო პირებს გმირული გაბედულების ძალას ანიჭებს, და მათ მამობრივი სიყვარულითა და მადლიერებით ეხვევა.

განსაკუთრებულ როლს ინდივიდუალური მოციქულობა იმ რეგიონებში ასრულებს, სადაც კათოლიკეები მცირერიცხოვანნი და გაფანტულნი არიან. ასეთ ადგილებში მიზანშეწონილია, რომ საერონი (რაკი მათ მოციქულობის აღსრულება ზემოთხსენებული მიზეზების გამო ან მათი პროფესიული მოღვაწეობისთვის დამახასიათებელი საგანგებო ვითარების საფუძველზე მხოლოდ ინდივიდუალურად შეუძლიათ) გაერთიანდნენ მცირე ჯგუფებად, ინსტიტუციისა თუ ორგანიზაციის ნებისმიერი უფრო მკაცრი ფორმის გარეშე, რათა ყველასთვის ცხადი გახდეს ეკლესიის ერთობის ნიშანი, როგორც სიყვარულის ჭეშმარიტი მონაწილეობა. ამგვარად, მეგობრობისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, ერთმანეთისადმი სულიერი დახმარებით ისინი ძალას იკრებენ, რათა გადალახონ ცხოვრებისა და მეტისმეტად დაქსაქსული მოღვაწეობის სირთულეები და მოციქულობის უფრო უხვი ნაყოფი გამოიღონ.

18. ქრისტიეს ერთგულთა მონადეობა, თავისი ცხოვრების სხვადასხვა ვითარებაში მოციქულობა ინდივიდუალურად აღასრულონ. ამასთანავე, მათ უნდა

²⁷ შდრ. PIUS XII, alloc. *ad I Conventum ex Omnibus Gentibus Laicorum Apostolatui proveheno*, 15 oct. 1951: AAS 43 (1951), p. 788.

ახსოვდეთ, რომ ადამიანს ბუნებით სოციალურობა ახასიათებს. ამიტომ ღმერთ-მა ისურვა, ქრისტეს მორწმუნენი ღმრთის ერად შეეკრიბა (შდრ. 1 პეტრე 2, 5-10) და ერთ სხეულად გაეერთიანებინა (შდრ. 1 კორ. 12, 12). მაშასადამე, ერთობლივი მოციქულობა კარგად პასუხობს ქრისტეს ერთგულთა როგორც ადამიანურ, ასევე ქრისტიანულ მოთხოვნილებებს. ამავე დროს, ის წარმოადგენს ეკლესიის კავშირისა და ერთობის ნიშანს ქრისტეში, რომელმაც თქვა: „რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათ. 18, 20).

ამიტომ ქრისტეს ერთგულების მოციქულობას ერთგულები უნდა ახასიათებდეს.²⁸ ისინი მოციქულები უნდა იყვნენ როგორც თავის ოჯახურ საკრებულოებში, ასევე საკრებულოებსა და დიოცეზებში (ისინი ხომ თავადაც მოციქულობის საზოგადოებრივ ხასიათს გამოხატავენ), აგრეთვე თავისუფალ ჯგუფებში, რომლებშიც მათ გაერთიანება გადაწყვიტეს.

ხშირად მოციქულობა ერთობლივ მოქმედებას მოითხოვს, როგორც საეკლესიო საკრებულოებში, ასევე სხვადასხვა გარემოში; ერთობლივი მოციქულობა (*apostolatus consociatus*) ამიტომაც არის მნიშვნელოვანი. ასოციაციები, ერთობლივი სამოციქულო მოქმედებისთვის შექმნილი, ეხმარებიან თავის წევრებს და მათ მოციქულობისთვის ამზადებენ, სწორად განაგებენ და წარმართავენ მათ მოციქულურ საქმიანობას, რაც იმედს იძლევა, რომ ნაყოფი უფრო უხვი იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ყველა ცალ-ცალკე მოქმედებს.

თანამედროვე ვითარებაში სრულიად აუცილებელია, რომ საერთოა მოღვაწეობის სფეროში მოციქულობის ერთობლივი და ორგანიზებული ფორმა განვითარდეს, რადგან მხოლოდ ძალთა მჭიდრო ერთობით შესაძლებელია თანამედროვე მოციქულობის ყველა მიზნის მიღწევა და მისი ღირებულებების ჭეშმარიტი დაცვა.²⁹ ამ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოციქულობა შეეხმიანოს იმ ადამიანთა სულიერ განწყობასა და სოციალურ ვითარებას, ვისაც ის ეხება. სხვაგვარად მათთვის არსებითად ძნელი იქნება, წინააღმდეგობა გაუწიონ საჯარო შეხედულებებისა თუ ინსტიტუციების ზენოლას.

19. სამოციქულო გაერთიანებათა დიდი მრავალფეროვნება არსებობს.³⁰ ზოგიერთი მათგანი მიზნად ეკლესიის ზოგადი ამოცანებს ისახავს, სხვა გარკვეული ფორმით ევანგელიზაციისა და წმიდა-ყოფისკენ ისწრაფვის, ან წარმავალი წესის ქრისტიანულ ცხოველყოფას ცდილობს, ზოგიერთი კი ქრისტეს თავისებურად — გულმონყალებისა და საქველმოქმედო საქმეთა მეშვეობით მოწმობს.

ამ გაერთიანებათა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ისეთი კავშირები, რომლებიც ხელს უწყობენ და ღირებულს ხდიან წევრთა ყოველდღიური ცხოვრების ერთიანობას მათ რწმენასთან. ეს გაერთიანებები თვითმიზანს არ წარმოადგენენ. ისინი უნდა დაეხმარონ ეკლესიას, შეასრულონ მისი მისია სამყაროსთან მიმართებაში. მათი მოციქულური ღირებულება ეკლესიის მიზნებთან მათი შესაბამისობით განისაზღვრება, აგრეთვე მთელი ასოციაციის ცალკეულ წევრთა ქრისტიანული მოწმობითა და ევანგელური სულით.

ინსტიტუციათა პროგრესისა და დღევანდელი საზოგადოების წინსვლის პირობებში ეკლესიის უნივერსალური მისია მოითხოვს, რომ კათოლიკეების სამოციქულო წამოწყებებმა საერთაშორისო ასპარეზზე უფრო მეტად სრულყონ ერთობის სხვადასხვა ფორმები. საერთაშორისო კათოლიკური ორგანიზაციები უკეთესად მიაღწევენ თავის მიზანს, თუ მათში შემავალი ჯგუფები მათთან უფრო მჭიდრო კონტაქტს დაამყარებენ.

28 იქვე, გვ. 787-788.

29 შდრ. PIUS XII, *encycl. Le pèlerinage de Lourdes*, 2 iulii 1957: AAS 49 (1957), p. 615.

30 შდრ. PIUS XII, *alloc. ad Consilium Foederationis internationalis virorum catholicorum*, 8 dec. 1956: AAS 49 (1957), pp. 26-27.

საეკლესიო ხელისუფლებასთან აუცილებელი კავშირის შენარჩუნების პირობებში³¹ საერო პირებს აქვთ უფლება, დააფუძნონ გაერთიანებები,³² უხელმძღვანელონ მათ და შევიდნენ უკვე არსებულ გაერთიანებებში. ამავე დროს, თავი უნდა ავარიდოთ ძალთა ხარჯვას, რასაც ადგილი ექნება, თუ საკმარისი მიზეზის გარეშე ხელი შეეწყობა ახალ ასოციაციებსა და საქმეებს, ან თუ უფრო დიდხანს, ვიდრე საჭიროა, შენარჩუნებული იქნება მოძველებული ასოციაციები ან მეთოდები. ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი განურჩევლად იმ ფორმების გადმონერგვა, რომლებიც სხვა ქვეყანაში გამოიყენება.³³

20. უკვე მრავალი ათწლეული გავიდა მას შემდეგ, რაც საერო პირები, რომლებიც სულ უფრო მეტად უძღვნიან თავს მოციქულობას, ერთიანდებიან სხვადასხვა მოძრაობებად და ასოციაციებად, რომლებიც ინარჩუნებენ უმჭიდროეს კავშირს იერარქიასთან და, ამავდროულად, მისდევდნენ და მისდევენ საკუთარ მიზნებს. ამ და სხვა მსგავს უფრო ძველ ინსტიტუციათა შორის განსაკუთრებით აღნიშნვის ღირსია ისინი, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოქმედების სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ, მაინც უდიდესი ნაყოფი მოუტანეს ქრისტეს მეუფებას. უზენაესმა პონტიფექსებმა და მრავალმა ეპისკოპოსმა ისინი დამსახურებულად მოიწონეს და მათ ხელი შეუწყვეს. მათგან ამ ინსტიტუციებმა „კათოლიკური მოღვაწეობის“ სახელი მიიღეს. ძალიან ხშირად მათ ახასიათებენ როგორც საეროთა თანამშრომლობას იერარქიის მოციქულობაში.³⁴

მოციქულობის ეს ფორმები, ეწოდებათ მათ „კათოლიკური მოღვაწეობა“ თუ სხვა რამ, ჩვენს დროში ძალზე ღირებულ მოციქულობას ასრულებენ. ისინი შემდეგი ნიშნების ერთობლიობით ხასიათდება:

ა) ამგვარი ორგანიზაციების უშუალო მიზანს წარმოადგენს ეკლესიის სამოციქულო მიზანი, ანუ ადამიანთა ევანგელიზაციისკენ, წმიდა-ყოფისა და მათი ცნობიერების ქრისტიანული აღზრდისკენ სწრაფვა, რათა მათ სახარების სულით მოიცვან სხვადასხვა საზოგადოებები და წრეები.

ბ) საერონი, რომლებიც იერარქიასთან თავისებურად თანამშრომლობენ, თავის გამოცდილებას იყენებენ და პასუხისმგებლობას იღებენ ამ ორგანიზაციითა ხელმძღვანელობის საქმეში, იმ ვითარებათა შეფასებაში, რომლებშიც ეკლესიის სამღვდლო მოღვაწეობა უნდა მიმდინარეობდეს, აგრეთვე მოქმედების პროგრამის შემუშავებასა და შესრულებაში.

გ) საერონი ერთიანი ორგანული სხეულის მსგავსად მოქმედებენ, რათა უფრო კარგად წარმოჩნდეს ეკლესიის ერთობა და მოციქულობა უფრო ნაყოფიერი გახდეს.

დ) საერონი, რომლებიც ან ნებაყოფლობით მზად არიან, უშუალოდ ითანამშრომლონ იერარქიულ მოციქულობასთან, ან მონვეულნი არიან ამ საქმისათვის, მოქმედებენ თავად იერარქიის უზენაესი ხელმძღვანელობით, რომელსაც ასეთი თანამშრომლობისათვის სანქციის გაცემა ექსპლიციტური მანდატის მეშვეობით შეუძლია.

თუ იერარქია დაადგენს, რომ საერთო ჯამში ორგანიზაციებს ეს ნიშნები ახასიათებს, მაშინ ისინი კათოლიკურ მოღვაწეობად (*Actio Catholica*) უნდა სცნონ, თუმცა, ამა თუ იმ ადგილისა და ერის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, მათ შეიძლება სხვადასხვა ფორმა და სახელი ჰქონდეს.

წმიდა კრება დაბეჯითებით რეკომენდაციას უწევს ამ ინსტიტუციებს. მრავალ ქვეყანაში ისინი უდაოდ პასუხობს ეკლესიის მოციქულობის მოთხოვნებს. წმიდა კრება მოუწოდებს მღვდელმსახურებსა და საერო პირებს, რომლებიც ამ ინსტიტუ-

31 შდრ. ქვემოთ, თავი V, 24.

32 შდრ. S. C. CONCILII Resolutio *Corrienten.*, 13 nov. 1920: AAS 13 (1931), p. 139.

33 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Princeps Pastorum*, 10 dec. 1959: AAS 51 (1959), p. 856.

34 შდრ. PIUS XI, epist. *Quae nobis, ad Card. Bertran*, 13 nov. 1928: AAS 20 (1928), p. 385. – შდრ.

აგრეთვე PIUS XII, alloc. *ad A. C. Italicam*, 4 sept. 1940: AAS 32 (1940), p. 362.

ციებში მუშაობენ, რაც შეიძლება უფრო ეფექტურად განახორციელონ ზემოთხსენებული ნიშნები და მუდამ ძმურად ითანამშროლონ ეკლესიაში მოციქულობის ყველა სხვა ფორმასთან.

21. მოციქულობის ყველა ორგანიზაცია სწორად უნდა იქნეს შეფასებული. ხოლო ისინი, რომლებიც დროისა და ადგილის მოთხოვნილებათა შესაბამისად იერარქიამ მოიწონა, მათ რეკომენდაცია გაუწია ან მათი სასწრაფოდ დაარსება გადაწყვიტა, მღველმსახურებმა, მონესეებმა და საერო პირებმა პირველ ადგილზე უნდა დააყენონ და მათთვის შესაფერისი ფორმით განავითარონ. მათ შორის დღეს განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო კათოლიკური ორგანიზაციები ან გაერთიანებები.

22. საგანგებო პატივისა და დაფასების ღირსი ის საერო არიან (როგორც დაუქორწინებლები, ასევე დაქორწინებულნი), რომლებიც თავის პროფესიული გამოცდილებით საკუთარ თავს უძღვნიან ამ ინსტიტუციათა და მათი საქმიანობის მუდმივ ან დროებით მსახურებას. ეკლესიას დიდად უხარია, რომ ყოველდღიურად მატულობს საერო პირთა რიცხვი, რომლებიც დახმარებას უწევენ ასოციაციებსა და სამოციქულო საქმეებს თავისი ქვეყნების ფარგლებში თუ ინტერნაციონალ ასპარეზზე, მისიათა კათოლიკურ საზოგადოებებსა და ახალ ეკლესიებში.

დაე, ეკლესიის მწყემსებმა ასეთი საერონი ხალისითა და მაღლიერებით მიიღონ, იზრუნონ იმისათვის, რომ მათი მდგომარეობა მაქსიმალურად აკმაყოფილებდეს სამართლიანობის, თანასწორობისა და სიყვარულის მოთხოვნებს, განსაკუთრებით იმ სფეროში, რომელიც მათი და მათი ოჯახების ღირსეულად შენახვისთვის არის საჭირო. საერო პირებს უნდა ჰქონდეთ აუცილებელი განათლება, სულიერი მხარდაჭერა და სტიმული.

თავი V წესის დაცვა

23. საერთო მოციქულობამ, რომელსაც ქრისტეს ერთგულნი ინდივიდუალურად ან ერთობლივად აღასრულებენ, სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს მთელი ეკლესიის მოციქულობაში. მეტიც: ერთობა მათთან, ვინც სული წმიდამ ღმრთის ეკლესიის სამწყსოდ დააყენა (მდრ. საქმე 20, 28), ქრისტიანული მოციქულობის არსებით ელემენტს წარმოადგენს. არანაკლებ აუცილებელია თანამშრომლობა სხვადასხვა სახის სამოციქულო წამოწყებათა შორის, რომელსაც სათანადო სახით იერარქია უნდა ხელმძღვანელობდეს.

ერთობის სულისთვის ხელშეწყობის მიზნით, იმისათვის, რათა ეკლესიის მთელს მოციქულობაში გაბრწყინდეს ძმური სიყვარული, საერთო მიზნების მისაღწევად და იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ზიანის მომტანი ქიშპობა, აუცილებელია ეკლესიაში ყველა სახის მოციქულობის პატივისცემა და მათი სათანადო ურთიერთშეთანხმება, ისე, რომ თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი თავისებურებაც შევინარჩუნოთ.³⁵

ეს განსაკუთრებით შესაფერისია მაშინ, როდესაც ეკლესიაში საგანგებო ქმედება მოითხოვს ორივე სახის სამღვდელოების, მონესეებისა და საერთო ჰარმონიასა და სამოციქულო თანამშრომლობას.

24. იერარქიის ამოცანას წარმოადგენს საერთო მოციქულობისთვის ხელშეწყობა, პრინციპებითა და სულიერი ხელშეწყობით მისი აღჭურვა, მოციქულობის აღსრულება მთელი ეკლესიის საკეთილდღეოდ და ყურადღების მიქცევა იმისათვის, რომ დაცული იყოს მოძღვრება და წესი.

საერთო მოციქულობა გულისხმობს იერარქიასთან სხვადასხვა სახის ურთიერთობებს, მოციქულობის ფორმებისა და მიზნების ფორმათა მრავალგვარობის შესაბამისად.

35 მდრ. PIUS XI, encycl. *Quamvis Nostra*, 30 apr. 1936: AAS 28 (1936), pp. 160-161.

ეკლესიაში ბევრი სამოციქულო წამონწყება არსებობს, რომლებიც საერთო თავისუფალ არჩევანს ემყარება და მათი ბრძნული განსჯით ხელმძღვანელობს. ასეთი წამონწყებების წყალობით გარკვეულ ვითარებაში ეკლესიის მისია შეიძლება უკეთესად შესრულდეს, ამიტომ იერარქია მას ხშირად აქებს და რეკომენდაციას უწევს.³⁶ მაგრამ ვერცერთი წამონწყება ვერ დაისაკუთრებს სახელწოდებას „კათოლიკური“, თუ ამაზე არ იქნება ლეგიტიმური საეკლესიო ხელისუფლების თანხმობა.

ამა თუ იმ სახით იერარქია ექსპლიციტურად ცნობს საერთო მოციქულობის ზოგიერთ ფორმას.

ეკლესიის საერთო კეთილდღეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, საეკლესიო ხელისუფლებამ, შეიძლება აირჩიოს ის სამოციქულო ასოციაციები და წამონწყებები, რომლებიც უშუალოდ მიისწრაფვიან სულიერი მიზნისკენ, განსაკუთრებული მფარველობა გაუწიოს მათ და მათზე საგანგებო პასუხისმგებლობა თავისთავზე აიღოს. ამგვარად, იერარქია, რომელიც სხვადასხვაგვარად, გარემოებათა შესაბამისად, წარმართავს მოციქულობას, ამა თუ იმ ფორმას უფრო მჭიდროდ უკავშირებს თავის სამოციქულო ფუნქციას. ამავე დროს, ის ინარჩუნებს ორივე სახის მოციქულობისთვის დამახასიათებელ ბუნებასა და თავისებურებას, რის გამოც საერო პირებს არ წაერთმევათ შესაძლებლობა, თავისი ნებით იმოქმედონ. იერარქიის ამ აქტს სხვადასხვა საეკლესიო დოკუმენტში „მანდატი“ ეწოდება.

დაბოლოს, იერარქია ანდობს საეროებს ზოგიერთ ფუნქციას, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მღვდელთა მოვალეობებთან. ის ამას აკეთებს ქრისტიანული მოძღვრების გადმოცემაში, გარკვეულ ლიტურგიულ აქტებში, სულთათვის ზრუნვაში. ამ მისიის ძალით საერონი მთლიანად ექვემდებარებიან უზენაეს საეკლესიო ხელმძღვანელობას იმ საქმეში, რომელიც ფუნქციათა შესრულებას გულისხმობს.

რაც შეეხება წარმავალი წესის საქმეებსა და ინსტიტუციებს, საეკლესიო იერარქიის ფუნქციას წარმოადგენს იმ ზნეობრივი პრინციპების სწავლება და აუთენტურად ინტერპრეტაცია, რომლებსაც წარმავალ საქმეებში უნდა მივსდით. გარდა ამისა, მას შეუძლია, სათანადო ფიქრისა და გამოცდილ ადამიანთა დახმარებით, განსაჯოს ზნეობრივ პრინციპებთან ამ საქმეებისა თუ ინსტიტუციების შესაბამისობის შესახებ, და გადაწყვიტოს, რა არის აუცილებელი ზებუნებრივი წესის დაცვისა და განვითარებისთვის.

25. ეპისკოპოსებს, წინამძღვრებს, სხვა მღვდელმსახურებს ერთი თუ მეორე სამღვდელოებიდან უნდა ახსოვდეთ, რომ მოციქულობის აღსრულება არის საერთო უფლება და მოვალეობა ყველა ერთგულისთვის, სამღვდელოებისა თუ საერო პირისთვის.³⁷ ამიტომ მათ საერო პირებთან ერთად ძმურად უნდა იღვანონ ეკლესიაში და ეკლესიისთვის, საგანგებოდ იზრუნონ საერო პირებისათვის მათ სამოციქულო საქმეებში.³⁸

აუცილებელია მღვდელმსახურთა გულმოდგინე შერჩევა, რომლებიც სათანადოდ და შესაფერისად იქნებიან მომზადებულნი საერთო მოციქულობის საგანგებო ფორმების მხარდასაჭერად.³⁹ ის, ვინც იერარქიისგან მისიის მიღების შედეგად ამ მსახურებას აღასრულებს, მან იერარქია თავის სამოციქულო საქმიანობაში უნდა წარმოადგინოს, ხელი შეუწყოს შესაბამის ურთიერთობებს მასთან და ეკლესიის სულითა და მოძღვრების მუდამ ერთგული იყოს. მისთვის მინდობილი კათოლიკური გაერთიანებები მან სულიერი ცხოვრებითა და სამოციქულო გრძნობით უნდა ასაზრდოოს; თავისი ბრძნული რჩევით იგი ამ გაერთიანებათა სამოციქულო მოღვაწეობას უნდა დაეხმაროს და მათ ინიციატივებს ხელი შეუწყოს. საერო პირებთან

36 შდრ. S.C. CONCILI Resolutio *Corrienten.*, 13 nov. 1920: AAS 13 (1921), pp. 137-140.

37 შდრ. PIUS XII, alloc. *ad II Conventum ex Omnibus Gentibus Laicorum Apostolatui provehendo*, 5 oct. 1957: AAS 49 (1957), p. 927.

38 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 37.

39 შდრ. PIUS XII, adhort. apost. *Menti Nostrae*, 23 sept. 1950: AAS 42 (1950), p. 660.

მუდმივი კავშირის დამყარებით ის უნდა დაფიქრდეს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ფორმები, რომლებიც სამოციქულო მოღვაწეობას უფრო ნაყოფიერს გახდის; მან ერთობის სული უნდა ასაზრდოოს როგორც თავად გაერთიანების შიგნით, ასევე სხვებთან მიმართებაში.

და ბოლოს, მონესენი, ძმებიც და დებიც, პატივს უნდა სცემდნენ საეროთა სამოციქულო საქმეებს. თავისი ინსტიტუციების სულისა და ნორმების მიხედვით ისინი სიხარულითა უნდა ჩაებან საეროთა საქმეებში⁴⁰ და შეეცადონ, სამღვდლო ფუნქციათა შესრულებაში მათ დახმარება გაუწიონ, მხარი დაუჭირონ და სრულყოფილება მიანიჭონ.

26. დიოცეზებში შეძლებისდაგვარად საბჭოები უნდა ჩამოყალიბდეს, რომლებიც დაეხმარება ეკლესიის სამოციქულო საქმეს ევანგელიზაციისა და წმიდაყოფის, აგრეთვე საქველმოქმედო, სოციალურ და სხვა ასპარეზზე. აქ სამღვდელოებმა და მონესეებმა საერო პირებთან სათანადო ფორმით უნდა ითანამშრომლონ. საბჭოებმა შეიძლება ხელი შეუწყოს სხვადასხვა საერო პირთა გაერთიანებათა და წამოწყებათა ურთიერთკოორდინაციას. ამასთანავე დაცული უნდა იყოს თითოეული მათგანის თავისებურება და ავტონომია.⁴¹

ასეთი საბჭოები, თუ ეს შესაძლებელია, უნდა არსებობდეს აგრეთვე საკრებულოს თუ საკრებულოთაშორის, ინტერდიოცეზულ გარემოში, აგრეთვე ნაციონალურ ან ინტერნაციონალურ დონეზე.⁴²

გარდა ამისა, წმიდა საყდართან უნდა ჩამოყალიბდეს განსაკუთრებული სამდივნო. იგი ემსახურება და სტიმულს აძლევს საეროთა მოციქულობას, როგორც ცენტრი, რომელსაც შეეძლება, გარკვეული საშუალებებით მოგვანოდოს ინფორმაცია საეროთა სხვადასხვა წამოწყებების შესახებ, შეისწავლოს პრობლემები, რომლებიც ამჟამად ამ სფეროში წარმოიქმნება, დაეხმაროს თავისი რჩევებით იერარქიასა და საერო პირებს სამოციქულო საქმეებში. სადივნოში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელს სამყაროში არსებულმა საეროთა მოციქულობის სხვადასხვა მოძრაობამ და ინიციატივამ, ხოლო სამღვდელოებამ და მონესეებმა საერო პირებთან უნდა ითანამშრომლონ.

27. საერთო ევანგელური მემკვიდრეობა და აქედან გამომდინარე ქრისტიანული მონაწილის საერთო მოვალეობა სასურველს ხდის და ხშირად მოითხოვს კიდევ კათოლიკეთა თანამშრომლობას სხვა ქრისტიანებთან, რომელსაც ცალკეული პირი და ეკლესიის საკრებულოები ახორციელებენ, ცალკეული ქმედების ან გაერთიანებათა სახით, როგორც ნაციონალურ, ასევე ინტერნაციონალურ ასპარეზზე.⁴³

ქრისტიანებმა, რომლებიც სამოციქულო მიზნებისკენ მიისწრაფვიან, უნდა ითანამშრომლონ მათთან, ვინც ქრისტიანი არ არის, მაგრამ ამ ღირებულებებს აღიარებს. ამას ხშირად მოითხოვს საერთო ადამიანური ღირებულებები.

ამ დინამიური და გონივრული თანამშრომლობით,⁴⁴ რომელიც დიდ როლს თამაშობს წარმავალ საქმიანობაში, საერონი მონაწილე ქრისტესთვის, სამყაროს მაცხოვრისთვის, და ადამიანთა ოჯახის ერთობისათვის.

40 შდრ. CONC. VAT. II, Decr. *De accommodata renovatione vitae religiosae*, n. 8.

41 შდრ. BENEDICTUS XIV, *De Synodo Diocesana*, I, III, c. IX, n. VII-VIII: *Opera omnia in tomos XVII distributa*, tom. XI (Prati, 1844), pp. 76-77.

42 შდრ. PIUS XI, encycl. *Quamvis Nostra*, 30 apr. 1936: AAS 28 (1936), pp. 160-161.

43 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*, 15 maii 1961: AAS 53 (1961), pp. 456-457. - შდრ. CONC. VAT. II, Decr. *de Oecumenismo*, n. 12.

44 შდრ. CONC. VAT. II, Decr. *de Oecumenismo*, n. 12. - შდრ. აგრეთვე Const. dogm. *de Ecclesia*, n. 15.

თავი VI
მოციქულობისთვის მომზადება

28. მოციქულობამ თავის სრულ ქმედითობას შეიძლება მხოლოდ მრავალგვარი და სრული მომზადების საფუძველზე მიაღწიოს. ამას მოითხოვს არა მარტო თავად საერო პირის მუდმივი სულიერი და სამოქალაქო წინსვლა, არამედ სხვადასხვა გარემოებასთან, პიროვნებასა და მოვალეობასთან დაკავშირებული ვითარება, რომლებსაც უნდა მიესადაგოს მათი მოღვაწეობა. მოციქულობისათვის ეს მომზადება უნდა დაემყაროს იმ დებულებებს, რომლებიც წმიდა კრებამ სხვაგან ჩამოაყალიბა და განაცხადა.⁴⁵ გარდა იმ მომზადებისა, რომელიც ყველა ქრისტიანისთვის არის საერთო, მოციქულობის მრავალი ფორმა, პირთა და გარემოებათა მრავალგვარობის გამო, განსაკუთრებულ და საგანგებო მომზადებას მოითხოვს.

29. საერონი თავისებურად მონაწილეობენ ეკლესიის მისიაში. მათი სამოციქულო მომზადება განსაკუთრებულ ხასიათს იძენს, რომელიც საკუთრივ საერო პირის სეკულარული ხასიათიდან და მისი სულიერი ცხოვრებიდან მომდინარეობს.

სამოციქულო მომზადება ერთგვარ მთლიან ადამიანურ მომზადებას გულისხმობს, რომელიც თითოეული ადამიანის ნიჭსა და მდგომარეობას შეესაბამება. საერო პირი, რომელმაც კარგად იცის თანამედროვე სამყარო, თავისი საზოგადოებისა და მისი კულტურის სრულყოფილი წევრი უნდა იყოს.

მაგრამ უპირველეს ყოვლისა, საერო პირმა უნდა ისწავლოს ქრისტიანული და ეკლესიის მისიის შესრულება. მან რწმენით უნდა განიცადოს შესაქმისა და გამოსყიდვის საღმრთო საიდუმლოება. ეს უნდა მოხდეს სული წმიდის ზემოქმედებით, რომელმაც ღმრთის ერი ცხოველ-ყო, ყველა ადამიანს შთაუწერა სიყვარული მამა ღმრთისა, ხოლო მასში – სამყაროსი და ადამიანებისა. ეს მომზადება ყოველგვარი ნაყოფიერი მოციქულობის საძირკვლად და პირობად უნდა მივიჩნიოთ.

სულიერი მომზადების გარდა, საჭიროა საფუძვლიანი სამოქალაქო მომზადება, კერძოდ თეოლოგიური, ეთიკური, ფილოსოფიური, ასაკის, გარემოებისა და ნიჭის სხვადასხვაობის შესაბამისად. პრაქტიკულ და ტექნიკურ მომზადებასთან ერთად ზოგადი კულტურის მნიშვნელობაც არ უნდა დავივიწყოთ.

კეთილი ადამიანური ურთიერთობებისთვის ხელშესაწყობად ჭეშმარიტად ადამიანური ღირებულებების დაფასება არის საჭირო. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ძმურად თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის ნიჭი, აგრეთვე ურთიერთობის დამყარების უნარი.

მოციქულობისთვის მომზადება თეორიული განათლებით არ ამოიწურება. საერო პირმა იმთავითვე თანდათანობით და გონივრულად უნდა ისწავლოს საწინააღმდეგობის შუქზე ყველაფრის განხილვა, განსჯა და კეთება. თავად ქმედებაში მან სხვებთან ერთად უნდა ისწავლოს საკუთარი თავის ფორმირება და სრულყოფა, და, ამგვარად, ეკლესიის ქმედითი მსახურების დაწყებაც.⁴⁶ ეს მომზადება, რომელმაც გამუდმებით სრულყოფა უნდა განიცადოს ადამიანის პიროვნების მზარდი სიმნიფისა და პრობლემათა ევოლუციის გამო, დღითი დღე უფრო ღრმა ცოდნასა და შესაბამის მოქმედებას მოითხოვს. მომზადების ყველა მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილების მიზნით ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ადამიანური პიროვნების ერთიანობა და მთლიანობა, რათა მისი ჰარმონია და წონასწორობა იყოს შენარჩუნებული.

ამგვარად, საერო პირი ღრმად და აქტიურად ებმევა თავად წარმავალ სინამდვილეში და წარმატებით ასრულებს თავის როლს საქმეთა ორგანიზაციაში. ამავე

⁴⁵ შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, cap. II, IV, V. – შდრ. აგრეთვე დეკრეტი *de Oecumenismo*, nn. 4, 6, 7, 12. – შდრ. აგრეთვე ზემოთ, n. 4.

⁴⁶ შდრ. PIUS XII, alloc. *Ad I Conferentiam internationalem "boy-scouts"*, 6 iunii 1952: AAS 44 (1952), pp. 579-580. – IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*, 15 maii 1961: AAS 53 (1961), p. 456.

დროს, ის, როგორც ეკლესიის ცოცხალი წევრი და მოწმე, წარმავალ სინამდვილეში აქტიულობასა და ქმედითობას სძენს ეკლესიას.⁴⁷

30. მოციქულობისთვის მომზადება დასაბამს ბავშვების დანყებით განათლებაში იღებს. მოზარდები და ახალგაზრები განსაკუთრებულად უნდა ეზიარონ მოციქულობას და მისი სულით განიმსჭვალონ. ეს მომზადება, ახალი ფუნქციების მიღებასთან ერთად, მთელი ცხოვრების განმავლობაში სრულყოფას უნდა განიცდიდეს. ამიტომ ცხადია, რომ მათ, ვისაც ქრისტიანული აღზრდა ეხება, მოციქულობისთვისაც მომზადების ვალდებულება აკისრიათ.

მშობელთა ამოცანაა, თავისი შვილები ბავშვობიდანვე განაწყინდონ ყველა ადამიანის მიმართ ღმრთის სიყვარულის შესაცნობად. თანდათანობით, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მაგალითით, მათ ბავშვებს უნდა ასწავლონ მოყვასის როგორც მატერიალური, ასევე სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის ზრუნვა. ამგვარად, მთელი ოჯახი და ერთობლივი ცხოვრება მასში ერთგვარად მოციქულობის პირველ ნაბიჯად უნდა იქცეს.

გარდა ამისა, ბავშვები ისე უნდა აღიზარდონ, რომ ოჯახური საზღვრების გადალახვისას მათი გული ღია იყოს როგორც საეკლესიო, ასევე საერო საზოგადოებისთვის. ადგილობრივ საკრებულოში მათი ინტეგრაცია ისე უნდა მოხდეს, რომ მათ თავი ღმრთის ერის ცოცხალ და აქტიურ წევრებად გააცნობიერონ. მღვდელმსახურებს კატეხიზაციასა და სიტყვის მსახურებაში, აგრეთვე სულიერი ხელმძღვანელობისას და სხვა სახის სამღვდლო მსახურებაში მხედველობაში მოციქულობისთვის მომზადება უნდა ჰქონდეთ.

სკოლების, კოლეგიუმებისა და სხვა საგანმანათლებლო კათოლიკური ინსტიტუციების ამოცანას ახალგაზრდებში კათოლიკური შეგნების ჩამოყალიბება და სამოციქულო მოღვაწეობისთვის ხელშეწყობა წარმოადგენს. თუ ასეთი მომზადება არ იქნა (იმიტომ რომ ახალგაზრდები ასეთ სკოლებში არ დადიან, ან რაღაც სხვა მიზეზით), ის მშობლებმა, სულიერმა მწყემსებმა და სამოციქულო გაერთიანებებმა უნდა უზრუნველყონ. ხოლო მოძღვრებმა და აღმზრდელებმა, რომლებიც თავისი მოწოდებითა და მოვალეობით საეროთა მოციქულობის ყველაზე უფრო დახვეწილ ფორმას ასრულებენ, უნდა ღრმად შეითვისონ მოძღვრება და განიმსჭვალონ პედაგოგიური ხელოვნებით, რათა უფრო წარმატებით შეძლონ ამ განათლების გადაცემა.

საეროთა ჯგუფები და გაერთიანებები, რომლებიც მოციქულობისკენ ან სხვა ზებუნებრივი მიზეზებისკენ მიისწრაფვიან, თავისი მიზნებისა და თავისებურებების შესაბამისად მოციქულობისთვის მომზადებას გულმოდგინედ და ბეჯითად უნდა წარმართავდნენ.⁴⁸ ხშირად ისინი თავად წარმოადგენენ მოციქულობისთვის სათანადო მომზადების ჩვეულებრივ გზას. მათში ხორციელდება სამოძღვრო, სულიერი და პრაქტიკული მომზადება. მათი წევრები, თავის კოლეგებთან და მეგობრებთან მცირე ჯგუფებად გაერთიანებული, თავისი სამოციქულო მოღვაწეობის მეთოდებსა და შედეგებს სწავლობენ და თავისი ყოველდღიური ცხოვრების არსს სახარებას ადარებენ.

ამგვარი მომზადებისას საეროთა მთელი მოციქულობა უნდა იყოს გათვალისწინებული, რომელიც არა მარტო გაერთიანებათა ჯგუფებს შიგნით უნდა განხორციელდეს, არამედ ყოველგვარ გარემოში, მთელი ცხოვრების მანძილზე, განსაკუთრებით პროფესიულ და სოციალურ ცხოვრებაში. მეტიც: მოციქულობისათვის ყველა თვითონ უნდა მოემზადოს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზრდილ ასაკში. ასაკთან ერთად სულიერი ზრდა მიმდინარეობს, ამიტომ თითოეულ ადამიანს საშუალება ეძლევა, უფრო ღრმად მოიძიოს ნიჭი, რომლითაც ღმერთმა მისი სული დააჯილდოვა, და უფრო წარმატებით გამოიყენოს ის ქარიზმები, რომლებიც მას სული წმიდამ მისი ძმების საკეთილდღეოდ მიანიჭა.

47 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 33.

48 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*, 15 maii 1961: AAS 53 (1961), p. 455.

31. მოციქულობის სხვადასხვა ფორმები უთუოდ საჭიროებს შესაფერის მომზადებას.

ა) რაც შეეხება ადამიანთა ევანგელიზაციისა და წმიდა-ყოფის მოციქულობას, ამ შემთხვევაში საერთოა სპეციალური მომზადება არის საჭირო, რათა დამყარდეს საუბარი სხვებთან – მორწმუნეებსა და ურწმუნოებთან, ყველასთვის ქრისტეს უწყების გამოსაცხადებლად.⁴⁹

ჩვენს დროში ყველგან – კათოლიკეთა შორისაც კი — ფართოდ ვრცელდება მატერიალიზმის სხვადასხვა სახეობა. ამიტომ საერო პირებმა არა მარტო საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ კათოლიკური მოძღვრება, განსაკუთრებით სადაო საკითხები, არამედ მატერიალიზმის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ ევანგელიური ცხოვრებითაც უნდა მოწმობდნენ.

ბ) რაც შეეხება წარმავალ საგანთა წესის ქრისტიანულ გარდაქმნას, ამ სფეროში საერო პირებს უნდა ვასწავლოთ დროებითი კეთილდღეობის ქვეყნარბი მნიშვნელობისა და ღირებულების შესახებ, როგორც თავისთავად, ასევე და ადამიანური პიროვნების მიზნებთან მიმართებაშიც. საერონი უნდა გაიწაფონ საგანთა სწორად მოხმარებისა და ინსტიტუტუციათა ორგანიზაციის საკითხში. ეკლესიის მორალური და სოციალური მოძღვრების შესაბამისად, მათ მუდამ მხედველობაში უნდა ჰქონდეთ საერთო კეთილდღეობა. საერო პირებმა ისე უნდა შეისწავლონ სოციალური მოძღვრების საფუძვლები და მისი დასკვნები, რომ შეძლონ, თავისი წვლილი შეიტანონ ამ მოძღვრების განვითარებაში და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ის სწორად გამოიყენონ.⁵⁰

გ) ქველმოქმედება და გულმონყალება ქრისტიანული ცხოვრების ბრწყინვალე მოწმობას წარმოადგენს. ამიტომ სამოციქულო მომზადება მათ განხორციელებისკენ უნდა იყოს მიმართული, რათა ქრისტეს ერთგულებმა ბავშვობიდან ისწავლონ, ძმებს თანაუგრძნონ და გასაჭირში დიდსულოვნად დაეხმარონ.⁵¹

32. საერო პირებს, რომლებმაც თავი მოციქულობას მიუძღვნეს, უკვე გააჩნიათ მრავალი დამხმარე საშუალება, როგორც არის სესიები, კონგრესები, განმეორებითი შეკრებები, სულიერი წვრთნანი, ხშირი შეხვედრები, ნიგნები, კომენტარები, რომლებიც ხელს უწყობს წმიდა წერილისა და კათოლიკური მოძღვრების უფრო ღრმა გაგებას, წინსვლას სულიერ ცხოვრებაში, სამყაროში არსებული ვითარების წვდომას, აგრეთვე სათანადო მეთოდების აღმოჩენასა და შემუშავებას.⁵²

მომზადების ეს საშუალებები ითვალისწინებენ მოციქულ გარემოში განხორციელებული მოციქულობის სხვადასხვა ფორმას.

ამ მიზანს ემსახურება ცენტრებისა თუ უმაღლესი სასწავლო დანესებულებების დაარსება, რომლებმაც უკვე მოგვცეს ბრწყინვალე შედეგები.

წმიდა კრებას ახარებს ამგვარი წამოწყებები, რომლებიც უკვე განხორციელდა ზოგიერთ რეგიონში, და იმედი აქვს, რომ მათ სხვა ადგილებშიც ექნება მხარდაჭერა, იქ, სადაც ამის აუცილებლობა არსებობს.

ამასთან ერთად, მოციქულობის ყველა სფეროში უნდა დაარსდეს დოკუმენტაციისა და კვლევის ცენტრები. ეს ეხება არა მარტო თეოლოგიას, არამედ ანთროპოლოგიას, ფსიქოლოგიას, სოციოლოგიასა და მეთოდოლოგიას, რათა უფრო ნაყოფიერად განვითარდეს საერთოა ბუნებრივი ნიჭი, კაცებისა და ქალებისაც, ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისაც.

49 შდრ. PIUS XII, encycl. *Sertum laetitiae*, 1 nov. 1939: AAS 31 (1939), pp. 635-644. – მისივე, *As "laureati" Act. Cath. It.* 24 maii 1953: AAS 45 (1953), pp. 413-414.

50 შდრ. PIUS XII, alloc. *ad Congressum Universalem Foederationis Mundialis Iuventutis Femineae Catholicae*, 18 apr. 1952: AAS 44 (1952), pp. 414-419. – მისივე, alloc. *ad Associationem Christianam Operariorum Italiae (A.C.L.I.)*, 1 maii 1955: AAS 47 (1955), pp. 403-404.

51 შდრ. PIUS XII, *Ad Delegatos Conventus Sodalium Caritatis*, 27 apr. 1952, pp. 470-471.

52 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*, 15 maii 1961: AAS 53 (1961), p. 454.

მონოღება

33. მაშასადამე, წმიდა კრება უფლის სახელით მოუწოდებს ყველა საერო პირს, ნებაყოფლობით, დიდსულოვნად და თამამად უპასუხონ ქრისტეს ხმას (იგი მათ ამჟამად კიდევ უფრო დაბეჯითებით მიმართავს) და სული წმიდის შთაგონებას. დაე, ახალგაზრდებმა გააცნობიერონ, რომ ეს მიმართვა სწორედ მათთვის არის განკუთვნილი, და მიიღონ ის მხნედ და გულლიად. თავად უფალი ამ წმ. კრების მეშვეობით კვლავ იწვევს ყველა საერო პირს, რათა მასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეთ, მისი განცდები გაითავისონ (მდრ. ფილ. 2, 5) და მის გამომხსნელ მისიაში გაერთიანდნენ. იგი კვლავ მიავლენს მათ ყველა ქალაქსა და ადგილას, სადაც თავად უნდა წავიდეს (მდრ. ლუკ. 10, 1). ეკლესიის ერთიანი მოციქულობის სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით (ისინი მუდამ უნდა შეეფერებოდეს დროის ახალ მოთხოვნნილებებს) საერო პირებმა უნდა აჩვენონ, რომ მისი თანამშრომლები არიან, მუდამ უფლის საქმეს აკეთებენ და იციან, რომ მათი შრომა „არა ცუდად იყოს უფლისა მიერ“ (1კორ. 15, 58).

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამ დეკრეტში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოინონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან გადმოგვცა, ამას პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ, ვანესებთ და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1965 წლის 18 ნოემბერი
 მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
 (მოჰყვება მამათა ხელმოწერები)

დეკლარაცია
რელიგიური თავისუფლების შესახებ

DIGNITATIS HUMANAЕ

პავლე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მსახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

დეკლარაცია რელიგიური თავისუფლების შესახებ

**სოციალური და სამოქალაქო თავისუფლების უფლება,
რომელიც რელიგიის სფეროში აქვს პიროვნებასა და საზოგადოებებს**

1. ადამიანური პიროვნების ღირსებას ჩვენს დროში ადამიანები უფრო და უფრო უკეთესად აცნობიერებენ.¹ იზრდება მათი რიცხვი, ვინც მოითხოვს, რომ ადამიანები, საკუთარი განსჯისა და პასუხისმგებლობის საფუძველზე, თავისუფალნი იყვნენ და თავისუფლად მოქმედებდნენ. ისინი იძულებას კი არ უნდა ემორჩილებოდნენ, არამედ მოვალეობის შეგნებას. ამასთანავე ისინი მოითხოვენ საჯარო ხელისუფლების კანონმდებლობით შეკვეცას, რათა მეტისმეტად არ შეიზღუდოს როგორც პიროვნების, ასევე გაერთიანებათა ნამდვილი თავისუფლების საზღვრები. თავისუფლების ეს მოთხოვნა ადამიანთა საზოგადოებაში ყველაზე უფრო ეხება ადამიანის სულიერ ღირებულებებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საზოგადოებაში რელიგიის თავისუფლად წვრთნას (*exercitium*). ვატიკანის კრება გულდასმით განიხილავს ამ სულიერ მისწრაფებებს. იგი მიზნად ისახავს, განაცხადოს, რამდენად შეესაბამება ისინი ჭეშმარიტებასა და სამართალს. ეკლესიის წმიდა ტრადიციისა და მოძღვრების გამოკვლევით, ის მიდის სიახლესთან, რომელიც მუდამ ეთანხმება ძველს.

ამიტომ წმიდა კრება აღიარებს, რომ თავად ღმერთმა გაუხსნა გზა კაცობრიობას, რომლითაც, ღმრთის მსახურების მეშვეობით, ადამიანები შეიძლება გამოხსნილინ და ნეტარნი გახდნენ ქრისტეში. გვნამს, რომ ეს ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია არსებობს კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაში, რომელსაც უფალმა იესომ მიანდო მოვალეობა, გაავრცელოს ის ყველა ადამიანთა შორის და უთხრას მოციქულებს: „წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“ (მათ. 28, 19-20). თავის მხრივ, ყველა ადამიანი უნდა ეძიებდეს ჭეშმარიტებას, განსაკუთრებით იმ სფეროში, რომელიც ეხება ღმერთსა და მის ეკლესიას, ხოლო მისი შეცნობის შედეგად – მისი მიღება და შენახვა.

წმიდა კრება ასევე აღიარებს, რომ ეს მოვალეობა ეხება და ავალდებულებს ადამიანთა სინდისს, ხოლო ჭეშმარიტების დანერგვა სხვაგვარად ვერ მოხდება, თუ არა თავად ჭეშმარიტების ძალით, რომელიც გონებაში რბილად და თან მტკიცედ იჭრება. რელიგიური თავისუფლება, რომელსაც ადამიანები მოითხოვენ იმისათვის, რათა აღასრულონ მოვალეობა - თავყვანი სცენ ღმერთს, — გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოებაში იძულების არარსებობას. ის ხელუხლებლად ტოვებს ტრადიციულ კათოლიკურ მოძღვრებას ადამიანთა და საზოგადოებათა ზნეობრივი მოვალეობების შესახებ ჭეშმარიტი რელიგიისა და ქრისტეს ერთადერთი ეკლესიის მიმართ. გარდა ამისა, წმიდა კრება განიხილავს ამ რელიგიური თავისუფლების საკითხს და განიზრახავს, განავითაროს უკანასკნელი უზენაესი პონტიფიქსების

¹ შტრ. IOANNES XXIII, encicl. *Pacem in terris*, 11 aprilis 1963: AAS 55 (1963), p. 279; *ibid.*, p. 265 – Pius XII nuntius radiophonicus, 24 dec. 1944: AAS 37 (1945), p. 14.

მოძღვრება პიროვნების უფლებათა დაცვისა და საზოგადოების სამართლებრივი წესრიგის შესახებ.

1. რელიგიური თავისუფლების ზოგადი პრინციპები

2. ვატიკანის ეს კრება აცხადებს, რომ ადამიანის პიროვნებას აქვს რელიგიური თავისუფლების უფლება. ამგვარი თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ადამიანი უნდა იყოს დაცული იძულებისგან ცალკეული პირისა თუ სოციალურ ჯგუფთა მხრიდან, აგრეთვე ნებისმიერი ადამიანური ხელისუფლების მხრიდან. ამგვარად, რელიგიის სფეროში ვერავინ უნდა აიძულოს, იმოქმედოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ და ვერც ხელი უნდა შეუშალოს, იმოქმედოს საკუთარი სინდისის თანახმად, განსაზღვრულ ფარგლებში, როგორც კერძო, ასევე საჯარო საქმეებში, მარტომ თუ სხვებთან ერთად. გარდა ამისა, კრება განაცხადებს, რომ რელიგიური თავისუფლების უფლება ჭეშმარიტად ეფუძნება თავად ადამიანური პიროვნების ღირსებას, ისე, როგორც ის გამოცხადებაში მოცემული ღმრთის სიტყვითა და თავად გონებითაც შეიცნობა.² რელიგიური თავისუფლების ეს უფლება, რომელიც ადამიანურ პიროვნებას გააჩნია, საზოგადოების სამართლებრივ წყობაში იმგვარად უნდა იყოს აღიარებული, რომ ის სამოქალაქო სამართლად იქცეს.

საკუთარი ღირსების შესაბამისად, ყველა ადამიანი, რამდენადაც ისინი პიროვნებანი არიან, გონებითა და თავისუფალი ნებით დაჯილდოვებულნი, ხოლო ამის საფუძველზე, პიროვნული პასუხისმგებლობით აღჭურვილნი, თავისთავად საკუთარი ბუნებით არიან განწყობილნი და ზნეობრივი ვალდებულებით გამსჭვალულნი, რათა ეძიონ ჭეშმარიტება, უპირველეს ყოვლისა რელიგიის სფეროში. ისინი უნდა იცავდნენ შეცნობილ ჭეშმარიტებას და მთელ თავის ცხოვრებას ჭეშმარიტების მოთხოვნილებების მიხედვით ანესრიგებდნენ. ხოლო ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადამიანებს, თავისი ბუნების შესაბამისად, არ შეუძლიათ სხვაგვარად თუ არა ფსიქოლოგიური თავისუფლების პირობებში, აგრეთვე გარეგანი იძულებისგან დაცულობის პირობებში. მამასადაამე, რელიგიურ თავისუფლების უფლების საფუძველი მდგომარეობას არა პიროვნების სუბიექტურ განწყობაში, არამედ თავად მის ბუნებაში. ამიტომ ამგვარი დაცულობის უფლება ვრცელდება მათზეც, ვინც არ აკმაყოფილებს ჭეშმარიტების ძიებისა და მისი დაცვის ვალდებულებას; არ შეიძლება ამ უფლების განხორციელებისთვის ხელის შეშლა, თუკი შენარჩუნებულია სამართლიანი საჯარო წესი.

3. ყოველივე ეს უფრო ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანის ცხოვრების უმაღლესი ნორმა არის თავად საღმრთო კანონი, საუკუნო, ობიექტური და საყოველთაო, რომლითაც ღმერთი ასრულებს სიბრძნისა და სიყვარულის საღმრთო განზრახვას და განაგებს, ხელმძღვანელობს და წარმართავს მთელს სამყაროს და ადამიანთა საზოგადოების გზებს. ღმერთი ადამიანს ამ კანონს აზიარებს, რათა ადამიანმა, საღმრთო განგების საამური ხელმძღვანელობით, სულ უფრო მეტად შეძლოს უცვლელი ჭეშმარიტების შეცნობა. ამიტომ თითოეულის მოვალეობა და, შესაბამისად, უფლებაც არის, ეძიოს ჭეშმარიტება რელიგიურ სფეროში, რათა, სათანადო საშუალებების დახმარებით, სინდისის შესაბამისი, სწორი და ჭეშმარიტი შეხედულება შეიმუშავოს.

ხოლო ჭეშმარიტება უნდა ვეძიოთ ისე, როგორც ეს შეეფერება ადამიანურ პიროვნებასა და მის სოციალურ ბუნებას, ანუ თავისუფალი ძიებით, მოძღვრობითა თუ დარიგებით, ურთიერთობითა და დიალოგით. მათი მეშვეობით ადამიანები ერთმანეთს უმყლავნებენ ჭეშმარიტებას, რომელიც მათ აღმოაჩინეს ან ფიქრო-

² შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*, 11 aprilis 1963: AAS 55 (1963), pp. 260-261. – PIUS XII, nuntius radiophonicus, 24 dec. 1942: AAS 35 (1954), p. 19. – PIUS XI, encycl. *Mit brennender Sorge*, 14 martii 1937: AAS 29 (1937), p. 160. – LEO XIII, encycl. *Libertas praestantissimum*, 20 iunii 1888: Acta Leonis XIII 8, 1888, pp. 237-238.

ბენ, რომ აღმოაჩინეს, რათა ერთმანეთს ჭეშმარიტების ძიებაში დაეხმარონ, ხოლო ჭეშმარიტების პოვნის შემდეგ მას მტკიცედ მისდიონ პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე.

სალმრთო კანონის მითითებებს (dictamina) ადამიანი სწვდება თავისი სინდისის მეშვეობით. ის უნდა ერთგულად მისდევდეს მას მთელს თავის საქმიანობაში, რათა მივიდეს ღმერთთან, რომელიც მისი მიზანია. ამიტომ ის არ უნდა იყოს იძულებული, იმოქმედოს თავისი სინდისის წინააღმდეგ. ამასთანავე არ შეიძლება მას ხელი შეეუშალოს, იმოქმედოს თავისი სინდისის შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა რელიგიის სფეროში. რელიგიის წვრთნა, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, შინაგანად ნებაყოფლობით და თავისუფალ ქმედებებში, რომლებთანაც ადამიანი თავის თავს პირდაპირ ღმრთისკენ მიმართავს: ამგვარი ქმედებებს მხოლოდ ადამიანის ძალა ვერც წარმართავს და ვერც აკრძალავს.³ თავად ადამიანის სოციალური ბუნება მოითხოვს, რომ ადამიანმა რელიგიის შინაგანი აქტები გარეგნულად გამოხატოს, რელიგიის საკითხებში ურთიერთობა ჰქონდეს სხვებთან და თავისი რელიგია საზოგადოებრივი ფორმით აღიაროს (profiteatur).

უსამართლობა იქნება ადამიანური პიროვნებისა და თავად წესის მიმართ, რომელიც ღმერთმა ადამიანებს დაუდგინა, თუ ადამიანები უფლებელყოფენ რელიგიის თავისუფალ წვრთნას, მაშინ, როცა დაცულია სამართლიანი საჯარო წყობა.

გარდა ამისა, რელიგიური აქტები, რომელთა მეშვეობით ადამიანები კერძოდ და საჯაროდ მიისწრაფიან ღმრთისაკენ თავისი სულიერი გადაწყვეტილების საფუძველზე, თავისი ბუნებით აღემატება საგანთა მიწიერ და დროში არსებულ წესს. ამიტომ სამოქალაქო ხელისუფლება, რომლის მიზანი არის დროებითი საერთო კეთილდღეობისთვის ზრუნვა, უნდა სცნოს მოქალაქეთა რელიგიური ცხოვრება და მას ხელი შეუწყოს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ხელისუფლება გადადის თავის საზღვრებს, თუ ჩემულობს უფლებას, უხელმძღვანელოს ან ხელი შეუშალოს რელიგიურ აქტებს.

4. თავისუფლება ან იძულებისგან დაცულობა რელიგიურ სფეროში, რომელიც ცალკეულ პიროვნებებს ეხება, ძალაშია მათი ერთობლივად მოქმედების პირობებშიც. რელიგიური ერთობების მოთხოვნილება არსებობს როგორც ადამიანის, ასევე რელიგიის სოციალური ბუნების გამო.

ამიტომ, თუ არ ირღვევა საჯარო წესის სამართლიანი მოთხოვნილებები, ეს ერთობები სამართლით უნდა იყვნენ დაცულნი. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უნდა გააჩნდეთ თვითმმართველობა საკუთარი ნორმების მიხედვით, უნდა შეეძლოს, საჯარო კულტურებით თავყვანი სცენ უზენაეს ღმრთაებას, ხელი შეუწყონ თავის წევრებს რელიგიური ცხოვრების ორგანიზაციაში, დაეხმარონ მოძღვრებით, შეენიონ ინსტიტუციებს, რომლებშიც მათი წევრები თანამშრომლობენ, რათა წარმართონ საკუთარი ცხოვრება თავისი რელიგიური პრინციპების შესაბამისად.

რელიგიურ ერთობებს აგრეთვე აქვთ იმის უფლება, რომ სამოქალაქო ხელისუფლების საკონმდებლო ღონისძიებებმა ან ადმიანისტრაციულმა ქმედებამ ხელი არ შეუშალოს მათ მსახურთა არჩევაში, აღზრდაში, დანიშნვასა და გადაყვანაში, აგრეთვე რელიგიურ ხელისუფალთან და ერთობებთან ურთიერთობაში, რომლებიც დედამიწის სხვა კუთხეებში იმყოფებიან, რელიგიური შენობების აგებაში, საჭირო ქონების მოპოვებასა და მოხმარებაში.

რელიგიურ ერთობებს აგრეთვე გააჩნიათ თავისი სარწმუნოების ზეპირად თუ წერილობით სწავლებისა და მოწმობის უფლება. რელიგიური სარწმუნოების გავრცელებასა და ჩვეულებათა დამკვიდრებისას მუდამ აუცილებელია ისეთი ქმედებისგან თავშეკავება, რომელიც იძულებასა თუ უპატიოსნო და უმართებული დარწმუნებას ნააგავს, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება ნაკლებად განათლებულ ან ლატაკ ადამიანებს. ამგვარი მოქმედება უნდა მიჩნეულ იქნას საკუთარი უფლების ბოროტად გამოყენებად და სხვათა უფლების დარღვევად.

3 შტრ. IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*, 11 aprilis 1963: AAS 55 (1963), p. 270. – PAULUS VI, nuntius radiophonicus, 22 dec. 1964: AAS 57

გარდა ამისა, რელიგიური თავისუფლება მოითხოვს, რომ რელიგიურ ერთობებს ხელი არ შეეშალოს, თავისუფლად გამოხატონ თავისი მოძღვრების განსაკუთრებული ძალა, რათა მოხდეს საზოგადოების მოწყობა და მთელმა ადამიანურმა ქმედებამ სიცოცხლე შეიძინოს. ადამიანის სოციალურ ბუნებაში და თავად რელიგიის ხასიათში დაფუძნებულია უფლება, რომლითაც ადამიანებს, რომლებიც საკუთარ რელიგიურ გრძნობას მისდევენ, შეუძლიათ თავისუფლად გაერთიანდნენ (*conventus habere*) და ჩამოაყალიბონ საგანმანათლებლო, კულტურული, საქველმოქმედო და სოციალური ასოციაციები.

5. ყოველ ოჯახს, როგორც საზოგადოებას საკუთარი ძველისძველი უფლებით, ის უფლებაც გააჩნია, თავისუფლად განაგოს თავისი საშინაო რელიგიური ცხოვრება მშობელთა ხელმძღვანელობით. ხოლო ამ უკანასკნელთ გააჩნიათ უფლება, განსაზღვრონ, თუ რა რელიგიური განათლება მისცენ შვილებს, საკუთარი რელიგიური შეხედულების (*persuasionem*) შესაბამისად. ამგვარად, სამოქალაქო ხელისუფლებამ უნდა სცნოს მშობელთა უფლება, ჭეშმარიტად თავისუფლად აირჩიონ სკოლები თუ განათლების სხვა საშუალებები, ხოლო არჩევანის ამგვარი თავისუფლების გამო მათ არ უნდა დაეკისროთ პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახით ის, რაც მათ მიმართ უსამართლო ტვირთი იქნება. მშობელთა უფლებები იმ შემთხვევაშიც ილახება, თუ ბავშვებს აიძულებენ, დაესწრონ სკოლის იმ გაკვეთილებს, რომლებიც არ შეესაბამება მშობელთა რელიგიურ შეხედულებას, ან თუ განათლების ერთადერთი ფორმის დანერგვა ხდება, რომელიც სრულიად გამორიცხავს რელიგიურ აღზრდას.

6. საზოგადოების საერთო კეთილდღეობა — ჯამი იმ სოციალური ცხოვრების გარემოებებისა, რომელთა მეშვეობით ადამიანებს შეუძლიათ უფრო სრულყოფილად და ადვილად მიაღწიონ საკუთარ სრულყოფას – მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანური პიროვნების უფლებებისა და მოვალეობების დაცვაში,⁴ ხოლო ზრუნვა რელიგიური თავისუფლების უფლებისათვის ეკისრება როგორც მოქალაქეებს, ასევე სოციალურ ჯგუფებს, აგრეთვე სამოქალაქო ხელისუფალთ, ეკლესიასა და სხვა რელიგიურ ერთობებს, თითოეულს თავისებურად, საერთო კეთილდღეობის მიმართ მათი მოვალეობის შესაბამისად.

ნებისმიერი სამოქალაქო ხელისუფლების მოვალეობაა, დაიცვას და ხელი შეუწყოს ადამიანის ხელუხლებელ უფლებებს.⁵ ამიტომ სამოქალაქო ხელისუფლებამ უნდა იკისროს სამართლიანი კანონებისა და სხვა შესაფერისი საშუალებების მეშვეობით ყველა მოქალაქის რელიგიური თავისუფლების ქმედითი დაცვა, აგრეთვე უზრუნველყოფა ისეთი პირობებისა, რომლებიც სასურველია რელიგიური ცხოვრების განვითარებისთვის, რათა მოქალაქეებს ნამდვილად შეეძლოთ რელიგიური უფლების განხორციელება და შესაბამისი მოვალეობების შესრულება, და თავად საზოგადოებამ ისარგებლოს სამართლისა და მშვიდობის სიკეთებით, რომლებიც გამომდინარეობს ღმრთისა და მისი ნმიდა ნების მიმართ ადამიანთა ერთგულებიდან.⁶

თუ ერთათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ გარემოებათა გათვალისწინებით ერთ რელიგიურ ერთობას საგანგებო სამოქალაქო აღიარება ერგება, აუცილებელია, რომ ამასთანავე ცნონ და დაიცვან რელიგიურ სფეროში ყველა მოქალაქისა და რელიგიური ერთობის თავისუფლების უფლება.

დაბოლოს, სამოქალაქო ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ მოქალაქეთა სამართლებრივი თანასწორობა, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობის კუთვნილებაა, არასდროს დაზარალდეს რელიგიური მოსაზრებებით არც აშკარად არც ფარულად, და არც მოქალაქეთა შორის იყოს დისკრიმინაცია.

4 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*, 15 maii 1961: AAS 53 (1961), p. 417. – მიხივე, encycl. *Pacem in terris*, 11 aprilis 1963: AAS 55 (1963), p. 273.

5 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*, 11 aprilis 1963: AAS 55 (1963), pp. 273-274. – PIUS XII, nuntius radiophonicus, 1 iunii 1941: AAS 33 (1941), p. 200.

6 შდრ. LEO XIII, encycl. *Immortale Dei*, 1 nov. 1885: AAS 18 (1885), p. 161.

აქედან გამომდინარე, დაუშვებელია, საჯარო ხელისუფლებამ ძალით, შიშით ან სხვა საშუალებებით მოქალაქეებს თავს მოახვიოს ამა თუ იმ რელიგიის აღმსარებლობა (professionem) ან მისი უარყოფა, აგრეთვე ხელი შეუშალოს ვინმეს, შევიდეს ამა თუ იმ რელიგიურ ერთობაში ან დასტოვოს ის. მით უფრო მეტად ეწინააღმდეგება ღმრთის ნებას, პიროვნებისა და ხალხთა ოჯახის წმიდა უფლებას ისეთი ქმედება, როდესაც ამა თუ იმ სახით მიმართავენ ძალას რელიგიის გასანადგურებლად ან მისთვის დაბრკოლების შესაქმნელად, იქნება ეს მთელს კაცობრიობაში, რომელიმე ქვეყანაში თუ გარკვეულ ჯგუფში.

7. რელიგიურ სფეროში თავისუფლების უფლება ადამიანურ საზოგადოებაში სრულდება. ამიტომ ამ უფლებით სარგებლობა გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება.

ნებისმიერი თავისუფლებით სარგებლობისას აუცილებელია როგორც პიროვნულ, ასევე საზოგადოებრივ დონეზე მორალური პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვა: მორალური კანონის განხორციელება ავალდებულებს ცალკეულ ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს გაითვალისწინონ სხვათა უფლებებიც, აგრეთვე თავისი მოვალეობები სხვათა მიმართ და საყოველთაო კეთილდღეობაც. ყველას მიმართ სამართლიანად და ჰუმანურად უნდა მოქცევა.

სამოქალაქო საზოგადოებას აქვს უფლება, თავი დაიცვას იმ დამახინჯებათა წინააღმდეგ, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს რელიგიური თავისუფლების პრეტენსიით. ამიტომ, ასეთი დაცვის უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო ხელისუფლების საქმეა. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა ნებისმიერად ან ერთერთი მხარისთვის უსამართლო ხელშეწყობით, არამედ სამართლებრივი ნორმების თანახმად, რომლებიც შეესაბამება ობიექტურ ზნეობრივ წესს. ეს ნორმები საჭიროა უფლებათა ქმედითი დაცვისთვის, რაც ყველა მოქალაქის კეთილდღეობას და მათ მშვიდობიან თანხმობას ემსახურება. მათი დანიშნულება არის იმ ღირსეული სახალხო მშვიდობისათვის ზრუნვა, რომელიც წარმოადგენს ჭეშმარიტ სამართალში მონესრიგებულ თანაცხოვრებას და საჯარო ზნეობის დაცვას. ყოველივე ეს შეადგენს საერთო კეთილდღეობის არსებით ნაწილს და განისაზღვრება, როგორც საჯარო წესი. სხვაობრივ საზოგადოებაში აუცილებელია სრული თავისუფლების პრინციპის დაცვა, რომლის თანახმად ადამიანს მაქსიმალურად მეტი თავისუფლება ეკუთვნის და მისი შეზღუდვა მხოლოდ მაშინ შეიძლება და ისეთი ოდენობით, როდესაც და რამდენადაც ეს აუცილებელია.

8. ჩვენს დროში ადამიანები სხვადასხვა მიზეზით ზენოლას განიცდიან. მათ საფრთხე ემუქრება, რომ ისინი თავისუფალ არჩევანს ვერ გააკეთებენ. მეორეს მხრივ, ბევრი თითქოს ისე არიან განწყობილნი, რომ თავისუფლების საფარით უარყოფენ ყოველგვარ დაქვემდებარებას და უგულვებლყოფენ აუცილებელ მორჩილებას.

ამიტომ ვატიკანის ეს კრება მოუწოდებს ყველას, უპირველეს ყოვლისა კი მათ, ვინც სხვათა განათლებისთვის ზრუნავს, შეეცადონ აღზარდონ ისეთი ადამიანები, რომლებიც ზნეობრივი წესის დაცვისას ლეგიტიმურ ხელისუფლებას დაემორჩილებიან და ჭეშმარიტი თავისუფლების მოყვარულნიც იქნებიან. ასეთი ადამიანები საგნებს საკუთარი შეხედულების თანახმად, ჭეშმარიტების შუქზე განსჯიან, იმოქმედებენ პასუხისმგებლობის გრძნობით, მიისწრაფიან იმისკენ, რაც ჭეშმარიტია და სამართლიანი, და სხვებთან სიამოვნებით ითანამშრომლობენ.

მაშასადამე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოვალეობათა შესრულებას ადამიანები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ. ეს არის ის მიზანი, რომელსაც რელიგიური თავისუფლება უნდა ემსახურებოდეს.

II. რელიგიური თავისუფლება გამოცხადების შუქზე

9. ვატიკანის ეს კრება აცხადებს რელიგიურ თავისუფლებაზე ადამიანის უფლებას. მის საფუძველს პიროვნების ღირსება წარმოადგენს, რომლის მოთხოვნი-

ლებები საუკუნოვანი გამოცდილების საფუძველზე უფრო ცხადი ხდება ადამიანური გონებისათვის. მეტიც: თავისუფლების შესახებ ამ მოძღვრების ფესვები წმიდა გამოცხადებაში ძვეს. ამიტომ ქრისტიანებს განსაკუთრებით მართებთ მისი წმიდად შენახვა. თუმცა გამოცხადება პირდაპირ არ ადასტურებს რელიგიის სფეროში გარეგანი იძულებისგან დაცულობის უფლებას, ის მაინც სრულად წარმოაჩენს ადამიანური პიროვნების ღირსებას, აჩვენებს ქრისტეს პატივისცემას ადამიანის თავისუფლების მიმართ, რომელიც ხორციელდება მის მოვალეობაში: ღმრთის სიტყვის რწმენაში, და გვასწავლის სულის შესახებ, რომელიც ასეთი მოძღვრის მონაფეხმა ყველაფერში უნდა ამოიციონ და მისდიონ. ყველა ამ ძირითადი პრინციპით ცხადი ხდება, თუ რას ეფუძნება მოცემული დეკლარაციის მოძღვრება რელიგიური თავისუფლების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, რელიგიური თავისუფლება საზოგადოებაში სრულად შეესაბამება ქრისტიანული რწმენის აქტს.

10. კათოლიკური მოძღვრების ერთ-ერთი მთავარი დებულების თანახმად, რომელიც ღმრთის სიტყვაში არის მოცემული და რომელსაც მამები მუდამ ქადაგებენ,⁷ ადამიანმა ღმერთს რწმენით ნებაყოფლობით უნდა უპასუხოს. ამიტომ არ შეიძლება, ვინმე ვაიძულოთ, სარწმუნოება მიიღოს.⁸ რწმენის აქტი თავისი ბუნებით ნებაყოფლობითია: ადამიანი, ქრისტე მაცხოვრის მიერ გამოსყიდული და შვილობისკენ იესო ქრისტეს მიერ მონოდებული,⁹ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, გაჰყვეს ღმერთს, რომელიც თავის თავს გამოაცხადებს, თუ ის, მამის მიერ მონოდებული,¹⁰ ღმერთს რწმენის გონივრულ და თავისუფალ მორჩილებას წარმოუდგენს. ამგვარად, რწმენის ბუნებას სავესებით შესაბამისი იქნება ის რეალობა, როდესაც რელიგიურ სფეროში ადამიანთა მხრიდან გამოორიცხულია ნებისმიერი სახის იძულება. აქედან გამომდინარე, რელიგიური თავისუფლების პრინციპი საგრძნობლად უწყობს ხელს საგანთა ისეთ ვითარებას, როდესაც ადამიანები ადვილად შეიძლება იქნენ მონოდებულნი ქრისტიანული სარწმუნოებისკენ, რათა ნებაყოფლობით მოიცვან ის და ქმედითად აღიარონ ცხოვრების მთელ წესში.

11. ღმერთი მოუწოდებს ადამიანებს, ემსახურონ მას სულსა და ჭეშმარიტებაში. ამიტომ ისინი ვალდებულია იღებენ სინდისში და არა იძულებით. ღმერთი ითვალისწინებს ღირსებას ადამიანური პიროვნებისა, რომელიც თავად შექმნა. მას საკუთარი შეხედულება უნდა წარმართავდეს, ის თავისუფლებით უნდა სარგებლობდეს. უზენაესი სახით ეს იესო ქრისტეში გამოვლინდა: მასში ღმერთმა სრულყოფილად გამოავლინა საკუთარი თავი და თავისი გზები. ქრისტემ, რომელიც არის ჩვენი მოძღვარი და უფალი,¹¹ მშვიდი და მდაბალი გულით,¹² მოთმინებით მიიზიდა და მოუწოდა მონაფეხებს.¹³ სასწაულებით ის, რა თქმა უნდა, ადასტურებდა და განამტკიცებდა თავის წინასწარმეტყველებას, რათა მსმენელთა რწმენა ალევზონ და გაემყარები-

7 შდრ. LACTANTIUS, *Divinarum Institutionum*, V, 19: CSEL 19, pp. 463-464, 465; PL 6, 614, 616 (cap.) 20. – S. AMBROSIUS, *Epistola 21 ad Valentianum Imp.*: PL 16, 1005. – S. AUGUSTINUS, *Contra litteras Petiliani*, II, 83: CSEL 52, p. 112; PL 43, 315; cf. C. 23, q. 5, c. 33: FRIEDBERG, col. 939. – IDEM, *Epistola 23*: PL 33, 98. – IDEM, *Epistola 34*: PL 3, 132. – IDEM, *Epistola 35*: PL 33, 135. – S. GREGORIUS M., *Epistola ad Virgilium et Theodorum Episcopos Massiliae Galliarum*, Registrum Epistolarum I, 45: MGH Ep. 1 p. 72; PL 77, 510-511 (lib. I, ep. 47). – ID., *Epistola* p. 210; PL 77, 649 (lib. III, ep. 53); cf. D. 45, c. 1: FRIEDBERG, col. 160. – CONC. TOLET. IV, c. 57: MANSI 10, 633; cf. D. 45, c. 5: FRIEDBERG, col. 161-162. – CLEMENS III: X, V, 6, 9: FRIEDBERG, col. 774. – INNOCENTIUS III, *Epistola ad Arelatensem Archiepiscopum*, X., III, 42, 3: FRIEDBERG, col. 646.

8 შდრ. CIC, c. 1351. – PIUS XII, *allocutio ad Praelatos auditores caeterosque officiales et administratos Tribunalis S. Romanae Rotae*, 6 oct. 1946: AAS 38 (1946), p. 394. – IDEM, *encycl. Mystici Corporis*, 29 iunii 1943: AAS 35 (1943), p. 243.

9 შდრ. ეფეს. 1, 5.

10 შდრ. იოან. 6, 44.

11 შდრ. იოან. 13, 13.

12 შდრ. მათ. 11, 29.

13 შდრ. მათ. 11, 28-30; იოან. 6, 67-68.

ნა, მაგრამ არა მათი იძულების მიზნით.¹⁴ ცხადია, ის საყვედურობდა ურნმუნო მსმენელთ, მაგრამ დასჯა მან ღმერთს მიანდო სასჯელის დღეს.¹⁵ მან მოავლინა მოციქულები ქვეყანაზე და უთხრა მათ: „რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-ილოს, ცხოვნდეს; და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს“ (მარკ. 16, 16). მან იცოდა, რომ იფქლი ღვარძლთან ერთად იყო დათესილი, და ბრძანა, ორივესთვის ეცლიათ აღორძინება ვიდრე ჟამამდე მკისა, რომელიც იქნება საუკუნის აღსასრულისას.¹⁶ მას არ სურდა, ყოფილიყო პოლიტიკური მესია და ძალით გამეფებული.¹⁷ მან ამჯობინა, ნოდებუ-ლიყო ძედ კაცისა, რომელიც მოვიდა „მსახურებად და მიცემად სული თვისი საჯსრად მრავალთა“ (მარკ. 10, 45). მან თავისი თავი წარმოადგინა ღმერთის სრულყოფილ მსახურად,¹⁸ რომელმაც „ღერწამი შემუსრვილი არა განტეხოს და პატრუკი მბნდვწვარე არა დაშრიტოს“ (მათ. 12, 20). მან სცნო სამოქალაქო ხელისუფლება და მისი უფლებები და ბრძანა, ხარკი მიეცათ კეისრისთვის. ამავე დროს მან ცხადად გააფრთხილა, რომ დაცული უნდა იყოს ღმერთის უზენაესი უფლებები: „მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმერთისაჲ ღმერთსა“ (მათ. 22, 21). და ბოლოს, ჯვარზე გამოსყიდვის აღსრულებისას, რომლითაც ადამიანები გამოხსნასა და ჭეშმარიტ თავისუფლებას იძენენ, მან თავისი გამოცხადება სრულყო. მან დაამონმა ჭეშმარიტება,¹⁹ მაგრამ არ ისურვა, ის მოწინააღმდეგეთათვის ძალით თავს მოეხვია, რადგან მისი მეუფება მახვილით კი არ მოიპოვება,²⁰ არამედ ჭეშმარიტების მონმოებითა და მოსმენით მყარდება. ის იზრდება იმ სიყვარულით, რომლითაც ქრისტე, ჯვარზე ამალღებული, ადამიანებს თავისკენ მიიზიდავს.²¹

მოციქულები, ქრისტეს სიტყვითა და მაგალითით განსწავლულნი, ამავე გზას გაჰყვნენ. თავად ეკლესიის დასაბამიდან ქრისტეს მონაფეები იღწვოდნენ იმისთვის, რომ ადამიანები უფალი ქრისტეს აღსარებისკენ მოიქცნენ არა იძულებით ან ეშმაკობით, რომელიც სახარების უღირსია, არამედ უპირველეს ყოვლისა ღმერთის სიტყვის ძალით.²² ისინი ყველას თამამად ამცნობდნენ მაცხოვრის – ღმერთის განზრახვას, „რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხოვრებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ“ (1 ტიმ. 2, 4). ამავე დროს ისინი პატივს სცემდნენ სუსტებს, თუნდაც მათ მცდარად ეცხოვრათ. ამგვარად ცხადყოფდნენ ისინი, თუ როგორ „კაცად-კაცადმან ჩუენმან თავისა თვისისათჳს სიტყუაჲ მისცეს ღმერთსა“ (რომ. 14, 12).²³ ასეთი ადამიანი საკუთარ სინდისს ემორჩილება. ქრისტეს მსგავსად, მოციქულები ყოველთვის ცდილობდნენ დაემონებინათ ღმერთის ჭეშმარიტება და, ხალხისა და მმართველთა წინაშე, დიდი გაბედულებით „იტყოდეს სიტყუასა მას ღმერთისასა განცხადებულად“ (საქმე 4, 31)²⁴. მტკიცე რწმენით მათ მართლაც მიაჩნდათ, რომ სახარება „ძალი ღმერთისაჲ არს მაცხოვრად ყოვლისა მორწმუნისა“.²⁵ ყველა „ხორციელი საჭურველის“²⁶ უარყოფით, ისინი მისდევდნენ ქრისტეს სიმშვიდისა და მოკრძალების მაგლითს. ისინი ქადაგებდნენ ღმერთის სიტყვას, სრულიად დარწმუნებულნი, რომ ამ სიტყვას შესწევს საღმერთო ძალა, დაამარცხოს ღმერთის მოწინააღმდეგე ძალები²⁷ და მიიყვანოს ადამიანები ქრისტეს რწმენასა და მის მორჩილებამდე.²⁸ რო-

14 შდრ. მათ. 9, 28-29; მარკ. 9, 23-24; 6, 5-6. – PAULUS VI, *encycl. Ecclesiam suam*, 6 aug. 1964: AAS 56 (1964), pp. 642-643.

15 შდრ. მათ. 11, 20-24; რომ. 12, 19-20; 2თეს. 1, 8.

16 შდრ. მათ. 13, 30 და 40-42.

17 შდრ. მათ. 4, 8-10; იოან. 6, 15.

18 შდრ. ეს. 42, 1-4.

19 შდრ. იოან. 18, 37.

20 შდრ. მათ. 26, 51-53; იოან. 18, 36.

21 შდრ. იოან. 12, 32.

22 შდრ. 1კორ. 2, 3-5; 1თეს. 2, 3-5.

23 შდრ. რომ. 14, 1-23; 1კორ. 8, 9-13; 10, 23-33.

24 შდრ. ეფეს. 6, 19-20.

25 რომ. 1, 16.

26 შდრ. 2კორ. 10, 4; 1თეს. 5, 8-9.

27 შდრ. ეფეს. 6, 11-17.

28 შდრ. 2კორ. 10, 3-5.

გორც მოძღვარმა, ასევე მოციქულებმა სცნეს კანონიერი სამოქალაქო ხელისუფლება: „ყოველი სული ჳელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ;... რომელი აღდგებოდის ჳელმწიფებასა, ღმრთისა ბრძანებასა აღდგების“ (რომ. 13, 1-2).²⁹ ამა-სთანავე მათ არ შეეშინდათ საჯარო ხელისუფლებასთან დაპირისპირება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ღმრთის წმიდა ნებას: „მორჩილებაჲ ჯერ-არს ღმრთისაჲ უფროს ვიდრე კაცთაჲ“ (საქმე 5, 29).³⁰ ამ გზას მიჰყვებოდა მრავალი მარტვილი და ერთგული საუკუნეთა მანძილზე მთელს მსოფლიოში.

12. ეკლესია, სახარების ჭეშმარიტების ერთგული, მიჰყვება ქრისტესა და მოციქულების გზას, როცა იგი აღიარებს, რომ რელიგიური თავისუფლების პრინციპი შეესაბამება ადამიანის ღირსებასა და ღმრთის გამოცხადებას. ეკლესია ხელს უწყობს ამ თავისუფლებას. იგი დროთა მსვლელობაში იცავდა და გადასცემდა მოძღვრებას, მიღებულს მოძღვრისა და მოციქულებისაგან. ღმრთის ერი მსხემობდა კაცობრიობის ისტორიის ბედუკუღმართობის გზაზე. მის ცხოვრებაში ზოგჯერ თავს იჩენდა მოქმედების ისეთი ფორმა, რომელიც ნაკლებად შეეფერებოდა სახარების სულს, და სულაც ეწინააღმდეგებოდა კიდევ მას. მიუხედავად ამისა, მაინც მუდამ ძალაში რჩებოდა ეკლესიის მოძღვრება, რომლის თანახმად რწმენის იძულებით თავს მოხვევა შეუძლებელია.

ამგვარად, სახარების საფუარი დიდხანს მოქმედებდა ადამიანთა გონებაში. მან დიდად შეუნყო ხელი იმას, რომ დროთა განმავლობაში ადამიანებს უფრო საფუძვლიანად გაეცნობიერებინათ თავისი პიროვნული ღირსება. ამასთანავე, უნდა მომნიფებულიყო შეხედულება, რომლის თანახმად სახელმწიფოში პიროვნება მუდამ უნდა იყოს დაცული რელიგიურ სფეროში ყოველგვარი იძულებისგან.

13. რაც შეეხება ეკლესიის კეთილდღეობასა და თავად მიწიერ ქალაქს, და რაც ყველგან და ყოველთვის უნდა იყოს შენარჩუნებული და ყოველგვარი ხელყოფისაგან დაცული, აქედან ყველაზე განსაკუთრებული, უდაოდ, არის ის, რომ ეკლესიას გააჩნია მოქმედების თავისუფლება, იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს ზრუნვა ადამიანთა გამოხსნისათვის.³¹ ეს არის ის წმიდა თავისუფლება, რომლითაც მხოლოდმობილმა ღმრთის ძემ აღჭურვა ეკლესია, რომელიც მან თავისი სისხლით მოიპოვა. ის იმდენად ბუნებრივია ეკლესიისთვის, რომ ვინც მას ებრძვის, ის ღმრთის ნების წინააღმდეგ მოქმედებს. ეკლესიის თავისუფლება არის ძირეული პრინციპი იმ ურთიერთობებში, რომლებიც არსებობს, ერთის მხრივ, ეკლესიას, ხოლო მეორეს მხრივ, საჯარო ხელისუფლებასა და მთელს სამოქალაქო წესს შორის.

ადამიანთა საზოგადოებაში და ნებისმიერი საჯარო ხელისუფლების წინაშე ეკლესია პრეტენზიას აცხადებს თავისუფლებაზე, რადგან ის არის სულიერი ხელისუფლება, უფალი ქრისტეს მიერ დამკვიდრებული, რომელიც საღმრთო მცნებით ასრულებს დავალებას, რომლის თანახმად მას მთელს მსოფლიოში და ყველა დაბადებულისთვის უნდა ექადაგა სახარება.³² ეკლესია პრეტენზიას აცხადებს თავისუფლებაზე აგრეთვე იმიტომ, რომ ის არის ადამიანთა საზოგადოება, რომელთაც აქვთ უფლება, იცხოვრონ სამოქალაქო საზოგადოებაში ქრისტიანული სარწმუნოების მცნებების თანახმად.³³

მხოლოდ იქ, სადაც რელიგიური თავისუფლების პრინციპი არა მარტო სიტყვიერად არის განცხადებული ან მხოლოდ კანონებით დადგენილი, არამედ ნამდვილად არის საქმეში განხორციელებული, ეკლესიას გააჩნია მყარი გარანტია, იურიდიული და ფაქტიური, იმისა, რომ საღმრთო მისიაში განხორციელდეს აუცილებელი

29 შდრ. 1პეტრ. 2, 13-17.

30 შდრ. საქმე 4, 19-20.

31 შდრ. LEO XIII, litterae *Officio sanctissimo*, 22 dec. 1887: ASS 20 (1887), p. 269. – მისივე, litterae *Ex litteris*, 7 aprilis 1887: ASS 19 (1886), p. 465.

32 შდრ. მარკ. 16, 15; მათ. 28, 18-20. – PIUS XII, encycl. *Summi Pontificatus*, 20 oct. 1939: AAS 31 (1939), pp. 445-446.

33 შდრ. PIUS XI, litterae *Firmissimam constantiam*, 28 martii 1937: AAS 29 (1937), p. 196.

დამოუკიდებლობა, რომელსაც საზოგადოებაში სულ უფრო მეტი დაბეჯითებით მოითხოვდნენ საეკლესიო ხელისუფალნი.³⁴ ამასთანავე, ქრისტეს ერთგულნი, ისევე როგორც სხვა ადამიანები, სარგებლობენ სამოქალაქო უფლებით, იცხოვრონ საკუთარი სინდისის თანახმად. მაშასადამე, არსებობს თანხმობა ეკლესიის თავისუფლებასა და იმ რელიგიურ თავისუფლებას შორის, რომელიც უნდა ვალიაროთ როგორც ყველა ადამიანისა და საზოგადოებათა უფლება, და რომელიც იურიდიულად უნდა იყოს დაცული.

14. „მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი“ (მათ. 28, 19) – ამ საღმრთო მცნების მორჩილი რომ იყოს, კათოლიკე ეკლესიამ დაუღალავად უნდა იღვანოს, „რათა სიტყუა ღმრთისაა რბიოდეს და იდიდებოდის“ (2თესალ. 3, 1).

ამიტომ ეკლესია დაბეჯითებით მოითხოვს თავისი შვილებისაგან, რომ ჰყოფდნენ „ვედრებასა, ლოცვასა, თაყუანის-ცემასა და მადლობასა ყოველთა კაცთათჳს... რამეთუ ესე არს კეთილ და სათნო წინაშე მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისა, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ“ (1ტიმ. 2, 1-4).

ქრისტეს ერთგულები, თავისი სინდისის ფორმირებისთვის, სერიოზულად უნდა ითვალისწინებდნენ ეკლესიის წმიდა და მტკიცე მოძღვრებას.³⁵ ქრისტეს ნებით, კათოლიკე ეკლესია არის ჭეშმარიტების დამრიგებელი (*magistra*), და მისი მოვალეობაა, აუწყოს ჭეშმარიტება, რომელიც არის ქრისტე, და მის შესახებ ნამდვილად ასწავლოს. ამასთანავე მან თავისი ავტორიტეტით უნდა განაცხადოს და განამტკიცოს ზნეობრივი პრინციპები, რომლებიც თავად ადამიანური ბუნებიდან მომდინარეობს. გარდა ამისა, ქრისტიანები ბრძნულად უნდა ეპყრობოდნენ მათ, ვინც გარეშე არის, და შეეცადონ, „სულითა წმიდითა, სიყუარულითა შეუორგულებელითა, სიტყუთა ჭეშმარიტებისაჲთა“ (2კორ. 6, 6-7), გაავრცელონ ცხოვრების ნათელი „ყოვლითა განცხადებულებითა“³⁶ და სამოციქულო სიმტკიცით, საკუთარი სისხლის ფასადაც კი.

მონაფეს სერიოზული ვალდებულება აკისრია მოძღვარი ქრისტეს წინაშე: მან უფრო და უფრო სრულად უნდა შეიცნოს ჭეშმარიტება, რომელიც მისგან მიიღო, ერთგულად აუწყოს ის და თამამად დაიცვას, იმ საშუალებათა გარეშე, რომლებიც ეწინააღმდეგება სახარების სულს. ამასთანავე, ქრისტეს სიყვარული უბიძგებს მას, სიყვარულით, გონივრულად და მოთმინებით მოეპყრას ადამიანებს, რომლებსაც რწმენის მიმართ მცდარი წარმოდგენა ან არასაკმარისი ცოდნა გააჩნიათ.³⁷ ამიტომ გასათვალისწინებელია მოვალეობა ქრისტეს – ცხოველმყოფელი სიტყვის მიმართ, რომლის ქადაგებაა საჭირო, აგრეთვე ადამიანის უფლებები და მადლის ხარისხი, რომელიც ღმერთმა ქრისტეს მეშვეობით მიანიჭა ადამიანს, მონოდებულს იმისთვის, რომ ნებაყოფლობით მიიღოს სარწმუნოება და მისი აღმსარებელი იყოს.

15. ცხადია, რომ ამჟამად ადამიანებს სურთ, თავისუფლად შეეძლოთ რელიგიის აღსარება, როგორც კერძოდ, ასევე საჯაროდ. მეტიც: რელიგიური თავისუფლება უკვე გამოცხადებულია მრავალ კონსტიტუციაში როგორც სამოქალაქო სამართალი, და საზეიმოდ არის აღიარებული საერთაშორისო დოკუმენტებით³⁸.

მაგრამ არსებობს ისეთი რეჟიმებიც, სადაც თავად საჯარო ხელისუფლება ცდილობს, მოქალაქეები მოარიდოს რელიგიის აღმსარებლობას და რელიგიური ერთობების ცხოვრება უფრო რთული და სახიფათო გახადოს.

წმიდა კრება სიხარულით მიესალმება ჩვენი დროის სასიკეთო ნიშნებს და მწუხარებით განაცხადებს მოცემული სავალალო ფაქტების შესახებ. ის მოუწოდებს კათოლიკეებსა და ყველა ადამიანს, ყურადღებით ჩაუფიქრდნენ კითხვას, თუ რამ-

34 შდრ. PIUS XII, *allocutio Ci riesce*, 6 dec. 1953: AAS 45 (1953), p. 802.

35 შდრ. PIUS XII, *nuntius radiophonicus*, 23 martii 1952. AAS 44 (1952), pp. 270-278.

36 საქმე 4, 29.

37 შდრ. IOANNES XXIII, *encycl. Pacem in terris*, 11 aprilis 1963: AAS 55 (1963), pp. 299-300.

38 შდრ. IOANNES XXIII, *encycl. Pacem in terris*, 11 aprilis 1963: AAS 55 (1963), p. 295-296.

დენად აუცილებელია რელიგიური თავისუფლება, განსაკუთრებით ადამიანური ოჯახის დღევანდელ მდგომარეობაში.

ცხადია, რომ თანადათან ყველა ხალხი სულ უფრო ერთიანდება, სხვადასხვა კულტურისა და რელიგიის ადამიანებს შორის სულ უფრო მჭიდრო ურთიერთობები მყარდება, და ბოლოს, იზრდება თითოეული ადამიანის პირადი პასუხისმგებლობა. ადამიანთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობებისა და თანხმობის დამყარებისა და განმტკიცებისთვის აუცილებელია, რომ რელიგიური თავისუფლება ყველგან იყოს უზრუნველყოფილი ქმედითი სამართლებრივი გარანტიით, აგრეთვე დაცული იყოს ადამიანთა უზენაესი მოვალეობები და უფლებები, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად იცხოვრონ საზოგადოებაში რელიგიური ცხოვრებით.

დაე, ღმერთმა და ყველას მამამ ქმნას ისე, რომ ადამიანთა ოჯახი, საზოგადოებაში რელიგიური თავისუფლების პრინციპის გულმოდგინედ დაცვით, ქრისტეს მადლითა და სული წმიდის ძალით მივიდეს უზენაეს და საუკუნო „აზნაურებასა მას დიდებისა შვილთა ღმრთისათა“ (რომ. 8, 21).

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამდეკლარაციაში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან გადმოგვეცა, ამას პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ და ვანესებთ, და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1965 წლის 7 დეკემბერი
მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
(მოჰყვება მამათა ხელმოწერები)

დეკრეტი
ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობის
შესახებ

AD GENTES DIVINITUS

პავლე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მსახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

დეკრეტი ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობის შესახებ

1. ხალხთან ღმრთივმოვლენილი, ეკლესია “საყოველთაო გამოხსნის საიდუმლო”¹ უნდა იყოს. შინაგანი საყოველთაობის (“კათოლიკურობის”) მოთხოვნილებით, თავისი დამფუძნებლის მცნებისადმი მორჩილი (შდრ. მარკ. 16, 15), ეკლესია ცდილობს, ყველა ადამიანს აუწყოს სახარება. თავად მოციქულები, რომლებზეც ეკლესია დაფუძნდა, ქრისტეს კვალს მიჰყვებოდნენ, “ქადაგებდნენ ჭეშმარიტების სიტყვასა და ქმნიდნენ ეკლესიებს”.² მათი მემკვიდრეების მოვალეობა ამ საქმის მუდმივი გაგრძელება წარმოადგენს, “რათა სიტყუა ღმრთისაჲ რბიოდეს და იდიდებოდის” (2 თეს. 3, 1) და ყველგან მოხდეს ღმრთის სასუფეველის უწყება და დამყარება.

მაგრამ დღევანდელ ვითარებაში, რომელიც კაცობრიობის ახალი მდგომარეობის საფუძველია, ეკლესია, რომელიც არის მარტივი მინისა და ნათელი ქვეყნისა (შდრ. მათ. 5, 13-14), დაბეჯითებით არის მოწოდებული ყველა ქმნილების გამოხსნისა და განახლებისთვის, რათა ყველაფერი აღდგეს ქრისტეში და მასში ადამიანებმა ერთი ოჯახი და ღმრთის ერთიანი ერი შეადგინონ.

ამიტომ ეს წმიდა სინოდი მადლობას უხდის ღმერთს იმ ბრწინვალე საქმეებისთვის, რომლებიც მთელი ეკლესიის კეთილშობილური ძალისხმევით აღსრულდა. მას სურს შეიმუშავოს მისიონერული მოღვაწეობის პრინციპები და თავი მოუყაროს ყველა ერთგულის ძალას, რათა ღმრთის ერმა, ჯვრის ვინრო გზით მავალმა, ყველგან გაავრცელოს ქრისტეს, უფლისა და საუკუნეთა მჭვრეტელის (შდრ. ზირ. 36, 17) სასუფეველი (regnum), და მისი მოსვლისთვის გზები მოამზადოს.

თავი I სამოძღვრო საფუძვლები

2. მსხემი ეკლესია თავისი ბუნებით მისიონერული არის, რადგან იგი დასაბამს იღებს ძის მისიაში და სული წმიდის მისიაში, თანახმად მამა ღმერთის განგებულებისა (propositum).³

ეს განგებულება მომდინარეობს “სიყვარულის სათავიდან”, ანუ მამა ღმერთის სიყვარულისგან. ის არის უსაწყისო საწყისი, რომლისგანაც შვილი იშვება და სული წმიდა გამოდის ძის მეშვეობით. თავისი უსაზღვრო და გულმონყალე სიკეთით მან ჩვენ თავისუფლად შეგვქმნა და, ამასთანავე, მადლიერად მოგვინოდა, მასთან ცხოვრება და დიდება გავიზიაროთ. მან უხვად განავრცო საღმრთო სიკეთე, რომელსაც ამჟამადაც განავრცობს, რათა ის, ვინც არის ყველაფრის შემოქმედი, იყოს “ყოველი ყოველსა შინა” (1კორ. 15, 28), რითაც ის ერთდროულად თავის დიდებასაც უზრუნველყოფს და ჩვენს ნეტარებასაც. ხოლო ღმერთმა ისურვა, მოეწოდებინა ადამიანებისთვის, რათა მონაწილეობა მიეღოთ მის ცხოვრებაში. მან მოუწოდა მათ არა მარტო ცალ-ცალკე, ერთმანეთთან ყოველგვარი

1 CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 48.

2 S. AUGUSTINUS, *Enar. in Ps.* 44, 23: PL 36, 508; CChr 38, 510.

3 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 1.

კავშირის გარეშე, არამედ როგორც ერთ ერსაც, “რათა შეილნიცა ღმრთისანი განზნეულნი შეკრიბნეს ერთად” (იოან. 11, 52).

3. ღმრთის ეს საყოველთაო განგებულება, ადამიანთა გამოსახსნელად მიმართული, სრულდება არა მარტო ასე ვთქვათ საიდუმლოდ – ადამიანთა გონებასა და მათ წამოწყებებში (თუნდაც რელიგიურში), რომელთა მეშვეობით ისინი მრავალგვარად ეძიებენ ღმერთს, თითქოს მასთან შეხება ან მისი პოვნა სურდეთ, “რამეთუ არცა შორს არს კაცად-კაცადისაგან ჩუენისა” (საქმე 17, 27): ასეთი წამოწყებები განათლებასა და გასწორებას მოითხოვს, თუმცა ღმრთის კეთილი განსჯის მეშვეობით, ისინი ზოგჯერ შეიძლება მივიჩნიოთ აღმზრდელი საშუალებად, რომელსაც ღმერთთან მივყავართ, ან სახარებისეულ მომზადებად (*preparatione evangelica*).⁴ ხოლო მშვიდობის დასამყარებლად, ანუ თავის თავთან ზიარებისთვის, აგრეთვე ძმური ურთიერთობის დასამყარებლად ადამიანთა შორის, რომლებიც არიან ცოდვილნი, ღმერთმა გადანყვიტა, ახლებურად და საბოლოოდ შემოსულიყო ადამიანთა ისტორიაში. მან მოავლინა თავისი შვილი ჩვენს ხორცში, რათა ადამიანები მისი მეშვეობით იხსნას წყვიადისა და სატანის ძალისგან (შდრ. კოლ. 1, 13; საქმე 10, 38) და მასში სამყარო შემოირიგოს (შდრ. 2კორ. 5, 19). ამიტომ ძე, “რომლისაგანცა შექმნა საუკუნენი”,⁵ მან დააყენა ყველაფრის მემკვიდრედ, რათა ყველაფერი მასში აღადგინოს (შდრ. ეფეს. 1, 10).

იესო ქრისტე სამყაროში მოვილინა როგორც ჭეშმარიტი შუამავალი ღმერთსა და ადამიანებს შორის. ის ღმერთია, ამიტომ “მას შინა დამკვდრებულ არს ყოველივე სავსება ღმრთეებისაჲ ჯორციელად” (კოლ. 2, 9), ხოლო თავისი ადამიანური ბუნების თანახმად ის, ახალი ადამი, განახლებული კაცობრიობის მეტავედ დგინდება, “სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა” (იოან. 1, 14). ამვარად, ძე ღმრთისა მოვიდა ჭეშმარიტი განხორციელების გზებით, რათა ადამიანები საღმრთო ბუნების მოზიარედ გაეხადა. ის მდიდარი იყო და ჩვენთვის დაგლახაკდა, რათა ჩვენ გავმდიდრდეთ მისი სიგლახაკით (2კორ. 8, 9). ძე კაცისა მოვიდა არა იმისთვის, რომ მას ემსახურონ, არამედ რათა თავად ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა - ე.ი. ყველას გამოსასყიდად (შდრ. მარკ. 10, 45). წმიდა მამები მუდამ აცხადებენ: არ განიკურნება ის, რაც არ იქნა ქრისტეს მიერ მიღებული.⁶ ხოლო მან სრულად – გარდა ცოდვისა - მიიღო ადამიანური ბუნება, როგორც ის ჩვენ, ლატაკებსა და გლახაკებს გაგვანჩნია (შდრ. ებრ. 4, 15; 9, 28). ხოლო ქრისტემ, “რომელი-იგი მამამ წმიდა-ყო და მოავლინა სოფლად” (იოან. 10, 36), თავის შესახებ ასე თქვა: “სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისათჳს მცხო მე მახარებლად გლახაკთა, მომავლინა მე განკურნებად შემუსრვილთა გულითა, ქადაგებად ტყუეთა განტევებისა და ბრმთა ახილვად” (ლუკ. 4, 18). და კიდევ: “რამეთუ მოვიდა ძე კაცისაჲ მოძიებად და ცხორებად წარწყმედულისა” (ლუკ. 19, 10).

4 შდრ. IRENAEUS, *Adv. Haer.* III, 18, 1: „სიტყვა არსებობს ღმერთთან, რომლის მიერაც შეიქმნა ყველაფერი, და რომელიც ყოველთვის იყო ადამიანთა მოდგმასთან...“: PG 7, 932. – იქვე, IV, 6, 7: “ძე, დასაბამითვე თავისი ქმნილების თანამდგომი, გამოუცხადებს მამას ყველას, ვისაც სურს, როცა სურს და როგორც ეს მამას სურს”: PG 7, 990. – შდრ. იქვე, IV, 20, 6 et 7: PG 7, 1037. – ID., *Demonstratio* n. 34: PO XII, 773; *Sources chr.* 62, Paris 1958, p. 87. – CLEMENS ALEX., *Protrep.* 112, 1: GCS Clemens I, 79. – ID., *Strom.* VI, 6, 44, 1: CCS Clemens II, 453; 13, 106, 3 და 4: GCS, იქვე, 485. – ამ მოძღვრებისთვის შდრ. PIUS XII, *nuntium radioph.*, 31 dec. 1952. – CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 16.

5 ებრ. 1, 2; შდრ. იოან. 1, 3 და 10; 1 კორ. 8, 6; კოლ. 1, 16.

6 შდრ. S. ATHANASIUS, *Epist. ad Epictetm.* 7: PG 26, 1060. – S. CYRILLUS HIEROS., *Catech.* 4, 9: PG 33, 465. – MARIUS VICTORINUS, *Adv. Arium* 3, 3: PL 8, 1101. – S. BASILIUS, *Epist.* 261, 2: PG 32, 969. – S. GREGORIUS NAZ., *Epist.*, 101: PG 37, 181. – S. GREGORIUS NYSS., *Antirrheticus, adv. Apoli.*, 17: PG 45, 1156. – S. AMBROSIUS, *Epist.* 48, 5: PL 16, 1153. – S. AUGUSTINUS, *In Io. Evang. tr.* XXIII, 6: PL 35, 1585; CCHR. 36, 236. – გარდა ამისა, ასე ის განაცხადებს, რომ სული წმიდამ იმითგომ არ გამოგვისყიდა, რომ არ იყო განხორციელებული: *De Agone Christ.* 22, 24: PL 40, 302. – S. CYRILLUS ALEX., *Adv. Nestor.* I, 1: PG 76, 20. – S. FULGENTIUS, *Epist.* 17, 3, 5: PL 65, 454. – ID., *Ad Trasimundum* III, 21: PL 65, 284: *de tristitia et timore*.

ხოლო რაც ერთხელ უფალმა იქადაგა და რაც კაცობრიობის გამოსხნისათვის მასში აღსრულდა, იმის ქადაგება და გავრცელება საჭირო “ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა” (საქმე 1, 8) და დანყებული იერაუსალიმით (შდრ. ლუკ. 24, 47), რათა იმან, რაც ერთხელ აღსრულდა ყველას გამოსახსნელად, დროთა მსხველგობაში ყველაფერში შედეგ გამოიღოს.

4. ამის განხორციელებისთვის ქრისტემ მამისგან მოავლინა სული წმიდა, რომელიც შიგნიდან აღასრულებს თავის გამომხსნელ საქმეს და ეკლესიას გაფართოებისკენ უბიძგებს. უდაოა, რომ ქრისტეს განდიდებად სული წმიდა უკვე მოქმედებდა სამყაროში.⁷ ორმოცდამეათე დღეს სული მონაფეებში გარდამოვიდა, რათა მათთან ერთად დარჩეს საუკუნოდ (შდრ. იოან. 14, 16), ეკლესია საჯაროდ გამოეცხადა მრავალს, დაიწყო ქადაგებით სახარების გავრცელება ხალხთა შორის, და ბოლოს, კათოლიკურ სარწმუნოებაში, მინიშნებული იყო ერთა ერთიანობა ახალი აღთქმის ეკლესიით. იგი ყველა ენაზე ლაპარაკობს, მას სიყვარულით ყველა ენა ესმის და იგი ყველა ენას მოიცავს, და ასე გადალახავს ბაბილონის განხვევას.⁸ სული წმიდის გადმოსვლით ხომ დაიწყო “საქმენი მოციქულთანი”, ისევე როგორც ქალწულ მარიამზე სული წმიდის გარდამოსვლით ქრისტე ჩაისახა, ხოლო სული წმიდის ჩამოსვლით მლოცველ ქრისტეზე იგი თავის მსახურებას შეუდგა.⁹ თავად უფალმა იესომ, სანამ მან თავისი ნებით დადო თავისი ცხოვრება სამყაროსთვის, ისე მოაწყო სამოციქულო მსახურება და შეჰპირდა სული წმიდის მოვლინებას, რომ ორივე გაერთიანებულიყო გამოსხნის საქმეში, რომელიც ყველგან და ყოველთვის უნდა განხორციელდეს.¹⁰ სული წმიდა აერთიანებს მთელს ეკლესიას ყველა დროში “ერთიერთობასა და მსახურებაში, აღჭურავს მას სხვადასხვა იერარქიული ნიჭითა და ქარისმებით”,¹¹ ცხოველ-ყოფს საეკლესიო ინსტიტუციებს, როგორც მათივე სული¹² და ერთგულთა სულეებში იმავე მისიის სულს შთაბერავს, რომელიც თავად ქრისტეს ამოძრავებდა. ზოგერ ის თვალნათლივ წინ უსწრებს სამოციქულო მოღვაწეობას,¹³ და განუწყვეტლივ სხვადასხვა სახით თანა სდევს და წარმართავს მას.¹⁴

7 ეს სულია, რომელმაც წინასწარმეტყველთა მეშვეობით ილაპარაკა: *Symbol Constantinopol.* : DENZ. – SCHOENMETZER, 150. – S. LEO MAGNUS, *Sermo* 76: PL 54, 405-406: “როდესაც ორმოცდამეათე დღეს სული წმიდამ აღავსო უფლის მონაფეები, ეს არ ყოფილა მსახურების დასაწყისი, არამედ იყო სიუხვის ახალი გამოვლენა, რადგან პატრიარქები, მღვდელმსახურები და ყველა წმიდანი, რომლებიც უწინდელ დროში იყვნენ, ამავე სულის წმიდა ყოფით საზრდოობდნენ... თუმცა ნიჭთა ზომა იგივე არ ყოფილა”. – აგრეთვე *Sermo* 77, 1: PL 54, 412. – LEO XIII, *encycl. Divinum illud*: ASS 1897, 650-651. – აგრეთვე S. IO. CHRYSOSTOMUS, თუმცა ის ხაზს უსვამს სული წმიდის მისიის სიახლეს ორმოცდამეათე დღეს: *In Eph.* c. 4, hom. 10, 1: PG 62, 75.

8 ბაბილონისა და სული წმიდის გადმოსვლის შესახებ წმ. მამები ხშირად ლაპარაკობენ: ORIGENES, *In Genesim*, c. 1: PG 12, 112. – S. GREGORIUS NAZ., *Oratio* 41, 16: PG 36, 449. – S. IO. CHRYSOSTOMUS, *Hom. 2 in Pentec.*, 2: PG 50, 467. – ID., *In Act. Apost.*: PG 60, 44. – S. AUGUSTINUS, *En. in Ps.* 54, 11: PL 36, 636; CChr. 39, 664 s. – ID., *Sermo* 271: PL 38, 1245. – S. CYRILLUS ALEX., *Glaphyra in Genesim* II: PG 69, 79. – S. GREGORIUS M., *Hom. in Evang.*, lib. II, hom. 30, 4: PL 76, 12222. – S. BEDA, *In Hexaem.*, lib. III: PL 91, 125. – იხ. აგრეთვე გამოსახულება წმ. მარკოზის ატრიუმში ვენეციაში. – ეკლესია ყველა ენაზე ლაპარაკობს და ამდენად, ყველას თავს უყრის სარწმუნოების კათოლიკურობაში: S. AUGUSTINUS, *Sermones* 266, 267, 268, 269: PL 38, 1225-1237. – ID., *Sermo* 175, 3: PL 38, 946. – S. IO. CHRYSOSTOMUS, *In Epist. 1 ad Cor.*, 35: PG 61, 29. – S. CYRILLUS ALEX., *Fragm. in Ac.*: PG 74, 758. – S. FULGENTIUS, *Sermo* 8, 2-3: PL 65, 743-744. – სული წმიდის გადმოსვლის როგორც მოციქულთა ხელდასხმის შესახებ შდრ. J. A. CRAMER, *Catena in Acta SS. Apostolorum*, Oxford 1938, pp. 24 s.

9 შდრ. ლუკ. 3, 22; 4, 1; საქმე 10, 38.

10 შდრ. იოან. 14-17. – PAULUS VI, სიტყვა, წარმოთქმული კრებაზე 1964 წლის 14 სექტემბერს: AAS 56 (1964), p. 807.

11 შდრ. CONC. VAT. II, *Const. dogm. de Ecclesia*, n. 4.

12 S. AUGUSTINUS, *Sermo* 267, 4: PL 38, 1231: „სული წმიდა იმას აკეთებს მთელს ეკლესიაში, რასაც სული აკეთებს ერთიანი სხეულის ყველა ასოში”. – შდრ. CONC. VAT. II, *Const. dogm. de Ecclesia*, n. 7, 8.

13 შდრ. საქმე 10, 44-47; 11, 15; 15, 8.

14 შდრ. საქმე 4, 8; 5, 32; 8, 26. 29.39; 9, 31; 10; 11, 24. 28; 13, 2. 4. 9; 16, 6-7; 20, 22-23; 21, 11 და სხვა.

5. უფალმა იესომ იმთავითვე “მოუნოდა, რომელთაჲ უნდა მას (...) და ყვნა ათორმეტნი იგი, რაათა იყვნენ მის თანა და წარავლინნეს იგინი ქადაგებად” (მარკ. 3, 13; შდრ. მათ. 10, 1-42). ასე მოციქულები იქცნენ ახალი ისრაელის ყლორტებად და, ამავე დროს, წმიდა იერარქიის საწყისად. შემდეგ, როდესაც უფალმა თავისი სიკვდილითა და აღდგომით თავის თავში აღასრულა ჩვენი გამოხსნის საიდუმლოება, მან, რომელსაც მიეცა “ყოველი ჳელმნიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა” (შდრ. მათ. 28, 18), ვიდრე ამაღლდა ზეცად (შდრ. საქმე 1, 11), დააფუძნა თავისი ეკლესია როგორც გამოხსნის საიდუმლო და წარავლინა მოციქულები მთელს საყაროში, ისევე, როგორც თავად იგი მოავლინა მამამ (შდრ. იოან. 20, 21), და დაავალა (mandans) მათ: “წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელით მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ” (მათ. 28, 19-20). “წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა. რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-ილოს, ცხოვნდეს; და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს” (მარკ. 16, 15-16). ეს ნიშნავს, რომ ეკლესიას ეკისრება მოვალეობა გაავრცელოს ქრისტეს რწმენა და გამოხსნა. ამას ისინი ახორციელებენ პირდაპირი მცნებით (ეპისკოპოსთა ქარიზმა, რომელსაც მღვდლები პეტრეს მემკვიდრის, ეკლესიის უზენაეს მღვდელთან ერთად ეხმარებიან, ეს მცნება მოციქულებისგან მემკვიდრეობით მიიღო), აგრეთვე იმ ცხოვრებით, რომელსაც ქრისტე თავის ასოებში შთაასხამს, “რომლისაგან ყოველი გუამი შენანევრებულ და შემტკიცებულ არს ყოვლითა შეახლებითა უზუებისათა შეწვევისაებრ საზომისა თვითოულისა ასოხა; სიორძილსა მას გუამისასა ჰყოფდით აღსაშენებელად თავისა თქუენისა სიყუარულით” (ეფეს. 4, 16). ამიტომ ეკლესიის მისია სრულდება იმ მოქმედებაში, რომლითაც იგი, ქრისტეს მცნების მორჩილი და სული წმიდის მადლითა და სიყვარულით აღძრული, ყველა ადამიანისა თუ ერის წინაშე მთელი თავისი ქმედებით წარმოსდგება, რათა ცხოვრებისა და ქადაგების მაგალითით, საიდუმლოთა გზით და სხვა საშუალებებით ისინი მიიყვანოს ქრისტეს რწმენამდე, თავისუფლებამდე და მშვიდობამდე, რათა მათ გაეხსნათ თავისუფალი და მტკიცე გზა ქრისტეს საიდუმლოების სრულ ზიარებამდე.

რადგან ეს მისია გრძელდება და ისტორიის მსვლელობაში ავითარებს თავად ქრისტეს მისიას, რომელიც მოივლინა გლახაკთათვის სახარების უწყებისათვის, ამიტომ ეკლესია, ქრისტეს სულით შთაგონებული, იმავე გზას უნდა გაჰყვეს, რომელსაც ქრისტე მიჰყვებოდა, ანუ სილატაკის, მორჩილების, მსაურებისა და სიკვდილამდე თავგანწირვის გზას, საიდანაც ის თავისი აღდგომით გამარჯვებული გამოდის. ასე, იმედით მიმოდოდა ყველა მოციქული, რომლებმაც მრავალი ტანჯვითა და ვნებებით შეავსეს ის, რაც დააკლდა ქრისტეს ვნებებს “გუამისათჳს მისისა, რომელ არს ეკლესიაჲ” (კოლ. 1, 24). ხშირად თავად ქრისტიანთა სისხლი იქცევა თესლად.¹⁵

6. ეს ფუნქცია ეპისკოპოსთა ხარისხმა, რომელსაც სათავეში პეტრეს მემკვიდრე უდგას, მთელი ეკლესიის ლოცვითა და თანამშრომლობით უნდა შეასრულოს. ფუნქცია კი მუდამ იგივეა, მიუხედავად გარემოებისა, თუმცა ვითარებათა შესაბამისად ის სხვადასხვაგვარად ხორციელდება. ამიტომ განსხვავებები, რომლებიც ეკლესიის ამ მოღვაწეობაში უნდა დავინახოთ, ჩნდება არა თავად მისიის შინაგანი ბუნებიდან, არამედ იმ გარემოებათაგან, რომელთა ვითარებაშიც ეს მისია სრულდება.

თავად ეს გარემოებანი ან ეკლესიაზე დამოკიდებული, ან ხალხზე, ან ჯგუფებსა და იმ ადამიანებზე, რომლებზეც არის მისია მიმართული. თუმცა ეკლესია მოიცავს გამოხსნის საშუალებათა ერთობლიობასა და სისავსეს, ის მაინც ყოველთვის და უცბად არ მოქმედებს მთლიანად და არც შეუძლია ასე მოქმედება. მის მოქმედებაში, რომლითაც ის საღმრთო განგებულების (propositum) განხორციელებას ცდილობს, არის დასაბამი და საფუძვრები. მეტიც: წარმატებით წამოწყებული წინსვლის შემდეგ მას უკან დახევა უნევს, ან ის ერთგვარ ნახევრად სავსე და დაუკმაყოფილებლების მდგომარეობაში იმყოფება. რაც შეეხება ადამიანებს, ჯგუფებსა და ერებს,

15 TERTULLIANUS, Apologeticum 50, 13: PL 1, 534; CChr. 1, 171.

ეკლესია მათ თანდათანობით აღწევს და მსჭვალავს, და ასე იღებს მათ კათოლიკურ სისავსეში. ნებისმიერ მდგომარეობას ან სტატუსს უნდა პასუხობდეს შესაბამისი მოქმედებები ან სათანადო საშუალებები.

საგანგებო წამოწყებები, რომელთა საშუალებითაც ეკლესიიდან მოვლენილი მქადაგებელნი (*praecones*) მთელს სამყაროში დადიან, სახარებას ქადაგებენ და იმ ხალხებსა და ჯგუფებში ეკლესიას ამკვიდრებენ, სადაც ქრისტესი ჯერ არა სწამთ, ზოგადად “მისიებად” იწოდება. ისინი მისიონერული მოღვაწეობის საფუძველზე სრულდება და, უმეტეს შემთხვევაში, გარკვეულ ტერიტორიაზე ხორციელდება, რომლებსაც წმიდა საყდარი ცნობს. ამ მისიური მოღვაწეობის მიზანი საკუთრივ არის ეკლესიის ევანგელიზაცია და დამკვიდრება ერებსა თუ ჯგუფებში, სადაც მას ჯერ ფესვი არ გაუდგამს.¹⁶ ასე, ღმრთის სიტყვის თესვლიდან უნდა აღმოცენდეს ადგილობრივი ცალკეული ეკლესიები, რომლებიც მთელს სამყაროში საკმარისი ოდენობით იქნება. მათ საკუთარი ძალები და სიმწიფე უნდა უნდა გააჩნდეთ. მათ ექნებათ საკუთარი იერარქია, ერთგულ ერთან ერთიანი, და საკმარისი დამხმარე საშუალებები, რომლებიც ჭეშმარიტად ქრისტიანულად ცხოვრების შესაძლებლობას იძლევა. მათ მთელი ეკლესიის სასარგებლოდ საერთო საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ. ასეთი დანერგვის საშუალება არის იესო ქრისტეს სახარების ქადაგება, რომლის მაუწყებლად უფალმა თავისი მოწაფეები მთელს სამყაროში წარავლინა, რათა ადამიანები, ღმრთის სიტყვით მეორედ შობილნი (შდრ. 1 პეტრ. 1, 23), ნათლობით ეკლესიას შეუერთდნენ, რომელიც, როგორც განხორციელებული სხეულის სიტყვა, ღმრთის სიტყვითა და ევქარისტული პურიტ საზრდოობს და ცხოვრობს (შდრ. საქმე 2, 42).

ეკლესიის ამ მისიურ მოღვაწეობაში თავს იჩენს სხვადასხვა ურთიერთგადაჯაჭვული ვითარება: ჯერ წამოწყება და დანერგვა, შემდეგ – სიახლე და ახალგაზრდობა. მაგრამ ამით არ სრულდება ეკლესიის მისიური მოღვაწეობა: უკვე დაარსებულ ცალკეულ ეკლესიებს ევალება ამ მოვალეობის გაგრძელება და სახარების ქადაგება ცალკეული პირებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ გარეთ არიან.

გარდა ამისა, ჯგუფები, რომელთა შიგნითაც ეკლესია ტრიალებს, სხვადასხვა მიზეზთა გამო ხშირად სავესებით იცვლება, ისე, რომ შეიძლება სრულიად ახალი პირობები წარმოიქმნეს. ეკლესიამ უნდა განიხილოს, ხომ არ მოითხოვს ეს ვითარებები მისი მისიონერული მოღვაწეობის განახლებას. გარდა ამისა, ვითარება ზოგჯერ ისეთია, რომ დროებით შეუძლებელია სახარების უშუალოდ და მამინათვე ქადაგება. ასეთ შემთხვევაში მისიონერებმა მოთმინებით, კეთილგონივრულად და ამავე დროს დიდი სიმტკიცით უნდა დაამონმონ ქრისტეს სიყვარული და სიკეთე. უფლისთვის გზა მათ ასე უნდა მოამზადონ და ერთგვარად მისი თანდასწრება უზრუნველყონ.

ცხადია, რომ მისიონერული მოღვაწეობა თავად ეკლესიის ბუნებიდან მომდინარეობს. ის ვრცელდება გამომხსნელ სარწმუნოებაზე, აფართოებს და სრულყოფს მის კათოლიკურ ერთიანობას. ამ მოღვაწეობას ხელს უწყობს მისივე მოციქულობა, ის ასაზრდოებს იერარქიის კოლეგიალურ გრძნობას, მოწმობს მის სიწმიდეს, ავრცელებს და ავითარებს მას. მისიონერული მოღვაწეობა ხალხებში განსხვავდება როგორც სამღვდლო მოღვაწეობისაგან ერთგულთა წრეში, ასევე იმ წამოწყებებისგან, რომლებიც ქრისტიანთა ერთობის აღდგენისკენ არის მიმართული. ეს ორი რამ

16 უკვე წმ. თომა ლაპარაკობს სამოციქულო ფუნქციის შესახებ, რომელიც ეკლესიის დამკვიდრებაში მდგომარეობს, შდრ. *Sent.*, lib. 1, dist. 16, q. 1, a. 2 ad 2 et ad 4; a. 3 sol. – ID., *Summa theol.* I, q. 43, a. 7 ad 6: I-II, q. 106, a. 4 ad 4. – Cf. BENEDICTUS XV, *Maximum illud*, 30 nov. 1919: AAS 11 (1919), pp. 445 et 453. – PIUS XI, *Rerum Ecclesiae*, 28 febr. 1926: AAS 18 (1926), p. 74. – PIUS XII, 30 apr. 1939, ad Directores OO. PP. MM.; ID., 24 iun. 1944, ad Directores OO. PP. MM.: AAS 38 (1944), p. 210, rursus in AAS 42 (190), p. 727, et 43 (1951), p. 508. – ID., 29 iun. 1951 ad clerum indigenum: AAS 40 (1948), p. 374. – ID., *Evangelii Praecones*, 2 iun. 1951: AAS 43 (1951), p. 507. – ID., *Fidei donum*, 15 ian. 1957: AAS 49 (1957), p. 236. – IOANNES XXIII, *Princeps pasorum*, 28 nov. 1959: AAS 51 (1951), p. 835. – PAULUS VI, hom. 18 oct. 1964: AAS 56 (1964), p. 911. – წმ. პონტიფიკატები, ისევე როგორც მამები და სქოლასტიკოსები, ხშირად საუბრობენ ეკლესიის “გავრცელების” (*dilatatione*) შესახებ: S. THOMAS, *Comm. in Matth.* 16, 28. – LEO XIII, encycl. *Sancta Dei Civitas*: ASS (1880), p. 241. – BENEDICTUS XV, encycl. *Maximum illud*: AAS 11 (1919), p. 442. – PIUS XI, encycl. *Rerum Ecclesiae*: AAS 18 (192), p. 65.

უმჭიდროესად არის დაკავშირებული ეკლესიის მისიონერულ მოღვაწეობასთან.¹⁷ ქრისტიანთა განყოფა ხომ სახარების ქადაგების უწმიდესი მიზნისთვის საზიანოა და ბევრს სარწმუნოებისკენ გზასაც უღობავს. ამგვარად, მისიის აუცილებლობიდან გამომდინარე, ყველა მონათლული მონოდებულია იმისათვის, რომ ერთ სამწყსოდ შეიკრიბოს და საშუალება ჰქონდეს ერთსულოვნად მონმობდეს ხალხთა წინაშე ქრისტეს, თავისი უფლის შესახებ. თუ მათ ჯერ არ შეუძლიათ მონმობდნენ ერთი სარწმუნოების შესახებ, მაშინ ისინი ურთიერთპატივისცემითა და სიყვარულით მაინც უნდა იყვნენ შთაგონებულნი.

7. ამ მისიონერული მოღვაწეობის არსი ღმრთის ნებიდან მომდინარეობს, “რომელსა ყოველთა კაცთაჲს ჰნებავს ცხოვრებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ. რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუა-მდგომელ ღმრთისა და კაცთა, კაცი იესო ქრისტე, რომელმან მისცა თავი თჳსი საწსრად ყოველთა სანამებელად ჟამთა თჳსთა” (1 ტიმ. 2, 4-5), “და არავინაჲ არს სხვთ ცხოვრებაჲ” (საქმე 4, 12). ამიტომ საჭიროა, რომ ყველამ მას მიმართოს. ხოლო მისი შეცნობა ეკლესიის ქადაგებით ხდება. მას და ეკლესიას, რომელიც მისი სხეულია, ნათლობით უნდა დაუკვშირდნენ. თავად ქრისტემ “ხაზი გაუსვა რწმენისა და ნათლისღების აუცილებლობას (შდრ. მარკ. 16, 16; იოან. 3, 5). ამით მან დაადასტურა ეკლესიის აუცილებლობა, რომელშიც ადამიანები ნათლისღებით, როგორც კარით, შედიან. ამიტომ ვერ იქნებიან გამოსხნილნი ის ადამიანები, რომლებმაც იციან, რომ ღმერთმა, იესო ქრისტეს მეშვეობით, დაარსა კათოლიკე ეკლესია როგორც აუცილებელი რამ, მაგრამ მასში შესვლა ან მასში დარჩენა არა სურთ.”¹⁸ ღმერთს შეუძლია ის ადამიანები, რომლებმაც სახარება ძალაუფლებურად არ იციან, მისთვის ცნობილი გზებით მიიყვანოს სარწმუნოებასთან, რომლის გარეშეც შეუძლებელია მისი სათნო ყოფა (შდრ. ებრ. 11, 6). და მაინც, ეკლესიას აკისრია ევანგელიზაციის მოვალეობა (შდრ. I კორ. 9, 16), რაც, ამავე დროს, მისი წმიდა უფლებაც არის. ამიტომ მისიონერული მოღვაწეობა დღესაც და ყოველთვის ინარჩუნებს თავის მნიშვნელობასა და აუცილებლობას.

მისი მეშვეობით ქრისტეს მისტიკური სხეული განუხრელად იკრებს ძალებს და მათ საკუთარი ზრდისათვის მოიხმარს (შდრ. ეფეს. 4, 11-16). ამ მოღვაწეობის განსახორციელებლად ეკლესიის წევრებს ის სიყვარული უბიძგებს, რომლითაც მათ ღმერთი უყვართ და რომლითაც ყველა ადამიანებთან ურთიერთობა სურთ როგორც ანწყო, ასევე მომავალი ცხოვრების სულიერ ღირებულებათა სფეროში.

დაბოლოს, ამ მისიონერული მოღვაწეობის მეშვეობით ღმერთი სრულად არის განდიდებული, რადგანაც ადამიანები შეგნებულად და სრულად იღებენ მის გამოხსნელ საქმეს, რომელიც მან ქრისტეში აღასრულა. ამ მოღვაწეობის მეშვეობით სრულდება საღმრთო განზრახვა (propositum), რომელსაც ქრისტე მორჩილად და სიყვარულით ემსახურა სადიდებლად მამისა, რომელმაც მოაქვინა იგი,¹⁹ რათა მთელმა კაცობრიობამ ღმრთის ერთი ერი შეადგინოს, შეირწყას ქრისტეს ერთ სხეულად და აიგოს სული წმიდის ერთ ტაძრად. ცხადია, რომ ეს ყველაფერი ძმურ თანხმობას მოგვაგონებს, პასუხობს ყველა ადამიანის შინაგან მისწრაფებას. ასე აღსრულდება, ჭეშმარიტად, შემოქმედის განზრახვა, რომელმაც ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა, როდესაც ყველა, ვინც ადამიანურ ბუნებას არის ნაზი-

17 მისიონერული მოღვაწეობის ეს ცნება რეალურად მოიცავს ლათინური ამერიკის ის ნაწილებსაც, რომლებშიც არ არსებობს სათანადო იერარქია და რომლებიც არ ხასიათდებიან ქრისტიანულ ცხოვრების სიმწიფით ან სახარების საკმარისი ქადაგებით. სცნობს თუ არა წმიდა საყდარი ამ ტერიტორიებს მისიონერულ ტერიტორიებად, კრებაზე დამოკიდებული არ არის. ამიტომ იქ, სადაც ლაპარაკია კავშირზე მისიონერული მოღვაწეობის ცნებასა და გარკვეულ ტერიტორიას შორის, საგანგებოდ ითქმის, რომ ასეთი მოღვაწეობა ხორციელდება “ძირითადად” გარკვეულ ტერიტორიებზე, რომლებსაც წმიდა საყდარი სცნობს.

18 CONC. VAI. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 14.

19 შდრ. იოან. 7, 18; 8, 30 და 44; 8, 50; 17, 1.

რები, სული წმიდის მიერ ქრისტეში აღორძინებული, ღმრთის დიდების ერთსულოვნად მჭვრეტელი, შეძლებს თქვას: „მამაო ჩვენო“.²⁰

8. მისიონერულის მოღვაწეობა თავად ადამიანურ ბუნებასთანაც და მის მისწრაფებებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ქრისტეს გამოვლენით ეკლესია ადამიანებს გამოუცხადებს ნამდვილ ჭეშმარიტებას მათი მდგომარეობისა და მთელი მონოდების შესახებ, რადგან ქრისტე არის დასაბამი და ნიშნები იმ განახლებული კაცობრიობისა, რომელიც გამსჭვალულია ძმური სიყვარულით, გულწრფელობითა და მშვიდობის სულით, რომლისკენაც ყველა მიისრაფვის. ქრისტე, და ეკლესია, რომელიც მის შესახებ ევანგელური ქადაგებით მოწმობს, ყოველგვარ რასობრივ და ეროვნულ ნიშანზე მალა დგას, ისე, რომ ვერავინ და ვერსად მიიჩნევს მათ უცხოებად.²¹ თავად ქრისტე არის ჭეშმარიტება და გზა, რომლებსაც ევანგელური ქადაგება ყველას გამოუცხადებს, როცა ყველას ყურამდე ქრისტეს ეს სიტყვები მიაქვს: „შეინანეთ და გრწმენინ სახარებისა“ (მარკ. 1, 15). ხოლო რადგანაც „რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დასჯილ არს“ (იოან. 3, 18), ამიტომ ქრისტეს სიტყვები არის ერთდროულად სიტყვები განსჯისა და წყალობისა, სიკვდილისა და სიცოცხლისა. რადგან მხოლოდ ძველის მოკვდინებით შეგვიძლია ცხოვრების განახლებამდე მივიდეთ. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებს, მაგრამ აგრეთვე ამა ქვეყნის სხვადასხვა ღირებულებებს, რომლებაც როგორც ადამიანის ცოდვის, ასევე საღმრთო კურთხევის დალი ადევთ: „რამეთუ ყოველთა შესცოდეს და დაკლებულ არიან დიდებისაგან ღმრთისა“ (რომ. 3, 23). თავისთავად არავინ არ თავისუფლდება ცოდვისაგან და არ ამალდება თავის თავზე მალა, არავინ თავისუფლდება სრულად თავისი უძღურებისგან, მარტობისგან ან მონობისგან;²² ყველას სჭირდება ქრისტე როგორც ნიშნები, მოძღვარი, განმათავისუფლებელი, გამომხსნელი, ცხოველმყოფელი. კაცობრიობის ისტორიაში, თუნდაც წარმავალში, სახარება ჭეშმარიტად იყო თავისუფლებისა და წინსვლი საფუარი. ის განუწყვეტლივ წარმოგვიდგება ძმობის, ერთობისა და მშვიდობის საფუარად. ტყუილად არ არის, რომ ერთგულები ქრისტეს პატივით მოიხსენიებენ როგორც „ერთა მოლოდინს და მათ გამომხსნელს.“²³

9. მამასადამე, მისიონერული მოღვაწეობის დრო არის უფლის პირველ და მეორე მოსლვას შორის, როდესაც ეკლესია, ოთხ ქართაგან ღმრთის სასუფეველში მოსა-

20 ამ სინთეზური აზრისთვის იხ. ნმ. ირენოსი, de Recapitulatio. შდრ. აგრეთვე HYPOLYTUS, *De Antichriste* 3: „მას ყველა სურს, ყველას გამოხსნა ნებას და, უნდა, ყველა ღმრთის შვილებად გახადოს. იგი მოუწოდებს ყველა წმიდანს, ერთი სრულყოფილი ადამიანი შეადგინონ“: PG 10, 732; GCS Hippolyt. I, 2, p. 6. – ID., *Benedictiones Iacob*, 7: TU, 38-1, p. lin. 4 ss. – ORIGENES, *In Ioann.*, I, n. 16: „ღმრთის შემეცნება იქნება ერთადერთი საქმე მათი, ვინც ღმერთთან მივა იმ სიტყვის წინამძღოლობით, რომელიც არის ღმერთთან, რათა ყველა შვილი საფუძვლიანად აღიზარდოს მამის შესაცნობად, ისე, როგორც ესლა მხოლოდ ძემ იცის მამა“: PG 14, 49; GCS Orig. IV, 20. – S. AUGUSTINUS, *De serm. Domini in monte*, I, 41: „გვიყვარდეს ის, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს იმ სამეფობდე, სადაც არავინ იტყვის: მამაო ჩემო, არამედ სადაც ყველა ეტყვის ერთ ღმერთს: მამაო ჩვენო“: PL 34, 1250. – S. CYRILLUS ALEX., *In Ioann.* I: „ყველანი ვართ ქრისტეში და საერთო ადამიანური პიროვნება მასში ხელახლა ცოცხლდება. ამიტომ იწოდება ის ახალ ადამად... ჩვენს შორის მკვიდრობდა იგი, რომელიც ბუნებით არის ძედ და ღმერთი; ამიტომ მის სულში შევძახებთ: აბბა, მამაო! ხოლო სიტყვა მკვიდრობს ყველას შორის ერთ ტაძარში, რომელიც მან ჩვენთვის და ჩვენგან მიიღო, რათა ყველა თავის თავში ჰყავდეს და ყველა ერთ სხეულში, როგორც პაველ ამბობს, მამასთან შეარვიგოს“: PG 73, 161-164.

21 BENEDICTUS XV, *encycl. Maximum illud*: AAS 11 (1919), p. 445: „როგორც ღმრთის ეკლესია არის საყოველთაო (კათოლიკური) და არ არის უცხო არცერთი ხალხისა თუ ერის მიმართ...“ – შდრ. IOANNES XXIII, *encycl. Mater et Magistra*: „საღმრთო სამართლით ეკლესია ყველა ხალხს სწვდება... ის თითქოს თავის ძალას შთაასხამს ამა თუ იმ ერის ვენებში, ამიტომ არც არის და არც მიაჩნია თავის თავი ამ ერისათვის გარედან მოხვეულ რალაც ინსტიტუციად... ამიტომ ისინი ადგენენ და სრულყოფენ ყველაფერს, რაც მიაჩნით, რომ არის კარგი და პატიოსანი“: AAS 53 (1961), p. 444.

22 შდრ. S. IRENAEUS, *Adv. Haer.*, III, 15, 3: PG 7, 919: „ისინი ჭეშმარიტების მქადაგებლები და თავისუფლების მოციქულები იყვნენ.“

23 Ant. O, 23 დეკემბერი.

ვლად შეიკრიბება.²⁴ ხოლო უფლის მოსლვამდე ყველა ერებში სახარების ქადაგება არის საჭირო (შდრ. მარკ. 13, 10).

მისიონერული მოღვაწეობა – არც მეტი, არც ნაკლები – არის საღმრთო განზრახვის გამოცხადება ანუ ეპიფანია და განხორციელება სამყაროსა და მის ისტორიაში, რომელშიც ღმერთი მისიის მეშვეობით ცხადად აღასრულებს გამოცხადების ისტორიას. ქადაგების სიტყვითა და საიდუმლოთა აღსრულებით, რომელთა ცენტრი და მწვერვალი უწმიდესი ევქარისტია არის, ეს მოღვაწეობა ქრისტეს, როგორც გამოცხადების შემოქმედს, თანდამსწრედ ხდის. ყოველივე ჭეშმარიტსა და მადლიერს (რასაც ერები უწინაც უკვე განიცდიდნენ როგორც ღმრთის ერთგვარი დაფარულ თანდასწრებას), ეს მოღვაწეობა ათავისუფლებს მანვე გავლენებიდან და უზრუნებს ქრისტეს – თავის შემქმნელს, რომელიც ამარცხებს ეშმაკის ბატონობას და დანაშაულთა მრავალფეროვნების ბოროტებას შეაკავებს. ამგვარად, ყველაფერო კეთილი, ადამიანთა გულსა და გონებაში, ხალხთა წეს-ჩვეულებებში დათესილი, არა მარტო არ ილუპება, არამედ განიკურნება, ამალდება და სრულდება ღმრთის სადიდებლად, ეშმაკის შესარცხვენად და ადამიანის საკითილდლოდ.²⁵ ამგვარად, მისი მეშვეობით მისიონერული მოღვაწეობა ესქატოლოგიური სისრულისაკენ:²⁶ იმ ზომამდე და დრომდე მიისწრაფვის, “რომელნი იგი მამამან დასხნა თჳსითა ჴელმწიფებითა” (საქმე 1, 7). ასე ვრცელდება ღმრთის ერი, რომლის მიმართაც იყო წინასწარმეტყველურად ნათქვამი: “გააფართოვე შენი კარვის ადგილი და გადაჭიმე შენი ჩარდახების გადასახურავნი. ნუ დაინანებ!” (ეს. 54, 2);²⁷ იზრდება მისტიკური სხეული ქრისტეს ასაკის სავსების ზომამდე (შდრ. ეფეს. 4, 139), და იზრდება სულიერი ტაძარი, სადაც ღმერთს თავყანს სცემენ სულსა და ჭეშმარიტებაში (შდრ. იოან. 4, 23), “აღშენებულ საფუძველსა ზედა მოციქულთასა და წინასწარმეტყუეთასა, რომლისა თავ საკიდურთა მისთა არს ქრისტე იესო” (ეფეს. 2, 20).

თავი II თავად სამისიონერო საქმე

10. ეკლესია ქრისტემ მოავლინა, რათა მან ღმრთის სიყვარული ყველა ადამიანსა და ერს გამოუცხადოს და გაუზიაროს. ეკლესიას ესმის, რომ მას ჯერ კიდევ წინ აქვს უდიდესი მისიონერული საქმე. ორ მილიარდ ადამიანს (მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება), რომლებიც სტაბილური კულტურული კავშირებით, ძველი რელიგიური ტრადიციებით და სოციალური ურთიერთობების მტკიცე ჯაჭვებით დიდ და მტკიცე ჯგუფებად არიან გაერთინებულნი, ჯერ არ სმენია სახარებისეული უწყება ან სულ ეხლახან გაიგონეს. ზოგიერთი მათგანი ერთერთ დიდ რელიგიას მისდევს, სხვებისთვის თავად ღმრთის ცნებაც უცხოა, ზოგი სულაც ამკარად უარყოფს მის არსებობას, მეტიც: ზოგჯერ ეწინააღმდეგება კიდევ მას. ეკლესიამ რომ ყველას გამოცხადების საიდუმლო და ღმრთისგან ბოძებული ცხოვრება მოუტანოს, ის ყველა ჯგუფში იმავე მოტივით უნდა შევიდეს, რომლითაც თავად ქრისტე თავისი განხორციელებით იმ ადამიანთა სოციალურ და კულტურულ გარემოს დაუკავშირდა, რომლებთანაც თავად ცხოვრობდა.

24 შდრ. მათ. 24, 31. – *Didaché*, 10, 5: FUNK I, 32.

25 CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 17. – S. AUGUSTINUS, *De Civ. Dei*, 19, 17: PL 41, 646. – S. C. DE PROPAGANDA FIDE, *Istructio: Collectanea I*, n. 135, p. 42.

26 ორიგენეს თანახმად, სახარების ქადაგება საჭიროა ამ სამყაროს დასასრულამდე: *Hom. in Lc. XXI: GCS Orig. IX*, 136, 21 ss. – ID., *In Matth. comm. ser.* 39: *ibid.* XI, 75, 25 ss.; 76, 4 ss. – ID., *Hom. in Jerem. III*, 2: *ibid.* VIII, 308, 29 ss. – S. THOMAS, *Summa theol.* I-II, q. 106, a. 4 ad 4.

27 S. HILARIUS PICT., *In Ps.* 14: PL 9, 301. – CAES., *In Isaiam*, 54, 2-3: PG 24: 462-463. – S. CYRILLUS ALEX., *In Isaiam V*, cap. 54, 1-3: PG 70, 1193.

1. ქრისტიანული მონუმბა

11. ადამიანთა ეკლესია ასეთ ჯგუფებში თავისი შვილების მეშვეობით უნდა მონაწილეობდეს, რომლებიც ამავე ჯგუფებებში ცხოვრობენ ან მათთან არიან მოვლინებულნი. ყველა ქრისტეს ერთგული, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ის, თავისი ცხოვრების მაგალითითა და სიტყვის მონუმბით ისე უნდა წარმოადგენდეს ახალ ადამიანს, რომელიც ნათლობითა და სული წმიდით შემოსეს (ამ უკანასკნელმა ისინი მირონცხებით განამტკიცა), რომ სხვებმა მათი საქმეების ხილვით მამა ადიდონ (მდრ. მათ. 5, 16) და უფრო სრულყოფილად ჩასწვდნენ ადამიანური ცხოვრების ჭეშმარიტ არსსა და ადამიანთა ურთიერთობის საყოველთაო კავშირებს.

ქრისტეს შესახებ ნაყოფიერი მონუმბისათვის ისინი უნდა გაერთიანდნენ ამ ადამიანებთან პატივისცემასა და სიყვარულში, საკუთარი თავი გააცნობიერონ ადამიანთა იმ ჯგუფის წევრებად, სადაც ისინი ცხოვრობენ, მონაწილეობა მიიღონ კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში სხვადასხვა, ადამიანისათვის ჩვეულებრივ, კავშირითა და საქმიანობით. ისინი უფრო ახლო უნდა გაეცნონ მათ ეროვნულ და რელიგიურ ტრადიციებს, სიხარულითა და პატივისცემით გამოავლინონ მათში დაფარული სიტყვის ფესვები. ამასთანავე მათ ყურადღება უნდა მიაქციონ ღრმა ცვლილებებს, რომლებიც ხალხში ხდება, და იზრუნონ იმისათვის, რომ ჩვენი თანამედროვენი, აშკამინდელი სამყაროს მეცნიერებითა და ტექნიკით მეტისმეტად დაკავებულნი, კი არ განუდგნენ საღმრთო საქმეებს, არამედ პირიქით, უფრო დიდი სურვილით აღიძრან ღმრთივგამოცხადებული ჭეშმარიტებისა და სიყვარულის მიმართ. თავად ქრისტემ გამოსცადა ადამიანთა გული და ჭეშმარიტად ადამიანური საუბრის გზით ისინი საღმრთო ნათელთან მიიყვანა; ასევე მისმა მოწაფეებმა, ქრისტეს სულით ღრმად გამსჭვალულებმა, ის ადამიანები უნდა შეიცნონ, რომელთა შორისაც თავად ცხოვრობენ, და მათთან ისაუბრონ, რათა გულწრფელი და მომთმენი დიალოგით შეიცნონ, რა სიმდიდრეები უბოძა ხალხებს მოწყალე ღმერთმა. ამავე დროს, ისინი უნდა შეეცადონ, ეს სიმდიდრეები სახარებისეული ნათლით გაანათონ, გაათავისუფლონ და ღმრთის – მაცხოვრის სასუფეველში მიიტანონ.

12. ქრისტეს ერთგულთა თანდასწრება ადამიანთა გაერთიანებებში იმ სიყვარულით უნდა სულდგმულობდეს, რომლითაც ღმერთმა ჩვენ შეგვიყვარა. მას ხომ სურს, რომ ჩვენც ერთმანეთი იმავე სიყვარულით გვიყვარდეს (მდრ. 1 იოან. 4, 11). ქრისტიანული სიყვარული მართლაც ყველაზე ვრცელდება, რასის, სოციალური თუ რელიგიური მდგომარეობის განურჩევლად. ის არ ელის არც მოგებას, არც მაღლიერებას. როგორც ღმერთმა შეგვიყვარა უანგარო სიყვარულით, ასევე ერთგულებმა თავისი სიყვარულით უნდა იზრუნონ ადამიანისათვის და ის იმავე მიზანსწრაფვით უყვარდეთ, რომლითაც ღმერთმა მოიძია ადამიანი. ქრისტე ხომ ყველა ქალაქსა და დაბას შემოვივლიდა, კურნავდა ყოველგვარ უძღურებასა და სნეულებას ღმრთის სასუფეველის მოსვლის ნიშნად (მდრ. მათ. 9, 35; საქმე 10, 38), რათა ეკლესიაც თავისი შვილების საშუალებით ნებისმიერი მდგომარეობის ადამიანებთან გაერთიანებულიყო, განსაკუთრებით ლატაკებებსა და ტანჯულებთან, და სიამოვნებით მათთვის თავი გაეღო (მდრ. 2 კორ. 12, 15). ის იზიარებს მათ სიხარულსა და ტკივილებს, იცის მათი ცხოვრების მისწრაფებები და გამოცანები, და თანაუგრძნობს მათ სიკვდილის შიშში. მას სურს, მშვიდობის მაძიებლებს ძმური დიალოგით უპასუხოს, სახარებიდან მშვიდობა და ნათელი მოუტანოს.

ქრისტეს ერთგულებმა ძალღონე არ უნდა დაიშურონ და ყველასთან ითანამშრომლონ, რათა ეკონომიკური და სოციალური საქმეები სწორად წარმართონ. მათ განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ბავშვებისა და ახალგაზრდების აღზრდის მიმართ სხვადასხვა სკოლებში, რომლებიც უნდა განვიხილოთ არა მარტო ქრისტიანული ახალგაზრდობის მომზადებისა და წინსვლის საშუალებად, არამედ ადამიანებისთვის განუვლ ძალზე ღირებულ სამსახურად, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რაც ემსახურება ადამიანური ღირსების ამალლებას და ადამიანისათვის უფრო შესაფერისი პირობების შექმნას. გარდა ამისა, მათ მონაწილეო-

ბა უნდა მიიღონ იმ ერთა მცდელობაში, რომლებიც ებრძვიან შიშს, უმეცრებასა და ავადმყოფობებს, ცდილობენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და სამყაროში მშვიდობის განმტკიცებას. ამ მოღვაწეობაში ერთგულებს ძალზე სურთ გონივრული დახმარების განწვევა კერძო, საჯარო, სამთავრობო და საერთაშორისო ინსტიტუციების, აგრეთვე ქრისტიანული და არაქრისტიანული რელიგიური საზოგადოებების წამოწყებებში.

ეკლესიას არავითარ შემთხვევაში არ სურს ჩაერიოს მინიერი ქალაქის მართვაში. ის თავისთვის სხვა არავითარ ძალაუფლებას არ მოითხოვს, გარდა იმისა, რომ ღმრთის შეწვევით, სიყვარულითა და ერთგული მსახურებით ადამიანებს ემსახუროს (შდრ. მათ. 20, 26; 23, 11).²⁸

თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ქრისტეს მონაფეხები მჭიდროდ არიან ადამიანებთან დაკავშირებული. მათ იმედი აქვთ, რომ ადამიანებს მოუტანენ ჭეშმარიტ მოწმობას ქრისტეს შესახებ, და იღვანებენ მათი გამოხსნისათვის, იქაც კი, სადაც ვერ შეძლებენ ქრისტეს სრულყოფილად უწყებას. ისინი მხოლოდ ადამიანთა მატერიალურ პროგრესსა და კეთილდღეობას კი არ მისდევენ, არამედ ხელს უწყობენ მათ ღირსებასა და ძმურ ერთობას, ასწავლიან რელიგიური და მორალური ჭეშმარიტებების შესახებ, რომლებიც ქრისტემ თავისი ნათლით გააბრწინა, და ასე, თანდათანობით, უფრო მეტად ხსნიან ღმრთისაკენ მიმავალ გზას. ასე იღებენ ადამიანები დახმარებას, რათა ღმრთისა და მოყვასისადმი სიყვარულის მეშვეობით გამოხსნას მიაღწიონ. ასე იწყებს ნათებას ქრისტეს საიდუმლოება, რომელშიც ახალი ადამიანი ჩნდება, რომელიც ღმრთის მიხედვით არის შექმნილი (შდრ. ეფეს. 4, 24), და რომელშიც ღმრთის სიყვარული ცხადდება.

II. სახარების ქადაგება და ღმრთის ერის შეკრება

13. ყველგან, სადაც ღმერთი სიტყვის კარს ალბს ქრისტეს საიდუმლოების სათქმელად (შდრ. კოლ. 4, 3), ყველა ადამიანს (შდრ. მარკ. 16, 15) გაბედულად და დაბეჯითებით (შდრ. საქმე 4, 13. 29. 31; 9, 27. 28; 13, 46; 14, 3; 19, 8; 26, 26; 28, 31; 1 თეს. 2, 2; 2 კორ. 3, 12; 7, 4; ფილ. 1, 20; ეფეს. 3, 12; 6, 19, 20) უნდა ეუწყოს ღმერთი ცხოველი და ის, ვინც მან ყველას გამოსახსნელად მოავლინა, იესო ქრისტე (შდრ. 1 თეს. 1, 9-10; 1 კორ. 1, 18-21; გალ. 1, 31; საქმე 14, 15-17; 17, 22-31), რათა არაქრისტიანებმა, რომლებსაც სული წმიდა თავის გულს განულებს (შდრ. საქმე 16, 14), ირწმუნონ და ნებით მოიქცნენ უფლისკენ და გულწრფელად შეუდგნენ მას, რადგან ის არის “გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება” (იოან. 14, 6) და შეასრულებს მათ ყოველგვარ სულიერ მოლოდინს, მეტიც: მათ უსაზღვროდ გადააჭარბებს.

ეს მოქცევა, რა თქმა უნდა, უნდა განვიხილოთ როგორც დანყებითი. ამასთანავე, ის საკმარისია, რომ ადამიანმა ცოდვას ზურგი აქციოს და შევიდეს საღმრთო სიყვარულის საიდუმლოებაში. ხოლო ღმერთი მას მოუწოდებს, პირადი ურთიერთობა ჰქონდეს მასთან ქრისტეში. მართლაც, ღმრთის მადლის მოქმედებით, ახლადმოქცეული (neoon-versus) შეუდგება სულიერ გზას, რომლითაც ის უკვე რწმენით ურთიერთობს სიკვდილისა და აღდგომის საიდუმლოებასთან და გადადის ძველი ადამიანიდან ახალი ადამიანისკენ, რომელიც სრულყოფილია ქრისტეში (შდრ. კოლ. 3, 5-10; ეფეს. 4, 20-24). ეს გადასვლა, რომელსაც მოჰყვება აზრთა და ზნე-ჩვეულებათა თანდათანობითი ცვლილება, უნდა გამოვლინდეს თავის სოციალურ შედეგებში და ნელნელა განვითარდეს კათაკმეგობობის (catechumenatis) დროს. უფალი, რომლისაც სწამთ, არის ნიშანი დაპირისპირებისა (contradictionis) (შდრ. ლუკ. 2, 34; მათ. 10, 34-39), ამიტომ მოქცეული ადამიანი ხშირად განიცდის განხეთქილებებსა და განშორებებს, მაგრამ მან ის სიხარულიც იცის, რომელსაც მას ღმერთი უსაზღვროდ ანიჭებს (შდრ. 1 თეს. 1, 6).

ეკლესია მკაცრად კრძალავს ვინმეს სარწმუნოებასთან მიყვანას იძულებითა თუ მოხიბლვით, უღირსი საშუალებების გამოყენების საფუძველზე. მეორეს მხრივ, ის

28 შდრ. PAULUS VI, allocutio die 21 nov. 1964 in Concilio habita: AAS 56 (1964), p. 1013.

დაბეჯითებით იცავს ყოველი ადამიანის უფლებას, არ იქნას მორიდებული სარწმუნოებას უსამართლო დევნით.²⁹

უძველესი საეკლესიო წესის თანახმად, უნდა განხილულ იქნას მოქცევის მოტივები და, თუ აუცილებელია, მათი განწმედა მოხდეს.

14. ვინც ქრისტეს რწმენა ღრთისაგან ეკლესიის მეშვეობით მიიღო,³⁰ კათაკმეველობაში ლიტურგიული ცერემონიებით დაიშვება. ის გულისხმობს არა მარტო დოგმატიზისა და მითითებების გადმოცემას, არამედ მთელი ქრისტიანული ცხოვრების სწავლებას და სათანადო ხანგრძლივობის მოსამზადებელ პერიოდს, რითაც მოწაფეები მოძღვარ ქრისტესთან არიან ერთობაში. კათაკმეველნი სათანადოდ უნდა ვაზიაროთ გამოხსნის საიდუმლოებას და სახარებისეული ზნე-ჩვეულებებისა და წმიდა წესების პრაქტიკით, რომლებიც დროში ერთმანეთის მიყოლებით სრულდება,³¹ შევიყვანოთ ღმრთის ერის სარწმუნოების, ლიტურგიისა და სიყვარულის ცხოვრებაში.

შემდგომ, ქრისტიანული ზიარების საიდუმლოთა მეშვეობით წყვდიადის ძალთაგან გათავისუფლებულნი (შდრ. კოლ. 1, 13),³² ქრისტესთან ერთად მკვდარნი, მასთან ერთად დამარხულნი და აღმდგარნი (შდრ. რომ. 6, 4-11; კოლ. 2, 12-13; 1პეტრე 3, 21-22; მარკ. 16, 16), ისინი იღებენ შვილობის სულს (შდრ. 1თეს. 3, 5-7; საქმე 8, 14-17) და მთლიანობაში ღმრთის ერთან ერთად აღნიშნავენ უფლის სიკვდილისა და აღდგომის ხსოვნას.

სასურველია, რომ ლიტურგია დიდი მარხვის და აღდგომის დროს ისე შეიცვალოს, რომ მან კათაკმეველების სული მიმართოს სააღდგომო საიდუმლოების აღსანიშნავად. მათი საზეიმო შესრულებისას ისინი ნათლობის მეშვეობით ქრისტეში აღორძინდებიან.

მაგრამ ამ ქრისტიანული ზიარებისთვის კათაკმეველებს შორის არა მარტო კატეხისტები ან მღვდლები უნდა ზრუნავდნენ, არამედ ერთგულთა მთელი საკრებულო, განსაკუთრებით ნათლიები (patrinis), რათა კათაკმეველები იმთავითვე გრძნობდნენ, რომ ისინი ღმრთის ერს ეკუთვნიან. ეკლესიის ცხოვრება არის სამოციქულო, ამიტომ ევანგელიზაციისა და ეკლესიის შენების მიზნით კათაკმეველებმა უნდა ისწავლონ აქტიური თანამშრომლობა, რაც მათი ცხოვრების მოწმობითა და სარწმუნოების აღსარებით ხორციელდება.

დაბოლოს, ნათლად უნდა განისაზღვროს კათაკმეველების იურიდიული სტატუსი ახალ კოდექსში. ისინი ხომ უკვე დაკავშირებულნი არიან ეკლესიასთან,³³ უკვე ქრისტეს სახლისანი არიან³⁴ და ხშირად უკვე ეწევიან სარწმუნოებით, იმედითა და სიყვარულით სავსე ცხოვრებას.

III. ქრისტიანული საკრებულოს შექმნა

15. სული წმიდა, რომელიც ყველა ადამიანს სიტყვის თესლებისა და სახარების ქადაგების მეშვეობით ქრისტესკენ მოუწოდებს და გულებში სარწმუნოების მორჩილებას აღძრავს, ნათლობის წყაროს წიაღში ახალი ცხოვრებისთვის შობს მათ, ვისაც ქრისტესი სწამს, და მათ კრებს ღმრთის ერთიან ერად, რომელიც არის “ნათესავი რჩეული, სამეუფოა სამღვდელია, თესლი წმიდაა, ერი მოგებული” (1პეტრე 2, 9).³⁵

29 შდრ. CONC. VAT. II, Declar. de libertate religiosa, n. 2, 4, 10. – ID., Const. past. de Ecclesia in mundo huius temporis, n. 21.

30 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 17.

31 შდრ. CONC. VAT. II, Const. de Sacra Liturgia, n. 64-65.

32 ეშმაკისა და წყვდიდის მონობისაგან გათავისუფლებისთვის სახარებაში შდრ. მათ. 12, 28; იოან. 8, 44; 12, 31 (შდრ. 1იოან. 3, 8; ეფეს. 2, 1-2). – ნათლობის ლიტურგიაში შდრ. რომაული რიტუალი.

33 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 9.

34 შდრ. S. AUGUSTINUS, Tract. in Ioann. 11, 4: PL 35, 1476

35 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 9.

ამიტომ მისიონერებმა, ღმრთის თანაშემწეებმა (შდრ. 1 კორ. 3, 9), უნდა დაარსონ ერთგულთა საკრებულოები, ღმრთის იმ მოწოდებისა, რომლითაც არიან მოწოდებული (შდრ. ეფეს. 4, 1), რომლებიც ალასრულელებს მათთვის მინდობილ სამღვდელმსახურო, წინასწარმეტყველურ და სამეფო ფუნქციებს. ასე იქცევა ქრისტიანული საკრებულო სამყაროში ღმრთის თანდასწრების ნიშნად: ევქარისტული მსხვერპლით ის ქრისტესთან ერთად განუწყვეტილვ მამასთან გადადის,³⁶ გულმოდგინედ საზრდოობს საღმრთო სიტყვით³⁷ და ქრისტეს მოწმობს;³⁸ და ბოლოს, მას სიყვარული ამოძრავებს და სამოციქულო სული ალაგზნებს.³⁹

ქრისტიანული საკრებულო იმთავითვე ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება თვითონვე შეძლოს.

ერთგულთა ამ საკრებულოს, თავისი ხალხის კულტურული მემკვიდრეობით მდიდარს, ღრმად აქვს ერში ფესვები გამდგარი: დაე, აყვავდნენ სახარებისეული სულით გამსჭვალული ოჯახები⁴⁰ და მათ შესაფერისი სკოლები დაეხმარონ. უნდა დაარსდეს ასოციაციები და ჯგუფები, რომელთა მეშვეობით საერთოა მოციქულობა შეძლებდა, მთელი საზოგადოება ევანგელური სულით განემსჭვალა. დაე, სხვადასხვა წესის კათოლიკეებს შორის სიყვარული ბრწინავდეს.⁴¹

ეკუმენური სული უნდა სუფევდეს ნეოფიტებს შორისაც, რომლებიც დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ძმები, რომლებსაც ქრისტე სწამთ, ქრისტეს მონაფეები არიან, ნათლობით აღორძინებულნი, რომლებიც ღმრთის ერის ურიცხვ სიკეთეებს ეზიარებიან. რამდენადაც ამის საშუალებას რელიგიური გარემო იძლევა, იმდენად უნდა განვითარდეს ეკუმენური მოღვაწეობა, ისე, რომ კათოლიკეებმა თავიდან აირიდონ ყოველგვარი ინდეფერენტულობა და განურჩეველი აღრევა, აგრეთვე არაჯანსაღი შეჯიბრი, და შეძლებისდაგვარად განახორციელონ ღმრთისა და იესო ქრისტესადმი რწმენის საერთო აღსარება ხალხთა წინაშე. მათ უნდა შეძლონ ძმური თანამშრომლობა მათგან გამიჯნულ ძმებთან სოციალურ, ტექნიკურ, კულტურულ და რელიგიურ საქმეებში, ეკუმენიზმის შესახებ დეკრეტის ნორმათა შესაბამისად. მათ, უპირველეს ყოვლისა, ქრისტეს გამო – ის მათი საერთო უფალია – უნდა ითანამშრომლონ: დაე, მისმა სახელმა ისინი გააერთიანოს! ეს თანამშრომლობა არ უნდა დამყარდეს მხოლოდ კერძო პირთა შორის, არამედ, ადგილობრივი ორდინარიუსის განსჯის თანახმად, აგრეთვე ეკლესიებსა თუ საეკლესიო საკრებულოებსა და მათ საქმეებს შორისაც.

ქრისტეს ერთგულნი, ხალხთაგან შეკრებილნი და ეკლესიაში გაერთიანებულნი, „სხვა ადამიანებისგან არ განსხვავდებიან არც მმართველობით, არც სიტყვით, არც ცხოვრების პოლიტიკური ინსტიტუციებით“.⁴² ამიტომ მათ უნდა იცხოვრონ ღმრთისა და ქრისტესთვის, საკუთარი ხალხის ღმრთისეული წეს-ჩვეულებების მიხედვით. როგორც კეთილ მოქალაქეებს, მათ ჭეშმარიტად და ქმედითად უნდა უყვარდეთ სამშობლო. ამავე დროს, მათთვის სრულიად უცხო უნდა იყოს სხვა რასებისადმი სიძულვილი და გადაჭარბებული ნაციონალიზმი. მათ ხელი უნდა შეუწყონ ადამიანთა შორის საყოველთაო სიყვარულს.

ყოველივე ამის მისაღწევად მნიშვნელოვანნი არიან და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ საერო პირები, ანუ ქრისტეს ერთგულნი, რომლებიც ქრისტესთან ნათლობით არიან შერწყმულნი (*incorporati*) და სამყაროში ცხოვრობენ. ეს მათი ამოცანაა: ქრისტეს სულით გამსაჭვალულებმა, წარმავალი საქმეები საფუარით შიგნიდან უნდა განასულიერონ და მოანესრიგონ, რათა ისინი მუდამ ქრისტეს თანახმად ხორციელდებოდეს.⁴³

36 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 10, 11, 34.

37 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de divina Revelatione*, n. 21.

38 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 12; 35.

39 შდრ. იქვე, 23, 26.

40 შდრ. იქვე, 11, 35, 41.

41 შდრ. CONC. VAT. II, Decr. *de Ecclesiis orientabilibus*, n. 30.

42 შდრ. *Epist. ad Diognetum*, 5: PG 2, 1173. – შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 38.

43 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 32. – ID., Decr. *de Apostolatu laicorum*.

ამასთანავე, არა კმარა, რომ ქრისტიანი ხალხი იმყოფებოდეს და განმტკიცებული იყოს რომელიმე ერში. არც ის კმარა, რომ მან მოციქულობა მაგალითით განახორციელოს. ის იმისთვის მტკიცდება და იმის გამო იმყოფება ამა თუ იმ ადგილას, რომ სიტყვითა და საქმით აუწყოს ქრისტი თავის არა-ქრისტიან თანამოქალაქეებს და მათ ქრისტეს სრულად მიღების საქმეში შეენიოს.

ამასთანავე, ეკლესიის დამკვიდრებისა და ქრისტიანული საკრებულოს ზრდისათვის აუცილებელია სხვადასხვა მსახურება, რომლებიც საღმრთო მონოდებით თავად ერთგულთა ერთობიდან წარმოიქმნა. ისინი გულმოდგინე მზრუნველობას, მხარდაჭერასა და ხელშეწყობას საჭიროებენ. მათ განეკუთვნება მღვდელმსახურება, დიაკონთა და კატეხისტთა მსახურება, აგრეთვე კათოლიკური მოღვაწეობა. მონესე კაცები და ქალები ლოცვით თუ ქმედითი საქმით გარკვეულ მოვალეობას ასრულებენ. ის იმისთვის არის აუცილებელი, რომ ქრისტეს მეუფება სულელებში დამკვიდრდეს, განმტკიცდეს და უფრო ფართოდ გავრცელდეს.

16. ეკლესია დიდი სიხარულით მადლობას ამბობს სამღვდელმსახურო მონოდების იმ აღურაცხელი ნიჭისთვის, რომელიც ღმერთმა ქრისტესკენ ახლადმოქცეულ ხალხთა შორის ამდენ ახალგაზრდას არგუნა. ეკლესია ხომ უფრო მტკიცე ფესვებს გაიდგამს ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფში, თუ ერთგულთა სხვადასხვა საკრებულოს თავისი წევრებიდან ეყოლებათ გამოხსნის მსახურები ეპისკოპოსთა, მღვდელთა და დიაკონთა ხარისხში. ისინი თავის ძმებს უნდა ემსახურობდნენ, ისე, რომ ახალმა ეკლესიებმა თავის სამღვდელოებასთან ერთად თანდათანობით დიოცეზური სტრუქტურა შეიძინონ.

ის, რაც მოცემულმა კრებამ სამღვდელმსახურო მონოდებისა და მომზადების შესახებ დაადგინა, წმიდად უნდა იყოს დაცული იქ, სადაც ეკლესია პირველად მკვიდრდება, და იქ, სადაც ახალი ეკლესიები იქმნება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სულიერ მომზადებას: ის მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სამოძღვრო და სამღვდლო მომზადებასთან. ის სახარების თანახმად ცხოვრებასაც უნდა გულისხმობდეს, საკუთარი პიროვნული თუ ოჯახური ინტერესებისგან დამოუკიდებლად, აგრეთვე იმას, რაც ეკლესიის საიდუმლოების შინაგანი გრძნობის განვითარებას ნიშნავს. მაშასადამე, ისინი შესანიშნავად ისწავლიან, როგორ მიუძღვნან მთლიანად თავი ქრისტეს სხეულის მსახურებასა და სახარების საქმეს, გაჰყვინენ თავის ეპისკოპოსს როგორც მისი ერთგული თანამემწენი და თავის თანამოძმეებთან ერთად საერთო საქმე აკეთონ.⁴⁴

ამ საერთო მიზნის მისაღწევად აღსაზრდელთა მთელი მომზადება გამოხსნის შუქზე უნდა მიმდინარეობდეს, ისე, როგორც ეს წმიდა წერილშია მოცემული. ქრისტესა და ადამიანთა გამოხსნის საიდუმლოება მათ ლიტურგიაში უნდა ჰპოვონ და ამით იცხოვრონ.⁴⁵

სამღვდელმსახურო (მათ შორის სამღვდლო და პრაქტიკული) მომზადების ეს საერთო მოთხოვნილებები, კრების ნორმების თანახმად,⁴⁶ უნდა შესაბამეობდეს მოცემული ხალხის მისწრაფებას გარკვეული ტიპის აზროვნებისა და მოქმედებისკენ. აღსაზრდელთა გონება ისე უნდა გაიხსნას და დაიხვეწოს, რომ მათ შეძლონ თავისი ხალხის კულტურის უკეთესად შეცნობა და შეფასება. ფილოსოფიურ და თეოლოგიურ დისციპლინებში ისინი უნდა ჩასწვდნენ იმ პრინციპებს, რომლებიც არის საფუძველი განსხვავებისა, ერთის მხრივ, მათ საკუთარ ტრადიციებსა და რელიგიას, მეორეს მხრივ კი ქრისტიანულ რელიგიას შორის.⁴⁷ ამასთანავე, სამღვდელმსახურო მომზადება უნდა ითვალისწინებდეს მოცემული რეგიონის სამღვდლო მოთხოვნილებებს: აღსაზრდელებმა უნდა ისწავლონ ისტორია, ეკლესიის მისიონერული მოღვაწეობის მიზანი და მეთოდი, და საკუ-

44 შდრ. CONC. VAT. II, Decr. *de Institutione sacerdotali*, n. 4, 8, 9.

45 შდრ. CONC. VAT. II, Decr. *de sacra Liturgia*, n. 17.

46 შდრ. CONC. VAT. II, Decr. *de Institutione sacerdotali*, n. 1.

47 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Princeps Pastorum*: AAS 51(1959), pp. 843-844.

თარი ხალხის გარკვეული სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ვითარებები. მათი განათლება ეკუმენური სულისკვეთებით უნდა მოხდეს. ისინი არაქრისტიან ძმებთან დიალოგისთვის უნდა მოემზადონ.⁴⁸ ყოველივე ეს მოითხოვს, რომ აღსაზრდელებმა სამღვდელმსახურო მომზადებისას შეძლებისდაგვარად შეინარჩუნონ მჭიდრო კავშირი თავის ერთან და მის ჩვეულებებთან.⁴⁹ და ბოლოს, საჭიროა ყურადღება მიექცეს მათ მომზადებას სათანადო საეკლესიო მმართველობისთვის, მათ შორის ეკონომიკის სფეროში.

გარდა ამისა, საჭიროა შესაფერისი მღვდელმსახურების შერჩევა, რომლებიც, გარკვეული სამღვდლო პრაქტიკის შემდეგ, დაასრულებენ უმაღლეს საუნივერსიტეტო სწავლას, განსაკუთრებით რომში, აგრეთვე სხვა სამეცნიერ ინსტიტუტებში, რათა ახალ ეკლესიებს თავის განკარგულებაში ჰყავდეს ადგილობრივი სამღვდელოება, რომელსაც განსაკუთრებით რთული საეკლესიო ფუნქციების შესრულებისთვის სათანადო ცოდნა და გამოცდილება ექნება.

იქ, სადაც ეპისკოპოსთა კონფერენცია ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს, უნდა აღდგეს დიაკონობის ხარისხი, როგორც ცხოვრების მუდმივი სტატუსი, „ეკლესიის შესახებ“ კონსტიტუციის ნორმის თანახმად.⁵⁰ სასურველია, რომ კაცები, რომლებიც ჭეშმარიტად დიაკონურ მსახურებას ასრულებენ, ან საღმრთო სიტყვას როგორც კატეხისტები ქადაგებენ, საკრებულოს წინამძღვრისა და ეპისკოპოსის სახელით მართავენ, ან სოციალურ თუ საქველმოქმედო საქმეებში ქველმოქმედებას ეწევიან, ხელდასხმით განმტკიცდნენ, რაც მათ მოციქულები-სგან გადმოეცათ, და უფრო მჭიდროდ გაერთიანდნენ საკურთხეველთან, რათა უფრო წარმატებით შეასრულონ თავისი მსახურება დიაკონობის საიდუმლო მადლის მეშვეობით.

17. ქების ღირსია კატეხისტების კრებული, რომელმაც არაქრისტიანთა მიმართ მისიის საქმეში დიდი დამსახურება მოიპოვა. მასში შედიან კაცებიცა და ქალებიც, რომლებიც გამსჭვალული არიან სამოციქულო სულით და რომლებიც თავისი განსაკუთრებული და სრულიად აუცილებელი შრომით ხელს უწყობენ სარწმუნოებისა და ეკლესიის გავრცელებას.

ჩვენს დროში, როდესაც ასეთი მავალრიცხოვანი ხალხის ევანგელიზაციისა და სამღვდლო მსახურების განხორციელებისთვის სამღვდელოება ძალზე მცირერიცხოვანია, კატეხისტების ფუნქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მათი მომზადება ისე უნდა განხორციელდეს და ისე უნდა შეესაბამოს კულტურულ პროგრესს, რომ მათ, როგორც სამღვდელმსახურო ხარისხის ეფექტურმა თანამშრომლებმა, რაც შეიძლება უკეთესად შეძლონ თავისი ფუნქციის შესრულება, რომელიც სულ უფრო რთული ხდება ახალი და უფრო ფართო მოვალეობათა გამო.

ამიტომ უნდა გაიზარდოს დიოცეზური და რეგიონალური სკოლების რიცხვი, რომლებშიც მომავალი კატეხისტები შეისწავლიან კათოლიკურ მოძღვრებას (უპირველეს ყოვლისა, ბიბლიური და ლიტურგიული საგნების სახით) და, ამასთანავე, კატეხეტურ მეთოდსა და სამღვდლო პრაქტიკას. ისინი შეითვისებენ ქრისტიანულ ზნეობას⁵¹ და განუზრელად შეეცდებიან დაიცვან მოწინება და ცხოვრების სიმამრე. გარდა ამისა, საჭიროა შეკრებების ან კურსების მოწყობა, რომლებზეც კატეხისტებს საშუალება ექნებათ, გარკვეულ დროში განაახლონ ცოდნა და დახელოვნება, რომელიც მათ მსახურებისთვის სჭირებათ, აგრეთვე ასაზრდოონ და განამტკიცონ თავისი სულიერი ცხოვრება. ხოლო ისინი, ვინც მთლიანად თავს უძღვნის ამ საქმეს, სამართლიანი ანაზღაურების საფუძველზე, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ღირსეული ცხოვრებითა და სოციალური უზრუნველყოფით.⁵²

48 შდრ. CONC. VAT. II, Decr. de Oecumenismo, n. 4.

49 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Princeps Pastorum*: AAS 51 (1959), p. 842.

50 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 29.

51 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Princeps Pastorum*: AAS 51 (1959), p. 855. აქ ლაპარაკია „მუდმივ კატეხისტებზე“.

52 აქ ლაპარაკია „მუდმივ კატეხისტებზე“.

სასურველია, რომ კატეხისტების მომზადებისა და შენახვისათვის სათანადოდ იყოს გათვალისწინებული სარწმუნოების პროპაგანდის წმ. დიკასტერიუმის საგანგებო სუბსიდიები. საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაარსდეს ფონდი (Opus) კატეხისტებისთვის.

ეკლესიამ მადლიერებით უნდა მიიღოს კატეხისტების კეთილშობილური შრომა, რომელთა დახმარებაც მას დასჭირდება. თავის საკრებულოებში ისინი ლოცვებს უძღვებიან და მოძღვრებას გადმოსცემენ. საჭიროა სათანადოდ ზრუნვა მათი სამოძღვრო და სულიერი მომზადებისთვის. ამასთანავე სასურველია, რომ იქ, სადაც ეს მიზნაშენილი იქნება, კატეხისტებს მიენდოს კანონიკური მისია ლიტურგიულ ქმედებაში მისი საჯაროდ აღსრულებისთვის, რათა ისინი ხალხის წინაშე სარწმუნოებას მეტი ავტორიტეტით ემსახურონ.

18. ეკლესიის დამკვიდრებისთანავე სამონესეო ცხოვრებისთვის გულმოდგინედ ხელშეწყობა არის საჭირო. ასეთი ცხოვრება არა მარტო ღირებულ და სრულიად აუცილებელ დახმარებას გაუწევს მისიონერულ მოღვაწეობას, არამედ ნათლად ცხადყოფს და აღნიშნავს ქრისტიანული მონოდების ღრმა ბუნებას ეკლესიაში ღმრთისადმი მიძღვნის მეშვეობით.⁵³

სამონესეო ინსტიტუციებმა, რომლებიც ეკლესიის დამკვიდრებისთვის იღწვიან, მისტიკური სიმდიდრით გამსჭვალულებმა, რომლითაც განთქმულია ეკლესიის სამონესეო ტრადიცია, უნდა შეეცადონ გამოხატონ და გადასცენ ისინი თითოეული ერის ნიჭისა და ხასიათის შესაბამისად. მათ ყურადღებით უნდა განიხილონ, თუ როგორ შეიძლება შეითვისოს ქრისტიანულმა სამონესეო ცხოვრებამ ის ასკეტიკური და მჭვრეტელობითი ტრადიციები, რომელთა თესლები ღმერთმა ძველ კულტურებში ჯერ კიდევ სახარების ქადაგებამდე ჩადო.

ახალ ეკლესიებში ხელი უნდა შეეწყოს სამონესეო ცხოვრების სხვადასხვა ფორმებს, რათა მათ გამოავლინონ ქრისტეს მისიისა და საეკლესიო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტები, თავი მიუძღვნან სხვადასხვა სამწყსო საქმეებს და თავისი ნევრები სათანადოდ მოამზადონ მათი აღსრულებისთვის. ხოლო ეპისკოპოსებმა კონფერენციებში ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ იმ კონგრეგაციების რიცხვი, რომლებიც ერთსა და იმავე სამოციქულო მიზანს ისახავენ, არ გაიზარდოს სამონესეო ცხოვრებისა და მოციქულობის საზიანოდ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის მრავალგვარი წამონყება, რომელთა მიზანი მჭვრეტელობითი ცხოვრების დამკვიდრებაა. მათი მეშვეობით ზოგი ცდილობს თავისი ორდენის უმდიდრესი ტრადიციის დამკვიდრებას (ამავე დროს, ისინი ინარჩუნებენ სამონაზვნო ინსტიტუციის ძირითად ელემენტებს), ხოლო სხვები ძველი მონაზვნობის უფრო მარტივ ფორმას უბრუნდება. დაე, ყველა შეეცადოს, რაც შეიძლება უკეთესად მიესადაგოს ადგილობრივ ვითარებას. მჭვრეტელობითი ცხოვრება ეკლესიის ანმყოფობის სისრულისთვის არის მნიშვნელოვანი, ამიტომ ის ყველგან უნდა იყოს აღდგენილი.

თავი III

ცალკეული ეკლესიები

19. ეკლესიის დამკვიდრების საქმე ადამიანთა განსაზღვრულ გარემოში გარკვეულ წერტილს აღწევს, როდესაც ერთგულთა ერთობა, რომელსაც უკვე გამდგარი აქვს ფესვები სოციალურ ცხოვრებაში და რომელიც ასე თუ ისე ადგილობრივ კულტურას შეესაბამება, ერთგვარ სტაბილურობასა და სიმყარეს აღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჰყავს საკუთარი, თუნდაც არასაკმარისი, რაოდენობის მღვდელმსახურები, მონესეები და საერონი, აგრეთვე მსახურებანი და ინსტიტუციები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ ღმრთის ერი თავისი ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით ცხოვრობდეს და წინსვლას განიცდიდეს.

53 შტრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 31, 44.

ასეთ ახალგაზრდა ეკლესიებში ღმრთის ერის ცხოვრება ქრისტიანული ცხოვრების ყველა სფეროში უნდა მომნიშვნედეს და ამ კრების ნორმების თანახმად განახლდეს. ერთგულთა ერთობები, რომლებიც სულ უფრო მეტად აცნობიერებენ ყველაფერს, სარწმუნოების, ლიტურგიისა და სიყვარულის ცოცხალ საკრებულოებად იქცევიან. საერონი თავისი სამოქალაქო და სამოციქულო მოღვაწეობით ქალაქში სიყვარულისა და სამართლიანობის დამყარებას ცდილობენ. საზოგადოებრივი ურთიერთობის საშუალებები მიზანშეწონილად და გონივრულად გამოიყენება. ოჯახები, რომლებიც ჭეშმარიტ ქრისტიანულ ცხოვრებას ეწევიან, საერთოა მოციქულობის, აგრეთვე სამღვდელმსახურო და სამონესეო მონოდების ნერგებად იქცევიან. და ბოლოს, სარწმუნოება სათანადო კატეხიზაციის მეშვეობით ისწავლება და მისი აღსრულება ხდება ლიტურგიაში, რომელიც ერის ბუნებას შეესაბამება, ხოლო კანონიკური ლეგალიზების გზით ის საპატიო ინსტიტუციებში და ადგილობრივ ჩვეულებებში შემოდის.

ეპისკოპოსები, თავის სამღვდლოებასთან ერთად, ქრისტესა და ეკლესიის სულით სულ უფრო მეტად გამსჭვალულები, საყოველთაო ეკლესიასთან ერთობაში უნდა ფიქრობდნენ და ცხოვრობდნენ. ახალ ეკლესიებსა და მთელ ეკლესიას შორის მჭიდრო კავშირი უნდა დამყარდეს. მისი ტრადიციული ელემენტები მათ საკუთარ კულტურას უნდა დაუკავშირონ და ძალთა ურთიერთშერწყმა მისტიკური სხეულის ზრდას მოახმარონ.⁵⁴ ამიტომ უნდა განვითარდეს ის თეოლოგიური, ფსიქოლოგიური და ადამიანური ელემენტებს, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს საყოველთაო ეკლესიასთან ერთობის გრძნობას.

ეს ეკლესიები ძალზე ხშირად სამყაროს უღარიბეს კუთხეებში იყოფებიან. ისინი ჯერ კიდევ განიცდიან მღვდელმსახურთა დიდ ნაკლებობას და მატერიალურ სახსართა სიმწირეს. ამიტომ მათ ეკლესიის მხრიდან ძალზე სჭირდებათ განუწყვეტელი მისიონერული მოღვაწეობის სახით დახმარება. ეს დახმარება პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივი ეკლესიის განვითარებას და ქრისტიანული ცხოვრების მომნიშვნელობას. ასეთი მისიონერული მოღვაწეობა იმ ეკლესიებსაც უნდა დაეხმაროს, რომლებიც დიდი ხნის წინ დაარსდა და რომლებიც ამჟამად უკუსვლის ან სისუსტის სტადიაში არიან.

ამ ეკლესიებმა უნდა გამოავლინონ ერთობლივი სამღვდლო ძალისხმევა და წამოიწყონ შესაბამისი საქმეები, რომელთა საშუალებით დიოცეზურ სამღვდლოებაში და სამონესეო ინსტიტუციებში მონოდება რიცხობრივად უნდა გაიზარდოს, უფრო მყარად იყოს განსაზღვრული და წარმატებით განვითარებული,⁵⁵ რათა ამ ეკლესიებმა თანდათანობით შეძლონ საკუთარი თავის უზრუნველყოფა და სხვებისთვისაც დახმარების განევა.

20. ცალკეული ეკლესია მაქსიმალურად სრულყოფილად უნდა წარმოადგენდეს საყოველთაო ეკლესიას. ამიტომ მან კარგად უნდა იცოდეს, რომ ის იმ ადამიანებთანაც არის მოვლენილი, ვისაც ქრისტესი არა სწამს, მაგრამ ამ ეკლესიასთან ერთად იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობს. თითოეული ერთგულისა და მთელი საკრებულოს ცხოვრების მონომობით ეკლესია უნდა გახდეს ნიშანი, რომელიც მათ ქრისტეზე მიუთითებს.

გარდა ამისა, საჭიროა სიტყვის მსახურება, რათა სახარება ყველას მისწვდეს. ეპისკოპოსი, უპირველეს ყოვლისა, სარწმუნოების მქადაგებელი უნდა იყოს, რომელსაც ახალი მონაფეები ქრისტესთან მიჰყავს.⁵⁶ ამ მაღალი ფუნქციის სათანადო დონეზე შესრულებისთვის ის ჯარგად უნდა იცნობდეს პირობებს, რომელშიც მისი სამწყსო ცხოვრობს, აგრეთვე იცოდეს თავისი თანამოქალაქეების გულის სიღრმეში ფესვგამდგარი შეხედულებები ღმრთის შესახებ, ანგარიში გაუწიოს იმ ცვლილებებს, რომლებიც

54 შდრ. IOANNES XXIII, *encycl. Princeps Pastorum*: AAS 51 (1959), p. 838.

55 შდრ. CONC. VAT. II, *Decr. de Presbyterorum ministerio et vita*, n. 11. – Id., *Decr. de Institutione sacerdotali*, n. 2.

56 შდრ. CONC. VAT. II, *Const. dogm. de Ecclesia*, n. 25.

მოაქვს ურბანიზაციას, მიგრაციებსა და რელიგიურ ინდიფერენტულობას.

ადგილობრივი მღვდლები ახალ ეკლესიებში გულმოდგინედ უნდა შეუდგნენ ევანგელიზაციის საქმეს, საერთო საქმე აწარმოონ უცხოელ მისიონერებთან, რომელთა ერთადეც ისინი ერთიან სამღვდლოებას ქმნიან, ეპისკოპოსის უფლებამოსილების ქვეშ გაერთიანებულს. ამის მიზანი არა მარტო ერთგულთა მწყობა და საღმრთო კულტის აღსრულებაა, არამედ სახარების ქადაგებაც არის მათთვის, ვინც გარეთ არის. ისინი მზად უნდა იყვნენ – ხოლო საჭიროების შემთხვევაში სიხარულით შესთავაზონ დახმარება თავის ეპისკოპოსს – წამოიწყონ მისიონერული საქმიანობა თავისი დიოცეზის მოშორებულ ან მიტოვებულ რეგიონებში, ან სხვა დიოცეზებში.

ასეთივე მონდომებით უნდა ზრუნავდნენ თავისი მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით ლატაკებისთვის, მონესე ქალები და კაცები, აგრეთვე საერონიც.

კონფერენციის ეპისკოპოსებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ დადგენილ ვადებში ჩატარდეს კურსები, რომლებიც მიზნად ისახავს ბიბლიური, თეოლოგიური, სასულიერო და სამღვდლო ცოდნის გახსენებას, რათა მღვდლვარე და ცვალებად გარემოში სამღვდლოებამ უფრო სრულყოფილი ცოდნა შეიძინოს საღმრთისმეტყველო მეცნიერებასა და სამღვდლო მეთოდებში.

სხვაგვარი წმინდა იყოს დაცული ის, რაც ამ კრებამ დაადგინა, განსაკუთრებით დეკრეტში მღვდელთა მსახურებისა და ცხოვრების შესახებ.

ცალკეული ეკლესიის ეს მისიონერული საქმე რომ განხორციელდეს, საჭიროა სათანადო მსახურები, რომლებიც დროულად უნდა იქნენ მომზადებულნი თითოეული ეკლესიისთვის შესაფერისი გზებით. ადამიანები სულ უფრო მეტად ერთიანდებიან ჯგუფებად. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ ეპისკოპოსთა კონფერენციები ერთმანეთს ეთათბირობდნენ ამ ჯგუფებთან დიალოგის თაობაზე. მაგრამ თუ ზოგიერთ რეგიონში არის ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც კათოლიკური სარწმუნოების მიღებისაგან აკავებს ის, რომ მათ არ შეუძლიათ შეენყონ იმ კონკრეტულ ფორმას, რომელიც იქაურ ეკლესიას გააჩნია, მაშინ სასურველია, ასევე ვითარებას საგანგებო ყურადღება დაეთმოსა,⁵⁷ სანამ ყველა ქრისტიანი ერთ საკრებულოში არ შეიკრიბება. ხოლო თუ სამოციქულო საყდარს ამ მიზნისათვის მისიონერები ჰყავს, მაშინ ეპისკოპოსებმა მათ თავის დიოცეზებში უნდა მოუწოდონ, სიხარულით მიიღონ ისინი და ქმედითად მხარი დაუჭირონ მათ წამოიწყებებს.

ამგვარი მისიონერული მიზანსწრაფვა სამშობლოს მკვიდრთა შორის რომ გაღვივდეს, სასურველია, რომ ახალმა ეკლესიებმა შეძლებინდნენ მალე მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო ეკლესიის საქმეში. მათ მისიონერებიც უნდა გაგზავნონ (თუნდაც თავად სამღვდლოების ნაკლებობას განიცდიდნენ), რომლებიც დედამიწის ზურგზე ყველგან აუწყებენ სახარებას. საყოველთაო ეკლესიასთან ურთიერთობა ერთგვარად დასრულებული მაშინ იქნება, როდესაც თავად ისინიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სხვა ხალხთა მიმართ განხორციელებულ მისიონერულ მოღვაწეობაში.

21. ეკლესია არ არის ჭეშმარიტად დაფუძნებული, ის არ ცხოვრობს სრული ცხოვრებით და არ არის ქრისტეს სრულყოფილი ნიშანი ადამიანთა შორის, თუ იერარქიასთან ერთად არ არსებობს და არ მოღვაწეობს ნამდვილი საერო საზოგადოება. საერო პირთა აქტიური მონაწილეობის (praesentia) გარეშე სახარება ამა თუ იმ ერის სულში, ცხოვრებასა და სამუშაოში ღრმად ვერ დამკვიდრდება. შესაბამისად, უკვე ეკლესიის დაარსებისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქრისტიანულ საერო საზოგადოებას, რომელმაც სიმნიფეს უნდა მიაღწიოს.

ერთგული საერონი მთლიანად მიეკუთვნებიან ღმრთის ერსაც და სამოქალაქო

57 შდრ. CONC. VAT. II, Decr. de Presbytererom ministerio et vita, n. 10, სადაც სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის საგანგებო სამღვდლო მუშაობის გაადვილების მიზნით გათვალისწინებულია პერსონალური პრელატურების ჩამოყალიბება, იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მოციქულობის სწორი განხორციელება.

საზოგადოებასაც. ისინი ეკუთვნიან იმ ხალხს, რომელთა შორისაც დაიბადნენ და რომლის კულტურული მემკვიდრეობის გაზიარება განათლების მიღებით დაიწყეს. მის ცხოვრებასთან ისინი მრავალგვარი სოციალური კავშირით ურთიერთობენ, მის პროგრესს ისინი საკუთარი პროფესიული ძალისხმევით უწყობენ ხელს, მის პრობლემებს ისინი როგორც საკუთარს განიცდიან და მათ გადაჭრას ცდილობენ. ისინი ქრისტესაც ეკუთვნიან, იმიტომ რომ ისინი აღორძინებულნი არიან ეკლესიაში სარწმუნოებისა და ნათლობის მეშვეობით, რათა ცხოვრებისა და საქმის სიახლით, ქრისტესნი იყვნენ (შდრ. I კორ. 15, 23), რომ ქრისტეში ყველაფერი ღმერთს დაემორჩილოს, “რათა იყოს ღმერთი ყოველად ყოველსა შინა” (I კორ. 15, 28).

მათი უპირველესი მოვალეობა, კაცებისაც და ქალებისაც, არის ქრისტეს მონაწილეობა, რასაც ისინი უნდა აკეთებდნენ ცხოვრებითა და საქმით ოჯახში, თავის სოციალურ ჯგუფსა და პროფესიულ გარემოში. მათში უნდა წარმოჩნდეს ახალი ადამიანი, რომელიც ღმრთის მიხედვით არის შექმნილი “სიმართლითა და სინამდითა ჭეშმარიტებისათა” (ეფეს. 4, 24). ცხოვრების ეს სიახლე მათ უნდა გამოხატონ სამშობლოს სოციალურ და კულტურულ გარემოში, თავისი ერის ტრადიციათა შესაბამისად. მათ უნდა იცოდნენ ეს კულტურა, ისინი უნდა განწმენდნენ მას და ინახავდნენ, განავითარებდნენ მას უახლესი ვითარების მიხედვით, და ბოლოს, უნდა სრულყოფდნენ მას ქრისტეში, რათა ქრისტეს რწმენა და ეკლესიის ცხოვრება უცხო აღარ იყოს იმ საზოგადოებისთვის, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, და მათ მათ მისი გამსჭვალვა და გარდაქმნა დაიწყონ. ისინი უნდა გაერთიანდნენ თავის თანამოქალაქეებთან გულწრფელი სიყვარულით და მათ ურთიერთობაში უნდა გამოვლინდეს ქრისტეს საიდუმლოებიდან შექმნილი საყოველთაო ერთობისა და სოლიდარობის ახალი კავშირი. მათ ქრისტეს რწმენა იმათ შორისაც უნდა გაავრცელონ, ვისთანაც მათ ცხოვრება და პროფესია აკავშირებს. ეს ვალდებულება იმიტომ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ბევრ ადამიანს სახარების მოსმენა და ქრისტეს შეცნობა მხოლოდ ახლობელ საერო პირთა დახმარებით შეუძლია. იქ, სადაც ეს შეიძლება, საერო პირები უნდა მზად იყვნენ, იერარქიასთან უშუალო ურთიერთობით შეასრულონ საგანგებო მისია სახარების საუნეებლად და ქრისტიანული მოძღვრების გადასაცემად, რათა ახლადაღორძინებულ ეკლესიას მეტი ძალა შეჰმატონ.

ეკლესიის მსახურნი დიდად უნდა აფასებდნენ საერო პირთა მოციქულობას. მათ უნდა აღზარდონ საერო პირები ისე, რომ მათ, როგორც ქრისტეს ასოებმა, გააცნობიერონ თავისი პასუხისმგებლობა სხვა ადამიანთა წინაშე. მათ საფუძვლიანად უნდა ასწავლონ ქრისტეს საიდუმლოება, გააცნონ პრაქტიკული მეთოდები და დაეხმარონ მათ სირთულეებში, თანახმად კონსტიტუციისა *Lumen Gentium* და დეკრეტისა *Apostolicam Actuositatem*.

მღვდელთა და საეროთა ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის დაცვის პირობებში, მთელი ახალი ეკლესია უნდა წარმოადგენდეს ქრისტეს ერთიან მონაწილას, ცოცხალსა და მყარს, რათა იყოს გამოხსნის ნათელი ნიშანი, რომელიც ჩვენთან ქრისტეში მოვიდა.

22. თესლი, რომელიც არის ღმრთის სიტყვა, კეთილ ნიადაგზე აღმოცენებული და საღმრთო ცვარით დანამული, ნესტს სისველეს, გარდაქმნის და ითავისებს მას, რათა ბოლოს დიდი ნაყოფი გამოიღოს. მართლაც, განხორციელების განგებულების მსგავსად (ad instar oeconomiae Incarnationis), ახალი ეკლესიები, ქრისტეში დამკვიდრებულნი და მოციქულთა საძირკველზე აშენებულნი, საკვირველი ურთიერთობის სახით ითვისებენ ერთა ყველა სიმდიდრეს, რომლებიც ქრისტეს მემკვიდრეობით ერგო (შდრ. ფს. 2, 8). თავის ერთა ზნე-ჩვეულებებიდან და ტრადიციებიდან, სიბრძნეიდან და მოძღვრებიდან, ხელოვნებათაგან და დისციპლინებიდან მათ უნდა აიღონ ყველაფერი, რაც ემსახურება შემოქმედის დიდებას, ცხადყოფს მაცხოვრის მადლს და ხელს უწყობს ქრისტიანული ცხოვრების სწორად მოწყობას.⁵⁸

ამ შედეგის მისაღწევად აუცილებელია, რომ ასე ვთქვათ, ყოველ დიდ სოციო-

58 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 13.

კულტურულ ტერიტორიაზე ისეთი თეოლოგიური აზრის განვითარებას შეენწყოს ხელი, რომელიც საყოველთაო ეკლესიის ტრადიციის ნათელში ახალი კვლევის საგნად გახდის ღმრთის მიერ გამოცხადებულ საქმეებსა და სიტყვებს, წმიდა წერილში აღბეჭდილსა და ეკლესიის მამებისა და მოძღვრობის მიერ განმარტებულს. ასე უფრო ნათელი გახდება, თუ რა გზებით შეიძლება სარწმუნოება, ფილოსოფიისა და სახალხო სიბრძნის გათვალისწინებით, შეესაბამებოდეს გონებას, და როგორ შეიძლება წეს-ჩვეულებები, ცხოვრებისადმი დამოკიდებულება და სოციალური წესი შეესაბამებოდეს ზნეობას, რომელსაც საღმრთო გამოცხადება გვამცნობს. ასე ქრისტიანული ცხოვრების მთელს სივრცეში გაიხსნება გზები, რომლებიც უფრო მეტი ადაპტაციის შესაძლებლობას მოგვცემს. ასეთი ქმედების შედეგად გამოირიცხება სინკრეტიზმისა და ტყუილი პარტიკულარიზმის ყოველგვარი სახეობა, ქრისტიანული ცხოვრება შეესაბამება თითოეული კულტურის ბუნებასა და თავისებურებას,⁵⁹ ხოლო ცალკეული ტრადიციები ხალხთა შესაბამისი ოჯახის თავისებურებებთან ერთად, სახარების შუქით გასხვივონებულნი, კათოლიკურ ერთიანობაში იქნებიან მიღებულინი. და ბოლოს, ახალი ცალკეული ეკლესიები, თავისი ტრადიციებით შემკულნი, თავის ადგილს დაიკავებენ საეკლესიო ურთიერთობაში. ამასთანავე ხელუხლებელი დარჩება პეტრეს კათედრის პირველობა, რომელიც სიყვარულის საყოველთაო ერთობას უძღვება.⁶⁰

ამგვარად, სასურველია, მეტიც: მიზანშეწონილია, რომ საეპისკოპოსო კონფერენციები ცალკეული დიდი სოციო-კულტურული ტერიტორიის საზღვრებში ისე გაერთიანდნენ, რომ ადაპტაციის ამ მიზანს ერთსულოვნად და შეთანხმებულად მისდიონ.

თავი IV მისიონერები

23. თუმცა სარწმუნოების გავრცელება ქრისტეს ყველა მონაფეს ეკისრება,⁶¹ უფალი ქრისტე მონაფეთა რიცხვიდან ყოველთვის მოუწოდებს მათ, ვინც თავად სურს, რათა ისინი იყვნენ მასთან ერთად და რათა წარავლინოს ისინი ხალხებთან ქადაგებისთვის (შდრ. მარკ. 3, 13). სული წმიდის მეშვეობით, რომელიც ქარიზმებს სარგებლობისთვის ანაწილებს, ვითარცა ჰნებავს (1კორ. 12, 11), ის მისიონერულ მოწოდებას ცალკეულ გულში შთააგონებს და, ამასთანავე, ააღორძინებს ეკლესიაში ინსტიტუტებს.⁶² ისინი თავის მოვალეობად აღიქვამენ ევანგელიზაციის ფუნქციას, რომელიც მთელი ეკლესიის საქმეა.

განსაკუთრებული მოწოდებით ისინი არიან აღბეჭდილნი, ვინც დაჯილდოვებულია შესაბამისი ბუნებრივი თავისებურებით, და თავისი ნიჭებითა და გონიერებით მზად არის, იკისროს მისიონერული საქმე,⁶³ იქნებიან ისინი ადგილობრივი მკვიდრნი თუ უცხოელები: მღვდელმსახურნი, მონესენი, საერონი. კანონიერი ხელისუფლების მიერ მივლენილნი, ისინი რწმენითა და მორჩილებით მიდიან მათთან, ვინც შორს არის ქრისტესგან, გამიჯნულნი საქმისათვის, რომლისთვისაც არიან რჩეულნი (შდრ. საქმე 13, 2), როგორც მსახურნი სახარებისა, “რათა იყოს მსხუერპლი იგი წარმართთაჲ შეწირულ და განწმედილ სულითა წმიდითა” (რომ. 15, 16).

24. ხოლო ღმრთის მოწოდებას ადამიანი მართლაც ისე უნდა პასუხობდეს, რომ ხორცისა და სისხლის დაუკითხავად (შდრ. გალ. 1, 16) თავი მთლიანად სახარების საქმეს მიუძღვნას. ხოლო ასეთი პასუხის გაცემა შეუძლებელია სული წმიდის შთა-

59 შდრ. PAULUS VI, allocutio in canonisatione SS: Mart. Ugandens: AAS 56 (1964), p. 908.

60 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 13.

61 CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesi*, n. 17.

62 „ინსტიტუტები“ იწოდება ის ორდენები, კონგრეგაციები, ინსტიტუტები და ასოციაციები, რომლებიც მისიებში მუშაობენ.

63 შდრ. PIUS XI, encycl. *Rerum Ecclesiae*: AAS 18 (1926), pp. 69-71. – PIUS XII, encycl. *Saeculo exeunte*: AAS 32 (1940), p. 256. – ID., encycl. *Evangelii praecones*: AAS 43 (1951), p. 506.

გონებისა და სიმტკიცის გარეშე. იგი, მოვლინებული, ხომ მის ცხოვრებასა და მისიაში შემოდის, რომელმაც “თავი თუკი დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო” (ფილ. 2, 7). ამიტომ ის უნდა მზად იყოს მთელი ცხოვრება თავისი მოწოდების სიმაღლეზე იდგეს, უარყოს საკუთარი თავი და ყველაფერი, რაც აქამდე ჰქონდა, და ყველასთვის ყოველივედ შეიქმნეს (შდრ. 1კორ. 9, 22).

ხალხთა შორის სახარების ქადაგებისას მან მგზნებარედ უნდა აუწყოს ქრისტეს საიდუმლოება, რომლისთვისაც ის მაცნეს მოვალეობას ასრულებს. ამასთანავე, მას უნდა ჰქონდეს ქრისტესმიერი გამბედაობა (*ita ut in Ipso audeat*), რათა ილაპარაკოს ისე, როგორც საჭიროა (შდრ. ეფეს. 6, 19; საქმე 4, 31) და არ შერცხვეს ხიბლისა (scandalum). იგი უნდა მისდევდეს თავისი მოძღვრის, გულთ კეთილისა და მდაბლის, კვალს, და დაამტკიცოს, რომ მისი უღელი ტკიბილია, ხოლო ტვირთი მსუბუქია (მათ. 11, 29-30). ჭეშმარიტად ევანგელური ცხოვრებით,⁶⁴ დიდი მოთმინებით, სულგრძელებით, სიტკბოთი, არაპირფერული სიყვარულით (შდრ. 2კორ. 6, 4) ის უნდა მონაშობდეს თავისი უფლისთვის, და, თუ აუცილებელია, მისთვის სისხლიც დაღვაროს. ის გამოითხოვს ღმრთისაგან ძალასა და სიმტკიცეს, რათა მრავალი განსაცდელისა და უდიდესი სიღატაკის მძაფრ გამოცდაში სიხარულის სიუხვე შეიძინოს (შდრ. 2კორ. 8, 2). ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მორჩილება ქრისტეს მსახურის განსაკუთრებული სათნოებაა. ქრისტემ ხომ მორჩილებით გამოისყიდა კაცობრიობა.

სახარების მქადაგებლებმა, რათა არ უგულუბელყონ მაღლი, რომელიც მათშია, დღითი დღე თავისი გონების სულით უნდა განახლდნენ (შდრ. 1ტიმ. 4, 14; ეფეს. 4, 23; 2 კორ. 4, 16). ორდინარიუსებმა და ზემდგომებმა (Superiores) დადგენილ დროს უნდა შეკრიბონ მისიონერები, რათა ისინი განმტკიცდნენ მოწოდების იმედითა და განახლდნენ სამოციქულო მსახურებაში. ამისათვის სპეციალური სახლებიც შეიძლება დაფუძნეს.

25. ასეთი შესანიშნავი საქმისთვის მომავალი მისიონერი სულიერად და ზნეობრივად უნდა მოემზადოს.⁶⁵ ის უნდა მზად იყოს ინიციატივისთვის, მედგრად მიიყვანოს საქმე ბოლომდე, იყოს მტკიცე გასაჭირში. მას მოთმინებით და სულის სიმტკიცით უნდა შეეძლოს მარტოობის, დაღლილობის, უნაყოფო შრომის ატანა. ადამიანებს ის გახსნილი გონებითა და გაშლილი გულით უნდა დაუხვდეს. მისთვის მინდობილი მოვალეობა მან სიამოვნებით უნდა იტვირთოს. ის კეთილშობილურად უნდა შეეწყოს უცხო ხალხების წეს-ჩვეულებებს და სხვადასხვაგვარ პირობებს. ერთსულოვანი თანხმობითა და ურთიერთსიყვარულის საფუძველზე მან საერთო საქმე უნდა აკეთოს თავის ძმებთან და ყველასთან ერთად, ვინც იმავე საქმეს მიუძღვნა თავი, რათა სამოციქულო საკრებულოს მსგავსად, ის სულითა და გულით ერთგულებთან ერთად იყოს (შდრ. საქმე 2, 42; 4, 32).

სულის ასეთი განწყობა მომზადების პერიოდშივე გულმოდგინედ უნდა იწოდებოდეს და ვითარდებოდეს. მას სულიერი ცხოვრება უნდა აღამაღლებდეს და ასაზრდოებდეს. ცოცხალი რწმენითა და ურყევი იმედით გამსჭვალული, მისიონერი ლოცვის კაცი უნდა იყოს. ის უნდა აღგზნებული იყოს ძლიერების, სიყვარულისა და სინმიდის სულით (შდრ. 2 ტიმ. 1, 7). მან უნდა ისწავლოს იმით დაკმაყოფილება, რაც აქვს (შდრ. ფილ. 4, 11). მსხვერპლის სულის მეშვეობით მან თავის თავში უნდა ატაროს იესოს სიკვდილი, რათა იესოს ცხოვრება მოქმედებდეს მათში, ვისთანაც ის იქნა მივლენილი (შდრ. 2კორ. 4, 10-12). სულებისთვის ზრუნვაში ის მზად უნდა იყოს, ყველაფერი გაიღოს და საკუთარი თავიც გაიღოს სულებისათვის (შდრ. 2კორ. 12, 15), იქამდე, რომ თავისი მსახურების ყოველდღიური აღსრულებით ის ღმრთისა და

64 შდრ. BENEDICTUS XV, encycl. *Maximum illud*: AAS 11 (1919), pp. 449-450.

65 შდრ. BENEDICTUS XV, encycl. *Maximum illud*: AAS 11 (1919), pp. 448-449. – PIUS XII, encycl. *Evangelii praecones*: AAS 43 (1951), p. 507. – მღვდელმსახურ მისიონერთა მომზადებისას იხივ ცასათვალისინებელია, რაც დადგინდა დეკრეტში *de Institutione sacerdotali* Conc. Vat. II.

მოყვასის სიყვარულში უნდა გადაიზარდოს⁶⁶. ასე, ქრისტესთან ერთად მამის ნების მორჩილი, ის მის მისიას ეკლესიის იერარქიული ხელისუფლების ხელმძღვანელობით განაგრძობს და ხელს შეუწყობს გამოხსნის საიდუმლოებას.

26. ისინი, ვინც სხვადასხვა ხალხებთან იქნება მივლინებული, როგორც ქრისტეს კეთილი მსახური, უნდა საზრდოობდნენ “სიტყვითა სარწმუნოებისათა და კეთილთა მოძღვრებითა” (1 ტიმ. 4, 6). მას, უპირველეს ყოვლისა, წმიდა წერილიდან აიღებენ და გამოიკვლევენ ქრისტეს საიდუმლოებას, რომლის მქადაგებლები და მოწმეებიც იქნებიან.

ამიტომ ყველა მისიონერმა – მღვდელმსახურებმა, ძმებმა, დებმა, საერო პირებმა – უნდა ისეთი მომზადება და აღზრდა გაიაროს, რომელიც თითოეული მათგანის მდგომარეობას შეესაბამება, რათა შეუფერებელი არ აღმოჩნდნენ იმ მოთხოვნებისთვის, რომელსაც მათ მომავალი საქმე წარუყენებს.⁶⁷ თავიდანვე მათი სამოძღვრო განათლება ისე უნდა წარიმართოს, რომ ის ეკლესიის საყოველთაობასაც და ხალხთა მრავალფეროვნებასაც ითვალისწინებდეს. ეს ეხება ყველა დისციპლინას, რომელთა მეშვეობით ისინი მსახურებისთვის ემზადებიან, აგრეთვე სხვა მეცნიერებებს, რომელთა შესწავლა მათთვის სასარგებლო იქნება, რათა ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეთ ერების, კულტურების, რელიგიათა შესახებ, არა მარტო წარსულის, არამედ აწმყოსიც. ის, ვინც სხვა ერთან უნდა მივიდეს, დიდად პატივი უნდა სცეს მის სამშობლოს, ენებსა და ზნე-ჩვეულებებს. მომავალი მისიონერი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩაუღრმავდეს მისიოლოგიის შესწავლას, ანუ ჩასწავდეს ეკლესიის იმ მოძღვრებასა და ნორმებს, რომლებიც მისიონერულ აქტიურობას შეეხება, იცოდეს გზები, რომლებსაც საუკუნეთა განმავლობაში მიჰყვებოდნენ სახარების მაცნეები, აგრეთვე იცოდეს მისიათა აწმყო მდგომარეობა და მეთოდები, რომლებიც ამჟამად ყველაზე უფრო ეფექტურად მიიჩნევა.⁶⁸

ეს ყოველმხრივი განათლება უნდა გამსჭვალული იყოს სამღვდლო მზრუნველობით. ამავე დროს, საჭიროა საგანგებო და მიზანდასახული სამოციქულო მომზადება, რომელიც მოიცავს როგორც სამოძღვრო, ასევე პრაქტიკულ წვრთნას.⁶⁹

მაქსიმალურად ბევრ ძმასა და დას უნდა მივცეთ განათლება კატეხიზაციის ხელოვნებაში, და ისე მოვამზადოთ ისინი, რომ მათ უკეთესად შეძლონ თანამშრომლობა მოციქულობაში.

მათაც კი, ვინც დროებით იღებს მონაწილეობას მისიონერულ საქმეში, თავისი მდგომარეობის შესაფერისი განათლება უნდა მიიღონ.

განათლების ეს ფორმები ისე უნდა შეივსოს იმ ქვეყნებში, სადაც მათი მივლინება ხდება, რომ მისიონერები უფრო ფართოდ გაეცნონ ისტორიას, სოციალურ სტრუქტურასა და ხალხთა ჩვეულებებს, ჩასწავდნენ ზნეობრივ და რელიგიურ წესებს, აგრეთვე იმ დაფარულ აზრებს, რომლებიც მათ თავისი წმიდა ტრადიციების შესაბამისად ღმრთის, სამყაროსა და ადამიანის შესახებ შეიმუშავეს.⁷⁰ მათ ენები იმ დონემდე უნდა შეისწავლონ, რომ შეეძლოთ მათი თავისუფლად და სწორად გამოყენება, და ასე უფრო ადვილად მიუდგნენ ადამიანთა გონებასა და გულს.⁷¹ გარდა ამისა, ისინი სათანადოდ უნდა გაეცნონ ადგილობრივი სამღვდლო მოთხოვნილებების თავისებურებებს.

66 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 41.

67 შდრ. BENEDICTUS XV, encycl. *Maximum illud*: AAS 11 (1919), p. 440. – PIUS XII, encycl. *Evangelii praecones*: AAS 43 (1951), p. 507.

68 BENEDICTUS XV, encycl. *Maximum illud*: AAS 11 (1919), p. 448. – S.C. DE PROPAGANDA FIDE, decr. 20 maii 1923: AAS 15 (1923), pp. 369-370. – PIUS XII, encycl. *Saeculo exeunte*: AAS 32 (1940), p. 256. – ID., encycl. *Evangelii praecones*: AAS 43 (1951), p. 507. – IOANNES XXIII, encycl. *Princeps pastorum*: AAS 51 (1959), pp. 843-844.

69 CONC. VAT. II, Decr. *de Institutione sacerdotali*, n. 19-21. – Const. apost. *Sedes Sapientiae cum Statutibus generalibus*.

70 PIUS XII, encycl. *Evangelii praecones*: AAS 43 (1951), pp. 523-424.

71 BENEDICTUS XV, encycl. *Maximum illud*: AAS 11 (1919), p. 448. – PIUS, encycl. *Evangelii praecones*: AAS 43 (1951), p. 507.

ზოგიერთი მათგანი უფრო ღრმად უნდა მოემზადოს მისიოლოგიურ ინსტიტუტებსა და სხვა ფაკულტეტებსა თუ უნივერსიტეტებში, რათა უფრო წარმატებით შეასრულოს სპეციალური მოვალეობები⁷² და თავისი ერუდიციით სხვა მისიონერებს დაეხმაროს მისიონერული საქმის აღსრულებაში, რომელიც განსაკუთრებით ჩვენს დროში ამდენი სირთულე და უპირატესობა ახასიათებს. გარდა ამისა, ძალზე სასურველია, რომ ეპისკოპოსთა რეგიონალურ კონფერენციებს საკმარისი ოდენობით გამოცდილი სპეციალისტი ჰყავდეს და მათ შეეძლოთ მათი ცოდნისა და გამოცდილების ნაყოფიერად გამოყენება თავისი ფუნქციის მოთხოვნილებათა შეაბამისად. არ უნდა განვიციდით იმ ხალხის ნაკლებობაც, ვისაც სრულყოფილად შეუძლია ტექნიკისა და მასიური კომუნიკაციის საშუალებათა გამოყენება, რომელთა მნიშვნელობა ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

27. ყოველივე ეს სრულიად აუცილებელია თითოეული ადამიანისათვის, რომელიც ამა თუ იმ ხალხთან არის მივლინებული. მაგრამ ცალკეული ინდივიდი ამას ვერ განახორციელებს. თავად მისიონერულ საქმეს, როგორც გამოცდილება აჩვენებს, ცალკეული პირი ვერ შეასრულებს. ამიტომ საერთო მონოღებამ ცალკეული პირები გააერთიანა ინსტიტუტებში, სადაც შეერთებული ძალებით ისინი შესაბამის განათლებას მიიღებენ და ამ საქმეს ეკლესიის სახელით და იერარქიული ხელისუფლების ნებით აღასრულებენ. უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში ეს ინსტიტუტები იტანდნენ კლიმატურ სირთულეებს. ისინი მისიონერულ საქმეს თავს მთლიანად ან ნაწილობრივ უძღვნიდნენ. ხშირად წმიდა საყდარი მათ ევანგელიზაციისთვის დიდ ტერიტორიებს აბარებდა, სადაც ისინი ღმრთისათვის ახალ ერს კრებდნენ, - ადგილობრივ ეკლესიას, რომელიც თავის მღვდლებს მიჰყვება. ეკლესიები, რომლებიც მათ თავისი ოფლით, მეტიც: სისხლით დააფუძნეს, მონდომებითა და გამოცდილებით მოემსახურებიან ძმური თაამშრომლობის საფუძველზე, ან სულთათვის ზრუნვით, ან საერთო კეთილდღეობისათვის განკუთვნილი სპეციალური ფუნქციის შესრულებით.

ზოგჯერ ისინი თავის თავზე აიღებენ რეგიონისთვის ყველაზე უფრო გადაუდებელ სამუშაოს, მაგალითად, იმ ჯგუფებისა თუ ერების ევანგელიზაციას, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ევანგელური უწყება ჯერ არ მიუღიათ ან მას ჯერ კიდევ ეწინააღმდეგებიან.⁷³

საჭიროების შემთხვევაში ისინი მზად უნდა იყვნენ, თავისი გამოცდილებით აღზარდონ და დაეხმარონ მათ, ვინც მისიონერულ მოღვაწეობას დროებით თავს უძღვნიის.

ამ მიზეზთა გამო, აგრეთვე იმიტომ, რომ აქამდე არსებობს მრავალი ხალხები, რომლებიც ქრისტესთან უნდა მივიყვანოთ, ეს ინსტიტუტები სრულიად აუცილებელია.

თავი V მისიონერული მოღვაწეობის ორგანიზაცია

28. ქრისტეს ერთგულებს სხვადასხვა ნიჭები აქვთ (შდრ. რომ. 12, 6). მათ თავისი შესაძლებლობის, საშუალების, ქარიზმისა და მსახურების შესაბამისად (შდრ. 1 კორ. 3, 10) სახარებაში უნდა ითანამშრომლონ. ამიტომ ყველანი, ვინც თესავს და ვინც იმკის (შდრ. იოან. 4, 37), ვინც რგავს და ვინც რწყავს, ერიანნი უნდა იყვნენ (შდრ. 1 კორ. 3, 8), რათა “ნებაყოფლობით და წესისამებრ ერთი მიზნისკენ მიისწრაფოდნენ”⁷⁴ და ერთსულოვნად იღვანონ ეკლესიის მშენებლობისთვის.

72 შდრ. PIUS XII, *encycl. Fidei donum*: AAS 49 (1957), p. 234.

73 შდრ. CONC. VAT. II, *Decr. de Presbyterorum ministerio et vita*, n. 10, სადაც ლაპარაკია დიოცეზების, პერსონალური პრელატურებისა და სხვა ამგვარის შესახებ.

74 შდრ. CONC. VAT. II, *Const. dogm. de Ecclesia*, n. 18.

ამიტომ სახარების მქადაგებლების შრომა და ქრისტეს სხვა ერთგულების დახმარება ისე უნდა წარმართოს და გაერთიანდეს, რომ მისიონერული მოღვაწეობისა და თანამშრომლობის ყველა სფეროში “ყოველივე შეუნიერება და წესიერად იქმნებოდენ”.

29. მთელს დედამიწაზე სახარების უწყებისათვის ზრუნვა, უპირველეს ყოვლისა, ეპისკოპოსთა მთელს კორპუსს ეკისრება.⁷⁵ ამიტომ ეპისკოპოსთასინოდი ანუ “ეპისკოპოსთა მუდმივი საბჭო საყოველთაო ეკლესიისთვის”,⁷⁶ საზოგადოდ მნიშვნელოვან საქმეებთან ერთად,⁷⁷ განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს მისიონერულ მოღვაწეობას, რომელიც ეკლესიის უდიდეს და უწმიდეს ფუნქციას წარმოადგენს.⁷⁸

ყველა მისიისა და მთელი მისიონერული მოღვაწეობისათვის უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი უფლებამოსილი — კერძოდ, “სარწმუნოების პროპაგანდის” დიკასტერიუმი, რომელმაც მთელს მსოფლიოში უნდა უხელმძღვანელოს და კოორდინაცია გაუწიოს თავად მისიონერულ საქმეს და მისიონერულ თანამშრომლობას, აღმოსავლური ეკლესიების უფლების დაცვით.⁷⁹

თუმცა სული წმიდა მრავალგვარად აღძრავს მისიონერულ სულს ღმრთის ეკლესიაში და ხშირად წინასწარ ჭვრეტს მათ მოქმედებას, ვინც ეკლესიის ცხოვრება უნდა მართოს, მაინც ამ დიკასტერიუმმაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს მისიონერულ მოწოდებასა და სულიერობას, სწრაფვას მისიონერული მოღვაწეობისკენ და მისთვის ლოცვას, აგრეთვე წარმოადგინოს მათ შესახებ ჭეშმარიტი და ადეკვატური ცნობები. მან უნდა მიავლინოს და რეგიონთა საჭირობოროტო მოთხოვნის შესაბამისად გაანალიზოს მისიონერები. მან უნდა შეიმუშავოს მოქმედების მწყობრი გეგმა, გამოსცეს სახელმძღვანელო ნორმები და ევანგელიზაციასთან შეხამებული პრინციპები; იმპულსები მისგან უნდა მოდიოდეს. მან უნდა წამოიწყოს და თავი მოუყაროს სხვადასხვა სახის დახმარებას, რომელიც უნდა განაწილდეს საჭიროებისა და მოხმარების შესაბამისად, აგრეთვე ტერიტორიის სიდიდის თანახმად, ერთგულთა და არაერთგულთა რიცხვის მიხედვით საქმეთა და ინსტიტუციათა მიხედვით, აგრეთვე მსახურებისა და მისიონერების შესაბამისად.

ქრისტიანთა ერთიანობის ხელშეწყობისთვის არსებულ სეკრეტარიატთან ერთად მან უნდა მოძებნოს გზები და საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს და მოაწესრიგებს ძმურ თანამშრომლობას, აგრეთვე კეთილ ურთიერთობას სხვა ქრისტიანული მისიურ წამოწყებებთან, რათა შეძლებისდაგვარად თავიდან იქნას აცილებული განყოფის საფრთხე.

ამგვარად, აუცილებელია, რომ ეს დიკასტერიუმი იყოს როგორც ადმინისტრაციული საშუალება, ასევე დინამიური მართვის ორგანო, რომელიც სარგებლობს სამეცნიერო მეთოდებითა და თანამედროვე ვითარებისადმი მისადაგებული საშუალებებით, ითვალისწინებს დღევანდელ თეოლოგიურ, მეთოდოლოგიურ და სამღვდლო-მისიონერულ კვლევებს.

ამ დიკასტერიუმის მართვაში აქტიურ მონაწილეობა, გადამწყვეტი ხმის უფლებით, უნდა მიიღონ იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც არჩეულნი იქნებიან ყველა იმ პირთა შორის, ვინც მისიონერულ საქმეში თანამშრომლობს: ეპისკოპოსები მთელი მსოფლიოდან, საეპისკოპოსო კონფერენციების გათვალისწინებით, აგრეთვე ინსტიტუტებისა და პაპის საქმეების ხელმძღვანელები, რომის პონტიფიკატის მიერ დადგენილი მეთოდებითა და კრიტერიუმების თანახმად. ისინი ყველანი უნდა შეიკრი-

75 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 23.

76 შდრ. Motu proprio *Apostolica Sollicitudo*, 15 sept. 1965.

77 შდრ. PAULUS VI, allocutio die 21 nov. 1964 in Concilio habita: AAS 56 (1964).

78 შდრ. BENEDICTUS XV, encycl. *Maximum illud*: AAS 11 (1919), pp. 39-40.

79 თუ სხვადასხვა მიზეზების გამო ზოგიერთი მისია ჯერ კიდევ დროებით ემორჩილება სხვა დიკასტერიუმებს, ამიტომ მიზანშეწონილია, რომ ამ დიკასტერიუმებს კავშირი ჰქონდეს პროპაგანდის წმ. კონგრეგაციასთან, რათა ყველა მისიის ორგანიზაციასა და მართვაში შეგვეძლოს დავიცვათ სრულიად მუდმივი და ერთგვაროვანი მეთოდი.

ბონ დადგენილ დროს და უზენაესი პონტიფექსის ხელმძღვანელობით აღასრულონ მთელი მისიონერული საქმის უმთავრესი ორგანიზაცია.

ამ დიკასტერიუმს მუდამ სათავეში უნდა ედგას გამოცდილ კონსულტანტთა ჯგუფი, რომელთა ცოდნა და გამოცდილება უდაოა. სხვათა და სხვათა შორის, მათი მოვალეობა იქნება სხვადასხვა ლოკალურ რეგიონში გარემოებებისა და ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფში არსებული შეხედულებების, აგრეთვე ევანგელიზაციის მეთოდების გამოყენების შესახებ ცნობების შეგროვება. გარდა ამისა, მათ უნდა წარმოადგინონ მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები მისიონერული საქმისა და თანამშრომლობის შესახებ.

აგრეთვე სათანადოდ უნდა იყოს წარმოდგენილი მონესე ქალთა ინსტიტუტები, რეგიონალური საქმეები მისიებისა და საერო პირთა ორგანიზაციები, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო.

30. იმისათვის, რათა მისიონერულ საქმეში მიზანი და შედეგი მიღწეული იყოს, ყველასთვის, ვინც მისიონერული მოღვაწეობის სფეროში მუშაობს, “გული და გონება ერთ” უნდა ჰქონდეს (საქმე 4, 32).

ეპისკოპოსის (იგი არის რექტორი და დიოცეზურ სამოციქულოში ერთიანობის ცენტრი) საქმეა, ხელი შეუწყოს, წარმართოს და კოორდინაცია გაუწიოს მისიონერულ მოღვაწეობას, ისე, რომ მათი უშუალო წამოწყებები, ვინც საქმეში მონაწილეობს, დაცული იყოს და ვითარდებოდეს. ყველა მისიონერი, მათ შორის მონესეები (*exemptis*), ექვემდებარებიან მის ძალაუფლებას სხვადასხვა საქმეებში, რომლებიც წმიდა მოციქულობის განხორციელებას ეხება.⁸⁰ უკეთესი კოორდინაციისთვის, ეპისკოპოსებმა შეძლებისდაგვარად უნდა დაანესონ სამღვდლო საბჭო, რომელშიც სამღვდლოება, მონესეები და საერონი რჩეული დელეგატების მეშვეობით მიიღებენ მონაწილეობას. გარდა ამისა, ეპისკოპოსმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ სამოციქულო მოღვაწეობა არ ამოიწუროს მხოლოდ მოქცეულებით: თანამშრომელთა და საშუალებათა ასეთივე ოდენობა არაქრისტიანთა ევანგელიზაციისთვის უნდა იყოს განკუთვნილი.

31. საეპისკოპოსო კონფერენციების ამოცანას წარმოადგენს საერთო თანხმობის საფუძველზე უმთავრესი პრობლემებისა და განსაკუთრებით აუცილებელი პრობლემების მიმოხილვა, და, ამასთანავე, ადგილობრივი განსხვავებების გათვალისწინება.⁸¹ იმისათვის, რომ არ გაიფანტოს ადამიანთა და სახსართა არასაკმარისი ოდენობა, რათა არ მოხდეს – თუ ეს აუცილებელი არ არის – წამოწყებათა რიცხვის ზრდა, სასურველია, ერთობლივი ძალებით ისეთი საქმეების გაკეთება, რომლებიც საყოველთაო კეთილდღეობას ემსახურება, როგორც არის, მაგალითად, სემინარიები, უმაღლესი და ტექნიკური სკოლები, სამღვდლო, კატეხეტიური, ლიტურგიული და აგრეთვე სოციალური ურთიერთობის საშუალებები.

ასეთი სახის თანამშრომლობა საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა სახის საეპისკოპოსო კონფერენციებს შორისაც უნდა ჩამოყალიბდეს.

32. სასრგებლოა აგრეთვე იმ მოღვაწეობის კოორდინაცია, რომელიც საეკლესიო ინსტიტუტებისა თუ ასოციაციების მიერ სრულდება. ისინი ყველა, როგორც სახისაც არ უნდა იყვნენ, ყველაფერში, რაც მისიონერულ მოღვაწეობას ეხება, უნდა დაექვემდებარონ ადგილობრივ ორდინარიუსს. ამიტომ დიდად სასარგებლო იქნება აქრეთვე ცალკეული შეთანხმებების განხორციელება, რომელთა მეშვეობით განისაზღვრება მიმართებები ადგილობრივ ორდინარიუსსა და ინსტიტუტის ხელმძღვანელს შორის.

როდესაც ინსტიტუტს გარკვეული ტერიტორია აქვს მინდობილი, მაშინ საეკლესიო ზედამხედველსა (*Superiori*) და ინსტიტუტს სურვილი ექნებათ, ყველაფერი ისე

80 შდრ. CONC. VAT. II, Decr. *de pastorali Episcoporum munere in Ecclesia*, n. 35, 4.

81 შდრ. იქვე, 36-38.

წარმართონ, რომ ახალი ქრისტიანული საკრებულო ადგილობრივ ეკლესიად გადაიზარდოს, რომელსაც სათანადო დროს წარმართავს მისი მღვდელი თავის სამღვდელოებასთან ერთად.

როდესაც ამოინურება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ინსტიტუტს მოცემული ტერიტორია ჰქონდა მინდობილი, ახალი ვითარება შეიქმნება. ასეთ დროს ეპისკოპოსთა კონფერენციებმა და ინსტიტუტებმა ერთობლივი შეთანხმებით უნდა დაანესოს ნორმები, რომლებიც ანესრიგებენ კავშირებს ადგილობრივ ორდინარიუსებსა და ინსტიტუტებს შორის.⁸² წმიდა საყდრის მოვალეობა იქნება ზოგადი პრინციპების შემუშავება, რომელთა შესაბამისად რეგიონალური და აგრეთვე კერძო შეთანხმებები განხორციელდება.

ინსტიტუტები მზად იქნებიან, გააგრძელონ დაწყებული საქმე და ითანამშრომლონ ორდინარიულ მსახურებასთან (Ministerio) სულთათვის ზრუნვის საქმეში. და მაინც, ადგილობრივი სამღვდლეობის მატებასთან ერთად, საჭიროა ყურადღების მიქცევა იმისათვის, რომ ინსტიტუტები, რამდენადაც ეს მათ მიზანს შეეფერება, დიოცეზის ერთგულები დარჩნენ და თავის თავზე აიღონ განსაკუთრებული საქმეებისათვის ან რომელიმე რეგიონისთვის ზრუნვა.

33. ინსტიტუტებმა, რომლებიც ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მისიონერული საქმეებით არიან დაკავებული, უნდა მოძებნონ გზები და საშუალებები, რომლებითაც თავის შრომას წარმართავენ. ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა მოწესე კაცების კონფერენციები და მოწესე ქალების კავშირები, რომლებშიც მონაწილეობას იღებს ერთი და იმავე ქვეყნისა თუ რეგიონის ყველა ინსტიტუტი. ამ კონფერენციებმა უნდა გამოიკვლიონ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ერთობლივი ძალებით. მათვე უნდა დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობა საეპისკოპოსო კონფერენციებთან.

ამავე მიზეზით ყოველივე ეს უნდა გავრცელდეს მისიონერული ინსტიტუტების თანამშრომლობაზე მათ მშობლიურ ქვეყნებში, რათა უფრო ადვილად და ნაკლებად პრობლემურად მოგვარდეს საერთო საკითხები და წამოწყებები, როგორცაა მომავლი მისიონერების სამოძღვრო (Doctrinalis) მომზადება, აგრეთვე კურსები მისიონერებისათვის, კავშირები საჯარო ხელისუფალთან ან საერთაშორისო ორგანოებთან.

34. მისიონერული მოღვაწეობის სწორი და გეგმაზომიერი შესრულებისთვის საჭიროა, რომ ევანგელური მუშაკები მეცნიერულად იყვნენ მომზადებულნი თავისი ფუნქციებისთვის, უპირველეს ყოვლისა, დიალოგისთვის ქრისტიანულ რელიგიებსა და კულტურებთან. ამ ფუნქციის შესრულებისას მათ ქმედითი დახმარება უნდა გაენიოს. ამიტომ სასურველია, რომ მისიათა სასიკეთოდ ძმურად და მეგობრულად თანამშრომლობდნენ ნებისმიერი ინსტიტუტები, რომლებიც მისიოლოგიით და სხვა – მისიებისთვის სასარგებლო - დისციპლინებით ან ხელოვნებებით არიან დაკავებული. ასეთია ეთნოლოგია და ლინგვისტიკა, ისტორია და რელიგიათმცოდნეობა, სოციოლოგია, სამღვდლო ხელოვნებანი და სხვა ამგვარი.

თავი VI თანამშრომლობა

35. მთელი ეკლესია მისიონერულია და ევანგელიზაციის საქმე ღმრთის ერის ძირითადი მოვალეობაა. ამიტომ წმიდა სინოდი მოუწოდებს ყველას შინაგანი ღრმა განახლებისკენ, რათა მათ ცოცხლად გააცნობიერონ თავისი პასუხისმგებლობა სახარების გავრცელების საქმეში და მისიონერულ მოღვაწეობაში ერთა წინაშე თავისი წილი საქმე იკისრონ.

36. როგორც ქრისტეს ცოცხალი ასოები, რომლებიც მისი სხეულის ნაწილებად იქცნენ ნათლობით, მირონცხებით და ექვარისტიით, ყველა ერთგული მისი სხეუ-

ლის გავრცელებისა და განვითარებისათვის უნდა თანამშრომლობდეს, რათა რაც შეიძლება სწრაფად მიიყვანოს ის სისრულემდე (ეფეს. 4, 13).

ეკლესიის ყველა შვილმა ცოცხლად უნდა გააცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა სამყაროს წინაშე, აღზარდოს თავის თავში ჭეშმარიტად კათოლიკური სული და თავისი ძალები მოახმაროს ევანგელიზაციის საქმეს. ამასთანავე, ყველამ უნდა იცოდეს, რომ მათი პირველი და ყველაზე მთავარი ამოცანა, რომელიც სარწმუნოების გავრცელებას ემსახურება, არის ღრმად ქრისტიანული ცხოვრებით ცხოვრება. ღმრთისადმი მათი მგზნებარე მსახურება და მოყვასის სიყვარული მთელს ეკლესიას ახალ სუნთქვას მოუტანს, რომელიც წარმოჩნდება როგორც ნიშანი, ერთთვის აღმართული (შდრ. ეს. 11, 12), “ნათელი სოფლისა” (მათ. 5, 14) და “მარილი ქუეყანისა” (მათ. 5, 13). ცხოვრების ეს მონაწილეობა უფრო ადვილად გამოიღებს შედეგს, თუ ის მოცემული იქნება სხვა ქრისტიანულ ჯგუფებთან ერთად, ეკუმენიზმის შესახებ დეკრეტის თანახმად.⁸³

ამ განახლებული სულიდან ერთგულები თავისი ნებით, ლოცვითა და მონანიების საქმეებით მივლენ ღმერთთან, რათა მან მისიონერთა საქმე თავისი მაღლით ნაყოფიერი გახადოს. გარდა ამისა, აღმოცენდება მისიონერული მონაწილეობები და შემოვსახსრები, რომლებიც მისიებისთვის არის საჭირო.

ქრისტეს ერთგულებმა – ყველამ ერთად და თითოეულმა ცალცალკე – ზუსტად უნდა იცოდნენ ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობა სამყაროში და ისმინონ მრავალთა შეძახილი: “შემენიე ჩუენ” (საქმე 16, 9). ამისთვის საჭიროა, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებათა გამოყენებითაც, ისეთი მისიონერული ინფორმაციის მონაწილეობა, რომ მათ გაითავისონ მისიონერული მოღვაწეობა და გულგანად იყვნენ ადამიანთა ძალზე დიდი და ღრმა მოთხოვნილებების მიმართ და მათთვის დახმარების განევა შეძლონ.

აუცილებელია აგრეთვე ინფორმაციის კოორდინაცია და ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

37. ღმრთის ერი ცხოვრობს საკრებულოებში, უპირველეს ყოვლისა, დიოცეზურსა და სამრევლოში, და გარკვეულწილად მათი სახით ხდება ხილული. ამიტომ ისინიც უნდა მონაწილეობდნენ ქრისტეს ხალხთა წინაშე.

განახლების მაღლი საკრებულოებში მხოლოდ მაშინ გაიზრდება, თუ თითოეული მათგანი თავისი სიყვარულის საზღვრებს მთელს დედამიწაზე განჰფენს და ისევე იზრუნებს მათთვის, ვინც მისგან შორს არის, როგორც ის მათთვის ზრუნავს, ვინც მისი წევრია.

ასე ლოცულობს მთელი საკრებულო, თანამშრომლობს და ხალხთა შორის მოღვაწეობს თავისი შვილების მეშვეობით, რომლებსაც ღმერთი ამ შესანიშნავი საქმიანათვის ირჩევს.

ძალზე სასარგებლო იქნება (თუ ამასთანავე არ უგულვებლევყოფთ საყოველთაო მისიონერულ საქმეს) კავშირის შენარჩუნება იმ მისიონერებთან, რომლებიც თავად საკრებულოდან არიან გამოსულნი, ან მისიების ამა თუ იმ საკრებულოსა თუ დიოცეზთან, რათა საკრებულოებს შორის კავშირი თვალნათლივ ჩანდეს და ურთიერთშენებას შეეწყოს ხელი.

38. ყველა ეპისკოპოსი არის ასო ეპისკოპოსთა სხეულისა, რომელიც, თავის მხრივ, მოციქულთა კოლეგიის მონაცვლეა. ეპისკოპოსთა ხელდასხმა ხდება არა ამა თუ იმ დიოცეზისთვის, არამედ მთელი ქვეყნის გამოსხნისათვის. ქრისტეს მცნება, რომელიც ყველა ქმნილებისათვის სახარების ქადაგებას გულისხმობს (მარკ. 16, 15), უპირველეს ყოვლისა და უშუალოდ მათ ეხება, პეტრესთან ერთად და პეტრეს მეთაურობით. ამის საფუძველზე ჩნდება ეკლესიათა ის ურთიერთობა და თანამშრომლობა, რომელიც დღეს ასე აუცილებელია ევანგელიზაციის საქმის გაგრძელებისთვის. ამ ურთიერთობის წყალობით თითოეული ეკლესია ზრუნავს ყვე-

83 შდრ. CONC. VAT. II, Decr. de Oecumenismo, n. 12.

ლა დანარჩენისთვის, ეკლესიები ერთმანეთს თავის პრობლემებს უმყლავნებენ და ერთმანეთს თავის სიმდიდრეს უზიარებენ, რადგან ქრისტეს სხეულის გავრცელება ეპისკოპოსთა მთელი კოლეგიის ფუნქცია არის.⁸⁴

თავის დიოცეზში, რომელთან ერთადაც ის ერთ მთელს წარმოადგენს, ეპისკოპოსი ხელს უწყობს მისიონერულ საქმეს, განავითარებს მას და ხელმძღვანელობს. ის ღმერთის ერის მისიონერულ სულსა და გულმხურვალეობას აქტუალურსა (*praesentem*) და ერთგვარად ხილულს ხდის, ისე, რომ მთელი დიოცეზი მისიონერული ხდება.

ეპისკოპოსმა თავის ერში, განსაკუთრებით სხნეულებსა და ტანჯულებში, ისეთი სულები (*animas*) უნდა აღძრას, რომლებიც ლოცვებსა და მონანიების საქმეებს ღმერთს სამყაროს გამოსხნისათვის ღია გულით მიუტანენ. ისინი საიმოვნებით ხელს შეუწყობენ ახალგაზრდებისა და სამღვდელოების მოწოდებას მისიონერულ ინსტიტუტებში, მადლიერნი იქნებიან, თუ ღმერთი აირჩევს ვინმეს ეკლესიის მისიონერულ საქმეში მონაწილეობისთვის, შეკრებენ დიოცეზურ კონგრეგაციებს და დაეხმარებიან მათ, რათა მონაწილეობა მიიღონ მისიებში, ხელს შეუწყობენ მისიონერულ ინსტიტუტებს თავის ერთგულთა შორის, განსაკუთრებით მისიონერულ პონტიფიკურ საქმეებს. ამ საქმეებს სამართლიანად ეკუთვნის პირველობა. ისინი საშუალებას წარმოადგენს იმისათვის, რომ კათოლიკეები ბავშვობიდან განიმსჭვალონ საყოველთაო და მისიონერული სულით, აგრეთვე იმისათვის, რომ მოხდეს საშუალებათა ეფექტური თავმოყრა ყველა მისიათა საკეთილდღეოდ, თითოეული მათგანის მოთხოვნილებათა შესაბამისად.⁸⁵

ყოველდღიურად სულ უფრო მეტად საჭირონი ხდებიან უფლის ვენახის მუშაკები, და დიოცეზურ მღვდელმსახურებს სურთ, თავადაც აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამყაროს ევანგელიზაციაში. ამიტომ წმიდა სინოდს იმედი აქვს, რომ ეპისკოპოსები გააცნობიერებენ მღვდელმსახურთა დიდ ნაკლებობას, რომელიც დიდად ხელს უშლის მრავალი რეგიონის ევანგელიზაციას და სათანადო მომზადების შემდეგ მიავლენენ ზოგიერთ თავის საუკეთესო მღვდელმსახურს, რომლებიც თავს მისიონერულ საქმეს უძღვნიან, იმ დიოცეზებში, სადაც სამღვდელოების ნაკლებობაა, რათა მათ თუნდაც დროებით მსახურების (*servitii*) სულით აღასრულონ მისიონერული მსახურება (*ministerium*).⁸⁶

იმისათვის, რომ ეპისკოპოსთა მისიონერული მოღვაწეობა მთელი ეკლესიის საკეთილდღეოდ უკეთესად განხორციელდეს, მიზანშეწონილია, რომ საეპისკოპოსო კონფერენციებმა მოაწესრიგონ საქმეები, რომლებიც საკუთარი რეგიონის გეგმაზომიერ თანამშრომლობას გულისხმობს.

თავის კონფერენციებზე ეპისკოპოსებმა უნდა განიხილონ დიოცეზური სამღვდელოების იმ მღვდელმსახურთა საკითხები, ვინც თავს ხალხთა ევანგელიზაციას უძღვნიან. მათ უნდა იმსჯელონ განსაზღვრული თანხის შესახებ, რომელიც თითოეულმა თავისი შემოსავლის შესაბამისად ყოველწლიურად უნდა შეიტანს მისიონერული საქმისთვის,⁸⁷ აგრეთვე იმაზე, თუ რა გზებითა და მეთოდებით მოხდეს იმ საშუალებების წარმართვა და ორგანიზაცია, რომლებიც უშუალოდ მისიათა დასახმარებლად არის მიმართული. მათ უნდა განსაზღვრონ, როგორ დაეხმარონ დიოცეზური სამღვდელოების მისიონერულ ინსტიტუტებსა და სემინარიებს, და საჭიროების შემთხვევაში, მათი დაარსების შესახებ. მათ უნდა იმსჯელონ ამ ინსტიტუტებსა და დიოცეზებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების განვითარების შესახებაც.

საეპისკოპოსო კონფერენციებმა საფუძველი უნდა ჩაუყარონ და ხელი შეუწყონ საქმეებს, რომელთა მეშვეობითაც ძმურად მიიღებენ და სამღვდლო მზრუნველობით დაეხმარებიან მათ, ვინც მუშაობისა და სწავლის გამო მისიონერული ქვეყნიდან ემიგრირებს. მათი წყალობით ხომ ერთმანეთისგან დაცილებული ადამიანები

84 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 23-24.

85 შდრ. BENEDICTUS XV, encycl. *Maximum illud*: AAS 11 (1919), pp. 453-454. – PIUS XI, encycl. *Rerum Ecclesiae*: AAS 18 (1926), pp. 71-73. – PIUS XII, encycl. *Evangelii praecones*: AAS 43 (1951), pp. 525-526. – ID., encycl. *Fidei donum*: AAS 49 (197), p. 241.

86 შდრ. PIUS XII, encycl. *fidei donum*: AAS 49 (1957), pp. 245-246.

87 CONC. VAT. II, Decr. de Pastoralis Episcoporum munere, n. 6.

გარკვეულნილად ერთმანეთის ახლობლები ხდებიან, ხოლო უძველესი დროიდან არსებულ ქრისტიანულ საკრებულოებს შესანიშნავი საშუალება ეძლევა დიალოგში შევიდნენ ერებთან, რომლებსაც სახარება ჯერ არ მიუღიათ, და მათ საკუთარი სიყვარულის მსახურებითა და დახმარებით ქრისტეს ჭეშმარიტი სახე აჩვენონ.⁸⁸

39. მღვდლები განასახარებენ ქრისტეს და საეპისკოპოსო ხარისხის თანამშრომლები არიან მის სამმაგ წმიდა მსახურებაში, რომელიც თავისი ბუნებით ეკლესიის მიხედვით განეკუთვნება.⁸⁹ ამიტომ მათ ღრმად უნდა გააცნობიერონ, რომ მათი ცხოვრება მისიათა მსახურებასაც (servitium) არის მიძღვნილი. თავისი საკუთარი მსახურებით (ministerium) – რაც, უპირველეს ყოვლისა, ევქარისტიამი მდგომარეობს, რომელიც ეკლესიას სრულყოფს – ისინი ურთიერთობენ ქრისტესთან – მეთავესთან და სხვებთან ამ ურთიერთობასთან მიჰყავთ. შეუძლებელია, ისინი არ გრძნობდნენ, რამდენი აკლია სხეულის სისრულეს და ამის გამო რამდენია კიდევ გასაკეთებელი, რომ ის დღითი დღე გაიზარდოს. ამიტომ თავისი სამღვდლო მზრუნველობა მათ ისე უნდა წარმართონ, რომ მან ხელი შეუწყოს არაქრისტიანთა შორის სახარების გავრცელებას.

სამღვდლო მზრუნველობაში მღვდლები ერთგულთა შორის აღძრავენ და დაიცავენ მისწრაფებას სამყაროს ევანგელიზაციისკენ. კატეხიზმოსა და ქადაგების გზით ისინი დაარიგებენ მათ ეკლესიის ფუნქციის შესახებ, რომელიც ხალხთათვის ქრისტეს უწყებაში მდგომარეობს. მათ უნდა ასწავლონ ქრისტიანულ ოჯახებს თავის შვილებში მისიონერული მოწოდებების აღზრდის აუცილებლობისა და პატივის შესახებ. კათოლიკური სკოლებისა და ასოციაციების ახალგაზრდათა შორის უნდა განვითარდეს მისიონერული სულისკვეთება, ისე, რომ მათგან სახარების მომავალი მქადაგებლები მივიდეთ. დაე, ერგულებმა ისწავლონ მისიებისთვის ლოცვა და არ შერცხვეთ მათ შესანიშნავი სთხოვონ: ისინი ხომ ერთგვარად მათხოვარნი ხდებიან ქრისტესა და სულთა გამოსხნისათვის.

სემინარიებისა და უნივერსიტეტების მასწავლებლები სტუდენტებს სამყაროსა და ეკლესიის ჭეშმარიტ მდგომარეობას აუხსნიან, რათა არაქრისტიანთა ევანგელიზაციის მზარდი აუცილებლობა მათთვის ნათელი გახდეს და მათი მისწრაფება ასაზრდოოს. დოგმატური, ბიბლიური, ზნეობრივი და ისტორიული დისციპლინების გადმოცემისას მათ შუქი უნდა მოჰფინონ მათში მოცემულ მისიონერულ შინაარსს, და ასე ჩამოაყალიბონ მისიონერული ცნობიერება მომავალ მღვდელმსახურებში.

40. როგორც მჭვრეტელობითი, ასევე ქმედითი ცხოვრების მოწესეთა ინსტიტუტები დღემდე უდიდეს მონანილეობას იღებდნენ და იღებენ სამყაროს ევანგელიზაციაში. წმიდა სინოდი სიხარულით აღიარებს მათ დამსახურებას და ღმერთს მადლობას ეუბნება ამდენი მსხვერპლისთვის, რომლებიც ღმრთის დიდებისა და სულთა მსახურებისთვის იქნა მოტანილი, და მათ მოუწოდებს, განუხრელად განაგრძონ დანებებული საქმე, რადგან მათ იციან სიყვარულის ძალა, რომელიც თავისი მოწოდების შესაბამისად სულ უფრო მეტად უნდა სრულყონ და რომელიც მათ ჭეშმარიტად კათოლიკური სულისკენ უბიძგებს და ასეთ ცხოვრებას ავალდებულებს.⁹⁰

მჭვრეტელობითი ცხოვრების ინსტიტუტები თავისი ლოცვებით, მონანიების საქმეებითა და განცდილი გაჭირვებით ძალზე მნიშვნელოვანი არის სულთა მოქცევის საქმეში, რადგან ეს თავად ღმერთი ის, ვინც საპასუხოდ მიაღწენს მუშაკებს თავის სამკალში (შდრ. მათ. 9, 38), განაღებს არაქრისტიანთა სულს სახარების მოსასმენად (შდრ. საქმე 16, 14) და მათ გულებში ასაზრდოებს გამოსხნის სიტყვას (შდრ. 1კორ. 3, 7). მეტიც: ამ ინსტიტუტებს სთხოვენ, სახლები დააფუძნონ მისიების ადგილას, რაც მრავალმა უკვე გააკეთა კიდევ, რათა იქ ადგილობრივი ხალხის ტრადიციის შესაბამისად იცხოვრონ და ღმრთის დიდებისა და სიყვარულის, აგრეთვე ქრისტეში ერთობის მონმენი იყვნენ არაქრისტიანთა შორის.

88 შდრ. PIUS XII, encycl. *Fidei donum*: AAS 49 (1957), p. 245.

89 შდრ. CONC. VAT. II; Const. dogm. *de Ecclesia*, n. 28.

90 შდრ. CONC. VAT. II; Const. dogm. *de Ecclesia*, n. 44.

ხოლო ქმედითი ცხოვრების ინსტიტუტები, იმისდა მიუხედავად, ისახავენ ისინი მიზნად მკაცრად მისიონერულ მიზანს თუ არა, გულწრფელი გულით ეკითხებიან ღმერთს: შეუძლიათ თუ არა მათ გაშალონ თავისი მოღვაწეობა ღმრთის სასუფევლის გასავრცელებლად ხალხთა შორის? შეუძლიათ თუ არა სხვებს გადააბარონ ზოგიერთი თავისი მსახურება, რათა საკუთარი ძალები მისიეებს მოახმარონ? შეუძლიათ თუ არა დაიწყონ თავისი მოღვაწეობა მისიეებში და, აუცილებლობის შემთხვევაში, თავის კონსტიტუციებში ცვლილებები შეიტანონ, მაგრამ ისე, რომ ეს მათი დამფუძნებლის პრინციპებს შეესაბამებოდეს? შეუძლიათ თუ არა მათ წევრებს შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღონ მისიონერულ მოღვაწეობაში? არის თუ არა მათი ჩვეული ცხოვრების წესი სახარების მოწმობა, რომელიც ერის თავისებურებასა და მდგომარეობას უპასუხებს?

სული წმიდის შთაგონებით ეკლესიაში ყოველდღიურად მატულობს საერო (saecularia) ინსტიტუტების რიცხვი. ამიტომ მათი საქმეები, ეპისკოპოსის უფლებამოსილებით განხორციელებული, შეიძლება ნაყოფიერი იყოს მისიეებში, როგორც სამყაროს ევანგელიზაციისადმი სრული მიძღვნის ნიშანი.

41. საერო ევანგელიზაციის საქმეში ეკლესიასთან თანამშრომლობენ. ისინი მონაწილეობენ მასში როგორც მონმენი და როგორც ცოცხალი იარაღები მის გამომხსნელ მისიაში,⁹¹ განსაკუთრებით თუ ღმრთისაგან არიან მოწოდებულნი და ამ საქმისთვის მათ ეპისკოპოსები მოუწოდებენ.

ქვეყნებში, რომლებიც უკვე ქრისტიანული არიან, საერო თანამშრომლობენ ევანგელიზაციის საქმეში, ხელს უწყობენ თავის თავში და სხვებში მისიების ცოდნასა და სიყვარულს, აღძრავენ მოწოდებებს თავის ოჯახებში, კათოლიკურ ასოციაციებსა და სკოლებში, და სთავაზობენ ნებისმიერი სახის დახმარებას, რათა სარწმუნოების ნიჭი, რომელიც საჩუქრად მიიღეს, სხვებსაც გადაეცეს.

მისიათა ქვეყნებში საერო პირნი, როგორც მოსულნი, ასევე ადგილობრივნი, სკოლებში უნდა ასწავლიდნენ, წარმავალ საქმეებს ხელმძღვანელობდნენ, საკრებულოს და დიოცეზურ საქმიანობაში თანამშრომლობდნენ, საეროთა მოციქულობის სხვადასხვა ფორმებს აწესებდნენ და განავითარებდნენ, რათა ახალ ეკლესიათა ერთგულებმა რაც შეიძლება სწრაფად შეძლონ თავადაც მონაწილეობა მიიღონ ეკლესიის ცხოვრებაში.⁹²

საერო პირებმა სიამოვნებით უნდა გაუწიონ ეკონომიკურ-სოციალურ თანამშრომლობა ერებს, რომლებიც ევოლუციის გზაზე იმყოფებიან. ეს თანამშრომლობა მით უფრო მეტად არის ქების ღირსი, რაც უფრო მეტად ეხება ისინი ინსტიტუტების დაარსებას, რომლებიც სოციალური ცხოვრების ფუნდამენტურ სტრუქტურებს მოიცავს, ან გამიზნულია მათ მოსამზადებლად, ვისაც სახელმწიფოში პასუხისმგებლობა აკისრია.

საგანგებო ქების ღირსნი ის საერო პირები არიან, ვინც უნივერსიტეტებსა თუ სამეცნიერო ინსტიტუტებში თავისი ისტორიული თუ სამეცნიერო-რელიგიური კვლევებით ხელს უწყობს ერთა და რელიგიათა შესახებ ცოდნის გამდიდრებას, ეხმარება სახარების მქადაგებლებსა და ამზადებს დიალოგს არა-ქრისტიანებთან.

დაე, მათ ძმურად ითანამშრომლონ ქრისტიანებთან და არა-ქრისტიანებთან, განსაკუთრებით საერთაშორისო ასოციაციათა წევრებთან, და მუდამ ითვალისწინებდნენ იმას, რომ „მინიერი ქალაქის მშენებლობა მუდამ უფალს ეფუძნებოდეს და მისკენ მიემართებოდეს“.⁹³

იმისათვის, რომ ეს ყველა მოვალეობა ასრულდეს, საერო უნდა მოემზადონ ტექნიკურად და სულიერად, რაც უნდა მოხდეს ამ მიზნისათვის შექმნილ ინსტიტუტებში, რათა მათი ცხოვრება იყოს მოწმობა არა-ქრისტიანთა შორის ქრისტი-

91 შდრ. იქვე, 33, 35.

92 შდრ. PIUS XII, encycl. *Evangelii praecones*: AAS 43 (1951), pp. 510-514. – IOANNES XXIII, encycl. *Principes Pastorum*: AAS 51 (1959), pp. 851-852.

93 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 46.

სთვის, თანახმად უფლის სიტყვისა: “დაუბრკოლებელ იყვენიტ ჰურიათა მიმართ და წარმართთა და ეკლესიათა ღმრთისათა, ვითარცა მე ყოველთავე ყოველთა სათნო-ვეყოფვი, რამეთუ არა ვეძიებ თავისა ჩემისა უმჯობესსა, არამედ მრავალთასა, რაათა ცხონდენ” (1კორ. 10, 32-33).

დასკვნა

ეკლესიის მამები, რომის პონტიფექსთან ერთად, ღრმად გრძნობენ მოვალეობას, რომელიც უფლის სასუფეველის ყველგან გავრცელებას გულისხმობს. ამიტომ ისინი სიყვარულით ესალმებიან სახარების ყველა მქადაგებელს, უპირველეს ყოვლისა მათ, ვინც ქრისტესთვის დევნას განიცდის, და მათ ვნებებს იზიარებენ.⁹⁴

ისინი იმავე სიყვარულით არიან აღგზნებულნი, რომლითაც ქრისტე იყო ადამიანთა მიმართ ანთებული. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ ეს ღმერთმა ქმნა, რომ მისი სასუფეველი მიწაზე მოდის, და სხვა ქრისტეს ერთგულებთან ერთად ლოცვებს აღავლენენ, რათა ქალწული მარიამის, მოციქულთა დედოფლის შუამდგომლობით, ხალხები რაც შეიძლება სწრაფად მივიდნენ ჭეშმარიტების ცოდნამდე (1ტიმ. 2, 4), და ღმრთის დიდება, რომელიც ბრწყინავს იესო ქრისტეს სახეზე, სული წმიდის მეშვეობით ყველასთვის განათდეს (2კორ. 4, 6).

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამ დეკრეტში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან გადმოგვეცა, ამახ პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ და ვანებსებთ, და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1965 წლის 7 დეკემბერი
მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
(მოწყევბა მამათა ხელმოწერები)

⁹⁴ შდრ. PIUS XII, encycl. *Evangelii praecones*: AAS 43 (1951), p. 527. – IOANNES XXIII, encycl. *Princeps pastorum*: AAS 51 (1959), p. 864.

დეკრეტი
მღვდელთა მსახურებისა და ცხოვრების
შესახებ

PRESBYTERORUM ORDINIS

პავლე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მსახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

დეკრეტი მღვდელთა მსახურებისა და ცხოვრების შესახებ

შესავალი

1. მოცემულმა წმიდა კრებამ უკვე მრავალჯერ შეგვახსენა იმ უდიდესი ღირებულების შესახებ, რომელიც ეკლესიაში მღვდელთა ხარისხს აქვს.¹ ამ ხარისხს ქრისტეს ეკლესიის განახლებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ურთულესი როლი აკისრია. ამიტომ ძალზე სასარგებლოდ მიგვაჩნია, უფრო დანვრილებით და ღრმად ვიმსჯელოთ მღვდელთა შესახებ. რაც აქ ითქმის, ყველა მღვდელს ეხება, განსაკუთრებით კი მათ, ვინც სულთათვის ზრუნვას ემსახურება. რაც შეეხება მონესე მღვდლებს, მათთან დაკავშირებით სათანადო მოდიფიკაციები არის საჭირო. ეპისკოპოსებისგან მიღებული ხელდასხმითა და მისიით მღვდელნი ემსახურებიან ქრისტეს – მოძღვარს, მღვდელმსახურსა და მეფეს, მონაწილეობენ მის მსახურებაში, რომლის საშუალებით ეკლესია ამქვეყნად განუწყვეტელი შენდება როგორც ღმრთის ერი, ქრისტეს სხეული და სული წმიდის ტაძარი. იმისათვის, რათა არსებულ სამღვდლო და ადამიანურ გარემოში (ხშირ შემთხვევაში ძალზე სახეცვლილში) უფრო ადვილი იყოს მათი მსახურებისთვის ხელშეწყობა და მათი ცხოვრების მოწყობა, მოცემული წმიდა სინოდი აცხადებს და ადგენს შემდეგს.

თავი I მღვდლობა ეკლესიის მისიაში

2. უფალი იესო, „რომელი-იგი მამამ წმიდა-ყო და მოავლინა სოფლად“ (იოან. 10, 36), მთელს თავის მისტიკურ სხეულს სულის იმ ცხების მოზიარედ ხდის, რომლითაც თავად არის ცხებული.² მასში ყველა ერთგული ასრულებს წმიდა და სამეუფო მღვდლობას (sacerdotium). იესო ქრისტეს მეშვეობით მათ სულიერი მსხვერპლი მიაქვთ ღმერთთან და ნათელს ჰფენენ იმის სათნოებებს, ვინც მათ წყვდიადიდან თავის განსაცვიფრებელ ნათელში მოუწოდა.³ ამგვარად, ყველა ასო მონაწილეობს მთელი სხეულის მისიაში: ყველამ უნდა წმიდა ყოს იესო თავის გულში⁴ და მის შესახებ წინასწარმეტყველური სულით მონაწილეობდეს.⁵

იმისათვის, რათა ერთგულები ერთ სხეულად გაერთიანდნენ, რომელშიც „ასოებსა მას ყოველსა არა იგივე საქმე აქუს“ (რომ. 12, 4), თავად უფალმა დააყენა მსახურები, რომლებსაც ერთგულთა საკრებულოში ხელდასხმის წმიდა ძალით შეეძლებათ მსხვერპლის მიტანა და ცოდვების მიტევა,⁶ აგრეთვე ადამიანებისთვის ქრისტეს სახელით სამღვდელმსახურო მოვალეობის საჯაროდ შესრულება. ამგვარად, ქრისტემ მოავლინა

1 CONC. VAT. II, Const. *de Sacra Liturgia*. – Const. dogm. *de Ecclesia*. – Decr. *de pastorali Episcoporum munere in Ecclesia*. – Decr. *de institutione sacerdotali*.

2 შდრ. მათ. 3, 16; ლუკ. 4, 18; საქმე 4, 27; 10, 38.

3 შდრ. 1 პეტრე 2, 5 და 9.

4 შდრ. 1 პეტრე 3, 15.

5 შდრ. გამოცხ. 19, 10. – CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 35.

6 CONC. TRID., Sess. 23, cap. 1 et can. 1: DENZ. 957 et 961 (1764 et 1771).

მოციქულები, როგორც თავად იყო მოვლენილი მამის მიერ.⁷ თავისი ხელდასხმისა და მისიის მონაწილეებად ქრისტემ მოციქულთა მემკვიდრეები, ეპისკოპოსები დააყენა,⁸ რომელთა მსახურების ფუნქცია სუბორდინაციული წესით მღვდლებს (Presbyteris) გადაეცა,⁹ რათა მათ, მღვდლობის ხარისხში დამტკიცებულებმა (constituti), სამოციქულო მისიის სათანადოდ შესრულებისას საეპისკოპოსო ხარისხთან ითანამშრომლონ.¹⁰

მღვდელთა ფუნქცია ეპისკოპოსთა ხარისხთან არის დაკავშირებული. ის იმ ძალაუფლების მონაწილეა, რომლითაც თავად ქრისტე თავის სხეულს აგებს, წმიდა ყოფს და მართავს. მღვდელთა მსახურება (საცერდოტიუმ რესპეტერორუმ), რომელიც ქრისტიანული ხელდასხმის (ინიტიაციონის) საიდუმლოებს გულისხმობს, იმ საიდუმლოთი გადაიცემა, რომლითაც მღვდლები, სული წმიდის ცხებით, განსაკუთრებული ნიშნით აღიბეჭდებიან და იმდენად ემსგავსებიან ქრისტე-მღვდელმსახურს, რომ ძალა შესწევთ მეთავის – ქრისტეს პირით იმოქმედონ.¹¹

მღვდლები მოციქულთა ფუნქციას იზიარებენ. მათ ღმერთმა მადლით დააკისრა, იყვნენ იესო ქრისტეს მსახურნი ხალხში და აღასრულონ სახარების წმიდა მოვალეობა, რათა ხალხის შემოსანიურლება (oblatio) მიღებულ იქნას და სული წმიდაში განიწმინდოს.¹² მოციქულთა მიერ სახარების უწყება მოუწოდებს და კრებს ღმრთის ერს, რათა ყველამ, ვინც ამ ხალხს ეკუთვნის, სული წმიდით განწმენდილმა, მიიტანოს საკუთარი თავი „მსხვერპლად ცხოველად, წმიდად, სათნოდ ღმრთისა“ (რომ. 12, 1). მღვდელთა მსახურების მეშვეობით ერთგულთა ეს სულიერი მსხვერპლი სრულდება ქრისტეს – ერთადერთი შუამავლის - მსხვერპლთან ერთობაში. მისი მიტანა ხდება მღვდელთა ხელით, მთელი ეკლესიის სახელით, უსისხლოდ და საიდუმლოდ (sacramentaliter), ვიდრე მოვა თავად უფალი.¹³ ამისკენ მისწრაფვის მღვდელთა მსახურება და აქ სრულდება ის. ხოლო მათი მსახურება, რომელიც სახარებისეული უწყებით იწყება, თავის ძალასა და მნიშვნელობას ქრისტეს მსხვერპლში იძენს. ის იმისკენ არის მიმართული, რომ „დიდმა მღვდელმსახურმა ღმერთს საყოველთაო მსხვერპლად მიუტანოს მთელი გამოსყიდული ქალაქი, ანუ წმიდათა საზოგადოება და ერთობა. ამ მღვდელმსახურმა ხომ ვნებით თავი მსხვერპლად შესწირა ჩვენთვის, რათა ჩვენ ასეთი მნიშვნელოვანი თავის სხეულად შევიქმნეთ.“¹⁴

მაშასადამე, მიზანი, რომლისკენაც მღვდელი თავისი მსახურებითა და ცხოვრებით მისწრაფვიან, არის ქრისტეში მამა-ღმერთის დიდების განხორციელება. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებმა შეგნებულად, თავისუფლად და მადლიერებით მიიღონ ქრისტეში აღსრულებული ღმრთის საქმე და ის მთელი თავისი ცხოვრებით გამოხატონ. მღვდლები ხელს უწყობენ ღმრთის დიდების ზრდასა და საღმრთო ცხოვრებაში ადამიანთა წინსვლას, იქნება ეს ლოცვითა თუ თავყვანისცემით, სიტყვის ქადაგებითა თუ ექვარისტული მსხვერპლის შეწირვით ან დანარჩენ საიდუმლოთა განწესებითა და ადამიანებისთვის სხვა მსახურებათა აღსრულებით. ყოველივე ეს ქრისტეს პასექიდან მომდინარეობს და უფლის დიდებით მოსვლაში დასრულდება, როდესაც იგი მეფობას ღმერთსა და მამას გადასცემს.¹⁵

3. მღვდლებს ადამიანთაგან ირჩევენ და ადამიანებისთვის ნიშნავენ, საღმრთო საქმეთა აღსრულების მიზნით, რათა ძღვენი და მსხვერპლი მიიტანონ ცოდვებისათვის.¹⁶

7 შდრ. იოან. 20, 21. – CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 18.

8 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 28.

9 შდრ. იქვე.

10 შდრ. Pont. Rom., “De Ordinatione Presbyteri”, Praefatio. ეს სიტყვები გვხვდება აგრეთვე ტექსტში *Sacramentario veronensi* (MOHLBERG, Romae 1956, p. 122); იხ. აგრეთვე *Missali Francorum* (MOHLBERG, Romae 1957, p. 9), *Libro Sacramentorum Romanae Ecclesiae* (MOHLBERG, Romae 1960, p. 25); *Pontificali Romano-Germanico* (Vogel-Eltze, Città del Vaticano 1963, vol. I, p. 34).

11 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 10.

12 შდრ. რომ. 15, 16.

13 შდრ. 1 კორ. 11, 26.

14 S. AUGUSTINUS, *De civitate Dei*, 10, 6: PL 41, 284.

15 შდრ. 1 კორ. 15, 24.

16 შდრ. ებრ. 5, 1.

მღვდლები სხვა ადამიანებთან ერთად, როგორც ძმებთან, ცხოვრობენ. უფალი იესოც, ძე ღმრთისა, მამამ ადამიანებთან ადამიანად მოავლინა. მან ჩვენს შორის იცხოვრა და ინება, ყველაფერში, გარდა ცოდვისა, ძმათა მსგავსი ყოფილიყო.¹⁷ მას უკვე მიბაძეს წმიდა მოციქულებმა: ნეტარი პავლე, ხალხთა მოძღვარი (Doctor gentium), „რჩეული სახარებასა მას ღმრთისასა“, თავადაც მოწმობს: „ყოველთა ვექმენ ყოვლად, რაათა ყოველნი ვაცხოვნენ“.¹⁸ ახალი აღთქმის მღვდლები, თავისი მოწოდებითა და ხელდასხმით ერთგვარად ღმრთის ერის წიაღიდან შეირჩევიან, ოღონდ არა იმისთვის, რომ მას ან ნებისმიერ ადამიანს გაემიჯნონ, არამედ იმისთვის, რომ სრულად მიუძღვნან თავი საქმეს, რომლისთვისაც მათ უფალმა მოუწოდა.¹⁹ ისინი ვერ შეძლებდნენ ქრისტეს მსახურებას, რომ არ ყოფილიყვნენ სხვა – არამინიერი – ცხოვრების მოწმენი და განმგებელი (dispensatores). ისინი ვერც ადამიანებს მოემსახურებოდნენ, მათი ცხოვრებისა და გარემოებების მიმართ გაუცხოვებულნი რომ ყოფილიყვნენ.²⁰ თავად მათი მსახურება საგანგებოდ მოითხოვს მათგან, ამქვეყნიურობას არ მიემსგავსონ.²¹ ამავე დროს, ის მოითხოვს, რომ მათ ამქვეყნად იცხოვრონ ადამიანთა შორის, და როგორც კეთილი მწყემსები, თავის ცხვრებს იცნობდნენ. ისინი უნდა შეეცადონ, ის ცხვრებიც მოიყვანონ, რომლებიც ამ სამწყსოსი არ არიან, რათა მათაც ქრისტეს ხმა ისმინონ და „იყვენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“.²² ამ მიზნის მიღწევას ძალზე შეუწყოფს ხელს ის ღირებულებები, რომლებსაც ადამიანთა საზოგადოება დიდად აფასებს. ასეთებია სიკეთე, გულწრფელობა, სულის სიმტკიცე და სიმდგრადე, რისკენაც მოგვინოდებს მოციქული პავლე, რომელიც ამბობს: „რაოდენი არს ქვემარტ, რაოდენი პატიოსან, რაოდენი მართალ, რაოდენი წმიდა, რაოდენი საყუარელ, რაოდენი საქებელ, რაოდენი სათნო და რაოდენი ქებულ, მას ზრახვედით“ (ფილ. 4, 8).²³

17 შდრ. ებრ. 2, 17; 4, 15.

18 შდრ. 1 კორ. 9, 22.

19 შდრ. საქმე 13, 2.

20 “ეს მცდელობა, მიმართული რელიგიური და ზნეობრივი სრულყოფისაკენ, სულ უფრო მეტად არის განპირობებული იმ გარეგანი ვითარებითაც, რომელშიც ეკლესია ცხოვრობს. ის ვერ დარჩება უცვლელი და გულგრილი ადამიანთა იმ მდგომარეობის მიმართ, რომელიც მას გარს ახვევია, ათასგვარ გავლენას ახდენს მის მოღვაწეობაზე და მას გარკვეულ წესსა და გარემოებებს უქვემდებარებს. ცხადია, ეკლესია არ არის გამიჯნული ადამიანთა საზოგადოებისგან. პირიქით, ის მის წიაღში არსებობს. მამასადამე, ეკლესიის შვილები საზოგადოების გავლენას განიცდიან, მის კულტურას ითვისებენ, კანონებს ემორჩილებიან და მის ზნე-ჩვეულებებს იზიარებენ. ეკლესიის ეს მჭიდრო კავშირი ადამიანურ საზოგადოებასთან განუწყვეტილად ბადებს რთულ კითხვებს, რომლებიც დღეს განსაკუთრებით საჭირობოროტო არის... (...) წარმართთა (ხალხთა) მოციქული ასე მოუწოდებს თავისი დროის ქრისტიანებს: “ნუ იქმნებით თანა-მეულე ურწმუნოთა, რამეთუ რაა მოყუსება არს სიმართლისა და უშუალოებისა? ანუ რაა ზიარებაა არს ნათლისა და ბნელისა? ... ანუ რაა ნაწილ უც მორწმუნესა ურწმუნოსა თანა?” (2 კორ. 6, 14-15). ამიტომ ვინც ახლა ეკლესიაში აღმზრდელთა და დამრიგებელთა როლს ასრულებს, მათ უნდა შეახსენონ კათოლიკე ახალგაზრდობას მისი განსაკუთრებული მდგომარეობისა და აქედან გამომდინარე მოვალეობის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ვიცხოვროთ ამ სამყაროში, მაგრამ არა ამქვეყნიურად, თანახმად უფლისა, რომელმაც უთხრა თავის მონაფეებს: „არა ვიტყვ, რაათა აღიხუნე იგინი სოფლისაგან, არამედ რაათა დაიცვენ იგინი ბოროტისაგან. სოფლისაგანი არა არიან, ვითარცა მე არა სოფლისაგანი ვარ.“ (იოან. 17, 15-16). ეს სურვილი ეკლესიამაც გაითავისა. მიუხედავად ამისა, ამგვარი განსხვავება არ ნიშნავს გამიჯნვას. ეს არ არის გულგრობა, შიში ან უგულუბეღყოფა. და თუმცა ეკლესია საკუთარ თავს ადამიანთა მოდემისგან განასხვავებს, ის მას კი არ უპირისპირდება, არამედ პირიქით, მას უკავშირდება“ (PAULUS VI, encycl. *Ecclesiam suam*, 6 aug. 1964: AAS 56 (1964), pp. 627 et 638.

21 შდრ. რომ. 12, 2.

22 იოან. 10, 14-16.

23 შდრ. S. POLYCARPUS, *Epist. ad Philippenses*, VI, 1: “და მღვდლებმაც უნდა იცოდნენ თანაგრძობა, ისინი უნდა იყვნენ გულმონყალენი ყველას მიმართ. მათ უნდა მოაზრუნონ შეცდენილნი, მოინახულონ ყველა სწეული, უყურადღებოდ არ დატოვონ ქვრივი, ბავშვი თუ ლატაკი. ისინი მუდამ უნდა ზრუნავდნენ სიკეთისათვის ღმრთისა და ადამიანთა წინაშე, განუდგნენ ყოველგვარ რისხვას, პიროვნულ მიკერძოებას, უსამართლო განსჯას. ისინი შორს უნდა იყვნენ ყოველგვარი სიხარბისაგან, არ ირწმუნონ სწრაფად სხვისი დანაშაული და არ განსაჯონ მეტისმეტად მკაცრად. მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ ყველანი ცოდვის მოვალენი ვართ.” (FUNK I, 303).

თავი II
მღვდელთა მსახურება

I. მღვდელთა ფუნქციები

4. ღმრთის ერი, უპირველეს ყოვლისა, ცხოველი ღმრთის სიტყვით იკრიბება,²⁴ რომელსაც მღვდელთა ბაგეთაგან მოველით.²⁵ ხოლო რადგან ვერავინ იქნება გამოსხნილი სანამ არ ირწმუნებს,²⁶ მღვდლების, როგორც ეპისკოპოსთა თანამშრომლების, პირველი მოვალეობა არის ღმრთის სახარების ყველასთავის ხარება.²⁷ ასე უნდა აღასრულონ მათ უფლის მცნება: „წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა“ (მარკ. 16, 15),²⁸ შექმნან და გაზარდონ ღმრთის ერი. გამომხსნელი სიტყვა ხომ სარწმუნოებას ურწმუნოთა გულში აღვიძებს, ხოლო მორწმუნეთა გულში მას ასაზრდოებს. სარწმუნოებით იწყება და იზრდება ერთგულთა საკრებულო, თანახმად მოციქულისა: „სარწმუნოება სმენისაგან არის, ხოლო სმენა – ქრისტეს სიტყვით“ (შდრ. რომ. 10, 17). ამგვარად, მღვდლები ყველას წინაშე არიან ვალდებული: მათ ყველას უნდა აუწყონ სახარების ჭეშმარიტება,²⁹ რომლითაც თავად ისინი უფლის მიერ (in Domino) ხარობენ. რასაც არ უნდა აკეთებდნენ მღვდლები: ენოდნენ ქველ ცხოვრებას წარმართთა შორის, რათა მიიყვანონ ისინი ღმრთის სადიდებლად,³⁰ ღიად იქადაგონ და ურწმუნოებს აუწყონ ქრისტეს საიდუმლოება, გადმოსცენ ქრისტიანული სწავლება (catechesim) ან განმარტონ ეკლესიის მოძღვრება, ეცადონ, ქრისტეს შუქზე განიხილონ თანამედროვე პრობლემები, - ნებისმიერ შემთხვევაში მათ საკუთარი სიბრძნე კი არ უნდა ასწავლონ, არამედ ღმრთის სიტყვა, და ყველას მოუწოდონ მოქცევისა და სინმიდიასკენ.³¹ სამღვდელმსახურო ქადაგებამ (დღევანდელ ვითარებაში მისი განხორციელება ხშირად ძალზე რთულდება) მსმენელთა გონებაზე უკეთესად რომ იმოქმედოს, ღმრთის სიტყვა არა მარტო ზოგადად და აბსტრაქტულად უნდა გამოიხატოს, არამედ სახარების მარადიული ჭეშმარიტება ცხოვრების კონკრეტულ ვითარებებს უნდა მიესადაგოს.

სიტყვის მსახურება მრავალგვარად ხორციელდება, მსმენელთა მოთხოვნილებათა თავისებურებისა და მქადაგებელთა ქარიზმათა შესაბამისად. არაქრისტიანულ რეგიონებსა თუ გარემოში ევანგელური უწყება ადამიანებს გამოხსნის საიდუმლოე-

24 შდრ. 1 პეტრე 1, 23; საქმე 6, 7; 12, 24. მოციქულებმა “იქადაგეს ჭეშმარიტების სიტყვა და წარმოშვეს ეკლესიები” (S. AUGUSTINUS, *In Ps.*, 44, 23: PL 36, 508).

25 შდრ. მალ. 2, 7; 1 ტიმ. 4, 11-13; 2 ტიმ. 4, 5; ტიტ. 1, 9.

26 შდრ. მარკ. 16, 16.

27 შდრ. 2 კორ. 11, 7. მღვდლები ეპისკოპოსთა თანამშრომლები არიან და მათ მიმართ ძალა-შია ისიც, რაც ეპისკოპოსთა შესახებ ითქმის. შდრ. *Statuta Ecclesiae Antiqua*, c. 3, (CH. MUNIER, Paris 1960, p. 79). – *Decretum Gratiani*, C. 6, D. 88 (FRIEDBERG, I, 307). – CONC. TRID., *Decr. de reform.*, Sess. 5, c. 2, n. 9 (*Conc. Oec. Decreta*, ed. Herder, Romae 1963, p. 645); Sess. 24, c. 4 (p. 739). – *Conc. Vat. II, Const. dogm. de Ecclesia*, n. 25.

28 შდრ. *Constitutiones Apostolorum*, II, 26, 7: “დაე, (მღვდლები) იყვნენ საღმრთო მეცნიერების მასწავლებლები, როგორც ეს თავად უფალმა დაგვავალა: წადით, ასწავლეთ, და ა.შ.” (FUNK, *Didascalia et Constitutiones Apostolorum*, I, Padeborn 1905, p. 105). – *Sacramentarium Leonianum* და სხვა საკრამენტაროუმები ვიდრე *Pontificale Romanum*, მღვდელთა ხელდასხმის შესავალი: “ამ წინაგანგებით, უფალო, შენ დაუდგინე შენი შვილის მოციქულებს თანამგზავრებად სარწმუნოების მოძღვარნი, რომლებითაც მათ, როგორც მეორე მქადაგებლებით (ან: ქადაგებებით), მთელი მსოფლიო აავსეს”. – *Liber Ordinum Liturgiae Mozarabicae*, შესავალი მღვდელთა ხელდასხმისათვის: “დაე, ხალხთა მასწავლებელმა და დამორჩილებულთა მმართველმა წესისამებრ შეინახოს კათოლიკური სარწმუნოება, და ჭეშმარიტი გამოხსნა ყველას აუწყოს” (M. FÉROTIN, Paris 1904, col. 55).

29 შდრ. გალ. 2, 5.

30 შდრ. 1 პეტრე. 2, 12.

31 შდრ. მღვდლის ხელდასხმის წესი იაკობიტების ალექსანდრიულ ეკლესიაში: “...შემოიკრიბე შენი ერი მოძღვრების სიტყვასთან, როგორც დედამ, რომელიც თავის ბავშვებს კვებავს” (H. DENZIGER, *Ritus Orientalium*, II, Würzburg 1863, p. 14).

ბისკან მიუძღვება.³² თავად ქრისტიანულ საკრებულოში, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც შეიძლება არასაკმარისად სწამდეს ან ესმოდეს ის, რასაც პრაქტიკულად განახორციელებს, სიტყვის ქადაგება საჭიროა თავად საიდუმლოთა მსახურებისთვის, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ სარწმუნოების საიდუმლოებს, რომლებიც სიტყვისგან იზადება და მისგან საზრდოობს.³³ ეს განსაკუთრებით სწორია სიტყვის ლიტურგიისთვის წირვის აღსრულებისას (celebratione), სადაც განუყოფლად ერთიანდება უფლის სიკვდილისა და აღდგომის უწყება, პასუხი ერისა, რომელიც ისმენს და თავად მსხვერპლი (oblatio), რომლითაც ქრისტემ თავის სისხლში ახალი აღთქმა დაამტკიცა. ამ მსხვერპლს (oblacioni) ერთგულები აღთქმებითა (votis) და საიდუმლოს მიღებით უკავშირდებიან.³⁴

5. ღმერთმა, რომელიც ერთადერთი წმიდანი და წმიდამყოფელი არის, ინება, ადამიანები თავის თანამშრომლებლად და თანაშემწეებად მიეღო, რათა ისინი მორჩილად ემსახურონ წმიდაყოფის საქმეს. ამგვარად, მღვდლების ხელდასხმა ხდება ღმრთის მიერ, ეპისკოპოსის მეშვეობით, რათა ისინი ქრისტეს მღვდელმსახურების საგანგებო მონაწილენი გახდნენ და საღმრთო სამსახური აღასრულონ (in Sacris celebrandis ... agant). მღვდლები ხომ იმის მსახურნი არიან, ვინც ლიტურგიაში თავის სამღვდლო ფუნქციას თავისი სულის მეშვეობით ჩვენთვის გამუდმებით ასრულებს.³⁵ ნათლობით მათ ადამიანები ღმრთის ერში შეჰყავთ; სინანულის საიდუმლოთი ისინი ცოდვილებს ღმერთსა და ეკლესიასთან შეარიგებენ, ხოლო სწულთათვის ზეთის კურთხევით მათ ტანჯვას უმსუბუქებენ; უპირველეს ყოვლისა კი, წირვის აღსრულებით (celebratione praesertim Missae) ისინი საკრამენტულად მსხვერპლს სწირავენ ქრისტეს. ყველა საიდუმლოთა აღსრულებისას (რასაც ეკლესიის უძველეს დროშიც მონაწილე ეგნატე მარტილი),³⁶ მღვდლები სხვადასხვა სახით იერარქიულად უკავშირდებიან ეპისკოპოსს, რაც მას ერთგულთა თითოეულ საკრებულოში ერთგვარ მონაწილედ აქცევს.³⁷

დანარჩენი საიდუმლონი, ისევე როგორც ყველა საეკლესიო მსახურებები და სამოციქულო საქმეები, დაკავშირებულია წმიდა ევქარისტიასთან და მისკენ არის მიმართული.³⁸ უწმიდეს ევქარისტიაში ხომ ეკლესიის მთელი სულიერი სიმდიდრე არის მოცემული,³⁹ ანუ თავად ქრისტე, ჩვენი პასეჟი და პური ცხოველი. თავისი ხორცის მეშვეობით, რომელიც არის სული წმიდით ცხოველყოფილი და ცხოველყოფელი, იგი ცხოვრებას ანიჭებს ადამიანებს. ეს მოუწოდებს მათ და უბიძგებს, მასთან ერთობაში მსხვერპლად მიიტანონ საკუთარი თავი, თავისი შრომა და მთელი ქმნილება. ამიტომ ევქარისტია წარმოადგენს ჩვენთვის მთელი ევანგელიზაციის წყაროსა და კულმინაციას: მაშინ როდესაც კათაკმეველებს თანდათანობით ამზადებენ ევქარისტიაში მონაწილეობის მისაღებად, ის ერთგულები, რომლებიც უკვე აღბეჭდილნი არიან წმიდა ნათლობითა და ხელდასხმით, ევქარისტიის მიღებით სრულად ჩაერთვებიან ქრისტეს სხეულში.

32 შდრ. მათ. 28, 19; მარკ. 16, 16. – TERTULLIANUS, *De baptismo*, 14, 2 (Corpus Christianorum, Series latina, I, p. 289, 11-13). – S. ATHANASIUS, *Adv. Arianos*, 2, 42 (PG 26, 237). – S. HIERONIMUS; *In Mat.*, 28, 19 (PL 26, 218 BC): “ისინი ჯერ ასწავლიან ყველა ხალხებს, შემდეგ კი უკვე განსწავლულებს წყალს აპკურებენ. რადგან შეუძლებელია, სხეულმა მიიღოს ნათლობის საიდუმლო, სანამ სული სარწმუნოების ჭეშმარიტებას არ მიიღებს.” – S. THOMAS, *Expositio primae Decretalis*, § 1: “ჩვენმა მაცხოვარმა, რომელიც მოწაფეებს ქადაგებისთვის აგზავნის, მათ სამი დავალება მისცა. პირველი: ასწავლონ სარწმუნოება; მეორე: მონაწილენი საიდუმლოებით გამსჭვალონ” (ed. Marietti, *Opuscula Theologica*, Taurini, Romae 1954, 1138).

33 შდრ. CONC VAT. II, Const. *de Sacra Liturgia*, n. 35, 2.

34 შდრ. იქვე, nn. 33, 35, 48, 52.

35 შდრ. იქვე, n. 7. – PIUS XII, *encycl. Mystici Corporis*, 29 iun. 1943: AAS 35 (1943), p. 230.

36 S. IGNATIUS M., *Smyrn.*, 8, 1-2 (FUNK, p. 282, 6-15). – *Constitutiones Apostolorum*, VIII, 12, 3 (FUNK, p. 496); VIII, 29, 2 (p. 532).

37 შდრ. CONC. VAT. II, Const. *dogm. de Ecclesia*, n. 28.

38 ევქარისტია არის ერთგვარად სულიერი ცხოვრების დასრულება და ყველა საიდუმლოთა მიზანი” (S. THOMAS, *Summa Theol.* . III, q. 73, a. 3 c); შდრ. III, q. 65, a. 3.

39 შდრ. S THOMAS, *Summa Theol.* III, q. 65, a. 3, ad 1; q. 79, a. 1, c, et ad 1.

ამგვარად, ევქარისტული მსხვერპლშენიერვა არის ერთგულთა საკრებულოს ცენტრი, რომელსაც მღვდელი უძღვება. მღვდლები ერთგულებს ასწავლიან, მამას მიაღწიონ საღმრთო მსხვერპლი (*victimam*) მესაზე (*Sacrificio Misae*) და მასთან ერთად თავისი ცხოვრებაც შესწირონ (*oblationem vitae suae facere*). ქრისტე-მღვდლის სულით გამსჭვალულნი (*in Spiritu Pastoris*), ისინი ერთგულებს ასწავლიან, თავისი ცოდვები მორჩილი გულით მონანიების საიდუმლოს დაუქვემდებარონ, რათა უფრო მეტად მოიქცნენ უფლისკენ და მისი სიტყვები დაიმსხვინონ: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათ. 4, 17). ამასთანავე, ისინი არიგებენ ერთგულებს, ისე მიიღონ მონანილება წმიდა ლიტურგიის აღსრულებაში (*celebrationes*), რომ მასშიც როგორმე გულწრფელ ლოცვამდე მივიდნენ. ისინი ერთგულებს მიუძღვებიან, რათა მათ მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ლოცვის სული სულ უფრო და უფრო სრულყონ, თითოეულის მადლისა და მოთხოვნილების მიხედვით. ისინი ყველას აღუძრავენ სურვილს, შეასრულონ თავისი სტატუსის შესაბამისი მოვალეობები, ხოლო უფრო ნაარჩინებულებს მოუწოდებენ, დაიცვან სახარების მცნებები მათთვის შესაფერისი ფორმით. ისინი ასწავლიან ერთგულებს, თავის გულებში უმღერონ უფალს გალობანი და ქებანი, და ჰმადლობდნენ „ყოველთათვის სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა ღმერთსა და მამასა.“⁴⁰

ქებასა და მადლიერებას, რომლებსაც მღვდლები ევქარისტის აღსრულებისას გამოხატავენ, ჟამნის შესრულებისას დღის სხვადასხვა საათზე განავრცობენ. ეკლესიის სახელით, ისინი ღმერთს ევედრებიან მათთვის მინდობილი მთელი ერისთვის და მეტიც: მთელი მსოფლიოსათვის.

ლოცვის სახლში, სადაც ერთგულები იკრიბებიან, სრულდება და ინახება უწმიდესი ევქარისტია. აქ, ერთგულთა დასახმარებლად და სანუგეშებლად, თაყვანს სცემენ ღმრთის შვილის, ჩვენი მაცხოვრის თანდასწრებას, რომელიც სამსხვერპლოზე ჩვენთვის იქნა მიტანილი. ეს სახლი უნდა იყოს ლამაზი, ლოცვისა და ღმრთისმსახურებისთვის შესაფერისი.⁴¹ მასში მოწვეულნი არიან მღვდლები და ერთგულები, რათა მადლიერებით უპასუხონ იმის ნიჭს (*dono*), ვინც თავისი ადამიანობით განუწყვეტელივ ავრცელებს საღმრთო ცხოვრებას თავისი სხეულის ასოებში.⁴² მღვდლებმა უნდა იზრუნონ ლიტურგიული მეცნიერებისა და ხელოვნების სათანადოდ განვითარებისთვის, რათა თავისი ლიტურგიული მსახურებით მათთვის მინდობილი ქრისტიანული საკრებულოები სულ უფრო მეტად სრულყოფილად აქებდნენ ღმერთს, მამასა და ძეს და სული წმიდას.

6. მღვდლები, რომლებიც ქრისტეს – მეთავისა და მღვდლის ფუნქციას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებენ, ეპისკოპოსის სახელით კრებენ ღმრთის ოჯახს როგორც ერთსულოვან საძმოს, და მიჰყავთ ისინი ქრისტეს მეშვეობით სულში (*in Spiritu*) მამა ღმერთთან.⁴³ ამ მსახურების, ისევე როგორც მღვდლების სხვა ფუნქციების აღსასრულებლად, მათ ენიჭება სულიერი ძალაუფლება, რომელიც აღსაშენებლად ეძლევა.⁴⁴ ეკლესიის აღშენებაში მღვდლები, უფლის მსგავსად, ყველას უდიდესი ადამიანობით უნდა მოექცნენ. ისინი მათ არ უნდა ეპყრობოდნენ

40 ეფეს. 5, 19-20.

41 შდრ. S. HIERONYMUS, *Epist.*, 114, 2: „...წმიდა ბარძიმი, წმიდა საბურველებსა (*velamina*) და სხვა ყველაფერს, რაც უფლის ვნებათა კულტს ეხება, უფლის სხეულსა და სისხლთან კავშირის გამო, ისეთივე მონივნით უნდა ვცეთ თაყვანი, როგორც მის სხეულსა და მის სისხლს“. – (PL 22, 934). – Vid. CONC. VAT. II, *Const. de Sacra Liturgia*, nn. 122-127.

42 “გარდა ამისა, ერთგულებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ დღის განმავლობაში მივიდნენ (*visitationem*) უწმინდეს საიდუმლოსთან (*Sacramenti*). ლიტურგიული კანონების თანახმად, ის უნდა დაცული იყოს ეკლესიებში ყველაზე ღირსეულ და საპატიო ადგილას. ასეთი მისვლა არის მადლიერების ნიშანი აქ მყოფი ქრისტეს – ჩვენი უფლის მიმართ. ამავე დროს, ეს არის სიყვარულის საბუთი და სათანადო თაყვანისცემის მოვალეობა”. (PAULUS VI, *encycl. Misterium Fidei*, 3 sept. 1965: AAS 57 (1965), p. 771).

43 შდრ. CONC. VAT. II, *Const. dogm. de Ecclesia*, n. 28.

44 შდრ. 2კორ. 10, 8; 13, 10.

ისე, როგორც ეს ადამიანებს მოსწონთ,⁴⁵ არამედ ისე, როგორც ამას მოძღვრება და ქრისტიანული ცხოვრება მოითხოვს. მათ უნდა აღზარდონ ადამიანები და მათ როგორც უსაყვარლეს შვილებს ასწავლონ,⁴⁶ თანახმად მოციქულისა: „ზედა-ადეგ უამითი-უუამოდ, ამხილე, შეჭრისხენ და ნუგეშინის-ეც ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღვრებითა“ (2 ტიმ. 4, 2).⁴⁷

ამიტომ მღვდელმსახურები, როგორც სარწმუნოებაში განმანათლებელი, ან თვითონ ან სხვების მეშვეობით, უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ თითოეულმა ერთგულმა სული წმიდაში შეძლოს, თავისი მონოდება სახარების შესაბამისად განავითაროს, მიაღწიოს გულწრფელ, ქმედით სიყვარულსა და თავისუფლებას, რომლითაც ქრისტიმ გაგვათავისუფლა.⁴⁸ უსარგებლოა ცერემონიები (თუნდაც მშვენიერი) და გაერთიანებები (თუნდაც წარმატებული), თუ მათი მიზანი ადამიანთა აღზრა და ქრისტიანული სიმწიფის მიღწევა არ არის.⁴⁹ ამისათვის მღვდლები უნდა დაეხმარონ ადამიანებს, ამოიცნონ თავად მოვლენებში, დიდსა თუ პატარაში, ის, რასაც საქმე მოითხოვს, ის, რაც არის ღმრთის ნება. ქრისტიანები ისე უნდა აღიზარდონ, რომ არა მარტო თავისთვის იცხოვრონ, არამედ, სიყვარულის ახალი კანონის მოთხოვნით, თითოეული სხვებს უნდა ემსახუროს იმ ნიჭით, რომელიც თავად მიიღო,⁵⁰ რათა ქრისტიანულ საზოგადოებაში ყველამ ქრისტიანულად აღასრულოს თავისი მოვალეობა.

მღვდლები ყველას მოვალენი არიან, თუმცა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ისინი ღატაკებისა და სუსტების მიმართ უნდა გრძნობდნენ: თავად უფალიც ხომ მათთან იყო დაკავშირებული,⁵¹ ხოლო მათი ევეანგელიზაცია მესიანური საქმის ნიშანს წარმოადგენს.⁵² განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდებს, აგრეთვე მეუღლეებსა და მშობლებს. სასურველია, ისინი ურთიერთდახმარების მიზნით მეგობრულ ჯგუფებად გაერთიანდნენ, რათა თავისი ცხოვრება, ხშირად საკმაოდ რთული, უფრო ადვილად და მეტი სრულყოფილებით ქრისტიანულად გაატარონ. მღვდლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ყველა მოწესე, კაცი თუ ქალი, უფლის სახლის ყველაზე ბრწყინვალე ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ მათი სულიერი სრულყოფა განსაკუთრებული მზრუნველობის ღირსია და ის მთელი ეკლესიისი კეთილდღეობას ემსახურება. საგანგებო ყურადღება მღვდლებს მართებთ სწულთა და მომაკვდავთა მიმართ. მათ ისინი უნდა მოინახულონ და უფალში განამტკიცონ.⁵³

მღვდლების ფუნქცია არ ამოიწურება ცალკეულ ერთგულთათვის ზრუნვით: ის ჭეშმარიტად ქრისტიანული საკრებულოს ჩამოყალიბებასაც გულისხმობს. ხოლო იმისთვის, რომ საკრებულოს სული სათანადოდ განვითარდეს, მან არა მარტო ადგილობრივი ეკლესია უნდა მოიცვას, არამედ საყოველთაო ეკლესიაც. ხოლო ადგილობრივი საკრებულო მხოლოდ თავისი ერთგულებისთვის კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ, მისიონერული სულით გამსჭვალულმა, მან ყველა ადამიანს უნდა გაუხსნას გზა ქრისტესკენ. პირველ რიგში, მას ევალება ზრუნვა კათაკმეველთა და ნეოფიტებისათვის, რომლებიც თანდათანობით უნდა აღვზარდოთ იმისათვის, რომ მათ ქრისტიანული ცხოვრება შეიცნონ და მას მისდიონ.

45 შდრ. გალ. 1, 10.

46 შდრ. 1 კორ. 4, 14.

47 შდრ. *Didascalia*, II, 34, 3; II, 46, 6; II, 47, 1; *Constitutiones Apostolorum*, II, 47, 1: FUNK, *Didascalia et Constitutiones*, I, 116, 142, 143.

48 შდრ. გალ. 4, 3; 5, 1, 13.

49 შდრ. S. HIERONYMUS, *Epist.*, 58, 7: “რა აზრი აქვს, როცა კედლები ბრწყინავს ძვირფასი ქვებით, თუ ქრისტე ღატაკად მოკვდა?” (PL 22, 584).

50 შდრ. 1 პეტრე 4, 10.

51 შდრ. მათ. 25, 34-45.

52 შდრ. ლუკ. 4, 18.

53 შეიძლება ვახსენოთ სხვა კატეგორიის ხალხიც, მაგალითად, მიგრანტები, მომთაბარენი და სხვა. მათ შესახებ ლაპარაკია დეკრეტში „ეკლესიაში ეპისკოპოსთა სამღვდლო ფუნქციის შესახებ“, 18.

მაგრამ ვერცერთი ქრისტიანული საკრებულო ვერ აშენდება, თუ მისი ფესვი და გული უწმიდესი ევქარისტის აღსრულებაში არა ძევს. ის არის ყოველგვარი აღზრდის საწყისი, მიმართული საკრებულოს სულის მოპოვებისკენ.⁵⁴ ევქარისტის აღსრულება გულწრფელი და სრული რომ იყოს, მას შედეგად უნდა მოჰყვეს სხვადასხვა საქველმოქმედო საქმე და ურთიერთდახმარება, აგრეთვე მისიონერული მოღვაწეობა და ქრისტიანული მოწმობის სხვადასხვა ფორმა.

გარდა ამისა, სიყვარულით, ლოცვით, მაგალითითა და მონანიების საქმეებით საეკლესიო საკრებულო ჭეშმარიტ დედობას აღმოუჩენს სულებს, რათა ისინი ქრისტესთან მიიყვანოს. ის არის ქმედითი იარაღი, რომელიც ქრისტესსა და მისი ეკლესიისკენ გზას უჩვენებს ან განუხსნის მათ, ვისაც ჯერ არა სწამს, ხოლო მორწმუნეებს სულიერი ბრძოლისთვის აღვიძებს, ასაზრდოებს და განამტკიცებს.

ქრისტიანული საკრებულოს მოწყობისას მღვდლები არასდროს ემსახურებიან რომელიმე ერთ იდეოლოგიას ან ადამიანთა პარტიას, არამედ, როგორც სახარების მქადაგებლები და ეკლესიის მწყემსები, თავის ძალებს ქრისტეს სხეულის სულიერ ზრდას ახმარენ.

II. მღვდელთა ურთიერთობა სხვებთან

7. ყველა მღვდელი ეპისკოპოსებთან ერთად ქრისტეს ერთსა და იმავე მღვდლობასა და მსახურებაში (sacerdotium et ministerium) მონაწილეობს, ისე, რომ თავად ხელდასმისა (consecrationis) და მისიის ეს ერთიანობა მოითხოვს მღვდლების იერარქიულ ურთიერთობას (communione) ეპისკოპოსთა ხარისხთან,⁵⁵ რასაც ისინი ჩვეულებრივ ლიტურგიის ერთობლივ აღსრულებაში საუკეთესოდ ამჟღავნებენ: ისინი ხომ ეპისკოპოსებთან ერთად აღსრულებენ ევქარისტულ მსხვერპლს.⁵⁶ ამიტომ სული წმიდას ნიჭით, რომელიც მღვდლებს წმიდა ხელდასმებაში მიეცათ, ეპისკოპოსებს ისინი ჰყავთ როგორც დამხმარენი და მრჩეველები მსახურებასა და მოვალეობის აღსრულებისას, რომელიც ღმრთის ხალხის სწავლებას, წმიდა ყოფასა და მწყემსობას გულისხმობს.⁵⁷ ამას ეკლესიის ადრეულ პერიოდშივე დაბეჯითებით მოწმობდნენ ლიტურგიული დოკუმენტები, როდესაც საზეიმოდ ითხოვდნენ ღმრთისაგან, ხელდასასხმელ მღვდელზე გადმოდინებულიყო „მაღლისა და განსჯის (consilii) სული, რათა იგი წმიდა გულით დაეხმაროს ერს და მართოს ის,“⁵⁸ როგორც უდაბნოში მოსეს სული გადავი-

54 შდრ. Didascalia, II, 59, 1-3: „სწავლებისას მოუწოდე ხალხს და მოითხოვე, ხშირად მოვიდნენ ეკლესიაში და არავითარ შემთხვევაში არ დააკლდნენ მას; დაე, ყოველთვის შეიკრიბონ და ეკლესია არ დაამცირონ თავისი განდგომითა და ქრისტეს სხეულისთვის ასოთა მოკლებით... თქვენ თავადაც ქრისტეს ასოები ხართ. ამიტომ ნუ განუდგებით ეკლესიას მასში შეკრებაზე უარის თქმით. ქრისტე თქვენი თავია, რომელიც, თანახმად მისი დაპირებისა, მუდამ თქვენთან არის და ურთიერთობს თქვენთან. ამიტომ ნუ უგულვებელყოფთ საკუთარ თავს, ნუ გააუცხოებთ მაცხოვარს მისივე ასოებისგან, ნუ დაყოფთ და დააქუცმაცებთ მის სხეულს...“: FUNK I, 170. – PAULUS VI., მიმართვა „di aggiornamento pastorale“ იტალიური სამღვდლოების მიმართ XIII კონგრესზე ურბინოში 1963 წლის 6 სექტემბერს: AAS 55 (1963), pp. 750 ss.

55 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 28.

56 შდრ. ე.წ. *Constitutio Ecclesiastica Apostolorum*, XVIII: მღვდლები არიან საიდუმლოთა „სინისტები“ და „სინეპიმაქები“ (TH. SCHERMANN, *Die allgemeine Kirchenordnung*, I, Paderborn 1914, p. 26; A. HARNACK, T. u. U., II, 4, p. 13, n. 18 et 19). – PSEUDO-HIERONYMUS, *De Septem Ordinibus Ecclesiae*: „... კურთხევაში (in benedictione) ისინი ეპისკოპოსებთან ერთად საიდუმლოთა მონაწილენი (consortes) არიან“ (A. W. KALFF, Würzburg 1937, p. 45). – S. ISIDORUS HISPALENSIS, *De Ecclesiasticis Officiis*, c. VII: „ისინი ქრისტეს ეკლესიას უძღვებიან და, ეპისკოპოსებთან ერთად, სხეულისა და სისხლის შექმნაში (confectione) მონაწილეობენ, ისევე როგორც ხალხის დამოძღვრასა და ქადაგების საქმეში“ (PL 83, 787).

57 შდრ. Didascalia, II, 28, 4: FUNK, 108. – *Constitutiones Apostolorum*, II, 28, 4; II, 34, 3: *ibid.*, pp. 109 et 117.

58 *Const. Apost.* VIII, 16, 4: FUNK I, 522, 13. – შდრ. *Epitome Const. Aposz.*, VI, *ibid.*, II, p. 80, 3-4. – *Testamentum Domini*: „... მიეცი მას მაღლის, განსჯისა (consilii) და დიდსულოვნების სული, სული

და სამოცდაათ ბრძენ კაცზე,⁵⁹ „რათა მათი მეშვეობით ადვილად მართოს ერის ურიცხვი სიმრავლე.“⁶⁰ მღვდლობასა და მსახურებაში ამ ურთიერთობის გამო ეპისკოპოსებს მღვდლები ძმებად და მეგობრებად უნდა მიაჩნდეთ.⁶¹ ისინი, შეძლებისდაგვარად, მღვდელთა მატერიალური და, უპირველეს ყოვლისა, სულიერი კეთილდღეობისათვის უნდა იღწვოდნენ. სწორედ ეპისკოპოსებს აკისრია მძიმე პასუხისმგებლობა თავისი მღვდელმსახურების სინმიდისათვის.⁶² ამიტომ მათ განსაკუთრებით უნდა იზრუნონ მღვდლების მუდმივი განათლებისთვის.⁶³ ისინი მზად უნდა იყვნენ მღვდლების მოსასმენად, თავადაც რჩევა ჰკითხონ და იმსჯელონ მათთან იმის შესახებ, რაც სამღვდლო საქმიანა და დოცტრინის სიკეთეს ეხება. ხოლო იმისათვის, რომ ამ საქმემ შედეგი გამოიღოს, ამჟამინდელი ვითარებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად,⁶⁴ სამართლით დადგენილი ფორმითა და ნორმებით, დაარსდება სამღვდლოების (Presbyterium) წარმომადგენელ მღვდელმსახურთა ჯგუფი ან სენატი,⁶⁵ რომელსაც შეეძლება, თავისი რჩევებით ქმედითად დაეხმაროს ეპისკოპოსს დოცტრინის მართვაში.

ხოლო მღვდლებს უნდა ახსოვდეთ ხარისხის საიდუმლოს სისრულე, რომელიც ეპისკოპოსებს გააჩნიათ და მისი სახით თაყვანი სცენ ქრისტეს – უზენაესი მწყემსის უფლებამოსილებას. ამიტომ ისინი ეპისკოპოსს გულწრფელი სიყვარულითა და მორჩილებით უნდა შეუდგნენ.⁶⁶ ეს სამღვდელმსახურო მორჩილება, თა-

მღვდლობისა, რათა დაეხმაროს შენს ერს და მართოს ის საქმით, მოშიშებით, წმიდა გულით” (B. BOTTE, *La Tradition apostolique*, Muenster i. W. 1963, p. 20).

59 შდრ. რიცხვთა 11, 16-25.

60 *Pont. Rom.*, „De Ordinatione Presbyteri“, შესავალი: ეს სიტყვები უკვე არის *Sacramentarium Leonianum*, *Sacramentarium Gelasianum* და *Sacramentarium Gregorianum*-ში. მსგავსი რამ გვაქვს აღმოსავლეთის ლიტურგიებშიც, შდრ. *Trad. Apost.*: „შეხედე შენს ამ მონას და აღჭურვე ის მადლისა და განსჯის სულით, რათა დაეხმაროს მღვდლებს და მართოს ერი შენი წმიდა გულით, ისე, როგორც შენს მიერ რჩეულ ერს შეხედე და მოსეს უბრძანე, მღვდლები ამოერჩია. შენ ისინი შენი სულით აღავსე, რომელიც შენს მსახურს მიეცა“ (ვერონის ძველი ლათინური ვერსიიდან, გამომც. B. BOTTE, *La Tradition apostolique de S. Hippolyte. Essai de reconstruction*, Muenster i. W. 1963, p. 20). – *Const. Apost.* VIII, 16, 4: FUNK I, 522, 16-17. – *Epist. Const. Apost.* 6: FUNK II, 20, 5-7. – *Testamentum Domini*: trad. I.E. RAHMANI, Moguntiae 1899, p. 69. – *Euchologium Serapionis*, XXVII: FUNK, *Didascalia et Constitutiones*, II, p. 190, lin. 1-7. – *Ritus Ordinationis in ritu Maronitarum*: trad. H. DENZIGER, *Ritus Priestralium*, II, Würzburg 1863, p. 161. – მამათა შორის შეიძლება დავასახელოთ: THEODORUS MOPS., *In 1 Tim.* 3, 8: SWETE, II, 119-121. – THEODORETUS, *Quaest. in Numeros*, XVIII: PG 80, 372 b.

61 შდრ. CONC. VAT: II, *Const. dogm. de Ecclesia*, n. 28. *Decr. de pastorali Episcoporum munere in Ecclesia*, nn. 15 et 16.

62 შდრ. IOANNES XXIII, *encycl. Sacerdotii Nostri primordia*, 1 aug. 1959: AAS 51 (1959), p. 576. – S. PIUS X, *exhort. ad clericum Haerent animo*, 4 aug. 1908: S. PII X Acta, vol. IV (1908), pp. 237 ss.

63 შდრ. CONC. VAT. II, *Decr. de pastorali Episcoporum munere in Ecclesia*, nn. 15 et 16.

64 სამართლაში უკვე არსებობს საკათედრო თავი, ეპისკოპოსის ერთგვარი „სენატი და საბჭო“ (CIC, c. 391), ან, მისი არარსებობის შემთხვევაში, დოცტრინული კონსულტანტების ჯგუფი (შდრ. CIC, cc. 423-428). სასურველია ამ ინსტიტუციების გადასინჯვა, რათა მათ უკეთესად უზაახუნოს თანამედროვე ვითარებასა და მოთხოვნილებებს. ცხადია, მღვდელთა ამგვარი ჯგუფი განსხვავდება სამღვდლო საბჭოსაგან, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი დეკრეტში *de pastorali Episcoporum munere in Ecclesia*, n. 27. ამ უკანასკნელში საერო პირების შედიან და მისი ამოცანა მხოლოდ სამღვდლო მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მდგომარეობს. მღვდლების როგორც ეპისკოპოსთა მრჩეველების შესახებ იხ. *Didascalia*, II, 28, 4: FUNK I, 108. – *Const. Apost.*, II, 28, 4: FUNK I, 109. – S. IGNATIUS M., *Magn.*, 6, 1. FUNK 234, 10-16; *Trall.*, 3, 1: FUNK 244, 10-12. – ORIGENES, *Adv. Celsum*, 3, 30: მღვდლები მრჩეველი არიან (“ბუღეუტაი”): PG 11, 957 d – 960 a.

65 S. IGNATIUS M., *Magn.*, 6, 1. „მოგინოდებთ, შეეცადეთო, ყველაფერი აღასრულოთ საღმრთო თანხმობაში, რომ ეპისკოპოსი იყოს თავმჯდომარედ ღმრთის ადგილას, მღვდლები – მოციქულთა სენატის ადგილას, ხოლო ჩემთვის უძვირფასეს დიაკონებს დაეკისროს იესო ქრისტეს მსახურება, რომელიც საუკუნეთა უწინ მამასთან იყო და ბოლოს მოეგვევლინა“ (FUNK, 234, 10-13). – S. IGNATIUS M., *Trall.*, 3, 1: “მსავსადად ამისა, ყველამ თაყვანი სცეს დიაკონებს როგორც იესო ქრისტეს, და ეპისკოპოსს, რომელიც მამის სახეა (typus), ხოლო მღვდლებს – როგორც საღმრთო სენატსა და მოციქულთა საბჭოს: მათ გარეშე ეკლესია არ შეიკრიბება (non vocatur)” (FUNK, p. 244. 10-12). – S. HIERONYMUS, *In Isaiam*, II, 3 (PL 24, 61 A): “ჩვენც გვაქვს ეკლესიაში ჩვენი სენატი: მღვდელთა შეკრება”.

66 შდრ. PAULUS VI, *allocutio ad Urbis curiones et quadragenarii temporis oratores in Aede Sixtina habita*, die 1 martii 1965: AAS 57 (1965), p. 326.

ნამშრომლობის სულით გამსჭვალული, ეფუძნება საეპისკოპოსო მსახურებაში იმ მონაწილეობას, რომელიც მღვდლებს ხარისხის საიდუმლოსა და კანონიკური მისიის მეშვეობით გადაეცემა.⁶⁷

ჩვენს დროში მღვდლების ეპისკოპოსებთან კავშირი განსაკუთრებით აუცილებელია. სხვადასხვა გარემოებათა გამო, სამოციქულო წამონყებები არა მარტო მრავალფეროვანი შეიძლება გახდეს, არამედ შეიძლება გავიდეს კიდევ ერთი საკრებულოს თუ დიოცეზის საზღვრებს გარეთ. ამიტომ ვერცერთი მღვდელი ვერ შეასრულებს თავის მისიას თვითონ ან მარტო, თუ არ გააერთიანა თავისი ძალები სხვა მღვდლებთან მათი წინამძღოლობით, ვინც ეკლესიას უდგას სათავეში.

8. მღვდლები, ხელდასხმით მღვდლობის ხარისხში აყვანილნი, ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი საიდუმლო ძმობით. ამასთანავე, ისინი წარმოადგენენ ერთიან სამღვდელოებას დიოცეზში, რომელსაც ეძღვნება მათი მსახურება მათივე ეპისკოპოსის მეთაურობით. სხვადასხვა მსახურების შესრულების მიუხედავად, ისინი ადამიანებისთვის ერთიან სამღვდლო მსახურებას ეწევიან. ყველა მღვდელი მოვლენილია ამ საქმეში თანამშრომლობისათვის, სულერთია, ასრულებენ ისინი მსახურებას საკრებულოში თუ მის გარეთ, აწარმოებენ სამეცნიერო კვლევას თუ ეწევიან პედაგოგიურ სამუშაოს, ან სულაც ხელით მუშაობენ და იქ, სადაც ამას უფლებამოსილი ხელისუფლება მიზანშეწონილად მიიჩნევს, მუშაობა ცხოვრებას იზიარებენ, ან სულაც სხვა სამოციქულო ან მოციქულობისთვის განკუთვნილ საქმეებს ასრულებენ. საბოლოოდ ხომ ყველა ერთი მიზნისკენ მიისწრაფვის: ქრისტეს სხეულის აშენებისკენ, რომელიც, განსაკუთრებით ჩვენს დროში, მოითხოვს მრავალგვარ სამსახურსა და ახლებურ მიდგომას. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა მღვდელი, როგორც დიოცეზური ასევე მონესე, ერთმანეთს დაეხმაროს, რათა ისინი ყოველთვის ჭეშმარიტების თანაშემწენი იყვნენ.⁶⁸ თითოეული მღვდელი დაკავშირებულია ამ სამღვდელოების სხვა წევრებთან საგანგებო სამოციქულო სიყვარულის, მსახურებისა და ძმობის კავშირებით. ეს უძველესი დროიდან აღინიშნებოდა ლიტურგიაში: ის ხომ დამსწრე მღვდლებს იწვევს ხელდამსხმელ ეპისკოპოსთან ერთად, რათა მან დაასხას ხელი ახლადარჩეულს, და წმიდა ევქარისტიაც ხომ ერთსულოვნად სრულდება. ამგვარად, ყოველი მღვდელი თანამოძმებთან ერთობაშია სიყვარულის, ლოცვისა და ყოველგვარი თანამშრომლობის კავშირით. ასე ვლინდება ის ერთიანობა, რომლის დაარსება ქრისტემ იწეა თავისიანთა შორის, რათა სამყაროს შეეცნო, რომ მამამ ძე მოავლინა⁶⁹

ამიტომ უფროსები უმცროსებს როგორც ჭერშმარიტ ძმებს უნდა ეპყრობოდნენ, დაეხმარონ მათ პირველ წამონყებებსა და მსახურების დასაწყისში. ისინი უნდა შეეცადონ გაიგონ მათი გონება-განწყობა, თუნდაც ის მათთან განსხვავდებოდეს, და კეთილგანწყობით თვალი ადევნონ მათ ინიციატივებს. ამასთანავე, ახალგაზრდებიც პატივს უნდა სცემდნენ უფროსების ასაკსა და გამოცდილებას, მათთან ერთად უნდა განიხილონ სასულიერო საკითხები და ხალისით ითანამშრომლონ მათთან.

დაე, ძმური სულის წინამძღოლობით, მღვდლებმა არ დაივიწყონ სტუმართმოყვარეობა,⁷⁰ მისდონ ქველმოქმედებასა და ქონების გაზიარებას,⁷¹ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინონ მათ მიმართ, ვინც ავად არის, სასონარკვეთილია, შრომით ქანცგანყვეტილია, მარტოსულია, სამშობლოდან გაძევებულია, ან დევნილია.⁷² დაე, ისინი ხალისითა და სიხარულით შეიკრიბონ, სულიერად დაისვენონ და გაიხსენონ, როგორ მიიპატიჟა თავად უფალმა დაღლილი მოციქულები: „მოვედით

67 შდრ. *Const. Apost.*, VIII, 47, 39: „მღვდლები...ეპისკოპოსის თანხმობის გარეშე ნურაფერს გააკეთებენ, რადგან სწორედ მას ჰყავს მინდობილი უფლის ერი და ის აგებს პასუხს მათი სულებისთვის” (FUNK, 577).

68 შდრ. 3 იოან. 8.

69 შდრ. იოან. 17, 23.

70 შდრ. ებრ. 13, 1-3.

71 შდრ. ებრ. 13, 16.

72 შდრ. მათ. 5, 10

თქვენ თვსაგან უდაბნოსა ადგილსა და განისუენეთ მცირედ“ (მარკ. 6, 31). სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების დახვეწაში მღვდლები ერთმანეთს რომ დაეხმარონ, მსახურებაში ერთმანეთთან უკეთესად ითანამშრომლონ და თავიდან აიცილონ საფრთხე, რომელიც შეიძლება მარტოობამ განაპირობოს, საჭიროა დამკვიდრდეს ერთობლივი (communis) ცხოვრება, ან მისი რაიმე სახეობა, რომელმაც, ბუნებრივია, შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს, პიროვნულ თუ სამღვდლო თავისებურებათა შესაბამისად. ასეთია, მაგალითად, თანაცხოვრება, რომელიც ამის საშუალებას იძლევა, აგრეთვე ერთობლივი ჭამა, ხშირი ან რეგულარული შეხვედრები. ასეთი გაერთიანებები დიდად დასაფასებელია და მათ ხელი უნდა შეეწყოს. უფლებამოსილი საეკლესიო ხელისუფლების მიერ აღიარებული დადგენილებების საფუძველზე, ისინი წარმოადგენენ სათანადო ნესით მონაცემი ცხოვრებისა და ძმური ურთიერთდახმარების საფუძველს, რაც ხელს უწყობს მღვდლებს, წმიდად აღასრულონ მსახურება. ხოლო ყოველივე ეს, რასაკვირველია, მღვდელთა მთელ ხარისხს ემსახურება.

დაბოლოს, მღვდელმსახურებაში ასეთი ურთიერთობის გამო, მღვდლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ განსაკუთრებული მოვალეობა აკისრიათ მათ მიმართ, ვინც სირთულეებს განიცდის. მღვდლები მათ სასწრაფოდ უნდა დაეხმარონ და, თუ საჭიროა, თავშეკავებულად გაფრთხილებასაც მიმართონ. ხოლო მათ, ვინც რაღაც შეცდომა დაუშვა, ისინი ყოველთვის ძმური სიყვარულით და კეთილად უნდა მოეპყრან, გამუდმებით ევედრონ მათთვის ღმერთს და მათ მიმართ ჭეშმარიტი ძმობა და მეგობრობა გამოავლინონ.

9. ხარისხის საიდუმლოს ძალით, ახალი აღთქმის მღვდელმსახურები ღმრთის ერში და ერისთვის მამისა და მოძღვრის ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ ამავე დროს, ყველა ქრისტეს ერთგულთან ერთად, ისინიც უფლის მონაფეები არიან, რომლებიც, საღმრთო მადლის მონოდებით, მისი მეფობის მოზიარენი გახდნენ.⁷³ ნათლობაში ყველა აღორძინებულისათვის მღვდლები არიან ძმანი ძმათა შორის,⁷⁴ როგორც ასონი ქრისტეს ერთი სხეულისა, რომლის აშენება ყველას დაეკისრა.⁷⁵

ამიტომ მღვდლები ისე უნდა წინამძღოლობდნენ, რომ თავისი კი არა, არამედ იესო ქრისტესი ეძიონ.⁷⁶ მათ ერთგულ საერო პირებთან უნდა ითანამშრომლონ და, მოძღვრის დარად, მათ შორის იქცეოდნენ, რომელიც “არა მოვიდა, რათამცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი საჯსრად მრავალთათვის” (მათ. 20, 28). მღვდლები გულწრფელად უნდა სცნობდნენ და ხელს უწყობდნენ საერთო ღირსებასა და საკუთრივ მათ წვლილს ეკლესიის მისიაში. ისინი ჯეროვნად პატივს უნდა სცემდნენ სამართლიან თავისუფლებას, რომლის უფლებაც ყველას აქვს მიწიერ ქალაქში. მათ ხალხით უნდა უსმინონ საერო პირებს, ძმურად გაითვალისწინონ მათი სურვილები, აღიარონ მათი გამოცდილება და კომპეტენცია ადამიანური მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში, რათა მათთან ერთად შეეცადონ, ამოიკითხონ დროის ნიშნები. სულთა გამოცდით, “უკუეთუ ღმრთისაგან იყვენენ”,⁷⁷ მღვდლებმა რწმენით უნდა ამოიცნონ საერო პირთა მრავალფეროვანი ქარისმები – სრულიად მოკრძალებულიცა და ამაღლებულიც. მათ სიხარულით უნდა სცნონ ისინი და გულმოდგინედ ხელი შეუწყონ მათ. ღმრთის სხვადასხვა ნიჭთა შორის, რომლებიც უხვად მოიპოვება ერთგულებში, განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ის არის, რაც მრავალ ადამიანს უფრო მაღალი სულიერი ცხოვრებისკენ მიიზიდავს. მღვდლებს

73 შდრ. 1 თეს. 2, 12; კოლ. 1, 13.

74 შდრ. მათ. 23, 8. – „ძმურად უნდა მოვექცეთ ადამიანებს სწორედ იმიტომ, რომ გვინდა ვიყოთ მათი მღვდლები, მამები, მოძღვარნი“ (PAULUS VI, encycl. *Ecclesiam suam*, 6 aug. 1964: AAS 58 (1964), p. 647).

75 შდრ. ეფეს. 4, 7 და 16. – *Const. Apost.*, VIII, 1, 10: „არც ეპისკოპოსი უნდა აღზვედეს დიაკონებზე და მღვდლებზე (presbyteros) მაღლა, არც მღვდლები ხალხზე, რადგან ერთობა ორივესგან შედგება“ (FUNK I, 467).

76 შდრ. ფილ. 2, 21.

77 1 იოან. 4, 1.

უნდა გააჩნდეთ ერთგულთა ნდობა და მათ ეკლესიის მსახურებისთვის განკუთვნილი მოვალეობები დააკისრონ, მისცენ მათ თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა და ასპარეზი, მეტიც: შესთავაზონ, შეძლებისდაგვარად საკუთარი ინიციატივით იმოქმედონ.⁷⁸

საბოლოო ჯამში ხომ მღვდლებს საერო პირთა შორის აქვთ ადგილი განკუთვნილი, რათა ყველას სიყვარულის ერთობისკენ გაუძღვენენ, რაც ნიშნავს: “ძმათ მოყუარებითა ურთიერთას მონღედ მოსურნე იყვენით; პატივის-ცემასა ურთიერთსა უსწრობდით” (რომ. 12, 10). მათ სხვადასხვა მენტალიტეტი ისე უნდა შეათანხმონ, რომ ერთგულთა საკრებულოში თავი უცხოდ არავინ იგრძნოს. ისინი ხომ, ეპისკოპოსთა სახელით, საზოგადო კეთილდღეობისთვის იღწვიან. ამასთანავე, ისინი მედგრად იცავენ ჭეშმარიტებას, რათა ერთგულნი არ ვიყნოთ “მიმოტაცებულ ყოველსა მას ქარსა მოძღურებისასა”.⁷⁹ მათ საგანგებო მზრუნველობას ისინიც არიან მინდობილნი, ვინც განუდგა საიდუმლოთა აღსრულებასა და თვით სარწმუნოებასაც კი. მღვდლებმა, როგორც კეთილმა მწყემსებმა, ისინი არ უნდა დაივიწყონ.

ეკუმენიზმის მითითებების თანახმად,⁸⁰ მღვდლებმა არც ის ძმები უნდა დაივიწყონ, რომლებიც ჩვენთან სრულ საეკლესიო ურთიერთობას მოკლებულნი არიან.

და ბოლოს, ისინი პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ ყველასთვის, ვინც ქრისტეს თავის მაცხოვრად არა სცნობს.

ხოლო თავად ქრისტეს ერთგულებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ ვალდებულება თავის მღვდლების წინაშე და შვილობრივი სიყვარულით ეპყრობოდნენ მათ, როგორც თავის მწყემსებსა და მამებს. მათ უნდა გაიზიარონ მღვდელთა საზრუნავი და შეძლებისდაგვარად მათ ლოცვითა და საქმით შეენიონ, რათა მღვდლებმა წარმატებით შეძლონ სირთულეების გადალახვა და თავისი მოვალეობის უფრო ნაყოფიერად შესრულება.⁸¹

III. მღვდლების დანაწილება და სამღვდელმსახურო მონოდებები

10. სულიერი ნიჭი, რომელსაც მღვდლები ხელდასხმისას იღებენ, მათ შეზღუდული და კერძო მისიისთვის კი არ ამზადებს, არამედ გამოხსნის უფართოესი და საოველთაო მისიისათვის, “ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა” (საქმე 1, 8), რადგან ნებისმიერი სამღვდლო მსახურება მოზიარეა მისიის იმ საყოველთაო გავრცელებისა, რომელიც ქრისტემ მოციქულებს მიაწოდა. ქრისტეს მღვდელმსახურება, რომლის მონაწილენიც მღვდლები ნამდვილად გახდნენ, აუცილებლად ყველა ერისა და ყველა დროისთვის არის განკუთვნილი. ის არ არის შეზღუდული ნათესაური, ეროვნული თუ ასაკობრივი საზღვრებით. მელქისედექი ამის იდუმალი მინიშნება იყო.⁸² დაე, ახსოვდეთ მღვდლებს, რომ მათ ყველა ეკლესიის მიმართ ზრუნვა მართებთ. ამიტომ იმ დიოცეზების მღვდლები, სადაც მონოდება მეტია, მზად უნდა იყვნენ, საკუთარი ორდინარიუსის ნებართვისა თუ მოწვევის საფუძველზე, თავისი მსახურება სამღვდლოებას მოკლებულ რეგიონებში, მისიებსა თუ საქმეებში აღარსულონ.

გარდა ამისა, ინკარდინაციისა და ექსკარდინაციის ნორმები ისე უნდა გადაისინჯოს, რომ ამ უძველესმა ინსტიტუციამ, ერთის მხრივ, მტკიცედ განაგრძოს არსებობა, მეორეს მხრივ კი, უკეთესად უპასუხოს დღევანდელ სამღვდლო მოთხოვნილებებს. იქ, სადაც მოციქულობა ამას მოითხოვს, ხელი უნდა შეეწყოს არა მარტო მღვდლების სათანადო განაწილებას, არამედ განსაკუთრებული სამღვდლო საქმეების აღსრულებასაც, რომლებიც სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის არის განკუთვნილი გარკვეული რეგიონის, ქვეყნისა თუ კონტინენტის ფარგლებში. ამისთვის შეიძლება დიდად სასარგებლო იყოს საერთაშორისო სემინარიების,

78 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 37.

79 ეფეს. 4, 14.

80 შდრ. CONC. VAT. II, Decr. de oecumenismo.

81 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 37.

82 შდრ. ებრ. 7, 3.

საგანგებო დიოცეზებისა თუ პერსონალური პრელატურებისა და სხვა ამგვარი ინსტიტუციების დაარსება, რომლებსაც მღვდლები შეიძლება მიეჩინონ ან ინკარდინირებულ იქნენ მთელი ეკლესიის საკეთილდღეოდ, ცალკეული წამონწყებისთვის გამომუშავებული ნორმების მიხედვით, ადგილობრივ ორდინარიუსთა უფლებების განუხრელად დაცვის პირობებში.

მეორეს მხრივ, შეძლებისდაგვარად უნდა შევეცადოთ, მღვდლები თითო-თითოდ არ მივავლინოთ ახალ რეგიონში, განსაკუთრებით იქ, სადაც ისინი ენასა და ზნე-ჩვეულებებს კარგად არ იცნობენ. ქრისტეს მონაფეთა მაგალითის თანახმად,⁸³ უმჯობესია, ასეთ ადგილებში ორნი ან სამნი გაემგზავროს, რათა შეეძლოს, ერთმანეთს დაეხმარონ. აუცილებელია მათი სულიერი ცხოვრებისთვის ზრუნვა, აგრეთვე მათი ფსიქიური და ფიზიკური სიჯანსაღის უზრუნველყოფა. შეძლებისდაგვარად საჭიროა მათთვის ისეთი ადგილისა და სამუშაო ვითარების მომზადება, რომელიც თითოეული მათგანის ინდივიდუალურ თავისებურებებს შეესაბამება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ახალ ქვეყანაში ვინც მიემგზავრება, არა მარტო ადგილობრივი ენა შეისწავლოს, არამედ იმ ხალხის ფსიქოლოგიური და სოციალური თავისებურებებსაც გაეცნოს, რომლებსაც მოკრძალებით უნდა ემსახუროს. მღვდლებს მათთან მაქსიმალურად სრულყოფილი კონტაქტი უნდა ჰქონდეთ, რათა მისდინო მოციქული პავლეს მაგალითს, რომელსაც საკუთარი თავის შესახებ შეეძლო, ეთქვა: “რამეთუ თავისუფალ ვიყავ ყოველთაგან და ყოველთა თავი ჩემი დავამონე, რათა უმრავლესნი შევიძინე. ვიქმენ ჰურიათა თანა ვითარცა ჰურიად, რათა ჰურიანი შევიძინე...” (1კორ. 9, 19-20).

11. მწყემსმა და ჩვენი სულების მოღვანემ (“ეპისკოპოსმა”)⁸⁴ ისე დააფუძნა თავისი ეკლესია, რომ ერს, რომელიც მან ამოირჩია და თავისი სისხლით მოიგო,⁸⁵ მუდამ და საუკუნეთა აღსასრულამდე თავისი მღვდელმსახურნი უნდა ჰყავდეს, რათა ქრისტიანები არასდროს იყვნენ “ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი”.⁸⁶ მოციქულებმა იცოდნენ ქრისტეს ნების შესახებ. სული წმიდის შთაგონებით, მათ განსაჯეს, რომ მათი მოვალეობა არის მსახურთა ამორჩევა, “რომელნი შემძლებელ იყვნენ სხუათაცა სწავლად” (2 ტიმ. 2). ეს მოვალეობა თავად სამღვდელმსახურო მისიას განეკუთვნება. მისი მეშვეობით მღვდელი მთელი ეკლესიის საზრუნავის მონაწილეა, რომლის მიზანიც ის არის, რომ ღმრთის ერს აქ, დედამიწაზე, მუშაკნი არ მოჰკლებოდეს. ხოლო რადგანაც “გემის კაპიტანსა და მგზავრებს...საერთო მიზანი აქეთ”,⁸⁷ ამიტომ მთელს ქრისტიან ერს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი მოვალეობა არის გულმოდგინე ლოცვითა და სხვა არსებული საშუალებებით⁸⁸ ყოველმხრივ ხელი შეუწყოს იმას, რომ ეკლესიას მუდამ ჰყავდეს ის მღვდელმსახურები, რომლებიც აუცილებელნი არიან მისი საღმრთო მისიის აღსასრულებლად. ამგვარად, მღვდლების უმთავრესი მიზანია, სიტყვის მსახურებითა და საკუთარი ცხოვრების მონაწილობით, რომელიც ცხადაყოფს მსახურების სულსა და ჭეშმარიტ სააღდგომო სიხარულს, ერთგულებს თვალნათლივ აჩვენოს მღვდელმსახურების მნიშვნელობა და აუცილებლობა. ძალთა დაუზოგავად და სირთულეთა მიუხედავად, ისინი უნდა დაეხმარონ მათ, ვისაც დაფიქრების შედეგად ასეთი მსახურებისთვის შესაფერისად მიიჩნევენ, სულერთია, იქნებიან ისინი ახალგაზრდები თუ ზრდასრულები, რათა ისინი სათანადოდ მოემზადონ იმ დღისათვის, როდესაც მათი გარეგანი და შინაგანი თავისუფლების სრული დაცვის პირობებში, მათ შეიძლება ეპისკოპოსმა მოუწოდოს. ამ მიზნის მისაღწევად ძალზე სასარგებლოა ყურადღებიანი და გონივრული სულიერი ხელმძღვანელობა. მშობლებმა, მოძღვრებმა და ყველამ, ვინც ამა თუ იმ სახით დაკავშირებულია ბავშვებისა და ახალგაზრდების აღზრდასთან, ისე უნდა

83 შდრ. ლუკ. 10, 1.

84 შდრ. 1პეტრე 2, 25.

85 შდრ. საქმე 20, 28.

86 მათ. 9, 36.

87 *Pont. Rom.*, „De Ordinatione Presbyteri“.

88 შდრ. CONC. VAT. II, *Decr. de Institutione sacerdotali*, n. 2.

აღზარდოს ისინი, რომ მათ შეიგრძნონ უფლის ზრუნვა თავისი სამწყსოსათვის, გააცნობიერონ ეკლესიის მოთხოვნილებანი და მზად იყვნენ, წინასწარმეტყველთან ერთად დიდსულოვნად უპასუხონ უფლის მოწოდებას: “აჰა, მიმავლინე” (ეს. 6, 8). მაგრამ არ უნდა მოველოდეთ, რომ უფლის მოწოდების ეს ხმა რაღაც საოცარი გზით მიაღწევს მომავალი მღვდლის სმენამდე. უმჯობესია, ის იმ ნიშნებიდან ამოვიცნოთ და გავარჩიოთ, რომლებითაც კეთილგონიერი ქრისტიანები ყოველდღიურად იგებენ ღმრთის ნებას. მღვდლებმა ეს ნიშნები ყურადღებით უნდა განიხილონ.⁸⁹

ამიტომ მღვდლებს დიდად ვურჩევთ, მონანილეობა მიიღონ მოწოდების საქმეებში, როგორც დიოცეზურში, ასევე ეროვნულში.⁹⁰ ქადაგებაში, კატეხიზაციაშიც, პრესაშიც საჭიროა ეკლესიის (როგორც ადგილობრივის, ასევე საყოველთაოს) მოთხოვნილებების წარმოჩენა, სამღვდლო მსახურების არსისა და მნიშვნელობის ნათელყოფა. საჭიროა ვაჩვენოთ, რომ მასში უდიდესი შრომა უდიდეს სიხარულს ერწყმის, და, როგორც მამები გვასწავლიან, უპირველეს ყოვლისა სწორედ მისი საშუალებით არის შესაძლებელი, ქრისტეს მივართვათ სიყვარულის უდიდესი მონობა.⁹¹

თავი III

მღვდელთა ცხოვრება

I. მღვდელთა მოწოდება სრულყოფისაკენ

12. ხარისხის საიდუმლოთი მღვდლები ქრისტე-მღვდელს ემსგავსებიან (configuratur). როგორც თავის მსახურებმა და საეპისკოპოსო ხარისხის თანამშრომლებმა, მათ უნდა მოაწყონ და ააშენონ მისი მთელი სხეული, რომელიც არის ეკლესია. რა თქმა უნდა, უკვე ნათლობის ხელდასხმაში (consecratione), როგორც ყველა ქრისტიანმა, მათ უკვე მიიღეს ამ დიდი მოწოდებისა და მადლის ნიშანი და ნიჭი, რათა ადამიანურ უძღურებაში⁹² შეძლონ სისრულისკენ მისწრაფება, თანახმად უფლის სიტყვისა: “იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათაჲ სრულ არს” (მათ. 5 48). ამ სისრულის მიღწევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მღვდელმსახურებისთვის. ისინი ხომ ღმერთს ხარისხის მიღების შედეგად ახლებურად იქნენ ღმრთისადმი მიძღვნილნი (consecrati). ისინი ქრისტეს – საუკუნო მღვდელმსახურის ცოცხალ ინსტრუმენტებად იქცნენ, რათა დროთა მსვლელობაში განაგრძონ მისი საკვირველი საქმე, რომლის უდიდესი ძალით მან მთელი კაცობრიობა აღადგინა.⁹³ ყველა მღვდელმსახური თავისებურად ქრისტეს განასახიერებს (ipsius Christi personam great). ამიტომ მას განსაკუთრებული მადლი ენიჭება, რათა მისადმი მინდობილ ხალხსა და ღმრთის მთელს ერს ემსახუროს და მეტი წარმატებით შეძლოს იმის სისრულისაკენ სწრაფვა, ვისაც თავად განასახიერებს. ამავე მადლით ადამიანის ხორცის უძღურება იმის სინმიდით უნდა განიკურნოს, ვინც ჩვენთვის გახდა პონტიფექსი, “წმიდაჲ, უმანკოჲ, შეუგინებელი, განშორებული ცოდვათაგან” (ებრ. 7, 26).

ქრისტემ, რომელიც მამამ “წმიდაყო და მოავლინა სოფლად”,⁹⁴ “მისცა თავი თვისი ჩუენთვის, რათა მიჰსწნეს ჩუენ ყოვლისაგან ურჩულებისა და განწმინდეს თავისა თვისისა ერად მოგებულად, მობაძავად კეთილთა საქმეთა” (ტიტ. 2, 14) და ასე ვნებით შევიდა თავის დიდებაში.⁹⁵ ასევე მღვდელნი, სული წმიდის ცხებით ხელდასხმულნი და ქრისტესგან მოვლინებულნი, ხორციელს კლავენ თავის საქმეებში და მთლიანად

89 PAULUS VI, allocutio habita die 5 maii 1965: *L'Osservatore Romano*, 6-V-65, p. 1.

90 შდრ. CONC. VAT. II, Decr. *de institutione sacerdotali*, n. 2.

91 ამას ასწავლიან მამები, როდესაც განმარტავენ ქრისტეს სიტყვებს პეტრეს მიმართ: „გუყუარ მუა?... დამსწყენ ცხოვარნი ჩემნი“. ასეა წმ. იოანე ოქროპირთან, *De sacerdotio*, II, 1-2: PG 47-48; 633. – S. GREGORIUS M., *Reg. Past. Liber*, P. I. c. 5: PL 77, 19 a.

92 შდრ. 2 კორ. 12, 9.

93 შდრ. PIUS XI, encycl. *Ad catholici sacerdotii*, 20 dec. 1935: AAS 28 (1936), p. 10.

94 იოან. 10, 36.

95 შდრ. ლუკ. 24, 26.

ადამიანთა მსახურებას ეძლევიან. ამგვარად, სინმიდით, რომელიც ქრისტეში მიეცათ, მათ შეუძლიათ სრულყოფილ მამაკაცს მიუახლოვდნენ.⁹⁶

მასასადამე, სულისა და სიმართლის მსახურების⁹⁷ აღსრულებით, ისინი სულიერ ცხოვრებაში მტკიცდებიან, თუკი ემორჩილებიან ქრისტეს სულს, რომელიც მათ ცხოველყოფს და უძღვება. მღვდლები ხომ ცხოვრების სისრულისაკენ ყოველდღიური წმიდა ქმედებებით მიისწრაფვიან, ანუ მთელი თავისი მსახურებით, რომელსაც ეპისკოპოსსა და სხვა მღვდლებთან ერთად აღასრულებენ. მღვდლების სინმიდე დიდად უწყობს ხელს მათი მსახურების ნაყოფიერად შესრულებას: მართალია, ღმრთის მაღლმა გამოსხნის საქმე უღირსი მსახურების მეშვეობითაც შეიძლება აღასრულოს, მაგრამ მაინც ღმერთი თავის საოცარ საქმეთა გამოვლინებას მათი მეშვეობით ამჯობინებს, ვინც სული წმიდის მოწოდებასა და წინამძღოლობას (*impulsui et ductui*) ემორჩილება და ვისაც ქრისტესთან შინაგანი ერთობისა და ცხოვრების სინმიდის საფუძველზე შეუძლია თქვას: “ხოლო ცხოველ მე არღარა ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე” (გალ. 2, 20).

ამიტომ, თავისი სამწყსო მიზნების განხორციელებისთვის, ეკლესიის შინაგანი განახლებისა და მთელს მსოფლიოში სახარების გავრცელებისთვის, წმიდა სინოდი დაბეჯითებით მოუწოდებს ყველა მღვდელმსახურს, ეკლესიის მიერ შემოთავაზებული სათანადო საშუალებათა გამოყენებით,⁹⁸ განუხრელად მიისწრაფოდნენ სულ უფრო მეტი სინმიდისაკენ. ამით ისინი კიდევ უფრო შესაფერის ინსტრუმენტებად იქცევიან ღმრთის მთელი ერის სამსახურში.

13. მღვდლები სინმიდეს მიაღწევენ, თუ თავის ფუნქციებს სული წმიდაში გულწრფელად და განუხრელად შეასრულებენ.

საღმრთო სიტყვის მსახურნი, ისინი ყოველდღიურად კითხულობენ და ისმენენ ღმრთის სიტყვას, რომელიც სხვებს უნდა ასწავლონ. დაე, შეეცადონ, ის ამავე დროს თავადაც მიიღონ. მაშინ ისინი უფლის უფრო სრულყოფილ მონაფეებად იქცევიან, როგორც პავლე მოციქულმა უთხრა ტიმოთეს: “ამას იწურთიდ და ამას შინა იყავ, რაათა წარმატებულებაა ეგე შენი ცხად იყოს ყოველსა შინა. ეკრძალე თავსა შენსა და მოძღურებთა მით დაადგერ მათ ზედა, რამეთუ ამას რაჲ ჰყოფდე, თავიცა შენი აცხოვნო და მორჩილიცა შენნი” (I ტიმ. 4, 15-16). ძიებისას, თუ როგორ უკეთესად გადასცენ სხვებს ის, რაც თავად განჭვრიტეს,⁹⁹ მათ უფრო ღრმად ეცოდინებათ “გამოუკუთლებელი იგი სიმდიდრე ქრისტესი” (ეფეს. 3, 8) და “მრავალფერი იგი სიბრძნე ღმრთისა.”¹⁰⁰ მათ უნდა ახსოვდეთ, რომ უფალი ის არის, ვინც გულებს განალებს,¹⁰¹ ხოლო უპირატესობა არა მათგან მომდინარეობს, არამედ ღმრთის ძლიერებისგან.¹⁰² მაშინ სიტყვის გადაცემისას ისინი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდებიან ქრისტეს – მოძღვარს და მის სულს გაჰყვებიან. ქრისტესთან ასეთი ურთიერთობის შედეგად ისინი ღმრთის სიყვარულს ეზიარებიან, რომლის საიდუმლო, საუკუნიტგან დაფარული,¹⁰³ ქრისტეში განცხადდა.

როგორც ლიტურგიის (*Sacrorum*) მსახურნი, მღვდლები, უპირველეს ყოვლისა მესის მსხვერპლში, საგანგებო სახით ქრისტეს განასახიერებენ, რომელმაც თავისი თავი მსხვერპლად მისცა ადამიანთა წმიდაყოფისთვის. ამიტომ მათ უნდა მიზანძონ იმას, რასაც აკეთებენ: უფლის სიკვდილის აღსრულებისას (*celebrantes*) მათ თავისი ასოების მოკვდინებისთვის უნდა იზრუნონ და თავი დაიცვან ცოდვათა და

96 შდრ. ეფეს. 4, 13.

97 შდრ. 2 კორ. 3, 8-9.

98 შდრ. სხვათა შორის, S. PIUS X, *exhortatio ad clerum Harent animo*, 4 aug. 1908: S. PII X Acta, vol. IV (1908), pp. 237 ss. – PIUS XI, *encycl. Ad catholici sacerdotii*, 20 dec. 1935: AAS 28 (1936), pp. 5 ss. – PIUS XII, *encycl. Sacerdotii Nostrum primordia*, 1 aug. 1959: AAS 51 (1959), pp. 545 ss.

99 შდრ. S. THOMAS, *Summa Theol.*, II-II, q. 188, a. 7.

100 ეფეს. 3, 9-10.

101 შდრ. საქმე 16, 14.

102 შდრ. 2 კორ. 4, 7.

103 შდრ. ეფეს. 3, 9.

ლტოლვათაგან.¹⁰⁴ ევქარისტიული საიდუმლოს მსხვეპრლში, რომელშიც მღვდელ-მსახურები თავის ფუნქციას ასრულებენ, განუწყვეტლივ ხდება ჩვენი გამოსყიდვა.¹⁰⁵ ამიტომ სასურველია მისი ყოველდღიური აღსრულება, რაც არის ქრისტესა და ეკლესიის ქმედება (actus), თუნდაც ერთგულები მას ვერ დაესწრონ.¹⁰⁶ ამგვარად, მღვდლები უერთდებიან ქრისტეს – მღვდელმსახურის ქმედებას, ყოველდღიურად ისინი მთლიანად ღმერთს ეძლევიან (offert), ქრისტეს სხეულით საზრდოობენ და მთელი სულითა და გულით ეზიარებიან იმის სიყვარულს, ვინც თავი საზრდოდ მისცა ერთგულებს. მსგავსად ამისა, საიდუმლოთა აღსრულებისას ისინი ზრახვი-თა და სიყვარულით ქრისტეს უერთდებიან. ეს განსაკუთრებით ხდება მაშინ, როცა ისინი აჩვენებენ, რომ მუდამ მზად არიან, გადასცენ მონაწილის საიდუმლო, როცა ერთგულები ამის შესახებ კეთილგონივრულად სთხოვენ. საღმრთო მსახურების აღსრულებისას ისინი ხმას ეკლესიას აძლევენ, რომელიც მთელი კაცობრიობის სახელით განუწყვეტლივ ლოცულობს ქრისტესთან ერთად, ხოლო იგი “სამარადისოდ ცხოველ არს მეოხად მათთვის” (ებრ. 7, 25).

ღმრთის ერის მმართველნი და მწყემსები, კეთილი მწყემსის სიყვარულით არიან შთაგონებულნი, რათა თავისი სული დადონ თავისი ცხვრებისთვის.¹⁰⁷ ისინი მზად არიან უმაღლესი მსხვერპლისთვისაც, რადგან მისდევნენ იმ მღვდელმსახურთა მაგალითს, რომლებმაც ჩვენს დროშიც თავი უყოყმანოდ განირგეს. აღმზრდელებს სარწმუნოებაში, მათ აქვთ “კადნიერებაჲ შესვლად სინმიდეთა მათ სისხლითა” ქრისტესი (ებრ. 10, 19). ისინი ღმერთს მიეახლებიან “ჭეშმარიტითა გულითა, გულ-სავსებითა სარწმუნოებისაჲთა” (ებრ. 10, 22). მათ აქვთ მტკიცე იმედი თავისი ერთგულებისა,¹⁰⁸ რათა შეეძლოთ “ნუგეშინის-ცემად ყოველთა მათ ჭირვეულთა ნუგეშინის-ცემითს მით, რომლითა ნუგეშინის-ცემულ” არიან თავად ღმრთისა მიერ.¹⁰⁹ საკრებულოს უფროსნი, ისინი სულთა მწყემსებისთვის ჩვეულ ასკეზას მისდევნენ, უარს ამბობენ საკუთარ უპირატესობებზე, ეძიებენ არა იმას, რაც მათთვის არის უმჯობესი, არამედ იმას, რაც უმჯობესია მრავალთათვის, “რაჲთა ცხოვდენ”.¹¹⁰ ისინი განუხრელად წინ მიიწევენ სამღვდლო საქმის უფრო სრულყოფილად აღსრულებისთვის, რათა საჭიროების შემთხვევაში მზად იყვნენ, დაადგენ ახალ სამღვდლო გზებს სიყვარულის სულის წინამძღოლობით, რომელიც იქ ქრის, სადაც სურს.¹¹¹

14. დღევანდელ სამყაროში, სადაც ადამიანებს ამდენი რამ აქვთ გასაკეთებელი, და სადაც მათ ბევრი - ხშირად გადაუდებლად გადასაჭრელი - პრობლემა ანუხებთ, ადვილია ამ მრავალფეროვნების წინაშე დაბნევა. მღვდლები თავისი ფუნქციის უამრავი ვალდებულებით არიან დაკავებულნი და გატაცებულნი. ამიტომ მათ შეიძლება შიშით იკითხონ, როგორ შეიძლება შეათანხმონ გარეგან ქმედებასთან თავისი შინაგანი ცხოვრება. ცხოვრების ასეთ ერთიანობას ვერ განაპირობებს არც სამღვდლო მსახურების გარეგანი საქმეები, არც მხოლოდ ღმრთისმოსაობის წვრთნა

104 შდრ. *Pont. Rom.*, „De Ordinatione Presbyteri“.

105 შდრ. *Missale Romanum*, *Oratio super oblata dominicae IX post Pentecosten*.

106 „ნებისმიერი მესა, თუნდაც მას მღვდელმსახური კერძოდ ასრულებდეს, არის არა კერძო საქმე, არამედ ქრისტესა და ეკლესიის ქმედება. ეკლესია სწავლობს, მსხვერპლში, რომელიც მას მოაქვს, თავისი თავი მიიტანოს საყოველთაო მსხვერპლად. ის იყენებს ჯვრის მსხვერპლის ერთადერთ და უსასრულო გამოსყიდვით ძალას მთელი მსოფლიოს გამოსახსნელად. ყველა მესა ხომ მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა გამოსხნისთვის არ სრულდება, არამედ მთელი მსოფლიოს გამოსხნისათვისაც (...). ამიტომ ჩვენ მამობრვად და დაბეჯითებით ვურჩევთ მღვდელმსახურებს, რომლებიც ჩვენს განსაკუთრებულ სიხარულსა და უფალში ჩვენს გვირგვინს წარმოადგენენ, მესა ყოველდღიურად და მონაწილად აღასრულონ”. (PAULUS VI, *encycl. Mystrium Fidei*, 3 sept. 1965: AAS 57 (1965), pp. 761-762). – შდრ. CONC. VAT. II, *Const. de Sacra Liturgia*, nn. 26, 27.

107 შდრ. იოან. 10, 11.

108 შდრ. 2კორ. 1, 7.

109 შდრ. 2კორ. 1, 4.

110 შდრ. 1კორ. 10, 33.

111 შდრ. იოან. 3, 8.

(praxis), რამდენადაც არ უნდა უწყობდეს ის მას ხელს. მაგრამ მღვდლებს ნამდვილად შეუძლიათ ამ ერთიანობის აშენება, თუ მსახურების აღსრულებაში გააჰყვებიან უფალი ქრისტეს მაგალითს, რომლის საკვები იყო იმის ნების ქმნა, ვინც იგი მისი საქმის აღსასრულებლად მოაწვინა.¹¹²

მართლაც, ეკლესიის მეშვეობით სამყაროში მამის ნების განუხრელად აღსრულებისთვის ქრისტე თავის მსახურთა მეშვეობით მოქმედებს. იგი მუდამ რჩება მათი ცხოვრების ერთიანობის საწყისად და წყაროდ. ამიტომ მღვდლებმა ეს ერთიანობა ქრისტესთან მათი ერთობის საფუძველზე უნდა განახორციელონ, შეიცნონ მამის ნება და დადონ თავისი თავი მათთვის მინდობილი სამწყოსთვის.¹¹³ ასე, კეთილი მწყემსის განსახიერებით, სამღვდლო სიყვარულის განხორციელებაში, ისინი სამღვდელმსახურო სრულყოფილების კავშირს ჰპოვებენ, რომელიც მათ ცხოვრებასა და მოქმედებას კრავს. ეს სამღვდლო სიყვარული¹¹⁴ გამომდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, ექვარისტული მსხვერპლიდან, რომელიც ხდება მღვდლის მთელი ცხოვრების შუაგული და ფესვი. სამღვდელმსახურო სულმა უნდა გაითავისოს ის, რაც სამსხვერპლო საკურთხეველზე ხდება. ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მღვდლები ლოცვით სულ უფრო და უფრო ღრმად შეიჭრებიან ქრისტეს საიდუმლოებაში.

თავისი ცხოვრების ერთიანობის კონკრეტული განხორციელებისთვის მათ ყველა თავის წამოწყებასთან დაკავშირებით უნდა გამოსცადონ, რა არის ღმრთის ნება,¹¹⁵ ანუ რამდენად შეესაბამება ეს წამოწყებები ეკლესიის ევანგელური მისიის ნორმებს. ქრისტესადმი ერთგულება ხომ ეკლესიისადმი ერთგულებისგან განუყოფელია. ამიტომ სამღვდლო სიყვარული მოითხოვს, რომ მღვდლები სიცარიელეში კი არ დარბოდნენ,¹¹⁶ არამედ მუდამ მუშაობდნენ მჭიდრო ურთიერთობაში ეპისკოპოსებთან და მღვდლობაში სხვა ძმებთან. ამგვარი ქმედებით მღვდლები მოიპოვებენ საკუთარი ცხოვრების ერთიანობას თავად ეკლესიის მისიის ერთიანობაში. ამგვარად, ისინი თავის უფალს შეუერთდებიან, ხოლო მისი საშუალებით, სული წმიდაში, - მამას, რათა შეძლონ, იყვნენ საესენი ნუგეშითა და სიხარულის სიუხვით.¹¹⁷

II. განსაკუთრებული სულიერი მოთხოვნილებები მღვდელთა ცხოვრებაში

15. იმ სიქველეთა შორის, რომელსაც მღვდელთა მსახურება საგანგებოდ მოითხოვს, აღსანიშნავია სულიერი განწყობა, რომელიც მათ მუდამ უზიძგებს იყონ მზად, ეძიონ არა თავისი, არამედ მათი მომავლინებელის ნება.¹¹⁸ საღმრთო საქმე, რომლის შესასრულებლად მათ სული წმიდამ მოუწოდა,¹¹⁹ ყველა ადამიანურ ძალასა და ადამიანურ სიბრძნეს აღემატება, რადგან “უძღურნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რათა არცხვნოს ძლიერთა” (1 კორ. 1, 27). ქრისტეს ჭეშმარიტი მსახური აცნობიერებს თავის უძღურებას და სიმდაბლეში მუშაობს. იგი გამოსცდის, “რაჲ იგი არს სათნო უფლისა”,¹²⁰ და, თითქოს “კრული სულითა”,¹²¹ იგი ყველაფერში იმის ნებით ხელმძღვანელობს, ვისაც ყველა ადამიანის გამოხსნა სურს. მას შეუძლია, ეს ნება ამოხსნას და მას ყოველდღიურ ცხოვრებაში მისდიოს, სიმდაბლით ემსახურს ყველას, ვინც ღმერთმა მას მიანდო მისადმი დაკისრებულ სამსახურსა და მისი ცხოვრების მრავალგვარ მოვლენებში.

112 შდრ. იოან. 4, 34.

113 შდრ. 1 იოან. 3, 16.

114 „სიყვარულის მოვალეობა უფლის ცხვერების მწყობა უნდა იყოს” (S. AUGUSTINUS, *Tract. in Io.*, 123, 5: PL 35, 1967).

115 შდრ. რომ. 12, 2.

116 შდრ. გალ. 2, 2.

117 შდრ. 2 კორ. 7, 4.

118 შდრ. იოან. 4, 34; 5, 30; 6, 38.

119 შდრ. საქმე 13, 2.

120 efes. 5, 10.

121 შდრ. საქმე 20, 22.

სამღვდლო მსახურება თავად ეკლესიის მსახურებაა, ამიტომ ის შეიძლება მხოლოდ მთელი სხეულის იერარქიულ ურთიერთობაში შესრულდეს. სამღვდლო სიყვარული მღვდლებს აიძულებს, ამ ურთიერთობაში მუშაობისას მორჩილების გზით თავისი ნება ღმრთისა და ძმათა მსახურებას მიუძღვნან, რწმენის სულში მიიღონ და შეასრულონ უზენაესი პონტიფექსის, მათი ეპისკოპოსის ან სხვა წინამძღვრების მითითებები და რჩევები. ისინი სიამოვნებით გასცემენ ყველაფერს, მათ შორის საკუთარ თავსაც¹²² ნებისმიერი მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას, როგორი მდაბალი და არასახარბიელოც არ უნდა იყოს ის. ამით ისინი ინახავენ და განამტკიცებენ აუცილებელ ერთობას თავის ძმებთან მსახურებაში, განსაკუთრებით მათთან, ვინც უფალმა თავისი ეკლესიის ხილულ მმართველებად (rectores) დააყენა, და ხელს უწყობენ ქრისტეს სხეულის შენებას, რომელიც იზრდება “ყოვლითა შეახლებითა უხუებისათა”.¹²³ ეს მორჩილება, რომელსაც ღმრთის შვილები უფრო მომნიჭებული თავისუფლებისკენ მიჰყავს, ბუნებრივად მოითხოვს, რომ მღვდლები, თავისი ფუნქციის აღსრულებისას, სიყვარულით შთაგონებულნი, გონივრულად ეძიებდნენ ახალ გზებს ეკლესიის საკეთილდღეოდ, ნდობით იუნყებოდნენ თავისი წამოწყებების შესახებ და თამამად განაცხადებდნენ მათთვის მინდობილი სამწყსოს საჭიროებათა შესახებ. ამასთანავე, ისინი მუდამ მზად უნდა იყვნენ, დაემორჩილონ მათ განსჯას, ვინც ღმრთის ეკლესიის მართვაში უზენაეს ფუნქციას ასრულებს.

ამ სიმდაბლით, აგრეთვე პასუხისმგებლობით აღსავსე და ნებაყოფლობითი მორჩილებით მღვდლები ქრისტეს ემსგავსებიან. ისინი იმასვე გრძნობენ, რასაც იესო ქრისტე, რომელმაც “თავის თქის დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო... და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილდმდე” (ფილ. 2, 7-9). ამ მორჩილებით მან დაამარცხა და გამოისყიდა ადამის ურჩობა, როგორც ამას მოციქული მოწმობს: “ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისა ურჩებითა ცოდვილნი შემოჭდეს მრავალნი, ეგრეცა ერთისა მის კაცისა მორჩილებითა მართალნი შემოვიდენ მრავალნი” (რომ. 5, 19).

16. მრავალი ქრისტეს ერთგული საუკუნეთა მანძილზე და ჩვენს დროშიც კი სიამოვნებით იზიარებს და სანაქებოდ იცავს სრულყოფილ და მუდმივ თავშეკავებას ცათა სასუფევლისთვის, რომელსაც უფალი ქრისტე გვთავაზობს,¹²⁴ ეკლესიას ის ყოველთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნდა სამღვდელმსახურო ცხოვრებისათვის. ის არის სამღვდლო სიყვარულის ნიშანი და, ამავე დროს, მისი სტიმულიც, აგრეთვე სამყაროში სულიერი ნაყოფიერების განსაკუთრებული წყარო.¹²⁵ რა თქმა უნდა, მას არ მოითხოვს თავად სამღვდელმსახურო ბუნება, რასაც ადრეული ეკლესიის პრაქტიკა¹²⁶ და აღმოსავლური ეკლესიების ტრადიცია ცხადყოფს: იქ, გარდა მათი, ვინც თავის ეპისკოპოსებთან ერთად მადლის ნიჭით ცელიბატობის შენახვა ირჩია, დიდად დამსახურებული დაქორწინებული მღვდლებიც არიან. ამიტომ, წმიდა სინოდის მიერ საეკლესიო ცელიბატობის შემოთავაზება სრულებით არ გულისხმობს იმ განსხვავებული დისციპლინის შეცვლას, რომელიც კანონიერად მოქმედებს აღმოსავლურ ეკლესიებში. კრება სიყვარულით მოუწოდებს ყველას, ვინც უკვე დაქორწინებულმა მიიღო მღვდლობა, შეინარჩუნოს წმიდა მონოღება და თავისი ცხოვრება სრულად და უხვად მიუძღვნას მისადმი მიდნობლ სამწყსოს.¹²⁷

თუმცა, ცელიბატობა მღვდელმსახურებას მრავალმხრივ შეეფერება. მღვდელმსახურის მისია ხომ მთლიანად ახალი კაცობრიობის მსახურებას ეძღვნება, რომელსაც ქრისტე, სიკვდილის მძლეველი, თავისი სულის მეშვეობით სამყაროში აღადგენს (suscitat). მას დასაბამი აქვს “არა სისხლთაგან, არცა ნებითა მამაკაცთათა, არამედ ღმრთისაგან” (იოან. 1, 13). ცათა სასუფევლისთვის ქალწულობის ან ცელიბატობის

122 შდრ. 2 კორ. 12, 15.

123 შდრ. ეფეს. 4, 11-16.

124 შდრ. ეფეს. 4, 11-16.

125 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 42.

126 შდრ. 1 ტიმ. 3, 2-5; ტიტ. 1, 6.

127 შდრ. PIUS XI, encycl. Ad catholici sacerdotii, 20 dec. 1935: AAS 28 (1936), p. 28.

დაცვით¹²⁸ მღვდლები ახლებურად და განსაკუთრებული სახით შეძლებენ, თავი ქრისტეს მიუძღვნან, უფრო ადვილად შეუდგნენ მას განუყოფელი გულით,¹²⁹ მასში და მისი მეშვეობით უფრო თავისუფლად მიუძღვნან თავი ღმრთის მსახურებას, უფრო წარმატებით ემსახურონ მის მეუფებასა და უზენაესი განახლების საქმეს. ამგვარად, ისინი უკეთესად შეძლებენ ქრისტეში მამობის უფრო ფართოდ მიღებას. ასე მონობენ ისინი ადამიანთა წინაშე თავის სურვილს, თავი უკლებლივ მათთვის მინდობილ ფუნქციას მიუძღვნან, რაც ნიშნავს: მიათხოვონ ერთგულები “ერთსა მამაკაცსა ქალწულად წმიდად წარდგინებად ქრისტესა”.¹³⁰ ასე მოაგონებენ ისინი საიდუმლო ქორწინების შესახებ, რომელიც ღმერთმა დაამკვიდრა და რომელიც მომავალში სრულად გამომჟღავნდება. იგი გულისხმობს, რომ ეკლესიას ერთი საქმრო (Sponsus) ჰყავს: ქრისტე.¹³¹ გარდა ამისა, ისინი იქცევიან მომავალი სამყაროს ცოცხალ ნიშნად, რომელიც სარწმუნოებისა და სიყვარულის მეშვეობით უკვე არსებობს და რომელშიც აღდგომის შვილები არ გათხოვდებიან და არ დაქორწინდებიან.¹³²

ქრისტეს საიდუმლოსა და მის მისიიდან გამომდინარე, ცელიბატობა, რომელიც უნინ მღვდელმსახურებისთვის იყო განკუთვნილი, შემდგომში ლათინურ ეკლესიაში კანონით დაეკისრა ყველას, ვინც წმიდა ხარისხში უნდა ავიდეს. მოცემული წმიდა სინოდი ამ კანონმდებლობას მხარს უჭერს და ამტკიცებს მას იმათ მიმართ, ვინც მღვდლობისთვის არის განკუთვნილი. მას იმედი აქვს სულისა და ის დარწმუნებულია, რომ მამა უხვად გასცემს ცელიბატობის ნიჭს, რომელიც ასე შეფერება ახალი აღთქმის მღვდლობას, თუკი ისინი, ვინც ქრისტეს მღვდლობაში ხარისხის საიდუმლოს მეშვეობით მონაწილეობს, აგრეთვე საყოველთაო ეკლესია, მას მონიშნებითა და დაბეჯითებით მოითხოვენ. წმიდა სინოდი მოუწოდებს ყველა მღვდელს, რომლებმაც, ღმრთის მადლის ნდობით, ქრისტეს მაგალითის შესაბამისად, თავისუფლად და ნებაყოფლობით მიიღეს ცელიბატობა, მას მთელი სულითა და გულით მისდიონ, ერთგულად შეინახონ ეს მდგომარეობა და სცნონ ის იმ ბრწყინვალე ნიჭად, რომელიც მათ მამამ უბოძა და რომელსაც ასე აშკარად განადიდებს უფალი,¹³³ აგრეთვე ახსოვდეთ დიდი საიდუმლოებები, რომლებიც მისი მეშვეობით აღინიშნება და სრულდება. და რაც უფრო მეტად შეუძლებლად ეჩვენება დღევანდელ სამყაროში მრავალ ადამიანს სრული თავშეკავება, მით უფრო მეტი სიმდაბლითა და დაბეჯითებით მღვდლები ეკლესიასთან ერთად გამოითხოვენ ერთგულების მადლს, რომელზეც მთხოვნელს უარი არასდროს ეთქმის. ამისთვის ისინი მიმართავენ როგორც ზებუნებრივ ასევე ბუნებრივ საშუალებებს, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომია. უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა მისდიონ იმ ასკეტურ ნორმებს, რომლებიც ეკლესიის გამოცდილებამ დაადასტურა და რომლებიც ასევე აუცილებელია დღევანდელ სამყაროში. ამგვარად, მოცემული წმიდა სინოდი მოუწოდებს არა მარტო მღვდელმსახურებს, არამედ ყველა ერთგულსაც, გაუფრთხილდნენ ცელიბატობის ამ ძვირფას ნიჭს და სთხოვონ ღმერთს, ამ ნიჭით თავისი ეკლესია ყოველთვის უხვად დააჯილდოვოს.

17. ერთმანეთთან და სხვა ადამიანებთან მეგობრული და ძმური ურთიერთობა საშუალებას მისცემს მღვდლებს, ისწავლონ ადამიანური ღირებულებების პატივისცემა და მიწიერ საქმეთა (bona creata) როგორც ღმრთის ნიჭთა დაფასება. ისინი სამყაროში ცხოვრობენ და უნდა იცოდნენ, რომ ჩვენი უფლისა და მოძღვრის სიტყვის თანახმად, “სოფლისაგანნი არ არიან”.¹³⁴ ისინი უნდა “იმსახურებდნენ სოფელსა

128 შდრ. მათ. 19, 12.

129 შდრ. 1 კორ. 7, 32-34.

130 2 კორ. 11, 2.

131 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, nn. 42, 44. – Decr. de accommodata renovatione vitae religiosae, n. 12.

132 შდრ. ლუკ. 20, 35-36. – PIUS XI, encycl. Ad catholici sacerdotii, 20 dec. 1935: AAS 28 (1936), pp. 24-28. – PIUS XII, encycl. Sacra Virginitas, 25 mart. 1954: AAS 46 (1954), pp. 169-172.

133 შდრ. მათ. 19, 11.

134 შდრ. იოან. 17, 14-16.

ამას, ვითარცა არა იმსახურებენ”,¹³⁵ და მივიდნენ იმ თავისუფლებამდე, რომელიც გაათავისუფლებს მათ ყოველგვარი უწესრიგო საზრუნავისგან და მისცემს შესაძლებლობას, ყოველდღიურ ცხოვრებაში საღმრთო ხმა ისმინონ. ამ თავისუფლებისა და აღქმის უნარის შედეგად გაიზრდება სულიერი დიფერენციაციის უნარი, რომლის საფუძველზეც შემუშავდება სამყაროსა და მიწიერი სიკეთეთა მიმართ სწორი დამოკიდებულება. ასეთი დამოკიდებულება უაღრესად მნიშვნელოვნია მღვდლებისთვის, რადგან ეკლესიის მისია სამყაროში სრულდება და მიწიერი საქმეებიც (*bona creata*) სრულიად აუცილებელია ადამიანის პიროვნული განვითარებისთვის. ამიტომ ისინი მადლობელნი უნდა იყვნენ ყველაფრისთვის, რასაც მათ უხვად ანიჭებს მამა ზეციერი ცხოვრების სწორად წარმართვისათვის. მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ყველაფერი, რაც გზად შეხვდებათ, მათ განიხილონ სარწმუნოების მუქზე, რათა ასე მივიდნენ მიწიერ საქმეთა სწორ სარგებლობამდე, თანახმად საღმრთო ნებისა, და უარი თქვან ყველაფერზე, რაც მათი მისიისთვის მავნეა.

მღვდელმსახურნი, რომელთა “წილი და სამკვიდრო” არის უფალი (რიცხ. 18, 20), უნდა სარგებლობდნენ წარმავალი სიმდიდრით მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რომლებიც დაშვებულია უფალი ქრისტეს მოძღვრებითა და ეკლესიის განწყობებით.

რაც შეეხება საკუთრივ ეკლესიის ქონებას, მღვდელმსახურნი უნდა განაგებდნენ მას ბუნებრივად და საეკლესიო კანონთა ნორმების შესაბამისად და, შეძლებისდაგვარად, გამოცდილ საერო პირთა დახმარებით. ის ყოველთვის უნდა განკუთვნილი იყოს იმ მიზნებისთვის, რომლებიც ეკლესიას საშუალებას მისცემს ფლობდეს წარმავალ სიმდიდრეს, რაც გულისხმობს საღმრთო კულტის ორგანიზაციას, სამღვდლოებისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას, აგრეთვე მოციქულობისა თუ სიყვარულის საქმეთა ხელშეწყობას, უპირველეს ყოვლისა, გაჭირვებულთა სასარგებლოდ.¹³⁶ რაც შეეხება ქონებას, რომელსაც ისინი ამა თუ იმ საეკლესიო მოვალეობის აღსრულებისას იძენენ, მღვდლებმა, ისევე როგორც ეპისკოპოსებმა, ცალკეული უფლების დაცვის პირობებში (*salvo iure particulari*),¹³⁷ ის უნდა გამოიყენონ უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შესაქმნელად და თავისი სტატუსისათვის შესაფერისი მოვალეობების შესასრულებლად, ხოლო რაც დარჩება, ეკლესიის კეთილდღეობასა და საქველმოქმედო საქმეებს მოახმარონ. ამგვარად, მათ არ უნდა განიხილონ საეკლესიო თანამდებობა როგორც გამდიდრების წყარო, და მისგან მიღებული შემოსავალი არ უნდა გამოიყენონ საკუთარი საოჯახო სიმდიდრის გასაზრდელად.¹³⁸ ამიტომ მღვდელმსახურნი, რომლებიც სულ არ მისწრაფვიან სიმდიდრისკენ,¹³⁹ ყოველთვის უნდა მოერიდონ ყოველგვარ ანგარებას და დაბეჯითებით თავი შეიკავონ ყოველგვარი ვაჭრობისაგან.

მეტიც: მათთვის რეკომენდირებულია ნებაყოფლობითი სილატაკის მიღება, რომელიც მათ კიდევ უფრო მეტად მიახლოებს ქრისტეს და წმიდა მსახურებისთვის უფრო შესაფერისს გახდის. ქრისტე ჩვენი გულისთვის შეიქმნა ლატაკი, რათა ჩვენ გავმდიდრდეთ მისი სილატაკით.¹⁴⁰ თავის მხრივ, მოციქულებმაც დაამონმეს, რომ უსასყიდლოდ უნდა გაიცეს ის, რასაც ღმერთი უსასყიდლოდ ანიჭებს,¹⁴¹ და საჭიროა ვიცოდეთ ცხოვრება სიმდიდრეშიც და სილატაკშიც.¹⁴² ქონებით ერთობლივად სარგებლობაც, იმ საერთო ქონების მსგავსად, რომელიც ძველი ეკლესიის ისტორიაშია განდიდებული,¹⁴³ შესანიშნავად უხსნის გზას სამღვდლო სიყვარულს.

135 1 კორ. 7, 31.

136 CONC. ANTIOCH., can. 25: MANSI 2, 1328. – *Decretum Gratiani*, c. 23, C. 12, q. 1: FRIEDBERG, I, 684-685.

137 აქ უპირველეს ყოვლისა იგულისხმება ის უფლებები და ჩვეულებები, რომლებიც ალოსავლურ ეკლესიებში მოქმედებს.

138 CONC. PARIS., a. 829, can. 15: MGH, Sect. III, *Concilia*, t. 2, pars 6, 622. – CONC. TRID., Sess. 25, *de reform.*, cap. 1.

139 შდრ. ფს. 61, 11.

140 შდრ. 2 კორ. 8, 9.

141 შდრ. საქმე 8, 18-25.

142 შდრ. ფილ. 4, 12.

143 შდრ. საქმე 2, 42-47.

ასეთი ცხოვრებით მღვდლებს სანაქებოდ შეუძლიათ განახორციელონ ქრისტეს მიერ აღთქმული სილატაკის სული.

უფლის სულის წინამძღოლობით, რომელმაც სცხო მაცხოვარს და მოავლინა ის “მახარებლად გლახაკთა”,¹⁴⁴ მღვდლებმა და ეპისკოპოსებმა თავი უნდა აარიდონ ყოველივე იმას, რაც მათ ამა თუ იმ სახით ლატაკებს დააცილებს. ქრისტეს სხვა მონაფეებზე მეტად მათ უნდა უარყონ ამაოების ნატამალიც თავის საქმეებში. თავისი საცხოვრებელი მათ ისე უნდა მოაწყონ, რომ ის არავის არ მოეჩვენოს მოიუწვდომლად, რათა არავის, ძალიან მოკრძალებულ ადამიანსაც კი, არ მოერიდოს იქ მისვლა.

III. მღვდლების ცხოვრების უზრუნველყოფა

18. იმისათვის, რომ ცხოვრების სხვადასხვა პირობებში ქრისტესთან კავშირის განმტკიცება შეძლონ, მღვდლებს, თავისი მსახურების შეგნებული აღსრულების გარდა, საშუალებებიც გააჩნიათ – როგორც საზოგადო, ასევე კერძო, ახალიცა და ძველიც. მათი წარმოება სული წმიდას არასდროს შეუნყვევტია ღმრთის ერში, ხოლო ეკლესია მათ სთავაზობს, ზოგჯერ პირდაპირ აწესებს კიდევ თავისი წევრების წმიდა ყოფისთვის.¹⁴⁵ ყველა სულიერ საშუალებათა შორის გამოირჩევა ის ქმედებანი, რომელთა მეშვეობითაც ქრისტეს ერთგულები საზრდოობენ ღმრთის სიტყვით წმიდა წერილის ორმაგი ტრაპეზიდან და ექვარი-სტიიდან.¹⁴⁶ ყველამ იცის, რამდენად მნიშვნელოვანია მათი ხშირად აღსრულება მღვდელთა წმიდა ყოფისთვის.

მადლის მსახურები მჭიდროდ უკავშირდებიან ქრისტეს - მაცხოვარსა და მღვდელს. ეს ხდება საიდუმლოთა ნაყოფიერი მიღებით, განსაკუთრებით მონანიების საიდუმლოს ხშირი აღსრულებით, რომელიც მზადდება სინდისის ყოველდღიური გამოცდით და დიდად ხელს უწყობს იმას, რომ გული მიმართული იყოს გულმონყალე მამის სიყვარულისკენ. სარწმუნოების შუქზე, რომელიც საღმრთო წერილის კითხვით საზრდოობს, მათ შეუძლიათ ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებში გულდასმით ეძიონ ღმრთის ნების ნიშნები და მისი მადლის მონოდება (impulses). ასე ისინი სულ უფრო და უფრო მორჩილნი ხდებიან (dociliores... fieri) მისიისა, რომელიც სული წმიდაში მიიღეს. ასეთი მორჩილების საოცარ ნიმუშს ყოველთვის ჰპოვებენ წმიდა ქალწულ მარიამში, რომელმაც, სული წმიდის წინამძღოლობით, მთლიანად მიუძღვნა თავი ადამიანთა გამოსყიდვის საიდუმლოს.¹⁴⁷ მღვდლები შვილობრივი ერთგულებითა და მონივნებით თავყანს უნდა სცემდნენ მას და უყვარდეთ იგი, როგორც უზენაესი და საუკუნო მღვდელმსახურის დედა და მოციქულების დედოფალი, რომელიც მათი მსახურების საყრდენიც არის.

თავისი მსახურების ერთგულებით შესრულებისთვის მღვდლებისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ყოველდღიური ურთიერთობა უფალ ქრისტესთან მისვლითა (visitatione) და უწმიდესი ექვარისტიის პიროვნული კულტით. მათ უნდა უყვარდეთ სულიერი მოსვენება და უნდა აფასებდნენ სულიერ ხელმძღვანელობას. სხვადასხვა სახით, განსაკუთრებით გამოცდილი გონისმიერი ლოცვით, აგრეთვე სხვაგვარი ლოცვებით, რომლებსაც ისინი თავისუფლად ირჩევენ, მღვდლები ეძიებენ და ღმერთს დაბეჯითებით სთხოვენ იმ ჭეშმარიტი თავყანისცემის სულს, რომლითაც ისინი, მათთვის მინდობილ ხალხთან ერთად, მჭიდროდ უკავშირდებიან ქრისტეს – ახალი აღთქმის შუამავალს. ამგვარად, მათაც, როგორც ძველ შვილობისა, შეუძლიათ შესძახონ: “აბა, მამაო” (რომ. 8, 15).

144 შდრ. ლუკ. 4, 18.

145 შდრ. CIC, can. 125 ss.

146 შდრ. CONC. VAT. II, Decr. de accomodata renovatione vitae religiosae, n. 6. – Const. dogm. de Divina Revelatione, n. 21.

147 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 65.

19. ხელდასხმის წმიდა წესში ეპისკოპოსი მოუწოდებს მღვდლებს, “იყვნენ მოწიფულნი ცოდნაში”, რათა მათი მოძღვრება “ღმრთის ერისათვის სულიერი წამალი” იყოს.¹⁴⁸ წმიდა მსახურთა ცოდნაც წმიდა უნდა იყოს, რადგან ის წმიდა წყაროდან მოედინება და წმიდა მიზნისკენ მიემართება. მისი შეძენა ხდება, უპირველეს ყოვლისა, წმიდა წერილის კითხვისა და მის შესახებ ფიქრის საფუძველზე.¹⁴⁹ ის ნაყოფიერად საზრდოობს აგრეთვე წმიდა მამებისა და მოძღვართა შესწავლითა და გადმოცემის სხვა ძეგლების განხილვით. გარდა ამისა, იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს შეკითხვებს, რომლებსაც ჩვენი თანამედროვენი სვამენ, მღვდლები საფუძვლიანად უნდა იცნობდნენ მოძღვრობისა და, განსაკუთრებით, კრებებისა და რომის პონტიფიკატის დოკუმენტებს. ამასთანავე, მათ უნდა მიმართონ თეოლოგიურ მეცნიერებათა საუკეთესო და გამოცდილ მწერლებს.

ხოლო რადგანაც ჩვენს დროში ადამიანური კულტურა, ისევე როგორც სასულიერო მეცნიერებანი, განახლებასა და განვითარებას განიცდის, ამიტომ მღვდლებმა დაბეჯითებით უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ სათანადოდ და განუწყვეტლივ სრულყონ თავის ცოდნა საღმრთო და ადამიანურ საქმეთა შესახებ, რათა ასე მოემზადონ საუბრისათვის თავის თანამედროვეებთან.

იმისათვის, რათა მღვდლებისთვის უფრო ადვილი იყოს მეცადინეობა და მათ უფრო ეფექტურად შეძლონ ევანგელიზაციისა და მოციქულობის მეთოდების შესწავლა, საჭიროა მათი ყოველმხრივი აღჭურვა აუცილებელი დამხმარე საშუალებებით. ასეთებია, ცალკეულ ტერიტორიალურ თავისებურებათა გათვალისწინებით, კურსებისა თუ კონგრესების ჩამოყალიბება, სამღვდლო სასწავლო-კვლევითი (studii) ცენტრების დაარსება, ბიბლიოთეკათა დაფუძნება და შესაფერის პირთა მიერ სასწავლო-კვლევითი სამუშაოების (studiorum) სათანადოდ ხელმძღვანელობა. გარდა ამისა, ეპისკოპოსებმა, ერთად თუ ცალცალკე, უნდა გამონახონ განსაკუთრებით მოხერხებული საშუალებები იმისათვის, რათა მათ ყველა მღვდელს შეეძლოს გარკვეულ დროს (კერძოდ, რამდენიმე წლის მერე მათი ხელდასხმიდან)¹⁵⁰ კურსებზე დასწრება. ეს მათ მისცემს საშუალებას შეიძინონ უფრო სრული ცოდნა სამღვდლო მეთოდებისა და საღმრთისმეტყველო მეცნიერების სფეროში, განამტკიცონ თავისი სულიერი ცხოვრება და ძმებს გაუზიარონ სამოციქულო გამოცდილება.¹⁵¹ ამ და სხვა შესაფერისი საშუალებებით საჭიროა დახმარების განწევა ახალ წინამძღვართათვის და მათთვის, ვინც იწყებს ახალ სამღვდლო საქმიანობას ან სხვა დოცენტში ან ქვეყანაში გადადის.

დაბოლოს, ეპისკოპოსებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ზოგიერთმა მღვდელმა თავი მიუძღვნას საღმრთო საქმეთა უფრო ღრმა შესწავლას, რათა არასდროს მოგვაკლდეს მოძღვარნი, რომელნიც სამღვდლოების განათლებას მოემსახურებიან. ამით ისინი დახმარებას გაუწევენ დანარჩენ მღვდელმსახურებსა და ერთგულებს მათთვის საჭირო ცოდნის შეძენაში, რაც, თავის მხრივ, ეკლესიისთვის სრულიად აუცილებელი სასულიერო დისციპლინების ჯანსაღად განვითარების საფუძველია.

20. მღვდლები მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებით ღმერთს ემსახურებიან. ისინი სამართლიანი საზღაურის ღირსნი არიან, “რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდელისა თვისისა” (ლუკ. 10, 7),¹⁵² და “უფალმან ბრძანა, რომელნი-იგი სახარებასა მიუთხრობენ, სახარებისაგან ცხოვრებაჲ” (1კორ. 9, 14). ამიტომ, თუ მღვდლების სამართლიანი ანაზღაურება სხვაგვარად არ იქნება გათვალისწინებული, მაშინ თავად ერთგულებს, რომელთა სასიკეთოდ იღწვიან მღვდლები, ნამდვილად ეკისრებათ ვალდებულება, იზრუნონ მათთვის პატიოსანი და ღირსეული ცხოვრე-

148 *Pont. Rom.*, „De Ordinatione Presbyteri“.

149 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Divina Revelatione, n. 25.

150 ეს კურსი არ არის ის კურსი, რომელიც უშუალოდ მოსდევს ხელდასხმას. ამ უკანასკნელის შესახებ იხ. Decr. de institutione acerdotali, n.22.

151 შდრ. CONC. VAT. II, Decr. de pastorali Episcoporum munere in Ecclesia, n. 16.

152 შდრ. მათ. 10, 10; 1კორ. 9, 7; 1ტიმ. 5, 18.

ბის პირობების შესაქმნელად. ხოლო ეპისკოპოსებმა უნდა შეახსენონ ერთგულებს მათი ამ მოვალეობის შესახებ და იზრუნონ – თითოეულმა თავის დიოცეზში, ან, ჯგობს, რამდენიმე საერთო ტერიტორიაზე – ნორმების დადგენისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს წესიერი ცხოვრების პირობების შექმნას მათთვის, ვინც ღმრთის ერის სამსახურში ამა თუ იმ ფუნქციას ასრულებს ან ასრულებდა. საზღაური თითოეულისათვის თავად ფუნქციის თავისებურებით, დროისა და ადგილის გარემოებით განისაზღვრება, მაგრამ ძირითადად ის ერთი და იგივე უნდა იყოს ყველასათვის, ვინც ერთსა და იმავე პირობებში იმყოფება. ის უნდა შეესაბამებოდეს მათ მდგომარეობასა და, გარდა ამისა, ძლევდეს მათ, არა მარტო სათანადოდ უზრუნველყონ მათი ანაზღაურება, ვინც საკუთარ თავს მღვდელთა მსახურებას უძღვნის, არამედ დაეხმარონ კიდევაც გაჭირვებულებს, რადგან ეს მსახურება ლატაკთა სასარგებლოდ ეკლესიაში დასაბამით განვე დიდ პატივშია. გარდა ამისა, ანაზღაურება ისეთი უნდა იყოს, რომ მღვდლებს ყოველწლიურად შეეძლოთ ისარგებლონ მათთვის კუთვნილი და საკმარისი ოდენობის შვებულებით. ამასთანავე, ეპისკოპოსებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ მღვდლებმა ამ შვებულებით სარგებლობა მართლაც შეძლონ.

მაგრამ უმთავრესი ყურადღება უნდა დაეთმოს მოვალეობას, რომელსაც სასულიერო (sacri) მსახურნი ასრულებენ. ამიტომ ეგრეთ წოდებული ბენეფიციების სისტემა უნდა გაუქმდეს, ან ისე მაინც გარდაიქმნას, რომ ბენეფიციური ნაწილი, ანუ უფლება შემოსავალზე დოტაციიდან, რომელიც მოვალეობასთან არის დაკავშირებული, მეორეხარისხოვნად იქნეს მიჩნეული, ხოლო იურიდიულად პირველი ადგილი თავად საეკლესიო თანამდებობას უნდა მიეკუთვნოს, რომელიც ამიერიდან უნდა გაგებულ იქნას როგორც ნებისმიერი სტაბილური ფუნქცია, რომელიც სასულიერო მიზნისათვის სრულდება.

21. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს იერუსალიმის ძველი ეკლესიის მორწმუნეთა მაგალითი, რომლებსაც ჰქონდათ “ყოველივე მათდა ზოგად” (საქმე 4, 32), “და მიეცემოდა კაცად-კაცადსა, რააცა ვის უჭმდა” (საქმე 4, 35). ამიტომ დიდად სასურველია, რომ იმ ქვეყნებში მაინც, სადაც სამღვდელოების შენახვა მთლიანად ან დიდწილად მაინც დამოკიდებულია ერთგულთა შემონირულობაზე (oblationibus), არსებობდეს დიოცეზური ინსტიტუცია, სადაც მოხდება ამ მიზნისთვის განკუთვნილი შემონირულობათა შეგროვება. მას ეპისკოპოსი უნდა განაგებდეს, რომელსაც ამ საქმისთვის ამორჩეული მღვდელმსახურები დაეხმარებიან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ეკონომიურ საქმეებში გამოცდილი საერო პირებიც. გარდა ამისა, სასურველია, რომ ცალკეულ დიოცეზში და რეგიონში შეძლებისდაგვარად დაარსდეს საერთო ქონებრივი ფონდი, რომელიც საშუალებას მისცემს ეპისკოპოსებს, შეასრულონ სხვა მოვალეობანიც იმ პირთა მიმართ, რომლებიც ეკლესიას ემსახურებიან, და დააკმაყოფილონ დიოცეზის სხვადასხვა მოთხოვნილებები. ამის შედეგად უფრო შეძლებული დიოცეზები შეძლებენ დაეხმარონ უფრო ღარიბებს, რათა მათი სიმდიდრე სხვების ნაკლულებას ავსებდეს.¹⁵³ ეს საერთო ფონდი, უპირველეს ყოვლისა, ერთგულთა შემონირულობებისგან უნდა შედგებოდეს, თუმცა მას სხვა წყაროებიც უნდა ასაზრდოებდეს, რომლებსაც სამართლებრივი განსაზღვრა სჭიდება.

გარდა ამისა, იმ ქვეყნებში, სადაც სამღვდელოების სოციალური დაზღვევა სათანადო დონეზე არა დგას, ეპისკოპოსთა კონფერენციებმა, საეკლესიო და სამოქალაქო კანონების გათვალისწინებით, უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ არსებობდეს დიოცეზური ინსტიტუციები, რომლებიც ერთმანეთთან იქნება გაერთიანებული, ან სხვადასხვა დიოცეზისთვის შექმნილი ინსტიტუციები, ან სულაც ერთი მთლიანი ტერიტორიისთვის ჩამოყალიბებული ასოციაცია. იერარქიის ზედამხედველობით, მათ საკმარისად უნდა უზრუნველყონ როგორც სათანადო სამედიცინო დაზღვევა და დახმარება, ასევე მღვდლების უზრუნველყოფა ღირსეული საცხოვრებელი პირობებით ავადმყოფობის, ინვალიდობის ან ხანდაზმულობის შემთხვევაში. მღვდელმ-

სახურებმა მხარი უნდა დაუჭირონ არსებულ ინსტიტუციასაც. ისინი განმსჭვალული უნდა იყვნენ სოლიდარობის გრძობით თავის ძმებთან, მათი გაჭირვება უნდა გაიზიარონ.¹⁵⁴ მომავალ ბედზე უზრუნველად, მათ უფრო მეტი ევანგელური მონდომებით უნდა იღვანონ სილატაკისთვის და მთლიანად მიუძღვნან თავი სულთა გამოხსნას. და ბოლოს, ისინი, ვისაც ეს ეხება, უნდა შეეცადონ, ერთმანეთს დაუკავშირონ ასეთი ინსტიტუციები სხვადასხვა ქვეყნებში, მათი განმტკიცებისა და უფრო ფართოდ გავრცელების მიზნით.

დასკვნა და მონოღება

22. მოცემული წმიდა სინოდი ითვალისწინებს სამღვდელმსახურო ცხოვრების სიხარულს, მაგრამ მას არ შეუძლია თვალი დახუჭოს იმ სირთულეებზე, რომელსაც დღევანდელ ცხოვრებაში მღვდლები განიცდიან. მან იცის, როგორ საფუძვლიანად გარდაიქმნება სოციალური და ეკონომიკური პირობები, აგრეთვე ადამიანთა ზნე-ჩვეულებები, და რამდენად იცვლება ღირებულებები ადამიანთა შეფასებაში. ამიტომ ეკლესიის მსახურები, და ზოგჯერ ქრისტეს სხვა ერთგულებიც სამყაროში თავს უცხოებად გრძობენ. ისინი შიშით კითხულობენ, თუ რა საშუალებებითა და სიტყვებით შეუძლიათ მასთან ურთიერთობაში შესვლა. ახალი დაბრკოლებები, რომლებიც სარწმუნოების გზაზე გვხვდება, შესრულებული სამუშაოს მოჩვენებითი ამოება, აგრეთვე მარტოობის მძიმე განცდა, - ყოველივე ამან შეიძლება ისინი სასონარკვეთილებაში ჩააგდოს.

ხოლო ეს სამყარო – იმ სახით, როგორც ის დღეს ეკლესიის მწყემსთა სიყვარულსა და მსახურებას არის მინდობილი, - ღმერთმა ისე შეიყვარა, “ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ-შობილი მოსცა მას.”¹⁵⁵ ჭეშმარიტად, ეს სამყარო, მრავალი ცოდვებით დამძიმებული, მაგრამ ამავე დროს დიდი შესაძლებლობების მქონე, ეკლესიას სთავაზობს “ცხოველ ლოდებს”,¹⁵⁶ რომლებიც თანააღმშენებულნი არიან “სამკვდრებლად ღმრთისა სულითა”.¹⁵⁷ იგივე სული წმიდა მოუწოდებს ეკლესიას, გაიყვანოს ახალი გზები, მიმავალი თანამედროვე სამყაროსაკენ. ის სთავაზობს სამღვდლო მსახურებისთვის შესაფერის სიახლეებს და მხარს უჭერს მათ.

მღვდლებს უნდა ახსოვდეთ, რომ თავისი საქმის აღსრულებისას ისინი არასდროს არიან მარტოები: ისინი ყოველთვის ეყრდნობიან ყოველისშემძლე ღმრთის ძალას. მათ სწამთ ქრისტესი, რომელმაც მოუწოდა მათ, რათა მისი მღვდლობა (Sacerdotium) გაეზიარებინათ და მთელი მონდომებით მის მსახურებას მისცემოდნენ. მათ უნდა იცოდნენ, რომ ღმერთს ძალა შესწევს, მათში სიყვარული გაზარდოს.¹⁵⁸ მათ ისიც უნდა ახსოვდეთ, რომ მათი ძმები მღვდლობაში, აგრეთვე მთელი სამყაროს ერთგულნი მათი თანამზრახველნი არიან. ყველა მღვდელი ხომ იღვწის განხორციელებისთვის ღმრთის გამომხსნელი გეგმისა, ანუ ქრისტეს საიდუმლოებისა, - “საიდუმლოჲსა მის დაფარულისაჲ საუკუნიტგან ღმრთისა თანა”,¹⁵⁹ რომელიც მხოლოდ თანდათანობით ხორციელდება, ქრისტეს სხეულის შენებაში სხვადასხვა მსახურთა თანამშრომლობის შედეგად, სანამ არ შესრულდება მისი ასაკი. ყოველივე ეს “დაფარულ არს ქრისტეთურთ ღმრთისა თანა”,¹⁶⁰ და ის არსებითად შეიძლება რწმენით იქნას გაგებული. ღმრთის ერის წინამძღოლნი რწმენით უნდა მიდიოდნენ. ისინი უნდა მისდევდნენ ერთგული აბრაჰამის მაგალითს, რომელიც “ერჩდა გამოსლვად ადგილსა მას, რომელი დაპყრობად იყო მისა სამკვდრებულად; და გამოვიდა და არა უწყოდა, ვიდრე მოვიდოდა” (ებრ. 11, 8). ჭეშმარიტად შეიძლება საღმრთო საიდუმლოებათა განმგებელი (dispensator) შევადართო მინდორში მთესველს, რომ-

154 შდრ. ფილ. 4, 14.

155 იოან. 3, 16.

156 შდრ. 1 პეტრე 2, 5.

157 ეფეს. 2, 22.

158 შდრ. Pont. Rom., „De Ordinatione Presbyteri“.

159 ეფეს. 3, 9

160 კოლ. 3, 3.

ლის შესახებ უფალმა თქვა: “და დაიძინის; და აღდგეს ღამე და დღე, და თესლი იგი აღმოსცენდის და განორძნდებინ, ვითარ-იგი მან არა უწყინ” (მარკ. 4, 27). თუმცა, როცა უფალმა ქრისტემ თქვა: “ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევეის სოფელსა” (იოან. 16, 33), ამ სიტყვებით იგი არ შეჰპირებია თავის ეკლესიას სრულ გამარჯვებას ამ საუკუნეში. მაგრამ წმიდა სინოდს უხარია, რომ მიწას, სახარების თესლებით მიმოფენილს, ახლა ბევრ ადგილას მოაქვს ნაყოფი უფლის სულის წინამძღოლობით, რომელიც ავსებს სამყაროს და მრავალი მღვდელმსახურისა და ერთგულის გულებში აღაგზნებს ჭეშმარიტად მისიონერულ სულს. ყოველივე ამისთვის წმიდა კრება უდიდესი სიყვარულით მადლობას უხდის მთელი მსოფლიოს მღვდლებს: “ხოლო რომელი-იგი შემძლებელ არს უფროსს ყოვლისა ყოფად უმეტეს, რომელსა-იგი ვითხოვთ გინა თუ ვსცნობთ ძალისა მისებრ შენევისა ჩუენ შორის, მისა დიდებაჲ ეკლესიასა შინა ქრისტე იესოსს” (ეფეს. 3, 20-21).

ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე, რაც ამ დეკრეტში გამოცხადდა, წმიდა კრების მამებმა მოიწონეს. და ჩვენც, იმ სამოციქულო უფლებამოსილებით, რომელიც ქრისტესგან გადმოგვეცა, ამას პატივდებულ მამებთან ერთად სული წმიდაში ვეთანხმებით, ვადგენთ, ვანესებთ და ვბრძანებთ, რომ ის, რაც კრებაზე დადგინდა, გამოქვეყნდეს სადიდებლად ღმრთისა.

რომი, წმ. პეტრესთან, 1965 წლის 7 დეკემბერი.
მე, **პავლე**, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი
(მოჰყვება მამათა ხელმოწერები)

სამოძღვრო კონსტიტუცია
თანამედროვე სამყაროში ეკლესიის
შესახებ

GAUDIUM ET SPES

პაულე ეპისკოპოსი,
ღმრთის მსახურთა მსახური,
წმიდა კრების მამებთან ერთად,
სამუდამო სახსოვრად

სამოდვრო კონსტიტუცია¹ თანამედროვე სამყაროში ეკლესიის შესახებ

წინათქმა

1. *(ეკლესიის მჭიდრო კავშირი ხალხთა მთელ ოჯახთან)*. სიხარული და იმედი, ჩვენი დროის ადამიანთა მწუხარება და შიში, უპირველეს ყოვლისა გლახაკთა და ყველა ტანჯულისა, ქრისტეს მონაფეების სიხარული და იმედიც არის, მათი მწუხარება და შიშიც არის, და არაფერია ჭეშმარიტად ადამიანური, რაც მათ გულში გამოძახილს არა ჰპოვებდა. მათი საკრებულო (communitas) ხომ ქრისტეს მიერ გაერთიანებული ადამიანებისგან შედგება. მამის მეუფებისკენ მათ მსხემობას სული წმიდა უძღვება. მათ მიიღეს გამოხსნის შესახებ უწყება, რომელიც ყველას უნდა ამცნონ. ამიტომ საკრებულო წამდვილად აცნობიერებს თავის მჭიდრო კავშირს ადამიანთა მოდგმასა და მის ისტორიასთან.

2. *(ვის მიმართავს კრება)*. ეკლესიის საიდუმლოების ღრმად კვლევის შემდეგ, ვატიკანის მეორე კრება დაუყოვნებლივ მიმართავს არა მარტო ეკლესიის შვილებსა და ყველას, ვინც ქრისტეს სახელს უხმობს, არამედ სრულიად ყველა ადამიანს. კრებას სურს, ყველას მოუთხროს, როგორ ესმის დღევანდელ სამყაროში ეკლესიის როლი (praesentiam) და მისი მოღვაწეობა.

მაშასადამე, კრებას მხედველობაში აქვს ადამიანთა სამყარო ანუ მთელი ადამიანური ოჯახი, იმ საგანთა ერთობლიობით, რომელთა გარემოცვაში ის ცხოვრობს. სამყარო თეატრია, რომელიც კაცობრიობის ისტორიას ასახავს. იგი მათი საქმიანობით, მარცხითა და გამარჯვებებით არის დალდასმული. ქრისტეს ერთგულებს სწამთ, რომ სამყარო ქრისტეს სიყვარულით შეიქმნა და შეინახა; ცოდვის მონობაში მოქცეული, იგი ქრისტემ გაათავისუფლა: ჯვარცმულმა და აღმდგარმა, მან ბოროტის (Maligni) ძალა გატეხა, რათა სამყარო, ღმრთის განზრახვის თანახმად, გარდასახულიყო (transformetur) და დასრულებულიყო.

1 სამოდვრო კონსტიტუცია “დღევანდელ სამყაროში ეკლესიის შესახებ” ორი ნაწილისგან შედგება, რომლებიც ერთ მთელს ქმნიან.

ეს კონსტიტუცია “სამოდვროდ” იწოდება შემდეგი მიზეზების გამო: იგი ეყრდნობა სამოდვრო პრინციპებს და ცდილობს გამოხატოს ეკლესიის დამოკიდებულება დღევანდელი სამყაროსა და ადამიანების მიმართ. ამიტომ არც პირველ ნაწილს აკლია სამღვდლო მიზანდასახულობა, არც მეორეს – სამოდვრო.

პირველ ნაწილში ეკლესია ავითარებს თავის მოძღვრებას ადამიანისა და სამყაროს შესახებ, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, აგრეთვე მათ მიმართ თავისი დამოკიდებულების შესახებ. მეორე ნაწილში უფრო დანერვილებით განიხილება დღევანდელი ცხოვრებისა და ადამიანთა საზოგადოების სხვადასხვა ასპექტი. აქ საგანგებო ყურადღება ეთმობა ჩვენი დროისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან კითხვებსა და პრობლემებს. ამიტომ მეორე ნაწილის მასალა, თუმცა ის სამოდვრო პრინციპებს ექვემდებარება, შეიცავს არა მარტო მუდმივ ელემენტებს, არამედ დროებითსაც.

მაშასადამე, ეს კონსტიტუცია უნდა განიმარტოს თეოლოგიური განმარტების ზოგადი ნორმების მიხედვით. გასათვალისწინებელია, განსაკუთრებით მეორე ნაწილში, გარემოებათა ცვლილება, რომლებიც განხილვის საგანს ბუნებრივად თან ახლავს.

3. *(ადამიანისადმი მსხურება)*. ჩვენს დროში, როცა კაცობრიობას მისივე გამოგონებები და შესაძლებლობები ანცვიფრებს, მას მაინც ანუხებს კითხვები, რომლებიც ეხება დღევანდელი სამყაროს განვითარებას, მსოფლიოში ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას, ინდივიდუალური და კოლექტიური ძალისხმევის აზრს, და ბოლოს, საგანთა და ადამიანთა საბოლოო მიზანს. კრება მოწმობს და გადმოსცემს ღმრთის მთელი ერის, ქრისტეს მიერ შეკრებილის, რწმენას. კრება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს მჭერმეტყველურად გამოხატოს ერის კავშირი, პატივისცემა და სიყვარული მთელი ადამიანური ოჯახის მიმართ, რომელსაც ერი ეკუთვნის, თუ ამ ოჯახთან დიალოგს გამართავს მისი სხვადასხვა პრობლემების თაობაზე, მოუტანს მათ სახარებიდან მოპოვებულ ნათელს, მისცემს ადამიანთა მოდგმას გამომხსნელ ძალებს, რომლებსაც თავად ეკლესია, სული წმიდის წინამძღოლობით, თავისი დამფუძნებლისგან იღებს. მაშ, უნდა გამოხსნილ იქნას ადამიანის პიროვნება და განახლდეს ადამიანთა საზოგადოება. ამიტომ მთელი ჩვენი განმარტების ქვაკუთხედი იქნება ადამიანი, მის ერთიანობასა და მთლიანობაში, სხეულითა და სულით, გულითა და სინდისით, გონებითა და ნებით.

ამგვარად, წმიდა კრება აღიარებს ადამიანის უმაღლეს მოწოდებას და ადასტურებს, რომ ადამიანში საღმრთო მარცვალა ჩადებული. ადამიანთა მოდგმას კრება სთავაზობს გულწრფელ თანამშრომლობას ეკლესიასთან, რათა დამყარდეს საყოველთაო ძმობა, რომელიც ამ მოწოდებას პასუხობს. ეკლესიას მინიერი ამბიცია არ ამოძრავებს. მას მხოლოდ ერთი სურს: ნუგეშინიმცემელი სულის წინამძღოლობით, თავად ქრისტეს საქმე განაგრძოს, რომელიც მოვიდა სამყაროში, რათა ჭეშმარიტება დაამონმოს, მოვიდა გამოსახსნელად და არა განსასჯელად, მოვიდა, რათა სხვებს ემსახუროს და არა იმისთვის, რომ სხვები იმსახუროს.²

შესავალი

ადამიანის მდგომარეობა დღევანდელ სამყაროში

4. *(იმედი და შიში)*. თავისი დანიშნულება რომ შეასრულოს, ეკლესია ყველა დროში მოვალეა, დროის ნიშნები გამოიკვლიოს და ისინი სახარების შუქზე განმარტოს. მან უნდა შეძლოს, თითოეულ თაობას შესაფერისი პასუხი გასცეს ადამიანთა მუდმივ შეკითხვებზე, რომლებიც ანმყო და მომავალი ცხოვრების აზრსა და მათ ურთიერთმიმართებას ეხება. ამგვარად, ჩვენ უნდა შევიცნოთ და გავიგოთ სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, მისი იმედები, მისი სწრაფვები და მისი ხშირად დრამატული სახე. დღევანდელი სამყაროს ძირითადი ნიშნები შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

კაცობრიობის ისტორიაში დღეს ახალ ეტაპია: ღრმა და სწრაფი ცვლილებები თანდათანობით მთელს მსოფლიოს მოიცავს. ადამიანის ჭკუითა და შემოქმედებითი საქმიანობით გამოწვეული ეს ცვლილებები ისევ ადამიანზე ახდენს გავლენას, მის განსჯაზე, ინდივიდუალურ და კოლექტიურ სურვილებზე, მისი აზროვნებისა და მოქმედების წესზე, რომელიც საგნებსა და ადამიანებს ეხება. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჭეშმარიტი სოციალური და კულტურული ცვლილების შესახებ, რომელიც რელიგიურ ცხოვრებაზეც ვრცელდება.

ყოველგვარ ზრდას კრიზისი ახლავს და ამ ცვლილებასაც სერიოზული სირთულეები მოჰყვება. დღია ადამიანის ძალაუფლება, მაგრამ ის ყოველთვის ვერ ახერხებს, ეს ძალაუფლება თავის სამსახურში ჩააყენოს. ხშირად, როცა ადამიანი ცდილობს, ღრმად ჩაიხედოს თავის სულში, მას საკუთარი თავის რწმენა ეკარგება. ნაბიჯ-ნაბიჯ ის უკეთ იგებს სოციალური ცხოვრების კანონებს, მაგრამ ეჭვობს და არ იცის, ისინი რა მიმართულებით განავითაროს.

არასდროს ჰქონიათ ადამიანებს ასე ჭარბად სიმდიდრე, შესაძლებლობები და ეკონომიკური პოტენცია. და მაინც, სამყაროს მკვიდრთა მნიშვნელოვან ნაწილს შიმშილი და სიღარიბე ტანჯავს, მრავალმა წერა-კითხვაც არ იცის. არასდროს ჰქო-

2 შდრ. იოან. 3, 17; 18, 37; მათ. 20, 28; მარკ. 10, 45.

ნიათ ადამიანებს თავისუფლების ისეთი მძაფრი განცდა, როგორც დღეს, სწორედ მაშინ, როცა ჩნდება სოციალური და ფსიქიური დაკაბალების ახალ-ახალი ფორმები. სამყარო ცოცხლად აღიქვამს საკუთარ ერთიანობასა და საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულებას. მას გაცნობიერებული აქვს სოლიდარობის აუცილებლობა. ამავე დროს, მას ხლეჩს დაპირისპირებულ ძალთა ბრძოლა. მწვავე უთანხმოებები დღემდე არსებობს: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, რასობრივი და იდეოლოგიური, და არც ომის საშიშროებაა მოხსნილი, რომელსაც ძირფესვიანად ყველაფრის განადგურება შეუძლია. იზრდება აზრთა ურთიერთგაცვლა, მაგრამ თავად სიტყვები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს ცნებებს გამოიხატავს, სხვადასხვა იდეოლოგიაში სრულიად სხვადასხვა შინაარსს იძენს. და ბოლოს, გულმოდგინედ ვეძიებთ უფრო სრულყოფილ მიწიერ ნყოფას, მაგრამ სულიერი ზრდა შესაბამის ნინსვლას არ განიცდის.

ასეთი რთული გარემოებების ზეგავლენით მრავალ ჩვენს თანამედროვეს ნამდვილად უჭირს, ამოიცნოს მუდმივი ღირებულებები და, ამავე დროს, ისინი ახალ აღმოჩენებს შეუთანხმოს. იმედსა და შიშს შორის მერყეენი, მოუსვენრობით შეპყრობილნი, ისინი დღევანდელი ვითარების შესახებ კითხვებს სვამენ. ეს ვითარება ადამიანებს მოუწოდებს და კიდევ აიძულებს, შეკითხვებს პასუხი გასცენ.

5. *(ღრმა ცვლილების პირობები)*. სულთა ამჟამინდელი მღელვარება და ცხოვრების პირობათა ცვლილება ფართო გარდაქმნასთან არის დაკავშირებული. ამის შედეგად სულიერ ჩამოყალიბებაში (*in mentibus efformandis*) პრიორიტეტული ხდება მათემატიკური, საბუნებისმეტყველო და თავად ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებანი, ხოლო მოქმედების სფეროში – ტექნიკა, რომელიც ამ მეცნიერებათა შვილია. მეცნიერული სული (*mens*) სხვაგვარად, ვიდრე წარსულში ძერწავს კულტურულ გარემოსა და აზროვნების წესს. ტექნიკის განვითარებას დედამიწის იერსახის ცვლილება მოჰყვება და იგი უკვე ზემინიერი სივრცის დასაპყრობად მიისწრაფვის.

ადამიანის ინტელექტი ერთგვარად დროთა მიღმაც ავრცელებს თავის მეუფებას: წარსულში – ისტორიული შემეცნებით, მომავალში – პერსპექტივებითა და გეგმებით. ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ მეცნიერებათა ნინსვლა ხელს უწყობს არა მარტო ადამიანის მიერ საკუთარი თავის უკეთ შეცნობას, არამედ მას იმის საშუალებასაც აძლევს, ტექნიკური მეთოდების დახმარებით უშუალო გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამავე დროს, ადამიანები უფრო მეტად ფიქრობენ იმის შესახებ, წინდან რაგორ განჭვრიტონ და წარმართონ დემოგრაფიული ზრდა.

თავად ისტორია ისე სწრაფად მიდის წინ, რომ ზოგიერთები ძლივს ახერხებენ მისთვის ფეხის აწყობას. ადამიანთა საზოგადოების (*consortionis*) ბედი საერთო ხდება: იგი აღარ იშლება სხვადასხვა ე.წ. ისტორიებად. ამგვარად, კაცობრიობა გადადის საგანთა წესის უფრო მეტად სტატიკური გაგებიდან უფრო დინამიურსა და ევლოუციურ გაგებაზე. აქედან იზადება უდიდესი პრობლემების ახალი კომპლექსი, რომელიც ახალი ანალიზისა და სინთეზისკენ მოგვინოდებს.

6. *(საზოგადოებრივი ტიპის ცვლილებები)*. ამავე მიზეზით სულ უფრო დიდ ცვლილებებს განიცდის ადგილობრივი ტრადიციული საზოგადოებები, როგორიც არის პატრიარქალური ოჯახები, „კლანები“, ტომები, თემები, სხვადასხვა ჯგუფი და სოციალური კავშირები.

თანდათან ვრცელდება ინდუსტრიული საზოგადოების ტიპი, რომელსაც ქვეყნები ეკონომიკური სიმდიდრისკენ მიჰყავს. იგი ძირფესვიანად გარდაქმნის სოციალური ცხოვრების ცნებებსა და პირობებს. შესაბამისად, ვითარდება ქალაქური ცხოვრების წესი და მატულობს მისადმი ინტერესი. ეს ხდება ქალაქებისა და მათი მაცხოვრებლების რიცხვის ზრდის შედეგად, ან იმ გავლენის გამო, რომელსაც ქალაქური ცხოვრება სოფელზე ახდენს.

სოციალური კავშირების ახალი და სულ უფრო სრულყოფილი საშუალებები ხელს უწყობს მოვლენების შესწავლას, აზრებისა და გრძნობების უსწრაფესა და ძალზე ფართო გავრცელებას, რაც მრავალ ჯაჭვურ რეაქციას იწვევს.

საგულისხმოა, რომ ადამიანები, სხვადასხვა მიზეზით მიგრაციაში მყოფნი, ცხოვრების წესს იცვლიან.

ამგვარად, ადამიანთა შორის არსებული ურთიერთკავშირები განუწყვეტლივ იზრდება. თავად „გასოციალურება“ („sozialisatio“) ახალ კავშირებს ბადებს, თუმცა მას ყოველთვის არ მოჰყვება პიროვნების შესაბამისი სიმნიფე და ნამდვილად პიროვნული ურთიერთობები, ანუ ე.წ. პერსონალიზაცია („personalizationem“).

ეს პროგრესი უფრო ნათლად წარმოჩნდება იმ ერებში, რომლებიც უკვე სარგებლობენ პროგრესის ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობებით. გარკვეულწილად ის განვითარებად ხალხებსაც ეხება, რომლებსაც სურთ, მათ რეგიონებსაც ეღიროს ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია. ამასთანავე, ეს ხალხი (განსაკუთრებით ისინი, ვინც ძველ ტრადიციებს მისდევს) მიისწრაფვის პიროვნული თვისუფლების უფრო სრულყოფილი და ფართო განცდისკენ.

7. *(ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და რელიგიური ცვლილებები)*. მენტალობისა და სტრუქტურათა ცვლილება ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მემკვიდრეობით მიღებულ ღირებულებებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებში: ისინი ხშირად არა-თუ მოუთმენლობით გამოირჩევიან, არამედ შინაგანი მღელვარებების გამო მეამბოხენიც ხდებიან. მათ გაცნობიერებული აქვთ საკუთარი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სურთ, მასში თავისი ადგილი რაც შეიძლება სწრაფად დაიკავონ. ამიტომ არის, რომ ხშირად მშობლები და აღმზრდელები თავისი მოვალეობების შესრულებისას დიდ სირთულეებს განიცდიან.

ხშირად არის, რომ წინაპართაგან გადმოცემული ინსტიტუციები, კანონები და აზროვნებისა და აღქმის წესი სრულყოფილად ვეღარ ესადაგება დღევანდელობას. ამის შედეგია არეულობა ქცევასა და მის ნორმებში.

და ბოლოს, ახალი გარემოებები რელიგიურ ცხოვრებაზეც ახდენს გავლენას. ერთის მხრივ, კრიტიკული განსჯის გამძაფრებული უნარი მას ათავისუფლებს სამყაროს მაგიური გაგებისგან და დღემდე არსებული ცრურწმენებისგან. იგი მოითხოვს რწმენისადმი სულ უფრო მეტად პიროვნულ და აქტიურ დამოკიდებულებას, რის შედეგად მრავალნი ღმერთს უფრო ცოცხლად აღიქვამენ. მეორეს მხრივ, სულ უფრო მეტნი სცილდებიან რელიგიურ პრაქტიკას. წარსულისგან განსხვავებით, ღმერთისა თუ რელიგიის უარყოფა ან მათგან განდგომა აღარაა უჩვეულო და ინდივიდუალური მოვლენა. ხშირად ასეთი დამოკიდებულება გამოიყურება როგორც სამეცნიერო პროგრესისა და რაღაც ახალი სახის ჰუმანიზმის მოთხოვნა. ბევრ რეგიონში ეს ყველაფერი გამოიხატება არა მარტო ფილოსოფიურ შეხედულებებში, არამედ ძალიან ფართოდ ზემოქმედებს ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ისტორიის ინტერპრეტაციაზე, თვით სამოქალაქო კანონებზეც კი. ამის შედეგი არის მღელვარება, რომელიც მრავალს მოიცავს.

8. *(შეუსაბამობები დღევანდელ სამყაროში)*. ვითარების ასეთი სწრაფი ცვლა, რომელიც ხშირად უწესრიგოდ მიმდინარეობს, და, კიდევ უფრო მეტად, სამყაროში არსებული უთანხმოებების გამძაფრებული აღქმა წარმოშობს და ზრდის დაპირისპირებებსა და შეუსაბამობას.

თავად პიროვნებაში სულ უფრო ხშირად ჩნდება შეუსაბამობა თანამედროვე ინტელექტუალურ პრაქტიკასა და თეორიულ აზროვნებას შორის, რომელიც ვერ ახერხებს მის ხელთ არსებული ცოდნის ერთობლიობის წარმართვას ან სინთეზის სახით მის სათანადო მონესრიგებას. მსგავსი შეუსაბამობა ჩნდება პრაქტიკაში ეფექტურობის მიღწევის სურვილსა და ზნეობრივი ცნობიერების მოთხოვნებს შო-

რის, აგრეთვე ცხოვრების კოლექტიური პირობებისა და პიროვნული აზროვნების, განსაკუთრებით მჭვრეტელობითი ცხოვრების საჭიროებათა დაპირისპირებისას. და ბოლოს, შეუსაბამობა თავს იჩენს ადამიანური საქმიანობის სპეციალიზაციასა და საგანთა უნივერსალურ ხედვას შორის.

შეუსაბამობები ოჯახშიც ჩნდება გამძაფრებული დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური პირობების გამო, ან ურთიერთმონაცვლე თაობათა შორის წარმოქმნილი სირთულეების შედეგად, აგრეთვე კაცებსა და ქალებს შორის ახალი სოციალური ურთიერთობების საფუძველზე.

დიდი შეუსაბამობები წარმოიქმნება რასებს შორის, საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის, მდიდარ, ნაკლებად მდიდარსა და ღარიბ ერებს შორის. და ბოლოს, შეუსაბამობები თავს იჩენს საერთაშორისო ინსტიტუციებსა (ისინი მშვიდობისკენ ხალხთა სწრაფვის შედეგად აღმოცენდნენ) და საკუთარი იდეოლოგიის გავრცელების ამბიციასა თუ კოლექტიურ ეგოიზმს შორის, რომლებიც ერებსა და სხვა ჯგუფებში არსებობს.

ამის შედეგად წარმოიქმნება ორმხრივი უნდობლობა და მტრობა, კონფლიქტები და უბედურებები, რომელთა მიზეზიცა და მსხვერპლიც თავად ადამიანია.

9. *(ადამიანური მოდემის უფრო ფართო სურვილები)*. ამასობაში მატულობს რწმენა, რომ ადამიანურ მოდემას არა მარტო თავისი ძალაუფლების გავრცელება შეუძლია ქმნილებაზე და მან ეს კიდევ უნდა გააკეთოს, არამედ, გარდა ამისა, მას შეუძლია და უნდა კიდევ დაამყაროს ისეთი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური წესრიგი, რომელიც სულ უფრო მეტად მოემსახურება ადამიანს და ხელს შეუწყობს თითოეულს, განამტკიცოს და განავითაროს საკუთარი ღირსება.

ამიტომ ბევრი დაბეჯითებით მოითხოვს იმ სიმდიდრეს, რომელიც – ამას ისინი ცხადად აცნობიერებენ – მათ უსამართლო და არათანაბარი განაწილების გამო არ გააჩნიათ. ერებს, რომლებიც პროგრესის გზას ადგანან ან რომლებმაც ეს-ეს არის დამოუკიდებლობა მოიპოვეს, სურთ, ეზიარონ დღევანდელი ცივილიზაციის სიმდიდრეებს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ სფეროში და თავისუფლად შეასრულონ თავისი როლი სამყაროში. თანდათან იზრდება უფსკრული მათსა და სხვა, უფრო მდიდარ და სწრაფად განვითარებად ერებს შორის. ამავე დროს, ისინი სულ იფრო მეტად ხდებიან მათზე დამოკიდებულნი, სხვათა და სხვათა შორის ეკონომიკურადაც. შიმშილით შეწუხებული ხალხები პასუხს უფრო შეძლებულ ხალხებს სთხოვენ. ქალები მოითხოვენ მამაკაცებთან *de iure* და *de facto* თანასწორობას, იქ, სადაც ასეთი თანასწორობა ჯერ არ არსებობს. მუშებსა და გლეხებს არა მარტო არსებობისთვის აუცილებელი მინიმუმის მოპოვება სურთ, არამედ მუშაობით თავისი პიროვნული შესაძლებლობების განვითარებაც უნდათ. მეტიც: მათ სურთ, მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მართვაში. კაცობრიობის ისტორიაში ყველა ხალხი დარწმუნებულია იმაში, რომ კულტურის მონაპოვარი მართლაც ყველასთვის შეიძლება და უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

ყველა ამ მოთხოვნის მიღმა იმალება უფრო ღრმა და უფრო ფართო სურვილი: პიროვნებებსა და ჯგუფებს სწყურიათ თავისუფალი ცხოვრება, რომლის ღირსიც არის ადამიანი. მათ სურთ, თავის სამსახურში ჩააყენონ ყველაფერი, რასაც დღევანდელი სამყარო ასე უხვად სთავაზობს. გარდა ამისა, ერები სულ უფრო მეტად ცდილობენ, შექმნან ერთგვარი უნივერსალური საზოგადოება.

ასეთ ვითარებაში დღევანდელი სამყარო წარმოგვიდგება როგორც ძლიერი და იმავე დროს უმწეო. მას შეუძლია წარმოშვას უდიდესი სიკეთე და უდიდესი ბოროტებაც. მის წინაშე ხსნილია გზა თავისუფლებისა და მონობისკენ, წინსვლისა და უკუსვლისკენ, ძმობისა და სიძულვილისკენ. ამასთანავე ადამიანი აცნობიერებს, რომ მან სწორად უნდა წარმართოს თავისი ძალები, რომლებიც

თავად გამოაღვიძა, რადგან მათ მისი დაჩაგვრაც შეუძლიათ და მისთვის სამსახურის განწევაც. ამიტომ ადამიანი თავისივე თავს უსვამს კითხვებს.

10. *(კაცობრიობის ფუნდამენტური კითხვები)*. შეუსაბამობა, რომელიც დღევანდელ სამყაროს ახასიათებს, დაკავშირებულია იმ ძირითად შეუსაბამობასთან, რომელიც ადამიანის გულში მკვიდრობს. ადამიანში მრავალი რამ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ერთის მხრივ, იგი თავს ქმნილებად აღიქვამს, რომელიც მრავალმხრივ სასრულია, მეორეს მხრივ კი გრძნობს, რომ თავისი სურვილების გამო უსასრულოა და უზენაესი ცხოვრებისკენ არის მოწოდებული. მრავალ ცოტუნებას აყოლილი, მან მუდამ რაღაც უნდა აირჩიოს ან უარყოს. სუსტი და ცოდვილი, იგი ხშირად იმას აკეთებს, რაც არ უნდა, ხოლო იმას, რაც უნდა, არ აკეთებს.³ ამგვარად, იგი თავისივე თავში განიცდის წინააღმდეგობას, რის შედეგადაც თავს იჩენს ის მწვავე და მრავალრიცხოვანი წინააღმდეგობები, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს. მართალია, ბევრი ადამიანი, რომელთა ცხოვრება პრაქტიკული მატერიალიზმით არის ინფიცირებული, თვალს ხუჭავს ამ დრამატულ მდგომარეობაზე, ან უბრალოდ, სიღარიბით დატანჯულს, მასზე ფიქრიც არ შეუძლია. ბევრს ჰგონია, რომ სიმშვიდეს სინამდვილის მრავალფეროვან ახსნაში ჰპოვებს. ზოგიც მოელის, რომ კაცობრიობის ქეშმარიტი და სრული გათავისუფლება მხოლოდ ადამიანის მცდელობის შედეგი იქნება; ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მომავალში ადამიანის მიწაზე მეუფებისას მისი ყველა ნატვრა აღსრულდება. ისეთებიც არიან, ვისაც ცხოვრების საზრისისა აღარ სწამს; ისინი იმ ხალხის სიმამაცეს აქებენ, ვინც ფიქრობს, რომ ადამიანური არსებობა თავისთავად საზრისის მოკლებულია, და ვინც ცდილობს, მას ეს საზრისი მხოლოდ საკუთარი უნარის (ingenio) საფუძველზე მიანიჭოს. მიუხედავად ამისა, სამყაროს დღევანდელი განვითარების პირობებში სულ უფრო მატულობს მათი რიცხვი, ვინც ყველაზე ფუნდამენტურ კითხვებს სვამს ან ამ კითხვებს ახალი სიმძაფრით განიცდის: რა არის ადამიანი? რა აზრი აქვს ტკივილს, ბოროტებას, სიკვდილს, რომლებიც, მიუხედავად ასეთი პროგრესისა, მაინც არსებობს? ვის რად უნდა ეს გამარჯვებები, ასეთ ფასად მოპოვებული? რა შეუძლია მოუტანოს საზოგადოებას ადამიანმა, ან თავად მისგან რას უნდა ელოდეს? ამ მიწიერი ცხოვრების მერე რა იქნება?

ეკლესიას სწამს, რომ ქრისტე, რომელიც ყველასთვის მოკვდა და აღდგა,⁴ თავისი სულის მეშვეობით ადამიანს ანიჭებს ნათელსა და ძალებს, რათა მან შეძლოს უპასუხოს თავის უზენაეს დანიშნულებას. ეკლესიას სწამს, რომ არ არის სხვა სახელი ცის ქვეშ ადამიანებისთვის მოცემული, რომლითაც ისინი უნდა იქნენ გამოსწილნი.⁵ ეკლესიას ასევე სწამს, რომ მთელი ადამიანური ისტორიის გასაღები, შუაგული და დასასრული მის უფალსა და მოძღვარშია. გარდა ამისა, ეკლესია ამტკიცებს, რომ ყველა ცვლილებაში არის ბევრი ისეთი რამ, რაც არ იცვლება და რასაც თავისი ყველაზე არსებითი საფუძველი აქვს ქრისტეში, რომელიც იგივე არის გუშინ, დღეს და უკუნისამდე.⁶ ამიტომ კრება განიზრახავს, ნათელში ქრისტესი, „რომელი-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ, პირმშოა ყოველთა დაბადებულთაჲ,⁷ მიმართოს ყველას, რათა გამჟღავნდეს ადამიანის საიდუმლო და ხელი შეეწყოს ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს კითხვებზე პასუხის ძიებას.

3 შდრ. რომ. 7, 15-16.

4 შდრ. 2 კორ. 5, 15.

5 შდრ. საქმე 4, 12.

6 შდრ. ებრ. 13, 8.

7 კოლ. 1, 15.

ნაწილი პირველი

ეკლესია და ადამიანის მოწოდება

11. *(პასუხი სულის მისწრაფებებზე)*. ღმრთის ერს რწმენა ამოძრავებს და ამ რწმენის საფუძველზე სწამს, რომ მას სული წმიდა უძღვება, რომელიც დედამიანს ავსებს. ღმრთის ერი, ჩვენი დროის სხვა ადამიანებთან ერთად, მონაწილეა მოვლენების, მოთხოვნებისა და სურვილებისა, რომლებშიც იგი ღმრთის თანდასწრებისა და განზრახვის ქვეშეობაში ნიშნების ამოცნობას ცდილობს. რწმენა მართლაც ყველაფერს ახალ შუქს ჰფენს და მთლიანობაში ადამიანის მოწოდებასთან დაკავშირებით ღმრთის ნებას (propositum) ცხადყოფს. ამდენად, იგი ჩვენს გონებას სავსებით ადამიანური გადაწყვეტილებებისკენ წარმართავს.

უპირველეს ყოვლისა, კრება განიზრახავს, განსაჯოს ის ღირებულებები, რომლებიც სადღეისოდ ყველაზე უფრო დიდად ფასობს და ისინი კვლავ მათ საღმრთო წყაროსთან მიმართებაში განიხილოს. ეს ღირებულებები მომდინარეობს ადამიანის უნარიდან (ingenio), რომელიც მას ღმერთმა მიანიჭა, ამიტომ ისინი კარგია. მაგრამ ადამიანის გული შეიძლება მცდარ გზას გაჰყვეს. ასეთ შემთხვევაში ღირებულებები სცდება მათთვის დადგენილ წესს. ამიტომ მათ განწმედა სჭირდება.

რას ფიქრობს ეკლესია ადამიანის შესახებ? რა რჩევებია საჭირო დღევანდელი საზოგადოების ასაშენებლად? და ბოლოს, რა აზრი აქვს საყაროში ადამიანის მოღვაწეობას? ეს კითხვები პასუხს ითხოვს. ამის შედეგად უფრო ნათლად წარმოჩნდება, რომ ღმრთის ერი და ადამიანთა მოდგმა, რომელსაც ის ეკუთვნის, ერთმანეთს ემსახურება. ასე გამოვლინდება ეკლესიის მისიის რელიგიური და, სწორედ ამის გამო, მისი სრულიად ადამიანური ხასიათი.

თავი I

ადამიანის პიროვნული ღირსება

12. *(ადამიანი როგორც ღმრთის ხატი)*. მორწმუნენი და ისინიც, ვისაც არა სწამს, ფაქტიურად იზიარებენ იმ აზრს, რომ ყველაფერი, რაც მიწაზეა, განკუთვნილი უნდა იყოს ადამიანისთვის, როგორც მისი ცენტრისა და მწვერვალისთვის.

მაშ რა არის ადამიანი? მან ბევრი რამ თქვა საკუთარი თავის შესახებ. ამ აზრებს, სხვადასხვაგვარსა და წინააღმდეგობრივსაც კი, იგი ეხლაც გამოთქვამს. იგი ხშირად ალაზევებს თავის თავს როგორც აბსოლუტურ ნორმას, ან პირიქით, უიმედობაში ვარდება. ამიტომ ეჭვობს და შიშობს. ეკლესია ღრმად გრძნობს ამ სირთულეებს. ღმრთის გამოცხადებით განსწავლულს, მას პასუხის გაცემა შეუძლია, რომელიც ადამიანის ქვეშეობაში მდგომარეობას გამოხატავს, ახსნის მის სისუსტეებს და, ამავდროულად, მისი ღირსებისა და მოწოდების სწორად ამოცნობას შეძლებს.

წმიდა წერილი ასწავლის, რომ ადამიანი „ღმრთის ხატად“ არის შექმნილი. მას თავისი შემოქმედის შეცნობა და სიყვარული ძალუძს, რომელმაც იგი ყველა მიწიერი ქმნილების მეუფედ დაადგინა,⁸ რათა ისინი მართოს და გამოიყენოს, და ღმერთი აღიდოს.⁹ „რამ არს კაცი, რამეთუ მოიწინეს მისი, ანუ ძე კაცისაჲ, რამეთუ მოხედავ მას? დააკლე იგი მცირედ რამე ანგელოზთა, დიდებითა და პატივითა გვრგვონოსან ჰყავ იგი. დაადგინე იგი ქმნულს ჴელთა შენთასა, ყოველივე დაამორჩილე ქუეშე ფერჴთა მისთა“ (ფს. 8, 5-7).

მაგრამ ღმერთს მხოლოდ ადამიანი არ შეუქმნია: მან ხომ იმთავითვე „მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი“ (დაბ. 1, 27). მათი კავშირით შეიქმნა პიროვნებათა ურთიერთობის პირველი ფორმა. თავისი შინაგანი ბუნებით ადამიანი არის საზოგად-

8 შდრ. დაბ. 1, 26; სიბრძნ. 2. 23.

9 შდრ. ზირაქ. 17, 3-10.

დობრივი არსება და სხვებთან ურთიერთობის გარეშე მას არც ცხოვრება შეუძლია და არც თავის ნიჭთა (dotes) განვითარება.

ამგვარად, ღმერთმა, ვკითხულობთ წმიდა წერილში, იხილა „ყოველნი, რაოდენ-ნი ქმნნა, და აჰა კეთილ ფრიად“ (დაბ. 1, 31).

13. *(ცოდვა)*. ღმრთის მიერ სამართალში დამკვიდრებულმა ადამიანმა, ბოროტის (Maligno) მიერ შეცდენილმა, თავისუფლება ბოროტად გამოიყენა და, ღმრთის წინააღმდეგ ამხედრებულმა, ისურვა, თავისი მიზნისთვის ღმრთის გარეშე (extra) მიეღწია. „რამეთუ იცოდეს ღმერთი, და არა ღმრთეებრ აღიდებდეს მას... და დაუბნელდა უგულისხმო იგი გული მათი... და მსახურებდეს დაბადებულსა და არა დამბადებულსა.“¹⁰ რასაც საღმრთო გამოცხადება გვაუწყებს, ის ჩვენს საკუთარ გამოცდილებას შესაბამეა. ადამიანი თუ თავის გულში ჩაიხედავს, დაინახავს, რომ ის ბოროტებისკენაც არის მიდრეკილი. ის მრავალრიცხოვან ბოროტებაშია ჩაძირული, რომელთა მიზეზი მისი კეთილი შემოქმედი ვერ იქნება. ადამიანს ხშირად უთქვამს უარი, ღმერთი თავის მიზეზად ეცნო. მან დაარღვია აუცილებელი წესი, რომელიც მას მისი მიზნისკენ წარმართავდა, და ამავე დროს დაშალა მთელი წესრიგი, რომელიც მას საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებსა და ყველა ქმნილებასთან აკავშირებდა.

მაშასადამე, ადამიანი თავის თავშივე არის გაორებული. მთელი ადამიანური ცხოვრება, როგორც ერთეული ასევე კოლექტიური, წარმოგვიდგება დრამატულ ბრძოლად სიკეთესა და ბოროტებას, ნათელსა და ბნელს შორის. ადამიანი ხედავს, რომ მას თვითონ არ შეუძლია წარმატებით მოიგერიოს ბოროტების აგრესია. თითოეული მათგანი თავს ისე გრძნობს, თითქოს ჯაჭვებით იყოს შეკრული. მაგრამ მოვიდა თავად უფალი, რათა ადამიანი გაეთავისუფლებინა და ენუგეშა, შიგნიდან განეახლებინა და გარეთ განეგდო „მთავარი იგი ამის სოფლისა“ (იოან. 12, 31), რომელიც მას ცოდვის მონობაში აკავებდა.¹¹ ცოდვა აკნინებს ადამიანს, აკავებს მას სრულყოფილების მიღწევისაგან.

ამ გამოცხადების შუქზე თავის საბოლოო მნიშვნელობას იძენს უზენაესი მონობაც და უღაბლესი სიგლახაკეც, რომლებსაც ადამიანი განიცდის.

14. *(ადამიანის აგებულება)*. სხეულითა და სულით ერთიანი, თავისი ხორციელი მდგომარეობით ადამიანი აერთიანებს თავის თავში მატერიალური სამყაროს ელემენტებს, რათა მისი მეშვეობით ამ ელემენტებმა თავის მწვერვალს მიაღწიონ და შემოქმედის თავისუფალი ქებისთვის ხმა აღავლინონ.¹² ამიტომ ადამიანს არ მართებს ხორციელი ცხოვრების უგულვებლყოფა. პირიქით: მას სიკეთისა და პატივის ღირსად უნდა მიაჩნდეს თავისი სხეული, ღმრთის მიერ შექმნილი, რომელიც უკანასკნელ დღეს უნდა აღდგეს. ცოდვით დაჭრილი, ადამიანი სხეულის ამბოხს განიცდის. ამიტომ ადამიანის ღირსება მოითხოვს, რომ მან ღმერთი თავისი ხორციით აღიდოს,¹³ და არ დაუშვას, თავისი გულის მანკიერ მისწრაფებებს ემსახუროს.

ნამდვილად არა ცდება ადამიანი, როცა აცნობიერებს, რომ იგი სხეულბრივზე მაღლა დგას და საკუთარ თავს არ აღიქვამს მხოლოდ ბუნების ნაწილად ან ადამიანთა საზოგადოების ანონიმურ ელემენტად. თავისი შინაგანი ბუნებით იგი საგანთა ერთობლიობას აღემატება: ადამიანი უბრუნდება ამ ღრმა შინაარსს, როცა თავის გულს მიმართავს: იქ მას ღმერთი ელოდება, რომელიც გულს იკვლევს,¹⁴ იქ, ღმრთის თვალწინ, ადამიანი თავის ბედს წყვეტს. ამგვარად, ადამიანმა იცის, რომ მასში არის სულისმიერი და უკვდავი სამშვიგელი. იგი არ ტყუვდება ცრუ შეხედულებით, რომელიც მხოლოდ ფიზიკურ და სოციალურ გარემოებებს ემყარება. პირიქით: ადამიანი სინამდვილის ღრმა ჭეშმარიტებას სწვდება.

10 შდრ. რომ. 1, 21-25.

11 შდრ. იოან. 8, 34.

12 შდრ. დან. 3, 57-90.

13 შდრ. 1კორ. 6, 13-20.

14 შდრ. 1მფ. 16, 7; იერ. 17, 10.

15. *(გონების ღირსება, ჭეშმარიტება და სიბრძნე)*. ადამიანი არის საღმრთო გონების ნათლის მოზიარე. იგი სწორად განსჯის, რომ თავისი გონებით საგანთა სამყაროზე მაღლა დგას. საუკუნეთა მანძილზე ადამიანი განუწყვეტელი წვრთნის თავის ნიჭს. მან დიდ წარმატებებს მიაღწია ემპირიულ მეცნიერებებში, ტექნიკასა და ხელოვნებაში. ჩვენს დროში მან სანიშნო წარმატება მოიპოვა, უპირველეს ყოვლისა, მატერიალური სამყაროს კვლევითა და მისი დამორჩილებით. იგი მუდამ ეძიებდა და ჰპოვებდა უფრო ღრმა ჭეშმარიტებას. გონება მხოლოდ მოვლენათა შემეცნებით არ შემოიფარგლება: მას ძალუძს ჭეშმარიტი სიზუსტით სწვდეს გონისმიერ სინამდვილეს, თუნდაც ცოდვის გამო იყოს დაბინდული და დასუსტებული.

საბოლოოდ, ადამიანური პიროვნების გონისმიერი ბუნება სრულყოფილებას სიბრძნის მეშვეობით აღწევს. ეს ასეც უნდა იყოს. სიბრძნე შეუმჩნეველად უზიდავს ადამიანის გონებას ჭეშმარიტებისა და სიკეთის ძიებისა და სიყვარულისკენ. სიბრძნით გამსჭვალული ადამიანი ხილულიდან უხილავისკენ გადადის.

ჩვენს ეპოქას წარსულ საუკუნეებზე მეტად სჭირდება ისეთი სიბრძნე, რომელიც ადამიანის ნებისმიერ ახალ აღმოჩენას უფრო ჰუმანურს გახდის. მომავალი სამყაროს ბედს საფრთხე ემუქრება, თუ უფრო ბრძენი ადამიანები არ გამოჩნდნენ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ბევრ ერს, ეკონომიკურად ღარიბს, მაგრამ სიბრძნით დაჯილდოვებულს, შეუძლია სხვებს დიდი დახმარება მოუტანოს.

სული ნმიდის ნიჭის მეშვეობით, ადამიანი რწმენით უდგება საღმრთო განზრახვის საიდუმლოს ჭვრეტასა და და შემეცნებას.

16. *(სინდისის ღირსება)*. ადამიანი სინდისის წიაღში კანონს აღმოაჩენს. მას ეს კანონი თვითონ არ მიუცია თავისთვის და იგი მას უნდა დაემორჩილოს. კანონის ხმა ადამიანს მოუწოდებს, მუდამ უყვარდეს და ქმნას სიკეთე, ხოლო ბოროტებას თავი არიდოს. როცა საჭიროა, ის გულში რეკს: გააკეთე ეს, მოერიდე იმას. ადამიანს ხომ გულში აქვს კანონი, ღმრთის მიერ დაწერილი. ამ კანონისადმი მორჩილება ადამიანის ღირსებას წარმოადგენს და იგი ამ კანონით განისჯება.¹⁵ სინდისი ადამიანის ყველაზე საიდუმლო ბირთვია: აქ ადამიანი მარტოა ღმერთთან, რომლის ხმაც მასში ჟღერს.¹⁶ სინდისით საოცრად ცხადდება ის კანონი, რომელიც ღმრთისა და მოყვასისადმი სიყვარულში სრულდება.¹⁷ სინდისისადმი ერთგულების საფუძველზე ქრისტიანები უკავშირდებიან სხვა ადამიანებს, რათა ეძიონ ჭეშმარიტება და სწორად გადაწყვიტონ ის მრავალი ზნეობრივი პრობლემა, რომლებიც ახასიათებს როგორც ერთეულთა ცხოვრებას, ასევე საზოგადოებრივ თანაარსებობას. რაც უფრო მეტად იმარჯვებს ჭეშმარიტი სინდისი, მით უფრო უარყოფენ ცალკეული პიროვნებებიცა და ჯგუფებიც ბრმა თავისუფალ არჩევანს და ცდილობენ, ზნეობის ობიექტური ნორმების შესაბამისად იმოქმედონ. მაგრამ ხშირად ისეც ხდება, რომ სინდისი ცდება, გადაულახავი უცოდინარობის გამო, თუმცა ის არც მაშინ კარგავს თავის ღირსებას. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ადამიანზე, რომელიც არ ცდილობს, ჭეშმარიტებასა და სიკეთეს მისდოს: ცოდვისადმი მიდრეკილება სინდისის თანდათან აბრმავებს.

17. *(თავისუფლების მნიშვნელობა)*. დაადგება თუ არა ადამიანი სიკეთის გზას - ამას მხოლოდ მისი თავისუფალი ნება განსაზღვრავს. ჩვენი თანამედროვენი დიდ პატივს სცემენ ამ თავისუფლებას და მას მხურვალედ იცავენ. ეს სწორიც არის. თუმცა ხშირად მას არასწორად იყენებენ, რადგან თავისუფლება ესმით როგორც ყველაფრის გაკეთების უფლება, თუნდაც ცუდის. რაც შეეხება ჭეშმარიტ თავისუფლებას, ის არის ადამიანში საღმრთო ხატობის განსაკუთრებული ნიშანი. ღმერთმა ინება, ადამიანი მისი საკუთარი განზრახვის ამარა დაეტოვებინა.

15 შდრ. რომ. 2, 14-16.

16 შდრ. PIUS XII, nuntius radioph. de conscientia christiana in iuvenibus recte efformanda, 23 martii 1952: AAS 44 (1952), p. 271.

17 შდრ. მათ. 22, 37-40; გალ. 5, 14.

ნა,¹⁸ რათა მას თავად ეძია ღმერთი, მას თავისუფლად გაჰყოლოდა და სრული და ნეტარი სრულყოფილებისთვის მიეღწია. მაშასადამე, ადამიანის ღირსება მისგან მოითხოვს, იმოქმედოს შეგნებული და თავისუფალი არჩევანის თანახმად, ესე იგი პიროვნულად: შინაგანი იმპულსისა და გადანყვეტილების საფუძველზე და არა ბრმა შინაგანი იმპულსით ან მხოლოდ გარეგანი აუცილებლობით. ასეთ ღირსებას ადამიანი მაშინ იძენს, როცა ვნებათა მონობისგან სრულიად თავისუფლდება, მიზნისკენ სწრაფვას სიკეთეს თავისუფალი არჩევანის საფუძველზე ახორციელებს და ცდილობას, ამისთვის საჭირო ხერხებს ეფექტურად და მოხერხებულად მიმართოს. ადამიანის თავისუფლებამ, ცოდვის გამო ნაკლულმა, მხოლოდ ღმრთის მადლით შეიძლება სრული ეფექტურობით განახორციელოს თავისი დანიშნულება ღმერთთან მიმართებაში. თითოეული მათგანი აგებს პასუხს თავისი ცხოვრებისთვის ღმრთის სამსჯავროს წინაშე, იმისდა მიხედვით, რაც ქმნა, კეთილი თუ ბოროტი.¹⁹

18. *(სიკვდილის საიდუმლო)*. ადამიანური ყოფნის გამოცანა განსაკუთრებულ სიმკვეთრეს სიკვდილის წინაშე იძენს. ტკივილსა და სხეულის რღვევაზე მეტად ადამიანს სამუდამო გაუჩინარების შიში ტანჯავს. გულის კარნახით, ადამიანი სწორად განსჯის, როცა საკუთარი თავის სრულ დაშლასა და საბოლოო გაქრობას შიშით უარყოფს. მარადიულობის ყლორტი, რომელსაც ადამიანი თავის თავში ატარებს, მხოლოდ მატერიაზე არ დაიყვანება. იგი სიკვდილის წინააღმდეგ აღიმართება. ტექნიკის მთელი ძალისხმევა, როგორი სასარგებლოც არ უნდა იყოს, უძლურია დააოკოს ადამიანის მღელვარება: სიცოცხლის ბიოლოგიურ გახანგრძლივებას არ შეუძლია დააკმაყოფილოს მომავალი ცხოვრების ის სურვილი, რომელიც მის გულში ურყევად არის დამკვიდრებული.

სიკვდილის წინაშე ყოველგვარი წარმოსახვა უძლურია. და მაინც, საღმრთო გამოცხადებით განსწავლული ეკლესია ამტკიცებს, რომ ადამიანი ღმრთის მიერ ნეტარი მიზნისთვის არის შექმნილი, რომელიც მინიერი სიდუხჭირის მიღმა ძევს. გარდა ამისა, ქრისტიანული რწმენა ასწავლის, რომ ხორციელი სიკვდილი (ადამიანი მისგან თავისუფალი იქნებოდა, რომ არ შეეცოდა)²⁰ დამარცხდება, როცა ყოვლადძლიერი და მოწყალე მაცხოვარი ადამიანს გამოხსნას მოუტანს, რომელიც ადამიანმა თავისი მიზეზით დაკარგა. ღმერთმა ადამიანს მოუწოდა და კვლავ მოუწოდებს, რათა იგი მთელი თავისი ბუნებით ურთიერთობდეს ღმერთთან წარუვალი საღმრთო ცხოვრების მუდმივ კავშირში. ეს გამარჯვება ქრისტემ მოიპოვა, როცა ადამიანი სიკვდილისგან თავისი სიკვდილით გაათავისუფლა და თავად აღდგა.²¹ ამიტომ რწმენა, ძლიერი არგუმენტებით განმტკიცებული, ყველა მოაზროვნე ადამიანს სთავაზობს პასუხს, რომელიც მომავალთან დაკავშირებულ მის შიშებს ეხება. ამავე დროს, იგი უკვე გარდაცვლილ საყვარელ ძმებთან ქრისტესმიერი (in Christo) ურთიერთობის საშუალებას იძლევა და იმედს გვანიჭებს, რომ მათ ღმერთთან ჭეშმარიტი ცხოვრება მოიპოვებს.

19. *(ათეიზმის ფორმები და ფესვები)*. ადამიანი ღმერთთან ურთიერთობისთვის არის მონოდებული. ამაში მდგომარეობს მისი ღირსების უზენაესი არსი. ღმერთთან საუბრისთვის ადამიანი მისი გაჩენის დღიდან არის მონვეული: ადამიანი იმიტომ არსებობს, რომ მას, სიყვარულით შექმნილს, მუდამ სიყვარული ინახავს. იგი ჭეშმარიტად მხოლოდ მაშინ ცხოვრობს, როცა ამ სიყვარულს თავისუფლად აღიარებს და საკუთარ თავს შემოქმედს მიანდობს. მაგრამ ბევრი ჩვენი თანამედროვე სულ ვერ ამჩნევს და აშკარად უგულვებლყოფს ღმერთთან ამ შინაგან და ცოცხალ კავშირს. ამიტომ ათეიზმი ჩვენი დროის ყველაზე მძიმე რეალობაა, რომელიც საფუძვლიან განხილვას მოითხოვს.

18 შდრ. ზირაქ. 15, 14.

19 შდრ. 2კორ. 5, 10.

20 შდრ. სიბრძნ. 1, 13; 2, 23-24; რომ. 5, 21; 6, 23; იაკ. 1, 15.

21 შდრ. 1კორ. 15, 56-57.

„ათეიზმის“ სახელით ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული მოვლენები იწოდება. ზოგი ღმერთს პირდაპირ უარყოფს, სხვები ფიქრობენ, რომ ადამიანს მის შესახებ არაფრის მტკიცება არ შეუძლია. ზოგიც ღმრთის შესახებ საკითხს ისეთი მეთოდით განიხილავს, რომ მას თითქოს აზრიც ეკარგება. ბევრი უმართებულოდ გადადის პოზიტიური მეცნიერებების საზღვრებს და ცდილობს, ყველაფერი ან მხოლოდ მეცნიერული განსჯით ახსნას, ან პირიქით, არავითარი აბსოლუტური ჭეშმარიტება არ დაუშვას. ზოგი ადამიანს ისე ალაზღეებს, რომ ღმრთის რწმენას ლამის ძალა ეკარგება; როგორც ჩანს, ისინი უფრო ადამიანის მნიშვნელობის მტკიცებისკენ იხრებიან, ვიდრე ღმრთის უარყოფისკენ. ზოგს ღმერთი ისე წარმოუდგენია, რომ ის სახე, რომელსაც ისინი უარყოფენ, სულ არ არის სახარების ღმერთი. ზოგიც საერთოდ არ ეხება ღმრთის შესახებ საკითხებს: როგორც ჩანს, მათ რელიგიური მოუსვენრობა არ აწუხებთ; არც ესმით, რელიგიაზე რატომ უნდა იფიქრონ. ხშირად ათეიზმი ჩნდება სამყაროში ბოროტების წინააღმდეგ ძლიერი პროტესტის შედეგად, ან იმიტომ, რომ ზოგიერთ ადამიანურ ღირებულებას უმართებულოდ ენიჭება აბსოლუტური შინაარსი, ისე, რომ ისინი უკვე ღმრთის ადგილს იკავებენ. დღევანდელ ცივილიზაციასაც (არა თავისთავად, არამედ მიწიერ საქმეებთან მეტისმეტი გადაჯაჭვულობის გამო) შეუძლია ღმერთთან მიმავალი გზა გაართულოს.

რა თქმა უნდა, არც ის არის უცოდველი, ვინც ნებაყოფლობით ცდილობს ღმერთი თავისი გულიდან ამოიღოს და თავისი სინდისის კარნახს არ მისდევს, თუმცა ამგვარი პასუხისმგებლობა გარკვეულწილად ხშირად თავად მორწმუნეებსაც უნდა დაეკისროს. ზოგადად ათეიზმი არ წარმოადგენს რაღაც თვითმყოფადს: მას მეტწილად სხვადასხვა მიზეზი აქვს, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება რელიგიათა (განსაკუთრებით ქრისტიანობის) წინააღმდეგ კრიტიკული რეაქციაც, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში იჩენს თავს. ამიტომ ათეიზმის წარმოშობაში მნიშვნელოვან როლს შეიძლება მორწმუნეებიც თამაშობდნენ: როცა ისინი უგულვებლყოფენ რწმენის სწავლებას, მცდარად გადმოსცემენ მოძღვრებას, ან როცა მათი რელიგიური, ზნეობრივი თუ სოციალური ცხოვრება მანკიერია, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ღმრთისა და რელიგიის ნამდვილ სახეს უფრო მეტად ფარავენ, ვიდრე მას ნათელს ჰფენენ.

20. *(სისტემური ათეიზმი)*. თანამედროვე ათეიზმი ხშირად სისტემატური ფორმით წარმოდგება. სხვა მიზეზებთან ერთად, მას იქამდე მიჰყავს ადამიანის სწრაფვა ავტონომიისკენ, რომ ღმერთზე ნებისმიერი დამოკიდებულების წარმოდგენა ძნელი ხდება. ვინც ასეთ ათეიზმს აღიარებს, მისი აზრით, თავისუფლება შემდეგში მდგომარეობს: ადამიანი თავად არის საკუთარი თავის მიზანი, საკუთარი ისტორიის შემოქმედი და მჭედელი, რაც, ამ თეორიის მიმდევართა თანახმად, შეუთავსებელია უფლის, როგორც ყველაფრის შემქმნელისა და მიზნის აღიარებასთან; სხვა თუ არაფერი, ასეთი მტკიცება სრულიად ზედმეტი ხდება.

დღევანდელი ათეიზმის სხვადასხვა ფორმას შორის გასათვალისწინებელია ის სახეობაც, რომელიც ადამიანისთვის თავისუფლების მოპოვებას უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური და სოციალური თავისუფლებიდან მოვლის. თავისი ბუნებით რელიგია ცდილობს, ასეთ თავისუფლებას დაუპირისპირდეს, რამდენადაც ის ადამიანს აღუძრავს მომავალი და მოჩვენებითი ცხოვრების იმედს და მას მინიერი ქალაქის მშენებლობისგან აკავებს. ამიტომ როცა ასეთი მოძღვრების მხარდამჭერნი სახელმწიფო ძალაუფლებას ეუფლებიან, ისინი იწყებენ მძლავრ შეტევას რელიგიაზე და ავრცელებენ ათეიზმს, განსაკუთრებით ახალგაზრდების განათლებაში, ზენოლის იმ საშუალებათა დახმარებით, რომლებიც საჯარო (publica) ხელისუფლებას გააჩნია.

21. *(ათეიზმისადმი ეკლესიის დამოკიდებულება)*. ეკლესიას, ერთგულს როგორც ღმრთისა, ასევე ადამიანებისა, არ შეუძლია ტკივილითა და სრული სიმტკიცით არ უარყოს (ისევე, როგორც ამას უწინ აკეთებდა) ის სახიფათო მოძღვრებები და ქმედე-

ბები, რომლებიც ეწინააღმდეგება საღ აზრს და საერთო ადამიანურ გამოცდილებას და ადამიანისთვის მის თანდაყოლილ ღირსებას უცხო ხდის.²²

ეკლესია ცდილობს, ჩასწვდეს ღმრთის უარყოფის მიზეზებს, ათეისტების აზროვნებაში დაფარულს. ეკლესია აცნობიერებს ათეიზმის მიერ წამოჭრილი კითხვების მნიშვნელობას. მას ყველა ადამიანის მიმართ სიყვარული ამოძრავებს და მიაჩნია, რომ ეს კითხვები სერიოზულ და ღრმა შესწავლას მოითხოვს.

ეკლესია დარწმუნებულია, რომ ღმრთის აღიარება სრულიად არ უპირისპირდება ადამიანის ღირსებას, რადგან ეს ღირსება თავად ღმერთშია დაფუძნებული და იგი მასში სრულდება. ადამიანი დამკვიდრებულია საზოგადოებაში მისი შემოქმედი ღმრთის მიერ, როგორც მოაზროვნე და თავისუფალი არსება. და მაინც, ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, როგორც ძე არის მონოდებული ღმერთთან ურთიერთობისა და მისი ბედნიერების გაზიარებისთვის. ამასთანავე ეკლესია ასწავლის, რომ ესქატოლოგიური იმედი კი არ აკნინებს მიწიერ მოვალეობათა მნიშვნელობას, არამედ მათ შესრულებას ახალი მოტივებით განამტკიცებს. და პირიქით: საღმრთო საძირკველისა და საუკუნო ცხოვრების იმედის გარეშე ადამიანის ღირსება უმძიმეს დარტყმას განიცდის, რაც დღეს ხშირად სახეზეა. ამოუხსნელი რჩება სიცოცხლისა და სიკვდილის, შეცდომისა და ტკივილის გამოცანა. ამიტომ ადამიანებს ხშირად უიმედობა ეუფლება.

ყოველი ადამიანი თავისივე თავისთვის რჩება ამოუცნობ, ბუნდოვნად აღქმულ კითხვად. ზოგიერთ მომენტში, განსაკუთრებით როცა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რამ ხდება, არავის შეუძლია თავი აარიდოს აღნიშნულ კითხვას. მას სრულ და სავსებით მტკიცე პასუხს მხოლოდ ღმერთი სცემს, რომელიც ადამიანს მოუწოდებს უფრო ღრმა ფიქრისა და თავმდაბალი ძიებისკენ.

რაც შეეხება ათეიზმის წამალს, მას უნდა ველოდეთ როგორც სათანადოდ გამოცემული მოძღვრებისგან, ასევე ეკლესიისა და მისი წევრების უბინო ცხოვრებისგან. ეკლესიის ამოცანაა, წარმოაჩინოს მამა ღმერთისა და მისი განხორციელებული ძის აქმყოფობა და ერთგვარი ხილულობა. სული წმიდის წინამძღოლობით, ეკლესია განუწყვეტლივ განახლდება და განიწმინდება.²³ ეს, უპირველეს ყოვლისა, მიიღწევა რწმენის ცოცხალი და მნიფე მონუმობით, ანუ ისეთით, რომელიც მზად არის, ნათლად განჭვრიტოს და გადალახოს სირთულეები. მრავალი მარტივი წარმოდგენა და წარმოდგენს ამ რწმენის ნათელ მონუმობას. რწმენამ თავისი ნაყოფიერება უნდა გამოავლინოს, მორწმუნეთა ცხოვრება — მათ შორის მიწიერიც (*profanum*) — მთლიანად გამსჭვალოს, აღუძრას მორწმუნეებს სამართლისა და სიყვარულისკენ სწრაფვა, განსაკუთრებით ლატაკთა სასარგებლოდ. საბოლოოდ, ღმრთის აქმყოფობის გამოვლენას ყველაზე უფრო ხელს უწყობს ერთგულთა ძმური სიყვარული, რომლებიც ერთსულოვნად თანამშრომლობენ სახარების სარწმუნოებისთვის და თავად წარმოდგენენ ერთიანობის ნიშანს.

ეკლესია მთლიანად უარყოფს ათეიზმს და მაინც გულწრფელად აღიარებს, რომ ყველა ადამიანმა, მორწმუნემაც და ურწმუნომაც, ხელი უნდა შეუწყოს ამ სამყაროს სწორ მშენებლობას, რომელშიც ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ. ამის გაკეთება შეუძლებელია გულწრფელი და გონივრული დიალოგის გარეშე. ამიტომ ეკლესია უკმაყოფილია მორწმუნეთა და ურწმუნოთა შორის არსებული დისკრიმინაციით, იმ სახელმწიფო მეთაურების მიერ გატარებულით, რომლებიც პიროვნების ძირითად უფლებებს არ სცნობენ. მორწმუნეებისთვის ეკლესია მოითხოვს ჭეშმარიტ თავისუფლებას, რათა მათ ამქვეყნად შეძლონ ღმრთის ტაძრის აღმართვა, ხოლო ათეისტებს კეთილად მოუწოდებს, ღია გულით განიხილონ ქრისტეს სახარება.

22 შდრ. PIUS XI; encycl. *Divini Redemptoris*, 19 martii 1937: AAS 29 (1937), pp. 65-106. – PIUS XII, encycl. *Ad Apostolorum Principis*, 29 iuni 1958: AAS 50 (1958), pp. 601-614. – IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*, 15 maii 1961: AAS 53 (1961), pp. 451-453. – PAULUS VI, encycl. *Ecclesiam suam*, 6 augusti 1954. AAS 56 (1964), pp. 651-653.

23 შდრ. CONC. VAT. II; Const. dogm. *de Ecclesia*, n. 8.

ეკლესიამ შესანიშნავად იცის, რომ მისი უწყება (nuntium) ეთანხმება ადამიანის გულის ყველაზე საიდუმლო ზრახვებს, როცა იგი ადამიანის ღირსებას იცავს და იმედს აღუდგენს მათ, ვისაც თავისი მაღალი დანიშნულებისა აღარ სწამს. ეკლესიის უწყება არა თუ აკნინებს ადამიანს, არამედ მის წინსვლისთვის ნათელს, სიცოცხლესა და თავისუფლებას თესავს. ადამიანის გულის დაკმაყოფილება მის გარდა არაფერს ძალუძს: „შენ ჩვენ შენთვის შეგვექმენი“, უფალო, „და მოუსვენარია ჩვენი გული, სანამ არ განისვენებს შენში.“²⁴

22. (*ქრისტე, ახალი ადამიანი*). მართლაც, ადამიანის საიდუმლო არა მარტო განხორციელებული სიტყვის საიდუმლოში ცხადდება. ადამი, პირველი ადამიანი, იყო სახე მომავალის,²⁵ რომელიც არის უფალი ქრისტე. ქრისტე, უახლესი ადამი, მამისა და მისი სიყვარულის საიდუმლოს გამოცხადებით მთლიანად წარმოუდგენს ადამიანს თვით ადამიანს და მასვე უჩვენებს მის უზენაეს დანიშნულებას. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ზემოთ ხსენებული ჭეშმარიტებანი მასში თავის წყაროს ჰპოვებს და მწვერვალს აღწევს.

„რომელი-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისა“ (კოლ. 1, 15),²⁶ იგი თავად არის სრულყოფილი ადამიანი. მან აღუდგინა ადამის შვილებს საღმრთო მსგავსება, პირველი ცოდვის შემდეგ დამახინჯებული. ადამიანური ბუნება, რომელიც ქრისტემ მიიღო, ამით არ დარღვეულა:²⁷ პირიქით, სწორედ ამის გამო იგი ჩვენში უზენაეს ღირსებამდე იქნა ამაღლებული. თავისი განხორციელებით ძე ღმრთისა გარკვეულწილად ყოველ ადამიანს შეუერთდა. მან საქმე ადამიანური ხელებით ქმნა, ადამიანური გონებით იფიქრა, ადამიანური ნებით იმოქმედა,²⁸ ადამიანური გულით შეიყვარა. ღმრთისმშობელი მარიამისგან შობილი, იგი მართლაც შეიქმნა ერთერთ ჩვენგანად, ყველაფერში ჩვენს მსგავსად, ცოდვის გარდა.²⁹

უმანკო კრავმა თავისი სისხლი ნებით გაიღო და ჩვენთვის სიცოცხლე მოიპოვა. მასში ღმერთმა შემოგვირიგა და ერთმანეთს შეგვარიგა,³⁰ დაგვიხსნა ეშმაკისა და ცოდვის მონობისაგან, რათა თოთოეულ ჩვენგანს შეეძლოს, მოციქულთან ერთად თქვას: ძე ღმრთისამ „შემიყვარა მე და მისცა თავი თვისი ჩემთვის“ (გალ. 2, 20). ჩვენთვის ვნებულმა, მან არა მარტო მაგალითი მოგვცა, რომ მის კვალს გავყოლოდით,³¹ არამედ გზაც აღგვიდგინა: მას თუ დავადექით, ცხოვრება და სიკვდილი ნმიდა-იყოფა და ახალ შინაარსს შეიძენს.

ქრისტიანმა ადამიანმა, სახექმნილმა ძის ხატად, რომელიც არის პირმშო მრავალთა შორის ძმათა,³² მიიღო „პირველი ნაყოფი სულისა“ (რომ. 8, 23). ეს მას შესაძლებლობას აძლევს აღასრულოს სიყვარულის ახალი კანონი.³³ ამ სულის მიერ, „რომელ-იგი არს წინდი მკვდრობისა“ (ეფეს. 1, 14), ადამიანი შინაგანად მთლიანად აღდგება, ვიდრე გამოსყიდვამდე სხეულისა (შდრ. რომ. 8, 23): „უკუეთუ სული იგი

24 S. AUGUSTINUS, *Confess.* I, 1: PL 32, 661.

25 შდრ. რომ. 5, 14. – შდრ. TERTULLIANUS, *De carnis resurr.* 6: “რა სახეც არ უნდა მიეღო მინას (limus), იგულისხმებოდა ქრისტე – მომავალი ადამიანი”: PL 2, 802 (848); CSEL, 47, p. 33, l. 12-13.

26 შდრ. 2 კორ. 4, 4.

27 შდრ. CONC. CONST. II, can. 7: “არც ღმერთი-სიტყვა გარდაისახა ხორციელ ბუნებად, არც ხორცი გარდაიქმნა სიტყვის ბუნებად”: DENZ. 219 (428). – შდრ. აგრეთვე CONC. CONST. III: “არც მისი უწმიდესი და უბიწო, მშვინივიერად ქცეული (animata) ხორცი არ დარღვეულა განღმრთობის შედეგად, არამედ დარჩა ჩვეული მდგომარეობისა და წესის თანახმად”: DENZ. 291 (556). – შდრ. CONC. CHALCEDON.: “ორ ბუნებაში შეურევნელად, უცვლელად, განუყოფლად შესაცნობი”: DENZ. 148 (302).

28 შდრ. CONC. CONST. III: “ასევე მისი ადამიანური ბუნება არ გამქრალა განღმრთობის შედეგად”: DENZ. 291 (556).

29 შდრ. ებრ. 4, 15.

30 შდრ. 2 კორ. 5, 18-19; კოლ. 1, 18.

31 შდრ. 1 პეტრ. 2, 21; მათ. 16, 24; ლუკ. 14, 27.

32 შდრ. რომ. 8, 29; კოლ. 1, 18.

33 შდრ. რომ. 8, 1-11.

აღმადგინებელისა იესოასი მკუდრეთით მკვდარ არს თქუენ შორის, რომელმან-იგი აღადგინა ქრისტე მკუდრეთით, განაცხოველნეს მოკუდავნიცა ეგე ჳორცნი თქუენ-ნი დამკვდრებულისა მის მიერ თქუენ შორის სულისა მისისა“ (რომ. 8, 11).³⁴ უდაოდ, ქრისტიანისთვის აუცილებლობა და მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ მრავალი გაჭირვების ფასად ბოროტებას შეებრძოლოს და სიკვდილიც დაითმონოს. და მაინც, აღდგომის საიდუმლოებას ზიარებული (consociatus), თანა-ხატად ქრისტეს სიკვდილისა, იმედით განმტკიცებული, იგი აღდგომისკენ მიდის.³⁵

ეს ეხება არა მარტო ქრისტეს ერთგულებს, არამედ ყველა კეთილი ნების ადამიანს, რომელთაგულში უხილავად მაღლი მოქმედებს.³⁶ ქრისტე ყველასთვის მოკვდა³⁷ და ადამიანის უმაღლესი მოწოდება ნამდვილად არის ერთი ანუ ღმერთაებრივი. ამიტომ უნდა გვწამდეს, რომ სული წმიდა ყველას აძლევს საშუალებას, ეზიარონ აღდგომის საიდუმლოს, იმ გზით, რომელიც ღმერთმა იცის.

ეს არის და ასეთი დიდია ადამიანის საიდუმლო, რომელიც ქრისტიანული გამოცხადების საშუალებით მორწმუნეებს ასხივოსნებს. მაშასადამე, ქრისტეს მიერ და ქრისტეში ნათელი ეფინება ტკივილისა და სიკვდილის გამოცანას, რომელიც მისი სახარების გარეშე გვთრგუნავს. ქრისტე აღდგა: სიკვდილით სიკვდილის დამთრგუნველმა, მან უხვად მოგვანიჭა ცხოვრება,³⁸ რათა ძეებმა ძეში, შევძახოთ სულში: აბბა, მამაო!³⁹

თავი II ადამიანთა ერთობა

23. *(კრების მიზანი)*. დღევანდელი სამყაროს ერთერთი ძირითადი ასპექტი ადამიანთა შორის ურთიერთკავშირების ზრდა არის, რის განვითარებასაც დიდად ხელს უწყობს დღევანდელი ტექნიკური პროგრესი. და მაინც, ადამიანთა ძმური დიალოგი ხორციელდება არა ამ პროგრესის მეშვეობით, არამედ იგი, უფრო ღრმად, სრულდება პიროვნებათა ერთობაში, რომელიც მთელი მათი ღირსების მიმართ ურთიერთპატივისცემას მოითხოვს. პიროვნებათა შორის ამ ერთობის განვითარებას ძალიან ეხმარება ქრისტიანული გამოცხადება: მას სოციალური ცხოვრების იმ კანონთა გაგებამდეც მივყავართ, რომლებიც შემოქმედმა ადამიანთა სულიერ და მორალურ ბუნებაში ჩანერა.

ეკლესიის მოძღვრობის ახალ დოკუმენტებში ფართოდ იქნა განხილული ადამიანური საზოგადოების შესახებ ქრისტიანული მოძღვრება.⁴⁰ ამიტომ კრება მხოლოდ ზოგიერთ ძირითად ქვეშეშეხებას მოგვაგონებს და მათ გამოცხადების შუქზე გადმოსცემს. შემდეგ ის ყურადღებას გაამახვილებს ზოგიერთ შედეგზე, რომლებიც დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

24. *(ღმრთის განზრახვის თანახმად, ადამიანის მოწოდება ერთობას გულისხმობს)*. ღმერთმა, რომელიც მამობრივად ზრუნავს ყველაფერზე, ინება, რომ ადამიანებმა ერთი ოჯახი შექმნანჯდა ერთმანეთს ძმური სულით მოეპყრან. ყველანი ხომ ღმრთის ხატად არიან შექმნილნი, რომელმაც „შექმნა ერთისაგან სისხლისა ყოველნი ნათესავნი კაცთანი დამკვდრებად ყოველსავე ზედა პირსა ქუეყანისასა“ (საქმე 17, 26). ყველანი მოწოდებულნი არიან ერთი და იმავე მიზნისკენ, რომელიც თავად ღმერთია.

34 შდრ. 2კორ. 4, 14.

35 შდრ. ფილ. 3, 10; რომ. 8, 17.

36 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de ecclesia, n. 16.

37 შდრ. რომ. 8, 32.

38 შდრ. Liturgia Pascalis Byzantina.

39 შდრ. რომ. 8, 15 და გალ. 4, 6; შდრ. აგრეთვე იოან. 1, 12 და 1იოან. 3, 1-2.

40 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*, 15 maii 1961 AAS 53 (1961), pp. 401-464; encycl. *Pacem in terris*, 11 aprilis 1963: AAS 55 (1963), pp. 257-304. – PAULUS VI, encycl. *Ecclesiam suam*, 6 augusti 1964: AAS 56 (1964), pp. 609-659.

ამიტომ ღმრთისა და მოყვასის სიყვარული არის პირველი და უდიდესი მცნება. წმიდა წერილი გვასწავლის, რომ ღმრთის სიყვარული მოყვასისადმის სიყვარულსგან განუყოფელია: „...და სხუად თუ რაამე მცნებაა არს, ამითვე სიტყვთა აღესრულების, ვითარმედ: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი... აღმასრულებელი შჯულისაა სიყუარული არს“ (რომ. 13, 9-10; შდრ. 1 იოან. 4, 20). ცხადია, რომ ამის დიდი მნიშვნელობა ადამიანებისთვის დასტურდება იმით, რომ ისინი სულ უფრო მეტად ხდებიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, ხოლო სამყარო სულ უფრო მეტად ერთიანდება.

მეტიც: როცა უფალი იესო მამას ევედრება: „რაათა ყოველნი ერთ იყვენენ..., ვითარცა ჩუენ ერთ ვართ“ (იოან. 17, 21-22), იგი ადამიანური გონებისთვის მიუწვდომელ პორიზონტს ხსნის და მიანიშნებს ერთგვარ მსგავსებაზე, რომელიც არსებობს საღმრთო პირთა ერთობასა და ღმრთის შვილთა ჭეშმარიტებასა და სიყვარულში ერთობას შორის. ეს მსგავსება ცხადყოფს, რომ ადამიანს (იგი დედამიწაზე ერთადერთი არსებაა, რომლის შექმნა ღმერთმა მისთვისვე – ადამიანისთვის ინება) თავისი თავის სრულად პოვნა მხოლოდ საკუთარი თავის გულწრფელი გაცემის გზით შეუძლია (*per sincerum sui ipsius donum*).⁴¹

25. (*პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება*). ადამიანის სოციალური ხასიათი ავლენს იმ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც პიროვნების წინსვლასა და თავად საზოგადოების ზრდას შორის არსებობს. პიროვნებას თავისი ბუნებით აუცილებლად სჭირდება საზოგადოებრივი ცხოვრება. ამიტომ პიროვნება არის და უნდა იყოს ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუციის საწყისი, სუბიექტი და მიზანი.⁴² ხოლო რადგანაც საზოგადოებრივი ცხოვრება ადამიანისთვის რაღაც გარეგანი არ არის, ამიტომ სხვებთან ურთიერთობით, ზიარი მოვალეობებით, ძმებთან საუბრით ადამიანი ყველა თავის ნიჭს ზრდის. ასე მას შეუძლია თავის დანიშნულებას უპასუხოს.

საზოგადოებრივი კავშირებიდან, რომლებიც აუცილებელია ადამიანის განვითარებისთვის, ზოგიერთი უფრო უშუალოდ არის დაკავშირებული მის შინაგან ბუნებასთან (ასეთია ოჯახი და პოლიტიკური ერთობა (*communitas*), ზოგი კი უფრო მეტად მისი თავისუფალი ნებიდან მომდინარეობს. სხვადასხვა მიზეზთა გამო ჩვენს დროში იზრდება ურთიერთკავშირები და ურთიერთდამოკიდებულებები. ამიტომ წარმოიქმნება სხვადასხვა ასოციაციები და ორგანიზაციები, როგორც სახალხო, ისე კერძო ხასიათის. თავად ეს ფაქტი, რომელსაც „სოციალიზაცია“ ეწოდება, რა თქმა უნდა, ხიფათს მოკლებული არ არის, მაგრამ მას მაინც დიდი სარგებლობა მოაქვს პიროვნების თვისებების განმტკიცებისა და გაფართოებისთვის, აგრეთვე მისი უფლებების დაცვისთვის.⁴³

თავისი მონოდეების - მათ შორის რელიგიურის – შესასრულებლად პიროვნება ბევრს იღებს ამ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. და მაინც ვერ უარვყოფთ, რომ იმ სოციალური პირობებიდან გამომდინარე, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ და რომელშიც ბავშვობიდან არიან ჩაფლულნი, ისინი ხშირად განუდგებიან სიკეთის ქმნას და ბოროტებისკენ მიიქცევიან. ცხადია, რომ არეულობები, რომლებსაც ასე ხშირად აქვს ადგილი სოციალურ ნყობაში, ნაწილობრივ წარმოიქმნება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობის შედეგად. მაგრამ უფრო მეტად ისინი წარმოიქმნება ადამიანთა ეგოიზმისა და ქედმაღლობიდან, რომლებიც სოციალურ გარემოსაც ამახინჯებს. იქ, სადაც ვითარება ცოდვის შედეგებით არის დაღდასმული, ადამიანს, რომელსაც დაბადებიდან ბოროტებისკენ აქვს მიდრეკილება, ცოდვისკენ ახალი იმპულსები უბიძგებს. მათ ის მხოლოდ მტკიცე ძალისხმევის შედეგად მოერევა, მაღლის შენეებით.

41 შდრ. ლუკ. 17, 33.

42 შდრ. S. THOMAS, *1 Ethic.*, lect. 1.

43 შდრ. IOANNES XXIII, *encycl. Mater et Magistra*: AAS 53 (1961), p. 418. – შდრ. აგრეთვე PIUS XI, *encycl. Quadragesimo anno*, 15 maii 1931: AAS 23 (1931), pp. 222 ss.

26. *(საერთო კეთილდღეობისთვის ხელშეწყობა)*. სულ უფრო მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულების შედეგად, რომელიც მთელს მსოფლიოში ვრცელდება, საერთო კეთილდღეობა (ვგულისხმობთ საზოგადოებრივი ცხოვრების იმ პირობათა ერთობლიობას, რომლებიც საშუალებას აძლევს როგორც ჯგუფებს, ასევე ცალკეულ წევრებს წარმატებით და სწრაფად მიაღწიონ თავის სრულყოფას) დღეს სულ უფრო უნივერსალური ხდება და, ამის შედეგად, მოიცავს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც მთელს კაცობრიობას ეხება. ნებისმიერი ჯგუფი ანგარიშს უნდა უწევდეს სხვა ჯგუფების მოთხოვნილებებსა და კანონიერ პრეტენზიებს და, მითუმეტეს, ადამიანთა მთელი ოჯახის საერთო სიკეთეს.⁴⁴

ამავე დროს, იზრდება ადამიანის პიროვნული ღირსების განსაკუთრებულობის შეგნება. ადამიანი სხვა ყოველივეს აღემატება და მისი უფლებები და მოვალეობები არის საყოველთაო და შეუღლებავი. ამიტომ ადამიანისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ყველაფერი, რაც მას იმისთვის სჭირდება, რომ ადამიანურად იცხოვროს. ასეთებია: საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, აგრეთვე უფლებები, რომლებიც გულისხმობს ცხოვრების სტატუსის თავისუფალ არჩევანს, განათლებას, მუშაობას, კეთილ სახელს, პატივისცემას, საჭირო ინფორმაციის მოპოვებას, საკუთარი სინდისის თანახმად მოქმედებას, პირადი ცხოვრების დაცვასა და სამართლიან თავისუფლებას, მათ შორის რელიგიურ საქმეებში.

სოციალური წესრიგი და მისი პროგრესი მუდამ პიროვნებათა სასიკეთოდ უნდა იყოს მიმართული, რადგან საგანთა წესი პიროვნებათა წესს უნდა დაექვემდებაროს და არა პირიქით. თავად უფალმა გვაუწყა ეს, როცა თქვა: „შაბათი კაცისთვის დაებადა, და არა კაცი შაბათისთვის“.⁴⁵ ეს წესრიგი განუწყვეტლივ უნდა ვითარდებოდეს, იგი ჭეშმარიტებას უნდა ემყარებოდეს და სამართლის შესაბამისად აიგოს. მას სიცოცხლე სიყვარულმა უნდა მიანიჭოს, ხოლო თავისუფლებაში მან უფრო და უფრო მეტად ჰუმანური ნონანსორობა უნდა მოიპოვოს.⁴⁶ მაგრამ ამის მისაღწევად გონების განახლება უნდა მოხდეს და საზოგადოების ფართო გარდაქმნები განხორციელდეს.

ღმრთის სული, რომელიც განსაცვიფრებელი წინაგანგებით დროთა დინებას წარმართავს და დედამიწის პირს განაახლებს, ამ ევოლუციის მოწმეა. ხოლო სახარებისეული საფუარი აღძრავდა და აღძრავს ადამიანის გულში ღირსების დაუოკებელ მოთხოვნილებას.

27. *(პიროვნების პატივისცემა)*. კრება გადადის პრაქტიკულ და განსაკუთრებით აქტუალურ დასკვნებზე და ყურადღებას ამახვილებს ადამიანის პატივისცემაზე: თითოეულმა, ყოველგვარი გამოწვევის გარეშე, მოყვასი უნდა განიხილოს როგორც „სხვა თავისი თავი“ (*alterum seipsum*), იფიქროს, უპირველეს ყოვლისა, მის ცხოვრებასა და იმ საშუალებებზე, რომელიც ცხოვრების ღირსეულად გატარებისთვის არის საჭირო,⁴⁷ და არ მიბაძოს იმ მდიდარს, რომელმაც არავითარი მზრუნველობა არ გამოიჩინა გლაკახაკი ლაზარეს მიმართ.⁴⁸

დღეს განსაკუთრებით გვმართებს, ნებისმიერი ადამიანისთვის მოყვასნი ვიყოთ და, თუ ჩვენი გზები გადაიკვეთა, მას ქმედითად ვემსახუროთ, იქნება ის ყველასგან მიტოვებული მოხუცი თუ უსამართლოდ დამცირებული უცხოელი მუშა, დევნილი ადამიანი თუ არაკანონიერი კავშირის შედეგად გაჩენილი ბავშვი, დაუმსახურებლად ტანჯული იმ ცოდვისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია, ან ის მშვიერი, რომელიც ჩვენს სინდისს მიმართავს, როცა უფლის სიტყვებს მოგვაგონებს: „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მათ. 25, 40).

44 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*: AAS 53 (1961), p. 417.

45 მარკ. 2, 27.

46 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*: AAS 55 (1963), p. 226.

47 შდრ. იაკ. 2, 15-16.

48 შდრ. ლუკ. 16, 19-31.

გარდა ამისა, ყველაფერი, რაც თავად ცხოვრებას უპირისპირდება (ნებისმიერი სახის მკვლელობა, გენოციდი, აბორტი, ევთანაზია და ნებაყოფლობითი თვითმკვლელობაც კი), ყველაფერი, რაც პიროვნების მთლიანობის მიმართ ძალადობას წარმოადგენს (დასახიჩრება, სხეულისა თუ გონებისთვის მიყენებული ტანჯვა, სულთა დაოკების მცდელობა), ყველაფერი, რაც ადამიანურ ღირსებას ლახავს (არაადამიანური ცხოვრების პირობები, განუკითხავი დაპატიმრებები, დეპორტაციები, მონობა, პროსტიტუცია, ქალებითა და ახალგაზრდებით ვაჭრობა, აგრეთვე მუშაობის სამარცხვინო პირობები, როცა მუშებს მხოლოდ მოგების საშუალებად აღიქვამენ, და არა თავისუფალ და პასუხისმგებელ პირებად) – ყოველივე ეს და სხვა ამგვარი რამ ნამდვილად სამარცხვინოა. ესწინეულს ხდის ადამიანთა ცივილიზაციას, შეურაცხყოფს უსამართლობის ჩამდენს უფრო მეტად, ვიდრე მას, ვისაც მისი დათმენა უწევს, და სრულიად ეწინააღმდეგება შემოქმედის ღირსებას (honoris).

28. *(მონინალმდეგეთა მიმართ პატივისცემა და სიყვარული)*. პატივისცემა და სიყვარული მათზეც უნდა გავრცელდეს, ვინც საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ რელიგიურ საქმეებში ჩვენგან განსხვავებულად ფიქრობს ან იქცევა. რაც უფრო ღრმად, ჰუმანურად და სიყვარულით ჩავწვდებით მათი აზროვნების წესს, მით უფრო ადვილად შევძლებთ მათთან დიალოგს.

რა თქმა უნდა, ამ სიყვარულმა და კეთილგანწყობამ გულგრილნი არ უნდა გაგვხადოს ჭეშმარიტებისა და სიკეთის მიმართ. მეტიც: თავად სიკეთე უბიძგებს ქრისტეს მონაფეებს, ყველა ადამიანს გამოუცხადონ გამოხსნის ჭეშმარიტება. მაგრამ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ორი რამ: შეცდომა, რომელიც ყოველთვის უნდა იქნეს უარყოფილი, და ის, ვინც ცდება, მაგრამ მუდამ ინარჩუნებს პიროვნების ღირსებას, მაშინაც, როცა მცდარ და არასაკმარისად სწორ რელიგიურ შეხედულებებს ის შეცდომაში შეჰყავთ.⁴⁹ მხოლოდ ღმერთი არის მსაჯული და გულთამხილველი, ამიტომ გვიკრძალავს, ვინმეს შინაგანი შეცდომა განვსაჯოთ.⁵⁰

ქრისტეს მოძღვრება შეურაცხყოფის მიტევებასაც მოითხოვს⁵¹ და სიყვარულის მოთხოვნას ყველა მტერზე ავრცელებს. ეს არის ახალი აღთქმის მცნება: „გესმა, რამეთუ თქუმილ არს; შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყვ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევიდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევიდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ“ (მათ. 5, 43-44).

29. *(ყველა ადამიანის თვისობრივი თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა)*. ყველა ადამიანს, გონისეული სულით (anima rationali) აღჭურვილსა და ღმრთის ხატად შექმნილს, ერთი და იგივე ბუნება და ერთი და იგივე წარმომავლობა აქვს. ქრისტეს მიერ გამოსყიდულთ, მათ ერთი და იგივე მონოდება და საღმრთო დანიშნულება აქვთ. ამიტომ განსაკუთრებით ღრმა შესწავლას მოითხოვს საყოველთაო ძირეული თანასწორობა.

რა თქმა უნდა, ფიზიკურ ძალთა სხვადასხვაობისა და ინტელექტუალური და ზნეობრივი მრავალფეროვნების გამო ყველა ადამიანი თანასწორი არ არის. მაგრამ ყოველგვარი დისკრიმინაცია, რომელიც ეხება პიროვნების ძირეულ უფლებებს, სოციალურსა თუ კულტურულს, სქესის, რასის, ფერის, სოციალური მდგომარეობის, ენისა თუ რელიგიის მიხედვით, უნდა გადალახულ იქნას და მოიხსნას, როგორც ღმრთის განზრახვის სანინალმდეგო. მართლაც სამწუხაროა, რომ პიროვნების ეს ძირეული უფლებები ყველგან სათანადოდ არ არის დაცული: მაგალითად, იქ, სადაც ქალს უარს ეუბნებიან უფლებაზე, თავისუფლად აირჩიოს საქმრო და გარკვეული ცხოვრების სტატუსი, ან მიიღოს ის განათლება და ეზიაროს იმ კულტურას, რომელიც მამაკაცისთვის შესაფერისად არის მიჩნეული.

49 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*: AAS 55 (1963), pp. 299 et 300.

50 შდრ. ლუკ. 6, 37-38; მათ. 7, 1-2; რომ. 2, 1-11; 14, 10-12.

51 შდრ. მათ. 5, 43-47.

და კიდევ: მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა შორის კანონიერი განსხვავებები არსებობს, პიროვნებათა ღირსების თანასწორობა მოითხოვს ცხოვრების უფრო ჰუმანურ და თანაბარ პირობებს. მართლაც, ადამიანთა ერთი ოჯახის წევრებს ანუ ხალხებს შორის მეტისმეტი ეკონომიკური და სოციალური უთანაბრობები აღშფოთებას იწვევს და უპირისპირდება სოციალურ სამართლიანობას, თანასწორობას, პიროვნების ღირსებას, აგრეთვე საზოგადოებრივ და საერთაშორისო მშვიდობას.

ადამიანური ორგანიზაციები, როგორც კერძო ასევე საჯარო, ცდილობენ, ემსახურონ ადამიანის ღირსებასა და მიზანს. ამავე დროს, ისინი აქტიურად ებრძვიან ნებისმიერ მონობას, როგორც სოციალურს, ასევე პოლიტიკურს, და ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში იცავენ ადამიანთა ძირეულ უფლებებს. მეტიც: ისინი თანდათანობით შესაბამისობაში უნდა მოვიდნენ სულიერ სინამდვილესთან, რომელიც ყველაფერზე უზენაესია, თუნდაც სასურველ მიზანთან მისვლას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდეს.

30. *(ინდივიდუალისტური ეთიკის გადაღების აუცილებლობა)*. პირობათა ღრმა და სწრაფი ცვლილება დაბეჯითებით მოითხოვს: გარემოებათა ცვლილებისადმი უყურადღებობის ან ინერტულობის გამო არავინ უნდა შეუწყოს ხელი წმინდა ინდივიდუალისტურ ეთიკას. სამართლიანობისა და სიყვარულის მოვალეობის უკეთ შესრულებას ის განაპირობებს, რომ თითოეული ადამიანი, საკუთარი შესაძლებლობებისა და სხვათა მოთხოვნილებების შესაბამისად, საერთო სიკეთეს უწყობს ხელს, წვლილი შეაქვს საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების განვითარების საქმეში, რომლებიც ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ემსახურება. არიან ისეთებიც, ვინც ფართო და კეთილშობილურ აზრებს ქადაგებს, მაგრამ თვითონ ისე ცხოვრობს, თითქოს სულ არ ანუხებს საზოგადოების მოთხოვნილებებისთვის ზრუნვა. მეტიც: ბევრ რეგიონში არაფრად აგდებენ კანონებსა და სოციალურ ნორმებს. ბევრს, სხვადასხვა ტყუილითა და ეშმაკობით, არ სცხვენია თავი აარიდოს კანონიერ გადასახადებს ან სხვა სახის ვალდებულებას, რომელიც საზოგადოების წინაშე აკისრია. არიან ისეთებიც, ვინც ყურადღებას არ აქცევს საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთ ნორმას, რომელთა დანიშნულებაა, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვა ან მოძრაობის წესების რეგულირება: არ ესმით, რომ ასეთი უზრუნველობით საფრთხეში აგდებენ როგორც საკუთარ, ასევე სხვების სიცოცხლეს.

ადამიანის დღევანდელ მოვალეობათა შორის ყველამ თავის წმიდა ვალად უნდა ცნოს საზოგადოებრივი ურთიერთობების პირველობის აღიარება და მათთვის ზრუნვა. რაც უფრო მეტად ერთიანდება სამყარო, მით უფრო ცხადი ხდება, რომ ადამიანთა მოვალეობები ცალკეულ ჯგუფთა საზღვრებს სცილდება და თანდათან მთელ სამყაროზე ვრცელდება. ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ ცალკეული ადამიანები და მათი ჯგუფები ზნეობრივ და სოციალურ ღირებულებებს საკუთარ თავში გაზრდიან და მათ საზოგადოებაში გაავრცელებენ, რათა საღმრთო მადლის აუცილებელი დახმარებით, გამოიჩინდნენ მართლაც ახალი ადამიანები და ახალი კაცობრიობის შემქმნელები.

31. *(პასუხისმგებლობა და მონაწილეობა)*. ყოველმა ადამიანმა უფრო წესიერად რომ შეასრულოს ის, რასაც მას სინდისი ავალებს როგორც საკუთარი თავის მიმართ, ასევე სხვადასხვა ჯგუფის მიმართ, რომელთა წევრსაც ის წარმოადგენს, ამისთვის საფუძვლიანად უნდა განხორციელდეს უფრო ფართო კულტურული განათლება, იმ უამრავ დამხმარე საშუალებათა გამოყენებით, რომელიც დღეს კაცობრიობას გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, ნებისმიერი სოციალური წარმომავლობის ახალგაზრდების განათლება ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ წარმოიჩინდნენ კაცები და ქალები, რომლებიც არა მარტო განათლებით გამოირჩევიან, არამედ სულითაც ძლიერნი არიან, რაც ჩვენს დროში განსაკუთრებით აუცილებელია.

მაგრამ ადამიანს გაუჭირდება პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავება, თუ ცხოვრების პირობები მას საშუალებას არ მისცემს, გააცნობიეროს საკუთარი

ღირსება და უპასუხოს თავის მოწოდებას: მიუძღვნას თავისი თავი ღმერთსა და სხვებს. ხშირად უკიდურესი გაჭირვება ასუსტებს ადამიანის თავისუფლებას. ის მაშინაც კარგავს ფასს, როცა ადამიანი მეტისმეტად იოლ ცხოვრებას ეწევა და თითქოს ოქროთი მოსილ მარტოობაში იკეტება. და პირიქით: თავისუფლება ძლიერდება, როცა ადამიანი ცნობს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაუვალ აუცილებლობებს, ასრულებს ადამიანთა ერთობის მრავალფეროვან მოთხოვნილებებს და კისრულობს ვალდებულებას, ემსახუროს ადამიანთა საზოგადოებას.

ამიტომ ყველა ადამიანში უნდა გამოიღვიძოს ნება, რომელიც საერთო საქმეებში მონაწილეობისკენ იქნება მიმართული. ქების ღირსია იმ ქვეყნების ქმედება, რომელთა მოქალაქეთა მაქსიმალურად დიდი ნაწილი საზოგადოებრივ საქმეებში ნამდვილად თავისუფლად მონაწილეობს. ამასთანავე გასათვალისწინებელია ცალკეული ხალხის რეალური ვითარება და საზოგადოებრივი ხელისუფლების სიმტკიცის აუცილებლობა. ყველა მოქალაქე უნდა ისწრაფოდეს, მონაწილეობა მიიღოს იმ გაერთიანებათა ცხოვრებაში, რომლებიც საზოგადოებრივ სხეულს ქმნის. ეს რომ განხორციელდეს, მოქალაქეებმა ამ გაერთიანებებში ის ღირებულებები უნდა ჰპოვონ, რომლებიც მათთვისაც მიმზიდველი იქნება და მათ სხვებისთვის სამსახურის განწევისთვისაც განაწყობს. სამართლიანად შეიძლება ვიფიქროთ, რომ კაცობრიობის მომავალი ბედი მათ ხელშია, ვინც შეძლებს, მომდევნო თაობებს სიცოცხლისა და იმედის აზრი გადასცეს.

32. *(განხორციელებული სიტყვა და ადამიანთა სოლიდარობა)*. ღმერთს იმისათვის არ შეუქმნია ადამიანები, რომ მათ ცალცალკე ეცხოვრათ, არამედ იმისთვის, რომ საზოგადოებრივი ერთობა შეექმნათ. მან ასევე „ინება, ... რომ ადამიანები წმიდა ეყო და გამოეხსნა არა ცალ-ცალკე, მათ შორის ყოველგვარი ურთიერთკავშირის გარეშე, არამედ ისინი ერთად შეეკრიბა, რომელიც მას [უფალს] ჭეშმარიტებაში ცნობდა და მას წმიდად ემსახურებოდა.“⁵² ამიტომ გამოსხნის საიდუმლოების დასაწყისშივე მან ადამიანები ამოიჩინა არა როგორც კერძო პირები, არამედ როგორც გარკვეული ერთობის (communitatis) წევრები. ამ რჩეულებს ღმერთმა თავისი განზრახვა გამოუცხადა და მათ „თავისი ერი“ (გამოსვლ. 3, 7-12) უწოდა, რომელთაც მან შემდგომ სინაზე აღთქმა დადო.⁵³

იესო ქრისტეს საქმე ამ საზოგადოებრივ ხასიათს (indoles communitaria) სრულყოფს და ასრულებს. განხორციელებულმა სიტყვამ თავად ინება, ადამიანთა თანამეგობრობის (consortionis) მონაწილე ყოფილიყო. იგი დაესწრო ქორწილს კანაში, შევიდა ზაქეს სახლში, ჭამა მეზვერეებსა (publicanis) და ცოდვილებთან ერთად. მან ადამიანებს გამოუცხადა მამის სიყვარული და მათი განსაკუთრებული მოწოდება. ამ დროს ის მიუთითებდა ყველაზე უფრო ჩვეულებრივ საზოგადოებრივ საქმეებზე, ხმარობდა ყოველდღიური ცხოვრების გამოთქმებსა და სახეებს. მან წმიდა-ყო ადამიანთა შორის არსებული კავშირები, უპირველეს ყოვლისა ოჯახური, რომლიდანაც წარმოიშვება საზოგადოებრივი ურთიერთობები, და ნებაყოფლობით დაემორჩილა თავისი სამშობლოს კანონებს. მან ინება, თავისი დროისა და კუთხის ხელოსნის ცხოვრებით ეცხოვრა.

თავის წინასწარმეტყველებაში მან ცხადად ამცნო ღმრთის შვილებს, რომ ისინი ერთმანეთს როგორც ძმები უნდა ექცეოდნენ. თავის ლოცვაში მან ითხოვა, რომ ყველა მოწაფე „ერთი“ იყოს. მეტიც: ყველას გამომსყიდველმა, მან ყველასთვის თავი განწირა. „უფროსი ამისსა სიყვარული არავის აქუს, რათა სული თუნი დადვას მეგობართა თვსათვს“ (იოან. 15, 13). მოციქულებს მან უბრძანა, ყველა ხალხებისთვის სახარება ეწინასწარმეტყველათ, რათა ადამიანთა მოდგმას ღმრთის ოჯახი შეექმნა, რომელშიც კანონის სისასვე სიყვარული იქნებოდა.

მრავალ ძმათა შორის პირმშომ, მან თავისი სიკვდილისა და აღდგომის შემდეგ სული წმიდის ნიჭით ახალი საძმო (fraternam communionem) მათ შორის შექმნა, ვინც

52 CONC: VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 9.

53 შდრ. გამოსვლ. 24, 1-8.

მას რწმენითა და სიყვარულით იღებს. იგი მის სხეულში შეიქმნა, რომელიც არის ეკლესია. მასში ყველა ასო ერთმანეთს უნდა ემსახუროს, იმ სხვადასხვა ნიჭის შესაბამისად, რომელიც მათ მიეცა.

ეს სოლიდარობა მუდამ უნდა გაიზარდოს დღემდე თავის დასასრულისა, როცა მადლით გამოხსნილი ადამიანები ღმერთს სრულყოფილად განადიდებენ, როგორც ღმრთისა და ძმისთვის – ქრისტესთვის – საყვარელი ოჯახი.

თავი III

ადამიანთა მოღვაწეობა სამყაროში

33. (*საკითხის დასმა*). ადამიანი ყოველთვის ცდილობდა, საკუთარი შრომითა და ნიჭით თავისი ცხოვრება უფრო ფართო ასპარეზზე გაეყვანა. დღეს მისი მეუფება თითქმის მთელ ბუნებაზე გავრცელდა და კვლავაც განუწყვეტელი ვრცელდება. ადამიანთა ოჯახი თანდათანობით თავს აცნობიერებს და აყალიბებს სამყაროში არსებულ ერთიან საზოგადოებად, რაც, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება ერთა შორის ურთიერთგაცვლის მრავალგვარი საშუალებების განვითარების საფუძველზე. ამის შედეგად მრავალ სიკეთეს, რომელსაც ადამიანი უნინ უზაენაესი ძალები-სგან ელოდა, დღეს იგი უკვე საკუთარი მონდომებით მოიპოვებს.

ამ დიდი ნამოწყების წინაშე, რომელმაც უკვე მოიცვა მთელი კაცობრიობა, ადამიანებს მრავალი შეკითხვა უჩნდებათ. რა აზრი და ღირებულება აქვს მათ საქმიანობას? როგორ უნდა მოხდეს მოპოვებულის გამოყენება? რა მიზანს ემსახურება ცალკეული ადამიანისა თუ საზოგადოებების მცდელობები? ეკლესია იცავს ღმრთის სიტყვის წინდს, რომლიდანაც ის რელიგიური და ზნეობრივი ხასიათის საფუძველებს იღებს. და თუმცა ეკლესიასაც ყოველთვის არ გააჩნია მზა პასუხი ცალკეულ შეკითხვებზე, მას მაინც სურს, რომ გამოცხადების ნათელი ყველას გამოცდილებას დაუკავშიროს, რათა განათდეს გზა, რომელსაც კაცობრიობა ახლახან დაადგა.

34. (*ადამიანთა მოღვაწეობის ღირებულება*). მორწმუნეთათვის ცხადია, რომ ადამიანთა მოღვაწეობა, ინდივიდუალურიც და კოლექტიურიც, ანუ ის უზარმაზარი ძალისხმევა, რომლითაც ადამიანები საუკუნეთა განმავლობაში თავისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ცდილობდნენ, თავისთავად განხილული, პასუხობს ღმრთის განზრახვას. ღმრთის ხატად შექმნილმა ადამიანმა ხომ მიიღო დავალება (*mandatum*), რომლის თანახმად მან უნდა დაიმორჩილოს დედამიწა მის ყველა არსთან ერთად, სამყაროს სიმართლითა და სინმიდით განაგებდეს,⁵⁴ ღმერთი ყოველივეს შემოქმედად ცნოს და მას შეუფარდოს (*ad Ipsum referret*) საკუთარი თავი და ყველაფრის ერთობლიობა, რათა ყველაფრის ადამიანისადმი მორჩილებისას დიდებული იყოს ღმრთის სახელი მთელს დედამიწაზე.⁵⁵

ეს ეხება ყოველდღიურ საქმეებსაც. კაცებსა და ქალებს, რომლებიც ცხოვრებისთვის აუცილებელ სახსრებს თავისთვის და ოჯახისთვის მოიპოვებენ და თავის მოღვაწეობას საზოგადოებისთვის სასარგებლოდ წარმართავენ, სამართლიანად შეიძლება მიაჩნდეთ, რომ ისინი თავისი მუშაობით შემოქმედის საქმეს განაგრძობენ, თავის ძმათა კეთილდღეობას ხელს უწყობენ და ისტორიაში საღმრთო განზრახვის განხორციელებას შეძლებისდაგვარად ემსახურებიან.⁵⁶

ამიტომ ქრისტიანებს არ ჰგონიათ, რომ საქმეები, რომლებსაც ადამიანები თავისი ნიჭითა და ღირსებით ახორციელებენ, ღმრთის ძალის საპირისპიროა. მათ არ მიაჩნიათ, რომ გონიერი ქმნილება (*creaturamque rationalem*) შემოქმედის ერთგვარი მეტოქეა. პირიქით: ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ კაცობრიობის გამარჯვებები არის ღმრთის დიდების (*magnitudinis*) ნიშანი და მისი გამოუთქმელი განზრახვის ნაყოფი. რაც უფრო იზრდება ადამიანთა ძლიერება, მით უფრო ფართოვდება

54 შდრ. დაბ. 1, 26-27; 9, 2-3; სიბრძნ. 9, 2-3.

55 შდრ. ფს. 8, 7 და 10.

56 შდრ. IOANNES XXIII, *encycl. Pacem in terris*: AAS 55 (1963), p. 297.

მათი მოვალეობების სფერო, როგორც ცალკეულ პირთა, ასევე საზოგადოებების. ეს ცხადყოფს, რომ ქრისტიანული უწყება (nuntio) ადამიანებს არ უბიძგებს, ზურგი შეაქციონ სამყაროს შენებას და არ აიძულებს, მოყვასთა კეთილდღეობა უგულებელყონ, არამედ პირიქით: ამ მოვალეობის შესრულებას კიდევ უფრო მტკიცედ ავალდებულებს.⁵⁷

35. (*ადამიანთა მოღვაწეობის მიმართულება*). ადამიანთა მოღვაწეობა, რამდენადაც ის ადამიანიდან მომდინარეობს, ადამიანზევეა მიმართული. ადამიანი მოქმედებისას არა მარტო საგნებსა და საზოგადოებას გარდაქმნის, არამედ საკუთარ თავსაც სრულყოფს. ის ბევრ რამეს სწავლობს, თავის შესაძლებლობებს ავითარებს, საკუთარი თავის გარეთ გადის და თავის თავზე მალა დგება. ასეთი ზრდა, სწორად გაგებული, უფრო ფასეულია, ვიდრე ის სიმდიდრეები, რომლებიც გარედან შეიძლება იქნას შეძენილი. ადამიანი უფრო იმით ფასობს, რაც არის, ვიდრე იმით, რაც აქვს.⁵⁸ ყველაფერი, რასაც ადამიანები აკეთებენ მეტი სამართლიანობის, უფრო ფართო ძმობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში უფრო ადამიანური წესრიგის მისაღწევად, უფრო ღირებულია, ვიდრე ტექნიკური პროგრესი. ამ ტიპის პროგრესებს ხომ ერთგვარად შეუძლია მასალა წარმოადგინოს ადამიანის განვითარებისთვის, მაგრამ თავისთავად მისი განხორციელება არ შეუძლიათ.

აქედან გამომდინარეობს ადამიანური მოღვაწეობის ნორმა: საღმრთო განზრახვისა და ნების თანახმად, ის უნდა შეესაბამებოდეს კაცობრიობის ჭეშმარიტ სიკეთეს. მან საშუალება უნდა მისცეს ადამიანს, როგორც ცალკეულს, ასევე საზოგადოების წევრს, თავისი მონოღება მთელი სისრულით განახორციელოს.

36. (*მინიერ საქმეთა სამართლიანი ავტონომია*). ბევრ ჩვენს თანამედროვეს, როგორც ჩანს, ეშინია, რომ უფრო მჭიდრო კავშირი ადამიანურ მოღვაწეობასა და რელიგიას შორის შეაფერხებს ადამიანების, საზოგადოებების ან მეცნიერებათა ავტონომიას.

თუ მინიერ საქმეთა ავტონომიას ისე გავიგებთ, რომ ქმნილებებსა და თავად საზოგადოებებს საკუთარი კანონები და ღირებულებები გააჩნიათ, რომლებიც ადამიანმა თანდათანობით უნდა შეიცნოს, გამოიყენოს და წარმართოს, მაშინ ასეთი ავტონომიის მოთხოვნა სრულებით სამართლიანია: მას არა მარტო ჩვენი დროის ადამიანები ითხოვენ, არამედ იგი შემოქმედის ნებასაც ეთანხმება. თავად შექმნის პირობიდან გამომდინარე, ყველაფერი აღჭურვილია საკუთარი სიმტკიცით, ჭეშმარიტებით, სიკეთით, საკუთარი კანონებითა და წესით. ადამიანმა ამას პატივი უნდა სცეს და გააცნობიეროს, რომ თითოეულ მეცნიერებას და ხელოვნებას საკუთარი მეთოდები გააჩნია. ამიტომ, თუ ყველა დისციპლინაში მეთოდური კვლევა მართლაც მეცნიერულად და ზნეობრივი ნორმების შესაბამისად წარიმართება, იგი არასდროს დაუპირისპირდება რწმენას, რადგან როგორც მინიერი, ასევე რწმენის სფეროს (res profanae et res fidei) სანყისი არის ღმერთი.⁵⁹ მეტიც: ვინც მორჩილი და მედგარი სულით ცდილობს, ჩასწვდეს სინამდვილის საიდუმლოებებს, მას თითქოს ღმრთის ხელი მართავს (თუნდაც მან ამის შესახებ არაფერი იცოდეს), რომელსაც ყველაფერი უპყრია (sustinens) და რომელიც მას იმად აქცევს, რაც არის. ამასთან დაკავშირებით თავს უფლებას მივცემთ სინანული გამოვხატოთ იმ სულიერი განწყობის გამო, რომელიც ერთ დროს შეიმჩნეოდა ქრისტიანთა შორის, როცა არასაკმარისად გაცნობიერებული ჰქონდათ მეცნიერების კანონიერი ავტონომია, რასაც შედეგად მოჰყვებოდა კამათები და წინააღმდეგობები, და ბევრი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რწმენა და მეცნიერება ერთმანეთს ეწინააღმდეგება.⁶⁰

57 შდრ. *Nuntius ad universos homines a Patribus missus ineunte Concilio Vaticano II*, oct. 1962: AAS 54 (1962), p. 823.

58 შდრ. PAULUS VI, alloc. ad Corpus diplomaticum, 7 ianuar. 1965: AAS 57 (1965), p. 232.

59 შდრ. CONC. VAT. I, Const. dogm. *De fide cath.*, cap. III: DENZ. 1785-1786 (3004-3005).

60 შდრ. PIUS PASCHINI, *Vita e opere di Galileo Galilei*, 2 vol., Vatic., 1964.

თუკი სიტყვები: „ღრობითი საგნების ავტონომია“ იმას გულისხმობს, რომ შექმნილი საგნები ღმერთზე დამოკიდებული არ არის, და ადამიანს შეუძლია ისინი გამოიყენოს შემოქმედთან მიმართების გარეშე, მაშინ ყველა, ვინც ღმერთს სცნობს, იგრძნობს, რამდენად მცდარია ასეთი შეხედულებები. ქმნილება ხომ შემოქმედის გარეშე არარად იქცევა. გარდა ამისა, ნებისმიერი რელიგიის ყველა მორწმუნეს მუდამ ესმოდა შემოქმედის ხმა და ქმნილებათა ენაში შემოქმედის გამოვლინება. მეტიც: ღმრთის დავინყება ქმნილებასაც ჩრდილავს.

37. *(ადამიანთა მოღვაწეობა, რომელიც ცოდვით არის დარღვეული)*. ნმიდა წერილი, რომელსაც ეთანხმება საუკუნოვანი გამოცდილება, ადამიანთა ოჯახს ასწავლის, რომ პროგრესი, რომელიც ძალიან კარგია ადამიანებისთვის, იმავე დროს დიდ ცუტუნებასაც შეიცავს: როცა ირღვევა ღირებულებათა რიგი და ბოროტი კეთილს შეერევა, მაშინ ცალკეული ადამიანები და ჯგუფებიც მხოლოდ თავისთვის ზრუნავენ, და არა სხვებისთვის. ამის შედეგად სამყარო აღარ წარმოადგენს ჭეშმარიტი ძმობის სივრცეს, ხოლო ადამიანის მზარდი ძალა თავად კაცობრიობას განადგურებით ემუქრება.

კაცობრიობის მთელი ისტორია არის ბნელი ძალების წინააღმდეგ მძიმე ბრძოლა. ეს ბრძოლა სამყაროს დასაბამიდან დაიწყო და ის, უფლის თანახმად, უკანასკნელ დღემდე გასტანს.⁶¹ ამ ბრძოლაში ჩაბმული ადამიანი განუწყვეტლივ უნდა იბრძოდეს, რათა სიკეთესთან კავშირი შეინახოს (ut bono adhaereat). მხოლოდ დიდი შრომით, ღმრთის მადლით, შეძლებს იგი თავის თავში ერთიანობის მოპოვებას.

ამიტომ ქრისტეს ეკლესიას, რომელსაც სწამს შემოქმედის განზრახვა და რომელიც აღიარებს, რომ პროგრესს შეუძლია ადამიანთა ჭეშმარიტ ბედნიერებას ემსახუროს, არ შეუძლია არ გამოეხმაუროს მოციქულის ნათქვამს: „ნუ თანა-ხატ ექმნებით სოფელსა ამას“ (რომ. 12, 2), ანუ იმ ამაოებასა და სულის ცბიერებას (malitiae), რომელიც ადამიანთა მოღვაწეობას, ღმრთისა და ადამიანების მსახურებისთვის განკუთვნილს, ცოდვის იარაღად აქცევს.

თუ ვინმე იკითხავს, თუ როგორ შეიძლება ამ უბედურების გადალახვა, ქრისტიანები აღიარებენ, რომ ადამიანის ყოველგვარი მოღვაწეობა, რომელსაც ქედმაღლობა და უზომო ეგოისტური სიყვარული ყოველ დღე საფრთხის ქვეშ აყენებს, უნდა განიწმინდოს და სრულყოფილი გახდეს ქრისტეს ჯვრითა და აღდგომით. ქრისტეში გამოსყიდულ და სული ნმიდაში ახალ ქმნილებად ქცეულ ადამიანს შეუძლია და უნდა უყვარდეს ის, რაც ღმერთმა შექმნა. ადამიანი ხომ მის ქმნილებებს ღმრთისგან ღებულობს, იგი მათ როგორც ღმრთის ხელიდან გამოსულს აღიქვამს და პატივს სცემს და ამისათვის თავის კეთილისმყოფელს მადლობას ეუბნება. სულის სილატაკესა და თავისუფლებაში ადამიანი სარგებლობს და ხარობს ქმნილებით და სამყაროს ჭეშმარიტ მფლობელობას აღწევს: ის არის არაფრისმქონე და ყველაფრის მფლობელი.⁶² „ყოველივე თქუენი არს. ხოლო თქუენ – ქრისტესნი, ხოლო ქრისტე – ღმრთისაჲ“ (1 კორ. 3, 22-23).

38. *(ადამიანის მოღვაწეობა, რომელიც აღდგომის საიდუმლოში სრულყოფილებას აღწევს)*. ღმრთის სიტყვა, რომლის მიერ შეიქმნა ყოველი, თავად ხორციელ იქმნა და ადამიანთა მიწაზე დამკვიდრდა.⁶³ იგი ისტორიაში სრულყოფილ ადამიანად შევიდა, რომელმაც ისტორია გაითავისა და საკუთარ თავში მოიცვა.⁶⁴ იგი გამოგვიცხადებს, რომ „ღმერთი სიყვარული (caritas) არის“ (1 იოან. 4, 8), და ამასთანავე გვასწავლის, რომ ადამიანის სრულყოფისა და, ამდენად, სამყაროს გარდასახვის ძირითადი კანონი არის ახალი ტრფიალების (dilectionis) მცნება (mandatum). ხოლო მათ, ვისაც საღმრთო სიყვარულისა სწამს, იგი არწმუნებს, რომ

61 შდრ. მათ. 24, 13; 13, 24-30 და 36-43.

62 შდრ. 2 კორ. 6, 10.

63 შდრ. იოან. 1, 3 და 14.

64 შდრ. ეფეს. 1, 10.

ტრფიალების გზა ყველასთვის ხსნილია და საყოველთაო ძმობის აღდგენის ცდა ამით არ არის. ამასთანავე იგი გვაფრთხილებს, რომ ამ სიყვარულს უნდა მოვსდით არა მარტო დიდ საქმეებში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში. მან ყველა ჩვენთვის, ცოდვილებისთვის, სიკვდილი დაითმინა.⁶⁵ თავისი მაგალითით იგი გვასწავლის, რომ ის ჯვარიც უნდა ვატაროთ, რომელსაც ხორცი და სამყარო მათ მხრებზე სდებს, ვინც მშვიდობასა და სიმართლეს ეძიებს. ქრისტე თავისი აღდგომით უფალი შეიქმნა. მას მიეცა „ყოველი ჯელმნიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“.⁶⁶ იგი უკვე მოქმედებს თავისი სულის ძალით ადამიანთა გულებში, რითაც არა მარტო მომავალი საუკუნის წყურვილს აღძრავს, არამედ იმ კეთილშობილურ სურვილებსაც აცხოველებს, განწმედს და აძლიერებს, რომელთა მეშვეობით ადამიანთა ოჯახი ცდილობს, თავისი ცხოვრება უფრო ადამიანური გახადოს და მთელი დედამიწა ამ მიზანს დაუქვემდებაროს. სული წმიდის ნიჭი სხვადასხვაგვარია: ზოგს მოუწოდებს, ზეციური სამკვიდრებლის სურვილი ცხადად დაამონმოს და ეს მონმობა ადამიანთა ოჯახში ცოცხლად შეინახოს, სხვებს კი მოუწოდებს, ადამიანებისთვის სამსახურის განწვევას მიწიერ სფეროში მიეცნენ და ამ მსახურებით ცის მეუფებისთვის ნიადაგი მოამზადონ. მაგრამ ის ყველას ათავისუფლებს, რათა მათ ეგოისტური სიყვარული (*proprio amore*) უარყონ, ყველა მიწიერი ძალა ადამიანურ ცხოვრებას მოახმარონ და ასე ნავიდნენ მომავლისკენ, სადაც თავად კაცობრიობა გახდება ღმრთისათვის სასურველი მსხვერპლი (*oblatio*).⁶⁷

უფალმა თავისიანებს ამ იმედის წინდი და ზვერი (*viaticum*) საიდუმლოს სახით დაუტოვა: მასში ადამიანის მიერ მოყვანილი ბუნების ნაყოფები (*naturae elementa, ab hominibus exculpta*) იქცევა სხეულად და დიდებულ სისხლად. ეს არის ძმური ურთიერთობის (*communio*) სერობა (*coena*) და ციური ნადიმის წინასწარ გემება (*praelibatione*).

39. *(ახალი მინა და ახალი ცა)*. მინისა და კაცობრიობის დასრულების დრო უცნობია ჩვენთვის.⁶⁸ არც ის ვიცით, როგორ გარდაისახება მსოფლიო. „წარმავალ არს ხატი ამის სოფლისა“⁶⁹ ცოდვის გამო სახეცვლილისა, მაგრამ იმასაც ვიგებთ, რომ ღმერთი ახალ სამკვიდრებელსა და ახალ მინას გვიმზადებს, „რომელსა შინა სიმართლე დამკვიდრებულ არს“⁷⁰ და რომლის ნეტარება აღავსებს და გადააჭარბებს მშვიდობის ყოველგვარ სურვილს, ადამიანთა გულებში აღძრულს.⁷¹ ამგვარად, სიკვდილის ძლევით, ღმრთის შვილები ქრისტეში აღდგებიან და ის, რაც სისუსტესა და ხრწნილებაში დაითესა, უხრწნელებას შეიმოსებს.⁷² რჩება სიყვარული და მისი საქმე,⁷³ ამაოების მონობისგან თავისუფლდება მთელი ის ქმნილება,⁷⁴ რომელიც ღმერთმა ადამიანის გამო შექმნა.

ცხადია, გვახსოვს, რომ ადამიანს არაფერს არგებს, თუ მთელს სამყაროს შეიძენს, ხოლო თავის თავს წარწყმედს.⁷⁵ ახალი მინის მოლოდინი არ უნდა შესუსტდეს, არამედ უფრო აღიგზნოს, რათა მოხდეს ამ მინის დამუშავება, სადაც იზრდება ადამიანთა ახალი ოჯახის ის სხეული, რომელმაც უკვე შეიძლება მოგვცეს ახალი საუკუნის სახე. ამიტომ, თუმცა მიწიერი პროგრესი საფუძვლიანად უნდა განვასხვავოთ ქრისტეს მეუფების ზრდისაგან, მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ღმრთის

65 შდრ. იოან. 3, 16; რომ. 5, 8-10.

66 შდრ. საქმე 2, 36; მათ. 28, 18.

67 შდრ. რომ. 15, 16.

68 შდრ. საქმე 1, 7.

69 1კორ. 7, 31. – S. IRENAEUS, *Adv. Haer.*, V, 36, 1: PG 7, 1222.

70 შდრ. 2კორ. 5, 2; 2 პეტრ. 3, 13.

71 შდრ. 1კორ. 2, 9; გამოცხ. 21, 4-5.

72 შდრ. 1კორ. 15, 42 და 53.

73 შდრ. 1კორ. 13, 8; 3, 14.

74 შდრ. რომ. 8, 19-21.

75 შდრ. ლუკ. 9, 25.

მეუფებისთვის, რადგან შეუძლია ხელი შეუწყოს ადამიანთა საზოგადოების უკეთ მოწყობას.⁷⁶

ადამიანური ღირსების, ძმური ურთიერთობისა და თავისუფლების ღირებულებებს, ანუ ბუნებისა და ჩვენი საქმიანობის ყველა ამ კეთილ ნაყოფს გავავრცელებთ უფლის სულში და, მისი მცნების (mandatum) თანახმად, დედამიწაზე. მათ ხელახლა ვიპოვით, განწმენდილს ყოველგვარი უწმინდურებისგან, განათებულსა და გარდასახულს, მაშინ, როცა ქრისტე მამას გადასცემს საუკუნო და საყოველთაო მეუფებას, რომელიც არის „ჭეშმარიტებისა და ცხოვრების მეუფება, სინმიდისა და მადლის მეუფება, სიმართლის, სიყვარულისა და მშვიდობის მეუფება“.⁷⁷ დედამიწაზე მეუფება უკვე არის საიდუმლოში მოცემული. იგი უფლის მოსვლით დასრულდება.

თავი IV

ეკლესიის ფუნქცია დღევანდელ სამყაროში

40. (ეკლესიისა და სამყაროს ურთიერთკავშირი). ყველაფერი, რაც ვთქვით ადამიანის პიროვნული ღირსების, ადამიანთა ერთობის, ადამიანური მოღვაწეობის ღრმა აზრის შესახებ, წარმოადგენს ეკლესიასა და სამყაროს შორის არსებულ კავშირის საძირკველსა და მათი დიალოგის საფუძველს.⁷⁸ ამიტომ, იმის გათვალისწინებით, რაც ამ კრებამ დაადგინა ეკლესიის საიდუმლოების შესახებ, ამ თავში იგივე ეკლესია ისე განიხილება, როგორც ის ამ სამყაროში არსებობს, მასთან თანაცხოვრობს და მოქმედებს.

საუკუნო მამის სიყვარულიდან აღმოცენებულს,⁷⁹ ქრისტე-გამომსყიდველის მიერ დროში დაარსებულს, სული წმიდაში შეკრებილს,⁸⁰ ეკლესიას გამოუმხსნელი და ესქატოლოგიური დასასრული აქვს, რომლის სავსებით მიღწევას ის მხოლოდ მომავალ საუკუნეში შეძლებს. მაგრამ ის უკვე ამქვეყნად არსებობს, ადამიანებისგან — მინიერი ქალაქის ნევრებისგან — შედგენილი. ისინი იმისთვის არიან მოწოდებული, რომ კაცობრიობის ისტორიაშივე შექმნან ღმრთის შვილთა ოჯახი, რომელიც უფლის მოსვლამდე მუდამ უნდა იზრდებოდეს. ეს ოჯახი, იმ ციური სიკეთებისთვის გაერთიანებული, რომელიც მას მიენიჭა, ქრისტეს მიერ არის „ამქვეყნად დადგენილი და მოწყობილი“⁸¹ და „ხილული და სოციალური ერთობისთვის საჭირო საშუალებებით“⁸² აღჭურვილი. ამგვარად, ეკლესია, ერთდროულად „ხილული კავშირი და სულიერი ერთობა“⁸³ მთელს კაცობრიობასთან ერთად მავალი, სამყაროს მინიერ ბედს იზიარებს. იგი არის ერთგვარი საფუარი და ადამიანთა იმ საზოგადოების სული,⁸⁴ რომელიც ქრისტეში უნდა განახლდეს და ღმრთის ოჯახად გარდაიქმნას.

მინიერი და ზეციური ქალაქების ეს ურთიერთიზიარება (compentratio) მხოლოდ რწმენით შეიძლება იყოს წვდომილი. მეტიც: იგი რჩება საიდუმლოებად კაცობრიობის ისტორიისა, რომელიც ღმრთის შვილთა დიდების სრულ გამოცხადებამდე ცოდვით არის დარღვეული. ეკლესია მისდევს თავის გამოუმხსნელ მიზანს (finem) და ადამიანს არა მარტო საღმრთო ცხოვრებას ამცნობს (communicat), არამედ ამ ცხოვრებიდან გამოსხივებულ ნათელს ერთგვარად მთელს სამყაროზე ავრცელებს, უპირველეს ყოვლისა იმის საშუალებით, რომ პიროვნების ღირსებას კურნავს და აღამაღლებს, ადამიანთა საზოგადოების ერთიანობას (compaginem) განამტკიცებს და ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობას უფრო ღრმა აზრსა და მნიშვნელობას

76 შდრ. PIUS XI, encycl. *Quadragesimo anno*: AAS 23 (1931), p. 207.

77 ქრისტეს-მეფის დღესასწაულის შესავალი.

78 შდრ. PAULUS VI, encycl. *Ecclesiam suam*, III: AAS 56 (1964), pp. 637-659.

79 შდრ. ტიტ. 3, 4: philanthropia.

80 შდრ. ეფეს. 1, 3. 5-6. 13-14. 23.

81 CONC: VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 8.

82 იქვე, n. 9; შდრ. n. 8.

83 იქვე, n. 8.

84 შდრ. იქვე, n. 38, n.9-სთან ერთად.

ანიჭებს. ამგვარად, ეკლესიას სწამს, რომ ცალკეული წევრისა და მთელი თავისი ერთობის მეშვეობით შეძლებს, დიდად შეუწყოს ხელი ადამიანთა ოჯახისა და მისი ისტორიისთვის უფრო ჰუმანური სახის მიცემას.

გარდა ამისა, კათოლიკე ეკლესიას პატივი აქვს (*libenter*) დიდად დააფასოს ის წვლილი, რომელიც ამ მიზნის განხორციელებისთვის ერთობლივი საქმიანობით (*socialia opera*) შეჰქონდათ და შეაქვეთ სხვა ქრისტიანულ ეკლესიებს ან საეკლესიო გაერთიანებებს (*communitates*). ამასთანავე ის მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ სამყაროს დიდად და მრავალგვარად შეუძლია ხელი შეუწყოს სახარებისთვის მომზადებას (*in praeparatione Evangelii*), როგორც ცალკეული ადამიანების, ასევე ადამიანთა საზოგადოების მეშვეობით, მათი ნიჭებითა და მოღვაწეობით. აქ განვიხილავთ იმ ურთიერთობისა და დახმარების სათანადო განვითარების რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომლებიც ამა თუ იმ სახით საერთოა ეკლესიისა და სამყაროსთვის.

41. *(დახმარება, რომელიც ეკლესიას სურს ცალკეულ ადამიანებს გაუწიოს)*. თანამედროვე ადამიანი დგას გზაზე, რომელსაც ის მისი პიროვნულობის უფრო სრული განვითარებისა და მისი უფლებების უკეთ გაცნობიერებისა და განმტკიცებისკენ მიჰყავს. ეკლესიას მინდობილი აქვს ღმრთის (იგი ადამიანთა უკანასკნელი მიზანია) საიდუმლოს გამოცხადება. ამასთანავე ეკლესია ადამიანს გამოუვლენს მისივე, ადამიანის, არსებობის აზრს, ანუ ადამიანის შესახებ ღრმა ჭეშმარიტებას. ეკლესიამ ნამდვილად იცის, რომ მხოლოდ ღმერთი, რომელსაც ის, ეკლესია, ემსახურება, პასუხობს ადამიანის გულის ღრმა სურვილებს, რომლებიც მინიერი საკვებით სრულყოფილად ვერასდროს დაკმაყოფილდება. მან ისიც იცის, რომ ადამიანი მუდამ ღმრთის სულის მიერ არის ნაქეზებული და რელიგიური პრობლემების მიმართ სავსებით გულგრილი ის ვერასდროს იქნება. ამას არა მარტო განვლილი საუკუნეების გამოცდილება ადასტურებს, არამედ ჩვენი დროის მრავალრიცხოვანი გამოცდილებაც. ადამიანს ყოველთვის ექნება სურვილი იცოდეს, თუნდაც ბუნდოვნად, თუ რაში მდგომარეობს მისი ცხოვრების, მისი მოღვაწეობისა და მისი სიკვდილის მნიშვნელობა. თავად ეკლესიის თანდასწრება მას ამ პრობლემებს მოაგონებს. მაგრამ მხოლოდ ღმერთი, რომელმაც ადამიანი თავის ხატად შექმნა და ცოდვისგან გამოისყიდა, ამ შეკითხვებს მთელი სისრულით პასუხს სცემს. ამას ის აკეთებს გამოცხადებით ქრისტიანობაში – თავის ძეში, რომელიც განხორციელდა. ვინც გაჰყვება ქრისტეს – სრულყოფილ ადამიანს, ის თავადაც უფრო ადამიანი ხდება.

ამ რწმენის საფუძველზე ეკლესიას ძალუძს ადამიანური ბუნების ღირსება ყოველგვარ შეხედულებათა ცვალებადობისგან დაიხსნას, რომლებიც ადამიანის სხეულს ან მეტისმეტად ამცირებს, ან უზომოდ ალაზავებს. არცერთ ადამიანურ კანონს არ შეუძლია ადამიანის პიროვნული ღირსება და თავისუფლება ისე სრულად დაიცვას, როგორც ქრისტეს სახარებას, რომელიც ეკლესიას იქნა მინდობილი. სახარება ამცნობს და აცხადებს ღმრთის შვილთა თავისუფლებას, უარყოფს ყოველგვარ მონობას, რომელიც საბოლოო ჯამში ცოდვიდან მომდინარეობს,⁸⁵ წმიდად სცემს პატივს სინდისის ღირსებას და მის თავისუფალ გადანყვტილებას, განუხრელად მოგვაგონებს, რომ ყველა ადამიანური ტალანტი ღმრთის სამსახურსა და ადამიანთა კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს, და ბოლოს, ყველას მოუწოდებს ურთიერთსიყვარულისკენ (*omnes denique omnium commendans caritati*).⁸⁶ ეს შეესაბამება ქრისტიანული განგებულების ძირითად კანონს. და თუმცა ღმერთი შემოქმედიც არის და მაცხოვარიც, არის როგორც ადამიანთა ისტორიის, ასევე გამოხსნის ისტორიის უფალი, ამის მიუხედავად, სწორედ ამ საღმრთო წესით არა თუ ირლვევა ქმნილებისა და, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სამართლიანი ავტონომია, არამედ პირიქით: ის აღდგება და მტკიცდება მის ღირსებაში.

ამიტომ ეკლესია, იმ ძალით, რომელიც მას მიენიჭა, აცხადებს ადამიანთა უფლებებს, აცნობიერებს და დიდად აფასებს დღევანდელ დინამიზმს, რომლის მეშვეო-

85 შდრ. რომ. 8, 14-17.

86 შდრ. მათ. 22, 39.

ბით ეს უფლებები ყველგან ვითარდება. ამგვარი მოძრაობა უნდა განიმსჭვალოს სახარების სულით და დაცული იქნას ყოველგვარი ცრუ ავტონომიისგან. ჩვენ ხომ გვაცდუნებს აზრი, ვითომ ჩვენი უფლებები მხოლოდ მაშინ იქნება სრულად დაცული, როცა გავთავისუფლდებით საღმრთო კანონის ყოველგვარი ნორმისგან. მაგრამ ეს გზა ადამიანის პიროვნულ ღირსებას უფრო დაღუპავს, ვიდრე იხსნის.

42. *(დახმარება, რომლის განევა სურს ეკლესიას ადამიანთა საზოგადოებისთვის)*. ადამიანთა ოჯახის ერთობას დიდად განამტკიცებს და სრულყოფს ქრისტიკაში დაფუძნებულ⁸⁷ ღმრთის შვილთა ოჯახი.

საკუთრივ ის მისია, რომელიც ქრისტიკა თავის ეკლესიას ანდო, არ არის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური რიგის: მიზანი, რომელიც ქრისტიკა მას დაუსახა, რელიგიურია.⁸⁸ სწორედ ამ მისიიდან გამომდინარეობს რელიგიური ფუნქცია, ნათელი და ძალები, რომლებსაც შეუძლია, ადამიანთა ერთობას საღმრთო კანონის შესაბამისად მონყობასა და განმტკიცებაში ხელი შეუწყოს. ასევე, საჭიროებისდა მიხედვით, დროისა და ადგილის გარემოებათა შესაბამისად, ეკლესიას შეუძლია – მან ეს კიდევ უნდა გააკეთოს – განახორციელოს საქმეები, რომლებიც საყოველთაო სამსახურში ჩადგება, უპირველეს ყოვლისა კი გაჭირვებულებისთვის იქნება განკუთვნილი, როგორცაა ქველმოქმედება და სხვა ამგვარი რამ.

ამასთანავე ეკლესია სცნობს ყველაფერს, რაც კარგია დღევანდელ სოციალურ დინამიზმში: უპირველეს ყოვლისა, ეს არის წინსვლა ერთიანობისკენ, სალი სოციალიზაციის, სამოქალაქო და ეკონომიკური ერთობის პროცესი. ერთიანობისთვის ხელშეწყობა ხომ თანხვდება ეკლესიის მისიის არსს, რომელიც არის „ქრისტიკაში ერთგვარი საიდუმლო, ანუ ღმერთთან შინაგანი კავშირისა და მთელი კაცობრიობის ერთობის ნიშანი და საშუალება“.⁸⁹ ამგვარად, ის აჩვენებს სამყაროს, რომ ნამდვილი გარეგანი სოციალური კავშირი გონებისა და გულის ერთობიდან მომდინარეობს, ესე იგი იმ რწმენიდან და სიყვარულიდან, რომელსაც ურღვევად ემყარება სული წმიდაში მისი ერთობა. ძალა, რომელიც დღევანდელ ეკლესიას შეუძლია ადანიამთა საზოგადოებას მისცეს, მდგომარობს იმ რწმენასა და სიყვარულში, რომლებიც ცხოვრებაში რეალურად სრულდება, და არა რაღაც გარეშე მეუფებაში, რომელიც მხოლოდ ადამიანური საშუალებებით ხორციელდება.

მეტიც: თავისი მისიითა და ბუნებით ეკლესია არ არის დაკავშირებული ადამიანური კულტურის რომელიმე კერძო ფორმასთან, ან პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ სისტემასთან. ამიტომ, ამ თავისი საყოველთაობის საფუძველზე, ეკლესია შეიძლება წარმოადგენდეს უმჭიდროეს კავშირს სხვადასხვა ადამიანურ საზოგადოებასა და ერს შორის, თუ კი მათ მისი ნდობა აქვთ და თუ ისინი მის ჭეშმარიტ თავისუფლებას აღიარებენ, რომელიც მისი მისიის შესასრულებლად არის საჭირო. ამ მიზეზის გამო ეკლესია თავის შვილებს და ყველა ადამიანს მოუწოდებს, ღმრთის შვილთა ასეთი ოჯახური ერთსულოვნებით გადალახონ ყველა უთანხმოება ერებსა და რასებს შორის და შინაგანი სიმტკიცე მიანიჭონ ადამიანთა სამართლიან გაერთიანებებს.

ამიტომ კრება დიდი პატივისცემით ეპყრობა ყველაფერს, რაც არის ჭეშმარიტი, კეთილი და სამართლიანი სხვადასხვა ორგანიზაციებში, რომლებიც კაცობრიობამ თავისთვის შექმნა და რომლებსაც განუწყვეტლივ ქმნის. გარდა ამისა, ის განაცხადებს, რომ ეკლესიას სურს დაეხმაროს და ხელი შეუწყოს ასეთ ორგანიზაციებს,

87 შტრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 9.

88 შტრ. PIUS XII in allocutio ad cultores historiae et artis, 9 martii 1956: AAS 48 (1956), p. 212. [“მისმა საღმრთო დამფუძნებელმა, იესო ქრისტიკმა, მას არც არაფერი დაავალა და არც არავითარი კულტურული მიზანი დაუსახა. მიზანი, რომელზეც ქრისტიკა მიუთითა, მკაცრად რელიგიურია (...). ეკლესიამ ადამიანები ღმერთთან უნდა მიიყვანოს, რათა ისინი მას მთლიანად მიეცნენ (...). ეკლესიას არასდროს არ უნდა გამოჩინოს მხედველობიდან ეს მკაცრად რელიგიური, ზებუნებრივი მიზანი. მისი ყოველგვარი საქმიანობის აზრი, მისი კოდექსის უკანასკნელ კანონამდე, შეიძლება მხოლოდ ამისთვის ხელშეწყობა იყოს, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით”].

89 CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 1.

რამდენადაც ეს მასზეა დამოკიდებული და მის მისიას შეიძლება შეესაბამოს. ხოლო თავად ეკლესიას ყველაზე მეტად ის უნდა, ყველას კეთილად ემსახუროს, შეეძლოს, თავისუფლად განვითარდეს ნებისმიერი რეჟიმის პირობებში, რომელიც პიროვნებისა და ოჯახის ძირეულ უფლებებსა და საზოგადო სიკეთის მოთხოვნილებას აღიარებს.

43. *(დახმარება, რომელიც ეკლესიას სურს, რომ ქრისტიანთა მეშვეობით ადამიანთა მოღვაწეობას გაუწიოს)*. კრება მოუწოდებს ქრისტიანებს, ორივე ქალაქის მოქალაქეებს, რათა ეცადონ, თავისი მინიერი სამსახური ერთგულად შეასრულონ და სახარების სულს გაჰყვენენ. ჭეშმარიტებისგან შორს არის, ვინც იცის, რომ „არა მაქუს ჩუენ აქა საყოფლად ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ,“⁹⁰ ამიტომ უგულვებლყოფს თავის მინიერ მოვალეობებს და ვერ ამჩნევს, რომ მათი შესრულებისკენ სწორედ რწმენა უზბიძგებს, იმ მოწოდების შესაბამისად, რისკენაც თითოეული არის მოწოდებული.⁹¹ არანაკლებ ცდება ის, ვინც, პირიქით, ფიქრობს, რომ შეუძლია მიეცეს მინიერ საქმეებს, რომლებიც რელიგიური ცხოვრებისთვის თითქოს სრულიად უცხოა, რადგან რელიგიური ცხოვრება, მათი აზრით, მხოლოდ ღმრთისმსახურებასა და ზოგიერთი ზნეობრივი მოვალეობის შესრულებაში მდგომარეობს. ეს გამიჯნვა რწმენის აღსარებასა (*fidem quam profitentur*) და მრავალთა ყოველდღიურ ცხოვრებას შორის ჩვენი დროის ყველაზე მძიმე შეცდომებს უნდა მივაკუთვნოთ: ცთუნება, (*scandalum*) რომელიც წინასწარმეტყველებმა უკვე ძველ აღთქმაში მკაცრად (*vehementer*) ამხილეს⁹² და რომელსაც კიდევ უფრო მეტად ახალ აღთქმაში თავად იესო ქრისტე მძიმე სასჯელით ემუქრებოდა.⁹³ ამიტომ უმართებულად ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპიროთ, ერთის მხრივ, პროფესიონალური და საზოგადოებრივი საქმიანობა, ხოლო მეორეს მხრივ რელიგიური ცხოვრება. ქრისტიანი, რომელიც უგულვებლყოფს თავის წარმავალ მოვალეობებს, უგულვებლყოფს თავის მოვალეობასაც მოყვასისა და, მეტიც, ღმრთის მიმართ, და თავის საუკუნო გამოხსნას საფრთხის ქვეშ აყენებს. ქრისტიანებს უნდა უხაროდეთ, რომ მისდევენ ქრისტეს მაგალითს, რომელიც ხელოსნობდა: მათ ხომ თავისი მინიერი საქმის კეთება შეუძლიათ, რომელიც ერთიან ცოცხალ სინთეზად აერთებს ადამიანურ, ოჯახურ, პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ ძალისხმევას რელიგიურ ღირებულებებთან, რომელთა უზენაესობით ყველაფერი ღმრთის სადიდებლად ეწყობა.

საერთოთა თავისებურებაა – თუმცა არა ერთადერთი – მინიერი (*saecularia*) მოვალეობები და მოღვაწეობა. როცა ისინი, ცალცალკე თუ ერთობის სახით, იმოქმედებენ როგორც მსოფლიოს მოქალაქენი, მაშინ ისინი არა მარტო ცალკეული დისციპლინის კანონებს დაიცავენ, არამედ შეეცდებიან, ამ სფეროში ჭეშმარიტი გამოცდილება მიიღონ. ისინი სიამოვნებით ითანამშრომლებენ მათთან, ვისაც ასეთივე მიზნები აქვთ. მათ რწმენის მოთხოვნები უნდა გააცნობიერონ, მისი ძალით აღიჭურვონ და განუხრელად, სადაც საჭიროა, ახალი წამოწყება განიზრახონ და განახორციელონ. მათი უკვე სათანადოდ ჩამოყალიბებული სინდისის საქმეა, რომ საღმრთო კანონი მინიერი ქალაქის ცხოვრებაში ჩაინეროს. ხოლო მღვდელთაგან საერონი უნდა მოელოდნენ ნათელსა და სულიერ ძალას. ოღონდ არ უნდა იფიქრონ, რომ მათი მწყემსები იმდენად გამოცდილი არიან, რომ ყოველ ახლად გაჩენილ შეკითხვაზე, რთულზეც კი, ისინი მაშინვე პასუხის გაცემას შეძლებენ, ან რომ ეს არის მათი მისია. ჯობს, ქრისტიანული ცოდნით განსწავლულებმა, მოძღვრობის სწავლებას ერთგულად მისდიონ და თავის საქმის კეთებას თვითონ შეუდგნენ.

ხშირად საკითხთა (*rerum*) ქრისტიანული ხედვა თავად უზბიძგებს მათ შესაბამის ვითარებაში ამა თუ იმ გადაწყვეტილებისკენ. ხოლო სხვა ერთგულები, არანაკლებ

90 ებრ. 13, 14.

91 შდრ. 2თეს. 3. 6-13; ეფეს. 4, 28.

92 შდრ. ეს. 58, 1-12.

93 შდრ. მათ. 23, 3-33; მარკ. 7, 10-13.

ბად გულრწფელნი, ამ საკითხს სხვაგვარად განსჯიან. ეს ხშირად ხდება და ასეც უნდა იყოს. თუკი ერთი თუ მეორე მხრიდან შემოთავაზებული გადაწყვეტილებები (თუნდაც მხარეთა განზრახვის გარეშე) მრავალთა თვალში ადვილად უკავშირდება სახარებისეულ უწყებას (nuntio evangelico), ასეთ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ არავის აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისა და მხოლოდ თავისთვის ისარგებლოს ეკლესიის ავტორიტეტით. დაე, გულრწფელ დიალოგში ყოველთვის შეეცადონ, საკითხს ორმხრივად ნათელი მოჰფინონ, ურთიერთსიყვარული შეინახონ და, უპირველეს ყოვლისა, საერთო სიკეთისთვის იზრუნონ.

საერონი, რომლებსაც ეკლესიის მთელს ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება უნევთ, უნდა ეცადონ, სამყარო ქრისტიანული სულით გამსჭვალონ. ისინი იმისთვისაც არიან მონადებულნი, რომ ყველაფერში, კერძოდ, ადამიანთა თანამეგობრობის წიაღში, ქრისტეს მონმენი იყვნენ.

ხოლო ეპისკოპოსებმა, რომელთა მოვალეობა არის ღმრთის ეკლესიის მართვა, თავის პრესვიტერებთან (presbyteris) ერთად ქრისტეს უწყება ისე უნდა იქადაგონ, რომ ერთგულთა ყველა მინიერ საქმიანობას სახარების ნათელი მოეფინოს. გარდა ამისა, ყველა მღვდელს (pastores) უნდა ახსოვდეს, რომ თავისი ყოველდღიური საქციელითა და მზრუნველობით⁹⁴ ისინი სამყაროს ეკლესიის სახეს აჩვენებენ, რაც ადამიანებს წარმოდგენას უქმნის ქრისტიანული უწყების ძალისა და ჭეშმარიტების შესახებ. ცხოვრებითა და სიტყვით, მონესეებსა და თავის ერთგულებთან ერთობაში, მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ეკლესია, თუნდაც მხოლოდ თავისი აქ-მყოფობით, ყველა თავისი ნიჭით, არის იმ ღირებულებათა (virtutum) უშრეტი წყარო, რომელიც დღეს სამყაროს ასე სჭირდება. დაე, ბეჯითი მეცადინეობით ისე მოემზადონ, რომ შეძლონ, სამყაროსა და ნებისმიერი შეხედულების მქონე ადამიანებთან დიალოგის დამყარებაში თავისი წვლილი შეიტანონ. უპირველეს ყოვლისა კი, მათ უნდა გულში დაიმარხონ ამ კრების სიტყვები: „დღეს კაცობრიობა სულ უფრო და უფრო ერთიანდება სამოქალაქო, ეკონომიკურ და სოციალურ ერთობად, ამიტომ მით უფრო საჭიროა, რომ მღვდელმსახურებმა (Sacerdotes), საერთო მზრუნველობითა და საქმით, ეპისკოპოსთა და უზენაესი პონტიფექსის წინამძღოლობით, გვაშორონ განხეთქილების ყოველგვარ საფუძველს, რათა მთელი კაცობრიობა ღმრთის ოჯახის ერთიანობამდე მივიდეს“.⁹⁵

თუმცა სული წმიდის ძალით ეკლესია თავისი უფლის ერთგულ სძლად დარჩა და იგი მუდამ იყო სამყაროში გამოსხნის ნიშანი, მან მაინც იცის, რომ მის ასოთა შორის,⁹⁶ იქნებიან ისინი მღვდელმსახურნი (clericos) თუ საერონი, მრავალი საუკუნის მანძილზე ღმრთის სულის არაერთგულნიც იყვნენ. ჩვენს დროშიც ეკლესიისთვის არ არის დაფარული, რამდენად არის ერთმანეთისგან დაშორებული მისგან გამოსული უწყება და ადამიანური სისუსტე იმ პირთა, ვისაც სახარება იქნა მინდობილი. როგორც არ უნდა განსაჯოს ისტორიამ ამგვარი ნაკლი, ჩვენ ის უნდა გავაცნობიეროთ და მას მტკიცედ ვებრძოლოთ, რათა მან ზიანი არ მოუტანოს სახარების გავრცელებას. ეკლესიამ იცის, საუკუნეთა გამოცდილების საფუძველზე თვითონ რამდენად უნდა მომნიფდეს, რომ სრულყოფილ თავისი კავშირი სამყაროსთან. სული წმიდის წინამძღოლობით, დედა ეკლესია თავის შვილებს განუხრელად „მოუწოდებს განწმედისა და განახლებისკენ, რათა ეკლესიის სახეზე უფრო ნათლად გაბრწყინდეს ქრისტეს ნიშანი.“⁹⁷

44. *(დახმარება, რომელსაც ეკლესია დღევანდელი სამყაროსგან იღებს)*. როგორც სამყაროსთვის არის მნიშვნელოვანი, რომ მან ეკლესია ისტორიის საზოგადოებრივ სინამდვილედ და მის საფუარად ცნოს, ასევე ეკლესიამ იცის, რამდენი რამ შეითვისა მან კაცობრიობის ისტორიიდან და ევოლუციიდან.

94 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 28.

95 იქვე, n. 28.

96 შდრ. S. AMBROSIUS, De virginitate, VII, 48: PL 16, 278.

97 Const. dogm. de Ecclesia, n. 15.

წარსულ საუკუნეთა გამოცდილება, მეცნიერული პროგრესი, ადამიანთა კულტურის სხვადასხვა ფორმაში დამარხული საუნჯეები, რომლებიც უფრო სრულყოფილად გამოავლენს ადამიანის ბუნებას და ჭეშმარიტებისკენ ახალ გზებს ხსნის, ასევე სასარგებლოა ეკლესიისთვის. მან ხომ თავისი ისტორიის დასაბამითვე ისწავლა ქრისტეს უწყების გამოხატვა სხვადასხვა ერთა ცნებებისა და ენების საშუალებით. მეტიც: ის შეეცადა, ეს უწყება ფილოსოფოსთა სიბრძნის დახმარებით განემარტა, იმისათვის, რომ სახარება შეძლებისდაგვარად საყოველთაო გაგებასა და ბრძენთა მოთხოვნილებებთან შეეთანხმა. გამოცხადებული სიტყვის სწორედ ასეთი მორგებული ქადაგება ყოველგვარი ევანგელიზაციის კანონად უნდა დარჩეს. ასე აღიძვრება ყველა ხალხებში უნარი, თავისებურად გამოხატონ ქრისტეს უწყება; ამავე დროს, ვითარდება ურთიერთობა ეკლესიასა და სხვადასხვა ერის კულტურებს შორის.⁹⁸ ასეთი ურთიერთობების ზრდისათვის, განსაკუთრებით ჩვენს დროში, როცა ვითარება უსწრაფესად იცვლება და აზროვნების ფორმებიც ძალიან მრავალგვარია, ეკლესიას განსაკუთრებით მათი დახმარება სჭირდება, ვინც სამყაროში ცხოვრობს, კარგად ერკვევა სხვადასხვა ინსტიტუციებსა და დისციპლინებში და მათი არსი ღრმად ესმის. ასეთები შეიძლება იყვნენ მორწმუნენი და ურწმუნონიც. ღმრთის მთელი ერის, უპირველეს ყოვლისა კი მღვდლებისა და თეოლოგების მოვალეობაა, სული წმიდის შემწეობით, მოუსმინონ ჩვენი დროის სხვადასხვა ხმებს, ისინი განარჩიონ, განმარტონ და საღმრთო სიტყვის შუქზე განსაჯონ, რათა შესაძლებელი იყოს გამოცხადებული ჭეშმარიტების სულ უფრო ღრმად წვდომა, უკეთესად გაგება და უფრო ადეკვატური გადმოცემა.

ეკლესიას აქვს ხილული საზოგადოებრივი სტრუქტურა – ქრისტეში მისი ერთიანობის ნიშანი. ამიტომ ეკლესიას შეუძლია გამდიდრდეს ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებით და იგი მდიდრდება კიდევ ამით, არა იმიტომ, რომ რაღაც აკლია მის წყობას, რომელიც ქრისტესგან მიენიჭა, არამედ იმისთვის, რათა მისი შეცნობა უფრო ღრმა იყოს, გამოხატვა – უკეთესი და ჩვენს დროსთან შესაბამისობა უფრო ადეკვატური. ეკლესია მაღლიერებით აღიარებს, რომ თავად ის (როგორც ერთობა ან მისი ცალ-ცალკე შვილის სახით) მრავალგვარ დახმარებას იღებს სხვადასხვა რანგისა და მდგომარეობის მქონე ადამიანისგან. მართლაც, ყველა, ვინც ხელს უწყობს ადამიანთა ერთობის განვითარებას, იქნება ეს ოჯახსა თუ კულტურაში, ცხოვრების ეკონომიკურ თუ სოციალურ სფეროში, ნაციონალურ თუ ინტერნაციონალურ პოლიტიკაში, ღმრთის განზრახვის შესაბამისად, დიდ დახმარებას უწევს საეკლესიო ერთობას, იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი გარე სამყაროზე დამოკიდებული. მეტიც: ეკლესიას მიაჩნია, რომ მან დიდი სარგებელი მიიღო და შეიძლება მიიღოს მათი წინააღმდეგობიდანაც, ვინც მას უპირისპირდება და სდევნის.⁹⁹

45. (*ქრისტე, ალფა და ომეგა*). ეკლესია, რომელიც თავად ეხმარება სამყაროს და მისგან ბევრს იღებს, მხოლოდ ერთისკენ ისწრაფვის: დადგეს ღმრთის მეუფება და მოხდეს ადამიანთა მოდგმის გამოხსნა. ყოველგვარი სიკეთე, რომელიც ღმრთის ერს თავისი მინიერი მსხემობის დროს შეუძლია მოუტანოს ადამიანთა ოჯახს, გამომდინარეობს იქიდან, რომ ეკლესია არის „საყოველთაო გამოსხნის საიდუმლო“,¹⁰⁰ რომელიც ერთდროულად ავლენს და ახორციელებს ადამიანის მიმართ ღმრთის სიყვარულის საიდუმლოებას.

ღმრთის სიტყვა, რომლის მეშვეობით იქმნა ყოველი, თავად განხორციელდა, რათა მას, სრულყოფილ ადამიანს, ყველა გამოეხსნა და ყველაფრისთვის თავი

98 CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 13.

99 შდრ. IUSTINUS, *Dialogus cum Tryphone*, 110: PG 6, 729; ed. Otto, 1897, pp. 391-393: „...ხოლო რაც უფრო გვესხმიან ასე თავს, მით უფრო მეტნი ხდებიან, იესოს სახელით, ერთგულნი და ღმრთისმოსავნი“. – შდრ. TERTULLIANUS, *Apologeticus*, cap. L, 13: CORPUS CHRISTI, ser. lat. I, p. 171: „რაც უფრო გვცელავთ, მით უფრო მრავალრიცხოვანი ვხდებით: თესლია ქრისტიანთა სისხლი“. – შდრ. Const. dogm. *de Ecclesia*, n. 9.

100 CONC. VAT. II, Const. dogm. *de Ecclesia*, n. 48.

მოეყარა (recapitularet). უფალი არის ადამიანთა ისტორიის მიზანი (finis) - ნერტილი, რომელშიც თავს იყრის ისტორიისა და ცივილიზაციის სურველები. იგი კაცობრიობის ცენტრია, ყველა გულის სიხარული და მათი მისწრაფების სისავსე.¹⁰¹ იგი მამამ მკვდრეთით აღადგინა, აღამალა, თავის მარჯვენით დასვა და დააყენა ცოცხალთა და მკვდართა მსაჯულად. მის სულში ცხოველყოფილი და გაერთიანებული, ჩვენ კაცობრიობის ისტორიის დასრულებისკენ მივდივართ, რომელიც სავსებით შეესაბამება მისი სიყვარულის განზრახვას: „თავ-ყოფად ყოველივე ქრისტეს მიმართ, რაჲ-იგი არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“ (ეფეს. 1, 10).

თავად უფალი ამბობს: „და აჰა ესერა მოვალ ადრე, და სასყიდელი ჩემი ჩემ თანა მიგებად თითოეულსა, ვითარცა საქმე მისი იყოს. მე ვარ ანი და ზ, პირველი და უკუაინასკენელი, დასაბამი და დასასრული“ (გამოცხ. 22, 12-13).

ნაწილი მეორე

ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ

46. *(წინათქმა)*. კრებამ აჩვენა, რა არის პიროვნების ღირსება და სამყაროში რა ფუნქციის (ინდივიდუალურობისა თუ სოციალურის) შესრულებისთვის არის ის მოწოდებული. ამის შემდეგ კრება ყველას მოგვმართავს, განვიხილოთ, სახარების შუქზე და ადამიანური გამოცდილების საფუძველზე, ჩვენი დროისთვის ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი (urgentiores) თემა, რომლებიც ადამიანებზე ძლიერ ზემოქმედებს.

მრავალ საკითხთა შორის, რომლებიც დღეს ყველას აღელვებს, უპირველეს ყოვლისა ყურადსაღებია შემდეგი: ქორწინება და ოჯახი, კულტურა, ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება, ხალხთა ოჯახის კავშირი და მშვიდობა. მათგან თითოეული უნდა გაშუქდეს ქრისტესგან მომდინარე პრინციპებითა და ნათლით, რომლებიც ქრისტეს ერთგულებს მიუძღვება და ყველა ადამიანს ანათლებს ძალზე რთული პრობლემებისთვის გამოსავლის ძიებისას.

თავი I

ქორწინებისა და ოჯახის ღირსების დაცვა

47. *(ქორწინება და ოჯახი დღევანდელ სამყაროში)*. პიროვნებისა და საზოგადოების (როგორც ზოგადად ადამიანთა, ასევე ქრისტიანთა) გამოხსნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ცოლქმრული და ოჯახური ერთობის კეთილდღეობასთან. ამიტომ ქრისტიანებს, ყველასთან ერთად, ვინც ამ ერთობას დიდ პატივს სცემს, გულწრფელად ახარებს სხვადასხვა სახის დახმარება, რომლებიც ადამიანს ხელს უწყობს, დღეს ამ საზოგადოებაში სიყვარულის დაცვითა და ცხოვრების პატივისცემით საზრდოობდეს, ხოლო მეუღლეებსა და მშობლებს მათი განსაკუთრებული ფუნქციის შესრულებაში ეხმარება. ამის შედეგად ქრისტიანები კიდევ უფრო მეტ კეთილდღეობას ელიან და ამ საქმეში მათ თავისი წვლილიც შეაქვთ.

სამწუხაროდ, ამ ინსტიტუტის ღირსება ყველგან ერთნაირად არ ბრწყინავს, რადგან მას ზიანს აყენებს პოლიგამია, განქორწინების სენი, ე.წ. თავისუფალი სიყვარული და სხვა გადახრები. ცოლქმრულ ცხოვრებას ხშირად ამახინჯებს ეგოიზმი, ჰედონიზმი და შობის სანინაალმდეგო უკანონო პრაქტიკა. დღევანდელი ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სამოქალაქო ვითარება ოჯახშიც მნიშვნელოვან გართულებებს იწვევს. და ბოლოს, მღელვარებით ვაკვირდებით ზოგიერთ რეგიონში დემოგრაფიული ზრდის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებს. ყოველივე

101 შდრ. PAULUS VI, allocutio die 3 feb. 1965 habita.

ეს აშინებს ადამიანთა ცნობიერებას. და მაინც, ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტის ძალასა და სიმტკიცეს ისიც მონიშნავს, რომ ამ ინსტიტუტის ჭეშმარიტ სახეს ძალიან ხშირად და სხვადასხვაგვარად წარმოაჩენს დღევანდელი საზოგადოების ღრმა ცვლილებებიც, მათგან გამომდინარე სირთულეების მიუხედავად.

ამიტომ კრება საგანგებოდ განიხილავს ეკლესიის მოძღვრების ზოგიერთ თავს და განიზრახავს, განანათლოს და განამხნევოს ქრისტიანები და ყველა ადამიანი, რომლებიც ქორწინების თავდაპირველი სტატუსისა და მისი განსაკუთრებული ღირებულების შენახვასა და განმტკიცებას ცდილობენ.

48. (*ქორწინებისა და ოჯახის სინმიდე*). ცოლქმრული ცხოვრებისა და სიყვარულის შინაგანი ერთობა, რომელიც შემოქმედმა დაამკვიდრა და შესაბამისი კანონებით აღჭურვა, დგინდება საქორწინო კავშირით ანუ შეუქცევადი პიროვნული თანხმობით. ამგვარად, ადამიანური აქტით, რომლითაც მეუღლეები ურთიერთობენ, საღმრთო განზრახვის თანახმად (ordinatione) - და თანაც საზოგადოების წინაშე — იქმნება მტკიცე ინსტიტუტი. ეს წმიდა კავშირი, რომელიც სასიკეთოა როგორც მეუღლეებისა და მათი შვილებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის, არ ექვემდებარება ადამიანის თავისუფალ არჩევანს. თავად ღმერთი არის შემოქმედი ქორწინებისა, რომელიც სხვადასხვა სიკეთითა და მიზნით არის აღჭურვილი.¹⁰² ყველა მათგანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა მოდგმის გაგრძელებისთვის, ოჯახის ცალკეული წევრის პიროვნული სრულყოფისა და საუკუნო ბედისთვის, თავად ოჯახისა და ადამიანთა მთელი საზოგადოების ღირსების, სტაბილურობის, მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის. თავისი ბუნებრივი ნიშნით, ქორწინების ინსტიტუტი და ცოლ-ქმრული სიყვარული გამიზნულია შთამომავლობის გაჩენისა და განათლებისთვის, რომელიც მათ გვირგვინით ამკობს. ამგვარად, კაცი და ქალი, რომლებიც ცოლ-ქმრული კავშირის საფუძველზე „არღარ არიან ორ, არამედ ერთ ჯორც“ (მათ. 19, 6), ერთმანეთს ეხმარებიან და ემსახურებიან პირთა და საქმეთა ერთიანობის საფუძველზე. ისინი აცნობიერებენ საკუთარ ერთობას და მას სულ უფრო მეტად სრულყოფენ. ეს შინაგანი ერთობა არის ორი პიროვნების ურთიერთძვენი. ისევე, როგორც ბავშვების კეთილდღეობა, ის მეუღლეებისგან მოითხოვს სრულ ერთგულებასა და ურღვევ ერთობას.¹⁰³

უფალმა ქრისტემ უხვად დალოცა ეს მრავალფეროვანი სიყვარული, რომელიც საღმრთო ტრფიალების წყაროდან მომდინარეობს და უფლის ეკლესიასთან ერთობის ნიშნად არის შექმნილი. ისევე როგორც ღმერთმა ოდესღაც დაღო სიყვარული-სა და ერთგულების კავშირი თავის ერთან,¹⁰⁴ ასევე მოდის ახლა ადამიანთა მაცხოვარი და ეკლესიის სიძე¹⁰⁵ ქორწინების საიდუმლოს მეშვეობით ქრისტიან მეუღლეებთან შესახვედრად. იგი შემდგომშიც მათთან რჩება, რათა მეუღლეები ერთმანეთს მიეცნენ და მუდმივი ერთგულებით ერთმანეთი უყვარდეთ, ისევე როგორც თავად უფალმა შეიყვარა ეკლესია და მისთვის თავი მისცა.¹⁰⁶ ნამდვილი ცოლქმრული სიყვარული საღმრთო სიყვარულში მიიღება. მას წარმართავს და ამდიდრებს ქრისტეს გამომსყიდველი ძალა და ეკლესიის მაცხოვარი ქმედება, იმისათვის, რომ მეუღლეები წარმატებით იქნენ მიყვანილი ღმერთთან და მათ დახმარება გაენიოს და ნუგეში მიეცეს დედისა და მამის უზენაესი მოვალეობის შესრულებაში.¹⁰⁷ ამ ძალით აღასრულებენ ისინი თავის ცოლ-ქმრულ და ოჯახურ მოვალეობას, და, ქრისტეს სულით გამსჭვალულნი, რომელიც მთელ მათ ცხოვრებას ალაგებს რწმენით,

102 შდრ. S. AUGUSTINUS, *De bono coniug.*: PL 40, 375-376 et 394. – S. THOMAS, *Summa Theol.*, Suppl. q. 49, a. 3 ad 1. – *decretum pro Armenis*: DENZ. 702 (1327). – PIUS XI, *encycl. casti Connubii*: AAS 22 (1930), pp. 543-555; DENZ. 2227-2238 (3703-3714).

103 შდრ. PIUS XI, *encycl. Casti Connubii*: AAS 22 (1930), pp. 546-547; DENZ. 2231 (3706).

104 შდრ. ოს. 2; იერ. 3, 6-13; ეზეკ. 16 და 23; ეს. 54.

105 შდრ. მათ. 9, 15; მარკ. 2, 19-20; ლუკ. 5, 34-35; იოან. 3, 29; 2კორ. 11, 2; ეფეს. 5, 27; გამოცხ. 19, 7-8; 21, 2 და 9.

106 შდრ. ეფეს. 5, 25.

107 შდრ. CONC. VAT. II, *Const. dogm. de Ecclesia*, n. 11, 35, 41.

იმედითა და სიყვარულით, სულ უფრო მეტად აღწევენ საკუთარ სრულყოფას და ერთმანეთის წმიდად ყოფას, და, შესაბამისად, ღმრთის ერთობლივ განდიდებას.

როცა მშობლების მაგალითი და ერთობლივი ლოცვა სახეზეა, შვილები და ყველა, ვინც ოჯახურ წრეში ცხოვრობს, უფრო ადვილად იპოვის ადამიანობის, გამოსწისისა და სინმიდის გზას. ხოლო მეუღლენი, მამობისა და დედობის ღირსებითა და მოვალეობით შემკულნი, უფრო გულმოდგინედ შეასრულებენ აღმზრდელთა ფუნქციას, განსაკუთრებით რელიგიურ სფეროში, რომელიც უპირველეს ყოვლისა მათ აკისრია.

ბავშვები, როგორც ოჯახის ცოცხალი ნევრები, თავისებურად ხელს უწყობენ მშობელთა წმიდა-ყოფას. ისინი მადლიერების გრძნობით, მოწინებითა და ნდობით უპასუხებენ მშობელთა სიკეთეს და, როგორც შვილებს შეჰფერით, დაეხმარებიან მათ გაჭირვებასა და, სიბერის ჟამს, მარტოობაში. ქვრივობას, რომელიც მტკიცე სულითვის ცოლქმრული მოწოდების გაგრძელებაა, ყველა სცემს პატივს.¹⁰⁸ ოჯახი უხვად გაუზიარებს თავის სულიერ სიმდიდრეებს სხვა ოჯახებს. ამგვარად, ქრისტიანული ოჯახი, ქორწინების საფუძველზე წარმოქმნილი, რომელიც არის ხატი და მონაწილე ქრისტესა და ეკლესიის სიყვარულის კავშირისა,¹⁰⁹ ყველას წარმოუჩინს მაცხოვრის ცოცხალ თანდასწრებას სამყაროში და ეკლესიის ნამდვილ ბუნებას, როგორც მეუღლეთა სიყვარულის საშუალებით, კეთილშობილური სიუხვით, ერთობითა და ერთგულებით, ასევე ყველა ნევრის მეგობრული თანამშრომლობით.

49. *(ცოლ-ქმრული სიყვარული)*. საღმრთო სიტყვა მრავალგზის მოუწოდებს დანიშნულებსა და შეუღლებულებს, რომ ნიშნობა კვებონ და ასაზრდოონ უმნიშვნელო სიყვარულით, ხოლო ცოლ-ქმრობა – განუყოფელი ტრფიალებით.¹¹⁰ მრავალი ჩვენი თანამედროვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჭეშმარიტ სიყვარულს ქმარსა და ცოლს შორის, რომელიც სხვადასხვაგვარად ვლინდება სათანადო წესჩვეულებებში, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ხალხთან თუ ეპოქასთან გვაქვს საქმე. ეს უაღრესად ადამიანური სიყვარული, რომელიც პიროვნებიდან პიროვნებისკენ ნების ზემოქმედებით გადადის, მთლიანად პიროვნების სიკეთეს მოიცავს. ამიტომ მას შეუძლია სხეულისა და სულისმიერ გამოხატულებებს, როგორც ცოლ-ქმრული მეგობრობის ელემენტებსა და საგანგებო ნიშნებს, განსაკუთრებული ღირსება და კეთილშობილება მიანიჭოს. ამ სიყვარულს უფალმა მადლისა და სიყვარულის განსაკუთრებული ნიჭით აღირსა გაჯანსაღება, სრულყოფა და ამაღლება. ასეთ სიყვარულს, რომელიც ერთდროულად ადამიანურსა და საღმრთოს აკავშირებს, მეუღლეები იქამდე მიჰყავს, რომ ისინი საკუთარ თავს ერთმანეთს თავისუფლად უძღვნიან, რასაც ნაზი გრძნობები და საქმე ადასტურებს. ეს სიყვარული მთელ მათ ცხოვრებას მსჭვალავს.¹¹¹ თავისი კეთილშობილური ქმედების საფუძველზე ის სრულყოფას განიცდის და იზრდება. ამიტომ იგი დიდად აღემატება წმინდა ეროტიკულ მისწრაფებას, რომელიც, ეგოისტურად აღმოცენებული, სწრაფად და საბრალოდ ქრება.

განსაკუთრებულად ამ სიყვარულის გამოხატვა და სრულყოფა ხდება საკუთრივ საქორწინო ქმედებით. ამიტომ ქმედებები, რომელთა საშუალებით შეუღლებულნი ღრმად და უმნიშვნელოდ ერთმანეთს უერთდებიან, პატიოსანია და ღირსეული. ჭეშმარიტად ადამიანურად განხორციელებულნი, ისინი აღნიშნავენ და ხელს უწყობენ ურთიერთგაცემას, რომლითაც მეუღლეები ერთმანეთს სიხარულითა და მადლიერებით ამდიდრებენ. ეს სიყვარული, ურთიერთერთგულებით განმტკიცებული და განსაკუთრებით ქრისტეს საიდუმლოთი წმიდა-ყოფილი (*sancitus*), ბედსა და უბედობაში ხორციითა და სულით ურღვევად ერთგული არის; ამიტომ მისთვის უცხოა ყოველგვარი სიძვა და განქორწინება. თანაბარი პიროვნული ღირსება – როგორც

108 შდრ. 1 ტიმ. 5, 3.

109 შდრ. ეფეს. 5, 32.

110 შდრ. დაბ. 2, 22-24; იგავ. 5, 18-20; 31, 10-31; ტობ. 8, 4-8; ქებ. 1, 1-3; 2, 16; 7, 8-11; 1 კორ. 7, 3-6; ეფეს. 5, 25-33.

111 შდრ. PIUS XI, *encycl. Casti Connubii*: AAS 22 (1930), pp. 547 et 548; DENZ. 2232 (2707).

ქალისა, ასევე კაცის, რომელიც უპირობო ურთიერთსიყვარულში ვლინდება, უფრო ნათლად წარმოაჩენს ქორწინების ერთობას, რომელიც უფლისგან არის დამტკიცებული. ამ ქრისტიანული მოწოდებიდან მომდინარე მოვალეობების მუდმივად შესრულებისთვის საჭიროა განსაკუთრებული სიქველე: ამიტომ მეუღლენი, ნმიდა ცხოვრებისთვის მაღლით განმტკიცებულნი, გამუდმებით ზრუნავენ სიყვარულის სიმტკიცისათვის, დიდსულოვნებისა და სამსხვერპლოდ მზადყოფნისათვის (spiritum sacrificii) და ყოველივე ამას ლოცვით ითხოვენ.

ნამდვილი ცოლქმრული სიყვარული კიდევ უფრო მეტად იქნება დაფასებული და მის შესახებ სწორი შეხედულება შემუშავდება, თუ ქრისტიანი მეუღლეები გამორჩეულნი იქნებიან ერთგულებისა და ჰარმონიის მოწმობით, აგრეთვე შვილების განათლებისთვის ზრუნვით და თავის წვლილს შეიტანენ აუცილებელ კულტურულ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ განახლებაში ქორწინებისა და ოჯახის სასარგებლოდ. ახალგაზრდებმა – ძირითადად თავად ოჯახის წიაღში – შესაფერისად და დროულად უნდა მიიღონ დარიგებანი ცოლ-ქმრული სიყვარულის ღირსების, მოვალეობისა და მისი განხორციელების შესახებ, რათა უმნიშვნელობისადმი პატივისცემით აღზრდილნი, სათანადო ასაკში, ღირსეული ნიშნობის შემდეგ, შეძლონ დაქორწინება.

50. (ქორწინების ნაყოფიერება). თავისი ბუნებით ქორწინებისა და ცოლ-ქმრული სიყვარულის დანიშნულება არის შთამომავლობის გაჩენა და მისი აღზრდა. შვილები ქორწინების ყველაზე უფრო დიდებულ საჩუქარს (donum) წარმოადგენენ და თავად მშობლების ბედნიერებას დიდად უწყობენ ხელს. თავად ღმერთს, რომელმაც თქვა: „არ არის კარგი ადამიანის მარტო ყოფნა“ (დაბ. 2, 18) და „რომელმაც... ადამიანი დასაბამითვე კაცად და ქალად შექმნა“ (მათ. 19, 4), სურდა, ადამიანი თავისი შემოქმედებითი საქმიანობის განსაკუთრებულ მონაწილედ გაეხადა. მან კაცი და ქალი აკურთხა და თქვა: „იყავით ნაყოფიერი და იმრავლეთ“ (დაბ. 1, 28). ამიტომ ცოლ-ქმრული სიყვარულის ჭეშმარიტი პატივისცემასა და მასზე დამყარებულ ოჯახური ცხოვრების სტრუქტურას ერთი მიზანდასახულობა აქვს: ცოლ-ქმარი უნდა იყოს – ოღონდ ისე, რომ ქორწინების სხვა მიზნებიც მხედველობიდან არ გამოირჩეს – მტკიცე საყრდენი შემოქმედისა და მაცხოვრის სიყვარულისა; რადგან შემოქმედს სურს, თავისი ოჯახი მეუღლეთა მეშვეობით სულ უფრო გაზარდოს და გაამდიდროს.

მოვალეობა, რომელიც ადამიანური სიცოცხლის გადაცემასა და განათლების მიცემაში მდგომარეობს, საკუთრივ მეუღლეთა ფუნქციას წარმოადგენს. მათ იციან, რომ ღმერთს – შემოქმედის სიყვარულის ხელშემწყობნი და მისი ერთგვარი ინტერპრეტატორები არიან. ამიტომ ისინი თავის მოვალეობას ადამიანური და ქრისტიანული პასუხისმგებლობით შეასრულებენ და, ღმრთისადმი მორჩილი პატივისცემით, ერთობლივი განზრახვისა და მონდომების საფუძველზე, სწორ გადანყვეტილებას მიიღებენ და იზრუნებენ როგორც თავისი კეთილდღეობისთვის, ასევე ბავშვების (როგორც უკვე გაჩენილის, ასევე მომავლის) სასიკეთოდ, დროისა და ცხოვრების პირობების (როგორც მატერიალურის, ასევე სულიერის) გათვალისწინებით. და ბოლოს, ისინი ემსახურებიან ოჯახური ერთობის, საერო საზოგადოებისა და თავად ეკლესიის კეთილდღეობას. საბოლოოდ ეს სწორი გადანყვეტილება მეუღლეებმა ღმრთის წინაშე თავად უნდა მიიღონ. თავის ქმედებასთან დაკავშირებით ქრისტიანმა მეუღლეებმა ყოველთვის უნდა იცოდნენ, რომ მათ ნებისმიერად მოქმედება კი არ შეუძლიათ, არამედ მათ სინდისი უნდა წარმართავდეს, რომელიც თავის მხრივ საღმრთო კანონს უნდა შეესაბამებოდეს. მეუღლეები ეკლესიის მოძღვრობის მიმართ მორჩილნი უნდა იყვნენ, რომელიც ამ კანონს სახარების შუქზე ჭეშმარიტად (authentic) განმარტავს. ეს საღმრთო კანონი სრულად წარმოაჩენს ცოლ-ქმრული ცხოვრების მნიშვნელობას, იცავს მას და ჭეშმარიტად ადამიანური სრულყოფისკენ წარმართავს. ამგვარად, ქრისტიანი მეუღლეები, საღმრთო განგებას მინდობილნი და სამსხვერპლო სულის მზრდენნი,¹¹² განადიდებენ შემოქმედს და ისწრაფვიან სრულყოფისაკენ ქრისტეში, როცა მშობლობის კეთილშობილური ფუნქციის

განხორციელებით ადამიანურსა და ქრისტიანულ მოვალეობას ასრულებენ. იმ მეუღლეთა შორის, ვინც ასე ასრულებს ღმრთისგან დაკისრებულ მოვალეობას, განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან ისინი, ვინც გონივრული ერთობლივი განზრახვით დიდსულოვნად ეკიდება შთამომავლობის (მაშინაც, როცა ის საკმაოდ მრავალრიცხოვანია) სათანადო აღზრდას.¹¹³

მაგრამ ქორწინება მხოლოდ შთამომავლობის გაჩენისთვის არ არის დაწესებული: პიროვნებათა შორის ურყევი კავშირის ხასიათი და შთამომავლობის სიკეთე მოითხოვს, მეუღლეთა ურთიერთსიყვარულის სათანადო გამოიხატვას, განვითარებასა და მომნიჭებას. ამიტომ მაშინაც, როცა ხშირად ასე სასურველი შვილები არა ჰყავთ, ქორწინება, როგორც მთელი ცხოვრების კავშირი და ერთობა, ინახება და ინარჩუნებს თავის ღირებულებასა და ურღვევობას.

51. (ცოლ-ქმრული სიყვარული და ადამიანური ცხოვრებისადმი პატივისცემა). კრებამ იცის, რომ დღეს მეუღლეებს, ცხოვრების გარკვეულ გარემოებათა გამო, ხელი ეშლება ცოლ-ქმრული ცხოვრების ჰარმონიულ მოწყობაში; ისინი ზოგჯერ ისეთ პირობებში შეიძლება იმყოფებოდნენ, როცა შვილთა რიცხვი – თუნდაც დროებით – ვერ მოიმატებს, ხოლო სიყვარულში ერთგულებისა თუ ცხოვრებაში სრული ერთობის შენარჩუნება სირთულეებთან არის დაკავშირებული. ხშირად, როცა მეუღლეთა ინტიმური ცხოვრება წყდება, ერთგულებაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს, ხოლო ბავშვთა კეთილდღეობა დაკნინდეს: ამ დროს ხიფათი ემუქრება როგორც ბავშვთა აღზრდას, ასევე სულის სიმტკიცეს, რომელიც შემდგომი შთამომავლობის გაჩენისთვის არის საჭირო.

არიან ისეთებიც, ვისაც გამბედაობა ჰყოფნის, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტა არაპატიოსანი გზით სცადოს და ვინც მკვლელობის წინაშეც კი უკან არ იხევს. ეკლესია შეგვახსენებს, რომ შეუძლებელია არსებობდეს ნამდვილი დაპირისპირება იმ საღმრთო კანონებს შორის, რომლებიც, ერთის მხრივ, სიცოცხლის გადაცემას უკავშირდება, ხოლო მეორეს მხრივ, ჭეშმარიტი ცოლ-ქმრული სიყვარულის შენახვას გულისხმობს.

ღმერთმა, ცხოვრების უფალმა, ადამიანებს შესანიშნავი სამსახური მიანდო, რომელიც ცხოვრების შენარჩუნებისთვის არის განკუთვნილი. ადამიანმა ის ღირსეულად უნდა შეასრულოს. ამიტომ ცხოვრებას იმთავითვე დიდი მზრუნველობით უნდა მოვეპყრათ. აბორტი და ბავშვის მკვლელობა საშინელი დანაშაულია. სექსუალობა, რომელიც ადამიანს ახასიათებს, აგრეთვე მისი მშობელობითი უნარი საოცრად აღემატება იმას, რაც სიცოცხლის ქვედა საფეხურებზე არსებობს. ამიტომ თავად ცოლ-ქმრული ცხოვრების აქტები, რომლებიც ჭეშმარიტი ადამიანური ღირსების შესაბამისად სრულდება, დიდ პატივისცემას იმსახურებს. ამდენად, როცა ლაპარაკია ცოლ-ქმრული სიყვარულის შესაბამისობაზე ბავშვთა გაჩენასთან, რომელსაც პასუხისმგებლობა განაპირობებს, მაშინ ქცევის ზნეობრივი ხასიათი დამოკიდებულია არა მარტო გულრწფელ განზრახვასა და მოტივების შეფასებაზე, არამედ ის უნდა განისაზღვროს ობიექტური კრიტერიუმებითაც, პიროვნების ბუნებიდან და მისი ქმედებებიდან გამომდინარე. ეს კრიტერიუმები ინარჩუნებს მეუღლეთა ურთიერთგაცემისა და ადამიანთა გაჩენის მთელ შინაარსს ჭეშმარიტი სიყვარულის კონტექსტში. ხოლო ეს შეუძლებელია, თუ ცოლ-ქმრული პატიოსნების ღირსება (*virtus castitatis coniugalis*) გულრწფელად არ არის დაცული. ეკლესიის შვილები, რომლებიც ამ პრინციპებს ემყარებიან, შობადობის რეგულირებისას ვერ გაჰყვებიან იმ გზას, რომელსაც მოძღვრობა საღმრთო კანონის განმარტებისას უარყოფს.¹¹⁴

113 შდრ. PIUS XII, allocutio *Tra le visite*, 20 ian. 1958: AAS 50 (1958), p. 91.

114 შდრ. PIUS XI, encycl. *Casti Connubii*: AAS 22 (1930), pp. 559-561; DENZ. 2239-2241 (3716-3718). – PIUS XII, allocutio *Conventui Unionis Italicae inter Obstetrices*, 29 oct. 1951: AAS 43 (1951), pp. 835-854. – PAULUS VI, allocutio ad *Em.mos Patres Purpuratos*, 23 iunii 1964: AAS 56 (1964), pp. 581-589. ზოგიერთი საკითხი, რომლებიც შემდგომ უფრო სერიოზულ კვლევას საჭიროებს, უზენაესი პონტიფექსის განკარგულებით, გადაეცა მოსახლეობის, ოჯახისა და შობადობის შემსწავლელ კომისიას.

დაე, ყველამ იცოდეს, რომ ადამიანთა ცხოვრება და მისი გაგრძელების მოვალეობა მხოლოდ ამ საუკუნით არ შემოიფარგლება, არ განიზომება და არ მოიაზრება: ის ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის მარადიულ დანიშნულებას.

52. *(ქორწინება და ოჯახი ყველას საზრუნავია)*. ოჯახი კაცობრიობის ნაყოფიერი განვითარების ერთგვარი სკოლაა. მისი ცხოვრებისა და მისიის სრულად განხორციელებისთვის აუცილებელია მეუღლეთა კეთილგანწყობილი ერთსულოვნება და თანამოაზრობა, ისევე როგორც მშობელთა თანამშრომლობა შვილთა აღზრდაში. მამის თანადგომა (*praesentia*) დიდად უწყობს ხელს შვილთა ჩამოყალიბებას. მეორეს მხრივ, აუცილებელია პირობების შექმნა დედის ოჯახური მზრუნველობისთვის, რომელსაც განსაკუთრებით ახალგაზრდა ბავშვები საჭიროებენ, თუმცა ამით ზიანი არ უნდა მიეყენოს ქალის კანონიერ სოციალურ განვითარებას. ბავშვები ისე უნდა აღიზარდონ, რომ როცა გაიზრდებიან, სრული პასუხისმგებლობის გრძნობით გაჰყვებიან თავის მოწოდებას, მათ შორის რელიგიურს, და ეცადონ აირჩიონ ცხოვრების ისეთი სტატუსი, რომელიც საშუალებას მისცემს, დაქორწინების შედეგად თავისი ოჯახი სათანადო ზნეობრივ, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში ააშენონ. მშობელთა ან აღმზრდელთა მოვალეობაა, ბრძნული რჩევით უხელმძღვანელონ ახალგაზრდებს ოჯახის შექმნაში. რჩევა ისეთი უნდა იყოს, რომ ახალგაზრდებმა ის ხალისით მოისმინონ, უფროსები კი უნდა ერიდონ, რომ ახალგაზრდები პირდაპირი თუ ირიბი ზენოლით დაქორწინდნენ ან მეუღლე აირჩიონ.

ამგვარად, საზოგადოების საძირკველს წარმოადგენს ოჯახი, რომელშიც სხვადასხვა თაობა შედის. ისინი ერთმანეთს ეხმარებიან უფრო დიდი სიბრძნის დაუფლებადაც და ცხოვრების სხვა სოციალურ მოთხოვნილებებთან პიროვნებათა უფლებების შეთანხმებაში. ამიტომ ყველამ, ვინც გავლენას ახდენს საზოგადოებასა და სოციალურ ჯგუფებზე, უფრო ქმედითად უნდა შეუწყოს ხელი ქორწინებისა და ოჯახის განვითარებას. დაე, სამოქალაქო ცელისუფლებამ თავის წმიდა მოვალეობად მიიჩნიოს მათი ჭეშმარიტი სახის შეცნობა, მფარველობა და განვითარება, საზოგადოებრივი ზნეობრიობის დაცვა და ოჯახური კეთილდღეობისთვის ზრუნვა. საჭიროა მშობელთა უფლების დაცვა, რომელიც ბავშვთა განვითარებასა და ოჯახის წიაღში მათ აღზრდას გულისხმობს. შორსმჭვრეტელოური კანონმდებლობითა და სხვადასხვა ინიციატივით მფარველობა და სათანადო დახმარება უნდა გაეწიოს მათ, ვინც საუბედუროდ ოჯახის ქონების ბედნიერებას მოკლებულია.

დაე, ქრისტეს ერთგულებმა, რომლებიც აწმყოს ფასი იციან¹¹⁵ და საუკუნოს ცვლადი ფორმებისგან განასხვავებენ, გულმოდგინედ იღვანონ ქორწინებისა და ოჯახის სასიკეთოდ, როგორც საკუთარი ცხოვრების მაგალითზე, ასევე კეთილი ნების ადამიანებთან შეთანხმებული ქმედებით. ასე, სირთულეების გადალახვით, ისინი დააკმაყოფილებენ ოჯახის მოთხოვნილებებს და უზრუნველყოფენ მას იმ უპირატესობებით, რომლებიც თანამედროვე ეპოქა გვთავაზობს. ამ მიზნის მიღწევას დიდად შეუწყობს ხელს ერთგულთა ქრისტიანული გრძნობა, ადამიანთა სწორი ზნეობრივი ცნობიერება, აგრეთვე მათი სიბრძნე და გამოცდილება, ვინც საღმრთო დისციპლინების სპეციალისტია (*qui in sacris disciplinis versati sunt*).

მეცნიერებებში განსწავლულებს (კერძოდ, ბიოლოგიაში, მედიცინაში, სოციალურ მეცნიერებებში, ფსიქოლოგიაში) შეუძლიათ დიდი სამსახური გასწიონ ქორწინებისა და ოჯახის კეთილდღეობისა და სინდისის სიმშვიდის სასარგებლოდ, თუ ერთობლივი კვლევით შეეცდებიან, მეტი სიზუსტით გააშუქონ სხვადასხვა გარემოებები, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანებში შობადობის წესიერ რეგულაციას.

მღვდელმსახურთა საქმეა, ოჯახურ საკითხებში სათანადოდ განსწავლის საფუძველზე, სხვადასხვა სამღვდლო საშუალებით, საღმრთო სიტყვის ქადაგებით,

მას შემდეგ, რაც კომისია თავის მოვალეობას შეასრულებს, უზენაესი პონტიფიქსი დადგინდებას მიიღებს. წმიდა კრება არ აპირებს, უშუალოდ გამოიტანოს კონკრეტული გადაწყვეტილებები მოცემული სახით არსებულ მოძღვრებასთან დაკავშირებით.

115 შდრ. ეფეს. 5, 16; კოლ. 4, 5.

ღმრთისმსახურებითა და სხვა სულიერი დახმარებით ხელი შეუწყონ მეუღლეთა მოწოდებას მათ ცოლ-ქმრულ და ოჯახურ ცხოვრებაში, კეთილად და მოთმინებით ძალა მისცენ გაჭირვებაში და სიყვარულით ანუგეგმონ, რათა ჭეშმარიტად გაბრწყინებული ოჯახები ჩამოყალიბდეს.

სხვადასხვა ორგანიზაციები, განსაკუთრებით ოჯახთა გაერთიანებები, ცდილობს, მოძღვრებითა და საქმით განამტკიცოს ახალგაზრდები და მეუღლეები, განსაკუთრებით ახლადდაქორწინებულები, და ისინი ოჯახური, საზოგადოებრივი და სამოციქულო ცხოვრებისთვის აღზარდოს.

და ბოლოს, დაე, თავად მეუღლეები, ცხოველი ღმრთის ხატად შექმნილი და ჭეშმარიტად პიროვნებათა რიგში ჩამდგარნი, იყვნენ ერთსულოვანნი, თანამზრახველნი და ურთიერთსინმიდემი ერთიანნი,¹¹⁶ რათა მოწოდების სიხარულსა და მსხერპლში მისდიონ ქრისტეს, ცხოვრების სანყისს,¹¹⁷ და თავისი ერთგული სიყვარულით გახდნენ იმ საიდუმლო სიყვარულის მოწმენი, რომელიც უფალმა სამყაროს სიკვდილითა და აღდგომით გამოუცხადა.¹¹⁸

თავი II

კულტურული პროგრესისთვის ხელშეწყობის აუცილებლობა

53. *(შესავალი)*. ადამიანის პიროვნების თავისებურებაა, რომ მხოლოდ კულტურის მეშვეობით, ან ბუნების სიკეთეებისა და ღირებულებათა განვითარებით, შეუძლია ამაღლდეს ჭეშმარიტ და სრულ ადამიანობამდე. ამიტომ ყოველთვის, როცა ლაპარაკია ადამიანურ სიცოცხლეზე, იგულისხმება ბუნებისა და კულტურის ძალიან მჭიდრო კავშირი.

ფართო გაგებით, სიტყვა „კულტურა“ აღნიშნავს ყველაფერს, რითიც ადამიანი ხვეწავს და ავითარებს სულისა და სხეულის მრავალფეროვან ნიჭებს, ცდილობს, მთელი სამყარო შემეცნებითა და მუშაობით თავის ძალაუფლებას დაუქვემდებაროს. ზნეთა და ინსტიტუციათა განვითარების საფუძველზე ადამიანი უფრო ჰუმანურს ხდის სოციალურ ცხოვრებას, როგორც ოჯახში, ასევე მთელ სამოქალაქო საზოგადოებაში. საუკუნეთა მანძილზე ის თავის ქმნილებებში გამოხატავს, გადასცემს და ინახავს მრავალ სულიერ გამოცდილებასა და მისწრაფებას, რათა ისინი მრავალი ადამიანის – მეტიც: მთელი კაცობრიობის წინსვლას მოხმარდეს.

აქედან გამომდინარე, ადამიანური კულტურა აუცილებლად გულისხმობს ისტორიულ და სოციალურ ასპექტს, ხოლო სიტყვა „კულტურა“ ხშირად სოციოლოგიურ და ეთნოლოგიურ მნიშვნელობასაც კი იძენს. ამ გაგებით ლაპარაკობენ კულტურათა პლურალიზმზე. განსხვავებას, რომელიც არსებობს საგანთა მოხმარების წესში, მუშაობის ორგანიზაციასა და თვითგამოხატვაში, რელიგიურ პრაქტიკასა (colendi) და ზნეობრივ აღზრდამი, კანონმდებლობასა და სამართლებრივ ინსტიტუციებში, მეცნიერებისა თუ ხელოვნების დარგთა განვითარებასა და მშვენიერებისადმი დამოკიდებულებაში, შედეგად მოჰყვება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა წესისა და ცხოვრების ღირებულებათა მიმართ დამოკიდებულების განსხვავებული ფორმების ჩამოყალიბება. ასე, ტრადიციული წეს-ჩვეულებებიდან იქმნება ის მემკვიდრეობა, რომელიც ადამიანთა ამა თუ იმ საზოგადოების თავისებური კუთვნილებაა. ასევე ყალიბდება განსაზღვრული, ისტორიული გარემო, რომელშიც ექცევა ადამიანი, რომელი ხალხის თუ ეპოქის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს; აქედანვე იძენს ის იმ ღირებულებებს, რომლებიც ადამიანური და სამოქალაქო კულტურის გავითარებას უწყობს ხელს.

116 შდრ. *Sacramentarium Gregorianum*: PL 78, 262.

117 შდრ. რომ. 5, 15 და 18; 6, 5-11; გალ. 2, 20.

118 შდრ. ეფეს. 5, 25-27.

*ქვეთავი I**კულტურა დღევანდელ სამყაროში*

54. *(ცხოვრების ახალი ფორმები)*. დღევანდელი ადამიანის ცხოვრების პირობები სოციალური და კულტურული თვალსაზრისით ღრმად შეიცვალა, იმდენად, რომ შესაძლებელია ლაპარაკი კაცობრიობის ისტორიის ახალი ეპოქის შესახებ.¹¹⁹ შესაბამისად, იხსნება ახალი გზები კულტურის სრულყოფისა და მისი ფართოდ გავრცელებისთვის. ისინი მოამზადა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ, აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა მნიშვნელოვანმა განვითარებამ, ტექნიკის ზრდამ, აგრეთვე პროგრესმა იმ საშუალებათა გამომუშავებასა და სწორად განაწილებაში, რომელთა გზით ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ. მაშასადამე, თანამედროვე კულტურა შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: ე.წ. „ზუსტი მეცნიერებანი“ მაქსიმალურად ავითარებს კრიტიკული მსჯელობის უნარს; ფსიქოლოგიის უახლესი გამოკვლევები უფრო ღრმად ხსნის ადამიანურ ქმედებას; ისტორიული დისციპლინები დიდად უწყობს ხელს იმას, რომ საგნები განხილულ იქნას მათი ცვალებადობისა და ევოლუციის თვალსაზრისით; ცხოვრების წეს-ჩვეულებები და ზნენი სულ უფრო ერთგვაროვანი ხდება; ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია და სხვა მიზეზები, რომლებიც ცხოვრებას უფრო საზოგადოებრივს ხდის, ქმნის კულტურის ახალ ფორმებს (მასკულტურას), რომლიდანაც იშვება გრძნობის, მოქმედებისა და თავისუფალი დროის გამოყენების ახალი ფორმები. ამასთანავე, სხვადასხვა ხალხებსა და საზოგადოების ჯგუფებს შორის ურთიერთგაცვლის ზრდა უფრო ფართოდ ხსნის ყველასა და თითოეულის წინაშე კულტურის განსხვავებულ ფორმათა საუნჯეს. ასე მზადდება თანდათან ადამიანური კულტურის უფრო უნივერსალური ფორმა. რაც უფრო უკეთესად იცავს ის განსხვავებულ კულტურათა თავისებურებებს, მით უფრო მეტად უწყობს ხელს კაცობრიობის ერთიანობას და მით უფრო ცხადად გამოხატავს მას.

55. *(ადამიანი – კულტურის შემოქმედი)*. ნებისმიერ ჯგუფსა თუ ქვეყანაში მატულობს კაცებისა და ქალების რიცხვი, რომლებიც თავის თავს აღიქვამენ თავისი საზოგადოების კულტურის ხელოვანად და შემქმნელად. მთელს სამყაროში სულ უფრო იზრდება ავტონომიისა და, იმავე დროს, პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც კაცობრიობის სულიერი და ზნეობრივი სიმწიფისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ სამყაროს გაერთიანებასა და ჩვენს მოვალეობას, რომელიც ჭეშმარიტებასა და სამართალში უკეთესი სამყაროს შენებას გულისხმობს. ამგვარად, ჩვენ ვართ ახალი ჰუმანიზმის გაჩენის მოწმენი, სადაც ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს მისი მოვალეობა თავისი ძმებისა და ისტორიის წინაშე.

56. *(სირთულეები და მოვალეობები)*. გასაკვირი არ არის, რომ ამ პირობებში ადამიანი, რომელიც კულტურის პროგრესის მიმართ თავის მოვალეობას გრძნობს, ამაღლებული იმედით საზრდოობს. ამასთანავე, ის მღელვარებით შეჰყურებს მრავალ წინააღმდეგობას, რომელიც თავად უნდა გადაწყვიტოს.

რა უნდა გაკეთდეს, რომ კულტურული ურთიერთგაცვლის ზრდით, რომელმაც სხვადასხვა ჯგუფი და ქვეყანა ჭეშმარიტ და ნაყოფიერ დიალოგამდე უნდა მიიყვანოს, არ დაირღვას საზოგადოებათა ცხოვრება, არ მოისპოს წინაპართა სიბრძნე, საფრთხე არ შეექმნას ამა თუ იმ ხალხის თავისთავადობას?

როგორ უნდა შეეწყოს ხელი ახალი კულტურის დინამიზმსა და გავრცელებას და ამასთან ერთად არ გაქრეს ცოცხალი ერთგულება ტრადიციათა მემკვიდრეობის მიმართ? ეს კითხვა განსაკუთრებით მწვავედ იქ ისმის, სადაც მეცნიერების, ხელოვნებისა და ტექნიკის გრანდიოზული პროგრესის შედეგად წარმოქმნილი კულტურა უნდა შეეთანხმოს იმ სულიერ კულტურას, რომელიც საზრდოობს სხვადასხვა ტრადიციის შესაბამისი კლასიკური მემკვიდრეობით.

როგორ შეიძლება ცალკეულ დისციპლინათა ასეთი სწრაფი და პროგრესირებადი დანაწევრება შეეთანხმოს მათ სინთეზს, აგრეთვე ადამიანში ჭვრეტისა და გაკვირვების უნარის შენარჩუნებას, რაც სიბრძნის წინაპირობა არის?

რა უნდა გაკეთდეს, რომ ყველა ადამიანი სამყაროში კულტურულ სიკეთეთა მონაწილე იყოს, როცა რჩეულთა კულტურა სულ უფრო ამაღლებული და რთული ხდება?

და ბოლოს, როგორ უნდა მივიჩნიოთ კანონიერად ავტონომია, რომლის პრეტენზიაც აქვს კულტურას, ისე, რომ წმიდა მინიერ ჰუმანიზმად არ იქცეს და, მითუმეტეს, რელიგიას არ დაუპირისპირდეს?

ამ ანტინომიათა შუაგულში დღეს ისე უნდა ვითარდებოდეს ადამიანური კულტურა, რომ მან მთელი ადამიანური პიროვნება ჰარმონიულად გაზარდოს და დაეხმაროს ადამიანებს იმ მოვალეობათა შესრულებაში, რომლისკენაც ყველაა მოწოდებული, უპირველეს ყოვლისა კი - ქრისტეს ერთგულები, ძმურად გაერთიანებულნი ერთ ადამიანურ ოჯახად.

ქვეთავი II

ზოგიერთი პრინციპი კულტურის განვითარებასთან დაკავშირებით

57. (რწმენა და კულტურა). ქრისტეს ერთგულები, ზეციური ქალაქისკენ მსხემობაში, ზეცისას უნდა ეძიებდნენ და ზრახვიდნენ.¹²⁰ ამის შედეგად არა თუ მცირდება, არამედ იზრდება მათი ფუნქციის მნიშვნელობა, რომლის მიზანია ყველა ადამიანთან თანამშრომლობა და, ამის საფუძველზე, უფრო ჰუმანური სამყაროს აშენება. სწორედ ქრისტიანული რწმენის საიდუმლოება მათ განსაკუთრებულად შთააგონებს და ხელს უწყობს, რომ ეს ფუნქცია უფრო გულმოდგინედ შეასრულონ და, რაც მთავარია, გაშალონ იმ საქმიანობის სრული მნიშვნელობა, რომლის წყალობით ადამიანური კულტურა მთლიანად ადამიანის მოწოდების განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს.

როცა ადამიანი თავისი ხელით ან ტექნიკური საშუალებებით ამუშავებს მიწას, რათა მან ნაყოფი გამოიღოს და მთელი ადამიანური ოჯახის ღირსეულ სამკვიდროდ იქცეს, და როცა ადამიანი შეგნებულად იღებს მონაწილეობას სოციალურ ჯგუფთა ცხოვრებაში, მაშინ ის ასრულებს ღმრთის განზრახვას, დასაბამშივე გამოცხადებულს, მიწის დაუფლებასა¹²¹ და ქმნილების სრულყოფასთან დაკავშირებით, და საკუთარ თავსაც ზრდის. ამავე დროს, ის იცავს ქრისტეს დიდ მცნებას, რომლის თანახმად თავი უნდა მისცე ძმათა სამსახუროდ.

გარდა ამისა, როცა ადამიანი სწავლობს სხვადასხვა დისციპლინას (ფილოსოფია, ისტორია და მათემატიკური მეცნიერებანი, ბუნებისმეტყველება) და ხელოვნებას მისდევს, მას მაქსიმალურად შეუძლია ხელშეწყობა იმისთვის, რომ ადამიანების ოჯახი ავიდეს ჭეშმარიტების, სიკეთისა და მშვენიერების უფრო ამაღლებულ გაგებამდე და საყოველთაო ღირებულების განსჯამდე, და ამგვარად უფრო ნათლად გაბრწყინდეს განსაცვიფრებელი სიბრძნით, რომელიც საუკუნითგან ღმერთთან იყო, ყველაფერს მასთან ერთად აწყობდა, დედამიწის ზურგზე ლაღობდა და ღმრთის შვილებთან ყოფნით ხარობდა.¹²²

ამით ადამიანის სულს, საგანთა მონობისგან უფრო მეტად განთავისუფლებულს, უფრო ადვილად შეუძლია ამაღლდეს შემოქმედის თაყვანისცემასა და ჭვრეტამდე. მეტიც: იგი მზადაა, მაღლის შემოქმედებით, ღმრთის სიტყვა შეიცნოს, რომელიც განხორციელდა, რათა ყველა გამოეხსნა და თავის თავში შეეკრიბა (in Se recapitulanda), თუმცა განხორციელებამდეც იგი უკვე იყო სამყაროში, როგორც „ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა“ (იოან. 1, 9).¹²³

120 შდრ. კოლ. 3, 1-2.

121 შდრ. დაბ. 1, 28.

122 შდრ. იგავ. 8, 30-31.

123 შდრ. S. IRENAEUS, *Adv. Haer.* III, 11, 8; SAGNARD, *Sources chr.*, p. 200; შდრ. იქვე, 16, 6: pp. 290-292; 21, 10-22: pp. 370-372; 22, 3: p. 378, etc.

რა თქმა უნდა, დღევანდელ პროგრესს მეცნიერებისა და ტექნიკისა (თავისი მე-თოდის გამო ისინი საგანთა სიღრმეებს ვერ სწვდებიან) შეუძლია ხელი შეუწყოს ერთგვარ ფენომენალიზმსა და აგნოსტიციზმს. ეს ხდება მაშინ, როცა ამ დისციპლინების მიერ გამოყენებულ კვლევის მეთოდებს უმართებულოდ მიმართავენ როგორც მთელი ჭეშმარიტების კვლევის უზენაეს წესს. გარდა ამისა, არსებობს საშიშროება, რომ ადამიანს, რომელიც მეტისმეტად ენდობა დღევანდელ გამოგონებებს, თვითკმარობის გრძნობა დაეუფლება და იგი კიდევ უფრო დიდი სიმალღეების დაპყრობას აღარ შეეცდება.

და მაინც, სულაც არ არის აუცილებელი, რომ დღევანდელ კულტურას შედეგად ასეთი არასასურველი რამ მოჰყვეს. ამიტომ ნუ ავყვებით მისი დადებითი ღირებულებების უარყოფის ცთუნებას. ამ ღირებულებათა შორის აღსანიშნავია შემდეგი: მეცნიერებათა შესწავლა და სამეცნიერო კვლევებში ჭეშმარიტების მიმართ ურყევი ერთგულება; ტექნიკურ ჯგუფებში სხვებთან ერთად ერთობლივი მუშაობის აუცილებლობა; საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობა; სწავლულთა სულ უფრო მეტად გაცხოველებული პასუხისმგებლობა ადამიანთა წინაშე, მათთვის დახმარების განეცხადება და მათი დაცვის მიზნით; ნება, მიმართული ყველასთვის უფრო ხელსაყრელი ცხოვრების პირობების შესაქმნელად, უპირველეს ყოვლისა კი მათთვის, ვინც თავის თავზე პასუხს ვერ აგებს ან კულტურის სიღატაკის გამო იტანჯება. ყოველივე ეს ნიშნავს ერთგვარ მზადებას სახარების უწყების მისაღებად, რომლის აღსრულება საღმრთო სიყვარულით შეიძლება: მისი სიყვარულით, ვინც მოვიდა, რათა სამყარო იხსნას.

58. *(კავშირთა მრავალსახეობა ქრისტეს კეთილ უწყებასა და ადამიანურ კულტურას შორის)*. გამოხსნის უწყებასა და ადამიანურ კულტურას შორის მრავალი კავშირი არსებობს. როცა ღმერთი, განხორციელებულ ძეში სრულ გამოჩენამდე თავის ერს გამოეცხადებოდა, იგი იმ კულტურის შესაბამისად ლაპარაკობდა, რომელიც სხვადასხვა ეპოქის კუთვნილებაა.

ეკლესიაც, დროთა მსვლელობაში სხვადასხვა პირობებში მყოფი, სარგებლობდა სხვადასხვა კულტურის მონაპოვრით, რათა თავის ქადაგებაში ქრისტეს უწყება ყველა ხალხისთვის მიეწოდებინა და განემარტა, გამოეკვლია და ღრმად გაეაზრებინა, აგრეთვე ლიტურგიულ მსახურებასა და ერთგულთა მრავალფეროვანი საკრებულოს ცხოვრებაში ის უკეთ გამოეხატა.

ამავე დროს, ეკლესია, ყველა დროისა და ქვეყნის ხალხებთან მივლინებული, არ არის საგანგებოდ და ურღვევად დაკავშირებული რომელიმე რასასა თუ ერთან, რაიმე განსაკუთრებული ტიპის ზნესთან, ან ძველსა თუ ახალ ჩვეულებასთან. იგი თავისი ტრადიციის ერთგული არის და, იმავე დროს, თავისი მისიის უნივერსალობას აცნობიერებს: მას სხვადასხვა ფორმის კულტურებთან ურთიერთობაში შესვლა შეუძლია, ეს კი ორივესთვის სასარგებლოა: როგორც ეკლესიისთვის, ასევე კულტურებისთვის.

ქრისტეს კეთილი უწყება განუწყვეტლივ განაახლებს დაცემული ადამიანის ცხოვრებასა და კულტურას. ის ებრძვის და თავიდან გვაცილებს შეცდომებსა და ბოროტებას - ცოდვით ცთუნების მუდმივი საფრთხის შედეგს. ის განუზრელად განწმედს და აღამაღლებს ხალხთა ზნეს. უზენაესი სიმდიდრით, თითქოსდა შიგნიდან, ის ანაყოფიერებს, განამტკიცებს, სრულყოფს და ქრისტეში აღადგენს ნებისმიერი ერისა და ნებისმიერი საუკუნის სულიერ მშვენიებასა და ნიჭს.¹²⁴ ამგვარად, ეკლესია, თავისი ფუნქციის შესრულებისას,¹²⁵ უკვე თავისთავად ავითარებს და ხელს უწყობს ადამიანურ და სამოქალაქო კულტურას. მისი ქმედება, მათ შორის ლიტურგიული, ადამიანს შინაგანი თავისუფლებისთვის აღზრდის.

124 შდრ. ეფეს. 1, 10.

125 შდრ. verba PII XI as R. P. M.-D. Roland-Gosselin: *Semaines sociales de France*, Versailles, 1936, pp. 461-462.

59. (ადამიანური კულტურის ფორმების სხვადასხვა საწყისები). ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო, ეკლესია ყველას მოაგონებს, რომ კულტურა უნდა განვიხილოთ მთლიანად პიროვნების სრულყოფასთან, საზოგადოებისა და მთელი კაცობრიობის სიკეთესთან მიმართებაში. ამიტომ სული ისე უნდა აღიზარდოს, რომ განვითარდეს განცვიფრების, შინაგანი ხედვის, ჭკრეტისა და საკუთარი შეხედულების შემუშავების უნარი, აგრეთვე აღიზარდოს რელიგიური, ზნეობრივი და სოციალური გრძობა.

კულტურას, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს ადამიანის გონისმიერი და სოციალური ხასიათიდან, განუწყვეტლივ სჭირდება სამართლიანი თავისუფლება საკუთარი განვითარებისა და, კანონიერების ფარგლებში, დამოუკიდებელი, საკუთარი პრინციპის შესაბამისი ქმედებისათვის. ამიტომ კულტურა სამართლიანად მოითხოვს პატივისცემას და სარგებლობს ერთგვარი ხელშეხლებლობით, იმ პირობით, რომ შენარჩუნებულია პიროვნებისა და საზოგადოების უფლებები, როგორც კერძო, ასევე საყოველთაო, საერთო სიკეთის ფარგლებში.

წმიდა კრება მოგვაგონებს იმას, რაც გვასწავლა პირველმა ვატიკანის კრებამ, და განაცხადებს, რომ უნდა განვასხვავოთ „შემეცნების ორი სახე“, ანუ შემეცნება რწმენით და შემეცნება განსჯით. ის აგრეთვე განაცხადებს, რომ ეკლესია, რა თქმა უნდა, არ კრძალავს, რომ „ადამიანის ხელოვნებამ და კულტურის დისპიპლინებმა... თავის სფეროში საკუთარი პრიციპები გამოიყენოს და საკუთარი მეთოდით ისარგებლოს.“ ამიტომ, „ამ სამართლიანი თავისუფლების აღიარებით,“ ეკლესია ამტკიცებს ადამიანური კულტურისა და, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერებათა ლეგიტიმურ ავტონომიას.¹²⁶

ყოველივე ეს მოითხოვს იმასაც, რომ ადამიანს, ზნეობრივი ნორმებისა და საზოგადო სარგებლის დაცვის პირობებში, თავისუფლად შეეძლოს ჭეშმარიტების ძიება, თავისი შეხედულების გამოხატვა და გავრცელება. მას ასევე უნდა შეეძლოს, გაჰყვეს ნებისმიერი სახის ხელოვნების დარგს და, საბოლოო ჯამში, ხელი მიუწვდებოდეს საჯარო მოვლენების შესახებ ჭეშმარიტ ინფორმაციასზე.¹²⁷

რაც შეეხება საჯარო ხელისუფლებას, მისი საქმეა არა ადამიანური კულტურის ფორმათა თავისებურების განსაზღვრა, არამედ ისეთი პირობებისა და დახმარების უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურული ცხოვრების ყველას სასიკეთოდ განვითარებას, მათ შორის ამა თუ იმ ქვეყნის უმცირესობებისთვის.¹²⁸ ამიტომ პირველ რიგში აუცილებელია ვიზრუნოთ იმისათვის, რომ კულტურა არ ასცდეს საკუთარ მიზანს და არ იყოს იძულებული ემსახუროს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალებს.

ქვეთავი III

ქრისტიანთა ზოგიერთი აუცილებელი მოვალეობა კულტურასთან მიმართებაში

60. (კულტურასთან ზიარების უფლება ყველას აქვს და ეს უფლება რეალურად უნდა განხორციელდეს). ახლა არის იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანთა უმეტესობამ თავის დააღწიოს უცოდინარობის სიდუხჭირეს. ამიტომ თანამედროვეობის, უპირველეს ყოვლისა კი ქრისტიანების ყველაზე შესაფერისი ამოცანაა, გულმოდგინედ იმუშაონ როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ სფეროში, ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე, რათა მიღებულ იქნას ფუნდამენტური გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზე საყოველთაოდ იქნება აღიარებული და რეალურად განხორციელებული ყველას უფლება ადამიანურ და სამოქალაქო კულტურაზე, პიროვნების ღირსებასთან შესაბამისობაში, ყოველგვარი რასობრივი, სქესობრივი, ეროვნული და რელიგიური დისკრიმინაციის გარეშე, აგრეთვე სოციალური პოზი-

126 CONC. VAT. I, Const. dogm. *De fide cath.*, cap. IV: DENZ. 1975, 1799 (3015, 3019). – Cf. PIUS XI, encycl. *Quadragesimo Anno*: AAS 23 (1931), p. 190.

127 IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*: AAS 55 (1963), p. 260.

128 IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*: AAS 55 (1963), p. 283. – PIUS XII, nuntius radioph., 24 dec. 1941: AAS 34 (1942), pp. 16-17.

ციის განურჩევლად. ამიტომ ყველა უზრუნველყოფილი უნდა იყოს კულტურული ღირებულებათა საკმარისი ოდენობით, უპირველეს ყოვლისა კი ყველა უნდა იყოს ზიარებული იმას, რასაც ე.წ. ფუნდამენტური კულტურა წარმოადგენს, რათა წერაკითხვის უცოდინარობის გამო და საპასუხისმგებლო ქმედითობას მოკლებული მრავალი ადამიანი არ მოსწყდეს საერთო სიკეთეზე მიმართულ ჭეშმარიტ ჰუმანურ თანამშრომლობას.

ამგვარად, უნდა ვეცადოთ, რომ ადამიანებს, რომლებსაც სათანადო მონაცემები აქვთ, შესაძლებლობა ჰქონდეთ უფრო მაღალი დონის კვლევა აწარმოონ, ისე, რომ მათ საზოგადოებაში შეძლებისდაგვარად ის ფუნქციები, მოვალეობები და სამსახური იტვირთონ, რომლებიც მათ ნიჭსა და შეძენილ გამოცდილებას შეესაბამება.¹²⁹ ასე შეძლებს ნებისმიერი ადამიანი და ნებისმიერი ერის სოციალური ჯგუფი მიაღწიოს თავისი კულტურული ცხოვრების სრულ განვითარებას, თავისი ნიჭისა და ტრადიციების შესაბამისად.

საჭიროა აგრეთვე მუშაობა იმაზე, რომ ყველამ გააცნობიეროს, რომ აქვს უფლება ეზიაროს კულტურას, და, რომ იმავე დროს მოვალეა, თავად განვითარდეს და სხვებს დაეხმაროს. ცხოვრებისა და მუშაობის პირობები ხშირად აფერხებს ადამიანთა კულტურულ მისწრაფებებს და მათში კულტურისადმი მიდრეკილებას ასუსტებს. გარკვეული მიზეზების გამო ეს ეხება გლეხებსა და მუშებს, რომლებსაც მუშაობის ისეთი პირობები უნდა შეეუქმნათ, რომლებიც მათ კულტურას კი არ დააქვეითებს, არამედ პირიქით, მას ხელს შეუწყობს. ქალები უკვე მუშაობენ ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ამიტომ მათ თავისი როლი საკუთარი შესაძლებლობის შესაბამისად სრულად უნდა შეასრულონ. ყველას ამოცანა ის იქნება, რომ აღიარონ ქალების სპეციფიური და აუცილებელი მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში და მას ხელი შეუწყონ.

61. *(ადამიანის საერთო კულტურაზე მიმართული განათლება)*. დღეს უფრო ძნელია, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა, შემეცნების სხვადასხვა დისციპლინისა და ხელოვნების სინთეზში მოყვანა. კულტურის შემადგენელი ელემენტების სიმრავლისა და მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად მცირდება ცალკეული ადამიანის უნარი, შეძლონ მათი წვდომა და ორგანულად ერთმანეთთან დაკავშირება. ასე სულ უფრო და უფრო ქრება „უნივერსალური ადამიანის“ სახე. და მაინც, თითოეული ადამიანის მოვალეობად კვლავ რჩება მთელი ადამიანური პიროვნების შინაარსის შენარჩუნება. ამ დროის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გონების, ნების, სინდისისა და ძმობის ღირებულებები. მათი საფუძველი შემოქმედ ღმერთში ძევს, ხოლო მათი გაჯანსაღება (*sanati*) და ამაღლება განსაცვიფრებლად მოხდა ქრისტიეში.

ასეთი აღზრდის, ასე ვთქვათ, დედა და ძიძა, უპირველეს ყოვლისა, არის ოჯახი, რომელშიც ბავშვები, სიყვარულით გარემოცულნი, უფრო ადვილად ეუფლებიან ღირებულებების სწორ ნებს, ხოლო ადამიანური კულტურის გამოცდილი ფორმები თითქოსდა ბუნებრივად გადაეცემა მოზარდი ახალგაზრდობის სულებს.

დღევანდელი საზოგადოებები იძლევა ასეთი განათლების შესაძლებლობას, უპირველეს ყოვლისა, ნიგნების გავრცელების ზრდისა და კომუნიკაციის ახალი კულტურული და სოციალური საშუალებების არსებობის საფუძველზე, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს უნივერსალური კულტურის განვითარებას. მართლაც, სამუშაო დრო ბევრგან მცირდება, ამიტომ მრავალ ადამიანს ემქნება მეტი კომფორტის შესაძლებლობა. სულის რელაქსაციისა და გონებისა და სხეულის გაჯანსაღების მიზნით დასვენება სწორად უნდა იყოს გამოყენებული. ამისთვის საჭიროა თავისუფალი საქმიანობა და მეცადინება, სხვა ქვეყნებში მოგზაურობა (ტურიზმი ხვეწს გონებას, ხოლო ადამიანები ურთიერთგაცნობით მდიდრდებიან), აგრეთვე სპორტული ვარჯიში და სანახაობები, რაც ხელს უწყობს სულიერ წონასწორობას, როგორც პიროვნულს, ასევე საზოგადოებისას, აგრეთვე ემსახურება ძმური ურთიერთობების დამყარებას სხვადასხვა მდგომარეობის, ეროვნებისა თუ რასის ადამიანებს შორის.

129 შტრ. IOANNES XXIII, *encycl. Pacem in terris*: AAS 55 (1963), p. 260.

ქრისტეს ერთგულებმა უნდა ითანამშრომლონ, რათა კულტურის მოვლენები და კოლექტიურული ღონისძიებები, რომლებსაც ჩვენს დროში აქვს ადგილი, ადამიანური და ქრისტიანული სულით განიმსჭვალოს.

მაგრამ ყველა ეს უპირატესობა ვერ უზრუნველყოფს ადამიანის განათლების სრულყოფილ განვითარებას, თუ უგულებელვყოფთ ძირეულ შეკითხვებს ადამიანის პიროვნებისთვის კულტურისა და მეცნიერების მნიშვნელობის შესახებ.

62. *(კულტურასა და ქრისტიანობას შორის თანხმობა)*. ეკლესიამ დიდად შეუწყო ხელი კულტურის პროგრესს. და მაინც, გამოცდილება აჩვენებს, რომ კულტურასა და ქრისტიანობას შორის თანხმობას ხშირად გარკვეული მიზეზების გამო სირთულეები ახლავს.

აუცილებელი არ არის, რომ ამ სირთულეებმა სარწმუნოებრივ ცხოვრებას ზიანი მიაყენოს. პირიქით: მათ შეიძლება გონებას უბიძგოს რწმენის უფრო ზუსტი და ღრმა გაგებისაკენ. მართლაც, მეცნიერებათა დარგში, აგრეთვე ისტორიისა და ფილოსოფიის სფეროში წარმოებულმა უკანასკნელმა გამოკვლევებმა და აღმოჩენებმა ახალი შეკითხვები დაბადა, რომლებიც ცხოვრებისთვისაც მნიშვნელოვან დასკვნებს შეიცავს და თეოლოგებისგანაც ახალ კვლევას მოითხოვს. გარდა ამისა, თეოლოგების ამოცანაა, საკუთრივ თეოლოგიური მეცნიერების მეთოდებისა და მოთხოვნილებების დაცვით, მუდამ ეძიონ უფრო ფართო საშუალებები იმისათვის, რომ თანამედროვენი მოძღვრებას აზიარონ; რადგან ერთია რწმენის საუნჯე (*depositum*) ანუ ჭეშმარიტებანი, და სხვა არის ის საშუალებები, რომლებიც მათ გამოხატავს, თუმცა მნიშვნელობა და შინაარსი ერთი და იგივე უნდა იყოს.¹³⁰ სამღვდლო საქმიანობაში (*in cura pastoralis*) სათანადოდ უნდა იყოს აღიარებული და გამოყენებული არა მარტო თეოლოგიური საფუძვლები, არამედ საერო მეცნიერებათა აღმოჩენებიც, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის, რათა ერთგულნიც უფრო წმინდა და მოწიფულ სარწმუნოებრივ ცხოვრებას დაადგენ.

თავისებურად ლიტერატურასა და ხელოვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკლესიის ცხოვრებისთვის. ისინი ხომ ცდილობენ ჩასწვდნენ ადამიანის არსს, მის პრობლემებსა და მის გამოცდილებას როგორც საკუთარი თავის, ასევე სამყაროს შემეცნებისა და სრულქმნის საქმეში; იღწვიან იმისთვის, რომ ცხადი გახადონ მისი ადგილი ისტორიასა და სამყაროში, ნათელი მოჰფინონ ადამიანთა სილატაკესა და სიხარულს, მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს, დასახონ ადამიანის უკეთესი მომავალი. ამგვარად, მათ ძალუძს აღამაღლონ ადამიანის ცხოვრება, რომელსაც, დროისა და ადგილის შესაბამისად, სხვადასხვა ფორმათა საშუალებით წარმოაჩენენ.

ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ხელოვნების მუშაკებმა იგრძნონ, რომ ეკლესია მათ საქმიანობას აღიარებს. დაე, მათ სათანადო თავისუფლება გააჩნდეთ და უფრო ადვილად დაამყარონ კავშირი ქრისტიანულ საკრებულოსთან. დაე, ეკლესიამ სცნოს ხელოვნების ახალი ფორმები, რომლებიც შეეფერება ჩვენს თანამედროვეთ, ერთა და ქვეყანათა თავისებურების შესაბამისად. დაე, ისინიც მიღებულ იქნან ტაძარში, თუ მათი გამოხატვის ფორმა, ენობა და შეესაბამება ლიტურგიის მოთხოვნილებების და, მათთან შეწყობილი, გონებას ღმრთისკენ მიმართავს.¹³¹

ასე უკეთ განცხადდება ღმრთის ცნება (*notitia Dei*) და ადამიანთა გონებისთვის უფრო გასაგები ხდება სახარების ქადაგება: ის მათი არსებობის ორგანულ ნაწილად გამოიყურება.

დაე, ერთგულებმა სხვა თანამედროვეებთან ერთადაც უფრო მჭიდრო ურთიერთობაში იცხოვრონ და შეეცადონ, სრულყოფილად სწვდნენ მათი აზროვნებისა და გრძნობის სახეებს, კულტურის მეშვეობით გამოხატულს. დაე, შეურწყან ახალ მეც-

130 შდრ. IOANNES XXIII, *Oratio*, წარმოთქმული 1962 წლის 11 ოქტომბერს, კრების გახსნილას: AAS 54 (1962), p. 792.

131 შდრ. CONST. *de sacra Liturgia*, n. 123. – PAULUS VI, *discorso agli artisti romani*, 7 maii 1964: AAS 56 (1964), pp. 439-442.

ნიერებათა და მოძღვრებათა, აგრეთვე ახალ გამოგონებათა ცოდნა ქრისტიანულ ზნეებსა და ქრისტიანული მოძღვრების სწავლებას, რათა მათთან რელიგიური ცხოვრება (cultus) და სულის სინრფელე მეცნიერებათა ცოდნასა და ტექნიკის ყოველდღიურ წინსვლასთან ერთად ვითარდებოდეს. ასე შეძლებენ ისინი ყველა მოვლენის ნამდვილად ქრისტიანული გაგებით შეფასებასა და ინტერპრეტაციას.

ვინც საღმრთისმეტყველო დისციპლინებს სემინარიებსა და უნივერსიტეტებში მისდევს, უნდა ეცადოს, ერთობლივი ძალებითა და აზრთა ურთიერთგაცვლის საფუძველზე ითანამშრომლოს მეცნიერების სხვა დარგებში გამორჩეულ ადამიანებთან. ამასთანავე, თეოლოგიური კვლევის მიზანია, ღრმად ჩასწვდეს გამოცხადებულ ჭეშმარიტებას და არ უგულვებელყოს თავის დროსთან კავშირი, რაც სხვადასხვა დისციპლინაში განსწავლულ ადამიანს რწმენის უფრო სრულყოფილად წვდომას გაუადვილებს. ეს საერთო საქმე დიდად შეუწყობს ხელს ისეთ ღმრთისმსახურთა ჩამოყალიბებას, რომლებიც შეძლებენ ღმრთის, ადამიანისა და სამყაროს შესახებ ეკლესიის მოძღვრება უფრო თანამედროვედ განმარტონ, ისე, რომ თანამედროვენიც უფრო ხალისით მოუსმენენ.¹³² მეტიც: სასურველია, რომ ბევრმა საერო პირმაც სასულიერო დისციპლინებში სათანადო განათლება მიიღოს, მათგან ზოგიერთიც ამ საქმეს პროფესიულად მოეკიდოს და მეტად განავითაროს. ხოლო იმისთვის, რომ მათ თავისი ფუნქციის შესრულება შეძლონ, უნდა ვაღიაროთ, რომ ერთგულებს, როგორც კლერიკებს, ასევე საეროებს, სამართლიანად აქვთ კვლევისა და ძიების თავისუფლება, აგრეთვე შესაძლებლობა თავმდაბლურად და თამამად გამოხატონ ის, რაც მათ იციან.¹³³

თავი III

ეკონომიკურ-სოციალური ცხოვრება

63. *(ეკონომიკური ცხოვრების ზოგიერთი ასპექტი)*. ეკონომიკურ-სოციალურ ცხოვრებაშიც პატივი უნდა ეცეს და ხელი შეეწყოს ადამიანის პიროვნების ღირსებას და მთლიანობაში მის მონოდებას, აგრეთვე მთელი საზოგადოების სიკეთეს. ადამიანი ხომ მთელი ეკონომიკურ-სოციალური ცხოვრების ავტორი, ცენტრი და მიზანი არის.

დღევანდელ ეკონომიკაში, ისევე როგორც სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში, აღინიშნება ბუნებაზე ადამიანის დომინირების ზრდა, უფრო მჭიდრო და ინტენსიური ურთიერთობები და ურთიერთდამოკიდებულება მოქალაქეებს, ჯგუფებსა და ხალხებს შორის, აგრეთვე პოლიტიკური ძალაუფლების უფრო ხშირად ჩარევა. ამავდროს, პროგრესმა წარმოების სფეროში, აგრეთვე პროდუქციისა და მომსახურების ურთიერთგაცვლაში, ეკონომიკა აქცია სათანადო იარაღად იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ადამიანთა ოჯახის მზარდი მოთხოვნილებები.

და მაინც, საკმარისად ბევრი მიზეზი გვაქვს შემოფოთებისთვის. მრავალი ადამიანი, განსაკუთრებით ეკონომიკურად განვითარებულ რეგიონებში, თითქოს ეკონომიკის მიერ არიან დამონებული, ისე რომ თითქმის მთელი მათი პირადი და სოციალური ცხოვრება ერთგვარი ეკონომიზმის სულით არის გამსჭვალული. ეს ეხება იმ ქვეყნებს, რომლებიც კოლექტივისტურ ეკონომიკას მფარველობს და ეხება სხვებსაც. სწორედ იმ მომენტში, როცა ეკონომიკური ცხოვრების ზრდა, მისი რაციონალურად და ჰუმანურად წარმართვისა და კოორდინაციის პირობებში, შეძლებდა სოციალური უთანასწორობების შემცირებას, მას, პირიქით, ხშირად მათი გამწვავება მოსდევს, რაც აქა-იქ გადაიზრდება უძლურთა სოციალურ პირობათა გაუარესებასა და ლატაკთა უგულვებელყოფაში. დღემდე ძალიან ბევრი ადამიანი მოკლებულია აუცილებლობის საგნებს, მაშინ როცა სხვები (მათ შორის ნაკლებად განვითარებულ რეგიონებშიც) მდიდრულად ცხოვრობენ და ქონებას ფლანგავენ. სიმდიდრე და სილატაკე თანაარსებობს. როცა ცოტას აქვს გადანყვევტილების მიღების თავისუ-

132 შდრ. CONC. VAT. II, Decr. de institutione sacerdotali et de educatione christiana.

133 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 37.

ფლება, ბევრი თითქმის საერთოდ მოკლებულია შესაძლებლობას, საკუთარი ინიციატივითა და პასუხისმგებლობით იმოქმედოს, და ხშირად ცხოვრებისა და მუშაობის ისეთ პირობებში ხვდება, რომელიც ადამიანის პიროვნების საკადრისი არ არის.

ეკონომიკური და სოციალური ნონასწორობის მსგავსი დარღვევები გვხვდება სოფლის მეურნეობის, ინდუსტრიისა და მომსახურების სფეროებში, აგრეთვე ერთი და იგივე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებსა და დანარჩენ ქვეყნებს შორის სულ უფრო ძლიერი დაპირისპირება ვლინდება, რომელსაც შეუძლია, საფრთხის წინაშე დააყენოს მსოფლიო მშვიდობა.

ჩვენი თანამედროვენი სულ უფრო და უფრო ცოცხლად აცნობიერებენ ამ უთანასწორობებს. ისინი ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ უფრო ფართო ტექნიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს, რომლებიც დღევანდელ სამყაროს ახასიათებს, შეუძლია ამ სავალალო ვითარების გამოსწორება, და ეს კიდევ უნდა მოხდეს. მაგრამ ამისთვის მრავალი რეფორმაციაა საჭირო ეკონომიკურ-სოციალურ ცხოვრებაში; გარდა ამისა, ყველას ცნობიერება და ჩვევა უნდა შეიცვალოს. ამისთვის ეკლესია საუკუნეთა განმავლობაში სახარების შუქზე ამუშავებდა (*exaravit*) და აცხადებდა (განსაკუთრებით უკანასკნელ დროს) სამართლისა და თანასწორობის პრინციპებს, რომლებსაც საღი აზრი მოითხოვს, როგორც კერძო თუ საზოგადოებრივი, ასევე საერთაშორისო ცხოვრებისთვის. წმიდა კრება განიზრახავს, განამტკიცოს ეს პრინციპები ჩვენი დროის გარემოებათა შესაბამისად და ზოგიერთი მითითება მოგვცეს, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური პროგრესის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.¹³⁴

ქვეთავი I **ეკონომიკური პროგრესი**

64. (*ეკონომიკური პროგრესი ადამიანის სამსახურში*). დღეს უფრო მეტად, ვიდრე უწინ, მოსახლეობის მატებასთან დაკავშირებით და კაცობრიობის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სამართლიანად ცდილობენ გაზარდონ სოსოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქცია, აგრეთვე მომსახურების სფერო. ამიტომ ხელი უნდა შეეწყოს ტექნიკურ პროგრესს, ნოვაციის სულს, შემოქმედებით წამოწყებასა და წინსვლისკენ მისწრაფებას, წარმოების სათანადო მეთოდის შემუშავებას, აგრეთვე მათ მცდელობას, ვინც წარმოების სფეროში მონაწილეობს: ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც ამ პროგრესს ემსახურება. ასეთი წარმოების ძირითადი მიზანი არის არა უბრალოდ წარმოების ზრდა, არა მოგება ან ძალაუფლება, არამედ ადამიანისთვის სამსახურის განევა, ადამიანისათვის მთლიანობაში. გასათვალისწინებელია როგორც მისი მატერიალური საჭიროებანი, ასევე მისი ცხოვრების ინტელექტუალური, ზნეობრივი, სულიერი და რელიგიური მოთხოვნილებები. ეს ეხება ყველა ადამიანს და ადამიანთა ყველა ჯგუფს, ნებისმიერი რასისა თუ ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელს. ამიტომ ეკონომიკური საქმიანობა უნდა წარმოებდეს შესაბამისი მეთოდებისა და კანონების თანახმად, ზნეობრივი კანონების ფარგლებში,¹³⁵ რათა აღსრულდეს ადამიანის მიმართ ღმრთის განზრახვა.¹³⁶

65. (*ეკონომიკური პროგრესი ადამიანის ზედამხედველობით*). ეკონომიკური პროგრესი ადამიანის ზედამხედველობით უნდა წარიმართოს. ის არ უნდა იქნას მინდობილი იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც იღებენ მცირერიცხოვანი ადამიანები, ეკონომიკურად განსაკუთრებით ძლიერი ჯგუფები, ან მხოლოდ პოლიტიკური საზოგადოება, ან ყველაზე მძლავრი ქვეყნები. პირიქით: საჭიროა, რომ ეკონომიკუ-

134 შდრ. PIUS XII, nuntius 23 martii 1952: AAS 44 (1952), p. 273. – IOANNES XXIII, allocutio ad A.C.L.L., 1 maii 1959: AAS 51 (1959), p. 358.

135 შდრ. PIUS XI, encycl. *Quadragesimo anno*: AAS 23 (1931), pp. 190 ss. – PIUS XII, nuntius, 23 martii 1952: AAS 44 (1952), pp. 276 ss. – IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*: AAS 53 (1961), p. 450 – CONC. VAT. II, Decr. *de Instrumentis communicationis socialis*, n. 6.

136 შდრ. მათ. 16, 26; ლუკ. 16, 1-31; კოლ. 3, 17.

რი პროგრესის წარმართვაში ნებისმიერ დონეზე რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა, ხოლო იქ, სადაც საქმე საერთაშორისო ურთიერთობებს ეხება, ამ საქმეში ყველა ქვეყანა უნდა ჩაერთოს. ასევე აუცილებელია, რომ ცალკეულ ადამიანთა და თავისუფალ გაერთიანებათა სპონტანური საქმიანობა კოორდინირებული იყოს საჯარო ხელისუფლების წამოწყებებთან, მას სათანადოდ ესადაგებოდეს და შეესაბამებოდეს.

განვითარება არ უნდა დავტოვოთ მხოლოდ ცალკეულ პირთა ან მხოლოდ საჯარო ხელისუფლების ეკონომიკური საქმიანობის მდინარების (ზოგჯერ მექანიკურის) ამარა. საჭიროა იმ მოძღვრებათა შეცდომების გამოვლენა, რომლებიც ცრუ თავისუფლების სახელით აუცილებელ გარდაქმნებს ენინააღმდეგება, ისევე როგორც ისინი, რომლებიც ცალკეულ პირთა და ჯგუფთა ძირეულ უფლებებს წარმოების კოლექტიურ ორგანიზაციას უქვემდებარებს.¹³⁷

გარდა ამისა, მოქალაქეებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი უფლება და მოვალეობა (რომელიც სამოქალაქო ხელისუფლებამაც უნდა სცნოს), შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყონ თავისი საზოგადოების ჭეშმარიტ პროგრესს. უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონებში, სადაც ყველა საშუალება სასწრაფოდ უნდა იქნეს გამოყენებული, საზოგადო კეთილდღეობას განსაკუთრებით ისინი ემუქრებიან, ვინც თავის უნაყოფო ქონებას მალავს ან -მიგრაციის პიროვნული უფლების არსებობის პირობებში - საზოგადოებას მისთვის აუცილებელ მატერიალურ თუ სულიერ დახმარებას არ უწევს.

66. *(განსაკუთრებით დიდი სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებების მოხსნა).* სამართლიანობისა და თანასწორობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საჭიროა გულმოდგინედ ვეცადოთ, პიროვნებათა უფლებებისა და თითოეული ერისთვის დამახასიათებელი სახის შენარჩუნებით, რაც შეიძლება სწრაფად მოგხსნათ განსაკუთრებით დიდი ეკონომიკური უთანასწორობები. ისინი დაკავშირებულია ინდივიდუალურ და სოციალურ უთანასწორობებთან, რომლებიც დღესაც არსებობს და ხშირ შემთხვევაში მატულობს კიდევ. ამასთანავე, ბევრ რეგიონში, სოფლის მეურნეობისთვის დამახასიათებელი სირთულეების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოებასა და გაყიდვას თან სდევს, დახმარება უნდა გაეწიოს გლეხებს, რათა პროდუქცია გაიზარდოს და გაიყიდოს, განხორციელდეს აუცილებელი გარდაქმნები და განახლებები, მიღებულ იქნას სათანადო შემოსავალი, რათა გლეხები არ დარჩნენ დაბალი რანგის მოქალაქეთა რიგში, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის მუშაკები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ყოველმხრივ უნდა შეეცადონ, სრულყოთ თავისი პროფესიული გამოცდილება, რის გარეშეც სოფლის მეურნეობის წინსვლა შეუძლებელია.¹³⁸

სამართლიანობა და თანასწორობა მოითხოვს, რომ მობილურობა, რომელიც აუცილებელია ეკონომიკის პროგრესისათვის, ისე წარიმართოს, რომ ცალკეული ადამიანებისა და მათი ოჯახების ცხოვრება არ იყოს არამდგრადი და დაუცველი. რაც შეეხება იმ მუშაკებს, რომლებიც სხვა რეგიონიდან წარმოდგებიან და ერისა თუ ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას თავისი მუშაობით ხელს უწყობენ, აქ უთუოდ თავიდან უნდა იქნას აცილებული ყოველგვარი დისკრიმინაცია, რომელიც ანაზღაურებისა თუ მუშაობის პირობებს ეხება. გარდა ამისა, ყველა, უპირველეს ყოვლისა კი საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები, უნდა აღიქვამდნენ მათ არა უბრალოდ წარმოების იარაღად, არამედ პიროვნებებად: ისინი მშრომელებს უნდა ეხმარებოდნენ, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, ოჯახიც თავის გვერდით ჰყავდეთ და შესაფერისი საცხოვრებელი პირობები ჰქონდეთ. ამასთანავე,

137 შდრ. LEO XIII, encycl. *Libertas praestantissimum*, 20 iunii 2888: ASS 20 (1887-1888), pp. 597 ss. – PIUS XI, encycl. *Quadragesimo anno*: AAS 23 (1931), p. 191 ss. – მისივე, *Divini Redemptoris*: AAS 29 (1937), pp. 65 ss. – PIUS XII, nuntius natalicus 1941: AAS 34 (1942), pp. 10 ss. – IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*: AAS 53 (1961), pp. 401-464.

138 სოფლის მეურნეობის პრობლემათა შესახებ იხ. უპირველეს ყოვლისა IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*: AAS 53 (1961), pp. 341 ss.

ხელი უნდა შეეწყოს მათ ინტეგრაციას მიმღები ერისა თუ ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში. ამასთანავე, საჭიროა, რომ სამუშაო ადგილები შეძლებისდაგვარად მათივე რეგიონებში შეიქმნას.

ეკონომიკის სფეროში, რომელიც დღეს ცვლილებებს განიცდის (ასეთია ინდუსტრიული საზოგადოების ახალი ფორმები, სადაც, მაგალითად, ვითარდება ავტომატიზაცია), აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმას, რომ თითოეულს ჰქონდეს საკმარისი და შესაფერისი სამუშაო, აგრეთვე სათანადო ტექნიკური და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა. ამასთანავე, საჭიროა ადამიანის არსებობისა და ღირსების უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა კი მათი, ვინც ავადმყოფობისა თუ ასაკის გამო განსაკუთრებულ სირთულეებს განიცდის.

ქვეთავი II

მთელი ეკონომიკურ-სოციალური ცხოვრების წარმართველი პრინციპები

67. (სამუშაო და სამუშაო პირობები, დასვენება). ადამიანთა სამუშაო, რომელიც დოვლათის წარმოებასა და გაცვლაში, აგრეთვე ეკონომიკური სამსახურის განწევაში ხორციელდება, ეკონომიკური ცხოვრების სხვა ელემენტებს აღემატება, რადგან მათ აქვთ მნიშვნელობა მხოლოდ როგორც სამუშაო იარაღებს.

მართლაც, ეს სამუშაო, საკუთარი ინიციატივითა თუ სხვისი ხელმძღვანელობით შესრულებული, უშუალოდ პიროვნებიდან მომდინარეობს, რომელიც ბუნებას ერთგვარად თავის დაღს ასვამს და მას თავის ნებას უქვემდებარებს. თავისი მუშაობით ადამიანი ჩვეულებრივ თავის თავსა და თავისიანებს ინახავს, უკავშირდება და ემსახურება თავის ძმებს; მას შეუძლია ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლენა და საღმრთო შემოქმედების სრულყოფისათვის ხელშეწყობა. მეტიც: მიგვაჩნია, რომ ღმრთისადმი მიძღვნილი სამსახურით ადამიანი ეზიარება იესო ქრისტეს გამომსყიდველ საქმეს, რომელმაც მუშაობას უზენაესი ღირსება მიანიჭა, როცა ნაზარეთში საკუთარი ხელებით იშრომა. აქედან გამომდინარეობს ორი რამ: ყოველი ადამიანის მოვალეობაა, იმუშაოს კეთილსინდისიერად და, იმავე დროს, ყველას აქვს მუშაობის უფლება. ხოლო საზოგადოების საქმეა, გარემოებათა გათვალისწინებით, თავის მხრივ, დაეხმაროს მოქალაქეებს, რათა მათ დამაკმაყოფილებელი სამუშაოს მოპოვება შეძლონ. და ბოლოს, სამუშაო ისე უნდა იყოს ანაზღაურებული, რომ ადამიანებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, ღირსეულად წარმართონ თავისი და თავისიანების მატერიალური, სოციალური, კულტურული და სულიერი ცხოვრება, თითოეულის მოვალეობისა და პროდუქტიულობის, წარმოების პირობებისა და საზოგადო კეთილდღეობის გათვალისწინებით.¹³⁹

ეკონომიკური მოვლანობა ძირითადად წარმოიქმნება ადამიანთა ერთობლივი მუშაობის შედეგად. ამიტომ უსამართლოა და არაჰუმანური მისი ისე მოწყობა და წარმართვა, რომ რომელიმე მშრომელი დაზარალდეს. მაგრამ ჩვენს დროშიც ხშირად ხდება, რომ მშრომელები საკუთარი ნამუშევრის მსახურებად იქცევიან. ამას ე.წ. ეკონომიკური კანონები არაკეთილად შემთხვევაში არ ამართლებს. ამიტომ ნაყოფიერი მუშაობის მთელი პროცესი უნდა ესადაგებოდეს პიროვნების მოთხოვნილებებსა და მისი ცხოვრების წესს, უპირველეს ყოვლისა მის ოჯახურ ცხოვრებას (რაც ყველაზე მეტად დედებს ეხება); ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული სქესი და ასაკი. გარდა ამისა, მშრომელებს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისი სამუშაოს მეშვეობით განავითარონ თავისი უნარ-ჩვევები და თავისი პიროვნება. ყველა უნდა ცდილობდეს, თავისი საქმე პასუხისმგებლობით აკეთოს, მაგრამ იმავე დროს, მათ უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო დასვენებისა და მოცლისთვის, აგრეთვე ოჯა-

139 შდრ. LEO XIII, encycl. *Rerum Novarum*: ASS 23 (1890-91), pp. 649, 662. – PIUS XI, encycl. *Quadragesimo anno*: AAS 23 (1931), pp. 200-201. – მისივე, encycl. *Divini Redemptoris*: AAS 29 (1937), p. 92. – PIUS XII, nuntius radioph. in pervigilio Natalis Domini 1942: AAS 35 (1943), p. 20. – მისივე, allocutio 13 iunii 1943: AAS 35 (1943), p. 172. – მისივე, nuntius radioph. operariis Hispaniae datus, 11 martii 1951: AAS 43 (1951), p. 215. – IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*: AAS 53 (1961), p. 419.

ხური, კულტურული, საზოგადოებრივი და რელიგიური ცხოვრებისთვის. გარდა ამისა, მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, თავისუფლად წარმართონ თავისი ძალები და პოტენცია, თუ ისინი მოკლებულნი არიან პროფესიულ საქმეში მათი გამოვლენის შესაძლებლობას.

68. *(მონაწილეობა წამოწყებებსა და საერთო ეკონომიკის ორგანიზაციაში. შრომითი კონფლიქტები).* ეკონომიკურ წარმოებაში ერთიანდებიან პიროვნებები, ანუ თავისუფალი და ავტონომიური ადამიანები, ღმრთის ხატად შექმნილნი. ამიტომ საჭიროა ყოველი მათგანის მოვალეობების გათვალისწინება (იგულისხმება როგორც მესაკუთრეები, ასევე ის, ვინც სამუშაოს იძლევა, როგორც ხელმძღვანელები, ასევე აღმასრულებელი მუშაკები) და მართვის საქმეში ერთიანობის შენარჩუნება. ამის საფუძველზე ყველას საშუალება უნდა მიეცეს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს წარმოების მართვაში (curatione),¹⁴⁰ სათანადო ნებსების შესაბამისად. ეკონომიკური და სოციალური პრობლების შესახებ გადანყვეტილების მიღება ხშირად ხდება არა თავად წარმოებაში, არამედ უფრო მაღალი რანგის ინსტიტუციების მიერ, რომლებზეც დამოკიდებულია მშრომელებისა და მათი შვილების მომავალი ბედი. ამიტომ მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ დადგენილებების გამოტანაში, ან უშუალოდ, ან თავისუფლად არჩეული დელეგატების მეშვეობით.

პიროვნების ძირითად უფლებებს უნდა მივაკუთვნოთ მშრომელთა უფლება, თავისუფლად დაარსონ გაერთიანებები, რომლებიც შეძლებენ მათ ადეკვატურად წარმოდგენას და ხელს შეუწყობენ ეკონომიკური ცხოვრების სწორი გზით წარმართვას. ამავე რიგს მიეკუთვნება მშრომელთა უფლება, თავისუფლად მიიღონ მონაწილეობა ამ გაერთიანებათა მოღვაწეობაში, ყოველგვარი რეპრესიების საფრთხის გარეშე, რომელიც მათ ამის გამო შეიძლება შეემთხვათ. ამგვარად მონესრიგებული მონაწილეობის მეშვეობით, რომელიც შერწყმულია ეკონომიკური და სოციალური განათლების პროგრესთან, ადამიანებს სულ უფრო მეტად ექნებათ გაცნობიერებული საკუთარი მოვალეობა თუ ვალდებულება. ამის შედეგად ისინი იგრძნობენ, რომ თავად მონაწილეობენ, საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების შესაბამისად, მთელი ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და საერთო კეთილდღეობის მიღწევის საქმეში.

როცა წარმოიქმნება ეკონომიკურ-სოციალური კონფლიქტები, უნდა ვეცადოთ, მათ მშვიდობიან გადანყვეტას მივალნიოთ. უპირველეს ყოვლისა, ყოველთვის უნდა მივმართოთ მხარეთა შორის გულწრფელ დიალოგს. და მაინც, დღევანდელ პირობებშიც გაფიცვა შეიძლება იყოს აუცილებელი საშუალება (თუნდაც უკიდურესი), რომელსაც მიმართავენ საკუთარი უფლებების დასაცავად და მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნილებების შესასრულებლად. თუმცა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოინახოს გზები, რათა განახლდეს მოლაპარაკებები და დიალოგი, რათა შერიგება მოხდეს.

69. *(მინიერი სიმდიდრე ყოველ ადამიანს არის ეკუთვნის).* მიწა და ყველაფერი, რასაც ის შეიცავს, ღმრთის მიერ ადამიანისა და ერთა სარგებლობისთვის არის განკუთვნილი. შესაბამისად, წარმოებულ სიმდიდრე ყველას უნდა მიუზიდეს, რასაც სამართალი ხელმძღვანელობს, რომელსაც გვერდში სიყვარული უდგას.¹⁴¹ როგორც არ უნდა იყოს საკუთრების ფორმები (ერთა კანონიერ ინსტიტუციებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა გარემოებათა სხვადასხვაობისა და ცვლილების თანახმად ხდება), ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სიმდიდრე ყველასთვის არის განკუთვნილი. ამიტომ ადამიანი, რომელიც ამ სიმდიდრით სარგებლობს, უნდა აც-

140 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*: AAS 53 (1961), pp. 408, 424, 427; გამოთქმა "მართვაში" (in curatione) აღებულია ლათინური ტექსტიდან: encycl. *Quadragesimo anno*: AAS 23 (1931), p. 199. – საკითხის ევოლუციის ასპექტში შდრ. აგრეთვე: PIUS XII, allocutio 3 iunii 1950: AAS 42 (1950), pp. 485-488. – PAULUS VI, allocutio 8 iunii 1964: AAS 56 (1964), pp. 574-579.

141 შდრ. PIUS XII, encycl. *Sertum laetitiae*: AAS 31 (1931), p. 642. – IOANNES XXIII, allocutio consistorialis: AAS 52 (1960), pp. 5-11. – მიხივე, encycl. *Mater et Magistra*: AAS 53 (1961), p. 411.

ნობიერებებს, რომ ნივთები, რომლებსაც ის კანონიერად ფლობს, არა მარტო მისი საკუთრებაა, არამედ საზოგადოც არის, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შეუძლია სარგებლობის მოტანა არა მარტო მისთვის, არამედ სხვებისთვისაც.¹⁴² ამასთანავე, ყველას აქვს უფლება ჰქონდეს თავისთვის და თავისი ოჯახისთვის სიმდიდრის საკმარისო ოდენობა. ასე ფიქრობდნენ ეკლესიის მამები და მოძღვარნი: მათ მიაჩნდათ, რომ ადამიანები არა მარტო ჭარბი ქონების საფუძველზე უნდა დაეხმარონ ღარიბებს;¹⁴³ ხოლო ვინც უკიდურეს გაჭირვებაშია, უფლება აქვს, თავისთვის აუცილებელი წილი სხვათა სიმდიდრიდან აიღოს.¹⁴⁴ სამყაროში მრავალი ადამიანი შიმშილით იტანჯება, ამიტომ წმიდა კრება ყველა მოუწოდებს, როგორც ცალკეულ პირებს, ასევე ხელი-სუფალთ, ახსოვდეთ მამათა ნათქვამი: „აჭამე შიმშილისგან მომხსნე დავეს, რადგან თუ არ აჭამე, ნიშნავს, რომ მოკალა“¹⁴⁵, და, რამდენადაც შეუძლიათ, მართლაც ისე გასცენ და განაგონ თავისი სიმდიდრე, რომ ინდივიდებმა თუ ერებმა შეძლონ, ამ დახმარების საფუძველზე თავად უშველონ საკუთარ თავს და განვითარდნენ.

პრინციპი, რომლის თანახმად სიმდიდრე ყველასთვის არის განკუთვნილი, ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ საზოგადოებებში ხშირად ამავე საზოგადოების ჩვეულებებისა და ტრადიციების საფუძველზე ხორციელდება. ამის შედეგად თითოეული წევრი მისთვის აუცილებელ სიმდიდრეს იღებს. ამასთანავე არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვეულებები – თუკი ისინი ჩვენი დროის მოთხოვნილებებს არ პასუხობს — სრულიად უცვლელი რა არის. მეორეს მხრივ, წესიერ ჩვეულებებს დაუფიქრებლად არ უნდა შევებრძოლოთ, როცა ისინი დღევანდელი ვითარების შესაბამისნი არიან და დიდი სარგებლობის მოტანა ძალუძთ. მსგავსად ამისა, ეკონომიკურად დიდად განვითარებულ ქვეყნებში, საზოგადოებრივ ინსტიტუციათა გარკვეულ ერთობლიობას (მათ ფუნქციაში შედის დაზღვევა და უსაფრთხოება) შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს იმ პრინციპის განხორციელებაში, რომლის თანახმად სიმდიდრე ყველასთვის არის განკუთვნილი. შემდგომშიც უნდა განვითარდეს საოჯახო და სოციალური სამსახურები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც კულტურასა და განათლებას უწყობს ხელს. ყოველივე ამის ორგანიზაციისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოქალაქენი არ იყვნენ ერთგვარად ინერტულნი საზოგადოების წინაშე, არ უარყონ მათთვის დაკისრებული მოვალეობა და სამსახურზე უარი არ თქვან.

70. *(ინვესტიციები და ფული)*. თავის მხრივ, ინვესტიციების მიზანი უნდა იყოს, როგორც დღევანდელი, ასევე მომავალი მოსახლეობის უზრუნველყოფა სამუშაო პირობებითა და საკმარისი ანაზღაურებით. ვინც იღებს გადანაცვლებას

142 შდრ. S. THOMAS, *Summa Theol.* II-II, q. 32, a. 5 ad 2; იქვე, q. 66, a. 2; შდრ. explicatio in LEO XIII encycl. *Rerum Novarum*: ASS 23 (1890-91), p. 651. – შდრ. აგრეთვე PIUS XII, allocutio I iunii 1941: AAS 33 (1941), p. 199. – მისივე, nuntius radioph. natalicium 1954: AAS 47 (1955), p. 27.

143 შდრ. S. BASILIUS, *hom. in illud Lucae "Destruam horrea mea"*, n. 2: PG 31, 263. – LACTANTIUS, *Divinarum Institutionum*, lib. V, de iustitia: PL 6, 565 B. – S. AUGUSTINUS, *In Ioann. Ev.*, tr. 50, n. 6: PL 35, 1760. – მისივე, *Enarratio in Ps. CXLVII*, 12: PL 37, 1922. – S. GREGORIUS M., *Homiliae in Ev.*, hom. 20: PL 76, 1165. – მისივე, *Regulae Pastoralis liber*, pars III, c. 21: PL 77, 87. – S. BONAVENTURA, *In III Sent.*, d. 33, dub. 1: QUARACCHI III, 728. – მისივე, *In IV Sent.*, d. 15, p. II, a. 2, q. 1: ed. cit. IV, 371 b; q. *de superfluo*: ms. *Assisi, Bibl. comun.* 186, ff. 112a-113a. – S. ALBERTUS M., *In III Sent.*, d. 33, a. 3, sol. 1: ed. BORGNET XXVIII, 611. – მისივე, *In IV Sent.*, d. 15, a. 16: ed. cit. XXIX, 494-497. – რაც შეეხება "სიჭარბის" განსაზღვრებას ჩვენს დროში, შდრ. IOANNES XXIII, nuntius radiotelevisificus 11. sept. 1962: AAS 54 (1962), p. 682: "ყველა ადამიანის ვალია, ქრისტიანის აუცილებელი ვალია, გააცნობიეროს სიჭარბე სხვა ადამიანის გაჭირვებასთან მიმართებაში, და იზრუნოს იმისთვის, რათა შექმნილი დოვლათს ყველას სასარგებლოდ განაგებდნენ და ანაწილებდნენ".

144 ამ შემთხვევაში ძალაშია ძველი პრინციპი: "უკიდურეს გაჭირვებაში ყველაფერი საზოგადოა, ანუ ყველაფერი განზოგადდება (communicanda)". მეორე მხრივ, იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობით, რა მოცულობით და რა სახით არის ეს პრინციპი მოცემულ ტექსტში გამოყენებული, იხ., თანამედროვე ცნობილ ავტორთა გარდა, S. THOMAS, *Summa Theol.* II-II, q. 66, a. 7. ცხადია, რომ ამ პრინციპის წნობი გამოყენებისთვის დაცული უნდა იყოს ზნეობრივად აუცილებელი ყველა პირობა.

145 შდრ. GRATIANI *Decretum*, C. 21, dist. LXXXVI: FRIEDBERG I, 302. ეს გამოთქმა გვაქვს უკვე PL 54, 591 a-სა და PL 65, 1132 B-ში. შდრ. *antonianum* 27 (1952) 349-366.

ლებებს ამ ინვესტიციებისა და ეკონომიკური ცხოვრების წარმართვის შესახებ – იქნებიან ისინი კერძო პირები, ჯგუფები თუ საჯარო ხელისუფალნი – მათ ეს მიზანი მუდამ თვალწინ უნდა ედგათ. თავის მძიმე მოვალეობად მათ შემდეგი რამ უნდა გააცნობიერონ: ერთის მხრივ, მათ უნდა თვალყური ადევნონ, რომ ადამიანებს ჰქონდეთ ყველაფერი, რაც საჭიროა როგორც ინდივიდის, ასევე საზოგადოების ღირსეული ცხოვრებისათვის; მეორეს მხრივ, მათ უნდა მომავალი განჭვრიტონ და დაამყარონ სამართლიანი ნონასწორობა დღევანდელი ინდივიდუალური თუ კოლექტიური მოხმარების მოთხოვნილებებსა და მომავალი თაობისთვის ინვესტიციათა საჭიროებას შორის. ასევე, ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეთ ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისა თუ რეგიონების გადაუდებელი საჭიროებანი. რაც შეეხება ფულის სფეროს, აქ უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ ზარალი არ მივაყენოთ არც საკუთარი ქვეყნის, არც სხვა ქვეყანათა სიმდიდრეს. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ფულის ღირებულების ცვალებადობასთან ერთად უსამართლოდ არ დაიჩაგრონ ისინი, ვინც ეკონომიკურად სუსტია.

71. *(საკუთრებისა და პირადი ქონების ხელმისაწვდომობა; ლატიფუნდიები).* საკუთრება და პირადი ქონების სხვა ფორმები, რომლებიც მატერიალურ ფასეულობებზე ვრცელდება, ეხმარება პიროვნებას, გამოხატოს თავისი თავი, და აძლევს მას საშუალებას, შეასრულოს თავისი მოვალეობა საზოგადოებასა და ეკონომიკაში. ამიტომ მნიშვნელოვანი საქმეა, ხელი უნდა შეეწყოს იმას, რომ მატერიალური ფასეულობები გარკვეულწილად ხელმისაწვდომი იყოს როგორც კერძო პირებისთვის, ასევე საზოგადოებებისთვის.

კერძო საკუთრება ან მატერიალურ ფასეულობათა ფლობა თითოეული ადამიანს აძლევს ფართო ასპარეზს პიროვნული და ოჯახური ავტონომიისთვის. ამიტომ საკუთრების ეს ფორმები ადამიანის თავისუფლების განვრცობად უნდა მივიჩნიოთ: საბოლოო ჯამში, მოვალეობისა და ვალდებულების შესრულებისთვის სტიმულის მიცემის გამო, ისინი მოქალაქეთა თავისუფლების ერთერთ პირობას წარმოადგენს.¹⁴⁶

ასეთი ფლობის თუ საკუთრების ფორმები დღეს სხვადასხვაგვარია. თანდათანობით ისინი კიდევ უფრო მრავალგვარი ხდება. ამასთანავე, ყველა მათგანი, სოციალურ ფონდებთან, საზოგადოების მიერ გარანტირებულ უფლებებსა და განუულ სამსახურთან ერთად, წარმოადგენს დაცულობის (*securitatis*) არსებით მიზეზს. ეს ეხება არა მარტო მატერიალურ საკუთრებას, არამედ არამეტერიალურ ფასეულობებსაც, როგორცაა პროფესიული უნარ-ჩვევები.

კერძო საკუთრების უფლება არ ეწინააღმდეგება უფლებას, რომელიც სახალხო საკუთრების ფორმათა მრავალგვარობას გააჩნია. ქონების გადაცემის განხორციელება სახალხო საკუთრებაში შეუძლია მხოლოდ უფლებამოსილ ხელისუფლებას, საზოგადო კეთილდღეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით და მის ფარგლებში, სათანადო კომპენსაციის გაღებით. გარდა ამისა, სახალხო ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს, არ დაუშვას, ვინმემ ბოროტად ისარგებლოს კერძო საკუთრებით და ის საზოგადო კეთილდღეობის წინააღმდეგ გამოიყენოს.¹⁴⁷

კერძო საკუთრებას თავისი ბუნებით საზოგადოებრივი ხასიათიც აქვს. იგი კანონს ეფუძნება, რომლის თანახმად სიმდიდრე ყველასთვის არის განკუთვნილი.¹⁴⁸ ამ საზოგადოებრივი ხასიათის უგულვებელყოფის შემთხვევაში საკუთრება შეიძლე-

146 შდრ. LEO XIII, *encycl. Rerum Novarum*: ASS 23 (1890-91), pp. 643-646. – PIUS XI, *encycl. Quadragesimo anno*: AAS 23 (1931), p. 191. – PIUS XII, *nuntius radioph. 1 iunii 1941*: AAS 33 (1941), p. 199. – მისივე, *nuntius radiophonius in pervigilio Natalis Domini 1942*: AAS 35 (1943), p. 17. – მისივე, *nuntius radioph. 1 sept. 1944*: AAS 36 (1944), p. 253. – IOANNES XXIII, *encycl. Mater et Magistra*: AAS 53 (1961), pp. 428-429.

147 შდრ. PIUS XI, *encycl. Quadragesimo anno*: AAS 23 (1931), p. 214. – IOANNES XXIII, *encycl. Mater et Magistra*: AAS 53 (1961), p. 429.

148 შდრ. PIUS XII, *nuntius radioph. Pent. 1941*: AAS 44 (1941), p. 199. – IOANNES XXIII, *encycl. Mater et Magistra*: AAS 53 (1961), p. 430.

ბა იქცეს არაერთი ხარბი მისწრაფებისა და მძიმე არეულობის მიზეზად, რაც საბაბს აძლევს მათ, ვინც თავად საკუთრების უფლებას ეწინააღმდეგება.

ბევრ ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რეგიონში არსებობს დიდი, ძალზე ვრცელი სამეურნეო მიწები, რომლებიც საშუალო დონეზე არის დამუშავებული, ან, მოგების მიზნით, საერთოდ ხელუხლებელია; და ეს ხდება მაშინ, როდესაც, ერთის მხრივ, მოსახლეობის უმეტესობას მიწა საერთოდ არ გააჩნია ან სულ მცირე ნაკვეთს ფლობს, ხოლო მეორეს მხრივ, აშკარაა, რომ სამინადროქმედო პროდუქტიულობა გადაუდებელ მატებას საჭიროებს. ხშირად ისინი, ვისაც სამუშაოს მინათმფლობელი აძლევს, ან ვინც იჯარით ალებულ ნაკვეთს ამუშავებს, ისეთ გასამრჯელოსა თუ ხელფასს იღებს, რომელიც ადამიანს არ ეკადრება; ამასთანავე, მათ არა აქვს სათანადო საცხოვრებელი და შუამავლებიც მათ ძარცვავენ. ყოველგვარ დაცულობას მოკლებულნი, ისინი ისეთ პიროვნულ მონობაში ცხოვრობენ, რომ წართმეული აქვთ დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით მოქმედების შესაძლებლობა, მათ არა აქვთ არავითარი საშუალება, მონაწილეობა მიიღონ კულტურულ პროცესებში, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ, სხვადასხვა შემთხვევათა შესაბამისად, საჭიროა რეფორმები, რათა გაიზარდოს შემოსავალი, გაუმჯობესდეს მუშაობის პირობები, გაიზარდოს სამუშაო უზრუნველყოფა და იყოს დამოუკიდებლად მოქმედების სტიმული. მეტიც: არასაკმარისად დამუშავებული ნაკვეთები უნდა განაწილდეს მათ შორის, ვისაც შეუძლია, მიწა უფრო ნაყოფიერი გახადოს. ამ შემთხვევაში მათ უნდა მიეცეს აუცილებელი დამხმარე საშუალებები, უპირველეს ყოვლისა განათლებისთვის საჭირო სახსრები და სამართლიანი კოოპერატიული ორგანიზაციის შესაძლებლობები. ყველა შემთხვევაში, როცა საზოგადო კეთილდღეობა მოითხოვს კერძო საკუთრების კონფისკაციას, აუცილებელია, ყველა გარემოებათა გათვალისწინებით, განისაზღვროს შესაბამისი კომპენსაცია.

72. *(ეკონომიკურ-სოციალური მოღვაწეობა და ქრისტეს მეუფება)*. ქრისტიანები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობა იღებენ დღევანდელ ეკონომიკურ-სოციალურ პროგრესში და სამართლიანობისა და სიყვარულისთვის იბრძვიან, უნდა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შეუძლიათ დიდად შეუწყონ ხელი კაცობრიობის აყვავებასა და სამყაროში მშვიდობის დამყარებას. ამ საქმიანობის ბრწყინვალე მაგალითს უნდა გვაძლევდნენ როგორც ცალკეული პირები, ასევე გაერთიანებები. სრულიად აუცილებელი ცოდნისა და გამოცდილების შეძენის საფუძველზე, მათ უნდა შეინარჩუნონ სწორი იერარქია მიწიერ მოღვაწეობაში, ქრისტესა და მისი სახარების მიმართ ერთგულებაში, ისე, რომ მთელი მათი ცხოვრება, როგორც კერძო ასევე საზოგადო, განიმსჭვალოს ნეტარებათა სულით (spiritu Beatitudinum), განსაკუთრებით კი სიგლახაკის სულით.

ვინც ქრისტეს მორჩილია, ის, უპირველეს ყოვლისა, ღმრთის მეუფებას ეძიებს: იქიდან უფრო ძლიერ და წმიდა ტრფიალებას იღებს, იმისათვის, რომ ყველა თავის ძმას დაეხმაროს და, სიყვარულის შთაგონებით, სამართლიანობოს საქმე სრულყოს.¹⁴⁹

თავი IV

პოლიტიკური საზოგადოების ცხოვრება

73. *(სახალხო ცხოვრება დღეს)*. სადღეისოდ ერთა სტრუქტურასა და ინსტიტუციებში ღრმა გარდაქმნები შეინიშნება, რომლებიც ამ ერთა კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ევოლუციას თან სდევს. ეს გარდაქმნები დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკური საზოგადოების ცხოვრებაზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება

¹⁴⁹ ქონების სამართლიანდ გამოყენების შესახებ მოძღვრებისათვის ახალ აღთქმაში შდრ. ლუკ. 3, 11; 10, 30; 11, 41; 13ეტრ. 5, 3; მარკ. 8, 36; 12, 29-31; იაკ. 5, 1-6; 1ტიმ. 6, 8; ეფეს. 4, 18; 2კორ. 8, 13; 1იოან. 3, 17-18.

ყველას უფლებებსა და მოვალეობებს სამოქალაქო თავისუფლების სფეროსა და საერთო კეთილდღეობის მიღწევის საქმეში, აგრეთვე მოქალაქეთა ურთიერთობების მოწესრიგებას როგორც ერთმანეთში, ასევე საჯარო ხელისუფლებასთან მიმართებაში.

ადამიანის ღირსების განცდა უფრო ცხოველი გახდა. აქედან გამომდინარე, სამყაროს სხვადასხვა რეგიონში ადამიანები მიისწრაფიან ისეთი პოლიტიკურ-იურიდიული წყობის დასამყარებლად, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ცხოვრებაში პიროვნების უფლებების უკეთ დაცვას. ასეთი უფლებებია: თავისუფლად შეკრების, გაერთიანების, საკუთარი შეხედულების გამოხატვის, რელიგიის კერძოდ ან საჯაროდ აღსარება. პიროვნების უფლებათა დაცვა ხომ აუცილებელი პირობაა იმისა, რომ მოქალაქებს, ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად შეეძლოთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს ცხოვრებასა და მართვაში.

კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესთან ერთად მრავალ ადამიანს განუმტკიცდება სურვილი, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციაში. მრავალი ადამიანის ცნობიერებაში მძაფრდება მისწრაფება, დაცულ იქნას ამა თუ იმ ერის უმცირესობათა უფლებები, თანაც ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ამ უმცირესობის მოვალეობანი პოლიტიკური საზოგადოების წინაშე. ამასთანავე სულ უფრო იზრდება პატივისცემა იმ ადამიანთა მიმართ, რომლებსაც განსხვავებული აზრი გააჩნიათ ან რომლებიც სხვა რელიგიას მისდევნენ (*profitentes*). ამასთანავე მყარდება უფრო ფართო თანამშრომლობა, რომლის მიზანია, ყველა მოქალაქემ – და არა მხოლოდ პრივილეგირებულთა რაღაც ჯგუფმა – ნამდვილად შეძლოს პიროვნების უფლებებით სარგებლობა.

ამავე დროს, უარიყოფა ზოგიერთ რეგიონში არსებული ყველა ის პოლიტიკური ფორმა, რომლებიც წინ ეღობება სამოქალაქო თუ რელიგიურ თავისუფლებას, ხელს უწყობს ვნებათაღელვისა და პოლიტიკურ დანაშაულთა მსხვერპლის ზრდას და ხელისუფლების მოღვაწეობას ისე წარმართავს, რომ ის საერთო კეთილდღეობის ინტერესების ზურგს აქცევს და ერთერთი პარტიის ან სულაც მმართველთა ინტერესებს ემსახურება.

ჭეშმარიტად ჰუმანური პოლიტიკური ცხოვრების დასამყარებლად საუკეთესო საშუალებაა იმ ღრმა გრძნობის აღძრვა, რომელიც სამართლიანობის, სიკეთისა და საერთო კეთილდღეობისკენ არის მიმართული, და იმ ძირეული პრინციპების განმტკიცება, რომლებიც ეხება პოლიტიკური საზოგადოების ჭეშმარიტ სახეს, აგრეთვე საჯარო ხელისუფლების მიზანს, სწორ მოქმედებასა და მის საზღვრებს.

74. (*პოლიტიკური საზოგადოების ბუნება და მიზანი*). ადამიანები, ოჯახები და სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებას ქმნიან, აცნობიერებენ, რომ თავისთავად არ ძალუძთ სავსებით ჰუმანური ცხოვრება ჩამოაყალიბონ. ისინი გრძნობენ, რომ აუცილებელია უფრო ფართო საზოგადოება, რომელშიც ყველა ადამიანი ყოველდღიურად ყველა ღონეს იხმარს, რომ საერთო კეთილდღეობა უფრო და უფრო სრულყოფილად განხორციელდეს.¹⁵⁰ ამიტომ ქმნიან ისინი პოლიტიკურ საზოგადოებას, მის სხვადასხვა ფორმებს. ამგვარად, პოლიტიკური საზოგადოება არსებობს იმ საერთო კეთილდღეობისთვის, რომელშიც ის თავის სრულ გამართლებასა და შინაარსს იძენს, და რომლიდანაც იღებს თავის პირვანდელ და საკუთარ უფლებას. საერთო კეთილდღეობა მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ პირობათა ერთობლიობას, რომელთა მეშვეობით ადამიანებს, ოჯახებსა და გაერთიანებებს შეუძლიათ უფრო სრულად და დაუყოვნებლივ მიაღწიონ საკუთარ სრულყოფილებას.¹⁵¹

პოლიტიკურ საზოგადოებაში მრავალი სხვადასხვა ადამიანი არსებობს. მათ კანონიერად სხვადასხვა შეხედულების გაზიარება შეუძლიათ. იმისათვის, რომ პოლიტიკური საზოგადოება არ დაიშალოს იმის გამო, რომ თითოეული ადამიანი საკუ-

150 შდრ. IOANNES XXIII, *encycl. Mater et Magistra*: AAS 53 (1961), p. 417.

151 შდრ. იქვე.

თარ აზრს მისდევს, საჭიროა ხელისუფლება, რომელიც ყველა მოქალაქის ძალას საერთო კეთილდღეობისკენ წარმართავს, და ამას გააკეთებს არა მექანიკურად ან დესპოტურად, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ზნეობრივი ძალა, რომელიც ეყრდნობა თავისუფლებასა და დაკისრებული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებას.

ცხადია, რომ პოლიტიკური საზოგადოებისა და საჯარო ხელისუფლების ფესვები ადამიანის ბუნებაში ძევს. ამიტომ ისინი დამოკიდებული არიან იმ წესზე, რომელიც ღმერთმა წინასწარ დაადგინა, ხოლო რეჟიმის განსაზღვრა და მმართველთა დანიშნვა მოქალაქეთა თავისუფალი ნების უფლებამოსილებაა.¹⁵²

აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელება (იქნება ეს საზოგადოებაში როგორც ასეთში თუ ინსტიტუციებში, რომლებიც სახელმწიფოს განასახიერებენ) მუდამ უნდა ხდებოდეს ზნეობრივი საზღვრების ჩარჩოებში, საერთო კეთილდღეობის (ეს ცნება დინამიკურად უნდა იქნას გაგებული) უზრუნველყოფის მიზნით, კანონიერად დადგენილი თუ დასადგენი სამართლებრივი წესის შესაბამისად. ამგვარად, მოქალაქენი ნებაყოფლობით არიან ვალდებული, მორჩილება გამოავლინონ.¹⁵³ აქედან გამომდინარე, გასაგებია მათი პასუხისმგებლობა, ღირსება და მმართველთა მნიშვნელობა.

ხოლო თუ მოქალაქენი იჩაგრებიან საჯარო ხელისუფლებისგან, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება, მათ უარი არ უნდა თქვან იმაზე, რასაც საერთო კეთილდღეობის ობიექტურ მოთხოვნილებას წარმოადგენს: დაე, შეეძლოთ მათ, დაიცვან თავისი და თავის თანამოქალაქეთა უფლებები ხელისუფლების ბოროტად გამოყენების წინაშე, იმ ჩარჩოებში, რომლებიც ბუნებრივმა და სახარების კანონმა დასახა.

კონკრეტული ფორმები, რომელთა მეშვეობით პოლიტიკური საზოგადოება აწესრიგებს თავის სტრუქტურასა და საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციას, შეიძლება მრავალგვარი იყოს (ეს დამოკიდებულია ერთა თავისებურებასა და ისტორიულ განვითარებაზე), თუმცა ყველა მათგანი მუდამ უნდა ემსახურებოდეს კულტურული, მშვიდობიანი და ყველას მიმართ კეთილისმოსურნე ადამიანის ფორმირებას, რაც მთელი კაცობრიობისთვის არის სასარგებლო.

75. *(ყველას თანამშრომლობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში)*. ადამიანურ ბუნებას სავსებით შეეფერება პოლიტიკურ-იურიდიული სტრუქტურების არსებობა, რომლებიც ყველა მოქალაქეს სულ უფრო წარმატებითა და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აძლევს საშუალებას, თავისუფლად და რეალურად მონაწილეობა მიიღოს როგორც პოლიტიკური საზოგადოების იურიდიული პრიციპების ჩამოყალიბებაში, ასევე სახელმწიფოს მართვასა და სხვადასხვა ინსტიტუციის სფეროსა და მიზნების განსაზღვრაში, აგრეთვე მმართველთა არჩევაში.¹⁵⁴ დაე, ყველა მოქალაქეს ახსოვდეს, რომ მათი უფლება და მოვალეობაც არის, საარჩევნო ხმის თავისუფლად გამოყენება საერთო კეთილდღეობისათვის. ეკლესია ქებისა და პატივისცემის ღირსად მიიჩნევს მათ საქმეს, ვინც ადამიანთა მსახურებით სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის იღწვის და ამ სამსახურის ტვირთს თავის თავზე იღებს.

მოქალაქეთა თანამშრომლობამ, სამსახურისადმი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალულმა, სახელმწიფოს ყოველდღიურ ცხოვრებაში კეთილი ნაყოფი რომ გამოიღოს, საჭიროა სწორი სამართლებრივი წესი, რომელიც გულისხმობს ფუნქციონირებას და საჯარო ხელისუფლების ინსტიტუტების სათანადო დანაწილებასა და, იმავე დროს, უფლებათა ეფექტურ დაცვას, რომელიც არავისზე არ იქნება დამოკიდებული. ყველა პიროვნების, ოჯახისა და ჯგუფის უფლებები უნდა იქნას აღიარებული, დაცული და განვითარებული, ხელი უნდა შეეწყოს მათ განხორციე-

152 შდრ. რომ. 13, 1-5.

153 შდრ. რომ. 13, 5.

154 შდრ. PIUS XII, nuntius radioph., 24 dec. 1942: AAS 35 (1943), pp. 9-24; 24 dec. 1944: AAS 37 (1945), pp. 11-17. – IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*: AAS 55 (1963), pp. 263, 271, 277, 278.

ლებასაც,¹⁵⁵ იმ მოვალეობებთან ერთად, რომლებიც ყველა მოქალაქეს აკისრია. მათ შორის აღსანიშნავია სახელმწიფოსთვის მატერიალური და პერსონალური სამსახურის განევის აუცილებლობა, რასაც საერთო კეთილდღეობა მოითხოვს. ხოლო მმართველები უნდა ერიდონ ოჯახური, საზოგადოებრივი თუ კულტურული გაერთიანებებისთვის, აგრეთვე შუამავალი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტებისთვის ხელის შეშლას, არ უნდა დააბრკოლონ მათი კანონიერი და ნაყოფიერი მოღვაწეობა: პირიქით, უნდა ეცადონ, ხელი შეუწყონ მათ თავისუფალ და კანონზომიერ განვითარებას. რაც შეეხება მოქალაქეებს, როგორც ცალკეულ პირებს, ასევე მათ გაერთიანებებს, ისინი უნდა ერიდონ, საჯარო ხელისუფლებას მეტისმეტად დიდი ძალაუფლება მიანიჭონ, ან მისგან უსაფუძვლოდ მეტისმეტი შემწეობა და სარგებელი მოითხოვონ, პიროვნებებზე, ოჯახებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებზე დაკისრებული მოვალეობის შემცირების მიზნით.

ჩვენი დროის რთული ვითარების გამო საჯარო ხელისუფლება სულ უფრო ხშირად ერევა საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ საქმეებში, რათა შეიქმნას უფრო ხელსაყრელი პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებსა და ჯგუფებს, უფრო წარმატებით და თავისუფლად იღვანონ სრული ადამიანური კეთილდღეობის მისაღწევად. რეგიონთა სხვადასხვაობისა და ერთა განვითარების თავისებურებათა შესაბამისად, სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გაგებული მიმართებები სოციალიზაციასა¹⁵⁶ და პიროვნების ავტონომიასა თუ განვითარებას შორის. მაგრამ იქ, სადაც უფლებათა გამოყენება საერთო კეთილდღეობის გამო დროებით იზღუდება, როგორც კი ვითარება შეიცვლება, თავისუფლებაც რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღდგეს. არაჰუმანურია, როცა პოლიტიკური ხელისუფლება ტოტალიტარობისა თუ დიქტატურის ფორმას იძენს, რაც პიროვნებისა თუ საზოგადოებრივი ჯგუფების უფლებებს ზიანს აყენებს.

დაე, მოქალაქენი დიდსულოვნად და ერთგულად ავლენდნენ მონივნებს სამშობლოს მიმართ, ოღონდ გონებაზეზღუდულობის გარეშე. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი მიზანი მუდამ უნდა იყოს ადამიანთა მთელი ოჯახის კეთილდღეობა, ხოლო ეს ოჯახი მოიცავს სხვადასხვა ჯაჭვებით ერთმანეთთან დაკავშირებულ რასებს, ხალხებსა და ერებს.

დაე, ქრისტეს ყველა ერთგულმა იგრძნოს, რომ პოლიტიკურ საზოგადოებაში მათ განსაკუთრებული და განუმეორებელი მონოდება აქვთ. ისინი მაგალითს უნდა იძლეოდნენ, რამდენადაც გაცნობიერებული აქვთ მოვალეობა და საერთო კეთილდღეობას ემსახურებიან, რათა საქმით აჩვენონ, თუ როგორ შეიძლება შეეთანხმოს ხელისუფლება თავისუფლებას, პიროვნული ინიციატივა მთელი საზოგადოებრივი სხეულის შეკრულობასა და აუცილებლობას, ერთიანობის უპირატესობა ნაყოფიერ მრავალფეროვნებას. რაც შეეხება დროებითი საქმეების მოგვარებას, უნდა ვცნოთ კანონიერი შეხედულებები, თუნდაც ისინი ერთმანეთისგან სხვაობდნენ, და პატივი ვცეთ მოქალაქეებს (აგრეთვე გაერთიანებების წევრებს), რომლებიც ამ შეხედულებებს პატიოსნად იცავენ. ხოლო პოლიტიკურმა პარტიებმა მხარი უნდა დაუჭიროონ იმას, რასაც, მათი აზრით, საერთო კეთილდღეობა საჭიროებს; ოღონდ არასროს არ უნდა დააყენონ პირადი სარგებელი საერთო კეთილდღეობაზე მაღლა.

დიდად უნდა ვიზრუნოთ სამოქალაქო და პოლიტიკური განათლებისთვის, რომელიც დღეს ძალზე სჭირდება ხალხს და განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რათა ყველა მოქალაქემ შეძლოს, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური საზოგადოების ცხოვრებაში. ვისაც შეუძლია ან ვინც შეძლებს პოლიტიკას მისდიოს – ურთულესსა და იმავდროულად უკეთილშობილეს ხელოვნებას,¹⁵⁷ უნდა მოემზადოს და ეცადოს, ეს საქმე აკეთოს, საკუთარ კომფორტსა და გამორჩენაზე ფიქრის გარეშე. დაე, ზნეობრივად სუფთად

155 შდრ. PIUS XII, nuntius radioph., 1 iun. 1941: AAS 33 (1941), p. 200. – IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*. I.c., pp. 273, 274.

156 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Mater et Magistra*: AAS 53 (1961), pp. 415-418.

157 შდრ. PIUS XI, allocutio "Ai dirigenti della Federazione Universitaria Cattolica": *Discorsi di Pio XI*: ed. Bertetto, Torino, vol. 1 (1960), p. 743.

და წინდახედულად იმოქმედონ უსამართლობისა და ძალადობის წინააღმდეგ, ერთი ადამიანისა თუ პოლიტიკური პარტიის მხრიდან გაბატონებისა და არატოლერანტობის წინააღმდეგ. დაე, გულწრფელად და სამართლიანობის გრძნობით, სიყვარულითა და პოლიტიკური ძლიერებით იღვანონ ყველას კეთილდღეობისათვის.

76. *(პოლიტიკური საზოგადოება და ეკლესია)*. ძალიან მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა იქ, სადაც საზოგადოება პლურალიზმით ხასიათდება, რომ შეუმუშავდეს სწორი შეხედულება პოლიტიკურ საზოგადოებასა და ეკლესიას შორის ურთიერთობის შესახებ, რათა ცხადად მოხდეს გარჩევა იმისი, რასაც ქრისტეს ერთგულნი, ცალცალკე თუ საზოგადოების სახით, თვითონ აკეთებენ, როგორც ქრისტიანული ცნობიერების გამსჭვალული მოქალაქენი, იმისგან, რასაც ისინი ეკლესიის სახელით თავის მღვდლებთან ერთად აკეთებენ.

ეკლესია, რომელიც თავისი მსახურებითა და უფლებამოსილებით არავითარ შემთხვევაში არ შეერწყმის პოლიტიკურ საზოგადოებას და არ უკავშირდება არცერთ პოლიტიკურ სისტემას, წარმოადგენს ადამიანის პიროვნების ტრანსცენდენტობის ნიშანსა და საწინდარს.

თავ-თავის ასპარეზზე პოლიტიკური საზოგადოება და ეკლესია ურთიერთდამოუკიდებელნი და ავტონომიურნი არიან. ორივე, ოღონდ სხვადასხვა სახით, ადამიანების პიროვნულ და საზოგადოებრივ მონოდებას ემსახურება. რაც უფრო ჯანსაღად ითანმშრომლებენ ისინი ერთმანეთთან, გარემოებისა და დროის გათვალისწინებით, მით უფრო დიდ სამსახურს გაუწევენ საერთო კეთილდღობას. ადამიანი ხომ მხოლოდ მინიერ წესსზე არ დაიყვანება: ის კაცობრიობის ისტორიაში ცხოვრობს და თავის საუკუნო მონოდებას მთლიანად ინახავს. ეკლესია, გამომსყიდველის სიყვარულში დაფუძნებული, ხელს უწყობს იმას, რომ ქვეყანათა შიგნით და ქვეყანათა შორის სამართლიანობა და სიყვარული კიდევ უფრო გავრცელდეს. ეკლესია ქადაგებს სახარებისეულ ჭეშმარიტებას და აბრწყინებს ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროს თავისი მოძღვრებითა და მონაშობით, რომელსაც ქრისტეს ერთგულნი წარმოადგენენ. ამასთანავე, ეკლესია პატივს სცემს და ხელს უწყობს მოქალაქეთა პოლიტიკურ თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას.

როდესაც მოციქულები, მათი მიმდევრები და თანამშრომლები წარიგზავნებიან იმისათვის, რათა ადამიანებს აუწყონ ქრისტე – სამყაროს გამომხსნელი, მაშინ ისინი თავის სამოციქულო საქმეში (apostolatu) ეყრდნობიან ღმრთის ძალას, რომელიც ძალიან ხშირად მონაშობა უძღურებაში სახარების ძლიერებას გამოავლენს. ყველა, ვინც ღმრთის სიტყვის მსახურებას მისდევს, სარგებლობდეს იმ გზებითა და საშუალებებით, რომლებიც სახარებას ახასიათებს და დიდად განსხვავდება მინიერი ქალაქის საშუალებებისგან.

მინიერი საქმეები და ის, რაც ადამიანურ პირობებში ამ სამყაროს აღემატება, მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, და თავად ეკლესია სარგებლობს დროებითი საშუალებებით, რამდენადაც ამას მისი მისია მოითხოვს. მაგრამ ის არ ამყარებს იმედებს იმ პრივილეგიაზე, რომელსაც სამოქალაქო ხელისუფლება სთავაზობს. მეტიც: ის უარს იტყვის ზოგიერთი კანონიერად მიღებული უფლებით სარგებლობაზე, თუ ამ უფლებათა გამოყენება ეჭვის ქვეშ დააყენებს ეკლესიის მონაშობის გულწრფელობას ან ცხოვრების ახალი პირობები ცვლილებას მოითხოვს. დაე, მას მუდამ და ყველგან ჭეშმარიტად თავისუფლად შეეძლოს სარწმუნოების ქადაგება, თავისი სოციალური მოძღვრების სწავლება, ადამიანთა შორის თავისი მოვალეობის დაუბრკოლებლად შესრულება, ზნეობრივი მსჯავრის გამოტანა (iudicium morale ferre), მათ შორის იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც პოლიტიკას ეხება, როცა ამას პიროვნების ძირეული უფლებები ან სულთა ხსნა მოითხოვს. ამასთანავე ეკლესიამ უნდა გამოიყენოს ყველა ის – და მხოლოდ ის საშუალებები, რომელიც შეესაბამება სახარებასა და საერთო კეთილდღეობას, დროისა და გარემოებათა თავისებურების მიხედვით.

სახარების ერთგული, ეკლესია ასრულებს თავის მისიას სამყაროში. მისი მოვალეობაა, ხელი შეუწყოს და აღამაღლოს ის, რაც არის ქვეყნის, კეთილი და ლამაზი ადამიანთა საზოგადოებაში,¹⁵⁸ და განამტკიცოს მშვიდობა ადამიანთა შორის, ღმრთის სადიდებლად.¹⁵⁹

თავი V

მშვიდობის შენარჩუნება და ხალხთა ერთობის მხარდაჭერა

77. *(შესავალი)*. ჩვენს დროში, როცა განსაცდელი და შიში შედეგად მოსდევს მძვინვარე და სისხლისმღვრელ ომს და ჯერ კიდევ ტანჯავს ადამიანებს, კაცობრიობის მთელი ოჯახი თავისი განვითარების გადამწყვეტ მომენტს უახლოვდება. ის თანდათანობით ერთად იკრიბება და სულ უფრო მეტად აცნობიერებს თავის საყოველთაო ერთიანობას. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს იმ საქმის შესრულებას, რომელიც მას აკისრია, ე.ი. ისეთი სამყაროს აშენებას, რომელიც ყველგან და ყველასთვის უფრო ჰუმანური იქნება, თუ ყველა ერთად განახლებული სულით მოიქცევა ქვეყნის მშვიდობისკენ. ამგვარად, სახარების უწყება, შეთანხმებული კაცობრიობის მაღალ მისწრაფებებთან და იდეალებთან, ჩვენს დროში ახალი ნათლით ბრწყინავს, როცა მშვიდობისმყოფელებს ნეტარებად აცხადებს, „რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ“ (მათ. 5, 9).

ამიტომ კრება ნათელს ჰფენს მშვიდობის ქვეყნის და უკეთილშობილეს გაგებას, გმობს ომის ბოროტებას და განიზრახავს, მხურვალედ მოუწოდოს ქრისტიანებს, მშვიდობისმყოფელი ქრისტეს შემწეობით ითანამშრომლონ ყველა ადამიანთან, რათა მათ შორის განმტკიცდეს მშვიდობა სამართალსა და სიყვარულში, და მომზადდეს საშუალებები მშვიდობის დასამყარებლად.

78. *(მშვიდობის ბუნება)*. მშვიდობა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ ომი არ არის. ის არც მხოლოდ მოწინააღმდეგე ძალთა თანასწორობაზე დაიყვანება, არც იმპერიული ბატონობიდან აღმოცენდება. მას ქვეყნის მთლიანად და სათანადოდ ეწოდება „სამართლის საქმე“ (ეს. 32, 17). ის არის იმ წესის ნაყოფი, რომელიც საღმრთო დამფუძნებელმა ადამიანთა საზოგადოებაში დაამკვიდრა. მას უნდა ახორციელებდნენ ადამიანები, რომლებსაც მუდამ სწყურიათ უფრო სრულყოფილი ქვეყნის შექმნა. კაცობრიობის საერთო კეთილდღეობა, უპირველეს ყოვლისა, მაღარიული კანონით უნდა იმართებოდეს, მაგრამ კონკრეტულ მოთხოვნილებათა მიხედვით, ის დროთა სვლასთან ერთად განუწყვეტელ ცვლილებებს ექვემდებარება. ამიტომ მშვიდობა ერთხელ და სამუდამოდ მოპოვებული რამე კი არ არის, არამედ მუდმივ მშენებლობას საჭიროებს. გარდა ამისა, ადამიანის ნების არამდგრადობისა და ცოდვისგან დაუძღურების გამო, მშვიდობის მოპოვება თითოეული ადამიანისგან მოითხოვს ვნებებზე კონტროლს და კანონიერი ხელისუფლების სიფხიზლეს.

მაგრამ არც ეს კმარა. დედამიწაზე მშვიდობის დამყარება შეუძლებელია, თუ არ იქნა შენარჩუნებული პიროვნებათა კეთილდღეობა, თუ ადამიანები თავისი სულისა და გონების სიმდიდრეს ნდობითა და ნებაყოფლობით ერთმანეთს არ გაუზიარებენ. მშვიდობის ასაშენებლად სრულიად აუცილებელია როგორც მტკიცე ნება, მიმართული სხვა ადამიანებისა თუ ხალხების და მათი ღირსების პატივისცემაზე, ასევე გულმოდგინე ქმედითი ძმობა. ამგვარად, მშვიდობა სიყვარულის ნაყოფიც არის, რომელიც აღემატება ყოველივე იმას, რისი მოცემაც სამართალს შეუძლია.

მინიერი მშვიდობა, მოყვასის სიყვარულიდან აღმოცენებული, არის ხატი და შედეგი იმ მშვიდობისა, რომელიც ქრისტემ მოიტანა და რომელიც მამა ღმერთისგან მომდინარეობს. თავად განხორციელებულმა ძემ, მშვიდობის მეთავემ, თავისი ჯვრის მეშვეობით ყველა ადამიანი ღმერთთან შეარიგა და საყოველთაო ერთიანობა

158 შდრ. CONC. VAT. II, Const. dogm. de Ecclesia, n. 13.

159 შდრ. ლუკ. 2, 14.

ერთ ხალხსა და ერთ სხეულში აღადგინა. მან საკუთარ ხორცში მოკლა მტერობა¹⁶⁰ და, აღდგომით ამაღლებულმა, გაავრცელა სიყვარულის სული ადამიანთა გულში.

ამიტომ ყველა ქრისტიანს დაბეჯითებით მოუწოდებენ, სიყვარულით ქმნას ჭეშმარიტება (მდრ. ეფეს. 4, 15) და გაერთიანდეს ჭეშმარიტად მშვიდობიან ადამიანებთან მშვიდობისათვის სალოცველად და მის დასამყარებლად.

ამავე სულისკვეთებით, არ შეგვიძლია არ შევაქოთ ისინი, ვინც უფლებათა დაცვისას უარს ამბობს ძალადობაზე და მიმართავს დაცვის ისეთ საშუალებებს, რომლებიც სხვების – უფრო სუსტი ადამიანების განკარგულებაშიც არის, როცა კი შესაძლებელია ამის გაკეთება სხვა ადამიანებისა თუ საზოგადოების უფლებებისა და მოვალეობების შეალახვის გარეშე.

ადამიანები, რამდენადაც ისინი ცოდვილი არიან, მუდამ ომის საფრთხის წინაშე დგანენ, და ეს საფრთხე მათ ქრისტეს მოსვლამდე ემუქრება. მაგრამ რამდენადაც ისინი, სიყვარულით გაერთიანებულნი, ცოდვას სძლევენ, ამდენად ძალადობასაც სძლევენ, ვიდრე აღსრულდება სიტყვა: „მახვილებისგან სახნისებს გამოჭედავენ და შუბებისგან – ნამგლებს, ერი ერზე აღარ აღმართავს მახვილს და აღარავინ ისწავლის ომს“ (ეს. 2, 4).

ქვეთავი I

ომის თავიდან აცილება

79. (ომის არაჰუმანურობის შეკავება). თუმცა უკანასკნელმა ომებმა ჩვენს სამყაროს უმძიმესი ზიანი მიაყენეს, როგორც მატერიალური, ასევე მორალური, მაინც დღემდე ომი აჩანავს დედამიწის ზოგიერთ კუთხეს. მეტიც: ვინაიდან ომში გამოიყენება ნებისმიერი სახის სამეცნიერო იარაღი, მისი ველურობა სახიფათოა მემორი მხარეებისთვის: მას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ისეთი ბარბაროსობა, რომლის მსგავსიც წარსულს არ ახსოვს. გარდა ამისა, დღევანდელი ვითარების სირთულე და საერთაშორისო ურთიერთობების ჩახლართულობა შესაძლებლობას იძლევა იმისა, რომ ახალი მეთოდებით, ცბიერთა და დამანგრეველით, წარმოებდეს შენიღბული ომები. მრავალ შემთხვევაში ტერორიზმის მეთოდებს მიმართავენ, როგორც ომის ახალ ფორმას.

კრება ითვალისწინებს კაცობრიობის ამ სავალალო მდგომარეობას და, უპირველეს ყოვლისა, განიზრახავს, მოგვაგონოს ხალხთა ბუნებრივი უფლებების მნიშვნელობისა და მისი უნივერსალური პრინციპების შესახებ. თავად კაცობრიობის ცნობიერება ამ პრინციპებს სულ უფრო და უფრო მტკიცედ განაცხადებს. ამიტომ დანაშაულს წარმოადგენს ის მოქმედებები, რომლებიც ამ პრინციპებს შეგნებულად უპირისპირდება, აგრეთვე განკარგულებები, რომლებიც ასეთ მოქმედებებს სანქციას აძლევს: მათი ბრმა მორჩილება ვერ გაამართლებს მათ, ვინც მათ ემორჩილება. ასეთ მოქმედებებს, უპირველეს ყოვლისა, ისინი უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც რაღაც მოტივითა და საშუალებით მთელს ხალხს, ერსა თუ ეთნიკურ უმცირესობას სპობს. ასეთი ქმედებები უნდა სასტიკად დაგმობილ იქნას, როგორც საშინელი დანაშაული. ხოლო ქების ღირსია მათი ვაჟკაცობა, ვისაც არ ეშინია, აშკარად დაუპირისპირდეს ასეთ ბრძანებებს.

საომარ საქმეთა შესახებ სხვათასხვა საერთაშორისო შეთანხმება არსებობს, რომლებსაც საკმაოდ ბევრმა ქვეყანამ მოაწერა ხელი, რათა სამხედრო მოქმედებებისა და მათი შედეგების არაჰუმანურობა შემცირებულიყო. ასეთია შეთანხმებები, რომლებიც ეხება დაჭრილი ჯარისკაცების ან ტყვეების ბედს, და სხვა ამგვარი ხელშეკრულებები. ეს შეთანხმებები დაცული უნდა იყოს. მეტიც: ყველა უნდა ეცადოს (უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება საჯარო ხელისუფლებასა და ამ საქმეში გამოცდილ ადამიანებს), რამდენადაც შეუძლიათ, ხელი შეუწყონ მათ გაუმჯობესებასა და, ამდენად, ომების არაჰუმანურობის უკეთ და უფრო ეფექტურად შეკავებას. გარდა ამისა, სამართლიანია, რომ კანონებმა მეტი ჰუმან-

¹⁶⁰ მდრ. ეფეს. 2, 16; კოლ. 1, 20-22.

ნურობა გამოავლინონ იმ პირთა შემთხვევაში, რომლებსაც სინდისი არ აძლევს უფლებას (*ex motivo conscientiae*), გამოიყენონ იარაღი: დაე, ადამიანთა საზოგადოებას ისინი სხვა ფორმით ემსახურონ.

ასეა თუ ისე, ომი კაცობრიობის ცხოვრებიდან არ ამოძირკულა. ამიტომ, სანამ იქნება ომის საშიშროება და არ იარსებებს უფლებამოსილი საერთაშორისო ხელი-სუფლება, რომელსაც სათანადო ძალა გააჩნია, მანამდე შეუძლებელი იქნება, უარი ვუთხრათ მთავრობებს დაცვის კანონიერ უფლებაზე, თუკი ამონურულია მშვიდობიანი მოლაპარაკების ყველა საშუალება. ამიტომ სახელმწიფოს მესვეურებისა და სხვა პასუხისმგებელი პირების მოვალეობაა, იზრუნონ მათთვის მინდობილი ხალხების უსაფრთხოებისთვის, და სერიოზულად მიუდგნენ ასეთ სერიოზულ საქმეებს. მაგრამ ერთია საომარი საქმის წარმოება ხალხის სამართლიანად დაცვის მიზნით, და მეორეა სხვა ქვეყნების დამორჩილების სურვილი. საომარი ძალა არ არის სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნებისათვის მისი გამოყენების კანონიერების საფუძველი. და თუ საუბედუროდ ომი უკვე დაიწყო, თავისთავად ამ ფაქტის გამო მახარეებს ყველაფრის უფლება არა აქვთ.

ვინც სამშობლოს სამხედრო საქმით ემსახურება, თავი უნდა მიიჩნიოს ხალხთა უსაფრთხოებისა და თავისუფლების მსახურად. ამ მოვალეობის სწორად შესრულებით, ისინი ნამდვილად ხელს უწყობენ მშვიდობის განმტკიცებას.

80. (*ტოტალური ომი*). ომის საშინელება და სიმახინჯე უსაზღვროდ იზრდება მეცნიერულად გამომუშავებული იარაღის მატებასთან ერთად. ამ იარაღის გამოყენებით წარმოებულ საომარ მოქმედებებს შეუძლია განურჩევლად უზარმაზარი დამანგრეველი შედეგების გამოწვევა, რომლებიც კანონიერი დაცვის საზღვრებს სრულიად სცილდება. ეს საშუალებები, მრავალი ქვეყნის არსენალში უკვე არსებული, სრულად რომ გამოყენებულიყო, ამას მოჰყვებოდა მხარეთა მიერ თითქმის სრული ურთიერთგანადგურება, რომ აღარაფერი ვთქვათ მრავალ გაპარტახებაზე, რომელიც სამყაროში იჩენს თავს, და იმ დამლუპველ შედეგებზე, რომლებიც ამგვარი იარაღის ხმარებიდან გამომდინარეობს.

ეს ყველაფერი გვაიძულებს, ომი სრულიად ახლებურ ჭრილში განვიხილოთ.¹⁶¹ დაე, იცოდნენ ჩვენმა თანამედროვეებმა, რომ მათ მიერ წარმოებულ საომარ მოქმედებებზე სერიოზული პასუხი უნდა აგონ. მათ დღევანდელ გადანყვებილებებზე დიდად არის დამოკიდებული მომავალი.

ამ ვითარებაში წმიდა კრება უერთდება ტოტალური ომის დაგმობის, რომელიც უკანასკნელმა უზენაესმა პონტიფექსებმა უკვე გვაუწყეს,¹⁶² და განაცხადებს:

ყოველგვარი ომი, რომელიც განურჩევლად მიმართულია იმისკენ, რომ მოსახლეობასთან ერთად გაანადგუროს მთელი ქალაქები ან ვრცელი რეგიონები, არის დანაშაული ღმრთისა და თავად ადამიანის მიმართ, რომელიც მტკიცედ და დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაგმობილი.

დღევანდელი ომის საფრთხე განსაკუთრებით იმაში მდგომარეობს, რომ ის ერთგვარად დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას აძლევს მათ, ვინც უახლეს მეცნიერულად გამომუშავებულ იარაღს ფლობს. მოვლენათა რაღაც ამოუცნობი ჯაჭვით, მას შეუძლია ადამიანთა ნება უკიდურესი გადანყვებილებებისკენ წარმართოს. იმისათვის, რომ ეს მომავალში არასდროს მოხდეს, მთელი მსოფლიოს ეპისკოპოსები, გაერთიანებულნი, ევედრებიან ყველას, უპირველეს ყოვლისა კი ქვეყნების მმართველებსა და მხედართმთავრებს, მუდამ აწონ-დანწონ ღმრთისა და მთელი კაცობრიობის წინაშე ასეთი დიდი პასუხისმგებლობა.

161 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*, 11 aprilis 1963: AAS 55 (1963), p. 291: “ამიტომ ჩვენს ეპოქაში, რომელიც ატომური ენერჯით არის სახელგანთქმული, უგუნურებაა ვიფიქროთ, რომ ომი გამოდგება შელახული უფლებების დასაცავად”.

162 შდრ. PIUS XII, allocutio 30 sept. 1954: AAS 46 (1954), p. 589; nuntius radioph., 24 dec. 1954: AAS 47 (1955), pp. 15 ss. – IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*: AAS 55 (1963), pp. 286-291. – PAULUS VI, allocutio in Consilio Nationum Unitarum, 4 oct. 1965: AAS 57 (1965), pp. 877-885.

81. *(შეიარაღებისკენ სწრაფვა)*. მეცნიერული გზით გამომუშავებული იარაღი მხოლოდ იმისთვის არ გროვდება, რომ ომის დროს იქნას გამოყენებული. ამა თუ იმ მხარის დაცვის სიმტკიცე განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სწრაფად შეუძლია მას მოწინააღმდეგის თვალდასხმის მოგერიება. ამიტომ იარაღის მარაგი, რომელიც წლიდან წლამდე იზრდება, რაღაც უცნაური გზით ემსახურება შესაძლო მოწინააღმდეგის დაშინებას. ბევრი ფიქრობს, რომ ეს არის ყველაზე ეფექტური საშუალება, რომლითაც შეიძლება დამყარდეს გარკვეული მშვიდობა ერთა შორის.

როგორც არ უნდა მოხდეს მოგერიება, ადამიანები უნდა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შეიარაღების პროცესი, რომლისკენაც მრავალი ქვეყანა ისწრაფვის, მშვიდობის მტკიცედ შენარჩუნების გარანტია არ არის. არც ე.წ. წონასწორობა, რომელიც შეიარაღების შედეგად მყარდება, არ არის მყარი და ჭეშმარიტი მშვიდობა. ამის შედეგად ომის მიზეზები არა თუ არ ქრება, არამედ თანდათანობით გამძაფრებით გვემოქრება. იარაღი განუწყვეტლად განახლება და მის დაგროვებას უზარმაზარი სიმდიდრე ხმარდება, ხოლო დღევანდელი სამყაროს გაჭირვებებთან დასაპირისპირებლად საკმარისი საშუალებები არ მოიპოვება. იმის ნაცვლად, რომ ერთა შორის დაპირისპირებები ნამდვილად და საფუძვლიანად აღმოიფხვრას, ისინი სამყაროს სხვა ნაწილთა ინფიცირებასაც ახდენენ. უნდა ავირჩიოთ ახალი გზები, განახლებული სულიდან მომდინარე (ex reformato animo sumentes), რათა ეს საშინელება თავიდან იქნას მოცილებული (ut hoc scandalum removeatur), სამყარო მისი მტანჯველი შიშისგან გათავისუფლდეს, და შესაძლებელი გახდეს ჭეშმარიტი მშვიდობის აღდგენა.

ამიტომ კიდევ ერთხელ უნდა განვაცხადოთ: შეიარაღებისკენ სწრაფვა კაცობრიობის უმძიმესი ტანჯვაა და ის ღარიბებს აუტანელ ზიანს აყენებს. ძალიან უნდა გვეშინოდეს იმისი, რომ თუ შეიარაღება გაგრძელდა, ის ერთხელაც დამლუპველი უბედურების მიზეზი გახდება. ამისთვის უკვე საკმარისი საშუალება არსებობს.

ჩვენ მივიღეთ გაფრთხილება იმ უბედურებათა შესახებ, რომელიც ადამიანთა მოდგმამ შესაძლებელი გახადა. მას ვისარგებლოთ იმ პაუზით, რომელიც ზემოდან მოგვენიჭა, რათა საკუთარი პასუხისმგებლობის უკეთ გაცნობიერებით, მოვნახოთ გზები, რომელთა მეშვეობით შევძლებთ წინააღმდეგობების მოგვარებას ადამიანისათვის უფრო ღირსეული ხერხით. საღმრთო განგება დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენგან, გავთავისუფლდეთ ომის ძველი მსახურებისგან. ხოლო თუ უარს ვიტყვით ამ მცდელობის განხორციელებაზე, მაშინ ვინ იცის, სად მიგვიყვანს ეს ავბედითი გზა, რომელსაც დავადექით.

82 *(ომის სრული აკრძალვა და საერთაშორისო საქმიანობა, მიმართული ომის თავიდან ასაცილებლად)*. მამასადაძამე, ცხადია, რომ უნდა მთელი ძალით ვეცადოთ, მოვამზადოთ ის დრო, როცა ერთა თანხმობით, შესაძლებელი იქნება ნებისმიერი ომის სრულად შეწყვეტა. ეს, რა თქმა უნდა, მოითხოვს ერთგვარი საერთაშორისო საჯარო ხელისუფლების დამყარებას, რომელიც ყველას მიერ იქნება აღიარებული. მას უნდა ჰქონდეს ქმედითი ძალა, რომელიც ყველასათვის უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, სამართლიანობის შენარჩუნებასა და უფლებათა პატივისცემას. მაგრამ სანამ ამ სასურველი ხელისუფლების დამყარება იქნება შესაძლებელი, საჭიროა, რომ დღევანდელმა უზენაესმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა უფრო გულმოდგინედ ეძიონ ის საშუალებები, რომლებიც უკეთ უზრუნველყოფენ საერთო უსაფრთხოებას. მშვიდობა უნდა განჩნდეს ხალხთა ურთიერთნდობის შედეგად, და არა ერთა იმ დაშინების გამო, რომელიც შეიარაღებას მოჰყვება. ამიტომ ყველამ უნდა ითანამშრომლოს იმისათვის, რომ შეიარაღებისკენ სწრაფვა ბოლოსდაბოლოს შეჩერდეს და დაიწყოს განიარაღება, ოღონდ არა ცალმხრივად, არამედ ხელშეკრულებით დადგენილი თანაზომიერობით, რასაც თან უნდა ახლდეს ჭეშმარიტი და ქმედითი გარანტიები.¹⁶³

ამასობაში არ უნდა უგულვებლევყოთ წარსული და აწმყო მცდელობები, რომელთა მიზანია ომის საფრთხის თავიდან აცილება. ხელი უნდა შევუწყნოთ მრავალი ადა-

163 შდრ. IOANNES XXIII, encycl. *Pacem in terris*, სადაც შეიარაღების შემცირების საკითხი დგას: AAS 55 (1963), p. 287.

მიანის კეთილ ნებას: მათ უზენაესი ვალდებულების ტვირთი აკისრიათ და უმძიმესი მოვალეობის გრძნობა ამოძრავებთ; ისინი ცდილობენ, აღმოფხვრან შიშისმომგვრელი ომი, თუმცა არსებულ სირთულეებს გვერდს ვერ უვლიან. საჭიროა მხურვალედ შევთხოვოთ ღმერთს, ძალა მისცეს მათ, რათა მტკიცედ წამოიწყონ და დიდებულად დაასრულონ ადამიანთა მიმართ უზენაესი სიყვარულის საქმე, რომელიც მშვიდობის დამყარების მძლავრი საფუძველია. დღეს ეს საქმე მათგან უდაოდ მოითხოვს, თავისი გონება და გული საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც განავრცონ, უარყოფიეროვნული ეგოიზმი და სხვა ერებზე დომინირების ამბიციაც, ჰქონდეთ ღრმა პატივისცემა მთელი კაცობრიობის მიმართ, რომელიც – თუმცა დიდი დაბრკოლებებით — უკვე წინ მიდის ერთიანობისკენ.

მშვიდობისა და განიარაღების პრობლემების კვლევა, ენერგიულად და განუხრელად განხორციელებული, აგრეთვე საერთაშორისო კონგრესები, რომლებიც ამ საქმის გამო იყო მოწვეული, უნდა მივიჩნიოთ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისკენ მიმართულ პირველ ნაბიჯად. მათ მომავალშიც ძლიერად უნდა დავუჭიროთ მხარი, რათა მივიღოთ პრაქტიკული შედეგები. ამასთანავე, ადამიანები უნდა ერიდონ მხოლოდ სხვების იმედად ყოფნას, საკუთარი აზრის შემუშავების გარეშე. სახელმწიფოს მესვეურები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საკუთარი ხალხის საერთო კეთილდღეობაზე და, იმავე დროს, მთელი სამყაროს კეთილდღეობისთვის იღწვიან, დიდად არიან დამოკიდებულნი მრავალი ადამიანის შეხედულებაზე და განწყობაზე. მშვიდობა ვერ დამყარდება, სანამ მტრობა, ზიზღი და უნდობლობა, რასობრივი სიძულვილი და ჯიუტი იდეოლოგიები ადამიანებს ყოფენ და ერთმანეთს უპირისპირებენ. ამის შედეგად უაღრესად საჭირო ხდება განახლებული განათლების საფუძველზე მენტალიტეტის ცვლილება და საზოგადოებრივი შეხედულების ახლებური შთაგონება. ვინც განათლების საქმეს მისდევს, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდები, ან საზოგადოებრივ აზრს ქმნის, უმნიშვნელოვანეს მოვალეობად უნდა მიიჩნევდნენ ყველას მენტალიტეტის ისე წარმართვას, რომ ჩამოყალიბდეს ახლებური მშვიდობისმყოფელი განწყობა. ყოველმა ჩვენგანმაც უნდა სხვაგვარად მიმართოს თავისი გულისყური, გაიხედოს მთელი სამყაროსა და იმ მოვალეობებისკენ, რომლებიც ჩვენ ერთად შეგვიძლია შევასრულოთ, რათა ჩვენს მოდგმას უკეთესი მომავალი ჰქონდეს.

ნუ ავყვებით ცრუ იმედებს. თუ არ უკუვავადებთ მტრობასა და სიძულვილს, თუ არ დამყარდა მტკიცე და პატიოსანი შეთანხმება, რომელიც მომავალში საყოველთაო მშვიდობას გულისხმობს, მაშინ კაცობრიობას (ის უკვე იმყოფება სერიოზულ საფრთხეში, მიუხედავად იმისა, რომ საოცარი მეცნიერება გააჩნია), შესაძლოა დაუდგეს ის სავალალო საათი, როცა ის სხვა მშვიდობას ვეღარ ჰპოვებს, სიკვდილის საშინელი სიმშვიდის გარდა. და მაინც, ამის ქადაგებისას ქრისტეს ეკლესიას, ჩვენი დროის შიშებს შორის დამკვიდრებულს, არ უნელდება უმტკიცესი იმედი. მას სურს ისევე და ისევე, როცა საჭიროა და როცა არ არის საჭირო, ჩვენს ეპოქას აუწყოს მოციქულის სიტყვები: „აჰა ესერა, ან არს ჟამი იგი შეწყნარებისაჲ“, რათა გულები მოიქცნენ, „აჰა ესერა ან არს დღე იგი ცხორებისაჲ“.¹⁶⁴

ქვეთავი II **საერთაშორისო თანამეგობრობის შექმნა**

83. *(უთანხმოების მიზეზები და მათგან განკურნება)*. მშვიდობის დასამყარებლად უწინარეს ყოვლისა საჭიროა, აღმოიფხვრას ადამიანთა შორის დაპირისპირების მიზეზები: ისინი ომებს ასაზრდოებენ. ასეთებია, უპირველეს ყოვლისა, უსამართლობანი. მათგან მრავალი წარმოიქმნება მეტისმეტი ეკონომიკური უთანასწორობის შედეგად, აგრეთვე იმიტომ, რომ სამკურნალო საშუალებები იგვიანებს. სხვა შემთხვევებში უსამართლობა ბატონობის სურვილისა და ადამიანთა მიმართ ზიზღის შედეგად ჩნდება და, თუ მიზეზებს უფრო ღრმად ჩავეძიებთ, მისი სათავე არის ადამიანის შური, უნდო-

ბლობა, ქედმაღლობა და სხვა ეგოისტური გრძნობები. ადამიანს არ შეუძლია წესრიგის ასეთი დარღვევის ატანა. აქედან გამომდინარე, სამყარო განუწყვეტლივ ავადდება ადამიანთა შორის ქიშპობისა და ძალადობათა გამო, იმ შემთხვევაშიც, როცა ომი არ მძვინვარებს. ეს უბედურება ერთა შორის ურთიერთობების დონეზეც არსებობს. ამიტომ მასზე გამარჯვების მოსაპოვებლად ან მისი თავიდან აცილებისთვის, აგრეთვე აღვირახსნილი ძალადობის შესაკავებლად სრულიად აუცილებელია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა ერთმანეთთან უკეთესად, უფრო მჭიდროდ და კოორდინირებულად ითანამშრომლონ. საჭიროა განუხრელი ხელშეწყობა იმ ორგანიზმთა შექმნისთვის, რომლებიც მშვიდობას ემსახურება.

84. *(ერთა თანამეგობრობა და საერთაშორისო ორგანიზაციები)*. ჩვენს დროში ვითარდება ყველა მოქალაქესა და დედამიწის ყველა ხალხს შორის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება. საყოველთაო კეთილდღეობის ძიებისა და მისი განხორციელებისთვის აუცილებელია ხალხთა თანამეგობრობამ შემუშავოს წესი, რომელიც თანამედროვე ამოცანებს შეესაბამება. უპირველეს ყოვლისა, ის უნდა შეეფერებოდეს იმ მრავალრიცხოვან რეგიონებს, რომლებიც დღემდე გაუსაძლის გაჭირვებას ითმენენ.

ამ მიზანთა მიღწევისათვის საერთაშორისო თანამეგობრობის ორგანიზაციებმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ადამიანთა სხვადასხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ეს ეხება როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებას (ის მოიცავს კვებას, ჯანმრთელობას, განათლებას, მუშაობას), ასევე ზოგიერთ ცალკეულ გარემოებას, რომელიც აქა თუ იქ შეიძლება გაჩნდეს. ასე, მაგალითად, აუცილებელია ხელი შევუწყოთ განვითარებადი ქვეყნების საერთო წინსვლას, დავეხმაროთ მთელს მსოფლიოში გაფანტული ლტოლვილების გაჭირვებას, შევეწიოთ მიგრანტებსა და მათ ოჯახებს.

